ჭაბუა ამირეჯიბი

გოსო მბოლელი

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჭაბუა ამირეჯიბი

ბორა ბზორგალი

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თავსიტყვა

რევაზ თვარაძე

რამდენიმე ორიენტირი

წაკითხვით არსად წამიკითხავს, მაგრამ ვინმეს ჩემამდეც ნათქვამი ექნება უეჭველად: ამა თუ იმ ავტორთან მკითხველთა ურთიერთობის უმჯობესი ფორმა საკუთრივ მისი ქმნილებების გაცნობაა და არა ამ ქმნილებათა შესახებ არსებული ლიტერატურისა, – ავტორს და მის მკითხველებს შუამავალი არ ესაჭიროებათ. ასეა მრავალთაგან უმრავლეს შემთხვევებში. მაგრამ ისეც ხდება, ზოგიერთ მკითხველს, თუკი ორიენტირები არ აქვს მინიშნებული შემწედ, უჭირს ხოლმე მხატვრული ნაწარმოების უსიერ ტევრში გზის გაგნება, მით უფრო, როდესაც ისეთ რთულ ნაწარმოებთან გვაქვს საქმე, როგორიც არის „გორა მბორგალი“. ალბათ, ამას გულისხმობდა ბატონი ჭაბუა ამირეჯიბი, როდესაც შემომთავაზა, მცირე წინათქმა წამემძღვარებინა მისი ქმნილებისთვის. ეს ამბავი ჩემთვის დიდ პატივად მივიჩნიე და სიამოვნებითაც დავეთანხმე. ეგ არის, გულდაჯერებული არ ვარ, რამდენად შეუმცდარად მოვნიშნავ სათანადო ორიენტირებს.

ასეა თუ ისე, ვახსენოთ ღმერთი და შევუდგეთ საქმეს.

რით დავიწყოთ?

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჩემი აზრით, იმის დაწერა აჯობებს, რომ, უწინარეს ყოვლისა, ქრონოლოგიური ორიენტირები მოვნიშნოთ. ეს არცთუ იოლი საქმეა. ძალიან გულდასმით უნდა წავიკითხოთ „გორა მბორგალი“, მრავალი რეალია შევუჯეროთ ერთმანეთს, რათა დავასკვნათ: დრო, რომელშიც მოქმედება ვითარდება, რომელსაც ნაწარმოების ძირითადი სიუჟეტური ხაზი გასდევს, არის კომუნისტური რეჟიმის დასასრულის ხანა, მიახლოებით – ოთხმოციანი წლები. იქვე ისიც ვთქვათ, რომ თავად ავტორს ნაკლებად აინტერესებს ქრონოლოგიური ჩარჩოების დაზუსტება. ის წარმოაჩენს საბჭოური ცხოვრების ჯოჯოხეთს მის მთლიანობაში, რომლის შიგნითაც პრინციპული განსხვავება არც არის, ვთქვათ, ოციან-ოცდაათიან წლებსა და ორმოცდაათიან-სამოცდაათიან წლებს შორის. ყველა შემთხვევაში ძალადობაზე დამყარებულ წყობილებასთან გვაქვს საქმე.

როგორ ყალიბდებიან და საბოლოოდ რად გადაიქცევიან ამგვარი რეჟიმის პირობებში ადამიანები ან თვითონ როგორ ჩამოყალიბდა, სახელდობრ, ამნაირ პიროვნებად უმთავრეს ამბავთა მთხრობელი, ანუ გორა მბორგალი, ანუ ბარემ აქვე გავამხილოთ, ჭაბუა ამირეჯიბი, – აი, ამ კითხვას დასტრიალებს თავს რომანის ავტორი.

აქ მესამე ორიენტირის მონიშვნაც შეგვიძლია უკვე. ხსენებული კითხვის, აგრეთვე, მრავლის უმრავლესი სხვა საკითხისა და პრობლემის პასუხს რომ მივაკვლიოთ, ჩვენც გვმართებს, ფეხდაფეხ გამოვყვეთ იმიერპოლარეთიდან გამოქცეულ პატიმარს, რომელმაც ქვეითად უნდა განვლოს ორი ათასამდე კილომეტრი, და მასთან ერთად ჩავუღრმავდეთ მის საფიქრალს, მის მოგონებებს, რემინისცენციებს, განცდებსა და ზრახვებს. გამოქცეული პატიმრის თავისთავად უაღრესად საინტერესო თავგადასავალი, თავს დატეხილი პერიპეტიები, მისი დევნა, მის მიერ თავის დაღწევა დაგებული ხაფანგებისგან და სხვა ამგვარები არის სიუჟეტური ღერძი, რომელზედაც ასხმულია მისივე აურაცხელი მოგონება, განსჯა, ფიქრი, ძიება. და სწორედ ეს უკანასკნელი არის უმთავრესი რომანში – მოცულობითაც ძირითადი სივრცე მას უჭირავს და ავტორის სათქმელიც მასშია გაცხადებული. სიუჟეტური ღერძი მხოლოდ ფონია, ასპარეზია,

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

რომელზედაც გადაგვეშლება მოგონებები და ფიქრები. დაკვირვებული მკითხველი იოლად შენიშნავს, რომ ცალკერძ უგრძეს გზაზე მავალი პატიმრის ამბავი და ცალკერძ მისი შინაგანი, სულიერი ცხოვრების მომთხრობელი ვრცელი მონაკვეთები წიგნში ერთიმეორისგან გამოყოფილია და განსხვავებული შრიფტით არის აწყობილი.

ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ გორა მბორგალს პატიმრობის სამოცდათხუთმეტი (საბოლოოდ - ოთხმოცდასამი) წელი ჰქონდა მისჯილი, პირველი ოცდახუთი წელი, რომლითაც დახვრეტის მუხლი შეუცვალეს, - პოლიტიკური მოტივით, დანარჩენი - პატიმრობის ადგილებიდან მრავალგზის გამოქცევისთვის (თუ არ ვცდები, სულ ექვსი გამოდის გამოქცევა). ეს, ფაქტობრივად, სამუდამო პატიმრობაა. მართალია, გადასახლებიდან თექვსმეტი თუ ჩვიდმეტი წლის შემდეგ ამნისტიამ მოუსწრო და განთავისუფლდა, მაგრამ ის დრო, რაც ციხეებსა და ბანაკებში დაჰყო, საკმაოზე მეტიც იყო უზარმაზარი გამოცდილების დასაგროვებლად. ოღონდ ბანაკებისა და ციხეების თავისთავადაც უაღრესად საინტერესო ამბების მოყოლა ავტორს (შეგახსენებთ - ჩინებულ მთხრობელს), არაერთი ნაციმბირალი მწერლისგან განსხვავებით, თვითმიზნად არასოდეს უქცევია. ასე იყო „დათა თუთაშხიაშიც", ასევეა ამ ახალ რომანშიც, „გორა მბორგალშიც". ის მოგონებები, ის საფიქრალი, რითაც იმიერპოლარეთიდან გამოქცეულმა პატიმარმა ხუთი თვის განმავლობაში უნდა შეავსოს ჯერ ტუნდრასა და შემდეგ ტაიგაზე გამავალი ორი ათას-ხუთასკილომეტრიანი გზა, მხოლოდ ნაწილობრივ უკავშირდება ციხეებსა და ბანაკებს. მოგონებების, განსჯის, ფიქრის დიდი ნაწილი ეთმობა ავტორის ბავშვობასა და სიჭაბუკეს დაპატიმრებამდე, იმდროინდელი თბილისის ყოფას, მისი ოჯახის, ნათესავების, ახლობლების, მეგობრების, ზოგჯერ - სულაც უბრალო ნაცნობების ან თვით უცნობი პირების თაეგადასავალს, მოზრდილი ადგილი აქვს განკუთვნილი უახლოესი წინაპრების (მამა, პაპა, მათი წინა თაობები) მონათხრობებს, რასაც მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევრამდეც მივყავართ. ასე იქმნება ნოველების, მცირე ეპიზოდების, ეტიუდების, ჩანახატების გალა, რომელიც საქართველოს ცხოვრების ლამის

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ორსაუკუნოვან სურათს წარმოსახავს და რომელიც, ითქვა უკვე, ასხმულია ძირითად სიუჟეტურ ღერძზე - გორას მსვლელობაზე იმიერპოლარეთიდან რკინიგზამდე.

კიდევ რა უნდა გავითვალისწინოთ? კიდევ ის, რომ გორა მბორგალის (ანუ, კვლავაც ვიტყვი, ჭაბუა ამირეჯიბის) წინაპრები, მამის და დედის მხრივაც, ძველისძველ არისტოკრატულ საგვარეულოებს ეკუთვნოდნენ. ამ საგვარეულოთა ცხოვრების წარმოსახვა, მოგონებებით იქნება თუ ავტორისეული მონათხრობებით, განუმეორებელ კოლორიტს სძენს ნაწარმოებს. გარდა ამისა, თუკი სწორად ჩავხვდი, რომანი იმგვარად არის ჩაფიქრებული, მისი მთავარი პერსონაჟის ცხოვრება სიმბოლურად გაიაზრება მთელი ერის ცხოვრებად, მისი ხვედრი და ბედი - ერის ხვედრად და ბედად. და, ეს თუ ასეა, მაშინ ავტორის წარმომავლობასაც სხვა მნიშვნელობა მიეწყვის. საზოგადოების ამ ფენას სხვებზე უკეთ ჰქონდა შემონახული ის მრავალსაუკუნოვანი ტრადიციები, ის ღირებულებები, ის მსოფლშეგრძნება, ცხოვრების ის წესი, რომლებითაც სულდგმულობდა ქართული სახელმწიფო დამოუკიდებლობის დაკარგვამდე. ასე სწამს ავტორს და ეს რწმენა სულაც არ გულისხმობს გვარიშვილობით, ჩამომავლობით ბრიყვულ თავმოწონებას თუ ამპარტავნებას. მას აზრადაც არ მოსდის, მიჩქმალოს ხსენებელი ფენის ერთი ნაწილის ფუქსავატობა, ფუჭი ყიფი, თვით თავქარიანობა, გადაგვარებაც კი. მაგრამ იმასაც ნათლად წარმოაჩენს, რა ფასდაუდებელი საგანძური დაკარგა ქართველმა ერმა საზოგადოების იმ უკეთესი ნაწილის ყოვლად უგუნური და გულმხეცი განადგურებით. „იმ თექვსმეტ დედაბერში ხუთს სორბონა ჰქონდა დამთავრებული და ექვსსა თუ შვიდს ევროპის დედაქალაქებში დიდხნობით ცხოვრება მოუხდა“.ეს მეცხრამეტე საუკუნის მიწურულისა და მეოცის პირველი მესამედის თაობაა, სულიერი ცხოვრების ტონის მიმცემი და უცდომელი ეტალონი, რომლის ხელერთპირად მოსპობის ლოზუნგი თავდაპირველად შედარებით ფრთხილად შემოაპარეს „იდეოლოგიებს გადაყოლილმა დილეტანტებმა“, რომელთაც „ას ოცი წლის მონობის შემდეგ ქართველი ერისთვის ღმრთივ ნაბოძები დამოუკიდებლობა სოცმთავრობანას თამაშში წააგეს“, ხოლო 1921 წლის მომდევნო ხან-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

აში ცინიკური გულახდილობით გადმოისროლეს იმ დილეტანტთა იდეურად მოძმე ვამპირებმა.

ოჯახური და ნათესაური გარემო, ცხადია, თავის დაღს ასვამს გორას პიროვნებას. ეს მისი მოგონებების მთავარი თემაა უგრძესი გზის პირველ ასეულ კილომეტრებზე. ყრმობის ასაკიდანვე იცის მან, რომ მისმა წინაპრებმა სიცოცხლე სამშობლოს შეალიეს, რომ ამ ელიტარულ გარემოში ღირებულებათა სკალაზე უპირველესი მნიშვნელობა მიეწყვოდა ადამიანის ღირსებას, გონიერებას, თავდაოკებას, პატიოსნებას, ვაჟკაცობას, სამართლიანობას, იმ სათნოებათ, რომელთა გარეშეც კაცობრიული არსებობა, საერთოდ, აზრს დაკარგავდა. იაგორ კარგარეთელმა, პაპამ, „ქალალდზე დამიწერა, თავთით კედელზე გამიკრა: „ღმერთო, არ მომაკლო გასაჭირი, რომ სული ვწვართო, მაგრამ ისეთი გასაჭირი, რომ მიჭირდეს მხოლოდ მე". ნიადაგ მსგავსი შეგონებებით მოძღვრავდა გორას ბაბუამისი. აი, ეს არის კიდევ ერთი ორიენტირი ჭაბუა ამირეჯიბის ვრცელ რომანში გზის გასაგნებად. ამ პრინციპებით ზრდიდნენ მის წინაპრებს, ამავე პრინციპებს გულისხმობდა მემკვიდრეობით მიღებული სისტემა, რომელსაც გორას აღზრდისას ემყარებოდნენ პაპა, მამა, დედა თუ სხვა წევრები დიდგვაროვანი ოჯახისა. მუდმივი კვეთება საკუთარ თავთან (ვისაც „დათა თუთაშხია" კარგად ახსოვს, პარალელის გავლება არ გაუძნელდება), სულის მუდმივი წვართვა, „ყოფნისთვის წვართვა" ანუ წვრთნა, ნიადაგ შემართული ყოფნა და თავგადაკლული ბრძოლის, ხვედრთან ჭიდილის, მიზნის მიღწევის, საქმეთა აღსრულების დაუოკებელი ჟინი – აი, ის თვისებები, ბალღობიდანვე რომ გამოუმუშავდა გორა მბორგალს.

და განგებამ თითქოს ისე ინება, რომ ხსენებულ თვისებათა სარეალიზაციოდ უმჯობეს პირობებში ეცხოვრა ამ კაცს. სიტყვა „უმჯობესი", რაღა თქმა უნდა, პირობითად ვიხმარე. რადგან გორა, ისევე, როგორც თავად ავტორი რომანისა, 1921 წელს დაბადებული ჩანს, იმ ავბედითსა და საბედისწერო წელს, რომლის რაობა ყველას კარგად მოგვეხსენება – უსამართლობასა და ძალადობაზე დამყარებული რეჟიმი. გორას ცხოვრება ძალადობის აქტით დაიწყოო, – გვამცნობს ავტორი. იმიტომ რომო, – განმარტავს თვითონვე, – ცხოვრება ის არის, რაც გახსოვს, დანა-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

რჩენი - უბრალოდ, არსებობაა. ხოლო პირველი, რაც გორას თავისი ბავშვობიდან ახსენდება, სწორედ ძალადობის აქტია, - მათი ოჯახის ჩხრეკა და აწიოკება, ოცდათხი წლის აჯანყებასთან დაკავშირებული. ამ ძალადობისა და უსამართლობის ვითარებაში მიედინება მთელი მისი ცხოვრება - იმიერპოლარეთიდან გამოქცევისას გორა უკვე სამოც წელს მიტანებულია.

აქ კიდევ ერთი ორიენტირი გამოიკვეთება ჩვენს წინაშე. ამ სამოცი წლიდან ამბავთა მთხრობელს მესამედი თუ აქვს გატარებული ციხეებსა და ციმბირულ ბანაკებში. მაგრამ საქმეც ის არის, რომ თავად დიდ სხვაობას ვერ პოულობს პატიმრის ყოფასა და გარეთ ცხოვრებას შორის, მისთვის თითქმის ერთია ორივე. თავისუფალი ცხოვრებაც საპყრობილის ნაირსახეობაა - იქაც და იქაც იგივე ძალადობა და უსამართლობა მეუფებს. მწარე ირონიით არის მოთხრობილი, რომ ბანაკებში ყველაფერი იყო ნებადართული, გარდა ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლუატაციისა, ამის უფლება მარტო ჩეკისტებსა და კანონიერ ქურდებს ჰქონდათ, ხოლო ბელადის აღსრულების შემდეგ, როდესაც პატიმარს უფლებები მიეცა, უპირველესი იყო დასმენის უფლების მოპოვება.

ამ ასპექტით სულ სხვაგვარად მოიაზრება გორას მბორგავი ცხოვრება — გამუდმებული გაქცევები, დაუსრულებელი ხეტიალი. რატომ გავრბივარ ხოლმე? — ამგვარია ერთ-ერთი იმ მრავალ კითხვათაგან, საკუთარ თავს რომ უსვამს. და ამ კითხვის პასუხიც ნიშანდობლივია: გავრბივარ სიცოცხლისთვის, საყოველთაო ტერორის პირობებში თავისუფლება რომ დავიმკვიდროო. ვფიქრობ, აქ შინაგანი, სულიერი თავისუფლება იგულისხმება, რადგან ზემოთაც ითქვა, ამ მხრივ დიდი სხვაობა არც იყო პატიმრის ყოფასა და გარეთ ყოფას შორის. ამ მოსაზრებას ისიც უნდა ადასტურებდეს, რომ უკანასკნელად გორა სწორედ თავისუფალ ცხოვრებას გაექცა, საქართველოდან კვლავ ციმბირში გადაიხვეწა საკუთარი ნებით. ესეც თავისუფლების საძიებლად გაქცევა იყო. ამ კაცს უსამართლობისა და ძალადობის წინააღმდეგ ამბოხების გრძნობა არანაირ ვითარებაში არ უცხრებოდა. ამით იყო გამოწვეული მისი მუდმივი წყვეტება.

სიცოცხლისკენ, თავისუფლებისკენ თავგადაკლული სწრაფვა ამბავთა მთხრობელის განუშორებელი იდეალია, რომელს-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

აც არსებული რეჟიმის პირობებში აღსრულება არ უწერია - ყოველი გაქცევა, ყოველი ძალისხმევა, ფაქტიურად, მარცხით მთავრდება. აქ უკვე შეუფარავად არის ნათქვამი ის, რაც „დათა თუთაშხიაში“ მინიშნებებით იყო გამხელილი. იმიტომ, რომ მაშინ, კაცმა რომ თქვას, თითქმის ყოველი დონის მკითხველი კი ხვდებოდა, რომელ დროსა და რომელ რეჟიმსაც გულისხმობდა ვითომც მეცხრამეტე საუკუნისდროინდელ ამბავთა მომთხრობელი ავტორი, მაგრამ „დათა თუთაშხია“ იმ ეპოქაში დაიწერა და გამოქვეყნდა, როდესაც მსგავს საკითხებზე ღიად საუბარი, საერთოდ, შეუძლებელი იყო. და ისევე, როგორც დათა თუთაშხიას ცხოვრება მხოლოდ და მხოლოდ შინაგანი, სულიერი გამარჯვებით დასრულდა და არა რაიმე სახის ყოფითი, რეალური წარმატებით, მბორგალის ხვედრიც ის იყო, საკუთარი სულის სიღრმეში დაემკვიდრებინა ნანატრი თავისუფლება.

სათქმელი უკეთ რომ გამოიკვეთოს, ჩემს თავს უფლებას მივცემ, ერთი ლიტერატურული პარალელი მოვიშველიო. რა არის ვაჟა-ფშაველას საუკეთესო პოემების - „ალუდა ქეთელაურისა“ და „სტუმარ-მასპინძლის“ — არსებითი მხარე? - ცხოვრებისეული დამარცხება და სულიერი გამარჯვება და აღზევება, იდეალის გამარჯვება. სულიერი ზეობის დასტურია ორივე პოემის ფინალი - ორივეგან მთაზე სრულდება სურათები, ხოლო მთა, მოგეხსენებათ, ზეცის სიმბოლური სახეებია, ზეცაში იმკვიდრებენ სამყოფელს გმირები. არა მგონია, ყურით მოთრეული იყოს ეს პარალელი.

მაგრამ კაცობაც ის არის, ცხოვრებისეულმა წარუმატებლობამ ხელი არ აგაღებინოს ხვედრთან ჭიდილის, მიზნის მიღწევის, საქმეთა აღსრულების დაუოკებელ სწრაფვაზე, მუდმივ კვეთებასა და ბრძოლაზე. სწორედ ეს ასულდგმულებს გორას, ეს არის მისი ცხოვრების აზრი. ამიტომ, მართალია, გრძნობს, რომ „ჟამი მოქცევისა“ დაუდგა თუ უახლოვდება, მაინც გულდაჯერებული უმეორებს თავის თავს: ჯერ არ მოვკვდები, მნიშვნელოვანი საქმე მაქვსო დასამთავრებელი. ეს მნიშვნელოვანი საქმე არის მანამდე გაუგონარი რამის აღსრულება - იმიერპოლარეთიდან ციმბირის რკინიგზამდე ორი ათასი კილომეტრის დაძლევა საზარელ პირობებში, როდესაც სამოც წელს მიტანებული ბერიკაცი ცალკერძ გაუსაძლის

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ყინვას, პურგას, შიმშილს, მკვლელებს, უგზოო გზას უნდა გადაურჩეს და ცალკერძ იმაზე იზრუნოს, როგორ აურიოს გზაკვალი მის დამსმენებს, მძებნელებსა და მდევნელებს. ამიტომაც ეტყვის თავის თავს ამ უგზოო გზის გასრულების შემდეგ ერთგვარი სიამაყითაც: რაც შესძელი, არ დაიკარგება, ადამიანებისთვის დარჩება, რასაც მიაღწიე, ვერავინ მოგპარავს, ეს აღსრულებაა.

უკანასკნელი ფრაზები ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ორიენტირი უნდა იყოს რომანის მართებულად გაგებისათვის: მთელი სიცოცხლის მანძილზე გაძარცული და დევნილი, მოძალადეთაგან შეჭირვებული კაცი ამბობს ამას და კიდევ ერთხელ მიგვანიშნებს იმ მარადიულ ჭეშმარიტებას, რომ ამ ქვეყნად ღირებულია არა დალხენილი ცხოვრება, არამედ - სულიერი სიმაღლე (შევადაროთ მათე, 6, 19-20). რადგან იმგვარი საქმე, რომელიც არ დაიკარგება, ადამიანებისთვის დარჩება, მხოლოდ და მხოლოდ სულიერი სიმაღლის მქონე პიროვნებამ შეიძლება აღასრულოს (კვლავ ლიტერატურული პარალელი: „და ჩემს შემდგომად მოძმესა ჩემსა სიძნელე გზისა გაუადვილდეს“).

ოღონდ ჩვენ, მკითხველებს, გვმართებს, ნიადაგ გვახსოვდეს ერთი რამ: ხსენებული სულიერი სიმაღლის საფეხურამდე აღსვლა წიგნებში წასაკითხი რომანტიკული ამბავი არ არის არამც და არამც. ეს არის, ზემოთქმული რომ გავიმეოროთ, ნიადაგ შემართული ყოფნა, თავგადაკლული ბრძოლა, საკუთარ თავთანაც და საკუთარ ხვედრთანაც მუდმივი ჭიდილი და მიზნის მიღწევის, საქმეთა აღსრულების დაუოკებელი ჟინი. ამის დამმახსოვრებელნი იმასაც შევძლებთ, რომ ჩავწვდეთ იმიერპოლარეთიდან გამოქცეული პატიმრის მიერ განვლილი გზის არა მხოლოდ რეალურ, არამედ სიმბოლურ მნიშვნელობასაც: ეს არის მარტოკაცის მიერ განვლილი გზა ცხოვრებისა. ამ ასპექტით ერთობ საგულისხმოა, რომ ამ გზის დაძლევას „თეთრ წყვდიადში“ სვლას უწოდებს ავტორი (რეალური პლანი: იმ განედებზე, რომლებსაც გორა მოუყვება, პოლარული ღამე დგას, მუდმივი წყვდიადი, და თან მიდამო თოვლით გადაფარულია ირგვლივ). აქაც სიმბოლოსთან უნდა გვქონდეს საქმე - წუთისოფლის სახეებაა უკუნ ღამეში სვლა, თეთრი წყვდიადი.

მარტოკაცობის გამოც ვთქვათ ცოტა რამ. ესეც „წყევლაკრულვიანი საკითხავია“ და, ამასთან დაკავშირებით, იქნებ გაგვეხს-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ენებინა ერთი იგავი, ბუდას ცხოვრების ლეგენდადქცეული ამბის მომთხრობელ თხზულებაში რომ არის შესული (ეს თხზულება ქართულადაც არის თარგმნილ-გადმოკეთებული, „სიბრძნე ბალაჰვარისი“ ეწოდება): კაცსა ვისმე სამი მეგობარი ჰყავდა. ამათგან ერთი უსაყვარლესი იყო მისთვის, მეორეც უყვარდა, მესამეს ნაკლებ ყურადღებას აქცევდა. საზარელი დღე რომ დაუდგა, შეძრწუნებულმა ჯერ უსაყვარლეს მეგობარს მიაკითხა - მიშველეო. მაგრამ იმან - აღარ ვარ შენი მეგობარი, აწ სხვანი მყვანან მეგობრებად, ერთადერთი ის შემიძლია, შესამოსელს გაგატანო. მეორე მეგობარმა - ჩემი საზრუნავიც მეყოფა, შენთვის სად მცალია, ცოტას გამოგყვები და მერე შენი თავისა შენ იციო. ხოლო მესამემ, მოძულებულმა - კვლავაც შენი განუშორებელი მეგობარი ვარ, თუ რამ კეთილი გიქმნია ჩემთვის, სარგებლით მოგიწყავ, შენი ჭირის მოზიარე ვიქნები, არ მიგატოვებო. პირველი მეგობარი ნიშნავს ნივთიერ ქონებას, მის მიერ ბოძებული შესამოსელი - სუდარას. მეორე მეგობარი ნიშნავს მახლობელ ადამიანებს, რომელნიც სამარემდე მიაცილებენ და შემდეგ თავის გზას ეწევიან. მესამე მეგობარი ნიშნავს კაცის სულს.

ვშიშობ, სიტყვა არ გამიგრძელდეს, მაგრამ მაინც უნდა დავსძინო: ამ თვალსაზრისის შორეულ გამოძახილად მეჩვენება რუსთველის „თუ თავი შენი შენ გახლავს, ღარიბად არ იხსენები“ (გავითვალისწინოთ, რომ აქ „ღარიბი“ გაჭირვებულ, უქონელ კაცს კი არ ნიშნავს, მარტოდ მყოფს ნიშნავს).

სად იყვნენ ეგზისტენციალისტები, როცა ეს ყველაფერი იქმნებოდა!

მაგრამ გორას დავუბრუნდეთ. „მთელი სიცოცხლის მანძილზე მარტო ხარ“, - ესიტყვება საკუთარ თავს და იქვე აზუსტებს: „ჩვენ მარტო არა ვართ, მე და შენ ერთად მივდივართ, ორნი - გორა და გორა“.

დანარჩენი გულისხმიერმა მკითხველმა თავად გაიაზროს.

გულისხმიერ მკითხველს ისიც მართებს, საგანგებო ყურადღება მიაპყროს რომანის ფინალს, უკეთ - „ბოლოთქმას“. აქ გადმოცემულია ავტორის ერთობ თავისებური თვალსაზრისი, რომელიც კორიდას შეეხება. სად ესპანური კორიდა და სად გორას თავგადასავალი? მათ შორის კავშირის დასამყარებლად,

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

პარალელის გასავლებად აზრის გვარიანი ძალისხმევაა საჭირო. ჯერ თვალსაზრისს გავეცნოთ.

ვიდრე ხარი გამოიჭრებოდეს, ასპარეზზე მხოლოდ კაპეადორები (ხარის გამღიზიანებელნი) და ბანდერილეროები (ხარისთვის ქედში მანჭვალთა ჩამცემნი) დასეირნობენ და საუბრობენ. ამ დროს ასპარეზი წარმოსახავს ადამიანთა, ერთა, სახელმწიფოთა მშვიდობიანი ურთიერთობის სამყოფელს — ჩვენს დედამიწას ზედ მცხოვრები ხალხებით. გაჭედილი ამფითეატრები წარმოსახავს კაცობრიობას ერთ რომელიმე მონაკვეთში. ხვალ ამ ადგილს სხვა კაცობრიობა დაიკავებს, ზეგ — სხვა და ასე, მაგრამ მარადის იქნება იქ. ყველაფერი ცვალებადია, გარდა იმ ქვეცნობიერი მოლოდინისა, რომ ასპარეზზე ბნელეთიდან ვიღაც მოძალადე უნდა შემოიჭრეს და არსებული ჰარმონია ქაოსად აქციოს. ხარის შემოჭრის შემდეგ სიმბოლიკა ამგვარ სახეს იღებს: შემოჭრა, მოგერიება, გაქცევა, გამოდევნება, დამარცხება, გამარჯვება. ეს ბრძოლაა — რაღაცის დასასრული და ახლის დასაწყისი, უხეში ძალის ზეიმი და მისივე სიკვდილის სათავე — მოკვდინების მსვლელობა. და ასე გრძელდება უსასრულოდ. მაშასადამე, რა არის კორიდის დედააზრი? — ამაოება ამაოებათა.

ამაოება ამაოებათაო, — ოცდაათი საუკუნის წინათაც ღაღადყო ბრძენმა ხელმწიფემ.

ნუთუ მხოლოდ ეს?

ამ ზარდამცემი კითხვის პასუხს ყოველმა კაცმა საკუთრივ უნდა მიაკვლიოს.

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

წინათქმა

ყველგან, სადაც „ნამდვილ-ამბავი“ წერია, იგულისხმება
ან ავტორის თაეგადასავალი, ან მისი ნაცნობებისა

ამ წიგნის მთავარ გმირს, ანუ როგორც კრიტიკოსები იტყვიან, პროტაგონისტს, ორი გვარ-სახელი აქვს - იაგორ კარგარეთელი[1] და გორა მბორგალი. პირველი ნამდვილია, მეორე - შერქმეული. ჩემს ცნობიერებაში ორ და მეტ გვარსახელიანი ადამიანები დამნაშავეთა სამყაროს განეკუთვნებიან. იაგორ კარგარეთელმა, მართალია, თავისი სიცოცხლის მანძილზე სხვადასხვა გვარ-სახელი ატარა, რადგან დამნაშავეთა სამყაროში ირიცხებოდა, მაგრამ გორა მბორგალი ჯერ კიდევ იმ დროს შეერქვა, როცა მისი დამნაშავეობა მურაბების პარვას არ სცილდებოდა. ამ საქმეში მას რეციდივისტიც კი შეიძლება ეწოდოს. გამოგონილი სახელი ვერაფერს უშველიდა, ხსენებული დანაშაულის ჩამდენი ოჯახში მხოლოდ გორა გახლდათ. მოპარვა იმ შემთხვევაშიც კი ბრალდებოდა, როცა ცოდვა არ ედო და რაიმე მიზეზის გამო საჭმელს ჩვეულებრივზე ნაკლები მადიანობით შეექცეოდა.

მბორგალი, განსაკუთრებული მოუსვენრობის გამო, პაპამ[2] შეარქვა - ხნოვანობის მიუხედავად სპორტული აღნაგობის, რაინდული გარეგნობისა და მიხრა-მოხრის კაფანდარა მოხუცმა, წარსულში მხედრობით, ჩუბინობით, თავაწყვეტილი ლხინებითა და ლამაზმანთა გულთაპყრობით ფართოდ ცნობილმა პირო-

1. წიგნის ბოლოში იხ. განმარტება რომანის პერსონაჟების შესახებ

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ვნებამ. შვილიშვილი დაწყებით კლასებში, სკოლაში და სკოლიდან პაპას დაჰყავდა. საზოგადოებაში გავრცელებული იყო არცთუ უსაფუძვლო ეჭვი - მოხუცმა ეს მოვალეობა იმიტომ იტვირთა, რომ ხალხისთვის ემცნო, თავად როგორი „მარდი, ლამაზი და ჭკვიანი“ იყო ბავშვობაში, ანუ ისეთი, როგორადაც მას თავისი შვილიშვილი მიაჩნდა. პაპა-შვილიშვილის მსგავსება, მართლაც, გასაოცარი იყო. კარგარეთლის თანაკლასელებს ეს, რა თქმა უნდა, შეუმჩნეველი არ დარჩენიათ. ისიც გაიგეს, რომ პაპას იაგორი ერქვა და გორას კი ეძახდნენ. მაშინ შვილიშვილსაც გორა შეარქვეს და ვინაიდან ბიჭს მეტსახელი არ უთაკილია, შერჩა და შერჩა. ამის შემდეგ უსაზღვროდ ამაყმა და ბედნიერმა პაპამ თავისი არსებობის ერთ-ერთი მისია აღსრულებულად ჩათვალა, გორას ტარებას თავი მიანება. საბაბად ის გამოიყენა, რომ ესოდენ ყოველმხრივ შემკული ბავშვი სიბრძნის ტაძარში მარტოც მშვენივრად ივლიდა. ბიჭის ახალმა სახელმა ოჯახში შემოაღწია და ფეხიც მკვიდრად მოიკიდა. მეტსახელის გამარჯვება, პაპა გორას მოცადეობის გარდა, შესაძლოა, იმანაც განაპირობა, რომ გორა თავისი ახლო ნათესაობის ახალ თაობაში ერთადერთი მამაკაცი ბრძანდებოდა.

იყო ამ საალერსო სახელში რაღაც იდუმალი და ღირსეული.

გორა!

არც იმას დასჭირვებია დიდი დრო, რომ „მბორგალს“ სკოლაში შეეღწია და დამკვიდრებულიყო. მასწავლებლებმაც კი უზუსტეს მეტსახელად მიიჩნიეს და როცა მოუსვენრობისთვის დატუქსვა ენებათ, ბავშვს მბორგლობით მიმართავდნენ, ხოლო შექებისა თუ წახალისებისთვის - გორობით. ერთხელ ფიზკულტურის ახალმა მასწავლებელმა გვარ-სახელი ჰკითხა. გორა მბორგალიო, - მიუგო ბიჭმა და კიდევ რამდენიმე წლის შემდეგ ზოგიერთს მისი ნამდვილი გვარ-სახელის გასახსენებლად პაუზა სჭირდებოდა. ამასთან დაკავშირებით, იაგორ-უფროსმა საკუთარი ცხოვრების მეორე მნიშვნელოვანი მისიაც აღსრულებულად ჩათვალა - მზისა ქვეშე თავის მაგივრად მოვლენილი კაცი დაინამდვილა. გორას ერთხელ ვიღაცამ ჰკითხა, - სწორი გვარ-სახელი რომელიაო? — ორივეო, - ღიმილით მიუგო გორამ, - მაგრამ გორასა და მბორგალზე უფრო ვიხედებიო! შერქმეული

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

გვარ-სახელი თავადაც ერჩივნა. ეს იქიდან ჩანს, რომ ყოველთვის გორა მბორგალი გახლდათ, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როცა ოფიციალური ვინაობის თქმა იყო აუცილებელი.

ხუთი წლის გორას ერთი რამ შეემთხვა და დაახსომდა კიდეც; მის თოთო მეხსიერებაში ყველაფერი დაწვრილებით და ნათლად ჩარჩა, რადგან იმ შემთხვევამ სწორედ გორაზე მოახდინა ყველაზე ღრმა შთაბეჭდილება და დიდი ხნითაც დაუტოვა კვალი. ჩემი ფიქრით, გორამ ხუთი წლისამ დაიწყო ცხოვრება, რადგან ცხოვრება ის არის, რაც გახსოვს. დანარჩენი არსებობაა.

მოგეხსენებათ, რევოლუცია კინოსეანსი როდია, რომ დაიწყოს და წინასწარ ცნობილი საათ-ნახევრის შემდეგ დამთავრდეს. იგი კომეტას ჰგავს, უზარმაზარი კუდი იცის. გორასთვის იმ კუდის დასაწყისი იყო ათას ცხრაასოციანი წლების გვიანი შემოდგომა. ღამის სამ საათზე გორაანთ ბინას ოთხი ფორმიან-ნაგანიანი კაცი ესტუმრა. გორას მამა[3] - ერეკლე კარგარეთელი, ქალაქგარეთ იყო იქაური სახლის საქმეებზე. მოსულებს ერეკლეს დარდი ამჯერად არცა ჰქონდათ, მის ძმას ეძებდნენ. პროფესიული რევოლუციონერი და პოლიტიკური მოღვაწე იყო გორას ბიძა[4], ეროვნულ-დემოკრატი. რუსეთის ჯარების შემოსვლის მიმართ საკუთარი დამოკიდებულება ერთობ მძაფრად გამოამჟღავნა. ჩეკისტები დაეძებდნენ, მისი მოკვლისთვის ფულადი ჯილდოც კი იყო გამოცხადებული. კარგარეთლები ექვს თუ შვიდოთახიან ბინაში იდგნენ. ყველა ოთახი და სათავსო გაიჩხრიკა, ჯერი საძილეზე მიდგა. იქ გორას ეძინა. დედა ჩეკისტებს დაჰყვებოდა ოთახიდან ოთახში. შინ სხვა არავინ იყო. საძილეში შევიდნენ. ტანსაცმლის კარადიდან, უჯრებიდან, ზანდუკებიდან ყველაფერი გადმოიყარა და იატაკს მოეფინა, როგორც ყველა ასეთ შემთხვევაში ხდებოდა. დაამთავრეს ჩხრეკა. სამნი გავიდნენ, ოთახში ერთიღა იყო. ისიც გასვლას აპირებდა, რომ ჯგუფის უფროსმა ღია კარს იქიდან უბრძანა, - მაგ ბავშვის ლეიბი ნახეო!

გასაგებია, რომ ცოცხალ კაცს ეძებდნენ, მაგრამ ჩხრეკის დროს, როგორც წესი და მოვალეობა, ეძებენ ხოლმე ყველაფერს, რაც კანონს ან ხელისუფლებას შეიძლება, ეწინააღმდეგებოდეს - იარაღს, აკრძალულ ლიტერატურას, მიწერ-მოწერასა

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

და ვინ მოსთვლის, კიდევ რას. ესეც ნუ იქნება, როგორ გაუძლ-
ოს ადამიანმა სხვისი ბინისა თუ სულის კუნჭულებში ჩახედვის
ცდუნებას, მით უმეტეს, როცა ამის სრული უფლება გაქვს მონ-
იჭებული.

მჩხრეკავმა შარვლის ჯიბიდან დიდი, კაუჭიანი, ბასრი სასხ-
ლავი დანა ამოიღო და გაშალა. ის დანა მე კომეტის კუდის ნაწ-
ილაკი მგონია. მჩხრეკავი რევოლუციაში პირდაპირ ვენახიდან
იქნებოდა მოსული - მდიდარი გლეხის მოჯამაგირეობიდან ან
საკუთარი, მაგრამ პატარა ვენახიდან. დიდს ვერ შეელეოდა. წა-
მოიღო, შემოჰყვა და გადასაგდებად ვეღარ გაიმეტა. ჯიბით ატ-
არებდა, ხიდი სჭირდებოდა, თავისი წინაპრების ნაპირისკენ გა-
დადებული ბოგირი... გაშალა დანა, ზეწარი ფრთხილად აკეცა-
ძალიან ფრთხილად, რომ ბავშვი არ გაეღვიძებინა. დანას ლეი-
ბის წიბოზე კაუჭი მოაკიდებინა, გამოუსვა და თავიდან ბოლო-
მდე ჩაარღვია. მჭრელი იქნებოდა, ოხერი! მატყლშიც ძალიან
ფრთხილად შეჰყო ხელი. ეგ არის, ძებნას რომ მიჰყვა, ალბათ,
მიგნების აზარტმა სიფრთხილე მოუდუნა, სული აუფოფინა.
გორა ხელის ფათურ-ბორიალმა გააღვიძა. ვეება ტორი ქვემოდ-
ან მუჯლუგუნივით სცემდა, გაეღვიძებოდა, მაშ, რა იქნებოდა!
წამოჯდა, ნათურის მრუმე შუქზე ჩუმად მტირალი დედა დაინ-
ახა; იქვე, საწოლთან, ვიღაც შავგვრემანი კაცი ჩაჩოქილიყო,
ცალი ხელი გორას ლეიბში იღლიამდე შეეყო, მეორეში მბზინა-
ვი, კაუჭიანი დანა ჰქონდა. ზღურბლს იქიდან სამი უცნობი მამ-
აკაცი თვალებს აბრიალებდა, ლეიბიდან რაღაც დაკურკუშელა-
ვებულ-დაკლაკნილი გადმოფაფრულიყო და ფუთფუთებდა...

- დედიკო, მუცელი გამიჭრეს! - დაიყვირა გორამ.

ის მოფუთფუთე მატყლი საკუთარ ნაწლავებად თუ მიიჩნია.
რაღა გააჩუმებდა, ისეთი კივილი მორთო, ჭალმა ქანაობა დაიწ-
ყო. ქალებთან და ბავშვებთან ურთიერთობას ძალადობაში დახ-
ელოვნებული მამაკაცებიც კი სათოფეზე ერიდებიან. ასეთი შე-
ხვედრები, შემთხვევათა უმრავლესობაში, უკუქცევით მთავრდ-
ება. მამაკაცის ბუნებაში რაღაც არის, ქალის კივილსა და ბავშ-
ვის ცრემლს რომ ვერ უძლებს. ის მჩხრეკავები მაშინ საქართვ-
ელოს ბოლშევიკურ ხელისუფლებასავით შვიდი თუ რვა წლის-
ანი იყვნენ, პრაქტიკა და დახელოვნება აკლდათ. დამსჯელი ორ-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

განოების პრესტიჟის გრძნობა, ალბათ, გორას კივილმა ჩაუხშო და ისეთი სისწრაფით მოცუცხეს, რომ სადარბაზოში გამავალ კართან ლამის ზედახორა შეიქმნა. ყურადღების ღირსია ისიც, რომ საქართველოს გასაბჭოებამდე იმ სასხლავ დანას გასხვლის დანიშნულება ჰქონდა და სხლავდა. მერე კომეტის კუდში ბორიალი ეხვედრა, ვაზს გამოექცა, მძინარე ბავშვის ლეიბი გამოფატრა და შემდგომში, ვინ იცის, კიდევ რა ცოდვები დაიდო.

ამ ამბის შემდეგ თერთმეტი წ ის ასაკამდე გორას ჯერ ორ, სამ კვირაში ერთხელ და მერე უფრო იშვიათად, ის შემთხვევა ესიზმრებოდა თუ ელანდებოდა, იმავე ფრაზას გაჰკიოდა და ხანდახან, ალბათ, შიშისგან, ლოგინსაც ასველებდა.

გამოდის, რომ გორას ცხოვრება ძალადობის აქტით დაიწყო. რას იქმს კაცი, ასეთ დროში ინება წერათმწერალმა გორას გაჩენა. საზოგადოებრივი კატაკლიზმები გონსასეირო შემთხვევებსა და ბიოგრაფიებს უხვად ჰქმნიან. ამაში საწუწუნოსა და უკმაყოფილების საბაბს მხოლოდ სულმოკლენი პოულობენ. გორასთვის ეს უცხო იყო. ასე მარად და ყოველნაირ ვითარებაში კმაყოფილი კაცი მეორე არც მინახავს, არც გამიგონია და ყველაზე უსინდისო წიგნებშიც კი არ წამიკითხავს. თავის დროზე ერთმა კაცმა „ბედნიერი" შეარქვა, მაგრამ მეტსახელი უკვე ჰქონდა და მეორე აღარ მოეკიდა.

კიდევ ერთი რამ უნდა ითქვას: გორა ლოგინს ზოგჯერ ისე ასველებდა, რომ არც ესიზმრებოდა რამე, არც ელანდებოდა და, უფროსებს რომ არ დაეტუქსათ, ცრუობდა, – ის კაცები ვნახეო! ვფიქრობ, გასაჭირიდან თავის დაღწევის ხელოვნებაში პირველი ნაბიჯები გორამ მაშინ გადასდგა, როცა ეს ხრიკი იხმარა.

გორაზე შეიძლება, ითქვას, რომ უაღრესად ხანგრძლივი ცხოვრება გაიარა, რადგან ყველაფერი ახსოვდა, რაც პირადად მის სიცოცხლეში თუ ირგვლივ მოხდა. ამასთან, დანახვის უნარიც ერთობ თავისებური არგუნა განგებამ. სახელდობრ ამიტომ მოექცა იგი ჩემი ყურადღების ცენტრში, თორემ გორასთანა წარსულის მქონე ადამიანებს სხვებსაც ვიცნობ. აკი ვთქვი, საზოგადოებრივი კატაკლიზმები გონსასეირო ბიოგრაფიებს მრავლად სტოვებენ-მეთქი.

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

კარი პირველი

იყო მშვენიერი დრო, როცა ბანაკის ყოველ ბარაკში ყველაზე თვალსაჩინო ადგილზე ეკიდა სტამბურად დაბეჭდილი, ჩარჩოში ჩასმული და ბუზების ექსკრემენტებისგან შუშით დაცული საპატიმრო ადგილების „შინაგანაწესი“. ეს სიტყვა ვეება ასოებით იბეჭდებოდა. უფრო პატარებით - „უფლებები და მოვალეობები“ და ქვემოთ ტექსტი, რომელიც სამი მუხლისგან შესდგებოდა: „პატიმარს აკრძალული აქვს“, „პატიმარი ვალდებულია“ და „სასჯელის ზომები“. უფლებებისა არაფერი ეწერა, რადგან პატიმარს უფლება სრულიად არაფრისა ჰქონდა, ყველაფერი აკრძალული იყო და როცა ყველაფერი აკრძალულია, მაშინ ყველაფერი ნებადართულია. ასეც გახლდათ, ყველაფერი შეიძლებოდა და ამის გამო იყო ის დრო მშვენიერი! ამაში ცუდი არაფერია. განა ვინმეს სადმე, როდისმე, ვისთვისმე და რისიმე უფლება ნებაყოფლობით მიუცია? უფლება შეიძლება მოიპოვო, მიიტაცო, მიითვისო, გამოსძალო, ეშმაკობით ჩაიგდო ხელში, მოიპარო, მაგრამ თუ ჭკუათმყოფელი ხარ, საჩუქრად არ უნდა მოელოდე, რადგან ისტორიამ დაამტკიცა, სავარძელში მჯდომი მუცელზე მოხოხიალეს პანღურის მეტს არაფერს უბოძებს. ასეთი შეხედულების შექმნა-შემუშავება ზემოხსენებული განაწესის არსებობამ მოიტანა და ამიტომ ბანაკებში ყველაფერი შეიძლებოდა, გარდა ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციისა. ამის უფლება მხოლოდ ჩეკისტებსა და კანონიერ ქურდებს ჰქონდათ. იგულისხმება პატიმრის გამოყენება უმძიმეს სამუშაოებზე და შინა თუ ხელზე მოსამსახურეებად, ანუ ლაქიებად.

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

სამწუხაროდ, დასაბამითვეა ცნობილი, რომ ბოლო ყველაფერს აქვს და იმ პერიოდმაც გაიარა, როცა ყველაფერი შეიძლებოდა. ბანაკების მთავარმა სამმართველომ განიზრახა, პატიმრებისთვის უფლებები მიეცა. გორა მბორგალი ირწმუნება, რომ უფლებების მინიჭების პროცესი საქართველოს უშიშროების სამინისტროს შინაგან ციხეში პირველმა წამოიწყო ამ ციხის ექიმმა, ხაზაძემ[5], მისი, ანუ გორა მბორგლის თანდასწრებითა და, ვაი, რომ უნებლიე მონაწილეობითაც. ასე ყოფილა:

გაიღო ორადგილიანი საკნის კარი, ზედამხედველმა ხაზაძე თავისი ყუთიან-შუშებიანი ფერშლითურთ შემოუშვა. საკანში უმალ სპირტის სურნელება დატრიალდა. ციხის მედპუნქტს სადეზინფექციო მასალებით მაშინ ნორმალურად ამარაგებდნენ, ამიტომ ბატონი ხაზაძე გამუდმებით უფრო ღაჟღაჟა გახლდათ, ვიდრე ეს ალბინოსსაც კი შეჰფერის.

– ააა, მობრძანდით, ბატონო ექიმო, მობრძანდით, კეთილი იყოს თქვენი ფეხი! – ხმამაღლა მიესალმა საკნის მეორე მდგმური, გვარად კუპატაძე[6], რითაც დისციპლინა უხეშად დაარღვია: შინაგან ციხეებში მხოლოდ ჩურჩული იყო ნებადართული, ხმით ლაპარაკი თუ სხვა სახის რაიმე ხმაური საჯარიმო იზოლატორით მთავრდება.

– შშშ! – განრისხდა ხაზაძე და ჩურჩულით იკითხა: – რას უჩივით?!

– იღბალს, ბატონო ექიმო, იღბალს, – ხმითვე მიუგო კუპატაძემ, რაზვდაც ექიმმა, ზედამხედველმა და ყუთიან-შუშებიანმა ფერშალმა ერთდროულად დაიშიშინეს.

– თქვენ? – ახლა გორას შეეკითხა ხაზაძე.

– მახველებს, ბატონო ექიმო, ძალიან მახველებს, – წაიჩივლა გორამ ყასიდად..

ხაზაძე ზედამხედველს მიუბრუნდა და უთხრა:

– ახველოს ამან. ახველოს! – სთქვა და წავიდა.

პატიმარმა დახველების, ანუ ხმაურის უფლება მიიღო!

ასე დამთავრდა ექიმის ყოველკვირეული ვიზიტი. თითქოს, არაფერი, მაგრამ მის მიერ ნათქვამმა ფრაზამ დიდი მითქმა-მოთქმა, დავა-კამათი და ცხარე დისკუსიები გამოიწვია. სულ სამიოდე დღის შემდეგ ბერინგის სრუტიდან სახელმწიფოს დასავ-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ლეთ საზღვრამდე ყველა საპატიმროსა და ბანაკში დაიწყო ამ მოვლენის ღრმა ანალიზი. ინტერესი თემის მნიშვნელოვნობით იყო გამოწვეული, ხოლო გავრცელების ტემპი იმ ცნობილი და ელემენტარული ჭეშმარიტებით, რომ ვერც ერთმა სახელმწიფო თუ კერძო ინფორმაციის წყარომ ვერ უზრუნველჰყო ცნობის გავრცელების ისეთი სისწრაფე, როგორსაც საპატიმრო ადგილებმა მიაღწიეს. დღესაც მრავლად არის მაგალითები, როცა მოვლენა ჯერ არ მომხდარა, მაგრამ ციხემ უკვე დაწვრილებით იცის, თუ რა, და, სახელდობრ, როგორ მოხდა. ინფორმაციის გავრცელების ასეთი სისწრაფის მიზეზების წინაშე მეცნიერება უმწეო აღმოჩნდა. ამიტომ ფაქტის აღნიშვნით დავკმაყოფილდეთ. ასეა თუ ისე, დისკუსიამ ალიაქოთამდე მისული აჟიოტაჟი გამოიწვია. ხმაც კი გავრცელდა, ვითომ ვორკუტისა თუ ტაიშეტის რომელიღაცა ბანაკში ერთმა ყოფილმა პროფესორმა მეორე ყოფილ პროფესორს სახეში შეაფურთხა, მაგრამ ეს, საბედნიეროდ, მორიგი „პარაშა“ აღმოჩნდა.

კვლევის საგანი თავიდან ის იყო, ასეთ გამონაკლისს ხაზაძე თავისი ინიციატივით დაუშვებდა თუ არა. ამ საკითხზე საყოველთაო აზრი შედარებით იოლად შემუშავდა - არ დაუშვებდა, დავალება შეასრულა! ეს რომ ცხადი შეიქნა, მაშინ ანალიზი იქით წარიმართა, თუ რა უნდა მოჰყოლოდა ამას. აზრი გაიყო. ერთნი ამბობდნენ, უარესი იქნებაო; ოპტიმისტები, - რეჟიმი შემსუბუქდებაო. სკეპტიკოსებმა იმარჯვეს: ხაზაძის ამნისტიას ბელადის გარდაცვალება მოჰყვა; ბელადის გარდაცვალებას - ბანაკების სისტემაში შფოთი, გაფიცვები და აჯანყებები. ახალმა ბელადმა, - საქმე ასე წინ ვერ წავაო, და ხაზაძის წამოწყებული დემოკრატიზაციის პროცესი სრულჰყო. ეს იმით გამოიხატა, რომ ბანაკებში „აქტივის საბჭოები“ დაარსდა, პატიმარმა ამ საბჭოებში სხვა პატიმრების „არჩევის“ უფლება მიიღო. ამის შედეგად ამომრჩევლებმაცა და არჩეულებმაც „შინაგანაწესის“ განუხრელი აღსრულების ფუნქცია იკისრეს და, აქედან გამომდინარე, დაბეზღების ეალდებულებაც. დასმენის უფლების გამოყენებამ თითქმის საყოველთაო ხასიათი მიიღო, რადგან პროცესის შემდგომი საფეხური იყო „პირობით ვადამდე გათავისუფლების“ პერსპექტივა, რაც, პირველ რიგში, იმ პატიმრებისთვ

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ის წარმოადგენდა რეალობას, ვინც შინაგანაწესის ხელმყოფთა დასმენის უფლებით სხვაზე ხშირად და შედეგიანად ისარგებლებდა. დემოკრატიზაციამდე დამსმენი თითო-ოროლა იყო და იმათაც, მხილების შემთხვევაში, თავს მოაჭრიდნენ ხოლმე. ახლა საქმე იქამდე მივიდა, რომ ოპერრწმუნებულის ბანაკში შემოსვლისთანავე მის კაბინეტთან დამსმენთა დიდი რიგი დგებოდა. ოპერრწმუნებული დროის უქონლობის გამო შერჩევის მეთოდით მოქმედებდა და უარყოფილნი, რიგში საათობით ყურყუტის შემდეგ, შინ ხახამშრალნი ბრუნდებოდნენ, მაგრამ მტკიცედ იცოდნენ, რომ ამჯერად გამოუყენებელი დასმენა შემდგომში უეჭველად გასაღდებოდა.

პატიმარმა ყველაფერი იცის!

შინაგანაწესის ახალ ტექსტში მეოთხე მუხლი გაჩნდა - „პატიმარს უფლება აქვს" - შავად, თეთრ, ქათქათა ქაღალდზე და გაცილებით ლამაზი შრიფტით იყო დაბეჭდილი, მაგრამ ბუზთსაწინააღმდეგო შუშები წაიღეს, რადგან მათი, დამსმენთა მიმართ, ცივ იარაღად გამოყენების შემთხვევებმა კატასტროფულად იმატა. აირია მონასტერი, ძალზე სერიოზულად აირია. ასე იმიტომ მოხდა, რომ პატიმარს უფლებები მიეცა. როცა საქმე ხელიდან იმ ზომამდე წავა, რომ უფლებებს ნებაყოფლობით მოგცემენ, აი, მაშინ იცოდეთ, რომ უკვე ნამდვილად აღარაფერი შეიძლება, გარდა იმისა, რისი უფლებაც მოგცეს!

ასე იცვალა სახე ბანაკმა.

გორა მბორგალი ორმოცი წლის ასაკამდე, ანუ ახალგაზრდობაში, ანუ მაშინ, როცა ყველაფერი შეიძლებოდა იმიტომ, რომ ყველაფერი აკრძალული იყო, რამდენიმეჯერ იჯდა. ბანაკებიდან რამდენჯერმე გაიქცა და რამდენიმეჯერ სწორედ ამისთვის იჯდა, თორემ ძირითადი ნასამართლობა ერთი ჰქონდა. სხვა დანაშაული, მიუხედავად იმისა, რომ გულხელდაკრეფილი არ ყოფილა, ვერავინ ვერაფერი დაუმტკიცა, მხედველობაში თუ არ მივიღებთ სისხლის სამართლის კოდექსის გარკვეული მუხლების უგულვებელყოფას, რაიც ყოველნაირი გაქცევის აუცილებელი თანამგზავრია. სამოც წელს მიტანებულმა რუსეთში რაღაც „ჩაიდინა", თავი ისევ ბანაკში ამოჰყო. როცა ზემოაღწერილ ვითარებას დააკვირდა, იმ დასკვნამდე მივიდა, რომ თუკი გაქც-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ევა, საერთოდ, საიდანმე იყო საჭირო, რა თქმა უნდა, სწორედ აქედან უნდა გაქცეულიყო, აი, ამ არეული მონასტრიდან და, სახელდობრ, ამსიშორიდან - შორეული აღმოსავლეთის რკინიგზის მაგისტრალს სწორი ხაზით ათას ხუთასი-ათას შვიდასი კილომეტრით დაშორებული იმიერპოლარული ბანაკიდან. გორა ნახევარ წელიწადს ემზადებოდა! ასეთი გაქცევები იშვიათია, ვინაიდან ამდენი ხნის განმავლობაში მზადებას, ვიღაცა იქნება, შენიშნავს და, როგორც ქართველები იტყვიან - კარგად მეყოლე! მზადების გეგმა და ხარისხი გორას მიერ წარსულში შეძენილ უმდიდრეს გამოცდილებას სავსებით ეთანადებოდა და, შეცდომა რა სათქმელია, ხარვეზიც კი არანაირი დაუშვია, ამას შემდგომში დავინახავთ.

გასაქცევი გზა გორას სამუშაო ადგილმა აპოვნინა. საქმე ასე იყო: როდესაც აქ მაღარო, გამამდიდრებელი ფაბრიკა, პერსონალის საცხოვრებელი დაბა და სხვა აუცილებელი ნაგებობები შენდებოდა, აიგო საქვაბეც თავისი წყალსაქაჩითა და კოლექტორებით. თავდაპირველად პატიმართა კონტინგენტის გამოყენება განზრახული არ ყოფილა, ამ საჭიროებამ მერე იჩინა თავი და პატიმართა საცხოვრებელი ზონაც აშენდა. ერთ-ერთი ბარაკი ზედ კოლექტორზე დაიდგა. გორამ პოლარული ზაფხულის პერიოდში ქვის სამტეხლოზე ხელსაწყოს მეკუჭნავედ იმუშავა. იქ შემოდგომიდან დიდი ყინვების გამო მუშაობა წყდებოდა და გორამ ახლა ბარაკში, პატიმრების პირადი ნივთების მეკუჭნავეობას მიჰყო ხელი. ეს პრივილეგირებული თანამდებობა მას სიბერემ, „მეორე ჯგუფის ინვალიდობამ“ და საიმედოდ მიმალულმა ასმანეთიანმა მიანიჭა. გაზაფხულზე სამტეხლოში მუშაობა განახლდა. ახლა უკვე ბრიგადირებმა მოითხოვეს, - გორაზე უკეთ იქ ვერავინ გვემსახურებაო. გორამ, - ამ მეკუჭნავეობას ვერ დავთმობ, ორივეს შევითავსებო. უფროსები დათანხმდნენ. ბანაკი ცხელი ჰაერით თბებოდა, გორას საკუჭნაოში გათბობის მილი ბარაკის ქვემოდან ამოდიოდა. იმის მიხვედრას, რომ იატაკქვეშ კოლექტორი უნდა ყოფილიყო, არცთუ დიდი ნიჭი უნდოდა. გორამ ორიოდე ფიცრის აყრა და ჰიპოთეზის შემოწმება წინა ზამთარსვე მოახერხა. ვარაუდი დადასტურდა, კოლექტორი იყო და ბანაკის გარეთაც გადიოდა. გაჰყვა. ზონის მავთ-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ულხლართებიდან ოცდაათი მეტრის დაშორებით თუჯის ხუფით დახურული ჭაც იყო. ამის ნახვამ გორას თავში გაქცევის ბრწყინვალე გეგმა შვა. იგი მუხლებზე დაეცა, ხელები ცად აღაპყრო და ჭის ხუფს შეჰღაღადა:

- ღმერთო, ღმერთო! აჰა, აბა, რა არის ეს?! ჯერ ასეთ მშვენიერებას მომანიჭებ, ყულფში თავს გამაყოფინებ და მერე მსაყვედურობ, ეს რა ჩაიდინეო!..

ყოველივე ამას უნდა დაერთოს, რომ ბანაკის ადმინისტრაციას გაქცევის ამგვარი საშუალება მხედველობიდან ჰქონდა გამორჩენილი. საერთოდ, იმ გადასაკარგავიდან გაქცევა, მათი აზრით, მხოლოდ უიმედო იდიოტს თუ მოეპრიანებოდა. მართალია, წარსულში, ანუ ბანაკის არსებობის პირველი წლების მანძილზე, ორი გაქცევა მოხდა, მაგრამ ორივე სიკვდილით დამთავრდა და, ამასთან, ორივე გამამდიდრებელი ფაბრიკიდან განხორციელდა და არა საცხოვრებელი ზონიდან. გაქცევათა ზემომოყვანილმა ფინალმა ადმინისტრაცია საბოლოოდ დააარხეინა, ხოლო პატიმრებს გაქცევაზე ფიქრი დაავიწყა. დაავიწყა ყველას, გორას განზრახვამდე კიდევ ერთი კაცის გარდა. ეს იყო მიშა ფილიპოვი[7], ფესვით ციმბირელი, იმ ფანატიკოსების ჩამომავალი, ვინც ჯერ კიდევ მეჩვიდმეტე საუკუნეში ცენტრალური რუსეთიდან სამი თითით პირჯვრის წერას გამოექცა და ობისა და ენისეის შუამდინარეთის უღრან ტყეებში ორი თითით პირჯვრის წერის უფლება გაინაღდა. მიშა ფილიპოვს „სტაროვერობისადმი" დამოკიდებულება ბანაკში არაფრით გაუმჟღავნებია. კაცმა რომ სთქვას, ღმერთთან ინტიმური საუბარი რა საჯაროდ გამოსატანი საქმეა! ამ მხრივ ფილიპოვი ღრმა საიდუმლოების ლიბრით იყო მოცული, ამისი არავინ არაფერი იცოდა, მაგრამ გარეგნობითა და თავდაჭერით რომ საყოველთაო ყურადღებას იპყრობდა - ნამდვილია. ეს კაცი პოლარეთისპირა ტაიგაში დაიბადა. თხუთმეტი წლისა უკვე პროფესიული მონადირე იყო, ამ საქმის მამასავით მაგარი მცოდნე და მთელ ენისეიზე ცნობილი მსროლელი. მეორე მსოფლიო ომში მოხალისედ წავიდა. მაშინ ხელის მოწერა იცოდა და სროლა - სხვა არაფერი. იქ სნაიპერად იყო. დაზვერვაზეც დაჰყავდათ. მტრის ზურგში ერთ-ერთი რეიდის დროს, მდევრის შესაყოვნებლად დატოვებული, მძიმედ დაიჭრა და გო-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ნს გერმანულ ჰოსპიტალშიღა მოეგო. იმ ვირეშმაკა კახელისა არ იყოს, გამომძიებელი ჩააცივდა, ტყვედ როგორ ჩავარდი, გამოტყდი, თორემ ასე და ის გიზამო!.. რა ვიცი, ბატონო გამომძიებელო, აბა, რა გითხრა? აქ რომ ვაგონში შეგვყარეს, რუსმა ჩაგვკეტა და, რამდენი ხანი გვატარეს, ვინ იცის და, აკი გერმანელმა გააღო ვაგონის კარი, ჩამოდით, ტყვეები ხართო! რავი, აბა?!. ჰო, ფილიპოვი გონს კი მოეკითხა, მაგრამ მეხსიერება ერთიანად გამობერტყილი აღმოუჩნდა, საკუთარი გვარიც კი ველარაფრით გაიხსენა. სხვა დაჭრილებმა „ნეპომნიაშჩი“ დაარქვეს და გერმანელ ექიმებსაც ეს გვარი უთხრეს. წელიწადზე მეტი იქ გაატარა. მომაგრდა, გაიქცა, შეიპყრეს, დააბრუნეს. შეპყრობისას მიღებული ჭრილობების მოშუშებას კიდევ რამდენიმე თვე მოუნდა. ამ ხნის მანძილზე გესტაპომ ბარე სამჯერ მოაკითხა - დასახვრეტად თუ ბანაკში წასაყვანად, კაცმა არ იცის. ჰოსპიტლის უფროსმა არ გაატანა, - მოვარჩენთ და მერე დახვრიტეთო. ამ საშიშროებაში იყო, რომ უკვე თითქმის გამოჯანსაღებულს, ვლასოველები ესტუმრნენ, თავის ჯარში მიიპატიჟეს. მიშა ფილიპოვმა ეს გაგრძელება არჩია, - რაღა გესტაპოელებს დავეხვრეტინო, ვლასოვის სალაფავზე მოვღონიერდები და პარტიზანებთან გავიქცევიო. ფილიპოვის გამოჯანმრთელება იმაშიც გამოიხატა, რომ მეხსიერება დაუბრუნდა, ვლასოვთან თავისი გვარით იყო და თავისივე გვარით გაიქცა პარტიზანებთან. უკრაინის განთავისუფლების შემდეგ არმიის ერთ-ერთ ნაწილში ჩაირიცხა, დასავლეთშიც იომა, აღმოსავლეთშიც, შინ ორმოცდათერთმეტი წლის დასაწყისშიღა დაბრუნდა. ისევ ნადირობას მიჰყო ხელი, დაცოლშვილდა და ცხოვრობდა მამაპაპეულ სკიტში მშვიდად და აუმღვრევლად ოცდარვა წლის მანძილზე, სანამ რაიონულ ცენტრში დაიბარებდნენ. გაემგზავრა და აღარც დაბრუნებულა, თხუთმეტი წლის პატიმრობა იშოვნა, მკაცრი რეჟიმის ბანაკებში სასჯელის მოხდით.

იაფად გადარჩა! საქმე ის არის, რომ უკრაინის რომელიღაც საოლქო ქალაქის ციხეში, სწორედ იმ წლინახევრის მანძილზე, როცა მიშა ფილიპოვი დაკუწულ-დამტვრეულ სხეულს გერმანელთა ჰოსპიტალში იშუშებდა, დიდის გულმოდგინებით ჯალათობდა კაცი, რომელიც მიხეილ ფილიპოვად იყო ცნობილი. გა-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ნგების ნებით, ჯალათის კვალის სასწაულებრივი გაქრობა და ჰოსპიტლიდან მიშა ფილიპოვის ვლასოველებთან გადაბარგების თარიღები ერთმანეთს დაემთხვა. სამძებრო ორგანოები ჯალათს იმთავითვე დიდის რუდუნებით დაეძებდნენ და, რა თქმა უნდა, სახელმწიფოში რამდენი ფილიპოვიც მოიძებნებოდა, ყველას ასავალ-დასავალი შეისწავლეს. მიშა ფილიპოვს ჯერ კიდევ აღმოსავლეთის ფრონტზე ყოფნისას ჩამოართვეს ჩვენება, თუ სად იმყოფებოდა ზემოხსენებული წლინახევრის მანძილზე. როცა ჯალათის მიგნებას საშველი აღარ დაადგა, მაშინ იმ გერმანული ჰოსპიტლის ამბავი გაიხსენეს. არც რუსეთში, არც გერმანიების არქივებში, ჰოსპიტლისა არაფერი აღმოჩნდა; გამოძიების ხელმისაწვდომზე ვერც იქაურ ექიმთაგანი თუ უფროსთაგანი გამოინახა ვინმე; ფილიპოვის მიერ დასახელებული ავადმყოფებისა და იმ პირთა პოვნა, ვინც იგი ჰოსპიტლიდან ვლასოვის არმიაში წაიყვანა, შეუძლებელი აღმოჩნდა. ეს გასაკვირი არც არის, რადგან მიშა ფილიპოვივით გვარშეცვლილი ტყვე იმ გერმანულ ჰოსპიტალში და ვლასოვის ლაშქარში ბლომად იქნებოდა. ახლა ისეთები, ვინც შინ თუ უცხოეთში თავისი დღით დაიხოცნენ? ან ომისავე წლებში რამდენი გადაიღერღა და რამდენი არა, ვინ იცის? ერთი სიტყვით, მიშა ფილიპოვმა ჰოსპიტალში ყოფნა ვერაფრით დაამტკიცა. სამაგიეროდ, გამოჩნდა ერთხელ ვადამოხდილი, გაუხსნელი დანაშაულისთვის ხელმეორედ დაპატიმრებული კაცი, ვინც ხელი დაადო, - ეს ის კაცია, ვისი ფოტოსურათიც მაჩვენეთო! - ერთადერთი ცოცხალი კაცი, რომელიც ჯალათის მოღვაწეობის შემსწრეც იყო და, ფილიპოვის ეჭვით, თანამდგომელიც. ერთი, რომ ფოტოსურათი წინასწარ უჩვენებიათ; მეორე - სამშობლოს ღალატისთვის ერთხელ სასჯელმოხდილი და მეორედ სხვა იმავდროინდელი ბოროტმოქმედებისთვის პასუხისგებაში მიცემული პატიმარი, ოღონდ დახვრეტა აიცდინოს, ყველაფერს იტყვის; მესამე, ყველა დროის სამძებრო პროცესისა და დანაშაულის გამოძიებისთვის დამახასიათებელი, „გაუხსნელი საქმის დახურვის" საჭიროებაა. აგერ, ოცდაათი წლის გაუხსნელი დანაშაული და, აგერ, მშვენიერი მიშა ფილიპოვი, რომელიც თავის სიმართლეს ვერ ამტკიცებს...

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თხუთმეტი წელიწადი!

ასეთი გამონაკლისების არსებობას ყველა ქვეყნის ყოველი პატიოსანი იურისტი დაადასტურებს.

მიშა ფილიპოვი ბუნებით ჭკვიანი კაცი გახლდათ, გამოძიების პროცესში ხედავდა, რომ ვიღაც გარეწრის მაგივრად ლაფდასხმულს დახვრეტით უნდა დაემთავრებინა სიცოცხლე, მაგრამ გამოსავალიც არ ჩანდა და ვითარებას, თითქმის შეურიგდა კიდეც. საფიქრებელია, ამაში მისი ორი თითით თაყვანსაცემი ღმერთიც მონაწილეობდა. როცა განაჩენი წაუკითხეს, - თხუთმეტი წელიწადი მოგესაჯაო, — ჯერ ვერაფერი გაიგო, დაიბნა და როცა გონს მოეგო, მისი პირველი რეაქცია უკიდურესი განცვიფრება იყო, რომ დახვრეტას გადარჩა.

დრომ გაიარა, განცვიფრებამაც გაიარა. მიშა ფილიპოვმა ყველა იმ პირთა ამომწურავი სია შეადგინა, ვისაც მისი სიმართლე შეეძლო, დაედასტურებინა, და მათ ძებნას მიჰყო ხელი. ხუთი წლის ყოველდღიური, დაჟინებული შრომის შედეგად დარჩა გაგზავნილი წერილების, განცხადებებისა თუ საჩივრების ასლებითა და მიღებული პასუხებით სავსე ორი სქელი საქაღალდე და გაცრუებული იმედები. მისმა იმ აფორიზმმა, რომ „თუ სხვებმა ვერ შესძლეს შენი სიმართლის დადგენა, მაშინ თავად უნდა დაადგინო იგი“, სრული კრახი განიცადა და მის მაგივრად იშვა მეორე: „როცა სხვებს არ სურთ, დაგიბრუნონ წართმეული, მაშინ თავად უნდა დაიბრუნო“. საერთოდ, მიშა ფილიპოვი აფორისტულად აზროვნებდა, ეს საქმე ეხერხებოდა და ერთხელ, როცა გორა მბორგალი თავის საკუჭნაოსთან ლოდზე იჯდა და დასალიერზე მიტმასნილ, უმწეოდ მბჟუტავ მზეს გასცქეროდა, გვერდით მიუჯდა, დარწმუნდა, არავინ გვისმენსო, და კიდევ ერთი აფორიზმი სთქვა: „ნამდვილ საქმეს პატარა რისკი უსათუოდ უნდა ახლდეს!“

- სწორია, - მიუგო გორამ. - აგერ, ბელოვი[8]. ხედავ? ფეხისადგილში შედის. რისკია!

- როგორ?.. - ცოტა შეცბა მიშა ფილიპოვი.

- ფიცარი რომ ჩაუტყდეს?

ფილიპოვმა გაიღიმა და სთქვა:

- რაღაც უნდა გთხოვო.

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

- ეგ თხოვნა რისკს შეიცავს?

- იმ რისკს, რომ შეიძლება, უარი მითხრა.

- სთქვი.

ფილიპოვმა პატარა ხანს იყოყმანა.

- შენი სორო უნდა გამოვიყენო, - გორას საკუჭნაოს გულისხმობდა.

- როგორ გამოიყენებ?

- იატაკი უნდა ავყაროთ, სამიოდე ფიცარი. ღამით კაცი მოვა, იატაკქვეშეთში რაღაცას დამიტოვებს.

- სოროში როგორ შემოვა?.. კლიტე ადევს.

- ზურგის ფიცრებიც უნდა ავყაროთ და ისევ იქვე ყასიდად დავამაგროთ. მოხსნის, შევა. დასტოვებს, გამოვა, ფიცრებს ისევ დაამაგრებს. ვეტყვი, რომელი ფიცრები იქნება აყრილი - თვით სოროშიც და ზურგიდანაც.

- ეტყვი?..

- ჩემი ძმა ჩამოვიდა. პაემანი მომცეს. საღამოთი ვეტყვი.

ამ საუბრის მანძილზე გორა კვლავინდებურად მზეს გასცქეროდა. მერე ფილიპოვს თვალი თვალში გაუყარა და ჰკითხა:

- რა იცი, ჩემთან ეგეთი ლაპარაკი შეიძლება?

- ვიცი, შეიძლება.

- გამოდის, რომ მენდობი.

- გენდობი.

- მაშინ ისიც უნდა მითხრა, რა უნდა დაგიტოვოს.

- ირმის ბეწვის ტანსაცმელი, უნტები... კიდევ რაღაც-რაღაცები.

- რუკა? - კარგა ხნის მერეღა იკითხა გორამ.

- რუკა, სექსტანტი, კომპასი. შარშან რომ იყო, სია მივეცი... მოიცა, შენ ეგენი რატომ გაინტერესებს?!.

- წამო, ავყაროთ, - უთხრა გორამ.

საკუჭნაოში შეეიდნენ.

- ამდენი დახელოვნებული ჯაშუში, რაც ამ ბანაკშია, უცხოეთის არც ერთ სახელმწიფოს არა ჰყავს. ეგრე, პირდაპირ, საქმეში გამოუცდელი კაცის ნდობა შეიძლება? - უსაყვედურა გორამ.

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

- შეიძლება. ხაბი ულაც[9] იკმარებდა და... - ფილიპოვმა უბეში ხელი აფათურა, ქაღალდი ამოიღო, დახედა და გორას გაუწოდა.

ქართულად ეწერა:

„გორავ! ეს მიშა ფილიპოვი აქაური კაცია, კაი კაცია. გამოადგებით ერთმანეთს. რეზო“.

- კვიცაძე![10] - გაიღიმა გორამ. - სად ნახე?

- იანვარში, დამატებითი გამოძიებიდან რომ მოვყავდი აქეთ, ენისეის განმანაწილებელში ნავიგაციამდე ერთად ვიყავით, დავძმაკაცდით. იცოდა, რომ აქა ხარ.

- ეს ქაღალდი სულ ჯიბეში გედო?

- ბალიშში მქონდა. დღეს ამოვიღე.

- აქამდე რატომ არ მომეცი?

- გიყურებდი.

- რეზო როდის აიყვანეს, გარეთ რამდენი ხანი იყო?

- ექვსი თუ შვიდი თვის წინ. თვე-ნახევარი იარა.

გორა დაფიქრდა, გაიღიმა:

- ეგ სულ ეგრეა. კარგად გარბის, ცუდად იმალება.

საქმეს მორჩნენ. მიშა ფილიპოვმა სთქვა:

- იქნება აჯიბოს, აქაურობას თავი მიანებო?

გორამ ეჭვით შეხედა.

- ჩემი წასვლის შემდეგ შეიძლება, გაითქვას, რომ შენ შემიკედლე. უსიამოვნებები შეგხვდება. იქნება სჯობს, სხვა მოვიდეს?

- ისეთი რომ მოვიდეს, რომ ქექვას მიჰყოს ხელი, სამალავს მიაგნოს და გაგქურდოს... ან გაგამხილოს?.. ეგეთი შემთხვევა ყარაგანდაში მქონდა, გამქურდეს... თუ წესიერი კაცი მოვიდა, ცუდუბრალოდ რატომ უნდა დაიჩაგროს?.. რა იცი, ვინ მოვა.

- მართალი ხარ.

ეს იმ გაზაფხულზე მოხდა, ბრიგადირებმა მეკუჭნავედ გორა რომ მოითხოვეს. ერთი მათგანი მიშა ფილიპოვი იყო.

შემოდგომა დადგა, სამტეხლო დაიხურა. ცოტა ხნის შემდეგ მიშა ფილიპოვს უმაღლესმა სასამართლომ რეაბილიტაციით გათავისუფლება აცნობა. ჩანს, იმ დამატებითმა გამოძიებამ დადებითი შედეგი მოიტანა, „სამართალმა პური ჭამა“. სანამ ბან-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

აკის ადმინისტრაციამ საჭირო საბუთები მიიღო, თვეზე მეტი გავიდა, უდანაშაულო დამნაშავის დამთავრებული სამზადისი მემკვიდრეობით გორას ერგო, იმ უზარმაზარი მანძილის გავლისთვის საჭირო ყველანაირ ცნობებთან, განმარტებებთანა და რჩევა-დარიგებებთან ერთად.

გამართლებულ სტაროვერს, როგორც იქნა, დაუძახეს.

ეს სექტემბრის დასაწყისში იყო.

გორა ჭაში გამოხოხდა, ზეზე ადგა, ღრმა ამოსუნთქვას დაფრუტუნება ამოაყოლა, ჭის სარქველს ფარნის ჭავლი მიაბჯინა. კარში შავი პურგა მძვინვარებდა. მიაყურა, კვნესისმაგვარი რამ გაიგონა.

როგორი ნაცნობი ხმაა! რაღაც ისეთს წააგავს, როდისღაც რომ მსმენია და მეხსიერებაში ჩამრჩა... მშობიარე ქალის კვნესაა?!. კი, მაშინ... ის ქალი ზუსტად ასე კვნესოდა - გრძელ ნაწყვეტებად, განწირულად.

ერთხანს კიდევ უსმინა და ჩაცმა-დახურვას მიჰყო ხელი: თბილი საცვალი, მოჰერის სვიტრი, ირმის ბეწვის შარვალი, ჩუქჩური უნტები, ირმისავე კაპიუშონიანი ზედატანი დუნდულს ქვევით მკვიდრად შემოსაკრავი ზორტით. მერე ყურებიანი ბეწვის ქუდი, ამის ზემოთ რეზინის წებოში ამოვლებული ტილოს ქარგაუმტარი ბალახონი და სულ გარედან - თეთრი, წვივებამდე ჩაშვებული, უსაშველოდ ფართო ნიღაბხალათი, რომელსაც საგანგებო კონსტრუქციის წყალობით, კარვის მაგივრობაც უნდა გაეწია.

ქამარი შემოირტყა, წელში ხელნიჩაბი გაიჩარა. ძირს ზურგჩანთა იდო. იმაზე გამობმული ბაწარი ქამარზე შეიბა და გაინაბა.

მშობიარე ქალი კვლავინდებურად კვნესოდა. გორამ მარჯვენა კოლექტორიდან ხარაჩო გამოიღო, ზედ შედგა, ჭის სარქველს ბეჭებით მიაწვა. სარქველი დაიძრა, მაგრამ არცთუ ხალისიანად - ზემოდან ბლომად თოვლი ედო. ღრიჭო გამოჩნდა და პურგამ კვნესას თავი მიანება, კივილი მორთო. მოგუდულად ისმოდა, როგორც მეზობელი ბინიდან... კიდევ ერთი ძალისხმევა და, სარქველი განზე გადაიწია.

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჭა ახდილი იყო. პურგა კიოდა. გორამ თავი აჰყო, მიიხედ-მოიხედა. წყვდიადი იდგა, მკივანი გრიგალი მილიარდობით გაყინულ ფიფქს დააბორიალებდა, მტკაველზე არაფერი ჩანდა.

ასე იმიტომ ბნელა, რომ ღამეა? იმიტომ, რომ შავი პურგაა? თუ იმიტომაც და იმიტომაც?.. თეთრი წყვდიადი! ასე ჯერ კიდევ კოლიმაზე დავარქვი, ბარაკიდან სასადილომდე გაბმულ თოკს რომ მივყვებოდი ხოლმე. თეთრი წყვდიადი!.. თითქოს, ასვლაც შეიძლება, გორავ!

თოვლზე ავიდა, ჭაში ჩაკიდებულ ბაწარს დახედა, ახალგაზრდობისდროინდელ მოგონებას შეჰღიმა... ყარაგანდაში, დუბოვკაზე, ორმოცდასამმეტრიანი ხვრელი გაიტანეს. კენჭით პირველი, ანუ ის, ვისაც ბოლო ორი მტკაველი უნდა გაეტანა და გასულიყო, კარპუხინი[11] გახლდათ. ამ კაცს „ხვრელების გიჟი" ერქვა, ვინაიდან რამდენიმე წარმატებული გათხრის მონაწილე იყო და ერთხელაც ვერ გაიქცა: „ბოლო ნაბიჯის უნარი" არ გააჩნდა, ღიაზე გასვლისა - იქ, შესაძლოა, გესროლონ!

ჩამწკრივდნენ - კარპუხინი, კუცენკო,[12] ორთოიძე,[13] გორა, ბოგდანი.[14] კარპუხინმა მიწა გაანგრია, სიომ შემოაწია, გასვლაა საჭირო. კარპუხინს მკვდრის გაშეშებამ დარია ხელი - ვერც რამ გაიგონა, არც კუცენკოს მიერ დუნდულში ნაჩხვლეტი დანის წვერი უგრძვნია. მორივით იდო, შოკი!.. ბოგდანმა სთქვა:

- გორა, კიევში კოლექციონერს ვიცნობ, პრეზერვატივებს აგროვებს, ხუთასზე მეტი აქვს! თავად ცვედანია, იმპოტენტი...

კი, იმპოტენციაც სხვადასხვანაირია. ბოლო, გადამწყვეტი ნაბიჯი! ეგ ყველაფერში ძნელია, ყოველთვის ჭირს... პურგა ისევ კივის. გამოდარებას მშობიარობს?.. დედას ტკივილი აკივლებს. ბავშვს - ბოლო, „გადამწყვეტი ნაბიჯი" უჭირს, ყოყმანობს, დაიბადოს თუ არა?.. არ არის საყოყმანო? იქ არ ურჩევნია? სითბოში, სიმაძღრეში, სიმშვიდეში. დედებს ყველაზე უფრო, ალბათ, სწორედ ბავშვის ყოყმანის დროს სტკივათ... პურგა შენით მშობიარობს და ამიტომ კივის. ყოყმანობ? გვიანი როდია, ჩაბრუნდი... რაღას უდგეხარ, გორავ, საკუთარ თავს უმტკიცებ, რომ

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მშვიდი ხარ და არაფრის შიში იცი?.. ჩავბრუნდე? უკვე დავიბადე, ყოყმანი არასოდეს მქონია, ფიქრი მქონდა და ისიც ჭაში დარჩა. პურგამ უნდა გამიყვანოს სამშვიდობოს, ერთადერთი შესაძლებლობაა. დავიბადე! ხა, ხაა, ამჯერად ხალვათობა იყო, ადვილი მშობიარობა! პირველი, როცა ქვეყნიერებას მოვევლინე, თოთხმეტ-ნახევარი გირვანქა ვყოფილვარ, ექვსი კილოგრამი ორას გრამნაკლებ. მაშინ გირვანქობა იყო. როგორი გასაჩენი ვიყავი! მეორედ კარის ღრიჭოში გაძრომა მომიხდა. ვიწრო იყო, ოხერი, იმდენად ვიწრო, რომ ყველაფერი გავიხადე, მეოთხე ცდაზეღა გავეტიე. ეს საქართველოში იყო, პერანგის ამარა მომიხდა სიარული. კარგი, რომ ზაფხული იდგა. მესამედ - ყარაგანდაში, გლეჯით წასვლისას, მანქანიანად, თხრილი და ბრუსტვერი... მეოთხე ნამდვილ დაბადებას ჰგავდა, ხვრელი ვიწრო და გრძელი იყო, ძლივს გავაღწიე. ეს მეხუთეა, კოლექტორის ჭამ მშვა და პურგამ. მეოთხე და მეხუთე მშობიარობა, ქალებისგანაც გამიგონია, სულ ადვილი ყოფილა... პირველად, დედაჩემის სიტყვით, პერანგით დავიბადე. მეორედაც - ნაცრისფერი პერანგი მეცვა. მესამედ და მეოთხედ - ყარაგანდაში, ორივეჯერ — ხამი ტილოს პერანგი, კინაღამ დავიხრჩე. ეს მეხუთე დაბადებაა, თეთრი პერანგი მაქვს... თავით ფეხამდე ბეწვეულში ვარ გახვეული, ამდენი არც ერთ თბილისელ ლამაზმანს არ ექნება და, სანაძლეოს დავდებ, დაბადებისას ზურგჩანთა ძეხორციელს არავის გამოჰყოლია! ამოვიღოთ და გავუდგეთ გზას ქვის სამტეხლოსკენ... რა ხანია, აქ დგეხარ და რაღაც სისულელეებზე ფიქრობ. ხომ დაუმტკიცე საკუთარ თავს, რომ უშიშარი ხარ და „ფეხებზე გკიდია ორი და ათი შაური“? კმარა, „წადი, შვილო, შკოლაში“, თორემ მოვა ბუა და შეგჭამს!.. მართალი ხარ. პურგაში გუშაგებს ხშირად ამოწმებენ, ემანდ, კი არ ჩამოიარონ და! გაუმარჯოს ქვის სამტეხლოს, როგორც იმედისა და სასოების სახეს, გინა - ხატს. ვერაფრით დავადგინე, რომელია უფრო მართებული, სახე თუ ხატი? იერსახესაც ხმარობენ... კაცო, რა დავა-კამათი აგიტყდა, რომელიც გნებავდეს, ის იყოს სწორი და მართებული. საქმეს მიხედე!..

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

გორამ ბაწარი მოზიდა, ზურგჩანთა ამოიტანა. ჭის სარქველს ეჯაჯგურა, მძიმე იყო. როგორც იქნა, ჩასვა ბუდეში. ნიჩბით თოვლი მიაყარა, მიასწორ-მოასწორა, ნიღაბი რიგიანად მიირგო და დაიძრა.

აღარაფერი უნდა, დანარჩენი ქარბუქმა იმუშაოს. ხუთი წუთის შემდეგ ქვეყნიერებაზე ყველაზე კოხტა და ჭკუამახვილი თოვლის ბაბუაც კი ვეღარ იპოვნის ადგილს, საიდანაც გორა მბორგალი ამოძვრა... სამხრე ღვედები ზომაზე განიერი მომსვლია. დავავიწროებ. ყველა-ყველა და, ამ ყიამეთსა და წარღვნაში ამოდენა ტვირთით სიარული როგორია!.. მარჯვნივ - გზამდე და მერე გზით - სამი კილომეტრი... *Прощай, преступная братия, на хлеб беспечный падкий род. И вы, погоны золотые, и ты, покорный жребью сброд.* ეს ანატოლი ივანიჩ შულცის[15] შედევრია, შუა აზიის გაქცევაში შეთხზული... თეთრი წყვდიადი! რაკი სულ ახლახან იშვით, ბატონო გორა, თვალთახედვის საკითხი, მოგეხსენებათ, ერთხანს გადაუჭრელი დარჩება. ამიტომ, ჯერ ორასი ნაბიჯი - ზუსტად დასავლეთისკენ. ორმოცდაათი უკვე გავლილია. გეზი შევამოწმოთ... კომპასის ისარი ზომაზე მეტად ნერვიულობს, მაგრამ ეს არ არის მაგნიტური ქარიშხალი. სწორად მივდივართ, ვითვალოთ ნაბიჯი.

მიდიოდა გორა, თოვლის ფიფქების კორიანტელს მიარღვევდა, ფეხთქვეშ არ იყურებოდა. ეცქირა კიდეც, წელს ქვევით მაინც ვერაფერს დაინახავდა. თათმანზე დამაგრებულ კომპასს წარამარა დასცქეროდა. ასეთი სიზუსტე იქნება საჭირო არც იყო. სამტეხლოსკენ მიმავალი გზა გორას გეზის პერპენდიკულარულად მიემართებოდა, ირიბადაც ევლო, მისაგნებს მაინც ვერ ასცდებოდა, თუ მიხვდებოდა, რომ გზაზე შესდგა ფეხი. მიხვედრა კი ავტომანქანების მიერ ზაფხულში დატოვებული ნაბორბლარებით შეიძლებოდა, სხვა ორიენტირი არ იყო. ბოლოცი ნაბიჯი ჯოხდაკარგულ უსინათლოსავით იარა - მიწის რელიეფს ფეხისგულებით სინჯავდა. ორასი ნაბიჯი დაითვალა, შეჩერდა, ფარანი ჩართო, კომპასს დახედა.

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

სწორად მივლია, ნაბორბლარები აქ სადღაც უნდა იყოს. ეს მანძილი რამდენიმეჯერ მაქვს თვალით გაზომილი და იმ ვარაუდით, რომ პურგაში ნაბიჯი უფრო მოკლე მექნებოდა. მაშასადამე, ცდომილება თუ კიდეც არის, მნიშვნელოვანი - გამორიცხულია. თოვლიც დაბალია, უნდა ვიგრძნო. აბა, გორავ, ათიოდე ნაბიჯით წინ!.. არის! როგორ გადაუხვეტია, მიწა, თითქმის შიშველია... ქარი ჩრდილოეთისაა, ზურგში მომაწვება. წავედით! ამ სამ კილომეტრს ერთ საათში ნამდვილად გავივლი... კიდევ ერთხელ ვიანგარიშოთ?.. მოდი!.. დღეს, ანუ ოცდასამ ოქტომბერს, დავიბადე, ოც საათზე. ოცდაერთი საათისთვის გავლილი მექნება სამი კილომეტრი და ბარხანიანი ციგა ამეკიდება. ტუნდრით, უგზოდ, ზურგის ქარის მიუხედავად, საათში ორ კილომეტრზე მეტი ვერ გამომივა. ხვალ, დილის რვა საათისთვის, ანუ წამოსვლიდან თორმეტი საათის შემდეგ, ბანაკს ოცდახუთი კილომეტრით ვიქნები დაშორებული. მივიღოთ კატასტროფული ვარიანტი, რომ პურგა ამაღამვე ჩაცხრება და დილის გადათვლისას, ესე იგი, როცა პატიმრებს დილის ცვლაში გაიყვანენ, კაცი დააკლდებათ. ხელახალ გადათვლა-გადმოთვლებს კიდევ ორი საათი დასჭირდება. ათი საათისთვის იმის დადგენას დაიწყებენ, თუ, სახელდობრ, ვინ აკლიათ.

გორა!..

ახლა იმის დადგენას შეუდგებიან, გავიქეცი თუ მიმასაკლავა ვინმემ და ნაბუქში ან სხვაგან სადმე დამფლა? დავუშვათ, დარწმუნდნენ, რომ გავიქეცი. როგორ, საიდან და საით? საერთოდ, დაიჯერებენ, რომ ოქტომბრის მეორე ნახევარში სამხრეთისკენ წავედი?.. ერთი სიტყვით, მდევარს დღის ორ საათზე ადრე ვერ გამომიყენებენ. ამ დროისთვის მე თვრამეტი საათის წამოსული ვიქნები და გავლილი მექნება ოცდაჩვიდმეტი კილომეტრი... უნდა დაისვენო!.. დიახ, ექვსსაათიანი ძილი. ვივარაუდოთ, რომ მდევარი ჩემზე მარდად ივლის - საათში სამ კილომეტრს, და ჩემი ძილის დროს ექვს საათში თვრამეტ კილომეტრს გამოივლის. როცა კვლავ დავიძრები, ჩემსა და მდევარს შორის მანძილი ცხრამეტი კილომეტრი იქნება. ამ ცხრამეტი კილომეტრის გამოვლას მდევარი ექვს საათს მოანდომებს, ოცდაჩვიდმეტი ექნება გამოვლილი, მაგრამ მე კიდევ თორმეტს გავივ-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ლი. მაშასადამე, მდევარი უკვე თორმეტი საათის განმავლობაში, უაღრესად მძიმე პირობებში, შეუსვენებლივ მოძრაობს. გესმის?! მე დასვენებულ-გამოძინებული თორმეტი საათით ვასწრებ და გამოვლილი მაქვს ორმოცდაცხრა კილომეტრი. ამ თორმეტი კილომეტრის გამოვლას იგი ოთხ საათს მოანდომებს, მე კიდევ რვას გავივლი და ორმოცდამეთვრამეტე კილომეტრზე დაშორება ჩვენს შორის იქნება რვა კილომეტრი... კაცო, რა გლახა ჭრიაშვილივით იცი ხოლმე - გააბამ და ველარაფერი გაჩერებს. რამდენჯერ უნდა იანგარიშო? კარგა ხნის დადგენილია, მდევარი სამოცდამეექვსე კილომეტრზე უნდა დაგეწიოს, თვრამეტი საათის შეუსეენებლივ სიარულის შემთხვევაში. ტანკებით მოგდევენ? კარგი, ვთქვათ, დაგეწივნენ. რა მოხდება?.. ახლა, რა ვიცი, რას სჩადიან. წარსულში, გაქცეულს თუ ისეთ ადგილებში მოიხელთებდნენ, სადაც მიმოსვლის საშუალებები არსებობდა, მოჰყავდათ, ბანაკის ჭიშკართან ხვრეტდნენ. გვამი რამდენიმე დღის მანძილზე იქ ეგდო. სარტყელს გააჩნია, სიცხეში მალე ფუჭდება. ტაიგაში, შორს დაჭერილს, გააშიშვლებდნენ, ხეზე მკვიდრად მიაბამდნენ. დანარჩენს მუმლი და ნადირი სჩადიოდა. ტუნდრაში - ზამთარში და შორს, სათოფეზე თუ დაეწეოდნენ, ესროდნენ, კლავდნენ, იქვე სტოვებდნენ. სამივე შემთხვევაში გაქცევის მცდელობისას მოკვლის ოქმი შესდგებოდა. ეხლა სხვა დროა, ასეთ ფინალს ერიდებიან, მაგრამ არის შემთხვევები, იარაღს შეუგდებენ ხოლმე, - წინააღმდეგობა გაგვიწია, იძულებული შევიქენით, მოგვეკლაო!..

არ ვიცი, რას იზამენ... მთავარი ის არის, მე რას ვიზამ!

ამაზე არ მიფიქრია და იმიტომ, რომ არაფერი ამდაგვარი არ მოხდება. აი, მიზეზები: ოქტომბერში, იმიერპოლარეთში, ღამით, პურგაში სიარული საერთოდ შეუძლებელია. არსებობს მდევრის აზროვნების სტერეოტიპი - გაქცეული ივლის, დაიღლება, მიეძინება, გაიყინება, მოკვდება და ეს სწორედ ასეა. მათი აზრით, ამ პირობებში გაქცეულის ერთადერთი ხსნაა, სადმე ახლომახლო მიყუჩდეს... დავუშვათ, გადარჩა და პურგის შემდეგ სიარული განაგრძო. საით წავა? ცხადია, მხოლოდ ენისეისკენ, რადგან სამხრეთით უახლოეს ხუთას კილომეტრზე ერთი დასახლებული პუნქტიც კი არ არსებობს. ენისეისკენ წასულს ადვი-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/ Scanned by CamScanner

ლად დაეწევიან და თუ ვერ დაეწივნენ, კორდონს მაინც ვერ გასცდება, ეს პრაქტიკით არის დადასტურებული. ეხლა, ვთქვათ, გაქცეული გიჟია, სულით ავადმყოფი, და, პურგა რომ ჩაცხრება, სამხრეთისკენ გასწევს. შორს წავა? მაქსიმუმ ათი-თხუთმეტი კილომეტრით გაასწრებს მდევარს. დაეწევიან. ისიც დავუშვათ, რომ პურგას არ შეეპუა და იარა. ზამთარში და პურგაში კი არა, ზაფხულში ვინც იარა - წავიდა? მაგრამ წესი წესია და მდევარი მაინც იქნება. იქნება და, ეს შესაძლებლობაც ნავარაუდევი მაქვს. დავძინოთ მხოლოდ, გამქცევი ვარ, დაყოვნება სიცოცხლის ფასად მიღირს; მდევრის ენთუზიაზმი თუ სამსახურებრივი გზნება ოცი საათის მანძილზე პურგაში სიარულს ვერ გასწვდება და ჩემი დაჭერა-დაუჭერლობაც მისთვის არცთუ დიდი ბედენაა. მივაქციოთ ყურადღება იმასაც, რაც თავიდანვე გამოვაპირობეთ - პურგა ჩადგა, აღარ არის! ეს მე საშუალებას შემიქმნის, ორი კი არა, დაახლოებით, სამი კილომეტრის სისწრაფით ვიარო. მე ნავარჯიშევი ვარ, მდევარი ჩემზე სუსტია, მიუხედავად ასაკში დიდი განსხვავებისა. ეგენი ერთთავად ყარაულში დგანან, დაკუტებულები არიან. ეს გარემოება სამ საათს მაინც მომაგებინებს, ცხელ წყაროებს იქით გავასწრებ. აქედან გაქცევის ორად ორი შემთხვევა იყო სამხრეთისკენ წასვლით და ხომ ცნობილია, რომ ორმოც კილომეტრზე მეტი არც ერთ მდევარს არ უვლია. სამოცდათხუთმეტი კილომეტრი და ცხელ წყაროებამდე დევნა პატაკში ეწერა, იძულებითი სიცრუე იყო. ჯანი უკვე ოცდაათი კილომეტრის შემდეგ კაცებსაც გამოეცალათ და ძაღლებსაც. დაეყარნენ, დაისვენეს და წაჩანჩალდნენ, საიდანაც წამოვიდნენ. გამოდის, ყველაფერი ჩემზე ჰკიდია, ჩემს გამძლეობასა და ნებისყოფაზე. გავუძლებ - წავუვალ; წავიქცევი - მშვიდობით, სიყვარულო... ახლა, შემოაბრუნე და საუკეთესო ვარიანტი სთქვი... ინტუიცია მკარნახობს, პურგა ორ დღეს გასტანს და, სულ ცოტა, ორმოცი საათის უპირატესობა მექნება, გარდა ექვსსაათიანი ძილისა და დასვენებისა. ეგენი პურგაში ჯარისკაცებს ვერ გამოაგდებენ, წესდებით აქვთ აკრძალული. მე კი სწორედ პურგით ვისარგებლებ, მათი გამოსვლის დროისთვის ცხელ წყაროებთან, მიშა ფილიპოვის რუკაზე აღნიშნულ ქოხში, ჩემი ახალგაზრდობის სატრფიალო მოგონებებით ვიქნები

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

გართული... არა, დროის ნაწილს იმ ფიქრისთვისაც გამოვიყენებ, შორეული აღმოსავლეთის რკინიგზის მაგისტრალზე რომ უნდა ჩამოვჯდე. ზედ რელსზე!..

ეს იდე ფიქსად უნდა ვაქციო - რელსზე ჩამოჯდომა! ქართველი ერიც ხომ ასეა — ბნელეთიდან მოდის რელსზე დაჯდომას ლამობს. ეს ნიშნავს იმას, რომ თავისუფალი ხარ და შემდგომ სავალს თავად აირჩევ. სავსებით ნორმალურები, უკომპლექსო ადამიანები, ცივი გონების ამარა პიროვნულად თუ კაცობრიულად დიდმნიშვნელოვანს ბევრს ვერაფერს აღწევენ. ნეტარი უნდა იყო, ახირებული. მიზანი იდე ფიქსად უნდა გქონდეს ქცეული. ნებისყოფა ბოლომდე მხოლოდ ამ პირობით იმუშავებს, მხოლოდ მაშინ გიკარნახებს ინტუიცია ჩანაფიქრის რეალობად ქცევის ხერხს, საშუალებას, წუთსა და წამს. ეს, განსაკუთრებით, პოლიტიკოსებსა და რევოლუციათა ბელადებს ეხებათ. ყოველი მათგანი რამდენადმე მაინც ნეტარი იყო, უამისოდ მიზანს ვერ მიაღწევდნენ... გენიოსები?.. კი, გენიოსობის უპირველესი პირობაც ეგ არის, მაგრამ არც მხოლოდღა ნეტარობაა საკმარისი, ნიჭია საჭირო, სპეციფიკური ნიჭი. ეს მერე იყოს, დრო თავსაყრელი იქნება.

ჰო, ყოველივე ამაზე ადრე ის უნდა მეთქვა, რომ ამ მიმართულებით ძებნას ისინი რამდენიმე მიზეზით არ დამიწყებენ. პირველი ის, რომ გაქცეულის აქეთ წამოსვლა და სამშვიდობოზე გასვლა შლეგი ფანტაზიისთვისაც კი წარმოუდგენელია, რადგან ტუნდრითა და მერე ციმბირის გაუვალი ტაიგით ორ ათასამდე კილომეტრს ორი-სამი წელიწადი უნდა. აქედან მაგისტრალზე გაღწევის პრეცედენტი არ არსებობს. არის ორი მკვდარი - „ჩურბანა“[16] და ინგუში სეისალამი.[17] მონადირეებს დაავალებენ, - გაზაფხულზე თუ სადმე მკვდარს წააწყდეთ, შეგვატყობინეთო... ტილოზე ქიმიური ფანქრით გადაყვანილი მიშა ფილიპოვის რუკა და სხვა საჭირო აღჭურვილობა რომ მაქვს, მაგათ ამისა რამე გაეგებათ?.. მეორე - იციან, მარბენალი ვარ, გავრბივარ იმისთვის, რომ ვიცოცხლო და ამიტომ აქეთ არ წამოვალ. მესამე - მათი საბუთებით, ხეიბარი, მეორე ჯგუფის ინვალიდი ვარ. რის იმედით წავიდოდი რისკზე?.. ერთი სიტყვით, ისინი ამ მიმართულებით ძებნას გაზაფხულზეღა დამიწყებენ, როცა ყველა-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ნაირი იმედი გადაუწყდებათ, მაშინ... მაგათ რა იციან, რომ იღ-ბლიანობის დაუსწრებელი მსოფლიო ჩემპიონატის ლაურეატი ვარ!.. ჩემს იღბლიანობაზე ხმამაღლა, ყველას გასაგონად ვამბ-ობ ხოლმე, რადგან იღბალი ღმერთის ბოძებულია და რით ვაც-ნობო მას ჩემი მადლიერება, თუ არ საჯარო აღიარებით?!. საწ-ინააღმდეგო არგუმენტებიც არის: პურგამ იქნება მთლად ვერ წაშალოს ჩემი კვალი და ამით გაიგონ, საითაც ავიღე გეზი. კი-დევ, ყინვამ თუ ათ-თორმეტ გრადუსამდე იკლო, ძაღლებს გამ-ოიყვანენ. კიდევ - რა? ალბათ, აღარაფერი, თუ რამ ჩემგან დამ-ოუკიდებელი არ ჩაერია საქმეში. რაღა არ ხდება მზისა ქვეშე!

გრიგალს ღონე ემატებოდა, გორა მირბოდა. რამდენიმეჯერ ნაბუქში მოხვდა, წაიქცა. მაშინ კომპასს პირქვე დამხობილი დასცქეროდა ხოლმე. წოლელა უფრო მოხერხებულიც კი აღმ-ოჩნდა. მერე ნაბორბლარი ოდნავ შემაღლებულზე გაწვა, გადა-ტვლეპილი იყო, სიარული გაადვილდა.

ასეთი შემწეობის იმედი დალოცვილი დედაბუნებისგან, მა-რთალი გითხრა, არა მქონია!.. ცუდად მაქვს დაცდილი, როცა რაიმე საქმეს თავიდანვე წარმატება ეფინება... ახალგაზრდობ-აში, პოკერით რომ ვიყავი გატაცებული, დასაწყისში თუ კარგი კომბინაციები მომდიოდა, თამაშის ბოლოსთვის უსათუოდ წაგ-ებული ვრჩებოდი... პოკერი, ალბათ, ერთადერთი რამ იყო შენს ცხოვრებაში, სადაც იღბლიანობა არასოდეს გაჭაჭანებულა... მართალია, მაგრამ ისიც მხედველობაშია მისაღები, რომ მე ამ საკვირველ თამაშს ძალიან ცოტა დრო დავუთმე და ყოველთვის პარტნიორებზე უარესად ვთამაშობდი. შესაძლოა, საიმისო ნი-ჭიც მაკლდა...

ნაბორბლარი ისევ დაცემულში ჩაწვა, ისევ აღიმართნენ ნა-მქრის ვეება ბორცვები. გორა ძლივსღა მიიწევდა. ერთი ისეთი ნაბუქი დახვდა, თოვლმა ყელამდე უწია. გამობრუნება და შემ-ოვლა გადაწყვიტა. ამაზე სიცილმა დარია ხელი. რომელიღაც ბანაკში იყო, ბარაკსა და ბარაკს შუა „დაყვანილი“ მობანდალე-ბდა - დისტროფიკი, ბანაკურად - „დოხოდიაგა“. გზის გარდიგა-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

რდმო სქელი მორი ეგდო. დაყვანილი მორს მიადგა, ათვალიერა. ალბათ, გაიფიქრა, ამის გადალაჯების ძალ-ღონე სად მაქვსო, გარს შემოუარა და გზა განაგრძო...

გორამ ფარანი ჩართო, კომპასს ჩააჩერდა, გეზს ზურგი უბრუნა, დაბრკოლება ზუსტად ჩრდილოეთისკენ გამოარღვია. მერე მუხლამდე თოვლში ათიოდე ნაბიჯი დასავლეთისკენ გაიარა და კვლავ სამხრეთისკენ განაგრძო სიარული. ორმოცდაათი ნაბიჯი დაითვალა, ათი ნაბიჯი - ისევ აღმოსავლეთისკენ, და სამხრეთისკენ გასწია.

ამ ჯოჯოხეთში, ნეტავი, კიდევ ვინმე თუა კარში?.. უფრო ძლიერი ქარბუქი გაყინულ, ქვიშად ქცეულ ფიფქს შიგ შეიტანს და ჩუმი, სწრაფი მოყინულობაც მზად არის. სახე? ამჟამად ყინვა ოცი გრადუსია და ქარის სისწრაფე, ალბათ, ოც მეტრამდეა. ესე იგი, ორმოცგრადუსიანი ყინვაა. ჯანდაბას, ოცდათხუთმეტი ვთქვათ - ღაწვებისა და ცხვირის მოყინვას ერთი-ორი წუთი უნდა. ადგილობრივი მცხოვრებლები ნიღაბს კატეგორიულად არ სცნობენ... მოსულებიც არ სცნობენ... არადა, ერთობ პრაქტიკული რამ არის, თუ ორი-სამი ცალი გაქვს, რომ იცვალო. ისე, კაცს რანაირი გასაჭირი უნდა ჰქონდეს, შავ პურგაში იაროს? დაელოდება, ჩაცხრება ავდარი და მერე გამოვა... ეს რაღა ოხრობაა?! მავთულხლართი! გაუმარჯოს სამტეხლოს!.. ნიღაბი რომ არა, ლოყას ამ ეშმაკისა და სატანის ნახელავს შევახევდი... კარგი, ეხლა - მარჯვნივ. ჭიშკრის ცალი კარი წაქცეული უნდა იყოს, ვიღაცამ მოიტანა ამბავი. წაქცეული ნუ იქნება, ვერ შევალ თუ როგორ?.. ვნახოთ და, ციგა სამალავში აღარ დამხვდეს!.. თეორიული შესაძლებლობა, რა თქმა უნდა, არის, მაგრამ გულს წინასწარ ნუ გაიხეთქ, ეგ სასიამოვნო სიურპრიზი თავისას მერეც გააკეთებს... ეეე, მართლა წაქცეულია. ერთი კი არა, ქარს ორივე ფრთა მოუწყვეტია.

გორამ ჭიშკრის დანამქრული ზღურბლი გადაიარა, გეზი აიღო და ფიცრულ ბარაკს მიადგა. ბარაკი წელამდე სიმაღლის ქვის საძირკველზე იდგა. სამხრეთიდან შემოუარა. კედელი დაუნამქრავი იყო, მაგრამ თოვლი მაინც ბლომად იდო. ნიჩბით გადა-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ხვეტა და ყასიდად მილურსმულ ფიცრებს მისდგა. ხუთი ფიცარი ჩამოხსნა, საგანგებო რიგითობით დააწყო, რომ ციგას როცა გამოიტანდა, ზუსტად იმავე ადგილზე მიერგო. ზურგჩანთა გარეთ დატოვა, ღრიჭოში შეძვრა. მიანათ-მოანათა, იქაურობა გულდასმით დაათვალიერა. ნიჩბებით, წერაქვებით, ძალაყინებით სავსე იყო ოთახი. კუთხე მოცალა, იატაკის ფიცრები აჰყარა, პირქვე დაწვა, ჩაანათა.

ციგა ადგილზე იდო!

თასმას დასწვდა, ზეზე წამოიმართა. ამოღება სცადა, გაუძნელდა. მაშინ შიგ ჩავიდა, ციგას დაეჭიდა და იატაკზე ამოიტანა. კიდევ დაანათა, რიგიანად დაათვალიერა. ციგაზე წყალგაუმტარი, ბრეზენტის ჯიბეებშემოკერებული ტომარა ღვედებით იყო დაბმული. გორა ჩაცუცქდა, წინასწარ დადებული ნიშნები შეამოწმა, - ხელი ხომ არავის უფათურებიაო. ტომრის ყელსა და ექვსივე ჯიბეს ნიშნები ხელუხლებელი ჰქონდა. ციგა გარეთ გაიტანა, შემობრუნდა. უჯრიდან ზაფხულშივე მოთადარიგებული ჟანგიანი ლურსმნები ამოიღო, იატაკის ფიცრები ძველსავე ადგილზე დააჭედა და განზე გადალაგებული იარაღები უწინდელი წესრიგით დააწყო. კიდევ შემოატარა ფარნის ჭავლი, მინგრეული სავარძელი იდგა, იმაში ჩაჯდა და გაყუჩდა.

პურგა კვლავინდებურად მძვინვარებდა. ფარღალალა კედლიდან ქარბუქი დროდადრო მგელივით შემოვარდებოდა ხოლმე, ყველა კუთხე-კუნჭულს ეძგერებოდა და გაქრებოდა, ვითომ ტუნდრაში გადაუდებელი საქმეები ჰქონდა მიტოვებული.

გორა ადგა, გარეთ გაძვრა, ფიცრების მირგებას შეუდგა.

საქმეს მორჩა, ჩაქუჩი მოისროლა. ჩანთა აიკიდა, ციგის მოსართავები მიირგო და დაიძრა. ციგაზე ოცი კილოგრამი ტვირთი იდო. ზურგჩანთა თორმეტს იწონიდა! გორამ ჭიშკარი გადაიარა, პირი ბანაკისკენ იბრუნა და დაიძრა.

ეჰეი, ბაყაყებო, მომყევით, ვისაც მუხლი და სული გერჩით!.. უჰ, უჰ, დაიყვირე, დაიყვირე, ერთბაშად, არავის რამე გააგონო... თავადაც ვერ გავიგონე, დასწყევლოს ღმერთმა. ვიცი, რომ ვიყვირე და ვერ კი გავიგონე... კეთილი და პატიოსანი. ეხლა, მდინარემდე - ორი კილომეტრი და მერე მდინარის კალაპოტით

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

- კიდევ სამოცდაათი ცხელ წყაროებამდე... ღმერთო, გვიშველე! მართალია, მაშინღა მაგონდები, როცა მიჭირს, მაგრამ ჩვენ რა ხანია შევთანხმდით, რომ ეს ასე იქნება ხოლმე. ატოცის წმიდა გიორგივ, ეს საქმეც აღმასრულებინე, გამიყვანე!.. ისე, ჩვენში დარჩეს, ღირსი არა ვარ? მთელი სიცოცხლე შენი გზებით არ ვიარე? რა თქმა უნდა, ჩემი შესაძლებლობების საზღვრებს ვგულისხმობ, შენი გზებით-მეთქი, როცა ვამბობ... ეს რა საზარელი ხმებია!.. აგერ, რანაირი ხარხარია, სიხარულის ხარხარი... ეხლა, თითქოს თოთო ბავშვი ტირის... გამოცდილმა, მცოდნე კაცმა მიშა ფილიპოვმა, ხომ გაგაფრთხილა, პურგის ხმებს არ აჰყვეთ!.. ახლახან დაბადებული ბალღის პირველ წამოტირებასავით ხმა არ იყო?.. ალბათ, თავად მე ვყვირი, ახლახან დაბადებული ვარ, მაშ, რა ვარ... იარე, გორავ, ღვთივბოძებული ჭაპანი ზიდე!

ფეხქვეშ ყინული იდო, მაგრამ მდინარისა იყო? თუ შესართავში გაზაფხული დაიგვიანებდა და მდინარე იქ ისევ ყინულს ჰქონდა შეკრული, მაშინ ზემოწელში ნადნობი წყალი გზას ვერ იკვლევდა, გუბდებოდა და იმ ადგილებში, სადაც ახლა გორა იდგა, მდინარე ნაპირებს გადადიოდა, საზღვრებს კარგავდა, ტუნდრას გარდიგარდმო კილომეტრობით მანძილზე ტბორავდა. ისეც ხდებოდა ხოლმე, ქვემოწელში სანამ სითბო და ზემოწყლების მოწოლა ყინულის გარღვევას შესძლებდა, შუა და ზემოწელში დატბორილ სივრცეებს ყინვა მოუსწრებდა ხოლმე და კალაპოტის წყლებთან ერთად სიპი ყინულით ჰკრავდა. ასეთ წლებში მდინარისა და მისი კალაპოტის პოვნა ძალიან ჭირდა, მაგრამ წლეულს გაზაფხული ადრეული იყო, წყალმა დროზე ჩაიარა, მდინარე ჯერ დაცხრა, საკმაო სიღრმის კალაპოტში ჩაწვა, მერელა გაიყინა და გორამ ეს იცოდა.

წინ და უკან იხეტიალა, სანამ დარწმუნდა, რომ შვეულ ნაპირებს შორის იმყოფებოდა. ბალახონი აიჩეჩა, შარვლის ტოტზე დაკერებული ბუდესავით ჯიბიდან ხელჯოხი ამოიღო. დურალუმინის მილებისა იყო. მილები ერთმანეთში შედიოდა, საჭიროებისას სიგრძეში იშლებოდა და ამ სახით კარვად დადგმული ნიღაბხალათის საყრდენად უნდა გამომდგარიყო. ჯოხს ცალ ბოლოში ფო-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ლადის წვეტი ჰქონდა, მეორეში ფოლადისავე სათითე ეკეთა. გორა ყინულზე დაწვა, ჯოხით დააკაკუნა, მიაყურა. პურგა კვლავინდებურად ღმუოდა, ცუდად ისმოდა. იქამდე აკაკუნა, სანამ ქარბუქის წამოგრიალებებს შორისებში კაკუნის მოძახილს მკაფიოდ გაიგონებდა. ყინული მდინარისა იყო, ბუყბუყა ხმას იძლეოდა, წყალსა და ყინულს შორის არსებული სივრცე ბუყბუყებდა. დატბორილ ნიადაგს მკვეთრი, ჯახანივით ხმა აქვს, რადგან იქ სიცარიელე არ არის, წყალი და ნიადაგი ერთ მთლიან მასად იკვრის.

გორამ საათი ნახა, ჩააბრუნა და გასწია.

როგორც იტყვიან, გრაფიკში ვზივარ. მდინარის სათავემდე, ანუ ცხელ წყაროებამდე უნდა ვიარო. კალაპოტი დაიკლაკნება, მაგრამ ქარი ირიბად, ნაპირისკენ მომაწვება და ორიენტირი მექნება. ხუთი-ექვსი საათის მერე მდინარემ მარჯვნივ უნდა გაუხვიოს. მაშინ ზუსტად სამხრეთ-დასავლეთისკენ წავალ... რა მშვენიერი პურგაა, ოცდაოთხ საათს მაინც რომ გაგრძელდეს!.. ოცდაოთხი საათი ამ წყვდიადსა და მეორედ მოსვლაში!.. ადამიანი თავისი სიცოცხლის მანძილზე სულ წყვიადს არ მიარღვევს?.. მთელი სიცოცხლის მანძილზე? არა, ეგ ბავშვობაშია, დაახლოებით, ცხრა-ათი-თერთმეტი წლის ასაკამდე. თვალდახუჭულივით მიდის. მშობლები, ოჯახის წევრები, სხვა ბავშვებთან ურთიერთობა, ერთი სიტყვით, გარემო კარნახობს, როგორ უნდა იაროს, და მიდის. ესენი არიან მისი კომპასი, საათი, ხელჯოხი და კიდევ საკუთარი ინსტინქტები და ჩვილი გონება, რაც თავიდან ყოველთვის და ყველაფრის წინააღმდეგია, მაგრამ ბოლოს და, უმრავლეს შემთხვევაში, მორჩილი და დამყოლი... ეს უნდა დავიხსომოთ, კარგი საფიქრალია... კი, მერე იყოს... ეგრე იცი, სამერეოდ სდებ ხოლმე. გახსოვს, ყარაგანდიდან რომ წავედით, გკითხე, თავისუფალი ხარ, რატომ არ გიხარია-მეთქი? მაგაზე მერე ვიფიქროთო, სთქვი. იმავე გაქცევის დღეებში იყო, გკითხე, რას გაურბიხარ, მიზეზი რა არის-მეთქი? შენ, - მერეო. რამდენი გადადებული საფიქრალი დაგროვდა! საცაა, სამოცის გახდები, საიქიოს ისე უნდა წახვიდე, რომ ეს კითხვები პასუხგაუცემელი დასტოვო?.. მართალია, ეგ კარგი საფიქრალებია. აი, გეზი შევამოწმოთ და მაგეებზე ვიფიქროთ.

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

გორამ მიმართულება გაარკვია. ისევ სიარული დააპირა და ოფლი იგრძნო. ციგის მოსართავები შეიხსნა, ფეხზე მიიბა. თეთრი ბალახონი გაიძრო, დაკეცა, ყინულზე პირქვე დაწვა. ციგაზე დაბმულ ტომარას თასმები ჰქონდა, ერთ-ერთი გახსნა, ბალახონი საიმედოდ შეაბა, ადგა, მოწესრიგდა და გზას გაუდგა.

შუა აზიაში ბურანმა სათვალე რომ წამართვა და წაიღო! ვეღარ ვიპოვნე, ჭირი მოგჭამა. იქ ქარი ქვიშას დააბორიალებს, ამიტომ ჰქვია ბურანი. საჰარაში სამუმს ეტყვიან... ჰაა, წაიღე რამე?! ვერ მოგართვეს!.. „ღინტლიანო ქართელებო, ვისი კაცია სათავეში!“ ეგ საიდანღა მოგაგონდა... ალბათ, ნიშნისგების ასოციაციით. პურგას შევძახე, ბალახონის წართმევა მომინდომა... კარგი, ეხლა გადადებული კითხვებისა ვთქვათ. რატომ და რისთვის გავრბივარ ხოლმე, არა? მაგაზე მიფიქრია, მაგრამ მისაღებ დასკვნამდე ვერასოდეს მივედი. რა ვიცი, აბა? გამორიცხვის წესით ვიმსჯელოთ.

წარსულ ჯდომებში ისეთი არაფერი შემმთხვევია, რომ გაქცევა აუცილებელი ყოფილიყო. კომფორტით არასოდეს მიცხოვრია, ამის მოთხოვნილება არ მქონდა. თუ რასმე კარგს მარგუნებდა ღმერთი, მსიამოვნებდა, მაგრამ ცხოვრების აუცილებელ პირობად არ მიმიჩნევია. ძირითადად, ხელმოკლეობაში გავიზარდე, სამხედრო სამსახური, ომი გამოვლილი მქონდა. ამდენად, ბალანდა, ბარაკი მოუწყობელი ყოფა და პატიმრობის სხვა მშვენიერებები გაქცევას ვერ მაიძულებდნენ; ისეთი ცოდვა არც გარედან შემომყოლია, არც ბანაკში დამიდვია, რომ პატიმართა რისხვა დამემსახურებინა, თავი უხერხულად მეგრძნო და ამ მიზეზით მეკისრა გაქცევა; „მასტების“ ომში ქართველ პოლიტპატიმრებს საერთოდ მონაწილეობა არასოდეს მიუღიათ. პირიქით, მუდამ გამშველებლისა და მომრიგებლის როლს ვასრულებდით. ამიტომ არც ის მოსისხლე მტერი მყოლია, ვისაც უნდა გავქცეოდი; ოჯახში, საზოგადოებაში დაბრუნება, ამხანაგ-მეგობრებთან ურთიერთობების აღდგენა მხოლოდ კანონიერი განთავისუფლებით შეიძლება. გაქცევა ამას ვერ მომცემდა; კიდევ რა უნდა გამოვრიცხოთ? გაქცევა, როგორც პროტესტი უსამარ-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თლობის წინააღმდეგ! ეისაც ჰგონია, რომ უსამართლოდ ზის, მას ისიც ჰგონია, რომ სამართალი არის და ჭეშმარიტება, ბოლოს და ბოლოს, აღსრულდება.

ისხდნენ, საჩიერებსა სწერდნენ. ეგ არის, ოცდაათიანი წლებიდან მოყოლებული — სტალინის სიკვდილამდე, პოლიტპატიმრის გამართლება და გათავისუფლება მზის დაბნელებასავით იშვიათად ხდებოდა. მოქმედებდა ფრაზა: „ჩვენი სახელოვანი ჩეკისტები არასოდეს სცდებიან!“, ვითარება სახედრისთვისაც კი გასაგები გახლდათ, მაგრამ პოლიტიკურები მაინც ჭეშმარიტების იმედად იყვნენ - სწერდნენ! არსებობდა გამონაკლისიც, მაგრამ უსამართლობის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად გაქცევის მაგალითი ჩემთვის ცნობილი არ არის. მე უსამართლოდ დასჯილის კომპლექსი არ მქონია, იღბლის უსაზღვროდ მადლიერი ვიყავი, რომ არ დამხვრიტეს. შემდეგ - თავისუფლების წყურვილი! სტალინის, ანუ ჩემი წინა გაქცევების დროს, „თავისუფლებაში“ ცხოვრება ბანაკში ყოფნისგან, საერთოდ, დიდად არ განსხვავდებოდა. ამასთან ერთად, გაქცეული კაცის სიცოცხლე გამუდმებული სიფრთხილე, ეჭვი, მაძებრის ხელში ჩავარდნის შიშია და ამას სიტყვა „თავისუფლება“ ვერ მიერგება. იმ დროში გონიერი კაცისთვის თავისუფლება ეფემერა იყო, გაქცევის საბაბად არ ვარგოდა. სხვაა, როცა გარეთ კონკრეტული, მნიშვნელოვანი საქმე გელოდება. მაშინ სწორედ ასე მეგონა. ჩემს პირველ გაქცევას საფუძვლად ბრძოლის განახლების წყურვილი ედო. ძველი ორგანიზაცია[18] ჯერ კიდევ ჩვენი დაპატიმრებისას იყო განადგურებული. თითო-ოროლა, ღმერთის მადლით გადარჩენილმა კაცმა, გადაჭრით უარჰყო პოლიტიკური ბრძოლის განახლების იდეა. საქართველო ომში გამარჯვებას ზეიმობდა, ჭრილობებს იშუშებდა, მსხვერპლს მისტიროდა, საშოვარზე იყო გადაგებული, ხალხი პატრიოტიზმს ჯერ სტალინისა და მერე პოლიტბიუროს ყველა წევრის პერსონალური სადღეგრძელოებით გამოხატავდა...

სხვას არაფერს დავუძახივარ. გამოქცევა ამაო აღმოჩნდა. მივხვდი, ლოდინი იყო საჭირო. იძულებული გავხდი, საქართველოს გავცლოდი, სხვა გზა მენახა.

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

კიდევ ორჯერ მოვახერხე გაქცევა, თავად არ ვიცი - რისთვის. გამოდის, რომ პასუხს ვერ მივაგენით... მაშინ საკითხი ასე დავსვათ: საერთოდ, ვინ გარბის, როგორი ფსიქიკის ადამიანები გარბიან? გაქცევის მიზეზი ხასიათის, ნატურის თავისებურებებში ვეძებოთ და არა შინა თუ გარე გამომწვევ ფაქტორებში. რა თვისებამ უნდა გიხმოს, რომ სასიკვდილო ხიფათში ჩაიგდო თავი?..

სტალინიზმმა დაუნდობელი ტერორითა და აღვირახსნილი პროპაგანდით წყობილების წინააღმდეგ ეფექტიანი ბრძოლის შესაძლებლობა თითქმის მოსპო, სისტემას შეუვალობა მიანიჭა... ეგ ან ეგრეა, ან ასე აიხსნება: ხელისუფლების ინსტიტუტმა არსებობის რამდენიმე ათასწლეულის მანძილზე თავდაცვისა და შინაგანი მტრის უვნებელყოფის ისეთი გამოცდილება შეიძინა, რომ წინააღმდეგობას პერსპექტივაში მხოლოდ დამარცხება აქვს, თუ ისტორიულმა ვითარებამ, წყობილების ლპობის პროცესმა თავადვე არ შეჰქმნა მისი დამხობის აუცილებლობა... მაგგვარი მიდგომაც დასაშვებია. ისე, გულზე ხელი რომ დავიდოთ, ძველი რევოლუციონერების გაქცევები, შემთხვევათა დიდ უმრავლესობაში, თავისუფალი დასახლებიდან წამოსვლას ნიშნავდა და ემიგრაციის მიზნით ხორციელდებოდა. არც თვით გაქცევა იყო ძნელი, ისევე, როგორც ყალბი პასპორტის შოვნა და სახელმწიფო საზღვრის გადალახვა - ჟანდარმები მაგარი დოყლაპიები იყვნენ. ისიც გასათვალისწინებელია, რომ გამოქცეულ რევოლუციონერს ცენტრებში ჩაღწევისთანავე, და ხშირად ჩაღწევამდეც, თანამოაზრეთა კარგად ორგანიზებული ჯგუფის საიმედო მფარველობა და ყოველმხრივი დახმარება უზრუნველყოფილი ჰქონდა. სტალინური ეპოქის გამქცევი გალოკილი თითივით მარტოკაცი გახლდათ. მას, არამცთუ მფარველობისა და დახმარების იმედის ნასახი არ გააჩნდა, არამედ, თუ სინდისიერი კაცი იყო, ნაცნობსა და მეგობარს თავად არ გაეკარებოდა. პოლიტიკური პატიმრის თუნდაც ერთი ღამით მიღებას, ერთი ლუკმით დახმარებას, გათქმის შემთხვევაში, უმკაცრესი განაჩენი მოსდევდა. ნათქვამს დავსძინოთ, რომ სტალინის დროის გამქცევის ბოლო, სიკვდილი თუ არა, ისევ ციხე იყო. ეს გარდუვალი შედეგი ყველა მარბენლისთვის ცხადზე უცხადესია. საკითხავი მხოლოდ ის არის, რამდენ ხანს დაჰყოფ გარეთ, უკ-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ეთ ვთქვათ, რამდენ ხანს გამყოფებს კარში შენი სიფრთხილე, გონიერება და იღბალი... „ხოლო ჩვენ პირველსავე სიტყვასა ზედა მოვიდეთ!..“ ძირითად საკითხს რაღაც საეჭვოდ უტრიალებ, შორიახლოს იქექები და ზედ კი ვერ მისულხარ. ხომ არ გაგიჭირდა, ძმობილო?.. გამიჭირდა, არ ვიტყვი, მე რატომ დავრბივარ, ტრაბახის მაგვარი რამ გამომივა, წესიერ კაცს არ შეშვენის. მთავარი კი ის არის, რომ ადამიანს განდიდების მანია საკუთარი ღირსებებისა და მიღწევების მრავალგზისი აღნიშვნის შედეგად იპყრობს. ეს არის ავადმყოფობა, რომელიც თანდაყოლილ თუ სიცოცხლის მანძილზე შეძენილ მრავალ საჭირო თვისებას სპობს, გამოცდილებას აბათილებს, პიროვნების დეგრადაციას იწვევს. მე სულიერი და ხორციელი ჯანმრთელობა მჭირდება, რელსზე უნდა დავჯდე! ამიტომ ვიტყვი მხოლოდ იმას, თუ სხვა გამქცევთათვის რა თვისებები შემინიშნავს.

პატივმოყვარეები. ესენი ცდილობენ, ძლიერი პიროვნების მაგალითი გაიმეორონ, ღირსეული კაცის სახელი მოიხვეჭონ და ამაში საკუთარი თავიც დაარწმუნონ. დაუდგრომლები – გამქცევები, რომელთა საქციელი არსებობის ფორმის მოყირჭებიდან გამომდინარეობს. ესენი ბრიგადიდან ბრიგადაში გადადიან, ბანაკიდან ბანაკში გადაბარგებას ახერხებენ, მეგობრებს იცვლიან, შფოთვენ, არ ედგომილებათ და ბოლოს სხვებთან ერთად გარბიან მხოლოდ იმიტომ, რომ ყოველდღიურობას, ცხოვრების ერთფეროვნებას ვეღარ უძლებენ. არიან ისეთებიც, ვინც პრაქტიკული მოსაზრებებით გარბის, გამქცევის სახელს გაელენიან პატიმრებთან ახლო ურთიერთობის დამყარებისთვის და ბანაკის მზარეულებისა თუ ამანათიანი პატიმრებისგან გემრიელი საჭმლის ზრდილობიანი გამოძალვის საშუალებად იყენებს. ესენი პრაქტიკოსები არიან, განსხვავებით იმ იდეალისტებისგან, ვინც გამქცევის სახელს მხოლოდ და მხოლოდ საყოველთაო აღიარებისთვისა და პოპულარობისთვის იხვეჭს. ვფიქრობ, ზოგი მათგანი იმ ჭეშმარიტებამდე, რომ „სჯობს სახელისა მოხვეჭა ყოველსა მოსახვეჭელსა“, „ვეფხისტყაოსნის“ დაუხმარებლად მივიდა. კიდევ ერთი ჯურის გამქცევები არიან. მე მათ „გამქცევ-მაზოხისტები“ დავარქვი – მძაფრი, მწვავე განცდების ტრფიალი აქვთ. ასეთის ბედნიერებისა და ნეტარების მწვერვა-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ლია, როცა ესროლეს და ვერ მოახვედრეს. თუ კიდევ ესროლეს და ისევ ვერ მოახვედრეს, შეიძლება, გული დადებითი სტრესისგან გაუსკდეს და მოკვდეს. ეს ნამდვილად ასეა! ეხლა - მორკინლები. ზოგი კაცი წინააღმდეგობის სულით არის გამოტენილი. ოღონდ შემოდავების საბაბი მიეცი და პურს ნუ აჭმევ. „მე დაგიმტკიცებ, რომ..." - ეს არის მისი პერმანენტული სულიერი მდგომარეობა. იგი გარბის იმიტომ, რომ გაქცევა აკრძალულია. ბანაკის ჭიშკარი რომ გაუღონ და უთხრან, წადიო, შეიძლება, არც წავიდეს. მორკინლებში ასეთებიც არიან - გაიქცევა და რამდენიმე დღის შემდეგ დაუპატიჟებელი სტუმარივით ისევ ბანაკის კარს მოადგება. მისთვის მთავარია, აკრძალული ხილის გემო ნახოს. აი, ასე, ჩემო კარგო. გარბიან, ვისთვისაც ზემოჩამოთვლილ თვისებათაგან ერთ-ერთი ან ერთდროულად რამდენიმე მიუცია განგებას. თუ არაფერი გამომრჩა, მაშინ მძლევრებზეღა დამრჩა სათქმელი. ესენი სერიოზული ხალხია, მთელი სიცოცხლე ძნელთა უძნელეს საქმეებს ეჭიდებიან, შემოქმედების, ახლის შექმნის, დაძლევისა და ჯობნის დაუოკებელი ჟინი აწვალებთ. თუ ვითარება ისეთი შეიქნა, რომ მისაღწევი და დასაძლევი თვალსაწიერზე აღარაფერია - ეძებენ, პოულობენ და სიძნელეების უღელს კვლავ და კვლავ ნებაყოფლობით, აზარტითა და უღრმესი ინტერესით ეწევიან. ასეთი კაცი პატიმრობაში დიდხანს ვერ გაჩერდება, გაიქცევა, თუ საამისო ფიზიკური მონაცემები აქვს. რა არის მისი მიზანი? მის წინაშეა უზარმაზარი იმპერია საათივით აწყობილი დამსჯელი მექანიზმებით, მსოფლიოში მაღალი პროფესიონალიზმით ცნობილი სამძებრო სამსახურებით, მკაცრი საპასპორტო რეჟიმით, ცენტრებიდან ათას კილომეტრობით დაშორებული, დაცვისა და საყარაულო ტექნიკის უკანასკნელი მიღწევებით აღჭურვილი საპატიმრო ადგილებითა და მათი გამოყენების უდიდესი პრაქტიკული გამოცდილების მქონე მრავალრიცხოვანი არმიით. აი, ასეთ მოწინააღმდეგესთან დაპირისპირების შესაძლებლობა მძლევარი კაცისთვის ელდორადო, ქუდბედი და ღვთის მადლია. გარბის! მისთვის გაქცევის პროცესი საკუთარი სტიქიის რეალიზაციაა და სამშვიდობოს გასვლა - დიდთა საქმეთაგან ერთ-ერთის, შესაძლოა, უძნელესის აღსრულებაა. მძლევარი გარბის იმისთვის, რომ იცო-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ცხლოს, სხვა ძნელთა უძნელეს საქმეებს შეეჭიდოს და არა იმ-ისთვის, რომ ვაჟკაცურად მოკვდეს, თუ სიკვდილი ზნეობრივად აუცილებელი არ არის.

მეტი არ ვიცი. ვინც იცის - სთქვას!

ისევ ისეთი, გაცოფებული პურგა იყო და თეთრი წყვდიადი, როცა გორა კლდეებს მიადგა. კალაპოტმა მხარი იცვალა, მარ-ჯვნივ გაუხვია. გორა ჩამოჯდა. საათს დაანათა. ათ წუთს იჯდა და ისევ გზას გაუდგა.

საინტერესო კია, კაცმა თავისი ხასიათის, დამოკიდებულებ-ის, პიროვნების ჩამოყალიბების პროცესს გაადევნოს გონება, დაადგინოს, რატომ არის ისეთი, როგორიც არის, და არა სხვან-აირი... გაადევნოს თავიდან ბოლომდე, ბალღობიდან მოყოლებ-ული... შე კაი კაცო, მაგისთვის დრო გაკლია თუ მეხსიერება? მისდექი და იფიქრე. რელსზე დაჯდომას ოთხი-ხუთი თვე უნ-და... მართალია. ისე ნუ წახვალ ამ ქვეყნიდან, რომ არ გასცე პა-სუხი კითხვას: რატომ ვარ ასეთი, რა დამარბენინებს?..

მიტილენიჩი[19] ფიქრობდა. ასე ერქვა მისი სამუშაო დღის პი-რველი ნახევრის პირველ ორ საათს. როცა მიტილენიჩი ფიქრ-ობდა, სამმართველოს ყველა მუშაკმა იცოდა, რომ მას გარესა-მყაროსთან რაიმე კონტაქტზე ვერავითარი ძალა ვერ დაიყოლ-იებდა. აპარატი თუნდ რეკვით გაბზარულიყო, ყურმილს არ აი-ღებდა. კაბინეტი შიგნიდან ჰქონდა ჩაკეტილი და ვინმეს დაკაკ-უნებაზე კი არა, საკუთარი მეუღლე ზღურბლთან რომ მჯდარიყო და მოთქმით ეტირა, გამიღეო, არ გაუღებდა. ერთხელ სამმა-რთველოს შენობას ცეცხლი წაეკიდა. მიტილენიჩის გარდა, ყვ-ელამ უშველა თავს. ჩოჩქოლმა, წივილ-კივილმა მიახვედრა მი-ტილენიჩი, რომ შენობა იწვის, მაგრამ ქეჩო მაშინაც არ მოუქ-ქია, როცა მისი კაბინეტი ბოლმა მოიცვა. მიტილენიჩმა სავარ-ძელი არც მაშინ მიატოვა, როცა ბრანდსპოიტიდან გამოტყორ-ცნილმა ჭავლმა ფანჯრის მინები ნაფშხვენად შემოიტანა და მოპირდაპირე კედლიდან ასხლეტილმა შხეფებმა მის საწერ მა-გიდაზე ასტეხეს წკაპაწკუპი. მან მხოლოდ საქაღალდე დახურა,

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

იღლიაში ამოიდო და ასე იჯდა. როდესაც წყლის ჭავლმა სხვა სართულების ფანჯრებზე გადაიტანა იერიშები, მიტილენიჩმა საქაღალდე მაგიდაზე დააბრუნა, გადაშალა და ფიქრი განაგრძო. ამის შემდეგ მისთვის, ცხრიდან თერთმეტამდე რა სათქმელია, სამმართველოს უფროსის გარდა, თერთმეტის შემდეგაც აღარავის დაურეკავს იმიტომ, რომ ყველამ იცოდა - მიტილენიჩი ფიქრობს! სიმართლე რომ ითქვას, იგი მხოლოდ დროდადრო ფიქრობდა. ძირითადად, საქმიან წერილებს ადგენდა და გზავნიდა. როცა ამასაც მორჩებოდა, მაშინ ფიქრობდა და, ხშირად, მისი ფიქრები, დაახლოებით, ასეთ ლექსებს სტოვებდნენ: „ვერსად წამიხვალ, მაინც დაგიჭერ, თუ ხარ ცოცხალი, რა თქმა უნდა, ცოცხალი თუ ხარ". ან: „ახლა შენ, ვიცი, ისე გგონია, რომ სამუდამოდ გადამეკარგე, მაგრამ იცოდე, ადრე თუ მალე, ჩემი ჩიტი ხარ, ჩიტი ხარ ჩემი!" მიტილენიჩი, როგორც მოყვანილი ნიმუშები მოწმობენ, თეთრი ლექსისკენ იყო მიდრეკილი, მაგრამ ეს მისი სამსახურის ბოლო თვრამეტწლიან მონაკვეთზე ითქმის, როცა, რატომღაც, რითმამ უმტყუნა, თუ სიზარმაცემ დარია ხელი. თავად, მის პოეზიაში ასეთ შემობრუნებას იმით ხსნიდა, რომ ადრე, როცა ძებნის უფროსის მოადგილედ იყო, დრო მეტი ჰქონდა. ძებნის უფროსი - სწორედ ასე ეწოდება თანამდებობის იმ პირს, ვისაც გაქცეული და მიმალული პატიმრის ძებნა-მიგნება ევალება. ეს მეტისმეტად პასუხსაგები საქმეა, რადგან, თუ ვერ მიაგნო, მთლად უფროსიდან მოყოლებული - დამლაგებლამდე, ყველა ამბობს, - ხა, ხა, ვერ მიაგნოო, მაგრამ თუ მიაგნო, მაშინ პირიქით არის. მიტილენიჩს თვრამეტი წლის მანძილზე მიუგნებელი არავინ დარჩენია - ნიჭი ჰქონდა, თავისი საქმე ღრმად, საფუძვლიანად იცოდა. ამიტომ ყოველი მიგნების შემდეგ ყველა ამბობდა, - ისევ მიაგნოო! ამისთვის უახლოეს სადღესასწაულო საღამოზე მიტილენიჩს საზეიმოდ გადასცემდნენ ხოლმე საპატიო სიგელს და შიგადაშიგ ფასიან საჩუქარსაც კი, რასაც სამმართველოს სხვა თანამშრომელთა კბილების კრაჭაკრუჭი მოსდევდა და სიგელმიღებულმა ეს იცოდა. თვრამეტი წლის მანძილზე მიტილენიჩმა ერთი დიდი კედელი სიგელი იშოვნა, მაგრამ თავად მას, როგორც იტყვიან, საკუთარი კრიტერიუმები ჰქონდა - მხოლოდ ოთხი ძებნა-მიგნება მიაჩნდა

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მოღვაწეობის უმაღლესობად! დანარჩენს არაფრად აგდებდა, თუმცა ყოველი სიგელის მიღება ერთნაირად სიამოვნებდა. აქ უსათუოდ უნდა აღინიშნოს ერთი ფრიად საყურადღებო პარალელიზმი. მიტილენიჩს ჰყავდა ნახევარძმა - კინორეჟისორი, რომელსაც, ცნობისთვის ვთქვათ, თავის საქმეში მიტილენიჩისოდენა ნიჭი არ გააჩნდა და სიგელიც ორიოდე ჰქონდა მიღებული. კინორეჟისორს ერთი ახირებული თვისება თუ ჩვეულება ახასიათებდა: ყოველი ახალი ფილმის დაწყების წინ ცოლს ეყრებოდა და ახალს ირთავდა. ხუთი თუ ექვსი ფილმის ავტორი იყო, ამდენივე ცოლი გამოიცვალა. მიტილენიჩს, ძმისგან განსხვავებით, ცოლები გაურბოდნენ და ეს, რაღაც სასწაულად, სწორედ მაშინ ხდებოდა, როცა იგი თავის პროფესიაში ზღაპრულ შედეგს აღწევდა, ანუ ხდებოდა იმ ძებნა-მიგნების შემდეგ, რომელიც, თვით მიტილენიჩის აზრით, ამ საქმის შედეგრს წარმოადგენდა. ამგვარად, მიტილენიჩს ოთხი ცოლი ჰყავდა გამოცვლილი, მეხუთესთან ცხოვრობდა. გამოცვლილიო, იმიტომ ვამბობთ, რომ მიტილენიჩი უცოლოდ ორ-სამ თვეზე მეტხანს არ ყოფილა. არსებული ცოლი რომ გაექცეოდა, კუთვნილ შვებულებას იღებდა და სამსახურში ახალცოლიანად ბრუნდებოდა. ცოლების გაქცევას მიტილენიჩი ხელმძღვანელობის წინაშე იმით ხსნიდა, რომ მისი სამსახური ერთთავად სადმე გადასაკარგავში იყო და ცოლებს კი ცივილიზებული ცენტრები იზიდავდა. იყო დრო, როცა პარტიულ, მართლწესრიგის დამცველ და საპატიმრო დაწესებულებების თანამშრომელთა წრეებში ოჯახური უსიამოვნებები და განქორწინებები ნაირ-ნაირ კრებებზე, სხდომებზე, ბიუროებზე იხილებოდა და ხანდახან პარტიული სასჯელითაც მთავრდებოდა, მაგრამ მიტილენიჩი შეუცვლელ-შეუნაცვლებელ მუშაკად ითვლებოდა და მის მიმართ, როგორც ერთხელ სამმართველოს მოღვაწეობის შესამოწმებლად მოვლინებულმა კომისიამ თავის დასკვნაში აღნიშნა, „წაყრუებას ჰქონდა ადგილი“. წაყრუებას უთუოდ ის გარემოებაც უწყობდა ხელს, რომ შვილი მიტილენიჩის არც ერთ ქორწინებას არ მოჰყოლია და ეს მას მართებულ მოვლენად მიაჩნდა იმ მოსაზრებით, რომ იგი თავისთავს ხელისუფლებად სთვლიდა, ხოლო ხელისუფლებას შვილი არ უნდა ჰყავდეს, რადგან შვილი, თანახ-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მად ჰეგელის ტრიადისა, მშობლის უარყოფაა და ხელისუფლების უარყოფა საჭირო არ არის. ამ დებულების წარმოქმნისა თუ ფიქრად გავლების შემდეგ, მიტილენიჩი დაუყოვნებლივ დასძენდა ხოლმე, რომ დებულება თუმც რამდენადმე ბუნდოვანია, მაგრამ თუ ღრმად ჩავიხედავთ და ძირებს გულდასმით მოვუჩხიბავთ, დავინახავთ, რომ სწორიაო.

მიტილენიჩს ძებნა-მიგნების პროფესიული ხრიკების, ხერხებისა და მეთოდების არსენალის გვერდით, ერთი სპეციფიკური საიდუმლოც ჰქონდა. მას რამდენიმეჯერ მისთავაზეს იგივე სამსახური და თანამდებობა ცენტრებში, მაგრამ არც ერთხელ არ დათანხმდა, - მე სიბარიტი არ გახლავართ, პარტიასა და საშობლოს იქ უნდა ვემსახურო, სადაც მეტად ჭირსო! საქმე კი სულ სხვანაირად იყო და უარის ნამდვილ მიზეზს ვერავინ ხედებოდა: მაშინ, როდესაც გადასაკარგავებში მომსახურე ოფიცრები ერთთავად რომელიმე ქალაქში გადაყვანას იხვეწებოდნენ, მიტილენიჩი შესაშურ თავდადებას იჩენდა, რის გამო, არა მარტო უმაღლესი უფროსების სიტყვიერ გამოსვლებში იხსენიებოდა, არამედ მისი გვარი ოფიციალურ საბუთებშიც კი გაიელვებდა ხოლმე. ეს კი თავისთავად ნიშნავდა უმაღლესი უფროსობის მუდმივი ყურადღების არეში ყოფნას. მიტილენიჩის იმიერპოლარული შოვინიზმის მთავარი მიზეზი ის იყო, რომ რაც უფრო ახლოა ბანაკები მჭიდროდ დასახლებულ რაიონებთან, მით მეტია გაქცევათა რაოდენობა, რადგან მეტია სამშვიდობოზე გაღწევის შესაძლებლობა და საცდური. ახალ პირობებში მიტილენიჩს გაცილებით მეტი, რთული და უმადური სამუშაო ექნებოდა. წარმოვიდგინოთ, გაიქცა პატიმარი და ორიოდ საათში, თუგინდ, ორ დღეში მიაღწია ადგილებს, სადაც მას ხელშემწყობი ჰყავს. აქ მიტილენიჩი ყველა შემთხვევაში ხახამშრალი რჩება, ვინაიდან იმ პატიმარს, სულ ადვილი შესაძლებელია, ვინმე ტრიკიანი მილიციელი დაიჭერს. კოხტა ჩარჩოებში ჩასმული სიგელებით მოფენილი კედელი? სულ სხვაა, როცა გადასაკარგავში მსახურობ. აქ ძებნა-მიგნების ხელმძღვანელი თავად ხარ და დაფნაც შენია. თუ გაქცეული გრძელ გზას დაადგა, საამშემთხვევოდ შენს კაბინეტში მაგიდაზე დევს დიდი რელიეფური რუკა, რომელზეც განსაცვიფრებელი სიცხად-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ით არის ამოყვანილი ობ-ენისეის აუზის ყოველი ნაოჭი და ნაჯაო. ამას გარდა, შენს ხელთ არის გაქცეულის მსვლელობის გეზზე აღმოჩენილი ყველანაირი კვალი და მონაცემი, რომელთა მიხედვით, მიტილენიჩისთანა პროფესიონალისთვის ძნელი არ არის დაადგინოს, თუ, სახელდობრ, როდის აღესრულება გაქცეული, სად უნდა მიაგნონ მის გვამს, ხოლო თუ გაწყრა ღმერთი და მაინც სამშვიდობოზე გასვლის პერსპექტივა დაესახა, მაშინ არც იმის მიხვედრაა ძნელი, თუ სად უნდა ჩასაფრდეს ოპერატიული ჯგუფი.

ვაშა, მიტილენიჩ!

ცინიკოსსა და ჭორიკანას ქვეყანაზე რა გამოლევს და, შესაძლოა, მათი გამოლევა-გადაშენება საჭირო არც იყოს, რადგან ისინი ხანდახან საინტერესო რამეებსაც ამბობენ ხოლმე. მაგალითად, ერთმა ცინიკოს-ჭორიკანამ რომელიღაცა უფრო გადასაკარგავიდან ამ გადასაკარგავში მიტილენიჩზე ასეთი ცნობა მოიტანა: უფრო გადასაკარგავში თავის დროზე ყოფილა საქართველოდან ტროცკისტობისთვის გადმოსახლებული არაქართველი, ვინმე ლენა - ახალგაზრდა ქვრივი მცირეწლოვანი ვაჟითურთ. იქვე გადმოსახლებაში მოუყვანიათ ვინმე დიმიტრი, ანუ მიტია - ეროვნებით ქართველი. მისი გვარი უფრო გადასაკარგავის ისტორიას არ შემორჩა, რადგან მან მიტილენიჩის მხოლოდ ჩასახვა მოასწრო, რის შემდეგ დახვრეტილ იქნა სხვა გადასახლებულებთან ერთად. ბავშვი რომ გაჩნდა და მისი გვარის დადგენის საჭიროებამ იჩინა თავი, დედამ, ანუ მოქალაქე ლენამ, - მეც ზედ არ მიმახვრიტონო, ბავშვი მოქალაქეობრივი აქტების დავთრისთვის მამის გვარით კი არ მოიხსენია, არამედ მამის სახელი - მიტია და საკუთარი - ლენა — შეაერთა და იშვა მიტილენიჩი. მართალია, ეს ცნობა არავის შეუმოწმებია, მაგრამ სრულიად საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ მიტილენიჩს „ჩორტ ნერუსსკი“ შერქმეოდა იმ შემთხვევებში სახსენებლად, როცა ცინიკოს-ჭორიკანების წრეში მისი ხშირცოლიანობის საკითხი იხილებოდა.

ყოველივე ზემოთქმული იყო ზოგი რამ, ზოგადად მიტილენიჩზე. ახლა მივუბრუნდეთ, სახელდობრ, იმ დღეს, რომელიც ჩვენ ფრიად საყურადღებოდ მიგვაჩნია.

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მაშ, ასე - მიტილენიჩი ფიქრობდა და ეს იყო დილის ათის ნ-ახევარი დროის იმ სარტყლით, რომელშიც მიტილენიჩი ფიქრობდა. კარში ბნელოდა, წელიწადის ამ დროს იმ განედებში მზე საერთოდ არ ამოდის, მიტილენიჩის გაჩახჩახებული კაბინეტის ცალი კედელი, როგორც უკვე ითქვა, სიგელებს ეპყრათ. მოპირ-დაპირეზე, სარკმლებს შორის, ფარდაჩამოფარებული, ჩვეულ-ებრივი ადმინისტრაციულ-გეოგრაფიული რუკა ეკიდა. მიტილე-ნიჩის საწერი მაგიდის პირდაპირ ასეთივე ფარდიანი, მაგრამ მთელ კედელზე გადაჭიმული, ობ-ენისეის შუამდინარეთისა და აუზის რუკა იყო, ხოლო რელიეფურ რუკას შუა ადგილი ეკავა. ამ დილით მიტილენიჩი მცირე რუკაზე დარჭობილ პატარა დრ-ოშაკებს დასცქეროდა და ფიქრობდა იმაზე, როგორ შეემჭიდრ-ოებინა ალყის რკალი რამდენიმე დღის წინ გაქცეული ქურდის, მეტსახელად „ვორონას“[20] ირგვლივ. დროშაკები იმ წერტილებ-ში ერჭო, სადაც, მისი ალღოს მიხედვით, ვორონას მასპინძლე-ბი უნდა ჰყოლოდა - იმავე ადგილებში დაფუძნებული ყოფილი თუ მოქმედი ქურდები. ჩანს, სავსებით დამაკმაყოფილებელი რამ მოიფიქრა, რომ ფარდა დაუშვა, საწერ მაგიდას მიუჯდა, ღილაკს დააჭირა და მავთულის მეორე ბოლოზე გამობმულ პი-რს დაახლოებით ასეთი ტექსტი უკარნახა:

„მეორე ოპერჯგუფს. გაქცეული პატიმრის - სელივანოვის, იგივე ელივანოვის, იგივე ლივანოვის, იგივე ივანოვის, ანუ ვო-რონას ადგილსამყოფელი მე უკვე გაცნობეთ. იგი ბანაკში ნება-ყოფლობით უნდა დაბრუნდეს. აგრძნობინეთ მფარველებს, რომ ჩვენთვის ცნობილია მათი დანაშაული, გამოხატული ვორონას დამალვაში. ისინი გაქცეულს მფარველობაზე უარს ეტყვიან, ვორონას საყუდარი აღარსად ექნება, ნავიგაციამდე ცის ქვეშ ვერ დარჩება და ბანაკში ნებაყოფლობით დაბრუნდება. ეს საჭ-იროა, როგორც მაგალითი ბანაკის მოსახლეობისთვის და იმის-თვისაც, რომ საბჭოთა ადამიანებს საშუალება მიეცეთ, თავან-თი მოქალაქეობრივი ვალი მოიხადონ“.

შემდეგ მან დავთრებში საჭირო აღნიშვნები შეიტანა, მაგ-და მოაწესრიგა და ცეცხლგამძლე კარადიდან ძალიან სქელი პაკეტი მოიტანა. წიბო გაუჭრა, გადატვირთულ-გადასქელებუ-ლი საქაღალდე გამოიღო, დახედა... „კარგარეთელი იაგორ ერე-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

კლეს ძე“, წაიკითხა და ელდანაკრავივით წამოვარდა. ბოლთას მისდგა. იქამდე იარა, სახეზე ოფლმა გამოაყარა. მერე საქაღალდეს ეცა, გადაფურცლა და ჩაილაპარაკა, - ამ ხნის კაცი! — დაჯდა, სამმართველოს უფროსისთვის მირთმეული მოხსენებითი ბარათი ჩაიკითხა: ბანაკი საგანგებოდ და მრავალგზის გადაიჩხრიკა, ნაბუქები ნიჩაბ-ნიჩაბ შემოწმდა, წასვლის კვალისა - არავითარი ნიშანწყალი!..

- არა, ბანაკში კარგარეთელს არავინ არაფერს ერჩოდა, თუ უშიშროების სამსახურის დავალება არ იქნებოდა. არ ყოფილა. გაიქცა? როგორ? ავტომანქანაში როგორმე ჩაიყუჟა? იმხელა კაცი... პურგა იყო, ბანაკში მანქანები არ შესულაო! ობიექტიდან წავიდა როგორმე? გაყვანილ-შემოყვანილთა სათვალავი დაემთხვა. მაშ, როგორ?

მიტილენიჩი ნახევარი საათით გაყუჩდა. მერე თვალები მოჭუტა, არქივიდან მეთოთხმეტე ზონის ნახაზები მოითხოვა...

- არავითარ შემთხვევაში, არაფერი ვიცი, ახლავე იპოვნეთ და მომიტანეთ!

ინჟინერმა ნახაზები მხოლოდ ორი საათის მერე მოიტანა, მაგრამ ათი წუთიც არ იყო გასული, მიტილენიჩმა სელექტორი მოითხოვა. მეთოთხმეტე ზონის რეჟიმის უფროსი მოიწვია...

- ბარაკის მეკუჭნავედ იყო?.. შეისწავლეთ საკუჭნაოს იატაკი. მაგ იატაკის ქვეშ კოლექტორი გადის... როგორ?.. კოლექტორი, კოლექტორი... კოლექტორი არ იცი?, რა არის?.. რეჟიმის უფროსი ხართ, ამხანაგო კაპიტანო, ოფიცერი! ის შეიძლება, არ იცოდეთ, რომ ზონაში მეშვიდე ბარაკის ქვეშ კოლექტორი გადის, დასაშვებია. მაშინ ის მაინც უნდა იცოდეთ, საერთოდ, რა არის კოლექტორი!..

კიდევ ერთი საათის მერე მიტილენიჩმა დიდი რუკის ფარდა გადასწია და პირველი დროშაკი მეთოთხმეტე ზონის სავარაუდო ადგილსამყოფელზე დაარჭო. მერე რელიეფურ რუკაზე ის ბორცვი იპოვნა, სადაც კოლექტორის ჭა უნდა ყოფილიყო, და იქაც დაარჭო. ხელები გადაიფშვნიტა... მომავალ ორდენს უკვე თითებით გრძნობდა - „განსაკუთრებული დამსახურებისთვის“, მაგრამ რომელი ორდენი იქნება?.. ამ დროს რაღაც მოსაზრება ურისავით დააცხრა, წარბი შეჰკრა, გაქვავდა. ერთხანს ასე იჯ-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

და. მერე ხელი უჯრისკენ გააპარა, გამოსწია, მუყაოს ფეხიან მრგვალ ჩარჩოში ჩასმული ფოტოსურათი ამოიღო, წინ დაიდგა და თვალები მიაბჯინა. ჩარჩოდან, ასე, ორმოცდაორი-სამი წლის, კარგად შენახული კეკლუცი ქალი იყურებოდა. მომსუქნო, ფაფუკი პირისახე ჰქონდა, მხიარული ადამიანის შთაბეჭდილებას სტოვებდა. მიტილენიჩი ცოლებს თვალების გამომეტყველებით ირჩევდა და განუხრელად მისდევდა იმ თვალსაზრისს, რომ „მღიმარი ქალის თვალები მაცდურია. გაჯავრებული ქალის თვალები სულის სარკეა". ამ შეხედულებაში ზოგი რამ ანგარიშგასაწევი უდავოდ არის, რადგან არავის უნდა ჰქონდეს იმედი, რომ ცოლი იმ ხასიათისა აღმოჩნდება, როგორიც გაცნობისა და არშიყობისას იყო. თუ არ გინდა, მოტყუვდე, უნდა გააჯავრო, რეაქციას დაუკვირდე და მიღებული დაკვირვებით იხელმძღვანელო.

მიტილენიჩმა ახლა სხვა უჯრა გამოსწია, კარგა ხანს იფათურა, ხელს კონვერტი ამოაყოლა, კონვერტიდან ოთხი ფოტოსურათი ამოიღო, მიყოლებით დაალაგა. ეს მისი წინა ცოლების სურათები იყო: ნორა, ლორა, დორა, ფლორა!..[21] მიტილენიჩი ცოლებს ხელახლა ნათლავდა, ამგვარი ხასიათის კაცი გახლდათ. ახალი სახელები ერთმანეთს ჰგავდა და ამაში იმ ცნობილი ოპერეტის ერთ-ერთი არიის გავლენა იგრძნობოდა, რომლის ტექსტი გოგონების მსგავს სახელებზეა აგებული და, მართლაც, მიტილენიჩი პოეზიისა და ოპერეტის მეტს ლიტერატურისა და ხელოვნების არც ერთ ჟანრს არ სცემდა პატივს. ისიც უნდა ითქვას, რომ მას ცოლისთვის შერქმეული სახელი არასოდეს შეშლია, საამისოდ სპეციალური მეხსიერება ჰქონდა, თორემ წარმოიდგინეთ ცოლი, რომელსაც სიცოცხლეში ერთხელ მაინც, წინა ცოლის სახელით მიმართავთ!

მიტილენიჩმა ჯერ, საერთოდ, მოიხილა ცოლების მწყობრი, მერე ნორას ფოტოსურათი აიღო, უყურა, თვალი თოქმაჩარჩოიან სიგელზე გადაიტანა და ის ოპერაცია გაიხსენა, რომელმაც ეს სიგელი და რიგგარეშე ჩინი მოუტანა. გაიქცა მძარცველი და მკვლელი, მეტსახელად „კოსოი"[22]. დუდინკაში მისვლა მოახერხა, მაგრამ მიტილენიჩმა მიაგნო და თან ისე მარჯვედ, რომ კოსოის აყვანისას ბადეს ორი სხვა, საკავშირო ძებნაგამოცხადე-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ბული რეციდივისტი ამოჰყვა. ნორამ სწორედ ამის შემდეგ მოინდომა რიაზანსა თუ ვორონეჟში მცხოვრები მშობლების მონახულება, - თვეზე მეტს არ დავყოვნდებიო, და ათ დღეში ღია ბარათი მოვიდა, რომლის ტექსტი სულ ორი სიტყვისგან შესდგებოდა - „აღარ დავბრუნდები“. მიტოვებულმა ქმარმა ერთხანს იდარდა, ხელი ჩაიქნია, შვებულება აიღო და ლორა ჩამოიყვანა. აქ საქმე რამდენადმე გართულდა, რადგან ქალს აელიტა ერქვა და ლორობაზე კატეგორიული უარი განაცხადა. მიტილენიჩი დაჰყვა, მაგრამ გულში მაინც ლორას ეძახდა. ლორა, აგერ, იმ სიგელის შემდეგ გაიქცა. იგი მიტილენიჩმა მაშინ მიიღო, როცა ჯაშუშად წოდებული პატიმარი, ვინმე ავგუსტ სოკერი[23] ზედ თურქეთის საზღვარზე, ზუსტად მის მიერ მითითებულ ადგილას დაიჭირეს. დორა!.. ფლორა!.. რა არის ეს, დამთხვევებია? ამდენი დამთხვევა კანონზომიერებას ჰგავს. მიტილენიჩმა ისევ ბოლო ცოლის პორტრეტს უცქირა და სთქვა, - მარა,[24] საყვარელო, შენ ვერ დაგთმობო!.. კარგარეთელი? ხომ უნდა ვეძებო და ავიყვანო? რომ ვიპოვნო და განმეორდეს იგივე, რაც უკვე ოთხჯერ იყო? თუ ვერ ვიპოვნე, მაშინ იმავე კანონზომიერების თანახმად... როგორ თუ ვერ ვიპოვნე, რას ამბობ, ამხ. მიტილენიჩ, რას იტყვიან იქ?!. ვიპოვნი, სად წამივა, აქ სადმე უნდა იყიალოს... პურგას გადაურჩება?.. საუკეთესო ფინალი - ვერ ვიპოვნი კი არა, გაიყინება და მე ზაფხულში უკვე მეცოდინება ადგილი, სადაც მისი გვამი უნდა იპოვნონ. მიტილენიჩი გამოცოცხლდა, ღიმილი ეწვია, მაგრამ მალევე მოიღუშა და ჩაილაპარაკა, - პროფესიონალია! ისე არ წავიდოდა, ოთხმოც-ოთხმოცდაათ პროცენტიანი გარანტია არ ჰქონდეს. გამოდის, რომ უნდა ვეძებო და მივაგნო... მიტილენიჩი ისევ ცოლის სურათს ჩააცქერდა, - არა, საყვარელო, ვბერდები, მომვლელი მჭირდება და შენც ხომ გჭირდება მეგობარი?.. შეხედე ამ დამპალს, ამ კარგარეთელს, თუ ვიღაც ოხერია! რას მერჩის, რა დავუშავე! ასეთი ულმობლობა გაგიგონია? კარგი, შენსას ინაღდებ - გარბიხარ, მაგრამ მე რას მემართლები?! არა, მაინც რა დროს გაქცევა იყო. ნავიგაციამდე ექვსი თვეა. რას აპირებს?.. ამას კარგი ფიქრი უნდა... ნავიგაცია? მაგას ნავიგაცია სჭირდებოდეს, ეხლა გაიქცეოდა? მიტილენიჩ, გავიწყდება, რომ პროფესიონალია. ეს მეოთხე გა-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ქცევაა. ერთ-ერთის მიზანი მაინც თუ იცი? არ იცი!.. ვინ იცის, ეგებ ის კაცია კარგარეთელი, თავის თავს რომ ეჩხუბებიან. პურგაში წავიდა, პურგაში ივლის... ეგ სამხრეთისკენ წავა, რეკორდის დამყარება სწყურია. მეორე მხრივ, პროფესიონალია და გარბის იმისთვის, რომ იცოცხლოს, არა? სამხრეთისკენ წასულს გადარჩენის რა შანსი აქვს? აქ რაღაც არის, მიტილენიჩ, აქ რაღაც არის!..

გორამ თვრამეტ საათს იარა. ორმოცდაათი წუთი – სიარული; ათი წუთი – შესვენება, როგორც უწინ საჯარისო ლაშქრობებში. ეს მეთოდი მას ყრმობიდან შემოჰყვა, სწორედ ყრმობიდან. ტექნიკუმი, სადაც იგი სწავლობდა, გასამხედროებული იყო, ბიჭებს თვეში ორ კვირას სამხედრო საქმეს ასწავლიდნენ. ზაფხულში ორი თვით ბანაკებში მიჰყავდათ. იქ ნამდვილი წვრთნა იყო, არავითარი შეღავათები. ორ წელიწადში მესამე რანგის სამხედრო ტექნიკოსის წოდება მიენიჭა და ჩინი – ერთი „კუბიკი“, პირველი რიგის თადარიგის წითელი ტალონით სამხედრო წიგნაკში და ომის დაწყების დღესვე ზუსტი მისამართით, სადაც უნდა გამოცხადებულიყო. სხვებზე უმცროსი, მცირეწლოვანი გახლდათ, ტექნიკუმში ადრე შევიდა. შეეძლო, უარი ეთქვა, მაგრამ ამხანაგების თვალში სამხედრო სამსახურისთვის უვარგისობა ითაკილა, თორემ თვით მხედრული ყოფა, ყაზარმა და ომი გორასთვის მხოლოდ ვალდებულების მოხდა იყო მაშინაც და მერეც.

ძილის ჯერი დადგა, ბუნაგის გასაწყობად დიდი ნაბუქი იყო საჭირო. იპოვნა, გათხარა, კარგა მოზრდილი გამოვიდა. მართალია, ძილი ფეხებშეკეცილს მოუხდებოდა, მაგრამ იმ პირობებში ესაც დიდი კომფორტი გახლდათ. ხელჯოხი დაარჭო, ნიღაბხალათის გადაჭიმვაზე დიდხანს იწვალა – პურგა არ ანებებდა. როგორც იყო, ამასაც მოერია და კარვის ნაპირების ჩათოვლას მიჰყო ხელი. არაფერი გამოუვიდა, თავი მიანება, კარავში წინა მხრიდან შეძვრა, ღრიჭოს გარედან ციგა მოუჩოჩა. ქარგაუმტარი ბალახონი დაიფინა, ზურგჩანთა თავსასთუმლად შეიმარჯვა. ახლა ძილიც შეიძლებოდა. თხუთმეტი წუთიც არ იყო გასული, პურგამ თავად შემოთოვლა კარავი. ხმაურმა იკლო, დაქან-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ცულობამაც თავისი გაიტანა და გორას მკვდარივით ჩაეძინა, მაგრამ ქვეცნობიერებაში ჩაყოლილმა სიფრთხილემ უმალვე გამოაღვიძა. კიდურები მოისინჯა, - ხომ არაფერი მომეყინაო, და ისევ ძილს მისცა თავი. გორა, საერთოდ, არ იყო მძინარა, ახალგაზრდობაშივე ექვსი, შვიდი საათის ძილი სავსებით ჰყოფნიდა. ამასთან ერთად, შეეძლო, სადაც თავს მისდებდა, რამდენიმე წუთში ჩასძინებოდა და შემდგომში ის თვისებაც გამოუმუშავდა, რომ რა დროსაც მეხსიერებაში ჩაიყოლებდა, სწორედ იმ დროს იღვიძებდა. ახლაც ასე მოხდა - გამოიღვიძა, საათს დაანათა. საღამოს რვა იყო.

ოცდაოთხი საათის წამოსული ვარ, გამოვლილი მაქვს ოცდათექვსმეტი კილომეტრი... ან მეტი. პურგამ თითქოს იკლო, არა? აბა, ეხლა ვახშამი და სიარული! უბეში მაქვს სამასი გრამი პური და ორმოცდაათი გრამი ღორის ქონი - სალო, ბატონო. ჩვენს წინაპრებს ლაშქრობაში საგზლად ქუმელი დაჰქონდათ, მთაში ხალს რომ ეტყვიან. სახამებელია და ცხიმიც. ჩურჩხელებიც დაჰქონდათ - ფრუქტოზა, ნიგოზი, ვიტამინები. სლავებს, ალბათ, ღორის ქონი. გემრიელია, ოხერი, და ყუათიანიც... რაღაც სიზმარი ვნახე!.. ვნახეთ, მაშ! ის ჩანძოლინი[25] ვნახეთ, - მიტილენიჩს შენი ციგის მოპარვა უნდა, კი არ დაგიჭერს, შიმშილით ამოგხდის სულსაო... რანაირად უნდა მომპაროს მიტილენიჩმა ციგა? გამოიდარებს, ვერტმფრენს გამოგიყენებს. ხმაურს გაიგონებ, ციგას მიატოვებ, გაიქცევი. დაავლებენ ხელს და წაიღებენ... ჰაა, მიტილენიჩ, ეგეთი არიფი თუ იყავი, არ ვიცოდი... ჩანძოლინი ტყუილად არ გამომეცხადებოდა... თუ დამინახეს, დასხდებიან და წამიყვანენ. ციგა რა შუაშია? გაუგებარია... არა, მაინც რატომ უნდა სურდეს მიტილენიჩს ჩემი შიმშილით მოკვლა და არა ავტომატით დაცხრილვა? რას არ ნახავს კაცი!.. მიმიყვანეს მაგ ბანაკში და თავის ფეხით მობრძანდა, დამათვალიერა, როგორი ჯელი ვარ. ფლეგმური ტიპია და, ამბობენ, თავისი საქმის მაგარი სპეციც. მაგან რა იცის, რომ მე მისი ყველაფერი ვიცი. ისიც კი, რომ მიტია ჯვარშეიშვილის[26] გაკეთებულია. არც გადასახლებაში მოისვენა, ბოლშევიკებს შვილი დაობლებინა... ეგრე იცის მარქსის იდეებით გატაცებამ!... ოცი

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

საათი და თხუთმეტი წუთია. ავანტი, სენიორ!.. ისეთი გრძნობა მაქვს, რომ ბოლო თვრამეტი საათი სამი კილომეტრის სისწრაფით ვიარე. ადვილი შესაძლებელია, ოცდათექვსმეტი კი არა, ორმოცდაათზე მეტიც მქონდეს გამოვლილი. ციგა კარგად მომდევდა, მსუბუქად... ჰო, რაზე უნდა მეფიქრა?.. ცხელ წყლებზე რომ ქოხია, იქ და იქიდან გასვლის მერე უნდა გეფიქრა.. ეხლა ხელს მიშლის ვინმე?.. ესე იგი, ხასიათის, დამოკიდებულების, პიროვნების ჩამოყალიბების მსვლელობა და ამის ანალიზი, არა? იმით დავიწყოთ, რომ ცხოვრება გამოცდილების დაგროვების პროცესია... სასაცილოა, რომ ადამიანი მთელი თავისი გამოცდილებიანად მიემგზავრება საიქიოს, ვითომ იქ უამისოდ არ მიიღებენ... ყველა ეგრე როდი მიდის. ზოგი ისე გამოთაყვანებულია, გამოცდილება კი არა, საკუთარი სახელიც კი დავიწყებული აქვს... ეგ ბოლოა. დასაწყისი?.. დასაწყისი მოდგმაა. ამას, ეხლა, მგონია, გენეტიკური თუ ისტორიული მეხსიერება ჰქვია – რაღაც გამოცდილება, დაბადებითვე რომ მოჰყვება კაცს. დანარჩენს ადამიანებისგან სწავლობს, ცოცხალ თუ ნივთიერ სამყაროსთან ურთიერთობაში იძენს. იქა ვთქვი, – ბავშვი წყვდიადს მიარღვევს–მეთქი. პირობითი გამოთქმა იყო. ბავშვი, არა მარტო ყველაფერს ხედავს და ყველაფერი ესმის, ამ ნახულიდან და გაგონილიდან სწავლობს კიდეც. ესე იგი, თავისი გონებრივი შესაძლებლობების ფარგლებში აანალიზებს, დასკვნები გამოაქვს და ეს უკვე გამოცდილებაა... იცი, როდემდის გრძელდება ეს პროცესი? გონებრივ დეგრადაციამდე. გამოცდილება გროვდება იქამდე, სანამ მეხსიერება მუშაობს... კი, ეგრეა. მაშინ ასეთი კითხვის პასუხი მოვძებნოთ: რომელ ასაკში რას სწავლობს, რა გამოცდილებას იღებს ადამიანი?.. პირველ ხანებში – ათ, თერთმეტ წლამდე, „მზისა ქვეშე ყოფნის“ ხელოვნებას ეუფლება, სიცოცხლის შენარჩუნების ხერხებს სწავლობს. ამ გამოცდილებას „ყოფნისთვის წვართა“ ვუწოდოთ. ამავე ასაკში ხდება ძირითადი კრიტერიუმების ჩამოყალიბება, ანუ იმ საძირკვლის ჩაყრა, რაზეც ზნეობის, დამოკიდებულების, პიროვნების მომავალი შენობა უნდა დადგეს... ეხლა ისა ვთქვათ, სახელდობრ, რისგან შესდგება სწავლების პროგრამა თუ კურსი. უპირველეს ყოვლისა, როგორც უკვე ვთქვით, მოდგმა, მემკვიდრეობითი

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

პოტენცია. მერე — პირველი ხედვითი და სმენითი შთაბეჭდილებები, ელემენტარული ჩვევები... ხილვებიც მქონდა, ზმანებები. ეს მისტიკაა, მაგრამ ისიც შესაძლებელია, რომ უბრალო თუ ბრალიანი ოპტიკური ეფექტების წყალობით მეწვივნენ. ბებიაჩემ სოფიოს[27] უღრმესი რწმენით ის ხილვები თუ ზმანებები ჩემი ყოველმხრივ იღბლიანი ცხოვრების მომასწავებელი ნიშანი იყო. ეს იმთავითვე ეჭვს იწვევდა, რადგანაც არც მაშინ იყო დადგენილი და დღესაც არავინ იცის, რას ნიშნავს იღბლიანობა - იმას, რომ სიკვდილამდე მცირედი გასაჭირიც კი არ გარგუნოს განგებამ, თუ იმას, რომ ას სიკვდილს დაუძვრე ხელიდან?..

ორიოდ სიტყვას ვიტყვი იმ აგარაკის გამო, სადაც გორას ზმანებები განხორციელდა. თუ პაპა გორას ნათქვამს ვენდეთ, კარგარეთლებს, ჯერ კიდევ მეჩვიდმეტე საუკუნის დამდეგს, მერხეულიძეებისთვის[28] მიუთხოვებიათ ანგელოზივით გოგონა, მისთვის ის სახლ-კარი თავისი ბაღითა და მუხნარით მზითევში აგარაკად გაუტანებიათ. მერე მერხეულიძეებს მიუთხოვებიათ კარგარეთლებისთვის აგრეთვე ანგელოზივით გოგონა... მამულს სამი საუკუნის მანძილზე არსაით გაუხვევია, ამ ორ გვარს შორის დასეირნობდა. ზუსტად არც პაპა გორამ იცოდა, თუ რამდენჯერ შესრულდა ეს მაქოსებრი გზობა. სახლი „ნაწვალები“ იყო. გორამ ეს სიტყვა უფროსებისგან იცოდა. საუკუნეების მანძილზე მეპატრონე გვარების წარმომადგენელთაგან რამდენიმე ადამიანმა ამ სახლში ზოგმა თავი მოიკლა, ზოგმა ვიღაც მოკლა და, საერთოდ, ხუთივე ოთახის ერთი კუთხე არ იყო, საიდანაც მარადიულ სამყაროში ვინმე არ გამგზავრებულიყო. შესაძლებელია, ამითაც აიხსნებოდეს გორას ერთგვარი მიდრეკილება მისტიკისკენ და ისიც, რომ უფროსების ნაუბარს, ხშირად, საკუთარი ფანტასმაგორიებით ამდიდრებდა. ქილიკად თუ არ ჩამომერთმევა, ვიტყვი, ბავშვობის ხილვებმა თუ მოლანდებებმა გორაზე არა მარტო მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინეს, არამედ გარკვეულწილად წარმართეს კიდეც მისი ცხოვრება. ამ თემაზე ლაპარაკი მუდამ ეხალისებოდა. ზოგ მათგანს გავიხსენებ, შემდგომი თხრობისთვის არის საჭირო.

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

პაპამ, ერთხელ იყო, თბილისიდან მამასთან სტუმრად ამოსულთა სახით ხელთ აუდიტორია იგდო, შესაფერ მომენტს მიუდარაჯა და განაცხადა, - ეს სახლი წარმართობის ხანაშიც აქ იდგა... არა, იქნება, სხვა სახლი, მაგრამ ამავე საძირკველზეო!

სტუმრებმა არცთუ მზადყოფნით მიიღეს სახლის წარსულის ასეთი ვერსია. პაპა გორამ უთხრა, - სარდაფში ჩამომყევით, თავად ნახეთო. სტუმრები ზლაზვნით წამოიშალნენ. პაპა გაუძღვა. მეც ავეტორღიალე. პაპამ კარს გამოსწია, სარდაფში სინათლე შეიჭრა. გავძვერი, სულ წინა ადგილი დავიკავე. პაპამ რაღაცები გადაალაგა - ტახტისოდენა, ბრტყელი, კარგად გათლილ-დაქლესილი, სქელი ფილაქანი გამოჩნდა. თავში მუთაქასავით ამოზნექილი სასთუმალი ჰქონდა. ბოლოდან სამი მტკავლის მანძილზე, მონოლითში, მკლავის სიმსხო ვერტიკალური სოლი ერჭო, ხელისგულისდადება სიმაღლისა. სოლს თავში მსხვილი რგოლი ჰქონდა გაყრილი, საყურესავით ეკიდა. პაპამ თაროდან ქლიბი გადმოიღო, ერთი-ორჯერ სოლს გაუსვა, მერე რგოლსაც. განაქლიბი შუქზე ყვითლად აბზინდა.

- მიაქციეთ ყურადღება, - მიმართა პაპამ სტუმრებს. - ეს ბრტყელი ლოდი სარეცელია. აი, თავსასთუმალიც. ეს სოლი და რგოლი ბრინჯაოსია და არა სხვა რომელიმე ლითონისა. სარეცელი ბრინჯაოს ხანას ეკუთვნის, ცხადია. ამ სოლსა და რგოლზე ვიღაც ჯაჭვით უნდა ყოფილიყო დაბმული. ვინ? ნეტარი, რომელსაც ქადაგად ამზადებდნენ. სადმე ახლომახლო წარმართული სალოცავი და სამსხვერპლოც უნდა ვივარაუდოთ. აუშვებდნენ, ტაძარში მიიყვანდნენ, აქადაგებდნენ და ბოლოს თავის წარმართულ ღმერთებსა თუ ღვთაებებს შესწირავდნენ მსხვერპლად!

პაპამ ცოტა ხანს იყუჩა, სტუმრებს ფიქრი დააცადა და ხმადაბლა, თითქმის ჩურჩულით დასძინა:

- როგორი ძალა უნდა ჰქონოდა იმ რწმენას, რომ ორი-სამი ათასწლეულის შემთხვევითობებსა თუ კანონზომიერებებს გაუძლო და ჩვენამდე მოიტანა თავისი ყველაზე ტრაგიკული მხარე!

რა მომასვენებდა, სანამ ჩემი ასაკისთვის მისაწვდომად გავიგებდი პაპასგან - რა იყო წარმართობა, ნეტარი, ქადაგი, მსხვ-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ერპლად შეწირვა და მთელი ის რიტუალი. საკითხებს, რომელთა გარშემო ბევრი არაფერი იცოდა, პაპაჩემი, ვფიქრობ, გამონაგონით მიშუქებდა, მაგრამ მე მისი ყველაფერი მჯეროდა. სხვას თავი დავანებოთ, პაპა გორა ჩემთვის ის გმირი იყო, ვინც ქადაგის ამბამდე რამდენიმე დღით ადრე, იმ ხნის მოხუცი, უფროსებისა და, საკუთრივ, ჩემ თვალთწინ, გაუხედნავ კვიცს რწყილივით მოახტა და იქამდე აჭენა, სანამ საბოლოოდ არ დააოკა. პაპა გორამდე იმ კეთილშობილ ტაიჭზე შეჯდომა რამდენიმე ვაჟკაცმა სცადა, მათ შორის, ცხენოსანი ჯარის ოფიცერმაც. ვერ შესხდნენ. პაპა მაშინ სამოცი წლისა იყო - მოახტა და დაიოკა. ყველაფერს დავუჯერებდი, მაშ, როგორ?!.

მას მერე სარდაფში ყოველდღე, ხადახან დღეში ორჯერაც ჩავდიოდი და ფილაქანს დავცქეროდი. ერთხელ დავინახე კიდეც ნეტარი. მელოტი, ცარიელი ძვალი და ტყავი, სოლის რგოლზე იყო მიბმული, სახეზე ცეცხლისფერი, გაბანჯგვლული წვერ-ულვაში ეყარა და ნაკვერჩხლებივით თვალებს აბრიალებდა. გავიფიქრე, - ეშიება-მეთქი, პურის ნატეხი ჩამოვუტანე. მეორე ჩასვლაზე მიტანილი პური აღარ დამხვდა და ნეტარს მადლიერი თვალები ჰქონდა. ამით წახალისებულს რაიმე საჭმელი ყოველდღე ჩამქონდა. პურმარილს, რა თქმა უნდა, ჩვენი შინაური ცხოველები შეექცეოდნენ. ნეტარმა ერთხელ დაილაპარაკა კიდეც. სიტყვასიტყვით დავიხსომე: „წყლით უკვე იყო. ახლა ცეცხლით წაირღვნება!“ - გარკვევით სთქვა. გაუგებარია, იმ ერთიციქნა ღლაპმა ეს წინადადება რანაირად შევთხზი. შესაძლოა, უფროსების საუბრებში ყურმოკრული სიტყვებით შემიკოწიწდა. ერთ დღეს ნეტარი იქ აღარ დამხვდა. ფილაქანზე ვარცლი, მწნილისთვის გამზადებული კასრი და ქოთნები ელაგა. ღრიალი მოვრთე, - წაიყვანეს, მსხვერპლად უნდა შესწირონ-მეთქი!..

სავსე მთვარე იყო, აივნის მოაჯირთან ვიდექი. ცაზე ერთადერთი, თეთრი, ფაფუკი ღრუბლის ქულა აკრულიყო და მთვარე კაბადონზე მიცურავდა. ვერცხლისფრად იყო აელვარებული ცა, მიწაზე ბალახი, აშოლტილი მუხები, ტანწერწეტი ცაცხვები, ჭის თავზე ქოლგასავით გაშლილი ბებერი პანტა და აივანზე ამოფარდული უსურვაზი. ღრუბლიდან ფრინველი გამოფარფატდა - ისიც მოვერცხლისფრო და ვეება. კეთილი, ლამაზი ფრი-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ნველი იყო. მთვარეს გამოუდგა. ეს დავინახე და უნებლიეთ ხმ-ამაღლა, სიტყვებით დავიწყე იმის თხრობა, რასაც შევცქეროდი. ფრინველი მთვარეს თავგამოდებით მისდევდა, სულ უფრო უახლოვდებოდა. დაეწია, ზედ მივიდა, რაღაცნაირად შეიფრთხიალა, ის იყო, უნდა შემჯდარიყო კიდეც, რომ გაქრა... თუ შეჯდა და მერეღა გაუჩინარდა?!. სიტყვა პირზე შემაშრა, დავდუმდი. კარგა ხანი გავიდა, ბებოს ხმამ გამომაფხიზლა, მეკითხებოდა, - შეჯდა, თუ ვერაო? თურმე, სანამ ლაპარაკს დავიწყებდი, ბებო მანამდე მოსულიყო და ყველაფერი ეყურებოდა. შემეძლო, მეთქვა, რომ ვერ შეჯდა, მაგრამ იმის თქმის უფლებაც მქონდა, რომ შეჯდა. დავფიქრდი და მივუგე, - შეჯდა-მეთქი! ბებომ ხელზე ამიტაცა, მეფერებოდა, მკოცნიდა, სიხარულის ცრემლები სდიოდა... ასე მგონია, დაწევისა და შეჯდომის, მიზნის მიღწევის, საქმეთა აღსრულების ჟინი აქედან მომდევს. საკაცობრიოდ მნიშვნელოვანი არაფერი აღმისრულებია, მაგრამ ხსენებული ჟინი ჩემში ნამდვილად არის.

გოლიათი ამის შემდეგ იყო. ჩვენი აგარაკიდან კოჯრის ციხე პირდაპირი ხაზით, ასე, სამ კილომეტრზე იდგა. მთვარიან ღამეებში ის ამრეცი მთა და მის თავზე აღმართული სიმაგრე მწოლიარე გოლიათად მიმაჩნდა. დღისით კოჯრის ციხე იყო, ღამით - გოლიათი. ოჯახში ეს ცნობილი გახლდათ, - ეგონოს და იყოსო. გოლიათი მას მერე ამოვიჩემე, ბებომ რომ მასწავლა - „არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს!“.. სრულიად დარწმუნებული ვიყავი, რომ ჯაჭვებით იყო დაბმული. მკაფიოდ ვხედავდი მის ყველა კიდურსა და ნაკვთს, საჭურველს, მუზარადს, ჯაჭვებსა და მწამდა, რომ დასწყვეტდა და ადგებოდა. ასეც მოხდა. კუმეტი ღამე იყო, არაფერი ჩანდა, მაგრამ ფანჯრის რაფაზე შესკუპებული მაინც ჩემი გიგანტის მიმართულებით გავცქეროდი უკიდეგანო, ბნელ სივრცეს. ზებუნებრივი ძალით იელვა - ერთხელ, ორჯერ, სამჯერ ზედიზედ... გოლიათმა წამოიწია, ადგა, დაწყვეტილჯაჭვებიანი მკლავები და შეკრული მუშტები ნიშნისგებით გამოიშვირა და ამას ყურთამტეხი გრიალი და ელვის ცეცხლი ახლდა... რა თქმა უნდა, ავყვირდი, გოლიათი ადგა-მეთქი!..

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

იმ ზმანებამ დათრგუნვილის, მიძინებულის ზეზე წამომართვისა და კვლავ აღორძინების რწმენა შემძინა. ჩემი თავზე ხელაღებული ოპტიმიზმის სათავეც ის ზმანებაა.

იმ ხილვებში ერთი პატარა გოგოც ერია. სიცოცხლის მანძილზე მრავალგზის გამომეცხადა და ჩემ ხილვათა შორის ყველაზე სასიამოვნო იყო. ძალიან ლამაზი, საყვარელი, ოქროსთმიანი გოგონა გზად მოდიოდა, მის თავს ზემოთ დოლაბებს გაუდიოდათ ხრიალი. შარავანდს ჰგავდა და წისქვილის ქვები კი იყო. გავაჩერე, მაგრამ ერთმანეთს ვერაფერი გავაგონეთ, რადგან ბორბლების ხრიალში ათასნაირი ხმები ისმოდა - სამკვდრო-სასიცოცხლო ომების კიჟინი და ქოროთა საზეიმო ჰიმნები, მოთქმა და სიცილ-ხარხარი, ქარიშხლის გრგვინვა და ბალღის საამო ტიკტიკი... ისე გაისმოდა, როგორც წიაღიდან და აქვე, პირდაპირ ყურში - ხან როგორ და ხან რანაირად. გოგონა იდგა, თავისი ბდღვრიალა, ცისფერი თვალებით იღიმებოდა და დოლაბებს კი ხრიალი გაუდიოდათ. მერე ხმაური წამით შეწყდა, გოგონამ წარბი შეჰკრა, რამდენიმე სიტყვა მითხრა და გაქრა. აი, ის სიტყვები: - ჩემთან იარე, მომყევი. თუ მოინდომო - გამასწარი. არ დამტოვო, თორემ აითქვიფები!.. ნინო[29] მქვია, მახსენე ხოლმე...

თავად გაქრა და მასთან ერთად გზაც გაუჩინარდა. გარს უდაბნო მერტყა და არაფერი გამეგებოდა, საით მევლო...

იმ გოგონამ სიცოცხლის მანძილზე ბევრჯერ მასწავლა სწორი სავალი. თავად კი არა, დოლაბების ხრიალში მესმოდა ხოლმე.

ერთხელ ასეთი რამ მეზმანა: ზამთარი იდგა, ბნელოდა, რკინიგზის შპალებზე მივაბიჯებდი. იმხანად ერთადერთხელ მქონდა ნანახი ლიანდაგი. ზურგში ცივი ქარი მიბერავდა, გათოშილი ვიყავი. მატარებლის გრიალი შემომესმა. ლიანდაგიდან გადასვლა დავაპირე. ფეხი არ დამემორჩილა, ვერც მარჯვნივ გადავედი, ვერც მარცხნივ. სირბილით ვსინჯე - არაფერი გამოვიდა, რელსები მხუთავდნენ, მატარებელი მიახლოვდებოდა... აი, დამეწევა, გამსრესს... აზრი მეწვია, დავწოლილიყავი. პირქვე დავემხე. ტანში ლითონის სიცივემ დამიარა და ლიანდაგზე განრთხმულ ხელ-ფეხში ფოლადის სიმტკიცე ეიგრძენი, რელსებად ვიქეცი. ეს ისე ცხადი იყო, რომ რელსის სამაგრი ღოჯების მკვიდრ ჩაჭიდებასაც კი განვიცდიდი. შემადგენლობა მოიჭრა, გა-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

დამიარა, წაგრიალდა... უვნებელი ავდექი, მაგრამ უკვე ღრმად მოხუცებული, თითქმის დავრდომილი კაცი ვიყავი. სხეული და ქანცულობისგან ყიოდა და ეს ყივილი ყურით მესმოდა.

მაინც სიხარულმა ამიტაცა - ცოცხალი დავრჩი!

პაპას ვუამბე. დაფიქრდა და ჩაილაპარაკა:

- ცუდ დროს დაიბადე. შენც ჩემსავით... და ბევრივით გადაგ-ივლის ცხოვრება.

მგონია, სწორი დასკვნა გამოიტანა!

ჩანძოლინი?.. ბებომ ეკლესიაში წამიყვანა. იქიდან პუშკინ-ის ქუჩაზე გამოვედით, ტრამვაიში უნდა ჩავმსხდარიყავით. აი, მაშინ პირველად ვნახე მონგოლოიდის თვალებიანი ადამიანი - ცოცხალი, თორემ ყავის სერვიზი გვქონდა, ზედ სულ ჩინელები ეხატა, ქალებიცა და კაცებიც... ჩვენ ზურგს უკან კედელთან, იქვე, ორიოდ ნაბიჯზე, ორთავ მკლავზე მარგალიტებჩამოკიდე-ბული ჩინელი იდგა. პატარა ტანისა იყო, ჩია. პირღია შევცქერ-ოდი მოწკურულ უპეებში. გამიღიმა კიდეც, მაგრამ მერე ისევ შეჰკრა წარბი და თავის საფიქრალს მიჰყვა - ჩემი მაშინდელი შთაბეჭდილებით უაღრესად ღრმასა და რთულ საფიქრალს. და-ახლოებით, ერთი წლის თავზე ჩვენი სახლის სადარბაზოში და-მხვდა ის ჩინელი. კიბის საფეხურზე იჯდა, მელოდა, მუსიკის გაკვეთილიდან როდის დავბრუნდებოდი. ძველი ნაცნობებივით მივესალმეთ ერთმანეთს.

- მძივები? - ვკითხე მე.

- დღეს ბევრი ფიქრი მქონდა. ზოგი ყალბი, ზოგი ნამდვილი. თითო თვალი თითო ფიქრია. დამეხარჯა. მოვალ ხოლმე, ფიქრს გასწავლი! მე ჩანძოლინი ვარ...

ამით გასრულდა ჩვენი პაემანი. ეს გვარი, ალბათ, ყურმოკრ-ული მქონდა. იმ პერიოდში ჩინეთში დიდი არეულობა იყო, უფ-როსები გაზეთებში კითხულობდნენ: ჩანკაიში, ჩანსუელიანი, ჩანძოლინი, აღმოსავლეთ ჩინეთის რკინიგზა და ამ თემაზე საუ-ბრობდნენ ხოლმე...

ჩემმა ზმანებებმა მთელი ოჯახი იმდენად სერიოზულ საგონ-ებელში ჩააგდო, რომ ბებომ წინადადება წამოაყენა, ფუხაანთ ბაბალემ[30] კარგი შელოცვა იცისო! მშობლები კინაღამ დათანხ-მდნენ. ჩემს შემთხვევაში გახდებოდა რასმე თუ ვერა - ძნელი

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

სათქმელია, მაგრამ ერთ ახალგაზრდა ქალს ხუთ წელს ფეხმძიმობა რომ აღარ ეღირსა, ფუხაანთ ბაბალემ მოზრდილი კათხა ნავთი დაალევინა და ბავშვიც გააჩენინა. კარგად მოიქცნენ, რომ არ შემილოცეს. მე იმ ზმანებებსა და მოლანდებებში მშვენიერ დროს ვატარებდი. ჩემს მშობლებს პროფესორებმა უთხრეს, - ეგენი ჩხრეკის ღამის შედეგიაო. თუ მართლა ასეა, მაშინ ბიძაჩემმა შალვამ, იმ მჩხრეკავებმა და ერთ-ერთი მათგანის კაუჭიანმა დანამ დიდი სამსახური გამიწიეს - ფანტაზია განმივითარეს. ჯერ თავრეტდამსხმელი ტყუილების თქმა ვისწავლე და მერე კი, როცა მივხვდი, რომ სიცრუე სიმხდალეა, ათასნაირი სიუჟეტის გამოგონება და მათ სამყაროში დროსტარება დამჩემდა. ამან გულის დარდები ბევრჯერ გადამყარა, წუწუნი მომაშლევინა, ღიმილი მომანიჭა.

გმადლობ, ბიძაჩემო! თქვენც უღრმესი მადლობა, ამხანაგო ჩეკისტებო!..

ეს რამხელა აღმართია! ნუთუ ისე სწრაფად ვიარე, რომ წყაროებსაც მალე მივადგები? კალაპოტი უცბად დავიწროვდა, მდინარის რომელიმე შენაკადს ხომ არ მივყვები? თუმცა, არც მდინარე იყო საშუალო ღელეზე დიდი. ეჭვს ეს აღმართიც იწვევს. შეუძლებელია, ასე მალე მივდგომოდი გორაკებიან რელიეფს, მაგრამ ისიც დასაშვებია, ხეობისა და კალაპოტის ჩემს ხელთ არსებული აღწერილობა არ იყოს სწორი... ადგილსამყოფლის დაზუსტებაა საჭირო.

გორამ ამჯერად დიდი ნაბუქი იპოვნა, ვრცელი ბუნაგი გათხარა. შეძვრა, ერთხანს იჯდა, ფიქრობდა. ცოტა დასთბა კიდეც. ნიღაბი და სათვალე მოიხსნა, საქმეს შეუდგა. კომპასის ისარი გადარეულივით დახტოდა. გარეთ გაძვრა, ცას აჰხედა. ქარბუქის წამოძგერებებს შორის შუალედებში ვარსკვლავიანი კაბადონი მოჩანდა ხოლმე, მაგრამ ეს პაუზები იმდენად მცირე იყო, რომ დაკვირვება და, მით უმეტეს, სექსტანტის გამოყენება ვერ მოხერხდებოდა. ბუნაგში შებრუნდა, შეფიქრიანდა.

ადგილმდებარეობის დაზუსტება მომეხერხებინა კიდეც, რას მიშველიდა! ღელე გველივით იკლაკნება, ხან სამხრეთისკენ მი-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მაჭენებს, ხან დასავლეთისკენ... კომპასი გინდ მქონია, გინდ - არა. სულაც ჩრდილოეთისკენ ხომ არ მივდივარ? ეჰ, „მარტო კაცი ჭამაშიაც ბრალიაო“... მთელი სიცოცხლის მანძილზე მარტო ხარ. ეხლა აღმოაჩინე?.. როგორთუ - მარტო! განა როდისმე სიყვარული, აღიარება და პატივისცემა მომკლებია?.. ეგ სხვა რამეა. ყური მიგდე. აი, ოჯახში ცოლ-ქმარს შორის როგორ არის? რომელიმე პასიურია, მეორე - აქტიური. პირველობას აქტიური კისრულობს, საქმეს თავის თავზე იღებს და ოჯახის სხვა წევრებს, დროთა ვითარებაში, წარმოდგენა ექმნებათ, თითქოს ასეც უნდა იყოს. იმ აქტიურს ხომ ყველაფერი ხელეწიფება, გადაულახავი მისთვის არაფერია და არც როდისმე რაიმე უჭირს! აქტიურს ისღა დარჩენია, ჭაპანი ზიდოს - ეს მისი მონაპოვარია. განა შენი ახლობლები და მეგობრები, თუკი გასაჭირს გაუზიარებდი, მხარში არ ამოგიდგებოდნენ? ეგ არის, თავად გეთაკილებოდა გამხელა, როცა გიჭირდა... მართალი ხარ, მეთაკილებოდა!.. მარტო ხარ? არა! შენზე ამ წუთშიც ფიქრობენ, სწუხან, მზად არიან, გიშველონ, მაგრამ თავად ირჩევ ხოლმე პოზიციას, სადაც მხარში ამოდგომა არ გესაჭიროება ან შეუძლებელია. გორავ, შენ გიყვარს მარტოკაცობა!.. ჩვენ ხომ ვიცით, რატომ ვარ მარტოხელი. დედის სიკვდილის შემდეგ, უფლება არ მქონდა, მარტო არ ვყოფილიყავი. ჩემი გულისთვის დაიღუპა. ეჰ, რა ვიცი, აბა?! არ მიყვარს მარტოობა, მაგრამ... არც ეხლა ვარ მარტო, მიტილენიჩი ჩემთან არ არის? ხა, ხაა!.. მოიცა, მდინარე სამხრეთ-დასავლეთიდან მოდის. როგორც უნდა დაიკლაკნოს, მეც სამხრეთ-დასავლეთისკენ მივდივარ. სწორედ რომ ასეა საჭირო! ერთადერთი საშიშროებაა, ცხელ წყაროებსა და გლაციოლოგების ქოხს არ ავცდე. ავცდე და ავცდე - ბუნაგი და მაგის ჯანი! მთავარია, წყალგამყოფი გადავლახო, ენისეის დაბლობს, ანუ დევნის არეს გადავცდე... გორავ, ყველაფერი რიგზეა, ვიაროთ!.. შენ კიდევ, მარტოობაო, ესაო, ისაო... საცოდავი შილინი! აი, ვინ იყო მარტო... თავისი ოჯახისა თუ წარმომავლობისა არასოდეს რამე უთქვამს. მივხვდი, ოცდაჩვიდმეტში ფესვიანად მოთხრილი დიდი ჩეკისტის შვილი იყო. დედამამა - დახვრეტილი, მოხუცი ბებო - თავშესაფარში, თავად შილინი,[31] შვიდი თუ რვა წლისა - საბავშვო სახლში. გაიპარა, იწ-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ანწალა, მოშივდა, მოიპარა და მას მერე: *„Бутырка, я твой бессменный арестант, погибли юность и талант в стенах твоих...“* ნაკითხი კაცი იყო, ბავშვობიდანვე ცოდნის შეძენისკენ მიდრეკილი გონება ციხემ წაღმა ვერ წაუბრუნა. შილინი იყო? ღმერთმა იცის, რამდენი „ონ-ჟე“ ჰქონდა! ჭლექი სჭირდა, ლაზარეთიდან შემომითვალა, - მნახეო. მივედი, ვნახე. საცოდავი, ცარიელა ტყავიღა იყო, ძლივს სუნთქავდა. მთხოვა, - ციხეში სიკვდილი არ მინდა, პატიმრობის ვადა ზეგ მითავდება, მაგრამ სიცხიანს არ გამათავისუფლებენ. ჩემი ექიმი შენი ძმაკაცია. სთხოვე, სამ-ოთხ დღეს სიცხე ნორმალური ჩამიწეროს, გავალ და... — გავამხნევე, - რას ამბობ, ღმერთია მოწყალე, რა დროის შენი სიკვდილია-მეთქი, მაგრამ თხოვნა მეც შევუსრულე და ექიმმაც. ღია ბარათზე ჩვენი ბანაკის, ანუ ჩემი მისამართი დავწერე, გათავისუფლების წინ ბარგში ჩავუდე, - საიდანმე ორიოდე სიტყვა მომწერე-მეთქი. წავიდა. ბარე სამი თვის შემდეგ დამიბრუნდა ღია ბარათი. კოხტა ხელით ეწერა, - ეს ღია ბარათი ამ კაცის ბარგში ვიპოვნე. ვფიქრობ, მისი ბედი გაინტერესებთ. ამა და ამ დღეს ჩვენს საავადმყოფოში გარდაიცვალაო! აი, ვინ იყო მარტო. ჩვენ მარტო არა ვართ, მე და შენ ერთად მივდივართ, ორნი - გორა და გორა! დანარჩენი, რელსზე როცა დავსხდებით, იქა ვთქვათ, წავედით!

გორას ვარაუდით, თუ დღე-ღამეში ოცდაჩვიდმეტი კილომეტრის სიჩქარით ივლიდა, ცხელ წყაროებამდე მესამე დღე-ღამის პირველ საათებში უნდა მიეღწია. ეს ერთობ დამქანცველი პროგრამა პირველ ორ დღე-ღამეზე ვრცელდებოდა და გაქცევის ადგილიდან სამოცდათხუთმეტი კილომეტრით მოწყვეტას ითვალისწინებდა, ანუ იმ მანძილით, როცა, გორას აზრით, მდევარი დაწევის იმედებზე ხელს აიღებდა. ქვეცნობიერება ჰკარნახობდა, რომ ასეთ ამინდში მისი დევნა ვერ განხორციელდებოდა, მაგრამ დასახული გეგმის შეცვლა გორას აზრადაც არ მოსვლია. გამოძინების შემდეგ, თითქმის, თერთმეტი საათი იარა, გრაფიკით დიდი ნაბუქი უნდა ეპოვნა და ისევ ექვსსაათიან ძილს მისცემოდა. დაღლილობამ ჭია შეუჩინა, - იქნება, ეხლავე წაძინება სჯობდესო, და სწორედ ამ დროს გზად დიდი ნაბუქი შემო-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ეყარა. წამით შეჩერდა, თვალი შეავლო, უთხრა, - საყვარელო, ძვირფასო, ვინ იცის, შენისთანა აღარც შემხვდესო, და სიარული განაგრძო. ორასი, სამასი ნაბიჯი გაიარა. ოფლი იგრძნო, აღმართი მატულობდა, ციგა მძიმდებოდა. კიდევ იარა, დრო გაიყვანა, საშუალო ნაბუქი შეხვდა, ბუდე მოიწყო და შეჯდა. სუნთქვა დაიშოშმინა, ნიღაბი გამოიცვალა, თვალები მილულა, თვლემას მიეცა. ხუთი, ექვსი წუთი გავიდა, თვალები აახილა, ისევ ფიქრს მიჰყვა.

ვარაუდით, უკვე ცხელი წყაროების რაიონში ვარ. ქოხის თვალით დანახვა, თითქმის, გამორიცხულია, ბნელა. გოგირდოვანი წყალი ას გრადუსამდეაო, გოგირდით ნაჯერობამდე მდიდარიო. ესე იგი, სიმყრალეს საკმაო მანძილზე უნდა ავრცელებდეს. მაინც რა მანძილზე იქნება შესაძლებელი იმ სპეციფიკური სუნის შეგრძნება?.. თბილისში გოგირდის აბანოების სუნი რამსიშორეზე იგრძნობოდა?.. თან ვიაროთ... სიონის ტაძართან, სამასი მეტრის მანძილზე სუნი ნალდად იყო. აქაური უფრო მყრალია... ვაითუ იყინება, მაშინ რაღა სუნს აუშვებს, ჰა? რთულდება საქმე. ახლა ქოხისა ვთქვათ. პარამეტრები: სამმეტრ-ნახევარი ორ მეტრზე. სიმაღლე ორი მეტრი აქვს. სახურავი - ოდნავ დახრილი, თუნუქისა. ერთი კარი, ერთი სარკმელი. ორ პატარა ბორცვზე მსხვილი მორებია გადებული, ქოხი იმ მორებზე დგას. ბორცვებს შორის, ანუ ქოხის იატაკქვეშ, გეიზერი ფეთქავს. მორებიცა და ქოხიც ვერტმფრენით მოიტანეს... შორიდან უზიდიათ, აქედან ტყეებამდე ბარე ხუთასი კილომეტრია... ჯერ მორები მოუტანიათ, საიმედოდ გაუდვიათ. მერე ქოხი მოაფრინეს და იმ მორებზე დააბრძანეს. ახლა, რათა? რათა და, მდუღარე წყალი ქოხის ქვეშ ამოდის!.. მაგარი მიგნებაა, გონივრული. ქოხს ქვედატანი აცვია, მხოლოდ ერთი ღრუ აქვს დატოვებული, რომ გეიზერის წყალმა იაროს. გამოდის, ქოხის ქვეშ ცხელი წყლის ავზია. ხე, მართალია, ერთობ ცუდი თბოგამტარია, მაგრამ როდისმე ხომ გათბებოდა?!. ერთი სიტყვით, გაგრა და ქობულეთი ტუნდრაში, გორა-ბატონო... გოგირდით აყროლებული!.. მე იქ დასახლებას არ ვაპირებ. დავისვენებ, ბებერ ძვლებს შევითბობ, დავნაყრდები... ჰო, ჩანთის თასმებს დავავიწროებ... შენი

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მდევარი ყაზარმიდან ჯერაც არ გამოსულა, ნაღდია. შეგიძლია ათ, თორმეტსაათიან განცხრომას მიეცე... კი, მე მაგათთვის ამ-ბავი არ დამიტოვებია, საით წავიდოდი. რაღა ამ მიმართულებ-ით წამოვლენ? ასეა თუ ისე, ჯერჯერობით მიზეზი არ არსებობ-ს, რომ გეგმას გადავუხვიო... ექვსსაათიანი დასვენება, მერე სიარული და ქოხის ძებნა... ციგა როგორ დამძიმდა, კაცო!.. ალ-ექსანდრე პაპავას, სულგანათლებულს, - ოთხმოცდახუთისა იყო, - ნათამადარს, ქეიფის შემდეგ ვკითხე, - ჯანზე როგორა ხარ-მეთქი? ჩაიცინა, - ძალიან კარგად, მაგრამ ამ ბოლო დროს, რატომღაც, ღვინოს სიმაგრე მოემატაო! ციგა აღმართმა დაამძ-იმა, ბატონო... აღმართები იმის ნიშანი ხომ არ არის, რომ ცხელ წყაროებს ვუახლოვდებით?.. წყაროები ხევში ჩადიან, მდინარე იწყება... რა იცი, ეს ის ხევია?.. თუ წყალს გოგირდის გემო აქ-ვს, ის არის, გავთხაროთ, ქვევიდან მოტეხილ ყინულს გემო გა-ვუსინჯოთ?.. გენიალური წინადადებაა... სულსწრაფი ნუ ხარ, ეგ ნაჭერი ზედაპირისაა. ღრმად, ღრმად ჩადი... კაცო, ძალ-ღო-ნის ზედმეტი ხარჯი რა საჭიროა? არ ექნება გოგირდის გემო და უფრო ღრმად ჩავალ... მიდი, თხარე, ნუ ფილოსოფოსობ-მეთ-ქი!.. არა, უნდა გავსინჯო, სული მძლევს... რაკი აგიხირებია!..

გორამ თათმანი გაიძრო, ყინული პირში ჩაიდო, გემო მოუს-ინჯა და ხმითა სთქვა:

- რა გემრიელი რამე ყოფილხარ, გოგირდიანო წყალო! შენ გენაცვალე, შენა!..

ეხლა საქმე ის არის, ქოხამდე რამდენი ხნის სავალია... გვი-ნდა მორიგი ექვსსაათიანი ძილი, თუ ვიაროთ, სანამ ქოხს მივა-დგებით?.. ოცდათხუთმეტი წუთის შემდეგ გვერგება ძილი. რო-გორ მოვიქცეთ?.. ვიაროთ! თუ ამ ოცდათხუთმეტ წუთში ქოხი ვნახეთ, ხომ კეთილი და პატიოსანი. თუ ვერა - სამი მეტრიც რომ გვრჩებოდეს - ბუნაგი და მაგის ჯანი... აღმართმაც, თითქ-ოს იკლო. ზეგანს ხომ არ მივაღწიეთ, გორაკ?..

ნახევარი საათი არ იყო გასული, გორა ქოხის კართან იდგა. კარს რაზა ედო. უჩხიკინა, ერთი-ორჯერ ნიჩბის ტარიც ჩაჰკრა.

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

რაზა დანებდა, კარი გაიღო. ქოხში ბნელოდა, ფარნის ჭავლი მოატარა, შევიდა. ციგა შეითრია, კარი ღია დატოვა, რომ გოგირდის სუნი გასულიყო. პურგის ორიოდე შემოქროლება საკმარისი აღმოჩნდა, ჰაერი გაიწმინდა. კარი შემოიხურა, ჩარაზა, იქაურობა მოათვალიერა. ფიცრის მაგიდაზე ნავთის ხელფარანი იდგა. შეანჯღრია, ნავთმა დაიბუყბუყა. ასანთი ამოიღო, ფარანი აანთო.

კართან აზბესტით მოჭედილი კუთხე დიზსაწვავის ღუმელს ეკავა. მაგიდასთან განიერი ტახტი იდგა, ორი ადამიანის საწოლი. სხვა არაფერი ჩანდა. ჩამოჯდა, ერთხანს ფარნის ალს უყურა. მერე ჩანთა იატაკზე დადო, ქარგაუმტარი ბალახონი ტახტზე გაშალა. ბეწვის ტანისამოსიც ტახტზე დააგო, უნტებით თავსასთუმალი მოიწყო და წამოწვა. ამდენი ბრძოლითა და თავის თავზე ძალადობით განაწამებმა სხეულმა შვება იგრძნო, გორამ ჩასთვლიმა.

ქოხში ნამდვილი სითბო იყო. გარეთ გრიგალი მძვინვარებდა და მთვლემარეს მოეჩვენა, რომ გასული ორი დღე-ღამე მის ცხოვრებაში არასოდეს ყოფილა.

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

კარი მეორე

მიტილენიჩი ფიქრობდა. წინა ღამეს ცოლთან ნაწვალები ან ზომაზე მეტად ნასვამი როცა იყო, ასეთი ფიქრის დროს კიდეც წასთვლემდა ხოლმე. ამ დილას წუხანდელი ნასვამიც იყო, ნაწვალებიც, მაგრამ თვლემა არ გაჰკარებია, რადგან ასე სერიოზული საფიქრალი ცხოვრებაში პირველად ჰქონდა. ყველაფერს თავი დავანებოთ, თათბირისთვის თექვსმეტ საათზე კარგარეთლის გაქცევის გამო საკუთარი აზრი მკაფიოდ, საბოლოოდ არჩეული გეგმის სახით უნდა მოეხსენებინა.

- ვინმემ რომ იცოდეს, რაზე ვფიქრობ, ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მიკრავდნენ თავს... მეორე მხრივ, ფაქტებს ვერსად გაექცევი!.. ნეტავი, რა შუაშია ვილაც ნაძირალების პოვნა-აყვანები?! ცოლები იმიტომ გამირბიან, რომ ვპირდები ხოლმე, - ცოტა ხანს პერიფერიაზე ვიმუშავებთ, მერე ცენტრისკენ გადავბარგდებით და ადამიანურად ვიცხოვრებთ-მეთქი. მაშ, რა მექნა, ვპირდებოდი. ყველა ყველას რაღაცას ჰპირდება... პოლიტიკაშიც ასე არ არის? დაჰპირდებიან ხალხს, - ასე და ასე იქნებაო! ვინც სხვაზე ჭკვიანია, მიხვდება, რომ დანაპირების აღსრულებაზე არავინ ფიქრობს, აღარა სჯერა და გარბის... გარბის კი არა, იმ დამპირებელსა და პირის გამტეხს მოკვლასაც კი უპირებს. აგერ, მარტო ჩემს თვალწინ რამდენმა გაიარა, ბელადს მოკვლას რომ უპირებდნენ... კარგი ერთი, მოკვლას კი არა და... აბა, ის ხალხი უდანაშაულოდ იჯდა?.. ჰო, ჰო, უდანაშაულოდ ჯერაც არავინ მჯდარა! ლოთმა კოლკა ტარანკოვმა[22] ლუდხანაში სთქვა, - ეგ თქვენი ბელადი წამახულ მარგილზე გასმული

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მენახოსო! ტერორისტული განზრახვა, ოცდახუთი წელი! სასამართლოზე უარჰყოფდა, - მარგილს ჰორიზონტალურ მდგომარეობაში ვგულისხმობდი, „წამახული“ დამბეზღებელმა დაუმატაო. არ დაუჯერეს, ოცდახუთი... არა, ისე, საინტერესო სანახავი იქნებოდა: ბელადი ჰორიზონტალურად გადებულ მარგილზე ზის, აქეთ-იქით იყურება და მოკლე ფეხებს აქანავებს... რაებს ლაპარაკობ, მიტილენიჩ! იმ ტარანკოვს მეტი კი არაფერი უთქვამს... რა იყო, შე კაი კაცო, ჰორიზონტალური ვთქვი, ვერტიკალური და წამახული ხომ არ მითქვამს? ასეა თუ ისე, თავად ბელადს ხომ სჯეროდა, რომ მისი მოკვლა ყოველ მესამე მოქალაქეს სწყუროდა? სჯეროდა, თორემ ტარანკოვები საიდანღა მესტუმრებოდნენ? იმიტომ სჯეროდა, რომ იცოდა, დანაპირები არავის შეუსრულა და ვერც როდისმე შეუსრულებდა. იჭერდა და - ტომარაში! რახან ტომარაში ჰყავდა, ილუზიაც ჰქონდა, - ეხლა ველარ მომკლავენო. ილუზია, რომ ველარ მოკლავდნენ, იმ ილუზიის შედეგი იყო, თითქოს მისი მოკვლა მის ყოველ მოქალაქეს სწყუროდა. ერთი სიტყვით, ილუზიების სამყაროში ცხოვრობდა... მიტილენიჩ, იმ ილუზიების ტყვეობაში არ აღმოჩნდე, რომ ცოლებს გადასაკარგავში ცხოვრება ბეზრდებოდათ და ამიტომ გაგირბოდნენ, თორემ ამ ილუზიას შეიძლება მოჰყვეს ის ილუზია, რომ მამაძაღლი კარგარეთლის აყვანის შედეგად ცოლის გაქცევა აღარ მოხდება... რაღაც ბევრი „ილუზია“ გამოგდის. იმდენია, რომ შეიძლება, დაიბნე კიდეც... ამიტომ, მიტილენიჩ, მოკლედ და მკაფიოდ: მივდევ, მაგრამ არ ვიჭერ! ვაცალოთ, თუ სამხრეთისკენ იელის, თავად მოკვდეს. თუ ენისეიზე წავა, ნავიგაციამდე როგორ ვერ უნდა ავიყვანო?!. არა, ოპერსამსახური აიყვანს, მე - არა. ახლა უკიდურესობას მივმართოთ: სამხრეთისკენ წავიდა, კვალი დავკარგე და ამიტომ ოპერჯგუფების ჩასასაფრებელი ადგილები ვერ დავადგინე. წავიდა და წავიდა?.. განა მოსალოდნელია, ორი ათასი კილომეტრის ულრანზე სიარულს გაუძლოს და საღ-სალამათი სამშვიდობოს გავიდეს?.. კაცს გააჩნია, რა ვიცით? თითქოს, ყველაფერი ვიცი. მოიყვანეს თუ არა - მარბენალი იყო - მაგის საქმეს მაშინვე გავეცანი, ეს სქელი ტომი მაგიდაზე ბარე ერთი კვირა მედო... პირად-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ადაც ვნახე... იქნება, რაიმეს ყურადღება არ მივაქციე ან გამომრჩა თუ დამავიწყდა, ჰა? კაი ხანია გასული. მოდი, კიდევ ვნახოთ, რას წარმოადგენს ბატონი კარგარეთელი.

მიტილენიჩს დრო სამი საათი ჰქონდა. ყველაფერი მოასწრო, ფიქრის დროც კი დარჩა. პირველი ჩხრეკის ოქმიდან დაწყებული, ბოლო განაჩენითა და ეტაპირების საბუთებით გათავებული, ქალალდი არ დაუტოვებია ხელმეორედ შეუსწავლელი. საკნიდან დაკითხვებზე გაყვანისა და დაბრუნების ყველა ორდერი ჩაათვალიერა, რომ გამომძიებლების კაბინეტებში ყოფნის ხანგრძლივობა დაედგინა. ეს იაგორ კარგარეთლის სიჯიუტესა და ნებისყოფაზე წარმოდგენის შესაქმნელად იყო საჭირო. წინა სამი გაქცევის მასალები რამდენიმეჯერ გადაიკითხა, ანკეტურ მონაცემებსა და ბიოგრაფიას უკირკიტა. ამოსაცნობ ნიშნებში ნახა, ქუსლი ნორმალურზე მეტად ორი სანტიმეტრით გრძელი აქვსო, ანუ გამოშვერილიო, და ამაზეც კარგა ხანს შეჩერდა, - ნეტავი, როგორია ის ქუსლიო? შენიშვნებს იწერდა. მერე კარადიდან კარგარეთლის პირადი ბარათი გამოიღო, შენიშვნები ბარათში შეიტანა, ყველაფერი თავ-თავის ადგილას დააბინავა და მაგიდას მიუჯდა.

- ღმერთო ჩემო, რას არ გაიგონებს ადამიანი! რაღაც ხუთიოდე წელი. რეაბილიტირებულია, ნასამართლობები მოხსნილი აქვს. ამდენად, ეს ნასამართლობა პირველია. პრაქტიკულად - ოთხი წელიწადი უნდა მჯდარიყო, მეტი არა. რატომ გაიქცა? პოლარული ღამე, ტუნდრა, პურგა... ბანაკში საქმეები აეწეწა? ასეთი ცნობები ოპერრწმუნებულს არ გააჩნია. ან რა უნდა ასწეწოდა? გამოცდილი პატიმარი, ისიც ამ ხნოვანებისა, საშარო საქმეებში ჩაერევა?.. სულაც რისთვის იჯდა!.. არა, ამ უბადრუკი ბრალდების პატრონი მაინც რამ გააქცია, ჰა?! აქ რაღაც არის, მიტილენიჩ, აქ რაღაც არის... ხომ შეიძლება, ღრმად კონსპირირებული აგენტია, მხილების საშიშროების ცნობა მიიღო, სიცოცხლის შესანარჩუნებლად უკიდურეს რისკს მიმართა, თავზე ხელი აიღო და გაიქცა?! ყურადსაღები ვარიანტია, ფრიად შესაძლებელი. არც ის არის გამორიცხული, რომ სულით ავადმყოფია, გაქცევის მანიაკური მოთხოვნილება აწვალებს. ხომ არიან ასეთებიც. ყოველივე ამას ფიქრი უნდა, მაგარი ფიქრი.

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ღრმად უნდა შევისწავლო. მარბენალს საფუძვლიანად თუ არ იცნობ, ვერ დაიჭერ, წაგივა... კარგი, ახლა იმაზე ვიფიქროთ, თათბირს როგორ და რა მოვახსენო, დაწყებამდე ნახევარი საათიღა დარჩა.

მიტილენიჩი თავისი მომავალი სიტყვისა თუ მსჯელობის თეზისების ჩამოყალიბებას შეუდგა. უჩხიკინა, ჩანიშნულ საკითხებს ადგილები შეუცვალა, რომ სათქმელი თანმიმდევრული, კრიტიკისგან, შეძლებისდაგვარად, შეუვალი ყოფილიყო. მორჩა, გადაათეთრა და დაურეკეს კიდეც, - მოსვლის დროაო.

თათბირის პირველი ორი საათი ბანაკის ხელმძღვანელობის ახსნა-განმარტებების მოსმენასა და მათ ტუქსვა-ლანძღვას მოუნდა. ეს ნაწილი იმით დამთავრდა, რომ სამმართველოს უფროსმა ღაჟღაჟა გენერალმა, თათბირს განუცხადა, - ადმინისტრაციის მიმართ უმკაცრესი ზომები იქნება მიღებულიო, — და მიტილენიჩს თავი აუქნია, - რას იტყვითო?

მიტილენიჩმა ჯერ გაქცეული პატიმრის ფსიქოლოგიური პორტრეტი მოხაზა და დასძინა, რომ ამ მხრივ, კიდევ მრავალი რამ იყო დასაზუსტებელი, - ოპერსამსახურმა აგენტურულ ცნობებს უნდა მოუყაროს თავი. იქნება, ახალი და საგულისხმო რამ დავადგინოთ, რომ ძებნა გაგვიადვილდესო. შემდეგ თათბირს თავისი მოსაზრებები მოახსენა იმაზე, თუ გაქცეულს, სახელდობრ, როგორი გეზი უნდა აერჩია. სადღეისო კონკრეტულ ღონისძიებებზე ასეთი აზრი გამოსთქვა:

- გაქცეული თუ სადმე ახლომახლოა მიყუჟული და ისე მოხერხებულადაც, რომ გაყინვას გადაურჩა, ამინდის დაწყნარებისთანავე დაიწყებს სიარულს, მაგრამ ჩვენ არავითარი შესაძლებლობა არ გაგვაჩნია, კვალს მივყვეთ და ავიყვანოთ. ერთი, რომ პოლარული ღამეა და მეორე - მის კვალს პურგა დაფარავს. კარგარეთელი ამ მომენტისთვის, დაახლოებით, სამოცდაათი საათის წასულია. თუ იგი ამ ამინდში სასიარულოდ მომზადებულია და მან ეს ფიზიკურად შესძლო, დარწმუნებული ვარ, იგი ბანაკს, სულ ცოტა, ასი კილომეტრითაა დაშორებული. უკვე მოგახსენეთ, პოლარული ღამის პირობებში კვალს ვერ დავადგებით, თუ შემთხვევამ არ გვიშველა. რა რჩება? გამოიდარებს თუ არა, ბანაკიდან თხუთმეტი, ოცი კილომეტრის რადიუსში

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

დაძებნა უნდა მოვახდინოთ. თუ ვერ ვიპოვნეთ, მაშინ დღის სინათლეს, ანუ გამოზაფხულებას უნდა დაველოდოთ და ავიაციის გამოყენება ვცადოთ. ბოლოს, პირადად მე არა მგონია, რომ მისი დევნა, საერთოდ, მიზანშეწონილი იყოს. გამოზაფხულდება და დაახლოებით მაინც გაცნობებთ, რომელ რაიონში ვიპოვნით მის გვამს.

მიტილენიჩის მოსაზრებათა წინააღმდეგ ღაჟღაჟა გენერალმაც კი ვერაფერი სთქვა, - ოპერსამსახურმა ენისეის კორდონებზე ყურადღება გაამახვილოსო, - ესღა შენიშნა და თათბირი დამთავრდა.

მიტილენიჩი შინისკენ მიდიოდა და ფიქრობდა:

- კარგარეთლის გაქცევის მიზანი თუ მოტივი როგორიც უნდა იყოს, ეგ იმ ტიპის გამქცევია, რომელიც იმისთვის გარბის, რომ იცოცხლოს. აქედან, ასეთ გაქცევას ძალიან სერიოზული, ყოველმხრივ გააზრებული მომზადება სჭირდება. ეს მთელი ექსპედიციაა. ცხადია, იგი დიდხანს ემზადებოდა, ესე იგი, გაქცევის ყველაზე საშიში, თითქმის უიმედო ფორმა აირჩია... აირჩია კი არა, იძულებული იყო, სხვა ვარიანტი არ ჰქონდა. თუ იმ ვერსიას მივიღებთ, რომ სიცოცხლისთვის გარბოდა, მაშინ მზადებაც დიდი ხნის მანძილზე დასჭირდა და საზედამხედველო სამსახურმა რატომ ვერაფერი შენიშნა? იდიოტები!.. აჰა, ეხლა სდიე. მიდის, პურგა ნაკვალევს უშლის... პურგაში სწორედ მაგიტომ წავიდა, თორემ იმ კოლექტორის ჭიდან გაზაფხულზე ამოსვლასა და სიარულს ვერ მოახერხებდა?.. ეგ ისე სრულყოფილად არის მომზადებული, რომ არამცთუ პურგაში სიარულისთვის ყოველნაირად მზად არის, არამედ სვლის გეზიც იმთავითვე აქვს დასახული და ტრასაც, შეძლებისდაგვარად, დეტალურად შესწავლილი... წინააღმდეგ შემთხვევაში - გიჟია!.. ის ახლაც მიდის, აი, ამ მომენტში, მიტილენიჩ!.. შესწავლილი! რანაირად, როგორ შეისწავლა? ტანსაცმელი და, საერთოდ, ამგვარი ექსპედიციისთვის აუცილებელი ინვენტარი - რუკა, კომპასი და, იქნება, სხვაც ბევრი რამ, — ვინ მისცა, როგორ ჩაიგდო ხელში? აქ რაღაც არის, მიტილენიჩ! თუ ეს ყველაფერი ასეა, მაშინ კარგარეთელი, ადვილი შესაძლებელია, ცხელ წყაროებზე გლაციოლოგების ქოხში ბრძანდებოდეს... აჭარბებ, აუცილებელი არ

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

არის, რომ მაინცადამაინც ეგ გეზი აერჩია. გამოიდარებს, ვერ-ტმფრენს მოვითხოვ და თავად წავალ იმ ქოხის მოსახილავად. იქნება მართალი ვარ, რომ იქ იყო კიდეც და კვალიც დასტოვა. რელიეფის რუკაზე ჯერ მხოლოდ ერთი დროშაკი მაქვს, სირცხვილი არ არის, მიტილენიჩ?..

გორას გამოეღვიძა, საათს დახედა. სულ ცოტა ხანი იყო გასული მას მერე, რაც წასთვლიმა.

რატომ გამომეღვიძა? სიზმარი არაფერი მინახავს. რაიმემ შემაწუხა? ალღომ საფრთხე მამცნო?.. რა საფრთხე, ჩემო კარგო, პურგა ისევ ისე გრიალებს... უყურე შენა! გულში ჩამყვა, რომ ქოხი არ მომიჩხრეკია. ამან გამომაღვიძა, ნაღდია...

გორამ ფარანი აიღო, მაგიდის ზემოთ თარო აღმოჩნდა, მიანათა. ასანთის კოლოფი დაინახა. გაჰკრა. დაიფშვნა, წუმწუმა ნოტიო იყო. მაგიდის კუთხეში დიქტის ნაჭერი იდო. გაიფიქრა, - ეგ, ალბათ, რამეს აფარია, მერე ვნახოთო, და ქოხის კუთხეკუნჭულებსა და კედლების ბზარ-ნაკეცებს მიჰყო ხელი.

საკნის აუცილებელი მოჩხრეკის ჩვევა ხანგრძლივმა პატიმრობამ იცის. ყველა საკანში, უფრო — კარცერებში, არის სამალავი, იქნება რამდენიმეც და, მათ შორის, ისე მახვილგონივრულად შერჩეული, რომ მიგნება ჭირს ხოლმე. სამალავი თავისებური საკუჭნაოც არის და „ცნობათა ბიუროც". მცოდნე და მუყაით მძებნელს შეუძლია, იპოვნოს ერთი გახვევა წეკო და, იქნება ასანთის ღეროთი და კოლოფის ხაოიანი ნატეხით „დაკომპლექტებულიც"; საკერავი ნემსი ძაფითურთ; გრაფიტის ნატეხი; სამართებლის ან შუშის ნატეხი და, იქნება ერთი ციცქნა თვითნაკეთი დანაც კი, მშვენივრად რომ პარსავს და სხვა ათას რაიმეშიც გამოდგება: ვთქვათ, ადმინისტრაციის განუკითხაობის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად სისხლის გადმოდენისთვის ან თვითმკვლელობის იმიტაციისთვის; აქვე შეიძლება, აღმოჩნდეს მდოგვის მარცვალი მაღალი სიცხის გამოწვევისა და ავადმყოფობის სიმულაციისთვის, რასაც მეტი ყურადღება ექცევა, ვიდრე სისხლის დენასა თუ თავის ჩამოხრჩობას.

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

დასახელებული საგნების ფლობა ციხეებში აკრძალულია. ჩხრეკაში პატიმარს რომელიმე მათგანი რომ აღმოაჩნდეს, კარცერში ყურყუტი არ ასცდება. სამალავში თუ იპოვნეს, პატიმარი იტყვის, - მაგისი მე არა ვიცი რაო, და სასჯელიც აღარ არის. სამალავი, როგორც ინფორმაციის წყარო, შეიძლება, შეიცავდეს ქაღალდის ნაფლეთს[33] ნაირ-ნაირი ჟანრისა და დანიშნულების ტექსტით: „პარუსი სვერდლოვსკში მოჰკლეს და არა სოლიკამსკში"; „მივყევარ ხელახალ გამოძიებაზე. კოლია სოვა"; „სანკა რიაბოი დახვრიტეს"; „საშა! მე არაფერი ვიცი. გრაჩი"; „კრაჩკოს ძმა მოსკალებს მიეყიდა"; „მივდივარ დახურულში. კატია პალოჩკა". ზოგჯერ ვიღაცის მიერ შეთხზული სიმღერაც შეიძლება მოინახოს. სიმღერებიან ბარათებს, ძირითადად, თვით ავტორები სტოვებენ, მეტსახელი ან გვარი აქვთ ხოლმე მიწერილი...

გორამ ვერაფერი აღმოაჩინა, დაფიქრდა, ეს რით უნდა აიხსნებოდესო, და ხმით გაიცინა: ქოხში რომ შემოვიდა, აქაურობა საჯარიმო იზოლატორს მიამსგავსა. ამას სამალავების ძებნა არ მოჰყოლია. ქვეცნობიერებამ ჩვევის აღსასრულებლად გამოაღვიძა და აძებნინა კიდეც!

მაგიდასთან მივიდა, დიქტის ნაჭერი ასწია. პოლიეთილენში ჩაკინძული რვეული იდო. გადაფურცლა. მარტო პირველ გვერდზე იყო ნაწერი - გლაციოლოგების მიერ ქოხში დატოვებული ქონების ნუსხა. ბევრი არაფერი: კანისტრით დიზსაწვავი, ქვაბი და ქვაბუნა, ტაფა, ჩაქუჩი, გაზი, ლურსმნები, მედიკამენტები, ორი წყვილი თხილამური. ნუსხა ახლახან, სექტემბრის მეორე ნახევარში იყო შედგენილი. გორამ სხვენში ასასვლელ სარქველს შეავლო თვალი. კიბეც აქ სადმე იქნებაო, - გაიფიქრა. საწოლქვეშ იყო. ლოგინი გაიწყო, დაიძინა.

რვა საათი იძინა. გაიღვიძა, ტახტზე წამოჯდა. მერე ქოხის კარი შემოაღო, ჰაერი შემოუშვა და ვარჯიშს მისდგა. პურგა კვლავინდებურად მძვინვარებდა, ფიფქების კორიანტელი შემოჰქონდა. კარი მიხურა, კიდევ ივარჯიშა, ცოტა ხნით გარეთ გავიდა, შემობრუნდა და საუზმეს შეუდგა.

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მდევარს მოვწყდი, პირველი ამოცანა დაძლეულია. ამის შემდეგ რაც იქნება - ძებნა-მიგნება ჰქვია. აქედან ეხლავე უნდა გავიდე, რომ კვალი პურგამ რაც შეიძლება მეტ მანძილზე წამიშალოს... რამდენზე წაგიშლის? ტუნდრა და ტყე-ტუნდრა კიდევ სამასი, სამას ორმოცდაათი კილომეტრის მანძილზე დევს. ამის გავლას, დღეში ოცი კილომეტრიც რომ იარო, თხუთმეტი, ოცი დღე უნდა. პურგა დღესვე თუ არა, ორ დღეში უეჭველად ჩადგება. ვერტმფრენი და მაგის ჯანი, კვალიც ნაპოვნია და გორაც!.. მგლის შიშით ცხვარი არავის გაუწყვეტია, უნდა ვიაროთ! პოლარული ღამეა, კვალის აღმოჩენა არცთუ იოლია... ის თხილამურები, სხვენში რომ ალაგია, ღმერთის გამოგზავნილია. თუ ჯოხებიც ახლავს, ხომ მთლად უკეთესი. არ ახლავს და, აქვე უნდა გამოვთალო, აგერ, ფიცრები... ნეტავი, როგორი სამაგრები აქვს, უნტების მორგება გაძნელდება?.. იმას, ვინც მაგ თხილამურებს ხმარობდა, პუანტები ეცვა?.. კარგი, კარგი. ეს ქოხი მეოთხმოცე მერიდიანისა და სამოცდამეათე პარალელის გადაკვეთაზე დგას. აქედან აღმოსავლეთის მაგისტრალამდე პირდაპირი ხაზით ათას ექვსასი, რელიეფით, არანაკლებ, ორი ათასი კილომეტრია... უნებლიე გადახვევები, სხვა რამ გაუთვალისწინებელი დაბრკოლება, შეფერხებები?.. ეჰეე! მთელი სიცოცხლე გვივლია და ეგ არის!.. არა!.. დაპირებისამებრ, მაქსიმუმ ხუთი თვე მაქვს, მარტის ნახევარში უნდა ჩავაღწიო, თორემ ჭაობი გალღვება. ეგაც არ იყოს - პაემნები?.. საყრდენები გინდა, სთქვა?.. დიახ!.. თან ნიღბები და ფეხსახვევები გავაშროთ... ახლა საკვები! დღეში ცხრაასი გრამი, ოცი დღე - თვრამეტი კილოგრამი...

მომავალი ნახტომისთვის მზადებამ სამ საათზე მეტი წაიღო. მერე რვეული ღუმელში შეაგდო, დასწვა, რომ მდევარს გლაციოლოგების მიერ დატოვებული საგნების ნუსხა არ ენახა და თხილამურების გაქრობა არ დაეფიქსირებინა. როცა აქ ყოფნის ყველანაირი კვალი მოსპო, შემდგომი სვლის მიმართულება კიდევ ერთხელ შეამოწმა, ბარხანა გარეთ გაიტანა, კარი ჩარაზა, კომპასს დახედა და დაიძრა.

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თხილამურებით მიდიოდა. მეორე წყვილი ციგაზე ჰქონდა დაბმული. პურგა ბობოქრობდა. სავალი ზეგანზე იდო, მაგრამ ოღროჩოღრო იყო, ციგა შეღმართებში ურჩობდა, თხილამური ცურავდა, ჯოხებით მუშაობა დამატებით ძალისხმევას მოითხოვდა. სამაგიეროდ, ციგა თავქვეებში თავად მოცურავდა, ლამის ფეხებში სტაკებოდა და გორას ძუნძულით უხდებოდა სიარული.

პირველ ორ-სამ დღეს ქოხში მიღებულ შთაბეჭდილებებსა და სავალის პერიპეტიებზე ფიქრობდა. მერე ტუნდრამ გაივაკა და იმაზე ფიქრს მიჰყვა, ეხლა რაღაზე ვიფიქრო, რომ გული გადავაყოლოო.

კარგი საფიქრალი მქონდა. ქოხიდან რომ გავალთ, მერე ვიფიქროთ-მეთქი... ხასიათის, დამოკიდებულების, პიროვნების ჩამოყალიბების პროცესი და ამის ანალიზი... ყველაფერი - მეხსიერების სათავეებიდან პირველი ათი, თერთმეტი წლის მანძილზე თუ რამ გავიგონე ან ვნახე. „წვართანი ყოფნათათვის!" ესე იგი, ჯერ ის, რამაც ჩემი ადამიანური ნაგებობის საძირკველი დასდგა... სისტემა, პროგრამა შევიმუშაოთ... ტაიგამდე, რაც პაპაჩემებისა და მათი წინა თაობებისა გამიგონია, ის გავიხსენოთ... ეგრე იყოს. რით დავიწყოთ?..

ქოხიდან გამოსვლის შემდეგ მეორე დღეს ქარი ჩადგა, ვარსკლავებით მოჭედილი ცა გამოჩნდა და არც დიდი ყინვები დაიჭირა, სულ მეტი - თვრამეტი, ოცი გრადუსი იქნებოდა.

ძნელი დასადგენია, სიარულის რომელ დღეს, როგორ ვითარებაში და რა მიმდევრობით აღიდგინა მეხსიერებაში ქვემოთ მოყვანილი ამბები გორამ, მაგრამ შეიძლება, დარწმუნებით ითქვას, იმ ჯოჯოხეთურ სავალზე ამაების ფიქრი მხოლოდ იმიტომ მოახერხა, რომ თავის თავს დაჰპირდა - უნდა ეფიქრა!

ეჰ, რა ვიცი, რამდენი რამ არის... აი, თუნდაც ის პატარა ბაღი, ზემელის აფთიაქის პირდაპირ, სადაც მერე რუსთაველს ძეგლი დაუდგეს. ზემელის ბაღი! ჩემმა ადრეულმა ბავშვობამ, შეიძლება ითქვას, იმ ბაღში გაიარა. პაპაჩემ იაგორს დავყავდი იქ

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

სასკოლო ასაკამდე და ხანდახან მერეც. ამ ბაღში ახალი დროის მიერ გარიყულები იყრიდნენ თაეს - ღრმა მოხუცები, მეცხრამეტე საუკუნის ქართველ მამაკაცთა ის მცირე ნაწილი, რომელსაც ღმერთმა ერთობ ხანგრძლივი სიცოცხლე დარდივით აჩუქა, მეოცეში გადმოახედა და იმდენი გულისხმიერებაც გამოიჩინა, რომ ოციანი წლების დასასრულს და ოცდაათიანი წლების დასაწყისშივე გაუყენა უმჯობესი სამყაროს გზებს. ღმრთის ნება რომ არა, იმ ფთილასავით ლანდებს ოცდაათიან წლებში გეპეუს ჯურღმულებშიეე ამოჰხდებოდათ სული, რადგან მათგან ერთსაც არ ეყოფოდა ჯანი იმ ადგილამდე მისასვლელად, სადაც ქართველი ერის მაშინდელი მიწიერი ღმერთები ტყვიით უსწორდებოდნენ ყველას, ვინც კომუნიზმის მშენებლობისთვის არ ვარგოდა. მაინც ვინ იყვნენ ის მოხუცი სულები? უპირველეს ყოვლისა, ათას ცხრაას ოცდაოთხი წლის აჯანყებისთვის მასობრივ დახვრეტებს სასწაულებრივ გადარჩენილი მოჰიკანები; რევოლუციამდე გაკოტრებული ან რევოლუციით გაღატაკებული არისტოკრატები; ნაკლებად - ყოფილი დიდვაჭრები; ცოტაოდენი - კომკავშირლების მიერ ძალით გაკრეჭილი თუ ამით დაშინებული და ნებაყოფლობით გაკრეჭილი სხვადასხვა წოდების სასულიერო პირები; ყოფილი მაღალი რანგის ჩინოვნიკები და სხვანი, ვინც სამართლიანად თუ დაუმსახურებლად თავის თაეს ზემელის ბაღის საზოგადოებაში ყოფნის ღირსად სთვლიდა.

ექვსისა ვიქნებოდი, პაპა გორამ მითხრა, - წამო, ბიჭო, გავისეირნოთ და ზემელის სასაფლაოზეც შევიაროთო. იმ ასაკში სასაფლაო მხოლოდ გაგონილი მქონდა. წავყევი და, აკი ზემელის ბაღში მიმიყვანა. დავიჯერე, რომ სასაფლაოზე ვიყავი: ცოტა ხნის წინ კუბოში მწოლიარე მიცვალებული მყავდა ნანახი - ქირურგი იუზბაშიანცი,[34] რომელსაც ცოლ-შვილი თურქებმა ამოუწყვიტეს. თავად, როგორღაც იყო, გამოიქცა, საქართველოს შემოაფარა თავი და რამდენიმე წლის შემდეგ გარდაიცვალა. ჩვენს მეზობლად ცხოვრობდა. სადაც მისი კუბო იდგა, დღისით იმ ოთახში რანაირად შევაღწიეთ პატარა ბიჭებმა, დამაეიწყდა. ალბათ, იმიტომ შევაღწიეთ, რომ პატრონი და დამტირებელი არავინ ჰყავდა. მოხუცი მიცვალებულის გაცრეცილი,

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

გაძვალტყავებული სახე ეხლაც კარგად მახსოვს. ზემელის ბაღში ბარე ათი იუზბაშიანცი დამხვდა და ჩემს განცვიფრებას, როგორც იტყვიან, საზღვარი არ ჰქონდა, რადგან აქაური იუზბაშიანცები გაცოცხლებულები იყვნენ და ქართულად მეტყველებდნენ, რასაც ნამდვილი იუზბაშიანცი ვერ ახერხებდა და, მგონია, არც ცდილობდა, მოეხერხებინა. სანამ პაპაჩემი მიცვალებულებს ესაუბრებოდა, აღმოვაჩინე, რომ თბილისში ვერის ძველი, ვერის ახალი, კუკიის, ხოჯეანქისა და პეტრე-პავლეს სასაფლაოებს გარდა, ეს პატარა სასაფლაოც ყოფილა. შინისკენ რომ მივდიოდით, პაპას ვკითხე, - ამ ბაღს სასაფლაო რატომ ჰქვია-მეთქი? პაპამ ისე გემრიელად გადაიხარხარა, რომ ზოგი გამვლელი გაჩერდა კიდეც. გული რომ მოიოხა, სერიოზულად მითხრა, - ეგენი, შვილო, დიდი ხნის მკვდრები არიან. ბოლშევიკები რომ შემოვიდნენ, მაშინ დაიხოცნენ და მანდა მარხიანო. მერე ყველაფერი ზუსტად განმიმარტა. გავიგე, რის თქმაც უნდოდა, მაგრამ მე ის ჯამაათი ისევ იუზბაშიანცების თავყრილობა მეგონა. დაზუსტების ჭია შემიჩნდა და დავინტერესდი, - ეგენი ვინ არიან-მეთქი?

- ბერწი ძროხები! - სთქვა პაპა გორამ და ისევ სიცილი აუტყდა.

ამან სულ დამაბნია. მაშინ პაპამ თავისი ნათქვამი განმიმარტა:

- მეცხრამეტე საუკუნეში ყოველი წესიერი ქართველი საქართველოს დამოუკიდებლობით იყო მაკედ. ყველა ბერწი აღმოჩნდა. ვერც ხბო მოვიგეთ, ვერც ბოჩოლა. ცხრაას თვრამეტში მკვდარი ვშობეთ და ბერწები ვართ, მაშ ვინა, ვართ?!

ენის გრძნობა იმთავითვე მქონდა, არ გამომპარვია, რომ თავისთავსაც ზემელის სასაფლაოს მკვიდრად სთვლიდა, და კითხვა დავუსვი, - შენც ბერწი ძროხა ხარ-მეთქი?

დაფიქრდა და თავისთვის ჩაილაპარაკა სამჯერ:

- ბერწი ვარ! ბერწი ვარ! ბერწი ვარ!..

კარგა დრო გავიდა, სანამ ბერწობის თემაზე ნაფიქრს სისტემაში მოვიყვანდი... რა ვიცი, იქნება იმ სამგზის ნათქვამმა სიტყვამაც განსაზღვრა ჩემი დანარჩენი ცხოვრება და ბედ-იღბალი?!.

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მაინც, რა საოცარი რამ არის ბავშვის ბუნება! მისი ყველაზე მძაფრი და დაუოკებელი გრძნობა ცოდნის, გამოცდილების დაგროვების მოთხოვნილებაა... რამდენი რამ ვისწავლე ზემელის ბაღში! თუ დამცალდა, როდისმე დავწერ „ზემელის სასაფლაოს ჩანაწერებს“...

იქაც ბევრი რამ ვისწავლე, ქალბატონ ოლღა ვაჩნაძე-ერისთავის ოჯახში.[35] იქ ბებოს დავყავდი. პაპა ოჯახს იშვიათად სტუმრობდა. იქაურობას ზურგს უკან „ჯიმშედის ჰარამხანად“[36] იხსენიებდა და ამას საფუძველიც ჰქონდა: ოჯახი ზემელელი მამაკაცების ხნოვანების თექვსმეტი დედაბრისა და ერთი ცოტა შექანებული შინაბერა ქალისგან შესდგებოდა. აღარ მახსოვს, რომელი დედაბრის შვილიშვილი იყო ის ქეთუშა.[37] ესენი ვიღა იყვნენ? ოჯახი პირველი მსოფლიო ომის, რევოლუციების, სამოქალაქო ომისა და საქართველოში ათას ცხრაას ოცდაოთხი წლის აჯანყების პროდუქტი, თუ გნებავთ, ენციკლოპედია გახლდათ. ჩემი მათთან გამოჩენის დროისთვის ოჯახის ერთადერთი მამაკაცი ახალი გარდაცვლილი იყო – თავადი სვიმონ ქსნის ერისთავი, მანამდე ზემელის სასაფლაოს მკვიდრი და შემდეგ ვერის ახალი სასაფლაოსი. იგი ქალბატონ ოლღა ვაჩნაძის მეუღლე გახლდათ. ბელეტაჟში სამი ოთახი ეჭირათ, იმ ქუჩას მაშინ ბებუთოვისა ერქვა. მეუღლეები იმიტომ აღარ ჰყავდათ, რომ დაუხოცეს – ზოგი როდის, ზოგი სად. იმ თექვსმეტ დედაბერში ხუთს სორბონა ჰქონდა დამთავრებული და ექვსსა თუ შვიდს ევროპის დედაქალაქებში დიდხნობით ცხოვრება მოუხდა. სხვებმა – იმდენი არაფერი – საზოგადოებაში კეთილშობილ გოგონათა ინსტიტუტის დიპლომებით შემოაბიჯეს. დედამიწაზე ცოტად თუ ბევრად ცივილიზებული ერის ენა არ იყო, ერთ-ერთ მათგანს საფუძვლიანად რომ არ სცოდნოდა. ოჯახში სალაპარაკო ენად, უმთავრესად, ფრანგულს იყენებდნენ. ინგლისურს – უფრო საქმიან ურთიერთობებში. მაგალითად, თავად არღუთაშვილთან[38] საუბრისას მაშინ, როცა რაღაც ბედად შემორჩენილი, მეცხრე ბოღჩიდან ამოცებული რაიმე სამკაულის რეალიზაცია მოუხდებოდათ ხოლმე ფინანსური ხელმოკლეობის გამო, რასაც პერმანენტული ხასიათი ჰქონდა. თავადი არღუთაშვილი თავის თავს მაკლერს

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

უწოდებდა და ამის ხსენებისას ორაზროვნად ქირქილებდა, - შეხეთ, რა დამართეს ბოლშევიკებმა საათივით აწყობილ ქვეყანასაო?!. დედაბრებს, ალბათ, მიაჩნდათ, რომ თუ თავად არღუთაშვილს გასაყიდი სამკაულის ფასს და ამ თემაზე სხვა საუბარს ინგლისურად ეტყოდნენ, ნივთი უფრო ძვირად გაიყიდებოდა, თორემ არღუთაშვილმა სხვა ენებიც მშვენივრად იცოდა. ოჯახი ყოველდღიურ სარჩოს მასწავლებლობით შოულობდა - ენებს ასწავლიდნენ ბავშვებს. ბავშვები თვითონ დადიოდნენ, კარ-კარ სიარულის ჯანი ოჯახის წევრთაგანს, ქეთუშას მეტს, არავის ჰქონდა. ქეთუშამ გლახა ქართულის მეტი არაფერი იცოდა.

რას არ გაიგონებდა კაცი იმ ოჯახში. აი, ქალბატონი მარიამ ბეგთაბეგიშვილი-გოლიცინისა[39] - გენერლის ქვრივი და ორი მაღალჩინოსანი ოფიცრის დედა. ახლო ცხოვრობდა, აქ სტუმრად მოდიოდა ხოლმე. გენერალი პირველ მსოფლიო ომს შეეწირა, უფროსი ვაჟი - სამოქალაქო ომს, ხოლო უმცროსი იმჟამად პოლონეთის არმიაში მსახურობდა. ბოლშევიკების შემოსვლამდე გოლიცინებს საკუთარ სახლში მთელი სართული ეჭირათ - თორმეტი თუ თოთხმეტი ოთახი! ოცდაერთ წელს გასაბჭოება მოხდა, ქალბატონი მარიამი უშველებელ ბინაში მარტო დარჩა. ოცდასამში მასთან სახლთმმართველი მოვიდა, მოკრძალებით სთხოვა, - მაღალი თანამდებობის კომუნისტისთვის გვჭირდება, იქნება ერთი ოთახი დაგვითმოთო. ქალბატონ მარიამს გაუკვირდა, რომ მაღალი თანამდებობის კომუნისტს მხოლოდ ერთი ოთახი სჭირდებოდა და, ცხადია, დასთმო. მერე კიდევ დასთმო, მერე - კიდევ... ერთი სიტყვით, ბინაში რამდენიმე წლის შემდეგ რვა თუ ცხრა ოჯახი ცხოვრობდა. თავად ქალბატონი მარიამი ერთ ოთახში იდგა, სავსებით კმაყოფილი იყო, მეტი არც სჭირდებოდა, მაგრამ ჯიმშედის ჰარამხანა ბობოლა კომუნისტების მხოხავ ექსპანსიას მაინც მძაფრად განიცდიდა - იმდენ ოჯახზე ერთადერთი სამზარეულო და ერთადერთი ფეხისადგილი... იქაურ ტრაგიკომიკურ სიტუაციებს ქალბატონი მარიამი ხატოვნად, ინტელიგენტური იუმორით ჰყვებოდა ხოლმე. ეს, ცხადია, აღშფოთებას ამახვილებდა, რადგან ჯიმშედის ჰარამხანაც ზუსტად ასეთსავე მოუწყობლობას განიცდიდა. ადვილი

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

შესაძლებელია, ოჯახი იმით უფრო იყო აღშფოთებული, რომ ქალბატონი ბეგთაბეგიშვილი-გოლიცინისა სულაც არ იყო აღ-შფოთებული.

ასეა თუ ისე, ერთხელ ჩემმა ბებომ, საღამოთი ოჯახის საქმ-ეებს რომ მორჩა, ლეჩაქი მოისხა, ჩიხტი დაიდგა და ქალბატონ ოლინკას ოჯახს მივაშურეთ. ქალბატონი მარიამ გოლიცინა იქ ბრძანდებოდა, მაგიდას უჯდა, პასიანსით ერთობოდა. საუბრო-ბდნენ იმაზე, რომ ქეთუშამ სამსახური ვერა და ვერ იშოვნა, პროფკავშირში არ ხარო, მაგრამ არც პროფკავშირში მიიღეს, არსად არ მსახურობო!

მაშინ ქალბატონმა სალომე ჩოლოყაშვილ-ამილახვრისამ ბრძანა:

Чтобы службу получить – надо в профсоюзе быть.
Чтобы в профсоюзе быть – надо службу получить.

ამ კუპლეტს ისეთი რეაქცია მოჰყვა, როგორიც ოქტომბრის რევოლუციის რომელიმე წლისთავის აღსანიშნავ საზეიმო სხ-დომაზე მომხსენებლის ბოლო შეძახილებს მოსდევს და რასაც პრესა ოვაციას უწოდებს ხოლმე. მახსოვს, მეც კი მივხვდი, რომ ვითარება სასაცილო იყო. მერე საუბარი ისევ ქალბატონი მარ-იამის სამზარეულოს, ფეხისადგილსა და მეზობელთშორის კო-ნფლიქტებს შეეხო. ქალბატონმა ელისაბედ ლორთქიფანიძე-გაბაშვილისამ,[41] რომელიც არალეგალურ მარქსისტულ წრეებ-ში მეცხრამეტე საუკუნიდანვე იყო ცნობილი, კრასნაია პრესნ-იას ბარიკადებზე მსუბუქი ჭრილობა ჰქონდა მიღებული და შე-მდეგ კერენსკის მთავრობის კანცელარიაში საკმაოდ მნიშვნე-ლოვან მოვალეობას ასრულებდა, საუბარი კლასთა ბრძოლის სფეროში გადაიყვანა. აქ მას სერიოზული იდეოლოგიური მოწ-ინააღმდეგეები გამოუჩდნენ და ქალბატონი ოლღა ვაჩნაძე-ერ-ისთვისა იძულებული შეიქნა, მხარეების დასაშოშმინებლად იმპერატივისთვის მიემართა. აი, მხოლოდ ახლა დაარღვია ჩამ-ოვარდნილი სიჩუმე ქალბატონმა მარიამ ბეგთაბეგიშვილ-გო-ლიცინამ და ჩემ ბებოს ჰკითხა:

- ქალბატონო სოფიო, როდისმე დაფიქრებულხართ, რა გას-აოცარი ხალხია ეს ბოლშევიკები?

ბებო, ცოტა არ იყოს, დაიბნა...

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

- ცხადია... მაგრამ, სახელდობრ, რას გულისხმობთ?..

- რასა და, ბოლშევიკებმა გააუქმეს ყველა კლასი და შეჰქმნეს ერთი კლასი - მეზობლების კლასი!

ამაზეც ისეთი სიცილ-ხარხარი ატყდა, თავი ცხონებული ჩანტლაძის[42] მინიატურაზე გეგონებოდათ, მაგრამ მთავარი ის არის და დღესაც დარწმუნებული ვარ, ქალბატონ მარიამს ეს არც იუმორისთვის უთქვამს, მით უმეტეს, არც ვისიმე თუ რისიმე გაკილვისთვის. სთქვა ის, რასაც ხედავდა და გულის სიღრმეში გულწრფელად სჯეროდა კიდეც, რომ ბოლშევიკების მთავარი მიზანი მეზობლების კლასის შექმნა იყო. ხომ ბევრს სჯეროდა, - სამთავისის კომუნაში მთელ სოფელს უზარმაზარი, საერთო საბნის ქვეშ სძინავსო?!.

ეჰ, კარგი ადგილი იყო ჯიმშედის ჰარამხანა, მაგრამ ჩვენ ისევ პირველ სათქმელზე მოვიდეთ - ზემელის სასაფლაოსი ვთქვათ... ეს რაღაა, ჰა?!. რა არის და, მარხილის ნაკვალევია... ირმის ჩლიქები... დავანათოთ... ნაღდია!.. როგორ არის, იცი? ეს კაცი წასულა და დაბრუნებულა, ორი კვალია... იქნება, მოსულა და დაბრუნებულა?..

ეს ჭიდან ამოსვლის შემდეგ ოცდამეცხრე დღეს მოხდა. ამ ადგილებში მეირმეების მეტი ვინ იქნებოდა? საქმე ის იყო, ეს მგზავრი ბინებიდან წავიდა და დაბრუნდა, თუ პირიქით? მარხილის კვალი სამხრეთიდან მოდიოდა, აღმოსავლეთისკენ უხვევდა. ჩლიქების კვალი ორთავე მიმართულებით იდო. გორას ბინები და მწყემსები არაფრად სჭირდებოდა, მაგრამ გაკვალულზე თხილამური უკეთ ივლიდა. გზა იქით ჰქონდა, გუნებაში ხელი ჩაიქნია, ნაკვალევზე შედგა და დაიძრა. კილომეტრი ექნებოდა გავლილი, თოვლზე რაღაც ეგდო. მიუახლოვდა, მიდამო მოათვალიერა...

ბნელოდა, საგულისხმო ვერაფერი შენიშნა.

დამთრგუნველი, სულის ამაფორიაქებელი სიჩუმე იყო და გაიფიქრა, - ამას ბრბოს ღრიანცელიც სჯობს და ბარაკების გულისწამღები ღაღანიცაო...

ირემი იყო, თბილი, ახალდაკლული და გატყავებული.

დაიხარა. ოთხად მოკეცილი ტყავიც იქვე იდო...

- ეი! - გაისმა შორიახლოდან. - ვინ ხარ?!

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

გორა წელში გაიმართა, შეძახილზე გაიხედა. კაცი მოდიოდა ლაღად, უშიშრად. პირისპირ მოვიდა, სამიოდე ნაბიჯზე შეჩერდა, დაუპატიჟებელ სტუმარს თვალიერება დაუწყო. ადგილობრივი იყო, ტანმორჩილი, თოფმომარჯვებული.

- ვინ ხარ-მეთქი! - წყნარად, მაგრამ მტკიცედ იკითხა.

- გამოქცეული პატიმარი, პოლიტიკური ვარ! - მიუგო გორამ.

დუმილი ჩამოვარდა. დამხვდურმა თოფი მხარზე გადაიკიდა, ნაკლავს წინა ფეხებში სწვდა, ტყავი იღლიაში ამოიდო, გორას უთხრა:

- ვიცი. წუხელ დაბაში ვიყავი, მითხრეს. ამიწიე, წავიღოთ... სახელიც მითხრეს, დამავიწყდა. რა გქვია?..

- იაგორ კარგარეთელი, - მიუგო გორამ.

უკვე გზად იყვნენ, დამხვდურმა იკითხა:

- სხვა სახელიც გაქვს, მეტსახელი?

- გორა.

- ჰო, ეგ მითხრეს.

- სად მივდივართ? - ჰკითხა გორამ.

- მარტოკაცი ვარ, ვერავინ გნახავს, ნუ გეშინია, - სთქვა მასპინძელმა და დასძინა, - კოლია[43] ვარ!

ჩუმი ღარტაფში იდგა. ჩუმი კი არა, დიდი კარავი იყო, შიგნიდან და გარედან ირმის ტყავებით დათბუნებული, იატაკზეც ტყავებმოფენილი, ნავთის ლამფით განათებული.

- მარტო რატომ ხარ? - ტრაპეზის მერე ჰკითხა გორამ.

- სანთელი მარტო უნდა იყოს!

- სანთელი? რას გულისხმობ?..

- მე სანთელი ვარ, ესე იგი... არა, დალაგებით გეტყვი. უმაღლესი განათლება მაქვს, ჩრდილოეთის ხალხთა უნივერსიტეტი და ათი წლით პატიმრობა გავათავე... უნაკლო მთავრობა და ბედნიერი ხალხი გაგიგონია?

- არა, - ღიმილით მიუგო გორამ.

- ჩვენ დამონებული ხალხები ვართ - ჩრდილოეთის ხალხები. რუსები გვასხედან თავზე თუ საკუთარი პოლიტიკანები, რა მნიშვნელობა აქვს, დამონებული ვართ. ხალხს, რომელსაც განთავისუფლების, დამოუკიდებლობის იმედი გადაწურული აქვს, მონად დარჩება...

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

- სხვა დროა, ხალხი გამოფხიზლდება, - ჩაურთო გორამ.

- სანთელი თუ აქვს, გამოფხიზლდება. სანთელი აუცილებელია!

- ეგ რაში მდგომარეობს?

- იმაში, რომ ვინმე უნდა იყოს წინააღმდეგი, ხალხს მისი იმედი უნდა ჰქონდეს, უნდა ჰყავდეს კაცი, ვისაც გაჰყვება. სანთელი სულ უნდა ენთოს! გაიგე?

- გავიგე. დევნილი კაცი ხარ?

- არა. ჩემი ნებით გამოვედი ტუნდრაში. ხალხისთვის სულ ერთია, დევნილი ვარ თუ არა. მთავარია, რომ ათი წელი მაქვს მოხდილი - წინააღმდეგი ვარ.

- წინააღმდეგობა რაში გამოიხატება?

- თვეში ერთხელ დაბაში მივდივარ და ვყვირი, - პოლიტიკანებო, წაეთრიეთ! გაუმარჯოს ჩრდილოეთის ხალხთა განთავისუფლებას!.. ეხლა ისეთი დროა, ამისთვის აღარ იჭერენ. იყვირე, რამდენიც გინდა, მაგრამ მაინც საჭიროა!.. სხვა ლოზუნგებიც მაქვს - თავი და თავი ეს ორია. ამას რომ ეყვირი, ხალხს ტანში აზრიალებს.

- მერე?

- მერე ჩემი უფროსი ძმა გამოდის, ფქვილს, ნავთს, სხვა პროდუქტებს მაძლევს და ვბრუნდები. დანარჩენი თვითონ უნდა მოისაზრონ. უმცროსი ძმა ჩემ ჯოგს აძოვებს.

გორამ გაიფიქრა, - ეს კოლია, თითქოს, სასაცილო კაცია, მაგრამ მის საქციელში რაციონალური მარცვალი ნამდვილად არისო, და ჰკითხა:

- ეგ ირემი იმიტომ დაჰკალი, რომ კვდებოდა?

- არა, მსხვერპლია, კეთილ სულებს შევწირე. თორმეტი წელიწადია, ამ საქმეზე ვდგევარ. მთავრობასაც შეშლილი ვგონივარ და ხალხსაც. ბოლო დროს ჩემ მისვლაზე ხალხი გროვდება ხოლმე. აი, გუშინაც მოგროვდნენ. წამოვედი, შორიდან მივაყურე - მიტინგი გამართეს! ესე იგი, ბოლოს და ბოლოს, გავიმარჯვე, არა? კეთილმა სულებმა ინებეს, და მსხვერპლად შევწირე. კარგი ირემი იყო...

სიჩუმე გორამ დაარღვია:

- შენი ირმების საძოვარი შორს არის?

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

- ექვსი საათის სავალია, კარგი საძოვრებია... რატომ მეკითხები?!.

- შეგიძლია, მომყიდო ერთი ირემი?.. გადაგიხდი, ფული მაქვს.

მასპინძელი გაფაციცდა:

- ირემი, არა?!. ირემი ძალიან გამოგადგება! რა ღირს, იცი? ყველაფერი ისე ღირს, როგორც გჭირდება. შენ ძალიან გჭირდება, ამიტომ ძალიან ძვირია!.. აი, წარმოიდგინე: სანამ ტუნდრაა - მარხილი მიაქვს, ტუნდრა გათავდება - საგზალია. გაიგე?

- მაინც, რა ეღირება?

- ვერ მოგყიდი!.. თუ გინდა, მოიპარე, აქა მყავს, მაგრამ დაბაში ვიტყვი, ირემი დამეკარგა-მეთქი. თუ გაიგეს, რომ მოგყიდე, სანთელი ვიღა იქნება?..

- მართალი ხარ, არ შეიძლება. დაბაში როდის წახვალ?

- უუუ, ერთი თვის მერე! თვეში ერთხელ დავდივარ... დღეს არ დავბრუნდი?..

- შორია?

- ათი საათი უნდა. ტუნდრა მალე გათავდება, მეჩხერი არყები დაიწყება, მერე ტაიგაც. თოვლი, სულ ცოტა, აპრილამდე იდება. ირემი გაზაფხულამდე ივლის, ოთხთვენახევარს! საკვები თუ ექნა... ირემმა დღეში ორი საათი თუ ძოვა... მეტი არც უნდა, ივლის.

- სად უნდა მოვიპარო?.. მოსართავები?..

- მე უნდა მომპარო, შეკაზმული. აი, შევკაზმავ და მოვალ... ხორცსაც მოგცემ...

კოლია მალე დაბრუნდა, ირმის ნაკლავი შუაზე გაჩეხა, ნახევარი გორას მისცა და უთხრა:

- აგერ იქ, მდინარეა, ტაზი ჰქვია. მაგის კალაპოტით იარე. გაყინულია, თოვლი ადევს, ირემი ლაღად ივლის. თევზიც გექნება. რუკა გაქვს?..

- კომპასიც, სექსტანტიც.

- ყველაფერი გქონია!.. მაშინ ასე: აქედან დასავლეთისკენ იარე, დაახლოებით, ას ორმოცდაათი კილომეტრი, და მიხვალ მდინარემდე, რომელსაც ჰქვია - პურ...

- ვიცი!

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

- ყველაფერი გცოდნია. ნეტავი რას გემასლაათები?..
- საჭიროა, სთქვი!
- ამ მდინარეს რომ ჩაჰყვე, ხუთას კილომეტრს ივლი, მეოთხმოცე მერიდიანისა და ორმოცდამეჩვიდმეტე პარალელის გადაკვეთის წერტილში მიხვალ. თოვლით დაფარული გაყინული ჭაობი და ძალიან მეჩხერი ტაიგაა, სიარული არც შენ გაგიჭირდება, არც ირემს და საკვებიც ორთავეს გეყოფათ. იქიდან სამხრეთით ივლი ოთხას კილომეტრს და მდინარე ობს გადაჰკვეთ...
- ნუ გარეკე, ჩაწერას ვერ ვასწრებ... ობს გადავკვეთ - მერე?
- მერე კიდევ სამხრეთისკენ — ოთხას, ხუთას კილომეტრს, და იქნება მდინარე ომი. აი, ეგ მდინარე პირდაპირ ომსკში მიგიყვანს. აქაც ხუთასი, ექვსასი კილომეტრია... არ მინახიხარ, არ გინახივარ, გაიგე?!
- ასე დაწვრილებით საიდან იცი, გივლია?
- ორჯერ! უმოკლესი და უადვილესი გზა გითხარი... ჰო, მანდ ქალაქია, ურენგოი ჰქვია. შენ იქ საქმე არაფერი გაქვს, გვერდი აუარე!
- გმადლობ! - მიუგო გორამ და გაიფიქრა: იქ საქმე, მართლაც, არაფერი მაქვსო.
- ორმოცდამეცხრამეტე პარალელამდე იარე. მერე ორასი კილომეტრი სამხრეთ-დასავლეთით. ორმოცდამეჩვიდმეტე პარალელისა და მეოთხმოცე მერიდიანის გადაკვეთიდან სამხრეთისკენ წახვალ. იქ მეჩხერი ტაიგაა, ირემს სიარული არ გაუჭირდება და საკვებიც ექნება... არ მინახიხარ, არ გინახივარ - წადი!..
გორას ჩაეცინა: კოლიას დავთრები აერია!

კარგად მეთხოვნა, მგონია, თოფსაც არ დამიჭერდა, ჰა?.. მოიცა, ირმის წაყვანა კვალის დატოვებაა!.. შე კაი კაცო, ამასთან ყოფნა, ამის ნაკარნახევი გზით სიარული ნაკლები კვალის დატოვებაა? მოსახდენი მოხდა!..

იმ კოლიაზე ფიქრმა გორა ბარე ერთი კვირა არ მოასვენა. მოიშორებდა, კვლავ აეკვიატებოდა. როცა ანალიზი დამთავრე-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ბულად მიიჩნია და მოვლენას სახელიც გამოუნახა - „სანთლის ფენომენი“ - ისეთი სიმშვიდე იგრძნო, ვითომ დიდი განსაცდელიდან დაეღწიოს თავი. შვებითაც კი ამოისუნთქა.

კმარა!.. ირმის ხორციც მაქვს, ირემიც მყავს, თხილამურებზე ვდგევარ, ირემი ციგას მიათრევს, ნავარაუდევზე გაცილებით სწრაფადაც მივდივარ... კაი რაღაცაზე ვფიქრობდით, ის გავიხსენოთ... ზემელის სასაფლაო იყო... კი, ეგ იყო. იქ გაგონილებიდან ჩემზე ყველაზე დიდი შთაბეჭდილება არსენა ოძელაშვილზე ნაამბობებმა მოახდინა. იმ დროს კითხვას უკვე კარგად ვახერხებდი, „არსენას ლექსიდან“ მოზრდილი ნაჭრები ზეპირადაც ვიცოდი და ამ კაცზე რაიმე დამატებითი ცნობა ცხრა ყურს გამომაბამდა ხოლმე. გორაპაპა პედაგოგიკის სიღრმეებს არასოდეს ზიარებია, მაგრამ დიდი გამოცდილება ჰქონდა და ვინაიდან თავისი შვილიშვილის მომავალ მოქალაქეობასა და მამულიშვილობას იყო გადაგებული, ქვეცნობიერებამ ჩემი აღზრდის, გონებრივი სრულყოფის თავისებური მეთოდი უკარნახა. წაკითხული მექნებოდა თუ გაგონილი, დამიჯდებოდა, მაამბობინებდა, მამეორებინებდა და არსს მაჩხიბვინებდა, ანალიზისა და დასკვნების გამოტანის უნარს მივითარებდა. ამას, სიბერისკენ რომ გადავქანდი, მერელა მივხვდი. ჩემი პირველი წვართათაგანი სწორედ არსენა ოძელაშვილის თემა გახლდათ. ზემელის ბაღის მოხუცების ყველა ვერსია უკვე ვიცოდი, როცა პაპა იაგორმა მომთხოვა, აბა, მიამბე არსენასი, რაც იცი? გამიხარდა და არა მხოლოდ იმიტომ, რომ არსენა ჩემი „საკუთარი“ გმირი იყო, არამედ იმიტომაც, რომ ზოგი რამ ბოლომდე არ მესმოდა და პაპა განმიმარტავდა.

ზემელის სასაფლაოს ერთ-ერთ მკვიდრს „კნიაზ გიგო“[44] ერქვა. მისი სიტყვით, იმ დროში ახლო ნათესავების მამულების ხელში ჩასაგდებად კანონიერი მემკვიდრის მოწამვლა თუ ჩასაფრებით მოკვლა არცთუ იშვიათი მოვლენა ყოფილა. კნიაზ გიგოს მამა - დარისპანი,[45] ავის მზრახველებს გაარიდეს, მამიდამისთან გახიზნეს. მამიდა დიდი ზაალ ბარათაშვილის მეუღლე გახლდათ. ამგვარად, დარისპანმა ბავშვობა და ყრმობა მარაბდაში გააატარა და არა თავის მამულში.

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ოძელაშვილები დიდი ზაალის ყმები იყვნენ. არსენამა და დარისპანმა ბავშვობა და ყრმობა ერთად გაატარეს, დამეგობრდნენ, ერთმანეთს ძმობაც შეჰფიცეს. დრო გავიდა, საღოლაშნის პატრონი - დარისპანის მამა, ბატონი ქაიხოსრო გარდაიცვალა, გაბიზნული მემკვიდრე შინ დაბრუნდა, მამულებს დაეპატრონა. იმერეთში ჯოხთაბერიძეების ასული მოეწონა, როდამი ერქვა. ამპარტავანი თავადები იყვნენ, გაჯიქდნენ, არ აძლევდნენ. მაშინ მოიტაცა როდამი დარისპანმა, ქართლში გადმოიყვანა, ჯვარი დაიწერა. შვილები წამოუვიდნენ და მერე ჯოხთაბერიძეებიც[46] შემოირიგა.

კნიაზ გიგოს მრავალრიცხოვანი დები საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში იყვნენ გათხოვილი, თბილისში ძმის ოჯახის მოსანახულებლად ან სხვა რაიმე პირად საქმეებზე ჩამოდიოდნენ ხოლმე. პაპამ კნიაზ გიგოსთან რომ მიმიყვანა, იქ მისი სამი დაც ბრძანდებოდა, უმცროს ძმაზე დღეგრძელი და წარმოსადეგი მოხუცი ქალბატონები. ძალიან მომიალერსეს, ათასნაირი ნუგბარი ჩამჩარეს ხელებში. ჩამაცივდნენ, - ლექსები გეცოდინება, გვითხარიო. „არსენას ლექსის“ ნაწყვეტები ვთქვი და ერთ-ერთმა ქალბატონმა ცრემლიც კი შეიმშრალა, - ეს რა მშვენიერი თაობა გვეზრდებაო! ღირსეული მოხუცები იყვნენ, ვერ დავიჯერებ, რომ პირი ჰქონდათ შეკრული და მსმენელებს ატყუებდნენ. არადა, თითქმის დაუჯერებელი ამბავი თქვეს კნიაზ გიგომა და მისმა დარბაისელმა დებმა.

მათი მამაპაპეული სახლი ზედ ქართლ-იმერეთის გზაზე მდგარა. გიგო, ასე, თორმეტი წლისა იქნებოდა. სხვა და-ძმა - მეტისა. გვალვიან-ბუღიანი ზაფხული მდგარა, მეორე სართულის აივანზე ქალები ხილს დაჰფუსფუსებდნენ, მურაბების სამზადისი ჰქონდათ. დარისპანი შინ არ იყო. აივანზე მისი ბიძაშვილი, ანუ ამ ბავშვების გარეთა ბიძა - მიხაკად ცნობილი,[47] თავადი მიხეილი იჯდა, კრიალოსანს აკაკუნებდა...

მიხაკას ზემელელი მოხუცები ქართველ მიუნჰაუზენად იხსენიებდნენ. მისი მონადირული ტყუილები სრულიად საქართველომ იცოდა. საერთოდ, ენამახვილი, ხუმარა კაცი იყო და ამის გამო უაღრესად პოპულარული, ყველა ოჯახისთვის სასურველი სტუმარი ბრძანდებოდა. თავად მიხაკა წერა-კითხვაში ერ-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თობ მოისუსტებდა, მაგრამ იმ მოხუცებს თუ რამე დაეჯერებოდათ, იმდენი პატარ-პატარა ნოველა ჰქონია შეთხზული, რომ კარგა დიდი წიგნის შედგენაც კი მოხერხდებოდა. დასანანია, არავინ ჩაიწერა. მე სულ ორიოდე „მიხაკასეული" ვიცი, დარნაჩენი მიმავიწყდა. ამას ჩემი მეხსიერების ერთი თავისებურებით ვხსნი: კაფია იქნება, ანეგდოტი თუ სხვა რამ მოსწრებული სიტყვა, რაც უფრო სასაცილოა, მით ნაკლებად მახსომდება, ეს სხვებისთვისაც შემიმჩნევია, მარტო არა ვარ... რაღაი სიტყვამ მოიტანა, ერთ მიხაკასეულს ახლავე გავიხსენებ... სადმე მაგვიანდება, თუ რა?..

- აბაშიძეებთან ვიყავ სავანეში, ქორწილი ჰქონდათ. უქეიფოდ შევიქენი. ამოვისუნთქო-მეთქი, თანამეინახეებს სუფრიდან ადგომა და გარეთ გასვლა ვაკადრე. სახლს უკან სიმინდის ყანა იყო, მსხვილი, მაღალი, ცხენიანი კაცი დაიმალებოდა. შევედი. უკვე გამოსვლას ვაპირებდი, რომ ორი ნაბიჯიდან მგელმა შიგ თვალებში შემომანათა. იარაღი ზედ რა მექნებოდა და აღარც ფიქრის დრო იყო, სიმინდზე შევხტი. ისკუპა მგელმა, ცალი ჩექმა ჩამაძრო. ავბუქნე, სამშვიდობოს ავედი. შემოხტა მგელი, ველარ ამომწვდა, მაგრამ, - თავი საქუდეში მქონდეს-მეთქი, — ერთიც ავბუქნე და ხელში აკი მკლავის სიმსხო ტარო მომხვდა! რკინასავით იყო, დალოცვილი, ძლივს მოვტეხე. რამდენი ამოხტა მგელი, იმდენი შიგ შუბლში ჩავცხე ის ტარო. ღამე ეგრე გავატარეთ - ისა ხტუნაობდა, მე შუბლში ვცემდი. ძალს - ისა და ძალს - მე. არაფერი გამოვიდა. ირიჟრაჟა. ტაროს დავხედე - მარცვალი აღარსად უჩანდა და მგელსაც თავი ერთიანად დაჩეჩქვილ-დასისხლიანებული ჰქონდა. სადღაცა ძაღლმა დაიყეფა. მგელმა ჯერ ყურები დასცქვიტა, მერე ამომხედა და ადამიანის სიტყვით მითხრა, - მაშა, შენმა სიცოცხლემა, ე მაგ ბებერი ხორცის გულისთვისა, აგერა, იმ ნაგაზებს შევეჭმევინებიო! - მიტრიალდა და წავიდა ძუნძულ-ძუნძულითა...

იმას ვამბობდი, მიხაკა სავარძელში იჯდა, კრიალოსანს აკაკუნებდა და გზის დასალიერს გასცქეროდა-მეთქი.

- მგზავრი მოდის! - დაიძახა მიხაკამ, ადგა, მოაჯირთან მივიდა, გზას ახლა აქედან გაჰხედა და ქვევით ჩასძახა: - ბიჭო, გიგოლავ, მგზავრი-მეთქი!..

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

გიგოლამ, ასეთ შემთხვევებში როგორც უნდა მოქცეულიყო, თავად იცოდა. მარნიდან სურით ღვინო, ლანგრით ხილი გამოიტანა და მგზავრის მოსვლას დაელოდა. მხედარს გრძელი გზა ჰქონდა გამოვლილი, ერთიანად მტვრით იყო დაფარული. ორმოცდაათს მიტანებული იქნებოდა. რიგიან იორღაზე იჯდა, ძვირფასი ქამარ-ხანჯალი ერტყა, თავზე ფაფანაკი ეხურა. გიგოლა ცხენს გადაუდგა, თორემ მგზავრი გაჩერებას არ აპირებდა, მიეჩქარებოდა. მიხაკამ გამარჯვება უთხრა, - გადმოდი, დაიბანე, გაგრილდი, დაისვენე, მიირთვი რამე და მერე წაბრძანდიო, შესთხოვა. მგზავრმა, - ნამეტანი მეჩქარება, ბატონო, თვარა თქვენისთანა კეთილშობილი ოჯახის სტუმრობა რომ მაღირსა მაღალმა ღმერთმა, ჩამოვიდოდი, აპა, არ ჩამოვიდოდიო?!. ბიჭო, მაგ სურა მომაწოდე, თუ კაცი ხარ, წყურვილს მოვიკლავ, ამ კურთხეულ ხალხსაც ვადღეგრძელებ და ორი კურდღელი დამრჩება მოკლულიო, - გიგოლას უთხრა.

მიიყუდა და სანამ დასცლიდა, მიხაკა სულ იმას ეხვეწებოდა, - ჩამოდი, შე კაი კაცო, ერთმანეთს თითო სიტყვა ვუთხრათ, რა დაშავდებაო?!. მგზავრმა, - ვერ ჩამოვალ, ბატონოო. მიხაკა დარწმუნდა, არ ჩამოვიდოდა, და უთხრა, - მაშინ ღვინო კიდევ მიირთვი, თუ მოგეწონაო. მგზავრმა გაიღიმა, მოაჯირზე შემოდგმულ სამურაბე თასს თვალი შეავლო და მიუგო, - ეს დიდებული ოჯახი, ჩემი ძმადნაფიცის ძმადნაფიცის არის, სურით დალეული სადღეგრძელო არ ეკადრება მათ, მიხაკა-ბატონო. მაგ თასი გამოატანეთ, აგერ, ამ ბიჭს და სიამოვნებით გიახლებითო!..

მიხაკას ხუმრობა ეგონა. თასი ხუთლიტრიანი იყო. ლიტრიანი სურა მგზავრს უკვე მირთმეული ჰქონდა!.. გიგოლამ თასი წაიღო, სანამ მიხაკა ვითარებაში გაერკვეოდა, სტუმარს ღვინით პირთამდე სავსე მიართვა. მგზავრმა თავისი ძმადნაფიცის ძმადნაფიცი, ანუ დარისპანი დალოცა და თასს დაეწაფა, მოაჯირზე გადაყუდებული ოჯახის თვალწინ სულმოუთქმელად დასცალა, მადლობები სთქვა და ცხენს დეზი ჰკრა.

მიხაკა პირღია იდგა, სტუმრის ლანდს გასცქეროდა. მერე სავარძელს დაუბრუნდა და კარგა ხნის შემდეგღა ჩაილაპარაკა, - შეხე, გიორგასა, მაგისი ყველაფერი ვიცოდი და ეგ არაო!..

ის კაცი კუჭატნელი გიორგი სეფისკვერაძე[48] იყო.

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ამას რომ მორჩა, კნიაზ გიგომ თავის შვილიშვილის შვილს უთხრა, - წადი, ის თასი გამოიტანეო. თასმა მაშინ ჩემზე ისეთი შთაბეჭდილება დასტოვა, რომ ახლანდელი გადასახედიდან ექვსლიტრიანზე მეტისაც მგონია.

გიორგი კუჭატნელი ხალხში და ფოლკლორის მიხედვითაც, არსენას მკვლელად იყო მიჩნეული. ამ კაცს მაშინდელ აღმოსავლეთ საქართველოში არც ვინმე ღვინოს მიართმევდა და არც შინ შეიპატიჟებდა. დარისპანი რომ დაბრუნდა და სამურაბე თასისა და კუჭატნელის ამბავი გაიგო, წარბი შეჰკრა, მიხაკა ოთახში შეიყვანა, ბიძაშვილთან ლაპარაკში თავისი ვაჟებიც შეისწრო, რომ საცოდნელი ამას იქით მათაც სცოდნოდათ.

- გიორგა კუჭატნელს ან ღვინოს რატომ ასმევდი, ან შინ რად ეპატიჟებოდი?! - უსაყვედურა დარისპანმა ბიძაშვილს.

- რატომ არ უნდა შემომეპატიჟებინა?.. ეხლა - რა, არსენა მართლა მაგისი მოკლულია თუ როგორა? - მიხაკამ მიუგო.

დარისპანს გული მოუვიდა, მაგრამ თავი შეიკავა, მშვიდად უთხრა:

- არც მაგას მოუკლავს და არც ვინმე სხვასა, კარგა მოგეხსენება. ოსმალოშია არსენა, მაგრამა პირი რომა გვაქვს შეკრული, სიტყვა არ უნდა დავიჭიროთ?

- როგორი პირი შევკარით, რა სიტყვა უნდა დავიჭიროთ, მაგისი შენ ჩემთვის არა გითქვამს რა? - გაიკვირვა მიხაკამ.

მიხაკა ცოტა მოიცანცარებდა, ერთ დროს ზურგს უკან „მსუბუქიც" შეარქვეს, მაგრამ სხვა ღირსებების გამო მეტსახელი აღარ შერჩა.

- არსენა რომ მკვდარი ჰგონია ხალხსა და ერთწილ რუსებსაცა და გიორგი კუჭატნელის ხელითა, ეგ იცი?

- ვიცი, მაშა!

- სანამ ცოცხალი ეგულებოდათ, ჩვენზე და სხვა ჩვენისთანაებზე მართალი ეჭვი რომ ჰქონდათ, - ამათი კაცია, ესენი ინახავენ არსენასაო, ესაც იცი, არა?

- ვიცი, ვეჟო, რამდენი ოჯახი აიკლეს... როგორ არა? - დაუდასტურა მიხაკამ.

- ეხლა იმის ეჭვიც ხომა აქვთ, - არც არა კუჭატნელისგანა და არც არა არაფერი, ცოცხალია და სადღაცა არისო?!.

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

- რას ამბობ, კაცოოო! - გაუკვირდა მიხაკას.

- ე მაგასა! ჩვენ პირი რაზე შევკარით? უნდა ვიძახოთ, - არსენა მკვდარია და კუჭატნელის ხელითაო. რუსებს ასე უნდა ეგონოთ, თორემა მიაგნებენ არსენას, საცა არის, იქა, და თურქებს მოსთხოვენ, - ეგ კაცი მოგვგვარეთ აქაო!

- კუჭატნელს რაღას ვერჩით, კარგი ვაჟკაცია...

- მოიცა, მიხაკავ... - სიტყვა ჩამოართვა დარისპანმა. - კუჭატნელი იმისთვის აღარავინ უნდა გავიკაროთ, რომ მთავრობა დარწმუნდეს, - არსენა მაგათი კაცი იყო, კუჭატნელმა მოუკლა და ამისთვის შემოსწყრნენო.

მიხაკამ იყუჩა და სთქვა:

- ე მაგით რა იქნება, ვერა გავიგე რა?..

- რა იქნება და, აგერა, კუჭატნელს აღარ იკარებენ, ჩანს, არსენა მართლა მკვდარია და მართლა კუჭატნელის ხელითაო, - ამას დაიჯერებენ რუსები, არსენას ძებნას მოიშლიან და ჩვენი კაცი იყო თუ სხვისი, ვინახავდით თუ არ ვინახავდით, მაგით ივახშმონ ხოლმე. გაიგე ეხლა?

- გავიგე!.. მე არც გამოვმცნაურებივარ გიორგისა და არცა... ეგრე ვეპატიჟებოდი, როგორც მგზავრსა. ეგ იყო.

- რატომ არ დაგყვა? რატომა და, თავადაც იცის, ეგრე გვაქვს პირი შეკრული. - აცნობა დარისპანმა და თავის ბიჭებს მიმართა: - ამაზე უნდა ვიდგეთ! გაიგეთ, შვილებო?!

ბიჭებმა თავები დაიქნიეს.

არა მგონია, ბატონ დარისპანს ამ დახლართულ ვითარებაში თავისი ბიჭების გასარკვევად ნაკლები შრომა მოენდომებინოს, ვიდრე პაპაჩემს ჩემს გაუთავებელ შეკითხვებზე პასუხების გასაცემად დასჭირდა. ძნელად, მაგრამ, როგორც იქნა, ყველაფერს მივხვდი და დავიხსომე კიდეც.

ზემელის სასაფლაოზე ერთი ბატონი ივანე[49] იყო, რომელსაც თავისი ვერსია ჰქონდა იმაზე, თუ ვინ იყო ის „არსენა“, ვისაც ჯერ ხელი ჩამოასხიპეს, მერე „ზურგში დამბაჩა დასცეს და პირიდან ბოლი გაადინეს“. ახალგაზრდობაში ბატონ ივანეს ეს ამბავი საკუთარი ყურით მოუსმენია სურამელ ნალბანდ მილილასგან,[50] რომელიც მაშინ „ოთხმოცს მიტანებული კაცი იყო“.

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მილილა იმ დროს მუხათგვერდში ნალბანდობდა, იქვე ცხოვრობდა. თბილისს და თბილისიდან დასავლეთისკენ თუ ჩრდილოეთისკენ მიმავალი მგზავრი მუხათგვერდს ვერსაით ასცდებოდა. მილილას გიორგი კუჭატნელი და არსენა ოძელაშვილი პირადად სცნობია, - ერთის ცხენიც ბევრჯერ დამიჭედია და მეორესიცაო. ნალბანდი, თურმე, ირწმუნებოდა, ამ ორ სახელგანთქმულ ვაჟკაცს, მიუხედავად იმისა, რომ ერთი რუსთ ხელმწიფეს ემსახურებოდა და მეორე - მტრობდა, ერთმანეთში ალალი ძმაკაცობა ჰქონიათ და მილილას ორთავე ერთად, ერთ სუფრაზე ხელიხელგადახვეულებიც უნახავს. კაცი კარგად დაფიქრდეს, სამტრო რა უნდა ჰქონოდათ? გიორგი კუჭატნელის სამსახური ის იყო, რომ მთიელ მარბიელსა და მძარცველებს ებრძოდა, არსენას დევნა არასოდეს ჰკისრებია. ოძელაშვილი ქართველი გლეხობის თავკაცი იყო. ორივე ერთად, საბოლოო ჯამში, ერთსა და იმავე მიზანს ემსახურებოდა. სად და რის გამო უნდა გადაეკვეთათ ერთმანეთი მათი ცხოვრების გზასა და სავალს?! რაინდები იყვნენ, ერთურთის ვაჟკაცობის მიმართ მოკრძალებისა და გულწრფელი აღტაცების მეტი გულით რა უნდა ეტარებინათ?..

ასეა თუ ისე, კარგა ხნის დაღამებული იყო, მილილა მუხათგვერდის დუქანში დახლთან იდგა, მედუქნეს ესაუბრებოდა. დარბაზში ერთადერთი მუშტარი იჯდა - თავით ფეხამდე შეიარაღებული, გალეშილი ახმახი. წითელ ღვინოს ეძალებოდა, უთავბოლოდ წამოიღრიალებდა ხოლმე, - ვმღერიო! გიორგი კუჭატნელი შემოვიდა. მხლებელი ჰყავდა, ბელაქნელი ლეკი, სახელად ჰამზა და არა გამზათი, როგორც მას სხვა წყაროებში იხსენიებენ. გიორგი დახლთან მივიდა, მილილასა და მედუქნეს ხელი ჩამოართვა, ჯანმრთელობა და ოჯახი მოუკითხა. მერე მხლებლითურთ მაგიდას მიუჯდა და ვახშამი მოითხოვა. გიორგი კუჭატნელი მორწმუნე ქრისტიანი იყო, წითელ პარასკევს მოხდა ესა და ამ დღეს ღვინოს არ გაეკარებოდა. ჰამზას მაჰმადიანობის გამო ღვინო საერთოდ არ ესმეოდა. მედუქნემ ყოველივე ეს იცოდა, ვახშამი მოართვა, ღვინის მაგივრად შუშის ტოლჩით ვაჟინი დაუდგა. ახმახმა ფერით იცნო, რომ ვაჟინსა სვამდნენ და არა ღვინოს, ღრიალი შეწყვიტა და გიორგის გამოსძახა, -

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მოდით, ღვინო დამილიეთ, სადღეგრძელო მითხარითო! გიორგიმ თავაზიანად მიუგო, - წითელი პარასკევია, ღვინოს ვერ დავლევო. ახმახმა შეურაცხყოფად მიიღო, გაჯავრდა და კვლავ გამოსძახა: - მოეთრიეთ, დამილიეთ, თორემ მე ვიცი, მე თქვენაო! — გიორგიმ ყურადღება აღარ მიაქცია. ახმახმა იგივე გაიმეორა, მაგრამ ახლა უკვე ლანძღვა დააყოლა და ასეთი სიტყვებიც: - ჩემთან ხუმრობა არ გაგივათ, არსენა ვარ, ყურებს დაგაჭრით, აგერ, მაგ მედუქნეს შევაწვევინებ, ბატკნის მწვადად შეგაჭმევთო! — გიორგიმ ჩაიცინა. ახმახის ნათქვამს ისეთიც კი არავინ დაიჯერებდა, ვისაც არსენა ოძელაშვილი საერთოდ არ ენახა, ვინაიდან ახმახი ქართველი არ იყო, არც ქართულს იმღერდა და კილოც ცხადლივ არაქართული ჰქონდა. იმ დროში არსენას სახელით არა ერთი და ორი მძარცველი ყაჩაღობდა. ახმახი, ეჭვს გარეშე, იმათთაგანი იყო... - ჭკუით იყავი, ბიძიკო, თვარა, მოვიცლი შენთვის და მე თუ გადამირჩი, სახრჩობელაზე კონწიალი არ აგცდება, ნამდვილს გეუბნები მეო! - ლუკმასა და ლუკმას შორის მიუგო კუჭატნელმა. არავითარი ხმალი, კენწლაობა და „ვერ გაგიმეტე, გიორგის“ ყვირილი იქ არ ყოფილა... ახმახმა დამბაჩა დააძრო. კუჭატნელი ზურგით იჯდა, ვერ დაინახა. ჰამზამ დაინახა, სროლა დაასწრო. გადმოქანდა ახმახი, იატაკზე მოსძვრა ზღართანი. შიგ შუა ცხვირპირში ჰქონდა მოხვედრილი და ისე იყო იქაურობა მინგრეულ-მონგრეული, რომ სახით მშობელი დედა ვეღარ იცნობდა. გიორგი მივიდა, გვამი დაათვალიერა. ტყვიას პირისახე კი გაეტანა, მაგრამ ქეჩოსთვის ვერაფერი დაეკლო, თავის ქალაში იყო ჩარჩენილი. კუჭატნელი ჰამზას გაუწყრა, - თოფისწამალი ისევ დაგნანებია, ვერ გაატანინეო! ერთხანს იფიქრა, დახლთან მივიდა, გადაფითრებულ მედუქნესა და მილილას უთხრა, - ხომ თვითონ ამბობდა, არსენა ოძელაშვილი ვარო? დაუდასტურეს... - ხომ მართლა არსენა ოძელაშვილია ეს და ხომ მოჰკლა ჩემმა მხლებელმა, ჰამზამო? მილილა შეყოყმანდა, მაგრამ მედუქნემ რაღაც იგრძნო და მიუგო, - შე კაი კაცო, შენც იცნობ, მეცა და მილილაცა. არსენა ოძელაშვილია, მაშ ვინ არისო! მილილა ვითარებაში ჯერ ვერ იყო გარკვეული, მაგრამ მიხვდა, რომ დასტური უნდა ეთქვა, და თქვა კიდეც, - არსენაა, არსენაო!- გიორგი კუჭატნელმა უთხრა, - ახ-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ალიხეს მიეგდივარ მე, მეჩქარება, ამის გულისთვის თბილისს ველარ დავბრუნდები. მოვლენ აქ მთავრობის კაცები ხვალ თუ არა - ზეგ. უნდა სთქვათ, არსენა ოძელაშვილი იყო, გიორგი კუჭატნელს ჩხუბი უყო და მოკლა მისმა მხლებელმა-თქვა დამბაჩით! რამდენი ხანიც უნდა იცოცხლოთ, ერთმაც და მეორემაც, ასე უნდა ილაპარაკოთ ყველასთან და მალე გეიგებთ, რატომაა საჭირო ასეო. მედუქნემ და ჰამზამ საკუთარი ხელით გაიტანეს მოკლული, დუქნიდან ოციოდე ნაბიჯზე, გზისპირას დააგდეს. მედუქნე მობრუნდა. ცოტა ხანში - ჰამზაც, და ახმახის მარჯვენა მკლავი შემოიტანა...

აქ ბატონმა ივანემ მცირე განმარტება ჩაურთო: მეცხრამეტე საუკუნის პირველი ნახევარი საქართველოში შეთქმულებებისა და აჯანყებების ხანა იყო. ყოველი დამარცხებული აჯანყება დევნილთა, წინააღმდეგობის განმგრძობთა და ყაჩაღ-მძარცველთა დიდ რაოდენობას სტოვებს. ხელისუფლება ათასნაირ ხერხს მიმართავს, რომ როგორმე დაამშვიდოს ქვეყანა, ცხოვრების ნორმალური პირობები შეჰქმნას. საქართველოში, მაგალითად, რუსულმა ხელისუფლებამ შარაგზების გარდიგარდმო, ნახევარი და ზოგან თითო ვერსის მანძილზე, ტყეები გააჩეხინა, რომ მგზავრობის უსაფრთხოება უზრუნველეყო. ქვეყნის დამშვიდების ერთ-ერთი ხერხი მოუხელთებელ მოწინააღმდეგეთა განადგურებისთვის ჯილდოს დანიშვნა იყო. თუ სახელდებით იყო დანიშნული ჯილდო, - მავანი კაცის დაჭერასა ან მოკვლაში ამდენსა და ამდენს ვიხდითო, მკვლელი დევნილს ცოცხალს თუ ვერ მიიყვანდა, მისი მოჭრილი თავით უნდა გამოცხადებულიყო და გასამრჯელო მოკლულის ამოცნობის შემდეგ გაიცემოდა. იყვნენ ისეთებიც, ვინც ხელისუფალთათვის საგანგებო ჯილდოდ არ ღირდა, მაგრამ პოლიცია მათ მოკვლაშიც იხდიდა მცირე გასამრჯელოს და მხოლოდ მაშინ იხდიდა, თუ მკვლელი მოკლულის ყურებს ან მკლავს მიიტანდა. მოგეხსენებათ, კავკასიის მთიელთა უმრავლესობას უხსოვარი დროიდან ჰქონდა ადათ-წესი, მოკლული მტრის მარჯვენა მკლავის შინ მიტანით დაემტკიცებინა, რომ სისხლი აღებულია. ჰამზამ ახმახს მკლავი იმისთვის მოაჭრა, რომ მოკვლის ფაქტი ხელისუფლების წინაშე დადასტურებულიყო. მკლავი და არა ყურები კი იმ მიზეზ-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ით, რომ მისთვის, სახელდობრ, მკლავის მოჭრა იყო ტრადიციით გაპირობებული. ერთი სიტყვით, დუქანში ჰამზამ ახმახის მკლავი შემოიტანა, რამაც გიორგი კუჭატნელი ჯერ გააცეცხლა და მერე ერთობ ძნელ საგონებელში ჩააგდო: მკლავმოჭრილი ოძელაშვილი მედუქნესა და მილილასთან შეთანხმებული ლეგენდისთვის, რომ არსენა ჰამზამ დამბაჩით მოკლა, არ ვარგოდა. გამოსავალი გამოინახა, ლეგენდა გადაკეთდა: კონფლიქტი მოხდა გარეთ, კუჭატნელმა ახმახს ბრძოლაში ხმლით მოსჭრა მკლავი და მერე ჰამზამ ახმახს დამბაჩით მოუღო ბოლო. აქვე უნდა ითქვას, მას მერე ის ჰამზა აღარსად გამოჩენილა, ხმა დაირხა, - არსენას ძმაკაცებმა ჩააძაღლესო.

გიორგი და ჰამზა ცხენებზე შესხდნენ, მცხეთისკენ გასწიეს. იქ გიორგიმ თავადი გედევანიშვილი[51] გააღვიძა, ვითარება აუხსნა, მოკლული ახმახის არსენა ოძელაშვილად დაკრძალვა შესთავაზა. გედევანიშვილს საქმე ჭკუაში დაუჯდა, სამთავროს ზარები ააგუგუნებინა, მცხეთელები შეჰყარა, - მუხათგვერდში არსენა ოძელაშვილი მოუკლავთ, მოვიტანოთ, დავმარხოთ, თორემ ხელმწიფის კაცები წაიღებენ, სადმე დაჰფლავენ, ქვასაც არ დაადებენ და ჩვენი არსენასი საფლავიც აღარ გვეცოდინებაო! ატყდა ვაი-ვიში, მოთქმა-ტირილი. გამოიტანეს მცხეთელებმა ახმახის გვამი და იმ ღამესვე მიაბარეს მიწას. სახე დასახიჩრებული ჰქონდა - ნურც ექნებოდა, კუმეტი იყო, ვინ და როგორ ამოიცნობდა, თუნდ ნახულიც ჰყოლოდა...

აქ ბატონმა ივანემ კიდევ ერთი განმარტება ჩაურთო.

იმ აზრის დამკვიდრება, რომ არსენა ოძელაშვილი მოკლულია, ყველას აძლევდა ხელს და, აი, რატომ:

ხალხს იმიტომ, რომ - დასმენაზე ნულარაფერს ვიტყვით - ხელისუფლებას ეჭვიც რომ მიეტანა, - არსენა აქა და აქ ხომ არ იქნებაო, ჯარი თუ პოლიცია სოფლებს ალყასა სცემდა, სახლებს სათითაოდ სჩხრეკდა, ოჯახებს აწიოკებდა. არსენას სიკვდილი ამას ბოლოს უღებდა.

ყველა აჯანყებისა და ათას რვაას ოცდათორმეტი წლის შეთქმულების სრული მარცხის მიუხედავად, მაშინდელი ქართველი საზოგადოების დიდ ნაწილს რუსთ ხელმწიფის ოტების, დამოუ-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

კიდებლობის აღდგენის იმედი არ გადასწურვია, ხელსაყრელ დროს ელოდა და თუ ასეთი დრო დადგებოდა, გლეხობის ასამოძრავებლად არსენა ოძელაშვილის ავტორიტეტი იყო საჭირო.

თვით არსენა, მილილასივე სიტყვით და სხვა წყაროების თანახმადაც, იმჟამად ოსმალეთში იყო გადახვეწილი, ხმობას ელოდა, მაგრამ მისი სიკვდილის ვერსია მაინც ხელსაყრელი იყო, რადგან, საჭიროების შემთხვევაში, მკვდრეთით აღმდგარი, გლეხობაში მეტ ენთუზიაზმსა და შემართებას გამოიწვევდა, მის ისედაც მჭექარე სახელს უკვდავის შარავანდედიც მიემატებოდა. ასეთი მაგალითები ისტორიამ საკმაოდ დასტოვა.

ხელისუფლებას არსენას მოუხელთებლობისთვის პეტერბურგიდან მოსული საყვედურებით გული ჰქონდა გაწყალებული. მოკვლის ვერსია სათანადო რელაციის გაგზავნის საშუალებას ჰქმნიდა და, უკიდურეს შემთხვევაში, თუ არსენა ოძელაშვილი კვლავ გამოჩნდებოდა, გიორგი კუჭატნელს აიფარებდნენ, - მოვუტყუებივართო.

არსენას მოკვლისთვის კუჭატნელს რაღაც ჯინჯილაც კი მიუღია. მილილა თურმე ამბობდა, - გიორგის სხვაც რამდენიმე ჰქონდა, ატარებდა კიდეცა, მაგრამ არსენაში რომ მისცეს, მას მერე აღარც უწინ მიღებულები ჰკეთებია, ბევრჯერ მინახავს და შემინიშნავსო...

ეგაც - არაფერი... ჩემი საათის კალენდარს თუ დაეჯერება, ორმოცდასამი დღეა, მოვდივართ. ორი კვირაა, რაც ირემი გვყავს... აგერ, ხავსს მისდგა, მადიანად მიირთმევს!.. კოლაჯან, როგორი ბიჭი ყოფილხარ! რა მექნა, კოლიამ, შენი სახელი თავად არ მითხრა და მეც დამავიწყდა, მეკითხა... არა მგონია, სახელი ჰქონდეს, ჩვენში ცხვრის ფარას რა სახელი ეყოფა? ალბათ, აქაც ასეა, არა?.. ავდექი და კოლა დაგარქვი. კაი სახელია, იმედია, მოგწონს. აი, მეჩხერი ტყეებიცა! მზე ცოტა ხნით ამოდის, მაგრამ სინათლე არის. დაახლოებით, ექვსასი კილომეტრი მაქვს გამოვლილი... მოიცა, ხუთი დეკემბერია, ჩემი დაბადების დღე... შენი დაბადების დღე რა ვთქვი!.. უნდა აღვნიშნოთ. საჭმელი ჩვენ არ გვაკლია, კოლაჯან, და სასმელი, ზედ მდინარეზე ვდგევართ. ვიქეიფოთ! ვიქეიფოთ, ბატონო, ირმის ხორც-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ით! ყველაფერი გვაქვს, ნუ დავინანებთ, ერთი დღით ვიყოთ წინდაუხედავები, უყაირათოები, ფანტიაშვილები, ანუ ნამდვილი ქართველები!..

მიუხედავად მიშა ფილიპოვის მკაცრი ზედამხედველობით განხორციელებული, ხანგრძლივი და საგულდაგულო სამზადისისა, გორა მაინც მოტყუვდა: ძილის დროს ირმის ტყავის ტანსაცმელში და მის ქვეშ გაფენილ ბალახონში ყინვა მაინც ატანდა, ერთსა და იმავე მდგომარეობაში წოლა დიდხნობით, თითქმის შეუძლებელი იყო, შამფურივით ტრიალი უხდებოდა. საქმეს ართულებდა ისიც, რომ ღამის სათევად მყუდრო ადგილის პოვნაც მხოლოდ რამდენიმეჯერ მოხერხდა. ყოველივე ამან მის გამძლეობასა და მხნეობაზე იმდენად იმოქმედა, რომ პირველსავე ღამეს, როცა ხის ტოტების ბარაქიანი საფენი დაიგო, თორმეტი საათის მანძილზე მორივით იდო და ღრმა ძილით ეძინა. „ქეიფის“ შემდეგ კარგ გუნებაზე გაიღვიძა, ისაუზმა, გზას გაუდგა და ისევ მოგონებებს გაჰყვა.

ზემელის სასაფლაოზე ის დარისპანი, ვინც მიხაკას კუჭატნელის თემაზე შეგონება წაუკითხა, ხშირად იხსენებოდა და ყოველთვის გამორჩეულად, აღმატებით, მაგრამ მონოპოლია მაინც ერთ მოხუცებულს ჰქონდა, ისე ღრმად მოხუცებულს, რომ მეექვსე თუ არა, მეხუთე თაობად ნამდვილად ვერგებოდი. დარისპანი, ნაამბობებს თუ დავუჯერებთ, მართლაც, რამდენადმე გამოუცნობი, დამაფიქრებელი იდუმალებით მოსილი კაცი იყო. ამ ადამიანზე ფიქრს ვიყავი გადაყოლილი და, სიმართლეს თუ ვიტყვი, მისი პიროვნება დღესაც მაღელვებს.

დარისპანის მამა - ქაიხოსრო[52] — რომ გარდაიცვალა, მისი უფროსი ძე სამხედრო სამსახურის ადგილიდან დაკრძალვაზე შვებულებით ჩამოვიდა. ძმებმა მოილაპარაკეს, რომ რადგან უფროსი სამხედრო პირი იყო და სამკვიდროს მოსავლელად არ ეცალა, თავისთვის პატარა მამული და ტყეები დაიტოვა, ძმებს დანარჩენი ქონება საკუთრებად დაუმტკიცა და წავიდა. არჩილი რქმეული. მერე და მერე ხელმწიფის სამსახურში მყოფ ქართველთაგან, თითქმის, ყველაზე სახელმოხვეჭილი გენერალი გახდა.

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

დარისპანმა ყირიმში იომა, დაბრუნდა, რაც ფული ჰქონდა და ზოგი გაყიდული მამულის ღირებულებაც, აღალის, ანუ ტრანსპორტის საქმეებში დააბანდა. ხუთასი ულელი ხარ-კამეჩი, ორასი ურემი შეიძინა, კასპიისა და შავ ზღვებს შორის საქონლის ზიდვას მიჰყო ხელი. მაშინ რკინიგზა ჯერ არ იყო, აზია-ევროპის ერთ-ერთი მთავარი სავაჭრო არტერია ამიერკავკასიაზე გადიოდა... არ დაგვავიწყდეს, ამ საქმეში ისეთ წარმატებებს მიაღწია, რომ ხელმწიფისგან „მანუფაქტურ-კოლეგიის“ წევრობა და რაღაც მედალიც მიიღო... სწორედ მაგან იხსნა კატორღიდან. ზემელელი მოხუცი დარისპანის აღალების თბილისში შემოსვლას თავად მოსწრებია, - ხან ორთაჭალაში, ხან დიღმისკენ გაგვიყვანდა ხოლმე დარისპანი - გააჩნია, აღალი საიდან მოდიოდა - დასავლეთიდან, თუ სამხრეთიდან. საქონლის პატრონები უკვე იქ იყვნენ. მოაწევდა აღალი და სოვდაგრები თავიანთი ტვირთის წინა ხარებს რქებზე ფეშქეშად ქირმანის შალებს ახეევდნენო. ქირმანის შალებს მოხუცი ძალიან გემრიელად ამბობდა!..

ამ ამბავში ყურადსაღები სხვა რამ არის... აკი ვთქვი, ისეთი ყაჩაღობა და ძარცვა-გლეჯა იყო, რომ გზების გარდიგარდმო ტყეებიც კი გაიჩეხა. ხელისუფლებას საკუთარი ფოსტა და ფოსტას ადევნებული მგზავრები ზარბაზნიანი ბადრაგის თანხლებით დაუდიოდა. დარისპანის აღალებს არც ბადრაგი ახლდა, მეურმეებს ხანჯლის მეტი იარაღი არაფერი ებადათ და მათთვის ზღვიდან ზღვამდე ბუზი არავის აუფრენია, ერთი შემთხვევის გარდა და ისიც მაშინ, როცა დარისპანი ციხეში იჯდა. საქონელს თავისი ღირებულება ჰქონდა და გადაზიდვის ფასიც დიდი იყო. თითო-ოროლა დამზღვევი კომპანია იმ ვითარებაში თავის თავზე ვერაფერს აიღებდა და ცხადია, ტვირთის ხელშეუხებლობის ერთადერთი გარანტი თვით გადამზიდველი გახლდათ. საკითხავია, იმ შფოთიან დროში, კვლასა და ძარცვა-გლეჯაში ასეთი გარანტიის მიცემა ვის, რანაირ კაცს ძალედვა?!. ამას დარისპანის მეტი ვერავინ ახერხებდა! მოსყიდული ჰყავდა, ეშინოდათ მისი მძარცველებს, თუ იმ სრულიად კავკასიური წინააღმდეგობისა და გაწამაწიის ერთ-ერთი ხელმძღვანელი და მონაწილე თავად იყო?..

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მოხუცებს ამ ბოლო მოსაზრების სასარგებლოდ მრავალი არგუმენტი მოჰყავდათ. ერთი მათგანი არსენა ოძელაშვილთან იყო დაკავშირებული.

დარისპანის ერთ-ერთ, სალიანიდან მომავალ აღალს, თბილისამდე ორმოცდაათი, სამოცი ვერსის დაშორებით ღამემ მოუსწრო. მეურმეებმა საქონელი გამოუშვეს, საძოვარს მიუყენეს, ცეცხლი დაანთეს, ვახშამს შეუდგნენ. ვიღაც თვალტანადი მხედარი ჩამოქვეითდა, გამარჯვება სთქვა. ძვირფასი ჩოხა-ნაბადი და საჭურველი ჰქონდა. ჩამოჯდა, იკითხა, - ვისები ხართო? — მეურმეებმა მიუგეს, - დარისპანისაო. საუბარი გაიბა და მოსულმა ცოტა ხნის მერე სთქვა, - მე და დარისპანი ერთად დავიზარდეთ, ძმადნაფიცები ვართ ფიცვერცხლითაო. ისიც გაირკვა, რომ სტუმარი არსენა ოძელაშვილი იყო. მეურმეები როგორც გაიხარებდნენ, ნათელია. დილით არსენამ უთხრა, - ქართლს მივდივარ, წამოგყვებით, ვითომ მეც მეურმე ვარ, თბილისს თქვენთან ერთად გავცდებიო. მეურმეებმა ძველმანები მისცეს, არსენასები ტვირთში მიჩქმალეს. ცხენს უნაგირი და მოსართავები აჰყარეს, ესენიც გადამალეს. ცხენი ურემს თოკით გამოაბეს და გზას გაუდგნენ. დარისპანი აღალს ორთაჭალაში დახვდა. აღლისთავმა წასჩურჩულა, - არსენა მოგვყვებაო. ძმადნაფიცებმა ერთმანეთი შეათვალიერეს. აღლისთავმა არსენასთვის გადასაცემად ბარათი მიიღო, დარისპანი ცოლსა სწერდა, - ეს კაცი შეინახე, არავინ ნახოს, მალე დავბრუნდებიო. არსენა, როგორც ბარათში იყო, ისე მიიღეს. ორ დღეში დარისპანიც დაბრუნდა. არსენა ოძელაშვილს „გორდა“ რომ ჰქონდა მეტსახელად, დარისპანის შერქმეული ყოფილა.

რამდენ ხანს სტუმრობდა დარისპანთან არსენა - ზემელის ბაღში ამაზე არაფერი გამიგონია, მაგრამ ერთ დღეს დარისპანის ჭიშკარს ბოქაული ქობულაშვილი[53] თუ სოლოღაშვილი ორი ჩაფრის თანხლებით მიადგა, - შინ რომ კაცი გიზის, გორში უნდა მივიყვანო, მაზრის უფროსის ბრძანებაა და, აი, ჩხრეკის ქაღალდიცა მაქვსო! დარისპანმა გაიცინა და მიუგო, - აქედან დაიკარგე, ჯერ მაზრის უფროსის დედა და მერე შენიო! ბოქაულმა ჭიშკარს ხელი ჰკრა, ეზოში ცხენდაცხენ შემოვიდა. დარისპანმა დამბაჩა დააძრო, ის ქობულაშვილი თუ სოლოღაშვილი უნა-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

გირიდან გადმოიღო. ჩაფრებმა თავისი უფროსი ცხენზე ხურჯინივით გადაჰკიდეს და წავიდნენ. დაყოვნება აღარ შეიძლებოდა, დარისპანმა არსენას ერთ ნაყაჩაღარ მეცხვარესთან ქვაბლიანში ბარათი გაატანა, - ეს კაცი შემინახეო. მხლებელი მისცა და გაისტუმრა. ქვაბლიანი ოთომანთა იმპერიის საზღვრებში იყო, კავკასიის მთავრობას ხელი ვერ მიუწვდებოდა.

ბოქაული სიკვდილს გადარჩა. დარისპანმა საპყრობილეში წელიწადზე მეტხანს იყურყუტა. ვექილებმა მისი ნაომრობა, წოდება-ჩამომავლობა, ბოქაულის თავხედობა, ტრანსპორტის განვითარებაში დიდი დამსახურება და სხვა ასეთები მარჯვედ დაატრიალეს. დაატრიალეს და მაინც ვერაფერს გახდნენ, სანამ პეტრე დიდის ერთ მივიწყებულ, მაგრამ ჯერ კიდევ მოქმედ კანონს არ მიაგნეს. დარისპანი მანუფაქტურ-კოლეგიის წევრი ბრძანდებოდა. პეტრემ ეს კოლეგია მრეწველობისა და ტრანსპორტის განვითარებისთვის დააარსა, მის წევრებს საგანგებო პრივილეგიები მიანიჭა და სათანადო კანონის სახით დაამტკიცა. კანონის მეათე კარის თანახმად, მანუფაქტურ-კოლეგიის წევრის სახლი და ეზო-კარი შეუვალობით სარგებლობდა, იქ ფეხის შედგმა დაუპატიჟებლად, ყოვლისშემძლე ღმერთის გარდა, არავის შეეძლო. ამ ღირსეული ასოციაციის წევრს თუ რაიმე დანაშაული მიუძღოდა და თავად არ მივიდოდა პოლიციაში, მაშინ ბოქაულს მისი სახლ-კარისთვის ალყა უნდა შემოერტყა და დალოდებოდა, სანამ თვით დამნაშავე, ან მისი ოჯახის წევრი ეზო-კარს გარეთ ჩაუვარდებოდა ხელში. რუსეთში შემთხვევები ყოფილა, დამნაშავე თავის ჯალაბობასთან ერთად თვეობით მჯდარა შინ... დარისპანის ვექილებმა ის გარემოება გამოიყენეს, რომ ბოქაულმა მანუფაქტურ-კოლეგიის წევრის ჭიშკრის ზღუდე პატრონის ნებადაურთველად გადალახა, ხოლო დარისპანი მაზრის უფროსთან თავისი ფეხით გამოცხადდა. მართალია, მის გასალახად მივიდა, - როგორ გამიბედეო, და შემსწრეებმა ძლივს გააკავეს, მაგრამ ეს ეპიზოდი საქმეში არ შესულა, ქრთამმა გასჭრა.

ასეთი კაცი იყო დარისპანი - რაინდი, ნეგოციანტი, ავანტიურისტი... შენ მაგ პიროვნების ეგ თვისება გაფორიაქებდა და არც ეხლა ხარ გულგრილი... მოდი და ნუ ჩაგივარდება გულში,

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

როცა ყრმა ხარ და მძაფრ თავგადასავლებზე ოცნებობ. დარისპანი ორმოცდათექვსმეტისა გარდაცვლილა, სნეული საქონლის ხორცს მოუწამლავს. დიდ კაცებს ვულგარული დასასრული უწევთ ხშირად. მისი სიკვდილი იყო და, ერთი თვის თავზე აღალიც გაძარცვულა. სოვდაგრებისთვის ასანაზღაურებელი თანხა იმდენად დიდი აღმოჩნდა, რომ კიდევ ერთმა გაძარცვამ საქმე გაკოტრებამდე მიიყვანა. დარისპანის უფროსი ძმა[54] გამდიდრდა - რკინიგზის მშენებლობა დაიწყო, ზღვიდან ზღვამდე სულ მუხის შპალი იდო და დიდი უმეტესობა მისი ტყეებიდან იყო გამოტანილი - წყვილი მანეთად. დარისპანის მემკვიდრეების ხარ-ურემი ვიღას რაღაში სჭირდებოდა. საქმე დაიხურა.

დრო გადიოდა, ქართველთა უმრავლესობამ წინააღმდეგობაზე ხელი აიღო, ახალმა თაობამ რუსთ ხელმწიფის სამსახურსა და ჩინ-მედლების მოსავალს მიჰხედა. არსენამ იმ ქვაბლიანელი ნაყაჩაღარის ერთადერთი ქალიშვილი შეირთო, ცხვარ-მეცხვარეობას მიჰყვა. მთხრობელი ირწმუნებოდა, - არსენას ჩამომავლობისა ქვაბლიანში, სხვა გვარით, დღესაც რამდენიმე კომლი ცხოვრობსო.

არსენა მარაბდელის ბიოგრაფიის ასეთი ვერსია, ვისაც ამ თემაზე ორი პწკარი მაინც დაუწერია, ალბათ, ყველასთვის ცნობილია. ზემელის ბაღში ზოგი რამ მიხეილ ჯავახიშვილსაც კი პაპა გორასი და ჩემი თანდასწრებით მოუსმენია. იქ ნაამბობებიდან თითქმის არავის არაფერი გამოუყენებია. ეს, შესაძლოა, იმით აიხსნებოდეს, რომ არსენას თემას, ძირითადად, ისეთ სოციალურ პერიოდში მოუწია დამუშავება, როცა ლიტერატურას სახალხო გმირის ვაჟკაცური სიკვდილი სჭირდებოდა და არა ქვაბლიანელი მეცხვარე. კომუნისტურმა იდეოლოგიამ ყოველივე ეროვნულის დათრგუნვა დაისახა მიზნად. ამისთვის მწერლობა და ისტორია კლასთა ბრძოლისა და სოციალისტური რეალიზმის ჩარჩოებში ჩაამწყვდიეს.

პაპა გორამ არსენას ცხოვრების ამ ვერსიის ყოველი მონაწილის საქციელი: რაინდობა, კეთილშობილება, ეშმაკობა თუ ვერაგობა ძირისძირობამდე გამააზრებინა. ვსაუბრობდით, მაქებდა. შეიძლება, სწორედ ქებამ წამახალისა, რომ შემდგომში ჩხიბვა დამჩემდა...“

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მიტილენიჩმა გეოლოგიის სამმართველოში გაგზავნილი შეკითხვის პასუხი მხოლოდ ორი თვის თავზე მიიღო. გაუხსნელი კონვერტი მაგიდაზე ედო და ისე დასცქეროდა, თითქოს ფიქრობდა, - ღირს გახსნა თუ არაო.

შეკითხვა იმის შემდეგ გაგზავნა, როცა ოპერსამსახურმა გორას კვალს არამცთუ ვერსად მიაგნო, არამედ მიტილენიჩის მტკიცება, რომ გაქცევა კოლექტორის ჭიდან მოხდა, სათუოდაც კი მიიჩნია, - მაგ ვერსიის რაიმე მტკიცება, ჭაში ნაპოვნი ხარაჩოს გარდა, არაფერია და ხარაჩოც, ვინ იცის, როდის და ვისი შეტანილიაო. ეს ეჭვი მიტილენიჩმა ადვილად გააბათილა, - სხვა კვალი თქვენ ვერ აღმოაჩინეთ და ასეთ შემთხვევაში, კარგარეთელი ბარაკებში უნდა ვეძებოთო!

მიტილენიჩმა თავისი მოსაზრების შესამტკიცებლად გამოდარებისთანავე გლაციოლოგების ქოხს მიაშურა. თან მოადგილე[55] ჰყავდა, ახალგამომცხვარი იურისტი, თავისი ყოფილი უფროსის ძე, რომლის საუკეთესო სპეციალისტად გამოზრდა მიტილენიჩმა ლამის ხატზე დაიფიცა. მენტორმა და შეგირდმა ჯერ ქოხის მიდამოები და კარი შეისწავლეს. საყურადღებო არაფერი აღმოჩნდა. მერე ქოხში შევიდნენ. მიტილენიჩმა ფარანი აანთო, ტახტზე ჩამოჯდა და ფიქრს მიჰყვა. შეგირდი ქოხის კედლების თვალიერებას შეუდგა. ამას ისეთი რუდუნებით სჩადიოდა, რომ მიტილენიჩი გაღიზიანდა:

- შენ კარგარეთელი ურიუპინსკელი ტურისტი და ეს ქოხი სვეტიცხოვლის ტაძარი გგონია? კედელზე თავის გვარ-სახელსა და ყოფნის თარიღს დაგიტოვებდა? მოეშვი, გლებ.

ამის პასუხად გლები პირდაპირ იატაკზე დაჯდა, ზურგით კედელს მიენდო და ჰკითხა:

- ეგ საქართველოშია, მცხეთაში. მინახავს. თქვენ?

- მინახავს... კიდევ ვნახავ. საქართველოში მომიწევს ჩასვლა. უსათუოდ წამიყვანენ. რამდენჯერაც უნდა გქონდეს ნანახი, მაინც წაგიყვანენ, გეგონება, სხვა არაფერი ებადოთ.

- გავალ, ვნახავ, - სთქვა გლებმა. - მარბენალს აქ ერთი ღამე მაინც თუ აქვს გათეული, მოსაქმება არ დასჭირდებოდა?

მიტილენიჩმა ჩაიცინა და უთხრა:

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

- რამდენადაც ვიცი, მაგ ნიშნით პიროვნების დადგენა, თითქმის, შეუძლებელია... აქ სადმე რაიმე ჩანაწერი უნდა ყოფილიყო, ქოხში დატოვებული საგნების ნუსხა. არ არის და ეს არცთუ ცუდია... რომ იყოს, სჯობდა, მაგრამ, რომ არ არის, უკეთესია!

- რატომ არის უკეთესი? - დაინტერესდა შეგირდი.

- კარგარეთელი აქ იყო, დატოვებული საგნებიდან რაღაც წაიღო და კვალის დასაფარავად ნუსხა გაანადგურა. ღუმელში შეიხედე, ქაღალდის ნამწვავი უეჭველად იქნება... ჩამოწერე ყველაფერი. აგერ, სხვენის ღრიჭო და კიბეც აქ არის. არაფერი გამოგრჩეს!

- თქვენ... ეს ქოხი არ უნდა შეისწავლოთ?..

- ყველაფერი ცხადია! - მიუგო მიტილენიჩმა.

ეს იყო, იქ მიტილენიჩს საქმე აღარაფერი ჰქონდა. ჩაჯდა ვერტმფრენში და თავის მაგიდას დაუბრუნდა.

ჰო, კონვერტს დასცქეროდა, წინასწარ იცოდა, რაც ეწერებოდა, მაინც გახსნა და ჩაიკითხა. სწორედ ისე აღმოჩნდა, როგორც იგულისხმა - თხილამურები!.. თვით თხილამურები კი არა, მათი გაქრობაა საქმე. ვინ წაიღო? გორამ, სხვამ არავინ!..

მეორე დროშაკი რუკაზე აღნიშნულ გლაციოლოგების ქოხზე დაჯდა.

ეს ყველაფერი - კარგი. ახლა ის არის საფიქრებელი, რა მანძილის გავლას შესძლებდა ამ ხანში კარგარეთელი? საერთოდ, ცოცხალი თუა? სამწუხაროდ, მიტილენიჩ, ამისა არაფერი გაგვეგება და ფრიად საჭირო კია, ვიცოდეთ! ცოცხალი მხოლოდ მაშინ შეიძლება, იყოს, თუ ამხელა გზისა და მასთან დაკავშირებული სიძნელეების გადალახვისთვის აუცილებელი აღჭურვილობა აქვს. დავუშვათ, აქვს და მიდის კიდეც. საიდან უნდა ჰქონდეს და სახელდობრ რა აქვს? მოვიყვანოთ სუმინი,[56] რომელიც ივანოვსკიც არის, პრეობრაჟენსკიცა და რიუმინიც.

პატიმარი მეორე დღეს ჩამოუყვანეს. კუთხეში, იატაკზე მილურსმულ სკამზე იჯდა, შეფიქრიანებულ თვალებს აცეცებდა.

- რა იყო, ბიჭო, რამ შეგაშინა?.. მე ძველ, გაუხსნელ საქმეებში არ ვიქექები. ძებნის უფროსი ვარ. არ გითხრეს?.. ყოფილი ქურდი ხარ, არა?

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

პატიმარი მოიღუშა, მაგრამ არაფერი უთქვამს, თავი ჩაქინდრა.

მიტილენიჩმა, როგორც ყოველთვის, ჯერ დანაშაული, ოჯახური მდგომარეობა, სამუშაოს ხასიათი და ჯანმრთელობა გამოჰკითხა. მერე გაამხნევა, - არ იდარდო, სადაცაა, რაიმე ამნისტია გამოვა, შენც შეგეხება, მაშ, როგორ იქნებაო, და ჰკითხა:

- შარშან რომ ერთი ფილიპოვი გათავისუფლდა, ციმბირელი მონადირე - მიშა ერქვა, არა? - სუმინს თავის დაქნევა დააცადა და კვლავ მიმართა: - იმასთან აგვისტოში ძმა იყო ჩამოსული. შენ მაშინ ბანაკის უფროსს განცხადებით მიმართე, - მეზობლები ვართ, პაემანი მომეციოთ. შეგახვედრეს. რა გადმოგცა, - ჩემ ძმას მიეციო...

- ჰოო!.. თქვენ საიდან იცით?.. მიცემა დავიწყნოდა, მომცა. როგორ არა, საათი. იქ ერთი ქართველი იყო, გორა ერქვა... მოხუცი. ისა, ჭიდან რომ წავიდა. იმას აჩუქა ი`ს საათი ფილიპოვმა. იცით, არა? გორა, მეკუჭნავე!

მიტილენიჩი გაინაბა, ფიქრმა წაიღო. იმდენი ხნით წაიღო, რომ სუმინს ეჭვი შეეპარა, - ხომ არ დავავიწყდიო, და მოთმინებამ უმტყუნა, აცმუტდა.

- ბანაკში რას ამბობენ? - როგორც იქნა, ხმა ამოიღო მიტილენიჩმა.

- რაზე, უფროსო?

- გაქცეულზე.

სუმინმა მხრები აიჩეჩა:

- რა ვიცი, აბა? ზოგი რას ამბობს და ზოგი რას... გზაში გაითოშა და მოკვდაო.

- კარგი, მადლობელი ვარ, წადი.

მიტილენიჩი ზარის ღილაკს დააწვა. პატიმარი გაიყვანეს.

ამ შეხვედრამ მიტილენიჩს ორი საფიქრალი დაუტოვა. ერთი ის, რომ პატიმარმა ყოველთვის ყველაფერი ყველაზე ადრე იცის: მართლა გაითოშა და მოკვდა?.. ქების სიგელი ეშმაკმა წაიღოს, სამაგიეროდ, ცოლი არ გარბის, მაგრამ - საათიო! მიცემა ვერ მოასწროო. იმ ძმამ, იქნება სხვაც ბევრი ისეთი რამ მოუტანა... როგორ გადასცა, ამან სად შეინახა?.. ეს მეორე საფიქრალი იყო.

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მიტილენიჩმა, როგორც ნამდვილ პროფესიონალსა და თავისი საქმის უსაზღვროდ მოყვარულ მაძებარს შეჰფერის, არ დაიზარა, მივლინება გაიფორმა, კრასნოიარსკში ჩაფრინდა. ჯერ სამხარეო და რაიონულ სამძებროებში იმუშავა, აგენტურულ მასალებს გაეცნო, - ფილიპოვების ნაჭარტალევი ხომ არაფერი ტივტივებსო. არაფერი აღმოჩნდა, მაგრამ ფეხი არ მოიცვალა, სანამ ინფორმატორებისთვის მიცემული სპეცდავალებების შედეგებს გაეცნობოდა. სახარბიელო აქაც არაფერი იყო, გარდა ერთი ცნობისა: მიშა ფილიპოვს ვითომ სადღაც ეთქვა, - რომ არ გავეთავისუფლებინეთ, უეჭველად გამოვიქცეოდი, სამშვიდობოს გამოვიდოდი, გვარს გამოვიცვლიდი და ვერც როდისმე მიპოვნიდნენო! ეს იყო და ეს. ენას ძვალი არა აქვს, ასე ყოველი მესამე პატიმარი ლაპარაკობს, მაგრამ ფილიპოვი გამოვიდოდა, ტაიგა მისი სტიქია იყო! ამის შემდეგღა ჩაიცვა მიტილენიჩმა რკინის ქალამანი, დაიჭირა რკინის ჯოხი და ტაიგას მიაშურა ფილიპოვებთან სასაუბროდ.

ავი ზამთარი იდგა, მიტილენიჩს რა უშავდა, მასპინძელი, სითბო და არაყი არ მოჰკლებია. ეგ იყო, ცოლი მოენატრა და თუ ქარბუქსა ან ჭახჭახა ყინვაში ავტომანქანა სადმე ღრმა თოვლში დაიწყებდა ხრიალსა და ჭაპანწყვეტას, მაშინვე კარგარეთელი მოაგონდებოდა ხოლმე, - ის ბებერი იდიოტი თუ ცოცხალია, ნეტავი, რა დღეშიაო!

ორივე ფილიპოვი რაიგანყოფილებაში მოაყვანინა. გორა კარგარეთლის გაქცევა მიშა ფილიპოვმა ისე მიიღო, როგორც მორიგი ახალი ამბავი და თანაც ისეთი, რომელიც მას მხოლოდ ზრდილობის გულისთვის თუ აინტერესებდა. უმცროსმა ფილიპოვმა მიშა ფილიპოვს ჰკითხა, - კარგარეთელი გვარია თუ სახელმწიფოო? მიტილენიჩიც კარგი კაკალი გახლდათ, ყველანაირი მახე დაუგო, განყოფილების უფროსისა და სამძებროს ოპერრწმუნებულის თანდასწრებით სამ თუ ოთხ საათს აწვალა, მაგრამ ფილიპოვები ქვაზე მაგრები აღმოჩნდნენ...

არც ამ ღონისძიებამ მოიტანა სასურველი შედეგი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმას, რაც მიტილენიჩმა ფილიპოვებთან დამშვიდობების შემდეგ, თავის რაიონულ კოლეგებს უთხრა:

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

- არ გამოტყდნენ და არც მქონდა ამის იმედი, მაგრამ ჩემთვის უკვე ნათელია, კარგარეთელი აღჭურვილია ყველაფრით, რაც ცენტრებში გამოღწევისთვის სჭირდება. მუშაობაში სწორედ ამით უნდა ვიხელმძღვანელოთ!

მიტილენიჩი თვითმფრინავში ფიქრობდა:

მჭირდება, ძალიან მჭირდება რაიმე ცნობა - ცოცხალია თუ არა კარგარეთელი... კვალი, დანაშაული, გვამი - რაიმე! თუ მკვდარია, ყველა პრობლემა თავისთავად მოხსნილია... ცოდოა, მამაძაღლი!.. შენ ცოდო არა ხარ? ვარ - იმ შემთხვევაში, თუ ცოცხალი დარჩა და გამოაღწია. ცოცხალია, ოხერი, და მიდის. მოთმინება, მიტილენიჩ, არავითარი პანიკა!.. გაზაფხულზე საქართველოში ჩავალ, შვებულებით. ყველაფერი უნდა გავიგო - ვინ არის, რას წარმოადგენს, როგორ ცხოვრობდა, რა შეუძლია და როგორ აღიზარდა... მარას წავიყვან თან... საინტერესოა, სამხრეთში მარტო და მხოლოდ ცოლების წასვლის შემდეგ დავდიოდი ხოლმე, ცოლითურთ ერთხელაც არ ვყოფილვარ. ყველა აქედან გამექცა. წავიყვან და ერთად დავბრუნდებით... იქიდანვე რომ გამექცეს?.. რატომ, კარგარეთელი ჯერ ხომ დაჭერილი არ მეყოლება!.. ნეტავი, როგორი კაცი იყო მამაჩემი, რომ არ დაეხვრიტათ, გაიქცეოდა?.. ეგ ნათესავებს უნდა ვკითხო, ბოლოს და ბოლოს, თუ ვიპოვნე ერთი მაინც... იქნება, ჯერ ურენგოიში ჩასვლა სჯობდეს?..

მოდი, დარისპანის გარშემო რაც მაქვს გაგონილი, იქიდან ზოგ რამეს გავიხსენებ, რომ ამ პიროვნებით ჩემმა მძაფრმა გატაცებამ მეტი გამართლება მიიღოს.

ომი დაიწყო. მაშინ ძველქართული ტრადიცია ჯერ კიდევ მოქმედებდა: უომარი კაცი რა კაცი იყო! დარისპანი მოხალისედ წავიდა. წავიდა და მისი ერთ-ერთი ძეც დაიბადა. იმხანად ქართლში ვინმე ყანჩაველი[57] ყოფილა, საშუალო შეძლების თავადი თუ აზნაური. ყმები გაუაზატებია, თუ რამ სახნავ-სათესი ებადა, იმავე გლეხებისთვის იჯარით მიუცია. როცა ფული ჰქონდა, ლხინს არც თავად დაიკლებდა, არც სხვას დააყენებდა. გამოელეოდა ფული და შემოდგომამდე, სანამ გლეხები რასმე მოუტანდნენ, დროს მრავალრიცხოვან ახლო თუ შორეულ ნათესაო-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ბაში ატარებდა. ქალბატონ როდამს რომ ბიჭი ეყოლა, ყანჩაველი იქა სტუმრობდა. დარისპანი მოლდავეთში თურქებს, ფრანგებს, ინგლისელებსა და სარდინიელებს ეომებოდა. ყანჩაველს მეორე დღეს უბრძანებია, - მოლდავეთს უნდა წავიდე, დარისპანს ძეობა ვახაროო!

ყმების გააზატებისა და მოყიალე ცხოვრების გამოისობით ყანჩაველი ზერელე კაცად ითვლებოდა, მისი მოლდავური ვნებები არავინ დაიჯერა. ყანჩაველი კი ცხენზე შეჯდა და გასწია. ძნელი წარმოსადგენია, რა დრო უნდა დასავლეთ საქართველოს, ჩერქეზეთის, ტამანის ნახევარკუნძულის, მთელი ყირიმის, ჩრდილოშავიზღვისპირეთისა და ჩრდილომოლდავეთის ცალი ცხენით გავლას, მაგრამ ის კი თითქმის ცხადია, დარისპანს ყბა როგორ მოეღრიჯებოდა, ყანჩაველი როცა დაინახა და, სალმის მაგივრად, გაიგონა, - ბიჭი გეყოლა, გიორგი დაარქვესო! ასე იყო თუ ისე, მახარობელმა მაშინდელი ოცდაათი ოქრო, დაფოთლილი ყალმუხის ქუდი, აქლემის ბეწვის ჩოხა, ჩოხის საკადრისი ქამარ-ხმალ-ხანჯალი და ახალთექური ულაყი თავისი უნაგირ-მოსართავით მიიღო და შინ მშვიდობით დაბრუნდა. ეს ქონება იმ დროში ათ გლეხს დაასახლებდა. ისე მგონია, ყანჩაველმა დანამდვილებით იცოდა, სად და რისთვის მიდიოდა.

შენ ზერელე კაცი უძახე!..

ამ „დარისპანიანას" კიდევ ერთი მიხაკასეული მოუხდება:

- ცხენზე ვიჯექი, ნადარბაზევს მოკლეებით მივდიოდი. სერზე შევდექი, ფერდობს ჩავხედე. ჯაგიანი იყო, - საკურდღლეამეთქი, გავიფიქრე... ეს იყო და, მართლაც გამოხტა ჯაგიდან კურდღელი, ისკუპა, მათრახი მომტაცა და, ცამ უყო პირი თუ მიწამ, ველარაფერი დავინახე. კარგი მათრახი იყო, თვალ-მარგალიტით ნაჭედი. რა ვიცი, რა დრო გავიდა? იქნება, ხუთი თვე, იქნება ექვსი. ისევ იმ გეზზე, ისევ ნადარბაზევს მივდივარ, ისევ უმწეოარმეძებროდა ვარ და უთოფიარაღოდ. იმავე სერზე გადავდექი, მათრახი მომაგონდა. ეს იყო და, იმავე ჯაგიდან ის კურდღელი გამოგოგმანდა, პირში ჩემი მათრახი ჰქონდა გაჩრილი, შვიდი ბაჭია მოსდევდა, შვიდთავეს პირში პატარ-პატარა მათრახი ჰქონდა.

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

გავშრი, ველარც ხმა ამოვიღე, ველარც დეზი ვიხმარე. ფეხი არ აუჩქარებიათ, თხემი ეგრე, სეირნობით გადაიარეს და მიიკარგნენ.

ზემელის სასაფლაოს არქივებიდან ისე ჩანს, მეცხრამეტე საუკუნის საქართველოში ნეტარები კარგა ბლომად იყვნენ. მე ეს მიხაკა ნეტარი მგონია, ყანჩაველზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია და აი, კიდევ ერთი ყრმა თუ ჭაბუკი ნეტარი: იქ მიმჭკნარმილეული, იქნება დაბადებითვე ერთი ბეწო მანდილოსანი მოდიოდა - ქალბატონი ელისო.[58] მე იგი ჯიმშედის ჰარამხანაშიც მინახავს. იმის მონაყოლი მახსოვს.

მამამისი შამილის ომების მონაწილე ყოფილა - ოფიცერი, არტილერისტი, დავითი[59] რქმევია. დავითს დენშჩიკი ერგებოდა, ჰყავდა კიდეც, მაგრამ მაშინ ქართველი მეომრის ფისიქიკა სამხედრო ტანსაცმელში გამოწყობილი კაცის ლაქიობას ჯერ კიდევ ვერ ეგუებოდა, მისი მოვალეობები ცხენ-საჭურვლის მოვლითა და მხლებლობით ამოიწურებოდა. ქართველებს სამხედრო სამსახურსა და ომებში მსახურებად ყმები დაჰყავდათ - თხუთმეტი, ჩვიდმეტი წლის ფეხმარდი ბიჭები. ქალბატონ ელისოს მამასაც ჰყოლია თან წაყვანილი ბიჭი, მეტსახელად ღიტალა.[60] მათი ნაწილი შუა დაღესტანში იყო დაბანაკებული. ღიტალა პატრონს აჰხირებია, - სააღდგომოდ წითელი ხალათი მიყიდეო. უყიდა. ჩაიცვა ღიტალამ და იმ წითელი ხალათის ამარა გადაიკარგა. კაი მაგარი სიციველები ეჭირა, ღამით ჰყინავდა კიდეც. ბატონმა დავითმა იქაურობა ააწრიალა, კვალს ვერსად მიაგნო. გადაწყვიტა, მთიელების მოტაცებული იქნებაო, და აულებში შუაკაცი გაგზავნა, - გამოსასყიდი სთქვით, ბიჭი დამიბრუნეთო. შემოუთვალეს, - ჩვენ აქ მაგ ბიჭისა არაფერი ვიცით, სხვა აულებში გავიკითხავთო. ხანი გავიდა, ბიჭისა არა ისმოდა რა. ღიტალა თავის პატრონს ოცდამეცხრე დღეს გამოეცხადა. საწყალ კაცს სიხარულის ცრემლები წასკდა, ძლივს ამოღერღა:

- სად იყავი, ღიტალავ?!.

- შინ ვიყა!..

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ღიტალას მთელი დაღესტანი, საჩეჩნო, ძაუგი, სტეფანწმიდა, არაგვის ხეობა გაუვლია, გორის მაზრაში თავის სოფელში მისულა. სახლის კარი შეუღია, მოულოდნელობით თავრეტდასხმულ ოჯახის წევრებისთვის უთქვამს:

– აი, მე, წითელი ხალათი! – ერთი-ორჯერ შემოტრიალებულა კიდეც, რომ ზურგიდანაც ენახათ. რა გამარჯვება, რა მშვიდობა, დაუკრავს ფეხი და ისევ დაღესტნისკენ გაუწევია. ღიტალას არც ბადრაგი დასჭირებია, არ ც ზარბაზანი – გადავიდა და გადმოვიდა. იმ ოცდაცხრა დღე-ღამის მანძილზე რასა სჭამდა, სად ეძინა – გამორკვევა ვერ მოხერხდა. ასეთ შეკითხვაზე მოკლედ პასუხობდა:

– იჰ, რა ვიცი, აბა!..

ზემელის ბაღში სავარსამ ქარუმიძე[61] იყო, პაპაჩემს ხნოვანობით მამად გამოადგებოდა. ჯერ კიდევ ბატონყმობის გაუქმებამდე ქარუმიძეებს ახალგაზრდა ცოლ-ქმარი შემოჰხიზნიათ, ბაიდოშვილები.[62] მაშინ, უპატრონო სახნავ-სათესი რა სათქმელია, ნალეკარ-ნაოხარი სოფლები და ხეობებიც მრავლად იყო. მებატონეები ხიზნებს სიამოვნებით იკედლებდნენ, ხელსაც კარგად უმართავდნენ, რომ დოვლათი გაეჩინათ, მომრავლებულიყვნენ და ბატონსაც გამოსდგომოდნენ. ბაიდოშვილები მოვიდნენ. გამრჯეები იყვნენ, რამდენიმე წელიწადში ყველაფერს გასწვდნენ, მაგრამ ბედისწერა – ბედისწერაა, ნიკას სიმთვრალეში ავი ხასიათი გამოაჩნდა, რომელიღაც დღეობაში ხანჯლის ტრიალი აეტეხა და მოკლული ჩამოასვენეს. დარომ ორიოდე წელიწადიღა იცოცხლა, გლოვამ შეიკლა, ქმარს მიჰყვა. ოთხი წლის ბიჭი დარჩათ – სანდრო. ძველ საქართველოში წესი ყოფილა, ხიზანი იქნებოდა თუ ყმა, თუკი ოჯახი ამოსწყდებოდა და ნათესაობიდან არავინ იკისრებდა ობლების შევრდომებას, ბატონს უნდა წამოეყვანა, აღეზარდა და დაესახლებინა კიდეც. წამოიყვანეს პატარა სანდრო ქარუმიძეებმა და თავის შვილებთან ერთად ზრდიდნენ. ოჯახში მასწავლებელი ცალკე იყო, „ფრანცუჟანკა“ ცალკე. სანდრო ბატონის შვილებთან ერთად სწავლობდა ყველაფერს და ნიჭიც მახვილი აღმოაჩნდა, – ამან უსათუოდ გიმნაზიაში უნდა ისწავლოსო, – მასწავლებლები ამბობდნენ.

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

სანდრო შვიდი, რვა წლისა იქნებოდა, ბატონს სააღდგომოდ ბატკნები მოჰგვარეს. ერთი მათგანი, წითელს რომ ეტყვიან, იმ ფერისა ყოფილა. ეტაკა სანდრო წითელ ბატკანს, ჩაიკრა გულში და უიმისოდ აღარც პური შეირგო, აღარც ძილი გაიკარა. აღდგომამ მოაწია, ბატკნებს დაკვლა დაუპირეს, მათ შორის, წითელსაც. სანდროს ძარღვები აეშალა, გული წაუვიდა, ძლივს მოაბრუნეს.

გიმნაზიაში მიბარების დრო მოვიდა, მაგრამ ბავშვს იმთავითვე ჰქონდა ახირებული, - ცხვარში მინდაო, და ხვეწნა-მუდარითა და დარიგებით რომ ვერავინ რასმე გახდა, გიმნაზიაში საავარსამთან ერთად ძალით წაიყვანეს. მესამე დღესვე გამოიპარა, შინ მოვიდა. ასე რამდენიმეჯერ განმეორდა. ამის გამო „აბრატნი“ შეარქვეს და ბოლოს და ბოლოს, თავი მიანებეს, - როგორც ეხასიათება, ისე იყოსო.

ეს ამბავი სხვადასხვა ინტერპრეტაციით ბავშვობაში ბარე სამჯერ მაქვს გაგონილი და ამ ადგილას მთხრობელს უეჭველად ვეკითხებოდი, - წითელი ბატკანი რა იქნა-მეთქი? პასუხი ერთხელაც ვერ მივიღე... სანდრომ გიმნაზიას თავი რომ დააღწია, ახლა ის აიტეხა, - ცხვარში გამიშვითო. აიტეხა და თორმეტი წლისამ საწადელსაც მიაღწია. ქარუმიძეების ცხვარი ერთ ცნობილ სარქალს დაუდიოდა, ყოველმხრივ ღირსეული, ერთგული კაცი იყო. სანდრო იმას მიაბარეს. თოთხმეტისა რომ შესრულდა, დაჰკრა ფეხი და საითღაც გადაიკარგა. ბარათი დასტოვა, - ჩემზე არ იდარდოთ, როცა იქნება, საკუთარი ფარებით დავბრუნდებიო...

რვა წლის შემდეგ, მართლაც, საკუთარი ფარებით დაბრუნდა, მოხევეებთან მწყემსობაში გაუტარებია ის რვა წელიწადი. მაშინდელ დროში ცხვარ-მეცხვარეობასა და მწყემსობას თავისი წესი ჰქონდა: ფარა, ანუ ორი ათასი ცხვარი, ექვსი ქართული ნაგაზი, ორი საურმე და ორი იორღა ცხენი ორ მწყემსს ებარა. მწყემსი სამსახურის წლისთავზე ფარიდან ორმოცდაათ დედაცხვარს თავისთვის მიითვლიდა. ორი წლისთავზე-სულ უკეთესი თუ ვივარაუდეთ-ასი საკუთარი ჰყავდა და კიდევ ორმოცდაათი პატრონის ფარიდან ერგებოდა. ეგ-ას ორმოცდაათი, და სამი წლისთავზე-სამას ორმოცდაათი!.. ერთი სიტყვით, რვა

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

წლისთავზე სანდროს სამი ფარა, ანუ ექვსი ათასი ცხვარი, ამისი ნაგაზები, ოცდაათამდე ცხენი ჰყავდა, კარგა ბლომა ფულიც ჰქონდა. დაოჯახდა, შვილები წამოუვიდა და ცხოვრობდა ერთი მდიდარი გლეხკაცის კვალობაზე. ექვს ათასზე ზევით ცხვარს არ იყენებდა,-კმარაო. ნასწავლიც იყო, პირიან-ნამუსიანიც, ქვრივ-ოხრისა და ბოგანოს შემწეცა და მამაციც.

მაშინდელ ცხვარ-მეცხვრეობას შეუპოვრობა და გულადობა ისევე სჭირდებოდა, როგორც საქონლის მოვლა-პატრონობისა და მკურნალობის ცოდნა. აბა, ყიზლარის ველებამდე და ისევ აქეთ, ჩვენსკენ ფარების გადაყვანა-გადმოყვანაში, ჩრდილოელი ტომების მიწა-წყალზე გავლაში, რაღა არ გადაჰხდებოდა მეცხვარესა და ცხვარსაც!

ოცდათხუთმეტი წლის ასაკისთვის სანდრო ბაიდოშვილი საქვეყნოდ ცნობილი სარქალი იყო და კავკასიონის ორთავ მხარეზე მაგარი ვაჟკაცის სახელი ჰქონდა. ღმერთი სანდროსკენ იყო, მაგრამ არც ეშმაკს ეძინა და სანდრომ აკი ოცი წლის კატორღა მიიღო.

სულ უბრალოდ და ჰაიჰარად მოხდა. ლარსზე საბაჟომ ცხვარი გაუჩერა, ზამთრის საძოვრისა სულზე კაპიკი იყო. ახალი მებაჟეები იყვნენ, სანდროს ისინი არასოდეს ენახა. რამდენს მოერეკებიო, -ჰკითხეს. სანდრომ უთხრა, რამდენიც იყო. ყასიდი სიცილი დააყარეს, - ვის ატყუებო! სანდრომ მაინც თავაზიანად განაგრძო ლაპარაკი. მებაჟეებში, რომელიც უფროსი გახლდათ, იმან იფიქრა, - ეს კაი ნაზუქი ჩანს, გადაიხდისო, და დააწვა. ცელი ქვასაო, რომ იტყვიან, ისე გამოვიდა. მებაჟე ყვიროდა, ილანძღებოდა. სანდრო მშვიდად ელაპარაკებოდა. მებაჟე სანდროს აუმღვრევლობამ გადარია, თავი ვეღარ შეიკავა და სილა გააწნა. სანდრომ, - ეგრე არ უნდაო, სთხლიშა და დააგდო. სხვა მებაჟეები თავის უფროსს წამოეშველნენ. ორნი იყვნენ - ერთი უიარაღო და ერთიც ხიშტიან-თოფიანი სალდათი. უიარაღომ სალდათს თოფი გამოსტაცა, სანდროსთვის ხიშტი უნდოდა ეტაკებინა, მაგრამ თავად მიიღო მუცელში ხანჯალი, ძირს დაეცა და კრუნჩხვას მოჰყვა. ახლა სალდათმა დააპირა თოფის აღება. ამასაც უმცროსი მებაჟის ბედი ეწია - მუცელგაფატრულს მოსძვრა ბრაგვანი. ამაობაში უფროსი მებაჟე გაქრა. გაირეკა ცხვა-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

რი სანდრომ და წავიდა. ძაუგში დაეწივნენ, დაიჭირეს. ხანჯლ-ით მოკლული მებაჟის ძმა თბილისში „ოკოლოდოჩნი ნადზირა-ტლად“ მჯდარა. აქეთ უფროსმა მებაჟემ არა ქრთამით არ დაიშ-ალა სიცრუე. ან რაღა სიცრუე თუ მართალი - ორი მკვდარი იდო! რა არ იღონეს ქარუმიძეებმა და ისღა შესძლეს, რომ ჩამ-ოხრჩობას გადაარჩინეს სანდრო ბაიდოშვილი. ოცი წელიწადი არც ხმა რამ მოუცია, არც წერილი მოუწერია. დიდი ხნის მკვ-დარი ეგონათ სანდრო, მაგრამ დაბრუნდა. დაბრუნდა და სადღა იყო სანდროს მუდამ მღიმარი სახე, ბრტყელი მკერდი და გაშლ-ილი მხრების ომახი! ნანგრევიღა დარჩენილიყო და მუხლს ქვე-ვით ცალი ფეხიც ციმბირში დაეტოვებინა.

ბარე ორი წელი ავადმყოფობდა. სანდროს ცოლი მაია მარა-ბდელი ქალი იყო, მარაბდულას[83] ეძახდნენ. სანამ სანდრო კატ-ორღას იხდიდა, შვილებიც დაზარდა, ქონებასაც კარგად გაუძ-ღვა და ქმარს ოჯახი დოვლათიანი და აშენებულ-დასახლებუ-ლი დაუხვედრა. სანდრომ, - შეწუხება არავისი მინდაო. უფრო-სი ბიჭის ახალ, ქვითკირის სახლში ერთი პატარა ოთახი იყო, იმაში შეიყუჟა. ერთთავად სდუმდა და ლოცულობდა. გამოზაფ-ხულდა, გარეთ გამოსვლა, მზეზე მიფიცხება დაიწყო სანდრომ. ეს მისი მოშინაურების პირველი ნიშანი იყო. სახეზეც თითქმის ძველებური ღიმილი აუთამაშდა. ორი სახარე ხბო ამოარჩია - ორთავე შვინდა და ნიშა, ამათ მოვლა-შენახვას მიჰყო ხელი. საცა კარგი ბალახი ეგულებოდა და ტყეში პანტა თუ მაჟალო, იქა ჰყავდა. დამოზვრდნენ ხბორები და თითო ისეთი შეიქნა, უღელს ვერა ხარი ვერ გაუწევდა, მაგრამ ძველ საქართველოში ხუთისაზე ნაკლებს ხარს არ შეაბამდნენ, ცოდვად ითვლებოდა.

ერთხელაც იყო, შემოდგომაზე სანდრომ ტყეში პანტაზე გა-ირეკა თავისი შვინდა-ნიშა მოზვრები. ხის ძირში მირეკა, რის ვაი-ვაგლახით, ხეზე გავიდა, ბერტყვას შეუდგა. ქვევით მოზვრ-ები პანტას ახრამუნებდნენ, ზემოთ სანდროს უხაროდა. კარგა დახუნძლული ტოტი ნახა, დასაბერტყად გაიწია, ჩაუტყდა, მი-წაზე დაენარცხა და უკანასკნელად ამოიფშვინა სანდრო ბაიდ-ოშვილმა. დამარხეს, ქვა დაადეს. ის ქვა ეხლაც იქ არის. ცალი გვერდიდან აწერია - „ვერც თავად გავიხარე და ვერც ვინმე გა-ვახარეო“. მეორე გვერდზე რქები ახატია, ყოჩის რქები.

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ამ ნაამბობში, მახსოვს, ჯერ იმ წითელი ბატკნის დაკვლის საფრთხემ ღამეები არ მაძინა. მერე უბნის ზედამხედვლის ძალაუფლებისა და გავლენის ზომის დადგენაში პაპა იაგორი კინაღამ შევიკალი. წავიკიდეთ კიდეც. მე ბატკანი და უბნის ზედამხედველი მაინტერესებდა, პაპაჩემს - საქონლის სიყვარულისა და შრომის ფასის გაგებინება და, უწინარეს ყოვლისა კი, იმ კანონზომიერების ახსნა, რომ წარმატებამ საბედისწერო გათამამება იცის, ხოლო კაცისკვლის ცოდვას, როცა იქნება, ზღავ - შენ თუ არა, შენი შვილები ზღავენ!

მაინც, რამდენი საოცრებაა ადამიანის მეხსიერებაში! ზუსტად მახსოვს, კიკეთში, ჩვენი ბაღის ბოლოს, თხილნარში, შავი შაშვები და ბულბულები როგორ სტვენდნენ; რა მოყვანილობისა და ფერის ქვები ეყარა ონიკაშვილის წყაროსთან; ისიც, რომ თბილისში ჩვენი სახლის პირდაპირ მომუშავე მეჯღანე დერენიკას[64] საყვარელს ლოლა ერქვა; ისიც, რომ „ჩარლსტონის" თარგის შარვალი თბილისში პირველმა ახალგაზრდა ვექილმა - ბესიკ მჭედლიძემ[65] ჩაიცვა. დასწყევლოს ღმერთმა, რა ვიცი, კიდევ რამდენი ისეთი რამ მახსოვს, ამირან მორჩილაძის[66] აღშფოთებას რომ იწვევდა, - ვაჰ, რამდენი ნაგავი აქვს ამ კაცს თავშიო! ამასთან ერთად, ჯიმშედის ჰარამხანაში კოტაშვილის[67] ამბავი რომ მოვისმინე, იქიდან რაღაც იმდენად მნიშვნელოვანი მაქვს დავიწყებული, რომ დანარჩენს, თითქოს, აზრიც ეკარგება. ისიც ხომ ბავშვობაში იყო და ჩემივე შეხედულების თანახმად, კარგად უნდა დამხსომებოდა... შესაძლოა, ის რაღაც იმან დამავიწყა, რომ ამბავი სასაცილო იყო და პაპა გორამ კი დასკვნის სახით იმის მეტი ვერაფერი მითხრა: ცოლსა და საყვარელს არაფერი სთხოვო, თორემ ერთი ასად გადაგხდებაო! საოცარია, ურთიერთობის ასეთ წესს მაშინ, ცხადია, ვერაფერი გავუგე, თითქოს შემდგომშიც ვერ გავიზიარე, მაგრამ თხოვნით - იშვიათად თუ ვინმესთვის რაიმე მითხოვია, მათ შორის... იქნება, მართლა არის ამ მეთოდში რაციონალური მარცვალი?.. ღმერთო, რა იყო, რა მაქვს მივიწყებული?!. თვით ამბავი გაიხსენე, იქნება, თხრობაში მეხსიერებამ თავად ამოატივტივოს?..

ქართლისა თუ კახეთის რომელიღაცა სოფელში ერთი გლეხკაცი ყოფილა, გვარად კოტაშვილი. იმ სოფლისა და იმ ამბავ-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ში მოქმედი პირების სახელები ორი გარემოების გამო კარგად არ ვიცი. ერთი ის, რომ ექვსისა თუ შვიდისა ვიყავი და მთხრობელი - ასს გადაცილებული ქალბატონი, რომელიც უკბილო პირით ლაპარაკობდა. მეორე ის, რომ ქალბატონს უზარმაზარი, ცხრაკეცი ღაბაბი ჰქონდა და იმის თვალიერებამ გამიტაცა.

ილო კოტაშვილი თვრამეტისა ყოფილა, მშობლებს მისთვის თექვსმეტი წლის გოგო რომ მოუყვანიათ - დარო რქმევია. ძალიან შორიდან მოუყვანიათ, - მშობლები ახლო თუ ეყოლება, ნებივრობას დაიწყებსო. შვიდი წლის მანძილზე შვილი არ გასჩენიათ. სანამ უშვილოები იყვნენ, დარო ერთთავად კვნესოდა და შუბლზე მჭიდროდ შემოხვეული თბილი ხილაბანდი არც დღე მოუხსნია, არც ღამე. სამაგიეროდ, ოცდასამისამ პირველი შვილი რომ გააჩინა, მას მერე...

საცოდავი დარო ოცდათხუთმეტისა გარდაიცვალა, ილო კოტაშვილს ექვსი შვილი დაუტოვა. თორმეტი წლის მანძილზე - ექვსი შვილი!

კარგი დედა იყო, რამდენიც მისცა ღმერთმა, იმდენი საღ-სალამათი გაზარდა და პირველი შვილის მერე აღარც დაუკვნესია, აღარც ავად გამხდარა, აღარც ვინმეს მის შუბლზე ხილაბანდი უნახავს და, აი, ეგრე მოულოდნელად, ფეხზევე მოკვდა, ბედშავი.

კოტაშვილმა რომ თავისი „დარა" იგლოვა, ზოგი დედა შვილს არ იგლოვებს. ერთთავად საფლავის ქვას უჯდა, ცრემლითა სტიროდა. აღარც მიწა და ხვნა-თესვა ახსოვდა, აღარც სახლი და საქონელი. შეწუხდა სოფელი ილოს ცოდვით. იმასაც ამბობდნენ, ჭკუიდან შეიძრა, უბედურიო.

ბოლოს, ქალბატონმა დაიბარა და უთხრა:

- გეყო, რაც იგლოვე. სახლ-კარსა და შვილებს პატრონი უნდა, ეგრე არ იქნება, ცოლი უნდა შეგრთო.

ჩაჰკიდა თავი ილომა:

- თქვენი ნება იყოსო, ქალბატონოო.

ილო ჯმუხი გარეგნობის, ყოჩაღი, გამრჯე და კარგა შეძლებული გლეხკაცი იყო. წაიყვანა ილო ქალბატონმა თავის დედულეთში და, აკი მზესავით გოგო წამოუყვანა - ახალგაზრდა, უშვილო ქვრივი - კატო. გათქვირული, ოციოდე წლის, ჯან-ღონ-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ით სავსე პატარძალი ისეთი ჭკვიანი, მშრომელი და მოსიყვარულე აღმოჩნდა, რომ იმ, თითქმის, ჩაშვავებულ ოჯახში ყველაფერი ფეხზე დააყენა და ლაზათი მისცა. გერები ჩაცმულ-დახურული, დაბანილ-დავარცხნილი დაუდიოდა; ქმარი - მადლიერი; სოფელ-მეზობელი - კმაყოფილი; ბატონები - გახარებული. კატო, არც ის ქალი იყო, ვინმესთვის თავის ოჯახურ თუ ცოლქმრულ ურთიერთობებში ცხვირის ჩაყოფის უფლება მიეცა და არც სხვათა საქმეების ცნობისწადილი ჰქონდა, რჩევა-დარიგებისთვისა და გულის მოსაფხანად თვითონ თუ არავინ ესტუმრებოდა. ჭორს არც მოისმენდა, არც თავად იტყოდა. სოფელი გაიძახოდა, - ილოს ქუდბედი დაეცაო, მაგრამ საქმე სხვანაირად შეტრიალდა.

კატო მღვდელთან მივიდა და უთხრა:

- იმ კაცს უნდა გამყარო!

მღვდელმა კატო გულმოდგინედ, ბარე სამჯერ თავით ფეხამდე აათვალიერ-ჩაათვალიერა, ჩაიცინა და ჰკითხა:

- რათა?

- ეგრე! - კატომ მიუგო.

- ეგრეობით წიწილი ბურტყლს არ დაიბუმბულებს, - მღვდელმა მიუგო.

- სამი წელიწადია, მაგისი ცოლი ვარ, ერთხელაც არაფერი ჰქნა! არც ეგრე დაიბუმბულებს?!.

მღვდელმა წარბი შეჰკრა, საგონებელში ჩავარდა. იფიქრა, იფიქრა და უთხრა:

- მაგისთვის ვერ გაგყრი, შვილო. ცვედანი რომ იყოს, რჯული და ეკლესია კვერს დაგიკრავდა, მაგრამ ექვსი შვილი ჰყავს და...

აქვითინდა კატო, სლუკუნ-სლუკუნით ჩაილაპარაკა:

- რა ვქნა, მამაო, რა წყალში გადავვარდე. სულ არა ვიცოდე რა, იქნება, მომეთმინა კიდევაცა, მაგრამა ნაქმრალი ვარ, ვიცი, ეგ ოხერი, რაც არის და... ეგეც არ იყოს, მე რა, ჩემი საკუთარი შვილები არ მინდა, თუ როგორა?!.

მღვდელი ახალგაზრდა იყო, ოცდაათისა იქნებოდა. ცალკე ამ გოგოს შესცქეროდა და უკვირდა, - ეს მაცდური გვერდში გეწვინოს და არ გაეკარო, რანაირად შეიძლება, და იქით იმ ილო

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

კოტაშვილს, ექვსი შვილის გამჩენს, ორმოცს ცოტა გადაცილებულ ვირგლა გლეხკაცს, განა ისეთი რა უნდა დამართოდა, რომ „არაფერს უშვრებაო“?

- კარგი, გოგო, წადი შენა, დავიბარებ, ველაპარაკები და, თუ კიდევ ეგრე მოიქცა, მე ვიცი, რასაც ვუზამ. - მაგრამ მღვდელმა, რა თქმა უნდა, არაფერი იცოდა იმისა, „რასაც უზამდა“.

დაიბარა მღვდელმა ილო კოტაშვილი.

- ცოლთან რატომ არა გძინავს?

- მაშ, ვინ ოხერთანა მძინავს? - გაუკვირდა კოტაშვილს. - ტახტი ერთი გვაქვს და ყველანი ზედ არა ვართ?

ძველად გლეხის სახლში ერთი დიდი ტახტი იდგა, უფროსებსაც ზედ ეძინათ, უმცროსებსაც და ბალღების აკვნებიც ზედ ედგათ.

- მაგას არ გეკითხები. რატომ არაფერს უშვრები-მეთქი!

- რა უნდა ვუქნა? - იკითხა კოტაშვილმა.

- რასაც კაცი ქალს უშვრება, - განუმარტა მღვდელმა.

- რას ამბობ, მამაო, მაგაებს როგორ შევბედავ... შვილებს მიზრდის, დღეღამ გარჯაშია, ისე იღლება, რომა თავი აღარაფრისა აქვს ხოლმე... ღმერთი აღარ არის?!.

მღვდელი იმაზე ფიქრობდა, - მართლა ამოდენა რეგვენია ეს კოტაშვილი, თუ ეშმაკობს რასმეო, და თუ ეშმაკობს, რა უნდა ჰქონდეს გულშიო?

საფიქრებელია, ზეცა-უფალმა გარკვეული აზრი ვერაფერი ჩამოაწოდა და ესღა უთხრა:

- შე რეგვენო, შენა! წადი და უქენი ხოლმე, თორემ მე ვიცი, მე - შენა!

გატრიალდა კოტაშვილი და წავიდა, მაგრამ მღვდლის მუქარა, როგორც ჩანს, არაფრად ჩააგდო და არც მისი ბრძანება შეასრულა; ერთი თვის თავზე გამწარებულმა კატომ მღვდელი ისევ მოინახულა და განქორწინება უფრო მტკიცედ, ურყევად და გადაუდებლივ მოითხოვა.

რაღა იქნებოდა. ძველად წესი ყოფილა, ყმებში ამგვარი უთანხმოებები ბატონს, ქალბატონსა და მღვდელს ცოლ-ქმრის თანდასწრებით უნდა გაერჩიათ და მოეგვარებინათ. დაიბარეს და ერთად ამოვიდნენ კატო და ილო. ზაფხულია, დიდი ცაცხვის

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ქვეშ ქალბატონი, ბატონი და მღვდელი სავარძლებში სხედან. კატო და ილო თავჩაქინდრულები დგანან, მაგრამ ეს უხერხული ლაპარაკი ვინ და რა სიტყვით უნდა დაიწყოს? სიტყვა ბატონისაა. ზის და კრიალოსანს არაკუნებს. დრო მიდის, საქმეს თავი არსაიდან უჩანს.

- სთქვი რამე, - მღვდელმა სხვებზე ნაკლები მოთმინება გამოამჟღავნა და ბატონს გადაულაპარაკა.

ბატონი ღრმად ჩაფიქრდა, აზრი მოიკრიბა. ისეთი მოლოდინი იყო, ძალზე ჭკვიანურს იტყოდა რასმე. ამან კიდევ, არც აცია, არც აცხელა:

- ეე, შენა, ვირო! ეგ გოგო რისთვის მოგიყვანეთ ცოლათა?!

- ჰოოდე, მაშა! - ქალბატონი წამოეშველა მეუღლეს. - რისთვის ჩამოგიყვანე ეგ მარგალიტივით გოგო!? თრიალეთში როგორი გზებია? ჩემი ჯანის პატრონი ცხენზე შევჯდებოდი, თუ როგორა? იქ არ იყავი შენცა?.. იმ ოხერ თედუასა ღორის ქონი რომ გამოელია და ღერძმა ჭრიალი დაიწყო - კინაღამ დავყრუვდი... მეხი დავაყარე, ერთ კონა ჩალას, თუ დაამშიე, ერთ ჭამაზე მოულებს ბოლოსა და, აბა თუ ღორის ქონის წამოღება იფიქრა...

- მოიცა, მარიამ, თავადა სთქვას, - სიტყვა ჩამოართვა ბატონმა.

- რისთვისა და, მაშ იმ ექვს ბალღსა მომვლელი და დამპურებელი არა სჭირდებოდა?! - სთქვა ილო კოტაშვილმა.

- თავად დედაკაცს რაცა სჭირდება? - ქალბატონმა ჰკითხა.

- ჰო, მაშ!.. თავად დედაკაცსა, - ახლა ბატონმა მისცა მხარი თავის მეუღლეს.

- რა ვიცი, ჩემო ბატონო, სარჩოს ამას მე არ ვაკლებ, ჩასაცმელ-დასახურავსა, ქორწილ-ნათლობებში სიარულსა და არც მოფერება და გაჯავრება დამნანებია. სხვა რაღა უნდა ვქნა, ჰა?

კვლავინდებური სიჩუმე ჩამოდგა. იქამდე იყვნენ ჩუმად, სანამ ბატონი იმსიგრძე კრიალოსანს ბარე სამჯერ თუ ოთხჯერ ჩაარაკუნებდა. ჩაარაკუნა და ჰკითხა:

- შენა, ილო, ქალისა გაგეგება რამე?

- მენა?.. ბატონო, ცვედანი ხომ არა გგონივარ, ჰა? - მიუგო კოტაშვილმა და კარგა ხანს იცინა.

- საყვარელი ეყოლება! - წამოიძახა მღვდელმა.

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

- მყავს, მამაო! - დაუდასტურა ილომ.

- ვინა, ილო, ვინ არის შენი საყვარელი? - მყისვე დაინტერესდა ქალბატონი.

- ვინა, შენი ჭირიმე, ქალბატონო და, აი, ესა. ამას ვენაცვალე, ამასა! - ილომ ცოლს თავზე ხელი გადაუსვა. - ისეთნაირად მიყვარს, უამისოდ ჩემი სიცოცხლე ნამდვილად ვერ იქნება!

- დახე, ამ ვირეშმაკასა! - აღშფოთდა ბატონი. - კაცო, ჩვენ იმას გეკითხებით, როცა მოგინდება, უშვრები ვინმესა თუ არა და, თუ უშვრები, მაშინ - ვისა?!

- ვისა?!. ვისა და ქალებსა! - განაცხადა კოტაშვილმა და ისეთი თვალი მოავლო სავარძლებში მოკალათებულებს, თითქოს ეკითხებოდა, - მაშ, თქვენ როგორ გეგონათ, ვის უნდა ვუშვრებოდეო?

ამან დამსწრეებზე სხვადასხვანაირი შთაბეჭდილება მოახდინა:

- უი, უი, უი! ეს რა გაიგონა ჩემმა ყურებმა! - სასტიკად შეიცხადა ქალბატონმა.

ბატონმა პირი დააღო.

მღვდელმა ოდნავ ჩაიღიმა.

კატომ, ჯერ იყო, მკილავი თვალი სჭიდა თავის მეუღლეს, გადააქიცინა თავი და გესლიანად დააყოლა:

- იიჰ, შენი თავის გახეთქვამა, ისინი ჩემზე უკეთესები არ იყვნენ, ერთბაშათა! - მერე რაღაც მოაგონდა, თუ გულზე რამ ეტაკა, ერთი ისეთი სილა სტკიცა დედათმავალ ქმარს, რომ ბატონი კინაღამ გასაშველებლად წამოიჭრა.

- ეგრე, კაცო, ადრევე გეთქვა. ნეტავი, რას გვაწვალებდი, ჰა? - წამოიროხროხა ბატონმა.

- ქალებსაო! ერთსა და ორს კი არა - ბევრსაო! ცილისმწამებლობს. ჩემს მრევლში, მეტი-მეტი, ორი იყოს მაგისთანა. - მღვდელმა აღნიშნა და ქალბატონი უმალ დაზუსტებას შეუდგა:

- ჰო, აბა, საიდან?.. ერთი, თუ გნებავს, ტუხაანთ ქვრივი იყოს და მეორე ვინა? მეორე, ვთქვათ და, მარო იყოს. იმ ბებერმა, იმანა, მოიყვანა ეგ ვარდივით გოგო და გააუბედურა. ეგ ორია, მეტი არავინ არის. აბა, თუ არის და სთქვი, რომელია?!

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

- არა გამოვა რა, ქალბატონო, მე მაგაების მთქმელი არა ვარ. ერთი რომ ვთქვა, სხვა აღარ მიმიშვებს. ეგეთი საქმეა ეგა, არ იქნება! - ცივი უარი ბრძანა კოტაშვილმა და მღვდელს მიუბრუნდა: - შენი მრევლი, რა, გაჩუქა ვინმემა ჩემი თავი და ის დედაკაცები, თუ როგორა?!. ჩვენა, აი, ბატონებისა ვართ, ღმერთისა ვართ, იმის ნებითა ვართ.

- ღმერთის ნებაზე თუა... - კატომ აღარა სთქვა, რის თქმაც უნდოდა, და ისევ მღვდელს მიუბრუნდა: - არა ვიცი რა! თუ არ გამყრი, წავალ და გადავვარდები სადმე!..

- გაჩუმდი, შენა, დედაკაცო! - დაუთათხანა ბატონმა. - აქა ბევრი რამ არის საჩხიბავი და დასასწავლი... კაცო, ბატონი ვარ და ეგრე ჰაიჰარად... მაგდენი მე არავინ შემომძლევია და შენა... აი, როგორ ახერხებ მაგასა, ჰა?

- რა მოხერხება უნდა, რა?!

- მაინცა, მაინცა? - ცნობისწადილს ვეღარ სძლია ქალბატონმა.

კოტაშვილმა მორცხვად ჩაიცინა, კისერზე ხელისგული მიისვ-მოისვა, მერე წარბი შეჰკრა და ისე სთქვა, ვითომ აწამეს და ეს საიდუმლო იმიტომ აღიარა:

- ჯადო მაქვს, ბატონო-ჩემო, ჯადო!.. აი, მივდივარ საითმე, არა? კაცებსა, გინდ დავუნახივარ და გინდ - არა, არაფრად მაგდებენ - კოტაშვილი და კოტაშვილი, ეგ არის, მაგრამ ქალებსა?.. ქალებს გულები უდნებათ. მე კიდევა ვიცი, რომელს უფრო უდნება. დედაკაცებს ვამბობ, ახალგაზრდა ქვრივებსა და პატარძლებს... გოგოს არ გავეკარები, ცოდოა და, მართალი გითხრათ, არც ვუნდივარ მაგათა. არ ვიცი, რატომა და ეგრე კია...

- აი, მეხი დაგაყარე მაგ თავზედა, შე უსინდისო, შე გარყვნილო და ჯოჯოხეთის კერძო, შენა! - შეუტია ქალბატონმა, მაგრამ ბატონმა ანიშნა, - შენ გაჩუმდიო, და კოტაშვილს მიმართა:

- ჰო, კარგი, ქვრივებისა და პატარძლებისა სთქვი, ქვრივებისა და პატარძლებისა.

კოტაშვილი თავჩაქინდრული იდგა, აქაოდა, დარცხვენილი ვარო, მაგრამ უფრო ისე სჩანდა, რომ გული გაუბეზრდა, - აქაურობას, ნეტავი, როდის გავეცლებიო.

- სთქვი-მეთქი! - შეუტია ბატონმა.

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

- რა ვიცი, რაღა უნდა მოგახსენო, ჩემო ბატონო, კიდევა?

- აი, როგორა?.. აჰა, იცი. გული უდნება. მერე? - მიახვედრა ბატონმა. - საიდან იცი?

კოტაშვილმა თავი ასწია, გამოცოცხლდა:

- თვალი თვალში თუ გამიყარა, იმით ვიცი! ზოგი ისეთია, გატრუნულია, პირზე ხილაბანდი აქვს, მაგრამ სათქმელს თვალებით მეუბნება და მე კიდევა ყურით მესმის, სიტყვებით მესმის... - კიდევ რაღაც უნდოდა, ეთქვა, ბატონმა აღარ დააცადა:

- ეგა - რა?.. მაგას იქით არის ძნელი, თორემა, ეგა - რა, სულაც არაფერი!

- ჰოოდე, ძნელია, ბატონო, მაშა! ვინც არ იცის, იმისთვის ძაან ძნელია.

- ეგეთი რა იცი, შე მამაცხონებულო? - მიაგება მღვდელმა.

- რა ვიცი, და, აი, გუშინ ორღობეში მოვდიოდი, მხარზე ცელი მქონდა. კარგი დედაკაცი იყო ბოსტანში, უკეთესი რომ იშვიათია. წელში გაიმართა და შემომხედა. მეც შევხედე და თვალი თვალში რომ გამიყარა, უკვე ყველაფერი ვიცოდი...

- მკრეხელია და საძაგლის მოუბნე! - განაცხადა მღვდელმა, ადგა, სავარძელი აიტაცა და დასძინა: - უნდა გადავჯდე, რომ ესეები აღარ გავიგონო. აგერა, იმ ხის ძირას ვიქნები. - ხე ისე ახლო იყო, მაინც ყველაფერს გაიგონებდა.

- იჰ, ნეტავი, რაებს ეკითხები? აბა, მაგაების მოსმენა მეკადრება?!. - სთქვა ქალბატონმა და წამოიწია.

- დასხედით, მიზეზიანები ნუ ხართ! - დაიძახა ბატონმა. - დაბრძანდი, მამაო, და შენცა, მარიამ. არსად წახვიდეთ, ეს საქმე ერთად უნდა გავარიგოთ, წესია!.. ჰო, ეხლა შენა, კოტაშვილო, რაო, რა ვიცოდიო?

- ვიცოდი, გაბრუნდებოდა და წავიდოდა. ისიც ვიცოდი, რომ თუკი გავყვებოდი, საქმეს წინ აღარაფერი დაუდგებოდა...

- ეგ რომელი იყო, ვისი იყო? - სიტყვაში შეუვარდა ერთიანად აფოფინებული ქალბატონი.

- ე-ჰეე! - გაიცინა კოტაშვილმა. - როგორა, დედაკაცთან საქმე დავიჭირო და იმისი სახელი ვთქვა სადმე? ეგა და მაგისთანები რა ვაჟკაცის საქმეა!?.

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

- ნუ უშლი, მარიამ, სთქვას ამ არგასახარელმა, - ჩაერია ბატონი. - ისა სთქვი, დედაკაცი რომ გატრიალდა და წავიდა, გაჰყევი შენცა თუ არა?

- გავყე, მაშ როგორა! გავყე კიდევაცა და... - ამის თქმა იყო, კატომ მეორე სილა სტკიცა და ისევ გაყრის მოთხოვნებს მისდგა.

- დადექ-მეთქი!.. - შეუტია ბატონმა აკაპასებულ კატოს. - რა გითხარი მე შენა? მთავარი ჯერაც არა თქმულა რა. მთავარი წინ არის! - კოტაშვილს მიუბრუნდა: - გაჰყევი, მიხვედი ზედა... ვნახოთ და არ დაგნებდა, მერე?

- მერე და მერე. ძალის ხმარება არ იქნება, მაგრამა ისეთებიც არიან, რომ უყვართ ეგა... ისეცა ყოფილა, არ დამნებებიან, განა არა? გავტრიალებულვარ, წავსულვარ. ერთი-ორი თვე - ვითომ ვერცა ვხედავ და, მერეო, რომ მეკითხები, ბატონო, სეირი მერეა ხოლმე!

- კარგი, - ხმა ამოიღო მღვდელმა. - წავიდა, გაჰყევი, ჰქენით კიდევაც ის ღმრთისგან წყეული საქმე... ვნახოთ და, დაგინახათ ვინმემ?

- რას ბრძანებ, მამაო, - მიუგო კოტაშვილმა. - დედაკაცი სანამ დაგხვდება სადმე, თვალს თვალში გაგიყრის და მაგრე დაგიძახებს, ყველაფერი აწონილ-დაწონილი აქვს - დროცა და ადგილიცა. დედაკაცი ეშმაკეულია და უნდა დაეცადო. დედაკაცს ეგ არ შეეშლება - კაცს შეეშლება! ერთი თუ შეგეშალა, წასულია საქმე ხელიდანა. ქალს უნდა დაეცადო. მე მუდამ ეგრე ვშვრები და თქვენც დაისწავლეთ, რომა ეგრე სჯობია...

ქალბატონი ზეზე წამოიჭრა, კოტაშვილს ეტაკა, თავისი პატარა, უკვე კარგა მიმჭკნარი მუშტები გულმკერდზე აუბაგუნა:

- უყურე, ამ წყეულსა, პირმყრალსა და ურცხვსა, ამასა!.. რაებსა ჰკადრებს ამ პატიოსან კაცებსა! თქვენც დაისწავლეთ, რომაო, ეგრე სჯობსო! რა უნდა დაისწავლონ, რისთვის უნდა დაისწავლონ, შე სასიკვდილევ, შენა!..

კატო, ნათლად ჩანდა, უკიდურესად განცვიფრებული, მეუღლის დაცვას აპირებდა და ვერ კი გაებედა...

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ბატონი ცოლს მკლავში სწვდა, წამოიყვანა, კარგა ხნის გაწევ-გამოწევის შემდეგ სავარძელში ჩასვა და, როცა ქალბატონი წყევლა-კრულვას მორჩა, ალერსიანად უთხრა:

- კარგი, მარიამ, დაწყნარდი, შენი ჭირიმე. მასწავლა, თორემა, აჰა, ავიკეცე შარვლის ტოტები და იმ ორღობისკენ გავქანდი, კოტაშვილი დედაკაცს ბოსტანში რომ გადაჰყვა. რაღაცა წამოროხა, ამ პირუტყვმა, ამანა, და შენა ძარღვები უნდა აიშალო, განა?

ქალბატონს თუხთუხი ჯერაც არ გამონელებოდა, რომ კოტაშვილმა თავის სამართლებლად ბრძანა:

- რა ვთქვი, ქალბატონო?.. დედაკაცმა უკეთ იცის, იმის ჭკუას უნდა მიჰყვე-მეთქი. მე ისე მეგონა, გაგეხარდებოდა და... ეგრე ვარ და, აბა, თუ ერთხელ მამხილა ვინმემა? არც არასოდესა!

მღვდელმა და ბატონმა ერთმანეთს გადაჰხედეს. მღვდელს ყასიდად შეეკრა წარბები. ბატონი თვალებს აპაჭუნებდა. მერე ორთავემ თავები ჩაღუნეს და ბატონმა კარგა ხნის შემდეგღა ჩაიქირქილა:

- ეს ვინა ყოფილა, კაცოო?!.

- ვინა და, პირუტყვია, ეგ ამოსაწყვეტი, ეგა!.. პირუტყვი კი არა, აი, ის ერთნაირი უხსენებელი ყოფილა ცხელ ქვეყნებში, პირს დააღებს და კურდღელი თავად ჩაუხტება თურმე ხახაში. ის არის ეგა!..

- მაგას, კოტაშვილო, ღმერთის, ეკლესიის, ცოლისა და ოჯახის ღალატი ჰქვია, - აცნობა მღვდელმა.

- რასა ბრძანებ, მამაო! ამ ღვთისმშობელივით ქალის ღალატი როგორ იქნება! მე ისეთი კაცი ვარ, ჩემი საქციელიდან ეგა არასგზით გამოვა. იმათთან როცა ვარ, განა იმათთანა ვარ - ამასთანა ვარ, ამას ენაცვალოს ჩემი სიცოცხლე. ამის მეტი მე არც არავინა მყოლია და არც მინდა ვინმე. მააშ!

- დახე, რას ამბობს, მამაო! - აღშფოთდა ქალბატონი. - იმათთან კი არა, ამასთანა ვარო. ამასთან ყოფნას იმათთან ყოფნა რად უნდა?! - კოტაშვილს მიუბრუნდა: - შე სალახანავ, შენა, გვერდზე გიწევს და პირდაპირ ამასთან იყავი და აღარც გაყრა მოუვა ჭკუაში და აღარცა...

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

- ჰო, მაშ! ეგ როგორღაა?.. იმათთან რომა ხარ... არა, ამასთან რომა ხარ, იმათთანა ვარო... რანაირათა სთქვა, კაცო... - აერია ბატონს.

- მაგისა ის უნდა მოგახსენოთ, ეგ საქმე კარგი რომ იყოს, გინებათა და სალანძღავად არავინ იხმარებდა. ამას ვენაცვალე, - კოტაშვილმა ისევ ცოლის თავზე გადასაცურებლად გაიწოდა ხელი, მაგრამ კატო განზე გადგა, ქოქოლა მიაყარა და ილოს „მშრალზე" მოუხდა დაწყებული სიტყვის დამთავრება. - ამასა ჩემთვის არა დაუშავებია რა და...

ეს უკვე ყოველგვარ გასაძლისს აღემატებოდა. მყუდრო, მშვიდი ცაცხვების ქვეშ ქარაშოტივით აღრეულობა დატრიალდა. ვერავის ვერაფერი გაეგო, რა კაცი იყო ეს ილო კოტაშვილი! დახვეწილი ყალთაბანდი, დასრულებული რეგვენი, თუ ორივე ერთად?!. მაგრამ რაღაც საიდუმლო მაინც რომ იგრძნობოდა?.. როგორ, ეს სიცოცხლით სავსე, მიმზიდველი, პირმშვენიერი ქალი წლობით გვერდზე გიწევს და სიახლოვის მცდელობაც კი არ გაამჟღავნო?..

- ამ საქმეს სოლომონ ბრძენი უნდა! - სიჩუმე დაარღვია ბატონმა და ეს დასკვნა, საფიქრებელია, უაღრესად ზუსტი იყო. მღვდელი მოულოდნელად გამოცოცხლდა, ჩანს, ეხლაღა ჩამოაწოდა მაღალმა ღმერთმა ის ერთადერთი საჭირო აზრი, რომელსაც კატოს პირველი მოსვლისას ელოდა.

- ყური მიგდე, კოტაშვილო, - ხმადაბლა, წყნარად შეეკითხა: - იმ საცოდავ დაროსთანაც ეგრე იყავი, პირველ ცოლთან?

- იმასთანაცა, მამაო, იმასთანაცა, - დაუყოვნებლივ დაუდასტურა კოტაშვილმა.

- ეეე! - აღმოხდა ბატონს.

- მაშ, ის ექვსი შვილი საიდანა, ის ექვსი შვილი საიდანა? - პირიდან ლუკმა გამოსტაცა მღვდელს ქალბატონმა.

- იმანა - დარომა, მოპარვა იცოდა, ქალბატონო, და იქიდანა, - წარბშეუხრელად მიუგო კოტაშვილმა.

ისევ სიჩუმე ჩამოვარდა, - ეს რაღა სთქვაო?!.

- დიდება შენდა, ღმერთო! - პირჯვარი გადაისახა ქალბატონმა და დასძინა: - იმ საცოდავ ბოშებს რომ აბრალებენ ხოლმე, ბაცაცებსა და ქათმის ქურდებსა...

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– აბა, სთქვი ეხლავე, ვისა და ვის მოჰპარეთ ეგ ექვსი ბალ-ღი!.. ექვსი ბალღი, კაცოო!.. – შეუტია ბატონმა.

კოტაშვილმა გაიღიმა, ბატონები მოათვალიერა, პასუხი და-აპირა და მღვდელმა აღარ დააცადა:

– მე ჩვენ მაზრაში ბალღის დაკარგვისა თუ მოპარვისა არაფ-ერი გამიგონია. სხვაგან სადმე იპარავდით თუ, შენი ბლაგვი ტვ-ინით, მოპარვა სხვას რასმე ჰქვია?

– მოპარვა იცოდა-მეთქი, მამაო, – დაიმორცხვა კოტაშვილ-მა. – ღამე მომეპარებოდა ხოლმე...

დამკითხავები წამით გაინაბნენ და ისეთი ჭიხვინი ატეხეს – თავი საჯინიბოში გეგონებოდათ.

– ბიჭო, ექვსივე ეგრე, მოპარვითა გყავდათ? – ქოშინით იკი-თხა ბატონმა.

კოტაშვილმა ჩაქინდრული თავი დააქიცინა.

– ღმერთო, მაპატიე, მიცვალებულია საცოდავი დარო, აუგის თქმა როგორ იქნება, მაგრამ ქალის ერთი ბეწო თავმოყვარეობა არა ჰქონია, ცხონებულსა! – ჩაიწიწინა ქალბატონმა და ამის პა-სუხად თავისი მეუღლის ქილიკი შემოხედვა მიიღო, – ვითომ, შენთვის უცხო იყოს ეგ ხილიო!

– აკიო, ეგ რომ კარგი იყოს, გინებათა და ლანძღვად არ იხმა-რებოდაო?! – ნიშნი მოუგო კოტაშვილს მღვდელმა.

– არა. თავისი ნებით თუა – მაშინ არა. – მიუგო კოტაშვილმა.

– შე მამაცხონებულო, – კატოს შეემასხრა მღვდელი, – ჩემთან სიარულსა, – გამყარეო, მაგასთან მისულიყავი, მანდ არა გყავდა?!

– იჰ, აბა, რა ვიცი... ქალი ვარ და სირცხვილია ვითომა. ეგაც არ იყოს, იქნება ხასიათზე არ არის და რომ გამაგდოს, მიბრუნ-დი, დაიძინეო... მაშინა? – თავისთვის, მაგრამ გასაგონად ჩაილ-აპარაკა კატომ.

– ილო, – ქალბატონმა მშვიდად, მორცხვად მიმართა, – აბა, ეგ რანაირი წესია, ქალი თაოსნობდეს?!

– სხვა წესისა არა ვიცი რა! კოტაშვილი ვარ, ჩემი ოჯახისა და დოვლათის პატრონიც მე უნდა ვიყო და ხელმწიფეცა! – მტ-კიცედ განაცხადა ილომ. – მე ამასა რამე რომ ვთხოვო, აი, რამე, არა?.. მაშინა, ქალბატონო, ბატონიც ეგ იქნება და ხელმწიფეცა და... რა ვიცი, კიდევა!..

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

- მაშ, როგორა, კაცო, მაშ, როგორა? - გაჯავრდა ბატონი.

- მე ისე ვხედავ, ამ საქმეში მეტი გზა არ არის, უნდა მომეპაროს ხოლმე! - დასკვნის სახით ბრძანა კოტაშვილმა.

ბატონმა იყუჩა. მერე, თითქოს ქვემოდან ატაკეს რამეო, ზეზე წამოიჭრა და დაიღრიალა:

- დაიკარგენით აქედანა, თქვე ძაღლის ლეკვებო, თქვენა!..

ასეთ დასასრულს არავინ მოელოდა - მით უმეტეს, კოტაშვილები, და უმალვე მოცუცხეს.

ქალბატონს, ეტყობა, თავისივე მოსაზრება, რომ „საცოდავ დაროს ერთი ბეწო ქალის თავმოყვარეობა არა ჰქონია“, უსაფუძვლოდ მოეჩვენა. გამოეკიდა, დაეწია, კატოს ქვედატანში სწვდა, გააჩერა და სხაპასხუპით დააყარა:

- მიეპარე ხოლმე, შვილო, მიეპარე ხოლმე! შვილები თუ გინდა, უნდა მიეპარო ხოლმე. ხო ხედავ, ვირია და ჯიუტი!..

კატომ ოთხი შვილი გააჩინა. საფიქრებელია, ოთხივე მიპარვით იყო. სოფელმა კოტაშვილების ოჯახსა და ნაშიერს მეტსახელად „პარიაშვილები“ შეარქვა.

ეხლაც ის მეტსახელი აქვთ...

ამ ამბის მეხსიერებაში აღდგენასა და შევსებას წლები მოვანდომე - ბებოს წყალობით, თორემ თავად რას გავხდებოდი. თანაც ეშმაკობა იყო საჭირო: რასაც ბავშვისთვის ზედმეტად სთვლიდა, ბებო იმისთანებზე თავს იყრუებდა ხოლმე, შეკითხვებს უნდოდა ეშმაკობა. ბოლოს, ჩემი აზრით, დასრულებული სახე მივეცი კოტაშვილის ამბავს. მერე ისეთი გრძნობა მეწვია, რომ შინაარსს რაღაც აკლდა, დამაჯერებლობაში მოიკოჭლებდა. ამიტომ დროდადრო ისევ ვუჩიჩინებდი ხოლმე. ბოლოს ის ხარვეზი, თითქოს, ვიპოვნე კიდეც, შევავსე და ეხლა ისევ ამომვარდა მეხსიერებიდან... ეჰ, როგორც არის.“

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

კარი მესამე

გორას ორმოცდამეჩვიდმეტე პარალელისა და მეოთხმოცე მერიდიანის გადაკვეთაზე, ანუ მდინარე პურზე, თევზაობა მოუხდა. საკვები არაფერი იყო, წინ, სწორი ხაზით, კიდევ ათასამდე კილომეტრის სიარული ელოდა.

სამხრეთ ნაპირზე გადავიდა, კარავი გამართა, გვერდები თოვლით დაუთბუნა. მერე ყინული ჩასჭრა და თევზაობას მიჰყო ხელი. ცოტა ხნის შემდეგ მაღალი სიცხე იგრძნო, მაგრამ არ შეეპუა, დაღამებამდე ითევზავა. დიდი ზუთხი მოინადირა, ცეცხლი დაანთო, ზუთხის ნაჭრები გამოსაშრობად ჩამოჰკიდა.

არა, ეს პურია თუ ყველი, მაინც რანაირი მდინარე ყოფილა, ჰა?! ამხელა ზუთხი დაბმული იყო, უგონოდ მთვრალი, თუ როგორა?.. მდინარეს ამბობ, თორემ ამ ადგილას ღელეა და ეგ არის. შიგ ვეშაპები და კაშალოტები მეგულისხმა?.. მაინც, სიფრთხილე იყო საჭირო, თავიდანვე ყველაზე დიდი ანკესი უნდა ჩამეშვა... ეჭიდავა, მაგრამ ეს სქელი კაპრონი ველარ გადაკვნიტა... წვრილი ყველა გასჭრა და წაიღო... უყურე მაგ მამაძაღლს! ბოლო ანკესი იყო, ესაც რომ გადაეკვნიტა?!. ფუი, ეშმაკს, ფუი ეშმაკს!.. ამას იქით დიდი ანკესით უნდა დავიწყოთ ხოლმე. ბოლო ანკესი იმ ვარაუდით გადავუშვი, იქნება სხვა, ნაკლები ჯანის პატრონი თევზი წამოეგოს-მეთქი. სამი ანკესი ჰქონდა მირთმეული!.. გამოშრეს, ხუთ-ექვს კილოგრამს დაიკლებს. ზედმეტი ხუთი კილოგრამი როგორი სატარებელია... კოლასთვის, თორემ ჩვენ - რა?.. არა, ვინ დამიჯერებს, რომ ამხელა დავიჭირე?.. გასცლოდა აქაურობას. ეგ არის, წერას იყო ატანილი. დიდი ღორ-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მუცელა ვინმე ყოფილა, ღმერთმანი. მეოთხე ჩაყლაპა, კაცო, მეოთხე! როდისმე მოთევზავეებში უნდა ვიკითხო, ასეთი შემთხვევები არის ხოლმე?.. ხა-ხაა, მოვიდა და მომიტანა ჩემი ანკესები... შუა ზამთარში ზუთხს აქ რა უნდოდა? ალბათ, ჯოგს ჩამორჩა. სად უნდა წასულიყო, ჩრდილოეთყინულოვან ოკეანეში? რომელი სამოთხე იქ დაუხვდებოდა!.. ერთი ამოდენა თევზი - ზუთხი ნუ იქნება, ჯანდაბას - კიდევ სადმე დამაჭერინა, ჩემ ბედს ძაღლი ვეღარ დაჰყეფს. დიდი შემწეობაა, დალოცვილი. ვინმე დამიჯერებს, რომ სუფთა ხორცი ოცი კილოგრამი გამოვიდა?.. ვითომ რატომ არ უნდა დამიჯერონ? დორბლას არც ბადე ჰქონდა, არც ანკესი, შიშველი ხელით რვაკილოიანი ლოქო ვერ დაიჭირა?.. მერე, ვინ დაუჯერა? არავინ. დღემდე იმას დარდობს, არავინ დამიჯერაო! არც მოწმეებისა სჯერათ. დაინახავენ დორბლას და მასხრობენ, - აგერა, რვაკილოიანი მობრძანდებაო!..

რაღაც მემართება, კაცო! თვალები მებინდება, უპეები მტკივა, ქოშინი... თუ ფილტვის ანთებაა, შეიძლება ითქვას, რომ დასრულდა ჩვენი ოდისეა. ბებერი ვარ, ორგანიზმი წამლებს ახალგაზრდულად ვეღარ შეეშველება... ნუ გააზვიადებ, გაიხსენე, მაიკუდუკიდან რომ წავედით... კი, იქაც ასე იყო, მართალი ხარ... ლიანდაგით გავრბოდი... ხა, ხაა! როგორი საქმეა?! უკანიდან ძაღლის ყეფა, ზურგზე ოცკილოგრამიანი ჩანთა, თვალებში ბინდი, მაღალი სიცხე, კვალში ბანაკის ბადრაგი, რომელიც ჯერ კონდახებით ამოგხდის სულს და მერე ბანაკის ალაყაფთან დაგხვრეტს... უფრო ზუსტი „დაცხრილვა“ იქნება, ამაზე შევთანხმდეთ, არა?.. ეგრე იყოს. ერთი სიტყვით, ვიცოდი, ჩავარდნა არ შეიძლებოდა. ჩავცუცქდი, თვალებზე მუშტები მივიბჯინე და სამჯერ, ხმითა ვთქვი - — *Нельзя болеть! Нельзя болеть! Нельзя болеть!..* — ქართულ სამყაროს დიდი ხნის ჩამოცილებული ვიყავი, უმთავრესად რუსულად ვაზროვნებდი... საოცარი რამ მოხდა: ზეზე ავდექი, აღარაფერი მიჭირდა! ლიანდაგიდან გადავედი, ნაპირებგაყინული ღელე იყო, წყალ-წყალ ვიარე... როგორც არის! მოდი, გავიმეოროთ... მაშინ მაგ ილეთმა იმიტომ გასჭრა, რომ ნაღდი სიკვდილი გელოდა, ორგანიზმს შიში წაეშველა, წინააღმდეგობის უნარი გაუმახვილა. ეხლა აღარავინ მოგდევს... კმარა, მბორგალო!..

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

გორამ თოკს მოზიდა, კოლა მოიყვანა, კარავში შეაგდო, ჩაჯდა, თათმანები გაიძრო, მუშტები თვალებზე მიიბჯინა, გუგებში ათასი ფერის წერტილი აბორიალდა. მერე წყვდიადმა მოიცვა ქვეყანა, ზეცა აგუგუნდა, შავი კაბადონი ელვებმა დასერეს, მარგალიტით მოვაჭრე ჩინელი ჩანძოლინი მობრძანდა, რაღაც სთქვა და გაუჩინარდა...

ეს რაღა იყო, ჰა?.. რისი ნიშანია, ჰა?.. არა, სახელდობრ, რა სთქვა?... მგონია, ის ჩინური ანდაზა დაიღრიალა: „თუ გინდა, იდგე, სულ უნდა ირბინო!" სირბილისა რა მოგახსენო და სიარული შეგვიძლია, ნაღდია... გვეყოფა მაგაებზე ფიქრი. სხვა რამეებზე ვიფიქროთ... რაზე?.. ის ჩვენი საფიქრალი განვაგრძოთ, კარგა ხანია, ამ საქმეს აღარ მივდეგივართ... სად გავჩერდით?.. პაპის პაპებისა ვილაპარაკეთ, რაც მოგვაგონდა, კმარა. ეხლა უახლოესი წინაპრებისა ვთქვათ. პაპა მიხეილი უმცროსი ბრძანდებოდა. პაპა გორას ფათერაკებით დავიწყოთ... სახელდობრ, რომლით?.. რომლითა და, დაუმარხავი მკვდრებით, კარგი რამ არის... ჰოო, რუსეთ-თურქეთის გასული საუკუნის სამოცდაათიანი წლების ომის ამბავია.

ყარსთან თურქები ერთ სომხურ სოფელში ყოფილან გამაგრებული. აქედან რუსის ჯარი უტევდა. მთიანი, კლდიანი ადგილები იყო, თურქები თავს მარჯვედ იცავდნენ, სოფლის აღება ვერაფრით მოხერხდა. ეს პირისპირობა კარგა ხანს გაგრძელდა, ორთავე მხრიდან ბევრი დაიჭრა და დაიხოცა. მერე ბრძოლების სიმძიმემ ფრონტის სხვა უბნებზე გადაინაცვლა, მხარეებმა ცოცხალი ძალის დიდი ნაწილი იქით გადაისროლეს. სომხურ სოფელში ოციოდე ასკერი დარჩა. მისადგომებზე - რუსებიც ამდენი. თურქებს თავზე ჭერი ჰქონდათ და მაგიდაზე — საჭმელი. რუსებს იმ კლდეებში რამდენადმე რიგიანი სანგრების გათხრის შესაძლებლობაც კი არ გააჩნდათ და სანახევროდ მშივრები იყვნენ. ის ოციოდე კაცი პაპაჩემ იაგორ კარგარეთელს ებარა. ზამთარი იყო, ყინვა ქვებსა ჰხეთქავდა. მხარეები ერთმანეთისგან სულ რაღაც ორასიოდე მეტრის მანძილზე იდგნენ და აქტიური მოქმედება აღარ ევალებოდათ. სოფელი ამრეცზე იყო შეფენილი. ბანიანი მიწურები კიბის საფეხურებივით ასდევდნენ ერთ-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მანეთს. ოცდახუთიოდე კომლი სახლობდა. ერთ-ერთ ბანზე ვიღაც მათუსალას ხნის მოხუცს ჯორკო ედგა, დარი იყო თუ ავდარი, დილაადრიან ზედ მოიკალათებდა ხოლმე, საღამომდე არცა სვამდა, არცა ჭამდა, გაქვავებულივით იჯდა. მარტო თავს თუ დასძრავდა და ისიც მაშინ, როცა ქვეყნიერების მოსახილველად თვალების წახრა აღარ კმაროდა. პოზიციებს შორის კოჭამდე ღელე იყო, გაყინული. იმ მიდამოებში ერთადერთი ვაკე ადგილი ღელის პირას იდო, ათი კვადრატული საჟენი იქნებოდა. ზედ, ჩვენი თუ თურქების, ხელჩართულ ბრძოლებში მოკლულ და დაუმარხავ ჯარისკაცთა გვამები ეყარა. ოცეულს აღარც ბრძოლა უხდებოდა, უცაბედ გათოფვებს თუ არად ჩავაგდებთ, და არც სხვა საქმე ჰქონდა რამე.

ერთი სალდათი ყოფილა, გვარად პავლოვიჩი,[68] სახელად ეროფეი. შორეულ აღმოსავლეთში რომ ქალაქია, იმის მიხედვით ეროფეი პავლოვიჩობით უხმობდნენ, თორემ არც მამით პავლე იყო და არც წლოვანებითა თუ ჭარმაგობით იმსახურებდა მამის სახელით ხმობას. სროლა კი, მართლაც, საუცხოო სცოდნია. პაპა გორა იტყოდა ხოლმე, - ის ეროფეი პავლოვიჩი და ერთი წითლიძე[69] მყავდა, თოფი ჩემზე უკეთ ემარჯვებოდათო. თოფიო - ხაზგასმით ამბობდა, ამით დამბაჩა-რევოლვერში უპირატესობას თავისთვის იტოვებდა, მაგრამ სხვადროინდელი ასეთი შემთხვევა თავად აღუნიშნავს: ქვიშხეთში ყიფიანების სახლის აივანზე ახალგაზრდობა მჯდარა. იაგორ კარგარეთელს ჩუბინი მსროლელის სახელი ჰქონდა დავარდნილი და ქალები აჰხირებიან, - გორავ, აგერა, კოშკზე ყვავი ზის, ჩამოაგდეო. პაპას გულმა უგრძნო თუ როგორ იყო, რამოდენიმეჯერ უარი უთქვამს. ბოლოს მაინც დაუყოლიებიათ. კოშკამდე აივნიდან სულ ასიოდე მეტრია. პაპა გორას სამი ტყვია უსროლია, სამივე დაუცდენია... სათქმელს დავუბრუნდეთ. ეროფეი პავლოვიჩს ერთხელ უთქვამს, - ქრისტიანები არიან და აგრე, დაუმარხავი გვყავდესო? — იმ ვაკე ადგილზე მიყრილ-მოყრილ დახოცილებს გულისხმობდა. სალდათებს დაუდასტურებიათ, - უნდა დავმარხოთო! წესი წესია და მაშინ თურქებიც უნდა დავმარხოთო, - გორა პაპას უთქვამს. ამაზეც დათანხმებულან. მოხალისეები გამოჩნდნენ, ბარ-წერაქვი და თეთრი ბაირაღი წაიღეს, ჩავიდნენ. ორი

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

საძმო საფლავი ჰქონდათ ამოსათხრელი - ქრისტიანებისა და თურქებისა. ადგილი მეტად მცირე იყო, ცხედრები განზე უნდა გაეტანათ, რომ თხრა დაეწყოთ. ყინვებისგან გვამები გაფშეკილები იყვნენ. გაიტანეს, ადგილის დაზოგვის მიზნით, შეშებივით თაკარებად დაალაგეს, - ცალ-ცალკე, სარწმუნოების მიხედვით. წელში ნამგალივით მოხრილი სომეხი მათუსალა თავის ჯორკოზე იჯდა, იმ ამბავს გადმოჰყურებდა.

ასკერებმა ჩოჩქოლი და გაქცევ-გამოქცევა შეჰქნეს. რუსებს თეთრი ბაირაღი მიწაში ერჭოთ, სამარეებს სთხრიდნენ. თურქმა ოფიცერმა თავის სათვალთვალო პუნქტზე მიირბინა, ვაკე ადგილი მოათვალიერა და რატომღაც ცეცხლი ბრძანა. სამი ჯარისკაცი იქვე მოკლეს. მეოთხე მძიმედ დაიჭრა, მეორე დღეს მიიცვალა. ეროფეი პავლოვიჩმა და წითლიძემ მოხერხებული საფრები მოიწყეს, ერთ კვირაში თერთმეტი ასკერი გამოასალმეს წუთისოფელს.

მათუსალა თავის ჯორკოზე იჯდა და, ალბათ, მკვდრებს ითვლიდა.

თურქებმა ღამით ქვემეხი ვიღაცის გომურში შეაგორეს, შენიღბეს, რუსების საველე სამზარეულო მიზანში საგულდაგულოდ ამოიღეს და სალდათები საჭმელად რომ მოგროვდნენ, ქვემეხისა და ტყვიის ცეცხლი ერთდროულად გაუხსნეს. კარგა ბლომა ხალხი დაიხოცა და ბევრიც დაიჭრა. ერთმანეთზე ნადირობა თვეზე მეტხანს გაგრძელდა. მათუსალა ბანზე მსაჯივით იჯდა, თავს აქეთ-იქით დაატარებდა. საქმე იქამდე მივიდა, რომ მოწინააღმდეგეებს ოთხ-ოთხი, ხუთ-ხუთი მებრძოლიღა შემორჩათ. იაგორ კარგარეთელმა არაერთხელ აფრინა შიკრიკი შტაბში და დახმარება ითხოვა. ალბათ, თურქი ოფიცერიც ასე მოიქცა, მაგრამ არც ერთმა მხარემ მიიღო შევსება და არც მეორემ.

სომეხი მათუსალა კი სისხამ დილით ეუფლებოდა თავისი მიწურის ბანს. გვიანობამდე იჯდა, ალბათ, ადამიანთა მოდგმის უკეღმართობაზე ფიქრობდა.

ბოლოს თურქ ოფიცერს ორი ასკერიღა შერჩა. პაპა გორას — ერთი, წვივში დაჭრილი, სანიტარული ცხენურმის მომლოდინე ეროფეი პავლოვიჩი. სხვა გამოსავალი აღარ იყო, კარგარეთელმა თურქი ოფიცრის საგანგებო თვალთვალს მიჰყო ხელი. ერთ-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ხელაც იყო, ზარულში შესვლა დაეცადა, გამოსულს ესროლა და დააწვინა. ასკერებმა საკაცე მოაწყეს, ზედ თავიანთი ოფიცერი დაასვენეს, წაიღეს და წავიდნენ.

იაგორ კარგარეთელი სოფელში შევიდა, თურქების წასვლით უზომოდ გახარებულ სომხებს ამცნო, რომ იქაურობა, დღეის ამას იქით, რუსეთის იმპერიის ნაწილად იქცა, და აბრეშუმის ნაჭერი და საღებავი მოითხოვა. მოუტანეს. ნაჭერი ზომაზე გამოჭრა, წიბოების დაგვირისტება უბრძანა. დაუგვირისტეს. ის აბრეშუმის ნაჭერი პირდაპირ იქვე, ცის ქვეშ, მაგიდაზე გაშალა, რუსეთის სამეფო ბაირაღის ხატვას შეუდგა. მთელი სოფელი იქ იყო, - ნეტავი რას აკეთებსო. როცა მორჩა, ტარი გაათლევინა, მზა ბაირაღი მათუსალას ერდოზე საკუთარი ხელით დაარჭო. ამის შემდეგ მოსახლეობას მოკლულები დაამარხვინა, ბაირაღის ჩამოღება აუკრძალა, - დედაბუდიანად ამოგჟუჟავთო! მერე ათკაციანი რაზმი შეადგინა, მოხალისეებს იარაღი დაურიგა, სროლა ასწავლა, ფიცი დაადებინა, განკარგულებები დასტოვა, ურემი შეაბმევინა, ზედ ეროფეი პავლოვიჩი დააწვინა და შტაბისკენ გასწია.

მათუსალა ბანზე იჯდა, ხან ბაირაღს აჰყურებდა, ხან დაჭრილ სალდათიან ურემს და, ალბათ, ისევ ადამიანთა მოდგმის უკეთესობაზე ფიქრობდა.

რამოდენიმე დღის შემდეგ იაგორ კარგარეთელმა სოფელში ქართველ მოხალისეთა ოცეული მოიყვანა, ორიოდე დღით შესვენება ბრძანა და სადაზვერვო ოპერაციებს შეუდგა.

პაპა გორას თვალსაზრისით, ომები იმის შედეგად ხდება, რომ კაცობრიობას ან მის ერთ ნაწილს, დროდადრო გადარევა ახასიათებს. გადაირევიან და დაერევიან ერთმანეთს! იგი დარწმუნებული გახლდათ, სომეხი მათუსალა ასეთივე შეხედულებისა ბრძანდებოდა: ბანზე იჯდა, თავისი ასაკის შესაფერი სიბრძნითა და სიმშვიდით ადამიანთა უგუნურებას აკვირდებოდა. როცა ქვეყანა გადარეულია, ჭკვიან კაცს შესაძლებლობა ეძლევა, გაერთოს. იაგორ კარგარეთელი სწორედ ამით ხსნიდა რომელიმე ომის დაწყებისთანავე თავის პოლკში დაბრუნებას, დამთავრებისთანავე გადადგომასა და შინ მოსვლას. იგი დაუმარხავი მკვდრების ამბავს ასე ამთავრებდა:

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

- ჩემი დახატული რუსული ბაირაღი მათუსალას გვერდით რომ დავარჭე, ნიავი იყო, აბრეშუმი აფრიალდა. მოხუცმა ზევით აიხედა, უყურა და ისტერიული სიცილი აუტყდა. იმდენი იცინა, გული წაუვიდა, ძლივს მოაბრუნეს!

ალბათ, პაპა გორას სამხედრო სამსახურთან თავისებური დამოკიდებულების ბრალია, რომ ღმერთმა იცის, ჩემი წინაპრების რამდენმა თაობამ აირჩია ცხოვრების ასპარეზად მხედრობა და მე კი ამ საქმეს ყოველთვის მხოლოდღა მოქალაქეობრივ ვალდებულებად ვთვლიდი...

გორამ ისე ავად იგრძნო თავი, რომ ეს მოგონება ბოლომდე ძლივს მიიყვანა. წამლები მიიღო, საწოლი გაიწყო, კოლას ჩაეხუტა და დაიძინა.

ავადმყოფობამ რამდენიმე დღეს გასტანა. როცა მომაგრდა, ისევ თევზის გამოშრობას მიჰყო ხელი. დამშეული კოლა საკვებს ეძგერა. ჩლიქებით თოვლსა სთხრიდა, რაღაც ბალახბულახსა თუ ხავსს მადიანად, ხარბად შეექცეოდა.

ორმოცდამერვე დღეა, ვიაროთ, გორავ... სუსტად ვარ, მიჭირს... შე კაი კაცო, ამ პირობებში ამდენი ასეული კილომეტრი გამოიარე, იავადმყოფე და, - სუსტადა ვარო!.. კარგი, როგორც არის!.. ჩანძოლინი რაღამ მომაჩვენა, რას უნდა ნიშნავდეს?.. განვაგრძოთ ფიქრი და მოგონებები?.. სხვა რა საქმე გვაქვს?..

ეხლა უმცროსი პაპის ნაამბობები ვთქვათ. ბათუმში ნიკო ნაკაშიძე[70] ყოფილა, საკმაოდ დიდი მამულების პატრონი, ქეიფებს, ბანქოს თამაშს, ნადირობას, დუელებსა და ქალებს გადაყოლილი, ნაღდი მეცხრამეტე საუკუნის თავადი - ღვინო, დუდუკი, ქალები! მისი მეუღლე სამეგრელოს და აფხაზეთის ბოლო მთავართა შვილიშვილი გახლდათ. უამრავი შვილის პატრონნი იყვნენ, უმეტესად, გოგოებისა, მაგრამ ბატონ ნიკოს დარდი არაფრისა ჰქონდა, იმდენად არაფრისა, რომ თავშეკავებისა არა იცოდა რა. ასე იცხოვრა ორმოცი წლის ასაკამდე. მერე რა დაემართა, ამისა ვერავინ ვერაფერი გაიგო - ჯერ ვეგეტარიანელობას მიჰყვა და მერე ტოლსტოის მოძღვრებასაც ეზიარა. პაპაჩემი მიხეილის სიტყვით, სიკვდილამდე ბოსტნეულისა და

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მაწვნის მეტი აღარაფერი უჭამია. ბატონი ნიკო ნეგოციანტობ-
ას შეუდგა, ამით მამა-პაპის დატოვებული ქონება, რომელიც
მან თავისი უკულმართობით გაფლანგა, მოკლე ხანში აღადგინა,
ქართველთა შორის ერთ-ერთი დიდი მრეწველი, ბითუმად მოვ-
აჭრე და პირველი გილდიის სოვდაგარი გახდა. ისიც უნდა ითქ-
ვას, რომ მისმა გამდიდრებამ არალეგალურ პოლიტიკურ პარტ-
იებს საგრძნობი შვება მისცა - თავადი ფულად დახმარებას უწ-
ევდა ყველას, ვისი პროგრამაც თვითმპყრობელობის დამხობას
შეიცავდა და მისი ასეთი მიდრეკილება საიდუმლო პოლიციას-
აც კარგად მოეხსენებოდა. სწორედ ამის შედეგი იყო ის, რომ
უკვე ორმოცდაათი წლისას ასეთი რამ შეემთხვა:

მის ოჯახში ერთობ ხშირად სტუმრობდა ბათუმის გიმნაზი-
ის ინსპექტორი, ვინმე სტარჩინსკი[71] თუ ველჩინსკი... იმ მამაძ-
აღლისა კი არა, ამ ქრისტეს ტირილში ლამის საკუთარი გვარი
დამავიწყდეს... დიახ, და ის სტარჩინსკი თუ ველჩინსკი... რა გვ-
არისა იყო, კაცო?!. დასწყევლოს ღმერთმა, ინსპექტორი სთქვი
და ეგ არის!.. ჰო, აი, ის ინსპექტორი, თურმე ნუ იტყვი, პოლიც-
იასთან ახლო „დამოკიდებულებაში" ბრძანებულა და შენიშნა,
რომ ნაკაშიძეებს შინ ვიღაც ისეთი კაცი ჰყავთ, რომელსაც -
სხვა მიმსვლელ-მომსვლელი რა სათქმელია, - გაშინაურებულ
სტუმარსაც კი უმალავენ. ერთხელ, როგორღაც მოხდა, ველჩი-
ნსკიმ იმ უცხო კაცს თვალი მოჰკრა, სახით დაიხსომა და პოლ-
იციაში ძებნილთა სურათების დათვალიერების შედეგად დარწ-
მუნდა, რომ ნაკაშიძეების სახლს ცნობილი რევოლუციონერი
აფარებდა თავს. პოლიციამ ნაკაშიძის სახლს ჩხრეკა ვერ აკად-
რა, თვალთვალი დაუნიშნა, მაგრამ ამან სასურველი შედეგი
ვერ მოიტანა. მაშინ ინსპექტორმა დავალება მიიღო, იმ ოჯახში
უფრო ხშირად ევლო და თვალყური მეტი რუდუნებით განეგრ-
ძო. ლაქიებმა ველჩინსკის ცნობისმოყვარეობა შენიშნეს, ქალ-
ბატონს აცნობეს, - ასეა და ასეო! ოჯახმა ეჭვი უსაფუძვლოდ
მიიჩნია, რადგან ისე ჩანდა, რომ ინსპექტორის მოხშირებული
სტუმრობა ნაკაშიძეთა ერთ-ერთი ქალიშვილის მიმართ საგან-
ებო ინტერესით იყო გამოწვეული. სიძეობას მოწყურებული
კაცი ცოლად განზრახული ქალიშვილის ოჯახს ხიფათში ჩაგ-
დებდა? ესაც ნუ იქნება, ინსპექტორი, როგორც თითქმის ყველა

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

იმდროინდელი ინტელიგენტი, თვითმპყრობელობის წინააღმდეგ განწყობილ ადამიანად იყო მიჩნეული და არალეგალურ მდგომარეობაში მყოფ კაცს როგორ დააბეზღებდა?!. ერთი სიტყვით, ნდობამ ინსპექტორს დროთა განმავლობაში შესაძლებლობა მისცა, ნაკაშიძეების სახლში ადრე შენიშნულის გარდა, სხვა დევნილის ყოფნაც დაეფიქსირებინა. ყოველივე ამის შედეგად თავადი ნიკო ნაკაშიძე საიდუმლო პოლიციაში მიიწვიეს, ბრალდება წარუდგინეს და, რაღა თქმა უნდა, ყველაფერზე ცივი უარი მიიღეს. პოლიცია თავისაზე დადგა. არც თავადი ნიკო იყო ის ჩიტი, რაიმე დაეთმო. საქმე ჩიხში მოექცა, ნაკაშიძემ დაპირისპირება მოითხოვა. პოლიცია მოტყუვდა, დაჰყვა და, აკი, ბატონი ინსპექტორი გამოუყვანეს. გამოუყვანეს და პირზეც დაადგა, - თქვენთან ესა და ეს კაცები მყავს ნანახი, იმპერატორის მტრები არიან და თქვენც მისი მტერი ხართო!.. ნაკაშიძემ მშვიდად მიუგო, - პროვოკატორის უხამსი პირით მისი უდიდებულესობის ხსენებას ჩემს პირად შეურაცხყოფად ვთვლიო!.. ხანჯალი დაიძრო და ინსპექტორს მუცელში ატაკა...

თავადმა ნიკომ ციხეში რომ კაი ხანს იყურყუტა, ეს ვიცი - თავი როგორ დააღწია, აღარ მახსოვს. ეს შემთხვევა ტრივიალურია, მაგრამ საყურადღებო ის არის, რომ ნაკაშიძე ტოლსტოის მოძღვრების მიმდევარი იყო, რაიც მისგან ბოროტების მიმართ მიმტევებლობას თუ არა, წინააღუდგომლობას მაინც მოითხოვდა. ეს კაცი მწერს არ დაადგამდა ფეხს, ინსპექტორს კი ხანჯალი გაუყარა! ტოლსტოის მოძღვრების თავისებური გაგება მან სხვა მაგალითებითაც მრავალგზის დაადასტურა.

საქართველოს ანექსიის შემდეგ, ოციანი წლების მიწურულს, ნიკო ნაკაშიძე ბათუმის გეპეუს უფროსმა დაიბარა. ამას თავისი მიზეზები ჰქონდა. მათ შორის: მისი ერთადერთი ძე - მეშვიდე შვილი, ჯერ კიდევ საქართველოს დამოუკიდებლობის დროს, ინგლისში უმაღლესი განათლების მისაღებად წავიდა. ამასობაში გასაბჭოება მოხდა, ვაჟი აღარ დაბრუნდა. დედ-მამასა და ვაჟს მიწერ-მოწერა ჰქონდათ. ალბათ, ამის გარშემო საუბარი თუ ენება „მთავარი პოლიტიკური სამმართველოს“ ბათუმელ უფროსს. ისიც შესაძლებელია, რომ მას საბჭოთა ხელისუფლებაზე ნიკო ნაკაშიძის აზრი და შეხედულებები აინტერე-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

სებდა. ეს ის დრო იყო, როცა ამიერკავკასიის ფედერაციის ნომერ პირველმა ბოლშევიკმა ტრიბუნიდან დაიტრაბახა, - ქართველების თორმეტი პროცენტი თავად-აზნაურობისა და სამღვდელოების ნაშიერები იყვნენ და ჩვენ მათი რიცხვი შვიდ პროცენტამდე დავიყვანეთო! მერე ნომერ მეორე ბოლშევიკმა მოწოდებისა თუ ლოზუნგის სახით დაჰყვირა, - ნულამდე უნდა დავიყვანოთო! აუდიტორიამ ოვაციებით გააყრუა იქაურობა, ერთიორი ფანჯრის მინაც კი გაიბზარა. ამ მოვლენას ბაბუაჩემმა მიხეილმა[72] კომენტარი გაუკეთა, - ცუდია, შვილო, წინდაუხედაობაო! ჭეშმარიტად: მომდევნო ათი წლის მანძილზე იმ დარბაზის „ოვატორთა“ სამმა მეოთხედმა საიქიოს თითო ტყვია გაიყოლა, ნულამდე დაყვანის პროპაგანდისტს თავისივე აზნაურობა და „კლასობრივ მტერთა“ რაოდენობის ნულამდე დაყვანა შეახსენეს, - ასე არ ამბობდიო?.. და დარბაზის ხსენებულ სამ მეოთხედს მიაყოლეს. თორმეტიდან შვიდ პროცენტამდე დაყვანის მოთავემ თავისი, აგრეთვე, აზნაურული წარმოშობის გამო იფიქრა, - ალბათ, ვერ ვამჩნევ, რომ მეც კლასობრივი მტერი ვარო, და საქმე წინ წაიგდო, პროლეტარ მხვრეტელებს დაასწრო, თავი მოიკლა.

ნულამდე დაყვანის ვითარებაში აჭარის ნომერ პირველ ჩეკისტს, შესაძლოა, დასახვრეტი კაცი შემოაკლდა და ბატონ ნიკო ნაკაშიძეს ამისთვის უხმო. ისიც დასაშვებია, რომ მას ნაკაშიძესა და ჯოჯუებს შორის დავა აღიზიანებდა. ძმები ჯოჯუები მეჯოგეები იყვნენ. ზამთარში ლანჩხუთის ჭალებში და ზაფხულში ბახმაროს მთებში თავიანთ ჯოგთან ერთად ნიკო ნაკაშიძის ოც ძროხასაც აძოვებდნენ. ძროხები და საკუთარი სახლი თავად ნაკაშიძეს ბათუმის რევკომმა შეუნარჩუნა „რევოლუციის წინაშე დამსახურებისთვის“. საქმე ის არის, რომ თავადს საქონლის სიყვარული ჰქონდა, ჯოჯუებს მწყემსობა-ძოვებაში ფულსაც კი უხდიდა და თავისი ოცი სულის სულგუნსა და ნამატსაც მათ უტოვებდა. ავიდოდა ზაფხულობით ნაკაშიძე ბახმაროს მთაში, რამდენიმე დღეს ჯოჯუების კარავში დაჰყოფდა, თავის ძროხებს მიესიყვარულებოდა და წამოვიდოდა. ეს იყო მისი მეპატრონეობა, სხვა არაფერი. მაინც უყელეს, ჯოჯუები შეუგულიანეს, - ნაკაშიძეების დრომ ჭირი მოგჭამათ, ეგ ძროხები თქ-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ვენია, სხვა არავისია! აქეთ, თავადი ძროხების მოვლა-პატრონობაში ფულს რომ იხდიდა, დაქირავებულ შრომად ჩაუთვალეს და მისი საქონელი „ექსპლოატირებულებს“ მიაკუთვნეს. მართალია, სულ რამოდენიმე წლის შემდეგ ჯოჯუები, როგორც შეძლებული გლეხები, გააკულაკეს და ციმბირში უკრეს თავი, მაგრამ ეს ცალკე თემაა... ასე იყო თუ ისე, ნაკაშიძემ სასამართლოს მიმართა, კანონი და რევკომის დეკრეტი მის მხარეზე იყო, საქმე გაჭიანურდა. შესაძლოა, ბათუმისა და სრულიად აჭარის ნომერი პირველი ჩეკისტი ნაკაშიძის პრინციპულობამ გააღიზიანა - შესაძლოა...

მივიდა ბერიკაცი. ჯერ მისაღებში ბარე ორი საათი აყურყუტეს. მერე, როგორც იქნა, კაბინეტში შეუშვეს. ზღურბლთანვე დადგა, - მეტყვიან და დავჯდებიო. არავინ არაფერი უთხრა. უფროსს თავი ჰქონდა ჩაღუნული, რაღაც ქაღალდებს რუდუნებით ჩაჰკირკიტებდა. ნაკაშიძე თავის მსხვილ ხელჯოხს დანდობილი იდგა და ფიქრობდა, - ნეტავი, რა უნდა ჩემგან ამ მამაძაღლსაო?! და თანდათან ღიზიანდებოდა. რამდენიმეჯერ ჩაახველა კიდეც. კაბინეტის პატრონს წარბი არ შერხევია. ნახევარ საათზე მეტი გავიდა, თავადის აღშფოთება, სჩანს, დუღილის წერტილს ასცდა, იგი მაგიდასთან მივიდა, მთავარსამმართველოს უფროსს უთხრა, - კაძახო, მოხუცი ადამიანი რომ შემოვა, ფეხზე უნდა ადგე, მიესალმო და დაჯდომა სთხოვო! მაგ ზრდილობით აპირებთ ახალი წყობის აშენებასო?.. უთხრა და თავისი კორძებიანი ხელჯოხი თავში ჩასცხო. ნაკაშიძე უზარმაზარი ტანის ღონიერი კაცი გახლდათ, მთელი ძალით ჩასცხო. უფროსმა გონება დაკარგა, სავარძლიდან გადავარდა. თავადი ნიკო ნაკაშიძე სატუსაღოში მიაბრძანეს. შვიდი თუ რვა თვე „ნაობახტში“ ჰყავდათ. ბოლოს ის რევოლუციონერები გამოესარჩლნენ, ვისაც უწინ ათასნაირ დახმარებას უწევდა და ახალ დროში დიდი თანამდებობები ეკავათ. გამოუშვეს. სხვათა შორის, ბათუმისა და სრულიად აჭარის ნომერი პირველი ჩეკისტი ოცდაჩვიდმეტში სხვებთან ერთად დახვრიტეს. საეჭვოა, უზრდელობისთვის დაეხვრიტათ. ბერიას აშოღლანები უფრო დამაჯერებელ მიზეზებს მოუნახავდნენ.

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ის კორძებიანი ხელჯოხი ბათუმში, ნაკაშიძეების სახლში თავად მინახავს, მისი ჩამომავლები რელიკვიად ინახავენ... მოიცა, ის თავადი ნიკო მართლა მონსტრი კი არ იყო, როგორ გეკადრება... სწორია, სხვა რამეებიც ვიცი. აი, მაგალითად - დისწული ჰყავდა, ილარიონ მიქელაძე,[73] ისიც ნეგოციანტი. ილარიონმა თავის ბიძას ხელქვეითი გაუგზავნა, ბარათი გაატანა, - ბიძია ნიკო, სასწრაფოდ დამჭირდა ფული, თუ შეგიძლია, ამ ბარათის მომრთმევს ორმოცდაათი თუმანი გამოატანე, ხვალვე დაგიბრუნებო. თავადმა ბარათის მომტანს ფული მიართვა. ამან ჯიბეში ჩაიდო და გასწია. ნაკაშიძემ მიაძახა, - დაბრუნდიო! — დაბრუნდა. თავადმა მაგიდას დაათითა და უთხრა, - დადე მაგ ფული აქ! - კაცმა ამოიღო, დადო. - წადი და მოახსენე ილარიონს, ისეთი კაცი გამომიგზავნოს, ფულის ყადრი იცოდესო! — მიქელაძის ხელქვეითმა ვერაფერი გაიგო. თავადმა განუმარტა, - დათვლა უნდა ფულს, რომ აძლევ ან გაძლევენ. წადი და გადაეცი ჩემი ნათქვამი!..

ის თავაშვებული ცხოვრება და ფულების ფანტვა ყაირათიანობად ვეგეტარიანელობა-ტოლსტოელობამ აქცია თუ ასაკმა მოიტანა? საინტერესოა, ღმერთმანი! ამ მოვლენას როდისმე უნდა მივხედო... თანაც, ძუნწობა რა სათქმელია, ხელგაშლილი კაცი ყოფილა, რამე საზოგადოებრივი თუ ეროვნული საქმისთვის შესაწირავს არასოდეს გამოჰკლებია, რუსეთსა და უცხოეთში სტიპენდიატები ჰყავდა. ბევრჯერ ისეთი საქმისთვის გაუღია სოლიდური თანხა, რომ სხვა კომერსანტებს გაჰკვირვებიათ, ეს რაღა ფანდია, ნეტავიო?! ვაჭარი კაცისთვის ამ უარყოფითსა და, ზოგ შემთხვევაში, დამღუპველ თვისებას, ეტყობა, ქართველი კაცი მოდგმით იღებს.

გასული საუკუნეებიდან მოდის, ომიანობის დროს მტერი ერთი თავადის სახლს მიუახლოვდა, ოჯახის წევრებმა სამკაულების, ძვირფასი ნივთებისა და სხვა სარჩო-საბადებლის გარიდება დააპირეს. თავადმა აუკრძალა, ყველაფერი თავ-თავის ადგილზე დააბრუნებინა, - მტერს ნუ ვათქმევინებთ, საქართველოში საძარცვ-საალაფო თავადის სახლშიც კი ვერაფერი ვნახეთო!..

ბატონ ნიკო ნაკაშიძის მეუღლის დედის ძმამ - აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის შვილმა და ცნობილმა პოეტმა გიორგი

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

შერვაშიძემ[74] მონტე-კარლოში ორი მილიონი თუ მეტი ფრანკი მოიგო, მაშინდელი ორი მილიონი! ლანგარზე დადებული მიართვეს. გაუკვირდა, - მოგებულ ფულს როგორ მთავაზობთ, ქართველი თავადიშვილი ვარ, მაგის აღება არც მოდგმით მეკუთვნის და არც გვარიშვილობით! უპატრონო ბავშვთა თავშესაფარს გადაუგზავნეთო!

განუმეორებელი დრო და ურთიერთობები იყო. თბილისის ერთ-ერთ რესტორანში, დანახარჯის ანგარიშს გამოჩენილ, საზელიან სტუმარს არასოდეს წარუდგენდნენ, - ხვალ იყოს, ბატონო, და სულაც არ არის საჭირო. ჩვენთვის ისიც დიდი სიამაყეა, თქვენისთანა ადამიანმა რომ ინება ჩვენთან სტუმრობაო! ეს მეთოდი პირდაპირ ქართველი კაცის თვისებებზე იყო ნავარაუდევი: ამოიღებდა, ორჯერ მეტს შესთავაზებდა. მაინც არ გამოართმევდნენ, - ქეიფიანად ბრძანდებით, ბატონო, ფხიზელ გუნებაზე ლაქიას გამოატანეთ, თქვენ თვითონ არ შეწუხდეთო. რომელი იკადრებდა, მეორე დღეს ნაკლები გაეგზავნა, ვიდრე წუხელის სთავაზობდა?! ცხადია, ასეთი ანგარიშსწორებისას ზარალიც არ იყო გამორიცხული, მაგრამ ერთი თუ ორი გადაუხდელი სუფრა საქმეს ვერაფერს დააკლებდა. მეორე ის, რომ სიტყვის გამტეხი იმ რესტორანში სხვა დროს ვეღარ მივიდოდა და ამას რესტორანის პატრონი თავისებურ მოგებად სთვლიდა.

პაპაჩემების დროს - მეცხრამეტე საუკუნის დასასრულსა და მეოცე საუკუნის დასაწყისს ვგულისხმობ - ქართველ კაცს კიდევ ერთი მახასიათებელი ჰქონდა - სიზარმაცე და უგერგილობა. თავადი ყოფილა, ვინმე გიგუცა ერისთავი,[75] ქსნისა. გორში ცხოვრობდა, უშვილო იყო. შემოდგომაზე მოუტანდა მოურავი მიწების იჯარის ფულს, წამოვიდოდა თავადი თბილისში, იმავ საღამოს ქართულ კლუბში ერთიანად წააგებდა, გაბრუნდებოდა და მომავალ შემოდგომამდე ცოლ-ქმარი იმ ყოველთვიურ თხუთმეტ მანეთად ირჩენდა თავს, რასაც მისი მეუღლე გადამალავდა ხოლმე. არცთუ მოხუცებული და უმწეო იყო, მაგრამ საითმე თუ გასწევდა, ღამის ჭურჭლები ხურჯინით მიჰქონდა. ერთხელ ნათესავი ეწვია მოსანახულებლად, ახალგაზრდა ადვოკატი. გიგუცა ერისთავმა, - აბა, შვილო, ეს საბუთები ნახე, ვისი რა არის, გამაგებინეო. საბუთების მიხედვით და, როგორც შემდგომში

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

დადასტურდა კიდეც, გიგუცა ქსნის ერისთავი საქართველოს უდიდესი მიწათმფლობელი ყოფილა. იურისტმა ის იმოდენა მივიწყებულ-მიტოვებული მამულები მოკლე ხანში დაუბრუნა. თავადი ამით დაკმაყოფილდა, ქონებისთვის არ მიუხედავს. რევოლუციამ მიჰხედა... ასე ცხოვრობდა - უჭირდა და იმდენი ფხა ვერ გამოიჩინა, კუთვნილის მეათედით მაინც ესარგებლა...

ეს კიდევ არაფერი. რომელიღაც ციციშვილმა თავად ამილახვრის მშვენიერი ასული - ნინო[76] შეირთო, რომელსაც უამრავი ხელნაწერი წიგნი მზითვად მოჰყვა და არც ციციშვილების ოჯახში დაუხვდა ნაკლები. განათლებული, წიგნიერი ქალი იყო, კარგა დიდი, უმნიშვნელოვანესი ნიმუშების შემცველი ბიბლიოთეკა გამოუვიდა. პაპაჩემებს ის წიგნთსაცავი თავად ჰქონდათ ნანახი. ოცდაოთხი წლის ხოცვა-ყლეტის დროს ქალბატონმა წიგნებით ორი დიდი კიდობანი გაავსო, თავის მაზლს გაატანა, - გადამალე სადმეო.

მაზლმა წაიღო და გადამალა. ამბობდნენ, ყუბანში გადაიტანაო. როცა დაბრუნდა, რაზმელები დაესხნენ, სროლა აუტეხეს. ვერ მოჰკლეს, როგორღაც გაექცათ, გომის სადგურში მივიდა, მატარებლის ლოდინში გული გაუსკდა, მოკვდა, საცოდავი. მას მერე იმ ორი კიდობნის ასავალ-დასავალი ვეღარავინ გაიგო. ესაც უდარდელობის, უპასუხისმგებლობის შედეგია. ვინ იცის, როგორი სიმდიდრე დაკარგა ქართველმა ერმა მხოლოდ იმიტომ, რომ ქალბატონი ნინოს მაზლის მეტმა არავინ იცოდა კიდობნების ადგილსამყოფელი... რა კაი კაცი იქნებოდი, სათქმელიდან ამსიგრძე გადახვევები რომ არ იცოდე... მართალი ხარ, მაგ შენიშვნას ყოველთვის ვიმსახურებდი. ჰო, თავად ნიკო ნაკაშიძეზე ზოგი რამ, სრულიად შემთხვევით, მე თვითონ გავიგე. გურიაში მრავალსტუმრიან სუფრას ვუჯექი, ღრმად მოხუცებული კაცის გვერდით. შევეკითხე, - რა გვარის კაცი ბრძანდებითმეთქი. — ჩემი თბილისელი მეგობრის, სწავლულის, ოთარ ქინქლაძის[77] მამის ძმა აღმოჩნდა. დარბაისელი, მეტად სანდომიანი მოხუცი გახლდათ. საუბარმა მოიტანა, ვკითხე, ეს მამულები რევოლუციამდე ვის ეკუთვნოდა-მეთქი? ნაკაშიძეებსო. რას წარმოადგენდნენ ეგ ნაკაშიძეები-მეთქი? დაფიქრდა, გაიღიმა, - უმრავლესობა ცეტები, ჩიტირეკიები და ზარმაცები იყვნენ. მშ-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

რომელი, ჭკვიანი და მდიდარი ერთი იყო მხოლოდ - ნიკო ნაკაშიძე. მოურავად ვიყავი მასთან. თბილისში, მუზეუმში ერთი კუთხე უჭირავს მას და მისი სურათიც ჰკიდია იქო. ვიცოდი, საქართველოში პირველი ჩაის ფაბრიკა, „ჩხავერის" პირველი ზვრები და ღვინის ქარხანა, გურიაში პირველი სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელი და კიდევ მრავალი რამ ნიკო ნაკაშიძის დაარსებული იყო და ვკითხე, - რით გამდიდრდა-მეთქი? ჭკუით და შრომითო, - დაუყოვნებლივ მითხრა და ასეთი რამ მიამბო:

- ღია ბარათი მივიღე ერთხელ, ამა და ამ დღეს ჩამოვალ, ნატანებში ცხენი დამახვედრეო. დავხვდი. მოვდივართ და მკითხა, - მამულში რა ხდებაო? - მშვიდობაა, ნიკო-ბატონო, იმდენი არაფერი. ნიკოლოზა ბაღში გადმოვიდა, ფორთოხალი წაიღო კაი ნახევარი ფუთი. ივანე ოხერმა სანერგიდან ოცი ძირი ნარინჯის ნერგი მოიპარა და ისე, სხვა არაფერი მომხდარა საყურადღებო-მეთქი.

ვიარეთ კიდევ და მითხრა ბატონმა ნიკომ:

- უთხარი ნიკოლოზას, კიდევ თუ ჩაიდინა ეგ, ბოქაულთან ექნება საქმე. ივანეს ნუ გაუჯავრდები, რას უზამს იმ ნერგებს?.. დარგავს, ალბათ, და ნარინჯის ბაღი ექნება საკუთარი.

- ასე გამდიდრდა ნიკო ნაკაშიძე. - დაასრულა მოხუცმა.

როგორც იტყვიან, რთული ხასიათისა ყოფილა ბატონი ნიკო ნაკაშიძე...

შევისვენოთ, კარგი ადგილია... მართლაც, ლამაზი ადგილია, რაღაცას მაგონებს... წიწამურსა ჰგავს, ილია რომ მოჰკლეს, იმ მიდამოს!.. ის კიკაშვილი[78] გახსოვს?.. როგორ არა, საინტერესო პიროვნება იყო, მამაჩემთან დადიოდა, მცხეთაში სასამართლოს აღმასრულებლად მსახურობდა, რაღაც სამოქალაქო საქმეზე გამოტანილი განჩინების შედეგებს ფრიად შესაშური დაჟინებით ებრძოდა. ოციანი წლები იმდენად მდიდარი იყო ამაღელვებელი მოვლენებით, რომ სასაუბროსა და სალაპარაკოს რა გამოლევდა, მაგრამ წარსულში მომხდარი ზოგი მნიშვნელოვანი ამბავიც არავის ავიწყდებოდა და ეს, უპირველესად ყოვლისა, ილია ჭავჭავაძის მკვლელობის თემა გახლდათ. თითქოს, ყველაფერი ცხადი იყო - ვინ, რისთვის და როგორ მოჰკლა და, მიუხედავად ამისა, ინტელიგენციაში ამ საქმის ყოველი წვრილმანი

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მოგონილი თუ მართალი, ცხოველ ინტერესს იწვევდა. იმ საუბრებს თავისებური აზარტი ახლდა და ეს გასაგებიც არის, რადგან ილიას მიმართ განხორციელებული ატენტატის თემას საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების ტაბუ ედო, ქართველ ბოლშევიკებს იგი სისხლისმსმელ მებატონედ ჰყავდათ მონათლული. ამით ისინი არა მარტო ამართლებდნენ ილიას მოკვლას, არამედ ადასტურებდნენ კიდეც, რომ ბოროტება მათი ჩადენილი იყო, თუმცა ეს დანაშაული ოფიციალურად არასოდეს უკისრიათ. როცა ხელისუფლება რაიმეს მალავს, ხალხს ჩხიბვისა და კვლევის აზარტი უჩნდება და ამაში ნიშნისგების ელემენტიც არის, - ცოდვილი ხარ და მე ამას დაგიმტკიცებო!..

კიკაშვილი მოხუცი კაცი იყო, ახალგაზრდობიდანვე დუშეთსა და მცხეთაში ნამსახური. ილია ჭავჭავაძის მკვლელობის გამო, მართალია, იმაზე მეტი არაფერი იცოდა, რამდენიც დანარჩენმა ქართველობამ, მაგრამ საიდანღაც და როგორღაც, ღრმად იყო ჩახედული ილიას წინააღმდეგ მოწყობილ ყველა იმ აქციაში, რასაც მოკვლის გადაწყვეტილებამდე ახორციელებდნენ მისი ნაძირალა მოწინააღმდეგეები. კიკაშვილის სიტყვით, ტყვიით ილიას მოკვლა თავიდან განზრახული არ ყოფილა, ამას სხვა საშუალებებით აპირებდნენ. კერძოდ, ცდილობდნენ, ხელოვნურად გამოეწვიათ მისი სიკვდილი - გულის გახეთქვით! კიკაშვილმა იცოდა არა მარტო ის, სახელდობრ, რა საშუალებებით ებრძოდნენ ილიას და როგორი მიმდევრობით უშლიდნენ ძარღვებს, რომ გული გახეთქოდა, არამედ ისიც, თუ ვისი ხელით კეთდებოდა ეს. გვარებითა და სახელებით იხსენიებდა წაქეზებითა თუ მუქარით დაყოლიებულ შემსრულებლებს. პატარა ვიყავი, არ ვიცოდი, რომ ასეთი რამეების დახსომება უკიდურესად საჭიროა. ამას გარდა, ჩემს ყურადღებას თვით ბოროტი ხრიკები უფრო იპყრობდა, ვიდრე შემსრულებელთა ვინაობა. ჩემი ბავშვური შეცდომა მაშინღა გავიცნობიერე, როცა გვარში ყოველივე ამის გამხსენებელი აღარავინ დამრჩა. რას იქმს კაცი, განა მხოლოდ ილიასთან დაკავშირებული გვარები დამრჩა დაუმახსოვრებელი?.. ის ხრიკები უსაქმო და ბოროტი კაცის მიერ გამოგონილი თითო-ოროლა ცულლუტობა კი არა, მოქმედების კარგად შემუშავებული, სისტემატიზებული გეგმა იყო და იმის

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ფიქრიც შეიძლება, რომ შემუშავებაში ფსიქოლოგმა მიიღო მონაწილეობა... სწორია, აი, ინებე: იმით დაიწყეს, რომ აივანზე მერცხლის ბუდეები დაუნგრიეს. მერე გზა გადაუთხარეს, ეტლმა ვერ გადმოიარა. ილია მოურავს შეეკითხა, - რისთვის გადათხარეო? მოურავმა მიუგო, - რა ვიცი, ჩემო ბატონო, მე თქვენ დასახვედრად წამოვედი და ამაობაში ვიღაცას ეს მამაძაღლობა ჩაუდენიაო. გზა გაასწორეს და ახლა ეზოში კატებისა და ძაღლების მძორის გადაყრა დაუწყეს. ილიას მოთმინების ფიალა აევსო, სოფლის თავკაცებს უხმო, - ესეები მოიშალეთ, თორემ როგორც გატყობთ, ჩემი აქ ყოფნა არ გინდათ, გავყიდი ამ მამულსა და სხვაგან გადავბარგდებიო. იფიცეს თავკაცებმა, - ჩვენ ამაებისა არა გაგვეგება რაო. გაზაფხულზე დარგული ხილი შემოდგომით ნიადაგიდან დაუძრეს და გადაყარეს. ესაც არ აკმარეს, რანაირად ახერხებდნენ, ქალაქიდან მოსულს ოთახებში ხან თავგასრესილი ქვეწარმავალი დაუხვდებოდა, ხან ცოცხალი მორიელი. ვერაფერი დააკლეს, მაგარი იყო ილია. მაშინ, სახლის წინ რომ წყარო აქვს, იმის გაბინძურებას მიჰყვეს ხელი. ერთხელ და ორჯერ კი არ ჩაუდენიათ ეს საზიზღრობა - გამუდმებით სჩადიოდნენ. ისევ შეჰყარა ილიამ თავკაცები, - სოფლიდან ამსიშორეს წყაროზე ამომსვლელი არავინ არის. წყაროები იქვე გაქვთ. ვიღაც არის, განზრახ მიბინძურებს. თქვენი წყარო რომ გააბინძუროს ვინმემ, კარგი იქნება? თუ არ დაიშალეთ, ამ წყალზე აღარავის მოგიშვებთო! ეგ იყო, სხვა არაფერი უთქვამს და ბინძურებმა მთელ საქართველოს მოსდეს, - ილია საგურამოელ გლეხებს წყალს არ აძლევს, სისხლისმსმელი ბატონია, მაგისი სიცოცხლე აღარ იქნებაო. საყურადღებო ის არის, რომ ბინძურების ყოველი ხრიკი სოფლელებსა და ილიას შორის ურთიერთობებს ძაბავდა, კონფლიქტებს იწვევდა. მტრებსაც ეს უნდოდათ, მათ მკვლელობის შემამსუბუქებელი გარემოება ესაჭიროებოდათ, - შეაწუხა გლეხები და მოკლავდნენ, მაშ, როგორ იქნებოდაო! ჰო, ბოროტებით გული რომ ვერ გაუხეთქეს - ტყვიით მოჰკლეს... თან ვიაროთ, არა?..

ჩვენს ოჯახში შინაურთა თუ სტუმართა საუბრების ერთერთი მთავარი თემა, რა თქმა უნდა, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა იყო. რამდენი სინანულიანი ღამე დამთენე-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ბია, რომ იმ დროში არ გამაჩინეს და იმაზე ფიქრშიც, თუ თავად როგორ მოვიქცეოდი ამა თუ იმ ვითარებაში. ეგ არის, მაშინვე ოპტიმისტი ვიყავი, იმედს არ ვკარგავდი: დადგებოდა დრო, ქართველი ერის განთავისუფლებაში მეც შევიტანდი წვლილს. ამ სასოებით ჩამეძინებოდა ხოლმე.

ითვლებოდა, რომ მაშინდელი ამბების საუკეთესო მთხრობელი ძია სერგო გერსამია[79] იყო. მართლაც, რამდენი რამ იცოდა! აი, ერთი იმ ამბავთაგანი:

- ცრაას ხუთში ქუთაისში გიმნაზიის მოწაფეებმა დემონსტრაცია მოვაწყეთ სრული დემოკრატიისა და სხვა ასეთების მოთხოვნით. გვეტაკნენ კაზაკები, მათრახების ტყლაშატყლუშით მიგვრეკეს საგუბერნიო ციხეში. მახსოვს, მირტყამდნენ, მტკიოდა, მაგრამ ცოდვა გატეხილი სჯობს, თან მეამაყებოდა, რომ ერისა და ხალხის კეთილდღეობისთვის მცემდნენ და მგონია, მსიამოვნებდა კიდეც. დიახ, და ახლა ზედამხედველებმა გვითავაზეს და გვითავაზეს პანღურები საკანში შემწყვდევისას. ერთი სიტყვით, უკვე გამობრძმედილ მებრძოლებად მიგვაჩნდა თავი... ახლა ვფიქრობ, იმ ასაკში ვიყავით, ყოველი ჩვენგანი ცალ-ცალკე რომ ავეყვანეთ, იქნება გვეტირა კიდეც - ეგ არის, ერთმანეთის წინაშე საკუთარი ღირსების შებღალვას რომელი იკისრებდა?!.

ვსხედვართ. ერთადერთი თემა იხილება - სახელდობრ რომელ გუბერნიაში მოგვიწევს გადასახლება და პირადად მე კი სინდისი მაწუხებდა, რომ საკატორღო ვერაფერი მოვახერხე. ჩემნაირი სინანული, ვფიქრობ, ბევრ ჩვენგანს აწამებდა, მაგრამ თავს იმით ვიმშვიდებდით, რომ დასაწყისისთვის სადმე ვიატკასა თუ კანდალაკშაში გადასახლებაც კმაროდა, ხოლო კატორღებს მომავალ საქმეთა საგმიროთათვის მოვივლიდით.

ეს ამბავია, ხმა დაირხა, - გუბერნატორი მოდის ციხის შემოელაზეო! სასწრაფოდ შევიმუშავეთ საქციელის ფორმა, რომლითაც საზიზღარი მეფის მიერ ქუთაისისა და სრულიად ლიხთიმერეთის განმგებლად დანიშნულ, არანაკლებ საზიზღარ მოხელეს უნდა დავხვედროდით. იარა ბატონმა გუბერნატორმა, იარა და ჩვენი კარიც შემოუღეს. საკნის შუაგულში იატაკზე ვისხედით. შემოვიდა თუ არა, ყველამ ერთდროულად შევუქციეთ

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ზურგი. ეფექტი მოულოდნელი აღმოჩნდა, მაღალი სტუმარი ბრინჯივით დაიბნა - პირღია იდგა, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. როცა თავს დაეუფლა, გარს შემოგვიარა, კარგა ხანს გვათვალიერა და ციხის უფროსს ჰკითხა, - ესენი ვიღა არიანო?! აღარც შეცბუნებული იყო, არც გაკვირვებული - ცნობისწადილი ჰქონდა. ციხის უფროსმა მოახსენა, - პოლიტიკურები არიან, კაზაკებმა მორეკესო. ასეთმა ინფორმაციამ საცოდავი გუბერნატორი კინაღამ აქვე, ჩვენს თვალწინ გადარია და საშინელი ხმით დაიღრიალა: - ახლავე გაყარეთ, ამათი კვალი აღარ ვნახოო! კარისკენ გაქანდა, ზღურბლზე შეჩერდა, ერთი კიდევ მოგვავლო თვალი, თავი ჩააქიცინა, თავისთვის ჩაილაპარაკა, - იმ სახელმწიფოს რაღა უნდა ეშველოს, ამათი რომ შეეშინდებაო... და წავიდა. მისტერიის ასეთი ფინალი მოულოდნელიც იყო და ერთობ დამაფიქრებელიც. სად გადასახლების პერსპექტივა და კატორღაზე ოცნებები და სად ის დღე, ჩვენ რომ ათიოდე წუთის შემდეგ დაგვადგა!.. გასვლაზე ყველამ ერთად ვთქვით უარი. მაშინ ზედამხედველები შემოცვივდნენ, კატის კნუტებივით სათითაოდ გაგვათრიეს და, ეგაც არაფერი, შინ რომ მივედი, მამაჩემმა გამოაცხადა, - დაბრუნდა ჩვენი საკუთარი რევოლუციონერიო!

სერგო გერსამია ფედერალისტი იყო, თავის დროზე ქუთაისში ამ პარტიის გაზეთს რედაქტორობდა. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ არაერთხელ იჯდა ციხეებში. ოცდაჩვიდმეტი წლის რეპრესიებს იმიტომ გადაურჩა, რომ ოცდათექვსმეტის დასაწყისში კიდევ ერთხელ დააპატიმრეს, მალევე გაათავისუფლეს, თბილისში გადმობარგდა და სახელოვანმა შინსახკომმა მისი წარსულის საჩხიბავად ვერ მოიცალა - აბა, დასაჭერ-დასახვრეტი იმდენი იყო!.. სანამ გერსამიას რიგმა მოაწია, რეპრესიებიც ჩათავდა. ისიც შესაძლებელია, რომ იგი, როგორღაც მოხდა, მხედველობიდან გამორჩათ. ყოველივე ეს მისი გადარჩენის სერიოზულ ახსნად, რა თქმა უნდა, ვერ გამოდგება, მაგრამ შინსახკომს ასეთი ლაფსუსები, საბედნიეროდ, ჰქონდა. გერსამიამ თეატრალურ მუზეუმში დაიწყო მუშაობა, ღრმა სიბერემდე იცოცხლა, ქართული თეატრისა და თეატრალურ მოღვაწეთა ბიოგრაფოსობით ირჩენდა თავს და ამ ჟანრის ბარე ათი მო-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ნოგრაფიის ავტორი გახლდათ. თავის დროზე ეს კაცი იმითაც იყო ცნობილი, რომ მის გაზეთებს ცენზურა წარამარა ხურავდა, მაგრამ გერსამია დაუყოვნელივ აარსებდა ახალს - ასეთი დრო იყო, შეიძლებოდა. დახურავდნენ, მაშ, როგორ იქნებოდა, როცა მისი სტატიები რევოლუციური მოძრაობის დენთისა და ლაღუმის დეტონატორად იყო განზრახული და ხშირად მიზანსაც აღწევდა. ერთი ასეთი წერილის გამოქვეყნებისთვის გერსამიას გაზეთიც დაუხურეს და ციხეშიც უკრეს თავი. მიმდინარე რევოლუციის მიზნების, მისი შესაძლებლობებისა და პერსპექტივის ასეთი შეფასება, იქნება, ორიგინალური არ იყო, იგივე შეხედულება, ალბათ, სხვებსაც ჰქონდათ, მაგრამ საქართველოში გამოქვეყნების პრიორიტეტი უდავოდ გერსამიას ეკუთვნის. ისიც უნდა ითქვას, რომ იმდროინდელ პოლიტიკურ ლიტერატურაში, პირადად მე, მსგავსი არაფერი შემხვედრია... აი, რას წერდა ათას ცხრაას თხუთმეტ წელს!..

- რუსეთის იმპერიის ჩაგრული ხალხების ბრძოლას ორი ფაქტორი უდევს საფუძვლად - სოციალური და ეროვნული. ისინი, ერთი მხრივ, გაბატონებული ფენებისგან მწვავე ექსპლოატაციას განიცდიან, მეორე მხრივ - იმპერიისგან ეროვნულ დისკრიმინაციასა და ჩაგვრას. იმპერია მპყრობელი ერის სახელმწიფოა და არა ყველა შემადგენელი ერისა ერთად. რუსეთის იმპერიის საშინაო პოლიტიკის ძირითადი ნიშანი ისაა, რომ იგი ზღუდავს ხალხების ეროვნული კულტურის განვითარებას, უსპობს მათ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის პერსპექტივას, ძალადობითა და ტერორით ახშობს განმათავისუფლებელ მოძრაობას. იმპერიებს, როგორც სამყაროში ყველასა და ყველაფერს, თავისი შექმნის, ჩამოყალიბების, ლპობისა და დაშლის დრო უწევთ. რუსეთის იმპერია უფსკრულის პირზეა, ინგრევა და ამას მპყრობელი ერი გრძნობს, იმპერიის შენარჩუნების ნაირ-ნაირ გზებს ეძებს. ერთი მათგანი ევროპიდან იმპორტირებული მარქსიზმია. ეს მიმდინარეობა გამოსავალსა და ხსნას რევოლუციაში, ახალი სოციალურ-ეკონომიკური ფორმაციის შექმნაში ხედავს, ხალხებს დემოკრატიულ თავისუფლებებს, ეროვნული კულტურის დამოუკიდებელ განვითარებას, მატერიალურ კეთილდღეობას ჰპირდება. ამ გრანდიოზული მოტყუებით

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

იმპერიის შენარჩუნებას იმედოვნებს და სწორედ ამით არის საშიში ჩვენთვის. ჩაგრულმა ერებმა ხანგრძლივი რუსიფიკატორული პოლიტიკის წნეხქვეშ ეროვნული თვითშეგნება დაკარგეს, მატერიალურ მისატყუარზე ადვილად წამოეგებიან. ახლა ეროვნული პარტიების უპირველესი მოვალეობაა, მასებში რუსული ბოლშევიზმისა თუ სოციალიზმის ჭეშმარიტი ბუნების მამხილებელი პროპაგანდა გასწიონ, რევოლუციაში პროლეტარიატის დიქტატურის ყალბ დროშას ეროვნული განთავისუფლებისთვის ბრძოლა დაუპირისპირონ, გზა გადაუკეტონ ახალ იმპერიას!..

ასეთი იყო სერგო გერსამიას დოქტრინა. ცენზურამ იგი ჯერ კომუნიზმის საწინააღმდეგო მასალად მიიჩნია, მაგრამ მეორე დღეს გუბერნატორი ნამდვილ არსს მიხვდა, გაზეთი დახურა, სერგო გერსამია დააპატიმრებინა.

იმპერისტებს შიგ გულში ჩაჰხედა, დაიჭერდნენ, მაშ, როგორ?..

გაიოზისა და შალვას[80] ფათერაკიც ცხრაას ხუთი წლის კალეიდოსკოპიდან ჩამრჩა მეხსიერებაში. არეულობა იყო - ექსპროპრიაციები, ფულის გამოძალვა. თბილისელმა მილიონერებმა შეიარაღებული დაცვა გაიძლიერეს. მთხრობლები ამ მცველებს „ჯამფიდანებად" იხსენიებდნენ. ეს სიტყვა საიდან მოდის - არ ვიცი. ერთ-ერთი ეროვნული ორიენტაციის პარტიის სამხედრო ორგანიზაციას გიორგი ხუციშვილი[81] ხელმძღვანელობდა, დავალება მიიღო, პარტიის სალაროსთვის საიდანმე ფული ეშოვნა. გზა ერთი იყო - ექსპროპრიაცია. ხუციშვილმა სარწმუნო წყაროდან გაიგო, რომ მავანი მილიონერის სახლში საკმაოდ დიდი თანხა ინახებოდა. ეგ არის, ბინაში შეღწევა ჭირდა, სახლის სადარბაზოში მაუზერითა და სხვა საფრთხობლებით შეიარაღებული ჯამფიდანი იჯდა, ჰაიჰარად შინ არავის შეუშვებდა. ხუციშვილმა ასეთი გეგმა შეთხზა: ახალგაზრდული ორგანიზაციიდან ბავშვი შეარჩია - თოთხმეტიოდე წლისა, ორ ძმა ქართველიშვილთაგან უმცროსი, სახელად გაიოზი. ცქვიტი და გულადი ბიჭი იყო. დღისით-მზისით მივიდნენ მილიონერის სადარბაზოსთან. გიორგი ხუციშვილი კედელს აეკრა, გაიოზმა ზარს ჩამოჰკრა. ჯამფიდანს კარი ჯაჭვზე ჰქონდა, გამოაღო, ღრიჭოში გამოიხე-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

და, ყრმა გიმნაზისტი დაინახა და ჰკითხა, - რა გინდათ? — ბიჭმა მიუგო, - დეიდა მაშასთან მოვედიო. — მაშა მილიონერის ოჯახში „ეკონომკად“ მსახურობდა. მცველმა კარი გააღო. გაიოზმა წიგნებით სავსე ზურგჩანთა მოიხსნა, ხელი ჩაყო, დიდი ბებუთი ამოიღო და ჯამფიდანს ღიპზე მიაბჯინა. სანამ მცველი გონს მოეგებოდა, ხუციშვილი შემოვიდა, მცველს იარაღი აჰყარა, ხელფეხი გაუკოჭა... თანხა ექსპროპრიირებულ იქნა, შორიახლო მომლოდინე პირს გადაეცა, გიორგიმა და გაიოზმა წინასწარ დასახული გეზით გასწიეს, მაგრამ გზად გაუთვალისწინებელი რამ მოხდა. საქმე ის არის, რომ გამოსვლებისა და მიტინგების გამო ქალაქში საგანგებო მდგომარეობა იყო გამოცხადებული, ჯარისკაცები და კაზაკები, მათი აზრით საეჭვო პირებს აჩერებდნენ, ჩხრეკდნენ. ვისაც იარაღი აღმოაჩნდებოდა - აპატიმრებდნენ, ციმბირი განაღდებული ჰქონდა. წინააღმდეგობის გამწევს - საბრჩობელა არ ასცდებოდა, საველე სასამართლოები მძვინვარებდნენ... გიორგიმა და გაიოზმა ვორონცოვის ხიდი გადაიარეს, დიდი თავადის ქუჩაზე პატრული შემოეყარათ, გაჩხრეკა მოუნდომეს. გაქცევა სჯობდა და მოუსვეს კიდეც. ჯარისკაცებმა ცეცხლი გაუხსნეს. გაქცეულებმა მარჯვნივ აუხვიეს, აღმართს აჰყვნენ. პატრულმა შესახვევამდე მოირბინა, სროლა განაგრძო. ხუციშვილმა ბიჭს უთხრა, - წადი, გაიქეცი, ამათ მე მოვუვლიო, და თავადაც სროლა დაუწყო. ჯარისკაცები სამნი იყვნენ. გიორგიმ ერთი დაჭრა, ორნი იქაურობას გაეცალნენ. მეორე დღეს ქალაქის ყველა გაზეთმა მოსახლეობას აცნობა, რაც მოხდა, და დამნაშავეთა გარეგნობის აღწერილობაც მოიყვანეს, - ერთი შავქურთუკიანი ასეთი და ასეთი იყო, მეორე - გიმნაზისტი, ასე თექვსმეტი, ჩვიდმეტი წლისაო. პოლიციამ აღწერილი გარეგნობის თითქმის ყველა გიმნაზისტი დააპატიმრა, მათ შორის, იმავე ახალგაზრდული ორგანიზაციის წევრი, გაიოზის ძმა - შალვაც. გაიოზი დაჭერას გადარჩა, მაგრამ შალვა ორი თვე ციხეში იჯდა. გამოუშვეს და შინ მოვიდა. მოვიდა და უმცროს ძმას მათრახით სცემა, - შენი გულისთვის ვიწვალეო!

ათას ცხრაას თვრამეტი წლის ოცდაექვს მაისს გიორგიმ და გაიოზმა მთავრობის სასახლეზე საქართველოს დამოუკიდებლობის დროშა აღმართეს!

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

პაპაჩემი იაგორი იტყოდა ხოლმე, - რევოლუცია არის ქაოსი, სადაც პოლიტიკური ავანტურისტები ფანატიკოსების ხელით ამღვრეული წყლიდან ამოყვანილ ზვიგენს ინტელექტუალების ხორცით ჰკვებენო. ზვიგენებისა რა მოგახსენოთ, ეს მეტაფორა იაგორ კარგარეთლის მხატვრული აზროვნების პროდუქტად ჩავთვალოთ, მაგრამ ინტელიგენციას რომ ავი დღე დაადგა, ეს ცნობილი და ურყევი ჭეშმარიტებაა. ბალღობიდან მახსოვს, ხშირად იხსენებდნენ იმ ას ჩვიდმეტ ქართველს, ვინც ქაოსს გამოერიდა, რუსეთიდან სამშობლოსკენ გამოსწია, არმავირში ვიღაც „რევოლუციონერებმა" მატარებლიდან გადმოიყვანეს და ას ჩვიდმეტივე ერთად, განუკითხავად გაჟლიტეს. განადგურებული ინტელიგენციის სტატისტიკა არავის უწარმოებია ისევე, როგორც დღემდე არავინ იცის, რამდენი რევოლუციონერი დაიხვრიტა რევოლუციისავე სახელით. არმავირის ამბავს სხვაზე ხშირად იმიტომაც იხსენებდნენ, რომ იმ ასჩვიდმეტში ათი, თხუთმეტი ჩვენი ოჯახის ნათესავი და ახლო მეგობარი გახლდათ... ერთი ას ჩვიდმეტთაგანი ბაუკ წერეთელი[82] იყო. მხვრეტელებში ქართველიც ერია, ამან ბაუკი იცნო, თუ მისმა ვაჟკაცურმა ახოვნობამა და სანდომიანობამ მოაჯადოვა - გამოიყვანა და უთხრა, - შენ წადი, თავისუფალი ხარო! — ბაუკმა მიუგო, - მარტო არ წავალ, მაგას დახვრეტა მირჩევნიაო, და განწირულებში შებრუნდა. დახვრიტეს, რა თქმა უნდა. ეს ამბავი შემსწრე არამავირელმა ქართველებმა ჩამოიტანეს... ტრაგედიებს თავი დაანებე, სხვა დროს იყოს. ისეთი რამ სთქვი, სიკვდილები არ ერიოს. ცოტა იცი?.. მართალი ხარ, ეხლა ისეთ კვალზე ვდგევართ, სიკვდილების დრო არ არის, გუნებას ნუ გავიფუჭებთ... რეზო გოშხოთელის[83] ნაამბობი სთქვი... რეზოსი? რეზოსი იყოს... ეეე, ეს რის კვალია?!. კვალი, კაცო! ადამიანის ნაკვალევია. ძველი კვალია, რამდენიმე დღისაა... რა მნიშვნელობა აქვს?.. ის მნიშვნელობა აქვს, რომ ეს კაცი ამჟამად ახლომახლო არ არის და საშიში არაფერია... დავსხდეთ, ვიფიქროთ... მაინც რამდენი დღისა იქნება, ეს ოხერი - ერთი კვირისა, ნაკლებისა თუ მეტისა?.. ასეა თუ ისე, ეს სულიერი აქ გუშინდელი ან გუშინწინდელი ნამყოფი არ არის, უფრო ადრე იყო... მაგრამ კვალი არის, მაშასადამე, აქ სადმე ქოხიც არის... რომელი ქოხი? სადაც, მი-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

შას სიტყვით, თოფი მელოდება, თუ სხვა ქოხი?.. ბოლო ბუნაგიდან თოფიან ქოხამდე ას ოცი, ას ოცდაათი კილომეტრი უნდა გამომევლო. სწრაფად ვიარე? რატომაც არა, სავალი სულ ვაკეზე იდო. კარგი, ამ კვალის დამტოვებელს ფილიპოვების ქოხში რა უნდოდა?.. გზა ეგრე ჰქონდა, მიშას მამის სახურავახდილი და მინგრეული ხუხულა რა შუაშია?.. ასეა თუ ისე, კვალს მივყვეთ... მივყვეთ, მაგრამ ფრთხილად. რა ვიცით, იქნება სწორედ ის მონადირეა, ვისაც ჩვენი დაჭერა აქვს დავალებული?..

გორამ ორიოდე კილომეტრი გაიარა, დაბრუნებული კაცის კვალი ნახა. იგი სამხრეთისკენ მიემართებოდა, იმავე ხნისა და იმავე კაცისა იყო. დაფიქრდა, ისევ აღმა მიმავალ კვალს დაადგა და სულ მალე გორაკის კალთას შეფარებული ქოხი დაინახა. ცოტა ხნის მერე გორა ფილიპოვების მიტოვებულ ქოხში კედლის ძირას, ჩამპალ, ნახევრად ჩაქცეულ იატაკზე იჯდა. ულრან ტყეებს იქით, ცის დასალიერზე, დიდი მზე იდგა. სხივები მილიონობით შტამბებში გამოღწევას ლამობდნენ. უყურა, სანამ ღრუბელი გადაეფარებოდა. განზე გაიხედა, ჩანგრეულ იატაკში ჩვარს მოჰკრა თვალი. გადაიხარა, აიღო. მამაკაცის საცვლის ნახევი იყო, ხამი ტილოსი, ისეთი, „ამერიკას“ რომ ეტყვიან, ერთიანად ტავოტში ამოსვრილი...

მიშამ აკი სთქვა, - თოფს ტავოტი უსვია, ჟანგი ვერ მიეკარებაო. აქვე გაუწმენდია... აქვე გასწმენდდა, ტავოტიანს ხომ არ წაიღებდა!.. კარგი - წაიღო და წაიღო, ჯანი გავარდეს, ველარაფერს დავიბრუნებ. მოდი, განვსაჯოთ, რა დავკარგე: უვაზნო თოფი! სანამ ფილიპოვის ნათქვამ იმ ქოხს მივაგნებ, სადაც ვაზნები უნდა ვიპოვნო, ან რუკაზე აღნიშნულ სხვას რომელიმეს და, ამასთან, ისეთს, პატრონს ვაზნების მარაგი რომ ჰქონდეს დატოვებული, ამ თოფს ჩემთვის, ნეტავი, რა სამსახური უნდა გაეწია? მაგსიმძიმის თრევაც როგორი საქმეა?.. ვაზნებიანი ქოხი უეჭველად შეგხვდება... ფილიპოვმა ხომ ისიც გითხრა, ზომაზე მეტად ფრთხილი ან წუწკი მონადირეები რა ადგილებში მალავენ ხოლმე ტყვია-წამალს... ჰო, კარგი! ეხლა რას მიბრძანებთ, თავში ხელები წავიშინო, ვიტირო, ქართველი ხალხ-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ის ეროვნული გლოვა გამოვაცხადო?.. რას მერჩი? არა, ენა შე-
მაჩვიე და ეგ არის... ბოდიში, ბატონო! შევრიგდეთ. გახსოვს,
მთათუშეთში, მწყესმა რეზო თარხან-მოურავს[84] რომ სთხოვა, -
ამბობენ, თბილისში კარგი კარაბინის ყიდვა შეიძლება, ფულს
გაგატან, მიყიდეო. რეზომ შეიფერა, - ჩუმ-ჩუმად კარაბინისა კი
არა, ზარბაზნის ყიდვაც შემიძლია, მაგრამ ჯერ შეგულება უნ-
და და შევიგულებ თუ არა, მაშინვე შეგატყობინებო. მეორე დღ-
ეს ფარსმისკენ გავსწიეთ. იმდენი ვიარეთ, რომ დაგვიღამდა.
ერთ მიტოვებულ სახლში მოგვიხდა გათენება. დილით, აღარ
მახსოვს, ვინ, აკი, გადამალული კარაბინი იპოვნა! აი, სწორედ
ასე, როგორც აქ უნდა დამხვედროდა - კარის თამასის უკან გა-
დამალული და ერთიანად ტავოტში ამოგანგლული. სახლი კარ-
გა ხნის მიტოვებული ჩანდა, როდინდელი დამალული იყო? ჯერ
ამის მარჩიელობას გადავყევით. მერე რომელიღაც ჩვენგანმა
სთქვა, - კარაბინს რომ იხვეწებოდა, იმ მწყემსს წავუღოთო. ეს
წინადადება „ვერ გავიდა“, კარაბინი თავის ადგილზევე დავმა-
ლეთ. დაბრუნებისას ღამის გასათევად ისევ რეზო ცაძიკიძესთ-
ან[85] გავჩერდით ომალოში, იმ მწყემსთან კაცი გავგზავნეთ, ვახ-
შამზე მოვიპატიჟეთ. მოვიდა და ვუთხარით, - ერთ ადგილას ახ-
ალთახალი კარაბინი ვიცით, წადი და აიღეო. გვკითხა, - ფარს-
მაში ხომ არაო? დავუდასტურეთ. გაიღიმა, - ეგ სხვისიაო! აღმ-
ოჩნდა, მამა და ორი ვაჟი ომში წასულან, წასვლის წინ ის კარ-
აბინი გადაუმალავთ. სამივენი იქ დახოცილან. ოჯახი განადგუ-
რდა, სახლიც ოხრად დარჩა და კარიც.

მწყემსმა, - სხვისიაო!..

ჰოო, ეს ყველაფერი - კარგი, მაგრამ უთოფოდ თავი როგორ
დავირჩინო, რა ვჭამო?.. შენი იღბლიანობა რომ ვიცი, ღმერთი
ერთ კაი თოფს უეჭველად გამოგიგზავნის, ნაღდია... იდიოტობ-
ამდე ოპტიმისტი ბრძანდებით, ბატონო... მოიცა, მოიცა, ვის
უნდა წაეღო? მონადირეს ისეთი რა გაუჭირდა, რომ სხვისი თო-
ფი წაიღო?.. რა იცი, იქნება თავისი გაუტყდა ან გაუფუჭდა. სა-
რეწავი მიატოვოს, სეზონი ხელიდან გაუშვას და შინ დაბრუნდ-
ეს? დაამთავრებს ნადირობას, მოიტანს, დასდებს... ე, ეს როგო-
რი ნაცნობი ფართალია, კაცო! პატიმრის საცვალს არ გაგონებ-
ს?.. მაგონებს რომელია, ეგ მატერია რომ არა, გულაგი დიდ

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ხნის გაკოტრებული იქნებოდა. მაგის ნიფხავ-პერანგში არ გავატარეთ ახალგაზრდობა?.. თითქმის მთელი სიცოცხლეც, მაგრამ მონადირეს ამ ფართლისა... როგორც არის!.. ჰო, როგორც არის! დავენდოთ ვერსიას, რომ თოფის წამღები უახლოეს ორ დღეში აქ აღარ მობრუნდება, და დავბუნაგდეთ, თუ მოვეშვათ აქაურობას და სხვაგან სადმე დავისადგუროთ?.. ჰაა, მიტილენიჩ, ყველაფერი გამიგე და ეს კაცი გამოგზავნე, რომ თოფი ცხვირწინ ამაცალო, თუ ეს მოსაზრება ჩემი ეჭვიანობის შედეგია?.. ერთიც შესაძლებელია და მეორეც. თუ შენ, პატივცემულო მიტილენიჩ, ზუსტად გაქვს დადგენილი ჩემი ეხლანდელი ადგილსამყოფელი, მაშინ აქ სადმე ჩასაფრებული კაცებიც უნდა ვიგულისხმოთ. ასე არ არის? თუ შენი კაცები აქ არიან და მხედავენ კიდეც, გინდ დავრჩენილვარ და გინდ წავსულვარ - ერთია. მაშ, როგორ მოვიქცეთ, ეხლავე გავუდგეთ გზას, თუ კაპიტალური ბუნაგი მოვიწყოთ და რიგიანად დავისვენოთ?.. არც ერთი და არც მეორე - ბუნაგი ჩვეულებრივი, ასე, ორდღიანი ყოფნის ვარაუდით მოვიწყოთ. მერე სამხრეთისკენ ნუ წავალთ, ამ კვალს დავადგეთ, მივიდეთ, საცა მიგვიყვანს. მართალია, ადამიანებთან შეხვედრა საშიშია, მაგრამ ჩვენი მდგომარეობიდან გამომდინარე, მათ საცხოვრისთან სიახლოვემ, შესაძლოა, მნიშვნელოვანი სამსახური გაგვიწიოს ჭამა-სმის დარგში! ასეა თუ არა?.. ასეა, ბატონო!

გორა ერთ დღეზე მეტი არ დაყოვნებულა. ფრთხილად მიდიოდა, ჩერდებოდა, ტაიგის ხმაურს უსმენდა. თუ კვალი ხევხუვებში ჩაუხვევდა და თვალსაწიერს მიეფარებოდა, მიდამოს ზვერავდა და მერეღა განაგრძობდა სვლას. ეს იძულებითი შეჩერებები და დროის კარგვა აღიზიანებდა, მოთმინება ღალატობდა. ბოლოს ხელი ჩაიქნია, სიფრთხილე გვერდზე გადადო და გასწია.

ეს რატომ ვქენი? ქვეცნობიერებამ მიკარნახა, - საშიში არაფერიაო? რას ეყრდნობოდა ეს ჩვენი ნაქები ქვეცნობიერება, როცა ესოდენ პასუხსაგებ რჩევას იძლეოდა?.. კარგი ვინმეა, ღმერთმანი, ეგ შენი უხორცო და უსხეულო გორა მბორგალი - შენი, ეგრეთ წოდებული, ქვეცნობიერება!.. სხვათა შორის, არცთუ

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ცუდი. ღალატის შემთხვევა სულ რამდენიმე მახსოვს. სამაგიეროდ, ყოველი ისეთი საქციელი თუ ნაბიჯი, როცა მოფიქრების დრო არ გახლდათ ხოლმე, ბატონო გორავ, მაგ კაცის ნაკარნახევი იყო. აი, ახლაც, კვალი ერთი კაცისაა. ძალიან თავზე ხელაღებული უნდა იყოს ეგ ადამიანი, მარბენალს რომ მარტოკაცად გამოუდგეს. პრაქტიკაში მაგნაირი რამეები არ ხდება, რადგან მარბენალი ყოველთვის შეიარაღებული იგულისხმება...

ეს ყველაფერი კეთილი და პატიოსანი. სამოცდამეშვიდე დღეა, მოვდივარ... კოლაჯან, თუ სიცოცხლე შემრჩა, სადმე ერთ კაი მონუმენტს დაგიდგამ... მართლა, მართლა დაგიდგამ. შენ რომ არა, ეეე, სად ვიქნებოდი ეხლა, ჰა?!. გლაციოლოგებს თხილამურებისთვის თითო ბიუსტი მაინც არ ერგებათ?.. რა ვიცი, ვინ არიან. არა, თუ წავაწყდი სადმე, ფოტოებს გამოვართმევ, ფოტოების მიხედვით გავაკეთებინებ... კარგი, მორჩი სისულელეებს... შე კაი კაცო, რითიმე ხომ უნდა გავერთო?.. კვალს უყურე, ეგ არის შენი გასართობი... კვალი?.. ჰო, კვალი... კვალი - კვალად და ხომ შეგვიძლია, კიდევ რაიმე გავიხსენოთ?.. მართალი ხარ! რეზო გოშხოთელისა ვთქვათ: ძალიან საინტერესო პიროვნება გახლდათ - მშვენიერი გარეგნობისა, თავაზიანი, სადა, მისაწვდომი და, რატომღაც, მარტოხელი. ოცდაჩვიდმეტმა წელმა იმსხვერპლა ორმოცდაცხრა წლის კაცი. მშფოთვარე, დაუდგრომელი სულის ადამიანი იყო - ავანტურისტი, ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით, კაცი, ვისაც წინააღმდეგობაში, ბრძოლაში, ერთი სიტყვით, ზეზეურად სიკვდილი ერგებოდა და კრავივით კი დაჰკლეს...

მამაჩემის მეგობარი იყო რეზო გოშხოთელი. დროდადრო მოდიოდა ჩვენთან. ამ კაცის მოსმენა ყველანაირ სანახაობასა და გასართობს მერჩივნა. ჩინებული მთხრობელი გახლდათ და უყვარდა კიდეც ამბების გახსენება.

ჩემ იქ ყოფნაში იყო, პაპა გორამ ჰკითხა:

- ის უკრაინელი დიდი კაცი, წყალტუბოში სამკურნალოდ რომ ჩამოდის და თუ არა გნახა, ისე არ წავა ხოლმე, ვინ არის და მეგობრები რანაირად ხართ?

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

- ძველი რევოლუციონერია, ბოლშევიკი, - გაიცინა რეზომ. - სამოქალაქო ომის წლებში გავიცანით ერთმანეთი. სიკვდილს გადამარჩინა. ათას ცხრაას ოცი წლის ოცდაორ თებერვალს იყო.

- სიკვდილისგან ზოგ-ზოგს მეც გადავურჩენივარ, მაგრამ წყალტუბოში თუ ბორჯომში ჩამოსულს აღარ მოვუკითხივარ... მიამბე, თუ ძმა ხარ, როგორ იყო ეგა? - სთქვა პაპამ.

ძია რეზომ გაიღიმა, იყუჩა, თხოვნა აუსრულა.

-. მენშევიკების დროს შავ ზღვაზე შხუნა მყავდა, ხუთასი ტონა წყალწყვისა, „ნინა" ერქვა, შკიპერი და ოთხი მატროსი ემსახურებოდა. ორანძიანი იყო, აფრებიანი და ძრავითაც დადიოდა. საფრახტოდ მყავდა, სხვათა საქონელს დავეზიდებოდი, შავი ზღვის ნავსადგურებს შორის დამიდიოდა.

ათას ცხრაას ცხრამეტი წლის ბოლოს, მგონია, დეკემბრის დასასრულს, ბათუმში, თეოფილე ეჯიბიამ[86] მომნახა, არალეგალურ მდგომარეობაზე იყო, დასდევდნენ. მომნახა და მთხოვა, - შენი „ნინა" ოდესაში მიდის, კაცი გვყავს გასაყვანი, რევოლუციონერია, შაუმიანი. როგორმე ოდესაში უნდა გაიყვანოო! — შევფიქრიანდი. რევოლუციამდე, ვისაც თვითმპყრობელობის დამხობა გვქონდა განზრახული, ზოგი აქციის განხორციელებაში ერთმანეთს ვეხმარებოდით მიუხედავად პარტიული კუთვნილებისა და მაშინაც კი ვეხმარებოდით, როცა პარტიებს შორის რაიმე პოლემიკა ან ბრძოლა მიმდინარეობდა.

თეოფილე ეჯიბიას რევოლუციამდე რომ ეთხოვნა სტეფანე შაუმიანის გაყვანა, ორი აზრი გამორიცხულია, თავს მოვალედ ჩავთვლიდი, გავიყვანდი, მიუხედავად იმისა, რომ მე ეროვნულ-დემოკრატი ვიყავი და ისინი - ბოლშევიკები, მაგრამ მაშინ, სახელდობრ, იმ დროსა და ვითარებაში... საქართველო დამოუკიდებელი იყო, კანონიერი ხელისუფლება მენშევიკებს ეპყრათ. ბოლშევიკები ჩვენს წინააღმდეგ იბრძოდნენ, წყალს ამღვრევდნენ, ცდილობდნენ, საბჭოთა რუსეთისთვის საქმე ისე დაეხატათ, ვითომ საქართველოს მოსახლეობას ბოლშევიკური წყობილება სწყურია და ერთთავად იმის მოცადეობაში იყო, როგორმე რუსის ჯარები შემოეყვანათ. მართალია, ჩვენ, ეროვნულ-დემოკრატები, არსებულ მთავრობას ოპოზიციაში პედექით, ლეგალურად, მრავალპარტიული ურთიერთობების

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

პრინციპებით ვებრძოდით, მაგრამ ბოლშევიკებისთვის ყოველნაირი ხელშეწყობა, არც კანონით, არც ზნეობრივად არ შემეფერებოდა.

ერთი სიტყვით, თეოფილე ეჯიბიას თხოვნის შესრულება საყოყმანო იყო. ძმაკაცობამ მძლია, ცოტა ხნის ფიქრის მერე დავთანხმდი, - ჯანი გაგვარდეთ, გავიყვან, ამ საცოდავ საქართველოში ერთი ბოლშევიკით ნაკლები იქნება-მეთქი!

თავად იმ გზობაში წასვლას არ ვაპირებდი, გრიგოლ ჩივაძეზ უნდა გამგზავრებულიყო, ჩემი მოადგილე. ამ კაცზე ორ სიტყვას ვიტყვი.

დიაკვნის შვილი იყო და რომელიღაც თავადის ნათლული. ქუთაისის გიმნაზია დაამთავრა, გული ზღვაზე მიუწევდა, ნათლიამ საზღვაოსნო სასწავლებელში მოაწყო. გრიგოლი ახალგაზრდობაში საკმაოდ პატივმოყვარე ბრძანდებოდა. როგორც ჩანს, მიზნებიც ასეთივე ჰქონდა, მაგრამ ოფიცერი შემოელახა და ამან სასწავლებლიდან დათხოვნა და სასჯელი მოუტანა. ჩემთვის სწორედ ეს არის გასაკვირი - გალახვა. გრიგოლი ფლეგმატურობამდე მშვიდი ადამიანია. ყოველ შემთხვევაში, მაშინ, ოცდახუთი წლის ასაკში, ასეთი იყო. ამასთან, მხნეობითა და გამჭრიახობით გამოირჩევა და მეორე არავინ მინახავს, ვისაც ვალდებულების ესოდენ მძაფრი გრძნობა ჰქონოდა. უაღრესად კეთილსინდისიერი, მოხერხებული კაცია და ამ თვისებებს მხოლოდ სამსახურისთვის ამჟღავნებს. თავისთვის არც გაუკეთებია რაიმე და, რამდენადაც ვიცი, არც რაიმე სურს, გარდა შრომისა. მინახავს ასეთები, გადამწვარმა ოცნებებმა იცის. განათლებული კაცია, ინტელიგენტი. მაშინაც ასეთი იყო და, მიუხედავად ამისა, დამნაშავეთა სამყაროში სანდო კაცის, თავისიანის სახელი ჰქონდა, თუმცა, სარწმუნოდ მოგახსენებთ, არც ბუნებითა და არც საქმიანობით ბოროტმოქმედი არ იყო. პოლიტიკასთან საერთო არასოდეს არაფერი ჰქონია. სიკეთითა და კეთილმოსურნეობით სავსე ადამიანი გახლდათ, ბუზს არავის აუფრენდა, მაგრამ საჭიროების შემთხვევაში ყველაფერი შეეძლო. იყო-მეთქი, ვამბობ იმიტომ, რომ როგორია ეხლა - არ ვიცი. მართალია, ხდება, ადამიანები დროთა ვითარებაში მათგან მოულოდნელ თვისებებს ამჟღავნებენ, მაგრამ, მგონია, გრიგოლ ჩი-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ვაძე ის კაცია დღესაც, როგორიც ჩემთან სამსახურის დროს იყო... თითქოს ვაჭარბებ, არა? დაინახავთ!.. ასეა თუ ისე, გრიგოლი მომწონდა, თავიდანვე დავმეგობრდით და დარწმუნებული ვარ, ერთმანეთისთვის უკან დღესაც არაფერში დავიხევთ.

მოგახსენეთ, დავთანხმდი-მეთქი. ხომალდზე ძებნილი კაცი უნდა ყოფილიყო, პოლიციასთან ურთიერთობის გამწვავება იყო მოსალოდნელი. გადავწყვიტე, თავადაც წავსულიყავი. მიცნობდნენ, ჩხრეკას არ მაკადრებდნენ და არც ოდესაში მოსაგვარებელ საქმეებს აწყენდა ჩემი ხელი. ჩავიყვანეთ სტეფანე შაუმიანი ოდესაში, შეხვედრის ადგილამდე მივაცილეთ, როგორც იტყვიან, პატრონს ხელიდან ხელში გადავეცით. ეს არცთუ ადვილი იყო, თეთრების კონტრდაზვერვა აქტიურად მოქმედებდა.

ამის შემდეგ ისედაც არეული ქვეყანა უარესად აირია. ბოლშევიკები სამხრეთისკენ მოიწევდნენ. სარწმუნო წყაროებიდან გავიგე, რომ თეთრები ოდესას გაზაფხულამდეც კი ვერ შერჩებოდნენ. იქ მუდმივი კლიენტურა და პატარა კანტორა მქონდა, საქმეებს ლიკვიდაცია სჭირდებოდა. ათას ცხრაას ოცი წლის თებერვალში გრიგოლმა და მე ჩვენი „ნინა“ ოდესას გავუყენეთ.

ალიაქოთი დაგვხვდა - ქალაქის ჩაბარებისწინა გაწამაწია, მღელვარება და შფოთი, ძაღლი პატრონს ველარა სცნობდა. სასტუმროში ვიდექით, დღეს-ხვალ დაბრუნებას ვაპირებდით, ზღვაში გასვლის უფლებას ველოდით, როცა ჩვენი შკიპერი მოვიდა და გვაცნობა, - ჩვენი „ნინა“ თეთრების მიერ არის რეკვიზირებული, ზღვაში გაუსვლელობის ხელწერილები ჩამოგვართვესო, ხომალდის მიტოვება დეზერტირობად ჩაგეთვლებათ, აქედან გამომდინარე შედეგებითო!..

ოდესაში ჩარჩენის ბუნდოვანი შესაძლებლობა რეალობად იქცა. ყველანაირ ხელისუფლებას მივმართე. იმაზეც კი არ დამთანხმდნენ, რომ მათი ნებისმიერი ტვირთი თუ საჯარისო კონტინგენტი დანიშნულ ადგილზე მიგვეყვანა და, როგორც იტყვიან - თქვენ თქვენთვის, ჩვენ - ჩვენთვის. ვერაფერს გავხდით. მდგომარეობას ართულებდა ისიც, რომ ზღვაში ბაყაყურად გაცურვაც კი უკლებლივ ყველასთვის სიკვდილის შიშით იყო აკ-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

რძალული. „ჩავვარდით საგონებელსა, ვითა კამეჩი მორევსა“, მაგრამ ახალგაზრდები ვიყავით, გონებას ოპტიმიზმი სჯობნიდა, სასოწარკვეთილებას არ მივცემივართ.

ათას ცხრაას ოცი წლის თებერვლის თოთხმეტია, საღამო. სასტუმროში ვარ, ვიღაცას ბილიარდს ვეთამაშები. მარკიორი მომიახლოვდა, ხმადაბლა მითხრა, - იქ ერთი ახალგაზრდა კაცი სახელითა და გვარით გკითხულობთო. გავედი. მოსული დამაკვირდა, შემისწავლა, მართლა ის პიროვნება თუ ვიყავი, ვისაც ეძებდა, და ბარათი გადმომცა.

„ძმაო რეზო! იმედი მაქვს, ამ ბარათის მომრთმევს დახმარებას აღმოუჩენ. თეოფილე.“

გამეცინა, - ეჯიბიამ აქაც მომნახა-მეთქი. ვკითხე, რა სახის დახმარება სჭირდებოდა.

- ხუთასი მანეთი ოქროთი. ასე გვიფასებს ერთი ჩვენი კაცისა და საკუთრივ ჩემ სიცოცხლეს ოფიცერი, რომელმაც ფულის მისატანად გამომიშვა. გარბიან, სახელდობრ, ოქროთი თხოულობს. საჩქაროა... ორი საათის მერე გვიან იქნება. თუ არ მივიტანე, ჩემს ამხანაგს დახვრეტენ და მე ჩვენები ლაჩრობას დამწამებენ. იარაღიც მჭირდება, ხელცარიელი ვარ. მთავარი კი ის არის, რომ ამ სასტუმროდან როგორმე უნდა გამაპაროთ, შემოსვლის დროს კინაღამ ამიყვანეს, გამოვექეცი. კონტრდაზვერვა ყველა გასასვლელს აკონტროლებს...

ახალუხის ამარა ვიყავი. ნომერში ავედით. ორმოცდაათი ოქროს თუმნიანი გადავუთვალე. თავით ფეხამდე ჩემი ტანისამოსი ჩავაცვი - ჩოხა-ახალუხი, ჩექმები, ქამარ-ხანჯალი და მაუზერიც ვაჩუქე, რომლის ტარების ოფიციალური უფლება ადრევე თეთრების შტაბში მქონდა აღებული. ჩემი პასპორტი მივეცი და გრიგოლს ვუთხარი, - გაჰყევი, გაიყვანე-მეთქი. გრიგოლმა ჩემოდანი გაიყოლა, რომ ჩემი ტანისამოსი უკან მოეტანა. შიგ იმ ახალგაზრდა კაცის ტანსაცმელი ჰქონდა. მითხრა, - ნუ იდარდებ. სანამ კონტრდაზვერვა ალყას არ მოხსნის, არ მოვალ და ეს კი, შეიძლება, კარგა ხანს გაგრძელდესო.

ჩვენი ნომრის ფანჯრიდან ყველაფერი კარგად მოჩანდა. ჯერ ბადრაგმა გაუსინჯა საბუთები. ბადრაგს გასცდნენ და ახლა აგენტებმა გააჩერეს. ყველაფერმა მშვიდობიანად ჩაიარა, წავიდ-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ნენ. ჩემოდანი იქითობას არ გაუჩხრეკიათ, მაგრამ აქეთობას რომ გაეჩხრიკათ, ჩემი პასპორტი აღმოეჩინათ, ჩოხა ეცნოთ და მდგომარეობა გართულებულიყო? არც ის იყო გამორიცხული, რომ გრიგოლის დაბრუნებამდე სასტუმროში მოეწყოთ ჩხრეკა, ჩემთვის პასპორტი მოეთხოვათ. ერთი სიტყვით, საქმე საარხეინოდ არ იყო. ჩვენდა ბედად, საღამომ მშვიდობიანად ჩაიარა. ღამის სამი საათი იქნებოდა, კონტრდაზვერვამ ალყა მოხსნა, საითლაც წაშავდნენ.

მალე გრიგოლიც გამოჩნდა, ჩემოდნითვე მოდიოდა, ნომერში უდავიდარაბოდ ამოვიდა.

იმ ახალგაზრდა კაცისა სახელიც კი არ ვიცოდი. წავიდა და წაიღო ყველაფერი, ალბათ, სამუდამოდ, როგორც ამგვარ შემთხვევათა უმრავლესობაში ხდება, მაგრამ არც ყოყმანი მქონია, არც რამე დამნანებია, რაც გავაკეთე, ყველაფერი სწორად მიმაჩნდა. ეხლა რომ ვაანალიზებ, ასეთ დასკვნამდე მივდივარ: ერთი, რომ ჩემი და იმ კაცის ინტერესები აბსოლუტურად ემთხვეოდა - ორთავენი რუსეთის იმპერიას ვანგრევდით. მეორე ის, რომ კაცს - რევოლუციონერს — დახვრეტა ელოდა, მისი გადარჩენა ხუთას მანეთად შეიძლებოდა. ბოლოს, თეოფილე ჩემი ძმაკაცი იყო, მოვალე ვიყავი, მისი თხოვნა შემესრულებინა... გრიგოლმა სასტიკად მისაყვედურა, - იარაღი მიეცი, ჯანი გავარდეს. თავი შარში გავიბით - ადამიანები ვართ, მოვალეობა მოვიხადეთ. ორმოცდაათი ოქრო მიეცი - რატომ არ იფიქრე, რომ აქედან გაძრომას სწორედ ოქრო უნდა, ქაღალდის ის ექვსი, შვიდი ათასი ნიკოლოზას ფული აღარავის სჭირდება და დავრჩით ხახამშრალებიო!

ნიკოლოზას ბანკნოტებს, მართლაც, ძალიან შერყეული ჰქონდათ რეპუტაცია, კურსი ერთი ასად იყო დაცემული, ქაღალდს მხოლოდ ისინი სთვლიდნენ რაიმე ფულად, ვინც ცარიზმის რესტავრაციაში იყო დარწმუნებული. ეგ არის, ასეთი თითოოროლა თუ შეგხვდებოდათ სადმე.

თვრამეტ და ცხრამეტ თებერვალს, ორი დღე-ღამის მანძილზე, თეთრებმა, ოდესის ნავსადგურსა და მიდამოებში თუკი რამ გემი, ხომალდი და ნავი იყო, ყველა საჯარისო ნაწილებითა და აუცილებელი ტვირთით პირთამდე გაავსეს, მათ შორის, ჩვენი

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

„ნინაც“, და ნაპირს სამუდამოდ მოსწყდნენ. ოც თებერვალს ღამით წითლები შემოიჭრნენ ოდესაში. თეთრების არიერგარდი ბრძოლებით იხევდა, ნავსადგურს მიაწყდა და იქ კი ერთი ნავიც აღარსად იყო. წითლებმა, როგორც ეხასიათებოდათ, ისე ჟლიტეს პირში ჩალაგამოვლებული არიერგარდი. რაც ვერ გაწყვიტეს - ტყვედ აიყვანეს და უთავბოლო ხვრეტას მიჰყვეს ხელი.

ამის შემდეგ სამი დღე იყო გასული, ოდესიდან რვა ვერსზე ექიმი ვიპოვნეთ, გვარად ბაისაგოლოვი,[88] იახტას ჰყიდდა. მოვრიგდით, ხვალ ღამით ზღვაში უნდა გავსულიყავით... დღეს ღამით სასტუმროში ჩეკამ მოგვაკითხა. გაგვჩხრიკეს, ოქმი შეადგინეს, თუკი რამ ფასეული გვებადა, წაგვართვეს და ჩეკაში წაგვიყვანეს, მგონია, უფრო იმიტომ, რომ ჩემს პასპორტში „*Князь*“ ეწერა. ნომერში და მერე ჩეკაში ბევრი ვუმტკიცეთ, რომ საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეები ვართ, რომ ჩვენს ქვეყანასა და საბჭოთა რუსეთს შორის კეთილმეზობლური ურთიერთობაა, რომ თეთრებთან არაფერი გვაქვს საერთო და, მეტიც, მათთან ომის მდგომარეობაში ვიმყოფებით... „კედელს ცერცვი შეაყარეო“, - ყურად არავინ არაფერი იღო.

ჩეკას ჟანდარმერიის შენობაში მოეკალათებინა, გაგვაქანეს და საკანში შეგვყარეს. ასამდე პატიმარი დაგვხვდა, ტევა არ იყო. თვალში მეცა, პარაშაზე ყველა ორდენით აღჭურვილი რუსის გენერალი იჯდა, რომელიღაც მისებრ განწირულს გაშმაგებით უმტკიცებდა, რომ „საბჭოთა ბოლშევიკებისთვის“ სიცოცხლეში სიკეთის მეტი არაფერი უქნია, რომ ორდენებს არ მოიხსნის, რადგან ისინი მსოფლიო ომში სამშობლოს მტრების წინააღმდეგ ბრძოლებში სისხლით აქვს მოპოვებული და რომ წითლები მოვალენი არიან, ამ გარემოებას პატივი სცენ!.. ძალიან სახიერი სურათი იყო, მარტო სიცილის მომგვრელი კი არა - დასაფიქრებელიც:

რუსეთის იმპერია სავარძლიდან პარაშაზე გადავსვით!..

ათასი ჯურის ხალხი მოერეკათ. უმრავლესობა - სამოქალაქო ტანისამოსს ამოფარებული თეთრი ოფიცრები, მაღალი წრის რამდენიმე არისტოკრატი, თეთრებს ატორღიალებული ბობოლები, ვიღაცად მიჩნეული უდანაშაულო პირები...

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

იმ ღამეს ყურადღების ღირსი არაფერი მომხდარა, გარდა იმ-ისა, რომ ჩვენი გვარ-სახელები ჩამოწერეს. დილის ათი საათი იქნებოდა, დერეფანში სათითაოდ გაგვიყვანეს, ხელები ბაწრით გაგვიკოჭეს. წინ გაგვიგდეს, ჟანდარმერიის ეზოში ამოვყავით თავი. ეზო პატარა იყო. სამი მხრიდან მაღალი, ყრუ გალავანი ერტყა, მეოთხე მხრიდან – წინათ ჟანდარმერიის სასამსახურო კორპუსი, ახლა – ჩეკასი. კედელთან მიქუჩება გვიბრძანეს. ის იმდენი ხალხი ერთ რიგად რას დავეტეოდით, ხროვად დავდექ-ით. გრიგოლი და მე კედელს ავეკარით. როგორც ამგვარ შემთ-ხვევებში, თითქმის ყოველთვის, განწირულებს სასწაულის იმ-ედი ჰქონდათ. რა დასამალია, მეც ასე ვიყავი, ვფიქრობდი, – რა-ღაც სხვა ოპერაცია ტარდება-მეთქი. არც ვინმე რაიმეს ჩიოდა, არც არავინ ტიროდა, არც ლანძღვა წამოსცდენია. ვიდექით და ველოდით. სწორედ ჩემს პირდაპირ ბელეტაჟის ფანჯარა პირთ-ამდე იყო ღია. კითხვა ამეკვიატა, – ამ ყინვაში ღია რატომ უნდა იყოს და მაგ ოთახში ვინ და რამდენი კაცი უნდა იჯდეს-მეთქი? მოგეხსენებათ, გამოუვალი ვითარებებისთვის სრულიად ნორმ-ალურია, რაღაც სისულელე აგეკვიატება... ეს ფსიქოლოგიური მომენტია, ორგანიზმის დაცვითი რეაქციაა.

ამასობაში, ვიღაც უმცროსი მეთაური გამოვიდა, ქაღალდი მოიტანა და სიის ამოკითხვას მისდგა. საცოდავი, ბორძიკ-ბორ-ძიკით, დამარცვლითა და მაინც დამახინჯებით კითხულობდა. ივანოვი რომ ივანოვია, ისიც კი „იგნანოსოვად“ ბრძანა. რაც მე რუსეთში ვიყავი ნათრევი, ასეთი გვარი არსად შემხვედრია, ლურსმანივით ჩამიჯდა მეხსიერებაში... გრიგოლმა ჩამჩურჩუ-ლა, – გახსოვს, ნატანებში კრება რომ ჩაატარე, მაშინ სთქვი, – რევოლუცია ჩაგრული, უმეცარი მასების აქტიურ მოქმედებას გამოიწვევსო! აგერ, მასები!..

ღია ფანჯარაში ადამიანის ფიგურას მოვკარი თვალი. გაია-რა და მიიმალა. ახლა ის აზრი ამეკვიატა, – ფანჯარა სიის მოს-აყურადებლად არის-მეთქი ღია...

იწვალა, იცოდვილა მეთაურმა და ჩემ გვარს მიადგა. ისეთი საცარი ბგერები გადმოუშვა, გვიანღა მივხვდი, რომ მე ვყავდი მხედველობაში. სიმართლეს ვიტყვი, ძალიან ცდილობდა, უკი-დურესი კეთილსინდისიერება ჩააქსოვა საქმეში, მაგრამ რაც

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

უფრო ცდილობდა, სწორად გამოეთქვა, უფრო ამახინჯებდა და მე, რატომღაც, სულ უფრო და უფრო მეშლებოდა ძარღვები. ჩემი ასეთი რეაქცია რამდენადმე გაუგებარია, მოჯღარკული გვარი მაქვს, რუსეთში მის დამახინჯებას დიდი ხნის მიჩვეული ვიყავი. ბოლოს ისე გავჯავრდი, მთელი ხმით, გარკვევით, მარცვალ-მარცვალ დავიძახე:

— *Гошхо-те-ли Ре-ваз Соп-ро-мо-вич. Гражданин Республики Грузия. Князь!*

მეთაურმა გემრიელად ჩაიცინა, სიას ჩახედა, ტუჩები ააცმაცუნა. მერე სახე დაეძაბა, შემომხედა და დაიღრიალა:

— *Повторить!* - ეტყობა, „კნიაზი“ მოგვიანებით ეტაკა ყურში.

მშვიდად, იმავე ინტონაციით გავიმეორე ყველაფერი. არც „კნიაზი“ გამომრჩენია.

— *Покняжешь ты у меня, вот покняжешь!* - შემომღრინა და ის იყო, სიის კითხვა უნდა განეგრძო, რომ ღია ფანჯრიდან მოისმა:

— *Самотеев, веди его ко мне!*

— *Есть, вести!* - დაიძახა მეთაურმა და მიბრძანა: — *Следовать за мной, контра!*

— *Нас двое.* - ახლა მე დავიძახე.

მეთაური დაიბნა და შემომღრინა:

— *Чтооо?!.* - მაგრამ ზემოდან იმავ წამს მიიღო ბრძანება:

— *Самотеев, веди обоих!*

— *Следовать за мной!* - ისე ბრძანა, მეგონა, სასულე ორკესტრი ტუშს დასცხებდა.

გაგვიგდო წინ და წავედით. სანამ კიბეს ავივლიდით, თვალთწინ ის კაცი წარმომიდგა, ჩვენი მიყვანა რომ ბრძანა.. რატომღაც, თეოფილეს ახალგაზრდა კაცს მივამსგავსე. გამეცინა, განწირული რას არ წარმოიდგენს-მეთქი. იმავ წამს საწინააღმდეგო აზრმა გამიელვა, - ვითომ მთლად შეუძლებელია, რომ არალეგალურ მდგომარეობაზე მყოფი ბოლშევიკი, ოდესიდან თეთრების გაქცევის შემდეგ, აქაური ფანჯრიდან იყურებოდეს-მეთქი?

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ბადრაგმა ზურგს უკან გაკოჭილ ხელებზე ბაწრები შეგვაჭრა და კაბინეტში შეგვიყვანა.

სწორედ ის ახალგაზრდა იყო, თეოფილესი!..

ორთავეს ხელი ჩამოგვართვა, - დაბრძანდითო.

– *Революция, гражданская война, Реваз Сопромович! революция, которую сами и делали!* - ბოლთას მოჰყვა, ფიქრობდა.

– *Да, простите... Яремчук Влас Яковлевич!* - თავი გაგვაცნო, მაგიდას მიუჯდა, სუფთა ქაღალდი მოგვაწოდა, - თქვენი გვარსახელები გარკვევით დაწერეთო, ღიმილით გვითხრა.

მერე იარემჩუკმა[89] ზარი დააწკარუნა. მემანქანე ქალი შემოვიდა, მანდატების ტექსტი ჩაიწერა და წავიდა. ჩვენმა მხსნელმა კვლავ დააწკარუნა ზარი, ჩეკისტი შემოვიდა, ბრძანება მიიღო, ჩვენი ჩხრეკის ოქმი, კონფისკებული ფასეულობები და ნივთები შემოეტანა.

ათიოდე წუთის შემდეგ, რაც ჩამოგვერთვა, ხელთ გვქონდა. ორმოცდაათ თუმანზე ბოდიში მოგვიხადა, - ამჟამად ვერ მოგცემთ, არა მაქვს, მოვა დრო, გადაგიხდითო. მაუზერისა და გრიგოლის იარაღის გამო გვითხრა, - ვერ დაგიბრუნებთ, სამოქალაქო პირთათვის იარაღის ტარება ავკრძალეთო. ისიც გვაცნობა, - ოდესაში მხოლოდ სამ დღეს დავრჩები, გაითვალისწინეთო. ბეჭდიანი მანდატები გადმოგვცა და საუკეთესო სურვილებით გამოგვისტუმრა.

ერთი კვირის სიცოცხლისა და ხელშეუხებლობის გარანტია გვქონდა, თუ იმ განუკითხაობაში გარანტია, საერთოდ, რაიმესი არსებობდა.

ქუჩაში გაბრუებულები გამოვედით. ჩვენი გამოსვლა იყო, ბარე ათმა შაშხანამ ერთდროულად იქუხა და ამას ხანგრძლივი, უწესრიგო სროლა მოჰყვა. უნებლიეთ ქუდები მოვიხადეთ. ორიოდე გამვლელმაც მოიხადა, პირჯვარი გადაიწერა, ჩვენსავით უმალვე დაიხურა, ჩვენსავით სწრაფი ნაბიჯით, თითქმის სირბილით მიჰყვა თავის გზას.

ოდესაში ერთი ქუჩაა, დამავიწყდა, რა ჰქვია, ხელოსნები სხედან - მეუნაგირეები, მექუდეები, თერძები. მათ შორის ბევრი ქართველი იყო. იქ მივედით, ჩოხა-ახალუხი დავყარეთ, სამოქა-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ლაქო ტანსაცმელი შევიძინეთ. ქართველებმა იცოდნენ, დასახვრეტად რომ წაგვიყვანეს, უკვე საიქიოს ვეგონეთ. დაგვინახეს, ზოგს ცრემლიც კი წამოუვიდა.

ამბავი დავტოვეთ, რომ იმავე სასტუმროში ვიქნებოდით.

იარემჩუკი დიდი თანამდებობის პირი იყო, როცა წყალტუბოში სამკურნალოდ ჩამოვიდა და მომძებნა. მივაკითხე, ვისაუბრეთ, ის ამბები გავიხსენეთ. პორტფელიდან კონვერტი ამოიღო, - აქ ორმოცდაათი ჩერვონეციაო, — მითხრა და გამომიწოდა. მაშინ ჩერვონეცი ოქროს თუმნიანზე ძვირი იყო. გადავწყვიტე, ის ფული არ ამეღო. ჩამაცივდა და როცა საქმე წყენამდე მივიდა, ფანდი ვიხმარე, - ფული ჩემი არ იყო, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სალაროს ეკუთვნოდა და რადგან ეს პარტია აღარ არსებობს, ხომ ვერ მივითვისებ-მეთქი? გაშრა, - მეც ხომ ვერ დავიტოვებო, სთქვა, მაგრამ იმწამსვე ასეთი გამოსავალი ნახა: პირად მდივანს გასძახა - გვერდით ოთახში ცხოვრობდა. კონვერტი მისცა, - ახლავე წაიღე, დეპოზიტში შეიტანეო!

რეზო გოშხოთელმა თხრობა დაამთავრა. სიჩუმე ჩამოვარდა. პაპა გორამ კარგა ხნის შემდეგღა სთქვა:

- კაცი კაცით არის. მადლი ჰქენი, ქვაზე დადე, გაიარე, წინ დაგხვდებაო!.. მაგას კიდევ რაღაცები მოჰყვა: გამიგონია, ლადო ალექსი-მესხიშვილი[90] რეზო გოშხოთელის გამოყვანილია ოდესიდანო...

- ეგ სხვა დროს იყოს, ძია იაგორ, - მიუგო გოშხოთელმა, საათზე დაიხედა, ადგა. - ერეკლე იგვიანებს, წასასვლელი ვარ, მერე მოვალ....

ბარე წელიწადი გავიდა, სანამ ამ ამბის გაგრძელება მოვისმინე. დედაჩემის დაბადების დღის აღსანიშნავ ლხინზე ჩააცივდნენ რეზო გოშხოთელს, - ბატონი ლადო ალექსი-მესხიშვილის გამოყვანის ამბავი სთქვიო. დათანხმდა. საინტერესოდ, მაგრამ რატომღაც წიაღსვლებით, ჩემი ასაკისთვის რამდენადმე რთულად ჰყვებოდა, ყველა წვრილმანი და მოვლენისა თუ ნათქვამის შეფასებები ვერ გავუგე... როგორც დაგვახსომდა, ისე მოვიგონოთ.

თეთრებისგან დატოვებული და წითლების მიერ აღებული ოდესიდან წამოსვლის ამბის ზოგ ადგილებს ძია რეზო ხმადაბ-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ლა ჰყვებოდა, რადგან იმ დროში წითელ არმიაზე აღფრთოვანებით თუ არ ილაპარაკებდი, ნათქვამი თეთრების ქებად ჩამოგვრთმეოდა. მიუხედავად იმისა, რომ სამოქალაქო ომი თორმეტი წლის დამთავრებული გახლდათ, მიუკერძოებელი მთხრობელი ანტანტისა და მსოფლიო იმპერიალიზმის აგენტად საღდებოდა, აქედან გამომდინარე ტრაგიკული შედეგებით. მახსოვს, გოშხოთელმა თხრობა დაიწყო, ყურები ვცქვიტე და სწორედ ამ დროს დედამ მითხრა, - გაიქეცი, ბორჯომის წყალი შემოიტანეო. ელდა მეცა, გავიფიქრე, რომ რაღაც მნიშვნელოვანი გამომრჩებოდა. მამამ შემატყო, - იჯექი, მე შემოვიტანო! ჩვენს ოჯახებში უფროსების საუბრისას ბავშვების დათხოვნა მიღებული არ იყო. ეს იმისთვის კეთდებოდა, რომ გაგონილით ცხოვრების ცოდნა გაგვემდიდრებინა, საფიქრალი, ასაწონ-დასაწონი გვქონოდა... გეყო, ამბავი სთქვი...

ბატონ ლადოს - თავისი დროის უდიდეს მსახიობსა და პოპულარულ კინოვარსკვლავს - პირველ მსოფლიო ომამდე, ომისა და რევოლუციის დროსაც და სამოქალაქო ომის პირველ წლებშიც, მთავარ როლებზე იწვევდნენ ხოლმე რუსეთის კინოფირმები. ამ ხნის მანძილზე ოცდაათამდე მთავარი როლი შეასრულა. ამასთან ერთად, ზოგ კინოსურათში ორ, ხანდახან სამ როლსაც კი ასრულებდა. მაშინდელი კინოხელოვნებისთვის ასეთი რამ ნორმალური მოვლენა იყო. სამოქალაქო ომი რომ გამწვავდა, ფირმებმა მუშაობა შეწყვიტეს. სამხრეთის გზები ჩაიკეტა, აქაურობა თეთრებს ეჭირათ. ზოგი ტერიტორია ხელიდან ხელში გადადიოდა. მოსკოვში, პეტროგრადსა და რუსეთის სხვა ქალაქებში უამრავი ქართველი ჩარჩა. ვინც თავზე ხელი აიღო და მაინც შინისკენ დაადგა გზას, დიდი უმრავლესობა მგზავრობაში ეპიდემიებისა და რევოლუციის სახელით გასროლილი ტყვიის მსხვერპლი გახდა. ერთი ასეთი თავზე ხელაღებული მოგზაური, უკვე მოხუცებული ბატონი ლადოც გახლდათ.

მოსკოვში ხმა გავარდნილიყო, - წითლებმა ოდესა აიღესო. იმასაც ამბობდნენ, - ჯერ არ აუღიათ, ამ დღეებში აიღებენო. დამჯდარა ბატონი ლადო ოდესისკენ მომავალ მატარებელზე, - შავ ზღვამდე თუ ჩავაღწიე, ზღვით საქართველოშიც ჩავალო. გზაში თვე-ნახევარი ყოფილა. ათას ცხრაას ოცი წლის ოც თე-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ბერვალს, ანუ წითლების მიერ ოდესის აღების დღეს, ქალაქის შორეულ მისადგომებთან იყო. ორი დღე იქ იტრიალა, წითლები ქალაქში არავის უშვებდნენ, - წესრიგს დავამყარებთ და მერეო. ბატონი ლადო ოდესაში ოცდასამი თებერვლის გამთენიისას შემოვიდა და პირდაპირ ქართველ ხელოსნებს მიაშურა, - გავიგო, ქალაქში როგორი ვითარებაა, საქართველოში გამგზავრების რაიმე შესაძლებლობა თუ არსებობსო. ხელოსნებმა, რაც იცოდნენ, უთხრეს, და ისიც აცნობეს, რეზო გოშხოთელი და გრიგოლ ჩივაძე ნაღდ სიკვდილს რომ გადარჩნენ და ისიც, თუ რომელ სასტუმროში იყვნენ იმჟამად. ვინც ვერ გადარჩა, მათი ამბავიც უთხრეს - ორი ქართველი გენერალი დაიხვრიტა. მერე, თერძი ყოფილა - ნიკო ჩოხელი,[91] ბატონ ლადოსთვის გაუნდვია, - რეზოს და გრიგოლს ოდესის შემოგარენში იახტა აქვთ შეგულებული, იმის ყიდვასა და გაპარვას აპირებენო! ბატონ ლადოს უფიქრია, - ბარგს წამოვიღებ და ამ ბიჭებთან დავსახლდებიო. რა ბარგი - ერთი ჩემოდანი და პატარა ფუთაღა შერჩენოდა. თავისი ნომერი ყირაზე დაყენებული დაუხვდა, - ჩეკამ გაჩხრიკა და გეძებსო.

წამოუღია ბარხანა. ბედად, რეზო ჯერ კიდევ შინ იყო და, აბა, იმ დროში ლადო ალექსი-მესხიშვილის განაპირებას ვინ და რა პირობებში გაბედავდა, - ეს ადამიანი ქართველი ერის სიამაყე იყო!

ოდესის ნავსადგური რევკომის მიერ დახურულად იმ საბაბით გამოცხადდა, ესე იგი, ზღვაში, საერთოდ, ვისიმე გასვლა იმ საბაბით აიკრძალა და ამის მცდელობაც კი სიკვდილით იმიტომ ისჯებოდა, რომ რაღაც ცნობების თანახმად, თუ რევოლუციური ეჭვიანობით, ხელმწიფის კარის საგანძური, ვითომ ოდესაში იყო ჩამოტანილი, თეთრებმა მისი გატანა ვერ მოასწრეს და ამ საქმის შესრულება ქალაქში დატოვებულ თავის აგენტურას დაავალეს. ყოველივე ეს მტკნარ სიცრუეს ჰგავდა და შემდგომში ასეც აღმოჩნდა. მეფის საჭურჭლე-საგანძურისა რა მოგახსენოთ, მაგრამ იქ, მართლაც, აურაცხელი სიმდიდრე დაგროვდა. რუსეთის მაგნატები და მდიდარი ოჯახები, ვინც ემიგრირება და დოვლათის გადარჩენა დროულად ვერ მოასწრო, თავისი სიმდიდრით შავი ზღვის ნავსადგურებისკენ თეთრებზე წინ გამორბ-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ოდნენ, რომ გაქცევა მოეხერხებინათ, მაგრამ ზღვაში გასვლა თეთრების დროსაც აკრძალული იყო. ამგვარად, ოდესა თავისებურ საგანძურად იქცა. წითლებს სწორედ ეს საგანძური აინტერესებდათ და არა, ვთქვათ, რომანოვების ბრილიანტების კოლექცია, რომელიც თავის ადგილზე საიმედოდ იყო დაცული.

რეზო გოშხოთელსა და გრიგოლ ჩივაძეს მანდატები ჰქონდათ, მაგრამ ოდესას სამ დღეში უნდა გასცლოდნენ. მორიგი შემოწმებისას მათი საბუთები, ადვილი შესაძლებელია, ან მხედველობაში არავის მიეღო, ან სიყალბედ მიეჩნიათ და რევკომის მორიგ განკარგულებას იქნება ჩეკაში იმავე კედელთან მიეყვანა, არა მარტო გოშხოთელი და ჩივაძე, არამედ, სართად, ლადო ალექსი-მესხიშვილიც. ერთი სიტყვით, მოქმედება იყო საჭირო.

მოითათბირეს. უპირველეს ყოვლისა, უნდა გამორკვეულიყო, ისევ არსებობდა თუ არა ჯერ კიდევ ჩეკაში მიყვანამდე შეგულებული, თითქმის შეძენილი იახტა. თუ არა - გრიგოლ ჩივაძეს უნდა მიეგნო სადმე რაიმე მცურავი საშუალებისთვის. მას საკმაოდ ფართო ნაცნობობა ჰქონდა ოდესის საქმიან წრეებში და სხვადასხვა ჯურის ბოროტმოქმედთა შორისაც. უნდა აღმოჩენილიყო რაიმე საყიდი, მოსაპარი ან მოსატაცებელი გამოსადეგი ხომალდი. გრიგოლი და რეზო ამას ადვილად შესძლებდნენ - საამისოდ არც გამოცდილება აკლდათ და არც გამბედაობა.

იღბალმა ქვიშაში წასული წყალივით იცის გაპარვა და ნიაღვარივით მოვარდნაც. ბაისაგოლოვის იახტა გაუყიდავი, ადგილზე და საღ-სალამათი დაუხვდათ. იახტა კარგა მოზრდილი იყო, პატარა კაიუტ-კომპანიაც კი ჰქონდა. იალქნებითაც მოძრაობდა, ძრავითაც.

დიდი ვაჭრობა არ დასჭირებიათ, მაგრამ ნასყიდობის შემდეგ ფული აღარაფერი შერჩათ. გარიგება მტკიცე პირობას შეიცავდა - იახტის გასვლა საგანგებო საიდუმლოებად დარჩებოდა. გასვლა ღამის ოთხი საათისთვის დაინიშნა. უფრო ადრე ზღვაში გაპარვა შეუძლებელი იყო, წითლებმა ადრე დაპყრობილი ნავსადგურებიდან მთელი ფლოტილია მოიყვანეს, სანაპიროს გასწვრივ მკაცრი პატრულირება ხორციელდებოდა.

გრიგოლ ჩივაძე იახტაზე დარჩა, გასვლისწინა სამზადისს შეუდგა. რეზო, უბეში რევკომის მანდატით, ბატონი ლადოს მოსაყ-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ვანად გაემართა. იქ მოულოდნელი რამ დახვდა - ხანში შესულ მსახიობს ლოდინისა და მღელვარების გამო გულის შეტევა დამართოდა, თითქმის სიკვდილის პირას იყო. მისი მდგომარეობის იმდენად გამოკეთებას, რომ სიარული შესძლებოდა, ექიმმა კარგა ხანი მოანდომა. სანამ იახტამდე მიაღწიეს, ბატონ ლადოს გული ისევ ასტკივდა. ახლა ექიმ ბაისაგოლოვს მოუხდა მისი გადარჩენა... ეგაც არაფერი: იახტის საყუდარ ბაქანზე თოთხმეტი თუ თხუთმეტი ადამიანი იჯდა-ქალი და კაცი, მოხუცი თუ ბავშვი - თავისი „მცირე ხელბარგით", რაც მოცულობით თვით იახტისაზე მეტი თუ არა, ნაკლები ნამდვილად არ იქნებოდა... ატეხეს მუდარა, ტირილი, ფულების ფრიალი, მუქარაც კი. ბაისაგოლოვი შავი ფიცით იფიცებოდა, - კრინტი არ დამიძრავს, ეს ამბავი რანაირად გაიგეს, წარმოდგენა არა მაქვსო. აღმოჩნდა, რომ ესენი ახლომახლო სოფლებსა და დაბებში მიმალული ბობოლები ან უკვე ემიგრირებულთა ოჯახის წევრები იყვნენ. ამ ხალხის დატოვება ნამდვილად არ ივარგებდა, რადგან გამთენიისას ჩამოვლილი სანაპირო ყარაული იახტის გასვლას ამათგან უეჭველად შეიტყობდა, კატერს დაადევნებდნენ და სამივეს ზღვაშივე დახვრეტდნენ. წაყვანა გადაწყდა, მაგრამ გოშხოთელმა პირობა წაუყენა - მხოლოდ თითო ნაჭერი ხელბარგი! ალიაქოთი ატყდა და მერე როგორი! ერთმა ახალგაზრდა ქალმა რეზოს რევოლვერიც კი მიუშვირა! ქართველებს არავითარი იარაღი არ გააჩნდათ, რევოლვერის დანახვა რეზოს ნაჩუქარივით გაუხარდა... დანახვა და წართმევა ერთი იყო, გოშხოთელს ასეთები ფრიად ეხერხებოდა. ამ მანიპულაციამ მომავალი მგზავრების წინააღმდეგობა ჩააცხრო, ბარგი გადალაგ-გადმოლაგდა, ზოგი რამ გადაიყარა, ხალხი კაიუტ-კომპანიაში ჩაიხვეტა. ბაისაგოლოვმა რეზოს დამშვიდობებისას უთხრა, - გაყვანაში ფული გამოართვით, მაგათ სიმდიდრეს არაფერი მოაკლდებაო. რეზოს მიუგია, - კაცის სიცოცხლეში ფული რომ ავიღო, იახტა ჩაიძირება ან სხვა ისეთი რამ დაგვემართება, რომ სამშვიდობოს ვერც ერთი ვერ გავაღწევთო!..

ძრავის ჩართვა არ შეიძლებოდა, მისი კაკანი ყურადღებას მიიპყრობდა, აფრებით დაიძრნენ. ქარი ზურგისა ჰქონდათ, ზღვა შედარებით წყნარი იყო. ნაპირს გაშორდნენ, კურსი სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ აიღეს.

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

საჭევართან პირველი ორი საათის მანძილზე ჩივაძე იდგა. რეზო კაიუტ-კომპანიაში იყო, დროდადრო ბაქანზე ადიოდა. გადატვირთული იახტა ძლივს მიღოღავდა. მალე ქარი კი არ ჩადგა - ჩაკვდა, იალქნებმა უმწეოდ ჩამოყარეს ყურები. ძრავი ჩართეს და ასე, ღოღვა-ღოღვით, ნაპირს მაინც იმდენად დაშორდნენ, რომ გარიჟრაჟზე მრუმე სივრცის გარდა აღარაფერი ჩანდა. ცა მოღუშული იყო და ღელვას რომ ემატა, იახტა სამ, ოთხბალიან შტორმსაც კი ვერ გაუძლებდა, ნაწილებად დაიშლებოდა. მდევრის გამოჩენის საფრთხეც სრულიად რეალური იყო და ამ რეალობას არც დაუგვიანია.

ეს ასე მოხდა:

რეზო და საკმაოდ გამოკეთებული ბატონი ლადო კაიუტ-კომპანიაში დაუპატიჟებელ თანამგზავრებს ესაუბრებოდნენ, უკეთ ვთქვათ, ამხნევებდნენ, რადგან უპირველესი და ერთადერთი სალაპარაკო ის იყო, გააღწევდნენ თუ ვერა საქართველოს ნაპირებამდე. ბაქნიდან კაიუტ-კომპანიაში ჩამოსასვლელი კარის ზღურბლზე გრიგოლი გამოჩნდა, - რეზო, ერთი წუთით ამოდიო. რეზო ავიდა, გრიგოლმა ჩრდილო-დასავლეთისკენ მიახედა. რაღაც ხომალდი, ეჭვს გარეშე, იახტის კურსით მოძრაობდა! კარგა ხანს უყურეს. მოახლოვდა. მცირე სამხედრო კატარღას ჰგავდა. გასაგონზე რომ მოაწია, ტყვიამფრქვევმა დაიკაკანა - გაჩერების ბრძანება! კაიუტ-კომპანიიდან ვილაცები ამოცვივდნენ. გოშხოთელმა დაუტია, - ჩაბრუნდითო! მგზავრები დამორჩილდნენ. ჩასვლა იყო საჭირო, ხალხის დამშვიდება, რომ პანიკა არ ატეხილიყო. რეზო ჩავიდა, ვითარების გაშუქების მოლოდინში ყველა გაინაბა. ბატონმა ლადომ ქართულად სთქვა, შენ რომ სასროლი წაართვი, იმ ქალმა სავარძლის საზურგეზე ხავერდი ჯაყვა-დანით გაჭრა, ხელჩანთიდან სხვა, უფრო დიდი სასროლი ამოიღო და იმ განაჭერში ჩამალაო. რეზომ ამ ცნობაზე რეაგირება ვერც კი მოასწრო, ტყვიამფრქვევის კიდევ ერთი ჯერი გაისმა.

— *Сидеть! Никакой паники!* - დაიძახა გოშხოთელმა, დარწმუნდა, რომ ბრძანებამ გაჭრა და ბაქანზე ავიდა.

იახტას სამხედრო კატარღა მოსდევდა, ბაქანზე სტაციონარული, მსხვილკალიბრიანი ტყვიამფრქვევი ჰქონდა. კატარღა

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მოვიდა, იახტის ბაქანს ბაქნით მოადგა. ტყვიამფრქვევი, როგორც იტყვიან, ხელის ჩამორთმევაზე აბრიალებდა ლულას. სამნი იყვნენ - მეტყვიამფრქვევე, ერთი მეზღვაური, ალბათ, შკიპერი, და ერთიც — წითელი ჯარის სახმელეთო მეთაური. შკიპერი და მეთაური იახტაზე გადმოვიდნენ, პირი პირს იყო, ტრაპი არ დასჭირებიათ. იახტის პატრონი იკითხეს. გოშხოთელმა, - მე გახლავართო, და მანდატი წარუდგინა. მეთაურმა წაიკითხა, - ყალბიაო, სთქვა, დახია და წყალში გადაყარა. გოშხოთელმა ახსნა-განმარტება მოსთხოვა. მეთაურმა განუცხადა, - იახტა ეკიპაჟიან-მგზავრებიანად არის დაპატიმრებული, დანარჩენს ოდესაში აგიხსნიან, ხომალდი უნდა გავჩხრიკოთ, იარეთო! - მეთაურმა თითი კაიუტ-კომპანიაში ჩასასვლელ კარს მიაშვირა. ფეხზე შეყენებული ნაგანები ეჭირათ. რეზოს შიში ჰქონდა, იმ აშარი ქალისთვის წართმეული პატარა პისტოლეტი ჩხრეკის დროს არ აღმოეჩინათ, გადამწყვეტ მომენტში ხელცარიელი არ დარჩენილიყო, მაგრამ, როგორღაც მოხდა, არ გაჩხრიკეს.

მეთაურმა მეტყვიამფრქვევეს გასძახა, - მბგას თვალი არ მოაშოროო, - გრიგოლს გულისხმობდა, და გოშხოთელს განმეორებით უბრძანა, - იარე, ჩაგვიძეხიო! რეზო, რატომღაც, შეყოვნდა... მომხდურებმა ისეთი იარაღის ტრიალი, ყვირილი და მუქარა ასტეხეს, რომ ეჭვი შეეპარა, - ესენი მძარცველებს უფრო ჰგვანან, ვიდრე სამხედრო მოსამსახურეებსო. კაიუტ-კომპანიის კარი უკვე შეღებული იყო, როცა გრიგოლმაც მოაძახა, - შაები არიანო!.

— *Не гавкать!* — დაიყვირა შკიპერმა. — *Говорить только на человеческом языке!*

წითელი არმია, მოგეხსენებათ, ინტერნაციონალისტური ლოზუნგებით იბრძოდა. ეს ფრაზა მისი ენა არ იყო. თითქმის ცხადი გახდა, მძარცველებთან ჰქონდათ საქმე და არა კანონიერ, ოპერაციის ჩასატარებლად მოვლინებულ პირებთან. საქმე ის არის, რომ იმხანად ოდესაში და მის შემოგარენში - უკვე ვთქვი, ერთობ მნიშვნელოვანი ფასეულობები დაგროვდა. თეთრებსაცა და წითლებსაც ხაზინა ცარიელი ჰქონდათ და ჯიბეც; ორივე მხარე ერთნაირი აზარტით ნადირობდა ბობოლების მილიონებზე. სადაც ფული და სიმდიდრეა, იქ თავისთავად და

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

დაბარებულივით ჩნდებიან მძარცველები, ქურდები, გამომძალველები და ნაირ-ნაირი ჯურის პარაზიტები. მაშინდელ ოდესაშიც ასე იყო, ეს საქმე - არც მეტი, არც ნაკლები - სარეწავად იქცა. თუ ნაპირზევე ვერ მოახერხებდნენ, ზღვაში გასვლას დაიცდიდნენ, დაეწეოდნენ, გაძარცვავდნენ, დახოცავდნენ, ხომალდს ჩასძირავდნენ. ზღვაში გასულების ძარცვა უფრო სარფიან საქმედ ითვლებოდა. ერთი იმიტომ, რომ კვალი ისპობოდა, მეორე - ნაპირზე სხვადასხვა ადგილზე გაბნეული სიმდიდრე ხომალდზე ერთად იყრიდა თავს, მაგრამ ამას ერთი სირთულეც ახლდა - კატარღა, სახელდობრ, სწრაფმავალი სამხედრო კატარღა და არა ხელს მოყოლილი პირველივე მცურავი კუბო - გამოდევნება-დაწევაც შესაძლებელი რომ ყოფილიყო და, წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში, საძარცვი ობიექტის დაშოშმინებაც - ისეთი. საამისოდ მძარცველებს - ჯერ თეთრებისა და შემდეგ წითლების - სასაზღვრო-სანაპირო სამსახურისა თუ სამხედრო ფლოტის უფლებამოსილ პირებთან ჰქონდათ კავშირი, მათი შემწეობით სარგებლობდნენ და ნაძარცვის გვარიან წილსაც უხდიდნენ. მძარცველებს, ცხადია, თავისი ინფორმატორები, ეგრეთ წოდებული, „საქმის მომცემები" ჰყავდათ. დამნაშავეთა სამყაროში ეს ცალკე ფენაა: რომელიმე ასეთმა, ალბათ, ბაისაგოლოვის ნავსაბმელთან შექუჩებული ხალხი დაინახა, მძარცველებს აცნობა და... გაიჩარხა საქმე: გოშხოთელმა, კაიუტ-კომპანიის კიბეზე რომ ჩადიოდა, უკვე იცოდა, ვინ ვინ იყო: მეტყვიამფრქვევე და სამხედრო პირი მძარცველები იყვნენ. შკიპერი, მართლაც, ამ კატარღის შკიპერი გახლდათ, თავისი უფროსის მიერ კატარღის დამბრუნებლად და „ცენზორად" გამოყოლებული, რომ ნაძარცვიდან სწორი წილი მიეღო.

ყველაფერი ცხადი იყო, მაგრამ კატარღის ტყვიამფრქვევსა და მძარცველების ნაგანებს როგორ უნდა მოვლოდა? აქტიური მოქმედება! სახელდობრ?..

კაიუტ-კომპანია მცირე იყო. მეკობრეებმა მგზავრები კუთხეში მიყუჟეს, გამოაცხადეს, - ვისაც იარაღი აქვს და ახლავე არ ჩააბარებს, ადგილზე დაიხვრიტებაო, და ჩხრეკას მიჰყვეს ხელი. იარაღი არავის ჩაუბარებია და არც აღმოსჩენია.

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ერთი საოცრება მოხდა - გოშხოთელი არც ახლა გაჩხრიკეს! რეზო ამბობდა, - აქამდე მიკვირს, როგორ გამორჩათო.

პირად ჩხრეკას მორჩნენ, ვიღაცების ორი დიდი ჩემოდანი იატაკზე გადმოაპირქვავეს, თუ რამ იქ სამკაული, ფული, ბეწვეული ნახეს, შიგვე ჩააბრუნეს და ახლა სხვა ბარგს მისდგნენ. ნახევარი საათიც არ იყო გასული, ის ჩემოდნები პირთამდე გაიტენა. მესამე წამოაპირქვავეს. ამოდენა სიმდიდრეში ხელის ფათურმა მეკობრეებს სიხარბის ოფლი დაადინა, დაბნეულებიც კი ჩანდნენ.

ეს ამბავია, რეზოს ვიღაცამ ხელი მიუთათუნა. მიიხედა. ის ქალი იყო, ვისაც გოშხოთელმა პატარა რევოლვერი წაართვა... ქალს მეორე, ვეება სმიტვესონი ეჭირა!.. აქ ძია რეზო ამბობდა ხოლმე, - გულში გამეცინა, ამ დედაკაცს თან მთელი არსენალი ჰქონია წამოღებული-მეთქი... ბატონმა ლადომ რეზოს ქართულად რომ უთხრა, - დედაკაცმა სავარძლის საზურგეში რაღაც ჩამალაო, სწორედ ეს სმიტვესონი იყო. გოშხოთელმა იარაღი გამოართვა. მძარცველებს არაფერი შეუმჩნევიათ, რეზოს წინ მგზავრები იდგნენ, რევოლვერი მათ ზურგს ჰქონდა ამოფარებული, ხელსაყრელ მომენტს ელოდა... რეზო აქაც ჩაურთავდა ხოლმე, - ისევ გამეცინა და, იცით რატომ? მოქმედებას, მაინცადამაინც, სმიტვესონი სჭირდებოდა? პატარა ბრაუნინგი, ჯიბეში რომ მედო, კაცს ვერ მოჰკლავდა თუ როგორა? ფსიქოლოგიური კვანძია: ისინი ორნი იყვნენ, დიდ-დიდი ნაგანები ეჭირათ, მე - პატარა ბრაუნინგი, მარტო ვიყავი და თავი უმწეოდ მიმაჩნდა. დიდმა რევოლვერმა მომცა გული. იმიტომ გამეცინა, რომ ვითარებაში პატარა ბიჭივით გავები.

ერთი სიტყვით, გოშხოთელი მგზავრებში იდგა, ვითარებას აკვირდებოდა. მეთაურს თავისი ნაგანი კუთხეში მიყუჟულ ხალხზე ჰქონდა მოშვერილი, მიმინოს თვალებს აბრიალებდა, - ხომ არავინ რასმე აპირებსო. მეორე ჩხრეკდა, აფოფინებული იყო, ქვეყანაზე არავისი და არაფერი ესაქმებოდა. რეზოს შეეძლო, იარაღი ორ მგზავრს შორის გაეყო, დაუმიზნებლად, ალღოთი ესროლა. საკუთარი იარაღიდან ათში ერთის მეტს არ დააცდენდა, ჩუბინი თვალი ჰქონდა, მაგრამ სმიტვესონი სხვისი იყო, ერთმა ღმერთმა იცოდა, როგორ მიჰქონდა. ალბათ, ეს ფი-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ქრიც აყოვნებდა. ისიც უნდა ითქვას, რომ ღელვა იახტას ატო-
რტმანებდა. ფიქრისა და აწონ-დაწონის დროც აღარ იყო, მძარ-
ცველები პროცედურას ამთავრებდნენ...

ტყვიამფრქვევმა დაიკაკანა...

ეს იმდენად მოულოდნელი იყო, რომ ყველა დაიბნა - მეთაუ-
რმაც, მჩხრეკავმაც და თვით გოშხოთელმაც ბაქანზე ამავალ
კარს ააპყრეს თვალი. ისევ სიჩუმე ჩამოვარდა და ყველა თავის
საქმეს მიუბრუნდა - მჩხრეკავმა ჩხრეკა განაგრძო, მეთაურმა
თვალთვალი განაახლა, რეზომ - ფიქრი, და ტყვიამფრქვევმა კვ-
ლავ დაიკაკანა. მეთაურმა პირი იბრუნა, კიბისკენ დაიძრა. მჩხ-
რეკავმა თავის უფროსს წამით თვალი გააყოლა, გოშხოთელმა
რევოლვერი გაყო, ფეხს გამოჰკრა... მეთაურს ნაგანი დაუვარ-
და, შემოტრიალდა, იატაკზე დაენარცხა...

მჩხრეკავმა რევოლვრისკენ წაიღო ხელი...

– *Руки вверх, мерзавец!* – შეუყვირა რეზომ, ჭერს ორი
ტყვია მიახალა, მჩხრეკავს ეცა, იარაღი აჰყარა და მშვიდად უთ-
ხრა: – *Тебе сказано, свинья, руки!..*

მეთაურის ნაგანმა, რატომღაც, ეხლაღა ჩამოიარა კიბე რახ-
არუხით და ბოლო საფეხურს დააცივდა.

მჩხრეკავმა უხალისოდ აიშვირა ხელები.

– *Следуй наверх!* – უბრძანა რეზომ.

კიბე აიარეს. მჩხრეკავი ბაქანზე გავიდა, ხელები ჩამოუშვა.

– *Цыц, цыц!!!* – მოისმა გარედან. – *Вверх, вверх руки!*

– გამოდი, რეზო, მე ვარ, გრიშა ვარ!

გოშხოთელი ბაქანზე გავიდა, კატარღას გაჰხედა.

ტყვიამფრქვევთან გრიგოლი იდგა, წეკოს აბოლებდა.

რეზომ მჩხრეკავს პირქვე დამხობა უბრძანა, კაიუტ-კომპან-
იას ჩასძახა, - ვინმე ამოვიდესო, და რეზოს ჰკითხა:

- მანდ როგორა... ჰა?..

- გმადლობთ, არა მიჭირს!..

რევოლვრების პატრონმა ქალმა წინდები ამოიტანა, პირქვე
მწოლიარე ყაჩაღს ხელები საიმედოდ გაუკოჭა და დოინჯი შემ-
ოიყარა... რეზოს ვერაფერი გაეგო, მაინც როგორ აღმოჩნდა გრ-
იგოლი ტყვიამფრქვევთან. იდგა, ფიქრობდა. ვერაფერს მიაგნო,
ხელი ჩაიქნია და ჰკითხა:

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

- მაინც როგორა, ჰა?..

გრიგოლ ჩივაძე ზღვაზე რუსი მეზღვაურის ტანსაცმელს ხვ-ა-რობდა. მეტყვიამფრქვევემ იგი პროფესიულ მატროსად ჩათვ-ალა და, როგორც სჩანს, მისგან ავს არაფერს მოელოდა, დაქი-რავებულ, ნეიტრალურ პირად მიიჩნია. გრიგოლი მომხდურთან კონტაქტს ეძებდა, გადაელაპარაკა და პასუხიც მიიღო. მერე მე-ტყვიამფრქვევემ წეკო გააბოლა. გრიგოლმა, - მომაწევინე, გა-მითავდაო...

- ბანაობს, - აცნობა გრიგოლმა და წყალში ჩაიხედა...

კატარღაზე რაც საწვავი აღმოჩნდა, იახტაზე გადმოიტანეს, ძრავაშიც კი არაფერი ჩაუტოვებიათ. ხელფეხგაკოჭილი მეკო-ბრე გადასვეს. ტყვიამფრქვევის საკეტი ზღვაში ჩაუშვეს და გზ-ას გაუდგნენ. კაიუტ-კომპანიაში ბატონი ლადო ალექსი-მესხი-შვილი ნაძარცვის დაბრუნებას შეუდგა. ამას იგი ბრძნულად აკ-ეთებდა: აიღებდა ხელში, ვთქვათ, რაიმე სამკაულს, მაღლა ას-წევდა, ყველას დაანახვებდა. ვინმე იტყოდა, - ჩემიაო! ბატონი ლადო ცოტა ხანს დააყოვნებდა და თუ სხვა პრეტენდენტი არა-ვინ გამოჩნდებოდა, პატრონს უბრუნებდა. სადავო საგანიც კარ-გა ბლომად იყო. ამაებს ბატონი ლადო ცალკე ალაგებდა...

ხუთი დღე-ღამის მანძილზე ათრია ზღვამ იახტა. სამი დღე შტორმი იყო. იახტა ნაფოტებად რომ არ დაიშალა, ასე ღმერთ-მა ინება.

ბათუმში ვახშმად ისხდნენ. გრიგოლმა სთქვა, - იმ მამაძაღ-ლისთვის ხელ-ფეხი უნდა შემეხსნა, ვინ იცის, რა დაემართაო? - კატარღაზე დატოვებულ მეკობრეს გულისხმობდა.

ბატონმა ლადო ალექსი-მესხიშვილმა თბილისს თებერვლის ბოლოს ჩამოაღწია. მაინცადამაინც, ჯანმრთელი არასოდეს ყოფილა. მოსკოვიდან ოდესის მისადგომებამდე განცდებით აღ-სავსე, უძნელესმა მგზავრობამ მისი ჯანმრთელობა საფუძვლი-ანად შეარყია. ამას ოდესიდან ბათუმამდე ცურვის დიდი განსა-ცდელი დაერთო და იმავე, ათას ცხრაას ოცი წლის ნოემბერში აღესრულა დიდი მსახიობი და თეატრალური მოღვაწე, ქართვ-ელთა ეროვნული სიამაყე ლადო ალექსი-მესხიშვილი.

ნათელი მის მარადის სიცოცხლეს!

ამინ!..

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

გორამ კვალი ორი დღის წინ დაკარგა - თოვლი მოვიდა, ფეხის ნადგამი აღარ ჩანდა. ინათლა თუ არა, კარავი აიღო, წაფრატუნდა. ინტუიციით მიდიოდა, მაგრამ წინასწარ დასახული გეზით. მალე ქოხი დაინახა. ჰალუცინაცია ეგონა: მოზრდილი იყო, ფერდობზე წამოჭიმული. წინ ველობი ჰქონდა, საკვამურზე ბოლის ხუჭუჭა სვეტი ედგა.

თავბრუ დაეხვა, ხეს მიეყუდა, სული მოითქვა. ცოტა კიდევ გაიარა, ბექობი იპოვნა, კოლა დააბინავა, თვალთვალისთვის მოხერხებულ ადგილზე მოიკალათა. წვიეები ისევ უბჟუოდა. ამას გორა, გულის გასამაგრებლად, კუნთების განტვირთვის პროცესს უწოდებდა.

ცა მოკრიალებული იყო. სექსტანტი მოიმარჯვა, ადგილმდებარეობის გაგნებას შეუდგა. რუკისა და გრძედ-განედის თანახმად, ეს ფილიპოვების მიერ რუკაზე აღნიშნული მეორე, ანუ ექვსვაზნიანი ქოხი უნდა ყოფილიყო. რახან ღუმელი ენთო - მონადირე ქოხში იყო, გორა მის წასვლას უნდა დალოდებოდა.

კვამლი, როგორც იყო, ჩაცხრა. გორას იმედი მოეცა, გამოვა, სანადიროდ გასწევსო, მაგრამ კვამლი ისევ ამოგურგურდა.

გადაიფიქრა, აღარ მიდის? .. ეგ თუ წამსვლელია, რატომღა შეუკეთა? დილამდე აღარსად წავა, აქ უნდა გავათენო... ლოდინი, გორავ, რამდენი ხანიც უნდა დაგჭირდეს!.. მოიცა, მოიცა, შემეშალა რამე? მერამდენე დღეა, რაც მოვდივარ?.. დასწყევლოს ღმერთმა, გონება აღარ მემორჩილება. კალენდარი უბეში უნდა მქონდეს. სამი იანვარია, წამოსვლიდან სამოცდაათი დღეა. რამდენი ვიარე?.. ეს ქოხია, წყალი არ გაუვა... ჯანი აღარ მომდევს, დღეში, საშუალოდ, ხუთ კილომეტრზე მეტს ველარ ეიელი... მარტის ნახევარში ხაბიბულას ქოხში უნდა ვიყო... რა მრჩება? სამოცდაცამეტი დღე!.. ავად თუ არ გავხდი... ხაბიბულას თავის საბოსტნე ქოხში ვინმე დააბამს, თუ როგორა? სიტყვა სიტყვაა, მარტის ნახევარში!..

გორა მყუდროდ მოეწყო. ძილი მოერია, მიიძინა. როცა გამოიღვიძა, საკვამური ისევ ბოლავდა.

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

შემცივნია. კი არ შემიბრუნოს?!. მაღალი სიცხე მქონდა!.. შეზღუდულმა ულუფამაც თავისი ჰქნა. ბოლო დროს აზრიც მეფანტება, დაუძლურების ბრალია... ეეე, კედრის მარცვლის საძოვარზე რომ ვიდექით, თოფის ხმა ხომ გავიგონეთ? ის მონადირეა?.. მერე უფრო შორიდანაც ისმოდა, კანტიკუნტად... ციყვის გუნდს თუ მისდევდა. ზოოლოგიაში ხარვეზები მაქვს. საიდანღაც კი ვიცი, ციყვებმა გუნდებად იციან კედრის უხვმოსავლიანი ადგილებისკენ მოგზაურობაო... აი, მოლოდეჩნოს ციხეში ლუჩინსკი,[92] თავს ნადირობათმცოდნედ რომ ასაღებდა, რამე წიგნი ექნებოდა წაკითხული და ის რაღაცები იქიდან იცოდა... არაფერი „მცოდნე" არ იყო. აკი შემოგითვალეს, - ლოთობაში იხულიგნა, მიუსაჯეს, მანდ კრუხად უზით, ფრთხილად იყავიო!.. ეაჰ! იქვე როგორ ვერ მივხვდი, რახან ვინმე ნადირობს, ახლომახლო ქოხიც უნდა ჰქონდეს! ასეა თუ ისეა, ეს ქოხი ღმრთის „მოკრძალებული ძღვენია", „როგორც ყოველთვის, უკიდურეს გასაჭირში მორთმეული, იმ დიდი ზუთხისა არ იყოს. სხვაგან რამდენჯერ ვითეჭზავე, ერთი ღორჯოც კი ვერ ამოვიყვანე... გორა მბორგალო, მოთმინება და ლოდინი!.. ქოხის პატრონი სანადიროდ რომ გავა, უნდა აუცილებლად შევნიშნო, გასაღებს სად შეინახავს. შეიძლება, სულაც არა ჰკეტავს, აქაურობაში ბოქლომი რაღა საჭიროა? ძველი ქოხია, დამპალი ძელურია... ჰმ, ეს ჭოგრიტი რვაას გრამს იწონის, გადაგდება მინდოდა... რა სავალდებულოა, მიშა ფილიპოვს ამხელა ტაიგაში თუ ქოხი სადმეა, ყველა სცოდნოდა?.. ჰო, შევალ. მანდ უეჭველად იქნება პური ან ფქვილი. გამოვაცხობ... ეეე, გორავ, გორავ! ესა ვარ, ისა ვარო. შიმშილში საჭმელზე ლაპარაკი და, თუნდაც, ფიქრი შეიძლება? გახსოვს, ორთაჭალის განმანაწილებელ ციხეში - ოთხას ორმოცდაათი დამშეული პატიმარი ერთ საკანში? მესამედი - ალიმენტარული დისტროფიკი! იატაკზე „რკინის რიგი" და საკნის მამასახლისი - ჟორა იშხნელი. მოჰკრავდა ყურს საჭმელზე ლაპარაკს, წამოუხტებოდა კეტით, ხმა გაიკმინდეთო!.. მერე რა? ხმით აღარავინ ლაპარაკობდა, მაგრამ ფიქრად მაინც პური ჰქონდათ - პური, პური, პური! ამაო იყო ჟორას მოღვაწეობა. საცოდავი მიხა მარსაგიშვილი. შინაგან ციხეში, გამოძიების დამთავრების შემდეგ, მის ნათესავებს პროდუქტების გადმოცემის

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

უფლება დართეს. მამის ძმამ - დარბაისელმა მოხუცმა, არსენ მარსაგიშვილმა, ამანათი შემოუგზავნა. მიხამ პურის ნაჭერს ხელი მოუჭირა, ლამის წვენი გაადინა და ბოღმითა სთქვა, - ეეჰ, შენი ფასი არ ვიცოდიო!.. ხელისგულზე ედო, დასცქეროდა... არის შეურაცხყოფა სიტყვით, ჟესტით, საქციელით, წამებით და არის ყველაზე დახვეწილი, ყველაზე ცინიკური შეურაცხყოფა - შიმშილით!.. ნეტარ არს, ვისაც ეს არ გამოუცდია. ჭაბუკი ვიყავი, პურის ფასზე ამანღა დამაფიქრა, მიხა მარსაგიშვილის ნათქვამმა... კიდევ გაქვს იმდენი სულიერი ძალა, რომ პურის ხსენებისას ადამიანზე ფიქრი შეგიძლია?.. ჰო, პურს გამოვაცხობ, სულ ცოტას, ასე, ორმოცდაათ გრამს. ამას ოცდახუთი, ოცდაათი გრამი ფქვილი დასჭირდება, პატრონი ვერაფერს შეამჩნევს. არა, ფაფას მოვხარშავ, კბილები არ მივარგა. ბევრი არ შეიძლება, ცოტას შევჭამ. მეორე ისა, რომ ამ კაცს ჩემთვის არაფერი დაუშავებია, რას ვერჩი. არადა, თუ მომიხელთა, რას იზამს? მომკლავს და იტყვის, თავდაცვის ფარგლებში ვმოქმედებდიო, თუ, ნადირობას თავს მიანებებს, რა ვიცი, რამდენ ასეულ კილომეტრს თოფქვეშ მატარებს, რომ „სადაც ჯერ არს", ჩამაბაროს?.. მარბენლები ადგილობრივ მოსახლეობას სძულს... სამხრეთშია ეგრე, ამათ მარბენლებისა არა იციან რა, აქ მარბენალს რა უნდა... სიმართლე მოსახლეობის მხარეზეა. ზოგს აუხირებია, ყოველ დაჭერილ და ჩაბარებულ გაქცეულში ხელისუფლება ორ ფუთ ფქვილსა და რაღამდენღაც სპირტს იძლევაო. ერთი, რომ ეგ რევოლუციამდე და რევოლუციის შემდეგ ოციანი წლების მიწურულამდე იყო. მეორე ის, რომ გასამრჯელოს რაოდენობრივი მხარე ეჭვს იწვევს: ჩეკისტების ხელისუფლება ასეთ სიმდიდრეს გაიმეტებს?.. მარბენლების ბრალია, ბაცაცების, მოძალადეების, მძარცველებისა და მკვლელების რეპუტაცია აქვთ და არცთუ უსაფუძვლოდ. ისეთი მაგალითიც ვიცი, ადგილობრივს მარბენალი მიუღია, დაუპურებია, ერთხანს შეუნახავს კიდეც, მერე გაქცეული სხვაგან დაუჭერიათ, შემნახავი გაუთქვამს და, არც მეტი, არც ნაკლები - შემნახავს ოცდახუთი წელი!.. ჰო, კარგი, გეყო. კიდევ რა უნდა გააკეთო?.. წყალს გავაცხელებ, ვიბანავებ. აგერ, მშვენიერი ციმბირული აბანო. ორი, სამი კოლოფი ასანთიც საჭიროა. ზოგი რამ სხვაც მერე დადგი-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ნდება. მონადირეს დიდი არაფერი ხიანი მოუკა, ისე არ მოვიქცეო, რომ საკრძნობლად ვახარალო... ვითომ ვინმე მონადირე იყო, შეექცა ცოტაოდენს და წავიდა!.. ქოხის პატრონი, სულ ერთია, ყველაფერს მიხვდება, და მიტილენიჩი თავის რუკაზე ახალ დრიშაკს დაარჭობს... დაარჭოს!.. ე! ეს ვიღაა?!. ორნი ყოფილან, კაცო!..

ფერდი იყო. კაცმა ამოიარა, ტყეს გამოსცდა, ველობზე გამოვიდა, ქოხს გახედა. ერთხანს უყურა, ისევ ტყეში შებრუნდა, დიდ ხეს ამოეფარა და ქოხს თვალთვალი დაუწყო. გორამ ჭოგრიტი მოიმარჯვა. ისეთი არაფერი - თოფი, პატრონტაში, აბგა, ნანადირევი და გაფაციცებული, დაძაბული იერი...

რატომ დაიმალა?!. დაიმალაო! შენ იმაზე იფიქრე, ეგ კაცი რაზე უნდა ნადირობდეს?!. კაცო, რაზეც უნდა, იმაზე ინადიროს. ციყვზე, თუ არ ვცდები, თხუთმეტ მარტამდე შეიძლება. ჩემისთანებზე - ყოველთვის... შენ ეგა სთქვი!.. არა, რატომ დაიმალა? კვამლი დაინახა და იმიტომ? ესე იგი, მაგის აზრით, ქოხში არავინ უნდა იყოს? მაშინ ქოხი ამისია! შიგ ვიღა არის? თუ ქოხი სხვისია და ეს მოსული კაცი ერთი მშვიდობიანი მონადირეა, ქოხის პატრონს რა მიზეზით უნდა დაემალოს? ჩემზე ნადირობს? მიტილენიჩ, მე რომ მეოთხმოცე მერიდიანს მოვყვები, შენ საიდან იცი, კოდელი ნინო[93] ხარ, თუ?.. ნახე, თოფი გადახსნა, ვაზნებსა სცვლის. ალბათ, ჟაკნები ჩადო... ეეე, აქ საქმე სხვანაირად არის, გორავ!.. წამოვიდა, წამოვიდა... გორა კარგარეთლის დასაჭერად მოდის?.. როგორ გეკადრებათ, ბატონებო... ჩავსულიყავი, რა ვქნა?.. იდიოტო, ბავშვობაში არ გასწავლეს, ცოლ-ქმრის საქმეში ნუ ჩაერევიო?..

მოსული, როგორც გორამ იფიქრა, სწორედ ისე მოიქცა - დაადო თავი და ქოხში დაუზვერავად, მაგრამ თოფშემართული შევიდა. რამდენიმე წამიც და, თოფის გავარდნა მოისმა. ამას უმალვე მეორე გასროლა მოჰყვა. გორა ადგილს მოსწყდა, ფერდო ჩაირბინა. ქოხს ერთადერთი პატარა სარკმელი ჰქონდა, იქიდან მიპარვა დააპირა, მაგრამ ისევ თავბრუ დაეხვა და უნებლიეთ

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თოვლზე დაეშვა. როცა თავბრუსხვევამ გაუარა, სარკმელთან მიხოხდა და გაინაბა. სინათლე ქოხში მხოლოდ ამ პატარა სარკმლიდან შედიოდა. გორამ იფიქრა, - რომ შევიხედო, იქაურობას დავაბნელებ, შიგ მყოფი უეჭველად გამოიხედავსო. განაბული იწვა, ვითარებაში გარკვევას ცდილობდა. თითქმის გადაწყვიტა, მაინც შევიხედავო, მაგრამ ამ დროს კარმა დაიჭრიალა და ხმა აღარაფრისა ისმოდა. ეტყობა, კაცი ზღურბლთან იდგა. სიჩუმე დიდხანს არ გაგრძელებულა, ფეხის ხმამ მოაწია, კაცი ქოხს სცილდებოდა. გორა კუთხემდე მიხოხდა, მიმავალს თვალი გააყოლა. მიდიოდა, წერაქვი და ნიჩაბი მიჰქონდა, მხარზე თოფი ეკიდა. ოციოდე ნაბიჯი გაიარა, დადგა, არემარეს გახედ-გამოხედა, თოფი ძირს დასდო და მიწის თხრას შეუდგა. გორამ უკან დაიხია, წამოდგა, სარკმელში შეიხედა და შეკრთა... ღია კარიდან სინათლე სცემდა, იატაკზე შიშველი გვამი ეგდო, პირქვე ემხო, ცხვირ-პირი სისხლის გუბეში ჰქონდა!..

გორამ ქოხს ზურგიდან შემოუარა, შეშის თაკარა იყო, ჩაჯდა, შეშებს შუა ღრიჭო მონახა, კაცს იქიდან დაუწყო ჭოგრიტით თვალთვალი. სთხრიდა. ქარი დროდადრო ქოხის ღია კარს აჯახუნებდა. კაცი ყოველ დაჯახუნებაზე ჩერდებოდა, ქოხსა და არემარეს ათვალიერებდა.

ამან მოჰკლა, ცხადია! მოსული მონადირეა მოკლული. ეს ქოხში იყო. ვინ არის?.. ხედავ, თავბრუ აღარ დაგეხვა!.. ნერვები მაქვს გადაძაბული, ორგანიზმის წინააღმდეგობის უნარმა იმატა. ჯარისკაცი ხანდახან რამდენიმე დღე-ღამე წელამდე წყალში დგას და სურდოც კი არ ემართება. შინ ორქარმა იქნება ფილტვის ანთებაც კი შეჰყაროს... ეგრეა... ბიჭო, ქოხში თოფია! ორი გასროლა იყო, თოფი ამასაც ჰქონდა. არა, მაინც რამხელა ტუტუცი ვარ!.. მოიცა, კაცო, რა დროის სინანული და საყვედურებია... შევიპარები და რომ შემოვა - ხელები მაღლა!.. არ ვარგა. შესვლისას თუ დამინახა - მესვრის. ვთქვათ, ვერ მომარტყა, შევასწარი. ის მეორე თოფი დაცლილი რომ აღმოჩნდეს?.. სანამ ვაზნებს ვიპოვნი, გავტენი, ეს მოირბენს, მესვრის და, როგორც ჩანს, არ დამაცდენს - ქოხის პატრონი ხომ ერთადერთი გასროლით მოჰკლა?! ეხლა დავუშვათ, ეგ უფრო ჭკვიანია, ვიდრე განხილ-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ულ შემთხვევაში ჩანს. მაშინ გაიქცევა, ჩამისაფრდება და, რა თქმა უნდა, გამაგორებს... სარკმელშიც ვერ შევეტევი, რომ ქოხში შეუმჩნევლად აღმოვჩნდე. ვაჰ! მაშ, აი, ასე ვიჯდე, ვუთვალთვალო და გავუშვა?! არა, რაღაც უნდა ვიღონოთ, გორავ!.. დავმშვიდდეთ! სამარესა სჭრის, გვამის დამალვა სურს. მთლად სულელი ყოფილა. გამომძიებლები მოვლენ, აქაურობას შეისწავლიან და სამარეს ვერ იპოვნიან?.. ააა, მაგას ერთხანს დარჩენა უდევს გულში, სუსტი ნერვები აქვს, გვამთან ერთ სადგომში ყოფნას ვერ იტანს... ეგრეა, კარგი მონაცემებია - უვარგისი ნერვები და, ამასთან, სულელიც!.. ერთ-ორ დღეს რომ მოვუდარაჯოთ, მოსასაქმებლად ხომ ივლის, თოფი მუდამ თან ექნება?.. ერთ-ორ დღესაო? ორი დღის მერე ერთიანად გამოფიტული ვიქნები. არა, ეხლავე უნდა ვიღონო რაიმე. მაშ, ასე: შევესწარი საგანგებო ვითარებას, მოკლულია ადამიანი და მკვლელიც სახეზეა. თავად მე? მე აუცილებლად მჭირდება ეს ქოხი და იქ არსებული ზოგი რამ. მკვლელი, დღეს თუ არა, ხვალ მაინც წავა... წავა და ჩვენი საქმე განაღდებულია, შეგვიძლია, რამდენიმე დღე დავრჩეთ, დავისვენოთ, მოვწესრიგდეთ, ძალა აღვიდგინოთ... არ ვარგა! ერთი იმიტომ, რომ ეს გარეწარი, რაც მე მჭირდება, საფიქრებელია, ყველაფერს თან წაიღებს. მეორე ისა, რომ წავიდეს და ახლა სხვა ვინმე მოჰკლას?.. ეგ ჰიპოთეზაა და არა საფუძვლიანი დასკვნა... ასეა თუ ისე, მაგის ხელიდან გაშვება არ შეიძლება!.. აი, სწორედ ეგ არის, რასაც შენში ავანტურიზმს უწოდებენ... მერე რა, ცუდია?.. ჰო, კარგი, შენს ხასიათში კორექტივების შეტანა რამდენადმე დაგვიანებულია... ეხლა, ვთქვათ, ეს ნაძირალა ხელში ჩავიგდე. რა უნდა ვუქნა? მართლწესრიგის დამცველი უახლოესი დაწესებულება აქედან რამდენიმე ასეული კილომეტრის მანძილზეა. თუნდ ყურის ძირში იყოს, მე მაგის იქ მიმყვანი ვარ? ამის დანახვა იქნება გაუხარდეთ კიდევაც, მაგრამ ჩემს იქ გამოცხადებაზე რომ მთლად გადაირევიან?.. ეგ მამაძაღლი რამეს ხომ არა გრძნობს, ქოხისკენ რა მალიმალ და დაჟინებით იცქირება!.. ალბათ, ეჭვობს, ცოცხალი ხომ არ გადამირჩა, კი არ გამოღოღდეს და მესროლოსო! განვაგრძოთ: ჩვენ, ამხანაგო, ადმინისტრაციულ ორგანოებთან რაიმე ხასიათის ურთიერთობა ხელს არ გვაძლევს, მაგრამ სახეზეა მკვლელი და ასეთ შე-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მთხვევაში სამოქმედო გეგმის დასახვაა საჭირო... შეხედე მაგ-
ას, ღრმადა სთხრის!.. დავიჭირო?.. ლანდილა ვარ. მკვლელი ჩე-
მთან შედარებით, ბაყბაყდევია. ამას გარდა, მე ეგ კაცი ხელფეხ-
შეკრული მჭირდება. ეს კი მხოლოდ მაშინ მოხერხდება, თუ გრ-
ძნობას ან მოძრაობის უნარს დავაკარგვინებ. ასე! აქ მარგილი ან
მსგავსი რამ არაფერია?..

თაკარასთან სხვადასხვა სიგრძის დაუხერხავი შეშა ეყარა. გორამ მეტრნახევრიანი კეტი შეარჩია, ნუჟრებიან-კაპებიანი ბოლო ჰქონდა, ძირში მკლავის სიმსხო იქნებოდა...

მკვლელმა ლაჯებამდე სიღრმის ორმო ამოიღო, თოფი გადა-
იკიდა, ქოხისკენ გამოსწია. გორამ ქოხს შემოუარა, სარკმელსა
და კუთხეს შორის კედელს აეკრო. მკვლელი ზღურბლზე ჩამო-
ჯდა, გააბოლა. ადგა, ზღურბლი გადაიარა. კარმა დაიჭრიალა,
თავისით მიიხურა. ერთხანს რაღაც ფაჩიფუჩი და ფეხის ხმა
იყო. მერე კარი ოდნავ გაიღო. გორა მიხვდა, მკვლელი გვამს
მოათრევდა, კარს უკანალით აწვებოდა. კიდევ გამოსწია, ცალი
ფეხი თოვლზე ჩამოდგა, მაგრამ ფეხი ღია კარის ფრთას გორას
დასანახზე არ გადმოსცდენია. მკვლელმა გვამი კიდევ ერთხელ
გამოსწია. ახლა ტანი ისევ კარს იქით ჰქონდა, მაგრამ მარცხე-
ნა ფეხი უკვე ბარძაყის ნახევრამდე გამოჩნდა. გორამ ნაბიჯი
წასდგა, კეტი მოიქნია, მუხლის სახსარში მთელი ძალით უწვ-
დინა და, სანამ მკვლელი დაყვირებას მოასწრებდა, ერთი დარ-
ტყმაც მარჯვენა მხარის ლავიწის ძვალზე გამოუვიდა - მკვლე-
ლმა თავის გადახრა მოასწრო. ყოველივე ეს სამიოდე წამში
მოხდა. მხოლოდ ამის შემდეგ დაიღრიალა მკვლელმა, ზურგის-
კენ გადაქანდა, თოვლზე ზღართანი მოადინა, გორას შეხედა და
ისევ დაიღრიალა. ღმერთმა იცის, რისა იყო ის დაღრიალებები -
ტკივილისა თუ მოულოდნელობის. გორა კედელზე მიყუდებულ
თოფს მისწვდა, კეტი მოისროლა, ბებუთი დაიძრო და მკვლელს
თვალი თვალში სჭიდა. ახალგაზრდა კაცი იყო. საღ ხელს უაზ-
როდ იქნევდა და ნადირივით ღმუოდა. გორამ თოკი შეიხსნა, მკ-
ვლელის ხელ-ფეხის გაკოჭვას შეუდგა.მკვლელი წინააღმდეგ-
ობას უწევდა, საღი ფეხითა და ხელით იგერიებდა. მაშინ გორამ
გადაგდებული კეტი მოიტანა, დაანახვა და ხმადაბლა უთხრა:

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

- დაწყნარდები, თუ ეგ ხელ-ფეხიც მიგამტვრიო?

მკვლელი იმწამსვე დაცხრა, მხოლოდ ბდღვინავდა. გორამ გაკოჭა, ცხედარი გამოახოხა, მკვლელს გვერდით მიუწვინა. თავად ზღურბლზე ჩამოჯდა, სული მოითქვა, ტყვე შეათვალიერა, მკვლელის თოფი წაიღო და ქოხში შევიდა.

ორი კარგად გამოტენილი ზურგჩანთა დაინახა, ზედ ციყვის ტყავების შეკვრა იდო. დაიხარა, ჩანთები მოსინჯა. ერთ-ერთს ზონარი შეხსნა, ახლახან გამომცხვარი ხმიადი ამოიღო, მოტეხა, პირში ჩაიდო და ღეჭვას მოჰყვა. იწვალა, სანამ ლუკმა დაიფქვებოდა.კიდევ ჩამოატეხა, პირისკენ წაიღო და ისევ ჩანთაში ჩააბრუნა.

აღარ შეიძლება, ჯერჯერობით კმარა! ღრძილებს მოვლა უნდა, წიწვის ნახარშის სმაა საჭირო. საზიზღარი რამეა. ამ ჩანთებში, შეიძლება, ვიტამინებიც იყოს... როდის აქეთ დაიწყეს მონადირეებმა ვიტამინების ტარება, ჰა?.. ვითომ რათაო? ამათ სეზონის მანძილზე მონადირეთა საზოგადოება ამარაგებს. საკვებიც მოაქვთ და მედიკამენტებიც... ეს ერთადერთი, განუმეორებელი მძარცველი ჩანს - ციყვის ტყავებზე ნადირობს... თუკი რამ ყბის მოსაქნევი დახვდა, ერთიანად მოუხვეტია და მიჰქონდა. ამ მამაძაღლმა, ვინ იცის, რამდენი ხორაგი ჩანთქა. აი, თოფი, ვაზნები, პატრონტაში! ეს რაღაა? ამ პარკში საფანტია. ამ კოლოფში?.. თოფისწამალი ყოფილა. ესაც წასაღებად გაუმზადებია...

გორამ თოფებს დაუწყო სინჯვა. ორივე გატენილი იყო. ვაზნები ამოიღო, ლულებს გახედა, ისევ გატენა, დაათვალიერა და გაფაციცდა! ერთ-ერთის კონდახზე სამი ჯვარი იყო ამოჭრილი. თოფი დასდო, ზღურბლზე ჩამოჯდა. ერთხანს ტაიგასა და ცის დასალიერს უყურა. მერე მკვლელს დააკვირდა, იქამდე უცქირა, სანამ თვალებს განზე გაატანინებდა.

- ვინა ხარ? - ხმადაბლა ჰკითხა.

- ბარსუკი.[84] შენ გორა ხარ?

- გორა ვარ. საიდან იცი?

- ორი თვის წინ ლაპარაკი იყო, წავიდაო.

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

- მარბენალი ხარ?

- არა. ამ ერთი თვის წინ სამუშაოზე მივყავდით... ინვალიდების ბრიგადა. მდინარეზე ყინული ჩატყდა. ბრიგადა თავის ბადრაგიან-ძაღლებიანად ყინულქვეშ წავიდა. დაიღუპა. მე რაღაცნაირად გადავრჩი... შენზე ამბობდნენ, პურგაში წავიდა და დაიღუპაო.

- აქ რანაირად აღმოჩნდი?

- იმ მდინარის შენაკადს ამოვყევი. ხუთი დღე-ღამე ვიარე, გათოშილი ვიყავი და მშიერი. ქოხი ვნახე. იმ ქოხმა გადამარჩინა.

- თოფი საიდანა გაქვს?

- ეგეც იღბალია. პირველ ქოხში ვაზნები ვნახე. სხვა რამეებიც წამოვიღე. მეორე ქოხი ვნახე, დიდი ხნის წინ მიტოვებული... შენაკადის ამოყოლებაზე, ერთმანეთისგან ორმოცდაათი, ხანდახან ასი კილომეტრის დაშორებით, სხვა ქოხებიც არის. მოკლედ, იმ მიტოვებულში ღამე გავათენე. წამოსვლის წინ იქაურობა გავჩხრიკე, ეგ თოფი ვიპოვნე. კარგი თოფია.

- კარის საპირის უკან იყო?

- ჰა?.. - გაუკვირდა ბარსუკს. - კი!

- ქოხის კარზეც იყო სამი ჯვარი?

- იყო, იყო, კი!.. ნამყოფი ხარ?

გორა დადუმდა და კარგა ხნის შემდეგღა ჰკითხა:

- აქ რას დაწანწალებ?

- სამხრეთისკენ ხელცარიელი წავიდე? აკუწულ-დაკუწული ვარ... ინვალიდი. შენ მარბენალი ხარ, იცი, სანამ სადმე ფეხს მოვიკიდებ, რამდენი ფულია საჭირო!

- ხელცარიელიო? ამ უკაცრიელში რის მშოვნელი ხარ?

- ბეწვეულის.

გორა დაფიქრდა. მერე უკან გადაიხარა, ფუთად შეკრულ, ზურგჩანთებთან ერთად წასაღებ ციყვის ტყავებს თვალი შეავლო, კიდევ პატარა ხანს იფიქრა და მკვლელს თავზე წაადგა.

ბარსუკი დაბნეულ თვალებს აცეცებდა, ვერ გაეგო, რას უპირე- ბდნენ. გორამ ბებუთი გააშიშვლა, ბარსუკის ჩხრეკას შეუდგა, ფინური ბებუთი ამოაცალა. ჯიბეები მოუსინჯა, უბის ჯიბიდან პასპორტი, მონადირეთა კავშირის მოწმობა და რეწვის

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ნებართვა ამოუღო. ყოველივე ეს პოლიეთილენის პარკში იდო, პარკს წვრილი რეზინი ჯვარედინად ჰქონდა შემოჭერილი. ცოტაოდენი ფულიც იყო. პასპორტი გადაშალა, ხმით წაიკითხა:

- ვასილიევი მიხაილ ივანოვიჩი...[95] ესე იგი, ორმოცდათოთხმეტი წლისა, - დასძინა, მოკლულს დააკვირდა და სთქვა:

- ეს კაცი გაცილებით ახალგაზრდაა. საბუთები სხვისია! სხვისი საბუთებით ცხოვრობდა? სახითაც სულ სხვა კაცია! - იყუჩა და მკვახედ უბრძანა: - აბა, გადაბრუნდი!

- რა გინდა, შე ქაჯო, შე კატაჭამია, შე ჭაობის ტარტაროზო... რას მაწვალებ!

- გადაბრუნდი-მეთქი!

მკვლელი გადაბრუნდა. გორა ჩაცუცქდა, შარვლის უკანა ჯიბე მოუსინჯა. ახალი ნაპოვნი ისეთსავე პოლიეთილენის პარკში ჩადებული, რეზინშემოჭერილი საბუთების კიდევ ერთი შეკვრა იყო.

- ეს ამის საბუთებია! - მოკლულზე დაათითა. - ტარახნო სერგეი პეტროვიჩი.[96] რამდენისა გამოდის? ორმოცდაექვსის.

გორა ქოხში შებრუნდა, ღუმელი გამოასუფთავა, დაანთო. ჩანთები დაჩხრიკა, ფაფის კეთებას მიჰყო ხელი.

იმდენი ნედლი თევზი ვჭამე, დავიჯერო, უვიტამინო იყო? ჩრდილოეთში ჩიფირს სვამენ. მეც ხომ ბანაკებში დავეჩვიე, აგერ, ოცდაათი წელიწადია, ვსვამ. ლიტერატურაში არსად შემხვედრია, მაგრამ პატიმრებმა გამოცდილებით იციან, ჩაიში რაღაც ნივთიერებებია, ორგანიზმში ვიტამინებს აკავებენო. სიმართლეს ჰგავს. კოლიმაზე ჩაი არა მქონდა და ცინგა დამემართა. სხვაგან არსად დამმართია, ჩაის ვსვამდი და იმიტომ. რა ხანია, ჩიფირი არ დაგვილევია, გორავ!.. დავლევთ, ღმერთმა გამოგვიგზავნა... ეხლა ამ ნაძირალასი ვთქვათ... ყველაფერი ცხადია. ირბინა, ვაზნები იპოვნა. მერე ჩემი, ესე იგი, მიშა ფილიპოვის მამის ნაქონი თოფიც წამოიღო... ამ მამაძაღლს ის მონადირეც მოკლული ჰყავს - მიხაილ ივანოვიჩ ვასილიევი, ტანსაცმელი იმისი აცვია...

ყველა დაიხრჩოო!.. ამის გადარჩენისა არავინ არაფერი იცის? მაშინ ეს საძაგლობები ვისი ჩადენილია? გორასი!.. ჰაა, მიტ-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ილენიჩ, შენ ამას დაიჯერებ? გორა კარგარეთელი - მძარცველი და მკვლელი?.. გართულდა საქმე. თუ ამის მოკლულს მიაგნეს - მონადირეები, ხანტი-მანსის შინაგან საქმეთა სამმართველო - ყველა ერთად გეძებს და მშობლიური ოპერსამსახური ხომ გეძებს და გეძებს! კარგია, მე და ჩემმა ღმერთმა. არაფერია, მონადირეებს არ შეეშლებათ, ორი კაცის სხვადასხვანაირი კვალი დევს - ამისი და ჩემი. მართალია, ამ ქოხის ჩრდილოეთით, ანუ ჩემ საკალზე, ბოროტმოქმედება არსად აღნიშნულა, მაგრამ ეს, შესაძლოა, იმით ახსნან, რომ აქამდე გასაძარცვი და მოსაკლავი არავინ შემხვედრია. აქ შემხვდა და დამშეული, გამწარებული მარბენალი რომ ყველაფერს იკისრებს, ეს გამოცდილებით არის დადასტურებული... ამ დანაშაულის ჩამდენი უნდა გამოძიებით დადგინდეს, ამიტომ ორივეა ასაყვანი, ჯერ როგორც გაქცეული-ები და მერე როგორც... ყველაფერი ცხადია, მახეში ვარ გაბმული! დაერჩე აქა? როცა იქნება, მოვლენ. წავიდე, ვიარო? კვალი რჩება, დამეწევიან. ეს მამაძაღლი საიდან დამეცა!.. მიტილენიჩს იქნება მკედარიც კი ვგონივარ. ვიველიდი ჩემთვის, ვიფრატუნებდი და ბოლოს რელსზე დავჯდებოდი. ეხლა რა ჰქნას პეპელამ?..

გორამ ფაფა მიირთვა, ჩიფირი მოიხარშა, სვენებ-სვენებით დალია. ბარსუკმა ყვირილით ყურთასმენა წაიღო, - შემცივდა, ქოხში შემიყვანეო!

შემოათრია, ხელ-ფეხი შეუხსნა და უთხრა:

- გაიარ-გამოიარე!

ბარსუკი კვნესა-კვნესითა და ლანძღვა-გინებით წამოიმართა, ცალ ფეხზე დადგა, მეორით ნაბიჯის გადადგმა სცადა, კლავინდებურად აღრიალდა, ისევ იატაკზე დაჯდა, გათოშილი ზურგი ღუმელს მიაფიცხა.

- ეს რა მიქენი!.. ეხლა რა უნდა ვქნა, ჰა?.. მოვლენ, მომკლავენ!

- ეგ არ შექნა, არ დაგიჭერდნენ, შეგრჩებოდა?

გორამ ისევ გაკოჭა ბარსუკი, ხელები ზურგს უკან შეუკრა, ჭერქვეშ მსხვილი ლოჯი ერჭო, თოკის ბოლო იქ შეკვანძა, თოფები მხარზე გადაიდო და თაეის ბარხანას მიაშურა.

ცა მოქუფრული იყო, გორას თოვლის იმედი გაუჩნდა.

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ბანაობას, რეცხვას, სარეცხის გაშრობას, ტანსაცმლის შეკეთებას, ვთქვათ, ერთი დღე მოუნდა. კაი, ბატონო. ამ უბედურის დაკრძალვა, ჯვრის გამოთლა, წარწერა - კიდევ ერთი დღე... ჩვენება ხომ უნდა ჩამოვართვა და ჩემი ახსნა-განმარტებაც დასაწერია. ამასაც, სულ ცოტა, ერთი დღე დასჭირდება. რამდენი გამოდის? სამი დღე!.. სამი დღე?.. მე ისე მგონია, ბარსუკის მდევარი, დღეს თუ არა, ხვალ მაინც უნდა გამოჩნდეს... მეც ეგრე მგონია, მაგრამ გააჩნია, როდის დაადგენენ მაგის კვალს და ხომ ყველა ის ადგილიც უნდა შემოიარონ, თუკი სადმე კვალი მიიტანა და ფეხი დაუდგამს. ეს ქოხი ბოლო პუნქტია, აქ სულ ბოლოს მოვლენ. ვერაფრით დავასაბუთებ, მაგრამ ინტუიცია მკარნახობს, მდევარი მოვა არაუადრეს ერთი კვირისა... რამდენიმე ასეული კილომეტრი უნდა იარონ. დასვენება და ძილიც ხომ საჭიროა?.. როგორც უნდა იყოს, სხვა გამოსავალი არ არის... დღესვე რომ წახვიდე, ამ მისუსტებულ-მოფამფალებულ კაცს ტვირთის თრევაც შეგიძლია და მარდად სიარულიც?.. ეჰ, კოლაჯან, კოლაჯან, შენ იმედადღა ვარ! თუ არ დავისვენე და კარგად არ ვიკვებე, შესაძლოა, ათი კილომეტრიც ვერ გავიარო... თხილამურებმაც რომ ჭირი მოგვჭამეს?!. მეორე წყვილის ცალიღა გვაქვს... ერთი კვირით, თუნდ ექვსი დღით დარჩენაც რომ უკიდურესი რისკია?.. არის კიდევ ერთი სუსტი ადგილი - მიტილენიჩი! თუ უკვე მიხვდა, რომ ზუსტად მეოთხმოცე მერიდიანს მივყვები... ნამეტანი ლამაზია ყველაფერი ეს, მშვენიერ ამბავში გავებით, პატივცემულო!.. ჰო, თან საქმე!..

გორამ ბარგი მოიტანა. მერე კოლა ჩამოიყვანა, ისიც ქოხში შეიყვანა. ღუმელს შეუკეთა, წამოწვა.

- ყური მიგდე, - ცოტა ხნის შემდეგ უთხრა გორამ ბარსუკს, - მე აქ რამდენიმე დღე ვიქნები. შენ საკმაო დრო გაქვს, იფიქრე, ყველაფერი აწონ-დაწონე და გადაწყვეტით მითხარი, ჩემ ადგილას როგორ მოიქცეოდი?.. ნუ აჩქარდები, იფიქრე!

გორამ მონადირე დაკრძალა, ქოხში მასალა მოიტანა, ჯვარი გამოთალა. თაროზე ფანერის ცარიელი ყუთი იდო, გვერდი მოაგლიჯა, ქიმიური ფანქრით დააწერა: **„Тарахно Сергей Петрович. Убит грабителем по кличке „Барсук“** — და ჯვრ-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ის ვერტიკალურ ძელზე ლურსმნით მიაჭედა. ჯვარი წაიღო, სამარეზე დაარჭო, ქოხში შემობრუნდა და სარეცხის სამზადისს მისდგა.

ღამემ მშვიდობიანად ჩაიარა. ეგ არის, შუაღამე გადასული იყო, ბარსუკმა ღრიალი მორთო, ბორგავდა, თოკიდან აწყვეტას ლამობდა, - მოვიდნენ, აქ არიან, ორივე უნდა დაგვხოცონო!

- სიზმარი ნახე, მართლა გაიგონე რამე, თუ სიმულაციას აპირებ? - ჰკითხა გორამ.

- აქ არიან, გათენდება, ორივეს დაგვხოცავენ! არ მინდა, არ მინდა... - არ დაიშალა ბარსუკმა და ეს მოლანდება თუ ფანდი რამდენიმეჯერ განმეორდა.

- იმათ უნდოდათ სიკვდილი? ამ ერთ თვეში, სულ ცოტა, ორი კაცი გყავს მოკლული.

ბარსუკმა ხმა ჩაიწყვიტა.

გორამ კაი ხანს ვერ დაიძინა. ჯერ იმაზე ფიქრობდა, - ამ ოხერმა, ხომ არაფერი იხიმანა, ხელ-ფეხის ახსნის რაიმე ხერხს ხომ არ მიაგნოო? მერე იმაზე, - იქნება ტანი უგრძნობს და მართლა აქ სადმეა მდევარიო? ახლა იმაზე, - რაიმე გამოსავალი და საშუალება თუ არსებობს ამ კაკანათიდან თავის დაღწევისაო?

ჩემ ხელთ არსებული შესაძლებლობებით, მათ შორის, გონებრივითაც, დანებების მეტს რას ვიზამ? ვერაფერს, გენაცვალე!.. ამიტომო, ამაოებავ ამაოებათა!.. აი, საინტერესო აზრმა რომ გამირბინა, იმაზე ვიფიქროთ: ადამიანის სიცოცხლის გაუფასურებაზე. მალთუსისა არაფერი წამიკითხავს. ასეთ მოსაზრებაზე რას იტყოდა - კაცობრიობის არსებობის იმ საფეხურებზე, როცა ერი, ტომი თუ გვარი მცირერიცხოვანი იყო, ადამიანის სიცოცხლე ხომ ძალიან ძვირად, მკვლელის, იქნება, მთელი მისი ოჯახისა თუ გვარის სიცოცხლედ ღირდა? მე თუ მკითხავს ვინმე, სისხლის აღების პრინციპი ადამიანის სიცოცხლის სიძვირემ განაპირობა. როცა ჩვენს პატარა პლანეტაზე ოცდაათი მილიარდი იცხოვრებს, ერთეულის სიცოცხლეს ისეთივე ფასი ექნება, როგორც, ვთქვათ, საშუალო საუკუნეებში, თუ გაიაფდება? რას მიუსჯიან სასამართლოები მკვლელებს? ადამიანთა რიცხობრივი სიჭარბე რას მოიტანს?.. უკვე გაუფასურდა, თო-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

რემ ამ ნაძირალას მიეცემოდა შესაძლებლობა, ორი უწყინარი კაცი მოეკლა?.. მთელი კაცობრიობის, თვით პლანეტის სიცოცხლეა გაუფასურებული... აგერ, მასობრივი განადგურების უდაზვეწილესი საშუალებები! ხუთ მილიარდს პირი დაუღია, ელის, პარანოიკები როდის მოუღებენ ბოლოს და უხარია!.. ეს ბარსუკია თუ მაჩვი, შეიძლება, არც დახვრიტონ. აი, მე რომ დამეწიონ, ნამდვილად მომკლავენ ან შიშველს ხეზე მკვიდრად დაბმულს დამტოვებენ, ნაღდია!..

გორას ჩაეძინა.

შემდგომმა ორმა დღე-ღამემ ისევ სამზადისში, დასვენებასა და ფიქრში გაიარა. ბარსუკი მაინც ყოველ, ღამე ღრიალებდა, მოვიდნენ, უნდა მომკლანო! გორა უნებლიეთ წამოვარდებოდა ხოლმე და ყოველი წამოფორიაქება მძაფრ სტრესად უღირდა. რას იქმს კაცი, მისივე სიტყვებით: ნებისყოფა ღირსებაა, შიშითანდაყოლილი რეფლექსი, და ვერსაით გაექცევი. ისიც საფიქრებელი იყო, რომ ბარსუკი, სულ ადვილად შეიძლებოდა, ჭკუაზე გადამცდარიყო, ან თავი მოეგიჟიანებინა, რაც გორას ჩანაფიქრს სერიოზულ დაბრკოლებას შეუქმნიდა და იქნება, საერთოდ, ჩაეფუშა კიდეც. გზაზე დასადგომად გორას თითქმის ყველაფერი მზად ჰქონდა, თავსაც კარგად გრძნობდა, საუბრის დაწყებისთვის მომენტი შესაფერისად მიიჩნია და უთხრა:

- ხომ გკითხე, ამ ვითარებაში ჩემ ადგილზე როგორ მოიქცეოდი-მეთქი? ვილაპარაკოთ.

ბარსუკს, ეტყობა, სათქმელი მოფიქრებული ჰქონდა:

- კაი რამე გითხრა... ცოცხალი თუ ვარ, მაგათ არ იციან. შენ რომ წამოსული ხარ, ამდენ ხანში ყველა მონადირეს გააგებინეს, მთელმა ტაიგამ იცის. მე კი არ მეძებენ, შენ გეძებენ! რაც გავაკეთე, შენი ჩადენილია და გეძებენ! გაიგე? თუ წახვალ და ცოცხალს დამტოვებ, ყველაფერზე ხელს დავიბან, ყველაფერს შენზე გავტეხავ. როგორ დაამტკიცებ, რომ შენი ბრალი არაფერია? მაგათ უპატრონო მკვდრები არ უყვართ. პატრონიც აქა ხარ! ერთი მკვდარიც რომ აგკიდონ, დასახვრეტად საკმარისია. აგკიდებენ! გაიგე?..

- გავიგე, მაშ!

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

- აი, ყური მიგდე, კაი რამე გითხრა. შენ დამპალი ინტელიგენტი ხარ - „სიდორ პოლიკარპოვიჩი"![97] თქვენ ისე გგონიათ, უბრალო კაცებმა ფიქრი არ ვიცით. ყველაფერი მოფიქრებული მაქვს, ტყუილუბრალოდ არ მიწანწალია, ტურისტი არა ვარ... ბლომად ბეწვეული მაქვს! საჭმელიც იმდენია, ორივეს დიდხანს გვეყოფა და თოფებიც აქ არის. საჭმელი სამალავში მაქვს, ისეთი ადგილია, ეშმაკი ვერ მიაგნებს. სამშვიდობოს გავიდეთ, ბეწვეულის მუშტარი ვიპოვნოთ, ნახევარში გაგიყვან, წაიღე შენი წილი და ჩვენ-ჩვენი გზა ვნახოთ. კაი სიტყვაა?

- ძალიან! უკეთესი ძნელი სათქმელია. შენ რა სთქვი, სამალავი მაქვსო?

- მაქვს. ვერავინ ვერ მიაგნებს!

- ვერც მონადირეები?

- მონადირეებმა საიდან იციან, რომ სამალავი მაქვს?

- რაც ხორაგი და ბეწვეული ნახე, სულ მოიპარე ან წაართვი. მონადირეებმა როგორ იფიქრონ, ყველაფერს თან ატარებ?

- ჰოო! - ბარსუკი დაფიქრდა და მიუგო: - კვირაზე მეტია, იქ არა ვყოფილვარ... ცხრა დღეა... ვერ მიაგნებენ! - მტკიცედ სთქვა, მაგრამ ხმაში ყოყმანმა დაუჟღერა.

გორამ მცირე ხანს იყუჩა და თავისთვის ჩაილაპარაკა:

- სამალავი! ეგ კარგია. რაც გვიან მიაგნებენ, მით უფრო კარგია... - და ბარსუკს მიუბრუნდა: - ეხლა, მისმინე.სახელდობრ, შენ, ბარსუკს, მართლაც, არავინ გეძებს. არ იციან, რომ გადარჩი. ეგ არის, კვალს მარტო ჩემსას კი არა, შენსასაც აიღებენ. ერთიც აღმოსავლეთიდან - ვისია? ვისიც უნდა იყოს, იარა, თავისი საქმეები აკეთა და აქ მოვიდა? ესე იგი, ის საქმეები სხვამ აკეთა და არა გორამ. აქედან გამომდინარე, შენი ნამოქმედარის ჩემზე აკიდება არც იმ შემთხვევაში მოხერხდება, თუ ცოცხალი დაგტოვე, და არც მაშინ, თუ სიცოცხლეს გამოგასალმე. ეხლა, რაც ბეწვეულის სარეალიზაციო კომპანიას შეეხება. მე, აგერ, იმ გორაკზე ვიყავი ჩასაფრებული და ველოდი, მონადირე თავის საქმეზე როდის წავიდოდა, რომ შემოვპარულიყავი და ცოტაოდენი რამ მეჭამა. სროლა გავიგონე, არც დავფიქრებულვარ, ჩამოვირბინე. რატომ? იმიტომ, რომ მკვლელობა მოხდა და როგორ მდგომარეობაშიც უნდა ვიყო, ჩემი საქმეში ჩაურევლობა არ

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

იქნება! ეს ჩემი არსებობის პრინციპია. მინდა, გკითხო, მკვლელთან შეამხანაგება, ნაძარცვის გაყიდვით ფულის შოვნა და მერე უსინანულო ცხოვრება ხსენებულ პრინციპებს როგორ შეუთანხმო? მე გითხარი, მოისაზრე, ჩემ ადგილას როგორ მოიქცეოდი, და მითხარი-მეთქი. ამასთან ერთად, გაგაფრთხილე, ეშმაკობაზე და მოტყუებაზე არ გეფიქრა. შენ პეტერბურგის ბეწვეულის აუქციონზე კომპანიონად კი არ გჭირდები, ხორცად გინდივარ და, უმჯობეს შემთხვევაში, მოწყალების დად, მზარეულად და სახედრად, ასე ვთქვათ, შეთავსებით გამოყენებისთვის. მაშ, ამ დამტვრეულ-დასახიჩრებულ კაცს მკურნალი, მზარეული და ტვირთის მზიდველი არ უნდა? უნდა და, აგერა, არიფი! ეგაც არაფერი. ვთქვათ, სამშვიდობოს, მართლაც, შევძელით გასვლა, გავიტანეთ შენი ნაძარცვი და მუშტარიც ვიპოვნეთ. გორა რაღაში გჭირდება? ღამე მომეპარები, დანის გამოყენება ჩემზე უარესად არ გეცოდინება, უკეთესად თუ არა. შე ვირეშმაკავ, შენა, მაგის მჭამელი ვარ? სიცრუის მთქმელის მთავარი დანაშაული სიცრუის თქმა კი არა, მსმენელის სიცრუით შეურაცხყოფაა. იმოდენა იდიოტი გგონივარ, ეგ ზღაპრები დავიჯერო? კარგი, კმარა. ცაცია ხარ, არა?

- მეე?.. ჰო, ცაცია ვარ... მერე რა?! - შემოუღრინა ბარსუკმა.

- არაფერი. კეტი რომ მოგიქნიე, მარჯვენა მხარი და ხელი დაგიზიანდა და არა მარცხენა. ეგაც ჩემი იღბლიანობაა, მე შენი საღი ხელი მჭირდება - ცაცია! ეხლა, აი, რა: ორში ერთი უნდა მოხდეს: ან დაჯდები და საკუთარი ხელით დასწერ ყველაფერს, იმ ტრაგედიის შემდეგ რაც ჩაიდინე, ხუთი დღის საკვებს დაგიტოვებ და წავალ. ან მოგკლავ, დაგმარხავ, თავად დავწერ ყველაფერს და ჩემ გზას დავადგები. აირჩიე!

- წერა-კითხვა და საქსოფონი არ მეხერხება, - მკვახედ მიუგო ბარსუკმა.

- ადი სკამზე! - უბრძანა გორამ.

ბარსუკმა შეაფურთხა, ვერ მიაწვდინა. გორამ კეტი დასცხო.

- ადი-მეთქი!

ბარსუკი გამოხოხდა, იწვალა, იკვნესა, ავიდა.

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

გორა მართლა იყო გაბრაზებული. მაგიდას მკლავი გადაუსვა, ზედ თუკი რამ იყო, ძირს გადაყარა. თაროდან რვეული გადმოიღო, მაგიდაზე დადო, პასტის კალამი მიუმარჯვა.

- დასწერე: „ამ ფრაზის გარდა..."

- მე გითხარი, წერა-კითხვა და კლარნეტი არ მეხერხება!

გორამ გულიანად გაიცინა:

- შენ ეჟოვი და ბერია გაგიგონია? იმათი ბიჭების ხელში გამოვლილი კაცი ვარ. იქ მიღებული ჯოდნა და გამოცდილება როდისმე ხომ უნდა გამოვიყენო!..ჩვენ საქმეში პრიმიტიულ, მილიციელის მიერ გამოგონილ ხერხებს არ იყენებენ. სოლიდური ხალხი ვართ. აი, მაგალითად, მაგ ცალ ფეხზე დაგაყენებ. იდგები, სანამ წაიქცევი. კეტს დაგიშენ, ისევ იდგები. მერე დასიებულ წვივებზე დაგახედებ და დასწერ. აი, კიდევ ერთი ჰუმანური ხერხი: დაგამშევ, დავჯდები და შენს თვალწინ ვჭამ. ერთ კვირაზე მეტს ვერავინ ვერ უძლებს, სწერენ. უფრო დახვეწილია გაყინული კარცერი. ტექნიკური აღჭურვილობა გვაკლია, მაგრამ ბუნებრივ ყინვას გამოვიყენებთ. გაითოშები, დასწერ. თბილისის შინაგან ციხეში ექიმმა შარი მომდო, კბილები გტკივაო. ჩამიყვანეს, დამსვეს, ქათქათა წინსაფრით შემმოსეს და გამომძიებელიც შემობრძანდა - არტაშეს მიხაილოვიჩ[98] თუ გრიგორიჩ მარქაროვი! ექიმმა გაზი მოიმარჯვა, ფესვებიანი კბილების დაძრობა დამიწყო, რა თქმა უნდა, უნარკოზოდ. ამ მკურნალობის დროს მაიორი მარქაროვი მიამიტად, გადაჭარბებული ზრდილობით მეკითხებოდა, - წინა ჩვენებებზე დასამატებელი ხომ არაფერი გაქეთო? ხედავ, თაროზე პატარა ჟანგიანი გაზი დევს? იმ ექიმის კვალიფიკაცია და გამოცდილება ვინ მომაოხრა, მაგრამ რაღაცას მაინც მოეახერხებ... საინტერესოა, მაგათ თავისი კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტი აქვთ თუ არა? ამაზე არასოდეს დავფიქრებულვარ. ექნებათ... მთავარი კი ის არის, რომ თუ არ დასწერე და, ამასთან, ყველაფერი ისე ზუსტად, როგორც ნამდვილად იყო, მაშინ სხვა გზა არა მაქვს, უნდა გაგასალო. სამარე მზად გახლავთ. პაპაჩემმა, იაგორ კარგარეთელმა, მასწავლა, დაუმარხავი მკვდრები არ შეიძლებაო! გაგასაღებ, დაგმარხავ, დავწერ, რაც საჭიროა, დავტოვებ ამ მაგიდაზე და გზას გაეუდგები...

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

- არ დავწერ! - ბარსუკს ნერვები დაწყვეტაზე ჰქონდა.

- აბა, ხოხვით სამარისკენ! - უყვირა გორამ და კეტი დაუშინა. ბარსუკი გახოხდა, მაგრამ ეს იყო ინსტინქტური რეაქცია ტკივილზე და არა სიკვდილზე თანხმობა. ზღურბლამდე კი მიხოხდა და, დაიძახა:

- დავწერ, დავწერ!.. - გორამ კეტი დაუშვა. - საჭმელი თხუთმეტი დღისა დამიტოვე და დავწერ!

- გადავიფიქრე. შენი ცოცხლად დატოვება არ შეიძლება. მიდი, გახოხდი-მეთქი, - წყნარად სთქვა გორამ და კეტი ისევ შემართა.

- დავწერ, აღარ დამარტყა! - ამოიკვნესა ბარსუკმა, გახოხდა, იწვალა, სკამზე ავიდა. - დამაცადე, სული მოვითქვა, აზრი მოვიკრიბო.

- დაწერე პირველი ფრაზა: „ამ ფრაზის გარდა, მთლიანად, ყველაფერს ნებაყოფლობით ვწერ". ეხლა, გაქცევის დღიდან-დღემდე!

· გორას დამშვიდება სჭირდებოდა, ბოლთას მისდგა. ცოტა ხნის შემდეგ თავადაც წერას შეუდგა, რვეულის ერთი გვერდი შეავსო, ხელი მოაწერა.

კერძის კეთებას მიჰყო ხელი. რამდენიმე ხნის შემდეგ ბარსუკის ნაწერს დახედა. ბატიფეხური იყო და აბდაუბდა, მაგრამ მოუწონა:

- ყოჩაღ, ბიჭო! შენ ისეთი კარგი სტილი გქონია, რომ საქსოფონზე დაკვრაც გეცოდინება.

ეს თავის სასარგებლოდ სწერს. მაგით გამოძიებას ვერ მოატყუებს, მაგრამ ფაქტებს ისე აშუქებს, რომ საქმეში გამიყვანოს. თვალი უნდა, სიმართლე უნდა დავაწერინო... ძაფი არის, ციყვის ბეწვი - თავსაყრელი. ერთი კარგი საძილე ტომარა შეეიკეროთ... არა, ჯერ თხილამურების პრობლემა გადავჭრათ. მოკლე და განიერი თხილამურებია საჭირო, სათოვლე... სამაგრები?.. რაღაც მოხერხდება, არაფერია...

ამდენი ფიქრისა და ანალიზის შედეგად გორამ რაიმე ლოგიკური, დასაბუთებული დასკვნა იმაზე, თუ რა ხნის მანძილზე

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

შეეძლო ქოხში დარჩენა, ვერ გამოიტანა. ბარსუკმა წერა დაამთავრა, მაგრამ გორას ჩანაფიქრით, ორი ეგზემპლარი იყო საჭირო. გადააწერინა და თავადაც ორ ეგზემპლარად დაწერა, საქმე როგორც იყო. ქოხში დარჩა, სანამ გეზზე დასადგომად ყოველმხრივ მოემზადებოდა. მერე ორი დღე სრულიად უსაქმოდ იყო, ფიქრობდა. მესამე დილას, თავადაც რომ არ მოელოდა, წასვლა გადაწყვიტა... შემდგომში თავად ამბობდა, რაღაცამ წამოძიარაო!..

გორა სამზადისს მორჩა და გაფაციცებულ ბარსუკს მიმართა:

- ჩემი ანგარიშით, შენი მდევარი ამ ათიოდე დღის მანძილზე უნდა მოვიდეს. ჭკვიანი ხარ, საკვები თხუთმეტი დღისა რომ მთხოვე. ხუთი დღისას გიტოვებ. სიკვდილის ღირსი ხარ, მაგრამ მკვლელის ცოდვას ვერ დავიდებ, თვალებში ვეღარავის შევხედავ... როგორც არის. აგერ, თოფი. ერთ ვაზნას სარკმლიდან შემოგიგდებ, იქნება გამოგადგეს, კაცნი ვართ!..

- ტროცკისტო, ფაშისტო, ჯალათო! - ღრიალებდა ბარსუკი. - დაბმულს ნუ მტოვებ, შენი!..

გორამ ბარხანა გარეთ გაიტანა, ქოხის კარი მკვიდრად ასჭედა, ზედ ქაღალდი მიაკრა: „ბოროტმოქმედი ქოხშია. აქვს თოფი და ერთი ვაზნა."

მონადირის სამარესთან მივიდა, პოლიეთილენის პარკში საიმედოდ გახვეული მოკლულთა საბუთები, ბარსუკისა და საკუთარი ჩვენებები ჯვრის ძირას წინასწარ ამოღებულ ორმოში დაჰფლა...

მდევარმა კვალზე თუ იარა, მაგის სამალავს უეჭველად მიაგნებს და სწორედ იქ ჩაუსაფრდება, - შიმშილი მოიყვანსო. თუ ბეერნი არიან, ზოგი იქ დარჩება, ზოგი კვალს გამოჰყვება. თითო კაცად დევნას ვერ გაბედავენ, იციან, იარაღი აქვს... მაინც აეიკიდე ცოდვა! განგებამ ყველა ცოდვისთვის მომიზღა. არც ამას მაპატიებს, ეიცი... არა, ვინმემ მითხრას, სხვანაირად როგორ უნდა მოვქცეულიყავი?.. ამოდენა განსაცდელი...

ცა მოქუფრულია, იქნება ინებოს ღმერთმა და უხვი, ხანგრძლივი თოვლი მაჩუქოს?.. ეჰ, ვიაროთ, კოლაჯან!..

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

კარი მეოთხე

ეს ასე მოხდა: გორა თოფის ხმამ მოიყვანა გონს, თითქმის ყურის ძირში ნასროლი თოფის ხმამ, და იქვე, მის სიახლოვეს, ნიადაგზე დავარდნილი საკმაოდ მძიმე საგნის ყრუ ჯახანიც გაიგონა. თვალმილულული იწვა, გონება ზანტად უბრუნდებოდა თავის მოვალეობას - ფიქრს, ვითარებაში გარკვევას.

აზრის პირველმა ამოძრავებამ მოაგონა, რომ ამ ბორცვზე ამობობღდა, ფიჭვის ძირას დაჯდა, სული მოითქვა. ზორტები შეიკრა, პირბადე გაიკეთა, ტარახნოს ქოხში რომ ბეწვის საძილე ტომარა შეიკერა, იმაში ჩაძვრა, ზურგით ხეს მიენდო... მეტი ველარაფერი გაიხსენა გარდა იმისა, რომ სულ ახლახან სიზმრად ის ნეტარი ნახა, კიკეთის სახლის სარდაფში ფილაქანზე რომ იყო ჯაჭვით დაბმული წითური, ჟღალი წვერ-ულვაშით გაბანჯგვლული, სამსხვერპლოდ რომ წაიყვანეს... მერე იმის ფიქრს მიჰყვა, აქ როდის ამობობღდა დღეს თუ რამდენიმე დღის წინ? ამაობაში, გაქცეული კაცის ფეხის ხმა გაიგონა. თვალი გაახილა. გაყინულ ჭაობზე რაღაც ორფეხი მირბოდა-მოუქნელად, კოლბოხიდან კოლბოხზე ნადირივით მიხტოდა, მაგრამ ქანცგამოცლილი თუ დაჭრილი ნადირივით. კაი ხანს ირბინა, შიმლიანს მისცა თავი, თვალს მიეფარა.

მე ეს ორფეხი სიზმარშიც ხომ ვნახე, მოხარშულ კარტოფილს მაჭმევდა!.. წყალიც დამალევინა... მთელი სიცოცხლე ის ვერ გამოვიცანი, მელას რაც ესიზმრებოდა, ის ელანდებოდაო, ანდაზა რომ არის, ნეტავი რას უნდა ნიშნავდეს-მეთქი. რა უბრალო რამე ყოფილა!.. მაღალი სიცხე მქონდა, მენჯის სახსრებიც მტკ-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ოდა. ველარ ვიარე, ბობღვა იმიტომ მომიხდა. მაშ, ეს მოლანდებები?.. თოფს იქ რა უნდა?.. თითქოს ყველაფერი თავის ადგილზეა. ვაჰ, ეს რა იყო, კაცო?!. ესა?.. კარტოფილის ნაფცქვენია! ციდან ხომ არ ჩამოცვივდებოდა... ჰალუცინაცია გრძელდება? ეს სულიერი ან იეტია ტყისა თუ თოვლის კაცი, ან გაველურებული ადამიანი... ცული სად არის? აგერ, იქა გდია, თოფის სიახლოვეს. იქ კიდევ რაღაც გდია. აბა, ვნახოთ. ბიჭოს, ტკივილიც გამომნელებია, ხედავ?.. მაგან ეგრე იცის, ისვენებ - არა გტკივა, მიდიხარ - აგტკივდება. რიგიანი ყავარჯნები უნდა გავიკეთო, მოხერხებული, იღლიები რომ აღარ დამიზიანოს... არავითარი იეტი და სხვა სისულელეები! გაველურებული ადამიანია! საცოდავს, თავისი ცულიც აქ დავარდნია, ერთი ფიორალაა. რამდენი წელიწადი იხმარა, რომ პირი თითის დადებაღა შერჩენია! ჩემი ცული მიჰქონდა?.. როგორც ჩანს, სხვა არც არაფერი აინტერესებდა... თოფი რისთვის აიღო, სულმა წასძლია თუ ცნობისმოყვარეობამ?.. წაღება რომ სდომოდა, ვაზნებსაც წაიღებდა; აგერ, ჩანთაში პოლიეთილენის პარკი. არც სამტროდ იყო მოსული, თორემ კარტოფილს რატომ მაჭმევდა? დავიჯერო, თავსაყრელი აქვს?.. ფიჩხიც მოუზიდია... ესე იგი, გონს უნდოდა, მოვეყვანე, არა?.. ვერ მომიყვანა! გამოდის, კი არ მძინებია, უგონოდ ვყოფილვარ... რამდენ ხანს? კარტოფილის ნაფცქვენი ბლომად არის და, აგერ, ცეცხლიც კარგა ხანს ნთებია!.. ნაცარ-ნაღვერდალი ბევრია. ეჰეეე! კიდევ კარგი, მუმლი არ არის, თორემ ამ ხის ძირში მიტილენიჩის გასახარად ჩემი ჩონჩხიღა ეგდებოდა. ხა, ხაა, მიტილენიჩ, ჯერჯერობით ილბალი ჩემსკენ არის!.. თოფი დაცლილია. ალბათ, გაუვარდა. ხელები რომ მოვაფათურე, ელდა მცა, აყვირდა, თავდაცვის ინსტინქტმა გააქცია. თუ ასეა, დაბრუნდება. ვინ არის? ოდესღაც გამოქცეული პატიმარი თუა...

გორამ ნაცარი გაქექა, ნაღვერდალს დაუპატიჟებელი სტუმრის მოტანილი ფიჩხი დააშველა. იჯდა, სტუმრის გამოჩენას ელოდა და უკვირდა, როგორ უნდა მშიებოდა, რომ გონდაკარგულს ყბები მემოძრავებინა და საკვები მეყლაპაო!

კაცი იქიდანვე გამოჩნდა, საითაც თავს უშველა. გამოჩნდა, წამოვიდა და შორიახლო დადგა. თავშიშველი იყო, ამ სიტყვის

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

სრული მნიშვნელობით, რადგან თავზე თმის ნასახი არ მოუჩანდა. სამაგიეროდ, ცეცხლისფერი წვერ-ულვაშის მხრივ, საეჭვოა, დუნიაზე ტოლი გამოსძებნოდა.

ის ნეტარია, ეჭვს გარეშე, მაგრამ დაბერებულ-დაჩაჩანაკებული. მე რომ საჭმელი ჩამქონდა ხოლმე... რამდენი წელიწადი გავიდა?.. მადლი ჰქენიო - ამაგი არ დამიკარგა, მოვიდა!

მოხუცს ტანს ბეწვეული უფარავდა, უკეთ ვთქვათ, ტყავები. მას ეს საქონელი უთუოდ ბლომად მოეპოვებოდა - ყველაფერი ახალთახალი ეცვა, ფეხსამოსიც კი, მაგრამ უკანასკნელი მოდებისა არაფერი გაეგებოდა, ან ხელმარჯვეობა აკლდა და ისიც შესაძლებელია, რომ მისი ცხოვრების პირობებისთვის სწორედ ამ თარგზე გამოჭრილი ტანსაცმელი იყო საჭირო, თორემ იმ მოყვანილობის სამოსელს აბსტრაქციონისტი თუ ანტიკონფორმისტი მხატვრის ფანტაზიაც კი ვერ შეჰქმნიდა. იდგა და იყურებოდა. გორამ ხელით ანიშნა, - მოდი, ჩამოჯექიო.

კაცმა გასაქცევად გაიწია.

- მოდი, ჩამოჯექი-მეთქი!.. ძმაკაცები არა ვართ?!.

კაცმა ისევ გაქცევა დააპირა. მაშინ გორა თოფს დასწვდა, მუქარით გაუმეორა იგივე. კაცმა ხელები მაღლა აიშვირა, გამოიქცა და ცეცხლს ხელებაწეული მიუჯდა.

- დაუშვი ხელები, არაფერს გერჩი, - უთხრა გორამ და ანიშნა, რასაც მოითხოვდა.

კაცი ისევ ისე იჯდა, ვითომც არაფერი გაეგონოს.

- ეეე, ამას ენა აქვს დავიწყებული... - სთქვა გორამ და დასძინა, - ყრუ-მუნჯი კი არ იყოს, ჰა?..

კაცს რაღაც ბგერები აღმოხდა, ხელები დაუშვა.

გორამ თავის დაქნევით მოუწონა საქციელი.

რანაირი თვალები აქვს! თევზის. არა, უფრო უტყვი და უაზრო. ბნელი, არაფრისმთქმელი. ეს თვალები, თითქოს, უკვე მინახავს. რა ხნისა იქნება?.. ძალიან ბებერია, ოთხმოცზე მეტისა ჩანს, მაგრამ, შესაძლოა, ასე გამოიყურება და უფრო ნაკლებისა კია. ენა აღარ ესმის. რამდენი წლის წინ უნდა იყოს გამოქცუ-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ეული - ორმოცი, ორმოცდაათი?.. გამოქცეულია? იქნება კაცი შემოაკვდა, ტყეს შემოაფარა თავი და მარტოობით შეიშალა?.. როგორი თვალები აქვს!.. მომაგონდა, ასეთი თვალები სადაც მინახავს. უამრავი! ბანაკებში, წინათ, ეხლა ნაკლებია, მაგრამ არის ეხლაც! ველაპარაკო? ყურს მიაჩვევს, სიტყვებსაც გაიხსენებს. ენას ხელახლა აიდგამს.

მოდი, ვუამბობ, ვის, სად და რატომ აქვთ ასეთი თვალები...

- ყური მიგდე, მოგიყვები. აი, შენ რომ გაქვს, ისეთი თვალების ამბავს გეტყვი. მისმინე... არა, ჭკუიდან გადამცდარი ნაღდად არა ხარ. ვხედავ, ყურადღებით მისმენ და ცდილობ, გაიგო.

მაშ, ასე: ბანაკი რომ რევოლუციის შემდგომ პირველსავე წლებ-ში იქნა გამოგონილი კონტრად, კლასობრივ მტრებად მიჩნეულ ადამიანთა უხმაუროდ, უჩუმრად განადგურების მიზნით, ვიცით. ცხადი იყო, ნორმალური ფიზიკური და სულიერი მონაცემების ადამიანები ცხოვრების იქაურ პირობებს ვერ აიტანდნენ, დაიხოცებოდნენ და საზოგადოება „გაჯანსაღდებოდა". საფიქრებელია, ისიც იყო გათვალისწინებული, რომ ზოგი, ადაპტაციის თანდაყოლილი, მახვილი უნარის წყალობით, ყოველნაირ ჯოჯოხეთს შეეგუებოდა, პატიმრობის ვადასაც დაამთავრებდა, მაგრამ საზოგადოებას მაინც სულიერად დეფორმირებულ, ყოფილ ადამიანად უნდა მოვლენოდა... უჰ, რა დღეში ვარ, ლაპარაკიც კი მღლის - ხა-ხაა, გორა მბორგალო, მოლაპარაკე კაცო!..

ის, რომ სიცრუისა და უკიდურესი ცინიზმის ქვეყანაში ვცხოვრობდით, ყველასთვის ცხადი იყო, მაგრამ „კომუნიზმის მშენებლებს" ისიც ესმოდათ, რომ აქაური პირობებისა და ამაზრზენი სცენების შემხედვარე ადამიანი უეჭველად გაბოროტდებოდა, წყობილების მოსისხლე მტრად ჩამოყალიბდებოდა და თუ რომელიმე მათგანი ამ მიწიერ ჯოჯოხეთს ცოცხალი გადაურჩებოდა, პირველსავე ხელსაყრელ შემთხვევაში პასუხს მოსთხოვდა თავის მწამებლებს. ჩვენი „გამოსწორების" აუცილებლობას ეს გარემოებაც გადაჭრით მოითხოვდა - შურისძიების შიში ჰქონდათ!.. არა, რაც გინდა სთქვი, ჩვენი სოციალიზმი იმ პერიოდის სხვა სოციალიზმებზე გაცილებით ჰუმანური იყო! სული-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ერ დეფორმაციას რა უშავს? ვითომ გარეთ ვინც ცხოვრობდა, ამას გადაურჩა? ვერ გადაურჩა! გამოდის, რომ ჩვენი სოციალიზმის პირობებში პატიმარი და არაპატიმარი თანაბარი უფლებებით ვსარგებლობდით მაშინ, როდესაც სხვა, მაგალითად, გეორგიუ-დეჟის რუმინული სოციალიზმის პირობებში პატიმარი კონტრა თუ კლასობრივი მტერი ორმაგ დეფორმაციას განიცდიდა - სულიერსა და ხორციელსაც... უყურე ამას, არა სჯერა!.. მისმინე! აი, როგორ იყო და რა ხდებოდა: გეორგიუ-დეჟი ბანაკების წინააღმდეგი გახლდათ, - პატიმარს თავისი ჭირი ეყოფა და მუშაობითაც მოვწყვიტოთ წელიო? ამიტომ ჩემისთანები ციხეებში ჰყავდა დამწყვდეული. აბა, ათი და თხუთმეტი წელი საკანში ჯდომით გამოწვეული სულიერი დეფორმაცია სთქვი შენა!.. ესაც არაფერი. წამალს ასმევდნენ, - ესაო, სქესმა რომ არ შეგაწუხოს, იმისიაო. ასვეს და ასვეს. წლები გავიდა, გადატრიალება მოხდა, გამოაპანჩურეს კარში ის უდანაშაულო ახალგაზრდობა. შეირთეს ცოლები, - შვილები, ფაფუ!.. ვნება ჰქონდათ, განა არა, მაგრამ შვილიერება - ნურას უკაცრავად! ეგრე იყო. ის გეორგიუ-დეჟი დიდი ჭკვიანი და შორსმჭვრეტელი მოღვაწე ბრძანდებოდა. შენა სთქვი, სოციალიზმის მშენებლობასა და მომავალს მტრად ქცეული ადამიანის ოჯახში გამოზრდილი მოქალაქე რაში გამოადგება, ჰა? ვერაფერში. ჩვენს ქვეყანაში ემაგას არა სჩადიან. როცა ვამბობ, ჩვენი სოციალიზმი უფრო ჰუმანური იყო-მეთქი, უნდა დამიჯერო...

მოხუცმა თავისი ტანისამოსის სიღრმეებში ჩაყო ხელი, კარტოფილები ამოიღო. კიდევ ჩაყო, კიდევ ამოიღო. ნაღვერდალი გაქექა, ჩააწყო, ნაცარი მიაყარა და ისევ გორას მიაპყრო თვალები.

- კარგია, რომ დამშვიდდი... ჰო, ძირითადი სათქმელიდან რომ გადავუხვიეთ, რას ვამბობდით?.. დიახ, დიახ, მომაგონდა: კაცს ბანაკიდან როგორმე გათავისუფლება რომ მოეხერხებინა კიდეც, შინ ყოფილ ადამიანად უნდა დაბრუნებულიყო. ასე გახლდათ საქმე ჩალაგებული. საამისო პირობები რომ სპეციალიზებული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების რეკომენდაციებით იქმნებოდა, ესაც ვიცით. ამაზე და თვით პირობებზე ნულარ შევჩერდებით. ჩვენ ეხლა ფიზიკურ, ანუ სხეულის, დეფორმაც-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

იაზე ვილაპარაკოთ. ამაზე, მგონია, თვით იმ „მეცნიერებსაც“ კი არა აქვთ წარმოდგენა, ვისაც ადამიანის მოსპობისა თუ დაბეჩავების თემაზე დისერტაციები აქვთ დაცული... სიცხე მალაპარაკებს?.. კი, სიცხიანმა იცი ხოლმე აქაქანება.

გორამ თავბრუსხვევა იგრძნო. მერე ისიც, რომ გონს კარგავდა. რის ვაი-ვაგლახით დაუბრუნდა თავის საძილე ტომარას. რამდენ ხანს იყო ასე, გორამ ველარასოდეს გაიგო. გონს რომ მოეგო, ოფლში ცურავდა, პირში ჟოლოს გემო ჰქონდა და ჰაერში მყრალი ოხშივარი ტრიალებდა.

კაცო, თუ რესტორანში ვარ, იქ ჟოლოს ჩაროზი ბოლოში იციან. არადა... შეხედე ამ ბებერს! ექიმიც ყოფილა, ჟოლოს ჩაი დამალევინა, ოფლი მომადინა. შიმშილსაც არა ვგრძნობ. ეტყობა, მაჭმევდა. ეხლა კიდევ რაღაც საზიზღრობას ხარშავს... სიცხე აღარა მაქვს, ნაღდია. ეს ოფლი უნდა როგორმე შევიშრო და წამოვდგე. გავახილო თვალი თუ არა?.. იყავი ეგრე, საით მიგეჩქარება? სულ ერთია, სანამ რიგიანად არ მოხვალ ჯანზე, სიარულს მაინც ვერ შესძლებ და... ეგ სადმე ცხოვრობს, ესე იგი, თავზე ჭერი აქვს და მცირე რამ მეურნეობასაც ეწევა... ვნახოთ. ეხლა, სანამ ის აფთრის ხაშლამა დამზადდება და ოფლი შემაშრება, რა ვაკეთოთ?.. მაგას შენი ლაპარაკისა არაფერი ესმის. საინტერესო თემაზე საუბრობდი. ბარემ დაასრულე... რა დავიწყე?.. აბანო, სხეულის დეფორმაცია... ჰო, აბანო რომ კაცობრიობის უსაჭიროესი გამოგონებაა, ყველამ იცის... ეე, ამას აბანოც ექნება!.. ზოგმა, ალბათ, ისიც იცის, რომ ეს დაწესებულება ადამიანის სხეულზე დაკვირვებისთვისაც საუცხოო ადგილია. ზოგმა-მეთქი, რომ ვამბობ, სპეციალისტებს ვგულისხმობ... მაიკუდუკის საკომენდანტო ბანაკის აბანოში ერთი ქალბატონი მობრძანდა დაცვის თანხლებით. მხოლოდ აბანო აინტერესებდა. იდგა, დავთარი ეჭირა, მობანავე პატიმრებს შესცქეროდა, რაღაცებს იწერდა. დიდი შფოთი ატყდა, - ეტაპზე გასაყვანი ხალხის სიას ადგენსო. ღმერთო ჩემო, რას არ წარმოიდგენს პატიმარი! აი, შენ, პატივცემულო, სულ გეგონა, რომ მთელი პლანეტის სამძებრო სამსახურები შავი ფიცით იყვნენ შეკრული, - ის გაქცეული კაცი ტაიგაში რომ დაძრწის, ან უნდა დავიჭიროთ

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

როგორმე, ან თავები დავიხოცოთო. ყოველ შემთხვევაში, სანამ აზროვნების უნარი გქონდა, ასე ფიქრობდი... ჰო, მერე აღმოჩნდა, რომ ის ქალბატონი სხეულებს ხატავდა და წერილობით შენიშვნებსაც ურთავდა. მაშინ მეც ვერაფერს მივხვდი, ჭეშმარიტებას მერე მივაგენი.

აღარ მახსოვს, სახელდობრ, რომელ ბანაკში მოვახდინე პირველი აღმოჩენა. აბანოებში ყველგან და ყოველთვის მეგობრები მყავდა. ჩვენი დამოკიდებულებები იმ ნიშნით ყალიბდებოდა, რომ მეც და ისინიც ვერ ვიზიარებდით გულაგის ლოზუნგს - *„Запомни сам, скажи другому, что честный труд – дорога к дому!“* ვერ ვიზიარებდით იმიტომ, რომ ყველაფერი სწორედ უკუღმაა, იმ შრომასა და ცხოვრების პირობებს მილიონები საიქიოს მიჰყავს და არა შინ! აბანოში მუშაობა დღესაც იმით არის კარგი, რომ სამუშაო იოლია, სითბოა და თუ წყალიც ავტოცისტერნებით მოაქვთ, მაშინ გარესამყაროსთან კავშირურთიერთობის საშუალებაც ჩნდება. იმას ვამბობდი, აბანოებში ყოველთვის და ყველგან მეგობრები მყავდა. დავდიოდი, ვეხმარებოდი, საპონს ვარიგებდი. მუყაოს ან თუნუქის ფურცელზე სარეცხი საპნის ერთი ციცქნა ნაჭრები მელაგა, კარებში ვიდექი, შემოსულ შიშველ ქალსა თუ კაცს თითო საპონი ერგებოდა და მამამისის შვილი იყო, მეორე აეღო! ზოგი ისეთი გახლდათ, ბატონო, ან მომპარავდა, ან გამომტყუებდა და მიჰქონდა, მაგრამ მე ვფხიზლობდი, თვალთმაქცობა, მაინცადამაინც, ბევრს არავის გაუდიოდა.

ის აბანო ყოფილი ბარაკი იყო, ფანჯრები ცალი აგურით ჩაეშენებინათ. რაფები ჩაეტოვებინათ, ალბათ, თაროს დანიშნულებით. რამდენიმე ათეული შხაპი ყურისწამღებად ჩხრიალებდა. აბა, იმ ალიაქოთსა და ნისლივით ორთქლში გარკვევით რას დავინახავდი, ძლივს გავარჩიე: დარბაზის ბოლოში ერთი ქალი ზურგით იდგა, რაფაზე რაღაც ჰქონდა დაფენილი და რეცხავდა. ჩემს მოვალეობებში ისიც შედიოდა, რომ სააბაზანოში გასარეცხი არავის რამე შემოეტანა, სასტიკად იყო აკრძალული. ხანგრძლივი ბანაობა და რეცხვა აბანოს გამტარუნარიანობას ამცირებს, მაგრამ მე სხვა რამ მეუცხოვა: იმ ქალს მარცხენა ხელი რაფაზე ედო, მარჯვენას ჰორიზონტალურად იქნევდა. რეცხავ-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

და? არა, ეს რეცხვას არ ჰგავდა! ცნობისწადილი შემიჩნდა, ნეტავი, რას სჩადის-მეთქი? ახლოს მივედი, მაინც ვერაფერს მივხვდი. ძვალგანიერი ქალი იყო, მაჯებსა და ხელის მტევნებს ტანი უფარავდა. შემდგომი ნაფანჯრალის რაფისკენ გავწიე, კედელთან დავდექი და გვერდიდან, ირიბად გავხედე... ქალს თავისი მუცლის ტყავი,[99] ჰქონდა რაფაზე გაფენილი, ცალი ხელით ეჭირა, რომ არ გადმოსცურებოდა, და მეორით რეცხავდა!..

ანაზდეულად დედა მომაგონდა, გული ამიტოკდა, მაგრამ - ძალიან სასაცილოა - იმავ წამს სიმშვიდე მეწვია: დედაჩემი კაფანდარა ქალი იყო, ასეთი რამ არ დაემართებოდა... ეს ქალიც ხომ, ალბათ, დედა იყო, ტანსქელი, ჩამრგვალებული დიასახლისი, რომელიც ეჟოვისა თუ ბერიას უწყებამ მოიყვანა, როგორც „ხალხის მტრის ოჯახის წევრი", შიმშილით სული ამოჰხადა, ხორცი დააყრევინა, და, აჰა, წარსულში უხვხორცა, ჩაფუშფუშებული არსება რაფასთან იდგა, მუცლის ტყავს ირეცხავდა!

პირველსავე პატიმრობაში შევნიშნე ერთი, ასე ვთქვათ, მორფოლოგიურად საყურადღებო ტიპი... თუმცა, ეს აღმოჩენა თვალების გამომეტყველებით დაიწყო: ბნელი, არაფრისმთქმელი,სულისმღაფავი თევზის თვალები! რა იყო ეს, ემოციის უნარის სრული ატროფია, თუ როგორიმე მომავლის იმედის სიკვდილი? მინახავს მხოლოდ ერთი რაიმე მიზნით ან იდეით იმდენად შეპყრობილი სუბიექტები, რომ გონებაში სხვა საფიქრალისთვის ადგილი ვერაფრით მოეძებნებოდათ, მაგრამ მათ მუდამ ანთებული, მბორგავი, შეშლილის თვალები აქვთ. ეს სხვა ხალხია, მე ატროფირებულებზე ვლაპარაკობ. მათი ლექსიკური ფონდი სულ რამდენიმე სიტყვისგან შესდგება: დიახ. არა. არ მინდა. მომეცი. მერე იყოს... ზოგი მათგანი იცოხნება... დიახ, ნაჭამის კუჭიდან პირში ამობრუნების ტექნოლოგია აქვს ათვისებული და იცოხნება, საკვების მიღების ილუზიას იქმნის! ამათ ალიმენტარული დისტროფიკის სხეული აქვთ. ბნელთვალებიანებს - მძლავრი, ჰიპერტროფირებული კუნთების სისტემა, კულტურისტის მკერდი, გოლიათის მკლავები, მსხვილი, დაქანებული მხრები და... ღიპი! ავადმყოფურად ჩამოკიდებული და უმწეო კი არა - კუნთმაგარი, წინ გაშვერილი ღიპი! საიდან, ღმერთო ჩემო?.. ამის კვლევას რამდენი ხანი მოვანდომე და მიზეზს ძლივს მივაგე-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ნი: ბანაკებში, პატარა ხნით გაუქმებებს თუ არ მივიღებთ მხედ-
ველობაში, მუდამ მოქმედებდა „ჩათვლების“ სისტემა. ერთი დღ-
ის პატიმრობა სამ დღედ ეთვლებოდა, ვინც ნორმას ას ოცდაერ-
თი და მეტი პროცენტით შეასრულებდა. ეს ფიზიკური ძალების
უკიდურეს დაძაბვასა და შრომაში დახელოვნებას მოითხოვდა,
რადგან გამომუშავების ნორმები სპილოზე იყო ნავარაუდევი და
არა ადამიანზე. ჩათვლებზე გადაყოლილ პატიმარს იმ ათი, თო-
რმეტსაათიანი სამუშაო დღის მანძილზე დახარჯულ ენერგიას
სალაფავი აუნაზღაურებს? დამატებითი საკვებია აუცილებელი!
საიდან? სამუშაოდან დაბრუნების შემდეგ - ეგრეთ წოდებული
ვახშამი, რაიმე პირადი, წვრიმალი საქმეები და ღამის პირველ
თუ ორ საათამდე სამზარეულოში მუშაობა! დამზრალი კარტო-
ფილის გარჩევა-გაფცქვნა, მატლიანი ქაშაყის გამოშიგნვა და
დაჭრა, ქვაბების რეცხვა და, ღმერთმა იცის, კიდევ რამდენნაირი
საკეთებელი... სამზარეულოს გამგეს ასეთი მუშების კონტინგე-
ნტი საგანგებოდ ჰყავს შერჩეული. ძირითადად - მუყაითობის
ნიშნით. მივა ასეთი პატიმარი და მუშაობამდე მიიღებს ბალანდ-
ით სავსე სამლიტრიან თუნუქის ქილას. ამას ფსკერამდე დაიყვ-
ანს, მუცელგაბერილი დგას და მუშაობს რამდენიმე საათს. მუშ-
აობის პროცესშიც ახერხებს ამავე ან მეტი რაოდენობის სხვა
საჭმლისთვისაც კბილის გაკვრას და ბარაკში წასვლისას ერთი
სავსე თუნუქი სალაფავი კიდევ ერგება. დაწვება. თუნუქი სასთ-
უმალთან უდგას. წარამარა იღვიძებს. გათენებამდე ამასაც ბო-
ლოს მოუღებს, დილის საუზმესაც მიირთმევს და მიჰყავთ ქვის
სამტეხლოზე თუ ტყეში ცოდვების მოსანანიებლად. ვინმე იტყ-
ვის, ამოდენა ხორაგი რა სტომაქში უნდა ჩაეტიოსო! შიმშილი
ზოგს ისა ჰგონია, უზმოს შუადღისას მუცელი წრუწუნს რომ
დაუწყებს. როცა ხანგრძლივად უყუათო, ფუჭ საკვებს მიირთმ-
ევ, მუცელი რა დღეშია?! თვალი რომ გაძღეს კიდეც, სალაფავი
ფიზიკურად ვერა და ვერ გაგაძღებს - უყუათოა, ფუჭია. ასე ეტ-
ევა და რაოდენობის ხარჯზეა ორგანიზმი მაძღარი. შრომა ვარ-
ჯიშია და სხეულიც იქ ვითარდება, საცა განუწყვეტლივ ძალა
ადგას, მაგრამ მთავარია, რომ არსებობის ამგვარ პირობებში
ადამიანის გონება მხოლოდ ერთი მიმართულებით მოქმედებს -
შრომის პროცესი და საკვების მოპოვება! ტვინს ბინდი უჩნდება,

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

დროთა ვითარება მას წყვდიადში სძირავს და თვალები, მათი გამომეტყველება ხომ გონებრივი მდგომარეობის სარკეა?.. ლექსიკური ფონდი-მეთქი - ენაც თანდათან ავიწყდებათ... ერთი სიტყვით, აი, რაც ჩემ მასპინძელს მარტოობით დაემართა, იმათ მძიმე შრომის, შიმშილისა და საკვების მოპოვებაზე გამუდმებული ფიქრით ემართებათ. ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, არც ამ მოხუცს მოაკლდებოდა... ეხლა თვალები გავახილოთ და ის მაინც გავიგოთ, რა ერისა და რჯულისაა...

- რა გქვია? სახელი, სახელი!.. აი, მე გორა მქვია, გორა! შენა? - ქართულად უთხრა გორამ და იგივე რუსულად გაუმეორა.

მოხუცი წვალობდა, იოგებს ძალას ატანდა, დაუნაწევრებელ ბგერებს გამოსცემდა.

- ასაკმა გამოაჩერჩეტა, სკლეროზმა დარია ხელი. თითებიც უკანკალებს. პარკინსონის დაავადება! - ჩაილაპარაკა გორამ.

მკერდი გადაუღეღა, მკლავები გაუშიშვლა. მოხუცს წინააღმდეგობა არ გაუწევია. სვირინგი არსად აღმოაჩნდა. გორამ გაიფიქრა, - სისხლის სამართლის დამნაშავეთაგანი არ უნდა იყოსო.

- რომელ ენაზე გელაპარაკო?.. ციხიდანა ხარ გამოქცეული? ციხე, ციხე. *Тюрьма, тюрьма!* ციხეში იჯექი? - გორამ თითებით გისოსი აჩვენა.

მოხუცმა ერთხანს თვალებში უყურა გორას და თავი გაიქნია, - არაო.

- ეგრე, რა, შე კაი კაცო, შენა!.. ეეე, სული არ ამომხადა?!.. ეხლა სახელი მითხარი, სახელი! - ქართულად მიმართა გორამ.

არც ეხლა მოჰყვა კითხვას რეაგირება. მოხუცმა ნაღვერდალი გაქექა, ორი კარგად ჩანახშირებული ფესვი გამოარიდა ცეცხლს. დანა გაუყარა, ჭაობთან მივიდა, ყინული ჩაამტვრია, იმ ფესვების რეცხვასა და ფხეკას მისდგა. მოიტანა, მოზილა. თეთრ-ვარდისფერი ფაფა გაკეთდა. გორას მიაწოდა, - შეჭამეო. გორამ, ისეთი საზიზღრობა იყო, პირველსავე ლუკმას კინაღამ ყველაფერი გადმოაყოლა, თუკი რამ მუცელში ჰქონდა. როგორც იყო, გადაყლაპა და მეორე ლუკმაზე გემო ემცნაურა. დაფიქრდა. გაახსენდა, რომ სიზმარში ნეტარი კვლავ ეწვია და სწო-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

რედ ეს ფაფა აჭამა. გაიფიქრა, - წამალი ყოფილა, ამან მომარ-
ჩინაო, — და ბოლომდე დაიყვანა. მოხუცმა მეორე კათხით ტკბ-
ილი წყალი მისცა, ადგა, რამდენიმე ნაბიჯი გაიარა, გორას გა-
მოხედა, თითქოს წასვლის ნებართვას ელოდა. გორამ ხელი აუ-
ქნია, - წადიო. მოხუცი წავიდა. სანამ თვალს მიეფარებოდა, ერ-
თხელ კიდევ შეჩერდა, გამოიხედა...

რისთვის წავიდა?.. ეხლა ჩვენ ჩვენი ვთქვათ... მაინც რა იყო,
როგორი დღე დამადგა, ჰა?.. მოიცა, მოიცა! მაგან აქ მთელი სი-
ცოცხლე გაატარა! კარტოფილი საიდან მოაცუნცულა სათესლ-
ედ? მაგ უბედურისგან რამე რომ გაიგო, ენა თავიდან უნდა ასწ-
ავლო... ვასწავლი, დიდი ამბავი! ეხლა საგზლის მომარაგება...
სამზადისი მჭირდება... მაგას კი არა, ყრუ-მუნჯი მომიყვანე,
სამ დღეში პარაკლიტონს თავიდან ბოლომდე ჩავაბულბულები-
ნებ. ეგეთი კაცი ვარ მე!.. აგერა, მობრძანდება!.. რაღაც მოაქვს,
ღმერთმანი!..

- მოხველ? ეგ რა გიჭირავს?.. რა მხიარულად ვარ, ხედავ? კა-
რგა ხანია, ასეთ გუნებაზე არა ვყოფილვარ, ლამის გადავირ-
ია... გიშველოს ღმერთმა!..

მოხუცს კარგად გამოყვანილი ტყავის პარკი ეჭირა. გორას
გაუწოდა და ცეცხლს მიუჯდა. გორამ ხელი ჩაყო, გაყინული
ხორცის დიდი ნაჭერი ამოიღო, - დათვის ხორცია! - ჩაილაპარ-
აკა და მოხუცს მიმართა:

- შენ, ბიძაჩემო, შერატონის ტიპის სასტუმროში ცხოვრობ,
ნაღდია. მაცივარი გქონია. ეს ხორცი ჯერ მოხარშულია და მე-
რე გაყინული. ბარაქალა შენ!.. ტელევიზორიცა გაქვს? გექნება,
ფერადი, მრავალსისტემიანი, ათარხიანი. ვიდეოც გიდგას?.. კა-
რგი. მწვადი რად გვინდა, ხაშლამა არა სჯობს? პირი გააღე! -
გორამ კბილები დაკრიჭა.

მოხუცმა ვერაფერი გაიგო. მაშინ გორამ თავად გადაუწია
ტუჩები. შიშველი, თითქმის სრულიად დალეული ღრძილები
დაინახა.

- სწორია. რაღა დროის შენი კბილებია! მეც თითქმის უკბ-
ილო ვარ. ამიტომ, გენაცვალე, ასე ვქნათ!..

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

გორამ დანა ამოიღო, ხორცის დაჭრა დააპირა. მოხუცმა არ დააცადა, თავადაც ამოიღო დანა და საქმეს შეუდგა.

- ეგ დანა საიდან, ბიძაჩემო? ცივილიზებულ სამყაროსთან მჭიდრო სააღებმიცემო კავშირი გქონია. მშვენიერი ბებუთია... მონადირის ქოხიდან გექნება მოპარული... დათვი რანაირად მოინადირე? მახეები გიდგას? ეხლა კიდევ რა გელაპარაკო? დავიღალე, გესმის? ვჭამოთ და სხვა სათქმელი მერე იყოს...

მოხუცის სტაროვერობის ვერსიას ის სიმტკიცე აღმოაჩნდა, რომ, ბუნაგი რა სათქმელია, მშვენიერი სახლ-კარი ჰქონდა, უკეთ ვთქვათ, წარსულში მშვენიერი, ეხლა ნახევრად ჩაქცეული და გავერანებული. სახლს სხვადასხვა სამეურნეო ნაგებობებიც კი შემორჩენოდა. ირგვლივ სავარგულები ერტყა. აქ უთუოდ დიდი ოჯახის საკმარი მოსავალი მოდიოდა. სასაფლაოც იყო, საკმაოდ დიდი, არაერთი თაობის განსასვენებელი და სავანე. გორას აზრით, მოხუცი, ამ მამულის უკანასკნელი პატრონი რომ გამოემშვიდობა წუთისოფელს, მერე იყო აქ დასახლებული. მანამდე, ალბათ, დროდადრო და შორიდან თუ უთვალთვალებდა ხოლმე აქაურ მკვიდრთა საქმიანობას. ნათლად ჩანდა, ბოლო მიცვალებული არცთუ დიდი ხნის დაკრძალული იყო. ეს კაცი მათი ოჯახის წევრი ყოფილიყო, ენას რა დაავიწყებდა, მუნჯებში ცხოვრობდა? ამას გარდა, მოხუცი არც სლავური წარმოშობისა ბრძანდებოდა, ეს ნათელი იყო. რახან სლავური წარმოშობისა არ იყო, ვერც სტაროვერი იქნებოდა. მოხუცს ელაპარაკა კიდეც, გორა ძირამდე არაფერში ჩაჰყვებოდა, პატიმრობაში შემუშავებული ჩვევა ჰქონდა: პირადს ნურავის ნურაფერს ჰკითხავ. თუ თავად გეტყვის, მტკნარი სიცრუე რომ იყოს, სიმართლედ მიიღე! რასა ჰკარგავ?..

მოხუცმა თავისი მამულის სიახლოვეს თბილი ტალახი აჩვენა, ანიშნა, - ამაში დათვები და ირმები წვებიან, შენც ჩაწექი, ფეხებში შვება მოგეცემაო. გორამ ათი აბაზანა მიიღო და მოეჩვენა, რომ ტალახმა, მართლაც, არგო.

დადგა განშორების დღე. მოხუცმა ერთი დიდი ზურგჩანთა პირთამდე საგზლით გაუვსო, ჟოლოს ჩირი და ის მყრალი წამალიც ბლომად ჩაუდო, გორამ რომ კინაღამ უკანვე გადმოანთხია. თავადაც მოზრდილი ჩანთა წამოიკიდა და წაუძღვა.

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

არსებობს ერთი კანონზომიერება - გარემოებათა საწინააღმდეგო მონაცვლეობა, ასე დაარქვა გორამ თავის დროზე ამ მოვლენას. ფილოსოფოსობა და უცხოური ტერმინების ხშირი გამოყენება მას არ უყვარდა და ამის მოყვარულზე ამბობდა ხოლმე, ფონს „ზაგრანიჩნი" სიტყვებით გადისო!.. კანონზომიერება კი ის იყო, რომ წვიმიანსა თუ ღრუბლიან ამინდს, როგორც წესი, მზიანი მოსდევს და პირიქით; ალკოჰოლითა თუ რითიმე სხვით გამოწვეულ ეიფორიას - დეპრესია; ხანგრძლივ იღბლიანობას - უიღბლობა და ხელის მოცარვა ისეთ რამეებშიც კი, სადაც ეს არც მოსალოდნელია და განსაჭვრეტადაც, თითქმის შეუძლებელი...

კოლა დავარდა!.. დავარდა და სულის ღაფვას მოჰყვა. მეტი გზა და საშველი არ იყო - თავად გორამ ვერ გაიმეტა, მოხუცმა დაკლა საცოდავი ირემი, გაატყავა, აქნა, ტომარაში ჩააწყო ხორცის ნაჭრები და ციგაზე მოათავსა... გორა თხილამურებისა და ციგის იმედადღა დარჩა.

სამი დღე იარეს, კაი ოცდაათი კილომეტრი დაფარეს. მოხუცი არ იშლიდა, - კიდევ უნდა გამოგყვეო, — მაგრამ საიდანღაც სამი დედაკაცი გამოტყვრა და გორას თანამგზავრი ისე შეშინდა, რომ მუხლი მოეკვეთა, გაფითრდა, უღონოდ დაეშვა მიწაზე, კანკალი დააწყებინა. დედაკაცებმა ამათ დანახვაზე თავად მორთეს წივილ-კივილი და მოჰკურცხლეს. გორამ ძლივს მოაბრუნა მოხუცი. შეღამებამდე იარეს. დილით დანაყრდნენ, გამომშვიდობებისას გორამ უთხრა:

- შენ რომ არ გეპოვნე, ეხლა ცოცხალი აღარ ვიქნებოდი. მადლობას გეუბნები და ვიცი, რომ ეს მხოლოდ ზრდილობაა. სიტყვას გაძლევ, შენს ამაგს არ დავკარგავ, სხვებს მივუზღავ! ღმერთი იყოს შენი შემწე.

მოხუცს ცრემლები წამოსცვივდა, თითქოს რაღაცის თქმაც კი დააპირა... გორას ისტერიული სიცილი აუვარდა...

- ესე იგი, გაიგე ჩემი ნათქვამი?.. ესე იგი, გინდა, მითხრა, ვინა ხარ?..

მოხუცი თავისი ბნელი თვალებით მიაჩერდა და თავი ჩაიქნია.

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

- არაფერი მითხრა, თუ ხათრი გაქვს. არ გეწყინოს, პატარ-პატარა წარმოდგენებითა და მიგნებებით ვცოცხლობ, ეს ჩემი სულიერი საკვების ნაწილია. რაღაცას მივაგენი. შენ რამე რომ სთქვა, შეიძლება, ჩემი მიგნება გაბათილდეს და არ მინდა, გაწბილებული დავრჩე. გაიგე, რას ვამბობ?...

მოხუცმა მათი ურთიერთობის მანძილზე პირველად გაიღიმა, უკბილო ღრძილები დააშიშვლა, მიტრიალდა და წავიდა.

გორამ თვალი მიაყოლა, უყურა, სანამ მისი მხსნელი ბორცვზე ავიდა, ხელი დაუქნია და გაუჩინარდა...

ვერტმფრენი მდელოს დასტრიალებდა, დასაჯდომს ირჩევდა.

ქარი ტარახნოს ქოხის ღია კარს ისე გამეტებით აქანავებდა, რომ მიტილენიჩმა გაიფიქრა, თითქოს კარის ჭრიალი მესმის. ამ ყურთახეთქაში და ამსიშორეს რატომ უნდა მესმოდესო!.. ანაზდად გაფაციცდა, ფიქრს გაჰყვა:

- აქ რაღაც ამბავია, მიტილენიჩ! მონადირე თავისი ქოხის კარს ღიად დასტოვებდა?.. აგერ, სამარე და ჯვარი. მამაძაღლმა პარამონოვმა[100] ჯვარი რანაირად შეამჩნია!.. რა ძნელი შესამჩნევია, ღია ადგილზეა! მკვლელს თვითონ რომ დაემარხა, საფლავს ხომ დამალავდა! მეორე მხრივ, შესაძლოა, ვინმემ ტყეში მიცვალებული ნახა, დამარხა, მაგრამ დამმარხავმა რატომ არ უნდა განაცხადოს, რომ მავანი გარდაცვლილი აქა და აქ დაიკრძალაო?.. გაუგებარია! ვნახოთ, ვნახოთ, რას ნიშნავს ყოველივე ეს.

მანქანა დაჯდა და დადუმდა. პილოტმა კიბე ჩაუშვა, მგზავრები ჩავიდნენ. სულ ექვსნი იყვნენ: მიტილენიჩი, მიტილენიჩის გლები, ერთი უფროსი ლეიტენანტი, სამედიცინო ექსპერტი და ორი პილოტი.

- მიდამოს მოხილვით დავიწყოთ. იარეთ სამხრეთისკენ ნახევარი საათი-ორმოცი წუთი. ცალ-ცალკე იარეთ. თქვენ - მარცხენა სექტორი. თქვენ - მარჯვენა, - მიმართა მიტილენიჩმა უფროს ლეიტენანტსა და გლებს.

პილოტებმა და ექსპერტმა პატარა ხანს იტრიალეს, დასხდნენ, მზეს მიეფიცხნენ.

გლებმა კომპასს დახედა, უფროს ლეიტენანტს რაღაც უთხრა და ხელქვეითები დაიძრნენ.

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მიტილენიჩმა დაიცადა, სანამ წასულები თვალს მიეფარებ-ოდნენ. ოცი-ოცდაათი ნაბიჯი გაიარა, ქოხის ზღურბლზე ჩამო-ჯდა, სიგარეტი გააბოლა, ნახევრამდე დაიყვანა, გადააგდო, ქო-ხში შევიდა, ნიჩაბი გამოიტანა და სამარისკენ გასწია. საფლავ-ის ბორცვთან დადგა, კარგა ხანს ათვალიერა. მერე რამდენჯე-რმე დაიხარა, ჯვრის ვერტიკალურ ძელზე, მიწის პირას, სქლ-ად, მსუყე ლურჯად დახატულ ისარს მოჰკრა თვალი...

- რაღაც უნდა იყოს დაფლული, ცხადია!

არ აჩქარებულა, ვერტმფრენს გახედა, დარწმუნდა, ჩემთვის არავისა სცხელაო, მიწის თხრას მისდგა. კარგა ხანს თხარა. თ-ხარა და პოლიეთილენის პარკი ამოიღო. დახედა, უბეში შეინახა.

ქოხთან მივიდა, კარი დაათვალიერა. შენიშნა, არცთუ დიდი ხნის წინ კარი გარედან იყო აჭედილი, სამი ახალი ლურსმანი იყურებოდა - შუაში, თავსა და ბოლოში. დალურსმნული ადგი-ლები შიგნიდან ბლაგვი საგნით, ალბათ, ცულის ყუით იყო დაჟ-ეჟილი.

- ეჰეე! ეს რას უნდა ნიშნავდეს? შიგ ვიღაც იყო დამწყვდეუ-ლი და კარი იქიდან გამოამტვრია?.. სხვანაირად - როგორ?

მიტილენიჩმა ერთხანს ცის დასავალს უყურა. მერე ლურსმ-ნებს დააკვირდა, - ვინმემ ხომ არაფერი შეახია ზედაო?..

ქოხის გარშემო ბოლთა დასცა, იქაურობაც ყურადღებით დაათვალიერა. ჯირკზე მოიკალათა, ზურგი კედელს მიანდო, ნაპოვნი პარკიდან ქაღალდები ამოიღო. დინჯად, დაკვირვებით წაკითხვა ჰქონდა განზრახული, მაგრამ გორას ნაწერის რამდე-ნიმე პწკარის წაკითხვის შემდეგ ზეზე წამოიჭრა, ქაღალდები ბოლომდე, სხაპასხუპით, ძნელად გასარკვევი სიტყვების გამო-ტოვებით ჩაიკითხა და ისევ ჯირკზე დაეშვა.

მიტილენიჩი ფიქრობდა:

- ნაძირალა ბარსუკმა ეს შავი ისარი ვერ ნახა?.. აქ ორი რამ არის შესაძლებელი: ვერ მოისაზრა, აქ თუ დაჰფლავდა კარგარ-ეთელი ნაწერებს. იფიქრა, - თავის სამართლებლად დამაწერინა და, რა თქმა უნდა, თან წაიღებსო. თვით კარგარეთელიც, ალბათ, ასე ეტყოდა, - ამ საბუთებს, როცა საქმე მოითხოვს, მაშინ გამო-ვაჩენო. ეგაც ნუ იქნება, საკუთარი ხელით მოკლული კაცის სა-ფლავთან ურთიერთობა ბარსუკს რაში სჭირდებოდა?.. მაგრამ

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

არც კარგარეთლის საქციელია მთლად გამართლებული. ვნახოთ და, ბარსუკი საფლავთანაც მისულიყო და ლურჯი ისრითაც დაინტერესებულიყო?.. ეგ ცალკე საფიქრალია, მერე იყოს.

ეს რანაირად გამოვიდა?!. არა, ბოლომდე დარწმუნებული არასოდეს ვყოფილვარ, რომ ნაპოვნი გვამი კარგარეთლისაა, ექვსი სანტიმეტრით მოკლეა, მაგრამ არც რაიმე ცნობა არსებულა, რომ დანაშაულში მესამე კაცია გარეული... ეს წყეული ბარსუკი საიდანღა გამოძვრა, ჰა?.. ვთქვათ და, გვამი მაინც კარგარეთლისაა - ხომ შეიძლება, მისი ზომები ფორმულიარში სწორად არ იყოს აღნიშნული, ან ნაპოვნი გვამის გაზომვის დროს იყოს შეცდომა დაშვებული და ბარსუკი დღესაც სადმე დაფრატუნობს?.. არა, ნაწერების მიხედვით, ეგ შეუძლებელია, გვამი ბარსუკისაა და თუ ვისიმე სხვისი, ანუ მესამე პირისა, ეს მდგომარეობას კიდევ უფრო ართულებს... ბარსუკი თავისმა სამმართველომ ეძებოს, რა ჩემი საქმეა?.. დავა ატყდება, პარამონჩიკა-მამაძაღლი ხელს დაიბანს, - მანდ შეუძლებელია ჩემი ვინმე იყოსო!.. ნაწერებს სად წაუვა!.. რა მშვენიერი ფინალი მზადდებოდა: კარგარეთლის გვამი, დახურული საქმე! ერთი სიტყვით, როგორც ვოცნებობდი, სწორედ ისე გამოდიოდა... მაგ ქაღალდებს ნუ გამოაჩენ და საქმე ისე გამოსული არ იქნება? გვამი კარგარეთლისაა, საქმე დაიხურება. შეიძლებოდა, მაგრამ იმ შეტყობინებას რა პასუხი გავცეთ, დედაკაცებმა ორი კაცი რომ ნახეს? აღწერილობით ერთი ის გაველურებული მოხუცია, იმ ადგილებში რომ ცხოვრობს, სტაროვერი... ეგ კაცი შესასწავლია... სადა მცალია და რა ჩემი საქმეა!.. მეორე კარგარეთელია? ხომ შეიძლება, რომ მაგათი ერთად ყოფნაც ფილიპოვისგან მომდინარეობდეს? იმ მამაძაღლმა ტაიგა ხუთი თითივით იცის. ოჰ, ნახეს და ნახეს! რა მოხდა, რომ ნახეს? აუცილებელია, კარგარეთელი იყოს? არა, მაგ ცნობას ვერსაით გავექცევი, გვამის იდენტურობას ექსპერტიზა არ დამიდასტურებს და ტაიგაში კი ვიღაც დაყიალობს. ეგაც ნუ იქნება, ჩემთვის ხომ მაინც უნდა ვიცოდე, კარგარეთელი ცოცხალია თუ მკვდარი?.. ამ ნაწერებს თუ არ გამოვაჩენ, ყველა დანაშაული კარგარეთლის კისერზეა... იყოს, გენაღვლება?.. პარამონჩიკას დავემსგავსო? არა, მიტილენიჩ, შენ ეგ არ შეგშვენის, ადვილი გზებით სხვებმა იარ-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ონ! ადამიანურად რომ ვთქვათ, ეგ კარგარეთელი, მე თუ ქვეყანაზე რამე გამეგება, მკვლელი არ არის... ხედავ, როგორი შეუპოვარი კაცია? აბა, ნახე, რანაირი ერთგულებით ემსახურება თავის მიზანსა და საქმეს? მე მაგაზე ნაკლები ვარ? არა, ჩემი ვალია, ჭეშმარიტება დავადგინო! გასაგებია?.. გასაგებია, მაგრამ ჩვენს ინტერესებშია, რომ გვამი კარგარეთლისა იყოს. წინააღმდეგ შემთხვევაში - მარტოხელა სიბერე... კარგი, რა, ეს როგორი ახირება მიზის ტვინში: კარგარეთელს დავიჭერ - ცოლი გამექცევა! დამთხვევები იყო... ამდენი ერთნაირი შედეგი?.. რა ვიცი, აბა? ნეტავი სხვებს თუ აქვთ რაიმე მსგავსი ახირებები?.. მოიცა, რამ აგირია ტვინი, მიტილენიჩ, სად არის შენი დალაგებული ანალიზი?.. ჯერ ის ვთქვათ, როგორ მოხდა, რომ მხოლოდ პირველი მონადირის გვამი იქნა ნაპოვნი? როგორ და, ამ ადგილებში მხოლოდ სამი კაცი ნადირობს, სხვებს უფრო სამხრეთით აქვთ ქოხები, აქედან უახლოესამდე ბარე ასი კილომეტრია, მეტი თუ არა. იმ ივანიკოვს[101] საკვები შემოელია, შინისკენ გასწია. გზად ვასილიევს ჩამოუარა და ნახა, რომ მოკლულია... ბარსუკის კვალიც უთუოდ ნახა. რატომ არ გამოჰყვა? საჭმელი აღარაფერი ებადა და მარტო იყო, შეიარაღებული მკვლელის დევნა ველარ გაბედა, ისევ შინისკენ გასწია. ვასილიევის სიკვდილი ვის უნდა დაბრალებოდა? რა თქმა უნდა კარგარეთელს. სხვას ვის? არსებული ინფორმაციის თანახმად, კარგარეთლის გარდა, ტაიგაში არავინ დაძრწის! კარგი. ნაპოვნია ნადირის ნაჯიჯგნი გვამი, პრაქტიკულად - ჩონჩხი. ვისი უნდა იყოს? კარგარეთლისა! ბარსუკისა ვინ რა იცოდა? არავინ და არაფერი. ახლა, ტარახნომ დაიგვიანა. სად არის? ამაობაში გვამი იპოვნეს. ხმებიც კი დაირხა, - ვასილიევი ტარახნოს მოკლულია, ცოდვამ უწია, თვითონაც ტაიგაში მოკვდაო. რაღაც ძველი უთანხმოებები გაუხსენეს, - ერთმანეთის ჯავრი სჭირდათო. ამ ვერსიით, გვამი ტარახნოსია, მაგრამ, აგერ, მაგ საცოდავის სამარე! კარგარეთელი სწერს, - მე ჩემ გზას ვაგრძელებო, და რომ იგი აქედან სამხრეთისკენ წავიდა, ამას დედაკაცების ცნობაც ადასტურებს. ბარსუკის გვამი ამ ქოხიდან, სულ რაღაც, სამოცი კილომეტრის მანძილზე და ჩრდილო-აღმოსავლეთით არის ნაპოვნი. კარგარეთელი სწერს, - დატყვევებისას ბარსუკს ფეხი და მკლ-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ავი დავუზიანე, საეჭვოა, სიარული შესძლოსო. გვამზე წვივის ძვლის მოტეხილობაა ფიქსირებული და პარამონოვი ვეღარც იმას წაუვა საითმე, რომ გვამი ბარსუკისაა, და ვერც იმის პასუხისმგებლობას, რომ იგი კონტინგენტიდან სხვა დაღუპულებთან ერთად ჩამოწერა!.. არა, ჩრდილო-აღმოსავლეთით რატომ უნდა ევლო ბარსუკს? თავისი პროდუქტებისა და ბეწვეულის სამალავის მიმართულებით მოძრაობდა? ალბათ! ამის შემოწმებაზე, სამალავის პოვნაზე სამძებრომ იტეხოს თავი. ახლა - კარგარეთელი წერს, რომ ბარსუკს სამ იანვარს გადაეყარა და აქედან შვიდ იანვარს გავიდა. იაროს. ვიცი, რომელ ადგილებში უნდა მოვიხელთო?!. ამ საქმეს მოევლება.

ის ამბავია დასაფიქრებელი - თბილისიდან მოსული ცნობა! იციან, რომ გორა გაქცეულია, ხაბიბულაევისგან გაიგეს... ხაბიბულინია და არა ხაბიბულაევი... ხაბიბულა ვთქვათ, დამნაშავეთა სამყაროში ასე ჰქვია. ხაბიბულას თბილისში რა უნდოდა?.. ეს კაცი კარგარეთლის გაქცევამდე ორი თვით ადრე გათავისუფლდა. მერე? მეგობრობდნენ? ასეთი ცნობა არ არის. რა ვიცით, იქნება ძველი ძმაკაცებიც კი არიან და ამას რაღაც მიზნით მალავდნენ? ხაბიბულა კარგარეთელივით მარბენალია, განა გამორიცხულია, რომ წარსულში ერთად ისხდნენ და ოდესღაც ერთად გაქცეულებიც კი არიან? შესამოწმებელია!.. თბილისში რატომ იყავი-მეთქი, - ხაბიბულას რომ ვკითხო, სიცილით დაიხრჩობა, მაგრამ მაინც რისთვის იყო? იმის სათქმელად ჩავიდა, თქვენი კარგარეთელი ბანაკიდან გამოიქცაო?.. მიტილენიჩ, აქ რაღაც არის!.. ეეე, ეს ხაბიბულა ამჟამად სად ცხოვრობს?..

ეეჰ, კოლაჯან, კოლაჯან, როგორი ერთგული და შემწე მეგობარი იყავი... მთელი სიცოცხლე ეგრე არ გავატარე?!. ნელ-ნელა შემომეცალა ყველა. რეაბილიტირების შემდეგ მარტო თბილისში, ფეხბურთის მატჩების დამთავრების შემდეგ, კინოსტუდიასთან, ბარე ორასი კაცი ვიყრიდით თავს-ერთად თუ სხვაგან და სხვაგან ნაჯდომი პოლიტიკურები. ამ მთის, იმ მთის, მოკითხვა, სიყვარული, მოგონებები და ჯგუფ-ჯგუფად დავიშლებოდით ხოლმე-ვინ საით. როგორი შეკრულები, ერთგულები, ერთმანეთის მიმართ პასუხისმგებლობის, ვალდებულების გრძნობით

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

აღსავსე ვიყავით!.. გასაჭირში თუ ლხინში განზე გადგომა ან გულგრილობა?.. ასეთი რამ არავის ახსოვდა... მერე რა მოხდა?.. ჯერ კიდევ ჩემი თბილისში ყოფნისას დრომ, სიბერემ, ავადმყოფობამ თანდათანობით, თითქმის ყველა წაიყვანა. ცოტანიღა დავრჩით... როგორი გადასატანია ამდენი უახლოესი ადამიანის სათითაოდ გამოტირება და სინანული?.. ყოველმა მათგანმა ჩემი სიცოცხლის რაღაც ნაწილი გაიყოლა... იყო ჩვენში ერთი მაგარი, სულით მდიდარი, უტყუარი ქართველი ებრაელი-აბრეკ ბათოშვილი.[102] ქართველი ებრაელობის დიდი ნაწილი ისრაელში წავიდა. აბრეკი არ მიდიოდა, - ჩემი მამა-პაპის საფლავები აქ არის - ეს ერთია; მეორე ის, რომ ჩემი ხელობა ომია, სამშობლოს რაღაში გამოვადგები ეს მოხუცებული კაცი - პენსიონერად დავაწვე ისედაც მუდმივ ომში გაბმულ ქვეყანასო?.. ბოლოს მაინც წასულა, - აქ მე აღარავინა მყავსო!.. თბილისში ბოლო ჩასვლისას გავიგე. კოლაჯან, სიმართლეს ვიტყვი, ჩემი რუსეთში გადმოხვეწის ერთ-ერთი, იქნება, მთავარი მიზეზიც, ის იყო, რომ დაკრძალვა-გამოტირებებსა და მარტოკაცობას გამოვექეცი... ეხლა შენც დამტოვე, შე დალოცვილო კოლავ!.. რამდენ ჭირსა და ვარამს ამარიდე და... შენი ხორცი როგორა ვჭამო, ქვეყანაზე ნამუსი აღარ არის?.. მაგრამ სიტყვას გაძლევ, კაცურ სიტყვას, - სული ამოხდომაზე რომ იქნება, მაშინღა გამოგიყენებ, უფრო ადრე, ვფიცავ მაღალ ღმერთსა და ატოცის წმიდა გიორგის - არა... კოლაჯან, გინდა, გიამბო, შენისთანა კაი კაცებმა სიკვდილს რამდენჯერ გადამარჩინეს?.. კარგი, მორჩი. არც მესმის, ეს შენი ტირადა იუმორია თუ დატირება?.. მაშინ, აი, იმ ამბავს გიამბობ... ჰო, ისა სთქვი, „ივერიაში" რომ მოხდა...[103] ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ იყო, სტუმრები მყავდა, გერმანელები, ორი ქალი - ერთი ხნიერი, მეორე ახალგაზრდა და მშვენიერი. სასტუმრო „ივერიაში" იდგნენ. დღისით ვატარეთ, ქალაქგარეთ და ქალაქში - ღირსშესანიშნაობები დავათვალიერებინეთ, მოვიყვანეთ. „ივერიის" რესტორანში ვახშმად მყავდა. შორიახლოს კარგა მაგრად მთვრალი ხუთი ახალგაზრდა კაცი ქეიფობდა. საცეკვაო დაუკრეს. ერთ-ერთი ადგა, ჩემი ლამაზმანი სტუმარი საცეკვაოდ მიიწვია. იცეკვეს, მოიყვანა. კიდევ რომ დაუკრეს, ახლა მეორე მოვიდა. ამასაც წაჰყვა. მესამეს აღარ გაჰყვა.

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჩავერიე, - ალბათ, დაიღალა, მოეშვი-მეთქი. უწმაწურად შემაგინა. შეზარხოშებული ვიყავი, ყბაში ვდღლიზე. მთვრალმა წონასწორობა დაკარგა, ვარდნისას მეზობელი მაგიდის სუფრის ქობას სწვდა, ერთიანად გადმოყარა, თუკი ზედ რამ იყო. ამ სუფრის ხალხი წამოიშალა, ცალკე წაქცეულის თანამესუფრეებმა გამოიწიეს... მაშინდელ დროში იქ მილიცია მორიგეობდა. ადმინისტრატორი მოვარდა, ოფიციანტები და მილიციაც. დააშოშმინეს, როგორც იქნა, ეს „არეული მონასტერი". იმ მოცეკვავე ბიჭებმა - თითო ისეთი იყო, სპილოს წააქცევდა - მუქარებით ამავსეს. ყურადღება აღარ მივაქციე, მოსახვედრი მოხვდათ. წამოიშალნენ, წავიდნენ. ჩვენც მომთავრებული გვქონდა ვახშამი. მივაცილე სტუმრები თავის ოთახამდე, გამოვემშვიდობე. ფრთაზე გამოვედი, ის ნაქეიფარი ბიჭები ჯგუფად იდგნენ. დამინახეს, წამოვიდნენ ხუთივენი. კედელს ავეკარი, კოლაჯან, ზურგი მაინც მქონოდა დაცული. მოიწევენ ლანძღვა-მუქარით!.. მაშინ ჯანი მქონდა, მაგრამ ხუთი ვირგლა მამაკაცის საჯობნი - არა... ეს ამბავია, საიდან იყო, საიდან არა - „ვოლგა" გაჩერდა. გადმოვიდნენ ამირან მორჩილაძე, ბიკენტი ჯმუხაძე,[104] აბრეკ ბათოშვილი, საშა პაპავა,[105] ტარიელ ქუთათელაძე...[106] აბრეკმა თუ ბიკენტიმ დაიძახა, - გორავ, რა ხდება?!. ის დევივით ბიჭები ვერც დავინახე, საით გაქრნენ... ეტყობა, კომპანია იცნეს!.. კი, ალბათ... ეეეჰ, კოლაჯან, შენმა წასვლამ სხვა საფიქრალიც გამიჩინა. ხაბიბულასთან მარტის ნახევარში უნდა ვიყო! გავუძლებ? მოვასწრებ?.. კარგი, გეყო წუწუნი. ადგილმდებარეობა გავიგნოთ, სავალი რამდენი დაგვრჩა, დავაზუსტოთ!..

საქმეს რომ მორჩა, გონებაში ისევ ტყიური გაეხლართა.

მდევრის გამძაფრებული შიში აქვს. სანაძლეოს დავდებ, ოთხმოცდაათს გადაცილებულია... ჩვენ ეხლა ის დავადგინოთ, ეგ კაცი ვინ არის. რამდენიმე ვარიანტი განვიხილოთ... შე კაი კაცო, თავად აპირებდა თქმას, ვინც არის... მოგესმინა? მერე, მე რით გავერთო? ვთქვათ, ყოფილი ინტელიგენტია... მაგაში ეჭვი გეპარება? ხომ საგანგებოდ დავაკვირდით? საქციელი, მანერები!.. კაი, ბატონო, ინტელიგენტთაგანია, ვთქვათ, მენშევიკი, იმ

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

დროს „ახალგაზრდა მარქსისტი“ და ოცდაოთხი წლის აჯანყების მონაწილე. გადმოასახლეს, ანუ დასახვრეტად მოიყვანეს. დახვრეტას გაექცა, ტაიგაში ჩარჩა. დასაშვებია?.. დასაშვებია!.. მაშინ, მოდი, მოვიხილოთ ის დრო და ქართველი საზოგადოების სულიერი მდგომარეობა, ის ფაქტორები, რომლებმაც მისი დაპატიმრება და ციმბირში გადმოსახლება განაპირობა... ათეულ ათასებისა, კაცო!.. კი, საერთო სურათია საჭირო... ჩვენც ხომ იმ ვითარებაში ვიზრდებოდით!..

პირველი მსოფლიო ომის დაწყებიდან მოყოლებული ქართველი ერის, მისი ინტელიგენციის ცხოვრების ძირითადი ნიშანი ხომ გლოვა და შიში იყო. ეს ორი რამ იმ თაობებს სიცოცხლის ბოლომდე გაჰყვა. არავინ მისტიროდა ნივთიერ დანაკარგს, საღი ინტელიგენცია თაობების მანძილზე თავად იბრძოდა ქონების სამართლიანი გადანაწილებისთვის და შედეგს მიღწევად სთვლიდა. მისტიროდნენ უდროოდ, უსამართლოდ დაღუპულებს, იხსენებდნენ ტრაგიკულ მოვლენებს და თავში იცემდნენ ხელებს, რადგან უბედურებათა ეს დაუსრულებელი ჯაჭვი მათივე გამოჭედილი იყო. მამაჩემის სიტყვით, მისი თაობა ჰგავდა გაქურდულ, დედიშობილად დატოვებულ ყაჩაღს, რომელსაც საკუთარი ხელით შეკრულ ყულფში ჰქონდა თავი გაყოფილი. ყოველივე ამას ვუსმენდი, შევცქეროდი და ჯერ იმიტომ ვწუხდი, რომ სწუხდნენ უფროსები, და მერე, როცა ასაკმა მიმატა, ისევ ვწუხდი, რადგან უსამართლობისა და ძალადობის მიმართ აღშფოთების გრძნობა მეწვია. ეს იყო პერიოდი, როცა ავისგან კარგის გარჩევას ვსწავლობდი, სამყაროსადმი დამოკიდებულების კრიტერიუმებს ვეუფლებოდი. პიროვნების მშენებლობა მიმდინარეობდა, ნაგებობის დასრულებამდე ჯერ შორს იყო, მაგრამ საძირკველი მკვიდრი იყრებოდა, მზისა ქვეშე ყოფნის ანბანს ვიზეპირებდი!

რაღა არ იყო იმ ხმით ნატირლებში! ისიც, რომ ას ოცი წლის მონობის შემდეგ ქართველი ერისთვის ღმრთივ ნაბოძები დამოუკიდებლობა „სოცმთავრობანას თამაშში“ წააგეს იდეოლოგიებს გადაყოლილმა დილეტანტებმა; სხვა რომ არა იყოს რა, ცხენოსანი ჯარი გააუქმეს, - არისტოკრატიის ბუნაგიაო; ბრძოლის ველზე რამდენჯერმე დამარცხებულ, უკუქცეულ მოწინააღ-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მდეგეს ველარავინ დაედევნა და ამან, არა მარტო სრულ განადგურებას გადაარჩინა მტერი, არამედ კვლავ შემოტევის შესაძლებლობა და გამარჯვება მოუტანა.

მართალს ამბობდა ერეკლე კარგარეთელი: რევოლუცია დრომოჭმულის აგონია, დასანგრევის ნგრევაა. მის ბელადად მხოლოდ ისეთი კაცი მოდის, ვისაც ახლის შენების ჟინი ბუნებით არ გააჩნია ან ამ ასპარეზზე ხელი აქვს მოცარული, მაგრამ კარგად აქვს შესწავლილი მასების პოლიტიზების, მათი დამუხტვისა და ამოძრავების ხერხები. ახლის შექმნა ტალანტია. დრომოჭმულის ნგრევა - სტიქია, ვითარების გამოყენების ცხოველური ინსტინქტია. ხელმოცარულებს თვითდამკვიდრების წყურვილი რევოლუციური ასპარეზისკენ მიერეკება, რადგან მათი ადამიანური თვისებები და შესაძლებლობები ნგრევის უნარით ამოიწურება. მათ ძალუძთ, მოახდინონ რევოლუცია, ანუ დაანგრიონ დრომოჭმული, მაგრამ არ შესწევთ უნარი, ააგონ სისტემა, ააშენონ სახელმწიფო, რადგან ახლის შექმნა შემოქმედებაა და მათ კი ეს მადლი არ გააჩნიათ. კაცობრიობის ისტორიაში ძნელად მოიძებნება მაგალითი, რევოლუციის ბელადს ძველის დანგრევის შემდეგ ახალი სისტემა თავადვე აეგოს. ეს სხვათა ხვედრია, მათ შემდეგ მოსული კაცებისა. ბელადებისთვის ისტორიას კრომველის, მარატის, დანტონის, რობესპიერის, ლენინისა და მათგვართათვის სხვა ხვედრი აქვს შემუშავებული. დასახელებულთაგან ვერც ერთმა ვერ შეჰქმნა ახალი სისტემა, ვერ დააარსა სახელმწიფო. სხვები მოვიდნენ - კარგი თუ ავი - სხვა საქმეა, მაგრამ ახალი სისტემები, სახელმწიფოები ამ სხვებმა დააარსეს. განთავისუფლებული საქართველოს მენშევიკურმა მთავრობამ სახელმწიფოს მშენებლობაში რევოლუციურ მეთოდოლოგიას - დაპირებებს, სიცრუეს, ტრაბახს, იდეების პროპაგანდას მიმართა და შედეგმაც არ დააყოვნა: ქართველმა ბოლშევიკებმა რუსის ჯარები მოიყვანეს, საკუთარი სამშობლო უწინდელ მპყრობელს ზარ-ზეიმით დაუბრუნეს და თავიანთი ხალხის ღალატი გმირობად მიითვალეს. ახლა ბოლშევიკებმა დაიწყეს საკუთარი ყაიდის „სოციალიზმის მშენებლობა", რევოლუციის საკუთარი, ერთადერთი და განუმეორებელი მეთოდებით... ეგენი ერთმანეთს განუწყვეტლივ სჭამდნენ - საქარ-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თველოს დაპყრობისთანავე, სტალინის დროსაც და მერეც... არც ეხლა არიან უმადოდ, მაგრამ ფიზიკურად მოსპობაზე თითქოს ხელი აიღეს. არა, ოციანი წლები მაინც განსაკუთრებული დაუნდობლობითა და სისხლის წყურვილით არის აღნიშნული. საკვირველია, ჯერ იყო, საქართველოში მყოფმა და რუსებთან თავშეფარებულმა ბოლშევიკებმა ურთიერთშეთანხმებით მოიყვანეს რუსის ჯარები, დაიპყრეს საქართველო და მერე ერთმანეთს დაერივნენ... საბრძანებელი ვერ გაინაწილეს. რაღაც სახელები გამოუგონეს ერთმანეთს: უკლონისტებიო, ტროცკისტებიო... ვთქვათ, ეგ მოხუცი ქართველია. ან რამენაირი „უკლონისტი" იქნებოდა... რატომღაც ერთი სული გაქვს, ქართველი იყოს... იყოს, რა გენაღვლება? საინტერესოა, ყველა რევოლუციისთვის ნორმალურ მოვლენად ითვლება, რომ რევოლუციონერები გამარჯვების შემდეგ ერთმანეთზე იწყებენ ნადირობას? ამ მოვლენის მეცნიერული ანალიზი ან არ არსებობს, ან მე არსად შემხვედრია. რა კანონზომიერებები მოქმედებენ, რა მიზეზები აპირობებენ ამ ხოცვა-ჟლეტებს?.. როგორ გგონია, ერთმანეთი მეტი ამოჟლიტეს, თუ რევოლუციის მტრებად მიჩნეულები?.. ცხადია, თავისიანებს უფრო ინდობდნენ ხოლმე... აგერ, საქართველოს როგორი ღვთის რისხვა დაატეხეს... ეგ ტრაგედიები გაცილებით ადრე დაიწყო, პირველი მსოფლიო ომიდან მოყოლებული სულ სიკვდილები და გლოვა არ იყო?..

რევოლუციამდელი ორი ათეული წელიწადი პოლიტიკური ბრძოლების, არალეგალური მუშაობის, დროდადრო პარტიებსა და სხვადასხვა დაჯგუფებებს შორის მწვავე წინააღმდეგობების, სოციალური შუღლისა და, ძირითადად, ძალმომრეობის პერიოდი იყო. ახალგაზრდობა სრულიად მშვიდობიან პირობებშიც კი აგრესიულია, თავის დამკვიდრებისთვის რას არ სჩადის და მშფოთვარე ვითარებაში, როდესაც ყოველი, ეს არის ეხლა წამოჩიტული ბარტყი, ღრმად არის დარწმუნებული, რომ კაცობრიობის ხსნის პანაცეას ჯიბით დაატარებს, რა გასაკვირია, ძალადობამ იკისროს თაოსნობა. სწორედ ასეთ დროს დაიზარდნენ და დავაჟკაცდნენ ვახტანგ ამილახვარი[107] და სიმონიკა ცხვედაძე,[108] როგორც იტყვიან, გადაბმული ძმაკაცები. ბავშვობა მუშტი-კრივში გაატარეს, ჭაბუკობა - საყვედურებში, შენ თავ-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ადი ამილახვარი რატომ ხარო, შენ რომ გლეხი ცხვედაძე ხარ, ამასთან რა გინდაო! ორი თუ სამი წელიწადი გავიდა, სანამ ძმაკაცებმა ხელშეუხებლობას მიაღწიეს და ეს იმის წყალობით განხორციელდა, რომ მომხვდური და შარისთავი გაულახავი არავინ დარჩენიათ. ტანზორბა და გულადი ბიჭები იყვნენ, თავად ცუდუბრალოდ არავის რასმე ერჩოდნენ, მაგრამ არც ვინმეს რაიმეს შეარჩენდნენ. თავის დამკვიდრების საქმეში ერთი საყურადღებო რამ არის. ვინმე საშუალო მონაცემების, მაგრამ პირველობის მწყურვალი ახალგაზრდა სახელიან თანატოლთან ჩხუბს ეძებს. თუ მოერია, ხომ სხვათა შიშსა და მოკრძალებას მოიპოვებს. თუ არა, თავისი მაინც განაღდებული აქვს, უხორცო კაცის სახელს იხვეჭს, იტყვიან, - ცარიელა გულია, ნახე, ვის შეჰბედაო! მძლავრებსა და შეუპოვრებს, სხვა მიზეზთა გარდა, ამ თავისებურების გამოც არა აქვთ მოსვენება. ხანდახან მაშინაც კი უხდებათ ვიღაცის ჭკუაზე მოყვანა, როცა სულაც არ არიან ამის გუნებაზე. პაპა გორა, როცა კი ვახტანგ ამილახვარზე და სიმონიკა ცხვედაძეზე ჩამოვარდებოდა ლაპარაკი, ასეთ ამბავს ჰყვებოდა ხოლმე:

ათას ცხრაას ოცდაერთი წლის ახალი წლის დღესასწაულზე ვახტანგი და კიდევ რამდენიმე იუნკერი სასწავლებლიდან გამოუშვიათ, შინ ისხდნენ, ქეიფობდნენ.[109] ამილახვრები ბელეტაჟში იდგნენ, იაგორ კარგარეთელს ჩამოუვლია. სწორედ ამ დროს ვახტანგს ფანჯრიდან გადმოუხედავს, აჰხირებია, - ძია გორა, ამოდი, თორემ მეწყინებაო! შესულა, ქეიფს აჰყოლია. ცოტა ხნის მერე საიდანღაც კარგა მოზრდილი სასულე ორკესტრი მოსულა, მაინცადამაინც ამილახვრების ფანჯრის ძირას აუტეხიათ ყროყინი. მოქეიფეებმა ველარც რამე სთქვეს, ველარც ერთმანეთის ნათქვამი გაიგონეს. ვახტანგ ამილახვარი ფანჯარაში გადამდგარა, ორკესტრისთვის უთხოვია, - წადით, სადმე სხვაგან დაუკარითო. დამკვრელები ქეიფიანად იყვნენ, უფრო მყივანი ნაწარმოების შესრულებაზე გადასულან. ვახტანგს გული მოსვლია, - წადით, თორემ ჩამოვალო! — ჩამოხვალ და ფეხები არ მოგვჭამოო! - კაპელმაისტერს უთქვამს. ვახტანგი ჩავიდა, თანამესუფრეებმა სეირის საყურებლად ფანჯრებთან მოიყარეს თავი. ვახტანგმა კიდევ ერთხელ და უაღრესად ზრდილობია-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ნად სთხოვა, - წადითო, — და პასუხად უკმეხი სიტყვები გაიგონა. საკითხი ორიოდ წუთში მოგვარდა... ნაცემებიცა და მცემელიც პოლიციამ მიაბრძანა. ქეიფი გაგრძელდა, იაგორ კარგარეთელმა ცოტა ხნის მერე ვახტანგ ამილახვრის დასახსნელად პოლიციას მიაშურა. ფერშლებს დაშავებულთა მოვლა-პატრონობა უკვე დამთავრებული ჰქონდათ. კუთხეში დაჭყლეტილ-დაჩეჩქვილი საკრავები ეყარა. ვახტანგ ამილახვარი მორიგე პოლიციელს ესაუბრებოდა. მალე უფროსიც მობრძანდა, იოდის სუნი ეცა, ის დოლბანდებში გამოხვეული, კისერზე მკლავებჩამოკიდებული საზოგადოება ნახა, მიუხედავად უკიდურესი განცვიფრებისა - ზრდილობიანი კაცი იყო, მოიცალა - იაგორ კარგარეთელს ახალი წელი მიულოცა და იქაურობის თვალიერებას, უკეთ ვთქვათ, ვითარების შესწავლას მერეღა შეუდგა. დაზარალებულები ოცდაორნი იყვნენ, ბოროტმოქმედი - ერთი და საღ-სალამათი. უფროსი საშინლად განრისხდა, - კაცთა მოდგმა ასე როგორ დაკნინდა, რა დაგემართათ, ამ ერთმა კაცმა ოცდაორს ეს საზარელი ეგზეკუცია რანაირად ჩაგიტარათო, და პირადად, საკუთარი საშუალებებით სათითაოდ გადაყარა ქუჩაში ჯერ საკრავები და მერე თვით ორკესტრანტებიც... იაგორი და ვახტანგი სუფრას დაუბრუნდნენ.

მაშინ ვინ იცოდა, რომ ერთი თვისა და ოცდახუთი დღის შემდეგ ამათში, იაგორ კარგარეთლის გარდა, ცოცხალი აღარავინ იქნებოდა! შვიდივემ კოჯრის[110] მაღლობებზე დასტოვა მშვილდის ლარივით მოზიდული თავისი სიცოცხლე. ორივ მხრიდან ბევრი დაიხოცა. ორი ძმათა საფლავი გაითხარა. ერთში ისინი ჩააწვინეს, ვის დედებსაც „სოციალური სამართლიანობის“ დამყარებისთვის ცხრა მთას იქით გაგზავნილი და უცხო მიწაში დაფლული შვილები უნდა ეტირათ, და მეორეში — ის მამულიშვილი ჭაბუკები, ვინც მომხდურის მიერ ჩამოტანილ სამართლიანობაზე განსხვავებული აზრისა იყო და არდავიწყების, უკვდავების ამაო სასოებით მიებარა მშობელ მიწას.

ალბათ, ასე დასტირიდა საქართველო ძველი ომების ლრიანცელსა და სისხლში ჩაკარგულ შვილებს. ეს მერამდენედ განმეორდა ისტორია! დამარცხებული ქვეყნისა თუ ხალხის მებრძოლებს გამარჯვებული მხარე თითქმის ყოველთვის, იქვე, სიკ-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ვდილის ადგილზე ჰფლავს. რუსის ჯარების ქართველმა მეგზურებმა დაცემულთა ჭირისუფლებს ნება დართეს, მოკლულები წაესვენებინათ და თავიანთი სურვილისამებრ დაეკრძალათ. ამ ნებართვით თითქმის არავის უსარგებლია, ორასი ცხედარი თბილისში ჩამოასვენეს, გოლოვინის პროსპექტზე რუსების სამხედრო ტაძრის ეზოში დაჰკრძალეს. სახელდობრ, ასეთი იყო ხელისუფალთა განკარგულება და, როგორც შემდგომ გამოირკვა, ამაშიც ვერაგი განზრახვა იდო. თბილისელებს, ჯერ ახდილად და აკრძალვის შემდეგ — მალულად, იუნკრების საფლავებზე ყვავილები მიჰქონდათ და ისეთი შემთხვევებიც იყო, გლოვა სტიქიურ, სამგლოვიარო მიტინგად გადაქცეულა. ეს ბოლშევიკების მიზნებს ეწინააღმდეგებოდა. ამიტომ, როცა რწმენას ათეისტური პროპაგანდა დაუპირისპირეს და ტაძრების ნგრევას მიჰყვეს ხელი, რუსული სამხედრო ტაძარიც ზედ მიაყოლეს და იუნკრების საფლავებიც პირისაგან მიწისა აღგავეს. ხალხი ამ ტაძარს „რუსების სობოროს“ ეძახდა, რუსული მპყრობელობის სიმბოლოდ სთვლიდა, ასეც იყო, მისი დანგრევა ყველას უხაროდა. ამ მალულ სიხარულში დაიძირა თავდადებული ბიჭების ხსოვნის მემორიალი.

ძნელი სათქმელია, ახალი ხელისფლებისთვის რას უფრო მეტი მნიშვნელობა ჰქონდა - რელიგიის წინააღმდეგ ჩატარებულ ღონისძიებას, თუ ნაციონალიზმად მიჩნეული გლოვის აღკვეთას, რაც, ერთდროულად, წართმეული დამოუკიდებლობის გამო გლოვაც იყო. მე თუ მკითხავს ვინმე, მეორე მეტს იწონიდა. დანგრეული სობოროს საძირკველი რამდენიმე წელიწადს ხელუხლებელი იდგა. მის სარდაფებში პაცნებად წოდებული, ომებსა და რევოლუციებში დაობლებული ბავშვები ბუდობდნენ. ეზო დიდი იყო, ვიღაც მოზრდილები ახლომახლო განლაგებული სკოლების ბავშვებს ველოსიპედით სიარულს გვასწავლიდნენ, წრე ორი შაური ღირდა. ველოსიპედის ტარება ბევრმა სწორედ იქ ვისწავლეთ და პირადად მე კოჭობანაშიც იქ მივაღწიე „უმაღლეს დახელოვნებას“, მაგრამ იმ თამაშებსა და გართობას დროდადრო სუდარად ეფინებოდა იუნკრების ხსოვნა, სუ-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ლი მეკუმშებოდა და თავს დამნაშავედ ვგრძნობდი, რომ მეც მა-
თთან ერთად არ მეფარა ის საგულდაგულოდ გადასწორებული
და საგანგებოდ დაძეკილი ქართული მიწა.

შემდგომში სობოროს ადგილას საბჭოთა საქართველოს მთ-
ავრობის სასახლე აშენდა და იუნკრების საფლავებს გულზე
გრანიტის კიბეები დააწვა...

სისასტიკის, დაუნდობლობის პირველი მაგალითებიც მაშინ
ვნახე. ზოგი იძულებითი და მართებული იყო, ზოგი დაუფიქრ-
ებელი, წამოფეთქების შედეგი. კიკეთში ავი ქართული ნაგაზი'''
გვყავდა, „ოგრესა" ერქვა. არ ვიცი, თავიდანვე ასე იყო განზრა-
ხული, თუ მე გადავაბრუნე და უკუღმა წავიკითხე, მაგრამ ამიე-
რკავკასიისა და საქართველოს კომუნისტების თავკაცის ორჯ-
ონიკიძის სახელი - სერგო — კი გამოდიოდა. ავი იყო ოგრესა,
მამას დღისით დაბმული ჰყავდა, ძილის წინ, შუაღამისას აუშ-
ებდა ხოლმე. პაპამ ერთი მოულოდნელი ჩვეულება შეამჩნია -
იმის მაგივრად, რომ სახლ-კარს სდგომოდა, აშვებისთანავე სა-
ითღაც წასვლა და მხოლოდ რიჟრაჟზე დაბრუნება დასჩემდა.
მამამ კი ისიც შენიშნა, რომ ძაღლს მადა წაუხდა და ბურტყლ-
მაც ცვენა უწყო. ერთ ღამეს მამა კვალდაკვალ მიჰყვა. ძაღლმა
იარა, კოჯრის მაღლობებზე დამარხული რუსი ჯარისკაცების
ძმათა საფლავს მიადგა... სთხრიდა, ლეშსა სჭამდა! ოგრესა და-
ბრუნდა, პაპამ თოფი დაახალა და მოჰკლა. ტირილი დაიწყე,
ძლივს დამამშვიდეს. ხანი გავიდა, პაპამ თავისი საქციელი ასე
განმიმარტა:

- ეგ ბიჭები ჩვენთან ზოგი იდეამ მოიყვანა და უმრავლესობა
კი — იძულებამ. დედები მათ ერთნაირად გლოვობენ. ეგაც ნუ
იქნება, ბრძოლის ველზე დაცემულ მეომარს, შენია თუ სხვისი,
თანაბარი პატივისცემა, ნათელი ხსოვნა და მშვიდი განსვენება
ეკუთვნის. საერთაშორისო შეთანხმებით, ძმათა სასაფლაო
ორმოცდაათი წლის მანძილზე ხელშეუხებლობით სარგებლო-
ბს, მისი რამენაირად შემრყვნელი კაცი ისჯება. მართალია, ოგ-
რესა ძაღლია, კანონების ცოდნას ვერ მოსთხოვ, მაგრამ მძორ-
ის მჭამელმა ძაღლმა რომ არ უნდა იცოცხლოს, ეს ხომ თავის-
თავად ცხადია.

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მე ეს ახსნა-განმარტება მაშინვე ჭეშმარიტებად მივიღე, მაგრამ დღემდე მესმის პირველი გასროლის შემდეგ ოგრესას სამკვდრო შეწკავწკავება და ვხედავ, მოცელილივით რომ დაეცა მეორე ტყვიის მერე.

იმავ ხანებში ასეთ ამბავსაც შევესწარი. კიკეთში ცუდბალახიან წლებში ჩვენს ბაღს მამა გასათიბად[112] თავის ნათლიმამებს აძლევდა, კარგბალახიან წლებში სხვა დიდებელი გლეხები სანახევროდ სთიბავდნენ, ხან რომელი, ხან ვინ. იმ ზაფხულს რატომღაც სხვა სოფლიდან მოსულები მუშაობდნენ. საყურებლად ჩავედი. სამხარი ჰქონდათ, ჩრდილში ისხდნენ, საუბრობდნენ. ერთ მათგანს პირღია ეძინა, ძალუმად ხვრინავდა. მეორე წამოდგა, მხვრინავს გადაალაჯა, ჩაცუცქდა და შიგ ღია პირში ის უქნა, რასაც სულხან-საბა „პრაწად“ იხსენიებს. სხვებმა სიცილ-ხარხარი ასტეხეს. მძინარეს გამოელვიძა, ჩანს, უცბად ვერ მიხვდა, საქმე როგორ იყო, მოგვიანებითღა დაუწყო შეურაცხმყოფელს ლანძღვა-გინება და მუქარა. გაწევ-გამოწევა და გაშველებაც იყო. ბოლოს და ბოლოს, თითქოს დაწყნარდნენ, თიბვა განაგრძეს. მოჩხუბრები ერთმანეთის გვერდი-გვერდ სთიბავდნენ.

ცოტა ხნის შემდეგ შეურაცხყოფილმა რაღაცნაირად მოახერხა, რაც კი ძალ-ღონე ჰქონდა, შეურაცხმყოფელს ცელი წვივებში უწვდინა! მომეჩვენა, რომ ცელის პირი წვივის კუნთებში ყუამდე ჩავიდა... არაფერი, დაკოდილმა იბობოქრა, იწია, დამშვიდდა, ჭრილობაზე მიწა მიიყარა და მუშაობა განაგრძო!..

მზისა ქვეშე ყოფნისთვის წვართვის მსვლელობაში ერთი საოცარი ტერმინით შეივსო ჩემი ცოდნის კიდობანი: „მოისპოს, როგორც კლასი!“ ეს გამოთქმა რომ რევოლუციის პირმშოა, ეჭვს გარეშეა, მაგრამ, სახელდობრ, რომელმა რევოლუციამ გაამდიდრა საერთაშორისო ლექსიკონი ამ საბედისწერო სიტყვით, დაზუსტება ბევრჯერ განვიზრახე და წყაროებზე ხელი ვერც ერთხელ ვერ მიმიწვდა. ისე უნდა მოვკვდე, ეს ვერ დავადგინო?.. საბედისწერო-მეთქი, იმიტომ ვამბობ, რომ ოქტომბრის რევოლუციის მესვეურები ერთთავად ამით იყვნენ გართული - განუწყვეტლივ ვინმეს სპობდნენ, როგორც კლასს. ჯერ ბურჟუაზია და არისტოკრატია გაანადგურეს, როგორც კლასი. მერე

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მშრომელ, ნიჭიერ გლეხობას კულაკები დაარქვეს და, როგორც ექსპლოატატორთა კლასი, ესენიც მოსპეს. რაც შეეხება არაკომუნისტურად მოაზროვნეებს, ნამდვილსა თუ გამოგონილ ოპოზიციას, აპოლიტიკურ პირებს - შენიღბულ მტრებად რომ ჩაითვალნენ - და მოყოყმანეთ, ან ასეთებად მიჩნეულთ - ამათი, როგორც კლასის, განადგურება პერმანენტულად და მეთოდურად მიმდინარეობდა. „მოისპოს, როგორც კლასი!" ბოლშევიზმის მანათობელ ვარსკვლავად იქცა და ყველაზე გავრცელებული გამოთქმა იყო, ათას ცხრაას ჩვიდმეტი წლის ოცდახუთი ოქტომბრიდან სტალინური დიქტატურის დასასრულამდე. მას მერე თვით ტერმინი აღარ იხმარება, მაგრამ მის არსს ღირებულება დიდხანს არ დაუკარგავს. ბავშვობაში მე მხოლოდ ის მესმოდა, რომ საბჭოთა საქართველოს ხელმძღვანელობა, კერძოდ, სერგო ორჯონიკიძე, თავისი დასითურთ, სტალინის დავალებით, როგორც ცალ-ცალკე კლასს, სპობდა ყოფილ მეწარმეებს, სამღვდელოებას, თავადაზნაურობას, მენშევიკ მუშებს, შეძლებულ გლეხობას და მეფისა თუ საქართველოს ეროვნული არმიების ოფიცრებს. ეს მესმოდა და რამდენადმე დაბნეული ვიყავი, რადგან ერთმანეთსაც რომ სპობდნენ, ვიცოდი და ვერაფრით მიმეგნო, თუ კიდევ ვისგან შესდგებოდა ჩვენი ქვეყანა და, სახელდობრ, ვის არ სპობდნენ ბოლშევიკები, როგორც კლასს. სპობდნენ ყველას და ამისთვის მმართველები ყველანაირ საბაბს იყენებდნენ, არც ცილისწამებას თაკილობდნენ და ყოველივე ამას კლასობრივ ბრძოლებს უწოდებდნენ.

ჩვენს ოჯახში და მთელ საზოგადოებაშიც გავრცელებული იყო აზრი, რომ ემიგრაციაში მყოფ მენშევიკურ მთავრობას საქართველოში აჯანყების მოწყობის იდეა თავად ქართველმა ბოლშევიკებმა შეუცოცეს. შეუცოცეს და გაყუჩდნენ. ის აჯანყება ავანტიურად იმიტომ მოინათლა, რომ მენშევიკებმა ქართველი ხალხი მოატყუეს, - თქვენ მხოლოდ აჯანყდით, ანტანტის სახელმწიფოები დესანტს გადმოსვამენ, საქმეს თავად დაასრულებენო. მენშევიკები ხელმძღვანელობდნენ იმ ცნობილი მოსაზრებით, რომ დაღვრილი სისხლი, თუნდ ერთი წვეთი იყოს, მომავალში უსათუოდ დაიყივლებს, სისხლისმღვრელს პასუხს მოსთხოვს და ერი თავისას გაინაღდებს. ეს ასეა და ამას სოცი-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ალური თუ ეროვნული განთავისუფლებისთვის ბრძოლების ისტორია ადასტურებს, მაგრამ მენშევიკებს მხედველობიდან გამორჩათ ის არანაკლებ ცნობილი მოსაზრება, რომ მოუმზადებელი, მოტყუებაზე დაფუძნებული აჯანყების დამარცხებას ტერორი და ერისა თუ კლასის ხანგრძლივი პასიურობა მოსდევს. წინააღმდეგობის განახლებამდე, სულ ცოტა, ერთი თაობის მანძილია და აჯანყების მაპროვოცირებელ ემიგრაციას სამშობლოში დაბრუნება არ ეწერა. ისიც შესაძლებელია, არაფერი გამორჩენიათ და იმდენად სწყუროდათ თავიანთივე სისულელით დაკარგული ხელისუფლების დაბრუნება, რომ რისკზე წავიდნენ, - ეგება რამე გამოვიდესო. სამაგიეროდ, ბოლშევიკებმა ჩინებულად გამოიყენეს აჯანყება, რომ, როგორც კლასი, მოესპოთ ყველა, ვინც მათთან აქტიურად არ თანამშრომლობდა. მცირეწლოვანი ვიყავი, მაგრამ მაშინვე მესმოდა, რომ გრძნეული ძალის მქონე ფრაზა - „მოისპოს, როგორც კლასი", ჩვენს ოჯახს, მთელ ქართველ ერს, დღესვე თუ მომავალში მეხთატეხად უნდა წამოსწეოდა. არც მოვტყუებულვარ, ჩემმა ბავშვობამ და მთელმა სიცოცხლემაც ამ ჯადო-ნიშნით იარა.

ბოლშევიკებმა რომ აჯანყების დაწყების თარიღი წინასწარ იცოდნენ, ამაში ეჭვის შეტანა შეუძლებელია, რადგან ეს იცოდა მთელმა ქართველმა ერმა. ამაზე ახდილად საუბრობდნენ, მსჯელობდნენ და თვით ბოლშევიკებს აჯანყების პარიტეტული კომიტეტის ზოგ წევრთან კავშირიც კი ჰქონდათ. ყოველ შემთხვევაში, ასე იყვნენ ინფორმირებული ჩემი მშობლები და მათი წრე. ამ ფაქტის უტყუარობა იმითაც დასტურდება, რომ ადგილობრივ კომუნისტებს მომავალ აჯანყებაში მონაწილეთა სიები ხელთ ჰქონდათ. ჩაქრობის გეგმები წინასწარ იყო შემუშავებული და მათი სისრულეში მოყვანა რუსის ჯარის ჩაურევლად უნდა მომხდარიყო, მოსკოვის წინაშე იმის სადემონსტრაციოდ, რომ საქართველოს კომუნისტების ბრძნული ხელმძღვანელობით ქართველი ერის სოციალიზმის მწვერვალებისკენ ძლევამოსილ მსვლელობას ვერავითარი ავანტიურა ვერ შეაფერხებდა, და მთავარი: კრემლის დერეფნებში მთხოვნელებად ჩამომსხდარმა ქართველმა ბოლშევიკებმა ლენინისგან ადრე ხომ იმ საბაბით მიიღეს საქართველოს დაპყრობისთვის ჯარები, რომ ქარ-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თველ ერს სოციალიზმი სწყუროდა? აი, ნახონ რუსებმა, რომ აჯანყება საქართველოს მშრომელებმა საკუთარი ძალებით, რუსეთის არმიის დაუხმარებლად ჩააქრეს. ნახონ და გადმოაბნ-იონ ჯინჯილები!..

აჯანყების დღეებში წითელრაზმელები კარ-კარ დადიოდნენ, სიაში შეტანილი ხალხი სახლებიდან გამოჰყავდათ და ხვრეტდ-ნენ. გეგმით, ათი ათასი კაცი დაუყოვნებლივ უნდა დახვრეტილ-იყო. ეს გადაჭარბებით შესრულდა. შემდეგი რეპრესიები შერჩ-ევითი წესით უნდა გაგრძელებულიყო; ვის - ტყვია, ვის - ციმბი-რი. საყურადღებოა, რომ ზოგან საფლავებიც კი წინასწარ გამზ-ადებული აღმოჩნდა - გრძელი, არცთუ ღრმა თხრილები...

ტყიურო, ჭორი მაქვს გაგონილი, მიტილენიჩის მამა გადმო-სახლებული ქართველი იყოო. შესაძლებელია, რომ სწორედ შენი შვილია ჩემი მადევარი? იქნება, შესძელი და დაუძვერი დახვრეტას?.. კაი გასართობია, ამაზე მერეც ვიფიქროთ...

აჯანყების დღეებში მრავალი ტრაგედია დატრიალდა. მე სხ-ვაზე მეტად იმ ამბავმა ამაფორიაქა, სადღაც სამეგრელოში რომ მოხდა. ორასზე მეტი დამნაშავე და უდანაშაულო მოუგროვებ-იათ, ორ-ორი კაცი მსხვილი მავთულით მაჯებით გადაუბამთ, თხრილის პირას დაუყენებიათ, ტყვიამფრქვევით დაუცხრილა-ვთ. იმ ხალხში ორი ძმა[113] ყოფილა, ისინიც ერთმანეთზე გადაბ-მულები. წინ მდგარან, პირველ თუ მეორე რიგში. უმცროსს ტყ-ვიამფრქვევის აკაკანებამდე წასვლია გული, ძირს დაცემულა. გონს რომ მოეგო, ნახა, სამარეში, საძმო საფლავში იწვა. გაახ-სენდა, რომ ძმასთან იყო გადაბმული. ძებნა დაუწყო და მიხვდა, რომ ზემოდან მიწა თხლად ეყარა, მოძრაობა ძნელად, მაგრამ მაინც შეიძლებოდა. ძმის მკლავი იქვე ჰქონდა, სხეული კი სხვა გვამებს ქვეშ მოყოლილიყო, მისი გამოთავისუფლება ვერანაი-რად ვერ მოხერხდებოდა. მაინც იწვალა და როცა იმედი გადაუ-წყდა, საკუთარი სიცოცხლის ხსნაზე ფიქრებს მიჰყვა. სხვა გზა არ სჩანდა, ძმის მკლავის სახსარი უნდა გადაეღრღნა და მიწის არღვეეა ეცადა... დიდხანს იწვალა, გადაღრღნა. ახლა მიწას დაუწყო ბრძოლა. ააღწია და შინისკენ გასწია. მიდიოდა, მაჯა-ზე მავთულით მიბმული ძმის მკლავი მიჰქონდა. სახლს გარიჟ-რაჟზე მიადგა. დააკაკუნა. მამის ხმა მოესმა, - რომელი ხარო?

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

— უთხრა, ვინც იყო. მამამ იცოდა, ძმები დასახვრეტად ერთად წაიყვანეს და კარს იქიდანვე ჰკითხა, - უფროსი სად არისო? — გაიგო, რომ დახვრეტილია, და უმცროსს უთხრა: - შენ კაიკაცობით არ ხარ გადარჩენილი, შენს მამობაზე ხელი ამიღია, აღარ დამენახოო. შვილი ემუდარა, - გამიღე, რაღაცას დაგანახვებ და ყველაფერს მიხვდებიო. როგორც იქნა, დაიყოლია. მამამ კარი გააღო...

რამდენი დრამა და ტრაგედია მოჰყვა ჯერ რევოლუციებს და შემდეგ საქართველოს გასაბჭოებას, ღმერთმა იცის. ერთ მათგანს მოვიგონებ, იმ პერიოდისთვის ტიპურს. დიდი სოციალური გარდატეხების მსვლელობაში ასეთი სიუჟეტები იმდენად ტრივიალურია, რომ მოსმენაც კი არავის უნდა, ამთქნარებენ ხოლმე... ძალიან ეშხიანი, ოცდაოდე წლის, საზოგადოებისთვის კარგად ცნობილი ქალიშვილი, ინტელიგენტის ოჯახიდან, სცენისმოყვარე ან უკვე მსახიობი. ოცდაათს გადაცილებული, არისტოკრატული წარმოშობის, წარმოსადეგი გარეგნობის, ხალხში ყველა მაღალი ღირსების მქონე კაცად ცნობილი მწერალი, საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე, პარლამენტის დეპუტატი, ოპოზიციური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი და მისი მთავარი ბეჭდვითი ორგანოს რედაქტორი. ოპოზიციას, ჩემი აზრით, ამ ამბავში გარკვეული მნიშვნელობა აქვს, რადგან კლასიკური სამკუთხედის მესამე ელემენტია რიგითი თბილისელი მოქალაქის შვილი, სცენისმოყვარე, პროფესიით მოქანდაკე, უკვე დასახელებულ ორ პერსონაჟზე მეტად თუ არა, არანაკლებ ნიჭიერი და პოპულარული პიროვნება.

ტრაგედია იწყება იმით, რომ მწერალს მსახიობი ქალიშვილის გადარეული სიყვარული შეეყარა და კარგა ხნის დაჟინებული ტრფიალის შემდეგ ქორწინება[114] შესდგა. ქალიშვილს დიდი სიყვარული არ უნდა ჰქონოდა. ეს მომავალში მრავალი ნიშნით დადასტურდა. საქმე ის არის, რომ მწერალი, მართლაც, საოცრად სათნო და სანდომიანი კაცი იყო. ამას გარდა - მე ეს ფაქტორი გადამწყვეტი მგონია - მენშევიკური მთავრობის სიცოცხლისუნარიანობისა სალად მოაზროვნე ადამიანებს ნაკლებად სჯეროდათ, ინტელიგენციის მოწინავე ნაწილი მათი პროგრამის წინააღმდეგი იყო. ვფიქრობ, ისტორიულად, ინტელიგენცი-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ის ერთი ნაწილის სიმპათია ყოველთვის ოპოზიციის მხარეზეა
და არა არსებული ხელისუფლებისა. ყოველგვარ წინააღმდეგ-
ობას მედგარი ბრძოლისა და, მაშასადამე, გმირობის შარავან-
დედი მოსავს და სუფთა, პატიოსანი გოგონა, ცხადია, მწერალს
მიანდობდა გულს და არა რომელიმე მოქმედ ფუნქციონერს. იქ-
ორწინეს, ცხოვრობდნენ, მოღვაწეობდნენ, საზოგადოების გამ-
ახვილებული ყურადღება არ მოჰკლებიათ, პატივისცემითა და
სიყვარულით სარგებლობდნენ, სანამ... საქართველო გასაბჭო-
ვდებოდა! ერთი სოციალისტები მეორე სოციალისტებმა შესც-
ვალეს. მწერალი იმ სოციალისტებსაც კი ედგა ოპოზიციაში,
ვინც დამოუკიდებელი საქართველოს დროშით აპირებდა სამა-
რთლიანი საზოგადოების შექმნას და რა დამოკიდებულება უნ-
და გაემჟღავნებინა იმ სოციალისტების მიმართ, ვინც საქართვ-
ელოს მომავალს რუსეთის მრავალეროვანი სახელმწიფოს ფა-
რგლებში გულისხმობდა? ორიოდე დღე დასჭირდა იმას, რომ
მწერალი ყოველგვარ სამომავლო პერსპექტივას მოკლებულ,
დევნილ პირად ქცეულიყო, ხოლო ახალგაზრდა, ცნობილი მსა-
ხიობი ქალი - არსებული ხელისუფლების „მოსისხლე მტრის"
მეუღლედ და თანამოაზრედ. ასეთ ვითარებაში ორთავეს თავი-
სი ადგილი უნდა ეძებნა და ასეც მოხდა. მწერალმა აჯანყების
მზადების ერთ-ერთი ხელმძღვანელის როლი იკისრა, არალეგ-
ალურ მდგომარეობაზე გადავიდა და თავისი ადამიანური, მოქ-
ალაქეობრივი და ეროვნული მოვალეობების აღსრულებისთვის
გადასდო საკუთარი სიცოცხლე.

სხვაგვარად შეეძლო?..

ახალმა სოციალისტებმა მუშურ-გლეხური ხელისუფლების
კოზირი გაითამაშეს და, უნდა ითქვას, საკმაო წარმატებითაც.
მათ მიერ დეკლარირებული სუვერენული რესპუბლიკის, ეროვ-
ნული კულტურის დამოუკიდებელი განვითარების, სოციალუ-
რი სამართლიანობისა და თანასწორობის ლოზუნგები ქართვე-
ლი ხალხის ძირითადმა ნაწილმა და, განსაკუთრებით კი, ქვედა
ფენებმა აღფრთოვანებით მიიღეს და აქედან გამოსულმა პოპუ-
ლარებმა საზოგადოებაში წამყვანი ადგილი დაიკავეს - მათ შო-
რის, ზემოხსენებულმა მოქანდაკე-მსახიობმაც, რომლის ძველ-
მა სიყვარულმა მსახიობი ქალის, ახლა უკვე დევნილი მწერლ-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ის მეუღლის მიმართ, ახალი ძალით იფეთქა. ქალს რომ დასაბამისმიერი ფუნქციის გამო ძლიერი მფარველი ერგება, ეს თავისთავად იგულისხმება და ჩვენი გმირისთვის იმ ვითარებაში გადარჩენის სხვა საშუალება არც არსებობდა. მწერალს ეძებდნენ, მისი მოკვლის ან დაპატიმრებისთვის ფულადი ჯილდო იყო გამოცხადებული. ცოლს არ აპატიმრებდნენ, მისატყუარად ჰყავდათ, - ქმარი, როცა იქნება, ცოლისა და შვილის სანახავად მოვა და ავიყვანთო. მეორე მხრივ, უმწეო ახალგაზრდა მსახიობი ქალისთვის რამდენადმე უჩვეულო ვითარებად მაინც უნდა ჩაითვალოს ის, რომ მის ბინაში დღედაღამ ჩეკისტები მორიგეობდნენ. ისე ჩანდა, რომ ქმრის დაპატიმრებისა თუ მოკვლის შემდეგ ცოლს ციმბირის რომელიმე მიყრუებულ ქალაქში მოანგარიშედ ჯდომა არაფრით არ უნდა ასცდენოდა, თუკი მდევრები ამას დასჯერდებოდნენ. ამ უკიდურესად დაძაბულ ვითარებას დაერთო ისიც, რომ სულ ახლო წარსულში ბედნიერი ცოლ-ქმრის პირმშომ წუთისოფელი უდროოდ დასტოვა და ტრაგედია უფრო გამძაფრდა... ქალმა მწერალი მიატოვა, მოქანდაკეს გაჰყვა და ამით თავი იხსნა. სხვა რა უნდა ექნა, რა გამოსავალი ჰქონდა? კეთილი ადამიანები, ისინი, ვინც ამა თუ იმ საქციელის გამართლებას ეძებს და არა დაგმობას, იმასაც კი ამბობდნენ, რომ მსახიობმა მოქანდაკეს ქმრის დაჟინებული მოთხოვნით შეაფარა თავი - გაჰყვა. ცოლ-ქმრის გზები ერთხელ და სამუდამოდ გაიყარა.

ქალის შემდგომ ცხოვრებაში კიდევ მრავალი გარდატეხა მოხდა, კიდევ ერთხელ აღმოჩნდა ციმბირის ბანაკებში სიკვდილის სრულიად რეალური საშიშროების წინაშე, მაგრამ ბოლოს იმ დახლართულ, საბედისწერო ვითარებებში ზეგარდმო ნაბოძები ნიჭითა და გონებით გზა გაიკვალა და ღრმად მოხუცი გარდაიცვალა. სამართლიანობა მოითხოვს, უნდა აუცილებლად ითქვას, რომ მწერლისა, სიყვარული თუ არა, მოწიწება და თაყვანისცემა სიცოცხლის დასასრულამდე სიამაყით მიიტანა და რამდენიმეჯერ მის მიმართ თავისი დამოკიდებულების საჯაროდ გამოხატვაც კი გაბედა. ერთ ასეთ შემთხვევას პირადად შევესწარი, თბილისში ორიოდ კვირით ჩამოვედი, შვებულება მქონდა. ცნობილი ქართველი მოღვაწის გარდაცვალების თარიღ-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ის აღსანიშნავ საღამოზე ეს ქალი სიტყვით გამოვიდა, ემიგრაციაში გარდაცვლილი პირველი ქმრის ოდესღაც გამოქვეყნებული მშვენიერი წერილი წაიკითხა, - ერთმა, აწ მივიწყებულმა მწერალმა, ჩვენი იუბილარის დაბადების ორმოცდაათი წლისთავზე ასეთი რამ დასწერაო! მართალია, სტალინი კარგა ხნის მკვდარი იყო, მაგრამ ასეთი სითამამე ამ დროშიც მტრულ გამოხდომად ითვლებოდა. არაფერს დაერიდა, წაიკითხა.

მწერალი თავის ვალსა და მოწოდებას ბოლომდე მიჰყვა და უკიდურესად უიღბლო, მხოლოდ დამარცხებების დაღით აღბეჭდილი ბიოგრაფიის ტრაგიკული მაგალითი შვა. აჯანყება დამარცხდა. რეპრესიებზე უკვე ვილაპარაკე. აჯანყების ხელმძღვანელობა - „პარიტეტული კომიტეტი“ - მთელი შემადგენლობით იქნა დაპატიმრებული, მწერლის გარდა. ისევ მალვა და სიკვდილის გამუდმებული საშიშროება, ისევ ოჯახების დაწიოკება, შემფარებელთა დაპატიმრება და მიუსაფარი ადამიანის განცდები. ასე გაიარა წელიწადზე მეტმა და ბოლოს, ნათესაობის კატეგორიული მოთხოვნით, მწერალი ემიგრაციაზე დათანხმდა. ესაც პრობლემა იყო და მაინც მოხერხდა ერთი შკიპერის დაყოლიება. მწერალი ბათუმში ჩააპარეს. მაშინ მატარებლებს გულდასმით ამოწმებდნენ, ხალხი რეპრესიებს გაურბოდა, ზოგი ხმელეთით, ზოგი ზღვით თურქეთში გადადიოდა. უამრავი ხალხი წავიდა, მეტწილად, ახალგაზრდობა. ხელისუფლება საგანგებო სიმკაცრით უსწორდებოდა ყველას - გამქცევსაცა და ხელშემწყობსაც. ჩაიყვანეს, შკიპერს ჩააბარეს და გამობრუნდნენ. ორი დღის შემდეგ მწერალმა ქუთაისში მიაკითხა თავის დას, რომელიც იმჟამად იქაურ თეატრში თამაშობდა. მისი დაბრუნება ბევრმა მსახიობმა გაიგო, მაგრამ არავის გაუცია და სწორედ ისეთმა მისცა თავშესაფარი, ვისზეც ხმა დადიოდა, - ჩეკისტების აგენტიაო. ყველა განცვიფრებული იყო, უცხოეთში წასასვლელად გამზადებული კაცი ისევ დევნასა და სიკვდილს რომ დაუბრუნდა. მან კი ასეთი რამ განაცხადა, - ჩემი თანამებრძოლების სამარეებს ვერ მივატოვებ. ჩემს მეგობრებს, ნათესავებს, ერის საუკეთესო შვილებს დაუნდობლად ჟლეტენ, ჩემი სამშობლო განსაცდელშია და მე ამ ვითარებაში წასვლას დეზერტირობად ვთვლი. ჩემი ადგილი აქ არის და არა პარიზის კაფ-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ებშიო!.. იქამდე ეთამაშა სიკვდილს, იქამდე აწვალა მდევარი და იწვალა თავად, სანამ ემიგრაციაში მყოფი პარტიული ხელმძღვანელობის კატეგორიული მოთხოვნა არ მიიღო, საქართველოს გასცლოდა. წავიდა ისევე, როგორც მთელი მისი თაობა წავიდა - ვინ — უმჯობეს სამყაროში, ვინ — ციმბირში და ვინ — ემიგრაციაში. იქ თვრამეტ წელიწადს იყო. ცოლი არ შეურთავს. ცხოვრობდა, ლექსით ამკობდა თავის პირველ და უკანასკნელ სიყვარულს და სინანულით მიტოვებულ სამშობლოს.

დაკრძალულია პარიზის ახლოს, სენტ-უენის სასაფლაოზე.

მსახიობი ქალი სიცოცხლის ბოლო წლებში ზაფხულობით ქვიშხეთში ისვენებდა ხოლმე მიუხედავად იმისა, რომ შეეძლო, უფრო მოხერხებულ და პრესტიჟულ კურორტებს სწვეოდა. საქმე ის არის, რომ მან და მწერალმა აქაურ პატარა ეკლესიაში დაიწერეს ჯვარი. ეკლესია მწერალთა დასასვენებელი სახლის გვერდით დგას - ძველისძველი, მოუვლელი, მიტოვებული. მსახიობი დიდხნობით იდგა ხოლმე ზურგით სამყაროსგან, იდგა კედელზე შუბლმიდებული და გარინდებული. რისა უნდა ყოფილიყო ის გარინდება? ცხოვრების სიმუხთლეთაგან ნაბოძები ცოდვების მონანიებისა, პირველი ქმრის უკუღმართი იღბლის დატირებისა თუ სიბერის გლოვისა?

ვინ იცის, იქნება ახალგაზრდობის ანკარა გრძნობების გულწრფელი დატირება იყო და არა მხოლოდ შესისხლხორცებული არტისტული პოზა - მისთვის ბუნებრივი და თავისებურად მონუმენტური.

აჯანყების შემდეგ ქართველი ინტელიგენციის ძირითადი ადგილსამყოფელი მეტეხის ციხე გახლდათ. ქართველმა კაცმა გადასახლებისა თუ დახვრეტის წინ ციხეში რა უნდა აკეთოს? როგორც ყოველთვის, სიმღერას უნდა გადააყოლოს გული. ისხდნენ და მღეროდნენ. ხალხში ამ სიმღერებისა ნაწყვეტებიღა დარჩა: „მშვიდობით, დედავ, მშვიდობით, სატრფოვ და შენც, მშვიდობით, ციხევ მეტეხო. შენც, საქართველოს ზურმუხტ-ხმელეთო, და ცა-ფირუზის ელვავ და მეხო“. თუ არა ვცდები, ეს ამ სიმღერის მინამღერია: „სიზმრად ვნახე, საქართველო სისხლის ზღვაში ბანაობდა, დაფლეთილი მისი დროშა კოჯრის მთაზე ქანაობდა.“

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ხელისუფალთა ახალ ტერორს ქართველი ახალგაზრდობის მომდევნო თაობამ „შავჩოხიანობით“[115] უპასუხა, გლოვის ნიშნად, შავი ჩოხების ტარება დაიწყო. ამ მოვლენას ჩეკისტებმა კონტრრევოლუცია, ანტისაბჭოთა მოძრაობა უწოდეს. უწოდეს და ახლა ამათ დაერივნენ. შავჩოხიანები შედარებით იოლად გადარჩნენ, თავისუფალ გადასახლებაში მიჰყავდათ, თუმცა ამათშიც იყვნენ ისეთები, ვისაც სოლოვკებისა და მედვეჟეგორსკის ბანაკებში მოუწიათ სასჯელის მოხდა - იმდენი არაფერი, სამი წელიწადი.

სწორედ შავჩოხიანობის შედეგად ჩატარებულმა რეპრესიებმა გახადეს ქართველებს ჩოხა. ეროვნული ტანისამოსი ისტორიას ჩაბარდა. ლამაზი სამოსელი იყო, მაგრამ განა მარტო ჩოხაა სადარდებელი? იმ უბედურებებმა ორნახევარმილიონიანი ერის ბედ-იღბალზე შავი ჭირივით გადაიარა. ვინ ვის ჰკლავდა? ქართველები — ქართველებს და ამით ამაყობდნენ კიდეც. საკუთარი ყურით რომ არ გამეგონოს, არ ვიტყოდი. მამას საიდანღაც მოვყავდი, პირველი მაისის დემონსტრაცია იყო. წითელი ფართლით მორთული მანქანის ძარაში კარიკატურულად ჩაცმული ყველა დამარცხებული სოციალური ფენის თითო მსახიობი თუ მოხალისე ჩაესვათ, ყოველი მათგანი თავისას მასხრობდა და ბრბო ხმამაღლა იცინოდა. ჩვენც გავჩერდით, სანახაობას შევცქეროდით. უკანიდან ხმა გავიგონე, - წუხელის ორი კონტრა ჩემი ხელით დავხვრიტეო! მამას არც მიუხედავს, მე მივიხედე - ორი ქართველი მამაკაცი დავინახე. მეორემ უთხრა, - ძირფესვიანად ამოძირკვამდე ჯერ შორს არისო!

მამა დააპატიმრეს, მაგრამ სამი თვის თავზე გათავისუფლდა. ეს კინაღამ დახვრეტილი კაცი გამოუშვეს!.. ნეტავი, რად არის, რომ ყოველ სიხარულს, დიდი თუ არა, რაიმე სევდა და მწუხარება მაინც უნდა დაერთოს? სწორედ იმ დაპატიმრების წინ მამამ შინ მწევრის ლეკვი მოიყვანა და „ნამია“[116] დაარქვა. ლეკვი, მართლაც დილის ნამივით მშვენიერი და ღრუბლის ფთილასავით ნაზი იყო. ნამიამ ძალიან იდარდა, რომ პატრონი უეცრად გაჰქრა, ბარე ერთი კვირის მანძილზე არაფერი უჭამია. იწვა, ცრემლით სტიროდა. ბოლოს, ადამიანივით მიავიწყდა, თუ თავი დაირწმუნა, - მალე დაბრუნდებაო, და იყო წყნარად. ნამიამ

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ტანი აიყარა, დამშვენდა და იმ დიდ სახლში ყველა მეზობელს შეაყვარა თავი. ერეკლე კარგარეთლის განთავისუფლების დღე მისი ძმაკაცებისთვის ცნობილი იყო და ციხის კარებშივე დაუხვდნენ. ჯერ გოგირდის აბანოში წავიდნენ, მერე — სადღაც საქეიფოდ, და ეს ორ დღე-ღამეს გაგრძელდა. მამას ლოგინი და ხელბარგი შინ იმდღესვე მოიტანეს. ნამიამ პატრონი იყნოსა და გადაირია ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. ძაღლის სიხარულის ასეთ გამოხატვას შემდგომში არასოდეს შევსწრებივარ - გიჟივით დახტოდა, წკმუტუნებდა, კარებს აწყდებოდა, რაც გადმოსაგდები ნახა, ყველაფერი ძირს გადმოყარა და დალეწა... ვერავინ და ვერაფრით გააჩერა, სანამ არ დაიქანცა. დაიქანცა, ზღურბლთან დაწვა და ლოდინი დაიწყო. მამა არსად სჩანდა, ნამია ცხარე ცრემლით ტიროდა. ის ღამე შფოთვასა და ყმუილში თეთრად გაათენა. მერე ისევ იჯდა და ტიროდა.

საღამო ხანს პაპამ სასეირნოდ გაიყვანა. ძაღლი იმწამსვე გაიქცა, თვალს მიეფარა და მას შემდეგ ნამია აღარ გვინახავს.

კარგა ხანს ვიგლოვეთ. მამას რამდენიმე დღე ფერი არ ედო. სად და რანაირად არ ეძება - გაჰქრა და გაჰქრა. ზოგი ამბობდა, - ერეკლეს საძებნელად წავიდა, ხეტიალში, ალბათ, ვინმემ გაიტყუა და მიითვისაო. ისეთებიც იყვნენ, ვინც ძაღლის თვითმკვლელობას შესაძლებლად სთვლიდა. მე ისე მგონია, ნამიამ პატრონი გარდაცვლილად მიიჩნია, სახლი შეიჯავრა და ამიტომ გადაიკარგა.

ალბათ, არ არის ტრაგიზმი, რომელსაც სასაცილოც არ ახლდეს. შავჩოხიანობისთვის სხვებივით სამი წელიწადი ერთმა საკმაოდ ცნობილმა ახალგაზრდამაც მოიხადა, მაგრამ, სხვებისგან განსხვავებით, ჩოხის ტარება მაინც განაგრძო - შავისა არა, სხვა ფერებისა. შინისკენ საიდანაც უნდა წამოსულიყო, უსათუოდ ჩეკასთან ამოივლიდა და თანაც ისე, რომ საქართველოს ნომერ პირველ ჩეკისტს თავისი კაბინეტის ფანჯრიდან დაენახა. მხვრეტელთუხუცესს ფანჯრიდან საყურებლად არ ეცალა, თავად არ შეუნიშნავს, მაგრამ აცნობეს, - ჩვენი ჯიბრით სწორედ აქ დადისო! უფროსი დაინტერესდა, მოუდარაჯა და როცა ნაცრისფერ ჩოხაში გამოწყობილი ყოფილი შავჩოხიანი

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მისი კაბინეტის ფანჯარას გაუსწორდა, გადაიხედა და დაუყვირა, - ალექსანდრე,[117] აქ ნუ დადიხარ, ტყუილად გზას ნუ იგრძელებ, სულ ერთია, არ დაგიჭერო!

თბილისში ფირცხალავები[118] ყოფილან - ორი ძმა, ორივე რევოლუციონერი. ერთი - ბოლშევიკი, მჭედელი. მეორე - მენშევიკი, სატვირთო მატარებლის კონდუქტორი. მენშევიკებმა ბოლშევიკი ფირცხალავა დააპატიმრეს, მეტეხის ციხეში ჰყავდათ. მენშევიკი ძმა შინაგან საქმეთა მინისტრთან მისულა, უთხოვია, - ეგ ჩემი ძმა ერთი ბნელი, უბირი კაცია, ბოლშევიკებმა აიყოლიეს, აღარაფერს დააშავებს, ვაპატიოთ, უბრძანე, გაათავისუფლონო. განკარგულება დაუწერიათ, ხელზე მიუციათ, - ციხეში მიიტანე, გამოუშვებენო. გაათავისუფლებინა, წამოიყვანა. საქართველო გასაბჭოვდა, ბოლშევიკი ძმა დააწინაურეს, რაღაც თანამდებობა მისცეს, მთავრობის წრეებში მიღებულ კაცად დაჯდა და მენშევიკმა ძმამ კი ცოტა ხანში იმავე მეტეხის ციხეში ამოჰყო თავი, - მენშევიკი რატომ იყავიო! სხვა დანაშაული იმას არაფერი ჰქონია. იჯდა, საცოდავი და ელოდა... უკეთ ვთქვათ, დილიდან საღამომდე ფანჯარასთან იდგა, ელოდა, - მოვა ჩემი ძმა და წამიყვანსო. ბოლშევიკი ძმა, მართლაც, მივიდა, გისოსს იქით თავისი მოლოდინით გულგაწვრილებული ძმა ქვევიდანვე დაინახა, შესძახა, - კაი ჩიტი ხარ, კაი გალიაშიც ზიხარო! მიტრიალდა და წავიდა.

რეპრესიებს ხალხი ქალაქებიდან სოფლებში გაურბოდა, - თვალს მივეფაროთო. ჩვენი ოჯახიც ასე მოიქცა. დამავლეს ხელი მშობლებმა და კიკეთში გადავბარგდით დედაბუდიანად. იქ მოკლე დროში პატარა მეურნეობაც გაჩნდა - ძროხა, ღორი, ცხვარი, თხები, ფრინველი. ერთ ზამთრის საღამოს თხები შინ აღარ დაბრუნდნენ. წავიდა იაგორ კარგარეთელი საძებნელად. სამადლოზე, ორი კილომეტრის მანძილზე, იპოვნა. გათოშილი იყო, გასათბობად დუქანში შევიდა. იქ დიდებელი გლეხები ქეიფობდნენ. იაგორის დანახვაზე ერთი ხორხოცი ატეხეს, აღარსად გაუშვეს, თხები - იქეე ბიჭი ტრიალებდა, - იმას გაატანეს და გახურდა სმა.

სუფრა დილითღა აიშალა. იაგორი შეზარხოშებული ბრძანდებოდა, დუქნის წინ, გზის პირას, კომბალზე ნიკაპჩამოდებუ-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ლი იდგა, ამოწვერილ მზეს გასცქეროდა. ჩანს, იმ ახირებულმა სილამაზემ მოსტაცა თვალი და ყურადღება, რომ თბილისიდან მომავალი სატვირთო ავტომანქანა მოახლოებულიღა შენიშნა. იაგორ კარგარეთელს ისე ეცვა, აქაური გლეხკაცისგან ეშმაკი ვერ გაარჩევდა. მიუხედავად ამისა, ქალაქელებს ერიდებოდა, - არავინ მიცნოსო. ახლაც, ერთი გაწევა წასასვლელად გაიწია. მერე გადაიფიქრა, - ეს ავტომობილი უთუოდ მანგლისისკენ მიდის, აქ რა გააჩერებსო... მანქანა იაგორის ცხვირწინ დადგა. ესაც არაფერი, კაბინიდან ქალ-ვაჟი ჩამოხტა. მძღოლმა ძარადან მოზრდილი ბოხჩა ჩამოიღო, მგზავრებს ფერხთით დაუგდო და, მართლაც, მანგლისისკენ გასწია. ვაჟი ახალთახალ ფორმაში გამოწყობილი ჩეკისტი გახლდათ! იაგორმა კინაღამ მოუსვა, მაგრამ თავს დაეუფლა, ცხვირის დაცემინების იმიტირება ამჯობინა, რაიც მამაჩემს მთელ ამ ამბავში უმნიშვნელოვანეს მომენტად მიაჩნდა. ქალიშვილი იაგორს დამტვრეული ქართულით მიესალმა. კაცი - რუსულად. იაგორმა კილო მოიგლეხკაცურა, გამარჯვება უსურვა.

- ძია, კიკეთი სად არი? - ჰკითხა ქალიშვილმა.

- აგერა, ე მანდეთ არი, - იაგორმა კომბალი გაიშვირა და, ფიქრად, ჩამოსულთა არაქართული წარმოშობა აღნიშნა.

ჩეკისტმა ქალიშვილს უთხრა:

– Скажи, пусть понесет, рубль получит, - ბოხჩას გულისხმობდა.

ხაჩატუროვის[119] სტუმრები აღმოჩნდნენ. რუბენ არმენაკოვიჩი ჰაპაჩემივით თბილისს გამორიდებული მეფის არმიის ყოფილი ოფიცერი ბრძანდებოდა. კიკეთი სააგარაკო ადგილი იყო და ზამთრობით აქაური მოსახლეობა, მეტწილად, ჰაპაჩემისა და რუბენ არმენაკოვიჩისთანა კაცებისგან შესდგებოდა. ყოველ მათგანს თავისი „ლეგენდა“ ჰქონდა. კიკეთის მისტერიაში ხაჩატუროვი სომეხი გლეხკაცის როლს ასრულებდა, „ფედერაცია“ ჰაპიროსზე სომეხი გლეხკაცი რომ ეხატა, ზუსტად ისეთ ტანსაცმელს ატარებდა. იქ ვინმე ანისიმოვიც[120] ცხოვრობდა, მეტად ორიგინალური ტიპი. ყოველ გარიჟრაჟზე თავისი აგარაკის სახურავზე ადიოდა და ბებერი მამალივით ყიოდა:

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– Вся власть Советам! Да здравствует мировая революция!..

ერთიც სხვა იყო - კოტე ონიკოვი,[121] ანუ ონიკაშვილი. ამას „ფედერაციაზე" დახატულ ქართველთან საქმე არა ჰქონდა, მაგრამ მისი წარსულით ჩეკისტების შესაძლო დაინტერესებას პრევენტიული ხასიათის ხერხებს უპირისპირებდა - გაუტანელ სიყრუეს - ეს ერთი, და კიდევ იმას, რომ ახლომახლო ვინმეს თუ თვალს მოჰკრავდა, თითო ნაბიჯის გადადგმაზე თითოჯერ ერთობ მკაფიოდ ახმაურებდა სხეულის უკანა, სარცხვინელ ნაწილს. ყოველივე ამით კოტე ონიკაშვილი ჩეკისტებს ემუდარებოდა, - ერთი ყრუანჩალა და სნეული მოხუცი კაცი ვარ, აბა, რაღა დროის ჩემი დახვრეტაა?.. იაგორ კარგარეთელს შესაძლებლად მიაჩნდა, რომ ბატონი კოტე ასეთი მეთოდით გამოხატავდა თავის დამოკიდებულებას საბჭოთა ხელისუფლების მიმართ...

ერთი სიტყვით, იაგორ კარგარეთელს კომბალგაყრილი ბოხჩა მიჰქონდა და ყველაფერი რიგზე იყო, სანამ ქალიშვილი ვაჟს უსაყვედურებდა:

– Ты всегда переплачиваешь, он и за полтинник с удовольствием тащил-бы.

– Ааа, чёрт сним!. - იმუქთაბაზა ჩეკისტმა და პაპაჩემი იმის ფიქრს მიჰყვა, თუ ვის ეხებოდა ეს დარდიმანდული გამოთქმა - მანეთიანს, ათშაურიანს, იაგორ კარგარეთელს თუ სამთავეს ერთად.

- ძია, გრამოტა იცი?.. წერა-კითხვა, რაღა? - ჰკითხა ქალიშვილმა ცოტა ხნის შემდეგ.

- ვიცი, მაშ! - მთვრალი კაცის სილაღით მიუგო იაგორმა.

- შკოლაში იყავი?

- ვიყა.

ქალმა იყუჩა და შეფიქრიანებით ჰკითხა:

- გაათავე?

- გავათავე, მაშ!

- რა გაათავე?

- რავი, ათასი რამე.

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

იაგორ კარგარეთელს შემდგომში ასეთი პასუხი იმის მაგალითად მოჰყავდა ხოლმე, თუ როგორი შეცდომა შეიძლება მოჰყვეს თავაშვებულ სმასა და მემთვრალეობას - ჩემს გასაგონად, რა თქმა უნდა.

ხმა კარგა ხანს არავის ამოუღია. მერე ჩეკისტმა თავის ქალს საყვედურის თვალი სჭიდა, ვითომ მარტო ის იყო დამნაშავე ამ საჩოთირო ვითარებაში, და წაილუღლუღა:

– Вы, наверно, устали, дайте я понесу. – ბოხჩაში წასწვდა, მაგრამ იაგორმა არ დაანება, ბოლომდე ატარა.

რუბენ ხაჩატუროვმა, როგორც მერე გამოირკვა, ჩეკისტი რომ დაინახა, უკანა კარიდან გაქცევა დააპირა, მაგრამ ამ აქციის ჩატარება დაგვიანებულად მიიჩნია და ბედს დანებდა, - ამ ოხრებს სად გაექცევი, ასეთი ყოფილა ჩემი ხვედრიო... ქალიშვილმა დაიძახა, - *„Ой, дедушка!“*-ო, და მხოლოდ ამის შემდეგ იცნო ხაჩატუროვმა ჯერ თავისი შვილიშვილი და მერე იაგორიც. გონს მოეგო, შიშს თავი დააღწია და ისეთი მანერებითა და ზრდილსიტყვაობით დაუწყო სტუმრებს შინ შეპატიჟება, რომ ჩეკისტი კინაღამ ცუდად გახდა - ხან იაგორს აკვირდებოდა პირდაღებული, ხან საკუთარი მეუღლის ბაბუას. აბა, რა ექნა? რამდენი გლეხკაცი ნახა, იმდენი „ყველაფერდამთავრებული“ აღმოჩნდა!

- რუბენჯან, ამ ახალგაზრდებს ჩემი ერთი მანეთი მართებთ. გამოართვი და, მე რომ შენი ერთი მანეთი მმართებს, ქვით ვიყოთ, - უთხრა იაგორმა, საზოგადოებას დაემშვიდობა და გასწია.

მოსულელებით თავის გადარჩენის ხერხი ბევრნაირი იყო. ამაში იაგორ კარგარეთელიც სცოდავდა. ერთ ადგილზე მალვა დიდ შეცდომად მიაჩნდა. ამიტომ ყოველი მაისის ბოლოს მოგზაურობა-სტუმრობას იწყებდა. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ახლო ნათესავები და მეგობრები საკმაოდ ჰყავდა, მიუხედავად ბოლშევიკების მიერ უხვად გაწყვეტილი სულადობისა. ნოემბრის ბოლომდე ოჯახშიც კი არავინ იცოდა, იაგორი სად იყო.

პასპორტის ჯიბით ტარება სამოციან წლებამდეც კი, სავალდებულო თუ არა, სასურველი მაინც იყო და მაშინ ხომ სულ ხელში უნდა გჭეროდა - მილიციელები თუ აქტივისტები საბუთებს წარამარა ამოწმებდნენ. იაგორ კარგარეთლის აზრით, თავ-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ის მოსულელება სწორედ პასპორტის წარდგენისას იყო საჭი-
რო. რატომ? იმიტომ, რომ პასპორტში „იაგორ კარგარეთელი“
ეწერა, ხოლო ეს გვარ-სახელი რომელიმე მილიციელისა თუ
აქტივისტისთვის დაწინაურების საშუალებად არამცთუ გამო-
დგებოდა, პირდაპირ მისწრება იყო, თუკი მეფისა და მენშევიკ-
ების ოფიცერს ჩეკას მიუყვანდა...

პაპა-გორამ პასპორტს სიგრძეში ორ-ნახევარი, სამი სანტი-
მეტრი მაკრატლით წააჭრა. ამისთვის დამაჯერებელი საბაბიც
ჰქონდა: ამოშვებულ ხალათებს ატარებდა, გარეთა ჯიბეში პას-
პორტი ვერ ეტეოდა, ყელყელაობდა, ღილი ველარ იკვრებოდა.
ბოლოწაჭრილ პასპორტს რომ უნახავდნენ, ასეთი დიალოგი იმ-
ართებოდა:

- ეს რა გიქნია, ძიაკაცო?!

- რა მიქნია?

- რა და, პასპორტისთვის ნომერი წაგიჭრია!

- ნომერი უნდა ჰქონდეს?

- უნდა ჰქონდეს, მაშ, არ უნდა ჰქონდეს? არ უნდოდეს - დაა-
ბეჭდავდნენ?

- რავი, აბა? ჯიბე დაბალი მაქვ, თავსა ჰყოფს ქვევიდანა. ჯი-
ბგირებმა არ ამამაცალონ-მეთქი და... კარგი, აღარას წავაჭრი...

სიცილს დააყრიდნენ ხოლმე და მიდიოდა იაგორ კარგარეთ-
ელი თავის გზაზე მშვიდობითა!

ლენინის ახალმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ მრავალგვარი
ხასიათის შედეგი მოიტანა და მისი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი
ეფექტი ის იყო, რომ ხალხი მატერიალურად მომაგრდა. ამასთ-
ან დაკავშირებით, არსებული ხელისუფლების აქტიურ მოწინა-
აღმდეგეებს მასებში დასაყრდენი საგრძნობად შეუსუსტდათ.
ინტელიგენციის ძირითადი მასა მოისპო, გადარჩენილთაგან
ზოგმა უცხოეთს მიაშურა, ზოგი საშოვარსა და დროს ტარებას
მიჰყვა. ერის მრავალწლოვან, უაღრესად დაძაბულ, განცდებით
აღსავსე ცხოვრებას განხიბლვა, სოციალურ-პოლიტიკური პა-
სიურობა მოჰყვა. აქტიური დამოკიდებულება მხოლოდ მუშათა
იმ ნაწილმა შეინარჩუნა, რომელსაც გულწრფელად სწამდა,
რომ მისი და მთელი კაცობრიობის ბედნიერი მომავალი შენდე-
ბა და სულ ახლოა. ქეიფებისადმი ქართველების გადამეტებულ-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მა მიდრეკილებამ სუფრა და დროსტარება სერიოზულ საქმიანობად აქცია, იმდენად სერიოზულ საქმიანობად, რომ ასეთი შემთხვევებიც კი, თითქმის ნორმალურ მოვლენად ითვლებოდა: ერეკლე კარგარეთელმა, ვახტანგ კოტეტიშვილმა,[122] ქრისტეფორე რაჭველიშვილმა[123] და ბიძინა ღამბაშიძემ[124] პირველი მსოფლიო ომის დაწყების წინადღეებში ერთად იქორწინეს. სხვათა შორის, პატარძლებიც მეგობარი გოგონები იყვნენ და ამ რვა ადამიანის სიახლოვე მათი სიცოცხლის ბოლომდე გაგრძელდა. ქრისტეფორე რაჭველიშვილის მეუღლის - ქალბატონ ნინო ხარატიშვილის[125] — დღეობებზე, ყოველ თოთხმეტ იანვარს, თამადად ერეკლე კარგარეთელი იყო ხოლმე, ასეთი ტრადიცია დამკვიდრდა. დადგა მორიგი, ათას ცხრაას ოცდაექვსი წლის თოთხმეტი იანვარი და თამადა კი ორთაჭალის ციხეში ბრძანდებოდა! დახვრეტა ახალი შეცვლილი ჰქონდა შვიდი წლის პატიმრობით მკაცრი იზოლაციით, ანუ რუსეთის რომელიმე პოლიტიზოლატორის საკანში ჯდომით. ქეიფი იმდენად სერიოზულ საქმიანობად იქცა-მეთქი, რომ როცა ორთაჭალის ციხის უფროსს, შალიკო ბაქრაძეს[126] ვითარების სერიოზულობა აუხსნეს, ამან, - ცხადია, ამგვარი „წმიდათაწმიდა ტრადიციის" ხელყოფა შეუძლებელიაო, — და ერეკლე კარგარეთელი ერთი ღამით ციხიდან გამოუშვა... ითამადა და წავიდა ციხეში, ეტლით!..

ოჰო, რა გამოდის? მერიდიანს კაი ოთხმოცი კილომეტრით დავშორებივარ... თვითმფრინავის ხმა!.. შიდაწვისძრავიანია. სამძებროა თუ სარეისო?.. როგორიც უნდა იყოს, პრინციპს ნუ ვუღალატებთ, უნდა დავიმალოთ... მამაცხონებულო, ამ ტრიალ გაყინულ ჭაობზე სად დაიმალები?.. ახლოვდება, ყოყმანის დრო აღარ არის..."

გორამ ციგას თეთრი ბალახონი შეხსნა, რაღაც ნაჯაო ნახა, ბალახონი წაიფარა და გაყუჩდა, თვითმფრინავი მალე მობრუნდა. თავზე გადაუარა და თვალს მიეფარა.

წავიდა! შემამჩნია და იმიტომ მობრუნდა?.. შევემჩნიე, დაეშვებოდა, ირაოდ ივლიდა... ზედ საჰაერო ტრასაზე ვზივარ?... წავიდა და სიგარეტის ნამწვი არ ჩამოაგდო!.. სულ ცოტა, ათი

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

კაცისგან მსმენია, ტაიგაში ცეცხლს მიფიცხებულ პატიმრებს თვითმფრინავმა რომ გადაუარა და იქიდან გადმოვარდნილი სიგარეტისა თუ პაპიროსის ნამწვი დავარდა მათ სიახლოვეს. ამასთან, აუცილებლად, ქალის მონაწევი, ბოლოში პომადიანი და, აუცილებლად, მას ერგო ის ნამწვი, ვინც ჰყვება!.. მაგაზე სიმღერაც კი მომისმენია, სენკა ბომშტეინი[127] მღეროდა ხოლმე... ადამიანი სანტიმენტალობისკენ არის მიდრეკილი. რომელი შედევრია, სანტიმენტალობის, მელოდრამის ელემენტი რომ არ ახლდეს?.. თითქმის აუცილებელი კომპონენტია... პატიმარს ქალი და მისი სიყვარული რომ სწყუროდეს, საკვირველი არაფერია. ეგ ნამწვიც იმ წყურვილის ნაყოფია. მეც ხომ გამიელვა ამ თვითმფრინავში განცხრომით მთვლემარე ქალის სახებამ. გულმაც კი წამომიძგერა!.. ქალის გახსენებაზე, შე ბებერო მამაძაღლო! რაღა დროის შენი გულის წამოძგერებებია?!. რის ნიშანია ეგა, იცი? ამხელა გასაჭირ-განსაცდელგამოვლილ სულსა და ხორცს ქალის სახება რომ გაუელვებს, როგორია, ჰა?! მოიცა, მოიცა, რვა წლისა არ ვიყავი, ერთი პატარა გოგოს დანახვისას გული ამოვარდნაზე რომ მქონდა ხოლმე?.. რა ერქვა, რა გვარისა იყო?.. ნათელა!..[128] თამაზაშვილი!.. რვა წლისას, კაცო!.. მესიზმრებოდა ხოლმე, მაგრამ ისეთად არა, როგორიც იყო, იმ გოგონას სახით, ზმანებაში რომ ვნახე – ოქროს კულულებითა და თავზე მოხრიალე დოლაბებით... მაინც რა არის, რა ადრე იღვიძებს ვნება... ეგ არაფერი, გულის წამოძგერების საწყისი – ფსიქოლოგებსა და ფილოსოფოსებს თუ დავუჯერებთ – ქვეცნობიერი, მაგრამ სრულიად პრაქტიკული, ხორციელი გრძნობაა და რაოდენ ამაღლებულ, უკეთილშობილეს განცდაში – სიყვარულში რომ გადაიზრდება ხოლმე? მეტამორფოზა ხდება, გამრავლების, სიცოცხლის კვლავწარმოების ინსტინქტი უნაზეს სულიერ ფორმას იღებს!.. ჰო, ის ნათელა. პირველად სად ვნახე?.. გვილავებთან.[129] ჩვენი ოჯახის მეგობრები იყვნენ, ჩემი ტოლი ბიჭი ჰყავდათ – ხუტა, იმის დაბადების დღეზე წამიყვანა მამამ. ის ბავშვიც იქ იყო, ნათელა... მერე აღმოჩნდა, თამაზაშვილები ჩვენს უბანში ცხოვრობდნენ... კი. ერთთავად მათი სახლის წინ ვაბზრიალებდი ჩიკორს. დამენახა, მეტი არაფერი მინდოდა. ნათელა მუსიკაზე დაჰყავდათ, მისი გაკვეთილების ცხრ-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ილი შესწავლილი მქონდა... ის საღამო სხვა რაღაცების გამოც დამახსომდა. გვილავებს საკუთარი სახლი ჰქონდათ ქალაქის განაპირას, ტრამვაის ბოლო გაჩერებასთან...

თან საქმე! ეხლა, მე რაც მაქვს გამოვლილი, ეს ცოტაც არის და ბევრიც. ბევრი იმიტომ, რომ ამდენის გამოვლას ასე მოკლე ხანში არ ვიმედოვნებდი, კოლამ მიშველა. ცოტა იმიტომ, რომ აშნას საბრძანებლამდე და მერე, ხაბიბულას ქოხამდე - ათას სამასი კილომეტრი უნდა გავიარო... სწორი ხაზით, ბატონო, სწორი ხაზით. რელიეფით, სულ ცოტა, კიდევ ათას ხუთასი!.. დიახ, და მტკივანი სახსრებით... საკვები! ტყიურის ნაბოძები საგზალი, სადაცაა, გამითავდება. ობამდე ან მის რომელიმე შენაკადამდე როგორმე მიმაღწევინა და, თევზეული მექნება... მიაღწევ?.. ვერ მივაღწევ - მშვიდობით, მზისქვეშეთო. რა ხანია, სიკვდილზე ვფიქრობ და ვლაპარაკობ! მიწია, ვითომ?.. გამოსავალი არის. მიშა სალუქვაძემ[130] ხომ მიამბო, როგორ უნდა აჯობო სიკვდილს. მეზობელი ჰყოლია, სახელად ანგელინა, ერთთავად ავად რომ არიან, იმ ტიპის ქალი. აბირება დასჩემებია, ვკვდებიო. ხუთი, ექვსი წელიწადი ამშვიდეს და არწმუნეს, - სასიკვდილო არაფერი გჭირს, ნუ გეშინია, მორჩებიო. ანგელინა მაინც თავისაზე იდგა, უნდა მოვკვდეო! მობეზრდათ ოჯახის წევრებს ერთისა და იმავეს ლაპარაკი და, ერთხელაც იყო, მეუღლემ უთხრა, - ანგელინა, გენაცვალე, კი არ უნდა იწუწუნო, უნდა შეეჩვიო მაგ აზრს და აღარ გაგიძნელდება სიკვდილიო. — ეს რომ გაიგონა ანგელინამ, - რასაა, რომ ბოდიალობ, რას უნდა შეეჩვიოო, — იკივლა, ლოგინიდან წამოვარდა და მას დღეს აქეთ აღარაფერი სტკენია!.. გორა-ბატონო, მოვრბივართ, ესე იგი, ვცოცხლობთ! ასე არ არის?.. ვიაროთ სამხრეთისკენ კიდევ ოცდაათი კილომეტრი, საჰაერო ტრასას გავერიდოთ და მერე დასავლეთისკენ ობის დასალაშქრად!.. მშვენიერია. ეხლა რაზე ვიფიქროთ?.. რაზე და, ის არ დავამთავროთ, ხუტას დაბადების დღესთან დაკავშირებული მოგონებები რომ გვაქვს?.. კი. ჯერ იყო და, ტრამვაიდან რომ ჩამოვდიოდით, ერთ-ერთ სკამზე ქალალდის პარკი შევნიშნე. ვაგონში სრულიად აღარავინ დარჩა, ბოლო გაჩერება იყო. მივწვდი და ავიღე. ჩახედვა მინდოდა, მაგრამ მამამ გამაჩერა, - არ ჩაიხედოო! — გამიკვირდა და ვკითხე,

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

- რატომ-მეთქი? — ჯერ გაიქეცი, ვატმანს მიუტანე და მერე გეტყვიო. მივირბინე, მივეცი. ერეკლე კარგარეთელმა თავისი პოზიცია ასე განმიმარტა: ადამიანი, რაოდენ სამწუხაროც უნდა იყოს, სულმოკლე არსებაა. თუნდაც ასეთი ნუ იქნები, ნაპოვნში რომ ჩაიხედავ, შეიძლება, შესცდე, მიითვისო, და მერე მთელი სიცოცხლე ინანო ეს საქციელი. ერეკლე კარგარეთლის იაგორ კარგარეთელზე არანაკლებ დიდაქტიკურმა ბუნებამ იმ დღეს კიდევ ორი რამ მიკარნახა. გვერდით ვუჯექი და მითხრა, - აბა, ჩემს საინს შეხედე და მერე შენსასო. შევხედე, რაღაც განსხვავება კი ვიგრძენი, მაგრამ ბოლომდე მაინც ვერაფერს მივუხვდი. ამიხსნა, - ნამუსრევი, ძვლები იქნება, ლუკმა, მწვანილის ღეროები თუ კიდევ სხვა რამ, საინზე ისე უნდა გქონდეს დალაგებული, რომ სხვა თანამესუფრეებს არ შეზიზღდეთ და მადა არ წაუხდეთო. მართლაც, დიდი უმრავლესობის თეფში ნატურმორტსა თუ კოლაჟს უფრო წააგავდა, ვიდრე საჭმლის ნამუსრევს. ცოტა ხნის შემდეგ გასვლა მოვინდომე. არ გამიშვა, - მოიცადე, სანამ ბავშვები დაგიძახებენო. მალე დამიძახეს. მამა გამომყვა და ამიხსნა, - ქართულ სუფრას თავისი წესები აქვს. ადგომა და გასვლა არ შეიძლება. ვინც რჩება, უეჭველად გაიფიქრებს, - მოსასაქმებლად გავიდაო. კარგი იქნება?

თავიდან, როცა სუფრას მივუსხედით, კარგა ხანს პირი ვერაფერს დავაკარე. ხელში ხაჭაპურის ნაჭერი მეჭირა და დაბნეული ვიჯექი. ამას მიზეზი ჰქონდა. შინ სადილობისას ჭამას მანამდე ვერ შევუდგებოდი, სანამ ამ დროს ეზოში მოთამაშე რომელიმე ღარიბ ბავშვთაგანს რაიმე საჭმელს არ გავუტანდი, ასეთი წესი შემომიღეს. საქმე ის არის, რომ თურქ-სომეხთა ხოცვა-ჟლეტის შედეგად საქართველოს აუარებელმა სომხობამ შემოაფარა თავი. უმრავლესობას ძალიან უჭირდა, ბავშვებიც კი მშივრები იყვნენ. მე ვრასტანა[131] მყავდა ამოჩემებული, ჩვენი მეეზოვის თბილისში დაბადებული ბიჭი და ამის გამო ვრასტანად წოდებული. ეს სომხურად საქართველოს ნიშნავს. უსათუოდ რამე უნდა გამეტანა და მიმეცა - პურის ნაჭერში ჩადებული კატლეტი, ხაჭაპურის ნაჭერი თუ სხვა რამ - გააჩნია, რა გვქონდა სუფრაზე... ახლაც, გვილავების სუფრას ვუჯექი და ვფიქრ-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ობდი, - ეს ხაჭაპური ვის გავუტანო-მეთქი?.. მამა გასაჭირს მიმიხვდა, თავზე ხელი გადამისვა, - საპატიო მიზეზი გაქვს, თავად მიირთვიო.

ერეკლე კარგარეთელი ციხეებში რვაჯერ იჯდა; მისი მოსპობა მხოლოდ მერვე ჯდომაზე მოხერხდა, მიუხედავად იმისა, რომ ასეთი ცდა ერთხელ სამოქალაქო ომის დროსა და ერთხელ ჩეკისტების ხელში უკვე იყო. მერვედ უეჭველად ტყვია ჩაერეოდა საქმეში, დრო გახლდათ ასეთი - ათას ცხრაას ოცდაჩვიდმეტი წელი, მაგრამ მკვლელები აქაც პირში ჩალაგამოვლებულნი დარჩნენ, ვერ დახვრიტეს, თავში ჩაქუჩი ჩასცხეს, ასე გაუსწორდნენ. ცალკე ის არის სათქმელი, რომ დიდხნობით არასოდეს მჯდარა, ყველაზე ხანგრძლივი პატიმრობა თერთმეტი თვე იყო. ეს და იმდენ სიკვდილს გადარჩენა იმით უნდა აიხსნას, რომ ერეკლე კარგარეთელი იურისტი გახლდათ, უცოდინარი ნაძირლები ჰაიჰარად ვერაფერს აჰკიდებდნენ. ახლა, ამდენი პატიმრობა-დახვრეტებით მიღებული გამოცდილება და იმუნიტეტის მსგავსი რაიმეც რომ ვივარაუდოთ?... რევაზ ტყავაძემ[132] და სხვებმაც ერეკლე კარგარეთლის უკანასკნელი პატიმრობის დროს საკნის კედელზე მინაწერი ნახეს - „სიჭაბუკისა ყვავილი დამიჭკნო ჟამთა დენამა“.სიჭაბუკის ყვავილდამჭკნარმაც კი იმდენი შესძლო, შეთხზული დანაშაულობები ვერ აჰკიდეს, სიცრუე ვერ აკისრებინეს და ჩაქუჩს მიმართეს. ახალგაზრდობაში როგორი იქნებოდა?!.

მამაჩემ ერეკლეს ყოველი დაპატიმრება ჩვენს ოჯახში ორი, ერთმანეთისთვის უცნობი ადამიანის აუცილებელი მოსვლით იყო თანხლებული. ისინი ახლო ნათესავად არ გვერგებოდნენ და სხვა დროსა და ვითარებაშიც იშვიათად მოსულან. ვარდო ზუბიაშვილი[133] ორ, სამ დღეს არ გადააცილებდა. გრიშა დევდარიანი[134] უფრო მოგვიანებით მოდიოდა ხოლმე. დევდარიანი პროფესიით ტყის ყაჩაღთა მადევარი, ანუ ჩეკისტი იყო. დღემდე არ ვიცი, რანაირი, როდისაქეთი შეგობრები იყვნენ გრიშა და ერეკლე. მოვიდოდა, დედაჩემს ხელზე ემთხვევოდა, სასუსნავს რასმე მომიტანდა, მომიალერსებდა. მერე დედასთან ისაუბრებდა - ჩვენი ოჯახისას გამოჰკითხავდა, თავისი ჯალაბისას იტყოდა, გაგვამხნევებდა, - არ იდარდოთ, ყველაფერი რიგზე იქნე-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ბაო. დედაჩემის პროტესტის მიუხედავად, კარგა ბლომა ფულს დასტოვებდა და წავიდოდა. ერეკლეს ბოლო დაპატიმრების შემდეგ აღარ მოსულა. ვფიქრობ, გრიშა დევდარიანი ჩემს დედამამაზე ადრე დაიჭირეს და დახერიტეს, თორემ ერთხელ მაინც მოგვაკითხავდა. მის ცოლსაც მარიამი ერქვა, შვილებიც ჰყავდათ... ნაშიერიანად ჩაიკარგა. ახლა, ვარდო. ორნი იყვნენ, ძმები – ვარდო და იოსები. მანგლისს მიმავალი გზის გარდიგარდმო, სამადლოზე, დუქნები ჰქონდათ, თან სოფლის მეურნეობასაც ეწეოდნენ. ერეკლე ვარდოს ბიჭის ნათლია იყო. მოვიდოდა ვარდო, ერთ დიდ თავ გუდის ყველს მოიტანდა. იჯდა თავჩაქინდრული, სიჩუმით თანაგვიგრძნობდა დიდსა თუ პატარას. მერე ჯიბიდან ფულს ამოიღებდა, მაგიდაზე დასდებდა და წავიდოდა. ამან ბოლომდე იარა... ჩვენ დროშიც არიან ასეთები?.. კი, ზოგი ნათესავი და ახლობელი. გულისხმიერება, შეწყალება, გასაჭირში თანადგომა წინა თაობების ხსოვნადღა დარჩა. ახალ თაობებს სიმკაცრე, შეუბრალებლობა და ცინიზმი დასჩემდათ...

დასჩემდათ, დრომ მოიტანა... „დობრი გიორგას“ რა უქნეს, გახსოვს?.. როგორ არ მახსოვს... ჯერ იმისა ვთქვათ, დობრი გიორგა[135] ვინ იყო... თბილისელი კინტოების უკანასკნელ მოჰიკანთაგანი! განიერი, შავი სატინის შარვალი ეცვა; წელს ზევით შემოჭიმული შავი სატინისავე ზედატანი, ფეხზე — მესტები, წელზე ვერცხლის თოქმა ქამარი ერტყა. ასეთ ქამარს „გირვანქიანი“ ერქვა, გირვანქას იწონიდა. ქუდს არ ატარებდა, რადგან თავზე ერთთავად ხილით სავსე დიდი თაბახი ედგა, ხელში პინებიანი ბეზმენი ეჭირა, ეზო-ეზო დადიოდა და საგანგებოდ დამუშავებული დიქციით, ღირსების გრძნობით ამცნობდა დიასახლისებს, რომ მოვიდა და მზად არის გაჰყიდოს ციტრუსეულთში საუკეთესო ხილი. ნისიად იძლეოდა, ფულს თვის ბოლოს უხდიდნენ. საკვირველი ის იყო, დობრი გიორგამ წერა-კითხვა არ იცოდა, ამიტომ არც აღრიცხვას აწარმოებდა, მაგრამ სოლოლაკის იმ დროის მცხოვრებთაგან ვერავინ იტყვის, დიასახლისებთან ანგარიშსწორებისას როდისმე დავა ან უთანხმოება მომხდარიყოს.

აი, ამ დობრი გიორგამ ჩვენს ეზოში აღებმიცემობა მოათავა, თაბახი თავზე შეიდგა და გასწია. ამ დროს იყო, ოლღა ივანოვნამ მთხოვა, პურზე გამეგზავნეო... ეხლა მეზობლის ბავშვს რო-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მელი თავზეხელაღებული გაუბედავს ამას? გამოვლენ მშობლები და, ვაი თქვენი ბრალი, შეიძლება, ცხვირ-პირიც დაგამტვრიონ, - ეგ როგორ გაგვიბედეო!.. ქუჩაში გავედი და ასეთ ამბავს შევესწარი: დობრი გიორგას გზაზე კომკავშირლები გადასდგომოდნენ. სამნი იყვნენ, რაღაცას ისე მკვახედ ელაპარაკებოდნენ, რომ უნებლიეთ გავჩერდი, ყურება დავუწყე. მაშინდელი კომკავშირლები ხაკისფერ გოლიფეებს, ხალათებსა და მუხლს ქვევით კრაგებს ატარებდნენ. პორტუპეები ჰქონდათ, ზოგს ნაგანიც ეკიდა ხოლმე. იმ შუა ლაპარაკში ერთ-ერთმა დობრი გიორგას პანღური ამოჰკრა, ხილიანი თაბახი დააგდებინა. მეორემ ტანისამოსი შემოახია. მესამემ ქამარი შემოაგლიჯა, ღობის იქით გადაისროლა და სამივემ ერთად ისე სცემა, საწყალმა გრძნობა დაკარგა. ქვაფენილზე ეგდო, პირიდან სისხლი სდიოდა. კომკავშირლებმა ერთმანეთში რაღაც მოითათბირეს. ვინც ქამარი ღობის იქით ისროლა, გადავიდა, გადმოიტანა. თაბახს ფეხი დაჰკრა, დალეწა და გზას გაუდგნენ. დიასახლისები გამოცვივდნენ, გიორგა მოასულიერეს, შინ შეიყვანეს... ნეპის შემდგომი პერიოდი იყო, ბოლშევიკები კერძო საკუთრების რუდიმენტებს სპობდნენ...

რამდენიმე ათეული წლის შემდეგ, ჩემი მეორე სტუდენტობის დროს ხომ, პირდაპირ, საკვირველება მოხდა. საყავეში შევედი. ნაცნობმა კაცმა დამიძახა, - მოგვიჯექიო! ჩემთვის უცნობ ადამიანთან ერთად იჯდა. გამაცნო. ყავას ვსვამდით, ვსაუბრობდით. კედელზე ჭედურობა ეკიდა კინტოს გამოსახულებით. დობრი გიორგა მომაგონდა. ძალიან მოკლედ ვთქვი, როგორ გალახეს კომკავშირლებმა. ახალგაცნობილმა მკითხა, - ეგ სად და როდის მოხდაო? — ვუთხარი. მორცხვად გაიღიმა, თავი ჩაქინდრა და სინანულით სთქვა, - ერთ-ერთი იმ კომკავშირელთაგანი მე ვიყავიო!..

ასეთი დრო იყო, გორა-ბატონო, თვით ის სახლიც - ფრიად საინტერესო ოჯახებით, ადამიანებითა და მოვლენებით, თითქოს საგანგებოდ გამოტენილი, თითქოს ცოცხალი ილუსტრაცია თუ საცდელი პოლიგონი გახლდათ იმ სოციალურ-ფსიქოლოგიური პროცესებისა, რასაც ისტორია ხმელეთის ერთ მეექვსედზე ახორციელებდა... ხალხის უდიდესმა ნაწილმა ბრმად იწამა

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

საწერ მაგიდაზე შეთხზული და არა განვითარებით ნაკარნახევი იდეოლოგია, ერთადერთ ჭეშმარიტებად მიიჩნია იგი და საკუთარი სიცოცხლეც განუყოფლად, მთლიანად დაუკავშირა ეფემერას... სწორედ ეგრე იყო. მაშ, იმ მარო ნანდოშვილის[136] მაგალითი ერთ რამედ არა ღირს?..

საიდან აიყარა, სად და რისთვის ჩამოვიდა თბილისში, რა ჩაიდინა!.. სიღნაღიდან ჩამოვიდა გოგო-ბიჭითურთ. გოგია ცხრა წლისა იყო, თინიკო — შვიდისა. მაშინ ქონების ნაციონალიზაცია მხოლოდ მიმდინარეობდა, ჩვენი სახლი ჯერ კიდევ წოწოლაშვილებს[137] ეკუთვნოდათ - სამსართულიანი, შეძლებულ მდგმურებზე ნავარაუდევი. თითო სართულზე თითო შვიდოთახიანი ბინა იყო, ფლიგელში უამრავი სათავსოებითა და დამხმარე სადგომებით. ოცდაათიანი წლების დასაწყისში ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ტემპმა რომ იმატა, კოლექტივიზაციას გამორიდებული სოფელი ქალაქს მოაწყდა, თუკი ადამიანს ბინად სადმე დაედგომებოდა, ერთიანად შეივსო. მშვიდი, მყუდრო სახლები აბორგდნენ და აყაყანდენ. მარო ნანდოშვილი შვილებითურთ მაშინღა გამოცხადდა, როცა წოწოლაშვილების სახლში პირველი სართულის ყოფილი სამრეცხაოღა დარჩა „აუთვისებელი". ეს გახლდათ ღრმა, გამოქვაბულივით ბნელი, ნესტიანი სათავსო, სადაც სინათლე მხოლოდ კარში დატანებული სარკმლიდან აღწევდა, იატაკად ასფალტი ეგო და შიგ იმდენი ვირთაგვა ბუდობდა, რომ ყველაზე გამბედავ ბიჭებსაც კი ეშინოდათ შესვლა. ისე მგონია, ჯოჯოხეთი მართლა თუ არსებობს სადმე, უსათუოდ იმგვარი სამრეცხაოებისგან შესდგება! მოვიდა სამი ლამაზი, ლოყებღაჟღაჟა ადამიანი „რაიკომის საგზურით", თავისი მწირი ბოხჩებით და ნებაყოფლობით შესახლდა ჯოჯოხეთში.

გოგია და მე ტოლები ვიყავით, მალე დავმეგობრდით და ამ ნიადაგზე დედაჩვენებმაც გაიცნეს ერთმანეთი. მარო ნანდოშვილი პარტიული მუშაკი იყო, სამსახურიდან გვიან ბრუნდებოდა და ამიტომ ჩვენთან დღისით ამოსული არასოდეს მინახავს - მხოლოდ შეღამებისას ან ღამით. ხშირად გვსტუმრობდა - ხან რისთვისა და ხან რისთვის. დედაჩემი კეთილმოსურნე ადამიანი იყო, ახალ მეზობელთან კარგი ურთიერთობა დაამყარა. მარო ნანდოშვილს ქმარი - ისიც პარტიული მუშაკი - მიტოვებული

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჰყავდა. არ იტყვით, რა მიზეზით? იდეოლოგიურ უთანხმოებათა გამო - არც მეტი, არც ნაკლები! დედაჩემისა და მარო ნანდოშვილის საუბრების ძირითადი თემა, სახელდობრ, ის გახლდათ, თუ რამდენად გამართლებულია იდეოლოგიურ წინააღმდეგობათა ნიადაგზე ოჯახის დანგრევა და ბავშვების უმამოდ დატოვება. მაროს დასკვნა ამ საკითხზე ყოველთვის ერთნაირი იყო:

- ოჯახი ჩვენ, ბოლშევიკებმა, სულ ერთია, უნდა მოვსპოთ და, ადრე მოხდება ეს თუ მერე, რა მნიშვნელობა აქვს?..

მარო ნანდოშვილის შეხედულება ოჯახის ყოფნა-არყოფნის თაობაზე, პირადად მე, სამართლიანად მიმაჩნია - გოგიასა და თინიკოს საბავშვო სახლში ყოფნა არ ერჩივნათ? სკოლიდან დაბრუნებულებს შინ არავინ ხვდებოდათ და თითო ნაჭერი შავი პურის მეტი საჭმელი არაფერი ჰქონდათ. ეჭირათ ხელში და ღეღნიდნენ.

ეს იდეოლოგიურ-პოლიტიკური დროსტარება რამდენიმე წელიწადში იმით დამთავრდა, რომ ჯერ თინიკო მოკვდა ჭლექით, მერე - გოგია. მარო ნანდოშვილი პარტიული მუშაობითა და საზოგადოებრივი მოღვაწეობით ისე იყო გატაცებული, რომ, მგონია, შვილების გამოტირებისთვისაც ვერ მოიცალა.

ეს ქალი ოცდაჩვიდმეტ წელს დააპატიმრეს. მორდოვეთის ბანაკებში ძველი პატიმრებისგან გავიგე, თურმე, იქაც აქტივისტობდა, მაგრამ ოცდაცხრამეტში თუ ორმოცში უბედურს თავი ჩამოუხრჩვია.

სტალინური სოციალიზმი დობრი გიორგას კომკავშირლებმა და მარო ნანდოშვილებმა შექმნეს, მაგრამ მხოლოდ ასეთებისგან როდი შესდგებოდა საზოგადოება. გაცილებით მრავლად იყვნენ ისინი, ვინც მარჯვედ გამოიყენა ვითარება, ბრტყელ-ბრტყელების ლაპარაკი, მიტინგებსა თუ კრებებზე პათეტიკური სიტყვით გამოსვლა ისწავლა და, საბოლოო ჯამში, პარტიული თუ თანამდებობრივი ფუნქციონერობა გაინაღდა. სხვამ ფულად შეისყიდა სარფიანი ადგილი. ინდუსტრიის განვითარების ნიღბით არალეგალური საამქროები მომრავლდა, საქმოსნები გამდიდრდნენ. ბევრმა სპეკულაციას, ოქრო-ვერცხლითა და ვალუტით ვაჭრობას მიჰყო ხელი. მართალია, საბჭოთა ხელისუფლება სასტიკად სდევნიდა კანონსაწინააღმდეგო ხერხებით ფულის

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მკეთებლებს, მაგრამ შემთხვევათა უმრავლესობაში პასუხისმ-
გებლობის თავიდან აცილება ქრთამით ხერხდებოდა და... „ქვე-
ყანა ჰგიეს უკუნისამდე“.

ერთი ასეთი ძველთბილისელი მოქალაქე, ანტიკვარული სა-
გნებით მოვაჭრე, ჩვენს სახლშიც ცხოვრობდა. წარამარა იჭერ-
დნენ. ერთ-ერთი გათავისუფლების შემდეგ ცოლს უთხრა:

- სირანჯან, ეგ შუბები[138] თუ არ ატარე... არ იცი, ბეწვი უხმ-
არობით რომ ფუჭდება? შვიდი თუ რვა ცალია, გაფუჭდება და
კაპიკია მაგათი ფასი!

- ვა, შენ არ ამბობ, ნუ იცვამ, ეს მამაძაღლები კიდევ დამიჭ-
ერენო?

- მაშინ ავდგეთ და გავყიდოთ, სანამ კიდევ საქონელია...

- არ იყიდება! - შეაწყვეტინა სირანამ და ქურქების შენარჩ-
უნებისა და დაუზიანებლობის ერთობ გონებამახვილ ხერხს მი-
მართა: სახლის სახურავზე ატარებდა ღამღამობით, საათობით
დადიოდა.

დროს არც მე ჩამოვრჩენილვარ. მამაჩემის ხშირი დაპატიმ-
რებების გამო ოჯახი ფინანსურ სიძნელეებს განიცდიდა. ყოვე-
ლდღიურ სახარჯო ფულს ვინ ამბობს, სკოლაში უსაუზმისფუ-
ლოდაც მივლია. კოჭობანას ხომ ადრეულ ყრმობაშივე დავეუფ-
ლე და გასაჭირმა გამაეშმაკა კიდეც. კოჭი ხუთი კაპიკი ღირდა
და ის დღე რა დღე იყო, ორი, სამი მანეთისა არ მომეგო. სახელი
მქონდა გავარდნილი, ჩემთან სათამაშოდ სხვა უბნებიდანაც
მოდიოდნენ ხოლმე... კუკურა ხეთერელი!..[139] დიახაც, რომ მახ-
სოვს. მაგას არ ვიზამდი, შეყვარებული რომ არ ვყოფილიყავი.
ჩემმა გულის ვარდმა ჩამოიარა სწორედ იმ დროს - ციალამ...[140]
ჩემი რანაირად იყო, არც კი ვიცნობდი... მართალია, მაგრამ მი-
ყვარდა და ეს იმანაც იცოდა. ის კუკურა ვერც ჯანით მჯობდა,
ვერც ჭკუით. თავხედი იყო, ასეთებს თავმდაბლებთან მუდამ
უპირატესობა აქვთ. გეგონებოდა, მიდარაჯებდა, მამაძაღლი-
ვთქვათ, ვინმეს ვეთამაშები. გაჩნდებოდა საიდანღაც, დაავლე-
ბდა ხელს ჩემს კოჭებს, ჩაიყრიდა ჯიბეში, თუ ხმას დავძრავდი,
პანღურსაც ამომკრავდა და წავიდოდა თავის გზაზე! ამას ისე
სჩადიოდა, ვითომ მემართა რამე მისი და გადახდა დავუგვიანე.
არ ვიცი, როგორია ამ მოვლენის ფსიქოლოგია, მაგრამ ბევრი

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

დამეთანხმება, რომ ასეთი რამ ცხოვრებაში არის - თავხედობის მიმართ პასიურობა. ერთხელ, ვთამაშობ, პარტნიორი გრძელ დასხმაში შევიტყუე, ბარე სამოცი კაპიკის კოჭები გვიდგას, უნდა მოვიგო, ლაპარაკი არ უნდა... კუკურა-ექსპროპრიატორი გამოჩნდა, ჩვენსკენ მოემართება. გავშრი. მოგვიახლოვდა... წინააღმდეგობის გაწევა აზრადაც არ მომსვლია და ამ დროს... ქვაფენილზე - ციალა!.. კუკურა კოჭების ასაღებად დაიხარა... დანარჩენი თავისთავად მოხდა - ფეხი გავიქნიე, მძარცველი გულაღმა გაიშოტა. ტუფის ქვის ნატეხს ვტაცე ხელი, წაქცეულს დავაჯექი და დაუნდობლად, განუკითხავად ვურტყი იქამდე, სანამ დავრწმუნდი, რომ წინააღმდეგობის გამწევი აღარ იყო. გოგონამ ამ ვანდალიზმს პირღია უყურა. ამის შემდეგ ჩავთვალე, რომ ჩემი გულის ვარდი სიყვარულზე უარს ვეღარ მეტყოდა!.. ჩვენი მოგონებები უმთავრესად ჩვენს პროფესიასთან, მოღვაწეობის ასპარეზთან არის დაკავშირებული. ჩემი ცხოვრების იმ მონაკვეთის ძირითადი პროფესია, „შემოსავლის წყარო", კოჭობანა იყო და შთაბეჭდილებებიც ბლომად დამრჩა. რომელი ერთი გავიხსენოთ?.. ნაყენები!..

ეხლა დიასახლისებმა ამ საქმეს რატომღაც თავი მიანებეს. წინათ, მეორე სართულზე და ზევით, მზიან კედელს ვერ ნახავდით, სანაყენედ ბოთლები რომ არ კიდებულიყო. ჩაჰყრიდნენ ბოთლებში ალუბალს ან ტარხუნას, დაუმატებდნენ ბლომად შაქრის ფხვნილს, მარლით წაუკრავდნენ თავებს და ჩამოჰკიდებდნენ. მშვენიერი ნაყენი დგებოდა, ოჯახი მთელი წლით იყო უზრუნველყოფილი სურნელოვანი და გემრიელი ლიქიორით. ჩვენი მოპირდაპირე ორსართულიანი სახლის კედლებზე უამრავი ბოთლი ეკიდა ხოლმე. ძირს ქვაფენილის მაგივრობას კარგად დაძეკილი მიწა ასრულებდა, კოჭობანისთვის მისწრება იყო. ბოგოლის ქუჩიდან მოსულს ვეთამაშები, ბიჭბუჭების სახით მაყურებელიც ბლომად მყავს და ამ დროს კოჭებზე დახრილს სახეში რაღაც ისეთი მომხვდა, რომ ზურგზე მოვადინე ტყაპანი, სწორედ ისე, როგორც კუკურამ. გრძნობა დავკარგე. გონს რომ მოვეგე, თავზე იმ სახლის მეორე სართულის მდგმური - სერგო ხაბარაძე[141] დამდგომოდა და მიყვიროდა, - მოცვიანი და მარწყვიანი ბოთლები შენი მოპარულიაო! თავი მიბჟუოდა, ცხვირიდ-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ან სისხლი მდიოდა და თან ის საშინელი ცილისწამება მესმოდა... ძვირად დაუჯდა!.. კი, ძვირად. ორკაპი შურდული მქონდა, რაგატკას რომ ეტყვიან, მშვენივრად გაწყობილი. კერესელიძეების[142] სხვენიდან ჯერ სათითაოდ ის უამრავი ბოთლი დავულეწე, დიდის ამბით რომ ჰქონდათ მზეზე გამოფენილი, და ახლა ფანჯრებს მივდექი. დღემეორე მეშუშე მოჰყავდათ. მილიციაშიც მიჩივლეს. წამიყვანეს, ვერაფრით გამომტეხეს. მამა ციხეში იჯდა, დედასთან რამდენჯერმე მოვიდნენ საჩივლელად. ვერც ამან გასჭრა. მათდა ბედად, მამაჩემი გამოუშვეს, იმის ხათრით მოვეშვი, თორემ მოპარული ნაყენების ჭირისუფალმა ორი დღით ადრე ჩურჩხელები მომიტანა, - შევრიგდეთ, შვილო, — მაგრამ იმავ ღამით მაინც ჩავუმსხვრიე აივანზე გამომავალი კარის დიდი შუშა...

საცოდავო ერეკლე კარგარეთელო, რა დროში მოგიწია ცხოვრებამ! როგორი მამა და აღმზრდელი იყავი, რაები მასწავლე და ჩამინერგე... ნინოშვილის ქუჩაზე რომ გადავედით საცხოვრებლად, იქ სტადიონი დამხვდა, პირდაპირ ჩვენსავე ქუჩაზე, ყურის ძირში. რომელიმე ფეხბურთელს მეტი მოუვიდოდა, ბურთი გალავანს აქეთ გადმოვარდებოდა და უბნის ბიჭებს ჩხუბიც კი მოგვსვლია, - არა, მე უნდა მოვიტაცო, არა - მეო. ასე მოტაცებული ბურთი[143] რამდენჯერმე მეც მქონდა. ერთხელ სკოლის ამხანაგი მეწვია, - უბანი უბანს ვეთამაშებით, ვიცი, ახალი მოტაცებული ბურთი გაქვს, მათხოვე, დღესვე დაგიბრუნებო. გამოვუტანე, მაგრამ რჩევა-დარიგებით ლამის სული ამოვხადე, - აბა, თქვენ იცით, არ გამიხეთქოთ, არსაით გადაგივარდეთ, თამაშს მორჩეთ თუ არა, მაშინვე მომიტანე-მეთქი, და ვინ იცის, კიდევ რამდენი რამ ვეჩიჩინე... მოვეშვი, როგორც იქნა, წავიდა, წაიღო.

მამამ, თურმე ყვლაფერი მოისმინა. შინ შევედი და მითხრა:

- ამას იქით, როცა ვინმემ რაიმე გთხოვოს, ან მზადყოფნითა და სიამოვნებით მიეცი, ან არ მისცე და უარზე მტკიცედ დადექი. ჭიჭყინით მიცემული დაყვედრებულზე უარესია!

ვიღაცაზე ვთქვი, - ძალიან ბევრი ფული აქვს-მეთქი. გამიწყრა, - სხვის ჯიბეში ფულის თვლა შურიანობა და მოპარვაზე უარესია. სხვისას ნუ დაითვლი, შენი დაითვალეო.

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თორმეტისა ვიქნებოდი, დილაა, სკოლაში მიმეჩქარება. საძილე ოთახის კარი ღრიჭოდ იყო, დედაჩემი მამაჩემთან ჩემ ნაცელქარ-ნამამაძაღლარზე ჩიოდა, - კლასში ლეკვი შეიყვანაო, თევზის ქონში ნავთი ჩაასხაო, მეზობლის ნებიერა კატას ეჟვანი შეაბაო, ნასიძეებს თუთიდან საფრთხობელა ჩამოუგდოო და, რა ვიცი, კიდევ რამდენი რამ. ერეკლემ მოუსმინა და მიუგო:

- ეგ ყველაფერი ასაკისაა, გაივლის. გაიზრდება, ძალიან კარგი კაცი დადგება, დაიხსომე ჩემი სიტყვა!

შესაძლოა, ეს ფანდი იყო, ჩემ გასაგონად ითქვა, აღზრდის ერთგვარი ხერხის სახით, მაგრამ ის კი ჭეშმარიტებაა, რომ იმ სიტყვების გაგონებამ ჩემზე წარუშლელი გავლენა იქონია. მას შემდეგ სულ იმას ვცდილობდი და, რა დასამალია, დღემდე ვცდილობ, იაგორსა და მამაჩემ ერეკლეს ვგავდე, ცხოვრებაში მათი შეგონებებით და მაგალითებით ვიხელმძღვანელო.

ის დღე ეხლაც ჩემი ბავშვობისა და ყრმობის დასასრულად მიმაჩნია... როგორ არა, სწორედ რომ ახალი პერიოდი დაიწყო!.. სარდაფში ჩატანილ ძველ წიგნებს შორის აღმოვაჩინე პეტერბურგში გამოცემული და მშვენივრად ილუსტრირებული *„Искусство любви“*! მაშ, იმ ადამიანისთვის, ვინც ამ წიგნს ღრმად შეისწავლის, ახალი ცხოვრება არ დაიწყება?! ღრმად შევისწავლე და არა მარტო სექსუალური ურთიერთობის ყველანაირი ხერხი, არამედ სასიყვარულო, საარშიყო ხელოვნების ყველა ფანდი, ხრიკი და ეშმაკობაც. იმ წიგნში ესაც ზედმიწევნით იყო გაშუქებული. შევისწავლე და ხმალივით შევიმართე, თეორიის პრაქტიკით დადასტურება მომწყურდა... ეგ არის, ამ განათლებას რამდენადმე უხერხული შედეგი მოჰყვა. როცა გული ვიჯერე და უფრო კი, პატივმოყვარეობის, ძმაკაცებში პირველობის ქვეცნობიერმა ჭიამ მძლია, ის წიგნი რეზო სისაურს[144] ვათხოვე და ცამ უყო პირი თუ მიწამ, არავინ იცის. დაიკარგა და დაიკარგა. დაიწყო ახალი სასწავლო წელი, უკვე ტექნიკუმის პირველი კურსის მსმენელი ვარ. საღამოხანია, ვიღაც კაცი გვესტუმრა. ცერად გადმომხედა, მამა იკითხა და, როცა გაიგო, რომ შინ არის, ქუდი საკიდარზე შემოდო. შევუძეხი, - დაბრძანდით-მეთქი. მამას გავაგებინე, რომ სტუმარი გვეწვია, და მეორე ოთახში გავედი... ამ კაცმა *„Искусство любви“*! მოიტანა!

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თავის გოგონას უპოვნა, კვალს გამოჰყვა და მომადგა. მისი გოგო იმ ძეწკვში მეთერთმეტე ყოფილა. თუ გავითვალისწინებთ, რომ ყოველმა თერთმეტთაგანმა კიდევ სამ, ოთხ ბიჭსა თუ გოგოს, თავის მხრივ, წააკითხა ეს უკვდავი ქმნილება, მაშინ შეძლია, დაბეჯითებით ვთქვა, რომ ამ საგნის პოპულარიზაციასა და სწავლებაში მეტი დამსახურება მაქვს, ვიდრე საბჭოთა პედაგოგიკას — კომუნიზმის იდეებით განათლების საქმეში.

და, აი, პირველი ქალი - ის, რასაც ვნება ჰქვია! არ მეგულება მამაკაცი, თავისი სიცოცხლის პირველი ქალი რომ არ ახსოვდეს. მეც, ცხადია, მახსოვს, მიუხედავად იმისა, რომ დღემდე ვცდილობ, როგორმე მეხსიერებიდან ამოვიშალო. არაფერი გამოდის... თექვსმეტი წლისა ვიყავი, საღამოთი „ბირჟაზე" გავედი, ძმაკაცებთან სალაყბოდ. ვიტრიალე, ვერავინ ვიპოვნე, შეიძლება, იმიტომ, რომ ადრე იყო. ხეტიალი მომბეზრდა, საზაფხულო კინოთეატრში შევედი. ახალი ფილმი გადიოდა და ისიც ვიფიქრე, - იქნება მეგობრები ვნახო-მეთქი. მაშინდელ თბილისში ასეთი საზაფხულო განყოფილება თითქმის ყველა კინოთეატრთან არსებობდა. სეანსები შეღამებისთანავე იწყებოდა და წელიწადის დროს გააჩნდა, სამი სეანსიც ჩატარებულა ხოლმე, თუ წვიმას არ დაუფანტავს ხალხი. მეგობართაგან აქაც არავინ იყო. ნაყინი ვიყიდე, ჩამოვჯექი. ჩემ პირდაპირ მშვენიერი შესახედაობის, ასე, ოცდაცხრა, ოცდაათი წლის ქალი იჯდა, ჩემსავით სეანსის დაწყებას ელოდა. საღამოს გაზეთი მეჭირა, ვითომ ვკითხულობდი, და ნამდვილად კი ამ ქალზე ფიქრებში ვიყავი, - როგორ გამოველაპარაკო და გავიცნო-მეთქი. ათასი შესაძლებლობა და ვარიანტი განვიხილე, ყველა დავიწუნე. თექვსმეტისა ზოგი დიდი ბრიტანეთის დედოფალზე იერიშს ისე მიიტანს, ვითომ ასეთი რამ მობეზრებული ჰქონდეს. „ისკუსსტვო ლიუბვი" - თავისთავად, და გერმანული ფაშიზმის ყავისფერ წიგნშიც ხომ წაკითხული მქონდა სენტენცია: მასა - ქალია, ხოლო ქალს ძალადობა უყვარსო! - მაგრამ ამაებმა ქალებთან გამბედაობის საკითხში ბევრი ვერაფერი შემმატა. სამაგიეროდ, არც სადმე წაკითხული მქონდა, არც ვისმე უსწავლებია და თავად ვიცოდი: ორი ნაბიჯის მოშორებით მჯდომ ადამიანზე ასე დაჟინებით თუ ვიფიქრებდი, თვითონ გამომელ-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

აპარაკებოდა, რა თქმა უნდა იმ შემთხვევაში, თუ ჩემი რაიმე ინტერესებდა. სწორედ ასე მოხდა. ერთი წამით საითღაც გავიხედე და მაშინვე გამომელაპარაკა, - თუ აღარ გჭირდებათ, მათხოვეთო. გაზეთს გულისხმობდა. ვათხოვე. ცოტა ხნის შემდეგ რომელიღაც სტატიის თემაზე ჩამომიგდო ლაპარაკი. არ წამიკითხავს-მეთქი, და გვერდში მივუჯექი. საუბარი გაიბა, მარიკო ერქვა. სეანსის ზარმა დაჰკრა. ადგილები დაუნომრავი იყო, ერთად დავსხედით. სულაც არაფერი, ვისხედით და ვუყურებდით. ეგ არის, ეკრანზე ტრაგიკული ვითარება რომ შეიქნა, - აღარ მახსოვს, ვიღაცას ჰკლავდნენ თუ უკვე მოჰკლეს, - მარიკომ ხელი ხელში ჩამავლო, სურათის ბოლომდე აღარ გამიშვა და არც მე ვიუცხოვე. სახლამდე მივაცილე, გზადაგზა ნანახ ფილმზე ვისაუბრეთ. გამომშვიდობების წინ ტელეფონის ნომერი მითხრა, - ხვალ საღამოს დამირეკეო. მეორე დღის პირველი ნახევარი აბანოს, სადალაქოს, პერანგის რეცხვას, შარვლის დაუთოებას და სხვა ამგვარ რაღაცაებს მოვანდომე, დღის მეორე ნახევარი — ღელვას და იმის ფიქრებს, თუ როგორ უნდა მოვქცეულიყავი, რამაც პაპაჩემ იაგორის თავშეკავებული ცნობისმოყვარეობა გამოიწვია. სრულ შვიდზე დავრეკე. მომიბოდიშა, - ძმისწული ავად გამიხდა, მაპატიე, დღეს არა მცალია, ხვალ არა, ზეგ დამირეკეო... ცოტა არ იყოს, დავიბენი. ამ ნაბან-ნარეცხ-ნაუთოებ-ნაპარს კაცსა, ჰა?.. ზეგ, თითქმის, იგივე განმეორდა იმ განსხვავებით, რომ მეგობარმა მშვენიერი პერანგი მათხოვა. მოკლედ რომ მოვჭრათ, „ზეგ" ოთხჯერ განმეორდა და მეხუთედ, როგორც იქნა, ავიარე ეზოდან სართულის აივანზე ამავალი ხის კიბე და შემინულ კარს მივუკაკუნე. ბოდიშები იმდენ ხანს გაგრძელდა, კინაღამ გული წამივიდა. მოპირდაპირე კედელზე აკრულ ფარდაგსა და ზედ უხვად დაკიდებულ საგნებს უნდა ვუმადლოდე, ამათ წამტაცეს ყურადღება, ამის თვალიერებამ გადამარჩინა.

ივნისის ბოლო იყო, არც ისე ცხელოდა, მაგრამ მარიკოს ერთობ შილიფად ეცვა და გაცილებით მიმზიდველი გახლდათ, ვიდრე პირველი ნახვისას. მიკითხვ-მოკითხვასა და ანეკდოტებს ჩაი მოჰყვა. მე, რა თქმა უნდა, აღარ მახსოვს, ვისგან ნასესხები

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ფულით ნაყიდ „რეკორდს“ ვაბოლებდი და თავი ისე მეჭირა, როგორც ქალებში გათამამებულ, მაგრამ დელიკატურ დედათმავალს. ყოველ შემთხვევაში, მეგონა, რომ ასე მეჭირა თავი.

ბინა ოროთახიანი იყო, ძველთბილისურ სამსართულიან სახლში. შენობას სადარბაზო არ ჰქონდა, ბინებში შესვლა-გამოსვლა მხოლოდ ხის ფართო აივნიდან შეიძლებოდა. აივანზე ბინის კარი და ერთი ფანჯარა გამოდიოდა. წინა ოთახს სიგრძივ მოსდევდა მეორე, საძილე ოთახი, რომლის ფანჯარა ქუჩას გადაჰყურებდა, ხოლო შემინულ კარს ქუჩაშივე გადაკიდებულ რკინის აივანზე გავყავდით.

ფარდაგი რომ ვახსენე, როგორც ძველი თბილისის თითქმის ყველა ტრადიციულ ოჯახში, იგი აქაც ხმარებიდან დიდი ხნის წინათ გამოსული იარაღისა თუ სხვა ექსპონატების კოლექციას წარმოადგენდა: რამდენიმე სიათა, მაჟარი, ხირიმი და ვეება, სადგამიანი, თითქმის პირველყოფილი კაჟიანი თოფი, ხანჯლებისა და ხმლების საკმაოდ დიდი თავმონაყარი, ცხენის მთლიანი მოსართავი და მათრახი, წინა თაობების სამხედრო პირთა ფერწერული პორტრეტები, ერთი წითელი არმიის ახალგაზრდა მაიორის ფოტოგრაფია... იარაღი ოქრო-ვერცხლით, თვალ-მარგალიტით მოოჭვილი და უძველესი ნაკეთობა იყო. მათრახის ტარიც კი ძალიან ლამაზ, ოქროცურვილ ბადეში იჯდა და აქა-იქ მსხვილი იაგუნდებით ანათებდა. შფოთი შემიჩნდა, ვკითხე, - ეს მშვენიერი ვაჟკაცები ვინ არიან-მეთქი? ჩემი ქმრის წინაპრებიო, - მითხრა და ფოტოზე მიმითითა, - აგერ, ის კაცი ჩემი ქმარიაო. კინაღამ ვიკითხე, - ეხლა სად არის-მეთქი?.. უფრო მეტად შევშფოთდი. სიმართლეს ვიტყვი, უპირველეს ყოვლისა, იმიტომ, რომ, რა იცის კაცმა, გავიხედოთ და მოვიდეს! მერე? ეს შიში მალე მოვიშორე, - ასეთი შესაძლებლობა რომ იყოს, ხომ არ დამიძახებდა-მეთქი, მაგრამ სინდისის ქენჯნამ გული წამიღო, სხვისი ცოლის კურო ვიყავი. მარიკო, ალბათ, შედარდიანებას მიმიხვდა, დამამშვიდა, - ავჭალის საზაფხულო ბანაკებშია, დღეს დილით წავიდა,შაბათამდე იქ იქნებაო. დარაბები მიხურა, კარი ჩაკეტა, საძილე ოთახში გავიდა და ლოგინის შლას მიჰყო ხელი. ეხლა ისე მგონია, განწყობილება გამიგო, - ეს ყვინჩილა კი არ გამექცესო, იფიქრა და საქმე წინ წაიგდო. ჩემი მდგომარ-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ეობის გამო სინდისის ქენჯნას ახლა ის დაემატა, სიძვის რიტუ-
ალი ცოტა სხვანაირად მქონდა წარმოდგენილი და არა ასე და-
ურიდებლად - დარაბები, კარი, ლოგინი... გამომძახა, - მანდ
შუქი გამორთე და მოდი, მიშველეო! გამოვრთე, შევედი. ლიფის
ამარა იჯდა, ზურგზე შესაბნევის გახსნას ცდილობდა. ხელები
არ ემორჩილებოდა - თუ უნდოდა, რომ მე შემეხსნა?.. ვიდექი,
დავცქეროდი, ვერ გამებედა, მივშველებოდი... გაიცინა, - რასა
დგეხარ, მიშველე-მეთქი, ხომ გითხარიო?..

ასე, თორმეტის ნახევარი იქნებოდა, შუა განცხრომისას ეი-
ღაცამ მოაკაკუნა!.. მარიკოს ელდა ეცა, გამშორდა, წამოჯდა,
მიაყურა. იჯდა, სანამ კაკუნი განმეორდებოდა. ეხლავეო! - და-
იძახა, ხალათი წამოიცვა, გავიდა და იკითხა, - რომელი ხარო!
მამაკაცის ხმა იყო, - მე ვარ, გააღეო! ქალი ცოტა ხანს გაშეშე-
ბული იდგა. მერე შუქი ჩართო, კარისკენ ხელი ნელა წაიღო, გა-
საღებიც ორჯერვე ზანტად გადაატრიალა...

ის მაიორი შემოვიდა, მთელ საღამოს რაღაცნაირი საყვედუ-
რით რომ გადმომცქეროდა თეთრ ჩარჩოში ჩასმული ფოტოსუ-
რათიდან.

ტანსაცმელი დავბღუჯე... რა მეცვა - პერანგი, შარვალი და
მსუბუქი ფეხსაცმელი - ეგ იყო... ქუჩისკენ გამავალი აივნის
ღია კარში თევზივით გავსხლტი, იქაურობა მოვათვალიერე. ჩა-
ხტომის ან ჩაძრომის არავითარი შესაძლებლობა არ იყო: მესა-
მე სართული, სიპი კედელი... ქუჩაში წყვილი მისეირნობდა. თვ-
ალი მომკრეს, გაჩერდნენ. კიდევ ვიღაც შეუერთდა... კიდევ ერ-
თი წყვილი! იდგნენ, სეირს ელოდნენ. ოთახებიდან ისევ მამაკა-
ცის ხმა მოისმა. იქით გავაპარე თვალი... კლასიკური სიუჟეტი:
ნამწვავები, ჩაის ჭურჭელი, გაწეულ-გამოწეული სკამები და,
როცა საძილე ოთახში შემოვიდა, აწეწილ-დაწეწილი ლოგინ-
იც. მაიორი თავჩაღუნული იდგა, ფიქრობდა. ქალი იქვე, კართ-
ან იყო. ქმარმა ცოლისკენ მიიხედა, წინა ოთახში გავიდა, კარი
გასაღებით ჩაკეტა, ისევ საძილესკენ გამოსწია. ქალს თვალიც
კი არ გამოუყოლებია, თავჩაქინდრული იდგა. მაიორი ჩემი აივ-
ნის კართან მოვიდა და, როგორც სამხედრო პირს შეეფერის,
რიხიანად ბრძანა, - გამოდიო! ვფიქრობ, პევრს ახასიათებს ეს
და არა მარტო მე - ნამდვილ განსაცდელთან პირისპირ თავის

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

დაუფლების უნარი და სრული სიმშვიდე. აუჩქარებლივ ჩავიცვი, მოქუჩებულ მოსეირეებს გადავხედე და ოთახში შევედი. წამით გავჩერდი, მაიორი შევათვალიერე, ორივე ოთახი ნელი ნაბიჯით გავიარე. კართან მივედი, ის იყო, გასაღები უნდა გადამეტრიალებინა, რომ ზურგიდან მოსულმა მაიორმა მხარზე ხელი დამადო. მოვბრუნდი. ხელში ის მათრახი ეჭირა, რომელიც კედელზე ჩამოკიდებულ ფარდაგს ამშვენებდა - ოქროს ბადეშემოკრული, იაგუნდებით მოელვარე. ხმა არ ამოუღია, გადამიჭირა და გადამიჭირა!.. ტანმორჩილი, ჩია კაცი იყო, მაგრამ წინააღმდეგობის გაწევა ფიქრადაც არ მომსვლია... გავეცალე და გამომეკიდა. მაგიდის გარშემო დავრბოდი, მათრახი გრძელი იყო, მწვდებოდა. ბარე სამი წრე შემოვირბინეთ... არ ვიცი, დაიქანცა თუ მაკმარა - გაჩერდა. მაშინ გასაღებს ვეცი და ხის კიბეზე გრიალი ჩავიტანე.

მოსეირეები იქვე იდგნენ, მაგრამ ძალიან მშვიდად გავედი ქუჩაში და ასევე მშვიდად გავუყევი ქვაფენილს, ვითომ მე სხვა ვიყავი და აივანზე მდგომი შიშველი ახალგაზრდა კაცი - სულ სხვა.

ის ქალი აღარასოდეს მინახავს და, კიდევაც რომ შემხვედროდა სადმე, ვიცი, თვალს ავარიდებდი.

ეს საჩოთირო შემთხვევა, თითქოს, სამუდამო სირცხვილად უნდა დამხსომებოდა, მაგრამ გასაკვირი ის არის, რომ თავი, სახელდობრ ამის შემდეგ ვიგრძენი მზად არა მარტო ყველანაირ გასაჭირსა და მოულოდნელობასთან პირისპირობისთვის, არამედ დიდთა საქმეთა აღსრულებისთვისაც კი.

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

კარი მეხუთე

გორა საძილე ტომრიდან გამოძვრა, ივარჯიშა, წაიხემსა და ადგილმდებარეობის გაგნებას მიჰყო ხელი. მზიანი დარი იყო. ასეთი მზე ყინვას ვერ ერევა - ერთ-ორ გრადუსს თუ დააკლებს. რა თქმა უნდა, იმ განედებზეა ლაპარაკი, სადაც იმჟამად იყო გორა. სამხრეთისკენ ეჭირა გეზი, მდინარე ობისკენ.

საოცარია, რა სწრაფად მივლია... ვერაფერი დიდი სისწრაფეა! ოქტომბერში წამოხვედი, თებერვლის დასაწყისია... არაფერია, ხაბიბულამდე მანძილს თვე-ნახევარში ვერ გავივლი?.. გავივლი!.. თუ რაიმე მოულოდნელობამ არ იჩინა თავი... კაცო, ჩვენი საქმეა, ვიაროთ. აი, მივდივართ, მაგრამ სათქმელი და მოსაგონარი უფრო მეტი დაგვრჩა, ვიდრე ვთქვით... აბა, ათასში ერთხელ იცლიდი მაგისთვის - ხან რა გიშლიდა ხელს, ხან რა განწყობილება გქონდა... არა, იმ ტყიურზე რამდენი იფიქრე, რამდენი დრო დახარჯე!.. საინტერესო იყო და იმიტომ... კარგი, ეხლა რაზე ვიფიქროთ?.. რაზე? აი, თორმეტი წლისამ რომ დაიწყე, ის ასაკი, საიდანაც აღსრულებათათვის სამზადისი, დაკვირვება, გამოცდილების შეძენა იწყება, ის დრო, მოვლენები, ადამიანები, გარემოებები გავიხსენოთ. ყოველივე ის რომ არ ყოფილიყო, ხომ არ მივიდოდი იქ, სადაც მივედი - ციხეში!.. ეგ მთელი ეპოქაა, რეპრესიების წლებიც მანდ შედის... სწორია, საიდან დავიწყოთ? იმ დროისა თუ მოვლენების ავტორი სტალინი იყო. მისი გენიის ნაყოფია ყველაფერი, რაც ხდებოდა. ხდებოდა კი ის, რომ ადამიანის, ხალხის, ერის, მისი სრულყოფილი ცოდნა გამომდინარეობდა ერთი რუსული, მეტად ზუსტი ანდაზიდან... ნათქვამ-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

იდან... ეგრე იყოს, მაგრამ მე მაინც ანდაზად ვიტყოდი: *„Охохонюшки, тяжело жить без Афонюшки. Кабы Афонюшка жил, кнуты-бы вил и нас бы бил“*. მისი შეხედულებით, კაცს ცემა და შიმშილი თუ დააკელი, საქმე ვერ ივარგებს. ამაში, უდავოა, მისმა ამ ქვეყანაზე არაკანონიერმა მოსვლამ, აღზრდამ და სასულიერო განათლების მიღებამაც ითამაშა როლი – რელიგიის საწინააღმდეგო თანდაყოლილმა და შემდეგ გამძაფრებულმა ინსტინქტებმა. ისე მგონია, კაცობრიობის ისტორია სტალინზე უკეთესად ქვეყნიერებაზე არც ვინმემ იცოდა და არც ვისმე წარსულში სცოდნია. სჩანს, სემინარიებში ამ მეცნიერების სწავლება ფრიად სერიოზულ საქმედ მიაჩნდათ და, განსაკუთრებით კი, საგნის იმ ნაწილისა, რომელშიც მასებთან ხელისუფლების ურთიერთობისა და სახელმწიფოს ერთპიროვნული მართვის ათასწლოვანი გამოცდილება სწერია. თავად სტალინი, ეტყობა, იმთავითვე და ღმრთივ ბელადად იყო ნაგულისხმევი, თორემ რაღა ამაზე გაამახვილებდა ყურადღებას და განსაკუთრებულ მიდრეკილებასაც გამოიჩენდა? მას ამ მიმართებით ახლის შექმნა არ დასჭირვებია, ძველიც საკმარისად იყო. ეხლა, როგორი წინამორბედი ჰყავდა, ახალ პირობებში ძველი გამოცდილების გამოყენების როგორი მემკვიდრეობა დაუტოვა ლენინმა? საკუთარ ცოდნას მასწავლებლის ოსტატობაც დაურთო და შემპარავი, ძალისმიერი, მუხანათური თუ აშკარა პოლიტიკური ხრიკების უმდიდრესი არსენალი გამოუვიდა. დასახული მიზნის განხორციელებაშიც შეუბრალებელი და ჯიუტი აღმოჩნდა. სისხლის ღვრაც თამაშად მიაჩნდა. ამ თვისებების გამო იყო, პარტიისა და სახელმწიფოს უსტაბაშად რომ აირჩიეს, წინააღმდეგ მენტორის ანდერძისა, – ღმერთი არ გაგიწყრეთ, ეგ სისულელე არ ჩაიდინოთო! ერთი კია, მასწავლებელს თავის შეგირდებზე საქები არასოდეს არაფერი უთქვამს, გულის სიღრმეში ყოველი მათგანი დასრულებულ იდიოტად და ნაძირალად მიაჩნდა და მისი გენიალობა ამაშიც გამომჟღავნდა. თავკაცი იმითაც იყო გენიალური, რომ საწერ მაგიდაზე გამოგონილი იდეოლოგიით შესძლო მასების გადმობირება, ხოლო მისი შეგირდი — იმით, რომ ეს იდეოლოგია სახელმწიფო წყობილებისა და მისი ეკონომიკის საფუძვლად გამოიყენა. კაცობრიობის ისტორიაში, მგონია, ეს

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

პირველი შემთხვევა იყო, როდესაც საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურმა თავისებურებებმა კი არ შეჰქმნა იდეოლოგია, არამედ ბელადმა იდეოლოგიის მიხედვით გამოიგონა წყობილება, მისი ეკონომიკა და ამით ტრაბახობდა კიდეც... როგორც იტყვიან, ეს ყველაფერი - არაფერი. საქმე ის იყო, რუსეთის იმპერიის ნანგრევებზე არა მარტო ახალი სახელმწიფო უნდა აეგო, არამედ ისეთი უნდა აეგო, რომ ამ სახელმწიფოს კომუნიზმის მთელ მსოფლიოში გავრცელების უნარიც ჰქონოდა. ასეთ მიზანს რუსეთის კომუნისტური პარტიის პროგრამა ყოველთვის შეიცავდა და წითელი ხუთკუთხიანი ვარსკვლავის სიმბოლიკით იყო დადასტურებული - ხუთი წითელი მატერიკი!

დიდი გაიძვერა ბრძანდებოდა ჩვენი ბელადი, რანაირი ფოკუსები იცოდა!.. ამ მიზნის განხორციელებას ადამიანის, მთელი ხალხის სრული მორჩილება სჭირდებოდა. როგორ მიეღწია მასებში ასეთი ფსიქოლოგიური განწყობილებისთვის? ზემომოყვანილი ანდაზით იხელმძღვანელა: დაუწყო ცემა, მაგრამ ნაირ-ნაირი წახალისებებისა და იდეების პროპაგანდის თანხლებით. ამით დამორჩილების პრობლემა მხოლოდ ნაწილობრივ გადაწყდა; ასეთი კაცი ვარგოდა იმისთვის, რომ მშიერ-მწყურვალს დანგრეული ქვეყანა ეშენებინა და არა იმისთვის, რომ ერთი ხელის აქნევით დაედო თავი იქ, სადაც ბელადი მოისურვებდა. საჭირო იყო მოქალაქე, ქვეშევრდომი, რომელსაც ეტყოდნენ, თავი უნდა მოიკლაო, და ის მხოლოდ იმას იკითხავდა, - ყულფით, საწამლავითა თუ ტყვიითო? აქვე თუ სადმე სხვაგანო? — ბელადმა ესაც შესძლო და აი, როგორ: შექმნა იმდენად დაბალი ხელფასების სისტემა, რომ თავისი ალალი შრომით ოჯახს კი არა, მარტოხელა კაცი თავსაც ვერ დაირჩენდა. სამაგიეროდ, დასტოვა ონკანი, საიდანაც დიოდა ეგრეთ წოდებული სახელმწიფო ქონება, უფრო სწორად კი — დოვლათი, რომელიც მშრომელმა შექმნა და მას ბელადმა წაართვა. როცა ადამიანს შვილები დაემშა, მივიდა, ონკანს პეშვი შეუშვირა და დახვრიპა, ესე იგი, მოიპარა. მოიპარა და იმავ წამს დამნაშავის კომპლექსი შეეძინა. ამას ისიც უნდა დაემატოს, რომ დანაშაული რეგულარულ ქმედებად იქცა, რადგან ფიზიკური არსებობის შესანარჩუნებლად გამუდმებული ქურდობა იყო საჭირო. დაიწყო საყოველთაო პარვა, მექრთ-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ამეობა და სახელმწიფო ქონების განიავება. სამაგიეროდ, შეიქ-
მნა საზოგადოება, რომელშიც ყოველი ადამიანი კანონის წინა-
შე თავს დამნაშავედ გრძნობდა; როცა ასეა, მაშინ, იმის შიშით,
რომ უმნიშვნელო ურჩობის შემთხვევაშიც კი ცოდვებს მოგაგო-
ნებენ, ციმბირში გიკრავენ თავს და ყველაფერი ოხრად დაგრჩე-
ბა, რაღა თქმა უნდა, მორჩილი, დამჯერი და ყურმოჭრილი მონა
იქნები. ბელადს ისიც გამოთვლილი ჰქონდა, რომ რასაც მას ჰპ-
არავდნენ, ასჯერ ნაკლები იყო, ვიდრე ის, რასაც იგი ხალხს თა-
ვად ჰპარავდა. ეს ფოკუსი მატერიალურადაც გამართლებული
იყო - იაფად შეძენილი საყოველთაო, უსიტყვო მორჩილება. ორ-
ას მილიონ დამნაშავეში ურჩთა აღმოჩენა, მათგან მრავალმილ-
იონიანი, შორეულ „შრომა-გასწორების" ბანაკებში უფასოდ
მომუშავე არმიის შექმნას რაღა უნდოდა - „გულაგი" და მაგის
ჯანი! ბანაკებს, ამ მოგონებაზე, ესაც ვთქვათ, სხვა დანიშნულე-
ბაც ჰქონდა. ბელადმა შესანიშნავად იცოდა, რომ ადამიანის შრ-
ომით გასწორება, ანუ ბანაკებში პატიმრობის გზით პარტიისა
და სახელმწიფოს ერთგული მოქალაქის გამოძერწვა, უიმედო
საქმე იყო. საბანაკო სისტემის ჩამოყალიბების უმთავრეს მიზა-
ნს კი პარტიის პოლიტიკის მოწინააღმდეგეთა და არსებული ვი-
თარებით უკმაყოფილოთა ფიზიკური მოსპობა შეადგენდა. მოს-
პობა არა ტყვიით, არამედ ცხოვრებისა და შრომის არაადამიან-
ური პირობების შექმნით. იმუშავე, სანამ მოკვდები!

ყარაგანდაში იყო, საღამო ხანს ვიღაცას ვეძებდი. მითხრეს,
ექიმთან წავიდაო. იქ, როგორც ყოველთვის, ბლომად ხალხი
დამხვდა - მეორე დღეს სამუშაოდან გათავისუფლების სახვეწ-
ნად მოსული. ჩემი შესვლა იყო, მაიორი კულაგინი[145] თუ კალუ-
გინი, „კულტურულ-აღმზრდელობითი ნაწილის" უფროსი შემ-
ოვიდა. ხალხი მოათვალიერა და გულწრფელად გაკვირვებულ-
მა იკითხა, - ამდენნი აქ რისთვის მოსულხართო? უპასუხეს, -
სამკურნალოდო. — გაიცინა და გვითხრა: — თქვენ იმისთვის კი
არ მოგიყვანეთ, რომ გარედან მოტანილი ავადმყოფობები გიმკ-
ურნალოთ, არამედ იმისთვის, რომ ნელ-ნელა დაიხოცოთო! —
სათითაოდ გამოგვყარა. სისულელით მოუვიდა. ჭეშმარიტი მი-
ზნის სიტყვიერი დადასტურება ადმინისტრაციას აკრძალული
ჰქონდა...

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ხოლო ჩვენ „პირველსავე სიტყვასა ზედა მოვიდეთ“: იოსებ ჯუღაშვილი, სქესის ერთი წამოფეთქების შედეგად დაბადებული, და, ამ მიზეზით, იმთავითვე დაბოღმილი არსება რომ არ ყოფილიყო, ბიჭს თავისი შეუპოვრობა, სიჯიუტე ლექსის წერასა და სიყვარულში გამოეჩინა და მარქსი, ენგელსი, პლეხანოვი და ლენინი არ წაეკითხა... მოიცა! ხედავ, რამდენი რამ უნდა მომხდარიყო და არ მომხდარიყო იმისთვის, რომ ქვეყანას სხვა ბელადი მოვლენოდა?.. მართალი ხარ, იყოს. რა ვიცით, სხვა იქნება უარესი ოინბაზი გამომდგარიყო. რაც მე მაგისი წყევლა მსმენია, კიდევ კარგა ხანს იცოცხლა. წარაფი, „შავო მერცხალო“ და გუდის ყველი „ნაყვარება“. ამის გამო აუხირებიათ, ქართველი იყოო. ლუდი, ძეხვი და ბეთჰოვენი მიყვარს - გერმანელი ვარ? დოკუმენტებში საკუთარი ხელით სწერდა, ქართული წარმოშობის რუსი ვარო. ვისაც ხელს არ აძლევს, ნუ დაუჯერებს. მე თუ მკითხავს ვინმე, სტალინი არც ქართველი იყო, არც რუსი და არც რომელიმე ერისა. იგი ოქტომბრის გადატრიალების პროდუქტი, სოციალურ-პოლიტიკური ფენომენი გახლდათ. ვითომ თვით რუსებს, ებრაელებსა და იმჟამინდელი პოლიტბიუროს სხვა წევრებს, სტალინის მაგივრად, გენერალურ მდივნად, ვთქვათ, ტროცკი ან ბუხარინი აერჩიათ, ნაკლები დაიხვრიტებოდა? არა, ჩვიდმეტ წელიწადში თბილისის უნივერსიტეტის ექვსი რექტორის ნაცვლად, შესაძლოა, მხოლოდ ოთხი დაეხვრიტა, მაგრამ იმ ორსაც ჩემი ან ჩემი უახლოესი ნათესავების ხარჯზე აინაზღაურებდა, - ექვსს კი არა, ცხრას დაგვიხვრეტდა. ამავე პერიოდში, ორას სამოცდაათი ათასი ქართველის მაგივრად, ორას ათასს დახვრეტდა და სამოცდაათ ათასს სხვა ხალხებს ძმურად გაუნაწილებდა. დიდი შეღავათია!.. ჰიპოთეზაა!.. მართალია, ჭეშმარიტებას ეგეთი არითმეტიკა არ უყვარს. ჩვენ ის ვილაპარაკოთ, რაც გვაქვს სტალინზე გაგონილი.

მამის მხრიდან ჩემი ნათესავები გორელები იყვნენ, იქაური ამბები ზედმიწევნით იცოდნენ. გორში ერთი ეშხიანი, მიმზიდველი გოგო ყოფილა, ეკატერინე, საალერსოდ - კეკე, ღარიბი ოჯახის შვილი. საბნების კერვა სცოდნია, უკეთესს ნურავინ იტყვის. მაშინ საბნები დაპენტილი მატყლისა იყო, ღუნღულა და ატლასზე ნაქარგი. იქვე, გორში, ეგნატაშვილი[148] ცხოვრობ-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

და - აზნაურიც გახლდათ, გილდიის სოვდაგარიცა და კარგა შე-
ძლებული ოჯახის პატრონიც. ცოლ-ქმარს ერთი შვილი ჰყავდ-
ათ, სახელად იაკობი, მაგრამ შემდგომში პასპორტით - ალექს-
ანდრეც. აქ, შეიძლება, რაიმეს ვცოდავდე, ზუსტი ვერსია მეხს-
იერებაში არ შემომრჩა. კეკე ამ სახლში საბნების საკერავად
მიიწვიეს და ისე კი გამოვიდა, რომ ეგნატაშვილისგან დაფეხმ-
ძიმდა. ეგნატაშვილმა გახმაურება არ ინდომა; იპოვნა ახალგა-
ზრდა კაცი, ბესო ჯუღაშვილი, ხელობით ხარაზი, და, ამასთან
ერთად, არაყის მოყვარულიც. უყიდა სამ თუ ოთხოთახიანი სა-
ხლი, რომელსაც ამავე ფართის ნახევარსარდაფიც ჰქონდა...
ეხლა დაზუსტება ძნელია... ვინც გორში, სტალინის სახლ-მუზ-
ეუმშია ნამყოფი, უეჭველად შეამჩნევდა პატარა, ოროთახიან
აგურის სახლს, რომელსაც მინის ქოლგა აფარია. სტალინი, მა-
რთლაც, აქ დაიბადა, მაგრამ იოლი შესამჩნევია ისიც, რომ სახ-
ლს გვერდიდან მესამე ოთახის კედლის ნაწილი აქვს შემორჩე-
ნილი – მერე მოუნგრევიათ. ამას გარდა, ეზოს და მიმდებარე ნა-
კვეთის კეთილმოწყობისას ნახევარსარდაფი მიწაში ღრმადწა-
სულ სარდაფად გადაუქცევიათ. ოთახის მონგრევისა და ნახევ-
არსარდაფის მიწაში ჩაფლვის ფანდი ტურისტების, ექსკურსა-
ნტებისა და „საზოგადოებრივი აზრისთვის“ შესრულდა, - ნახ-
ეთ, როგორი ღატაკი ოჯახის შვილი იყო ჩვენი და მსოფლიო
პროლეტარიატის დიდი ბელადიო! ეს რომ სიმართლეა, საკუთ-
არი ბებიისა და რამდენიმე გორელი მოხუცისგან თავად მაქვს
გაგონილი. ეგ არის, კარგად აღარ მახსოვს, სახლს სამოთახია-
ნს ამბობდნენ თუ ოთხოთახიანს. რაც შენობის ქვედა ნაწილს
შეეხება, უტყუარ მტკიცებად იმისა, რომ იგი თავიდან ერთი მე-
ტრით თუ იქნებოდა მიწაში წასული, მოჰყავდათ ის, რომ იმ ნა-
ხევარსარდაფში ოცდათხუთმეტი ხარაზი მუშაობდა და ეს სახ-
ელოსნოც ბესო ჯუღაშვილს ეგნატაშვილმა დაუარსა. მომავა-
ლი ბელადი სამი-ოთხი წლისა იყო, როცა ბესო ჯუღაშვილი სა-
ბოლოოდ გალოთდა. საწარმო გაუკოტრდა და თავად ალმა-და-
ღმა წავიდა. ამბობდნენ, უკანონო შვილის მამობა ვეღარ აიტა-
ნა და ამ მიზეზით გადაჰყვა სმასაო. ადვილად გადაჰყვებოდა,
მით უმეტეს, ადამიანი, ვისაც მემთვრალეობისკენ მიდრეკილე-
ბა უამისოდაც ჰქონდა. შუბი ხალთაში ვერ დაიმალებაო, ალბ-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ათ, არაერთხელ წამოაძახეს კიდეც და ეგნატაშვილის მეუღლისთვისაც მალე გახდებოდა ცნობილი ქმრის უკანონო შვილის ამბავი. ამ დროს ეგნატაშვილებს მეორე ვაჟი - ვასილი — შეეძინათ და ორი ვაჟის დედა, რაოდენ შეურაცხყოფილიც უნდა ყოფილიყო, სხვა რომ არა იყოს რა, ქრისტიანულ მორალს მოიშველიებდა და ფაქტს შეურიგდებოდა. ყოველივე ამის გამო ეგნატაშვილებმა სოსო ჯუღაშვილი ოჯახში მიიღეს და საკუთარ შვილებთან ერთად ზრდიდნენ, ესე იგი, თავისი ბიჭებისგან არაფრით არჩევდნენ, თუმცა სოსო, მეტწილად, დედასთან, მაგრამ ეგნატაშვილების ხარჯზე ცხოვრობდა. დრო მოვიდა, სოსომ ეგნატაშვილების აზნაურობის წყალობით გორის სასულიერო სასწავლებელში დაიწყო სიარული. დაამთავრა და ახლა თბილისის სასულიერო სემინარიაში მოაწყო ეგნატაშვილმა - იქ მხოლოდ სასულიერო წოდების ან არისტოკრატთა ოჯახებიდან გამოსული ახალგაზრდობა სწავლობდა. ამ დროის მანძილზე ძმებს შორის ურთიერთსიყვარული, მშობლიური დამოკიდებულებები ჩამოყალიბდა და, მიუხედავად იმისა, რომ იაკობი და ვასილი ეროვნულ-დემოკრატები იყვნენ, ხოლო იოსები - სოციალ-დემოკრატი, ისინი ნამდვილ, ალალად მოყვარულ ძმებად დარჩნენ, რაც მათი მომავალი დამოკიდებულებებიდანაც აშკარაა. მაგალითად, სოსომ თავის ბიჭებს იაკობი და ვასილი დაარქვა და მათი ნაღდი ძმობის სხვა მაგალითები მერეც გამოჩნდა. ძმები ცხოვრებამ მიმოფანტა. იაკობმა საფრანგეთს მიაშურა, მგონია, მამის პროფესიის, მეღვინეობის დასაუფლებლად. ვასომ მოსკოვის უნივერსიტეტში სწავლა არჩია. სოსო პოლიტიკურ მოღვაწედ ჩამოყალიბდა, ხან რომელ ციხეში იჯდა და ხან რომელ გადასახლებაში იყო, მაგრამ ოჯახისა და ძმების ყოველნაირი დახმარება არასოდეს მოჰკლებია.

დაიწყო პირველი მსოფლიო ომი. იაკობი ფრანგების არმიაში მოხალისედ შეევიდა. ვერდენის ბრძოლაში მძიმედ დაიჭრა და საფრანგეთის საბრძოლო ჯილდოებით მკერდდამშვენებული დაბრუნდა სამშობლოში. ვასილმა უნივერსიტეტი დაამთავრა და თბილისში პედაგოგიურ მოღვაწეობას მიჰყო ხელი. სოსო ამ დროისთვის უკვე სტალინი იყო და არა ჯუღაშვილი, და მალე გენერალურ მდივნადაც დაჯდა, რუსეთის უზარმაზარ,

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მრავალეროვან სახელმწიფოს ჩაუდგა სათავეში. თავისებურად განვითარდა იაკობისა და ვასილის ცხოვრებაც. იაკობი თბილისში მენშევიკების, ანუ საქართველოს დამოუკიდებლობის დროს ჩამოვიდა. ცოტა ხანს იტრიალა და სოლოლაკის მთაზე ელიტარული რესტორანი გახსნა, რომელიც, მისი წყალობით, თბილისის ლიტერატორთა, ხელოვანთა და, საერთოდ, განათლებული ბოჰემის უსაყვარლეს ადგილად იქცა. რესტორანმა მანამდე იარსება, სანამ სტალინი ეგნატაშვილს მოსკოვში გაიწვევდა. ეს შემდეგი მიზეზით მოხდა: ოციანი წლების დასასრულს საბჭოთა რუსეთმა დიპლომატიურ ურთიერთობათა გაფართოებას მიჰყო ხელი. აღმოჩნდა, რომ რევოლუციებმა და სამოქალაქო ომმა არა მარტო მესტუმრეთუხუცესთა ფენა სრულიად გაანადგურა, არამედ საზეიმო ვითარების შესაფერისი ჭურჭელიც კი საძებნელი შეიქნა. ინტენსიური დიპლომატიის განსახორციელებლად საჭირო სამეურნეო სამსახური ერთიანად აღსადგენი იყო და ეს საქმე იაკობს დაეკისრა. იაკობი, ანუ ალექსანდრე ეგნატაშვილი, სტალინზე რამდენიმე წლით ადრე გარდაიცვალა და მახსოვს, ნეკროლოგში უშიშროების სამსახურის გენერალ-ლეიტენანტად იყო მოხსენიებული. მახსოვს ისიც, რომ ბელორუსიაში ერთმა ნაცნობმა საგანგებოდ მოკეცილი გაზეთი „იზვესტია" მაჩვენა, – ეს ვინ არისო, მკითხა. დავხედე, ფოტოსურათი იყო, ნეკროლოგს რომ წაუმძღვარებენ ხოლმე, იმ ფორმატისა. სტალინი იყურებოდა, მაგრამ ასე პატარა სურათი? ამას ვინ გაბედავდა, და ანაზდად მივხვდი, – მისი რომელიმე ძმა იქნება-მეთქი! ასეც აღმოჩნდა, იაკობი, იგივე ალექსანდრე, გარდაცვლილიყო. სტალინს უყურადღებოდ არც უმცროსი ძმა დაუტოვებია. ოცდაათიანი წლების რეპრესიების წინ საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნად დაანიშვნინა, – იცოდნენ, რომ მე ვმფარველობ, უხეიროდ ხელი არავინ წააღლოს, თორემ საიქიოდან რაღა მოაბრუნებსო. ვასო სტალინის სიკვდილის შემდეგ გარდაიცვალა. ძმებმა უმჯობეს სამყაროს ასაკის მიხედვით მიაშურეს.

სტალინის დედა, კეკე, მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა მთაწმინდის პანთეონშია დაკრძალული; მისი ქმარი, ბესარიონ

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჯულაშვილი - თელავში. იმასაც ამბობენ, საფლავი დაკარგული იყო და სტალინის სიკვდილის შემდეგ სამარე ვილაცის დამოწმებით ააგესო...

ბორავ, ეს რა თვისება გაქვს, - ერთზე დაიწყებ ლაპარაკს და მერე ვინ იცის, რაზე და საით გადახტები ხოლმე!.. რატომ? ჩვენ განვიზრახეთ იმის გახსენება, რაც სტალინის დროს ხდებოდა, ჩემი თორმეტი წლის ასაკიდან და შემდეგ. ვიგონებ იმას, რაც დამახსომდა. რაკი დამახსომდა, მაშინ გავლენაც მოახდინა ჩემი პიროვნების ჩამოყალიბებაზე... არა, შეიძლება, ბევრიც ისეთი რამ იყო, რაც არ დამხსომებია, მაგრამ იმ მომენტში ხომ მაინც მოახდინა რაღაც გავლენა, რამდენადმე მაინც ხომ იმოქმედა?!. კარგი, კარგი, რა ვითარებაში ხდებოდა ჩემი სამზადისი აღსრულებათათვის, არა?.. კი, ბატონო. კოლექტივიზაციის პერიოდიდან ის მახსოვს, რომ თბილისს აუარებელი რუსობა მოაწყდა. რაღაცის საყიდლად გამგზავნეს. პირდაპირ შუა ქუჩაში მოდიოდა კარგა მოზრდილი ჯგუფი - ქალები, ბავშვები, ორიოდ მამაკაციც. ბავშვები ხმით ტიროდნენ, ქალებს ცრემლები ღაპაღუპით სდიოდათ და მოსთქვამდნენ. საზარელი სანახაობა იყო. გაიარეს, თვალს მიეფარნენ. მე მაინც იქვე ვიდექი და არაფერი მესმოდა, რა ხდებოდა. შინ დავბრუნდი და პაპამ თუ მამამ ამიხსნა, რომ რუსეთში შიმშილობა იყო და ხალხი მასიურად სტოვებდა საცხოვრისს, გარბოდა, საითაც განგება მიერეკებოდა. საქართველოში კოლექტივიზაცია უფრო გვიან დაიწყო. სოფლებმა ქალაქებს მოაშურეს, ფაბრიკა-ქარხნების მშენებლობებს შეაფარეს თავი. ბინის პრობლემა უბრალოდ წყდებოდა - მოქალაქეთა ფართის შევიწროება, საკუჭნაოების ათვისება, კიბის ქვეშ გამართული ხუხულები, ნათესავებთან დროებით გაჩერება და მერე ფართის ფლობის თაობაზე სასამართლო პროცესები. ქალაქში გაჩნდა ახალი, ქალაქურ ცხოვრებას მიუჩვეველი მოსახლეობა და, მასთან ერთად, ახალი წესჩვეულებებიც. როგორც იტყვიან, აირია მონასტერი. სოფელში პურის მომყვანი აღარ დარჩა. ქალაქი პურისმჭამლით გაივსო. სისტემამ ვერაფერი უშველა, მაგრამ ხალხი ყველაფერს ითმენდა და ითმენდა იმიტომ, რომ ვინც რაიმე სახის პროტესტს გამოხატავდა, მისთვის ისევე, როგორც გაკულაკებული გლეხობისთვის, აღგ-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ილსამყოფელი მზად გახლდათ. ის კი უნდა ითქვას, რომ მოსახ-
ლეობის საკმაოდ დიდი ნაწილი აგიტაცია-პროპაგანდისა და
უახლოეს დროში კომუნისტური, ანუ იდეალური საზოგადოებ-
ის დამყარების იმედად, გულწრფელი ენთუზიაზმით იყო გამსჭ-
ვალული, თუმცა ყალბ ენთუზიასტთა რაოდენობა მაინც სჭარ-
ბობდა. ესენი ცხოვრობდნენ პრინციპით - ამყოლს აჰყე და დამ-
ყოლს დაჰყეო...

არა, ამ ხერხით ვერაფერს გავხდები. სჯობს, ადამიანები, მა-
თი განწყობილება, ხასიათები გავიხსენოთ. მე თუ მკითხავს ვი-
ნმე, ჩვენმა მემატიანეებმა მეფეთა ხოტბას, მათი კარის ცხოვრ-
ებას, ომებსა და ეპიდემიებს რომ შეალიეს ნიჭი, ადამიანთა და-
ხასიათებისთვის მიექციათ მეტი ყურადღება, და ეპოქა უკეთ არ
წარმოჩნდებოდა?.. ეპოქა ქმნის ადამიანებს, ხოლო ადამიანთა
საქციელი, დამოკიდებულება და აზროვნება მათი ეპოქის უტყუ-
არ სურათს არ იძლევა?.. რა თქმა უნდა!.. ეს რაღაა?!.

გორა უკვე ისეთი ადგილებით მიდიოდა, სადაც ადამიანებთ-
ან შეხვედრის გაცილებით მეტი საშიშროება იყო, ვიდრე ზემო-
თა განედებში. ერთხელ მუსიკა შემოესმა, მიაყურა. მიუხედავ-
ად იმისა, რომ შორიდან ისმოდა და ადგილიც ხანგრძლივი და-
სვენებისთვის ჰქონდა შერჩეული, სასწრაფოდ დასტოვა იქაუ-
რობა, დასტოვა და მეორე დღეს ქოხს წააწყდა. მსუბუქი რამ
იყო, დროებითი. ჭალარა წვეროსანი გამოვიდა, ნაგავი გადაყა-
რა, ისევ შებრუნდა. ქოხს კარის მაგივრად კრეტსაბმელი ჰქონ-
და. წვეროსანს შეუმინავ სარკმელში მოუჩანდა თავი. გორას
ღურბინდში ისე ჩანდა, რომ კაცი მაგიდას უჯდა და სწერდა.

ორი მაგარი სისულელე მაქვს ჩადენილი. ერთი ისა, რომ თვ-
ითმფრინავს არ დავემალე. ნიღაბხალათი წინასწარ უნდა მომ-
ემზადებინა, წამეფარებინა და გათავებული საქმე გახლდათ!..
მაგ შესაძლებლობის გათვალისწინება იყო საჭირო... ვერ ვივა-
რაუდე. მეორე სისულელე ის არის, რომ მუსიკის ხმას გამოვე-
ქეცი. რას მირბიხარ, ვინ მოგდევს? ამას დავუდარაჯებ, იქნება
სარგებელიც ვნახო რამე. საჭმელი მე აღარ მაქვს და ფეხებიც
ლამის გზაში დამრჩეს. ე! ცხენმა დაიჭიხვინა!.. კიდევა, კაცო!..

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

არა, როგორი რეგვენი ვარ, არ იტყვი? ამოდენა ხანია მოვფრატუნობ, ერთხელაც არ მომსვლია აზრად, რომ ცხენის შოვნა შეიძლ=345ბა, ესე იგი, მოპარვა!.. საიდა გაისმა ჭიხვინი? იქიდან! წავიდე, ვნახო? რა შორს წასვლა შენ მოგიხდება, ალბათ, მანდვე სძოვს... შორს არ გაუშვებდა, აქ სადმეა, ნალდია...

გორამ, ჯერ იყო, ბარხანას წამოავლო ხელი, მერე დასტოვა და ცხენისკენ გახოხდა. ფერდოს ჩასცდა, იარა. მდელო გამოჩნდა. თოვლი ქათქათებდა, მზის გულზე ბზინავდა, ზედ შავი ცხენი ადგილ-ადგილ სძოვდა. მოაგონდა, მსგავს სურათს სტუდენტობის დროს იყალთოს მიდამოებში წააწყდა, ოღონდ - თეთრი ცხენი იყო ნაწვიმარ ბალახზე!..

დიდი ფიჭვი იდგა, იმას ამოეფარა და გაირინდა - სწორედ ისე, როგორც მაშინ, იყალთოს მიდამოებში.

ფეხის ხმა მოისმა - ხმელ წიწვზე დაბიჯებული ჩექმის ხრაშახრუში. გორა მიწას გაეკრა. მდელოზე გამოსულ წვეროსანს თვალი გააყოლა. კაცი მტკიცე, გრძელი ნაბიჯებით მოდიოდა, მაგრამ ახალგაზრდული სიმსუბუქე აკლდა მის სიარულს, მოხუცი იყო. სულ ახლოს ჩაიარა, ცხენისკენ მიდიოდა. გორას ისეთი გრძნობა შეუჩნდა, რომ კაცი მას ხედავდა და განზრახ არიდებდა თვალს. მივიდა, ცხენს ფეხებიდან პალვანდი აჰყარა, ქოხისკენ წაიყვანა. კაცი მიდიოდა და გორა ელოდა, რომ ის, აი, ეხლა მოიხედავდა, თვალს თვალში გაუყრიდა. არ მოუხედავს, ხეებში მიიმალა. გორამ ჰატარა ხანს დაიცადა, ძველ ადგილს დაუბრუნდა და თვალთვალი განაგრძო.

წვეროსანი ცხენს უტრიალებდა, წასვლას თუ აპირებდა.

შუადღე კარგა ხნის გადასულია. სად და რისთვის უნდა მიდიოდეს? ეგ აქ საქმის საკეთებლად თუა, რაღა დროის საქმეა? მე შენ გეტყვი, ისეთი ადგილია, მეზობელთან გადავა, იმასლაათებს და დაბრუნდება... ბარხანასა ჰკიდებს... სულ მიდის?.. წავიდეს, ქოხი მე დამრჩება. ის რაები გამოიტანა?.. უი, ოქროს მაძიებელია, ხელსაწყოს უდებს... მერე? დილას არ უნდა გასულიყო?.. რას ჩააცივდი, როცა უნდა, მაშინ მიდის. ოქრო ნაშუადღევს ვერ გაირეცხება? შუადღის მერე იქნება უკეთეს-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

იც არის, ჩვენ მაგ საქმისა ბევრი არაფერი გაგვეგება... გარემ-
ოს ათვალიერებს... წასვლის წინ შენც ხომ ათვალიერებ ხო-
ლმე. აჰა, წავიდა. გავყვეთ. ვნახოთ, საით წავა?.. გვჭირდე-
ბა?.. ერთი იმდენი, რომ დიდ მანძილზე დაშორდეს აქაურობ-
ას, თორემ მაგისგან სხვა რა უნდა მინდოდეს?..

წვეროსანი მალე მიიმალა. გორამ ძალიან ფრთხილად დაუ-
არა, მოხერხებული ადგილი შეარჩია. მისი ვარაუდით, წვეროს-
ანს დასანახზე სწორედ აქ უნდა გამოევლო და მერე დურბინდ-
ით თითქმის ცის დასალიერამდე შესძლებდა თვალთვალს. ასეც
მოხდა, მაგრამ კაცი შორს არ წასულა, ნახევარ კილომეტრში,
ღელის პირას გაჩერდა, ტვირთი ჩამოიღო, ცხენი დაბა, თხელი
ყინული ჩაამტვრია და ქვიშის რეცხვას მიჰყო ხელი. ეს კი იყო,
რატომღაც, წარამარა ათვალიერებდა მიდამოს.

გორა ქოხისკენ დაიძრა.

რატომ მღრღნის ეჭვი, რომ მაგან ამ მიდამოებში ჩემი ყოფ-
ნა რაღაცნაირად იცის?.. იქნება აქვს საფუძველი, ვინმესი ეში-
ნოდეს? შესაძლოა, ეჩვენება, რომ ვიღაც მაგის ოქროზე ნადირ-
ობს? ისე კი, კაი გამბედავი კაცი უნდა იყო, ამ უღრანსა და უკა-
ცრიელში მარტოხელას ოქრო გქონდეს...

გორამ ქოხს ჯერ გარშემო შემოუარა, სარკმელში შეიხედა.
ყველაფერი საგანგებო ყურადღებით შეისწავლა, იყნოსა კიდეც
და მერეღა გადასწია კრეტსაბმელი: ლატნებით შეკრული ვიწ-
რო, ტყაპუჭგადაფარებული ტახტი, ასეთივე ტაბლა, თუნუქის
ლუმელი და სარკმლის ძირას პატარა ფიცრის მაგიდა - სხვა არა-
ფერი. ტაბლაზე დარეცხილი ჭურჭელი ელაგა, მაგიდაზე - სხვა-
დასხვა სისქის რვეულების დასტა. ერთი სასკოლო რვეული გად-
აშლილი იყო, ზედ კოხტად გათლილი ფანქარი ეგდო. ჭერში, ხა-
რიხაზე, დიდი საველე ჩანთა ეკიდა, ქაღალდი ჰქონდა მიბნეული
ქინძისთავით, ნაწერი მოჩანდა. ქოხი დაბალი იყო, გორას თითი-
სწვერებზე ადგომაც კი არ დასჭირვებია. ლამაზი, ადვილი ხელ-
ით ეწერა, რომ ჩანთაში ქოხის პატრონისთვის სასიცოცხლოდ
აუცილებელი, ხელშეუხებელი, ზუსტად გამოთვლილი რაოდენ-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ობის პროდუქტებია. სტუმრის ულუფა ქვაბშია. შეუძლია, მიირთვას. ამას გარდა, უფლება აქვს, წაიღოს მხოლოდ ათი ცალი თორმეტკალიბრიანი ვაზნა. სხვა არასგზით არაფერი. ქოხის პატრონმა ყველაფერი იცის და დარწმუნებულია იმაშიც, რომ ვიზიტიორის მოსვლა გართულებას არ გამოიწვევს. შეხვედრა არ არის საჭირო! ჭამე და წადი. ხელი არაფერს ახლო, თორემ დაგეწევი!..

ქვაბი თაროზე იდგა. გორამ გადმოიღო, ჩაიხედა - ქერის ფაფა იყო ბლომა ერბოთი. სარკმელთან მიიტანა, მაგიდას მიუჯდა, ჭამას შეუდგა, რვეულს ჩააცქერდა, რამდენიმე ბწკარი ჩაიკითხა, გაი-ფიქრა, - ეს კაცი უთუოდ იმ კოლიას მასწავლებელთაგანია, ირემი რომ მომცაო, და განაგრძო:

- ხელისუფლების მოწინააღმდეგე ძალა გამუდმებით უნდა არსებობდეს და ეს მოქალაქისთვის, საზოგადოებისთვის ცნობილი უნდა იყოს. ეს ლამპარი, იმედი და სასოებაა. უამისოდ ხალხი მასაა და არა ერი. ხელისუფლება, თავის მხრივ, გამუდმებით უნდა გრძნობდეს, რომ მას ვიღაც ებრძვის და წინააღმდეგობას უწევს ოპოზიციას. ამ ბრძოლაში ხორციელდება ხელისუფლების თავდაცვითი რეფლექსების გამომუშავება, ყოველგვარი გადატრიალებების საწინააღმდეგო ხერხების ათვისება. დიქტატორები სცდებიან, როცა ცდილობენ, მოსპონ მოწინააღმდეგე პოლიტიკური ძალები. ამით ისინი ვარჯიშის, თვითდახვეწის საშუალებას ისპობენ, ბრძოლის მეთოდიკის განვითარების პროცესს იფერხებენ. რაც მეტია დაწოლა, მით მეტია წინააღმდეგობა. რაც უფრო მძიმეა კონტრძალების მოქმედების პირობები, მით უფრო ინტენსიურად ხდება მათი სტრატეგიისა და ტაქტიკის სრულყოფა, ისინი ბრძოლის მეთოდებისა და ხერხების დახვეწისთვის მიმდინარე შეჯიბრში იმარჯვებენ და ეს არის დიქტატურის დაცემის მთავარი მიზეზთაგანი.

გორამ თავი გადაიქნია, ლუკმა გადაყლაპა, რვეული გადაფურცლა და კითხვა განაგრძო:

- როცა ეკონომიკას სახელმწიფო მართავს, როცა მოქალაქე თავისი შრომით, გამომუშავებული თუ დანიშნული ხელფასით საყოფაცხოვრებო მინიმუმს ვერ იკმაყოფილებს, იგი იძულებულია, მოიპაროს, ან სხვა უკანონო შემოსავლით დაიკმაყოფილ-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ოს ის მინიმუმი. ასეთ საზოგადოებაში ხაზინის ქურდების ფენა იქმნება, იგი იღებს თავის თავზე ცხოვრების ტონის მიმცემის ფუნქციას და ქურდობა, როგორც საქციელი, საძრახისობიდან ღირსების ხარისხში გადადის, ადამიანები ამით ამაყობენ, რაც უკვე სისტემის მარაზმია.

ეს კაცი ფილოსოფოსი ყოფილა და ეგ არის!.. ამას სადმე ისიც ექნება ჩაწერილი, რომ რუსულმა სოციალიზმმა ინტელიგენტის სრულიად ახალი ტიპი შექმნა. მას უნდა გამოევლო კანონსაწინააღმდეგო ხერხებით არსებობის მძიმე გზა ძალადობისა და უსამართლობის პირობებში; იგი მუხანათობით, მზაკვრობითა და გამცემლობით უნდა გადარჩენოდა ციმბირს და თუ მაინც გააბამდნენ, ყველანაირი საშუალების გამოყენებით აეცილებინა თავიდან სიკვდილი ციხეებსა თუ შრომა-გასწორების ბანაკებში. ამგვარად, პიროვნება იძენს უნიკალურ ცხოვრებისეულ გამოცდილებას და საზოგადოებას უბრუნდება ინტელიგენტი, რომელიც, ერთდროულად, ცხოვრების ნიუანსებში უაღრესად გარკვეული ადამიანი, ერუდირებული, დახელოვნებული ყაჩაღია და თვისებათა ამ თაიგულს აქტიურად იყენებს იმ სისტემის წინააღმდეგ, რომელმაც ხელჰყო მისი ზნეობრივი საფუძვლები, დაურღვია არსებობის პრინციპები და იმპერიის მთლიანობის შესანარჩუნებლად გამოგონილი იდეოლოგიის მონად აქცია. დაინგრევა, მაშ, რა ბედი ეწევა იმპერიას?!.

ხელისმოწერა არის, მაგრამ განზრახ ისეთია, რომ ვერავინ გაარჩიოს. „პრუს“ და მერე კარგა გრძელი ხვეულები მოჰყვება... ვინც გინდა იყოს, რიგიანი კაცი კი ჩანს და!.. ახალი ტიპის ინტელიგენტია... ამ დროში უკვე ძველი ტიპისაა... ეხლა ეგ ფიქრობს, კანონიერად გამდიდრდეს და სადმე სამხრეთში, საკუთარ ხუხულასა თუ სასახლეში დალიოს სული.

მეც ხომ სოციალიზმის მიერ ჩამოყალიბებული ინტელიგენტი ვარ? მაქვს თუ არა უფლება, მოვიპარო ცხენი? წარმოვიდგინოთ, როგორ მოუხდებოდა გორა კარგარეთლის მენჯის სახსრებს ერთი ჯაგლაგი... მოუხდებოდა და ეგრე? არ შეიძლება, კვალის დატოვებაა და ზედმეტი მდევარიც, ცხენის გამწარებული პატრონის სახით!.. ესაც ათი ცალი ვაზნა... რამდენადმე თავისებური მდ-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

გომარეობაა: ისე წავიდე, ამ სოციალისტურ ინტელიგენტს მადლობა არ მოვახსენო?.. მართალს ამბობს, საჭირო არ არის. ეს ქოხი მიტოვებული რომ გენახა, დანაყრდებოდი, ხელს რასმე გააყოლებდი - აუცილებლად საჭიროს, და... მადლობის მოსახსენებლად დაელოდებოდი?.. მეტისმეტი თავაზიანობა იქნებოდა. რომ მივდიოდეთ, ის დროა. სად და როდის დამინახა, ნეტავი?..

გორას მეორე დღეს ფლოქვების ხმა შემოესმა. ჯერ იფიქრა, მეჩვენებაო. კიდევ მიაყურა - ნამდვილად ფლოქვების ხმა იყო! მიმალვა ამჯობინა. სავალიდან, საითაც უთოვლო იყო, იქით გადაუხვია, რომ კვალი არ დაეტოვებინა. ბექობზე მსხვილი ფიჭვები იდგა სამი თუ ოთხი. ბექობს გადასცდა. დაწვა. იქიდან დაუწყო ზვერვა... ნურას უკაცრავად, ეს იმ წვეროსნის შავი ცხენი იყო, ოქროსმაძიებლისა, და თავადაც ზედ ბრძანდებოდა. სწორედ იქ გაჩერდა, საცა გორამ გადაუხვია, სწორედ ისე, ვითომ რაიმე კვალი ენახოს...

- გამოდი აქეთ, ნუ მემალები, გხედავ! - ძალიან ჯავრიანად დაიძახა ცხენოსანმა.

გორამ არც აცია, არც აცხელა, წამოიმართა, თოფი იღლიაში ამოიდო, ციგა წამოიღო და მომხდურისკენ ზურგზე თხილამურებ- წამოკიდებული გაემართა.

- რა გნებავთ, ბატონო? - ყოველ შემთხვევისთვის, შორიდან ჰკითხა მოსულს.

- სად არის ჩემი ცხენი?!. მე თქვენ გეკითხებით, რა იქნა ჩემი ცხენი?!

- რომელი, ბატონო?

- მე ერთი ცხენი მყავდა, შავი!

გორა, ცოტა არ იყოს, დაიბნა. ცხენოსანი შეათვალიერა და მიუგო:

- თქვენ თქვენს შავ ცხენზე ზიხართ!

ოქროსმაძიებელი ჩამოხტა, ცხენი შეათვალიერა, შეჯდა და გაბრუნდა.

გორამ კარგა ხანს უყურა მიმავალ მხედარს, ჩაილაპარაკა:

- ეს ქვეყანა გიჟებით არის დასახლებული. მთელი დღე ზედ იჯდა და არ იცოდა, რომ შავი იყო?.. - და გზას გაუდგა.

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

არა, მაინც რა იყო ეს ფანდი? უნდოდა, ვენახე, როგორი ვარ, და თავი მოიგიჟიანა?.. მაგან გნახა, წერილიც დაგიტოვა, დაგაპურა კიდევაც და... მართალი ხარ, შეშლილია!.. შეშლილი არ იყოს, ამ შუა ზამთარში ოქროს ძიება სად გაგონილა?!. თანაც, ოქრო კი არა, მე უფრო პირიტი მგონია. იმიერპოლარეთი სავსეა პირიტით... გახსოვს, ნორილსკში, ქალაქის მშენებლობაზე, თუ მაგადანში, მიწა ერთიანად ოქროთი რომ ბრწყინავდა და პირიტი კი იყო... კაი, ბატონო, მე ისე მგონია, ეს ამბავი ამდენ ფიქრად არ ღირს, სხვა რამეზე ვიფიქროთ... სტალინისდროინდელ ადამიანებზე ფიქრი და მოგონებები... რომლით დავიწყოთ?.. რომელიც გინდა, იყოს, ოღონდ ისეთები, ვინც ოცდაათიან წლებში დაიჭირეს. მასობრივი დაჭერები ოცდათექვსმეტში დაიწყო... ჩვენ იმ დროიდან არ ვიგონებთ, თორმეტი-ცამეტი წლისა რომ ვიყავი? კარგი! მაშინ მაჩაბლის ქალისა[147] ვთქვათ... ისევ სტალინთან მივედით?.. ნაწილობრივ, ეგრეა. სტალინის ახალგაზრდობისდროინდელი ერთი ქველმოქმედება მოწმობს, რომ მისთვის არც სანტიმენტალობა იყო უცხო ხილი. სასულიერო სასწავლებელში სწავლისას, იმხანად, როცა ლექსებს სწერდა, სოსოს ერთი ლამაზი გოგონა შეუყვარდა. ეს გოგონა თავად მაჩაბლის ასული გახლდათ. გატაცება იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ სოსომ გოგონასთან ურთიერთობის, უკეთ ვთქვათ, მისი ხშირად ნახვის ასეთ ხერხს მიაგნო: მამაშისს მსახურად დაუდგა. სტუმრებს ხვდებოდა, პალტოს ჩამოართმევდა, სხვადასხვა წვრილმალ დავალებებს ასრულებდა, შინ მიმავალთ პალტოს მიართმევდა და ასე შემდეგ. სამაგიეროდ, საშუალება ჰქონდა, თავისი გულის ვარდისთვის ჩუმ-ჩუმად ეცქირა. საკვირველი ის არის, როგორ მიიღო აზნაურისა და დიდვაჭრის, ეგნატაშვილის, ანუ თავისი მამობილის თანხმობა, რომ თავად მაჩაბელს ხელის ბიჭად დასდგომოდა. თანამედროვენი ამას, ჯერ კიდევ ჩემს ბავშვობაში, მომავალი ბელადის უსაზღვრო თავისნათქვამობითა და სიჯიუტით ხსნიდნენ. არდადეგები მიიწურა, სოსო თავის სასულიერო სასწავლებელს დაუბრუნდა. კიდევ რამდენ ხანს უყვარდა ბიჭს მაჩაბლის გოგონა, ამაზე ისტორია სდუმს, მაგრამ ის კი ცნობილია, რომ გოგონას სოსოს სევდიანი, ფრფვინვით აღსავსე თვალები სამუდამოდ დაამახსოვრდა, რაც სრულიად ნორმალურ მოვლენად უნდა ჩაი-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თვალოს, მით უმეტეს, რომ გოგონამ მძიმე და უკურნებელი სნეულების გამო ფეხი დაკარგა, თაყვანისმცემლები შემოეფანტნენ და საქართველოს გასაბჭოების შედეგად დარჩა ღატაკი, მიუსაფარი და სასოწარკვეთილი. თბილისში ერთ ბნელსა და ვიწრო ოთახში ცხოვრობდა. რით იკვებებოდა, არავინ იცის, მაგრამ ის კი ცნობილია, ჯიმშედის ჰარამხანის მკვიდრთა წრესთან მჭიდრო კავშირი ჰქონდა. ოციანი წლების მიწურულს მაჩაბლის ქალი კარგ ბინაში გადაბარგდა, მშვენი[illegible]ი ავეჯი დაიდგა და თავისნაირი ღატაკი და მიუსაფარი ქალების მეცენატიც გახდა. საქმე იქამდე მივიდა, რომ პაპა გორა კარგარეთელი იძულებული შეიქნა, მისი ბინისთვის ჯიმშედის ჰარამხანის ფილიალი ეწოდებინა. ეს უეცარი და თავბრუდამსხმელი მეტამორფოზა ბავშვობის მოგონებებს მოჰყვა და მაჩაბლის ქალის გაბედნიერება მისი მეგობრების დაჟინებულ მოთხოვნებს უნდა მივაწეროთ, - სტალინს თავი შეახსენე, მისწერე, როგორ გიჭირს; ადამიანია, ეგება, მოგხედოსო. მისწერა და, ჰოი, საკვირველებავ, ღმრთის ნებავ და ოინბაზობავ ეშმაკისა! ეახლა მაჩაბლის ქალს მთავრობა „სრული შემადგენლობით", იხილა ვიწროდ მყოფობა მისი, უბოძა პალატნი, დაუნიშნა პენსია „დასარჩენად თავისა" და მოკლე ხანში მოუვიდა ამანათი თვით ბელადისგან - ძღვენი, ენით აღუწერელი, გულისა გამხარებელი და სულისა სალბუნებელი. ეგაც არაფერი - მას დღეს აქეთ და გარდაცვალებამდე მაჩაბლის ქალი ყოველთვიურად იღებდა ბელადის ფულად გზავნილებას. საქმეში ჩახედული ადამიანები ამბობდნენ, ეგ ორას ოცდახუთი მანეთი გენერალური მდივნის პარტმაქსიმუმიაო! ამას გარდა, ქალბატონ მაჩაბელს, ეგრეთ წოდებულ „ტორგსინზე" ყოველთვიურად მოსდიოდა გარკვეული თანხა ვალუტით. ყოველივე ამან ქალბატონ მაჩაბლის გარემოცვასა და ჯიმშედის ჰარამხანასაც დიდი შეღავათი მისცა და ეს გრძელდებოდა მაჩაბლის ქალის გარდაცვალებამდე. საკვირველი ის იყო, რომ ბელადის ქველმოქმედება, თითქმის, იმ დღიდანვე შეწყდა, როცა მიცვალებული საფლავში ჩაასვენეს... როგორც ჩანს, ბელადმა საქართველოს ხელისუფლებისგან სამძიმრის ეპისტოლე მიიღო, თორემ ასე უცებ რა საშუალებებით უნდა გაეგო ბავშვობის გულის ვარდის გარდაცვალება? ჯიმშედის ჰარამხანა და სხვანი და სხვანი გლოვობდნენ და დიდხანსაც...

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მიტილენიჩმა მივლინება გაიფორმა, ურენგოიში ჩავიდა იმ იმედით, რომ იაგორ კარგარეთლის მუშაობისა და ცხოვრების ადგილზე რაიმე დამატებითი ინფორმაცია მიეღო, თორემ მისი გასამართლებისა და სასჯელის გამო საქმიდანაც ყველაფერი იცოდა. მისთვის პასუხგაუცემელ კითხვად რჩებოდა, თუ „რამ მოიყვანა იმ სამოთხიდან, საქართველო რომ ჰქვია, ამ ჯოჯოხეთში, შორეული ჩრდილოეთი რომ ჰქვია“, ადამიანი, რომელსაც „თავისუფლებაში არაფერი ჰკლებია და, კაცმა რომ სთქვას, არც პატიმრობებში იყო მშიერ-მწყურვალი“. მეორე ის, თუ რა ურთიერთობები ჰქონდა ურენგოიში – ვისთან, როგორი, და რატომ დამთავრდა მისი ამ ქალაქში ცხოვრება, სახელდობრ, ამ ურთიერთობათა გართულების გამო?.. პირველ კითხვაზე, ანუ რატომ წამოვიდა საქართველოდან, პასუხის მიღებას, მისი აზრით, იაგორ კარგარეთლის აყვანაში მეათეხარისხოვანი მნიშვნელობა ჰქონდა. ხოლო ურენგოული ურთიერთობების კვლევა იმისთვისაც იყო საჭირო, რომ – ვნახოთ და, სწორედ იქ მიბრუნდეს ხელისშემწყობთა, დასაყრდენის საშოვნელად... ან სხვა რაიმე მიზნითო.

მიტილენიჩს ურენგოიში თავისი ყოფნა არა მარტო გამართლებულად მიაჩნდა, არამედ თვითმფრინავში, როცა მივლინების შედეგები მოიხილა, ხელები მოიფშვნიტა და, კმაყოფილების ნიშნად, გაიღიმა კიდეც.

დაბრუნდა. კაბინეტში შესვლისთანავე, რელიეფურ რუკას მიადგა. იფიქრა, ხელები უკმაყოფილოდ გაასავსავა, საწერ მაგიდას მიუჯდა და ფიქრი განაგრძო.

– ქრონოლოგიაა დასაზუსტებელი. ამჟამად ურენგოიში არც ის სანცოვი[148] ჩანს და აღარც პოლინა ცეზარევა[149] – მისი საყვარელი. ამათი გაქრობა მას შემდეგ მოხდა, რაც კარგარეთელმა სასჯელი მიიღო. საქმე დიდხანს გაჯანჯლდა. ორმა კაცმა უაპელაციოდ დამიდასტურა, კარგარეთელი არ უნდა ჩამჯდარიყო. სანცოვმა და ცეზარევამ მოიცადეს, სანამ კარგარეთელს განაჩენს გამოუტანდნენ, და გაქრნენ. აი, ასე, მიტილენიჩ. ჰო, კარგარეთელს ფული არასოდეს ჰკლებიაო, თავდაჭერილი მარტოხელა კაცის კვალობაზე ცხოვრობდაო.... არა, საყვარელიც ჰყოლია, ძმაკაცებიც და ქეიფიც უყვარდაო, მაგრამ ზომიერადო... მეორე მხრივ, იმ დედაკაცს ჯერ კიდევ კარგარეთლის საყვარლ-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ობაში გაუჩენია ახალი საყვარელი - სანცოვი. რა ძალამ გააჭიანურა გამოძიება, სასამართლოდან საქმის ხელახლა გამოსაძიებლად ოთხგზის დაბრუნება რით აიხსნება, ვისი ხელი ტრიალებდა. თვით კარგარეთელს, როგორც მითხრეს, თავის დასახსნელად თითი არ გაუნძრევია... დღესდღეობით სანცოვისა არაფერი ვიცით. ჩახლართულია ყველაფერი. კარგი და, საით გადაიკარგნენ ცეზარევა და სანცოვი?.. ერთად თუ ცალ-ცალკე?.. მოიცა, მოიცა - საპოვნელია კაცი, რომელიც ურენგოიში მუშაობდა და ახლა სხვაგან არის. ხომ ადვილი შესაძლებელია, რომ ცეზარევა თავის ახალ საყვარელს ახალ სამუშაო ადგილზე წაჰყვა... ეეე, რაები გააბი, მიტილენიჩ! როგორც უნდა იყოს, ის ახალი საყვარელია საძებნელი. ცეზარევა მასთან იქნება, ულაპარაკოა... თუ მთელი ეგ კონსტრუქცია ცოტაოდენ ყურადღებას მაინც იმსახურებს... იმსახურებს, იმსახურებს, მიტილენიჩ!.. და კიდევ ერთი: ვინ არის და სად არის ვინმე აშნა[150] - ეს ხომ მეტსახელია, მისი გვარი, სახელი, ადგილსამყოფელი უნდა დადგინდეს... რა შუაშია ვიღაც ნაპატიმრალი თათარი თუ უზბეკი?.. იმ შუაშია, რომ... უნდა დადგინდეს-მეთქი!..

ეხლა ზოგი იმათზე ვთქვათ, ვისი დახვრეტა იყო თუ ბანაკებში მოსპობა - მოასწრეს.

ვერ ვიტყვი, რა მოტივებით უნდა ეხელმძღვანელა ხელისუფლებას, რომ, ვთქვათ, ზაქარია...[151] რა გვარი იყო ის სულელი?.. რომ ზაქარიასთანა ხალხის გასანადგურებლად დრო და შრომა დაეხარჯა. ზაქარია სტალინის დაცვაში ნამსახური, ჯერ კიდევ არცთუ ხნიერი, მაგრამ რომელიღაც სნეულებისა თუ სისულელის გამო იმ სამსახურიდან გათავისუფლებული კაცი გახლდათ. შორეულ ნათესავად გვერგებოდა. ათასში ერთხელ თუ მოგვინახულებდა ხოლმე - ახალ წელიწადს, პაპა გორას დაბადების დღეს; ისეთი წელიწადიც იყო, სულ არ მოვიდოდა. არიან ამგვარი ნათესავები, იმის მოსვლა და სტალინზე ლაპარაკი - ქება, ხოტბა, დიდება და აღტაცება - ერთი იყო. ათას რამეს ჰყვებოდა, მაგრამ ერეკლე კარგარეთელს ყველაზე მეტად ის მოსწონდა, სტალინმა როგორ... არა, ამის გახსენება ნაღდად ღირს, ეს ნოველა[152] მამაჩემის მიერ „ზაქარიას სტალინია-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ნად“ წოდებულ ნაამბობთა შორის უმნიშვნელოვანესად მიმაჩნია, რადგან მკაფიოდ ხატავს ოცდაათიანი წლების ფსიქოლოგიურ ატმოსფეროს.

ზაქარია იმჯერად სტალინს რომელიღაც კურორტზე „იცავდა“, ბუჩქს უკან იჯდა და მიდამოს ზვერავდა.

სამთავრობო აგარაკების პარკები – სტალინის დროს და ეხლაც – საიმედო გალავნით არის შემოზღუდული, მაგრამ იქაური დამსვენებლის მისვლა უშუალოდ გალავნამდე დაცვისთვის არასასურველი იყო. რატომ – ერთმა ღმერთმა იცის. სასეირნო ბილიკებზე, გალავნიდან კარგა მოშორებით, პატარა დაფები ერჭო გამაფრთხილებელი წარწერით, – აქ საზღვარია, ამას იქით ნუღარ წახვალთო, ხოლო გალავნის ძირას ამა თუ იმ სახის საფარში მცველები ისხდნენ. მათი მოვალეობები რამდენადმე გაუგებარია, რადგან გარეთა გუშაგები კედელზე არავის გადმოუშვებდნენ. შიგნიდან გარეთ გადამძრომი იქ დამსვენებლებს შორის ძნელად თუ ვინმე მოიძებნებოდა. ამასთან ერთად, საფარში მიყუჩებულ მცველს არც იმის უფლება ჰქონდა, საზღვარს გადმოცდენილი დამსვენებელი დაებრუნებინა და, საერთოდ, არც განძრევისა, თუნდ რიყის ქვა მოხვედროდა თავში. აბა, წარმოვიდგინოთ, მოდის, ვთქვათ, ლაზარ მოისეევიჩ კაგანოვიჩი, გადმოსცდა საზღვარს. რა, გამოძვრები და ეტყვი, – წადი, გაბრუნდიო?!. რას ამბობ, კაცო, გამოძვრები კი არა... გაფაჩუნების უფლებაც კი არ იყო... მოკლედ, ზის ბუჩქს უკან ზაქარია და სტალინს იცავს... ეხლა, როგორ ჰყვებოდა?!

– სამი წელიწადი იქა ვმსახურობდი, სტალინი ერთხელა ვნახე, ეგ იყო. ხან სად დამაყენებდნენ და ხან სადა. არა, შორიდან ვხედავდი ხოლმე, როგორ არა, მაგრამ ისე, რომ აჰა, სულ ახლოსა, ერთის მეტად – არა. რაც მართალია – მართალია. დიდი ბუჩქი იყო, გაბარდული, რაღაცას ეტყვიან იმ ბუჩქსა, დამავიწყდა. ვზივარ და გამოჩნდა ჩემ ბილიკზედა სტალინი. მოდის, ხელები ზურგს უკანა აქვს ჯვარედინათა და მოდის. გაჩერდება, რამეს დააკვირდება ან ცას ასცქერის, ფიქრობს რაღაცასა და წამოვა ისევ. ეჰ, მაგას რო საფიქრალ-სადარდებელი აქვ, აბა, შენც კარგად მოგეხსენება. ეგრე მოდის, ნება-ნება. მოდის და მიახლოვდება. სანამ აბრასთან მოვიდა, სამჯერ თუ ოთხჯერ დადგა. გავცქერი

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ტოტსა და ტოტს შუა, ფოთოლსა და ფოთოლს შუა, ვფიქრობ, ნეტავი, ახლოს მოვიდეს, კარგა ვნახო-მეთქი. აბრამდის მოვიდა, გაჩერდა, წაიკითხა. ხელები ისევ ზურგს უკან უჭირავს, ფიქრობს. მერე დაიძრა და გადმოსცდა აბრასა. გადმოსცდა და ჩემკენ მოდის, კაცო! ვზივარ განაბული. ისევ დადგა და ახლა ბუჩქს დაუწყო თვალიერება - ჩემ ბუჩქსა, მე რო ვზივარ, იმასა! გულს შემომეყარა, - არ გაწყრეს ღმერთი, არ შეამჩნიოს, საფარში ვინმე თუა, და უფროსს არ უთხრას, - იქ ვინა გყავდაო! დამითხოვენ სამსახურიდანა, ნამდვილია. დათხოვნა რაღაა, უიმკაცოდ ჩემი სიცოცხლე რაღა სიცოცხლე იქნებოდა? იმით მედგა სული, ამოდენა ადამიანს ვემსახურებოდი, ამოდენა კაცსა, ხუმრობ შენა?!. ჰო, ვზივარ და მოდის! სანამ ზედ ბუჩქზე მოვიდა, კიდევ დადგა, გალავანს დაუწყო თვალიერება. დაათვალიერა. კიდევ რამდენიმე ნაბიჯი გამოიარა და თავს წამომადგა! ეგრე ითქმის, თორემა, ვერა მხედავდა, ვერა-მეთქი! დგას, აქეთ-იქით იყურება. დარწმუნდა, არავინ არისო, ამოიღო და ფსმას მიჰყო ხელი. ფსამს, დამდის ზედ და აბა, გაინძერი - ნი პალოჟენო! ან რად უნდა გავინძრე, სტალინია, კაცო!.. გაათავა, დაიბერტყა, შეინახა, ღილები შეიკრა - ლამაზათ სჩადიოდა ამასა, ძალიან ლამაზათა, გაბრუნდა და წავიდა, ისევ ისე ნება-ნება სიარულითა...

ზაქარიას იუმორის გრძნობა ემბრიონულ მდგომარეობაშიც კი არ ჰქონია. მეტიც - თხრობას მშვიდად იწყებდა, თანდათან აღგზნება ემატებოდა, შუბლზე, ნიკაპზე ოფლის წვეთები ასხდებოდა და ლაპარაკს მოულოდნელად სწყვეტდა, თითქოს სიტყვის ძეწკვზე ცული დაურტყა ვინმემო.

ზაქარიას სტალინის მოკვლის სურვილი თუ განზრახვა დასწამეს და დახვრიტესო, ხმა გავარდა. ტყუილი აღმოჩნდა, ენის ჭარტალისთვის აუყვანიათ, - ჩვენი საყვარელი ბელადის კომპრომეტაცია როგორ გაბედეო! ათას ცხრაას ორმოცის გაზაფხულზე დაბრუნდა საღ-სალამათი. გენერალური პროკურორისთვის მიუწერია, - ჰკითხეთ, ეგრე თუ არ იყოო. წარმოდგენილი მაქვს, როგორი სიცილ-ხარხარი იდგა კრემლის კაბინეტებში, მაგრამ ჩეკისტები გაწბილებას ვერ შეარჩენდნენ, ზაქარია ისევ დაიჭირეს და დახვრიტეს.

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

შემეძლოს, გინესის წიგნში შევიტანდი. განა მსოფლიოში კიდევ მოიძებნება კაცი, რომლისთვისაც სტალინს პირადად დაეფსას?

ჩემთვის რეპრესიები ბატონ ბესო ზედგინიძის[153] დაპატიმრებით დაიწყო. ოჯახში ითქვა, - დაიჭირესო! ბესო ზედგინიძე გორა პაპას მეგობარი გახლდათ, სახელოვანი სწავლული და ევროპულად განათლებული ინტელიგენტი. იმდენად მოკრძალებული კაცი იყო, რომ ასეთი რამ გადახდენია: ექსპედიციაში ყოფილან ორნი - თავად და კიდევ ერთი სწავლული. პატარა კარვები ჰქონიათ. ერთ დილას ბესო ამდგარა, საუზმის მზადებას შესდგომია, - კოლეგას გამოელვიძება, დავნაყრდებით და საქმეს შევუდგებითო. კოლეგამ არ გამოიღვიძა... არც იმ დღეს, არც ღამით - მოკვდა! ბატონმა ბესომ მხოლოდ მეორე დღეს შეჰბედა მიცვალებულს გაღვიძება...

ერთხელ ბატონი ბესო პაპა გორასთან მოვიდა. ისაუბრეს, ჭადრაკს მიუსხდნენ. მეორე და მესამე ხელზე სტუმარს რაღაც ისეთი წუხილი შეუჩნდა, რომ მეც კი შევატყვე. პაპა გორამ ჰკითხა, ბესო, რაღაც გაწუხებს, მე ხომ არ შემიძლია, დაგეხმაროო. მოხუცს როსტოვში სიძე ჰყოლოდა მძიმე ავადმყოფი. უცხოური წამალი შემოუთვლიათ, - აქ არსად არის, იქნება მანდ კონტრაბანდით შემოტანილი იშოვნო სადმეო. თბილისში არც სააფთიაქო სამმართველოს ჰქონია, არც საავადმყოფოებს. ჩასულა ბატონი ბესო მაიდანში, უშოვნია, მოსკოვის მატარებელზე გაუტანია. ნაცნობი ვერავინ უნახავს. მერე ორი ღირსეული იერის უცნობი შეუნიშნავს. მისულა, ბოდიში მოუხდია, თავისი სათხოვარი უთქვამს.

- დიდი სიამოვნებით, ბატონო ბესო, მაგას როგორ დაგზარდებითო!

წამალი გამოურთმევიათ, ავადმყოფის გვარ-სახელი და ადგილ-სამყოფელი ჩაუწერიათ. გამომშვიდობებია ბატონი ბესო და წამოსულა. პაპა გორამ უთხრა, - მაგ კაცების ვინაობა თუ იცით. ბატონმა ბესომ მიუგო, - იმ ვითარებაში გვარებისა და მისამართების კითხვა უნდობლობის გამოხატვას ნიშნავდა. ეგ არ მადარდებს, წესიერი კაცები არიან, უეჭველად მიიტანენ და გადასცემენო. მაშ, რა გაწუხებსო, - პაპა გორამ ჰკითხა. ბატო-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ნმა ბესომ თავი სინანულით გაიქნია და განმარტა, - ბატონო ბესო! - მიცნეს, მე კი ვინაობა არც ვკითხე. იქნება იმ კაცებს უნდოდათ, მცოდნოდა, სახელდობრ, ვინ მცემდა პატივს. გამოვთაყვანდი და ეგ არის. რა ვიცი, აბა, უნდა მეკითხა ვინაობაო? გორა ჰაჰა ჩაფიქრდა, გაიცინა და სთქვა, - არა, მართლა, მაგ ვითარებაში როგორ უნდა მოიქცეს კაცი? ისე, შენ მაგნაირ რამეებში გაბმის საგანგებო იღბალი გაქვსო. მეორე შემთხვევა გაიხსენეს, ოციანი წლების დასაწყისის ამბავი.

ბატონ ბესოს თავისი რუსი კოლეგისგან დეპეშა მიუღია, - თბილისს მოვდივარ, კვირას დილის ათი საათისთვის სასტუმრო[154] „ორიენტში" დაგელოდებითო. ბატონ ბესოს კვირა დილით თავისი უმცროსი ვაჟი წაუყვანია, თერთმეტ-თორმეტი წლის ბიჭი, - სტუმარს მოვინახულებთ და მერე აბანოში წავალთო. გზად გორა კარგარეთელი შეჰყრიათ, ისიც აბანოში მიმავალი. ბატონ ბესოს უთქვამს, - ნომერი მაქვს შეკვეთილი, ერთად ვიბანაოთო. იაგორი დათანხმებულა და სასტუმროშიც აჰყოლია. სართულზე ავიდნენ, ნომრის ძებნა დაიწყეს. ორი სხვადასხვა ნომრის კარი გვერდიგვერდ იყო - ვთქვათ, ოცდამესამესი და ოცდამეხუთესი. ბატონ ბესოს ოცდასამი სჭირდებოდა და შემთხვევით ოცდახუთს კი მიუკაკუნა. კოლეგა მოლოდინში იყო. ჰგონებია, - ჩემთან აკაკუნებენო, და დაუძახია, - მობრძანდითო! ბატონი ბესო ახლო მეგობართან იყო ძისული, კარი თამამად გამოაღო. გამოაღო და რა დაინახეს?!. საწმერთულის ამარა ქალი! ქალმა ღია კარში მამაკაცები რომ დაინახა, შეჰკივლა!.. ბატონმა ბესომ ელვის სისწრაფით მიაძახა, — *Простите, господин!* — და კარი უმალვე მიხურა. ამ დროს ოცდამესამე ნომრის კარი გაიღო და კოლეგამ სტუმრები შეიპატიჟა.

ისაუბრეს, შეთანხმდნენ და წამოვიდნენ. ბიჭმა მამას ჰკითხა, - იმ ნომერში ქალი იყო და შენ კი, როგორც მამაკაცს, გოსპოდინობით მიმართე. შეგეშალაო! მამამ მიუგო, - არა, შვილო, ეგრე განზრახ მივმართე, ეგონოს, რომ მამაკაცად მივიჩნიეთ, სირცხვილის გრძნობა აღარ ექნებაო!

ასეთი იყო პროფესორი ბესო ზედგინიძე. დიდი ხანი არ გასულა, მამას მეგობრები გვესტუმრნენ, რომელიღაცამ ბატონი

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ბესო ახსენა. მამამ ეს შემთხვევა უამბო. რეაქცია სწორი იყო - სიჩუმე და ფიქრი. მერე გავიგე, ერთ-ერთმა ამ ამბავს „ზედგინიძის ვნებანი“ უწოდა.

ვის იჭერდნენ და ანადგურებდნენ კიდევ? ვიღას არა. წითელი ჯარი რომ შემოვიდა და საქართველო გასაბჭოვდა, სულ მალე თბილისს სტალინი ესტუმრა. პლეხანოვის კლუბში[155] მუშებთან შეხვედრა მოაწყო. უსტვინეს, ტრიბუნიდან ჩამოაგდეს. წასვლის წინ აუდიტორიას ორიოდ სიტყვა მიუგდო, - ვნახოთ, ვნახოთო! წავიდა კუდამოძუებული. მაშინვე ორჯონიკიძემ და შემდგომში ბერიამ იქ დამსწრეთა სრული სია შეადგინეს. ოცდაათიან წლებში ის მუშები სათითაოდ დახვრიტეს.

ტექნიკუმში სასწავლო წლის დამთავრებისთანავე ავჭალის ბანაკებში მივყავდით; სამხედრო სამსახურს, უკეთ ვთქვათ, მომზადებას გავდიოდით ორი თვის მანძილზე. შესანიშნავი მეთაურები გვყავდნენ, სხვადასხვა ორდენებით მკერდდამშვენებული, პირველი მსოფლიო და სამოქალაქო ომების მონაწილეები. პატარა ბიჭები ვიყავით, მაგრამ თავი ვეტერანებივით გვეჭირა. ამაზე ჩვენი მეთაურები იღიმებოდნენ, მუყაითობისთვის ვუყვარდით და ჩვენც გვიყვარდნენ ისინი იმიტომ, რომ მამებივით გვეპყრობოდნენ.

ცხელი, გვალვიანი ზაფხული იყო, კვირა დღე. ყარაულში ვიდექი პროდუქტების საწყობთან. ოციოდ მეტრში დიქტის ხუხულები იყო გამწკრივებული, ჩვენი მეთაურების საცხოვრებელი ხუხულები. ჩეკისტები მოგრიალდნენ, დახურული მანქანა მოიყვანეს. ვინც დაუხვდათ, ყველანი წაიყვანეს... ღმერთო ჩემო - კაპიტანი დემჩუკი,[156] მაიორი ხანამიროვი, მაიორი დოლიძე... თერთმეტი ოფიცერი ერთად, ელვის სისწრაფით... მეორე დღეს დიდი მიტინგი გაიმართა. გამოდიოდნენ უმცროსი მეთაურები, ჯარისკაცები და ისე გულიანად, ისეთი სიძულვილით ლანძღავდნენ „სამშობლოს მოღალატეებს“, კაცს მართალი ეგონებოდა. ერთადერთი მეთაური შერჩა სტუდენტთა ასეულს - კაპიტანი ხურცილავა, ეს მოგვიანებით დაიჭირეს. მათი ასავალ-დასავალი აღარ მსმენია.

ღმერთო ჩემო, რანაირი ხალხი გაება! ჩვენს „ჟაკტში“, ესე იგი, სახლმმართველობაში, ვიღაც ტარასი[157] მსახურობდა. სხ-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ვა თანამშრომელი უკრაინელი გახლდათ, შვებულებიდან დაბრუნდა - ხარკოვიდან, და მასხრობით უთხრა, - ხარკოვში ვიყავი, იქ ტარასს ძეგლი დაუდგეს, შენი ხომ არ არის, ნაომარი კაცი ხარო. ტარასი მეთერთმეტე არმიის ჯარისკაცი იყო, იმ არმიისა, რომელმაც საქართველოს ანექსია განახორციელა. განმათავისუფლებელმა თავი დაიქნია, - კი, იმ ადგილებშიც მიომია, და მას მერე დაიჩემა, - ხარკოვში ძეგლი მიდგას, პატივი მეცითო! რა დასახვრეტი იყო, ვის რა ზარალი ჰქონდა მისი ლაყბობისგან?

სრულიად გაუგებარია, რა დააშავეს დებმა მაიგურებმა,[158] ორმა გამოთაყვანებულმა ბებრუცუნამ. ორივენი შინაბერებად დარჩნენ მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდობაში საკმაოდ მიმზიდველი გარეგნობისანი იყვნენ. უფროსი არ გათხოვდა იმიტომ, რომ ჯერ კიდევ თვრამეტი წლისას ვიღაც რუსმა პოეტმა სიმთვრალეში უთხრა, - მიყვარხარო. იმის მოლოდინში დაბერდა! უმცროსი უფროსის ხათრით არ გათხოვდა. შრომობდნენ, თავს გაჭირვებით ირჩენდნენ. ისინიც წაიყვანეს, - მათ ერთადერთ ოთახში პარტმუშაკი შეასახლეს.

ვინმე ლადო ჯანჯალაძე[159] დააწინაურეს, „აბრეშუმტრესტის“ მმართველად დანიშნეს. მამა რამდენიმე დაწესებულების იურისკონსულტი იყო, მათ შორის, აბრეშუმტრესტისაც და ის ჯანჯალაძე როგორღაც ჩვენს სადღესასწაულო სუფრაზე მოხვდა. ოცამდე სტუმარი გვყავდა, ქალებიცა და მამაკაცებიც. შუა ქეიფში ჯანჯალაძემ ასანთის ღერი მოიმარჯვა, ყურებში ქექვას მიჰყო ხელი. ყურიდან გამოღებულ ასანთს სუფრის კალთაზე სწმენდდა და ქექვას განაგრძობდა. გულდასმით. დაჟინებით და დიდი ხნის მანძილზე აკეთებდა ამას. ჯანჯალაძეც დახვრიტეს.

ბოგინაშვილი[160] იყო ერთი, რევიზორი. რომელიღაც მაღაზიაში დიდი ხნის გაუყიდავ და ამ მიზეზით ჩამოწერილ წიგნებს შორის ლენინის ნაშრომს მოჰკრა თვალი. მაღაზიის გამგეს პირდაპირ უთხრა, - ჩვენი საყვარელი ლენინის წიგნი ჩამოწერე, ხომ?.. - იქვე დაწერა დასმენა და დააჭერინა ამ „დანაშაულის“ ჩამდენი.

ბურიაში ოჯახის მამა, მოხუცი კაცი გარდაიცვალა. ქელეხში თამადამ მისი რეპრესირებული შვილის სადღეგრძელო სთ-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ქვა, - ყველაფერი ხდება. დააშავა თუ უდანაშაულოა, რა დარჩა მოსახდელი, ორი წელიწადიღაა. სავალალო ის არის, მამა რომ ვერ მოესწრო შვილის დაბრუნებასო!.. ამის გულისთვის თამადამ ციხეში ამოჰყო თავი, ბანაკებში გარდაიცვალა. მიცვალებულის შვილი დაბრუნდა, შემდგომში რეაბილიტაცია მიიღო და პარტიაშიც აღიდგინა თავი...

რა მაგის პასუხია და, დავუშვათ, შევძელით ყველაფერი, მივაღწიეთ აშნას საბრძანებელს, მივედით ხაბიბულას ქოხამდეც და შეპირებულ ადგილზე ქოხის გასაღები რომ არ იდოს?.. მართლა, რომ არ იდოს? სიცოცხლეს, საერთოდ, რა ფასი აქვს და ამის შემდეგ ხომ სულაც აღარაფრად ეღირება, გორავ! გახსოვს, ქრისტეფორე რაჭველიშვილმა[161] რატომ მოაკვლევინა თავი? იქნება, დახვრეტას გადარჩენილიყო კიდეც - თავი დაახვრეტინა! ერთ-ერთ დაკითხვაზე მისი უახლოესი და უერთგულესი მეგობრის ხელით დაწერილი ჩვენებები წააკითხეს. გაზვიადებულად, ჩეკისტებს რომ სჭირდებოდათ, ისე იყო გაშუქებული ბრალდებები, რომლებიც თვით ქრისტეფორეს ვერანაირი წამებით ვერ აკისრებინეს - ქრისტეფორეს, კუჭისწყლულიან, რაფინირებულ ინტელიგენტს. დაპირისპირება მოითხოვა, - ამ სიცრუეებს არ იტყოდა, თქვენი პროვოკაციაა ან წამებით ათქმევინეთო. დათანხმდნენ, - დაგიპირისპირებთო. ქრისტეფორე საკანში დაბრუნდა და პატარა ხნის ფიქრის შემდეგ სთქვა: - თუ იმ კაცმა მართლა მისცა ის ჩვენებები და დაპირისპირებაზეც გაიმეორა - ყველაფერს დავუდასტურებ, დამხვრიტონ, რისთვისღა ვიცოცხლოო... დაადგა ის კაცი პირზე. ქრისტეფორემ კვერი დაუკრა. დახვრიტეს...

ბერიამ ოცდათექვსმეტი წლის შემოდგომაზე დიდი მიტინგი[162] გამართა. თავისი თუ სხვისი დაწერილი „გავაცამტვეროთ სოციალიზმის მტრები“ წაიკითხა. სამასი ათასი კაცი ესწრებოდა, თბილისის ყველა წარმოება-დაწესებულება სრული შტატით იყო მორეკილი. დაუსწრებლობას რომელი თავზეხელაღებული გაბედავდა? მეც იქ ვიყავი, „საყოველთაო მოწონების“ სამზარეულო ვნახე. დიდი მოხსენება იყო, შემდგომში ბროშურად გამოიცა. ყოველი ორი თუ სამი აბზაცის შემდეგ ბრბოში საგანგებოდ ჩაყენებული პირები ოვაციებს მართავდნენ. ხალხი

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

„ვაშას“ გაჰკიოდა, ისეთი გრგვინვა იყო, შენობებს ზანზარი გაკქონდათ. ვინ და რატომ უბამდა მხარს ორატორებს? ყველა, მიუხედავად იმისა, რომ უხეირო გახმოვანების გამო ბერიას ლაპარაკის ნახევარიც არ ისმოდა და შიშით, რომ გვერდით მდგომს მის ლოიალობაში ეჭვი არ შეეტანა. მასობრივმა ხოცვა-ჟლეტამ ხელისუფლების ყველანაირი ღონისძიების „საყოველთაო მოწონება“ ასე მოიტანა...

რაღაცნაირი ისეთი დრო იყო, რომ იმ განუკითხაობის ფონზეც კი ბევრი გახლდათ, ვისაც კომუნიზმის მშენებლობისა და, ამასთან დაკავშირებით, მსხვერპლის გაღების აუცილებლობისა სჯეროდა. მე ჩვენი ტექნიკუმის კომკავშირული ორგანიზაციის ერთ-ერთი მდივანი ვიყავი. მიტინგი მიტინგზე იმართებოდა. ყველანი ვუკრავდით ტაშს და არც ოვაციების ნაკლებობა იყო. ყველაფერთან ერთად, ორატორის პაუზის დროს, რაც წინასწარ იყო განზრახული, ასეთი ლოზუნგები გაისმოდა ხოლმე დამსწრეთა მასიდან:

- გაუმარჯოს წითელ ხომალდს, რომელიც მსოფლიო ოკეანის შავ ტალღებს შეუპოვრად მიაპობს და კომუნიზმისკენ უჭირავს გეზი!..

ეხლა მეორე შეძახილი მოჰყვებოდა:

- გაუმარჯოს წითელი ხომალდის გენიალურ მესაჭეს, მსოფლიო პროლეტარიატის ბელადს, ამხანაგ იოსებ ბესარიონის ძე სტალინს, რომელიც თავისი ფოლადის ხელებით მართავს წითელაფრიან ხომალდს!..

ამის შემდეგ ორატორი განაგრძობდა თავის გამოსვლას შემდგომ პაუზამდე და ისევ ლოზუნგები და შეძახილები!

იმ ხანებში ჩვენი ტექნიკუმის მსმენელთაგან ბევრი წავიდა შინაგან საქმეთა კომისარიატის სხვადასხვაგვარ კურსებზე თუ სასწავლებელში - ზოგი კავშირგაბმულობის დარგში, უფრო კი – რადისტთა დახელოვნების კურსებზე. რამდენიმე მსმენელი გაირიცხა, როგორც „ხალხის მტრის“ შვილი. მე არ გავურიცხივარ, მაგრამ კომკავშირის კომიტეტის მდივნობიდან გამათავისუფლეს... ვინმე ლაშხი[83] იყო კომკავშირის რაიკომის მდივანი. დამიბარა და... დიდი ხანი გავიდა, ქალაქ ნორილსკის მშენებლობაზე ვნახე, წერაქვი ეჭირა, გაყინულ მიწას ებრძოდა...

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ისე, კაცმა სთქვას, ბევრი ისეთიც დაიჭირეს და მოსპეს, ვისი თავიდან მოცილება მმართველი წრეებისთვის არცთუ გაუმართლებელი იყო. ვასო არაბიძე,[164] მსახიობი, მაგრამ წარსულში - მენშევიკი. თავის დროზე მურმანსკის გადასახლებიდან გამოიქცა იმისთვის, რომ მოსკოვში ათას ცხრაას ხუთი წლის ბარიკადებზე ებრძოლა. ამ პიროვნებაზე მაქსიმ გორკის მოგონებაც კი აქვს დაწერილი. საერთოდ, ასეთებზე საგანგებოდ ნადირობდნენ. აქ, ჩემი აზრით, მიზეზი იმაშია საძებნელი, რომ ადამიანმა, რომელმაც რევოლუციურ მოძრაობაში, ცარიზმის დამხობაში აქტიური მონაწილეობა მიიღო, შესაძლოა, რაიმე სერიოზული პრეტენზია განაცხადოს ხელისუფლებაში მონაწილეობაზე, ანდა არსებული წყობილებით უკმაყოფილება გამოთქვას და, მაშასადამე, „ანტისაბჭოთა პროპაგანდას“ მიჰყოს ხელი. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ვასო არაბიძე და მისთანანი, მიუხედავად იმისა, რომ არაფერზე და არავითარი პრეტენზია არ ჰქონიათ, ყველა მოხვეტეს, როგორც პოტენციური მტრები.

ერთთავად „პარტიის რიგების წმენდები“ და რაღაც კომისიები სდგებოდა. მათ „ცოცხლად დამკრძალავი კომისიები“ შეარქვა ხალხმა. ამ საზოგადოებრივმა წარმონაქმნმა იმსხვერპლა - მგონია, ვარლამი[165] ერქვა. ამ კაცის ერთ-ერთი შვილი, გიგლა, შემდგომში ცნობილი მხატვარი და მოქანდაკე დადგა. ჩვენი ტოლი ბიჭი იყო. მამა რომ დაუჭირეს, გიგლა სკოლიდან გამოაგდეს; ბუდიონი დახატა, სხვა სკოლაში მივიდა, - აი, მეო! იმ სკოლაში არა, შემდგომ სკოლაში მიიღეს, მაგრამ მთავარი სხვაა. რეაბილიტაციები რომ დაიწყო, მამის რებილიტაციისთვის განცხადება შეიტანა პროკურატურაში. იქ უთხრეს, - ორი კვირის შემდეგ მოდიო. მივიდა. რეაბილიტაციის ცნობა მისცეს, მაგრამ მამისა კი არა, დედისა!.. თურმე, მამასთან ერთად, დედაც უნდა დაეპატიმრებინათ, მაგრამ მეოთხე შვილზე ფეხმძიმედ იყო, დიდი მუცელი ჰქონდა, არ წაიყვანეს. მიუხედავად ამისა, სათანადო უწყებამ იგი დახვრეტილად მიიჩნია - სიაში იყო და აკი რეაბილიტაციაც მიიღო!..

გახშირდა ახალგაზრდების უცხოეთში გაქცევა. მთელი დარგი წარმოიშვა საზღვარზე გადამყვანთა სახით. აღარაფერს

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ვამბობ მათზე, ვისაც როდისმე, სადმე უცხოეთში განათლება ჰქონდა მიღებული ან დროებით მაინც იყო ნამყოფი. ამათი ხომ სინსილა გააწყვეს!..

საცოდავ ხევსურებს რას ერჩოდნენ, ეს ჩემთვის დღემდე გაუგებარია. ესენი ისედაც ფუნქციადაკარგული ხალხი იყო. წინათ კავკასიისგადაღმელ მთიელებთან შუღლიანობდნენ, ამით თავს იმკვიდრებდნენ, სახელს ითქვამდნენ, მესაქონლეობდნენ და ცხოვრობდნენ, როგორც შეეძლოთ. ნაწილს დაჰხვიეს ხელი და ბარში ჩამოასახლეს. მეორე მსოფლიო ომის დროს დაამთავრეს ეს გაუგებარი დეპორტაცია. აბა, სად ხევსურები - საუკუნეობით მაღალ მთაში მცხოვრები, ჯვაროსნულ ომებში ნაომარი წინაპრების ჩამომავალნი — და სად - ბარში ვენახი და ბაღი!..

ერთი კაცი იყო, გვარი აღარ მახსოვს, რომელიღაც პოლიკლინიკის მნედ მუშაობდა. ამ კაცისა მხოლოდ ის დამახსომდა, რომ ახველებდა თუ ცხვირს აცემინებდა - ვერ გაუგებდი. მატარებელში გავიცანი. მაშინ საქართველოს თუ თბილისის ბავშვთა კალათბურთის ნაკრებ გუნდში ვთამაშობდი. კიევიდან ვბრუნდებოდით. კუპეში მოვხვდი მასთან ერთად. გავიცანით ერთმანეთი. ერთი, მე ვიტყოდი, საოცარი თვისება ჰქონდა: კუპედან გასვლას თუ მოინდომებდა, ჯერ სპირტიანი ბამბით გასწმენდდა კარის სახელურს დეზინფექციის მიზნით და მერეღა მოავლებდა ხელს... საინტერესოა, სანამ დახვრეტდნენ, ტუალეტში როგორ შედიოდა და გამოდიოდა?..

საკვირველი დრო იყო და არც, რბილად რომ ვთქვათ, საკვირველი კაცები აკლდა ქვეყანას. აი, ზოგი მათგანი:

იოსებ შოლომიჩი![166] ჩვენგან მესამე სახლში ცხოვრობდა ეს მოხუცი, მარტოხელი ებრაელი. ალბათ, სწორედ უპატრონობით უნდა აიხსნას, რომ ქვეყნად იმაზე წვირიან-ტილიანი და აყროლებული მას მერე აღარავინ მინახავს. მეზობლების საუბარი მომისმენია, დავობდნენ ხოლმე, სად და რა საქმიანობით იყო გართული იოსებ შოლომიჩი სისხამ დილიდან დაღამებამდე. ნამდვილი არავინ იცოდა, მხოლოდ ვარაუდები იყო. ის მწირი ცნობები, რაც მე და ჩემს თანატოლებს მოხუცი ებრაელის გარშემო გვქონდა, დოყლაშასგან მომდინარეობდა. დოყლაშა[167] ჩვენს ქუჩაზე მცხოვრები ჩეკისტ დოშოიანის ბიჭის მეტსახელი იყო.

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ცნობა პირველი: ვიღაცამ ჩეკაში ამბავი მიიტანა, იოსებ შოლომიჩს ოქროს თუმნიანებით სავსე დიდი ქოთანი საწოლის ქვეშ ამოთხრილ და კარგად შენიღბულ ორმოში უდევსო. წავიდნენ, იპოვნეს, წამოიღეს, საუნჯის პატრონიც წამოიყვანეს. მიზანსცენა: კაბინეტი. საწერ მაგიდას უზის დოყლაშას მამა, დოშოიანი. მისადგმელ მაგიდაზე დგას ოქროს მონეტებით თავმობმული დიდი ქოთანი, რის ამოღების გამო ოქმის შედგენის რიტუალს ესწრება ყველა, ვინც ოპერაცია ჩაატარა. ფული გადათვლილია, ჩაბრუნებულია ქოთანში, ოქმი დაიწერა, ხელიც მოაწერეს. შემოიყვანეს იოსებ შოლომიჩი. დოყლაშას მამა მიმართავს ქოთნის ყოფილ პატრონს:

– ამოდენა სიმდიდრე გქონდა, შენი ქვრივი გოგო თავისი მშიერი, გასათხოვარი ქალიშვილებითურთ სარდაფში ცხოვრობს. ეხმარებოდი?

იოსებ შოლომიჩი სდუმს. დოყლაშას მამა ეკითხება:

– კარგი, იმათთვის გენანებოდა. შენთვის ერთი შარვალ-ხალათი გეყიდა, ერთხელ აბანოში წასულიყავი, რა იქნებოდა?

იოსებ შოლომიჩი სდუმს. დოყლაშას მამა ამბობს:

– ამოდენა ოქროს პატრონი... – ხელი თავმობმული ქოთნისკენ მიაქვს, მონეტებს ბღუჯავს, უკანვე ნელა ჰყრის, ოქროს წკრიალი გაუდის...

იოსებ შოლომიჩი ისტერიულად ღრიალებს:

– ნუ აწუხებ, ნუ აწუხებ!.. არ შეაწუხო, არ შეაწუხო!.. – ეს მონეტებს ეხება.

მოხუცი რამდენიმე თვის მანძილზე საკანში უზით, იმ იმედით, რომ კიდევ დააყრევინონ რაიმე. იოსებ შოლომიჩი „ქვაზე მაგარია“, არაფერს იძლევა. ბებერია, ათავისუფლებენ.

ცნობა მეორე: იოსებ შოლომიჩი „შპიონი“ ყოფილა. დახვრიტეს!

ოთხმოცდაერთისა იყო.

ცნობა მესამე: დოყლაშას მამაც დახვრიტეს. ორმოცდაექვსისა იყო.

ეჟოვი და ბერია იმის თქმას ხომ ვერ გაბედავდნენ, რომ ყოველნაირ საზოგადოებას თავისი პარაზიტი უნდა ჰყავდეს, და ამას ვერავითარი კომუნიზმი ვერ უშველის. კომპარტიამ სათანადო

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ტერმინებიც კი გამოიგონა - „დეკლასირებული ელემენტი“, „კაპიტალიზმის გადმონაშთი“ და სხვა ასეთები. ეს წყევლასავით გამოთქმები იმ დემაგოგიაზე იყო დაფუძნებული, რომ ჩვენი წყობილება დამნაშავეობისა და უზნეობის სოციალურ საფუძველს მოკლებულიაო. ამ დროს კი ტერორმა, სხვა მარად ცნობილ დანაშაულობათა გვერდით, ახალი, უმძიმესი ბოროტება შვა - უპრინციპობა! ეს სიცოცხლის შენარჩუნების პანაცეად იქნა მიჩნეული. ვაი, რომ ხშირად ვერც ამას მოჰქონდა ხსნა. ასეთ ამბავს შევესწარი: ჩემი ორი ნაცნობი ყმაწვილი კაცი სასტუმროს ვესტიბიულში შემოვიდა. იქვე ვიდექი. სალამი ვთქვით, ორი სიტყვით გამოველაპარაკეთ ერთმანეთს და ამ დროს ერთ-ერთმა იატაკზე ათკაპიკიანს მოჰკრა თვალი. დაიხარა, აღება უნდოდა...

მეორემ დასძახა:

- არ აიღო, ბიჭო, „რეშკაა“!

პირველმა, უკვე დახრილმა და ათკაპიკიანისკენ ხელგაწვდილმა, მშვიდად მიუგო:

- გადავაბრუნებ და „არიოლი“ იქნება, სიმონ! - ფული აიღო, წავიდნენ.

თბილისური ჩვევების თანახმად, ნაპოვნი წვრილი ფულის აღება მხოლოდ მაშინ შეიძლებოდა, როცა იგი „არიოლით“ ზემოთ იყურებოდა. არ ვიცი, რატომ მომთხოვა განწყობილებამ ამ უმნიშვნელო ეპიზოდის განზოგადება. იქნება იმიტომ, რომ მანამდე გაუცნობიერებელი საყოველთაო უპრინციპობის მაგალითი უნდა მოეცა განგებას. იქნება ეშმაკი შემომიჩნდა, - თუ გადარჩენა გნებავს, ასეთი იყავიო. შეიძლება, მართლაც, შემყროდა ის უკურნებელი სენი, მალე „რეშკა“ ათკაპიკიანის ამღების დახვრეტა რომ არ გამეგო!.. არა, „ათი წელი უმიწერმოწეროდ“!.. მაგათგან ეგრეთ წოდებული „*Сплавные команды*“ სდგებოდა, სახელმწიფოს სხვადასხვა კუთხიდან მორეკილი ხალხი იყო. მიჰყავდათ ურალის, ციმბირისა თუ შორეული აღმოსავლეთის რომელიმე მდინარის ხეობაში ტყის საჭრელად. ზედ ნაპირებზე სჭრიდნენ, აცურებდნენ, ასე მიჰყვებოდნენ სათავისკენ და გზადაგზა იხოცებოდნენ შიმშილით, დაავადებებით, დარდით. კომანდებში, საშუალოდ, ათასამდე კაცს უყრიდნენ თავს. ზაფხულის მიწურულს, ან უფრო ადრე, ათი-თხუთმეტი კაცილა რჩებოდა. პროპო-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

რციულად ბადრაგიც თხელდებოდა, ისინიც იხოცებოდნენ. ეს ერთობ პრაგმატული ლაშქრობა იმით თავდებოდა, რომ სიკვდილს გადარჩენილი, ვთქვათ, ხუთი მებადრაგე ჯერ კიდევ ცოცხალ ათ-თორმეტ პატიმარს მიახვრეტდა და ხეობას თავისი ნაწილისკენ დაუყვებოდა. გამიგონია, - ბადრაგსაც ხვრეტდნენ, ადამიანებად მაინც აღარ ივარგებენო.

როგორც თბილისში იტყვიან, ეს ყველაფერი - არაფერი, მაგრამ ჩემს გარეთა ბიძას - ნესტორ მაღალაშვილს,[168] ჩეკისტი ვყოფილიყავი, მეც კი დავიჭერდი. ერთი იმიტომ, რომ ცხრა ცოლი გამოიცვალა-ზუსტად ცხრა. მამას სადღაც მივყავდი. ძია ნესტორი სასიამოვნო გარეგნობის ქალთან ერთად შემოგვხვდა. საუბარი გაიბა. არ ვიცი, მამამ მართლა ზედმეტი ყურადღება მიიპყრო იმ ქალისა, თუ ძია ნესტორმა საჭიროდ ჩათვალა და სთქვა, - ეს ჯერ რვანახევარია, მეცხრე არ გეგონოსო!.. შემიძლია, ხატზე დავიფიცო, რომ ბათუმში ნესტორი და მისი ოთხი ცოლი ერთად მინახავს. ყურადღების ღირსი ის არის, რომ ის ოთხივე ცოლი ისევე კეთილგანწყობილნი იყვნენ ერთმანეთისადმი, როგორც ნესტორი — მათდამი...

ახლა იმაზე, თუ როგორ მოაგროვა ამდენი ცოლი. ერთი ისა, რომ ნესტორზე მიმზიდველი გარეგნობის მამაკაცი სიცოცხლის მანძილზე არ მინახავს, მეორე - უმდიდრესი და ურთულესი ბიოგრაფიის კაცი იყო. ასე გასინჯეთ, პირველი მსოფლიო ომის დროს, საქვეყნოდ სახელმოხვეჭილი ინგლისელი პოლკოვნიკის, ლოურენსის ახლო თანამებრძოლი და მრჩეველი გახლდათ, რა თქმა უნდა, მაჰმადიანური გვარ-სახელით. მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ თურქეთში მოიკიდა ფეხი, ნეგოციანტობდა. სწორედ იქ მოხდა მისი ერთ-ერთი ქორწინება. მავანი სომხის ოჯახთან კარგი ნაცნობ-მეგობრობა ჰქონდა. ქმარი გარდაიცვალა. ცოლს ბეატრისა ერქვა, ოთხი შვილი დარჩა და დიდი სიმდიდრეც. ამ დროს თურქ-სომეხთა ხოცვა-ჟლეტა დაიწყო. ბეატრისას თავის შვილებიანად განადგურება მოელოდა. ნესტორი მაჰმადის რჯულზე იყო შემდგარი. თუ არ ვცდები, გვარად მურად-ბეი გახლდათ. ბეატრისამ სთხოვა,-შემირთე, მაჰმადიანის გვარი მექნება, გადავრჩებითო. ნესტორმა ის საკმაოდ ამაზრზენი გარეგნობის ბეატრისა შეირთო. შეირთო და წამოვ-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

იდა საქართველოში მენშევიკური მმართველობის დროს. აი, ის დანარჩენი ცოლები სად იშოვნა, ამისი აღარაფერი ვიცი. ნამდვილი, უზადო არისტოკრატი იყო, საცოდავი. დღესაც თვალწინ მიდგას ძია ნესტორი თავისი უდახვეწილესი მანერებით, მოკრძალებულობით, ზრდილობით... იმითაც კი, თუ როგორ ჯდებოდა სკამზე თუ სავარძელში... ღმერთო, როგორ მოუყარე თავი ერთ ადამიანში ამდენ მშვენიერებას!..

რამდენიმე წლის შემდეგ უკვე მე თავად ვიჯექი სკამზე და ჩვენებებს ვაძლევდი ერთ დიდ და ძველ ჩეკისტს. მოულოდნელად მკითხა:-ნესტორ მაღალაშვილი ბიძად გეკუთვნოდათო? — დავუდასტურე. მცირე პაუზის შემდეგ მითხრა, - ალბათ, წარმოდგენილი გაქვთ, რამდენმა და რამდენნაირმა კაცმა გაიარა ჩემს ხელში. ისეთი არავინ შემხვედრია და ვერც როდისმე ვნახავო!.. - თავი სინანულით გაიქნია და დაკითხვა განაგრძო. ეს ჩეკისტის შეფასება იყო - შეფასება, რომლის გულისთვისაც - თუ წამოვაჭარტალებდი, - იქნება პასუხიც ეგო!.. ერთი სიტყვით, როგორც შემდგომში ერთმა პატიმარმა მითხრა, — *„Сажали всех, сажали везде — в подавляющем большинстве случаев — ни за что“*-ო.

მწერლებსაც დაერივნენ. ჯერ იყო, მიხეილ ჯავახიშვილი დახვრიტეს. რომელიღაცა კრიტიკოსმა მემარჯვენე ორიენტაციის მწერალი დაარქვა. ესაც ნუ იქნებოდა, უცხოეთში კარგა ხანს ნაცხოვრები კაცი იყო, ესე იგი, ამას ორჯერ დახვრეტა ერგებოდა. მერე პაოლო იაშვილმა, მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ, საკუთარ კაბინეტში, ორლულიანი სანადირო თოფი ჩაიდო პირში, ორივე ფეხს გამოსწია, თავის ქალამ პირი დააღო. სროლის ხმაზე მწერლები შემოცვივდნენ. ერთერთმა თავის ქალას ფეხი დააჭირა, გადმოსწია და ყველას გასაგონად სთქვა, - ამ თავში ასე და ისე ვქენიო!.. შეიძლება, სახელდობრ, ამ ფრაზამ გადაარჩინა დახვრეტას!.. არა მგონია, პროკომუნისტური მწერალი იყო, თუმცა, ასეთებიც ბლომად გაისტუმრეს საიქიოს, მათ შორის, მეხოტბენიც. აი, ერთი მათგანი. ლექსი გამოაქვეყნა: „რა კარგი არის, რომ ირგვლივ ქვის გალავანი გვეფაროს, იყეფე, ძაღლო, იყეფე, მტერი არ შემოგვეპაროს!“

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ამ ლექსს ერქვა „სახელოვან შინსახკომს“ თუ რაღაც სხვა, მაგრამ წრფელი გულით იყო დაწერილი, თუმცა, ამის დაჯერება საკმაოდ ძნელია.

ტიციან ტაბიძეს აუხირდნენ, განაცხადე, რომ შენი ესა და ეს მეგობარი „ხალხის მტერიაო“. არ განაცხადა, დახვრიტეს!.. ბერიამ, რომელიღაცა თავის გამოსვლაში ზემოხსენებული სამი მწერალი და კიდევ ორი სხვა, ქართველ ფაშისტებად თუ კიდევ რაღაც სხვა ჯურის ხალხის მტრებად მოიხსენია. ორი გადარჩა. ერთი იმით, რომ სასწრაფოდ დაწერა წიგნი „ბელადი“. პირველი წიგნის გამოცემა მოასწრო, მაგრამ შეპირებული ტრილოგია განუხორციელებელი დარჩა. დანარჩენი ორი წიგნის დაუწერლობის გამამართლებელი მოსაზრება, დროთა ვითარების გამო, საკმაოდ ჰქონდა, მაგრამ ახლა ამაზე ნუ ვილაპარაკებთ, რადგან მისი გადარჩენის გამო სხვა აზრიც არსებობს... აი, მეხუთე „ფაშისტის“ გადარჩენა კი, ღმერთმანი, ყურადღების ღირსია. ეს მწერალი ახალგაზრდობაში მემარცხენე იყო და სტალინთან ერთად არალეგალურ პრესაში რამდენიმე სტატია ჰქონდა გამოქვეყნებული. მას, ჯერ კიდევ სიცოცხლეში, „ქართული ლიტერატურის სინდისს“ უწოდებდნენ. მოკრძალებული, კეთილშობილი, ღმრთივ განათლებული და დიდად ერუდირებული პიროვნება გახლდათ. ეს კაცი იმ დროის ერთმა თავისებურებამ გადაარჩინა. კერძოდ: თუ ვინმე ისეთი დაბრუნდებოდა მოსკოვიდან, ვინც სტალინთან მიღებაზე იყო, მატარებლიდანვე კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს უნდა ჰხლებოდა და დაწვრილებით ეამბნა ყველაფერი, რაც მიღებასა და შეხვედრას შეეხებოდა. დაბრუნდა მოსკოვიდან მიხეილ ჭიაურელი - ცნობილი რეჟისორი, ეახლა პირველ მდივანს და საუბრისას, - კიდევ რა იყოო, პირველი მდივნის შეკითხვაზე, ჭიაურელმა მიუგო, - ესა და ეს მწერალი იკითხა, - როგორ არის, რას აკეთებსო. ჭიაურელს უთქვამს, - ძირითადად, ფრანგულ ლიტერატურას თარგმნის, ხანდახან პატარ-პატარა სტატიებსაც აქვეყნებს, ცხოვრობს როგორღაცო. ცოტა ხნის ფიქრის შემდეგ სტალინს ჩაულაპარაკია:

– Да, он всегда был непрактичным!

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ამ მწერლისთვის არამცთუ თითი არავის დაუკარებია - რაღაც თუ ვილაცის იუბილე იყო, „ლიტერატურული გაზეთის“ საიუბილეო ნომრის რედაქტორობა მიანდეს და კარგა დიდი ჰონორარიც გადაუხადეს. ასეთებიც ხდებოდა.

ერთი სუმბათა[169] იყო თბილისში, ზამთარ-ზაფხულ მოკლე შარვლის ამარა დადიოდა, სიცივესა და ყინვაში მტკვარში ბანაობდა ხოლმე. მხერხაობით გაჰქონდა თავი. ერთიც პირველი მსოფლიო ომის ინვალიდი იყო, სახელი აღარ მახსოვს, ფეხები ზემოსახსარში ჰქონდა წაჭრილი, საკისურებიანი ურიკით დადიოდა. ორთავე დაიჭირეს, როგორც იმპერიალიზმის ჯაშუშები...

მამაჩემი ერეკლე კარგარეთელი ამტკიცებდა, - არისტოკრატია დეგრადირებულია, თავისი ისტორიული როლი შესრულებული აქვს, დრო მოჭამაო. საამისოდ მრავალი მაგალითი მოჰყავდა. ზოგი მათგანის მოწმე თავად ვარ. ნათესავი გვყავდა - ძია ლეო,[170] თავადი, ქაქუცა ჩოლოყაშვილის თანამებრძოლი. ერთხელ მამამ ჰკითხა, იმ ბრძოლებიდან ყველაზე მეტად მეხსიერებაში რა ჩაგრჩაო. ძია ლეო დაფიქრდა და მიუგო, - ცხენების ნაკლებობა იყო, ქაქუცამ ბრძანა, ჭაკებს კუდები დაჰკრიჭეთ, ულაყები ადვილად მიუდგებიანო! — ამ კაცის ინტელექტი გაკრეჭილ კუდებს იქით არ წასულა. ბოლშევიკებმა მის დასახვრეტად ეს დონეც საკმარისად მიიჩნიეს.

აი, მეორე ჩვენი ახლობელი, ისიც არისტოკრატი, ღრმად მოხუცებული ყოფილი გენერალი ვარლამ სიმონიჩი![171] დედაჩემის ნათლია გახლდათ. სია ჰქონდა - თვეში ერთხელ სადილად მოდიოდა. ეს კაცი, შეიძლება, კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე შემწყნარებელ ხელისუფლებასაც კი დაეხვრიტა. რისთვის? მამასთან საუბარში თავისი ჩახლეწილი ხმით ასეთ რამეებს ამბობდა ხოლმე: ოოო, ერეკლე, უტყუარი ცნობა მაქვს, მოსკოვს პოლონელები თექვსმეტ აპრილს აიღებენ. არაუგვიანეს! ამას დეკემბერში რომ იწინასწარმეტყველებდა, იანვარში იტყოდა, - პოლონელებმა გადაიფიქრეს, მაგრამ მაისში ინგლისელებმა ლენინგრადში დესანტი უნდა გადმოსხან, სხვა გზა არა აქვთო, და წყაროდ დიდი ბრიტანეთის გენერალურ შტაბს ასახელებდა. როგორია?!. ოთხმოცდაცხრა წლისა დახვრიტეს. აქ ყველაფერი გასაგებია. სრულიად გაუგებარია, აი, რა:

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ძველ თბილისურ სახლებს უზარმაზარი სარდაფები ჰქონდა. ზოგში — საწყობები იყო, ზოგში სამიკიტნოები და რესტორნები, ზოგში, რა და ზოგში, რა. ერთ-ერთ ასეთ სარდაფში რესტორანი „ოლიმპია“ თუ „სიმპატია“ იყო მოთავსებული - მეორე, მესამეხარისხოვანი დაწესებულება. მეეტლეების, ხელოსნებისა და უსაქმურების საქეიფო ადგილად ითვლებოდა. მერე იქ საღამოობით მარნეულელმა თათარმა, მამედამ[172] დაიწყო სიმღერა. დასტა ჰყავდა - ორი თარი, ჭიანური, დაირა და დიპლიპიტო. მშვენიერი მომღერალი იყო საცოდავი და რესტორანის მუშტარიც შეიცვალა, უკეთ ვთქვათ, თბილისური სიმღერების მოყვარულებით შეივსო. თხუთმეტისანი ვიყავით, ანუ იმ ასაკისა, როცა რესტორანში ჯდომა თვითდამკვიდრების ერთ-ერთი საშუალებაა. ამასთან, თბილისში დაბადებულებსა და აღზრდილებს ქალაქური სიმღერების ყადრი გაგვეგებოდა. ტექნიკუმში მწირი სტიპენდიები გვქონდა, მაგრამ არც რესტორანში ვახშმობა იყო ძვირი. ორი ლიტრი ღვინო თავისი საუზმეულით, ორი მწვადი და მამედას სიმღერები - ათი მანეთი. ერთხელ გოგია წულუკიძეს[173] რაღაც ფული გაუჩნდა. „ოლიმპიაში“ ჩავედით. ვვახშმობთ. ჩვენს სიახლოვეს ოთხნი ქეიფობენ, მაგარი მთვრალები არიან. მამედას ვრცელი რეპერტუარი ჰქონდა. ეხლა ვერ ვიტყვი, გივიშვილისაა თუ სკანდარნოვასი ის სიმღერა, ხშირად მღეროდა. ასეთი ტექსტია: „ქვეყანა გამოიცვალა, მაგრამ შენ ისევ ვირი ხარ, პატრონისთვის უსარგებლო, სოფლისთვის დიდი ჭირი ხარ, ვირო“. ეს ბოლო „ვიროოო“ მინამღერია. დაიწყო მამედამ, მინამღერი სთქვა. ერთი იმ ოთხთაგანი ზეზე წამოიჭრა და დაიღრიალა, - მე მიყურამს!!! - მამედასკენ გაიწია. მეინახეებმა ხელი სტაცეს, დასვეს, როგორც იყო, დააშოშმინეს. მომღერალსა და მუსიკოსებს ეს ინციდენტი არ შეუნიშნავთ. პატარა ხნის მერე გოგია მამედასთან მივიდა, ხუთი მანეთი მისცა, - „ვირო“ იმღერეო.

დაიწყო მამედამ და ეხლა კი დაუსხლტა ის ახირებული მოქეიფე ამხანაგებს და მამედას ეტაკა. ატყდა გაწევ-გამოწევა, ლანძღვა-გინება და შფოთი. გამშველებლებმა მოახერხეს, კონფლიქტს მოლაპარაკების სახე მისცეს. ახირებული კაცი მოითხოვდა, რომ მამედას ამ სიმღერის შესრულებისას ხელი ცაში ჰქონოდა აშვერილი. მამედა, ჯერ იყო, დათანხმდა, მაგრამ მე-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

რე მოაგონდა, რომ ალაჰი ცაში ბინადრობს და კატეგორიული უარი განაცხადა, - მომკალით, მაგას ვერ ვიკისრებო. საკითხ-ის კომპრომისული გადაწყვეტა გამოინახა: მამედას „ვიროს“ შესრულების დროს მარჯვენა ხელი განზე გაშვერილი უნდა ჰქონოდა, რისთვისაც მას მოსალოდნელი ექსცესების თავიდან ასაცილებლად არც შემდგომ ხანებში უღალატია. ეგ არის, ჩე-კისტებმა მიიჩნიეს, რომ მომღერალს ხელი კომპარტიის ცენტ-რალური კომიტეტის შენობისკენ, კერძოდ, ბერიას კაბინეტის-კენ ეჭირა ხოლმე და მომღერალი გააქრეს. მას მერე მამედასი არც სიმღერა გაუგონია ვინმეს და არც ასავალ-დასავალი...

კაი, ბატონო, გვეყო. ზოგიც მერე იყოს...

მიტილენიჩი თავის კაბინეტში ბოლთას სცემდა. გლები უფ-როსს თვალს კაბინეტის ერთი ბოლოდან მეორემდე დააყოლებ-და და ელოდა, როდის განაგრძოდა მსჯელობას მენტორი. უკეთ ვთქვათ, ეს საუბარი მონოლოგი იყო, მიტილენიჩი თავისთვის, ხმამაღლა ფიქრობდა, ხოლო გლები დროდადრო უდასტურებ-და, - დიახ!.. რა თქმა უნდა!.. ცხადია!.. — ბოლო პაუზა შედარე-ბით გრძელი გამოდგა; მიტილენიჩი კედლამდე მივიდა, რუკას ჩააშტერდა, მისი ზურგით დგომა კარგა ხანს გაგრძელდა და გლები სკამზე დაეშვა; მიტილენიჩმა სწორედ ამ დროს დააპირა შემოტრიალება. გლებმა დაასწრო, წამოხტა. მიტილენიჩს ეს შეუმჩნეველი არ დარჩენია, მაგრამ არც რეაგირება მოუხდენია; წამოვიდა, სმენაზე გაჭიმული გლების სიახლოვეს გაჩერდა და მიმართა:

- კარგი! ესე იგი, რა ჰქვია იმ პატარა ᲒᲐᲛᲣᲚᲡ, სადაც ბატონი აშნაა კომენდანტად თუ დარაჯად არის „ოტრადა“, არა?..

გლებს დადასტურება სურდა, მაგრამ მიტილენიჩმა არ დაა-ცადა:

- რა ხანია, მანდ რომ მუშაობს? გათავისუფლების შემდეგ! როდის გათავისუფლდა?.. არა, რისთვის იჯდა, ჯერ ეს ვთქვათ: ურენგოისკენ მომავალმა კაცი გაიტანა, მძღოლი იყო. ვისი მძ-ღოლი იყო? ფელიქს სანცოვის!.. რა კაცი იყო, რა თანამდებობა ეკავა ურენგოიში სანცოვს?. ეს აღარ მახსოვს, რა თანამდებო-ბა ჰქონდა, გლებ?!.

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

- მომარაგება-გასაღების სამმართველოს უფროსი, ნავთობ-მომპო-ვებელ გაერთიანებაში. ჩვენი ცნობებით - ძალიან მდიდარი და უზომოდ გავლენიანი კაცია!

- კარგი, კარგი! ეხლა სანცოვის ამბავი ცოტა ხნით გადავდოთ, დავუბრუნდეთ აშნას. მისი დანაშაული იმდენად მძიმე და ცხადი იყო, რომ სანცოვმა მხოლოდ პატიმრობის ვადის დაკლება მოუხერხა - ექვსი წელიწადი!.. ამდენი არ მჯდარა, უფრო ადრე გათავისუფლდა... გათავისუფლდა მაშინ, როცა სანცოვი უკვე ახალ თანამდებობაზე ბრძანდებოდა და კარგარეთლის გაქცევამდე გაცილებით ადრე. ასე არ არის?.. აშნამ „ოტრადაში" სამსახური გათავისუფლებისთანავე დაიწყო? არა! თვე თუ თვე-ნახევარი ურენგოიში ცხოვრობდა.

- ორი თვე და მეტიც.

- შეგვიძლია თუ არა, მივიღოთ მოვლენათა ასეთი თანმიმდევრობა: სანცოვი ახალ თანამდებობაზეა. სასამართლო აშნას პირობით ვადამდე ათავისუფლებს, იგი ბანაკიდან თავის პატრონთან ბრუნდება. სხდომები, კრებები, მოსახლეობასთან, რაიონის სამრეწველო-სამეურნეო კომპლექსის თანამშრომლებთან შეხვედრები... ამას სწორედ ის ორი თვე თუ მეტი სჭირდება, აშნა რომ „ოტრადაში" დანიშვნას ელის. იბარებს მამულს. კიდევ ერთი თუ ორი თვე, სანცოვი მიდის შვებულებაში... სად? ურენგოიში, მოსკოვში, ისევ ურენგოიში. ბრუნდება თავის ახალ სამუშაოზე...

მიტილენიჩმა ერთხანს თანაშემწის პასუხს უცადა, ის კი ფიქრობდა, ვერაფერს ამბობდა.

მიტილენიჩი მოტრიალდა, თანაშემწეს გაუღიმა და უთხრა:

- გლებ, შენს წარმატებებს საზღვარი არა აქვს. აი, ავიყვანთ კარგარეთელს, ვიმსახურებ კიდევ ერთ წელიწადს, გავალ პენსიაზე, წავიყვან ჩემს მარას სამხრეთში, სადმე ზღვის პირას ვიყიდი ხუხულას, ვიცხოვრებთ მშვიდად და აუმღვრევლად... ჩემი თანამდებობა განაღდებული გაქვს... ჩვენი მიზანი და მოვალეობაა, ავიყვანოთ კარგარეთელი - ცოცხალი თუ მკვდარი... მკვდარი - საუკეთესო გამოსავალია... მკვდრის აყვანა?!. დიახ, აქედან გამომდინარე, დგება რამდენიმე გადასაწყვეტი საკითხი: დასადგენია სანცოვის ოჯახური მდგომარეობა. საყვარელთან

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

დაკავშირებული ოჯახური ტრაგედიები მისთვის სრულიად არ-
ასასურველი უნდა იყოს. ამას გარდა, რას წარმოადგენს აშნა...
ეს მისი მეტსახელია. რატომ არის ვიღაც აშნა სანცოვის ცხოვ-
რების აუცილებელი და განუყრელი შემადგენელი?.. კიდევ -
სანცოვი და ცეზარევა ერთად არიან ისევ თუ ცალ-ცალკე?.. ჩე-
მთვის ცხადზე უცხადესია, კარგარეთელს „ოტრადასკენ" უჭი-
რავს გეზი, ანუ აშნასკენ. საიდან უნდა იცნობდეს აშნას კარგა-
რეთელი? გასაგებია, ერთად ისხდნენ ჩვენთან. გაუგებარია, რა-
ნაირად უნდა იცოდეს კარგარეთელმა აშნას ადგილსამყოფე-
ლი?.. აშნამ შეატყობინა კარგარეთელს, ჯერ კიდევ მის გამოქ-
ცევამდე, ვთქვათ, წერილით. აშნამ, ალბათ, იცოდა, რომ კარგ-
არეთელი გაიქცეოდა! ვინ აცნობა გამოქცევა? გლებ, ხედავ, რა-
მდენუცნობიანი განტოლებაა?! კარგი, წადი, მე უნდა ვიფიქრო!

გლები უკვე კართან იყო მისული, როცა მენტორმა მიაძახა:

- შენ ომსკში წასვლა დაგჭირდება. მე ვეღარსად წავალ. გა-
აფორმე ბრძანება, მივლინება... დრო ცოტაღა გვაქვს. წადი!

გლები გავიდა.

- აქ რაღაც არის, მიტილენიჩ, აქ რაღაც არის! - ჩაილაპარა-
კა და ბოლთის ცემა განაგრძო.

წინა მოგონებებმა გორას ისე აუშალეს ძარღვები, მთელი
კვირის მანძილზე, რამდენჯერაც მოადგა იმდროინდელი ამბა-
ვი გასახსენებლად, იმდენჯერ ხელი აუქნია, მოიშორა. ავდრე-
ბი დაიჭირა, იძულებული შეიქნა, ბანაკი მოეწყო, კარავში შემ-
ძვრალიყო. ავდარი ორ დღე-ღამეს გაგრძელდა. გამოიდარა და
გორა ისევ გზას გაუდგა.

რა საჭიროა, მაინცადამაინც, საზარელ რაღაცებზე ვიფიქრო.
იმ დროში სასაცილო თუ გონსასეირო ცოტა რამ იყო?.. რამდენ-
იც გნებავს, მაგრამ ის სასაცილოც ტრაგიკულამდე მიგვიყვანს...
ოჰ, მიგვიყვანს და მიგვიყვანოს, რა ვქნათ. ჩვენ აღსრულებათა
სამზადისის პროცესს ვიხილავთ, ვერაფერს გავექცევით... კაი,
ბატონო! რომელი მოგონებით გავაგრძელოთ?.. ორნი რომ იყვნ-
ენ, პატარა ბიჭები, ძმები... ჰო, რა ერქვათ?.. ვანიკო და პალიკო,

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ესე იგი, ივანე და პავლე... კარგი, ეგ იყოს. არა, ჯერ ზურიკოსი[174] და ქეთინოსი გავიხსენოთ... რომელიც მოგეხსენებათ, როგორც გინდა!.. ერთად სჯობს, თითქმის იგივე თემაა. დავიწყეთ:

ისეთი ასაკის ბავშვებს, ვისაც, ავად თუ კარგად, თავის გატანის ილაჯი ჰქონდა, ღვთის ანაბარა სტოვებდნენ. ზოგ მათგანს სკოლიდან აგდებდნენ, ასეთი მითითება არ ყოფილა, ეს სასწავლებლის ხელმძღვანელობის „შეგნებასა" თუ „პოლიტიკურ სიფხიზლეზე" ეკიდა. დაუპატიმრებდნენ მშობლებს, შეაგდებდნენ ვისიმე საკუჭნაოში და მიანებებდნენ თავს თუ, რა თქმა უნდა, ცხვარიჭამიელ ვანო მათურელისთანა[175] ბოროტმოქმედებაში არ იქნებოდა მხილებული. ვანო მეთოთხმეტე წელიწადში იყო, წიგნში ლენინის პორტრეტს პირგადასაღები ქაღალდი შეუმარჯვა, ფანქარი დააყოლა და - ათი წელიწადი! მამამისი ცხვარიჭამიაში მილიციელად იყო. ვინმეს მისი ჯავრი ექნებოდა, შვილი დაუბეზღა, რეპრესირებული შვილის მამას მილიციაში ვიღა დააყენებდა, თავიდან მოიშორეს!.. მართალია, ზოგ ბავშვს ბებიამ, ბაბუამ, უფროსმა დამ თუ დეიდა-მამიდამ უპატრონა, მაგრამ ბიჭების საკმაოდ დიდი ნაწილი სისხლის სამართლის დამნაშავეთა სამყაროში გადაბარგდა, ციხეებში ამოჰყო თავი და ზოგმა ამ ასპარეზზე ხმამაღალი სახელიც მოიპოვა მთელი სახელმწიფოს მასშტაბით. იყვნენ ორიგინალებიც. ორი ძმა დარჩა უპატრონოდ. უფროსი მედიცინის ინსტიტუტის პირველი კურსის სტუდენტი იყო, უმცროსი - მეხუთე კლასის მოსწავლე. მშიერ-მწყურვლები დარჩნენ, მარტოდმარტონი და მიუსაფრები. უფროსმა ჯიბის ქურდობას მიჰყო ხელი და ამ დარგში სრულყოფას მიაღწია. „ოქროს ხელი" ჰქონდა, ჯიბგირობდა, სანამ ექიმის დიპლომს არ დაეუფლა და უმცროსი გზაზე დააყენა. ამ ხნის მანძილზე არამცთუ ციხეში, მილიციაშიც კი ვერავინ მიიყვანა. დადგნენ ფეხზე ძმები და დაუბრუნდნენ მაშინდელ ჩვეულებრივ ცხოვრებას.

ზურია და ქეთინო? ჩვიდმეტი წლისა ზურია იყო, თხუთმეტისა ქეთინო - ნიჭიერ ბავშვთა მუსიკალური სასწავლებლის მოწაფეები. მშობლები ერთსაც დაუპატიმრეს და მეორესაც. ერთმანეთი ადრევე უყვარდათ. დედისერთები იყვნენ, ბინებიდან ორთავე გამოჰყარეს, რაღაც სოროებში შეასახლეს. ერთად ცხ-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ოვრება გადაწყვიტეს, ის ორი სორო ერთ მანსარდაზე გადაცვალეს. გაყიდეს, რაც კონფისკაციას გადაურჩა, ფორტეპიანო შეიძინეს, მანსარდაში აიტანეს. ზურია პიანისტი იყო, ქეთინოს ხმა ჰქონდა, სჭირდებოდათ. განაგრძეს სწავლა, სტიპენდიით როგორღაც თავის გატანა, და ქეთინომ გოგო გააჩინა. ძალიან გაუჭირდათ. ერთხელ სასადილო მაგიდა ზურგით წავიღეთ საკომისიო მაღაზიაში - ოჯახის უკანასკნელი ნივთი. გაიყიდა და შეიჭამა. ვეშველებოდით, როგორც შეგვეძლო, მაგრამ თავადაც რა გაგვაჩნდა?.. შემთხვევის შვილები ვართ და აქაც შემთხვევამ განსაჯა მომავალი. ზამთრის ერთ გვიან ღამით ზურია საიდანღაც ბრუნდებოდა. ქუჩაში ჭაჭანება არაფრისა და არავისი იყო. უცებ, ყვირილი და ფეხის თქარათქური ატყდა... მილიცია მოსდევდა ვიღაცას. ზურია შეჩერდა, ხეს აეკრა. დევნილმა ჩამოუქროლა და თოვლიან გაზონში მძიმე რაღაც გადააგდო. ბნელოდა, მილიციამ ვერაფერი შენიშნა. ჩაიქროლეს და კუთხეს მიეფარნენ. მიწყნარდა ამბავი. ზურია გაზონში გადავიდა, გადაგდებული საგანი აიღო. პატარა პარკი იყო, ასე, ერთი კილოგრამი წონისა და თავგანასკვული. გაიფიქრა, - იქნება ღმერთმა გადმომხედა და ლუკმაპური გადმომიგდოო! პარკს ყელი შეხსნა... ქაღალდებში გახვეული ყველანაირი კლიტის გასაღებების რამდენიმე ასხმულა აღმოჩნდა. წამოიღო. თან იმაზე ფიქრობდა, ვის მივყიდოო. შინ მივიდა, სხვენში დამალა. ერთი საოცარი თვისება აქვს ზოგ ნივთსა თუ საგანს - პოტენციას, შინაგან შესაძლებლობებს ასხივებს, გაწუხებს, - გამომიყენეო!.. ბევრი იფიქრა თუ ცოტა, ზურიამ, ბოლოს და ბოლოს, გამოიყენა ნაპოვნი გასაღებები. ერთი მსხვილი ჩეკისტის ოჯახური ყოფა შეისწავლა გულდასმით - ვინ როდის გადიოდა ბინიდან, როდის იყო შინ ვინმე და როდის - არავინ. იმ ბინის კარს თავისი კოლექციის ერთ-ერთი გასაღები მიარგო, შევიდა და მხოლოდ ძვირფასი სამკაულები წამოიღო. ასეთი ოპერაციების მეშვეობით ხუთი წლის მანძილზე შეინახა თავისი პატარა ოჯახი. მოქმედებისა და გამოყენების პრინციპი ასეთი ჰქონდა: არავითარი ფუფუნება და მცირეოდენი ნებივრობაც კი; ახალი ოპერაცია მხოლოდ მაშინ, როცა შიმშილი კვლავ კარზეა მომდგარი; ნაქურდლის გასაღება სხვა ქალაქებში; ხმა-კრინტი არავისთან, მათ

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

შორის, არც საკუთარ ცოლთან, - ჩემი მშობლების მიერ გადამალული სამკაულებიაო, და ესაც მხოლოდ ერთხელ მოხდა, როცა ქეთინო შემთხვევით წააწყდა ოქროს ნაკეთობებს. სამძებრო სამსახურის რამდენიმე უფროსი შეეწირა ზურიას ოინებს. ყველა გაქურდვას ერთნაირი ხელწერა ჰქონდა. იქამდე ერთნაირი, რომ დაზარალებულთა სოციალური წრეც კი ერთი იყო. მაძებრები მაინც ვერაფერს ხვდებოდნენ. ბოლოს, სამძებრო სამსახურებმა ეჭვმიტანილთა უზარმაზარ სიაში შეტანილების სათითაო თვალთვალს, შესწავლასა და აგენტურულ შემოწმებას მიჰყვეს ხელი. ამ დროისთვის ზურიას თავისი ხელსაწყო მტკვარში ჰქონდა გადაგდებული, საჭიროება აღარ იყო. ერთი, რომ ორთავე სამსახურში იყვნენ, მუსიკას ასწავლიდნენ და, ამასთან ერთად, ზურიას საკმაო თანხა ჰქონდა შემონახული. ზურია, საერთოდ, არავის დაუკითხავს, ცოლს მიუჩინეს აგენტი, იმ მუსიკალური სკოლის სიმღერის მასწავლებელთაგანი, სადაც ქეთინო ნახევარ საშტატო ერთეულზე მუშაობდა და რომელთანაც ყველაზე მეტად იყო დაახლოებული. გასაჭირზე ლაპარაკი ახალი ამბავი არ არის. ქეთინოს როგორღაც წამოსცდა, - კონფისკაციას სასწაულებრივ გადარჩენილი სამკაულები რომ არა, შიმშილით დავიხოცებოდითო! რამდენიმე დღისა თუ კვირის შემდეგ ისევ ისეთი ლაპარაკი ჩამოვარდა და აგენტმა ერთ-ერთი სამკაულის დაწვრილებითი აღწერაც მიიღო... ქეთინო დაჰკითხეს და ვინაიდან ერთადერთხელ ნანახი ძვირფასი ნივთების წარმომავლობისა არაფერი იცოდა, საყვარელი ქმრის დანაშაული ტერორად იქნა კვალიფიცირებული, ხოლო ცოლისა - დაუსმენლობად! სიმართლე უნდა ითქვას, მთლიანად არ მოუხდიათ მისჯილი ვადა. სხვა დრო დადგა. ქმარს ქურდობის მუხლით სამი წლის ნაჯდომობა აკმარეს, ხოლო ცოლს ნასამართლობაც კი მოუხსნეს. ეგ არის, ცოლ-ქმარს მანსარდა თავიდან გაუხდა საძებნელი.

სულიაშვილები[178] დაიჭირეს - ახალგაზრდა ცოლ-ქმარი, ერთი შვილი ჰყავდათ, პატარა ბიჭი. ისეთი ლამაზი და საყვარელი რამ იყო, ავ თვალს არ შეეხედებოდა - საბავშვო სახლში მოათავსეს. მათ გვერდით უშვილო ცოლ-ქმარი ცხოვრობდა, იმათ დაიხსნეს ბიჭი საბავშვო სახლიდან, შინ მიიყვანეს.

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თვე-ნახევრისა თუ ორი თვის თავზე ბიჭის დედა გაათავისუფლეს, დაპატიმრებისას ფეხმძიმობა არ ეტყობოდა, ციხეში გაეზარდა მუცელი. ჩეკისტებმა გაშვება ამჯობინეს. დედამ გაიგო, შვილი სადაც იყო, წამოსაყვანად მივიდა, მაგრამ ბავშვი ისევ საბავშვო სახლში წაყვანილი აღმოჩნდა... ის მეზობელიც დაეჭირათ! აქეთ ეცა დედა, იქით ეცა, ბიჭი ვერსად იპოვნა და თავის გამომძიებელს მიადგა. ბავშვის ძებნასა და მიგნებაში გამოირკვა, რომ ცოლ-ქმარი სწორედ იმ მეზობლებს დაებეზღებინათ, ვინც ბიჭი იშვილა. დედამ ეს ვერსია გულში ჩეკისტების პროვოკაციად მიიჩნია. ბიჭის მამამ ათი წელიწადი მოიხადა, თავისუფალ გადასახლებაში დატოვეს. დამბეზღებელი არ დაბრუნებულა, არავინ იცის, რა ბედი ეწია. მისმა ცოლმა ბანაკებში დალია სული. სიკვდილის წინ ბიჭის დედას აღსარება მოსწერა, - თქვენი ცოდვა მე მაწევს, უშვილო ვიყავი, უმაგბავშვოდ სიცოცხლე არ შემეძლო, სულმა წამძლია და აკი მომიზღო კიდეც ღმერთმა სამაგიეროო.

კარგი, კარგი, გვეყოფა ამდენი მოთქმა და ტირილი. მოდი, სასაცილოები ვთქვათ... „კოლხოზ მინდელოვ!“

ეს იყო „ხალხის მტრების“ ჯგუფი! ერთ-ერთ ბაზარში მწვანილით ვაჭრობდა ყოფილი მედუქნე, მოხუცი კაცი, გვარად მინდელოვი.[177] ჩარჩი იყო, გლეხებისგან ყიდულობდა დილაადრიანად და მერე დახლზე ელაგა ქინძი, ოხრახუში და სხვა მისთანანი. ხელში ბუზების საფრთხობი ეჭირა და გაიძახოდა, - აბა, კაი მწვანილი, აბა, კაი მწვანილი! კოლხოზ მინდელოვ!.. ყველა ბაზარში არიან ასეთი ჩარჩები. ზოგი რით ვაჭრობს და ზოგი რით. საღამოთი მინდელოვი და მისი კოლეგები დაიდგამდნენ ორიოდ ბოთლ ღვინოს, იმასლაათებდნენ და მიაშურებდნენ თავიანთ სახლებს. ერთ-ერთ ასეთ „ღრეობაზე“ მინდელოვმა თანამესუფრეებს წუხელ ნანახი სიზმარი უამბო:

- კაცო, ვზივარ, ცაში აიროპლანი მოდის. გამისწორდა, აიროპლანიდან ცხონებულმა ნიკოლოზამ გადმოიხედა და გადმომძახა: ცოტაც მოითმინეთ, მოვალ, დუქნებს ისევ დაგიხსნითო!..

აქვე ვიტყვი, ჩეკისტები თავიანთ ოპერაციებს, თითქმის ყოველთვის, ცინიზმით ამკობდნენ. მინდელოვის სიზმარი, როგორც ჩანს, მსმენელთაგან ერთ-ერთმა, სადაც ჯერ არს, მოახსე-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ნა. დგას მინდელოვი ბაზარში, „კოლხოზ მინდელოვს“ გაიძახ-
ის. მოვიდნენ ჩეკისტები, მწვანილის ფასები გამოიკითხეს, -
რამდენიცა გაქვს, ბითუმად ვყიდულობთ, ფასს დაუკელიო. მი-
ნდელოვმა დაუკლო, ჩაალაგებინეს „საქონელი“ ტომარაში, -
წამოგვიღე, მაგაში ცალკე გაგისწორდებითო. წამოიკიდა მინ-
დელოვმა ტომარა და დანარჩენი ხომ გასაგებია. მინდელოვი ბე-
ბერი იყო, ცემასა და წამებას ვერ გაუძლებდა, მოკვდებოდა. ჩე-
კისტებს ამისთანებისთვის სხვა მეთოდი ჰქონდათ - ცალ ფეხზე
დააყენებდნენ კუთხეში და ასე დაჰკითხავდნენ, - კიდევ ვინ შე-
დიოდა თქვენს კონტრრევოლუციურ დაჯგუფებაშიო?.. ხუთი
თუ ექვსი კაცი დაასახელებინეს. მოხუცები იყვნენ, თავად მინ-
დელოვი და კიდევ სამნი ორთაჭალის ციხეში დაიხოცნენ... ამ-
ათ განადგურებაში კერძომესაკუთრეობისა და ვაჭრობის წინა-
აღმდეგ ბრძოლაც იგულისხმებოდა.

არა, ის „კავეზისტებიც“[178] კაი ხალხი იყო, რა თქმა უნდა! ავე-
ტიკას პარტიისგან განსხვავებით, ჩეკისტებს მათი დანაშაულის
სამხილი სრულიად არაფერი გააჩნდათ, ტყუილუბრალოდ ჩასხ-
ეს. მიუხედავად ამისა, სინანულის, მწუხარების თუ ბოღმის ნატ-
ამალსაც კი ვერ შეატყობდა კაცი, რადგან იცოდნენ, რომ დახვრ-
ეტას რაღაც მანქანებით გადაურჩნენ - ტერორის მუხლით მიუს-
აჯეს ათ-ათი წელიწადი! ვთქვათ პირდაპირ, ამ მუხლიანს „სამე-
ული“ ცოცხალს არავის სტოვებდა - 58-8! ისხდნენ ბედის მადლ-
იერნი და უხაროდათ. ეს კია, მათ გამო ციხეში სხვა ალკოჰოლი-
კებიც მორეკეს... ინტერნაციონალისტობა, როგორც თვისება, მე
მგონია ,პირველად არაყმა გამოუმუშავა ადამიანს. ლოთისთვის
სულ ერთია, ვისთან ერთად დათვრება... კი, „კავეზისტები“ ინტ-
ერნაციონალისტები იყვნენ, ეს „ორგანიზაცია“ მრავალეროვანი
გახლდათ. ჩეკისტებს დასმენა ჰქონდათ, - დემონსტრაციის მოწ-
ყობას აპირებენ, ლოთებისთვის, როგორც შრომის ინვალიდები-
სთვის, პენსიის დაწესება უნდა მოითხოვონო, და ამ ღონისძიებ-
ის მზადებისთვის მოწვეულ კრებებზე იმასაც ამბობენ ხოლმეო,
რომ თუ არ დაუნიშნეს, „ლოთების ცოდვით“ ან სტალინი მოკვდ-
ება, ან ბერია, ან ორივეო. ამას, გენაცვალე, „ტერორისტული გ-
ნზრახვა“ ეწოდებოდა. დახვრეტა!.. მით უმეტეს, რომ გამოთქმა,
„ლოთების ცოდვით“ დაკითხვის ოქმებსა და საბრალდებო დასკ-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ვნაში არ ფიგურირებდა... სამაგიეროდ, ეწერა, რომ კონსპირაციისთვის თავის ძირგამომთხრელ, ანტისაბჭოთა შეკრებებს „დილის ხაში“ დაარქვეს. რაც შეეხება მათ „კავეზისტობას“, ეს ინტერნაციონალიზმის მსახვრალი ხელის ბრალია. კერძოდ კი იმისა, რომ ამ საქმეში გადიოდა რუსი, გვარად მასლაკოვი,[179] რომელსაც იმდენი ურტყეს, - თქვენი ორგანიზაციის სახელწოდება სთქვიო, რომ ადგა და სთქვა, – „*КВЗ*“-ო. გამომძიებელი კინაღამ სიხარულმა გადარია, - ხომ ვათქმევინეო, და უფროსებს მოსვლა სთხოვა, - შემოდით, დაესწარით, ოქმით დავაფიქსიროთო. შემოცვივდნენ, დასხდნენ, - გაშიფრეო. გაშიფრა – „*Как бы выпить, закусить*“!

წვრილფეხობამ ზუმბებს წამოავლო ხელი, - მასხარად გვიგდებს, მამაძაღლიო. მთლად უფროსმა დაამშვიდა, - ძალიან კარგიო! მასლაკოვის განწირულმა იუმორმა იურიდიულ პრაქტიკას კიდევ ერთი მარგალიტი შესძინა: აღნიშნულ იქნა „ორგანიზაციის სახელწოდებად კონსპირაციისთვის ჯგუფის მიერ შერჩეულ იქნა სამი ასო, – „*КВЗ*“ - რაც თავისთავად არაფერს ნიშნავსო“. მასლაკოვის მიერ განმარტებული მნიშვნელობა არ ხსენებულა.

ერთი ფრიად მნიშვნელოვანი მიზეზის გამო, კავეზისტებს შორის სხვებზე მეტად გაცნობიერებულნი განაჩენით უზომოდ კმაყოფილნი იმიტომაც იყვნენ, რომ იმ ათ წელიწადს, რაც მათ ჰქონდათ მისჯილი, არ ახლდა სიტყვა „უმიწერმოწეროდ“, რადგან „*Десять лет без права переписки*“, ცნობილია, „*Сплавные команды*“-ს ნიშნავდა აქედან გამომდინარე შედეგებით.

ჰო, კიდევ რანაირ ხალხს აპატიმრებდნენ? რანაირსა და ყველანაირს. მათ შორის, იმ გლეხობასაც, ვისაც როდისმე რაიმე ქონება ჰქონია - გლეხკაცის ქონება. კოლექტივიზაციის პროცესში განკულაკებულებსა და სასწაულებრივ დაბრუნებულებს კი არ ვამბობ - ესენი ყველა მოხვეტეს. არა, იმ გლეხობაზეა ლაპარაკი, ვისაც ზედმეტი ძროხა ჰყავდა, ან ნეპის დროს საკუთარ ბოსელში ასანთსა თუ ნავთს ჰყიდდა. ამათ ბოლშევიკებმა წვრილი ბურჟუაზიის „შავ სიებში“ ამოაყოფინეს თავი, მეთოდურად დაუწყეს განადგურება.

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

წყნეთსა თუ დიღომში ერთი ავეტიკა[180] იყო. დაჭერები რომ გახშირდა, ამით ხელის მოთბობა განიზრახა. დაპატიმრებულთა ნათესავ-ნაცნობებში დადიოდა, - კაცი მყავს, ფულსა თხოულობს, ამასა და ამას გაგითავისუფლებთ, მოვაგროვოთ, დავიხსნათო. ბევრს არ ამბობდა, ცოტას. გამიგონია თუ წამიკითხავს, - ადამიანი ბუნებით ქველმოქმედიაო, და იმ რამდენიმე მანეთს ვინ დაინანებს, მით უმეტეს, როცა ახლო ნათესავისა თუ მეგობრის გადარჩენაა შესაძლებელი. აძლევდნენ რაღაც გროშებს. ჩეკისტებმა ავეტიკას მოღვაწეობის ამბავი დასაწყისშივე გაიგეს და გაინაბნენ. როცა ავეტიკას მეპაიეებმა ას კაცამდე მოიყარა თავი, აი, მაშინ ჩატარდა ძლევამოსილი ოპერაცია - „ხალხის მტრების დიდი ჯგუფის ლიკვიდაცია". სწორედ ასე აუწყეს საზოგადოებას ინფორმაციის წყაროებმა. რით არ იყო მოხუცი დედაკაცებისა და ხეიბრების ეს ერთობლიობა კონტრრევოლუციური, ანტისაბჭოთა ორგანიზაცია? ავეტიკას ხომ ყოველი ფულის გამღები პირი, მათივე სიმშვიდისთვის, დიდის რუდუნებით შეჰქონდა სიაში და ჩეკისტებს ეს სამხილი ხელთ ჰქონდათ... ათ-ათი წელიწადი! წარმოდგენილი მაქვს, საწყლებს რა გამომეტყველება ექნებოდათ! მათ სახეზე და საქციელში არც დარდი იყო, არც სინანული ან ვინმეს მიმართ ჩაბუდებული ჯავრი - მხოლოდ განცვიფრება და კიდევ ის უხერხულობისა თუ სირცხვილის გრძნობა, ადამიანს ლამაზმანების წრეში კუ რომ სძვრეს... პატიმრებმა იმ ხალხს „ავეტიკას პარტია" უწოდეს.

ოცდაჩვიდმეტი წლის რეპრესიები დაარქვეს იმას, რაც ოცდათხუთმეტ-ოცდათვრამეტ წლებში ხდებოდა. ეხლა ამ ამბების „გაშუქება" ყველა მცოდნესა თუ არამკითხეს უპირველეს მოვალეობად მიაჩნია. რამდენი დაიწერა! მეათედის წაკითხვას ვერ შესძლებს კაცი. დიდი ხნის დაგუბებულმა აღშფოთებამ სარქველი აჰგლიჯა, მღვრიე ნაკადად გადმოიღვარა. კერძოდ, სტალინისა და მისი რეპრესიების დარდი ამ მასალებში მხოლოდ ზედაპირია. ნამდვილი მიზანი სოციალიზმის აუცილებელი შედეგის - ერთადერთი პარტიის დიქტატურის — კომპრომეტაციისა და დასამარების სურვილია. ასეთია ამ ლიტერატურის აისბერგი და, ალბათ, ამიტომ ნაკლებ ყურადღებას იქცევს ის, თუ რა დაემართა ადამიანის სულს. ხალხი დაიბნა და გაოგნდა. ვერავ-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ის ვერაფერი გაეგო, როგორ დაეჭირა თავი, როგორ მოქცეულ-
იყო, რომ სიკვდილს გადარჩენოდა. ზოგი ფეხის ხმას აჰყვა, კრ-
ებებსა და მიტინგებზე „ხალხის მტრების“ წყევლა-კრულვას
მიჰყო ხელი. ამათი უმრავლესობა განადგურდა, რადგან სხვებ-
ის მიერ მათი ტაქტიკა ფარისევლობად, დაწინაურების, აღზევ-
ების წყურვილად იქნა შეფასებული. ეს ეჭვი, შემთხვევათა უმ-
რავლესობაში,საფუძველს მოკლებული არ იყო და შურმა თავ-
ისი ჰქნა. იყვნენ ისეთებიც, ვინც პირში წყლის ჩაგუბება, განზე
გასვლა არჩია. ამათზე გავრცელდა ლოზუნგი - „ვინც ჩვენთან
არ არის, ჩვენი მტერია!“ და, ერთეულებს გარდა, ყველა დაიღუ-
პა. გადარჩნენ, ძირითადად, ისინი, ვისაც მოვლენებსა და ვითა-
რებაზე საკუთარი თვალსაზრისი არ გააჩნდა, ზემოდან ჩამოშვ-
ებული სტერეოტიპები ჭეშმარიტებად ირწმუნა, ცხოვრებას
ქედმოხრით მიჰყვა, და, უმთავრესად კი, ისინი, ვისაც რეპრესი-
ები და ტერორი სოციალიზმის მშენებლობის გარდუვალ პირო-
ბად ჰქონდა მიჩნეული.

ყველაზე ვერ იტყვის კაცი, მაგრამ ადამიანთა დიდმა უმრავ-
ლესობამ რეპრესირებული ოჯახების დაუპატიმრებელ წევრებ-
თან ურთიერთობა შეწყვიტა. ნათესავი ნათესავს აღარ ეკარებ-
ოდა, ძმამ ძმის დაობლებულ შვილებზე ხელი აიღო, შვილმა მა-
მა გაკიცხა და მოქალაქეობრივი ლაჩრობა სიბრძნე იქნა აღი-
არებული. შიშმა აიტანა ერი!..

სოფელი! მწარმოებელი გლეხობა განადგურდა. სოფელი
უსწავლელ, წერა-კითხვის უცოდინარ დემაგოგებს შერჩათ ხე-
ლში. შერჩათ-მეთქი, რადგან ნიჭიერ, მშრომელ გლეხთაგან
თუკი განკულაკებას გადაურჩა ვინმე, ქალაქს მიაშურა ქვეყნის
ინდუსტრიალიზაციის „ვახტზე დასადგომად“. სოფლის დემაგ-
ოგები გამარჯვებას ზეიმობდნენ და მიტინგებიდან თავისუფალ
დროს ღვინის სმაში ატარებდნენ.

მუშათა კლასი, რომელიც, უმთავრესად, გუშინდელი გლეხ-
ობისგან შესდგებოდა, სტალინის პარტიის მიერ ნასროლ ლოზ-
უნგებს ყასიდად იმეორებდა და ნამდვილად კი მისი ერთადერ-
თი მისწრაფება პირადი კეთილდღეობის განაღდება იყო. ესენ-
იც ქეიფობდნენ.

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ინტელიგენციას ათას ცხრაას ოცდაოთხი წლის დამარცხების სინდრომი და ახალი რეპრესიების განცდა ჰქონდა. ყველა ცდილობდა, აღარაფერზე ეფიქრა, გულის დარდი ქეიფით ჩაეხშო. ყალბი უდარდელობა თავდაცვის საშუალებად იქცა. უახლოესი ძმაკაცების ლხინიც კი, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ერთმანეთისგან მართალი გრძნობებისა და ჭეშმარიტი განწყობილებების დამალვის ადგილად იქცა. ადამიანის ფუნქცია თავისუფლებაა. ეს შიშმა შეცვალა, სულს ბორკილი დაედო და ამხანაგ-მეგობრებში თავის გამოსაჩენად, დროდადრო თუ კიდეც აიშვებდა ხოლმე, ხშირად უგვანო საქციელის სახით მჟღავნდებოდა. ჩემი შეხედულებით, უმნიშვნელოვანესი, რაც განუწყეტელმა რეპრესიებმა მოიტანა, მაინც ის არის, რომ ადამიანებმა იუმორსა და ცინიზმს შორის ზღვარი დაკარგეს.

ჩვენი ოჯახი ჯერ კიდევ არ იყო განადგურებული. გორა პაპას სადილობისას სიცილი აუვარდა. მამამ ჰკითხა: - რა გაცინებსო? ვიღაც დაასახელა, დღეს ასე მითხრაო, - წინათ კაცს რომ შევხვდებოდი, ვფიქრობდი, - ამ კაცისგან რა ხეირი შეიძლება, მქონდეს-მეთქი. ეხლა იმასა ვფიქრობ, - დამაბეზღებს და დამაჭერინებს თუ არა-მეთქი...

აი, ცინიზმის კიდევ რამდენიმე მაგალითი:

შარიან ხელისუფლებას ეშმაკი ქვეშევრდომი ჰყავს. ეს საუკეთესოდ გამომჟღავნდა იმ წლების ერთ გახმაურებულ ამბავში. კახეთი რომ ქართული ბილწსიტყვა ოხუნჯობის აკვანი, საცავი და მარადიული ემისიონერია, ეს ერთმა ჯირკიგლეჯიაშვილმა თუ ბელტიყლაპიაშვილმა ასეთი გამოგონებით, ვინ იცის, მერამდენედ დაადასტურა: სტალინის ან ბერიას სავალდებულო სადღეგრძელო რომ წარმოითქმებოდა, დაიძახებდა ხოლმე, - დიდ სტალინს გაუმარ... — აქ პაუზას აკეთებდა და მთელი სუფრა ყვიროდა ბოლო მარცვალ - ჯოს!!! თუ არ მოეწონებოდა წამოძახილის ერთხმოვანება, მაშინ მეორედ აყვირდებოდა და ზოგჯერ მესამედაც. მერე ბერიას სადღეგრძელოზე გაიძახოდა მთელი სუფრა - „ჯოს!" მერე, — პოლიტბიუროს მთელი შემადგენლობის სადღეგრძელოზე და ხანდახან რაიკომის მდივნის წილი „ჯოს"-იც გაისმოდა. ამ ერთობლივ წამოძახილში იგულისხმებოდა, სტალინისა თუ ვისი სადღეგრძელოც იყო, იმის თა-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ვზე ასე და ისეო! შეძახილი გავრცელდა და საშიში „მასშტაბები მიიღო“. ჩეკისტებმა პირველწყაროს მიაგნეს, დაიჭირეს, დაჰკითხეს, - მაგას რომ ჰყვირი, რას გულისხმობო? ჯირკიგლეჯიაშვილმა მიუგო, - ბელადებს ვადიდებო! გამომძიებელი ჩააცივდა, - სიმართლე სთქვიო. დაჭერილმა უთხრა, - მე როგორც გითხარი, ისეა და ეხლა შენა სთქვი, როგორცა გგონიაო! როგორც ეგონათ და როგორც ნამდვილად იყო, იმას გამომძიებელი კი არა, პოლიტბიუროს ვერც ერთი წევრი ვერ გაიმეორებდა, იცოდა, რაც მოელოდა. იჯდა ჯირკიგლეჯიაშვილი თუ ბელტიყლაპიაშვილი კაი ერთი წელი. კრუხი შეუსვეს, - იქნება, წამოსცდეს, რასაც გულისხმობდაო. არაფერი გამოუვიდათ. საგანგებო სათათბიროს გაუგზავნიდნენ „საქმეს“ და რამდენსაც აქაური ჩეკისტები მოითხოვდნენ, სასჯელად იმ ვადას გამოუგზავნიდნენ მოსკოველი ჩეკისტები ჯირკიგლეჯიაშვილს, მაგრამ გათვალისწინებულ იქნა შემდეგი გარემოება: ხალხმა რა იცოდა, შეძახილის ავტორი რისთვის დააპატიმრეს და „ჯოს“-ის ყვირილი კი მთელ საქართველოს მოედო. ჩეკისტებმა იფიქრეს, - გავუშვათ, ახლობლებში იტყვის, რისთვისაც ვაყურყუტეთ, ხმა გავარდება და ხალხი „ჯოს“-ის ძახილს მოიშლისო. გამოუშვეს. მამაძაღლი ბელტიყლაპიაშვილი თუ ჯირკიგლეჯიაშვილი გაიტვრინა, არავის არაფერი უთხრა. სტალინის სიკვდილის შემდეგ ბელადების სადღეგრძელოს სავალდებულო სმის ტრადიცია მოიშალა, მაგრამ განსაკუთრებით პატივსაცემი კაცის სადღეგრძელოს მთვრალი ქართველები დღესაც იმავე ღრიალით ამთავრებენ, - შენ თავზე ასე და ისე ვქენიო! ამ შეძახილის თავდაპირველი დანიშნულება დღეს არავინ იცის, ისევ „ჯოს“-ს გაიძახიან... რა ვიცი, ზოგმა იქნება იცის კიდეც... ცნობისთვის: ჯირკიგლეჯიაშვილი თუ ბელტიყლაპიაშვილი შემდეგში მაინც დახვრიტეს! ამაზე ახი იყო. რა აყვირებდა?!

არ ვიცი, დედ-მამის შემხედვარემ, თუ გარემოცვის სულიერმა ტონუსმა, ბავშვებსაც დაუკარგა იუმორსა და ცინიზმს შორის არსებული ზღვარის გრძნობა. ჩემს ტოლებში ასეთი შემთხვევა მოხდა: პირველ სკოლაში მეხუთე კლასის ერთ მოსწავლე ბოგონას სიყვარულის წერილი დაუჭირა დედ-მამამ - ბიჭის მიერ მიწერილი ბარათის პასუხი იყო. მშობლები აღშფოთნენ, გო-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

გონას გაუჯავრდნენ. გოგონამ თავის მოკვლა განიზრახა და უახლოეს მეგობარ-თანაკლასელს, რომელიც ელამი იყო და ლირა ერქვა, სთხოვა, - საწამლავი მიშოვნეო. ლირამ თავის რიგში თანაკლასელ ბიჭს სთხოვა, - კატა გაგვიცოფდა, უნდა მოვწამლო და საწამლავს ხომ ვერ მიშოვნიო? ყურშამ - ეს იმ ბიჭის მეტსახელი იყო, უთხრა, - შინ რაღაც საწამლავი გვაქვს, ზედ აწერია: „ბავშვებო, ხელი არ ახლოთ, საწამლავია!" დიდ დასვენებაზე გავიქცევი, მოვიტანო. გავიდა ყურშა, აფთიაქში ორი დოზა ინგლისური მარილი იყიდა, ლირას გადასცა. მეორე დღეს გოგონა სკოლაში არ მოვიდა. ხმა დაირხა, - თავი მოიწამლაო. ყურშამ გაკვეთილების შემდეგ თანაკლასელები შეაგულიანა, - მივიდეთ, ვინახულოთო. წავიდნენ. გოგონა ლოგინში იწვა, დედამისი სტუმრად მოსულ ბავშვებს წარამარა მეორე ოთახში გასვლას სთხოვდა - თვითმკვლელს ინგლისური მარილის მიღების შედეგები აწუხებდა, საჭირო ოთახში გასვლა სჭირდებოდა. ეს რამოდენიმეჯერ განმეორდა... მეორე დღეს ყურშამ საიდუმლო გაამხილა. კლასი სიცილით კვდებოდა, ყურშას თავი მოჰქონდა, - ხომ მაგარი რამე ვქენიო!..

პაპა გორას ერთი ახლობელი კაცი ბორჯომში ნათესავებთან სტუმრად იყო. მასპინძლის აივნიდან ბორჯომულაზე გადებული ხიდი ხელისგულზე იდო. გავიდა, ჯავახეთიდან სამუშაოდ ჩამოსული გლეხი ნახა. მოურიგდა, ხიდზე დააყენა და მთელი საათის მანძილზე მტკვარში აფურთხებინა. აფურთხებინა, შარი მოსდო, - კარგად არ აფურთხებდიო, — და შეპირებული გასამრჯელოს მხოლოდ ნახევარი გადაუხადა.

გრიგანი![181] იმ დროს თბილისში ორი ორიგინალი იყო. ერთი რუსთაველის პროსპექტზე, „ლუქსის" მაღაზიასთან მოკრძალებით იდგა დილიდან საღამომდე. სტალინივით ეცვა, ზუსტად, ხელიც კიტელის ღილებშუა ჰქონდა შეყოფილი. სტალინი იყო, ზედგამოჭრილი. იდგა და იდგა. არც თავად ესალმებოდა ვინმეს და არც ის მინახავს, ვინმე გამოლაპარაკებოდეს. ეგრე იდგა. მეორე ორიგინალი გრიგანი გახლდათ, ლონდონელი დენდის მსგავსად თუ ყაიდაზე იცვამდა. ლამაზი, ტანადი, მოხდენილი პიროვნება იყო. სადღაც, რომელიღაც ქალაქში კომბინატორობდა. ჩამოსულს რუსთაველის გამზირზე უყვარდა ავლა-ჩამოვლა. თბილის-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ში ინტიმური მეგობარი ჰყავდა - ნახევრად გერმანელი, ნახევრად ქართველი, ძალზე ლამაზი ქალი. საფიქრებელია, მის სანახავად, მასთან ურთიერთობისთვის ჩამოდიოდა ხოლმე, რა თქმა უნდა, სხვა საჭიროებებთან შეთავსებით, თორემ, რომ იტყვიან, ნამეტანი საქმიანი კაცი იყო, სხვაფრივ ვერ მოიცლიდა. ერთხელ ასეთი რამ მოხდა: რუსთაველის პროსპექტზე, ლაღიძის წყლებთან, ვიდექით მე და რამდენიმე ჭაბუკი. მოედნის მხრიდან გრიგანი მოსეირნობდა თავის ლამაზმანთან ერთად. ჩვენს შორიახლოს წყვილს ვიღაც შემოხვდა. გრიგანი დადგა, გამოელაპარაკა. ქალმა ნელი სიარული განაგრძო, ოდნავ გაგვცდა და ამ დროს გრიგანმაც მოაღწია. კუკურა სიხარულიძემ[182] ქალს ხარბი მზერა მიაყოლა და კარგა მაღალი ხმით სთქვა, - აუ, ბიჭო, რა სა... ქალიაო!.. გრიგანმა მოიხედა, გვითხრა, - იმდენი არაფერიო!.. — ჩვენი რეაქცია ადვილი წარმოსადგენია, მით უმეტეს, რომ გრიგანმა ეს ფრაზა მხოლოდ ისროლა, მიტრიალდა, სატრფოს ხელი მკლავში გაუყარა და წავიდა.

ლევან პაპა[183] საზოგადოებაში თავისი უწყინარი ხუმრობებითა და ენამახვილობით იყო ცნობილი და აგერ, იუმორი როგორ გადაექცა ცინიზმად!.. გასაბჭოებით გაღატაკებულ აზნაურს ერთოთახიანი ქოხი შერჩა კიკეთში, კაკლიანი, პატარა ეზოთი - ეგ იყო და ეგ მისი ქონებაცა და სიმდიდრეც. თბილისში დასთან ერთად ცხოვრობდა სადღაც ჯურღმულში. გაზაფხულდებოდა თუ არა, გამოსწევდნენ კიკეთისკენ და გვიან შემოდგომამადე აქ იყვნენ ღალის ასაკრეფად და მოსავლის ასაღებ-დასაბინავებლად შეყოვნებული ბატონებივით. ლევან პაპა დღეს, ძირითადად, კაკლის ქვეშ გაფენილ ჭილოფზე ატარებდა. თავი მუთაქაზე ედო, ან ფიქრობდა, ან სთვლემდა. ჭოღოლიები[184] იდგნენ ვიღაცისგან ჩამორთმეულ აგარაკში. ჭოღოლია მეთერთმეტე არმიას შემოყოლილი სამხედრო პირი და მერე პარტიული ფუნქციონერი გახლდათ. მის ცოლს ერქვა ელადა. წინათ ელიზავეტა პროხოროვნა რქმევია. სახელი თავად გადაიკეთა, - ასე უფრო კულტურულიაო. ერთი ბიჭი ჰყავდათ, სახელად დენის, მაშინ თექვსმეტი წლისა იქნებოდა. „დენიკინა“ შევარქვით. რაც მთელი მათი ოჯახის მწვავე რეაქციას იწვევდა. ერთხელ დენიკინამ ლევან პაპას ასეთი საჭოჭმანო კითხვა დაუსვა: მთელი დღე,

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მთელი ზაფხული და მთელი სიცოცხლე ამ კაკლის ძირში წევ-ხართ. რითი ცხოვრობთ, ფული საიდან გაქვთო? დენიკინა კრე-ტინი იყო, ამას თავად ვერ მოიფიქრებდა, ოჯახში ნათქვამი გა-იმეორა. ამას ლევან პაპაც მიხვდა, და მიუგო, - პარიზიდან მიგ-ზავნიანო! დენიკინამ იკითხა, - რაშიო? — იმაში, რითაც ადამი-ანები მრავლდებიანო, - ლევან პაპამ მიუგო. ადამიანები რითაც მრავლდებიან, დენიკინამ უკვე იცოდა, გაუკვირდა და დაინტე-რესდა, - რაღა თქვენ აგირჩიეს, თავისი ფრანგებისა ცოტა აქვ-თო? ერის ჯიშის გასაუმჯობესებლად მიაქვთო, - განუმარტა ლევან პაპამ. ეს ლაპარაკი ასე დამთავრდა, მაგრამ დენიკინა ლევან-პაპას მეორე დღეს ესტუმრა და ჰკითხა: ის, რითაც ადა-მიანები მრავლდებიან, ჩემი თუ გამოდგებაო? ლევან პაპამ დენ-იკინა აათვალიერ-ჩაათვალიერა, თავი მოწონებით ჩააქიცინა, - აფთიაქის პატარა, თეთრი ბოთლუკით მოიტანე, ვნახავ და, თუ ივარგებს, გავგზავნიო. ბიჭმა ისე მოკლე ხანში მოარბენინა „აფთიაქის პატარა ბოთლუკი" სავსე იმით, რითაც ადამიანები მრავლდებიან, რომ ლევან პაპას ეჭვი შეეპარა, - ფალსიფიკაც-იას ხომ არა აქვს ადგილიო! პროდუქტი ალალი აღმოჩნდა, თბ-ილიც კი იყო. მიუხედავად ამისა, ლევან პაპამ ბოთლუკი შეაჭა-ნჭყარა, კაკლის ფოთლებში ჩამოპარული სხივების ჭავლს მია-შვირა და დენიკინას უთხრა, - არ ვარგა, ამაში ფრანგები ფულს არ გადაიხდიანო...

გაზაფხულის მზიანი დღე იყო, ტექნიკუმიდან შინ მივდიოდი. მამა დავინახე, მეგობრებს ესაუბრებოდა. მივედი, მივესალმე. მწერლები იყვნენ - პოეტები, მამაჩემზე ახალგაზრდები. ერეკლე კარგარეთელი მათთვის ღმერთკაცი გახლდათ - ღრმად განათლ-ებული, ენამახვილი და სადა საქციელის ადამიანი. მისი თამად-ობა უყვარდათ და ეს შემთხვევითი შეხვედრაც ქეიფით დასრუ-ლდა - ქოსებთან.[185] ქოსები სირაჯები იყვნენ. ქოსებად რატომ იწოდებოდნენ, არავინ იცოდა, ქოსობისა არაფერი ეცხოთ. მამ-ამ მეც გამიყოლა. მგონია, უფრო იმისთვის, რომ მალე წამოსვ-ლის მიზეზი ჰქონოდა, - პატარა მახლავს, შინ წასვლის დროაო. ქოსებს მხოლოდ ღვინო ჰქონდათ, საუკეთესო და ნაირ-ნაირი. რომელიღაც კოლმეურნეობის საკუთრება იყო მათი სირაჯხანა. თუ ნაცნობი, პატივსაცემი სტუმრები მოვიდოდნენ, ხელის ბიჭი

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჰყავდათ, ბაზარში გაუშვებდნენ, რაიმე საჭმელს მოატანინებდ-
ნენ. ქოსების სარდაფი უზარმაზარი და გრილი იყო, მრავალი გა-
ნყოფილება ჰქონდა. ერეკლე კარგარეთელი სადაც მეგობრებს
შეუძღვა, იქ ერთი დაბალი, განიერი ღვინის კასრი შუაში იდგა,
გარშემო პატარ-პატარა კასრებშემოლაგებული. უცბად ვერ მი-
ეხვდი, რომ ამ საგნებს მაგიდისა და სკამების დანიშნულება ჰქ-
ონდათ... დაიწყო ლხინი და ერთიმეორეზე დახვეწილი სადღეგ-
რძელოები. პოეტები შეთვრნენ, ლექსის ჯადო დატრიალდა. ცხ-
ადია, არც ერთი სიტყვა პოლიტიკაზე და, იქნება, სწორედ ამან
მოუტანა სუფრას ბრწყინვა და ჰარმონია. ამ დროს კიდევ ერთი
პოეტი მოვიდა, ისიც მშვენიერი, მაგრამ ერთობ არასასურველი,
რადგან სიმთვრალეში აბდაუბდა ყაყანი და ხანდახან გაწევ-გა-
მოწევაც იცოდა. დაჯდა, ბოლმით სავსე ლაპარაკს შეუდგა, ხმა
აღარავის ამოაღებინა. დაინგრა სევდის, სასოების, მშვენიერებ-
ისა და აღტაცების სახლი... ერთ-ერთმა ქოსას უხმო, ყურში რა-
ღაც ჩასჩურჩულა. სირაჯი წავიდა, ცოტა ხანში დაბრუნდა და
მოყაყანეს უთხრა, - ზემოთ, კიბის თავში ქალბატონი გელითო.
ყაყანა პოეტმა თანამესუფრეებს პატიება სთხოვა, წავიდა. აღმ-
ოჩნდა, რომ მეძავი მოუყვანეს. სხვანაირად მაგის წასვლა ვერ
მოხერხდებოდაო, - იდეის ავტორმა განაცხადა. იყო კომენტარ-
ებიც, სიცილიც, მაგრამ ლხინი მაინც ჩაიფუშა, სუფრაზე წუხი-
ლმა დაისადგურა და ის სიმძიმილი მეც გადმომედო. მაშინ ჩემი
განწყობილება ვერ გავიაზრე, ყრმა ვიყავი. მერელა მივხვდი, იმ
უხეშმა მასხრობამ შემაძრწუნა და შემძრა. პაპაჩემი გორა კარ-
გარეთელი ამას არამცთუ არ ჩაიდენდა, არც მოუწონებდა და იქ-
ნება, ის სუფრა ჩუმად თუ დემონსტრატიულად დაეტოვებინა კი-
დეც. წარსულში ის პოეტები პაპა გორები იყვნენ, ახალმა დრომ
გადააკეთა და დაამახინჯა მათი სული, კაცობის, ადამიანობის
ფუნქცია დააკარგვინა.

აქ უკვე დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ ახალ რელიგიებ-
სა თუ იდეოლოგიებს პარანოიკები ამკვიდრებენ. მასას პარან-
ოიკისა მეტად სჯერა, ვიდრე ბრძენისა, მიჰყვება მას, ამკვიდრ-
ებს პარანოიკსაც, მის მოძღვრებასაცა და ყოველივე ეს ქურუმ-
თა თვალთმაქცობით თავდება. ასე იყო, ასე არის, ასე იქნება...
თვით სტალინის ფენომენი მისი ხანგრძლივი ერთმმართველო-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ბითაც აიხსნება. ისტორიას თუ მივმართავთ, დიდი სახელი და დიდი საქმეები, უმეტესად, იმ მეფეთა ხვედრია, ვინც დიდხანს იმეფა. ასევეა დიდი სახელი და დიდი - ხშირად, საეჭვო თუ უარყოფითი ღირსების, ერისმთავართა თუ ბელადთა ხვედრიც. სტალინს ოცდაათი წლის მანძილზე ედო ხელები უზარმაზარი იმპერიის საჭეზე. მომავალი ყველაფერს განსჯის და შესაბამის ადგილსაც მიუჩენს...

ისევ ამოვარდა გრიგალი. გაყინული ჭაობი იყო - არც რამ ნაჯაო და, მით უმეტეს, ნორმალური ბუნაგის მოსაწყობი ადგილი. ქარი თოვლს დააბორიალებდა, სავალიც კი აღარ ჩანდა. ამ ტრიალ არემარეზე იმის მეტი აღარაფერი დარჩენოდა, სადაც იდგა, იქვე დაბინავებულიყო. თხილამურები მოიხსნა, ციგაზე დაება. საძილე ტომარაში შეძვრა, თბილი ქუდი შეიყოლა, ტომარას თავი შიგნიდან გაუკრა, სასუნთქი სარქველი გახსნა, ციგის თოკი ტომარაში შემოაძვრინა, მაჯაზე დაიბა და დაქანცულ-ნაცოდვილარს მალე მკვდარივით ჩაეძინა. სიზმარში თავისი ნინო გამოეცხადა - თავზე დოლაბებიანი პატარა ანგელოზი. ქვები ხრიალებდა, ცუდად ისმოდა, მაგრამ გორამ ნინოს ნათქვამი მაინც გაიგონა, - სწორ გზაზე დგახარ, არსაით გადაუხვიო, თუ საჭირო იქნება, გასაჭირში დაგიხვდებიო! - სთქვა, წაიღო თავისი ქვები და გაქრა. ამ ზმანებამ გამოაღვიძა. კარგა ხანს იფიქრა იმაზე, თუ რისი მომასწავებელი უნდა ყოფილიყო ნინოს გამოცხადება, სახელდობრ, რას გულისხმობდა სწორ გზაზე დგომაში - კერძოდ, იმ გეზს, რომლითაც მიდიოდა, თუ, საერთოდ, ცხოვრებაში არჩეულ გზასა და სავალს. ისევ ჩაეძინა და ახლა „შურშ"[188] ესიზმრა, შურა ჩიბუნინა! ეს ქალი იმ ადამიანთაგანი იყო, ვინც გორას პატიმრობის ერთ-ერთ პერიოდში, შეიძლება, ითქვას, მანათობელ ვარსკვლავად მოევლინა. საოცარი, ტრაგიკული ბიოგრაფიის ადამიანი იყო შურშ, როგორც გორამ საალერსოდ შეარქვა. მისი მშობლები ალდანზე ოქროსმაძიებლობდნენ. შურა თოთხმეტი წლის გოგონა იყო, დაბაში რომ პარტახტიანი ტიფი გავრცელდა. მშობლები სახადს გადაჰყვნენ. შურამ, ახალგაზრდა, ჯან-ღონით სავსე ორგანიზმის წყალობითა თუ ღმრთის შეწევნით, ტიფი მოიხადა, წამოდგა და სად,

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

უნდა წასულიყო ობოლი გოგონა - მრეცხაობას მიჰყო ხელი. ორი წელიწადი იმუშავა, ოქროს მაძიებელთა ზინზლიანი საცელის რეცხვით გაჰქონდა თავი. ადვილი წარმოსადგენია, რა დღე ადგა მიმზიდველ, მარწყვივით გოგონას გავეშებული, ველური მამაკაცების გარემოცვაში... ორი წლის თავზე იქაურობას გამოეპარა. რამდენი და როგორ იარა, სანამ კრასნოიარსკამდე ჩამოაღწია, ვინ იცის. ამაზე ლაპარაკი არ უყვარდა და ეს გასაგებიც არის, მით უმეტეს, რომ თავის თავზე ლაპარაკს მუდამ ერიდებოდა. დაიწყო მუშაობა, დაუსწრებლად დაამთავრა უმაღლესი სასწავლებელიც - ეკონომიკის ფაკულტეტი. გათხოვდა ერთხელ, მეორედ, მესამედ. თითო ქმრისგან თითო შვილი მოაგროვა. კმარაო, გადაწყვიტა. გორამ ეს ქალი ბანაკში გაიცნო. შურა იქ ეკონომისტად მუშაობდა. გორამ მალე საშვი მიიღო, ანუ ბანაკს გარეთ სიარულის და შემდეგ ცხოვრების უფლებაც. ოთახი გამონახა და ცხოვრობდნენ ერთად ორი თვისა თუ მეტის მანძილზე. რაღაც ბრძანება გამოვიდა, გორას საშვი ჩამოერთვა, ბანაკში შეაბრუნეს. ბანაკი აღმოსავლეთ ციმბირის კვალობაზე არცთუ შორს იყო იმ დასახლებიდან, სადაც შურა მუშაობდა, მაგრამ ამ ქალმა გუდა-ნაბადი აიკრა, წამოლალა შვილები და იმ ბანაკში გადმოვიდა სამუშაოდ, გორა რომ იყო. დასახლდა, სკოლაში გაამწესა შვილები და თითქოს კალაპოტში ჩადგა ამ ორი ადამიანის ცხოვრება. საყურადღებო ის არის, რომ სპეცბანაკებში სასიყვარულო ურთიერთობები გამორიცხული იყო. შურას არც არაფერი სურდა იმის მეტი, რომ ხანდახან ენახა და ორიოდ სიტყვით გამოლაპარაკებოდა გორას. იმძლავრა ეშმაკმა - გორას ახლა სხვა, საგრძნობლად დაშორებულ ბანაკში უკრეს თავი. გორა ამბობდა, - ან იმიტომ გადამიყვანეს, რომ მარბენალი ვიყავი, და ამათ კი ერთსა და იმავე ბანაკში დიდხნობით არ აჩერებენ, ან შურამ თავისი საიდუმლო ვინმეს გაანდო და ეს უფროსობას მისწვდაო.

გავიდა ორი თუ სამი თვე. გარედან შემოსულმა პატიმრებმა ამბავი მოუტანეს, - შენი შურაა ჩამოსული, პაემანს აძლევენ, მაგრამ ერთი პირობით: ან პაემანი და გულაგის სისტემიდან გათავისუფლება, ან ახლავე გაბრუნდი და წადიო! შურა თავისაზე დადგა, პაემანი მომეცით, წავალ თქვენი სისტემიდანო. მიაწვდ-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ინა გორამ ხმა, რას შვრები, შვილები რითღა უნდა არჩინოო. შურამ არ დაიშალა. ხრუშჩოვის დრო იყო, პაემნებს იძლეოდნ-ენ. მისცეს ერთი დღე-ღამით. წავიდა მტირალი შურა პაემნის შემდეგ გულაგის სისტემიდან, სხვაგან დაიწყო მუშაობა. მერე თითო თუ ორ-ორი წერილი მიაწვდინეს ერთმანეთს და გორა აღმოსავლეთ ციმბირიდან მორდოვეთის ბანაკებში გადაისროლეს. ყოველგვარი კავშირი შეწყდა. შურა, მიუხედავად თავისი ოცდათხუთმეტი წლის ასაკისა, გულით ავადმყოფი იყო. ზაფხულობით რაღაც საგზურებს შოულობდა, სანატორიუმებში მკურნალობდა. ერთ ზაფხულს ესენტუკში თუ კისლოვოდსკში ყოფილა. საგზური რომ გაუთავდა, თბილისში ჩამოვიდა. სასტუმროში გაჩერდა, გორას ძებნას მიჰყო ხელი - იცოდა რეაბილიტაციით მისი გათავისუფლება. იპოვნა გორა, იყო რამდენიმე დღე და წავიდა. შემდეგი ზაფხულისთვის გაგრაში აპირებდა წამოსვლას, გორას წინასწარ მოსწერა, ამა და ამ დროს ამა და ამ სანატორიუმში ვიქნები, თუ შესძლო, ჩამოდიო. ორმხრივი შეთანხმება მოხდა, გორა დანიშნულ დღეს ჩავიდა გაგრაში, მთელი კვირა ელოდა - შურა არ ჩამოვიდა. დაბრუნდა გორა, რამდენიმე კვირის შემდეგ დეპეშა გაგზავნა... არ დასცალდა შურას, ჩამოსვლამდე გარდაცვლილიყო!..

გორამ გამოიღვიძა. გრიგალი ჯერაც არ ჩამცხრალიყო. შურაზე ფიქრს მიჰყვა, ასჯერ განცდილი დანაკარგი კიდევ ერთხელ გამოიგლოვა და ისევ ოცდაათიანი წლების ამბებს დაუბრუნდა.

ჰო, ოცდაჩვიდმეტი წლის შემოდგომის ღამით შინ ვბრუნდებოდი. ორის ნახევარი იყო. რუსთაველის პროსპექტზე არაფერი ჭაჭანებდა - არც გამვლელი, არც რაიმე ტრანსპორტი. შორიდანვე დავინახე, ვიღაცა სწრაფი ნაბიჯით მოდიოდა, მოშორებით ორი კაცი მოსდევდა და მათ პარალელურად ქუჩას ნელი სვლით მოჰყვებოდა მსუბუქი მანქანა. ვიცანი, ბერია[187] იყო თავისი მცველებითა და ავტომანქანით. გამისწორდა, მივესალმე:

- გამარჯობათ, ძია ლავრენტი! - და გავიარე.

- მოდი ჩემთან, ბიჭიკო!

დავბრუნდი.

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

- რატომ ხარ ასე გვიან აქ?
- დაბადების დღეზე ვიყავით, გოგონები მივაცილე.
დაფიქრდა და მკითხა:
- რა გვარი ხარ შენ?
- კარგარეთელი, ძია ლავრენტი, გორა მქვია.
- რომელი კარგარეთელი ხარ, მამაშენს რა ჰქვია?
- ერეკლე.
ბერია წამით დაფიქრდა და მითხრა:
- გაიქეცი ახლა, წადი! - და თავადაც გასწია. ეგ იყო, სხვა არაფერი.

ერთი კვირის შემდეგ მამაჩემი ერეკლე კარგარეთელი დააპატიმრეს და დედაჩემი მარიამიც ზედ მიაყოლეს. დღემდე ეჭვი მღრღნის, ამ შემთხვევევამ ხომ არ დაღუპა ჩვენი ოჯახი? თავს იმითღა ვიმშვიდებ ხოლმე, რომ ეს მაინც მოხდებოდა.

კიკეთის აგარაკიც ჩამოგვართვეს, სასწრაფოდ შეაკეთეს, განაახლეს და, აი, საკვირველი დამთხვევა, შიგ თავად ბერია შესახლდა ოჯახითურთ. საბჭოთა წესებით, ამხელა თანამდებობის პირს შორიახლოს დაცვის სადგომი, სამზარეულო, საკუჭნაო და სხვა სამეურნეო ნაგებობები ეკუთვნოდა. გამოუნახეს: ჩვენს აგარაკს მარჯვნივ ვინმე პეტროვის[188] სახლი და კარმიდამო ესაზღვრებოდა და მარცხნივ - კრიახნოვისა... ცოდვას ნუ დავიდებთ, რაც ნამდვილად არ ვიცით, ნუ ვიტყვით. ის ოჯახები დაიჭირეს თუ არა, ჩემთვის ცნობილი არ არის. ცნობილია, რომ ის ორივე სახლი ჩვენმა ყოფილმა აგარაკმა შეიწოვა...

ბერიას ოჯახმა კიკეთში ერთი თუ ორი ზაფხული გაატარა. ახალი მფლობელი მოსკოვში გადაიყვანეს, უშიშროების გენერალურ კომისრად დანიშნეს. აგარაკი მის მოხუც დედას დარჩა. მასთან ერთად ზაფხულობით ბერიას ყრუ-მუნჯი და ისვენებდა ხოლმე ქმრითა და შვილითურთ... ბარემ ეხლავე ვთქვათ, ბერია რომ დაიჭირეს, აგარაკი მთავრობამ წაიღო. ქმარმა დაუყოვნებლივ მიატოვა ბერიას და. დედა სადღაც მოხუც პენსიონერთა სახლში მოათავსეს და, რამდენადაც ვიცი, იქვე გარდაიცვალა...

დედა და მამა რომ წაიყვანეს, პაპა გორა და მე ბინიდან გაგვასახლეს, შევიყუჟეთ ვილაცის ნადგომ პატარა ოთახში. ვცხოვრობდით, როგორც შეგვეძლო. მე ტექნიკუმში უმაღლესი სტიპენ-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

დია მქონდა, პაპა გორას - მანამდე ჩემთვის უცნობი დანაზოგი. ერთხელ წერილი მივიღე, გახსოვს?.. როგორ არა!.. საუკეთესო სურვილები, დალოცვა და ქება იყო. ბოლოში თხოვნა ეწერა: გადაწერე და გაუგზავნე იმას, ვისთვისაც ყოველივე ზემოთქმული გემეტებაო. პაპა გორას მივეცი, წაიკითხე-მეთქი. გაიკეთა პენსნე, წაიკითხა და სთქვა, – *Брожение умов!* – და ქართულად ასე თარგმნა: გონებათა დრტვინვა დაიწყო, ბევრი ადამიანი დაიღუპება, დიდი სისხლი დაიქცევაო!.. ყველაფერი, მართლაც, ასე მოხდა - მსოფლიო ომი!

დავამთავრე ტექნიკუმი, მუშაობა დავიწყე. რადიოსადგურში ვმუშაობდი, ტექნიკოსად, შინ დავბრუნდი. პაპამ მითხრა, დაჯექი, რაღაც უნდა გითხრაო. დავჯექი.

- გორავ, კარგა მიგდე ყური. მიმალავენ, მაგრამ ყველაფერი ვიცი. მამაშენი, ალბათ, დახვრეტილია. ბიძაშენი ბერლინში გარდაიცვალა, პარიზში გადაასვენეს. ჩემი ტოლი და სწორი აღარავინ არის. შენ ერთიღა შემრჩი. ჭკვიანი ბიჭი ხარ, ვიცი - თავს გაიტან. მე ეხლა უნდა მოვკვდე. ჩემი წილი წუთისოფელი მოვიჭამე. გახსოვდეს, შენმა წინაპრებმა სიცოცხლე სამშობლოს შეალიეს. ამას არც უნდა გეუბნებოდე, შენ თავად კარგად მოგეხსენება. გვარი და წინაპართა საძვალე არ მოაყივნო. ყველაზე ღირსეული ცხოვრება და სიკვდილიც ერისა და სამშობლოსთვის სიცოცხლე და თავის დადებაა!

გაიკეთა სათვალე, ჩაიხედა წიგნში და გაიცინა, - აი, ველარაფერსა ვხედავო. მერე წამოიწია, ვერ ადგა, საწოლამდე მიყვანა მთხოვა. შევუდექი იღლიაში, მივიყვანე, გავხადე, ჩავაწვინე და იქეე, ახლოს მცხოვრებ ნათესავ ექიმთან, ძია ვანო დემურიასთან გავიქეცი. კვირა დღე იყო, გამომყვა. მოვედით - პაპა გორა უკვე გარდაცვლილი დაგვხვდა.

– *Старческий синдром!* – ჩაილაპარაკა ძია ვანომ.

ასე დაასრულა თავისი ხანგრძლივი და საინტერესო ცხოვრება მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის არმიის არტილერიის შტაბსკაპიტანმა იაგორ კარგარეთელმა... უფრო უბრალოდ - ღირსეულმა, მოდგმით კეთილშობილმა, წარმოსადეგმა კაცმა.

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

როგორ გამზარდა, რამდენი რამ მასწავლა, რანაირი მიმარ-თულება მისცა ჩემს მომავალს! თითქმის სიკვდილის წინ ასეთი რამ მითხრა:

არაბი მწერალი იყო შუა საუკუნეებში, გვარ — სახელად უს-ამა იბნ მუნყიზი. ასე უწერია: მამამ მე და ჩემი უმცროსი ძმა სა-ნადიროდ წაგვიყვანა. ლელიანიდან ლომის ბრდღვინვა მოისმა. მამამ მითხრა, - უსამა, შვილო, შედი ლელიანში, გამოაგდე ეგ ლომი. შევედი, გამოვაგდე და ის ლომი ჩემმა უმცროსმა ძმამ მოჰკლა!

ასეთი შეგონებებით უყვარდა ჩემთან საუბარი, მაგრამ ამ ლომის ამბავი ერთადერთი იყო, რასაც განმარტება არ მოჰყო-ლია, - შენ თავად იფიქრე, რასაც ნიშნავსო! ქაღალდზე დამიწ-ერა, თავთით კედელზე გამიკრა: „ღმერთო, არ მომაკლო გასაჭ-ირი, რომ სული ვწვართო, მაგრამ ისეთი გასაჭირი, რომ მიჭირ-დეს მხოლოდ მე". და კიდევ: „ზნეობრივი იდეალი შეიცავს ოთხ სათნოებას - ვაჟკაცობას, სამართლიანობას, თავშეკავებასა და გონიერებას..." შესაძლოა, ამიტომაც გავრბივარ ერთთავად, რომ ციხე და ბანაკი ის ადგილია, სადაც ამ ოთხი სათნოების გა-ნხორციელება ან ძნელია, ან შეუძლებელი... იქნება, პირიქით არის? ციხე და ბანაკი სწორედ ის ასპარეზია, სადაც ნამდვილ-მა ადამიანმა ამ სათნოებათა განხორციელებაში უნდა დაინახ-ოს სიცოცხლის მიზანი?.. რა ვიცი, შეიძლება, ეგრეც იყოს, მა-გრამ იქ, რასაც *„Тупик контрреволюции"* ჰქვია, უმრავლეს-ობა მაგ ოთხი სათნოებიდან თავშეკავებას, ანუ მორჩილებას ამჯობინებს... შენ როგორ ცხოვრობ?.. პაპა გორა ამბობდა ხო-ლმე: პატივისცემა გქონდეს მტრისა! იგი შენში მებრძოლს აყა-ლიბებსო... ვცხოვრობ ისე, როგორც უნდა ცხოვრობდნენ მებრ-ძოლი კაცები ჩემს გარემოცვასა და პირობებში. ოთხ სათნოებ-ას რაც შეეხება, შეძლებისდაგვარად, მეტ-ნაკლებად ვამჟღავნ-ებდი. რა ვიცი, აბა?!. საცოდავი პაპაჩემი გორა! რატომ მოკვდა, იცი?.. მგონია, იმიტომ, რომ აღარაფერი უკვირდა. ყოველ შემ-თხვევაში, ეგონა, რომ ყველაფერი ნახა და ყველაფერი იცოდა. პაპას სიკვდილის შემდეგ ერთი საყურადღებო რამ მოხდა. არ ვიცი, რას მივაწერო - მისტიკაა თუ ჩვენთვის, ადამიანებისთვ-ის, გაუგებარი მოვლენა. მამაჩემ ერეკლეს აბსოლუტური სმენა

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

და საკრავის ათვისების საოცარი ნიჭი ჰქონდა. სპეციალური მუსიკალური განათლება - არავითარი, მაგრამ ვერ იტყოდი, ამ-დენსა და ამდენ ინსტრუმენტს უკრავსო, რადგან, რასაც ხელში აიღებდა, რამდენიმე წუთის შემდეგ დაუკრავდა, თუნდ ეს საკრ-ავი სიცოცხლეში პირველად სჭეროდა. თარსაც მშვენივრად უკრავდა და, ვფიქრობ, სხვაზე უფრო ეს ურთულესი საკრავი იზიდავდა. ჩეკისტებს ას ორმოცდაათი წლის წინ გაკეთებული თარი ან ბალალაიკა ეგონათ, ან იმ ჩამონათვალში მოხსენიებ-ული არ იყო, რომლის მიხედვითაც, რეპრესირებულთა ნივთები საკონფისკაციო ოქმებში შეჰქონდათ. ასეა თუ ისე, თარი ყველ-აფერს სასწაულებრივ გადაურჩა, იმ ერთ ფიორა ოთახში, ჩვე-ნი საკუთარი სახლის სანაცვლოდ რომ მოგვცეს, კედელზე ჩამ-ოვკიდეთ. ერთ ღამეს რაღაც უცხო, მაგრამ გულსაკლავი დაჟღ-ერება გავიგონე. გამომეღვიძა. ავდექი, სინათლე ავანთე, ოთახი მოვათვალიერე. აღმოჩნდა, რომ თარის სიმი გაწყვეტილიყო.[189] მეორე ღამეს კიდევ ერთი სიმი გაწყდა. მერე ყოველღამ, სწორ-ედ ღამ-ღამობით, თითო ან ორ-ორი სიმის გაწყვეტა მაღვიძებ-და. ერთი სიმი არ შერჩენია, ყველამ სათითაოდ გამაღვიძა. შე-მდგომში გამოირკვა, რომ პირველი სიმი ერეკლე კარგარეთლ-ის მოკვლის ღამით გაწყდა... გორავ, შორს ჩვენგან სევდა და წუხილი! წინ „გზისა სიძნელე" და განსაცდელი გველის. სასაც-ილო აღარაფერი გვახსოვს?.. კაცო, ისეთი დრო იყო, სასაცილო არაფერი ხდებოდა. კარგი, კიდევ ორ ამბავს ვიტყვი. ერთი ცო-ტათი სასაცილოა, მეორე... როგორც არის! აი, ოცდაათიანი წლების დასაწყისშივე ქურდებს ერთობ სერიოზულად მისდგნ-ენ. ამათ „დეკლასირებულობის" ხაზით ანადგურებდნენ, მაგრამ ეს დიდხანს არ გაგრძელებულა. ხოცვა მოულოდნელად შეწყ-და. კოდექსი მათ მიმართ იმთავითვე შემწყნარებელი იყო, ქურ-დობა, თუ იგი ძალადობას არ შეიცავდა, სულ ორი, სამი წლის პატიმრობად ფასობდა. ხელისუფლება ძველ პრაქტიკას დაუბ-რუნდა, ქურდებმა ისევ ბანაკები გაინაღდეს. ზოგი ამ მოვლენას იმით ხსნიდა, რომ ქურდებს „გულაგის" ხელმძღვანელობა გამ-ოესარჩლა, - ეგ ხალხი ჩვენ გვჭირდება ბანაკებში წესრიგისა და მორჩილების დასამყარებლადო. ზოგი ამბობდა, ძაღლი ძაღ-ლის ტყავს არ დახევს, რაც ალხანა, ის ჩალხანაო. ისეთი თვალ-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

საზრისიც იყო, რომ ქურდები სტატისტიკამ იხსნა, ძალიან ბევრნი იყვნენ. სახელმწიფო დამატებითი მილიონების დაპატიმრებას, გამოძიებას, გასამართლებას, ეკიპირებასა და დაბინავებას ვერ აუვიდოდა. მგონია, სამივე ფაქტორმა თანაბრად იმოქმედა. ასეა თუ ისე, ამ პროფესიამ, ანუ „კანონიერი ქურდების" კასტამ, იმძლავრა და საყოველთაო ცინიზმმა მათ რიგებშიც შეაღწია.

ყრმა საკუთარი ახლობლების უბედურებებსაც კი ზედაპირულად აღიქვამს და მათ მიღმა ხომ, თითქმის, ვერაფერს ხედავს... ეგრეა, მოვლენის განზოგადებაც უჭირს, რამდენიმე ანალოგია თუ არ დაინახა, თავს ვერაფერს მოუბამს... შენ როდის და რის წყალობით მიხვდი, რომ ოცდაათიანი წლები მასობრივი განადგურების კომპანია იყო და არა მხოლოდღა საკუთარი ოჯახისა და ნათესაობის ადრევე ნაწინასწარმეტყველები კატასტროფა?.. ჰო, როდის და რის წყალობით? აბა, მოვიგონოთ!.. ახალი წლის შეხვედრის ღამე?.. არა, ეგ მერე იყო. კარგი ამბავი მომაგონდა!..

მგონია, მაშინ დავფიქრდი პირველად, რომ რაღაც უჩვეულო და მეტისმეტად შემზარავი ხდებოდა. ჩვენს ქუჩაზე ცნობილი ადვოკატის ოჯახი ცხოვრობდა - ცოლ-ქმარი და ერთადერთი ვაჟი, ოთარი.[190] ეს ბიჭი ჩემზე კარგა უფროსი იყო. როგორც მაშინ იტყოდნენ, გზიდან გადავარდა, ესე იგი, ცუდ წრეს მიეკედლა, ქურდობას მიჰყო ხელი და ბოროტმოქმედთა სამყაროში მალე დიდი სახელიც გაითქვა, როგორც პროფესიონალი ქურდის ყველა ღირსებით აღჭურვილმა კაცმა. ერთხელ, გვიან შემოდგომით, ამ ოთარამ ასეთი „ოპერაცია" ჩაატარა: ბარე თხუთმეტი მამალ-მამალი ქურდი ვახშმად დაჰპატიჟა, - ამა და ამ მისამართით მობრძანდით, ვიქეიფოთო. განცალკევებული, სამოთახიანი ბინა იყო საკუთარი სადარბაზოთი. დიდ სასადილო ოთახში უხვი სუფრა გაეშალათ. საღამოს ექვსი საათისთვის ოთარას სტუმრები მაგიდას შემოუსხდნენ. თერთმეტ საათზე მასპინძელმა კარგად შექეიფიანებულ სტუმრებს მოუწოდა, ბინის პატრონები ედღეგრძელებინათ და დაშლილიყვნენ, რადგან მათი დაბრუნება იყო მოსალოდნელი. ვერავინ ვერაფერი გაიგო. მასპინძელს ვითარების განმარტება დასჭირდა: ამ ბინაში ცხოვრობს ცოლ-ქმარი ორი მცირეწლოვანი ბავშვით. დღეს მათი ქო-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

რწინების ათი წლისთავია და ქალის მამამთილის დაბადების დღეც. ამიტომ ისინი ჯერ მამის ოჯახში არიან, ღამის პირველი საათისთვის იქაური სუფრა აქ გადმოინაცვლებს და ქეიფმა, ჩანაფიქრით, დილამდე უნდა გასტანოს. მე თქვენ მათ სუფრაზე დაგპატიჟეთ და არა საკუთარ სახლში. ეხლა შეგიძლიათ, წაიღოთ, რაც მოგეწონებათ, და მშვიდობა მიბრძანებიაო! ასეთ განცხადებაზე ქურდების რეაქციის მრავალი ვარიანტის წარმოდგენაა შესაძლებელი. უმრავლესობა იფიქრებს, - თხუთმეტი ქურდის საკმარი რომელ ოჯახში რა იქნებაო, და, ივარაუდებს, რომ ზოგს როცა არაფერი ერგო, კალოშები გააყოლა ხელსაო, მაგრამ არავინ არაფერს გაჰკარებია, ერთხმად ბეკერის საკონცერტო როიალს დაავლეს ხელი და მეორე სართულიდან კიბისკენ გააქანეს. ჩაიტანეს, ფეხები მიახრახნეს, ქვაფენილზე დააბრძანეს, ბჭობა შექნეს, - ამ ხრონგს რა ვუყოთ, წავიღოთ თუ აქვე, სადმე დავტოვოთო? ბჭობა მთვარის სონატის ფონზე და თანხლებით მიმდინარეობდა - ოთარა უკრავდა. გადაწყვეტილება ჯერაც არ ჰქონდათ მიღებული, რომ სადარბაზოსთან ორი მსუბუქი და ერთი დახურული ავტომანქანა გაჩერდა, ჩეკისტები გადმოვიდნენ, ბინის პატრონი ცოლ-ქმარი შვილებითურთ გადმოსხეს. ცოლს ცრემლი სდიოდა, ბავშვები გაბმით ტიროდნენ, ქმარი ამშვიდებდა. ქურდებმა საშიშროება იგნოსეს, ლანდებივით გაქრნენ. იმ შუაღამის ხანს ქუჩაში გამოტანილი როიალი ერთგვარ გაუგებრობასა და შეცბუნებას ბადებდა, მაგრამ ჩეკისტები იმან დააფიქრა, ვიღაცებმა ეს მშვენიერი ინსტრუმენტი ღვთის ანაბარად რომ მიატოვეს და კვალი გაიცივეს. ცოლ-ქმარი რასა და როგორ წარმოიდგენდა, ან ამაებზე ფიქრის თავი სად ექნებოდათ. ჩეკისტებს ისინი მამამთილის დაბადების დღიდან მოჰყავდათ... შუა ქეიფი იყო, შეიჭრნენ, - კონტრრევოლუციონერები ხართ, კრებას ატარებთო! — ბინა დიდხანს ჩხრიკეს, ერთიანად ამოატრიალეს იქაურობა, ცოლისა და ქმრის მშობლები იქვე დააპატიმრეს, ზედ ორიოდე სტუმარიც მიაყოლეს, ბინა აბეჭდეს, უმცროსი ცოლ-ქმარი შვილებითურთ გამოირეკეს და, უნდა ვიფიქროთ, ბინაში ნასუფრალ-ნამუსრევის

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

დანახვამ და როიალის ადგილის სიცარიელემ შესულებზე არანაკლები შთაბეჭდილება მოახდინა, ვიდრე მამამთილის დაბადების დღის დარბევამა და ფინალმა.

ყოველივე ეს ისევე ტრივიალურად დასრულდა, როგორც ათასობით სხვა ოპერაცია: ქმარს ათი წელი „უმიწერმოწეროდ", ანუ სიკვდილი; ცოლს - ბანაკები; შვილები - საბავშვო სახლებში, როგორც წესი, ცალ-ცალკე. ერთი ხელის მოსმით ჩეკისტებისთვის რამდენი ბინა გათავისუფლდა! ვაჟის დედ-მამის, ქალის დედ-მამის, ორი სტუმრის, თვით ამ ცოლ-ქმრისა და, ჰოი, საკვირველებავ, ადვოკატისაც: სხვის სუფრაზე ნაქეიფარსა და შინ დაბრუნებულ პატივცემულ ოთარს მშობლები წაყვანილი და ბინა დალუქული დაუხვდა - ექვსი ბინა დაიცალა!..

როიალი ბარე მთელი კვირა ესვენა ქვაფენილზე, თავისი ორიგინალური ადგილსამყოფლით უბნის ბიჭებს გვიზიდავდა. იქ ვქუჩდებოდით სალაყბოდ, თუ კიდევ ვისი მამა დაიჭირეს წუხელ. მერე იმ ბინაში ვიღაც ჩეკისტი თუ პარტიული მუშაკი შესახლდა.

სიმართლეს ვიტყვი, ჩვენი სჯა-ბაასი იმაზე, თუ რა და როგორ მოხდა, ძირითადად, მსუბუქი ხუმრობის სახეს ატარებდა, მაგრამ ღმერთმა ხომ იცის, რამდენი ქვეცნობიერი სევდა, წუხილი და შიში ბუდობდა ყოველ ჩვენგანში. ბევრს სწორედ როიალის გარშემო საუბრებმა აგვიხილა თვალი იმაზე, რაც ხდებოდა, და, ვფიქრობ, წყობილების მიმართ შემდგომი დამოკიდებულების ხარისხი იმანაც შეგვიქმნა, რომ ახალმა მდგმურმა როიალი ბინაში ათი კურტნის მუშის ხელით აიტანა.

ახალი წლის[191] შეხვედრის ღამეს რაც მოხდა, ის ჩვენთვის სიახლე აღარ იყო, მაგრამ მაინც ყველანი აგვაფორიაქა, სულის ძირამდე შეგეძრა. თხუთმეტ-თექვსმეტი წლის გოგო-ბიჭები ვიყავით, ერთ-ერთის ბინაში შევიკრიბეთ. ახალი სახლი იყო, ხუთსართულიანი, სადარბაზოც ხუთი ჰქონდა. ასეთივე სახლი იდგა ქუჩის მოპირდაპირე მხარეს. იმ სახლში და, ალბათ, ჩვენსაშიც, ყველა ბინა გაჩახჩახებული იყო. ახალი წლის ღამეს, მაშ, როგორ იქნებოდა! დიდი ზარ-ზეიმით, ბავშვური აღტაცებით შევხვდით ახალ წელს. საათის ორზე რომელიღაცამ ფანჯარაში გაიხედა. იდგა, უყურა, დაგვიძახა, - ნახეთ, რა ხდებაო!..

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

სუფრას აღარავინ მივსხდომივართ: ვიდექით, ფანჯრებიდან ვიყურებოდით.

გათავდა ის ამბავი და უხმოდ, თავჩაქინდრულები დავიშალ-ეთ... იმ უზარმაზარი შენობის სადარბაზოებთან მთელი ღამის მანძილზე დგებოდა თითო მსუბუქი და დახურული ავტომანქა-ნა. მსუბუქიდან ჩეკისტები გადმოდიოდნენ, სადარბაზოში შედ-იოდნენ. ცოტა ხანში მეორე წყვილი მანქანა იმავე ან სხვა სად-არბაზოსთან ჩერდებოდა. მერე მესამე... მეოთხე წყვილი!.. თი-თქმის გათენებამდე იარეს.

ბინებში ქრებოდა შუქი. გამოჰყავდათ დაპატიმრებულები. ზოგნი ცოლ-ქმარნი. ზოგნი - მოხუცებიან-ბავშვებიან-დედაბ-უდიანად!.. სხამდნენ დახურულ მანქანაში, მიჰყავდათ.

შენობა ერთიანად ჩაბნელდა. აქა-იქღა ენთო. ესენი თავის ჯერსა და ხვედრს ელოდნენ...

ეეჰ, რამდენი რამ იყო, დასწყევლოს ღმერთმა...

გორას ისევ ჩაეძინა.

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

კარი მეექვსე

გორამ რუკაზე აღუნიშნავი მდინარის, ალბათ, შუაწელს მიაღწია - გაყინული ზედაპირი არცთუ განიერი იყო. თევზიანი აღმოჩნდა, კარგა ბლომად მოიმარაგა.

გაღმა მეჩხერი ფიჭვნარი იდგა - დაჩაგრული, ღატაკი, ჩანჩურა. ასეთი ხე მკვრივმა, წყალგაუმტარმა ნიადაგმა იცის. გორას ფიქრით, რაც მან გაყინულჭაობიანი ველები გამოიარა, ის წყლები ასეთ ნიადაგს ეჭირა. აქ მცირეგორაკიანი ადგილი იყო, ხევხუვით დასერილ-დანაოჭებული, ჭაობს რა დააყენებდა, თორემ არც ეს გაუხარელი ფიჭვები ეწვეოდნენ ცისქვეშეთს.

წვრილად თოვდა. ფიფქი წიწვსა და ტოტზე ფეხს იკიდებდა. ფიჭვები მიწაზე დასასხდომად ფრთებგაშლილ ავბედით ფრინველებსა ჰგვანდნენ.

აგერ, იმ ფიჭვს ხიბლი აქვს. ულამაზოა, მაგრამ აქვს ის რაღაც, მამრს რაც იზიდავს და იპყრობს... ყველა საქონელს თავისი მუშტარი ჰყავს... ეგრეა, ჰყავს. აი, მარჯვნივ, ცოტა უკან, მეოთხე, ეგ არის მაგის მუშტარი. თავადაც კაი გონჯია, მაგრამ მოსდევს და ცდილობს, ყურადღება მიიპყროს... თუ ნებისყოფა და ეშმაკობა ეყო, მიიპყრობს კიდეც... თან ვიაროთ!.. ადამიანებშიც ეგრეა, ცხოველთა სამყაროშიც. ახალგაზრდობაში ყურადღების მიპყრობა ბუნებრივად, განუზრახველად ხდება... ქვეცნობიერად? შენ ჭაბუკობა გინდოდა, გეთქვა... კი, ჭაბუკობას ვგულისხმობდი. იმ ასაკში ჭაბუკი აქტიურობს, ქალიშვილი ელის და რეაგირებს. ეგ იმ დროს იყო, ეხლა პირიქით არის. პაპა გორას გარდაცვალებამდე რაც იყო... ის სიყვარულებად ვერ ჩაითვლე-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ბა... რატომ? ისიც სიყვარულები იყო, მაგრამ უმწიფარი, ქვეცნობიერი... პაპა გორას მერე, ომის დაწყებამდე?.. სამი[192] იყო, ასე ვთქვათ, სხვადასხვა ძალისა და შინაარსისა. იმ სიყვარულებიდან მხოლოდ სევდა და სინდისის ქენჯნა დამრჩა... ეგ საკუთარი საქციელით გამოწვეული სინანული უფროა... მართალია. განსაკუთრებით ის პირველი - თამარი!..[193] უმწიკვლო, პლატონური ურთიერთობები გვქონდა. ორთავენი სპორტსმენები ვიყავით, კალათბურთელები, ორივენი ტანადები, პატიოსნები. ირემივით გოგონა იყო, დალოცვილი. სპორტდარბაზსა თუ მოედანზე, ნამდვილად ვიცი, მაყურებელთა ერთი ნაწილი სწორედ მისი ტანის, სიმკვირცხლისა და პლასტიკის საყურებლად დადიოდა. სინდისის ქენჯნა-მეთქი, რომ ვთქვი, ამ სიყვარულის ჩაშლის გამო მქონდა: შემთხვევამ მოიტანა გატაცება ერთი ულამაზესი გოგონათი. იგი დიდი თანამდებობის პირის გერი[194] გახლდათ. ჩვენი ურთიერთობა ჩაშალა ორმა ფაქტორმა. პირველი ის, რომ მე რეპრესირებულთა შვილი ვიყავი. ამხელა კაცის ოჯახში ჩემი სიარული არცთუ სასურველი გახლდათ, მით უმეტეს, რომ ეს პიროვნება და მამაჩემი ერეკლე კარგარეთელი, თავის დროზე მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტები, შემდგომში ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრებიც იყვნენ. იმ ოჯახში ჩემი ვიზიტების არასასურველობა გოგონას დედამ გაამჟღავნა. ისიც შესაძლებელია, რომ ვცდები, მომეჩვენა. იმას ნურავინ გაიკვირვებს, რომ ყოფილი ეროვნულ-დემოკრატი რეპრესიებს გადაურჩა და დიდ თანამდებობაზედაც ამოჰყო თავი. ამას თავისი ახსნა აქვს - ბუმბერაზი მფარველი ჰყავდა. ჩემთვის ამ ფაქტორზე არავის არაფერი უთქვამს, გოგონასთან ურთიერთობის ეს მხარე თავად განვსაჯე. ამას გარდა, იგივე გოგონა უყვარდა ერთი, რეპრესიებს გადარჩენილი, დიდი პროფესორის ვაჟს. ასეთი შემთხვევაც იყო: ავტობუსის გაჩერებაზე ვიდექი. ის ბიჭი მომიახლოვდა, ოდნავ განზე გამიხმო და მთხოვა, - გოგონას თავი დაანებეო. მივუგე, - ჩემო კარგო, მოდი, ასე შევთანხმდეთ: რომელი ჩვენგანიც თავად ისურვოს, იმისი იყოს ეგ გოგონა-მეთქი. მოვტრიალდი და წამოვედი. უნდა ითქვას, იმ გოგონასთან ურთიერთობა უკვე მეხამუშებოდა კიდეც, იქ სიარულს ამ დიალოგამდე ვუკმელი, მაგრამ ყოყლოჩინობა იყო თუ თავმოყვარეობა, ჩემგან სხვა

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

პასუხი სწორი არ იქნებოდა. გავიდა ცოტა ხანი და იმ ჭაბუკმა თავი მოიკლა. სხვადასხვა ვერსია იყო. პირადად მე მიზეზი ასეთი მგონია: ჩემ მიერ იმ ურთიერთობის შეწყვეტის შემდეგ, ბიჭის განუხორციელებელი რომანის სუბიექტი კინოში როლზე მიიწვიეს და მოულოდნელად სხვა სამყაროში აღმოჩნდა; რაღა უნდა ჰქონოდა საერთო ყმაწვილთან, რომელიც არც არასოდეს ჰყვარებია და, როგორც პიროვნება, საშუალოზე ოდნავ მაღალი დონის ჭაბუკი იყო. ამას გარდა, გოგონას არშიყობა დაუწყო ცნობილმა მსახიობმა და არა მარტო მან. წავიდა ჭორების ქარავანი. ვითარებათა ასე წარმართვის შედეგად მოიკლა თავი პროფესორის ვაჟმა, მაგრამ მე, რატომღაც, ჩემს თავსაც ვთვლიდი ტრაგედიის მონაწილედ. ამის შემდეგ უფრო მძაფრად ვიგრძენი სინდისის ქენჯნა: ამ უდღეური გატაცების გამო დავტანჯე თამრიკო!.. ერთხელ ისეთ დასკვნამდე მივედი, რომ სიყვარულები და რომანები ჩემი ხასიათის კაცის საქმე არ იყო, მაგრამ თქმა ერთია, სიჭაბუკე კი სიჭაბუკეა და ჩემ ცხოვრებაში ქარტეხილივით შემოიჭრა ახალი უნაზესი სიყვარული: მშვენიერი ტან-ფეხი, ზღვასავით უძირო, ერთთავად წყლიანი ცისფერი თვალები, ლამაზი, კეხიანი ცხვირი, შესაშური სიმღერა და იუმორი. მამამისი,[195] საყოველთაოდ ცნობილი კაცი, ოცდაჩვიდმეტ წელს შეეწირა. ჩვენ ერთმანეთისთვის სიყვარული სიტყვიერად არ გაგვიმხელია, მაგრამ ეს ორივესთვის უღრმესი გრძნობა იყო. ჯერ მეორე მსოფლიო ომმა შესწყვიტა ჩვენი ურთიერთობა და მერე ჩემმა დაპატიმრებამ. ოცდახუთწელმისჯილს, შეიძლება ითქვას, კოლონიაში პირველმა იმ გოგონამ მომაკითხა. ვისაუბრეთ და ვუთხარი, უნდა გათხოვდე, არ დამიცადო, ჩემი ცხოვრება სხვა არხით წარიმართება-მეთქი! არც „ჰო“ სთქვა და არც „არა“. გავიქეცი. დიდი ხანი გავიდა. გოგონას თაყვანისმცემელი არასოდეს მოჰკლებია, მათ შორის, ფრიად ღირსეული ადამიანებიც, და არც ახლა აკლდა. ერთ მშვენიერ დღეს გოგონამ მამიდაჩემი მოინახულა და თვალცრემლიანმა უთხრა, - ამდენი წელიწადი გავიდა, გორასი არაფერი ისმის, ნება მომეცით, გავთხოვდეო! მამიდას გაუკვირდა, - რას მეუბნები, შვილო, უნდა გათხოვდე, მაშ, როგორო, - და ყურში ჩასჩურჩულა, - ამბობენ, გორა საზღვარგარეთ არისო!

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

გოგონა გათხოვდა.

ეს სიყვარული დამრჩა მთელი სიცოცხლის სევდად, სინანულად და, მგონია, იმ დაუკმაყოფილებლობისა თუ იღბლის სიმუხთლის მიმართ პროტესტის გრძნობად, რომელმაც ხვედრთან ჭიდილის ჟინი გამიასკეცა!..

რამდენიმე დღის შემდეგ გორა იმავე მდინარეს მიადგა. მან იცოდა, რომ მდინარეს მუხლი ჰქონდა - მიშა ფილიპოვის რუკაზე ასე იყო და ადგილმდებარეობის გაგნების შემდეგ დარწმუნდა, სწორად მიდიოდა. გაღმა გადავიდა, შეღამებისას ბორანი დაინახა - უკაცრიელი, ჩაყინული...

ამაზე უკეთეს სასტუმროში ყოფილხარ ოდესმე, გორავ?! აგერ, ჯიხური! შედი და გაათენე. ამ შუა ზამთარში აქ არავინ მოვა. რა კარგია, კაცო! არც ქარი შემაწუხებს, არც თოვლი... გახსოვს, თბილისში, ვერის ბორანზე[196] რა მოხდა? ახირებული კაცი იყო საცოდავი გოგია. გაღმა გადავდიოდით. ერთ-ერთი მებორნე, მგონი, პავლიკა ერქვა... კი, პავლიკა ერქვა, მამაძაღლი მტკვარზე იყო გაზრდილი, ისეთი ცურვა იცოდა... კაცო, ბორანზე მაშველად მსახურობდა!.. ჰო, გადახტა პავლიკა წყალში, თევზი ამოიყვანა! ასეთი მოცურავე გახლდათ. ბორანი დაიძრა, გოგია ჯაჭვებთან მივიდა, ნავებს გადაალაჯა, ცალი ფეხით ერთ ნავზე დადგა, მეორით - მეორეზე. დგას, ხან წყალში იყურება, ხან მოჭრიალე გორგოლაჭებს ასცქერის. პავლიკა მივიდა, - გადმოდი მანდედანაო! გოგიამ ყური არ ათხოვა. პავლიკამ გაუმეორა. გოგიამ უთხრა, - გამეცალე, თორემ გაგლახავო! - აქეთ არ მოუხედავს, ისე უთხრა. მაშინ პავლიკამ წიხლი ჰკრა, გოგია წყალში გადააგდო. ამის დანახვაზე პავლიკას მე ვკარი წიხლი და ისიც წყალში გადაეშვა. გოგიამ წყალში რომ დაინახა პავლიკა, მისკენ გასცურა და იქ დაკადაკა ატყდა... რა ვიცი, როგორა ვთქვა?!. გოგიამ, შესაძლოა, ცურვა ცოტა უარესად იცოდა, ვინემ პავლიკამ, მაგრამ ჩხუბი და მუშტი-კრივი რომ ეხერხებოდა, - ვინ პავლიკა, რომელი პავლიკა!.. ისე და იმდენი ურტყა... წყალში ძნელია, კაცო, ძალიან ძნელია!.. მოკლედ, პავლიკამ ნაპირისკენ მოუსვა, თავს უშველა... ჰო, სანამ გოგია ნაპირზე

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ავიდა, პავლიკას კვალი აღარსად იყო, სირბილიც კარგი სცოდნია... დაბადების დღეზე მივდიოდით და მტკვარში ნაჭყუმპალევი?.. არაფერი, გოგიამ აიხირა, იქ გავწურავ და გავაშრობო! კიდევ კარგი, ზაფხული იყო, აფრის ტილოს შარვალი და მაისური ეცვა. გაწურვით იქვე გაწურა და, სანამ მივედით, მგონია, შეაშრა კიდეც...

გუშინ დღისით ტრაქტორის გუგუნივით რაღაც რომ მეჩვენებოდა, მოვტყუვდი?.. ხვალ დილით კარგად დავზვეროთ, არა? მდინარეზე ვართ, მასალა ხელმისაწვდენზეა, დაცურებისთვის ვარგისი მდინარეა!.. კარგი. ეხლა - ძილი, დასვენება! გვეყოფა ფიქრი. დანარჩენი საფიქრალი მერე იყოს!

გორამ გამოიძინა, გზას გაუდგა. შუადღემდე იარა - სვენებ-სვენებით, ნელა. ნაკაფზე გავიდა. ძველი ნაკაფი იყო, ნაცოდვილარი, ცული თუ ელექტროხერხი ადრე ხელში რომ არ სჭერიათ, ისეთი კაცებისა, და არც სანაშენოდ დატოვებული დედახე იდგა სადმე - „ჩვენს შემდეგ ქვას უთოვიაო". დასავლეთიდან ხელშეკრულებით ჩამოყვანილი მუშები და პატიმრები მუშაობენ ასე.

აქ სადმე ბანაკი თუა, თავისი დაცვითა და ძაღლებით იქნება. ასეთი ექსკურსია გვჭირდება? შარში კი არაფერში გავეხვიოთ, ჰა?.. ტრაქტორი ორიოდე კილომეტრშია... უფრო შორია. აგერ, იმ მაღლობიდან დურბინდით ყველაფერი გამოჩნდება... იქ აბობღებას არ იტყვი?.. ავალ!.. ეს რაღაა!.. რაღაა და, რომელიღაც სასულე საკრავის ხმაა... ბიჭო, მართლა საკრავია! სხვა რა შეიძლება, იყოს, რის ხმაში უნდა მერეოდეს? „პო დიკიმ სტეპიამ ზაბაიკალიას" უკრავს ვიღაც. ეხლა დაიწყო დაკვრა, თორემ ადრეც ხომ გავიგონებდი? ავიდეთ, ვნახოთ...

გორას, მართლაც, ბობღვა მოუხდა. მისი ვარაუდით, ბანაკი ჩრდილოეთით იდო. მაღლობზე ასვლა სამხრეთიდან, თვალს მიფარებული მხრიდან იყო საჭირო. იქ კი ერთობ ძნელი სავალი აღმოჩნდა. იწვალა, ის ტყიანი შემრეციც აიარა, როგორც იქნა. მოიკალათა, დაისვენა. მერე დურბინდი მოიმარჯვა და ვითარების შესწავლას შეუდგა.

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ბანაკი და მიმდებარე დაბა მიტოვებული იყო. ვაკე ადგილზე, გორას სათვალთვალოდან სამასი-ოთხასი მეტრის დაშორებით იდო. დაბაში, ბარაკებიდან უახლოესი სახლის ფრთაზე, ვიღაც იჯდა და უკრავდა. სხვისი, ჭაჭანება არავისი ჩანდა. ბარაკებს აღარც კარი ებათ, აღარც ფანჯარა ჰქონდათ. ნაგვერდულით ნაგები ღობე აქა-იქ გადაწოლილიყო და ჭიშკარიც ღია პირით იყურებოდა. დაბაც დარბეულს ჰგავდა, მაგრამ სახლების ის კარ-ფანჯარა, რაც გორას ადგილიდან მოსჩანდა, საგანგებოდ აეჭედათ. ბანაკი და დაბა ახლახან აყრილი ჩანდა. მოშორებით გაყინული მდინარე იდო. გაღმა ნაპირზე ტყიდან გამოტანილი მასალის საწყობი ჰქონდათ თავისი პირსითა და დროებით დატოვებული კოშკურა ამწეთი. ეს სანახაობა გორასთვის ანაბანა იყო: ბანაკმა მდინარის აქეთა ნაპირზე გამოყოფილი ტყე, დიდი ხანია, გაჩეხა. მერე გაღმა, ორიოდე კილომეტრის მოშორებით მისცეს ტყე. ესაც გაიჩეხა და, ვინაიდან ახლომახლო აღარაფერი დარჩა, ახლა სხვაგან გამოუყვეს ნაკვეთი, ალბათ, კარგა შორს, თორემ ათი კილომეტრის რადიუსში რომ მიეცათ, პატიმრებს სამუშაოზე აქედანვე ატარებდნენ, აღარ აიყრებოდნენ. აქაური კარ-ფანჯარა და ჭიშკარი ახალი ბანაკისთვის წაიღეს. ადმინისტრაციისა და სამხედრო ნაწილის დაბა გასაყიდად შემოინახეს - ამის მუშტარი ბლომად არის, უტყეო სამხრეთიდან მოდიან, ძელებს ნომრავენ, სახლებს შლიან, მიაქვთ, იქ თავიდან აშენებენ. ტრაქტორისტი პატიმარი უნდა ყოფილიყო. ტყეში დარჩენილი, გამოუზიდავი მორების სათრევად თავისუფალ მუშას აქ ვერაფასად ვერავინ შემოიტყუებდა. გორას აღმოსავლეთ ციმბირში ასეთივე დაბის გაყიდვის პერიპეტიები გაახსენდა. რატომღაც ყველა დეტალი აღიდგინა მეხსიერებაში და იმას დაუწყო კირკიტი - შედარებით ახალი ნაგებობები შეშად რომ მიჰყიდეს შუა აზიის ერთ-ერთი დაწესებულების წარმომადგენელს. ამაობაში მუსიკოსი თავისი სევდიანი მუსიკის შესრულებას მორჩა, შინ შევიდა.

მოცდაა საჭირო, დაიძინოს... მოიცა, ეს ბანაკი რალაცას მაგონებს... ქილები, კაცო, ქილები! ასეთივე ბანაკი, ქალები და ტრაქტორისტი!.. გაგიგონია, მეორედ უნდა ვნახო, რაც მაშინ

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ვნახე?.. დრო ბევრია, გავიხსენოთ ის ამბავი. ამაობაში დაღამ-
დება. კარტოფილის ორმოების მოქექვას სინათლე არ სჭირდე-
ბა. დარაჯიც შუა ძილში იქნება... ჰო, ქილებისა ვთქვათ: ქაჩა-
ლი თავს არ მოიფხანს, თუ მოიფხანს - მოიგლეჯსო, ნათქვამია.
იმ გაფიცვებისა და აჯანყებების შედეგად და ხრუშჩოვის გამე-
ფების შემდეგ საქმე იქამდე მივიდა, რომ საშვი მომცეს, სამმა-
რთველოს ერთ-ერთ ეკონომისტად დამნიშნეს. უფროსი მყ-
ავდა, პაველ ნიკოლაევიჩ კოტელნიკოვი,[197] მაიორი. ეს კაცი ერ-
თთავად მივლინებებსა და თათბირებზე იყო. ორნი ვიყავით მი-
სი ხელქვეითები, საქმეს ავუდიოდით თუ ვერა - კოტელნიკოვი
ამას არც კითხულობდა, თათბირებზე დადიოდა. საქმე კი, ვთქ-
ვათ პირდაპირ, დიდი არაფერი გვქონდა, ბანაკებიდან მოსული
ყოველთვიური ანგარიშების ნაკრებ ანგარიშებს ვაკეთებდით.
მაიორს ბლანკებზე ხელი წინასწარ ჰქონდა მოწერილი - დავუ-
რთავდით შემაჯამებელ ანგარიშს და ფელდსამსახურს ვაბარე-
ბდით. ამით ამოიწურებოდა ჩვენი შრომა, მხედველობაში თუ
არ მივიღებთ, რომ ჩემს თანამებრძოლს, გვარ-სახელად აბრამ
ხაიტს,[198] ჩემსავით ორი რამ უყვარდა - ანეკდოტები და კროსვ-
ორდები.

ერთ-ერთი ბანაკიდან ბოლო ორი თვის ანგარიშებში შენიშ-
ვნის სახით ეწერა, - ამა და ამ სატყეო უბნიდან ბირჟაზე მორე-
ბის გამოზიდვის ცნობები არ მოგვეპოვებაო. ეს იყო მიტოვებუ-
ლი ბანაკი, კონტინგენტი ახალ ბანაკში იქნა გადაყვანილი, რა-
დგან გამოყოფილი საკაფი გამოილია. დამზადებული მორი ტყ-
ეში ბლომად დარჩა. ამიტომ გადაბარგებული ბანაკის ხელმძღ-
ვანელობამ იქ დასტოვა ტრაქტორი ტრაქტორისტითურთ, რო-
მელიც მორებს ბირჟაზე ეზიდებოდა, მაგრამ თუ რამდენი გამო-
ზიდა, არავინ აღრიცხავდა. მაიორმა ეს მოვლენა საეჭვოდ ჩათ-
ვალა, - ის ხე-ტყე დამზადებული არ არის, გვატყუებენ და ძველ
ანგარიშებში მიწერა მოახდინეს; გაიფორმე მივლინება, წადი
და შეამოწმეო, - მითხრა. გავაფორმე, გამომიწერეს სპეცსაშვი
და გავწიე. მაშინ ტაიშეტ-ლენას მაგისტრალის მშენებლობა
თითქმის დამთავრებული იყო, მაგრამ დამკვეთი, ესე იგი, სამი-
ნისტრო, მიღებაზე ხელს არ აწერდა რაღაც ხარვეზების გამო...
რაღაც კი არა, იმ შვიდას კილომეტრიანი მონაკვეთის გავლას

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ხანდახან რამდენიმე დღე უნდებოდა ხოლმე... არა, მე შვიდასი კი არა, სამასი კილომეტრი უნდა გამევლო, მაგრამ ვაი იმ გავლას - დღე-ღამეში ასი გამომივიდა, მეოთხე დღეს მოვხვდი იმ პლატფორმაზე, საიდანაც შვიდი კილომეტრი იყო სავალი ყოფილ ბანაკამდე... ჰო, მგზავრობიდან ერთი ეპიზოდი დამახსომდა. სადღაც, როგორც იტყვიან, უიმედოდ ვიდექით. ვაგონში კუმეტი სიბნელე იყო. ტალანში ფეხზე დგომამ ქანცი გამომაცალა, იატაკზე დავჯექი. ცოტა ხნის მერე ქალი მომიჯდა - დაბამბული, სქელი ხიფთანი და ასეთივე შარვალი ეცვა. ფეხზე - ძველი, ასჯერ დაკერებული ნაბდის ჩექმები, ციმბირში პიმებს რომ ეტყვიან. საუბარი გავაბით, ჩემსავით პატიმარი აღმოჩნდა, ჩემსავით მივლინებით მიმავალი. კარგი ურთიერთგანწყობა ჩამოგვიყალიბდა, დაახლოებასავით რაღაც. ასე, ოცდათხუთმეტისა იქნებოდა. ვკითხე, - როგორი ბიუსტი გაქვს-მეთქი. დაფიქრდა და მიპასუხა, - ლამაზი ქალი ვარ, ამ სიბნელეში რა დასაჯერებელია, ვერ მხედავ. მკვრივი სხეული მაქვს, მკვრივი ბიუსტი, მაღალი თეძოები და ძალიან კოხტა, გრძელი ფეხები. ჩვენი ყოფის მთავარი უბედურება ლამაზი ქალისთვის ის არის, რომ ამ ჯვალოებს ქვეშ როგორი ხარ, ვერავინ ვერაფერს დაინახავს. ხანდახან წყალივით მომწყურდება ხოლმე, სადაც მამაკაცები არიან თავმოყრილი, გავიძრო ყველაფერი და დედიშობილამ გავიარ-გამოვიარო მათ თვალწინ. დამინახონ, როგორი ვარ! დამინახონ! დამინახონ! დამინახონ!..

ხოლო ჩვენ პირველ სათქმელსა ზედა მოვიდეთ. ჩავჩანჩალდი, როგორც იქნა, ვიარე ის შვიდი კილომეტრი, მივაწიე მიტოვებულ ბანაკამდე... არა, ეს ცალკე სალაპარაკოა - მიტოვებული ბანაკი, უკეთ ვთქვათ, ბანაკის ადმინისტრაციის მიერ მიტოვებული მისი დაბა... ჰოო! ეს, მართლაც, საინტერესო მოვლენაა. აიშლებიან დედაბუდიანად ჩეკისტები, წაიღებენ ბარგი-ბარხანას, მაგრამ ერთგვარი მოსახლეობა მაინც რჩება. ვინ არის ეს ხალხი? გათავისუფლდა პრასკოვია თუ დაშა, დაუდგა ჩეკისტის ოჯახს შინამოსამსახურედ, ანდა ფურნესა თუ სამრეცხაოში დაიწყო მუშაობა, რომ შინ მთლად შიშველი და უსახსროდ არ დაბრუნდეს. ზოგი ისეთიც არის, დასაბრუნებელიც არსად აქვს, უსახლკარო, უნათესაო და ბოგანოა. მერე გათავისუფლდა ვან-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ია თუ გოშა და ამავე მიზეზით დარჩა. მერე გოშამ „შეირთო“ კრასკოვია, აიშენეს ხუხულა, საბანაკო სამყაროში ამ ნაგებობას „ბალოკი“ ჰქვია. ცხოვრობენ, უჩნდებათ ბავშვები და, ერთ მშვენიერ დღეს, გოშა სტოვებს ბალოკს და მოჩვენებასავით ქრება. რჩებიან „დაქვრივებული“ ქალები. ამასობაში, ბანაკი ადგილს იცვლის, ადმინისტრაცია სტოვებს თავის სახლებს, „ქვრივები“ ბავშვებითურთ მათ სახლებში თუ ბინებში გადადიან საცხოვრებლად. ადმინისტრაციის მუშაკებს იშვიათად და თითოოროლა მიჰყავთ ახალ ადგილზე. ამგვარად იქმნება „მოსახლეობა“, ქალები და ბავშვები. რაც უფრო დიდი, მრავალრიცხოვანი იყო ბანაკი, მისი ადმინისტრაცია, მით მეტი ქალი და, განსაკუთრებით, ბავშვი რჩება. რით ირჩენენ თავს, როგორ ცხოვრობენ? აქვთ ადმინისტრაციის მიერ მიტოვებული ჭერი, აქვთ ტახტები, უმჯობეს შემთხვევაში, ძველი მდგმურის დანჯღრეული საწოლი. უმრავლესობას არა აქვს ლეიბი, საბანი, ბალიში და, თეთრეულზე ლაპარაკი ხომ სრულიად ზედმეტია. ნახმარი ბუშლატები სცვლის ყოველივე ამას. რა თქმა უნდა, არავითარი ჭურჭელი, გარდა პატიმრის ალუმინის ჯამისა და კოვზისა. ერთი სიტყვით, ენით აუწერელი სიღატაკე! რას ჭამენ? სთესავენ კარტოფილს - ვინ რამდენის დამუშავებას შესძლებს. ზაფხულობით ჰკრეფენ კენკრას, აბარებენ რაიკავშირს რაღაც კაპიკებად - ეს პურის ფულია, რის შეძენაც შეუძლიათ, როგორც წესი, რამდენიმე კილომეტრით დაშორებულ მაღაზიაში. ეს არის, რასაც რუსები — *„Голь перекатная“* -ს ეტყვიან. იმ პერიოდში - სტალინის დროს ვგულისხმობ, - პატიმარი გათავისუფლების შემდეგ თავისუფალ, უვადო დასახლებაზე გადაჰყავდათ. მოსახლეობის ერთი ნაწილი ასეთი იყო. ეს ადამიანები განწირულნი იყვნენ, ასე ეარსებათ, სანამ უმჯობეს სამყაროში მათ გადაბარგებას არ მოისურვებდა განგება. აი, ასეთ დაბაში მოვედი. აქ უნდა გამეგო, სად მუშაობდა ტრაქტორისტი, როგორ უნდა მევლო, რომ მენახა და მისი ნამუშევარი ამეზომა.

დაბაში ჩემს შესვლას საკვირველი ეფექტი ჰქონდა. ღმერთმანი, თითქმის ათი ფანჯარა ერთდროულად გაიღო და ყოველი მათგანიდან თითო ქალმა გადმოიხედა. ბავშვები თამაშობდნენ. ესენი გაყუჩდნენ, პირღია დამიწყეს ყურება. სიჩუმე იყო, მეც

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

კარგა ხანს ვიდექი ჩუმად, იქაურობას ვათვალიერებდი. ბოლოს, ერთ-ერთმა მკითხა, - რა გნებავთ, რა გაგჭირვებიათო? ვუთხარი, რისთვისაც ვიყავი მოსული. ათივემ ერთდროულად დამიწყო ახსნა, თუ როგორ და საით უნდა მევლო. ვერაფერი გავიგონე, ვერ გავარჩიე. მაშინ ერთ-ერთ ფანჯარასთან მივედი, ვათქმევინე, გამოთხოვების ნიშნად ხელი დავუქნიე და გზას დავადექი. სამი თუ ოთხი კილომეტრი ვიარე, ტრაქტორის გუგუნი გავიგონე, ხმას მივყევი. ფერდობი იყო, მისვლა გაჭირდა. ტრაქტორისტმა დამინახა, ხეები უკვე ჩაბმული ჰქონდა. გამისწორდა, დამიძახა, - მომყევიო. მივყევი. ბირჟამდე იარა, გაჩერდა. ტრაქტორი ჩააქრო, გადმოვიდა. ამხედ-დამხედა და მკითხა, ვინა ხარო. ვუთხარი, რისთვისაც ვიყავი მისული. დავიწყეთ აზომვა. კარგა ხანს მოვუნდით. სიმართლეს ვიტყვი, უფრო თვალით განვსაზღვრე, რამდენი იქნებოდა. მეტი არც რაიმე იყო საჭირო. დადგინდა ფაქტი, რომ ტყე იზიდება.

ტრაქტორისტს მიწური ჰქონდა, შემიპატიჟა. ერთი ფიორა რამე იყო: რამდენიმე საფეხური ძირს, კარი, კედელთან ვიწრო, ერთ კაცზე ნავარაუდევი ტახტი და ღუმელი - ისიც ერთი ბეწო. ბოთლით არაყი მქონდა მიტანილი. თითო ყლუპა გადავკარით. ამან აუხსნა ენა, თორემ ფლეგმატიკების მეფე იყო. არც რასმე მეკითხებოდა და, მე თუ შევეკითხებოდი, „არათი“ და „ჰოთი“ მპასუხობდა. ორი პატიმარი ერთმანეთს რომ შეხვდება, მათი საუბრის თემაა არაყი, თამბაქო და ქალი. როგორღაც ამოვაღერღინე, რომ ვადა ხუთ თვეში უთავდებოდა. თამბაქოს არ ეწეოდა, ხნოვანებით ორმოცდაათს მიტანებული იქნებოდა. ქალების საქმე როგორა გაქვს-მეთქი. ხელი ჩაიქნია, - ქალების მეტი რა არის, აგერა, მთელი დაბაო! თავი მომაბეზრეს, მთელი დღის ნამუშევარს რამდენი უნდა შემეძლოსო! პირველად როგორ იყო-მეთქი. მიამბო:

- დავამთავრე მუშაობა, დავანთე ცეცხლი. ფაფა იხარშება. წამოწოლილი ვარ. კიბის თავში ორი გაჩხაკუნება გაისმა - კენკრით სავსე თუნუქის ორი სათლის სახელურების ჩხაკუნი. მოაკაკუნა. შემოდი-მეთქი. შემოვიდა. ქალი იყო. დგას. დაჯექი-მეთქი. დაჯდა. ვილაპარაკეთ, ვილაპარაკეთ... მომეცი-მეთქი. გაინაზა, მაგრამ მერე მითხრა, შენ რაღას მომცემო? ვუთხა-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

რი, - რა მაბადია, რა უნდა მოგცე-მეთქი. დაათვალიერა აქაურობა... აგერ, იმ თაროზე რასაც ხედავ, ეგ არის ჩემი ქონება. თვეში ერთხელ ბანაკში პროდუქტების მოსატანად მივდივარ ხოლმე - ფქვილი, ღერღილი, ზეთი... რა ვიცი, რასაც მომცემენ... ქალმა,- აგერ, ის თუნუქის ქილა[199] მომეციო. კარგი ქილაა, მაგით ზეთი მომაქვს... წაიღო ქილა, წავიდა. ორი დღის მერე სხვა ქალი მოვიდა. იმან მეორე ქილა წაიღო, რომლითაც ღერღილი მომაქვს ხოლმე. აგერ, ისა. უჭურჭლოდ დავრჩი. ამასობაში, პროდუქტებზე წასვლის დრომ მოაწია. ბანაკში საწყობის გამგე ისეთი კრიჟანგია, თავის ქილას არ მომცემს, ვიცი, შემთხვევა მქონია. ვზივარ, ვფიქრობ, - რა ვქნა-მეთქი, და ამ დროს გარედან ჩხაკუნი მოისმა. ის ქალი მოვიდა, ვინც პირველი ქილა წაიღო. მეხვეწა, - მიქენი, ლამის მოვკვდე, ისე ვარ მოწყურებულიო. უარზე დავდექი, - არ შემიძლია-მეთქი. მერე დავთანხმდი, - წადი, ქილა ამომიტანე და გიზამ-მეთქი. ძალს ისა და ძალს მე. არაფრით არ დავთმე. წავიდა, ამოიტანა. აგერა, ის ქილაა. მარჯვენა. მარცხენა ის ქილაა, მეორე ქალმა რომ წაიღო. ისაც მოვატანინე. მას მერე აღარაფერსა მთხოვენ. ისე, ცოდონი კი არიან. ეს ქილები ქვაბებად სჭირდებოდათ. ორივე მურიანი იყო. მესამე რომ მოვიდა, იმას გავახეხინე...

კარგა შეღამდა. მგონია, ჩასვლის დროა. აქ მაგ მუსიკოსის მეტი არავინ გამოჩენილა. მარტოა!.. ქალია თუ კაცი?!. ფლეიტისტი ქალი სად გაგიგონია!.. გამიგონია და მინახავს კიდეც... ეგ რა ჩვენი საქმეა, ჩვენ კარტოფილის ორმოებს მივხედოთ. უამრავია, ხედავ? ყველა მოსახლეს საკუთარი ჰქონდა. თუ არ ვცდები, ის ხეოპსის პირამიდა ბანაკის ბოსტნეულსაცავია... თითო ორმოში რამდენიმე კარტოფილი თუა ჩარჩენილი, კაი ბლომად მოგვიგროვდება. ოპერაცია უნდა ჩატარდეს, მოვქექოთ და ქათმის ქურდივით გავქრეთ... რომელიმე სახლში რომ შევიპაროთ და სითბოში გამოვიძინოთ, ვითომ რით იქნება ურიგო? „შერატონში", არა, „ინტერკონტინენტალში" გავათენებთ ღამეს... არა, ბენაცვალე, ამოდენა გზა იმისთვის ვიარეთ, რომ მახეში გავებათ?.. არც გვცალია. ჩვენ პაემანი გვაქვს დანიშნული. ჯერ აბუალი იბნ სინას ქვეყნიდან გადმოხვეწილ, გაურკვეველი ხელობის უზადო რაინდთან, და მერე პირველმონგოლთა ჩამომავალ

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჯენტლმენთან შეხვედრები გველის. პაემნებზე ნუ დავიგვიანებთ. მუსიკოს-შემსრულებლებთან და სხვა მდაბიორებთან - ბოდიში, მათთან ურთიერთობა მერე იყოს.

გორამ სანამ ის ფერდობი ჩამოიარა და დაივაკა, დაღამდა კიდეც. კარტოფილის ორმოებს მიადგა. ერთი კიდევ მოათვალიერა იქაურობა, ტვირთი დადო, ღრიჭო ასწია და ორმოში ჩავიდა. ფხვიერი მიწა იყო, კარტოფილს შემოყოლილი. ჯერ ხელებით ქექა, მერე დანა მოიშველია. სამიოდ კარტოფილი იპოვნა, ავიდა, მეორე ორმოში ჩახტა. აქ უფრო დიდი მოსავალი აიღო - ოთხი ცალი კარტოფილი და ერთი მიმჭკნარი, მოზრდილი ჭარხალი. წელში გაიმართა, ხელებით ღრიჭოს დაენდო, აიწია, უნდა ამოსულიყო, რომ ზურგიდან მოესმა:

- ეი, შენ!.. ვინა ხარ?! - ხნიერი კაცის ანჩხლი ხმა იყო.

გორა გაშრა. ერთხანს ასე, ღრიჭოზე ხელებჩაჭიდებული, ნიადაგს მოწყვეტილი ეკიდა. მერე ჩახტა, კაცისკენ მიბრუნდა, შეათვალიერა და მიუგო:

- ვერა ხედავ, თხუნელა ვარ! - ალბათ, ის კაცი იყო, „ბაიკალს“ რომ უკრავდა. თავით ფეხამდე პატიმრისა ეცვა. გულხელდაკრეფით, გამომწვევად იდგა, ორმოში წელამდე ჩასულ გორას ელამი თვალებით დასცქეროდა.

გორას ცალ ხელში ჭარხალი ეჭირა, მეორეში — დანა, ჩურჩხელის ქურდობაზე წასწრებული ბალღივით იღიმებოდა.

- ვინა ხარ-მეთქი! - შეუტია მოსულმა.

გორამ წარბი შეჰკრა, ჭარხალი ჯიბეში ჩაიდო, ორმოდან ამოვიდა და მუქარით უთხრა:

- ვინა ვარ? ეხლავე გაიგებ, ვინცა ვარ!

დამხვდურმა რამდენიმე ნაბიჯით დაიხია და ამოღერღა:

- დარაჯი ვარ, არ უნდა გკითხო, ვინა ხარ?

- ჰოო, ეგ სხვა საქმეა. გორა ვარ. კიდევ რა გინდა?.. მარბენალი ვარ!

დარაჯი გაფაციცდა, ლამის ყბა ჩამოუვარდა, მაგრამ თავს მყისვე დაეუფლა და მიუგო:

- გორა?.. ის გორა!.. იმიერპოლარეთიდან მოდიხარ, არა?.. არ მატყუებ, მართლა ის გორა ხარ?

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

- რა გქვია, ზეკი ხარ თუ თავისუფალი? - იმავე ტონით ჰკითხა გორამ.

- მე... მე პოლიკარპ ვასილევიჩი[200] მქვია. ყოფილი ზეკი ვარ... ნუ გეშინია, აქ ჩემს მეტი არავინ არის, სულ მარტო ვარ...

გორამ თავი იქით გაიქნია, საიდანაც ტრაქტორის ყრუ გუგუნი ისმოდა.

- მაგას იქ მიწური აქვს, თბილი მიწური. აქ მხოლოდ პროდუქტებისთვის მოდის, თვეში ორჯერ. ახლახან იყო... არ მოვა... ნუ გეშინია...

- არ მეშინია. მშია. გამარჯობა! - გორამ დანა ქარქაშში ჩააგო.

- გამარჯობა. ყველაფერი მაქვს, როგორ არა... წამოდი.

შეტრიალდა და წავიდა. გორა მიჰყვა. ოთახში შევიდნენ. გორა ჩამოჯდა. პოლიკარპ ვასილევიჩმა თახჩიდან ჯამი გადმოიღო, დაუპატიჟებელ სტუმარს ნელთბილი ფაფა მიართვა, პური მოუჭრა და ფაფა თავისთვისაც გადაიღო.

გორამ დააცადა, სანამ პოლიკარპ ვასილევიჩი ჭამას შეუდგებოდა, და მერეღა მისდგა საჭმელს.

- იყვნენ, გიკითხეს... ეეე, რა იცოდნენ, აქ რომ გამოივლიდი, ჰა?.. სამნი იყვნენ. ერთი ჩვენი ბანაკის უფროსი... ესე იგი, ახალი ბანაკისა... მე ვადა ამ ბანაკში გავათავე. ორიც სხვა იყო. სამნი.

- როდის იყვნენ?

- ათიოდე დღის წინ. ვერტმფრენით. სამნი...

- ერთი მათგანი მაიორი იყო?

- პოდპოლკოვნიკი!

გორამ ჩაიცინა.

- რაო?

- არაფერი. უფროსებმა - არაფერი... ერთი დაბალი ჩინის ოფიცერი იყო, ასე სთქვა, - ცარიელი ძვალი და ტყავი იქნება, ალბათო! სხვა არაფერი.

- არ გითხრეს, თუ მოვიდა, ასე და ასე მოიქეციო?

- არა... აქ უნდა გამოიაროსო, ასე სთქვეს და წავიდნენ... მე რომ გიყურებ - ცარიელა ძვალი და ტყავიაო - ძალიანაც არა გიშავსრა... საეჭვოც კია, მართლა გორა ხარ თუ მატყუებ?..

გორა ფიქრს გაჰყვა. კარგა ხანი გავიდა, სანამ ფაფას მიუბრუნდა. ლუკმა გადაყლაპა. კიდევ იფიქრა და მასპინძელს ჰკითხა:

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

- რისთვის იჯექი?

- პოლიტიკური ვარ, ათი მქონდა. მერე კიდევ ათი დამიმატეს. ეხლა თავისუფალი ვარ, კაიხანია უკვე. შვილები არა მყოლია, არც და-ძმა. ამდენი დრო გავიდა. სად და ვისთან წავიდე?

- პირველად როდის დაგაპატიმრეს?

- ორმოცდაათიანი წლების ბოლოს. - პოლიკარპ ვასილევიჩმა ჩაიცინა და დასძინა, - ლაბუხი ვარ. ლაბუხი იცი, რა არის?

- ვიცი, ჟარგონზე ორკესტრის შემსრულებელს ნიშნავს.

- ალტზე ვუკრავდი... კურსკელი ვარ. გერმანელები შემოვიდნენ. მეორე დღეს ორკესტრანტები ქალაქის საბჭოში დაგვიბარეს. ტრიბუნასთან დაგვაყენეს. ჯერ რუსმა ილაპარაკა, მერე გერმანელმა, მერე ისევ რუსმა და, - ტუშიო, გვიბრძანეს! დავცხეთ. ეგ იყო. რა ხნის შემდეგ დამიჭირეს, - რატომ დაუკარიო! არა, იქ კურსკელ პოლიციელებს ასამართლებდნენ, იმათ ეშხში გაგვიყვანეს, - ფაშისტებს ეხმარებოდითო. ისინი მართლა ეხმარებოდნენ, ყველა დახვრიტეს. იმ ორკესტრიდან ცოცხალი ვინც გვიპოვნეს, თითო „ჩერვონეცი" ჩამოგვირიგეს. არა, კაპელმაისტერს - თხუთმეტი. სკელეტოვი გაუშვეს, - ისე ვიდექი, არ ვუბერავდიო. დავემოწმეთ და გაუშვეს. ერთ ტუშში ათი წელი!.. მერე ნასამართლობა მომიხსნეს... სად წავიდე, ვის რაში ვჭირდები? აქა ვარ, სული მიდგას და მადლობელი ვარ ღვთისა. იყავი, საშიში არაფერია, სულ არაფერი!.. მე აქ საწყობიც მაბარია. ბოსტნეულია, სხვა რამეებიც არის. ცოტაა, მაგრამ არის. გატანა ვერ მოახერხეს, კატარღა კაპიტალურზე უდგათ. იყავი. წახვალ - საგზალს გაგატან... ეეე, ციგას მოგცემ! კარგი ციგაა.

გორამ ჭამა დაამთავრა. ისევ ფიქრს მიჰყვა.

ასე მიამიტად და დაჟინებით რანაირი კაცი ჩამაცივდებოდა, - დარჩიო! დახელოვნებული გამცემია და გულუბრყვილობა ნიღაბია? კარგა ხანია, თავისუფალი ვარო. თავისუფალს გაქცეულის შენახვა, აქედან გამომდინარე სავალალო შედეგებით, სჭირდება? მეორე მხრივ, კიდეც თუ მოახერხა ჩემი ჩაბარება, ეს მოხუცი კაცი როგორი საცდურისთვის ჩაიდენს ამას, რას დაჰპირდნენ ამ სამსახურისთვის, ისეთი რა აღუთქვეს, რომ ამხელა რისკს ეწევა?.. გაქცეული სისხლის სამართლის დამნაშავეები,

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

შემთხვევათა დიდ უმრავლესობაში, ასეთ შეხვედრებს ძარცვი-
თა და მკვლელობით აგვირგვინებენ. ეს ამან იცის, ძველი პატი-
მარია. მაშ, რას ნიშნავს მისი დაჟინება?.. დაბადებითვე უმწეო-
ებს მონის ულელი სიამოვნებთ, პატრონის ერთგულება წმიდა-
თაწმიდა მოვალეობად მიაჩნიათ, სამსახური - ღირსებად. ერთი
მათგანი ხომ არ არის ეს ვასილევიჩი, ჩეკისტების მონა?.. თავ-
სატეხების შეთხზვის დიდოსტატი ხარ, ღმერთმანი... დავუშვ-
ათ, გამცემია. ხომ უნდა გაიპაროს და აცნობოს, - აქ არის, მოდ-
ითო! აგერ, ტახტი ზედ კართან. კურდღელივით ძილი ვიცი, სად
წამივა? საგზალს დამპირდა. მამამისის შვილია, არ მოუცია.
ვიქნები ერთ, ორ დღეს. საძაგელი შესახედაობა აქვს, უსიტყვ-
ოდ გეუბნება, - არ მენდოო! ახალი ნახტომისთვის რომ კვება და
დასვენება გვჭირდება, რა ვუყოთ?.. გარდა ამისა, არ უნდა გავ-
იგო, რა კაცია ეს კაცი?.. ეგ ცნობისმოყვარეობა უადგილოა!..
დრო ბლომად არის. გრაფიკით ცხრა, ათი დღე მაქვს დაზოგი-
ლი, მაგრამ... მაგრამ ამ შემთხვევაში რისკი სრულიად ზედმეტ-
ია... არა! ვრჩები ერთი ღამით. ეგ არის!

გორამ ორი დღე-ღამე დაჰყო. მასპინძელმა გასაოცარი პა-
ტივისცემა და სიუხვე გამოიჩინა, ერთთავად გვერდით უჯდა.
საჭმელს ჯერ თავად გადაიღებდა, ერთ ლუკმას გადაყლაპავდა,
- არა უშავს, გემრიელიაო, იტყოდა და გორას მერეღა მისთავა-
ზებდა ხოლმე. მარტო არსად წავიდოდა, ღამითაც კი, თუ მოსა-
საქმებლად გადიოდა, გორას უსათუოდ გააღვიძებდა, - ხომ არ
წამოხვალო. ერთი სიტყვით, ისე იყო საქმე, ერთ კაცზე ოტია
პაჭკორიამ[201] რომ სთქვა, - იმდენად თავაზიანი და ზრდილობი-
ანია, რომ უზრდელიაო.

დილით, საუზმეს რომ მორჩნენ, ვასილევიჩმა უთხრა:

- გიყურებ, წასასვლელად მზად ხარ და უნდა წახვიდე კიდ-
ეც. კეშა-ტრაქტორისტი ლორმუცელა მამაძაღლია, შეიძლება
პროდუქტებისთვის მოვიდეს. საჭიროა დაგინახოს? წესიერი
ბიჭია, მაგრამ ენის ჭარტალი უყვარს. ეხლა ზურგჩანთას გაგი-
ვსებ და ღმერთმა მშვიდობა მოგცეს. კარგი?

- ეგრე სჯობს, - მიუგო გორამ. - ციგას რომ დამპირდი?

- წაიღე. მე არაფრად მჭირდება.

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

გამომშვიდობებისას პოლიკარპ ვასილევიჩმა უთხრა:

- რანაირი კაცი ხარ, შენ თავად არ იცი. ოთხი გაქცევა - ეგრე არ მითხარი?!. ამოდენა სავალი! ხუმრობ? ბევრი შემთხვევა მქონდა, ვერ წავედი. რაღაც მაკლდა... მშიშარა და მხდალი არა ვარ, რაღაც მაკავებდა...

ვასილევიჩმა თავი ჩაქინდრა.

- მხდალი იყო, მიმიღებდი?.. - უთხრა გორამ და გასწია.

მოხუცმა ერთხანს კვალში უყურა. მერე დაიძახა, - გორა, გაჩერდიო. დაეწია. ადგილის ტკეპნას მისდგა. რაღაცის თქმა უნდოდა და ვერ გაებედა. გორამ მხარზე ხელი დაადო.

- სთქვი, რა გინდა!

მოხუცმა კიდევ დააყოვნა და როცა გორამ წასასვლელად გაიწია, მაშინღა ამოღერღა:

- იმ პოდპოლკოვნიკმა... - წაიბორძიკა, ხელი ჩაიქნია და დაასრულა: - იმ პოდპოლკოვნიკმა განზე გამიხმო და... რა მითხრა, იცი?.. საგზალი მიეცი, წავიდესო!.. ასე მითხრა, გეფიცები... გაუგებარია, ღმერთმანი!..

გორა დაფიქრდა და მიუგო:

- კი, გაუგებარია! მე ვიფიქრებ, რას უნდა ნიშნავდეს ეგ... გმადლობ, პოლიკარპ ვასილევიჩ!.. წავედი. მშვიდობით, კაი კაცო!..

გორას პოლიკარპ ვასილევიჩის ბოლო ნათქვამი სულაც არ გაჰკვირვებია, მისი ფიქრის საგანი თვით მოხუცი კაცი იყო.

საინტერესო მოვლენაა. ალბათ, ჩემში დაინახა ის, რაც თავად ვერ შესძლო. რაღაც მაკავებდაო - გადამწყვეტი ნაბიჯის სინდრომი! ახალგაზრდობის სურათის მიხედვით - კაი გარეგნობის ყმაწვილი ყოფილა, კეთილი თვალები და გამომეტყველება ჰქონია. რას დაემსგავსა, ღამე ვინმეს გადაეყაროს - დაამუნჯებს... როგორია, იცი? ვიღაცამ რომ სთქვა, რძიან ქოთანში ჩაიხედოს - ასჭრისო... სწორედ ეგ არის. ბანაკების სამყარომ, გარემომ ჩამოუყალიბა ეგ გარეგნობა... ჯდომა შენც გცვლის ხოლმე... მცვლის, მაშ! ჩინეთში ხანგრძლივად რომ ცხოვრობენ, ირიბი თვალებით ბრუნდებიან. რამდენი გვინახავს... მაგეებს თავი დავანებოთ. ვასილევიჩმა, აგერ, სამოცდაათი წელი იცო-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ცხლა! რა მიაქვს, რა აღასრულა, რასა სტოვებს?.. ალტის ჭყვიტინით, ასე თუ ისე, ვიღაც მაინც მოალხინა, ვიღაცას სასულე ორკესტრი შეაყვარა ან შეაძულა. ეს აღასრულა, ამასა სტოვებს. საფიქრებელია, ჩემთვის გაკეთებული სიკეთე მაგის ცხოერებაში არც პირველია და არც უკანასკნელი. ეს უკვე აღსრულება და დანატოვარია, თუ თვალთმაქცობა არ არის... რაც შეეხება ამ ქვეყნიდან რაიმეს წაღებას, ეგ რიტორიკაა, ქვეყნიერება ღმერთს იმისთვის არ შეუქმნია, კაცმა სააქაოდან საიქიოში თავისი სულიერი თუ ხორციელი მონაგარი ზურგით ზიდოს. აქ უნდა დარჩეს... პეტია[202] გახსოვს? ათასნაირი მამაძაღლობის, ციხეებში ჯდომის ფასადაც კი, ხომ მოაგროვა აუარებელი ფული და ქონება? ხომ ჩიტის რძე არ მოუკლია თავისი ნაგრამისთვის?.. მერე? მერე ისა, რომ რძლებმა პეტიას რაღაც წვრიმალი ნივთები ვერ გაიყვეს, სამკვდროდ წაიკიდნენ, მიცვალებულისთვის ველარავინ მოიცალა, ფეხშიშველი ჩაუშვეს სამარეში პეტია-მილიონერი. ამან ვერაფერი წაიღო, მაგრამ დასტოვა: ფული, ქონება და საფლავი! სერიოზული ნაგებობაა, იმ ფულად მშვენიერი საბავშვო ბაღი აშენდებოდა. ეს იმავე რძლების თვითრეკლამაა, - ასეთი კაცი იყო და ასეთი ღირსეული მემკვიდრეები ვყავართო!..

შენ ეგ პრობლემა წარსულშიც გაინტერესებდა და ამ ბოლო დროს მაგაზე ხშირად ფიქრობ... არ უნდა ვიცოდე, რა შეეძელი, რა აღვასრულე, რას ვტოვებ? მბორგალი პაპაჩემმა შემარქვა... „ამაოდ მბორგალი“ შეერქმია, იქნება სჯობდა? ხომ ვიცით კაცები, ვისაც მნიშვნელოვანი არაფერი აღუსრულებიათ და არც რაიმე მიულიათ ცხოვრებისგან... ოო, გორა მბორგალზე ვერავინ იტყვის, ცხოვრებისგან არაფერი მიულიაო... მართალი ხარ, რაც მინდოდა, სულიერი თუ ნივთიერი - მქონდა, მაგრამ, ალბათ, იმიტომ მქონდა, რომ მატერიალური ბევრი არაფერი მდომებია! იცი, რა მაწუხებს? სილას და მისთანათა მაგალითი!.. სილა საიდანღა მოგაგონდა?.. გამოცდილება მხოლოდ ის როდი გახლავთ, თუ როგორ არ ეგების, არამედ ისიც, თუ როგორ ეგების. ამაში სილასთანებმა დიდი სამსახური გამიწიეს... რა გინდა, დაუტოვებიათ და ეგ არის... ეეე, ვასილევიჩი უკრავს... მაზურკას უკრავს... ჩემი მისვლის მერე არც „ბაიკალი“ დაუკრავს,

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

არც სხვა რამ!.. რა მაზურკა აუტყდა?.. ნიშანს ხომ არავის აძლევს?.. გამორიცხულია, მაგრამ რა გინდა, მიტილენიჩ, რას ჩალიჩობ, რას მიმზადებ?.. გამომთვალე? მეც გამოგთვლი, მიტილენიჩ, ნახავ, თუ არა... გამოგთვლი! და შენ რომ ფინალს აპირებ, შევეცდები, კოვზი ნაცარში ჩაგიგდო!.. რამსიმძიმეა ეს ოხერი ციგა! რანაირად დამტვირთა, ჰა?!. როგორც უბრძანეს, ისე დაგტვირთა. ამდენი საკვები ტყიურთან შეხვედრის მერე არა გქონია... კარგი, ეხლა რაზე ვიფიქროთ?.. გაქცევები მოვიგონოთ. შენ იმ ორ გაქცევას, რატომღაც, არაფრად აგდებ... რომლებსა, კაცო?.. რომლებსა და, კაკო ეძგვერაძე[203] ჩეკისტებს რომ შეატოვე ხელში და შამპანურის ქარხნის კოლონიიდან[204] გაქცევის დღეს მილიციაში რომ ამოყავით თავი შენა და „ბეხაიამ“ - ოთარა მაჩიტაძემ,[205] და მილიციელს რომ გაექეცი... მოგცლია, რა! ერთი ტრიკიანი მილიციელისგან გაქცევაც გაქცევაა?! ეგრე თუ ჩათვალე, იმ დღეს ორჯერ გავიქეცი. არა, ძმობილო, გაქცევა ის არის, ბანაკიდან ან ციხიდან რომ გაიქცევი... შენთვის სულ ერთი არ არის, დროს რით გაიყვან და როგორ გაერთობი?.. კარგი, ის გაქცევა გავიხსენოთ, შამპანურის ქარხნის კოლონიიდან... თავიდან ბოლომდე, კარგი?.. ეგრე იყოს!

ის გაქცევა უფრო იმიტომ არ ჩაიშალა, რომ დრო იყო სწორად შერჩეული. ბანაკის სასადილო ერთი ბრიგადის, ანუ ოცდახუთი პატიმრის მეტს ვერ იტევდა. ამიტომ სადილად რიგრიგობით დავყავდით. შიგ, ქარხანაში, სამი ბრიგადა მუშაობდა, გარეთ, მშენებლობაზე - დანარჩენი ბრიგადები. ჯერ ასადილებდნენ იმ ბრიგადებს, ვინც ქარხანაში მუშაობდა. როცა ამათ მოიყვანდნენ და სარდაფებში შერეკავდნენ, მერე იწყებდნენ მშენებლობაზე მომუშავე ბრიგადების რიგრიგობით წაყვანას. შევამჩნიე, რომ ბანაკიდან ბოლოს ნასადილევი, ანუ სარდაფებში მომავალი ბრიგადა და გარეთ მომუშავე, სადილისთვის წასაყვანი პირველი ბრიგადა ერთმანეთს ხშირად გზაში ხვდებოდა და კოშკურაზე მდგომი გუშაგი ბანაკში მომავალ ბრიგადის ბადრაგს ემასლაათებოდა ხოლმე, ანუ მშენებარე ნაგებობის მოედანი ცარიელდებოდა და ხსენებული მასლაათის გამო პრაქტიკულად უმეთვალყურეოდ რჩებოდა. იყო მეორე ხელსაყრელი ვითარებაც: იმ დროს შამპანური ღვინის ქარხანა ქალაქიდან, ესე

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

იგი, ტრამვაის ბოლო გაჩერებიდან, ოთხი-ხუთი კილომეტრით
იყო დაშორებული. მნახველებს ამ მანძილის გამოვლა პატიმრ-
ისთვის გადასაცემი ამანათითურთ ფეხით უხდებოდათ. ასე მო-
სული მნახველი გუშაგს უსათუოდ ჰკითხავდა, - ესა და ეს პატ-
იმარი დღეს აქ მუშაობს თუ ბანაკშიაო, და სხვა ასეთები. ამას
საკმაო დრო მიჰქონდა, რომ გამქცევს სამშენებლო მოედანი
შეუმჩნევლად ან შედარებით მცირე რისკით გადაევლო... მე მა-
ინც ბრიგადების შეხვედრის მომენტი ვარჩიე, უფრო ხანგრძლ-
ივი იყო ხოლმე სამშენებლო მოედნის უყურადღებოდ დატოვე-
ბის დროის მონაკვეთი... მანამდე რაც იყო, ჯერ ისა სთქვი, კა-
ცო!.. ჰო, ნახევრიდან დავიწყე, ნეტავი რატომ?.. ტვინი გაქვს
გადმოტრიალებული და იმიტომ... კარგი, თან - საქმე. ომის და-
მთავრების შემდეგ პატიმართა სამყარო დიდ ამნისტიას ელო-
და. ურწმუნო თომა ვარ, არა მჯეროდა, ისეთი ამნისტია გამოს-
ულიყო, რომ მე და ჩემისთანებს შეგვხებოდა. პირიქით, დარწმ-
უნებული ვიყავი, გზები გათავისუფლდებოდა და შორეულ ბან-
აკებში გვიკრავდნენ თავს. ამნისტია რამდენიმე გამოვიდა: დე-
ზერტირებს, ქურდებს, მცირევადიან და სხვა წვრილმალ დამნაშ-
ავეებს შეეხო - გათავისუფლდნენ. ჩვენ - არა. კაცმა სთქვას, გა-
ქცევისთვის მზადება მანამდე დავიწყე, სანამ საბოლოოდ დავ-
რწმუნდი, რომ არაფერი მეშველებოდა. ეს, უპირველეს ყოვლ-
ისა, იმაში გამოიხატა, რომ მკერდზე წმიდა გიორგის დიდი გა-
მოსახულება დავასვირინგებინე ახალგაზრდა მხატვარს, ჩემს-
ავით პატიმარ ლევან ცომაიას.[206] ჩემი მაშინდელი შეხედულებ-
ით, გაქცეული რომ ავეყვანე და მკერდზე ხსენებული სვირინგი
ვნახათ, უდავოდ დამხვრეტდნენ, როგორც „თეთრი გიორგის“
ახალგაზრდული ორგანიზაციის წევრს. ამაში, შესაძლოა, არც
ვცდებოდი. ყოველ შემთხვევაში, ასეთი სვირინგის არსებობა
სიფრთხილესაც შემმატებდა და წინააღმდეგობის გაწევის უნა-
რსაც. ამას უნდა დაემატოს წვერის მოშვება, რასაც უშუალოდ
გაქცევის წინ გავიპარსავდი, და ისიც, რომ გასაქცევი ადგილის
ძებნას შევუდექი და ვიპოვნე კიდეც.

ჩვენი ბრიგადა ეგრეთ წოდებული სატირაჟო შამპანურის
საამქროში მუშაობდა. ეს იყო უზარმაზარი სარდაფების მთელი
სისტემა, სადაც ღვინო ჯერ ძველდებოდა და შემდეგ მუშავდე-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ბოდა. ხსენებული სარდაფების სისტემას ერთადერთი ორფრთიანი კარი ჰქონდა. აქ დაცვა იჯდა, შემოსვლა-გასვლას სდარაჯობდა; მაგრამ სარდაფების ბოლოში იყო კიდევ ერთი ცალფრთიანი ლითონის მძიმე კარი, ჯვარედინად რკინისავე რაზებით გადარაზული და უშველებელი ბოქლომებით დაკეტილი. ეს კარი სამშენებლო მოედანზე გადიოდა!.. საჭირო იყო მისი გატეხა და გასვლა, მაგრამ გასვლა სწორედ იმ დროს, როცა ჩვენ, ანუ სარდაფში მომუშავეები, ნასადილევი ვიყავით, ხოლო მშენებლები სადილად მიჰყავდათ და კოშკურის გუშაგებსა და ბრიგადის ბადრაგს შორის მასლაათი მიმდინარეობდა.

წინასწარ მქონდა ბოთლების შტაბელებში ყველაფერი მიმალული - წვერის გასაპარსი ხელსაწყო, სამოქალაქო ტანსაცმელი და ცოტაოდენი ფულიც.

ოცი სექტემბერი იყო. იმ დღეს გაქცევას არ ვაპირებდი, რადგან ჯერ არ ჰქონდა მოტანილი თენგიზ კანდელაკს,[207] შემდგომში ცნობილ, მემკვიდრეობით მეღვინეს, ჩემს უახლოეს მეგობარსა და, საერთოდ, კეთილშობილ ახალგაზრდა კაცს, საბუთები - პასპორტი და სამხედრო ბილეთი. დღე-დღეზე ველოდი. ჩემს სამალავს დროდადრო ვამოწმებდი ხოლმე - ხომ არავინ მიაგნო და გამქურდა-მეთქი. აი, სწორედ იმ ოც სექტემბერს, როცა საბუთების მოლოდინში ვიყავი, სარდაფში შევედი და დავიწყე ზვერვა, - სხვაც ხომ არ არის აქ-მეთქი! მუდამ ასე ვშვრებოდი... რაღაც ფიგურას მოვკარი თვალი, ჩემი სამალავის სიახლოვეს იყო, თამამად იქცეოდა, არ ეგონა, თუ ვინმე უთვალთვალებდა. ფეხაკრეფით მივეპარე. იმდენად გართული იყო ჩემი ქონების ქექვით, რომ ვერც გაიგო, თავს როგორ წავადექი. თბილისელი ქურდი, მეტსახელად „ბეხაია“ იყო, ნამდვილად - ოთარა მაჩიტაძე.

- რას ეძებ?!

დაიბნა. ენერგიის ეკონომიის მიზნით, ნათურები აქა-იქ ეკიდა და იმ მრუმე სინათლეში ბეხაია საფლავიდან ამოღებულს ჰგავდა, მიუხედავად იმისა, რომ გულადი კაცის სახელი ჰქონდა და არცთუ უსაფუძვლოდ.

- ესენი შენია? - ამოღერღა, როგორც იქნა.

- ჩემია!

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ცოტა ხანს იყუჩა და მკითხა:

- რად გინდა?

- ლომბარდში უნდა წავიღო!.. იდიოტო, რისთვის უნდა მჭირდებოდეს, როგორ გგონია?!

- წამომსვლელი ვარ, წამიყვან?

იმ ბანაკში ყველა პოლიტიკურები ვიყავით, მაგრამ იყო ერთი მცირერიცხოვანი ჯგუფი ქურდებისა და მათზე მიტმასნილი პატიმრებისა. ამათი თბილისში დატოვება ან დიდ ქრთამთან იყო დაკავშირებული, ან რაღაც სამძებრო მოსაზრებებთან - სხვანაირად ვერ იქნებოდა, და ისიც ცხადია, რომ ამ მცირერიცხოვან ჯგუფში ოპერრწმუნებულის კაციც იქნებოდა შენერგილი.

დავფიქრდი და მივუგე:

- დღეს არ ვაპირებდი. რახან მნახე და გაიგე, დღესვე უნდა წავიდე. წაგიყვან ერთი პირობით: წავალთ სადილზე. მოგვიყვანენ, დაცვა სარდაფის ყველა კარს შეამოწმებს, მთავარ კარში ჩადგება. მაშინ გაჩვენებ გასასვლელს და გავალთ. მაგრამ გვერდიდან არ უნდა მომცილდე, არავის დაელაპარაკო, არც აქ, არც სადილობისას. ქურდებში კრუხი გყავთ, რასაც ლაპარაკობთ, ოპერმა ყველაფერი იცის. ვერ მოითმენ, წამოაყრანტალებ, გაქცევა ჩამეშლება. გაიგე, რაც გითხარი?

- გავიგე, მაშ!.. ეგრე იქნება... როგორც ამბობ!..

მართლაც, გვერდიდან არ მომცილებია - არც სამუშაოზე, არც ბანაკში. არც ვინმესთან რამე კონტაქტი ჰქონია.

დავბრუნდით. შეგვყარეს სარდაფში. შეამოწმეს შემოსასვლელ-გასასვლელები, ორნი კარებში ჩადგნენ, სხვები - სხვა ბრიგადის სადილად წაყვანას შეუდგნენ. ამას დრო სჭირდებოდა. პატიმრები უნდა მოაგროვო, გადაითვალო, შენობიდან გაიყვანო, ხელახლა გადაითვალო...

ამასობაში, წვერი გავიპარსე, ბეხაიას „ოტმიჩკა“ მივეცი, ტანისამოსი გამოვიცვალე და სარდაფის ბოლოდან ორი ჩახანი მომესმა. ეს ნიშნავდა, რომ ბეხაიამ კლიტეები დახსნა და გადაყარა. ეჭვი მეწვია - რატომ სჭირდებოდა ეს ზედმეტი ხმაური? რას იზამ, ამ ვითარებაში ყველაფერი საეჭვოა, მაგრამ დრო წარმებით იყო განსაზღვრული და უკვე რაზებისგან განთავისუფლ-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ებულ კარს მივადექი. ბეხაიამ კარი გამოაღო... გასვლა იყო საჭირო, აყოვნებდა, სურდა, პირველი მე გავსულიყავი. ეს ქურდის წესია - საფრთხეს თავად არ შეუშვერს თავს, თუკი „არიფი" გვერდითა ჰყავს. ფიქრის დრო აღარ იყო, კი არ გავედი, კარი ვიწრო იყო, ძლივს გავძვერი - გამომყვა. პატარა ბაქანზე ვიდექით და არც ისე რთულად აღმოჩნდა საქმე, როგორც მე წარმომედგინა. გადავხტებოდით თუ არა, უკვე საფარს ქვეშ აღმოვჩნდებოდით, რადგან სართულის ბეტონის გადახურვა დაგვიფარავდა გუშაგის ყურადღებისა და თვალისგან. კარგა მანძილი იყო გასავლელი, შემდეგ იწყებოდა გვირაბი, რომელიც სადგურის ბაქანზე გადიოდა. მერე იყო ორი ლიანდაგი, დაღმართი და ბაღები მტკვრამდე... ვისკუპე, გადავხტი! ბეხაიაც გადმოხტა, მაგრამ კარი არ მოიხურა, ესე იგი სარდაფში სინათლის ჭავლი სცემდა, დაცვის ყურადღებას უთუოდ მიიქცევდა, ანუ გაქცევა გამჟღავნდებოდა - გადახტი, მოხურე-მეთქი! არ დამიჯერა, აღარც მე ჩავაცივდი. მოვუსვით, გვირაბი გავირბინეთ, რკინიგზის ბაქანზე არავინ ჩანდა. ლიანდაგებზე ჩავხტით, ნელი ნაბიჯით გადავიარეთ, მიწაყრილიდან ბაღებში ჩავედით და მტკვრისკენ გავწიეთ.

- საით მივდივართ? - ბეხაიამ იკითხა.

- უკვე გარეთ ვართ, თუ გინდა, შენ გზაზე წადი, თუ არა - ნუ მეკითხები, მომყევი.

აღარაფერი უკითხავს. ჩემი გეგმით, უნდა გადაგვეცურა მტკვარი, გაღმა ნაპირით თბილისისკენ ორიოდე კილომეტრი გაგვევლო, ხელახლა გამოღმა გადმოგვეცურა და ისევ აქეთა მხრით განგვეგრძო სიარული. ეს იმისთვის გვჭირდებოდა, რომ გამოდევნებული ძაღლისთვის კვალი გაწყვეტილიყო და მდევარს ევარაუდა, მარჯვენა ნაპირზე ვიყავით საძებნელი მაშინ, როცა ჩვენ მარცხენა ნაპირით შევიდოდით ქალაქში.

მტკვარს მივადექით. გავიძრე რაც მეცვა, ქამრით თავზე დავიმაგრე, რომ არ დამსველებოდა, და ამ დროს ზურგიდან გავიგონე:

- მე არ შემოვალ, ცურვა არ ვიცი!

მივიხედე. ბეხაია ისევ ისე იდგა, როგორც მოვედით.

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

- ბიჭო, ორთაჭალაში გაზრდილმა კაცმა ცურვა არ იცი?.. გაიხადე, ან წადი... შემოდი, წყალი პატარაა, გიშველი!

დამყვა. ალბათ, რაღაცა მოსაზრება ჰქონდა, ჩემთან დაცილებას თავს რომ არიდებდა.

მტკვარი დამშრალი მოდიოდა, სულ რაღაც ათი მეტრი იყო ისე ღრმა, სადაც ჩემი დახმარება დასჭირდა. გავედით, ჩავიცვით, ბაღ-ბაღ ვირბინეთ. ისევ გავიხადეთ, გადმოვცურეთ და ორი გასროლის ხმაც მოისმა! დაცვა ასე აღნიშნავს ხოლმე პატიმრის გაქცევასა და ამის გამო განგაშს, მაგრამ ჩვენ უკვე თბილისის განაპირა სახლებს შორის ქვაფენილით მივემართებოდით. გარეუბანი იყო, საარმიო პატრულები აქაურობას ვერ სწვდებოდნენ, ცენტრში იყო საშიში. საბუთები არც ერთს არ გვქონდა...

ჩვენ იმავე დღეს გავებით, მაგრამ ეხლა შევისვენოთ, თორემ მენჯმა ძალიან გამიმლაშა... ჰო. თბილისში რომ შემოვედით, ბეხაიამ სთქვა, - კუკიაზე ძმაკაცები მყავს, ჯიბგირები. იქნებ რაიმე საბუთები ჰქონდეთო. მივედით. ბარე ხუთნი მოგროვდნენ. ომი ახალი დამთავრებული იყო, ხალხს უჭირდა; მაინც ღვინო და რაღაც საჭმელი გაჩნდა უცებ, მაგრამ საბუთები არავის აღმოაჩნდა. მერე ბაქოს ქუჩაზე „მოლასთან“[208] მივედით. არც აქ გამოვიდა რამე. გადავწყვიტეთ, მტკვარგაღმა გავსულიყავით. პლეხანოვის გამზირზე რამდენიმე წყვილი პატრული დასეირნობდა, გამვლელ-გამომვლელს, ძირითადად, ახალგაზრდებს საბუთებს უსინჯავდნენ... დღემდე არ მესმის, რა მიზანი ჰქონდა პატრულირებას? ომი დამთავრებული იყო, დეზერტირები — ამნისტიით გათავისუფლებული... რა ვიცი, აბა?!. სადაც არ უნდა გადაგვეკვეთა გამზირი, პატრულს შევეჩეხებოდით და - სალამი, საქართველოს უშიშროების სამინისტროს შინაგანი ციხის საკნებო!.. ეგ არის, როგორც იტყვიან, არაა ვითარება, საიდანაც გამოსავალი არ მოიძებნოს. მივაგენი კიდეც და, აი, როგორს: ჩელუსკინელთა ქუჩისა და პლეხანოვის გამზირის კუთხეში, კინოსტუდიის მოპირდაპირე მხარეს, იყო ერთსართულიანი ძველი შენობა, შიგ განლაგებული რკინიგზის ბილეთების სალაროებით, რომელსაც შესასვლელი ჰქონდა როგორც ჩელუსკინელთა ქუჩიდან, ისე პლეხანოვის გამზირიდან. შეიძლებოდა, შე-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ვსულიყავით ჩელუსკინელთა ქუჩიდან, მივსულიყავით გამზირზე გასასვლელ კართან, დავლოდებოდით, სანამ პატრული მუშტაიდისკენ გაივლიდა, გადაგვეკვეთა გამზირი, რამდენიმე მეტრი მარცხნივ და, აჰა, ჩელუსკინელთა ქუჩა თავისი ხიდით. ხიდს იქით - გმირთა მოედანი, ანუ ის, რაც გვსურდა. ასეც მოვიქეცით. გადავკვეთეთ ჩელუსკინელთა ქუჩა, შევედით სალაროებში, მივედით პლეხანოვის გამზირზე გამავალ კართან, დაველოდეთ, სანამ პატრული კინოსტუდიას კარგა მანძილით გასცდებოდა, გადავჭერით გამზირი და აქ მოხდა ის, რასაც სრულ მოულოდნელობას უწოდებენ... მე წინ მივდიოდი, კვალში ბეხაია მომდევდა. გადავედით. წავედი მარცხნივ, ჩელუსკინელთა ქუჩისკენ. ხუთი ნაბიჯი არც მქონდა გადადგმული, რომ იქიდან პატრულმა გამოუხვია, გამაჩერა, საბუთები მომთხოვა. ძალიან საქმიანად და გულდასმით მოვიქექე ყველა ჯიბე და სინანულით ვთქვი, - შინ დამრჩენია-მეთქი. მოგვყევითო, მითხრეს და გატრიალდნენ. მივყევი, მაგრამ კუთხეს რომ გავცდით, ესე იგი, ჩელუსკინელთა ქუჩაზე რომ გავედით, ხიდისკენ გავიქეცი. კი არ მივრბოდი, მივქროდი. სპორტსმენი ვიყავი, თანაც, სახელდობრ, სირბილში სერიოზულად ნავარჯიშევი. ერთი-ორჯერ მომაძახეს, - გაჩერდი, თორემ გესვრითო! და დამაყარეს კიდეც. ორივე ისროდა. არ ვიცი, ერთ-ერთი, შესაძლოა - ჰაერში, მაგრამ ქვაფენილზე ტყვიებს ტკაცატკუცი რომ გაუდიოდა, მესმოდა. ვიღაც კაცმა იმიტაცია გააკეთა, ვითომ ჩემს დაჭერას შეეცადა და, მგონია, იმ კაცმა და სხვა ფეხით მომავალმა მოქალაქეებმა გადამარჩინეს ზურგში „პეპეშას“ ტყვიებს. სროლა მიწყდა, კვლავინდებურად გავრბოდი. მივიხედე - აღარავინ მომდევდა, და წყნარი, მშვიდი ნაბიჯით განვაგრძე გზა. ხიდამდე ათიოდე ნაბიჯიღა მქონდა გასავლელი... სატვირთო მანქანა გაჩერდა, საფეხურიდან ის ორი ჯარისკაცი ჩამოხტა... რაღა იქნებოდა, გავჩერდი. „რუკი ვვერხო!“ არც ამიწევია, არც ავწევ-მეთქი; არ ვიცი, რატომ მივუგე ასე, ხელები ზურგს უკან ჯვარედინად შემოვილაგე, გამიგდეს წინ და მომყვნენ უკან. ჩელუსკინელთა ქუჩისა და პლეხანოვის კუთხეში, სალაროების დიაგონალურად, ერთსართულიანი ფთიზიატრიული დისპანსერი იყო წინ პატარა ბაღით. ბაღს ნახევარი მეტრის სიმაღლის ბორდიური არ-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

შიასავით ერტყა. ზედ ვიღაცები ისხდნენ, სამიოდ კაცი. თავს
გუშაგი ადგათ. მიმიყვანეს და დამსვეს. მეორე მოულოდნელო-
ბა: ბეხაიაც აქ იჯდა! პირი დავაღე, წასული მეგონა! დამავიწყ-
და მეთქვა, რომ კუკიაზე იმ ბიჭებს გაზეთი გამოვართვი, მთელი
იმ ხნის მანძილზე ხელში მეჭირა. გავშალე და სახეზე ავიფარე,
ვითომ ვკითხულობდი, - არავინ მიცნოს-მეთქი. რამდენიმე ნა-
ცნობმა ჩამიარა.[209] საბედნიეროდ, ზოგმა ყურადღება არ მოგვა-
ქცია, ზოგმა შემოგვხედა, თვალი აგვარიდა და წავიდა. დარწმ-
უნებული ვარ, ისეთიც იყო მათ შორის, რომელმაც გაიფიქრა, -
ნეტავი, რა ხდება, რომ თავს ავტომატიანი გუშაგი ადგას და ეს
კაცი კი ასეთი გატაცებით კითხულობს გაზეთსო?! ასე, ოთხის
ნახევარი იქნებოდა, იმ ბორდიურზე მსხდომები სატვირთო მა-
ნქანით ქალაქის სამხედრო კომენდატურაში მიგვიყვანეს ალე-
ქსანდრეს ბაღთან. მორიგე ოფიცერს ჩემს გამო მოახსენეს, გა-
რბოდა, დავიჭირეთო. მე გოგოლის ქუჩის ოცდაცამეტ ნომერ
სახლში მცხოვრებ გიორგი ალექსანდრეს ძე მაისურაძედ, უნი-
ვერსიტეტის სტუდენტად გავასაღე თავი. ბეხაიამაც სტუდენტ-
ობა დაიბრალა. სახელი თავისი დაიტოვა, - კალანდაძე ვარ, ფი-
როსმანის თორმეტში ვცხოვრობო. ჩვენი გვარები მორიგე ოფ-
იცერმა დიდის რუდუნებით ჩაწერა დავთარში და ორივენი ისე-
თსავე „ბნელს, ვიწრო და ნესტიან“ სარდაფში შეგვყარეს, რო-
ორშიც ლაზარილიო ტორმესელი და მისი რაინდი ცხოვრობდნ-
ენ. კარგა ბლომა ხალხი დაგვხვდა. ყველა განაბული და ფიქრე-
ბში წასული ბრძანდებოდა. გოგოლის ქუჩა — მე, და ფიროსმა-
ნისა - ბეხაიამ იმიტომ ვთქვით, რომ ეს ქუჩები მილიციის ერთი
და იგივე განყოფილების კომპეტენციაში შედიოდა, სახელდო-
ბრ, მეცხრესი. იქ თანამშრომელი მეგულებოდა, გულიკო ზაქა-
რაია;[210] შორეულ ნათესავად მერგებოდა - წყალწაღებული ხავ-
სს ეჭიდებოდაო!..

შესაძლოა, მე და ბეხაიას ერთად იმიტომ დაგვიძახეს, რომ
ერთ მილიციას ვეკუთვნოდით და, აი, კიდევ ერთი მოულოდნე-
ლობა: მაგიდას სხვა ოფიცერი უჯდა და არა ის, რომელსაც ჩე-
მი გაქცევის ცდა მოახსენეს. ეს იმიტომ მოხდა, რომ მორიგე
ხუთ საათზე შეიცვალა. ძველს ახლისთვის ჩემი ამბის თქმა
დაავიწყდა. ვფიქრობ, სწორედ ეს მომენტი იყო ჩემი უიღბლო-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ბის შემოტრიალება იღბლიანობისკენ... შევსებული ბლანკების მიხედვით, რაღაცები გვკითხა; ერთი ორმოცი-ორმოცდახუთი წლის თოფიანი კაცი მოგვიჩინა და მეცხრე განყოფილებაში გაგვისტუმრა. ხელები ზურგს უკან გვქონდა ჯვარედინად შემოლაგებული, წინ ჩვენ მივდიოდით, უკან, ასე, ათი-თხუთმეტი ნაბიჯის მოშორებით, ის მებადრაგე მოგვდევდა. ვორონცოვის ხიდები გადავიარეთ, კამოს ქუჩით მივდიოდით. ბეხაიას გადავუჩურჩულე, თავი არ მიმიბრუნებია, ისე, - სემიონოვის ქუჩასთან შენ ზევით გაიქეცი, მე მტკვარში გადავხტები-მეთქი, და კიდევ მოულოდნელობა: რანაირად გაიგონა ჩემი ჩურჩული ბადრაგმა, თანაც საგრძნობ მანძილზე, - დადექითო, გვითხრა. დავდექით.

- ყველაფერი გავიგონე, რასაც აპირებთ. ოჯახისა და შვილების პატრონი კაცი ვარ, არ დაგინდობთ, გესვრით. ნურც თავს გაიფუჭებთ, ნურც მე გამხვევთ შარში. სიტყვას გაძლევთ, მიგიყვანთ მილიციაში, ხელს მოვაწერინებ ჩაბარებაზე და არაფერს ვიტყვი, რომ გაქცევას აპირებდით. შევთანხმდით?

ჩვენ, ცხადია, ხელი დავიბანეთ, - არაფერი მაგდაგვარი არ ყოფილაო.

იარეთო!..

ვიარეთ, მიგვიყვანა, მორიგეს ქაღალდებზე ხელი მოაწერინა. ხმა-კრინტი არ დაუძრავს, გაბრუნდა და წავიდა.

მაშინდელი მილიციების მორიგის დარბაზში, დაკავებულთათვის ხის რიკულებიანი მოაჯირით შემორაგული, ფარეხივით რამ ჰქონდათ. დაპატიმრებულთათვის - საკნები იყო. იმ ფარეხში შეგვყარა მორიგემ, რომელიც ასევე შემორაგულ პლატფორმაზე უჯდა საწერ მაგიდას და ტელეფონის ზარზე ასე უპასუხებდა: „დევიატი ადელენია დეჟურნი სტარში ლეიტენანტ თავაძე[211] სლუშაიტ!“ დარბაზში... დარბაზი არ იყო, დიდი ოთახი იყო... იქ ხალხი ირეოდა - ნუ იტყვი! მეძავები, ჯიბგირები - ეჭვით მოყვანილი, თორემ საქმეზე დაჭერილებს საკანში ათავსებდნენ. იყვნენ ბოშა ქალებიც - კოჭის ძაფითა და სხვა წვრილმალით მოვაჭრეები, და ხულიგნებიც, რომლებიც ჩხუბსა და ლანძღვა-გინებას აქაც განაგრძობდნენ. მორიგე „სტარში ლეიტენ-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ანტ თავაძე“ ყოველივე ამას აუმღვრევლად შესცქეროდა, რიგ-
რიგობით უხმობდა და ზედიზედ ათავისუფლებდა. ამ აქტს ასე
ასრულებდა:

- კაზარიან,[212] გოუშვი მაგ!

დრო გადიოდა.

ველოდით, რომ, აი, ახლა შემოვლენ ოპერატიული მუშაკები
- ისინი, ვინც ჩვენ, გაქცეულებს, გვეძებდნენ, და მორჩა გაქცე-
ვა! გაქცეულებს ეძებდნენ ხოლმე ყველგან, მათ შორის, მილი-
ციის განყოფილებებშიც, რადგან ადვილი შესაძლებელია, გაქ-
ცეული უკვე მილიციის მიერ იყოს აყვანილი. ასე ხშირად ხდე-
ბა, მაგრამ ჩვენდა ბედად, ამგვარი გულმოდგინება არავის გამ-
ოუჩენია.

რომ არ არსებობს ვითარება, საიდანაც რაიმე გამოსავალი
არ იყოს, ეს ჩემი ცხოვრების დევიზია დაბადებიდან დღემდე და
ჩემმა ტვინმა ამ მიმართულებით, მართლაც, გრანდიოზული სა-
მუშაო შეასრულა. შეასრულა და შედეგიც მიიღო. მდგომარეო-
ბა ასე განვითარდა: სამორიგეო დაცარიელდა. ერთი მილიციე-
ლი გადიოდა და ისევ ბრუნდებოდა მორიგის ახალ მითითებამ-
დე. მეორე, კაზარიანი, შემოსასვლელში იჯდა და დროდადრო
თვლემდა.

- ბატონო მორიგე, ნება მომეცით, მოვიდე. - ესე იგი, შემორ-
აგულიდან გამოსვლისა და ორიოდე სიტყვის თქმის უფლება
ვთხოვე.

- გამოდი!

მივუახლოვდი და ძალიან ხმადაბლა ვუთხარი:

- ბატონო მორიგე, რა აზრი აქვს ჩვენს აქ ყოფნას? ერთ-ერ-
თი გაგვიშვით, ორივეს საბუთებს მოიტანს. ბევრს არ შეგპირდ-
ებით, მაგრამ სამას მანეთს მოგართმევთ!

ამასობაში ბეხაიამაც დატოვა რიკულებიანი ფარეხი და გვე-
რდში ამომიდგა. „სტარში ლეიტენანტ თავაძემ“ კარგა ხანს იფ-
იქრა და ბეხაიას უთხრა:

- წაი შენ და მოიტანე ყოლიფერი!..

მორიგეს ეს ფრაზა დამთავრებული არც ჰქონდა, ბეხაია ად-
გილს მოსწყდა. ხელი ვტაცე, ძლივს გავაჩერე.

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

- დედაჩემს უთხარი, საბუთებს სამასი მანეთი გამოაყოლოს! - მორიგის გასაგონად ვთქვი.

- კაზარიან, გოუშვი მაგ! - უკვე კართან მისულ ბეხაიას ეხებოდა ეს ამნისტია.

ვიცოდი, ბეხაიას ველარასოდეს ვნახავდი, რადგან დედაჩემს ლანჩხუთის კოლონიაში ნამდვილად არ მიაკითხავდა. მიეკითხა კიდეც, ჩემი საბუთები უშიშროების სამინისტროს არქივებში საიმედოდ ინახებოდა. მაგრამ ეს ფანდი გეგმის მხოლოდ ნახევარი იყო. აქვე ვიტყვი, ისიც ვიცოდი, რომ დანაპირები სამასი მანეთის მოსატანად მორიგე ბეხაიას გაუშვებდა. მე, გეგმის მიხედვით, სამასმანეთიანი მძევლის როლი მომენიჭებოდა. ეხლა ყველაფერი ეკიდა იმაზე, შემოვიდოდნენ თუ არა ოპერატიული მუშაკები უახლოეს საათ-საათ-ნახევარში და აღმომაჩენდნენ თუ არა რიკულებიან მოაჯირს იქით, ფარეხში.

ასეა თუ ისე, საქმე სასურველი არხით მიემართებოდა. თავაძემ თავისი მაგიდა დასტოვა, გარეთ გავიდა. ცოტა ხანში გულიკო ზაქარაიამ შემოანათა თავისი სათვალით. იმწუთშივე პირქვე დავემხე მერხზე, თავი მოვიმძინარე. მე ის აღარც მჭირდებოდა და საშიშადაც ჩავთვალე, დავნახვებოდი. რა იცის კაცმა, სისხლის სამართლის სამძებროს დაბალჩინიანი მუშაკი იყო, თანამდებობის მომატება რომ განეზრახა?! ეს იმთავითვე უნდა გამეთვალისწინებინა, მაგრამ ხომ ვთქვი, წყალწაღებული კაცი ხავსს ეჭიდებოდა-მეთქი. ესაც ნუ იქნება, ჩემს გეგმას კიდევ ერთი, ფრიად არსებითი ხარვეზი აღმოაჩნდა და, სახელდობრ, აი, რა: გულიკო ზაქარაია ტელეფონით ბარე ნახევარი საათი ელაპარაკა ვიღაც გოგოს. სად არ ეპატიჟა, რა არ შესთავაზა, მაგრამ მგონია, ყველაფერზე უარი მიიღო. ეს იქიდან ვიცი, რომ ყურმილი დადო, ძალიან მსუყედ შეიგინა და ნერვებაშლილმა დასტოვა განყოფილება. ცოტა ხანში მორიგე თავაძე დაბრუნდა, თავისი ადგილი დაიკავა. ვიჯექი და ვფიქრობდი, უკვე დრო იყო თუ არა, გეგმის მეორე ნაწილის განხორციელებას შევდგომოდი? მეშინოდა, აჩქარებით არ გამეფუჭებინა ასე კარგად დაწყებული ოპერაცია. არა და, ოპერატიული მუშაკები?! მაინც მოვითმინე კიდევ ნახევარი საათი და ისევ ვთხოვე, მივეშვი სიახლოვეს.

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

- ბატონო მორიგე, - ხმადაბლა მივმართე, რომ კაზარიანს არ გაეგონა. - ის ბიჭი რაღაც საეჭვოდ გაქრა. გოგოლის ქუჩაზე ასვლას ორი საათი უნდა? წარმოვიდგინოთ ასეთი რამ: ვთქვათ, ეს კაცი დეზერტირია ან დამნაშავეთა სამყაროს ეკუთვნის. მივიდა დედაჩემთან, გამოართვა ჩემი საბუთები, ფული და გასწია თავის გზაზე. მე ხომ უნდა განვაცხადო, რომ პასპორტი და სამხედრო ბილეთი დავკარგე. რა ვთქვა?!.

- რაია, შენ და მაგ ბიჭი ერთად არ იყავით?.. არ იცნობ, ვინაა?

- ერთად ვიყავით, უკეთ ვთქვათ, ერთად მოგვიყვანეს კომენდატურიდან, მაგრამ რა ვიცი, ვინ არის?

ისე ღრმად ჩაფიქრებული, „დევიატი ადელენია დეჟურნი, სტარში ლეიტენანტ თავაძე“ რომ იყო, როდენის ცნობილი ქანდაკების შემდეგ აღარავინ და აღარაფერი მინახავს, მაგრამ გონს შედარებით მარდად მოეგო და მკითხა:

- სად ცხოვრობ შენ?

- გოგოლის ოცდაცამეტში! - მეც მარდად მივუგე.

თავაძე ყურმილს დასწვდა, ჩემი გეგმის „არსებითი ხარვეზი“ ამუშავდა. ნომერი აკრიფა:

- ნათელა, გამარჯობა შენი! როგორ ხარ, საყვარელო, ხომ ხარ კარგად?..

ის ლაპარაკი, დაახლოებით, სამ-ოთხ წუთს გაგრძელდა.

სიმართლეს ვიტყვი, ჟრუანტელმა დამიარა, მუხლებში სისუსტე ვიგრძენი, ლამის, წავქცეულიყავი. მკლავებით მოაჯირს დავენდე და ასე განვაგრძე ჩემი სასიკვდილო განაჩენის პრეამბულის მოსმენა.

- კაი, აბა! - დაასრულა ლაპარაკი თავაძემ.- ნახე ერთი, გოგოლის ოცდაცამეტში მაისურაძე თუ ცხოვრობს?..

დარწმუნებული ვარ, ასეთმა პაუზებმა არაერთ ჩემსავით გენიალურ პიროვნებას მოუღო ბოლო, ძირითადად, ინფარქტის მეშვეობით.

პაუზა კარგა ხანს გაგრძელდა, ნათელა ეძებდა!..

- კაი, აბა! დაგირეკავ კიდევ. - სთქვა მორიგემ და მილიციელს მიმართა: - კაზარიან, მოი აქ!

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მეგონა, კაზარიანი გასაღებების ასხმულას ამოიღებდა, დერეფანში შემაგდებდა და ერთ-ერთ საკანში მიკრავდა თავს. ნურას უკაცრავად...

- წეიყვანე ახლა ეს ბიჭი გოგოლის ქუჩაზე, წამეიღებს საბუთებს და მეიყვანე ისევ. აუცილებლად მეიყვანე ისევ! ხომ გესმის?.. წაით!

მადლობა ვთქვი და... კაზარიანი აქ რომ ველარ მომიყვანდა, ამაში ეჭვის შეტანა იდიოტის ხვედრია...

ერთი სასაცილო თუ დრამატული რამ მოხდა. ნინოშვილის ქუჩას რომ მივაღწიეთ, მარჯვნივ შევუხვიე.

- სად მიდიხარ?! - მკაცრად მკითხა.

- აქ, ორმოცდაათ ნომერში, დეიდაჩემი ცხოვრობს. დედაჩემი საღამოობით აქ არის ხოლმე, შინ მარტო ვერა სძლებს. ეხლა რა, გოგოლზე ავიდეთ, შინ არ დაგვხვდეს, ისევ ჩამოვიდეთ?

მილიციელმა ასეთ არგუმენტს ვერაფერი დაუპირისპირა. ამ ქუჩაზე მქონდა გატარებული ყრმობა. ორმოცდაათი ნომრის ეზოს ორმოცდარვა ნომრის ეზოსგან გადანგრეული აგურის ღობე ჰყოფდა და თვით ორმოცდაათი ნომრის შესასვლელი გრძელი და ბნელი იყო. შევედი. შემომყვა. მოვუტრიალდი, ყბაში ვუთავაზე. იმხელა ვირგლა ვიყავი, დარტყმა სანოკაუტო იყო. ორმოცდარვა ნომრის ეზოში გადავხტი, ქუჩაში გავვარდი და, რიგიანად ვერ გამირტყამს, კაზარიანიც გამოვარდა, სროლა ატეხა. კლდიაშვილის ქუჩისკენ გავრბოდი. ხის ძირას შეყვარებული წყვილი იდგა. იმ სროლაზე - ბიჭისა არ ვიცი, გოგომ შეჰკივლა, გულწასული დაეცა...

წავედი, რა თქმა უნდა. მილიციელზე ძალადობა ჩემი სიცოცხლის მანძილზე პირველიც იყო და უკანასკნელიც, მაგრამ ის, რომ გოგოლის ოცდაცამეტში მაისურაძე მართლა ცხოვრობდა და ეს შემოწმებულია, იმ მრავალრიცხოვან დამთხვევათა შორის, რითაც აღსავსეა ჩემი ცხოვრება, უმნიშვნელოვანესი მაინც ეს დამთხვევა იყო... მოიცა, ეს რა გამოდის, მიტილენიჩმა რამდენი გაქცევა უნდა დაწეროს?.. რამდენი და პირველი — ჩეკისტებისგან, მეორე და მესამე ერთ დღეს - ბანაკიდან და, მილიციელისგან, ორი - ყარაგანდიდან, მეექვსე - ბუხტა-ვანინადან... გაქცევა არ იყო, მცდელობა გახლდათ... მეექვსე - ეს გაქცევაა...

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

დასწყევლოს ეშმაკმა, როგორც უნდა, ისე იანგარიშოს. რა განსხვავებაა?!. ჰო, ის ღამე კუკიის სასაფლაოზე გავატარე. იასამნებით გაბარდული სამარე იყო, დიდი ხნის მიტოვებული და საოცრად რბილი, ალბათ, წლობით ნაცვენი ფოთლებით გაფაფუკებული ნიადაგით. მკვდარივით მეძინა. მიუხედავად იმისა, რომ დიდი განცდები მქონდა გადატანილი, რიჟრაჟზე გამეღვიძა, მაგრამ საღამომდე ქალაქში ფეხი არ გამედგმებოდა. მივუჯექი ვილაცის საფლავს კაი ჭირისუფალივით... მახსოვს, შუადღე გადასული იქნებოდა, შორიახლოს ქალბატონები - ნატო ვაჩნაძე და კირა ანდრონიკაშვილი — გამოჩნდნენ - დები. დასხდნენ პატარა ხნით, დატოვეს ყვავილები და წავიდნენ. მოგვიანებით მივედი, დავათვალიერე. წარწერა ვერსად ვნახე. ნეტავი, ვის საფლავზე იყვნენ?

დაღამდა. გარეთა მამიდა[213] მყავდა, მარტოხელა, შინაბერა ქალი. გამოვეცხადე. კარადა ოთახის გარდიგარდმო ედგა. კარადის იქით საწოლი იყო. ადგილი მომიჩინა. ორსართულიანი სახლის ზედ მიწაზე მდგარი ოთახი იყო. ზემოთ, ვრცელ ბინაში, ბომბორა ჩეკისტი ცხოვრობდა; ისე რომ, დაცვით უზრუნველყოფილი ვიყავი. მამიდა თამარი დილიდან საღამომდე სამსახურში იყო. მე საღამომდე გარეთ გასვლა არ შემეძლო და არც მჭირდებოდა - დღისით ვერავის დავენახვებოდი. ამ ოთახთან დაკავშირებით... ამ ოთახში ისეთი რამ მოხდა, მთელი სიცოცხლე გავიდა მას მერე და, არა მარტო დღემდე გუშინდელივით მახსოვს, არამედ, პატიოსნების, თავშეკავებისა და, მეორე მხრივ, უხამსობისა და გულის ერთი წამოძგერებით ნაკარნახევ საქციელს შორის ზღვარის ფასი ვისწავლე. ცხოვრება სკოლაა დაბადებიდან სიკვდილამდე... განსაკუთრებით, ახალგაზრდობაში, თუ ცოტათი მაინც დაღვინებულია გონება... თავს ცუდად ვგრძნობ, სიცხე მაქვს? აბა, მაჯა გავისინჯოთ!..

გორამ სიცხიანმა იარა ბარე სამი დღე-ღამე, სანამ ფილიპოვის რუკაზე აღნიშნული მონადირის ქოხი იპოვნა. გრძნობდა, კარგა ხნის დასვენება და მკურნალობა დასჭირდებოდა. ცის ქვეშ ეს ვერ მოხერხდებოდა, ჭერი და სითბო იყო საჭირო - ამიტომ იარა და ეძება ასე დაჟინებით.

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

შორიდანვე დაინახა, კარგად დაზვერა. ნახა, ბოლი არ ამოდიოდა, და აღარ დაუყოვნებია. მივიდა, კარზე ბოქლომი ეკიდა. გასაღების ძებნას კარგა ხანი მოუნდა, მიუხედავად იმისა, რომ წინასწარ იცოდა, სადაც უნდა ყოფილიყო. სწორედ იქ იდო, მიშა ფილიპოვმა რომ სთქვა, ანუ იქ, სადაც მონადირეთა დიდი უმრავლესობა ინახავს სანადიროდ გასვლისას, ან სეზონის დამთავრების შემდეგ. ბოქლომი მოხსნა, შევიდა. როგორც რიგი და წესია, ღუმელთან კვარი, წვრილად დაპობილი შეშა და ასანთი დაუხვდა. ცეცხლი დაანთო. ქოხში სითბო დატრიალდა, კიდევ შეუკეთა, საძილე ტომარაში ჩაძვრა და როდესაც გამოეღვიძა, ქოხში ისეთივე ყინვა იყო, როგორც შემოსვლისას.

რამდენ ხანს მეძინა?.. ორი, სამი დღე-ღამე თუ რამდენიმე საათი?.. სულ ერთი არ არის?.. სულ ერთია! აღარ მახსოვს, წამლები დავლიე თუ არა. არც ახლაა გვიან. სიცხე ისევ მაღალი მაქვს... არა, წამლები დავლიოთ, ღუმელი გავაფიცხოთ... შეშაა მოსატანი... შეშა წინამოშია... აგერა, თაროზე ქილები ალაგია. მეოჯახე კაცია ამ ქოხის პატრონი, პირქვე დაუმხია, მტვერი არ ჩავიდესო... საცოდავი დედაჩემი, პატიმრობიდან რომ დაბრუნდა, ჩაის ნახევარლიტრიანი ქილით სვამდა, ვერაფრით გადავაჩვიე... აბა, ბანაკში ჭიქა - საიდან, იქაური ჩვეულება ჰქონდა. ამავე ჩვეულებით წავიდა ხელმეორედ. წავიდა და ვეღარც დაბრუნდა. ისიც კი არ ვიცი, სად გარდაიცვალა... არა, პირველი პატიმრობიდან რომ დაბრუნდა, საწყალს რა დღე დააყარეს. მაშინ საბჭოთა ხელისუფლებას, კერძოდ, შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯერ შემოღებული არ ჰქონდა ვადამოხდილი პატიმრების „თავისუფალ“ დასახლებაში დატოვება. ეს მერე გამოიგონეს, მგონია, მეორე მსოფლიო ომის დროს. სამაგიეროდ, დაბრუნებულებს თბილისში ცხოვრების უფლება აკრძალული ჰქონდათ. სულ ცოტა, ოცი კილომეტრის დაშორებით უნდა ეცხოვრათ. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ამ სანქციას ფორმალური ხასიათი უფრო ჰქონდა. დედაჩემმა მცხეთაში, გედევანიშვილებთან მოახერხა „ჩაწერა“ და ძირითადად კი ჩემთან იყო, საკუჭნაო რომ მოგვცეს პაპას და მე. სულ სხვანაირი დაბრუნდა, ყველაფრისადმი ინტერესდაკარგული, პასიური. არადა, წასვლამ-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

დე ენერგია და შრომის წყურვილი, შეიძლება, ითქვას, უზღვავი ჰქონდა. აი, ერთი მაგალითი: ოცდაათიანი წლების დასაწყისში საქართველოს საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხიდან აუარება მეძავი და პროფესიონალი თუ მოყვარული მათხოვარი მოაწყდა... მათხოვრებზე მერე ვთქვათ. დედაჩემმა და ერთმა ფრიად პატივცემულმა მანდილოსანმა, ქალბატონმა ქეთევან ჩხაიძემ,[214] შრომითი აღზრდის დისპანსერი დააარსეს, სამასამდე მეძავს მოუყარეს თავი. ეს არ იყო ციხე ან სხვა რამ ამგვარი. ქალები ცხოვრობდნენ და იკვებებოდნენ საერთო საცხოვრებელში. იქვე იყო ტრიკოტაჟულ ნაკეთობათა საწარმო და სამკურნალო დაწესებულება, სადაც ვენერიულ და სხვა სნეულებებს მკურნალობდნენ. მეხსიერებაში ჩამრჩა, რაოდენი აზარტით, პასუხისმგებლობითა და სიყვარულით უძღვებოდა ამ საქმეს ეს ორი მანდილოსანი. ასეთი იყო დედა პატიმრობამდე...

აი, ამ მათხოვრებს კი ვერავინ ვერაფერი მოუხერხა. მათი მოზღვავება განსაკუთრებით ზამთრის თვეებში იგრძნობოდა. კონტინენტური სარტყლის ყინვები სამხრეთისკენ მოერეკებოდა საბჭოთა სოციალისტური საზოგადოების არცთუ მცირერიცხოვან ფენას. ქართველი და, ისიც, კომუნისტი, რას არ გამოიგონებს! მათხოვრების პრობლემა, ნაწილობრივ, ასეთი ხრიკით გადაწყდა: როცა მოსკოვიდან რაიმე კომისიის ან დიდი თანამდებობის პირის ჩამოსვლა იყო მოსალოდნელი, ჩამოივლიდა ქალაქს მილიცია, სატვირთო მანქანებში ჩაჰყრიდა მათხოვრებს, გაიყვანდნენ თბილისიდან სამოცი-ოთხმოცი კილომეტრის მანძილზე და იქ ჩამოჰყრიდნენ. მაშინ ტრანსპორტი განვითარებული არ იყო და, სანამ მათხოვრები თბილისამდე ჩამოაღწევდნენ, კომისია თუ მაღალი თანამდებობის პირი თავის სამყოფელს უბრუნდებოდა. ერთ საინტერესო ეპიზოდს შევესწარი: ცალფეხა, ყავარჯნიანი მათხოვარი იყო, გაურკვეველი ეროვნებისა. სიონთან მოვდიოდი სწორედ მაშინ, როცა მათხოვრების მორიგი აკრეფა ხდებოდა. ის ცალფეხა მათხოვარი ზეზე წამოიჭრა, ყავარჯნები, ხურდაფულიანი ქუდი არად ჩააგდო და ისეთი სისწრაფით დატოვა მოღვაწეობის ადგილი, რომ კაი წკერტი მილიციელიც კი ვერ დაეწია, მიუხედავად იმისა, რომ კარგა ხანს დიდი შთაგონებით სდია...

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

გორას ამ ფიქრებში ჩაეძინა. შიმშილმა გამოაღვიძა. ვერც ახლა გაიგო, თუ რამდენ ხანს ეძინა, და გულში ჩარჩენილი, დედაზე შეწყვეტილი ფიქრი დაასრულა:

...ჩემი ბრალია შენი სიკვდილი, ჩემო დედიკო. არ გავქცეულიყავი, იმ ლანჩხუთის კოლონიაში მოიხდიდი ვადას. გადაგასახლეს, ვერ გაუძელი... ჩემზეა ეგ ცოდვა! ამიტომ მარგუნა მაღალმა ღმერთმა აჰასფერის - მარადისი მაწანწალისა — და მარტოობის ხვედრი!.. ამ ცოდვისა არც გამოსყიდვაა შესაძლებელი...

კიდევ ერთხანს იწვა. ტომრიდან გამოძვრა, თავს უკეთ გრძნობდა, მიუხედავად იმისა, რომ წინა გამოღვიძების შემდეგ წამლები არ დაულევია, მაგრამ თავბრუ ესხმოდა. ქოხში საჭმელი არაფერი იყო, საკუთარი მარაგით დანაყრდა, წამლები დალია, ქოხი გააღუნღულა, ისევ ტომარაში შეძვრა და წინა ძილში ნანახი სიზმარი გაახსენდა.

სიზმარი იყო თუ ზმანება?.. არც სიზმარი იყო და არც ზმანება - ვიღაც შემოვიდა, გიყურა და წავიდა... მოიცა, რომელი იყო, გოლიათი, ჩანძოლინი თუ ნეტარი?.. კაცი იყო, კაცი - ცოცხალი, წვეროსანი, თოფიანი. გიყურა, გიყურა და წავიდა!.. ვინ უნდა ყოფილიყო? ქოხის პატრონი სეზონს მორჩა, ქოხი ჩაკეტა, წავიდა... შემთხვევითი პირი გამორიცხულია?.. არა, რა თქმა უნდა... კარგი, როგორ დავადგინოთ, როდის გვესტუმრა, როდის წავიდა და რას იზამს?.. რა უნდა ჰქნას? უახლოეს დასახლებულ პუნქტამდე ბარე ორასი კილომეტრია... ორასი მეტრი იყოს. შეგიძლია, ადგე და იარო?.. არ შემიძლია. სანამ სიცხე გამოგვნელდება, ვიყოთ აქ...

გორამ ისევ დაიძინა, მაგრამ მალევე გაიღვიძა. ღუმელი ჯერ კიდევ თბილი იყო. იწვა, ფიქრობდა. რაღაცამ არ მოასვენა. ჩაიცვა, სამზადისს შეუდგა. ისევ დაიძინა და სისხამ დილას უკვე გზად იყო. ნელა მოძრაობდა, ციგასა და თხილამურებს ძლივს მიათრევდა, მაგრამ საღამოსთვის ოცდაათამდე კილომეტრი ჰქონდა გამოვლილი. მსხვილი თოვლი წამოვიდა, თითქმის ის-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ეთი, სუბტროპიკულ სარტყელში რომ იცის - გაუყინავი ფიფქი. რომელიღაც მდინარის პირს მიადგა. დასაცურებლად გამზადებული მორების პირამიდა იდგა. შეძვრა, ლოგინი მოიწყო, დაიძინა. როცა გამოეღვიძა, ვერც ახლა გაიგო, რამდენ ხანს ეძინა, და ისევ ძილს მისცა თავი.

როგორც შემდგომში დაადგინა, სამი დღის მერელა გაჰღვიძებია. კარგი დარი იდგა, მზე ამოწვერილიყო. საფარიდან გამოძვრა. ადგილმდებარეობა და დრო დაადგინა. კალენდარში აღნიშნა, გუდანაბადი აიკრა და გზას გაუდგა.

უნდა გავერთოთ... რაზე ვიფიქროთ... გაიხსენე, რაზე შევჩერდით... ჰო, მამიდაჩემის ოთახი და ზეინაბ ქველიძე-ყუბანეიშვილისა...[215] ეგ შამპანური ღვინოების ქარხნიდან და იმავე დღეს მილიციელისგან გაქცევის, სასაფლაოზე ღამის გათენების შემდეგ იყო, მამიდაჩემის ოთახში... კი, მამიდა სამსახურში დილაადრიან მიდიოდა. მე კარადის უკან, ტახტზე ვგორაობდი; მამიდამ გასაღები სანდო მეზობელს დაუტოვა, რომ ჩემთვის საჭმელი მოეტანათ. კლიტემ დაიჩხაკუნა, კარი გაიღო და ოთახში გოგონა შემოვიდა, - მამიდათქვენმა გასაღები ჩვენ მოგვცა, ზეინაბ ქველიძე ვარ, ნუ შეგეშინდებათო, - სთქვა და კარადის აქეთ შემოიხედა, მნახა, საჭმელი მაგიდაზე დამიდო და წავიდა. ანგელოზივით იყო, დალოცვილი - ტანადი, თვალადი, ლამაზი. ცოტა ხნის მერე ისევ მოვიდა ჭურჭლის გასატანად. ერთმანეთს გამოველაპარაკეთ. შორიახლოს ჩამოჯდა. ყველაფერი აინტერესებდა - არალეგალური მუშაობა, გამოძიების პროცესი, ციხე, გაქცევები და სხვაც ბევრი რამ. მეორე დილით ისევ მოვიდა. სათლით მოდიოდა ხოლმე, შიგ პირსახოცწაფარებული საკვები ჰქონდა, რომ ცნობისმოყვარე თვალს ეჭვი არ აეღო, - ეს გოგო სად დადისო!.. კიდევ საუბრები, ამბების თხრობა. გასასვლელ კარს თეთრი ტილო ჰქონდა ფარდად. იყო შესაძლებლობა, ვიღაცას შემოეჭვრიტა, ოთახში ადამიანი, მისი სილუეტი მაინც შეემჩნია. ამიტომ შემდგომ მოსვლაზე ზეინაბი ტახტის ბოლოზე ჩამოჯდა, კარადას ამოეფარა. ასე განვაგრძეთ საუბარი და ურთიერთობა. ფულისა და საბუთების მოლოდინში შეყოვნება მომიხდა. იმ ოთახში რამ-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

დენიმე დღე დავყავი, ანუ ზეინაბს ხუთჯერ თუ ექვსჯერ მოუხდა მოსვლა. ახალგაზრდა, ჯან-ღონით სავსე კაცი ვიყავი, ამდენ ხანს ნაჯდომი და ქალის მონატრული; შემიძლია, შავი ფიცით დავიფიცო - ცნობიერად, გააზრებულად გულსა და გონებაში ცდუნების ნატამალი არა მქონია; როგორ მოხდა, დღესაც არ ვიცი, რაღაც ინტიმისა და სიახლოვის ვითარება ჩამოყალიბდა. ვიმეორებ - გულსა და გონებაში აზრად არაფერი მომსვლია... მთავარი ის არის, რომ ზეინაბისგანაც საპასუხო რამ იგრძნობოდა და, მგონია, ერთ მომენტში ორთავემ ერთად, ერთდროულად გავიცნობიერეთ ურთიერთლტოლვა, სიახლოვის წყურვილი. მან, [illegible] გავიდა, მე, როცა მარტო დავრჩი. ამაზე ბევრი ვიფიქრე. გადავწყვიტე, იმ ღამესვე წავსულიყავი, ძმაკაცი მყავდა, მალხაზ ზაალიშვილი, ვაკეში ცხოვრობდა. რაიონიც მოსახერხებელი იყო, იქიდან უფრო ადვილად მივაწვდენდი ხმას საჭირო კაცებს. სულ სხვანაირად შეტრიალდა ყველაფერი. საღამოს ზეინაბმა ვახშამი ჩამომიტანა... ცალ ხელში სათლი ეჭირა, მეორეში... ძუძუთა ბავშვი! მოვიდა, ლოგინის ბოლოში ჩამოჯდა, ბავშვი წინ დაიწვინა...

ჩვენს შორის ზღვარი დაიდო!.. არ ვიცოდი, თუ გათხოვილი იყო. არც ის ვიცოდი, რომ ძუძუთა ბალღი ჰყავდა... ჩემი მეგობრის, ავთო ყუბანეიშვილის ცოლი აღმოჩნდა. კაცმა სთქვას, ყველაფერი სწორად წარიმართა, ზეინაბმა წარმართა ვითარება სწორად. მან ხომ არ იცოდა, დაღამებისთანავე წასვლას რომ ვაპირებდი და სწორედ იმ მიზეზით, რა მიზეზითაც მან ბავშვი მოიყვანა... მეორე დილით ავთოც მოვიდა. იგი უკვე მსახიობი იყო. ვისაუბრეთ, ვისიყვარულეთ. საღამოთი... არა, გვიან ღამით ზეინაბმა თავის ბინაში ამიყვანა. იქ მისი ძმა, შალვა ქველიძე[216] დამხვდა - იმ დროს თბილისის ერთ-ერთი რაიონის კომკავშირის თავკაცი. ზეინაბისა და შალვას დედამ, ქალბატონმა ნინომ, ვახშამი გაგვიწყო. შალვამ ფული და ტანსაცმელი მომცა. დილით ავთომ ვინმე გავაშელის პასპორტი და სამხედრო ბილეთი მომიტანა. საღამოთი მამიდაჩემს გამოვემშვიდობე, ზეინაბს ხელზე ვემთხვიე და გავწიე ფათერაკების საძიებლად ჩემი ოღროჩოღრო გზებით.

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

გორას თხილამურები ზურგზე ეკიდა, ფეხით მიდიოდა. შორს საკვამურიდან ამომავალი ბოლის სვეტები მოჩანდა. გაჩერდა და იმაზე დაიწყო ფიქრი, რომ, აგერ, იქ, სითბოში, ადამიანები ცხოვრობენ, ქალები სამზარეულოში ფუსფუსებენ, კაცები წეკოს აფუილებენ, ბავშვები თამაშობენ და ვიღაც ვიოლინოს აქვითინებს. მიაყურა, უნებლიეთ დაიძრა, ხმაზე გასწია. იმ მანძილზე გაჩერდა, რომ ვიოლინოს ხმა უკეთ გაეგონა. ერთხანს უსმინა, გზა განაგრძო. თავისი საბანაკო ცხოვრების ერთი ეპიზოდი გაახსენდა.

ალიახნოვიჩი,[217] მუსიკოსი, უკვე მოხუცი კაცი... თავის დროზე ლენინგრადში, რომელიღაც რესტორანში უკრავდა, ორკესტრში. ლაყბობაზე დაიჭირეს, ათი წელი მისცეს. ცოლი ბანაკში სანახავად ჩამოვიდა, ვიოლინო ჩამოუტანა. იჯდა მოხუცი, უკრავდა, ერთობოდა.

ერთი უკრაინელი ბიჭი იყო, გვარად კოდრიკი. აუხირდა, - ვიოლინოს დაკვრა მასწავლეო. ალიახნოვიჩი ასწავლიდა, სამაგიეროდ, კოდრიკი ემსახურებოდა - ურეცხავდა, სასადილოდან პური და საზრდო მოჰქონდა; ბიჭმა საოცარი ნიჭი გამოიჩინა. სწრაფადაც დაეუფლა ვიოლინოს და სულითაც მდიდარი ადამიანი აღმოჩნდა. კლასიკასაც კი უკრავდა, დალოცვილი, და ისეთი შთაგონებით, აღმაფრენითა და ოსტატობით, რომ პროფესიონალი გეგონებოდა.

ალიახნოვიჩს იმ მოხუცი მეუღლის გარდა არავინ ჰყავდა, ყველა ლენინგრადის ბლოკადაში დახოცოდა. ცოლის გარდაცვალების ამბავი მოუვიდა საცოდავს და მალე თავადაც გარდაიცვალა. სიკვდილის წინ ანდერძი დაწერა, ვიოლინო კოდრიკს დაუტოვა. ანდერძი მოწმეებმა დავუდასტურეთ.

ალიახნოვიჩი, რომ იტყვიან, გაციებულიც არ იყო, ვიოლინოს წასაღებად ჩეკისტი მოვიდა. კოდრიკმა ანდერძი აჩვენა. ჩეკისტმა წაიკითხა, შეცბა და გაბრუნდა, ალბათ, იმის მოსაფიქრებლად, შემდგომში როგორ ემოქმედა. ეს შეცდომა იყო, რადგან კოდრიკმა ვიოლინო გადამალა და ჩემთან, უკეთ ვთქვათ, ჩვენთან, ქართველებთან მოირბინა, - საქმე ასე და ასეაო. უკვე სხვა დრო იყო, ჩეკისტებს არცთუ ბევრი რამ გაუდიოდათ, შეს-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

აძლებლობა გვქონდა, არაფერი გაგვეტანებინა, და კოდრიკი, რომელიც ერთ-ორ თვეში უნდა გათავისუფლებულიყო, წაიღებდა ვიოლინოს და გასწევდა თავისი კარპატებისკენ, მაგრამ ვიოლინო რა იყო, იმისთვის შარში გავბმულიყავით? შარში იმიტომ, რომ ბრძოლა იქნებოდა საჭირო, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. ვიღაცამ სთქვა, მისცეს, ვიოლინოს დედა ვატირეო! კოდრიკმა ქვა ააგდო, თავი შეუშვირა, - არაფრის გულისთვისო! პირადად მე საეჭვოდ მივიჩნიე მისი გაჯიქება, იმანაც შემამჩნია, რომ ეჭვი აღმეძრა, განზე გამიხმო და ჩამჩურჩულა: ვიოლინო „ამატი" არისო. პირი დავაღე - „ამატი" ალიახნოვიჩს?! გამოირკვა, რომ ჩეკისტმა ამისი არაფერი იცოდა. უბრალოდ, სურდა, მიეთვისებინა გარდაცვლილი პატიმრის ვიოლინო მის სხვა ქონებასთან ერთად, თუკი რაიმე საყურადღებო აღმოჩნდებოდა. ამდენად, საჭირო იყო მხოლოდ ის, რომ იმ მუსიკის „ტრფიალ" ოფიცერს განზრახვაზე ხელი აეღო. გადავწყვიტეთ, თუ სხვა ოფიცრებთან ერთად გამოჩნდებოდა ვიოლინოს დასაპყრობად, ჯერ სიტყვით და შემდეგ ძალით, ჩვენსას გავიტანდით, ხოლო თუ ისევ მარტო მოვიდოდა, ვეტყოდით, - წაეთრიე, თორემ შენს უფროსებთან გიჩივლებთო... ასეც მოხდა, მარტო მოვიდა. დავაშინეთ და გაბრუნდა ხელცარიელი. მაგრამ იყო მეორე საშიშროება. იმ ოფიცერს გარეთ ნაქურდალ-ნაყაჩაღარი „ძუკნები" ჰყავდა, რაღაც ურთიერთობები ჰქონდა მათთან. არც ჩვენ ვიყავით „ობლები", უკეთ ვთქვათ, ზონის გარეთ ბლომად ბანდერელები ცხოვრობდნენ. შევუთვალეთ, - ბიჭი მოდის, საღ-სალამათი ჩასვით მატარებელში, „ძუკნებმა" ან თავად ჩეკისტებმა არაფერი ავნონო.

გათავისუფლდა კოდრიკი, წაიღო თავისი ვიოლინო და შინ მისულმა ღია ბარათით გვაცნობა, - ყველაფერი რიგზეაო!

ნეტავი, სად და ვის ხელშია ახლა ის „ამატი"?

არა, რამდენი და როგორი ხალხი იმსხვერპლა იმ ომმა... შენც იმ ომის მსხვერპლი არა ხარ?!. ომისა - არა. ომს დრიოზე გამომარიდა ზეცა-უფალმა, ციხეში მომიყვანა. ომი, მე თუ მკითხავს ვინმე, სტალინისა და ჰიტლერის „დამეგობრებით" მოხდა. ჩემთვის დამეგობრების პროცესი მოსკოვის „დინამოს" სტადიონზე დაიწყო. სათამაშოდ ვიყავით ჩასული. ტურნირი მორჩა,

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

სტადიონზე რომელიღაც მატჩის სანახავად წავედით. თამაში მიდიოდა. ამ დროს თვითმფრინავის გუგუნი მოისმა. გერმანულმა ლაინერმა სტადიონს, ანუ რამოდენიმე ათეულ ათას კაცს, თავის სვასტიკიანად გადაგვიფრინა. დღემდე არ ვიცი, გზად მიმავალმა გადაგვიფრინა თუ მასებისთვის სვასტიკის დემონსტრირების მიზნით მოხდა ეს მოულოდნელი გამოცხადება. მეორე დღეს გაზეთებში გამოქვეყნდა, - გუშინ მოსკოვს გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი ფონ რიბენტროპი ეწვიაო!..

თბილისელი გერმანელების წრეში რამდენიმე ძმაკაცი გვყავდა; თუ იტყოდნენ რასმე, ან გაზეთში წაკითხული იყო, ან საბჭოთა რადიოთი მოსმენილი, და მოვლენებისადმი თავიანთ გერმანულ დამოკიდებულებას არ ამჟღავნებდნენ, გარდა ერთი ჩვენი ძმაკაცისა. გვარ-სახელად ბრუნო კოხი[218] გახლდათ. მისი რეაქცია დასავლეთში გერმანელების გამარჯვებებსა და ძლევამოსილებაზე ერთობ ორიგინალური იყო. ომის დაწყებისთანავე ყელსაბამის ტარება დაიწყო, კარგი ჰალსტუხები აღმოაჩნდა, ალბათ, გერმანიიდან ნათესავების გამოგზავნილი. გამოიპრანჭებოდა და იდგა პლეხანოვის გამზირისა და ჟორესის ქუჩის კუთხეში. ამუბნელი ბიჭი იყო, ნაცნობ-მეგობრები ბლომად ჰყავდა. ხან ვინ გაუჩერდებოდა და გამოელაპარაკებოდა, ხან - ვინ. ეგ არის, უახლოესმა მეგობრებმაც კი შევნიშნეთ, რომ გერმანელთა გამარჯვებების ექომ ბრუნოზე თავისებურად იმოქმედა - მედიდურობა მოემატა. იქვე ცხოვრობდა ჩვენი მეგობარი ოლეგ კოლესნიკოვი,[219] დედით სპარსი - ხან-პირა! დედამისი თამბაქოს ქარხანაში მუშაობდა, დილიდან საღამომდე შინ არ იყო და ოლეგის ბინა საჭადრაკო კლუბს უფრო ჰგავდა, ვიდრე საცხოვრებელს. ბინას ვამბობ, თორემ ერთი მოზრდილი ოთახი იყო ბოლოში სველი წერტილით. ვიკრიბებოდით, ვის როგორ გვეცალა, და ვთამაშობდით ჭადრაკს. ჭაბუკების ეს წრე, მეტწილად, სპორტსმენებისგან შესდგებოდა. ჩვენი დამეგობრება სპორტის მეშვეობით მოხდა. აქ იყვნენ გერმანული სკოლის მოსწავლეებიც - სკოლისა, რომლის ყველა პედაგოგი დააპატიმრეს; ვის რა ბედი ეწია, ღმერთმა იცის, ხოლო მოსწავლეები ქართულ და რუსულ სკოლებში დაანაწილეს.

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ოცდაცხრამეტ წელს ჯარში საყოველთაო გაწვევა გამოცხადდა, რასაც მარშალ ტიმოშენკოს გაწვევა შეერქვა. ამათგან ბევრნი, როგორც გერმანული ენის მცოდნენი, ჯარში წაიყვანეს. ზოგისა კვალიც კი გაცივდა; ომის შემდეგ ზოგმა რომელი ქვეყნიდან დაიყივლა და ზოგმა - რომლიდან... ერთი სიტყვით, ჭადრაკს ვთამაშობდით, ვმასხრობდით. ბრუნო თავის პოსტზე იდგა, ჩვენს საქმეში არ ერეოდა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმას, რომ მოსასაქმებლად ოლეგის საჭადრაკო კლუბში მოდიოდა. გაივლიდა ოთახს, ზედაც არავის შემოგვხედავდა, შევიდოდა, მოისაქმებდა, ისევ უცნობივით ჩაგვივლიდა და წავიდოდა. ეს საქციელი პირველმა ოლეგმა შეამჩნია. ჩვენც, მაგრამ შემოწმება გადავწყვიტეთ, - ხომ არ გვეჩვენებაო. აღმოჩნდა, რომ ოლეგი მართალი იყო; ეს უკვე მზვაობრობა გახლდათ და არა მედიდურობა. შემდგომ შემოსვლაზე, უკეთ ვთქვათ, გასვლისას, ოლეგმა ბრუნო კოხს ზურგში იატაკის ჯაგრისი რამდენჯერმე ჩაარტყა და მიაყოლა:

— *Ты что, сюда какать ходишь?.. Так твою мать!..*

ბრუნოს ამის გამო ჩვენთან მეგობრობა არ შეუწყვეტია. არც ის მოტივი იგრძნობოდა მის საქციელში, რა ვქნა, მოვითმენ, მაგრამ, აი, მოვლენ გერმანელები და მერე ნახეთ თქვენაო!.. საერთოდ კი, გულკეთილი, რბილი, მოსიყვარულე ხასიათის ბიჭი იყო, მაგრამ რა ექნა, ჰიტლერმა იმოქმედა უარყოფითად. მე ჯერ კიდევ ალექსეევკაში ვმსახურობდი, როცა მოხვეტეს ყველა, ვისაც გერმანული გვარი ჰქონდა, მათ შორის, ბრუნოს ოჯახიც, და შუა აზიაში უკრეს თავი".

მიტილენიჩი გაჯავრებული იყო. იმიტომ, რომ გლების მიერ ომსკიდან ჩამოტანილმა ცნობებმა არამცთუ რაიმე ახალი შესძინეს მაძებრის ინფორმაციის კიდობანს, არამედ უფრო დააბნელეს და აურ-დაურიეს მისი ვარაუდები და მოსაზრებები. გლებმა კი ასეთი ამბები ჩამოიტანა:ცეზარევას ადგილსამყოფელიც ბურუსითაა მოცული. ერთ-ერთი ცნობით, იქ არის, სადაც სანცოვი ქალაქის მერად ბრძანდება; სხვა ცნობებით, ნოვოსიბირსკშია, სადაც მისი შვილები სწავლობენ უმაღლეს სასწავლებ-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ლებში - გოგო და ბიჭი. აშნა, გლების მოპოვებული ინფორმაციის თანახმად, ისევ „ოტრადას“ კომენდანტად ირიცხება, მაგრამ არც ეს ცნობაა შემოწმებული.

- რა გამოდის? გამოდის, რომ, საერთოდ, არაფერი ვიცი... ყოველივე ეს ხომ იმისთვის მჭირდება, რომ კარგარეთლის „ოტრადაში“ მისვლის შესაძლებლობა გავითვალისწინო. ასე არ არის? ასეა, თორემ ან ცეზარევა რაში მჭირდება, ან სანცოვი და ან იგივე აშნა-ნაძირალა. ამდენი ხანი გავიდა და მაინც პასუხგაუცემელი რჩება რამდენიმე კითხვა: სად დაეხეტება კარგარეთელი იმ დარაჯ-მუსიკოსისგან წამოსვლის შემდეგ; დავუშვათ, მუსიკოსი რამენაირად გამოუტყდა, იქ რომ ვიყავი - შეიცვლის გეზს თუ არა? თუ შეიცვლის - საით? ჩემი ვარაუდი იყო: ომის სათავეები, „ოტრადა“, ხაბიბულინის ქოხი, რკინიგზის სადგური სოსნოვკა. ამაზე მაქვს აგებული ოპერატიული გეგმა. თუ გეზი შეიცვალა, მაშინ როგორ მოვიქცე?.. გეზს შეიცვლის, საფიქრებელია, იმ შემთხვევაში, თუ დარაჯ-მუსიკოსისგან ჩემი იქ ყოფნა შეიტყო... ეგ აუცილებელი არ არის. კარგარეთელს სხვა მიზეზებიც აქვს, შერჩეულ გზას გადაუხვიოს. იგი ხედავს, რომ მეოთხმოცე მერიდიანით მოაცილებენ - მეირმე, ბარსუკი, თვითმფრინავი, ვერტმფრენი, ახლა პოლიკარპ ვასილევიჩ ასტაახოვი... რა ვიცი, კიდევ რა არ იყო!.. მანიშნებელი ფაქტი ბევრი აქვს. ასეთ ვითარებაში როგორ იქცევა მარბენალი? იცვლის გეზს ან პირიქით, როგორც სერპინი ენისეიზე მოიქცა - გეზი არ შეიცვალა და სწორედ ამით მოატყუა მდევარი!.. მართალია, მაგრამ სერპინმა მოახერხა, მიეტანა ოპერსამსახურამდე ის ცრუ ვერსია, რომ გეზს იცვლის, თანაც ორი ინფორმატორის მეშვეობით - ცნობა შემოწმებულად ჩაითვალა... სერპინი ქურდებთან იმალებოდა, იქ ჩვენი კაცები გვყვანდნენ...კარგარეთელი ყალბი ვერსიის შემოცურების საშუალებას მოკლებულია, მაშასადამე... რა - მაშასადამე, მიტილენიჩ?!. სრულიად არაფერი!.. კარგი და, რატომ, რის საფუძველზე გაქვს ახირებული, რომ კარგარეთელი „ოტრადაში“ მივა?.. რაკი ომის სათავეებისკენ მიემართება, ამიტომ აუცილებელია, აშნასთან შეიაროს? ეს შენი ჰიპოთეზაა... ჩვენ მხოლოდ იმის დადასტურება მოვახერხეთ, რომ აშნამ, მართლაც, მისწერა კარგარეთელს, ამჟამად აქა და

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

აქ ვარო... დადასტურება?.. ცენზორის მეხსიერება და პატიმრის წამოროშილი ვერსია, - ვიღაცამ მითხრა, კარგარეთელმა აშნასგან წერილი მიიღო, აქა და აქ ვარო - საკმარისია იმისთვის, რომ ვერსია დადასტურებულად ჩაითვალოს?!. ეეე, მიტილენიჩ, მიტილენიჩ!.. ვთქვათ, აშნამაც იცოდა, რომ კარგარეთელი ადრე თუ გვიან გამოიქცეოდა, და თავისი ადგილსამყოფელი ამცნო, თუ დაგჭირდეს, იცოდე, აქა ვარო!.. შესაძლებელია თუ არა?.. შესაძლებელია და ისიც ხომ შესაძლებელია, რომ აშნას კარგარეთლის გაქცევა ხაბიბულინმა ამცნო, - მოვა, იცოდეო! მოიცა, მიტილენიჩ! ხაბიბულინმა რანაირად უნდა იცოდეს, კარგარეთელი რა გზებით ივლის?.. რა, ხაბიბულინი გათავისუფლების წინ კარგარეთლისგან გეზს ვერ გაიგებდა?.. ფილიპოვის ფაქტორი!.. ფილიპოვს ხომ შეეძლო, ორთავესთვის ეცნობებინა, გორა პირველსავე პურგაში წამოვაო! ამინდი ყველა გაზეთში, რადიოთი და ადგილობრივი ტელევიზიითაც ყველასთვის ხდება ცნობილი, მით უმეტეს - პურგა!.. „წამოვალ პირველივე პურგის დროს. ეს იქნება ოქტომბრის ბოლო, ან ნოემბრის დასაწყისი. ამა და ამ დროს თუ არ მოვედი - ნიშნავს, რომ აღარასოდეს მოვალ...“ ასეთი ტექსტი მისაღებია?.. ეგაც მხოლოდ ჰიპოთეზაა... მართალია, მაგრამ ყველაფერი ჰიპოთეზით იწყება... დადასტურებაა საჭირო! როგორ?.. მაგას მოვიფიქრებთ, მიტილენიჩ, მაგრამ შეცდომა, როგორი უმნიშვნელოც უნდა იყოს, როდისმე რომ თავს ამოჰყოფს, შენს პრაქტიკაში კიდევ ერთხელ დადასტურდა. თვითონ არ აცნობე ფილიპოვებს, კარგარეთელი გაქცეულიაო?!. და ჯერ კიდევ როდის! ვერ შეატყობინებდა ერთსაცა და მეორესაც, მოდისო?.. რა ვიცი, ციხეში ნაწვალები კაცი ასე ღრმად შეტოპავდა?.. ეგენი სხვა სისხლის ხალხია!..

მიტილენიჩმა იფიქრა, ქაღალდზე რაღაც სქემები ხაზა, ისევ იფიქრა და გლები დაიბარა.

- რომელ უმაღლეს სასწავლებლებში არიან ცეზარევას შვილები, გლებ?

თანაშემწე დაფიქრდა და მიუგო:

- არ დამიზუსტებია... რა მნიშვნელობა აქვს?..

- აქვს, აქვს!.. ვის გვარზე არიან, დედის თუ მამის, არც ეგ დაგიზუსტებია?

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

- მაგის გაგება ძალიან ადვილია...

- ძნელია. ყურადღების გამახვილება არ შეიძლება, კითხვა დაიბადება, რად დასჭირდათო, აქედან გამომდინარე შესაძლო შედეგებით... უნდა დაზუსტდეს ბავშვების ადგილსამყოფელი; მათთან კონტაქტში შესვლაა საჭირო იმის გასაგებად, თუ სად არის ცეზარევა - მათთან თუ სადმე სხვაგან...

გორა მუდმივი გამყინვარების ზოლს გადმოსცდა, კიდევ იარა და მდინარე ვახი სწორედ მეოთხმოცე მერიდიანზე გადმოჰკვეთა.

კარგი, ეხლა რა დარჩა?.. უნდა გადავიარო ობი, მერე ავიარო ვასიუგანი და მივადგე ომის სათავეებს. ამ რუკის თანახმად, ბევრი არაფერი მანძილია. მიუხედავად შეფერხებებისა, გრაფიკი თითქმის არ დარღვეულა. რაც დაირღვა, აღვადგინეთ... რაზე ვიფიქროთ?.. იმაზე, რაზედაც შევწყვიტეთ ფიქრი... ომის დასაწყისი არ იყო?.. კი, ევროპაში რომ ომი დაიწყო, იქ შევჩერდით. არა, რა ავიხირე, რეპრესირებულთა შვილი ვიყავი. მერე რა, რომ სამხედრო ბილეთში მესამე რანგის თადარიგის სამხედრო ტექნიკოსობა მეწერა და წითელი ტალონიც იყო ჩაკრული... ჯარში წაყვანის წინ ამოწმებდნენ - არ მერგებოდა, უკეთ ვთქვათ, ჩემისთანებს ჭირიანივით იშორებდნენ თავიდან... რამ წამიყვანა და, ჩვენს ოჯახში რომ შეხედულება იყო დამკვიდრებული, - უომარი კაცი რა კაციაო, — იმან. გამოვემშვიდობე ჩემ საცოდავ დედიკოს... ისე იყო ენერგიაგამოცლილი, დასაწყლებული და დაბნეული, რომ საწინააღმდეგო სიტყვა არ წამოსცდენია, რეაგირებაც კი არ ჰქონია... მივადექი სამხედრო კომისარიატს - ჭიჭიკო კეცხოველს[220] - იმ დიდი კეცხოველების ერთ-ერთი ვაჟი იყო, სამხედრო პირი, კომისარიატის რომელიღაც განყოფილების უფროსი, შემდგომში მაღალი ჩინის გენერალი, - უნდა წამიყვანო-მეთქი! მარიგა, მეხვეწა კიდეც, - არ გერგება, უკანონობას ნუ ჩამადენინებო! არ დავიშალე. არ დავიშალე და - საქაღალდიდან რაღაც საბუთი ამოხია, პირადი საქმე ერთი თაროდან თუ ოთახიდან მეორეში გადაიტანა და, ორთაჭალაში რომ დიდი სკოლა იყო, იქ ამოვყავი თავი — *203-я отдельная*

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

рота связи ВВС Закфронта! ასე გაგრძელდა ჩემი სამხედრო სამსახური. გაგრძელდა-მეთქი - ტექნიკუმში რომ გავდიოდით სამხედრო სამსახურს, ამას ვგულისხმობ. იქ მომენიჭა წოდება და ერთი ოთხკუთხედი „პეტლიცაზე" - კუბიკს უწოდებდნენ, მიუხედავად იმისა, რომ ბრტყელი რამ იყო.

ისეთი უბადრუკობა, რაც აეროდრომზე დამხვდა, უკიდურესობადაც ძნელი წარმოსადგენი გახლდათ. რაში მდგომარეობდა ჩემი სამსახური? საფრენი ბილიკების ცოტა მოშორებით იდგა სამი დახურული ავტომანქანა, რომლებშიც რადიომიმღებები იყო განლაგებული. თითოში - ოთხი. რადისტების დაკომპლექტებას მთელი თვე მოუნდა, სანამ საიდანღაც ჩამოიყვანეს ზოგი რიგითი, ზოგი უმცროსი სერჟანტი. რიგიანად ერთმაც არ იცოდა წერა-კითხვა. წერა მაინც აუცილებელი იყო, რადგან მიმღებთან მორიგეობა ნიშნავდა იმას, რომ ვიღაც როდისმე, როგორმე რადიოგრამას გადმოსცემდა და მიღება უშეცდომოდ იყო სავალდებულო - უმაღლესი სარდლობის ქსელში რადიოგრამა არ მეორდება! ვერ მიიღებ ერთხელ გადმოცემულს, ტრიბუნალს თავს ვერ დააღწევ, ხოლო სადგურის უფროსს ჩინი და წოდება რიგითობამდე უმდაბლდებოდა. ამასთან ერთად, აპარატურა ადამისდროინდელი იყო, ნაგავი. საშველი? ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის საჰაერო ძალები არსაით არ დაფრინავდნენ და, ამდენად, არც ვინმე რაიმეს გადმოსცემდა. მორიგეობა სამ დღე-ღამეში ერთხელ მიწევდა. ის ღამეები სამუდამოდ ჩამრჩა მეხსიერებაში... სიბნელე და მთავარი - უნაყოფობა, წამება უსაქმობით.

კიდევ კარგი, ეს უბედურება დიდხანს არ გაგრძელებულა - ჩვენი მანქანა-მოწყობილობებიანად ჩრდილო კავკასიაში გადაგვისროლეს და გროზნოს ახლოს, ოცდამეექვსე ავიადივიზიის აეროდრომზე ამოვყავით თავი. ეს უკვე სამხედრო სამსახური იყო. თვითმფრინავები დაფრინავდნენ, პირადი შემადგენლობა - დისციპლინებული გახლდათ. აქ უკვე რადიომიმღებები კი არა, მიმღებ-გადამცემები გვქონდა და სამუშაოც თავსაყრელი იყო.

ასე უბრალოდ დაიწყო ჩემთვის მეორე მსოფლიო ომი, მაგრამ, ფაქიზად რომ ვთქვათ, ერთობ რთულად გაგრძელდა და დამთავრდა.

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ლეიტენანტი ვანო ტიმჩენკო[221] – სახელდობრ, ვანო, – დედა ქართველი ჰყავდა, ქართულსაც, არა უშავს რა, ახერხებდა, ჩემსავით რადისტი, სამხედრო ტექნიკოსი იყო. ჩვენმა ავიადივიზიამ ზედმეტი მოწყობილო .ა, რაც კი რამ გააჩნდა, მოზდოკში განლაგებულ ერთერთ ნაწილს გადასცა. ჩატანა ჩვენ ორს, მე და ვანოს, დაგვევალა. მაშინ ამერიკა-ინგლისის ბლოკს რუსეთისთვის ხელი ჯერ კიდევ არ ჰქონდა გამოწვდილი. იქიდან, ყოველ შემთხვევაში, ჩვენამდე არაფერს მოულწევია. გზაში ავტომანქანა გაგვიფუჭდა. კიდევ კარგი, მოზდოკამდე შორი აღარ იყო და არც მოწყობილობა იყო მძიმე. ზოგი ზურგით ვატარეთ, ზოგი — შემთხვევით წამოწეული მანქანით, მაგრამ ქალაქში მაინც ფეხით მოგვიხდა შესვლა. ტრანსპორტს ქალაქში მხოლოდ სპეცსაშვით უშვებდნენ. იმ მანქანას, რომლითაც ჩვენ ქალაქს მივაღწიეთ, საშვი არ ჰქონდა. რაღა იქნებოდა, წამოვიკიდეთ ჩვენი ავლადიდება და ნაწილის ძებნას შევუდექით. ძაღლი პატრონს ვერ სცნობდა. პანიკა არ იყო, თითქოს ყველაფერში წესრიგიც იგრძნობოდა, მაგრამ ვინ, რომელი ნაწილი სად გვეპოვნა, არავინ იცოდა. ყოველივე ეს იმით დამთავრდა, რომ ტვირთი ქალაქის კომენდატურას ჩავაბარეთ, სული მოვითქვით და იმაზე დავიწყეთ ფიქრი, აეროდრომზე როგორ დავბრუნებულიყავით. გროზნომდე ფეხით ხომ ვერ ვივლიდით?! ვანომ „იპოვნა გამოსავალი", – ბაზარში შევიდეთ, ერთი ბოთლი არაყი ვიყიდოთ, დავლიოთ და მერე უკეთ გამოჩნდებაო!.. ჩვენი შესვლა იყო და, ბაზარს იქიდან ჭურვის აფეთქების გრიალი მოისმა. ბევრი კი არავინ იყო ბაზარში, მაგრამ იქ ამბავი დატრიალდა?! ვინ საით გარბოდა, ვერაფერს გაუგებდი. ჩვენ სამხედროები ვიყავით და ცნობილი ფორმულის – „ნედოლიოტ-პერელიოტ-პოპადანიე"-ს წესით, საიდანაც ხმა მოვიდა, იქით გავიქეცით. ბაზარს გავცდით, რაღაც ნაგებობა იყო, იმის კედლის ძირას ჩავსხედით. გერმანელები პანიკის გამოწვევის მიზნით, ხალხმრავალ ადგილებს უმიზნებდნენ ხოლმე, მაგრამ განზრახ თუ შემთხვევით, ჯერ ახლომახლო დასცემდნენ და მიზანში მხოლოდ მესამე ჭურვს გზავნიდნენ. მართლაც ასე მოხდა, ჭურვი ბაზარს იქით გასკდა. ჰაერის ტალღამ ნაგებობას სახურავი აჰხადა, კრამიტის წვიმა წამოვიდა... ამის შემდეგ აღარაფერი მახსოვს, ჰო-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

სპიტალში მოვეგე გონს. ვანოს თქმით, თავზე სახურავის ნივნ-ივა დამეცა. ნივნივა იყო თუ სხვა ოხრობა, ოცდაერთი დღე ვიწ-ექი. გავიარე კომისია. ჩემს ჯანმრთელობაში ექიმებმა ისეთი ვერაფერი ნახეს, რომ შვებულება მოეცათ, ნაწილში დაბრუნე-ბა „მომისაჯეს“.

ყველაზე მძაფრი შთაბეჭდილება, რაც მე გროზნოს აეროდ-რომზე სამსახურიდან დამრჩა, სამხედრო მფრინავის, კაპიტან კოვალიოვის[222] რეისიდან დაბრუნება იყო. ყირიმში თუ სადღაც იქაურობაში, გერმანელებს აეროდრომი ჰქონდათ. სამი ბომბდ-ამშენი გაფრინდა დასაბომბად. ეს იყო ბნ-2 ტიპის იდიოტური მანქანა, რომელსაც გერმანელი გამანადგურებლები სულ იოლ-ად უსწორდებოდნენ: შემოუვლიდნენ კუდიდან და წინააღმდეგ-ობის გაუწევლად ხვრეტდნენ, რადგან ბნ-2-ს კუდიდან მოსაგე-რიებელი არაფერი გააჩნდა. მაგრამ ომი ომია, რაც გაქვს, იმით უნდა იომო და სარდლობას, როგორც ჩანს, განზრახული ჰქონ-და, ბოლომდე ამოეწურა ამ სერიის შესაძლებლობები.

ორი მანქანა დროზე დაბრუნდა, მესამე არსად ჩანდა. ვერც ჩემი რადისტები ამყარებდნენ მასთან კავშირს. იმდენი ხნით დაიგვიანა, რომ თვით ავიადივიზიის მეთაური, პოლკოვნიკი კრასნიკოვიც კი გამოვიდა საფარიდან ბილიკებზე. როგორც იქ-ნა, გამოჩნდა რაღაც; კი არ მოფრინავდა, ძლივძლივობით მოფ-არფატებდა. მოახლოვდა, დაჯდა, მივცვივდით. თვითმფრინავი ერთიანად დაცხრილული იყო. კაბინა არ იღებოდა. არც შტურ-მანისა და მსროლელ-რადისტის ხმა ისმოდა. ესენი დახოცილ-ები იყვნენ. ბოლოს, ჩავამტვრიეთ ხუფი. კაპიტანმა კოვალიოვ-მა წაილულღლუღა, - დავსვიო! — და მოკვდა!..

ჰოსპიტლიდან მობრუნებიდან ორი თვისა თუ თვე-ნახევრის შემდეგ „ოსობნიაკში“ გამომიძახეს - ესე იგი, საგანგებო განყ-ოფილებაში:

— Почему Вы скрыли, что Ваши родные враги народа, а еще — родственники заграницей?!

— Потому, что счел нужным воевать!

— Из каких соображений?

— Судите сами, с аэродрома перебежать к фашистам возможно? Ясно ведь — хотелось воевать. Вот и все!

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჩეკისტმა პატარა ხანს იყუჩა და მითხრა:

– Получено указание – отбудете в распоряжение штаба фронта!

– Что ж, придется Вам без меня воевать!

მომცა რაღაც ხუთგზის დალუქული კონვერტი. ყველას გამოვემშვიდობე, მათ შორის – ავიადივიზიის მეთაურ პოლკოვნიკ კრასნიკოვსაც. გაღიზიანებული დამხვდა. ერთადერთი სიტყვა სთქვა:

– Вояки!.. – ეს, უდავოდ, ჩეკისტების მისამართით იყო ნათქვამი.

ჩავედი შტაბში. ვისთანაც უნდა გამოვცხადებულიყავი, არ დამხვდა. დერეფანში ვდგევარ, ველოდები. კაპიტანმა ჩამიარა, საქაღალდეები ეჭირა. ძალიან ნაცნობი სახე და იერი ჰქონდა. თავადაც დამაკვირდა. როცა დაბრუნდა, მკითხა, აქ რატომ დგახართო? ხმაზე ვიცანი, ხედვითი მეხსიერება დაბადებითვე უხეირო მქონდა. ამის გამო ბევრჯერ უხერხულ მდგომარეობაში ჩავვარდნილვარ. ქართულად ვკითხე, თქვენ ძია ვიქტორ ბარნაბიშვილი[223] ხომ არ ბრძანდებით-მეთქი. თავადაც მიცნო, ვისაუბრეთ; პაკეტი გამომართვა, წავიდა. ეს კაცი მამაჩემ ერეკლეს ძმაკაცი, ეკონომისტი, ჩვენს ოჯახში მრავალგზის ნამყოფი იყო. ოცდაჩვიდმეტს რაღაცნაირად გადაურჩა. თუ არ ვცდები, იმხანად სხვა რესპუბლიკაში მუშაობდა და არმიაში მობილიზაციით მოხვდა.

ასეა თუ ისე, ორიოდ საათის შემდეგ ჩრდილო კავკასიის ფრონტის შტაბს კავშირის უფროს ლეიტენანტად მოვევლინე და ფორმა სამხრეებითაც დავიმშვენე - ახალი შემოღებული იყო სამხრეები, წითელ არმიას საბჭოთა არმია დაერქვა. ჩემი მოვალეობა იყო სხვადასხვა გზავნილების მიტან-მოტანა. დამქონდა. ხანდახან ფრიად საშიში გზებითაც.

ძია ვიქტორმა ერთხელ ასეთი რამ მიამბო:

- ავლაბრის ხიდებთან, მარცხენა მხარეს რომ რესტორანია, იქ ვისხედით მამაშენი ერეკლე, რამდენიმე პოეტი და იეთიმ გურჯი. ათას ცხრაას ოცდათოთხმეტი თუ თხუთმეტი წელია. ღამის სამი საათი იქნებოდა. იეთიმა ჩვენსავით შექეიფიანებული იყო. გვითხრა, ახალი სიმღერა მაქვს, ვიმღერებ და წავიდეთო. „ნაბადი“ იმღერა. პირველად მაშინ იმღერა. გაგიგონია „ნაბადი“?

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

- „სიკვდილამდე ერთადა ვართ მე და ჩემი ნაბადია!..“

- ჰო, ეგა. ერეკლემა სთქვა, - დილის ექვს საათამდე არსად წავალთ, უნდა ვიქეიფოთო. სახელდობრ, ექვსი საათი რატომა სთქვა, ვერ გავიგეთ, მაგრამ უსიტყვოდ დავთანხმდით. აბა, იეთიმა ცალკე და ერეკლეს თამადობა - ცალკე! განვაგრძეთ ქეიფი. ექვსი საათი გადასული იყო, ერეკლემ, - ეხლავე მოვალო. წავიდა. ხითაროვის ქარვასლაში თავი ნაბადი ეყიდა. მოიტანა, იეთიმას მხრებზე წამოასხა. ეგეთი კაცი იყო საცოდავი ერეკლე!

მე ეს ამბავი ვიცოდი. იმ ნაბდით იეთიმ გურჯი ჩვენს ოჯახშიც ყოფილა. ათას ცხრაას ოცდაცხრამეტ წელს გარდაიცვალა იეთიმა. მწერალთა კავშირის სასახლეში დაასვენეს, კუბოზე ნაბადი ეფარა. მივედი. ნაბადს მხარი გადავუწიე. შიგნიდან თეთრი ძაფით იყო ამოქარგული - „ერეკლეს ნაბოძები ვარ“. ესაც ვიცოდი, ამიტომაც გადავუწიე. იმ ნაბდიანად დაკრძალეს იეთიმა.

საცოდავო მამაჩემო, რამდენ ადგილას, რამდენჯერ მიშველა შენმა შვილობამ!

კავშირის ოფიცრად სამსახურის დროს ასეთი რამ შემემთხვა:

კავკავთან სოფელია - გიზელი, მდინარე გიზელ-დონი ჩამოდის. გიზელ-დონთან გზა სწორი კუთხით სამხრეთისკენ უხვევს კავკასიონის ქედისკენ და ოსებით დასახლებულ მთის ბოლო სოფელში მთავრდება. სწორედ ამ კუთხეს, თავად სოფელ გიზელს და კუთხის მიმდებარე სწორ მონაკვეთებს გერმანელთა ცეცხლი აკონტროლებდა, მისი გავლა ტრანსპორტისთვის თითქმის შეუძლებელი იყო.

ეს ის დროა, როცა სტალინი ინტენდანტებს დაერია. არმიის მომარაგება ნიავდებოდა. ჯარისკაცები, იყო შემთხვევები, მთელი კვირა მშივრები ისხდნენ სანგრებში. ყოველგვარი დატაცებისთვის ადგილზე დახვრეტის უფლება ეძლეოდა ყველას, თუკი ფაქტს სამი კაცი დაადასტურებდა. ამას ჟლეტა მოჰყვა და, სიმართლე უნდა ითქვას, საქმეს მნიშვნელოვნად ეშველა... არა, მაშინ რომ მტკიებოდა ეს მენჯის სახსრები... რის სახსრები, რა სახსრები - ხარივით ჯანი მქონდა. იმ კლდე-ღრეში ოცი თუ ოცდაათი კილომეტრი გავიარე, დილის ხუთ საათზე ყობანის ხეობაში შტაბს მივაგენი, პაკეტი დანიშნულ დროს ჩავაბარე... კი არ ვიარე, ღმერთმანი, ვირბინე. ვინ დამიჯერებს... ჰო,

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

კავკავიდან სამ კილომეტრზე, ანუ ჯერ კიდევ იმ მონაკვეთზე, რომელსაც გერმანელთა ცეცხლი ვერ სწვდებოდა, „კაპეპე“ იდგა - საკონტროლო პუნქტი. მოტოციკლით ვიყავი, მძღოლად ყაყაჩოსფერი რიგითი ბორშჩოვი[224] მყავდა. შლაგბაუმთან გავაჩერეთ. გადავხტი, პლანშეტიდან საშვი ამოვიღე, კაპეპესკენ გავემართე. გუშაგმა მომაძახა, - ტყუილად ირჯები, არ გაგიშვებენო. მაინც იმედი მქონდა, როგორმე გავძვრებოდით. ისეთი რა ცეცხლი უნდა ყოფილიყო! ახალ გაზრდა კაცი ასეთ რამეებს მაინცადამაინც დიდად არაფრად აგდებს. შევედი ხუხულაში. კაპეპეს უფროსს საშვი წარვუდგინე. არც დახედა, - ვერ გაგიშვებ, ბრძანება არისო! რანაირად არ ავუხსენი, რით არ ვარწმუნე, პაკეტიც კი ვაჩვენე - პაკეტი, რომელიც მოწინააღმდეგის საცეცხლე წერტილების განლაგების გეგმას შეიცავდა. ბრძანება ბრძანებაა! იძულებული ვიყავი, დავმორჩილებოდი. ფეხით უნდა მევლო მთა-მთა და კლდე-ღრეზე. რაღა იქნებოდა, გამოსვლა დავაპირე. გვერდის ოთახიდან ხმა მომესმა:

– Товарищ старший лейтенант, войдите сюда!

შევედი. ერთი ბეწო ოთახი იყო. ორი ადამიანი დამხვდა. ერთი მაიორი, მეორე - სამხრეებჩამოგლეჯილი, ქამარშემოხსნილი ზემდეგი. გაფითრებული იდგა, ერთიანად კანკალებდა, ერთიანად - თავით ფეხამდე...

– Подпишите! – მიბრძანა მაიორმა.

სარკმლის რაფაზე ქაღალდი იდო. წავიკითხე. ოქმი იყო, რომ ამ ზემდეგმა ვიღაცა გლეხს ნახევარი ტომარა კომბოსტო მისცა და ნახევარი ლიტრი რახი გამოართვა... ეს ნიშნავდა, რომ მაიორს ზემდეგი უნდა დაეხვრიტა. ერთი ხელისმოწერა აკლდა. უარი ვთქვი:

– При этом я не присутствовал, подписывать не стану!..

– Вы не верите мне?.. Вы не выполняете приказ старшего по чину?.. Я Вас расстреляю!

– Товарищ майор! – მკაცრად მივუგე. *– Не будьте самодуром! Вы расстреляете не меня, а наших солдат и офицеров. Немцы рвутся на Военно-грузинскую дорогу, через Кобанское ущелье... Мне к пяти ноль-ноль надо*

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

доставить вот этот пакет...

მოვტრიალდი, წამოვედი. ველოდი, რომ ზურგში მესროდა, არ მესროლა. მოტოციკლი გავისტუმრე. სავალს დავადექი...

ორი დღის მერე კაპეპეს ადგილზე ნანგრევ-ნატიტუსალი დამხვდა. ვეღარასოდეს გავიგე, მოახერხა მაიორმა იმ ზემდეგის დახვრეტა? მეორედ, დახვრეტას ორჯერ გადავრჩი. ერთი ის იყო, რომ პაკეტი სხვა ოფიცერს უკვე წაღებული ჰქონდა, ადგილზე ვერ მიიტანა, დააბრუნა - იმ დღესვე საჯარიმო ათასეულში უკრეს თავი. ნაწილმა, სადაც მან პაკეტი ვერ მიიტანა, პოზიციები დაიბრუნა და იმავე პაკეტის მიტანა, უკვე დაბრუნებულ პოზიციებზე, მე დამევალა. სხვა ოფიცრებმა წამჩურჩულეს, - მაგ პაკეტში გერმანელთა მიერ დატოვებული პოზიციების ცეცხლის ორგანიზაციის გეგმაა და აღარავისთვისაა საჭიროო. „შტაბნიკს“ ვუთხარი, - სანამ ახალი ოპერატიული ცნობები არ იქნება, მაგის წაღებას რა აზრი აქვს-მეთქი. შევლაპარაკდით. *„Неподчинение приказу“* გამიფორმეს. დიდი ხვეწნა-მუდარით დავითანხმე, წავიღებ, ნურაფერს გამიფორმებთ-მეთქი. წავიღე. მივიტანე. ხელი არ მომიწერეს, - უკანალზე მიიკარიო! რას გავხდებოდი, წამოვიღე და ახლა იმაზე მომდეს შარი, - არ მიგიტანიაო. დაიწყო მუქარა, ოქმების გაფორმება და, ვინ იცის, კიდევ რაები. ამჯერადაც გადავრჩი. უკეთ ვთქვათ, გადამარჩინა იმან, რომ გერმანელებმა ის პოზიციები ისევ დაიბრუნეს და უკან დახეული ნაწილის მეთაურმა ჩემს მიერ პაკეტის მიტანის ფაქტი დაადასტურა. ეხლა ისე მგონია, რომ შტაბისტებს მაინცადამაინც არ მოვდიოდი თვალში. რატომ? ამისი ვერაფერი გავიგე.

ამ დროს იყო, ამერიკელებმა სპარსეთის ყურედან ირანის ჯულფამდე საავტომობილო გზა გაიყვანეს. სპარსეთის ყურეში ამწყობი ქარხნები დასდგეს. ზღვით ტვირთი მოჰქონდათ - ნაწილებად დაშლილი ავტომანქანები, იარაღი, ამუნიცია, სურსათ-სანოვაგე. დაიძრა არნახული დახმარება. ყოველივე ეს საქართველოს სამხედრო გზით უწყვეტ ნაკადად მოემართებოდა ჩრდილოეთისკენ. ძია ვიქტორმა კიდევ ერთხელ მიპატრონა, გამომგზავნა თბილისში. აქედან - ჯულფაში, სატრანსპორტო კოლონების მეთაურთა კურსებზე. ეს ნიშნავდა იმას, რომ ამერიკელებისა და ინგლისელების მიერ სპარსეთის ყურეში ზღვ-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ით მოტანილი იარაღი, საკვები პროდუქტები, თვით სატრანსპ-
ორტო საშუალებებით დატვირთული დიდი ავტომანქანების
კოლონები უნდა მეტარებინა ჯულფიდან თუ თავრიზიდან ჩრდ-
ილო კავკასიამდე; შემდეგ — უკან, მძღოლებითურთ ახალი კო-
ლონის გადმოსაყვანად და „ქვეყანა ჰგიეს უკუნისამდე", ანუ
ომის დამთავრებამდე. მაგრამ ასე არ მოხდა, ჩეკისტებმა აქაც
მიპოვნეს და ფორმულირებით — *„Списать, как неправильно призванного"*. შინ გამომისტუმრეს.

არ ვუნდოდი, ძალადმაცხონეობა აღარ ვიკისრე!

იმ სამსახურმაც ბლომად გონსასეირო რამეები დამიტოვა. თუ მგზავრები გვყავდა - ისინი კი იქაური სამხედრო კომენდანტების თხოვნით, ხშირად გვისხდებოდნენ, განსაკუთრებით, თავრიზსა და ირანის ჯულფაში დამგზავრებულებს საბაჟო საბჭოთა ჯულფაში უნდა გაევლოთ. ერთ-ერთ რეისზე ირანის ჯულფის კომენდანტმა ვიღაც კაცი დამისვა. ამ კაცს დიდი ჩანთა ჰქონდა. გაახსნევინეს, ორასი ცალი ხელთათმანი აღმოაჩნდა, ქალისა, უმაღლესი ხარისხის, ყველა მარჯვენა ხელისა! მებაჟეები შეყოყმანდნენ; ეს კონდიციური საქონელი არ იყო, დაბეგვრას არ ექვემდებარებოდა. მოქალაქე ინგლისისა გახლდათ. ჰკითხეს, - რად გინდა, რისთვის მიგაქვსო?

მარჯვენა ხელთათმნების პატრონმა დამტვრეული რუსულით უთხრა, - რა ვიცი, არც ვიცოდი, შიგ რა იყო, მოსკოვში საელჩოს მუშაკს უნდა ჩავაბაროო, და საამისო საბუთიც აჩვენა. დარეკეს მებაჟეებმა სადღაც, დაუბრუნეს ხელთათმნები და წამოვიყვანე ის მგზავრი. მახსოვს, იმ მანქანაზე მყავდა, რომელიც ამერიკული თეთრი ლობიოს ტომრებით იყო დატვირთული. ტომრებზე ძალიან ლამაზი ასოებით ეწერა: „ალაბამა-1903 წ." - ორმოციოდე წლის წინანდელი მოსავლისა გახლდათ. მესამე თუ მეოთხე გზობაზე ირანის ჯულფის კომენდანტმა ვიღაც ქალის წაყვანა მთხოეა. დავსვი. საბჭოთა ჯულფის საბაჟოში იგივე განმეორდა, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ამ ქალს ჩანთაში ორასი ცალი მარცხენა ხელთათმანი ჰქონდა, როგორც იმ ინგლისის მოქალაქეს — მარჯვენები, მაგრამ... საბაჟოს ბრიგადა იყო სხვა. ამათ არავ-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ისთვის დაურეკავთ, გამოატანეს. სხვა ტვირთიანი მანქანები ბა-
რე ასი იყო. ის ქალი, საბაჟოს შემდეგ იმავეზე კი არა, მაინცადა-
მაინც ლობიოიან მანქანაზე შევსვი - დღემდე არ ვიცი, რატომ.

კიდევ ერთ შემთხვევას შევესწარი, პირდაპირ, კინოფილმ-
ის ეპიზოდი იყო. ეს თავრიზ-თბილისის რეისზე მოხდა. თავრ-
იზში - არ ვიცი, საგანგებოდ გააკეთა მათმა კომენდატურამ
თუ დამთხვევა იყო, სათაო, ანუ იმ „ფორდის" ძარა, რომლის
კაბინაში მე უნდა ვმჯდარიყავი, მხოლოდ ნახევარზე იყო და-
ტვირთული და ისიც მერხებს შორის. თავისუფალ ნახევარში
სამი მგზავრი ჩამისვეს - ერთი, ასე, ორმოციოდე წლის ქალბ-
ატონი, მეორე - ამავე ასაკის მამაკაცი და ერთიც ახალგაზრდა
კაცი. ირანის ჯულფის საბაჟომ არ გაგვაჩერა. აუტანელი სი-
ცხე იყო, ძარაში ავედი. ახალგაზრდა კაცის მეტმა რუსული
არავინ იცოდა. ამას გავესაუბრე. რომელიღაც დიპლომატის
შვილი აღმოჩნდა. საბჭოთა ჯულფის საბაჟოზე უკვე ისეთი
წესები იყო, რომ დამგზავრებულები საბაჟოში კი არ შეჰყავდ-
ათ, მებაჟეები თავად ამოდიოდნენ ხოლმე ძარაში. ახალგაზრ-
დას ვაცნობე, - სადაცაა, ჯულფაში მივალთ, მებაჟეები ამოვ-
ლენ-მეთქი. ამოიღო პატარა, ძალიან ლამაზი ხალიჩა, მოკეცა
და ზედ დაჯდა, - სალოცავი ხალიჩა არისო, მაცნობა. მებაჟე-
ებსაც ასე უთხრა. თავი დაანებეს. ქალსა და კაცს მიმართეს, -
საბაჟოსთვის წარსადგენი ნივთები ხომ არაფერი გაქვთო. კა-
ცმა ქალის ჩემოდნისკენ გადაუკრა თვალი და ეს დავინახე არა
მარტო მე, არამედ ჩემოდნის პატრონმა ქალმაც. მებაჟეებმა
ჩემოდნის ახდა მოსთხოვეს. ქალმა იყოყმანა, მაგრამ რა ძალა
ჰქონდა, ახადა. ძალიან ლამაზად შეფუთული ბროლის თასი
უპოვნეს. აუხსნეს, ბროლის ნივთების შემოტანა აკრძალულ-
ია, კონფისკაციას ექვემდებარებაო. ქვითარი გამოუწერეს,
მეორე ჩემოდნის ახდა სთხოვეს. ქალმა თავი მოიკლა, ვერ ავ-
ხდიო! თავად ახადეს, ქექვას მისდგნენ. რაღაც საგანი ამოიღ-
ეს. ატრიალეს, ატრიალეს, ვერაფერი გაუგეს. სათამაშო ეგო-
ნათ, თუ როგორ იყო, ჩააბრუნეს და წავიდნენ. ის საგანი მამა-
კაცის ხელოვნური ასო იყო, თავისი პნევმატური მოწყო-
ბილობითურთ! მებაჟეებმა გადახტომა ვერ მოასწრეს, ქალ-
მამაკაცს ებდღვნა, თავ-პირი ჩამოაკაწრა, ლანძღა, იტირა.

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ისევ ებდღვნა... მამაკაცი ამშვიდებდა, - ცოტა ხანს დამაცადეო... კოლონა დაიძრა. ათი თუ თხუთმეტი კილომეტრი გვქონდა გავლილი. მამაკაცმა თავის ჩემოდანს აჰხადა, ქალს უთხრა, - რომელიც მოგეწონოთ, ამოირჩიეთო! ქალმა, ჯერ იყო, მასთან ლაპარაკი არ ინდომა, მერე დაჰყვა და აირჩია... ისეთივე თასი, როგორიც ჩამოართვეს.

კაცის ჩემოდანი ბროლის ნაკეთობებით იყო სავსე.

გორამ უკიდეგანო გაყინული ზედაპირი დაინახა. დარწმუნებული იყო, რომ, სახელდობრ, ობს მიადგა, მაგრამ მაინც ადგილმდებარეობის გაგნება მიიჩნია საჭიროდ. შუადღე იყო, დაფლეთილი ღრუბლებიდან მზე ხანგამოშვებით იყურებოდა. ყინვა იდგა, ჭახჭახა და გამჭვირვალე. საიმედო საფარი მონახა, კარავი გაშალა, ის, ბალახონადაც რომ ვარგოდა, წაიხემსა და ხელსაწყო მოიმარჯვა. ვარაუდი სწორი აღმოჩნდა, ობს იყო მიმდგარი, მაგრამ გადასვლა შეღამებისთვის გადადო - დაყოვნება, თვალთვალი არჩია, - აბა, ამ ადგილებში ვინმე თუ გადადის გაღმა-გამოღმაო. საათიც არ იყო გასული, ჩრდილოეთიდან ცხენ-მარხილი მოადგა ნაპირს, ზემოთ-ქვემოთ იარა, ვაკე ადგილი იპოვნა, სამხრეთისკენ გასწია, ყინული გადაიარა და თვალს მიეფარა. გორამ პატარა ფიქრისა და ყოყმანის მერე კარავი აჰყარა, იმ ადგილს მიუახლოვდა, სადაც მარხილი გადავიდა, ისევ მოძებნა მოთვალთვალისთვის შესაფერისი საფარი და ახლა აქ მოაწყო ბუნაგი. არც მოტყუებულა - სამხრეთიდან წამოსულმა მუხლუხებიანმა ავტომანქანამ სწორედ აქ გადმოსერა ობი - მარხილის კვალს თუ გამოჰყვა: წინა დღეები თოვლიანი იყო, ძველი ფიფქმა დაჰფარა, ცხენ-მარხილმა გაიტანა ახალი კვალი. კიდევ რამდენიმე მარხილმა და ორმა ავტომანქანამ გადაიარა. ერთი ავიამარხილიც მოადგა ნაპირს და დათოვლილი ყინული გრიალით გადმოსერა. გორამ თავისი რუკა გაშალა, ჩხიბვას მიჰყო ხელი, თუ საიდან სად, რომელ დასახლებულ პუნქტებს შორის დაიარებოდა ეს ხალხი. მერე იმის ფიქრს მისდგა, - აქამდე სად იყვნენ, რაღა ნაშუადღევი შეარჩიეს სამგზავროდ.

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ეს მოხუცი კაცი საითღა მიემართება?.. დაიღალა, დასასვენებლად დაჯდა... ხიფთანი და ბამბის შარვალი აცვია... „სიბლონკაც“ პატიმრისა ახურავს!.. სადმე ახლომახლო ბანაკი ხომ არ არის?.. ადგა, მიდის. ვიღაცას მაგონებს - ტანით, სიარულით, სახითაც - რამდენადაც ამ მანძილზე გარჩევა შეიძლება. მივხვდი, ვისაც ჰგავს - ბარონ ბიბინეიშვილს...[225] მახსოვს, თბილისში ახალი დაბრუნებული ვიყავი, მეგობრების წრეში ლაპარაკი ჩამოვარდა და შემთხვევით მკითხეს, - ასეთი და ასეთი კაცის ასავალ-დასავალი ხომ არ იციო. ვიცოდი და ვუთხარი კიდეც. რამდენიმე დღის შემდეგ მისმა მოხუცმა დამ მომინახულა, ნათქვამი გამამეორებინა. ჩემ ვერსიას არ დაეთანხმა, ეგ შეუძლებელია, ჩემი ძმა ოცდაჩვიდმეტში დახვრიტესო. ვერ მომიფიქრებია მიზეზი, რომ ფართოდ ცნობილი პიროვნება ბანაკში პატიმრობის ვადას სხვისი გვარით იხდიდეს. ასეთი მაგალითები არ ვიცი და ამიტომ ის მოხუცი ჩემთვის ბარონ ბიბინეიშვილად რჩება. ძველთაძველი თაობის რევოლუციონერი იყო, მარქსისტი, სტალინზე კარგა უფროსი. თხუთმეტწლიანი ვადა თითქმის მოხდილი ჰქონდა, ცხრა თუ ათი თვე რჩებოდა... ქართველები ერთ ბარაკში ვცხოვრობდით. შიმშილი იყო, რაღაც ორი მუჭა სასწაულებრივ შემორჩენილი ლობიო აღმოჩნდა, იმის მოხარშვა განვიზრახეთ. ბარონმა აიხირა, - კარგი მოხარშვა ვიცი, მე გავაკეთებო. დაგვიყოლია და წაიღო. მოხარშა, მოჰქონდა, სიბნელეში ფეხი რაღაცას წამოჰკრა და რასაც მოიტანდა - გასაგებია. არ შევიმჩნიეთ, - ნუ სწუხხარ, შე კაი კაცო, თერთმეტნი ვართ, ორორი კოვზი ლობიოთი დავსუქდებოდით თუ როგორაო, გავამხნევეთ და ეგ იყო. რამდენიმე დღე გავიდა, სამუშაოდან დავბრუნდით, ბალანდა მივირთვით. ზოგი რას საქმობს, ზოგი რას. ვასო ჭავჭანიძე[226] და მე ნარდს ვთამაშობთ, ბარონი მოვიდა, კონვერტი მომცა, - შენ რომ კაცი გყავს, იმას მიეცი, ფოსტის ყუთში ჩააგდოსო. მაშინ წელიწადში ორი წერილის გაგზავნის უფლება იყო, მეტისა არა. თუ სამუშაოზე გაშინაურებული თავისუფალი მოსამსახურე გყავდა, კონვერტს წაიღებდა და ფოსტის ყუთში ჩააგდებდა. ასე გაგზავნილ წერილს იშვიათად, რომ მისამართამდე მიეღწია, ჩეკისტები იჭერდნენ. ჩვენ მაინც ვწერდით - ჩავა, ხომ კარგი, არ ჩავა და ჩვენი ჭირი წაუღიაო. ბარონის მოტანილი

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

კონვერტი ღია იყო და გარედან ლამაზი ხელით ეწერა: „*Москва, Кремль. Джугашвили Иосифу Виссарионовичу*“. გამგზავნის მისამართი, რა თქმა უნდა, გამოგონილი. ის კი არ გამკვირვებია, რომ სტალინს სწერდა - გამიკვირდა, რომ, საერთოდ, სწერდა, რადგან თხუთმეტი წლის პატიმრობის მანძილზე საჩივარი და, მით უმეტეს, თხოვნა ერთხელაც არავისთვის მიუწერია. ასეთი ადამიანი გახლდათ, მაშინდელ ხელმძღვანელობაში მიმართვის ღირსად არავის სთვლიდა. ამასთან, უახლოეს მომავალში უნდა გათავისუფლებულიყო... მისამართი ხელმეორედ ჩავიკითხე და ვკითხე, - ძია ბარონ, კონვერტი ღიაა, ეს ხომ არ ნიშნავს, რომ წაკითხვის უფლება გვაქვს? მხრები აიჩეჩა, - თუ გნებავთ, წაიკითხეთო. წავიკითხე და, აი, რა ეწერა: „მატერიალური ხელმოკლეობისა და გაჭირვების გამო, იძულებული ვარ, მოგაგონოთ: როდესაც სტოლიპინის ვაგონით ერთად მივყავდით - თქვენ ტურუხანსკში დასახლებაზე, ხოლო მე — ირკუტსკის ცენტრალში, სადგურ ენისეიზე მოგეცით ციყვის ბეწვით დათბილული პალტო - ერთი, ას ოცი მანეთი; ფულად - ორმოცდაათი მანეთი; ციმბირული პიმი - ერთი წყვილი, ხუთი მანეთი, სულ ას სამოცდათხუთმეტი მანეთი. ვიმედოვნებ, გახსოვთ, რომ აღნიშნული ფასეულობები და ფული ციხეში ოჯახის წევრებმა გადმომცეს და პარტიული სალაროთი არ მისარგებლია. გთხოვთ, დამიბრუნოთ ვალი მაშინდელი კურსის გათვალისწინებით. ბარონ ბიბინეიშვილი.“ თარიღი... პირი დავაღე და ამასობაში წერილი სხვებმა გამომართვეს. დიდი დავაკამათი ატყდა. ზოგი ამბობდა, - მაგ წერილის გაგზავნა და საგანგებო თათბირისგან დამატებითი პატიმრობის ვადის მიღება, ერთიაო. სხვები პირიქით, - სტალინმა რა იცის, ზიხარ თუ დგახარ, უნდა უსათუოდ გაუგზავნოო! ერთი სიტყვით, დილით წერილი სამუშაოზე გავაპარე და იმავ საღამოს ფოსტის ყუთში ჩაყურყუმელავდა.

თვე გავიდა თუ თვე-ნახევარი. ისევ საღამო ხანია. ზედამხედველები შემოვიდნენ, ბარონს უთხრეს, - ჩაიცვი, წავიდეთო! უბარხანოდ წაიყვანეს. გრიშა გოგალაძე[227] ტერიკონზე აბობღდა, ამბავი მოიტანა, - „ბნელით“, ესე იგი, დახურული მანქანით წაიყვანესო! ეს რამდენადმე გასაკვირი იყო, რადგან როცა უბა-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

რხანოდ მივყავდით, ან ზონაში შემოსულ უფროსს სწყურდა ჩვენთან პაემანი, ან იშვიათ შემთხვევაში, ადმინისტრაციის ზონის გარეთა შენობაში ვინმე ჩამოსული უფროსი გვიხმობდა. ორივენაირი გამოძახება საკმაოდ უსიამოვნო მოვლენად ითვლებოდა - რა ჭირი უნდათ?!.

ბარონ ბიბინეიშვილი ორი თვის თავზე დაბრუნდა. დასვენებული, მოსულიერებული იყო. ამას იქით რასაც ვიხსენებ, - მისი მონაყოლია. ამაყი, ღირსეული პიროვნება გახლდათ ჩვენი მოხუცი, მისგან სიცრუე ისევე არავის გაუგონია, როგორც, ვთქვათ, უზრდელობა, უფროსების წინაშე ქედის მოხრა თუ თავისი მდიდარი წარსულით ტრაბახი. საყოველთაო ნდობითა და პატივისცემით სარგებლობდა მათი მხრიდანაც კი, ვინც ყველანაირი კომუნისტისა და ყველა შეფერილობის კომუნიზმის აქტიური მოძულე იყო. ეს ბარონმა თავისი პიროვნული თვისებებით დაიმსახურა. ამბავი კი ასეთი მოიტანა: ყარაგანდაში ჩაიყვანეს, ჩვენი ბანაკიდან ორმოცდაათი კილომეტრი იყო, და პირდაპირ კაბინეტში მიჰგვარეს ყარაგანდის ოლქის უშიშროების სამმართველოს უფროსს. წესისამებრ, ვინაობა, ნასამართლობა, დაბადების წელი, პატიმრობის ვადა ჩაუბულბულა. სკამზე მიუთითეს, - დაბრძანდითო. ორნი იყვნენ - სამმართველოს უფროსი და ყაზახეთის უშიშროების მინისტრი. ამ მთის, იმ მთისა და, მოულოდნელად შეეკითხნენ, - მიწერ-მოწერა ვისთან გაქვთო?

- არავისთან, - მტკიცედ მიუგო ბარონმა.

რამდენიმეჯერ გაუმეორეს, - სიმართლე სთქვიო.

- ოცდარვა წლის ვიყავი, უკანასკნელად რომ ვიცრუე, - თავისაზე დადგა მოხუცი.

- ეს ვისი დაწერილია? - ნიშნისგებით ჰკითხა უფროსმა და კონვერტი დაანახვა.

- ჩემი.

- აკი, მიწერ-მოწერა არავისთან მაქვს და ბოლო სიცრუე ოცდარვა წლისამ ვთქვიო? როგორ არ გრცხვენიათ ამ ხნის კაცს, ჰა?

- რამდენი შრომა დავხარჯეთ მე, ჩემისთანებმა და მაგ ადრესატმა, რომ თქვენთვის და თქვენისთანებისთვის წერა-კითხვა

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

და რუსული ენა გვესწავლებინა! არაფერი გამოვიდა. მიწერ-მოწერა იმას ჰქვია, როცა თქვენ სწერთ, პასუხს გწერენ და ეს მრავალგზის მეორდება. თქვენ რომ გეკითხათ-ვის მისწერეთ წერილიო, სწორ პასუხს მიიღებდით ისევე, როგორც მიიღეთ სწორი პასუხი დასმულ კითხვაზე.

უფროსები, ცოტა არ იყოს, დაიბნენ, შენიშვნები ეუცხოვათ, მაგრამ თავს დროულად დაეუფლნენ და შეტევის მეთოდს მიმართეს:

- თქვენ გესმით, რას სჩადიხართ?!. კაცმა, ვინც დღეღამ ჩვენს და მსოფლიო პროლეტარიატის კეთილდღეობაზე ფიქრობს, ვინც აუარებელი ურთულესი საკითხით არის გადატვირთული, თქვენი ნაჯღაბნის კითხვას უნდა მოანდომოს ძვირფასი წუთები?!. სად არის თქვენი შეგნება და რომელი ზნეობრივი ნორმებით ხელმძღვანელობთ, როცა თავს ამის უფლებას აძლევთ? - მინისტრმა წერილი ააფრიალა.

- ზნეობრივ ნორმებს თუ მივმართავთ, წაგებული დარჩებით. ვინ მოგცათ ზნეობრივი უფლება, სხვისი წერილები იკითხოთ? რასაც მანდ ვწერ, ჩვენ ორის პირადი ურთიერთობების სფეროს განეკუთვნება და მესამე პირს, როგორი უფლებებითაც უნდა იყოს აღჭურვილი, საქმეში ჩარევა უზნეობად უნდა მიეთვალოს.

ამ შენიშვნამ უფროსების უკიდურესი აღშფოთება გამოიწვია. მინისტრმა იმდენი ლანძღვა-გინება გადმოაფრქვია, რომ თავისივე სიტყვებმა უფრო მეტად გააგულისა, თავშეკავებამ უმტყუნა, მოხუცს მიეჭრა, სილა გაჰკრა, ახლაღა იგრძნო, რომ გადააჭარბა, დადუმდა და ადგილს დაუბრუნდა. ბარონმა სიჩუმით ისარგებლა:

- რაღაც შეიცვალა, სილაქი ნაზი იყო. რაიმე დირექტივა მიიღეთ?.. მე თქვენთან მასლაათს მოვრჩი. გაგზავნეთ ეგ წერილი, უსიამოვნებას ნუ გადაეყრებით... თუმცა, უსიამოვნებები არც გაგზავნის შემთხვევაშია გამორიცხული. კარგად ბრძანდებოდეთ!

ბარონმა ისეთი რამ მოიმოქმედა, რაც პატიმრობის მსოფლიო ისტორიის მანძილზე არავის გაუბედავს: ადგა და კაბინეტიდან გავიდა! ამ თავხედობამ უფროსები საბოლოოდ დააბნია. მისაღებში ატუზული ზედამხედველებიც ღრმა საგონებელში ჩა-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ცვივდნენ, რადგან ვერ გაეგოთ, რა ხდებოდა, არავითარი ბრძანება არ მიუღიათ, თუ სად წაეყვანათ პატიმარი და, საერთოდ, წაეყვანათ თუ არა საითმე...

უფროსებისთვის ბარონის წერილის პრობლემა, მართლაც, საჩოთირო გახლდათ. წინ წყალი ჰქონდათ და უკან მეწყერი. გაეშვათ წერილი, ვაითუ მოსკოვის უშიშროების ორგანოები ყალყზე შემდგარიყვნენ და აქაურებისთვის ეშმაკები მიესიათ. არ გაეშვათ და, იქნება გამწყრალიყო ღმერთი, სტალინს რაიმე გზებით გაეგო, წერილი დამიკავესო, და მთლად უარესი! გონებრივი შესაძლებლობებით, საფიქრებელია, ვერც მინისტრი დაიტრაბახებდა და ვერც მისი სამმართველოს უფროსი, მაგრამ ღმერთს — ღმრთისა და კეისარს — კეისრისაო, სიმართლე ვთქვათ, ერთმაცა და მეორემაც თავისი საქმე ბრწყინვალედ იცოდა. ამიტომ ჭირვეული მოხუცის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გამწესება გადაწყვიტეს. ეს ჯერ კიდევ ის დრო იყო, როდესაც „ფსიხუშკებში“ ნამდვილ ავადმყოფებს — სამკურნალოდ, ხოლო სიმულაციაში ეჭვმიტანილებს შესამოწმებლად გზავნიდნენ. საგიჟეთში გაშვება, როგორც რეპრესიის სახეობა, თუ არ ვცდები, ბრეჟნევის დროინდელი ოინია. უფროსებს ბარონის ფსიქიკურ წყობაზე მართალი ცნობა სჭირდებოდათ. თუ ფსიქიატრები დაადასტურებდნენ, რომ ბარონი ნორმალურია, წერილი გაიგზავნებოდა. თუ დასწერდნენ, ავადმყოფიაო, ამის მომიზეზებით აღარ გაგზავნიდნენ. თავი — ქუდში, სული — სამოთხეში! მიიყვანეს ბარონი და მთავარი ექიმიდან დამლაგებლამდე ყველა დარწმუნდა, რომ პაციენტი არამცთუ ნორმალური პიროვნება იყო, არამედ ფსიქიკური სისაღის ეტალონადაც კი გამოდგებოდა. დაუწერეს ცნობა, გაუგზავნეს უფროსებს და მოიყვანეს საღ-სალამათი ბარონი საყვარელ და მშობლიურ ბარაკში, ცნობისწადილით სულაკაწკაწებულ ძმაკაცებთან. კიდევ ერთ თვეში ბარონი ბულალტერმა გამოიძახა და აცნობა, - კრემლის სამეურნეო სამმართველოდან ას სამოცდათხუთმეტი მანეთი ჩაგერიცხათო! არა მგონია, ბელადთან შეუთანხმებლად ვინმეს ამგვარი ნაბიჯის პასუხისმგებლობა ეკისრა.

წინააღმდეგ საყოველთაოდ მიღებული სიკვდილის თარიღისა, ვამბობ, რომ საბანაკო სამყაროში ბარონ ბიბინეიშვილად

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ცნობილი პიროვნება ათას ცხრაას ორმოცდათორმეტი წლის ზამთარში გათავისუფლდა „პესჩანლაგის“ მეხუთე განყოფილებიდან დაბა დუბოვკაში. გარეთ ორ თუ სამ დღეზე მეტი არ უცოცხლია, უეცრად გარდაიცვალა.

დაიმარხა ხაზინის ხარჯზე, საფიქრებელია, არაქრისტიანული წესით. მაშ, როგორ იქნებოდა, ღმერთი არც თავად სწამდა და არც დამმარხავებს.

საერთოდ, უფრო გონსასეირო ადგილებში არა ვმჯდარვარ, ვიდრე ყარაგანდის ბანაკები იყო. რას არ ნახავდა, რას არ გაიგონებდა და, თუ საკმაო გამოცდილება არ ჰქონდა, რაში არ გაეხვეოდა კაცი... არა, ჯერ ჰასან-ბადრ ფარვიზფურისა[228] ვთქვათ...

ბანაკში თუ დაგვა-დაწმენდა-ხეხვასა და ენაჭარჩალა, მოყაყანე პატიმრების იზოლატორში შემწყვდევას მიჰყოფდა ხელს ადმინისტრაცია, ნიშნავდა, რომ ხვალ თუ არა, ზეგ რაღაც კომისია უნდა მობრძანებულიყო, და არა მარტო იმის შესამოწმებლად, თუ როგორ ასრულებს ადმინისტრაცია „სამშობლოს მიერ დაკისრებულ მოვალეობებს“, არამედ პატიმართა კონტინგენტში არსებული განწყობილებების დაფიქსირებისთვისაც, რაც საჩივრების მოსმენითა და გასაუბრების მეთოდებით ხორციელდებოდა ხოლმე. ამას პატიმრებისთვის სასარგებლო როგორიმე შედეგი არასოდეს მოჰყოლია. ეს პატიმრებმა კარგად გაიცნობიერეს და კომისიებთან საუბარი სერიოზული შედეგებისთვის გამოიყენეს: ორი ან სამი პატიმარი ოპერრწმუნებულის, ანუ პატიმრების უპირველესი მტრის, ქებას დაიწყებდა მაშინ, როცა მისი მოშორება იყო სასურველი: *„Он у нас один человек!“* – მაგას ამათში არავინ სჯობსო! თუ ამ შეფასებას სხვა პატიმრებიც დაუკრავდნენ კვერს, ასეთი ოპერრწმუნებული ერთ, ორ კვირაში სხვაგან გადაჰყავდათ. ეს პატიმრების მიერ წინასწარ დაგეგმილი ოპერაცია გახლდათ – შესაძლოა, კომისია ამას ხვდებოდა კიდეც, მაგრამ ყოველ შემთხვევისთვის – მიჰყავდათ. სასაცილო ის იყო, რომ კომისიასთან სასაუბროდ ახალი, გამოუცდელი პატიმრები გროვდებოდნენ. იყო ერთი ჩივილი და მზარეულების ლანძღვა: ზეთს იპარავენ, მარილს აკლ-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ებენ და ასეთები, ვითომ ამ კომისიას გულაგის დაარსებიდანვე გამეფებული ქურდბაცაცობის აღკვეთა შეეძლო. ასეთ საჩივრებს კომისია დუმილით პასუხობდა.

ერთი კურიოზის შემსწრე თავად ვარ: კომისიის თავმჯდომარე გენერალი და მომჩივანი ორთავენი ბლუ აღმოჩნდნენ. იწვალა ერთმაცა და მეორემაც, ერთმანეთისა ვერაფერი გაიგეს. დამსწრე პატიმრებს და, რა დასამალია, მეც, მიუხედავად იმისა, რომ კარგა მანძილიდან ვისმენდი ამ უნიკალურ დიალოგს, სიცილი აგვივარდა. გენერალს ეგონა, დამცინის ეს მამაძაღლიო, და ბლუ პატიმარი, გვარად - კვაშა,[229] იზოლატორში სულ მკლავების გადაგრეხითა და მუჯლუგუნებით მიაბრძანეს... კაცო, ფარვიზფურზე დაიწყე და საით წახვედი?!. ჰო, ფარვიზფური, მაგრამ ერთი აუცილებელი რამეც უნდა ვთქვა: ინტრიგან, ყაყანა პატიმრებს იზოლატორში კომისიის მოსვლამდე რამდენიმე საათით ადრე ჰკეტავდნენ და ასე „რეპრესირებულებს" მისი წასვლისთანავე ათავისუფლებდნენ. საცოდავი კვაშა იმ ინციდენტის შემდეგ მოყაყანეთა რიცხვს მიაკუთვნეს და, დარწმუნებული ვარ, რომელიმე კომისიასთან ურთიერთობა მას აღარასოდეს ჰღირსებია...

ფარვიზფური, არა? შორიახლო ვდგევარ, კომისიის გარშემო კარგა მოზრდილი ბრბოა მოგროვილი. იმ ბრბოში ძველი პატიმარი ერთი ან ორი თუ იქნებოდა და ისიც იმისთვის, რომ კომისიის წევრთა ლაპარაკიდან რაიმე მაინც შეეტყო იმისა, თუ რა ხდებოდა ქვეყანაზე საერთოდ, გულაგსა და აქაურ სამმართველოში... რას გაიგებდი, მაგრამ ეს კი იყო, რომ ბრბოში ყველაზე გამჭრიახ პატიმრებს „ვნერგავდით"... ეეე! ფარვიზფური, ფარვიზფური!.. კარგი, რა - მათქმევინე, რაც საჭიროა! ბრბოს ერთი ახალმოყვანილი, მაღალი, წარმოსადეგი, ცხადად აღმოსავლური ტიპის პატიმარი მიუახლოვდა. ერთხანს ისმინა, ჰაუზა მოიხელთა, ბრბო გაარღვია, კომისიის წინაშე წარსდგა და გენერალს აღმოსავლურაქცენტიანი რუსულით ჰკითხა:

– Гражданин генерал, я живой?!.

გენერალს გონებამ დროზე ვერაფერი მოაწოდა. ამიტომ კარგა მოზრდილი შეყოვნების შემდეგ სთქვა:

– Ну?..

– Что – ну!.. Я живой!..

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– Ну, живой! А что?.. Во-первых, кто Вы?

– Старший лейтенант шахиншахской военной авиации; летчик-истребитель, гражданин Ирана – Парвизпур Хасан Бадр!

– Вот теперь понятно! – მტკიცედ წარმოსთქვა გენერალმა, ალბათ, იმიტომ, რომ დაიჯერა, ცოცხალიაო.

ამ ბოლო ნათქვამის მნიშვნელობა, დარწმუნებული ვარ, თავად გენერალმაც ბუნდოვნად იცოდა. ჰასან-ბადრ ფარვიზფურმა უბიდან გაკეცილი გაზეთი ამოიღო და გენერალს ჰკითხა, თუ ცოცხალი ვარ, თქვენი გაზეთი რატომ სწერს, მკვდარიაო?.. ეს ბოლო ცნობაა, მოქალაქე გენერალო. ადრე თქვენი გაზეთი სწერდა, ჩვენ ასეთი კაცისა არაფერი ვიცითო!

ფარვიზფურმა უბიდან მეორე გაზეთი ამოიღო, გენერალს გაუწოდა. გენერალმა ხაზგასმული სტრიქონები ორივე გაზეთში ჩაიკითხა, პატრონს დაუბრუნა, შეფიქრიანდა და მიუგო, - ჩვენი საქმე არ არის, რომელი გაზეთი რას სწერს. სახელმწიფომ თქვენი თავი ჩაგვაბარა და ჩვენ გიცავთ, უზრუნველვყოფთ თქვენს კეთილდღეობასო!..

კეთილდღეობასო! არც მეტი, არც ნაკლები.

ამ კაცის პიროვნებამ დამაინტერესა. კონტაქტაბელური აღმოჩნდა, დავმეგობრდით კიდეც. „ეამისა“ და „ელასის“ ომის დროს თავისი გამანადგურებლით საბერძნეთში გადაფრენილა. მისი ამ ნაბიჯის ჭეშმარიტი მოტივები ჩემთვის ბოლომდე უცნობი დარჩა. სპარსი არ იყო, აზერბაიჯანელი გახლდათ, მაგრამ არისტოკრატული წარმოშობისა. მისი ახლო ნათესავები შაჰის კარსა და მთავრობაში მსახურობდნენ. ალალი ძმა - მოსკოვში, ჰასან-ბადრის პატიმრობის დროსაც კი, ირანის კონსულად იყო. ეს, შესაძლოა, იმითაც აიხსნებოდეს, რომ მფრინავ-გამანადგურებელი უგზო-უკვლოდ დაკარგულად ითვლებოდა, ირანის მთავრობამ არაფერი იცოდა მისი.

საბერძნეთის სამოქალაქო ომში კომუნისტები რომ დამარცხდნენ, ფარვიზფურმა საბჭოთა კავშირს მოაშურა, თავშესაფარს ჰგონებდა. მან და მისთანებმა ოცდახუთი წლის განაჩენი „ოსო“- დან საახალწლო საჩუქარივით მიიღეს. როცა საბჭოთა მთავრობამ, ბოლოს და ბოლოს, იგი მკვდრად გამოაცხადა და

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ამით მისი აქ ყოფნა დაადასტურა, კონსული ძმა ირანის მთავრობამ თანამდებობიდან გაათავისუფლა, ხოლო თვით ფარვიზფურს ირანის უმაღლესმა სასამართლომ - იქნება მკვდარი არ არისო, - სიკვდილი დაუსწრებლად მიუსაჯა.

მახსოვს, მალენკოვის მეფობისას ბანაკში გაფიცვა იყო. ფარვიზფურს რადიოთი დაუძახეს. მას მერე მრავალ წელიწადს აღარ მენახა. ერთ-ერთი შვებულების დროს თბილისში ქუჩაში შემომხვდა, - გორა არა ხარო? ორივემ ძალიან გავიხარეთ. თავგადასავალი მე ჩემი ვუამბე, მან - თავისი. აი, როგორ წარმართულა მისი ცხოვრება: გამოძახებისთანავე მოსკოვში გააქანეს. ერთხანს „ლუბიანკაზე" ჰყავდათ. გაათავისუფლეს. ირანში არ წაესვლებოდა. მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე ჩაუბარებია გამოცდები. დამთავრების შემდეგ - ასპირანტურა, საკანდიდატო დისერტაცია! ხარისხის დაცვის მერე ირანის კომპარტიის მოსკოვურ ბიუროს მიუთავაზებია, - აგერ, შუა აზიის რესპუბლიკები, აგერ, აზერბაიჯანი და საქართველო. წადი და, სადაც ისურვებ სამსახურსა და ფეხის მოკიდებას, აირჩიე, ჩვენ მოწყობაში დაგეხმარებითო, და საბჭოთა მოქალაქეობაც გაუკვარახჭინეს. უვლია, თბილისი აურჩევია. ბატონ დევი სტურუასთან[230] მისულა, ამან სამართლის ინსტიტუტში ადგილი მოუხერხა. მე რომ შემხვდა, უკვე ცოლშვილიანი იყო. ქართველი ქალი მოეყვანა, ორი გოგონაც ჰყავდა. სანამ მე საქართველოდან გუდა-ნაბადს ავიკრავდი, სადოქტოროც დაიცვა.

ეგაც შენი ფარვიზფური. მოისვენე?.. იქვე ერთი ხორეჩკო[231] რომ იყო, ის არ გავიხსენოთ?.. აკი ვთქვით, იმ ბანაკზე უფრო გონსასეირო, დანარჩენ ას ორმოცდაათამდე საპატიმროს შორის, სადაც ნამყოფი ვარ, ერთიც არ ყოფილა-მეთქი! ხომ უნდა დავადასტუროთ, რომ ეს, მართლაც, ასეა?.. დავადასტუროთ!

ბრიგადირი დილით სასადილოში ყველაზე ადრე მიდის, რომ გამგესთან თავისი ხალხის ულუფათა რაოდენობა შეათანხმოს - ზოგს რა ეკუთვნის და ზოგს როგორი. ჩემი იქ მისვლა პირველი იყო. მივედი, რიგში ჩავდექი. ოცამდე კოლეგა დამხვდა. კარგა ხანს ვიდექი, უკვე თითქმის შუაში ვარ და იმ ხალხს რაღაც საოცრება დაემართა - პირი ყველამ ერთდროულად შემოსასვლელისკენ იბრუნა, ჯარში რომ დაიძახებენ, - მარცხნისაკენო,

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ლა რიგი მწკრივად გადაიქცევა, სწორედ ისე მოხდა. ესაც არა-
ფერი, ყველამ ერთხმად და ერთდროულად ისეთი ალიტერაცი-
ებით შემკული ლანძღვა-გინება ამოაფრქვია, კაცი იფიქრებდა,
საგანგებოდ გაზეპირებულ ენის გასატეხს ამბობენო. გავიხედე
- ტანდაბალი, გამხდარ-გაცრეცილი კაცი მოდის. მოვიდა, რიგ-
ის შუა ალაგას დადგა, სწორედ ჩემ გვერდით. იმის აქ დადგომა
იყო, ბრიგადირები ელვის სისწრაფით გაიფანტნენ. მოსულმა
ჩემს გვერდით კიდევ ათიოდე წამი დაჰყო და ცხვირში ისეთი
სიმყრალე მეტაკა, რომ ვფიცავ, რაც კი რამ საფიცარი მაქვს, -
შევტორტმანდი, კედელთან არა ვმდგარიყავი, იატაკზე გავადე-
ნდი ბრაგვანს. პოლიტიკურების ბანაკებში ცემა-ტყეპა იშვიათ-
ია, კონფლიქტები „დიპლომატიური საშუალებებით" წესრიგდ-
ება, მაგრამ ამ შემთხვევაში, ალბათ, თავდაცვისა და ჯაერის
ყრის მექანიზმმა იმოქმედა, რაც კი ძალ-ღონე მქონდა, ყბაში
ვთხლიშე, მოჭრილივით დავაგდე. ზედამხედველები იქვე ყურყ-
უტებდნენ, კარცერში წამიყვანეს. თურმე, ნუ იტყვი, სხვათა
არაერთგზისი საქციელისთვის მიმიმართავს. ის კაცი, მეტსახ-
ელად „ხორიოკი", ქართულად - ქრცვინი, ამ ხერხის მეშვეობით
სხვებზე ნახევარი საათით მეტ ძილს ინაღდებდა და არც რიგში
დგომით იწუხებდა თავს. სასაცილო ის არის, რომ ხორიოკს გვ-
არი ხორეჩკო ჰქონდა. ერთი თვისა თუ თვე-ნახევრის მოყვანი-
ლი იყო. ჩემსავით ბრიგადირად მუშაობდა. თავისი ხრიკი პირვ-
ელსავე დღეს წარმატებით გამოუყენებია, მაგრამ როცა მეორე
დღესაც იგივე ჩაიდინა, ვიღაც გამწარებულს ყბაში უთავაზებ-
ია. მოჩხუბარი კარცერში მიუბრძანებიათ - რა ვიცოდი? ამ მი-
მართებით ადმინისტრაციის ლოგიკა შემდეგნაირია: დაგიშავეს
რამე? ხელყოფა აკრძალულია, მოგვახსენე, დავსჯით! ხორეჩკო
ავადმყოფია, თავს ვერ იკავებს. რა ჰქნას?.. გახსოვს? ვიღაცამ
უთხრა, ავადმყოფი თუა, წაიყვანეთ და უმკურნალეთო! ეგ ჩვე-
ნი საქმეაო, მიუგეს... მახსოვს, როგორ არა. ხორეჩკოს მეთოდ-
იკა ნახე: თავიდან იმას მიაღწია, რომ ვინც წინასწარ იცოდა,
მისი მოსვლისთანავე რაც უნდა მომხდარიყო, ისინი უსაფრთ-
ხო მანძილზე შორდებოდნენ იქაურობას. ამიტომ, როცა სარკმ-
ელთან ურიგოდ მისვლა გაინაღდა, თავის ხერხს მხოლოდ ახლ-
ების, საქმეში ჩაუხედავი კაცების მიმართ იყენებდა. ასე რომ,

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ამჯერად მისი ოპუსი ჩემი მისამართით იყო შესრულებული, ნაწარმოები, სახელდობრ, მე მომიძღენა!.. რა გინდა, პატიოსანი კაცი იყო, ზურგს უკან არაფერს სჩადიოდა. მოვიდოდა, ყველას თვალწინ დემონსტრაციულად იზამდა და წაეიდოდა...

ზოგი ჭირი მარგებელიაო - კარცერში ტიპი დამხვდა - ალფონს[232] ერქვა. იმისთანა მახინჯი და პირუტყვის გარეგნობისა სხვაგან ძნელი სანახავია და არც ვინმე მსგავსი შემხვედრია. ასე, ოცდაერთის, ოცდაორისა იქნებოდა. დაბალი ტანისა, დიდთავა, მსუქანი, საოცრად ჭორფლიანი; სახეზე რაღაცნაირი ბურთულები ჰქონდა, თხილისოდენა. წერა-კითხვის უცოდინარი იყო, ხელის მოწერის გარდა არაფერი იცოდა. ბელორუსიის რომელიღაც მიყრუებულ სოფელში მაღაზიას ღამის დარაჯად სდგომოდა. ერთ ღამეს ტყეში გასულები დასხმიან, ალფონს გაუკოჭავთ, მაღაზია გაუძარცვავთ. ალფონსის ბრალდება ის იყო, - თავი წინასწარ შეთანხმებით გააკოჭინეო!

ალფონს ჩუმი კაცი იყო და ერთთავად გაუნძრევლად იჯდა, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მის „გამოხდომებს" ზუსტად სამ დღეში ერთხელ, ერთსა და იმავე დროს, ნავახშმევს. მოატრიალებდა თავს ჩემკენ, დამაცქერდებოდა და მკითხავდა:

– *А камунистия когда будет?!* – სახელდობრ, ასე.

სადმე გაგონილი ექნებოდა კომუნიზმი. ციხეში გაიგონა ამნისტია. ეს ორი სიტყვა გააერთიანა, განთავისუფლებას დაუკავშირა და თავი დაირწმუნა, რომ, აი, დღესვე თუ არა, ხვალ დილით უსათუოდ გამოცხადდება *Камунистия!*..ხორეჩკოს ამბავი არ უნდა დაასრულო?.. ეგ სხვა ბანაკში იყო... მერე რა, თავიდან უნდა მოუბრუნდე? ბარემ აქვე სთქვი.

ჰო, „ოზიორლაგის" ამ ბანაკში ახალი, ორი თუ სამი დღის მიყვანილი ვიყავი. ნაბდის ჩექმაზე ლანჩა ამძვრა. სახარაზოში შევედი. ვიღაც იჯდა, თავჩაღუნული მუშაობდა. მოვახსენე, რისთვისაც მივედი. ამომხედა... ხორეჩკო!.. ყბაში რომ ვთხლიშე, მას მერე ბარე ხუთი წელიწადი იყო გასული. არ გამოვემცნაურე. არც ხორეჩკომ შეიწუხა თავი. საქმე გადასდო, - დაჯექი, მომიცადე, უნდა ვისაუზმოო. დავჯექი. ჩაიდანი თუხთუხებდა. კოვზივით რაღაცა ჰქონდა, ზედ ცოტაოდენი შაქარი დაჰყარა, ღუმე-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ლში შეჰყო, დასწვა, ჩაიდანში ამოურია, - ფერი მზად არისო, სთქვა და კარადიდან კოლოფი გადმოიღო, ხუფი აჰხადა - კარაქი იყო. მერე ჩაი დაისხა, დაატკბო, პური მოიჭრა, სახარაზო დანა ბარძაყზე მიისვ-მოისვა და პურის ნაჭერს თითის სიმსხოდ წაუსვა კარაქი - სწორედ თითის სიმსხოდ. ძალიან საგულდაგულოდ უსვამდა, თითქოს ესიყვარულებაო. ამას რომ მორჩა, დანის ყუით, პურს თუ რამ კარაქი ეფინა, გამოჰხვეტა და საკარაქეში ჩააბრუნა. შავი პური იყო, ნასვრეტებიანი. კარაქი ნასვრეტებშიღა ჩარჩა, ჭორფლივით ჰქონდა. ხორეჩკომ ერთი კიდევ მოათვალიერა ნაჭერი, გადმოაბრუნა, მოკბიჩა და ჩაი, ანუ დამწვარი შაქრით შეფერილი წყალი, დააყოლა... ნამუშევარში სამმანეთიანი მივეცი და ვკითხე, - კარაქი რომ ჩააბრუნე, მესმის, დაზოგე, მაგრამ პური უკულმა, კარაქით ქვემოთ რატომ მიირთვიმეთქი? ხორეჩკომ ამომხედა და მითხრა, - გადაბრუნებულს რომ სჭამ, კარაქი პირდაპირ ენას ხვდება, გემრიელიაო!..

ასე, ოთხი საათისთვის ნაკადი შეწყდა - თუ ნაკადი შეიძლება ეწოდოს ათამდე კანტიკუნტ ტრანსპორტს. ზამთარი იყო, ამ განედებში ადრე ღამდებოდა. გორა თავისი ავლა-დიდების აშლა-დაბინავებას, მდინარეზე გადასვლის სამზადისს შეუდგა. ყველაფერი ააგროვა, თხილამურებზე შედგა, ციგა გამოიბა და ფერდოს ჩაჰყვა - მარხილებისა და მანქანების ნაკვალევზე სიარულს ვარაუდობდა, ასე უფრო ადვილი იქნებოდა იმსიგანე ყინულით გალმა გადასვლა. „ფონი“ უკვე ახლო იყო, როცა ავტომანქანის ხრიალი მოესმა. ჩაწვა, ხმაზე იყურა, სანამ მანქანის სილუეტი თუ ლანდი დაინახა - პირდაპირ მისკენ მოძრაობდა. ბორცვი იყო, ნამტვრევი ყინულისგან აზვინული. გახოხდა, ზედ ბორცვზე მივიდა, მიიხედ-მოიხედა, - საიმედოდ თუ ვარ ჩამალულიო. ციგას ბალახონი შეხსნა, წაიფარა და გაყუჩდა.

მანქანა ნაპირს მოადგა, უკვე ხმელზე უნდა ამოსულიყო, მაგრამ რატომღაც გაჩერდა. თეთრი „ნივა“ იყო, ახალთახალი. გორა საფარიდან გასცქეროდა, ლამობდა, გარკვეულიყო, რატომ გაჩერდა ავტომანქანა. ვინ ან რამდენი მგზავრი იჯდა შიგ, ვერ დაადგინა - უკვე თითქმის ბნელოდა და მანქანა არც იმდენად ახლო იდგა, რომ ამ მანძილიდან დაენახა ან გაეგონა, შიგ რა

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ხდებოდა. ძრავა თუხთუხებდა, ესე იგი, მანქანის ნაპირზე ამოსვლას წინ არაფერი ედგა. ასე დიდხანს გაგრძელდა. იწვა და უკვირდა, - ნეტავი, რა ხდებაო. ერთი გაფიქრება ისიც კი მოადგა აზრად, - გავეცალო აქაურობასაო, მაგრამ არც იმდენად ბნელოდა, რომ მანქანაში მჯდომისა თუ მსხდომთათავის მისი გადაადგილება შეუმჩნეველი დარჩენილიყო... მანქანის წინა მარჯვენა კარი გაიღო, კაცი გადმოხტა, პისტოლეტი იშიშვლა და მძღოლს შეუტია, - გადმოდი, შენი ასე და ისეო! გორამ ესაც კარგად გაიგონა და მძღოლის ყვირილიც, - წაეთრიე, არ გადმოვალო! ეს „გადმოდი-არ გადმოვალ“ ბარე სამ-ოთხჯერ განმეორდა. ბოლოს მძღოლმა მსუყე, სამსართულიანი გინება დაიყვირა, გადმოვიდა, თავადაც იშიშვლა რევოლვერი და პირველგადმოსულისკენ გამოემართა. ორმხრივი ლანძღვა-გინება ისმოდა... პირველგადმოსულმა ისროლა! მძღოლს იარაღი ხელიდან დაუვარდა, კვნესას, ლანძღვა-გინებას მოჰყვა და პატარა ხანს მერე გაქვავდა. მკვლელი დაიძრა, მწოლიარეს თავს წაადგა. ეტყობოდა, მეორე ტყვიის დახლას აპირებდა, მაგრამ ყოყმანობდა თუ სხვა რამ მიზეზი იყო - იდგა, აქეთ-იქით იყურებოდა. გორამ თოფის საკეტი ჩახსნა, მკვლელს დაუმიზნა, მაგრამ ამან იარაღი ქურქის ჯიბეში ჩაიდო, ადგილს მოსწყდა, სადაც იჯდა, ის სავარძელი გადმოსწია, უკანა სავარძლიდან კარგა მოზრდილი შავი ფუთა გადმოიღო, თანამგზავრს ისევ თავს დაადგა და პისტოლეტი დაუმიზნა... გორამ დაასწრო, დაიძახა:

— *А-ну, руки вверх, подонок!..* — და ჰაერში გაისროლა.

მკვლელმა მიიხედ-მოიხედა... გორამ თოფის გატენა მოასწრო, მეორედ ისროლა... მკვლელმა ერთი გაისროლა გორას თოფის ხმაზე და გაღმა ნაპირისკენ გაიქცა... გორამ კიდევ ესროლა. გაქცეულმა ფუთა დააგდო, კოჭლობით განაგრძო სირბილი...

მოვარტყი!.. არა, რა შარში გავები, ჰა?!. ბედი მომე, სანეხვეზე გადამაგდეო... რაში მჭირდებოდა ეს ამბავ-ხაბარი, ჰა?.. ჩემი იღბალი რა ვთქვი!.. ვინ ოხრები არიან, რა ვერ გაიყვეს... აგერ, ის ფუთა!.. მოიცა, მოიცა... ერთი პისტოლეტი მანდა გდია. მეორე მკვლელს გაჰყვა... გონს რომ მოეგოს და ფუთას დაუბრუნდეს?.. ადვილი შესაძლებელია... რა ვიცით, მკვდარია ეს კა-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ცი თუ დაჭრილი?.. ეხლა ჩვენ, გორა-ბატონო, როგორ მოვიქცეთ?! გზა გაღმა მაქვს. რა გარანტიაა, რომ ის გაქცეული სადმე არ არის ჩასაფრებული?.. არა, მაგას თუ ხელისუფლების წარმომადგენელი ვგონივარ, ყველაფრიდან ისე ჩანს, მაგის აზრით - ერთთან კი არა, რამდენიმე კაცთან აქვს საქმე... რა თქმა უნდა, არავითარი ჩასაფრება - დაჭრილია, სამხილი მიაქვს - წავა და გადაიკარგება. „სველი საქმე“ ვის უნდა ბრალდებად?.. რას გეტყვი, იცი? რახან შეტოპე - ბოლომდე გადი!.. ესე იგი, რა ვქნათ?.. თუ მიხვდა, რომ სანადირო თოფის ხმა იყო, შეიძლება, მობრუნდეს კიდეც... არა მგონია!..

გორამ კარგა ხანს იფიქრა. აყოვნებდა და ამაში, შესაძლოა, ის ქვეცნობიერი სიფრთხილეც იყო გარეული, რომ დრო სჭირდებოდა, რათა გაქცეული აქაურობას საკმაო მანძილზე გასცლოდა! ბარე ნახევარი საათი იყო გაყუჩებული. „ნივა“ თუხთუხებდა, მძღოლი ყინულზე იწვა, მისგან სამიოდ ნაბიჯზე მისი იარაღი ეგდო და მკვლელის მიერ გადაგდებული შავი ფუთაც თითქმის გარკვევით მოჩანდა... გორა ადგა, თოფი მოიმარჯვა, მძღოლისკენ გაემართა. შორიახლო გაჩერდა, ვითარებას დააკვირდა, სმენა გაამახვილა, - ფეხის ან აქეთ მომავალი სხვა მანქანის ხმა ხომ არაფერი ისმისო. მძღოლი კვლავინდებურად უძრავად იწვა. გორა რევოლვერს დასწვდა, დაათვალიერა - ბელგიური „ვალტერი“ იყო! ქამარში გაირჭო, მწოლიარესთან ჩაცუცქდა, მაჯა გაუსინჯა. მერე მანქანასთან მივიდა, ძრავა ჩააქრო, გასაღები ჯიბეში ჩაიდო, თავის ადგილსამყოფელს მიაშურა.

ცოტა ხნის შემდეგ თავის ბარხანიანად მწოლიარესთან დაბრუნდა, ისევ გაუსინჯა მაჯა და ჭრილობის ძებნას მიჰყო ხელი... საკვირველი ჭრილობა იყო: ტყვიას იღლიის ქვეშ ტყავი გაეტანა და ისე გასულიყო „საშშვიდობოს“, რომ სხვა არც რაიმე დაუზიანებია; ნეკნები კიდეც თუ აღმოჩნდებოდა დაზიანებული, ჭრილობა სიცოცხლისთვის არავითარ საშიშროებას არ წარმოადგენდა და გორას ეჭვი შეუჩნდა, - ეს კაცი თავს იმკვდარუნებს თუ მართლა გონი აქვს დაკარგულიო?..

სააფთიაქო მარაგიდან სახვევების ამოღება მოუხდა გორას. მარლა, რამდენიც წამოიღო, იმდენივე ჰქონდა - ბამბა და იოდ-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

იც. ჭრილობები დაუმუშავა, როგორი შესაძლებლობებიც გააჩ-
ნდა, და გაიფიქრა, ამოდენა გზა გამოვიარე, როგორ მოხდა, რომ
იოდი, ბამბა, მარლა და სახვევები არ დამჭირვებიაო?.. ორმხრ-
ივი ჭრილობის შესახვევად დაჭრილის რამდენჯერმე გადატრ-
იალება-გადმობრუნება დასჭირდა. ამის გამო იყო, თუ სხვა რამ
მიზეზით, დაჭრილმა ამოიგმინა, - ჩემი რევოლვერი სად არისო.
გორამ არაფერი უთხრა. დაჭრილმა თვალი გაახილა, თავს წამ-
ომდგარი გორა აათვალიერ-ჩამოათვალიერა, ისევ მილულა
თვალები და ცოტა ხანს მერე ჰკითხა, - ვინა ხარო?

- შენთვის როგორ სჯობს, ვინ გინდა, რომ ვიყო? - მიუგო
გორამ.

დაჭრილი სდუმდა.

გორამ მარხილი მოიტანა, ავტომანქანას გამოაბა, დაჭრილს
დასწვდა, მანქანის მარჯვენა კართან მიახოხა და უთხრა:

- ადექი, მანქანაში ჩაჯექი, გადაგიყვან!

დაჭრილს რეაგირება არ მოუხდენია.

- შეჯექი-მეთქი, თავს ნუ იგდებ! გაიგე, რაც გითხარი?

დაჭრილმა კვლავ დუმილი არჩია.

მაშინ გორამ თხილამურები მანქანაში შეალაგა. თოფიდან
ტყვია ამოაგდო, დაცლილი იარაღი თხილამურებთან დააბინავა
და იქით დაიძრა, სადაც გაქცეულმა შავი ფუთა დააგდო.

უკვე ბნელოდა, ძებნა მოუხდა. იპოვნა, ასწია. იმსიმძიმე აღმ-
ოჩნდა, რომ კინაღამ ხელიდან დაუვარდა. წამოიღო, იწვალა, მა-
ნქანის უკანა სავარძელზე მოათავსა და მერე დაჭრილს უთხრა:

- ადექი-მეთქი, თორემ დაგტოვებ!

დაჭრილი წამოჯდა, ადგომა სცადა - ისევ ძირს დაენარცხა
და წაილუღლუღა:

- მიშველე, ბევრი სისხლი დავკარგე, თავად ვერ შევჯდები.

გორამ ხელები შემოჰხვია, მძიმე იყო, ვერ შესვა.

- შენც თუ არ დამეხმარე, მარტო მე ვერ შეგსვამ. აბა, გაინ-
ძერი!.. მიდი, მიდი, ყოჩაღად!..

დაჭრილმა, როგორც ჩანს, ვითარება სწორად შეაფასა, ძალა
მოიკრიბა, შეჯდა. გორამ ძრავა ჩართო, ერთხანს ამუშავა, მან-
ქანა დასძრა, საიდანაც მოვიდნენ, იქით მიაბრუნა, კვალზე და-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

აყენა. ძრავა ისევ ჩააქრო, გასაღები გამოიღო, ციგა შეამოწმა, - ხომ არ გადაბრუნდაო. საჭეს დაუბრუნდა და ძალიან ნელი სვლით გაუდგა ნაკვალევს.

ცოტა ხანმა გაიარა.

- საით მიგყევარ? - მიმქრალი ხმით ჰკითხა დაჭრილმა.

- საიდანაც მოდიოდით! - მიუგო გორამ. - ის სისხლი ვისია, უკანა სავარძელზე?..

- რა სისხლი, რის სისხლი?!. - უფრო მარდად მიუგო დაჭრილმა, ვიდრე მოსალოდნელი იყო.

- თქვენ მესამე კაცი გყავდათ. სავარძელზე იმის სისხლია. რა უყავით?! - მკაცრად ჰკითხა გორამ და თავისთვის გაიფიქრა, - უადგილო ცნობისმოყვარეობაა... ალბათ, ყინული ჩასჭრეს, წყალში ჩაუშვეს.

დაჭრილი გატკივრენილი იჯდა. მერე გორას უთხრა:

- იქითა ნაპირზე არ მინდა...დამხვდება!..

- მე იქითა ნაპირზე მინდა! ისე მგონია, აღარავინ დაგხვდება, დაჭრილია. ფუთა დააგდო და გაიქცა.

- ფუთა?!. შავი ფუთა!.. სად არის ფუთა?..

- უკანა სავარძელზე გდია, სისხლიან სავარძელზე. მე ისე ვფიქრობ, მაგის ადგილი იქ არის, სისხლიანზე!

დაჭრილი მიბრუნდა, ხელის მოფათურება სცადა - ჭრილობამ არ დაანება...

- არ შემიძლია, გადმოდე წინ, - უთხრა დაჭრილმა გორას.

- ფეხებიც ხომ არ დაგბანო?.. მძიმეა, რა არის მაგ ფუთაში?..

- რა შენი საქმეა!.. ძაღლი არა ხარ, ვხედავ. სხვის საქმეში რატომ ერევი?.. არა, ვინა ხარ, რა გინდა?!. გამომიჩნდა მშვიდობის მაძიებელი... ფუთა გადმოიღე, შენი... - მსუყე გინება ამოაყოლა.

გორამ ხმა აღარ გასცა. ნელი სვლით მიდიოდა, კვალს მიჰყვებოდა და გაფაციცებით იყურებოდა მარჯვნივ და მარცხნივ. კვალიდან გადახვეული ნაბორბლარები შენიშნა, თავადაც იმ კვალზე გადაიყვანა მანქანა... ნაბორბლარი შეწყდა - ვიღაცას გაუგებარი მიზეზით გადაეყვანა მანქანა და ძირითად კვალზე

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

გამოსულიყო. გორაც დაბრუნდა და გზა განაგრძო. მერე იგივე განმეორდა, მაგრამ აქ ნაბორბლარი ძველი იყო და წინა დღეების თოვლით დაფარული...

– რას შვრები, რატომ დაბოდიალობ?.. იარე!..

– იმ ჭრილს ვეძებ, სადაც თქვენ ორმა იმ მესამე კაცის გვამი ჩაუშვით...

– რაში გჭირდება?!. რა ჭრილი, ვისი გვამი...

გორამ გულიანად გაიცინა და მიუგო:

– ესე იგი, მართლა მოგიკლავთ!.. ეს ფუთა იმ კაცისაა, მოკლულის. ქონება პატრონთან უნდა იყოს! გაიგე, რისთვის მჭირდება?.. რა არის-მეთქი ფუთაში? სთქვი, თორემ ფუთას ჩავუშვებ, შენც შიგ ჩაგაყურყუმელავებ და მანქანაც ჩემი იქნება... არა, ჩემ თოფსაც ჩაგაყოლებ, შენ ისეთი კაცი ჩანხარ, წყალქვეშა ნადირობა გეყვარება. თოფი აღარ მჭირდება, ბელგიური „ვალტერი“ მეყოფა...

დაჭრილი ხმაგაკმენდილი იჯდა, ალბათ, შექმნილ ვითარებაზე ფიქრობდა.

კიდევ ერთხანს იარეს. კიდევ ერთი, მარცხნივ გადახვეული ნაბორბლარი გამოჩნდა. გორამ გადაუხვია და ძალიან ნელა გაჰყვა კვალს, სიფრთხილე ჰკარნახობდა, – ჭრილი თუა, ახალი ყინულით არ იყოს შენიღბული და ყირა არ გადავიტანო შიგაო. რაღაც ამდაგვარი დაინახა, ძრავა ჩააქრო, გასაღები გამოიღო, მანქანის სანათურებით გაჩახჩახებულ ჭავლს გაჰყვა...

ჭრილი იყო, სწორედ იმხელა, რომ კაცი ან ამ ზომის რაიმე საგანი ჩატეულიყო. ფრთხილად მიეპარა, ყოველ ნაბიჯზე ყინულის სიმაგრეს ამოწმებდა. კარგა სქელი, საიმედო აღმოჩნდა. ჭრილში ახალმოკიდებული ყინული სიფრიფანა იყო – მაშასადამე, ჭრილიც ახალი!..

მანქანაში დაბრუნდა, უკანა სავარძლიდან ფუთა ძლივძლობით გადმოათრია, დაჭრილს მუხლებზე დაუდო, ჯიბიდან „ვალტერი“ ამოიღო, საფეთქელზე მიადო და უბრძანა:

– გახსენი!

– ვერ გავხსნი, ხელი არ მემორჩილება...

– გახსენი-მეთქი, – გაუმეორა გორამ. – მოგკლავ, არ დაგინდობ!..

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

დაჭრილი დაჰყვა, ეჯაჯგურა... შავ პოლიეთილენში საგულ-
დაგულოდ, რამდენიმეფად გახვეული და ბაწრით ჯვარედინად
შეკრული ოთხკუთხედი რამ იყო, გრძელი და რაც სიგრძე ჰქო-
ნდა, იმ სიმაღლისა. დაჭრილმა ვერა და ვერ გახსნა. მაშინ გო-
რამ დანა ამოიღო, ბაწრები დასჭრა და უბრძანა:

- შემოაცალე!

დაჭრილმა ვერც ეს შესძლო, გორამ გაშალა... ერთმანეთზე
დასტად დალაგებული ხატები და სულ ზემოდან ოქროთი, თუ
მოოქრული ლითონით გაწყობილი, პატიოსანი თვლებით დამშ-
ვენებული სახარება იდო. გორამ მანქანის შიდა სინათლე ჩარ-
თო, ყოველი საგანი სათითაოდ დაათვალიერა:

- ამის წყალში ჩაყრა არ შეიძლება! - ჩაილაპარაკა, ძველ კვ-
ალს დაუბრუნდა და ნაპირისკენ გასწია.

ნაპირამდე აღარაფერი რჩებოდა - ბექობმა გამოიხედა ზედ
გადასული ნაბორბლარით. გორამ ძრავი ჩააქრო, როგორც ყოვ-
ელთვის, გასაღები თან წაიყოლა. მანქანას თავისი ციგა მოხს-
ნა, ბექობს იქით გადაიტანა. დაბრუნდა, თოფი და თხილამურე-
ბი გადმოიღო, „ვალტერს" მჭიდე გამოაცალა, იარაღი უკანა სა-
ვარძელზე გადააგდო, მანქანის გასაღები წაიღო, საბარგულს
აჰხადა, დაანათა: კარგა მოზრდილი ჩანთა იდო. გახსნა, ჩაიხე-
და. პროდუქტებით იყო პირთამდე სავსე და ყოველივე ამას სამი
ბოთლი არაყიც ახლდა. ბოთლები საბარგულში ჩასტოვა. დაკე-
ტა, ჩანთა ციგაზე მოაწყო, მანქანის გასაღები ბუდეში შეაცურა
და გზას გაუდგა. ცოტა ხნის შემდეგ მჭიდი, სადაც ღრმა თოვლი
ეგულებოდა, იქით მოისროლა.

მანქანის ნაკვალევით გათენებამდე იარა. უთოვლოზე რომ
გავი-და, გადაუხვია, გზას რამდენიმე კილომეტრით გასცილდა,
მოხერ-ხებული ადგილი ნახა, ბუნაგი მოიწყო.

ღმერთი მწამდა?.. როგორ არა, მაგრამ ის, რასაც ღმრთის
მიმართ ვგრძნობდი და ახლაც ვგრძნობ, უფრო რიდი, მოკრძა-
ლება და მისი ყოვლისშემძლეობის აღიარებაა... აგერ, მაგათ არ
სწამდათ, არც რიდი და მოკრძალება ჰქონდათ. და, აკი უწიათ
კიდეც მსჯავრმა!

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

კარი მეშვიდე

ობის გადმოლახვის შემდეგ გორას, მიშა ფილიპოვის თქმით, აქამდე გამოვლილ ტერიტორიებთან შედარებით, ყველაზე პასუხსაგები და საშიში რაიონებით სიარული მოუხდებოდა; ეს იყო ერთმანეთისგან საგრძნობი მანძილით დაშორებულ ქალაქებს შორის მოქცეული სივრცე: ტობოლსკი, სურგუტი, ტომსკი, ნოვოსიბირსკი, ომსკი. ამ ადგილებში დასახლებული პუნქტები გაცილებით მჭიდროდ არის განლაგებული; აქედან გამომდინარე, მოძრაობა და მიმოსვლაც უფრო გაცხოველებულია, ვიდრე იმ სივრცეებში, გორამ ობის მიმართულებით რომ გამოიარა. ფილიპოვის აზრით, გორა მდინარე ვასიუგანს უნდა გაჰყოლოდა. მართალია, ეს გზა უფრო გრძელი იყო იმ სავალზე, გაყინული ჭაობებით პირდაპირ ობის მიმართულებით რომ ევლო, მაგრამ ბევრად უსაფრთხო და უკაცრიელიც. გორას, როგორც თავად ამბობდა, მიშა ფილიპოვის მიმართ თანდათან კერპთაყვანისმცემლის გრძნობა ჩამოუყალიბდა, რადგან ამ მეტად გამოცდილი მენტორის არც ერთი სიტყვა, რჩევა თუ მითითება არ გამტყუნებულა... გორა ვასიუგანს მოადგა და მისი სათავეებისკენ განაგრძო სიარული. მენტორის ის ცნობაც სწორი აღმოჩნდა, რომ ვასიუგანი თევზუხვი მდინარე იყო. მართალია, გორას სათავეებამდე სიარული მოუხდებოდა, მაგრამ იქიდან მდინარე ობამდე მანძილი მცირეღა რჩებოდა. მიდიოდა გორა თევზაობ-თევზაობითა და არც ეჩქარებოდა - დრო კარგა ბლომად რჩებოდა, საჭმელი საკმარისი და საფიქრალი ხომ — იყო და იყო. ჯერ იმ მძარცველებსა და მკვლელებზე რამდენი იფიქრა. მერე მოაგონდა, რომ იმხელა გზაზე ერთხელაც არ მოსვლია აზრად, თავისი პირველი

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

დაპატიმრება-გასამართლების ამბებს მისდგომოდა. ისიც კი
უსაყვედურა თავის თავს, - ისე გამოდის, თითქოს განზრახ ერი-
დები ამ თემასო!.. საღამო ხანს ბუნაგი რომ მოიწყო და ჩაითბუ-
ნა, მერეღა აღიდგინა მეხსიერებაში ის მოვლენები.

ერთი საოცარი რამ სჭირს ადამიანს, იქნება, მხოლოდ მე. კე-
რძოდ, სხვები დიდ ფულს იხდიდნენ, ომს რამენაირად თავი ავ-
არიდოო. მე გულდაწყვეტილი ვიყავი, ასე უსამართლოდ და უს-
ახელოდ რომ დამითხოვეს. რას იქმს კაცი. დავბრუნდი დედას-
თან და დავიწყე მუშაობა მუზეუმში მნედ. ჩემი მეგობრები, ძი-
რითადად, ფრონტზე იყვნენ. დამხვდნენ მხოლოდ უმაღლესი
სასწავლებლის ბოლო კურსის სტუდენტები...

თბილისში ერთი ჩემი ტოლი ბიჭი იყო, ქემალ თურქია.[233] ბა-
ვშვობაში, ასე, თხუთმეტიოდე წლისა დააპატიმრეს, როგორც
კონტრრევოლუციონერი. დედა კეთილშობილი, ძველთაძველი
გვარის ოჯახიდან იყო. მამა, აგრეთვე, ცნობილი ქართველი ინ-
ტელიგენტი, ადრე გარდაიცვალა. დედა ტრამვაიმ გაიტანა მაშ-
ინ, როცა ორთაჭალის ციხეში შვილისთვის პროდუქტები მიჰქ-
ონდა. ქემალს სამი წელი მისცეს და ოცდაცხრამეტში თუ ორმ-
ოცში დაბრუნდა. რაღაცნაირად მოხდა, ერთმანეთს არ ვიცნობ-
დით. ალბათ, იმიტომ,,რომ სხვადასხვა სასწავლებლებში ვსწა-
ვლობდით და ამხანაგ-მეგობრების წრეც სხვადასხვა გვქონდა.
ჩემთვის მისი დაპატიმრებაც ცნობილი იყო და დაბრუნებაც. და-
ბრუნება იმიტომ, რომ ერთი თბილისელი ულამაზესი გოგონა
შეუყვარდა, ახლო მეგობრების დახმარებით მოიტაცა, მაგრამ
შორს არ წაუყვანია, გზიდანვე დააბრუნა - გოგონამ მის ცოლო-
ბაზე კატეგორიული უარი განაცხადა. ეს ჯერ კიდევ ომის დაწყ-
ებამდე მოხდა. ომმა კულმინაციას მიაღწია, გერმანელები სტა-
ლინგრადთან სტკეპნიდნენ მიწას. ხმა გავარდა, - ქემალ თურქ-
ია ძვლავ დააპატიმრეს და გზიდან გაექცათო. იმასაც ამბობდნ-
ენ, თუ როგორ გაიქცა. ვიღაცამ დააბეზღა, - შინ მიმღები აქვს და
გერმანელთა რადიოგადაცემებს ისმენსო. ქუჩაში აიყვანეს. ქემ-
ალი დასხლტა, სანაპიროზე სატვირთო მანქანას შეახტა, კვალი
გაიცივა. ეს მთელმა ქალაქმა გაიგო, რადგან გაქცევას გამოდევ-
ნება და სროლა ახლდა. დედას და მე საბურთალოს განაპირა უბ-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ანში გვქონდა ოთახი - ის, მე და პაპას რომ მოგვცეს. საღამო ხ-
ანს ვიღაცამ ფანჯარაზე მოაკაკუნა. ამირან მორჩილაძე იყო.
შემოვიდა და მითხრა, - ქემალ თურქიას ამბავი გეცოდინება, ეს
დღეები ჩემთან იმალებოდა, ბინის გამოცვლაა საჭირო, მიიღე-
ბო? - უყოყმანოდ მივუგე, —შემოიყვანე-მეთქი. ასე გავიცანი,
ჩემი აზრით, იმ ეპოქის ერთ-ერთი უგულადესი, ფრიად განათლ-
ებული, ჭკუით სავსე და ულამაზესი გარეგნობის ახალგაზრდა
კაცი. ვკითხე, - ქემალი რატომ გქვია-მეთქი? მამამისს აზეირბა-
იჯანელი მეგობარი ჰყოლია, უახლოესი და უსაყვარლესი, ამიტ-
ომ დამარქვესო! ჩვენს ოთახს ერთი პატარა, ასე, ოთხ კვადრატ-
ულმეტრიანი საკუჭნაო ჰქონდა, ფანჯრით ქუჩისკენ. იქ გავუწ-
ყე ლოგინი, - იყავი, რამდენ ხანსაც არ მოგბეზრდება-მეთქი. რა-
მდენიმე დღის შემდეგ რადიომიმღები მოიტანა, ვუსმენდით.
დროდადრო ღამღამობით კაი ხნით მიდიოდა ხოლმე სადღაც.
დედაჩემმა, რა თქმა უნდა, გაიგო, ვინც იყო და რაც იყო, მაგრამ
უარყოფითი რეაქცია არ ჰქონია. თანდათან გაირკვა, რომ ქემა-
ლი ერთობ სერიოზულ საქმეში იყო ჩართული. სახელდობრ, სა-
ქართველოს უკლებლივ ყველა რაიონში მოქმედებდნენ დეზერ-
ტირთა ჯგუფები. ეს ხალხი, ზოგი იმთავითვე იყო საყოველთაო
მობილიზაციას თავარიდებული, ზოგი - ჯარიდან გამოქცეული.
ერთი სიტყვით, ის ადამიანები იყვნენ, ვისაც არავითარი სურვი-
ლი არ გააჩნდა, რუსეთის იმპერიის ინტერესებისთვის გაეწირა
თავი. მათი ჯგუფების მებრძოლ, სამშობლოსთვის თავდადებ-
ულ რაზმებად გარდაქმნა იყო საჭირო.

ეხლა, რატომ იყო აუცილებელი ასეთი მუშაობის ჩატარება,
ანუ საქართველოში ეროვნული შეიარაღებული ძალის შექმნა.
სავსებით გასაგებია. გერმანულ ნაციონალ-სოციალიზმს, მის
სამხედრო მანქანას რუსეთის იმპერიის დანგრევა რომ მოეხერ-
ხებინა კიდეც, დანარჩენ მსოფლიოსთან ვერაფერს გახდებოდა.
რუსეთის იმპერიის განადგურების შემთხვევაში საქართველო-
ში უნდა ყოფილიყო ძალა, რომელიც ხელისუფლებას თუ ვერ
ჩაიგდებდა ხელში, გერმანელებს მაინც გაუწევდა წინააღმდეგ-
ობას, თუკი ისინი საქართველოში შემოაღწევდნენ, და ფაშიზმ-
ის კრახის შემდეგ ქართველობას გამარჯვებულ მოკავშირეთა
წინაშე დამოუკიდებლობის საფუძვლიანი პრეტენზია ექნებოდა.

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ასეთი იყო ჩანაფიქრი და იმდროინდელი ჩვენი მუშაობა დღესაც მართებულად მიმაჩნია. ყოველივე ამას ხელმძღვანელობდა „თეთრი გიორგი“. ეს არის ღრმად კონსპირირებული, ძველთაძველი ტრადიციების მქონე მცირერიცხოვანი ორგანიზაცია. იგი, რამდენადაც ვიცი, საუკუნეების მანძილზე არსებობს და მისი მოქმედების პრინციპია მხოლოდ ზეგავლენის მოხდენა. სწორედ ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელობით მუშაობდა ქემალ თურქია, თუმცა მის წევრთაგან პირადად ერთსაც არ იცნობდა. ქემალმა რამდენიმე, სხვადასხვა ფუნქციით დატვირთული ორგანიზაცია ჩამოაყალიბა, მათ შორის — ჩვენიც. გვევალებოდა ფულადი სახსრების გამოძებნა, იარაღის შეძენა და პარტიზანებისთვის გადაცემა. კერძოდ, ჩვენი ჯგუფი მიმაგრებული იყო დუშეთისა და თიანეთის რაზმებზე. ძალადობა თუ ქურდობა კატეგორიულად იყო გამორიცხული. იშვა ყალბი პურის ტალონების ბეჭდვის იდეა, რომელმაც გაამართლა კიდეც, მაგრამ იმის შემდეგ, როდესაც ამ საქმის მცოდნე კაცი ვიპოვნეთ. ეს იყო ლატვიელი მხატვარი რომან სუტა.[234] იგი გერმანელების შესვლისთანავე ევაკუირებულ იქნა რიგიდან და თბილისის კინოსტუდიაში დაიწყო მუშაობა. სუტა პირდაპირ სტუდიიდან ნაჩქარევად წამოიყვანეს, რაც ეცვა, იმ ტანსაცმლით, და რაც ჯიბეზე ჰქონდა, იმ ცოტაოდენი ფულით. ასეა თუ ისე, ამ კაცმა საქმეს შესანიშნავად გაართვა თავი. „საწარმომ“ კონსპირაციის მიზნით, მალე ადგილი შეიცვალა. მას მერე სხვა დავალებებს ვასრულებდი და ქემალსაც მხოლოდ გადაუდებელი საჭიროების შემთხვევაში ვხვდებოდი. საქმე ისევ სუტას მეშვეობით გატყდა. უცხოელი კაცი იყო, საბჭოთა ცხოვრებისა ბევრი არაფერი გაეგებოდა, კინოსტუდიაში ენას ზედმეტად აჭარტალებდა - საბჭოთა ხელისუფლება არ მოსწონდა. ეს საკმარისი იყო, რომ სტუდიის სპეცნაწილის უფროსს, ვანია პანკოვს[235] მის სათვალთვალოდ კაცი გამოენახა - არმენაკ დანიელიანი,[236] უხეირო, რაღაც მესამეხარისხოვანი საქმით დაკავებული „რეჟისორი“. როცა გერმანელებმა სტალინგრადი წააგეს, სუტამ საზღვარზე გადასვლის გზების ძებნა დაიწყო. არმენაკა დანიელიანმა უთხრა, - მე მყავს კაცი, ორმოცდაათ ათას მანეთად გადაგიყვანსო. სუტამ ეს ამბავი ქემალს აცნობა. ქემალმა, - მაჩვენე ეგ კაციო. რაღაცნაირად გაკეთდა,

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

აჩვენა. ქემალმა სუტას იმ არმენაკასთან ურთიერთობა კატეგორიულად აუკრძალა. სუტა ასეც მოიქცა, მაგრამ ჩეკისტები რას მოისვენებდნენ?! მოსკოვიდან სუტას ალმა-ათაში გადასაღებ ფილმზე სამუშაოდ მიწვევა გამოუგზავნეს. სუტა დათანხმდა. უყიდეს ბილეთი, დასვეს ბაქოს მატარებელზე და არმენაკამ და სხვებმა დიდი პატივით გააცილეს... ჩეკისტებმა სუტა თურმე ნავთლუღში ვაგონიდან ჩამოსვეს, თავიანთ საბრძანებელში მიიყვანეს. ეს ჩვენგან არავინ იცოდა. მის გასაცილებლად და, მით უმეტეს, ნავთლუღის სადგურში, გასაგები მიზეზების გამო, არ მივსულვართ. დრო გავიდა, დაგვაფიქრა იმან, რომ მისგან ღია ბარათი არავის მიუღია – როგორ ჩავიდა, მოეწყო და სხვა... შეთანხმებით, ასე უნდა ყოფილიყო.

მიიყვანეს, აწვალეს, აწამეს და მალე ჩვენი ორგანიზაციის დარბევაც დაიწყო. როგორც დაპირისპირებებზე და შემდგომში პროცესზე გამოირკვა, სუტას ნათქვამი ჰქონდა, – ქემალ თურქია გორამ გამაცნო ქუჩაშიო. გამაცნოო! ამიტომ იყო, ჩეკისტებმა, სუტას შემდეგ ურთიერთობა ჩემთან რომ განიზრახეს. რანაირი ოხრები იყვნენ?!. უფროსი მეგობარი მყავდა, ცნობილი სპორტსმენი, მენისკის გამო ჯარიდან გათავისუფლებული. შევუარე, ვილაპარაკეთ. აღარ მახსოვს, რატომ შევთანხმდით, რომ ხვალ საღამოს კიდევ გამოვუვლიდი. მივედი, ვისაუბრეთ, ომისდროინდელ კვალობაზე ვივახშმეთ. მერე ნარდს შევყევით. გვიანი ღამე იყო, არ გამიშვა, – აქ დაიძინეო. კომენდანტის საათის გამო დავთანხმდი. დილით, საუზმის მერე, რუსთაველის გამზირზე გავისეირნეთ. ოპერის თეატრთან კარგა ხანს ვიდექით, – აქ ერთი კაცი უნდა მოვიდესო. მერე მითხრა, – აი, შენ, ტელეფონის ნომერი, კინოთეატრ „სპარტაკში" შედი, დარეკე. მეღრაბოვია გვარად, თუ თავად გიპასუხა, ესე იგი სამსახურს თავი ვერ დააღწია, ქალაქის საბჭოში მუშაობს, მე თავად მივალ. მანამდე კი აქ დაველოდები, ეგება მოვიდეს, ერთმანეთს არ დავცდეთო! „სპარტაკი" გვერდით იყო. შევედი, ორშაურიანი ჩავაგდე. მეღრაბოვმა ვინაობა დამიდასტურა. ყურმილი დავკიდე, როგორც ჩემი მეგობრის დავალება იყო; მოვტრიალდი – სამი კაცი მელოდებოდა. დანარჩენი გასაგებია, გარდა იმისა, რომ იქიდან გამოსვლისას „მეგობარი" აღარსად ჩანდა!..

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

არა, ის ბომბორა ჩეკისტი, ბატონი ილიკო,[237] რამხელა ვირგლა იყო!. ორი ჩემოდენა იქნებოდა, ღმერთმანი... არაფრისმთქმელი საუბრის შემდეგ ასეთი დიალოგი გაიმართა:

- ქემალ თურქიას თუ იცნობ?

- პირადი ნაცნობობა არა გვაქვს, მაგრამ ვიცი, რომელია, გარეგნობით ვიცი.

- ცუდი კაცია, ხალხს აფუჭებს... ნაციონალისტია, ჩვენი წყობილების მტერია. უნდა ავიყვანოთ, დაგვეხმარე!

გავიღიმე და მივუგე:

- ჯერ არის და, თქვენი კაცის დაჭერაში ჩემი დახმარება რაში გამოგადგებათ. ესეც არ იყოს, რა ძნელი დასაჭერი ეგ არის - ორი, სამი დღე არ გავა, სადმე ქუჩაში რომ არ მოვკრა თვალი, ქალაქში დაყიალობს...

- არ არის ეგ ჩვენი კაცი!.. - სიტყვა მკვახედ გამაწყვეტინა ბატონმა ილიკომ. - მისი გარეგნობა არ ვიცით და არც ფოტოები გვაქვს.

ზარის ღილაკს დააჭირა თითი. სხვა ჩეკისტი შემოვიდა. დარაჯად დამიჯდა. თავად გავიდა და ერთი საათის განმავლობაში არ გამოჩენილა.

ფიქრის დრო მქონდა, ამ დიალოგიდან ერთი დასკვნა გამოვიტანე: ქემალზე მართლა დადიოდა ხმა, - უშიშროების აგენტიაო. ეს ჭორი მათივე გავრცელებული იყო, - შეშინდებიან, აღარავინ გაიკარებსო. ეგ არის, მაშინ ვერაფერს მივხვდი, ჩემზე რატომ შეჩერდა მათი არჩევანი? მცოდნოდა, რომ სუტა აყვანილი ჰყავდათ, ეს კითხვა აღარ დამებადებოდა და კიდევ ერთი საფიქრალი: მხოლოდღა დასაკითხად მიმიყვანეს თუ „აპარტამენტები" მზად ჰქონდათ ჩემთვის?..

ვირგლა ბატონი ილიკო, ჩანს, თავისზე ბომბორა ჩეკისტებთან იყო ჭკუის მარაგის შესავსებად და წარმატებითაც, რადგან ჩვენს შორის სასწრაფოდ დაიდო შემდეგი ხასიათის სიტყვიერი გარიგება: ვივლი ქუჩებით, სადაც ქემალ თურქია შემხვედრია. ჩემს უკან საკმაო მანძილზე ივლის რამდენიმე ჩეკისტი. ჯიბეში მექნება სავარცხელი და თურქია შემომხვდება თუ არა, სავარცხელს ამოვიღებ, თმას გადავივარცხნი, გზას გავუდგები და ისინი იმ საზიზღარ ქემალ თურქიას აიყვანენ. ის ჩეკისტებიც კი

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მომიყვანეს და მაჩვენეს, ვინც ჩემს უკან ივლიდა. დამინიშნეს დრო და ადგილი, სადაც ხვალ დილით უნდა გამოვცხადებულიყავი, და - ჰოი, საკვირველებავ!.. — გამიშვეს. სანამ ქუჩაში არ ამოვყავი თავი, ვერ დავიჯერე... არა, ჯერ ქემალს დამიხედე, თავისი ერთი სურათიც რომ ვერ გაიმეტა უშიშროების ორგანოებისთვის, და მერე თავად უშიშროებას - ნამდვილი რომ არაფერი სცოდნიათ.

სხვა რა უნდა ყოფილიყო?..

ვიარე ხან ფეხით, ხან ტრამვაით დრო გავიყვანე. დავრწმუნდი, კუდი არ ამყოლია და ქემალთან მივედი. ვიცოდი, სადაც იმალებოდა. ვუამბე ყველაფერი, გამოვთქვი აზრი, რომ ბინა სასწრაფოდ უნდა გამოეცვალა, დავემშვიდობე და შინისკენ გავწიე.

შემეძლო, იმ პაემანზე სულაც არ გამოვცხადებულიყავი, მაგრამ გულში იმედი მქონდა, - ვივლი, ვერ ვიპოვნი და იქნება მომეშვან კიდეც-მეთქი. მივედი დანიშნულ ადგილზე, ვიარეთ მთელი დღე. ერთობ კომიკური ვითარება იყო: ქუჩაში უნდა დამეჭერინებინა კაცი, ვინც დღისით კარში არ გამოდიოდა და მერე ვინ? - ჩემივე მეგობარი, რომელიც უკვე გაფრთხილებული მყავდა... ფეხები დაგვაწყდა მეც და ჩეკისტებსაც, მაგრამ აიხირეს, - იქამდე უნდა ვიაროთ, სანამ არ დავიჭერთო. ახლა კი მივხვდი, არ მომეშვებოდნენ - არც დღეს, არც ხვალ, საერთოდ, არასოდეს, და ასეთი ფანდი ვიხმარე: ნაძალადევში გამჭოლი ეზო ვიცოდი, იქ ვინმე ახალგაზრდა კაცი ხომ გამოივლიდა? გამოივლიდა და ჩეკისტების ნაბოძები სავარცხლით გადავივარცხნიდი ქოჩორს... ასეც მოხდა, მაგრამ „ღონისძიება“[238] მცირერამ ხარვეზით განხორციელდა - კაკო ეძგვერაძე შემომხვდა, იმუბნელი ბიჭი იყო და ისეთი ბლუ, რომ დედამისს ვერაფერს აგებინებდა. შორიდან ვიცნობდი. გამისწორდა, თავი დავუკარი, ორიოდ ნაბიჯით გავცდი, თმა გადავივარცხნე და სანამ ჩეკისტები საცოდავ კაკოს ჰკოჭავდნენ, მე რკინიგზაზე გადადებული საქვეითო ხიდი გადავიარე, ბილეთი შევიძინე და კახეთისკენ მოვუსვი.

გოგია წულუკიძემ ჩეკისტებისა და კაკო ეძგვერაძის ურთიერთობას ასეთი შეფასება უძღვნა, უბედურს იმდენი ურტყეს, რუსის ბარაბანს არ მოხვედრიაო!

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

კახეთისკენ იმიტომ გავწიე, რომ წითელწყაროში ფარნაოზ ზალდასტანიშვილი[239] მეგულებოდა. ჩვენი ძმაკაცი იყო, ფრონტზე დაიჭრა, კომისიამ შვებულება მისცა. ფარნაოზის მამა, იასე ზალდასტანიშვილი, იქ საკონსერვო ქარხანას აშენებდა, ბინაც ჰქონდა, სასმელ-საჭმელიც და ფარნაოზიც იქა ჰყავდა. გურჯაანიდან მანქანას ავემგზავრე, წითელწყაროში კითხვა-კითხვით უნდა მიმეგნო, მათი საცხოვრებელი ადგილი არ ვიცოდი. საიდანღაც ქალების ტირილი და მოთქმა შემომესმა - ბევრი ქალისა და ერთად! დავინტერესდი, ნეტავი, რა ხდება-მეთქი? იმ მოთქმა-ტირილის ხმაზე ვიარე, ისევ სადგურზე ამოვყავი თავი. საბვირთო შემადგენლობა იდგა, ყველა ვაგონის კარი ღია იყო, მაგრამ ნახევრამდე ფიცრებით აღობილი. ფიცრებს ზემოდან სახედრებს ჰქონდათ თავები გადმოყოფილი... ვირები მობილიზაციით მიჰყავდათ, რაიონული მასშტაბის სამხედრო ღონისძიება ხორციელდებოდა. იტირებდნენ დედაკაცები, მაშ, როგორ იქნებოდა?! მამაკაცი ოჯახში არავინ ჰყავდათ, ყველა ფრონტზე იყო - ვის უნდა ეზიდა ტვირთი წისქვილში, ვის უნდა მოეტანა წყაროდან წყალი და ტყიდან — ფიჩხი?.. უკანასკნელი მარჩენალი წაართვეს...

ზალდასტანიშვილები თბილისს წასულიყვნენ. რაღა იქნებოდა, გამოვბრუნდი. კვირა თუ ათი დღე ხან სად ვიმალებოდი და ხან - სად. ბოლოს, დასავლეთ საქართველოსკენ გამგზავრება დავაპირე. ავტობუსის საფეხურზე ფეხი შევდგი, რამდენიმე გადაცმული ჩეკისტი მეტაკა, მსუბუქ მანქანაში შემაგდეს, უშიშროების სამინისტროში სულ სამშობლოს მოღალატისა და „დვურუშნიკის“ ძახილით მიმაბრძანეს... დასწყევლოს ღმერთმა! საიდან რა გაიგეს, თბილისიდან გამავალ ყველა ავტობუსზე მორიგეობდნენ?! იმ დღეს შუადღემდე დაკითხვებით გამიჭირვეს ცხოვრება. მერე კომენდატურაში ჩამიყვანეს, თუკი სადმე ღილი მეკერა, ამაჭრეს და სანამ ჩემს ტანისამოსს საგულდაგულოდ ჩხრეკდნენ, - დამალული არაფერი ჰქონდესო, — დედიშობილა ვიჯექი ეგრეთ წოდებულ ბოქსში. მორჩნენ ჩეკისტები თავიანთ საქმეს, - ჩაიცვიო, — და ზემო სართულებისკენ გამაქანეს.

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

დერეფანში ერთიმეორეზე მიყოლებული საკნების კარები ჩამწკვრივებულიყო თავისი „კორმუშკებით“, ანუ პატარა, საზრდოს მისაწოდებელი სარკმლებით. ბოლოს, რომელიღაცა კარს დაუწყეს ჩხაკუნი, გააღეს და, შედიო! შევიდოდი, მაშ, როგორ იქნებოდა! თვალი მოვკარი, საკანს 65 ეწერა. ორადგილიანი იყო. შიგ პატიმარი დამხვდა და მაცნობა, მეხუთე პოსტზე ხარ, ამაზე საშინელი შინაგან ციხეში და, საერთოდ, ციხეებში არაფერიაო! მშვენიერ გუნებაზე გახლდით-მეთქი, არავინ დამიჯერებს, მაგრამ იმას კი ვიტყვი, რომ არცთუ დიდად შეშინებული და პანიკით ატანილი ვიყავი. პატიმარმა ჯერ მე მკითხა, ვინ ბრძანდებითო, მერე თავი გამაცნო, - ანტონ თომაძე[240] ვარ, უნდა დამხვრიტონო! საიდან იცით-მეთქი. ჩემი საქმე „ოსო“-ზეა გაგზავნილი, უეჭველად დახვრეტა მომივაო. ცხადია, იქვე ამიხსნა, „ოსო“ რაც იყო: *Особое совещание Министерства внутренних дел СССР.* ეს უკვე ვიცოდი და კრუხების ამბავიც „მცოდნე“ ხალხისგან მომეხსენებოდა. ბატონმა ანტონ თომაძემ შემოსვლისთანავე განიზრახა ჩემი შეშინება!.. ვისაუბრეთ, დავწექი, დავიძინე. კარის ჩხაკუნმა გამომაღვიძა. ბატონი თომაძე გაიყვანეს. რამდენი ხანი გავიდა, არ ვიცი. კარმა ისევ დაიჩხაკუნა, ბატონი თომაძე შემოიყვანეს. თავი მოვიმძინარე. გავიგონე, პირს აწვიტინებდა, კბილებში ჩარჩენილ საკვების ნარჩენებს იწოვდა. დილით თავად მკითხა, - წუხელის რომ გამიყვანეს, თუ გაიგეო? არა-მეთქი. ჩემი ჩვენებები მანქანაზე იბეჭდება, ხელახლა წასაკითხად და ხელის მოსაწერად გავყავარ ხოლმეო! დამიწყო გამოკითხვა და რჩევა-დარიგება, - რაც იცი, ყველაფერი სთქვი, თორემ უეჭველად დაგხვრეტენო. დახვრეტას რომ მომისჯიდნენ, ამაში თავად ვიყავი დარწმუნებული, მაგრამ „ყველაფრის თქმას“ რომ არ ვაპირებდი და არც ვთქვი როდისმე... ვსაუბრობთ, ტუალეტში გაყვანას ველით. ამ დროს დერეფნიდან მოისმა:

- ღინტლიანო ქართელებო, ვისი კაცია სათავეში?!

სახელდობრ, ქართელებო, და არა — ქართველებოო. ვიფიქრე, საარტიკულაციო აპარატში ნაკლი რამ ექნება, „ვინ“-ს ვერ ამბობს-მეთქი.

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

- ეგ ყოველ გამოყვანაზე მაგას გაიძახის, ყოველთვის ზედამხედველის პანღურს იმსახურებს, მაგრამ არ იშლის, - მითხრა თომაძემ. - როცა დაბრუნდება, სხვა წამოძახილს გაიგონებთ, დაუგდეთ ყური.

მართლაც, ტუალეტის კარმა დაიჯახუნა, ესე იგი, იმით დაინტერესებული პატიმარი, თუ „ქართელების" აზრით, ვისი კაცი იყო სათავეში, საკნისკენ მოჰყავდათ და ახლა სხვა საკნიდან გაისმა:

- არავისი, არავისი, არავისი! მაგოდენა კაცები მთელი ხალხისა არიან, სახელმწიფოსი, მსოფლიოსი. მაშა!..

თურმე, სწორედ შეხედულებათა ეს სხვაობა გახლდათ მათი პატიმრობის მიზეზი. უკეთ ვთქვათ, მიზეზი ამ შეხედულებათა სხვაობით გამოწვეული კამათი იყო, რომლის პროცესში საკნიდან მოდავე კაცმა - სიტყვა რომ სიტყვას მიჰყვა - დიდი ბელადი სამსართულიანი ლანძღვითა და ოპონენტთან ერთად ჩაძაღლების სურვილით მოიხსენია, ხოლო მეორემ ამ სურვილს სოლიდარობა იმავე სიტყვებითვე გამოუცხადა, მაგრამ სათქმელი ჩვეული შეძახილით დააგვირგვინა, - ვისი კაციაო?! ყოველივე ამას, სამწუხაროდ, მსმენელის ამპლუაში მესამე პირიც ესწრებოდა, რომელსაც ერთგულქვეშევრდომობის ჭიამ სძლია და „საქმეც" შესდგა. მათი გამოთქმები „საბჭოთა სახელმწიფოს ერთ-ერთი ხელმძღვანელის წინააღმდეგ მიმართულ ტერორისტულ განზრახულობად" იქნა მიჩნეული და „საგანგებო თათბირმა" ერთს ოცდახუთი წლით პატიმრობა დაუდგინა და მეორეს - ოცით. რაც უნდა იყოს, ამ მეორეს შეხედულება ინტერნაციონალისტურ იდეას შეიცავდა, - მთელი მსოფლიოსიო, და არა შოვინისტურს, რაც პირველის კითხვასა და ნიშნისგებაში ნათლად იგრძნობოდა. მოდავენი პაექრობას სასჯელის მიღების შემდეგაც განაგრძობდნენ, - გიჟებად გავსაღდებით, კარში გაგვყრიანო. ვაი, რომ სასოება ფუჭი გამოდგა! ეს იმითაც აიხსნება, რომ ერთმანეთს ჩუმ-ჩუმად აბეზღებდნენ, - გიჟი მე ვარ, ეგ ჭკვიანიაო!..

ისე, სიმართლე ითქვას, თომაძე არცთუ მტყუანი გახლდათ მეხუთე პოსტის შეფასების საქმეში. ერთი პატიმარი იყო, ისე საშინლად დაიყმუვლებდა ხოლმე, თავი დამშეული მგლების საზოგადოებაში გეგონებოდათ; მეორემ ყივილი იცოდა, მამალ-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ივით; ნაცემ-ნაბეგვი და ნაწამები პატიმრების კვნესასა და ოხვრას ხომ ბოლო არ ჰქონდა. ზოგი „ვაი დედას“ გაიძახოდა, ზოგი – „ვაი დედიკოს“; ისეთებიც იყვნენ, თავიანთი გამომძიებლის დედასა და ბებიკოს მაგარი სიტყვებით ღრიალებდნენ. გვიან მივხვდი, ყოველივე ეს ახალდაპატიმრებულთა ფსიქოლოგიური დამუშავებისთვის კეთდებოდა. შინაგან ციხეში მოყმუილე, მყივანი და მოღრიალე ვინც იყო, ამ პოსტზე ჰყავდათ ყველა. ამ პოსტზე შემდგომ წლებშიც რამდენიმეჯერ მომიხდა ჯდომა. „მუშაობის“ სტილი იგივე რჩებოდა.

მეგონა, მეორე დღესვე დამიწყებდნენ დაკითხვებსა და ტანჯვა-წამებას. ნურას უკაცრავად, ორი კვირა თუ მეტი გავიდა, მანამ სუტა დამიპირისპირეს. ამ დროისთვის მას უკვე ყველაფერი წვრილად ჰქონდა ნათქვამი, თუკი რამ იცოდა და არ იცოდა. საცოდავი, ისეთი იყო, საფლავიდან ამოღებულს ჰგავდა; მანიშნა კიდეც, – მაწამესო. რა მოეთხოვებოდა – ფუნჯის, ფანქრისა და კინოს მხატვრობის მეტი არც რაიმე იცოდა და გაგონებითაც არა გაუგონია რა... ერთი სიტყვით, ამ დროისთვის დაპატიმრებული იყო თითქმის ყველა, ვინც კი ქემალ თურქიას „გაეხახუნა“ – ოცი ადამიანი!.. ჩემთან დაპირისპირება იმისთვის მოაწყვეს, რომ მისი ჩვენებები დამედასტურებინა. ნაწილობრივ დავუდასტურე კიდეც – ისეთები, რასაც ასმეტრიან რბოლაში მაშინდელი მსოფლიო ჩემპიონი – ჯესი ოუენსიც — კი ვერსად გაექცეოდა...

დაიწყო გაუთავებელი დაკითხვები, დაპირისპირიბები და წამებები. მამაკაცებს გარდა, სამ დაპატიმრებულ ქალთაგან, ერთი საცოდავი დედაჩემიც იყო. ჩვენს საქმეს არაფერი ფიციმტკიცი არ სჭირდებოდა. ყველაფერი ნათელი გახლდათ, ოცკაცში როდის რა დამალულა?! თავიდან ასაცილებელი იყო მხოლოდ ისეთი ბრალდებები, რაც არ ჩაგვიდენია, და ჩეკისტებს ერთი სული ჰქონდათ, როგორმე გვეკისრა...

იყო რამდენიმე ეპიზოდი, რაც გახსენებად ღირს. აი, ერთ-ერთი მათგანი. თბილისის სამხედრო კომენდანტის ადიუტანტად მსახურობდა ახალგაზრდა ოფიცერი ოთარ კაფანავა.[241] დალოცვილი, თუკი რასმე და ვინმეს ოფიცერი, სამხედრო პირი ეთქმის, სწორედ ოთარი გახლდათ. მაღალი, ქანდაკებასავით

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

აწყობილი ულამაზესი ახალგაზრდა კაცი. ერთხელ, რა თქმა უნდა, დაპატიმრებამდე, გოგია წულუკიძე და მე ოპერის თეატრში რომელიღაცა სახელმოხვეჭილი მომღერლის მოსასმენად ვიყავით მისული. მოვიდა ოთარ კაფანავა, მოგვესალმა და გაზეთში მკვიდრად გახვეული კარგა მოზრდილი ფუთა გამომიწოდა, ქემალს გადაეცით. ვიუცხოვე, არ ვიცნობ-მეთქი. შეცბუნებული, გაკვირვებული წავიდა. გოგია გამოედევნა; არ ვიცი, რა ილაპარაკეს - ფუთა გამოართვა, მეორე დღეს ქემალს გადასცა და ამით თითქოს გათავდა ყველაფერი. ეს საქმე „გასკდა". დაღუპვის შედეგად ოთარას „პარაბელუმი" ქემალ თურქიას უპოვნეს პირთამდე გატენილი სავაზნეებითურთ. უშიშროებამ იარაღის პატრონს მიაგნო და დააპატიმრა. მე მაშინ ოთარას დაპატიმრებისა არაფერი ვიცოდი ისევე, როგორც არ ვიცოდი ქემალის დაღუპვის ამბავი.

ამიყვანეს გამომძიებელთან. ვხედავ, ოთარა ზის, მოხალულ მუხუდოსა ჰკვნეტს. იცნობ? ესა და ეს კაცია! ახლა ოთარს ჰკითხეს იგივე და, - მოყევი, როგორ იყოო. მოჰყვა, რომ ქემალს თავისი პარაბელუმი აჩუქა, დამატებით ვაზნებსა და სავაზნეებსაც შეჰპირდა. ისიც სთქვა, რაც ოპერაში მოხდა, და ახლა მე მკითხეს, - თუ ადასტურებ ყოველივე ამასო. ჩუქებისა არაფერი ვიცი, მაგრამ ფუთას რომ მაძლევდა, მაშინ ვუთხარი, - ქემალ თურქიასთან საერთო არაფერი მაქვს-მეთქი, და ეს რომ გაიგონა, შევატყვე არ იცოდა, თუ როგორ კაცს ჩუქნიდა „პარაბელუმს". ჩემი ნათქვამი მის ჩვენებებს დაემთხვა, ოთარის საქმე ჩვენი საქმიდან გამოჰყვეს, ცალკე გაასამართლეს, იარაღის გაჩუქებისთვის სამი წელიწადი მისცეს. ისე, სამი წელიწადი ნაღდად ეკუთვნოდა იდიოტობისთვის და, უმთავრესად კი, იმისთვის, რომ სატრფოების ოქროს ბეჭდებს „ხუმრობით" ყლაპავდა. გოგია წულუკიძე ამტკიცებდა, - დედამისი ღამის ჭურჭლით დასდევს, - შვილო, ამაში ჰქენიო! ავი ენები იმასაც ამბობდნენ, ერთხელ ღამის ჭურჭლიდან ოქროს პატარა მუშტუკი ამოვიდაო!.. განაჩენის შემდეგ, ორთაჭალის ციხეში რომ გადაგვიყვანეს, იქ დაგვხვდა და სულ ჩემზე ლოცულობდა, ეს რა შარს გადამარჩინაო! - პოლიტიკური მუხლით გასამართლებას გულისხმობდა. უკვე პატიმრობიდან დაბრუნების მერე, წმიდა ბარბარეს ეკლე-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

სიასთან რომ დუქანი იყო, ნაჯდომი ძმაკაცები ვქეიფობდით. საიდანღაც ოთარა კაფანავა „გაიჩითა“, ნაპატიმრალებში ამხანაგი აღმოუჩნდა. ლაპარაკში რომელიღაცამ ჰკითხა, გორა თუ გახსოვსო? ოთარამ მიუგო, - მახსოვს რომელია, მე რომ არა, უეჭველად დახვრეტდნენ, ბეწვზე გადავარჩინეო! დიდი მადლობა-მეთქი! შემომხედა, მიცნო და იმავ წამს აორთქლდა. ერთი სამი წელი ამაშიც ეკუთვნოდა, მაგრამ მეც ვაპატიე და მაღალმა ღმერთმაც შეუნდოს ბაქიაობა.

კიდევ ერთი ეპიზოდი იყო, კბილი ამტკივდა და ხაზაძემ სტომატოლოგიურ სავარძელზე დამსვა. არტაშეს მარქაროვი, საგამომძიებლო სამმართველოს უფროსი, ყოფილი ჯიბის ქურდი, ჩამაცივდა, - გამოტყდი, რომ ჰიტლერის აგენტი ხარო! ხაზაძემ უნარკოზოდ ამომიღო ოთხი კბილი! ორჯერ თუ სამჯერ წამივიდა გული. აგენტი ვყოფილიყავი - უეჭველად გამოვტყდებოდი. არ ვიყავი, რა მექნა?!. ეს ხომ ბარსუკსაც ვუთხარი... ვუთხარი, მერე რა!..

ის კოჩეგაროვი[242] ხომ იყო და იყო! საკანში ორნი ვისხედით. რომელიღაცა სექტის კაცი გახლდათ. დემონსტრაციასავით რაღაც მოაწყო ხუთიოდე კაცმა, სარწმუნოების თავისუფლებას მოითხოვდნენ. კოჩეგაროვი, როგორც თავკაცი და სკანდალისტი, დააპატიმრეს. ერთი ფრაზა იცოდა, – *„Все от Бога!!!“* მორჩა, გათავდა. არც ერთ მოვლენას არ ჰქონდა სხვა ახსნა. შინ შეთვალა, საჭმელი აღარ გამომიგზავნოთ, ღმერთი მკვებავსო. ის ღმერთი - ღმერთო, მომიტევე, მე გახლდით. ძმურად ვუყოფდი, რასაც მიგზავნიდნენ. ერთხელ ვკითხე, რომ გავჯავრდე და აღარაფერი გიწილადო-მეთქი? – *„Все от Бога!!!“*-ო, მითხრა. ჩექმებით ვიყავი აყვანილი, ფანჯრის ფარი ცხელდებოდა, საკანში ჯოჯოხეთური ბუღი იდგა. წესის თანახმად, პატიმარი ერთთავად ჩაცმული, დაკითხვაზე გასაყვანად „მობილიზაციურ მზადყოფნაში“ უნდა ბრძანდებოდეს. მამიდაჩემს შევუთვალე - ტილოსსაპირეებიანი ფეხსაცმელი მიყიდე-მეთქი. შემომიგზავნა. ჩექმები გავიხადე. შვება მომეცა. კოჩეგაროვმაც შეუთვალა. შემოუგზავნეს. ჩაიცვა, გაიარ-გამოიარა, დაჯდა, გაიძრო, ატრიალა, ატრიალა. ხან შიგ ფეხსაცმელში იყურა, ხან გარედან ათვალიერა. საკუთარი ფეხიც ძირისძირობამდე შეისწავლა და

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

სოქვა, – *Вот разум Всевышнего! Смотрите, как он сотворил человека – нога подходит к обуви – тютелька в тютельку. А вы?!. Все от Бога!*

შეეედავე, - ღმერთმა ადამიანს გონება მისცა, რომ ფეხსაცმელი გამოეგონა, და, თანაც, სხვადასხვა ზომის ფეხზე-მეთქი! არაფერი გამოვიდა, - ჯერ ფეხი გამოიგონა, *Все от Бога*-ო!..

პირველად ყველამ ერთმანეთი შვიდ აპრილს[243] ვნახეთ. ამ დროს დაიწყო უშიშროების ჯარების ტრიბუნალმა ჩვენი გასამართლება შინაგანი ციხის „წითელ კუთხედ" წოდებულ ოთახში. ტრიბუნალის თავმჯდომარე - ბურდული,[244] უფროსი ლეიტენანტი; მსაჯულები - ჭახრაკია და ესიავა, ორივე მაიორები და ერთი პატარა, მოცუცქული სომხის გოგო მდივნის როლში. ეგ იყო. არავითარი დამცველები, პროკურორები და სხვა სისულელეები. საერთოდ, რა საჭირო იყო ეს ფარსი! გამოეცხადებინათ - აბდუშელიშვილს,[245] სვანიძეს,[246] სუტას - დახვრეტა. კარგარეთელს,[247] ხარანაულს[248] - ოცდახუთ-ოცდახუთი წლის პატიმრობა ბანაკებში, სასჯელის მოხდის შემდეგ – ხუთ-ხუთი წლით მოქალაქეობრივი უფლებების აყრით. მაჭავარიანს[249] - ოცი წელიწადი. არჩილ წულუკიძეს,[250] ვახტანგ ჯორჯაძეს[251] - თხუთმეტ-თხუთმეტი. სხვებს, თითქმის ყველას - ათ-ათი, მათ შორის, ქალებსაც,[252] სამთავეს. ჩემ მიმართ პროკურატურამ პროტესტი აღძრა, - დასახვრეტია, ცოტა მისცესო. ეს განაჩენის გამოტანის დღესვე, თორმეტ აპრილს მოხდა, და აკი დასახვრეტთა საკანში ამომაყოფინეს თავი. პირადად ჩემთვის ამ დღეს მოულოდნელი არაფერი მომხდარა. უმაღლესი ზომები რომ გამოტანილი იქნებოდა, ყველა მივხვდით - ბადრაგი იყო გაძლიერებული. დასახვრეტთა საკანში ბარე მთელი თვე გავატარე. აქ ორი რამ იყო ჩემთვის მნიშნელოვანი. ერთი ის, რომ ქემალის დაღუპვის პერიპეტიები მხოლოდ ტრიბუნალზე, ვახტანგ ჯორჯაძისგან გავიგეთ, და ამის წუხილმა ჩემს მომავალზე ფიქრი გადამავიწყა. ასე მომხდარა ეს უბედურება: ქემალი ვახტანგთან ყოფილა, დასაძინებლად იქ დარჩენილა. ვახტანგს ქემალის ორგანიზაციებთან საერთო არაფერი ჰქონდა. უბრალოდ, მეგობრები იყვნენ. ვახტანგმა ისიც არ იცოდა, დარჩებოდა ღამის გასათევად ქემალი თუ წავიდოდა. ქემალი დარჩა. ვახტანგს ერთი პატა-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

რა ოთახი ჰქონდა ენგელსის ქუჩის ერთ-ერთ ჩიხში. სახლი სოლოლაკის მთის ძირას იდგა. ოთახს შემოსასვლელი სადარბაზოდან ჰქონდა, მაგრამ აივანზე გასასვლელი კარიც იყო - აივანი სოლოლაკის მთის კლდეს ებჯინებოდა. დაიძინეს - ვახტანგმა თავის საწოლში, ქემალი გაუხდელად დაწვა ტახტზე. გათენების წინ ვახტანგის კარს ვიღაცამ დაუკაკუნა. ვახტანგსა და ქემალს ორივეს გაელვიძა. ქემალმა ტუჩებზე თითის მიდებით ანიშნა, - ჯერჯერობით ხმა არ დასძრაო, და აივანზე გამავალი კარით ოთახიდან გავიდა. გავიდა თუ არა, მაშინვე ატყდა სროლა. ოთახში შემოსასვლელი კარი ხიფრიფანა იყო, ჩეკისტებმა შემოამტვრიეს, შემოცვივდნენ. აივანზე სროლა გრძელდებოდა. სახლი ალყაში ჰქონდათ... სროლა შეწყდა! მძიმედ დაჭრილი ქემალი მანქანაში შეაგდეს, ორთაჭალის ციხის საავადმყოფოში გააქანეს. ოთახი საგულდაგულოდ გაჩხრიკეს, დალუქეს და ვახტანგი შინაგან ციხეში წაიყვანეს. ქემალი საავადმყოფოში მიყვანისთანავე გონსმოუსვლელად გარდაიცვალა. ვახტანგმა თავისი თხუთმეტი წელიწადი მასპინძლობისთვის მიიღო, სხვა რამ ბრალი არ მიუძღოდა.

ქემალის ბედისწერამა და დახვრეტამისჯილ თანამოსაქმეებზე ფიქრმა ლამის გადამიყოლა. ხვედრი და მომავალი ნაკლებად მაწუხებდა, რაღაც მკარნახობდა, რომ არ დამხვრეტდნენ, და იქნება მათი დარდი სწორედ ამიტომ უფრო მქონდა. დასახვრეტთა საკნებში „ცხოვრება" ღამით მიმდინარეობდა, დღისით ყველას ან, თითქმის, ყველას ეძინა. ეს იმით აიხსნებოდა, რომ დასახვრეტად ღამით გაჰყავდათ, დღისით - შეწყნარების გამოსაცხადებლად, და არც ასეთი პატიმარი ბრუნდებოდა ისევე, როგორც ღამით გაყვანილი. ომის დროს მისჯილებს იქვე, შინაგანი ციხის მინაშენში ხვრეტდნენ. თუ გავიგონებდით კარების ჩხაკუნს, გაყვანილისა და ზედამხედველების ფეხის თქარაქურს და ოცოდე წუთის შემდეგ ორი გასროლის ყრუ ხმას - განაჩენი სისრულეშია მოყვანილი! სად ხვრეტდნენ, სახელდობრ? ის მინაშენი სპორტსაზოგადოება „დინამოს" სასროლეთს ჰქონდა, ციხის მხარეს დერეფანივით გასდევდა, რკინის კარით ციხის ეზოსკენ. ეზოში ექიმი, პროკურორი და ციხის უფროსის მორიგე მოადგილე იდგნენ. დერეფანი განათებული იყო, ბოლოში ისეთივე რკი-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ნის კარი ჰქონდა, როგორც ეზოდან შემოსასვლელს. დასახვრეტ
პატიმარს - ერთი ვერსია ასეთი იყო - ციხის უფროსის მორიგე
მოადგილე გაიგდებდა წინ, თავად კვალში მიჰყვებოდა. დასახვ-
რეტის აზრით, განაჩენის სისრულეში მოყვანა სადღაც სხვაგან,
დერეფნის ბოლოს არსებულ კარს მიღმა უნდა მომხდარიყო. ამ-
იტომ შედარებით მშვიდად, ან შოკში ჩავარდნილი მიაბიჯებდა,
თუმცა იყო შემთხვევები, როცა კომენდატურიდანვე და შემდეგ
ეზოდანაც განწირულის ღრიალი გვესმოდა ხოლმე - საკვირვე-
ლია, რომ იშვიათად!.. რკინის კართან მისულ დასახვრეტს შემ-
სრულებელი ქეჩოში ესროდა. ამის შემდეგ ეზოში დარჩენილი
ექიმი, პროკურორი და ციხის უფროსის მოადგილე დერეფანში
შედიოდნენ, სიკვდილის ფაქტს ადასტურებდნენ. ხდებოდა კიდ-
ევ ერთი საკონტროლო გასროლა, იღებოდა კრემატორიუმის
რკინის კარი, ზედამხედველები გვამს შიგ შეაგორებდნენ და სა-
ქმე დამთავრებულად ითვლებოდა, მხედველობაში თუ არ მივი-
ღებთ, რომ ერთ-ერთი ზედამხედველი კარის საჭვრიტინოდან
ამოწმებდა, თუ როგორ იწვოდა გვამი. აი, ასე!..

ჩემი ჯდომების მანძილზე ყველაზე დიდი შთაბეჭდილება მა-
ინც ლაცაბიძის[253] საქციელმა დამიტოვა. დასახვრეტთა საკანში
დამხვდა ის ლაცაბიძე. საკმაოდ ხნიერი კაცი იყო, არანაკლებ
ორმოცდაათისა. გვარის მეტი მისი არავინ არაფერი ვიცოდით;
შესაძლოა, არც ეს გვარი იყო ნამდვილი. ღამით დაუძახეს; იც-
ოდა, მისჯილებს ღამით რისთვისაც ეძახდნენ. წარბი არ შეუხ-
რია. სანამ კარს აღებდნენ, გადმომჩურჩულა, აგერ შეხვეული,
რომ დევს, აიღე და დამალეო. ფეხი გავკარი, ჩემი ადგილისკენ
გადავაგორე. კიდევ ჩამჩურჩულა, - შენ არ დაგხვრეტენ, მანდ
ყველაფერი სწერიაო, და საკნიდან გავიდა. არც გამომშვიდობ-
ებია ვინმეს, არც რაიმე შიშისა და წუხილისმაგვარი გაუმჟღა-
ვნებია. ღამით ვისიმე გაყვანა საკანში დარჩენილებს თავზარს
გვცემდა ხოლმე, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. გარი-
ნდებულნი ვეყარეთ, სანამ ის ორი საბედისწერო გასროლა გაი-
სმა. ვერ ვიტყვი, საკვირველია თუ სირცხვილია, მაგრამ ადამი-
ანი ასეა მოწყობილი - ყველას უმალ ჩაგვეძინა. ლაცაბიძე, ჩე-
მი მიყვანის შემდეგ, ჩვენი საკნიდან მეოთხე გაყვანილი და და-
ხვრეტილი იყო. ოთხივეჯერ ასე მოხდა, ჩაგვეძინა. მალე გამო-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მაღვიძა იმან, რომ დანატოვარი არ მქონდა გასინჯული... ერთიანად დასისხლიანებული პერანგი იყო. იღლიაში ქიმიური ფანქრით ეწერა, ვისთვისაც უნდა გადამეცა. ჩავიცვი, ისე გამოვიტანე სიკვდილმისჯილთა საკნიდან. მერე შინაგანი ციხიდან – ორთაჭალაში, იქიდან - შამპანური ღვინის ქარხნის კოლონიაში. ვიპოვნე ადრესატი, დანაპირები შევასრულე. ახალგაზრდა კაცი მოვიდა, - უმცროსი ძმა ვარო, მითხრა. წაიღო და წავიდა. არც სინანული გამოუთქვამს, არც წუხილისმაგვარი რამ, მადლობა გადამიხადა და წავიდა. დღესაც არ ვიცი, რა ტრაგედიამ გადაიარა ამ ოჯახის თავს... მოვრჩეთ. მერე რაც იყო, მგონია, ადრეც გავიხსენე... კი, შამპანურიდან გაქცევა, მაგრამ მერე - აღარ... ეგენი სხვა დროს იყოს!..

ვასიუგანი ერთობ „წესიერი" მდინარე აღმოჩნდა - არავითარი აღმართები და სხვა ძნელად დასაძლევი დაბრკოლებები. ბარის, სტეპების მდინარე იყო, ჭაობების ნაჟური. ერთი გასაჭირი - ციგის სიმძიმე თხილამურების გამოყენებას აძნელებდა, და კიდევ - სახსრების ზოგჯერ აუტანელი ტკივილი. გორას ახალი ყავარჯნების გაკეთება დასჭირდა. ამას ორკაპი მასალა სჭირდებოდა და ასეთი ჯოხების პოვნა-გამოთლას - დრო, რამდენიმე დღე. კალაპოტის სიახლოვეს ხეები აქა-იქ თუ მოიძებნებოდა. ბოლოს ესაც მოგვარდა, მაგრამ მენჯის სახსრების ტკივილს ახლა გახეხილ-დაბეგვილი იღლიების ტკივილიც დაემატა.

გავჩერდე, იღლიები მოვიშუშო - სიარული ხომ, როცა იქნება, უნდა განვაგრძო, - ისევ ამტკივდება. ერთი გამოსავალია, უნდა გავუძლო... თხილამურები ციგაზე გვაქვს დაბმული და ზურგჩანთაც. ხელის მტევნებით ვიმუშაოთ, იღლია დაისვენებს... ასეა თუ ისე, უნდა ვიაროთ და ტკივილი რითიმე შევიმსუბუქოთ... ისევ მოგონებებს უნდა მივმართოთ... საფიქრალის მეტი რა არის - გაქცევები და მაგის ჯანი... თავიდან გადავათვალიეროთ?.. არა, პირველი გაქცევის შემდეგ, ჩრდილოეთ კავკასიაში რომ გადავედით, იქაური ამბები გავიხსენოთ... სახელდობრ?.. სახელდობრ, ისეთები, რამაც მეტი გავლენა მოახდინა, მძაფრი შთაბეჭდილება დასტოვა... მძაფრი თუ სასიამოვნო, ან,

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

უბრალოდ, გონსასეირო, ტკივილები რომ დაგვავიწყოს!.. მაგი-
სთანები სად გამოვქექოთ? გაქცევაში გადახდენილი ყველაფე-
რი საწუხარია... თამარი[254] - ოლაგირის სადგურის მებუფეტე?..
ჰო, ეს ვარგა!.. მაინცადამაინც ქალი რატომ შეარჩიე, რომელი
თვრამეტი წლის ბიჭი შენა ხარ?! თანაც სანტიმენტალური ამბ-
ავია... კი, თუ რაც ზედაპირზეა, მხოლოდ იმას გავითვალისწინ-
ებთ. ნამდვილად კი თამარის საქციელი უფრო ღრმა, ამასთან,
პროტესტისა და წინააღმდეგობის აქტი იყო... გადასახლებული
ინგუშის ცოლი აღმოჩნდა. ქმარი სადღაც ყაზახეთში ჰყავდა,
ცოლს ქართული გვარი ჰქონდა, ასეთები დეპორტაციას გადარ-
ჩნენ. მუშაობდა, მოაგროვებდა ცოტაოდენ სახსარს, ჩააკითხა-
ვდა ქმარს, იყო ერთხანს მასთან და ბრუნდებოდა. ხან სად მუშ-
აობდა, ხან - სად. მე რომ ვნახე, ოლაგირის სადგურში მებუფე-
ტეობდა... მაგრამ თავიდან მოვყვეთ საქმეს... რაღაც პასპორტი
და სამხედრო ბილეთი მქონდა - სავანელი გიორგი ალექსანდრ-
ეს ძე - გახეხილ-გაცვეთილი. ბესლანში ტოლიკა[255] „მედნიკი" -
ჩემთან ერთად ნაჯდომი მაიდანშჩიკი, ანუ მატარებლის ქურდი,
ამნისტიით გათავისუფლებული კაცის მოწმობას შემპირდა, -
ცოტა ხანი მოცდა დაგჭირდება, მოწმობის პატრონი ამ დღეებ-
ში უნდა გამოჩნდეს, გამოვართმევ და მოგცემო. სწორედ დრო-
ის იძულებით გაყვანამ მომახვედრა ოლაგირში. ლეგენდა მქო-
ნდა: ვარ გათავისუფლებული პატიმარი - შემოხეულ-შემოფლ-
ეთილი. ვეძებ სამუშაოს, რომ სამშობლოში, ანუ საქართველო-
ში, ცოტათი მაინც რიგიანი ტანსაცმლით დავბრუნდე!.. იმ წლ-
ის შემოდგომაზე სიმინდის ყანები თითქმის მთელ ჩრდილოეთ
კავკასიაში აუღებელი რჩებოდა - მუშახელი არ იყო. თუ ვინმე
სიმინდის ტეხაზე დათანხმდებოდა, მოტეხილის ნახევარი ერგ-
ებოდა, მაგრამ სწორედ იმ დროისთვის, როცა ოლაგირში მოვ-
ხვდი, ეს კამპანია კაი ხნის დამთავრებული იყო. ასეა თუ ისე,
ჩამოვედი მატარებლიდან. სიცარიელემ გამაკვირვა - სამი თუ
ოთხი მგზავრი დავინახე ოლაგირში ჩამოსული. დილა იყო, მა-
ტარებელი მხოლოდ მეორე დილით ათ საათზე უნდა გაბრუნებ-
ულიყო. შევედი სადგურში. აქაც, ცხადია, სრული სიცარიელე
დამხვდა. ერთ-ერთ კარზე მუყაოს ნაჭერი ეკიდა წარწერით -
Буфет - შევაღე კარი, არც აქ დამხვდა ვინმე, მხედველობაში

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თუ არ მივიღებთ მებუფეტე ქალს, რომელიც იჯდა და რაღაცაზე ფიქრობდა თუ ოცნებობდა. წამოდგა, მომესალმა... სიმართლეს ვიტყვი, ისეთი შესახედაობა მქონდა, მოსალმება კი არა, წივილ-კივილით უნდა გაქცეულიყო... დახლში ერთადერთი ტაფა იდგა, ზედ რამდენიმე ცივი ღვეზლით. სხვა არაფერი, გარდა თაროებზე გამწკრივებული არაყის ბოთლებისა. ღვეზელი სწორედ იმდენი ღირდა, რამდენიც მქონდა. ავიღე ერთი ცალი, კუთხის მაგიდას მივუჯექი. ძაღლივითა მშიოდა, მაგრამ ისე ვჭამდი, ვითომ ეს არის ეხლა ტაბაკა მქონდა მირთმეული. გამომელაპარაკა. ჩემი ლეგენდა ვთქვი. მოსატეხი ამ ადგილებში აღარაფერიაო, - მაცნობა. მივუგე, - ვიცი, უკვე მითხრეს, მაგრამ მატარებლის გაბრუნებას უნდა დაველოდო, სხვა რა გზა მაქვს-მეთქი. დღემდე არ მესმის, რა შემატყო, რა უნდოდა, რა ამოძრავებდა - სამი ცალი ღვეზელი მომიტანა, ოცდახუთი მანეთი მომცა, - წადი, გაიპარსე, თუ აბანო მუშაობს, იბანავეო. ვიუარე, როგორც ეს თითქმის ყოველთვის ხდება. ვერაფერს გავხდი, გამოვართვი. მდინარეა იქ, მგონია, ხათალ-დონი ჰქვია. ხეობას ავყევი, მყუდრო ადგილი ვნახე. ციოდა, მაგრამ შეძლებისდაგვარად დავიბანე ტანი. ამას არავითარი აზრი არ ჰქონდა, მკბენარი მყავდა შემოსეული. გაქცევების დროს აბანოს იშვიათად თუ ვწვევივარ, მკერდზე დიდი სვირინგი მქონდა, მშვენიერი ამოსაცნობი ნიშანი. ოლაგირის აბანოში ნომერს რა უნდოდა და საერთოში კი არ შემესვლებოდა.

გონსასეირო ის არის, რომ საბოლოო გათავისუფლებისას მოვახერხე, ჩემი ფორმულარი ვნახე. *Опознавательные приметы*-ში ყველაფერი ეწერა, გარდა სვირინგისა; ქუსლები ორი სანტიმეტრით გამოშვერილი რომ მაქვს - ესაც კი, და სვირინგისა - სრულიად არაფერი. შემდგომში ყოველივე ეს საშაპაპავას რომ ვუამბე, - „ილბლის ღიმილიაო", - სთქვა... მდინარიდან წამოვედი, სადალაქო ვნახე, გავიპარსე და ისევ თამარის ბუფეტში შევედი. ღამე მოსაცდელ დარბაზში უნდა გამეთენებინა. ციოდა, ვიფიქრე - ბუფეტში ვიჯდები, სანამ დაღამდება და დაკეტავს თავის დაწესებულებას-მეთქი... ჰო, მთავარი - მშვენიერი ქალი იყო, მარჯვენა ღაწვზე დიდი, ულამაზესი ხალი ჰქონდა. ტან-ფეხითაც ძალიან კარგი იყო, მაგრამ მაშინ მე ამაებ-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ის დარდი არა მქონდა, - ისეთი არავინ შემოვიდეს, რომ საბუთი
დამიწუნოს და მილიციაში მიმაბრძანოს-მეთქი. ჩემი საფიქრა-
ლი ეს იყო და აგერა, კინაღამ გამართლდა კიდეც... ვზივარ, თა-
მარის მორთმეულ საჭმელს შევექცევი... სამი მამაკაცი, კი არ
შემოვიდა - შემოცვივდნენ. გეგონებოდა, ვინმე მოსდევთო.
ერთ მათგანს ნაბადი ჰქონდა წამოსხმული. დაჯდა, ნაბადი გა-
დაიგდო, სამხედრო პირი აღმოჩნდა... ავტომატიანი! დიდი ვერ-
აფერი, ლეიტენანტი გახლდათ, როგორც მერე გავიგე, აქაური
უშიშროების უფროსი, მაგრამ ჩემთვის ერთი ფილთათოფიანი
ბებერიც კმაროდა. აქაურები იყვნენ, „ტამაროჩკასთვისაც" ში-
ნაურები... მოართვა თამარმა ერთი ბოთლი არაყი და შეცხელე-
ბული ღვეზელები. ლეიტენანტმა, განსაკუთრებით მას მერე,
როცა ნახევარი „სტაქანი" გადაჰკრა, მალ-მალე დამიწყო შემო-
თვალიერება. ბოლოს თამარს დაუძახა, ყურში რაღაც ჩასჩურ-
ჩულა. თამარმა ჩემკენ გამოიხედა და ჩურჩულითვე ისეთი რამ
უთხრა, რომ ლეიტენატმა ჩემ მიმართ ყოველგვარი ინტერესი
დაჰკარგა... შემიძლია, შავი ფიცით დავიფიცო, თამრიკომ რაღ-
აც მეექვსე გრძნობით იცოდა, რომ გამოქცეული პატიმარი ვიყ-
ავი, გრძნობდა, რაღაცას თუ ვილაცას ვემალებოდი. შეიძლება,
იმიტომ, რომ როლს კარგად ვერ ვასრულებდი, ნიჭი თუ გამოც-
დილება არ მეყო, ახალბედა მარბენალი გახლდით... ერთი სიტ-
ყვით, ის სამი მუშტარი წავიდა, შვებით ამოვისუნთქე... ან რა-
ნაირი ქალაქი იყო ის ოლაგირი, ან როგორი ბუფეტი იყო - ერ-
თი ბებრუცუნას მეტი არავინ შემოსულა.

დაღამდა, თამრიკომ კარზე ჩამოკიდებული აბრა გადააბრუ-
ნა - *Закрыто*. კიდევ ცოტა ხანს ვისაუბრეთ - ამ მთისა და იმ
მთისა. მერე თამრიკომ იქვე, გრძელ სასადგურო მერხზე „ლოგ-
ინი" გამიშალა - რაღაც ფლასები. თავად გვერდის ოთახში შევ-
იდა... დავდე მკლავზე თავი, ძილი დავაპირე და შევნიშნე, რომ
თამრიკოს ოთახის კარი ღრიჭოდ იყო, არ შეიკეტა, ისე დაწვა.
დაწვა-მეთქი, იმიტომ ვამბობ, რომ ხალათით გამოვიდა, დარბ-
აზში სინათლე ჩააქრო და მერე — თავის ოთახშიც... ჭიასავით
შემიჩნდა ფიქრი, - რატომ უნდა დაეტოვებინა ღია კარი-მეთ-
ქი?!. არა, არც შემთხვევისა თუ გულმავიწყობის შესაძლებლო-
ბა გამომირიცხავს, არც ის, რომ იქნება კარია გაფუჭებული და

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

არ იკეტება-მეთქი?.. მაშ, დღისით როგორ იყო დაკეტილი?.. გა-
ვიხსენე და გადავათვალიერე ჩვენი საუბრები, ურთიერთდამო-
კიდებულება, ყოველი გაღიმება თუ წარბის შეკვრა, იმ კუდაბზ-
იკა ლეიტენანტთან გადაჩურჩულებაც... ერთი სიტყვით, ამ ქა-
ლს შევეცოდე, ან ძალიან მოვეწონე, ან ორივე ერთად და... მეძ-
ახდა!.. კიდევ კარგა ხანს ვჩხიბე, ვწონე და ვზომე ვითარება.
თითქმის განვიზრახე, - შევალ და ეგ იქნება-მეთქი!.. ამ გადაწ-
ყვეტილების მიღებაში, ალბათ, იმანაც შეასრულა თავისი რო-
ლი, რომ პატიმრობასა და იმ პირველ გაქცევაში, იშვიათი გამ-
ონაკლისის გარდა, ქალი - საიდან?.. მერე ერთი რამ მომაგონდა
და განზრახვაზე ხელი ავიღე, დავიძინე... არაფერი. დილით ის-
ევ დამაპურა, კიდევ ოცდახუთი მანეთი მომცა, ყბაზე დიდი ძირ-
მაგარა მქონდა, იხტიოლის მალამო დამადო და ბესლანისკენ
გამოვემგზავრე. ეგ იყო, თუ არ ჩავთვლით ერთ, საკმაოდ საინ-
ტერესო შეხვედრას!

ვლადიკავკაზს მაშინ ხან ორჯონიკიძე ერქვა, ხან ძაუჯიყაუ,
ხოლო ქართველები ძაუგსა და „გოროდს" ეძახდნენ; ვინ - როგ-
ორ. იმ ადგილებში ფეხი მოვიკიდე - ჩავიცვი, დავიხურე, საკმა-
ოდ მნიშვნელოვანი საწარმოს პერსონალურმანქანიანი დირექ-
ტორი ვბრძანდებოდი. ოლაგირის ეპიზოდის შემდეგ კაი ორი
წელიწადი იყო გასული, კუიბიშევის ქუჩაზე თამრიკო შემომე-
ფეთა. მიყურა, მიყურა და მკითხა, - ლევანი არა ხარო?.. ოლაგ-
ირში ლევანად გავეცანი. ლევანი ვარ-მეთქი!.. ვიდექით, ვისაუ-
ბრეთ, ერთმანეთის ასავალ-დასავლისა ვთქვით. გულში ვფიქ-
რობდი, - ეხლა დამიძახოს, ან ნიშანი მაინც მომცეს-მეთქი...
შინამდე მივაცილე; ერთსართულიან, საკმაოდ კოპწია საკუთ-
არ სახლში ცხოვრობდა. ქვის კიბის პირველ საფეხურზე იდგა,
ილიმებოდა და მოულოდნელად მკითხა:

- კარი ღია დავტოვე, ვერ შენიშნე?
- შევნიშნე, როგორ არა!
- რატომ არ შემოხვედი?

დავფიქრდი და მივუგე:

- მართალი გინდა?

თავი დააქიცინა, თვალი თვალში გამიყარა.

- მკბენარი მყავდა... - ვთქვი. - შეურაცხყოფა ვერ მოგაყენე.

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თამრიკომ კარგა ხანს მიყურა, ლოყაზე მაკოცა და შინ შევიდა...

იმავ წუთს გამობრუნდა. ისევ ისე ვიდექი, კაცს ეგონებოდა, ვიცოდი, რომ გამობრუნდებოდა... ისევ დამაკვირდა და მკითხა:

- მეპატიებოდა?

- რა?

- კარი რომ დავტოვე ღია.

- მე მეპატიება, რომ არ შემოვედი?.. ისე მგონია, ორთავეს გვეპატიებოდა!

თამარმა გაიცინა და შინ შებრუნდა.

მას მერე ერთმანეთი აღარ გვინახავს - დასავლეთ ბელორუსიაში გადავბარგდი სამუშაოდ.

გორა ბუნაგში იწვა, ზემოდან თეთრი ბალახონი ეფარა. ისე იყო შენიღბული, ვინმე თავს წამოსდგომოდა - ვერ შენიშნავდა. მიუხედავად იმისა, რომ უკაცრიელ ვასიუგანს მიჰყვებოდა, სიფრთხილის წესებს მაინც არ ჰღალატობდა. ის მონაკვეთი, რომელიც ბოლო ორი დღის მანძილზე ჰქონდა გამოვლილი, შედარებით უთოვლო იყო, უთხილამუროდ მოდიოდა და კვალს არცთუ ადვილად შესამჩნევს სტოვებდა. იქვე ფიჭვის შიმალი იყო, ციგის მისამალად მოხერხებული. ყავარჯნები ბუნაგში ვერ შეეტია, ზემოდან ეყარა, მაგრამ მათი დანახვა მაინც თავს წამომდგარ კაცს თუ შეეძლო... ახალგამოღვიძებული იყო, საათს დახედა - თორმეტი სრულდებოდა, მაგრამ სიარულს მხოლოდ მეორე დილიდან აპირებდა. ეს დღე დასასვენებლად ჰქონდა განზრახული...

ძრავის ხმა შემოესმა - ყრუ, შორეული; გრიალი ახლოვდებოდა. გორამ თავი ამოჰყო. მოღრუბლულ ცაზე ვერაფერი დაინახა, მაგრამ ხმა ვერტმფრენისა რომ იყო, ამაში დარწმუნდა და თავი ისევ სამალავში ჩაჰყო. ვერტმფრენმა გორას ბუნაგიდან მარჯვნივ, კარგა მანძილზე ჩაიარა და იქაურობას გაეცალა. ხმა მიწყდა, მაგრამ ნახევარი საათიც არ იყო გასული, გრიალი ისევ მოახლოვდა. ვერტმფრენმა ახლა გორასგან მარცხნივ და ისევ კარგა მოშორებით ჩაიგრიალა. ასე რამდენიმეჯერ განმეორდა; მანქანა ათკილომეტრიან კვადრატს სერავდა და ერთი გად-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

აფრენა გორას ბუნაგს ზედ თავზეც გადაუარა. ამის შემდეგ ვერტმფრენმა სამხრეთისკენ აიღო გეზი. ხმა თანდათან მინელდა და ისევ სიჩუმემ დაისადგურა.

სულ გაფრინდა თუ სადმე დაჯდა?.. მიტილენიჩია?.. შესაძლოა, ეგრეც არის. ობის შემდეგ მაგან ჩემი კვალი დაკარგა. მეოთხმოცე მერიდიანზე ვეგულებოდი. ასე უნდა მევლო ობამდე.... არ ვიარე, დასავლეთისკენ გადმოვუხვიე, მეძებს?.. კვალს ეძებს?..

გორა ბუნაგიდან გამოძვრა, ბალახონი წაიღო, ციგის გვერდით ჩაწვა, შეინიღბა... ისევ გაისმა ვერტმფრენის კაკანი. გაიარა, წავიდა; გორამ თავი გამოჰყო, თვალი გააყოლა...ვერტმფრენი ორიოდე კილომეტრის მოშორებით დაეშვა და დაცხრა. გორა ბალახონიანად გახოხდა, პატარა ბექობი იყო, იქიდან დურბინდით დაუწყო თვალთვალი ვერტმფრენს. უკარფანჯრო, ნახევრად საბურავაბდილ კოტეჯთან იდგა. სამნი გადმოვიდნენ, კოტეჯში შევიდნენ. მერე ერთ-ერთმა ვერტმფრენიდან რაღაც მიიტანა. როგორც შემდგომში აღმოჩნდა, გვარლი... სამთავემ იმუშავა. გვარლი გორასთვის ძნელად დასანახ საგანს ჩააბეს და მანქანას მიაშურეს. ამ ოპერაციის მანძილზე ვერტმფრენიდან მეოთხე კაცს ჰქონდა თავი გადმოყოფილი... მანქანა აფრინდა, ის საგანი ჩამოკიდებით წაიღო და თვალს მიეფარა.

ის მეოთხე ვინ იყო, ვერტმფრენიდან რომ არც ჩამოვიდა და, საერთოდ, რას ნიშნავს ეს ფანდი?.. რამდენიმე ვარიანტია. პირველი: დაფრინავენ და იციან, რომ თუ აქ სადმე ვარ, უეჭველად ვადევნებ თვალს. იმ ტვირთის ასე დემონსტრაციულად წაღება, მათი აზრით, მე უნდა დავუკავშირო ვერტმფრენის დაჯდომის ადგილზე არსებულ ქოხს, რომელშიც არავინ არის - ტვირთის გადმოტანისას სხვა ვინმე არ გამოჩენილა, გარდა მოფრენილებისა. ყოველივე ეს კეთდება იმისთვის, რომ შიგ დამალულმა კაცებმა მიმიტყუონ და ხელი მტაცონ?.. შესაძლოა, ქოხში, მართლაც, არავინ არის, მაგრამ ჩემი მისვლა კვალს დასტოვებს და მიტილენიჩი თავის რუკაზე მორიგ დროშაკს დაარჭობს,

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ანუ დაინახავს, საით მიჭირავს გეზი. მეორე ვარიანტი ის არის, რომ დამაფიქსირეს, - ვასიუგანს მიჰყვება, დავადგინეთ და მდინარის სათავეებიდან აშნას მიაშურებს, სხვაგან საით წავაო?!. ეს მიტილენიჩისთვის სრულიად საკმარისია. მესამე ვარიანტია ის, რომ მას ჩემი დაჭერა აქ და ეხლა სრულიადაც არ აძლევს ხელს - პოლიკარპ ვასილევიჩს რა ჩასჩურჩულა?!. არის მეოთხე ვარიანტიც - მიტილენიჩი არაფერ შუაშია, სულ სხვა ხალხი იყო. რაში სჭირდება ჩემი თვალთვალი? თუ იცის, რომ ჩემი გზა აშნასა და ხაბიბულაზე გადის - იქ არ მივალ?.. როგორც უნდა იყოს, ჩვენ მაგ ქოხმახში არაფერი გვესაქმება...

გორას ცდუნებამ სძლია, იმ დანგრეულ კოტეჯს ვერა და ვერ მოსცილდა, - შიგ ვინმე თუა, მოსასაქმებლად ხომ მაინც გამოვაო! შებინდებამდე უთვალთვალა. არავინ გამოსულა. დაღამებისას თავის ბუნაგსა და ციგას დაუბრუნდა, წაიხემსა და გზას დილა- ადრიან გაუდგა.

რა მოხდა, იცი? მთელი ის სირბილები, გაქცევა-გამოკიდებები, ახლა იმიერპოლარეთიდან ამხელა გამოვლილი გზა, ჩემი ცხოვრების თავისებური მოდელია - დიდი სისწრაფით ვიცხოვრე... ეს მანძილიც რა სწრაფად გამოვიარე... ადამიანს მიაჩნია, რომ სიცოცხლის განმავლობაში რაღაცას მისდევს და იმას კი ვერ იცნობიერებს, რომ კი არ მისდევს - გასაჭირს, სიკვდილს გაურბის! მერე გაუთავებელი ლტოლვა ბეზრდება, აუცილებლობას ურიგდება და საიქიოში წასვლისთვის მზადებას იწყებს. ყოველივე ეს ქვეცნობიერი პროცესებია. სიკვდილის წვართვა აღსრულებათა ასაკშივე იწყება, როგორც წარსულში დევს ყველაფრის ფესვი, ჩემი გამოქცევა აღსრულებათა ჟამს განეკუთვნება, მაგრამ სიკვდილის წვართვის დასაწყისიც გახლავთ; თვით გზა კი კორიდის ენაზე - „სუერტე დე მუერტე" - მოკვდინების მსვლელობაა და ამას ახორციელებს უდიდესი, უმკაცრესი ესპადა - გარდუვალობა!.. ასპარეზზე გამოვარდნილი ხარი ხარ?.. კორიდა მთავრდება, ახლოვდება მისტერიის დასასრული, გორავ!.. სიკვდილს აპირებ?.. ჯერ არა, საქმეა დასამთავრებელი. ამაზე - მერე, როცა ტომის მოვიგონებთ... ჰო, კარგი...

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

გახსოვს მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი ბიტიუცკი?.. კი. „ხორხის ავთვისებიანი სიმსივნე გარქოვანებამდე" - ასეთი დიაგნოზი დამისვეს. თბილისში, ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ. ამირან მორჩილაძემ თავის საქმეს, საავადმყოფოს მთავარ ექიმობას, დროებით თავი მიანება, მოსკოვში წამიყვანა, თვე-ნახევარი თავზე მადგა, ინექციებს საკუთარი ხელით მიკეთებდა, ყველანაირად მივლიდა. სტაროსტინებმა საუკეთესო კლინიკაში მომაწყვეს. ის ბიტიუცკი პირველი ექიმი იყო, ვინც გამსინჯა და ავადმყოფობის ისტორიის ფურცლები შეავსო. ვზივარ, ყელზე რაღაც ძარღვი მიპოვნა, დამიზილა და აკი ჩამეძინა. გონს რომ მოვეგე, გამომიცხადა, - თქვენ მოკვდებითო! გულისხმობდა, რომ ოპერაციას თუ არ გავიკეთებ, ანუ ხორხს თუ არ ამომკვეთენ, გათავებულია ჩემი საქმე. ხმით ვერ ვლაპარაკობდი, დავიჩურჩულე, - მერე რა, რომ მოვკვდები? ყველა კვდება: ზოგი — დედის საშოშივე, ზოგი — სამი, ათი, ასი წლისა. მე ორმოცდაოთხი წლისა ვარ, მაგრამ იმდენი მაქვს ნანახი და განცდილი, რამდენიც ასი წლისას არ ექნება. მაშასადამე, ჩემი სიკვდილი კანონზომიერებად შეიძლება, ჩაითვალოს. მიუხედავად ამისა, არ მოვკვდები, მნიშვნელოვანი საქმე მაქვს დასამთავრებელი, იმას უნდა მოვრჩე! ბიტიუცკი დაიბნა, უნებლიეთ მკითხა, რა საქმეო. გამეცინა, - როგორ მოგახსენოთ, ისეთი რამ არის, რასაც ჩემს მეტი ვერავინ დაასრულებს-მეთქი. ვერაფერი გაიგო... ეხლა დასამთავრებელი რა გაქვს?.. რელსზე უნდა დავჯდე!.. მერე?.. ჰოო, აი, ეგ საქმიანი, მართებული შეკითხვაა... საინტერესოა, მიტილენიჩიც ესაუბრება ხოლმე თავის თავს?.. რა თქმა უნდა, ანალიზი კიდევ სხვა რამეა? ნეტავი, როგორი ცნობებისგან შესდგება მისი ინფორმაციის სკივრი? თუ უსაშველო და მოთავებული იდიოტი არ არის, უეჭველად იცის, რომ ცოცხალი ვარ, და ისიც, თუ რა გეზით ვიარე. აბა, რამდენნაირი კვალი მაქვს დატოვებული, რამდენი თვეა, მოვდივარ!.. ოინი არ იქნება, ისიც გამოიცნოს, რელსზე სად, რომელ ადგილას დავჯდები? ეგ მე თავად არ ვიცი, მაგას ფიქრი და გადაწყვეტა უნდა. ცოტა მოვლონიერდები. იქაურობას კარგი ზვერვა დასჭირდება... გამორიცხული არ არის, რომ მიტილენიჩი ინტუიციითა და გამოთვლის შედეგად სწორედ სადმე იმ მიდამოებში მიმელოდ-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ეს... შენ რომ რელსზე უნდა დაჯდე, მიტილენიჩს დაესიზმრებ-
ოდა?.. რა ვიცი, აბა? ყველაფერია შესაძლებელი. მარჩიელობ-
ას თავი დავანებოთ, საქმეს მივუბრუნდეთ: კბილები - აქა-იქ;
მარცხენა ხელის მტევანი - თითქმის უძრავი. მყესების ამოქმე-
დებას რთული ოპერაცია და ვარჯიში სჭირდება... ოპერაცია,
შესაძლოა, იმდენად მძიმე აღმოჩნდეს, რომ ჩემმა ასაკმა და ჯა-
ნმრთელობამ ვერ გაუძლოს... მენჯის სახსრები რეზო სესიაშვ-
ილს[257] თუ ვერავინ მოურჩინა, მე რ. ღა წითელი კოჭი ვარ! ცალი
ყურით ველარაფერი მესმის - ურენგოიში გადატანილი ყურის
ანთების შედეგი. ამის მორჩენა შესაძლოა, მოხერხდეს კიდეც...
ისე, შედარებით ნორმალურ პირობებში, დასვენებითა და კარგი
მკურნალობით, იქნება ცოტათი მეშველოს... ახლა, მხედველო-
ბა!.. ვიტამინები გამოაკეთებენ საქმეს?.. სათვალე და მაგის ჯა-
ნი. ეგ არის, ამ და სხვა სატკივრების მკურნალობა მხოლოდ
ოფიციალური სტატუსის მონიჭების შემდეგ მოხერხდება. ეს
ცალკე და რთული პრობლემაა, მაგრამ ყველაფერს ჯანი გავარ-
დეს, სანამ დამიჭერენ, შიმშილით არ მოვკვდები. დამიჭერენ და
- გაუმარჯოს მოქალაქე უფროსს! *Меньше трехсот не дадут,
дальше луны не пошлют!* ისე შეგვინახავს, რომ არც მოვკვ-
დეთ და არც დავრჩეთ, დარდი აღარაფრისა იქნება! საფიქრალი
ის შეკითხვაა, ვის და რაში ვჭირდები ისეთი, მე რომ ახლა
ვარ?.. კარგი, წუწუნს მოვეშვათ, სხვა რამით შევიქციოთ თა-
ვი... კაცო, თითქოს ყელი მტკივაო, ისეთი გრძნობა მაქვს... სი-
მყრალეს არა გრძნობ?.. რის სიმყრალეს?!. მძორისას!.. ამ ყინ-
ვაში მძორს სუნი არ აუვა, მაგრამ შენ მართალი ხარ, რა დრო-
ის მოთქმა და ტირილია, სხვა რამეზე ვიფიქროთ... პირველი გა-
ქცევის შედეგები ჯერაც არა გვაქვს გახსენებული - ბელორუს-
იის ამბები და სხვა... ჰო, ბელორუსიაში, კერძოდ, მინსკში... რა
გვარისა იყო ის კაცი, მგონია, ვოხნიანსკი,[258] არა?.. კი, საინტე-
რესო კაცი იყო. მინსკში ჩავედი. პირველის ნახევარზე ბელორ-
უსიის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილესთან გე-
რმანიიდან რეპარაციის სახით წამოსაღები მოწყობილობის
თაობაზე ვიყავი დაბარებული. თორმეტის ნახევარზე სასტუმრ-
ოს რესტორანში შევირბინე, მშიოდა. რალაც საჭმელი მომიტა-
ნეს. გაქცეული კაცი, სადაც უნდა იყოს, ჩუმ-ჩუმად იქაურობას

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ზვერავს, - საშიში ხომ არაფერი ხდებაო. შევამჩნიე, შორიახლ-
ოს ერთი ტანთხელი, ჭაღარა კაცი განმარტოებით იჯდა, ლუდი
და პატარა ტაფით ერბოკვერცხი ედგა, მაკვირდებოდა. გავიფი-
ქრე, მე რომ ვერა ვცნობ, რა გასაკვირია, მაგრამ რომელიმე ყო-
ფილი ჩეკისტი ხომ არ არის და ხომ არ მიცნო-მეთქი? საათზე
დავიხედე, ჭამას დავუჩქარე. ის კაცი ადგა, თავისი ბოთლი და
ჭიქა წამოიღო, პირდაპირ ჩემკენ გამოსწია. მოვიდა, - თუ შეი-
ძლება, დავჯდეო. თავი დავიქნიე. დაჯდა და ჩემი თვალიერება
განაგრძო. - ბოდიშს ვიხდი, მე ექსდიპლომატი ვარ - ვოხნიანს-
კი ივან მაკაროვიჩი. ნუ გაგიკვირდებათ, რაღაც უნდა გკითხოთ.
- ცოტა ხნის შემდეგ მითხრა.

- ბრძანეთ.

- არის ასეთი მეცნიერება, რეაქციული მეცნიერება - ფრენ-
ოლოგია. პროფესორ ფრენელის ნაცოდვილარი თეორიაა. მარ-
ტოხელი კაცი ვარ, მთელი სიცოცხლე უცხოეთში გავატარე.
ხშირად საქმე არაფერი მქონდა, ხანდახან ამ თეორიით ვერთ-
ობოდი. ეხლა, როცა შემთხვევა მომეცემა, ზოგ რამეს ვამოწმ-
ებ ხოლმე. უზრდელობაში ნუ ჩამომართმევთ... შვილები თუ
გყავთ?

- დიახ, ორი! - ვიცრუე.

- ორივე გოგო, ხომ?

- დიახ. - ისევ ვიცრუე. - თქვენ რით დაადგინეთ?

- თქვენისთანებს, უპირატესად, გოგოები ჰყავთ ხოლმე.

- პროფესორ ფრენელის მიხედვით?

- დიახ.

- საინტერესოა!.. მაპატიეთ, მეჩქარება, უნდა დაგტოვოთ.

ეს შემთხვევითი საუბარი გულში ხიჭვივით შემერჭო. გაქცევა-დამალვის პერიოდებში უშვილობის კომპლექსი მაწვალებდა. უფრო ზუსტად, უძეობისა. ეს მამრობითი მემკვიდრეობის დატოვების ბუნებრივი წყურვილიც იყო, გაქცეული კაცის შიშიც, რომ უძეოს დაპატიმრებისას მომკლავდნენ ან განაჩენით დამხვრეტდნენ და, ამას გარდა, პაპა გორასი და მამაჩემ ერეკლ-ეს ხშირი შეხსენებებიც მოქმედებდნენ, - გვარი შეწყვეტაზეა, ბევრი ვაჟი უნდა გააჩინოო... ვაი, რომ ვერც მათი დანაბარები შევასრულე და ვერც... ეჰ, როგორც არის...

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

გორას ისეთი გაქცევების გახსენება და, მით უმეტეს, თხრობა, რომლებიც წარუმატებლად წარიმართა და დამთავრდა, არ უყვარდა. ერთხელ მითხრა, - ადამიანს თავისი დანაშაულის აღიარება ნაკლებად უჭირს, ვიდრე წარუმატებლობის, მარცხის, ფიასკოსიო! ასეთთა რიცხვს მიაკუთვნებდა იგი ყარაგანდიდან „გლეჯით“ გაქცევასაც - მეორე გაქცევას!.. მე იმ გაქცევის პერიპეტიები ანატოლი ივანიჩ შულცისგან ვიცი. ეს იყო ემიგრანტი ოფიცრის ვაჟი. მან დედ-მამასთან ერთად ჩინეთში ამოჰყო თავი, იქ გაიზარდა, იქვე მიაღწია საკმაოდ კარგ საზოგადოებრივ მდგომარეობას - რომელიღაც ამერიკული კომპანიის წარმომადგენელი იყო ჩრდილოეთ ჩინეთში; იქვე შეირთო ცოლი, ულამაზესი გოგონა, გალინა სოლდატენკო,[259] რომელმაც ჰოლივუდში მიიღო მიწვევა, ბატონი შულცი მიატოვა და შტატებშივე იმსხვერპლა მკვლელის ტყვიამ - ტრაგიკული ბიოგრაფია! ამასობაში, ჩინეთიდან სამშობლოში დაბრუნება იწყეს ემიგრანტებმა, მათ შორის იყო ანატოლი შულციც. თავის დაბრუნებას ასე ხსნიდა, - არც იქ, არც სადმე სხვაგან აღარაფერი და აღარავინ გამაჩნდა. მრჩებოდა მხოლოდ სამშობლო. წამოვედი სხვებთან ერთად იმ იმედით, რომ ამხელა ომში გამარჯვების შემდეგ კომუნისტები მამაჩვენების „ცოდვებს“ ჩვენ - შვილებსა და შვილიშვილებს, არ გვაზღვევინებდნენ, და აჰა, აი!.. გორასთან ერთად ინანიებდა ხსენებულ ცოდვებს, მეგობრობდა მასთან და იმ გაქცევაშიც მონაწილეობდა, რომელიც გორას არასოდეს და არავისთვის უამბნია. აი, ბატონ შულცის ნაამბობიც:[260]

- ის გაქცევა, ნაწილობრივ, სხვა პატიმრების მომზადებული იყო. ასე ხშირად ხდება. გორას მესამე გაქცევაც მეტწილად სხვათა მომზადებული გახლდათ. ოპერგანყოფილებას თავისი აგენტები ჰყავს და მათ მიერ გამოთქმულ მცირე ეჭვსაც კი შედეგად მოსდევს ის, რომ ეჭვმიტანილები სასწრაფოდ სხვა ბანაკებში გადაჰყავთ. ამისთვის საჭირო არ არის ზუსტად ცოდნა იმისა, თუ, სახელდობრ, რა ხერხით უნდა შესრულებულიყო გაქცევა... მოკლედ, იმ ბიჭებს, ვინც გაქცევას ამზადებდა, დაავლეს ხელი და სხვადასხვა ბანაკებში უკრეს თავი, მაგრამ მათ საქმის არსი სანდო კაცს დაუტოვეს. გაქცევა ასე მზადდებოდა: ყარაგანდის გარეუბანში გაიხსნა ახალი ობიექტი „ჩრდილო-დასავლ-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ეთის ნაგებობათა“ სახელწოდებით. ობიექტის ღობის მოწყობა-ზე ასევე პატიმრები მუშაობდნენ. ზამთარი იყო. ღობედ გამოყ-ენებულ იქნა ოთხმეტრ-ნახევარი სიმაღლის, ბოძებს შუა სამრ-იგად ჩამწკრივებულ გამირებზე ლურსმნებით მკვიდრად მიჭე-დებული ნაგვერდული. ამ ღობემდე, როგორც ყოველთვის და ყველგან, მოწყობილ იქნა, ეგრეთ წოდებული, „აკრძალული ზონა“. ეს არის გადაბარული და გადაფოცხილ-გაფხვიერებული რვა, ათი მეტრის სიგანის ზოლი, რასაც კიდევ თავისი, დაბალი მავთულხლართის ღობე აქვს. სანამდე სამუშაო ზონაში პატიმ-რებს შეიყვანენ, ხდება აკრძალული ზონის დათვალიერება, - გადასული ან გარედან გადმოსული კაცის კვალი ხომ არაფერი-აო. ღამე კოშკურებზე გუშაგები არ დგანან, ზონა ცარიელია და გარედან გადმოპარვა, ვთქვათ, ქალისა, გამორიცხული არ არ-ის. არც ის არის შეუძლებელი, რომ პატიმარი სადმე ჩაიმალა, დაცვა გაყვანილების გადათვლაში შესცდა. დამალულმა პატი-მარმა გუშაგების წასვლისთანავე აკრძალული ზონა გადაიარა, ღობეზე გადაძრომა მოახერხა და - ეძებე!.. ჩვენ, ესე იგი, ამ გა-ქცევის გამგრძელებლები, ადრე გაზაფხულზე მიგვიყვანეს იმ ზონაში სამუშაოდ. წინამორბედთაგან შესრულებული იყო შე-მდეგი რამ: ღობის ბოძების ჩაყრისას ორი მათგანი ღორღითა და მიწით კი არ იყო ჩაძეკილი, არამედ წყალი იყო ჩასხმული და ზემოდან მიწა ჰქონდა წაფარებული. ზამთარში წყალი გაიყინა, ბოძები იდგა. ამას „გლეჯით წასვლა“ ჰქვია, ანუ ავტომანქანით უნდა წაიქცეს ჯერ აკრძალული ზონის დაბალი მარგილი, გაწ-ყდეს მავთულები; შემდეგ ავტომანქანა უნდა მიაწვეს ერთ-ერთ იმ ბოძთაგანს, რომელსაც წყალი ჰქონდა ჩასხმული - ზაფხულ-ში გამდნარი; მანქანის მიწოლით ღობე უნდა გადაწვეს, ზედ ავ-ტომანქანამ გამქცევებიანად გადაიაროს და დანარჩენი იღბლის საქმეა - მოხვდება თუ არა კოშკურიდან გახსნილი ტყვიამფრქ-ვევის ცეცხლი რომელიმე გამქცევთაგანს ან გამოიყვანს მწყო-ბრიდან თუ არა მანქანას... გასანგრევი ადგილი ვიცოდით; ერთ-ერთი მშენებარე სახლის სარდაფში ორასლიტრიანი კასრი ჩა-ვფალით, დავიწყეთ ბენზინის გროვება - ბევრი ავტომანქანა შემოდიოდა საშენი მასალებითა თუ წყლით. კასრი ნელ-ნელა გაივსო. კარგი ამინდები დაიჭირა, უკვე წასვლაც შეიძლებოდა

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მაგრამ მოხდა მოულოდნელი რამ: მოიყვანეს თხრილმთხრელი ტრაქტორი და ზონის გარშემო ორი მეტრი სიღრმის თხრილი გასჭრეს. ეს მანქანა ამოღებულ მიწას იქვე ჰყრის და იქმნება ბრუსტვერი, რომელიც გლეჯით წასვლის შემთხვევაში გადასასვლელად დამატებით სიძნელეს წარმოადგენს. ეს იმის შედეგად მოხდა, რომ ასეთი წასვლები გახშირდა. მოუმზადებლობის გამო მათი უმრავლესობა მარცხით დამთავრდა, გლეჯის ტექნოლოგია კარგად არ იყო დამუშავებული. ჩვენ ბოძების მერყეობის უპირატესობა გვქონდა და, ამას გარდა, დამატებითი ზომებიც მივიღეთ, – სპეციალური ფარები გავაკეთეთ; წყალს ზონაში „სტუდებეკერის" ფირმის მანქანა დაეზიდებოდა, სამღერძიანი, სამივე — წამყვანი. ეს უკვე გარკვეულ გარანტიას ჰქმნიდა. ჯიხურსა და წყლის ავზს შორის ადგილი იმხელა იყო, რომ ჩვენი ბენზინის კასრი და კიდევ ერთი კაცი თავისუფლად მოთავსდებოდა. ექვსნი ვიყავით; სამნი კაბინაში უნდა ჩამსხდარიყვნენ, ორნი - აქეთ-იქიდან საფეხურებზე უნდა მდგარიყვნენ. ხსენებული ფარი კაცის სიმაღლის, თორმეტი სანტიმეტრის სისქისა და სახელურიანი იყო. მათ საყრდენად მანქანის საფეხური იგულისხმებოდა. სახელური იმისთვის ჰქონდა, რომ საფეხურზე მდგომი კაცისთვის ფარი ადვილი დასაჭერი ყოფილიყო. ფარს კოშკურების ცეცხლისგან კაციც უნდა დაეცვა და კაბინაში მსხდომნიც. ამ ფარებს კიდევ ის დანიშნულება ჰქონდა, რომ გადაწვებოდა თუ არა ღობე, საფეხურზე მდგომებს ფარები თხრილზე უნდა გადაედოთ, როგორც მანქანის თვლების გადასასვლელი ბოგირები, რის შემდეგ ბრუსტვერიღა რჩებოდა გადასალახავი. ეს სამღერძიანი მანქანისთვის არცთუ დიდ სიძნელეს წარმოადგენდა. „სტუდებეკერის" მძღოლი იყო გადმოსახლებული გერმანელი, სახელად - ევალდ,[261] ძალიან კარგი კაცი. თუ რამ გვჭირდებოდა გარედან შემოსატანი, უსიტყვოდ გვისრულებდა თხოვნას, მაგრამ საქმე საქმეა და ერთ მშვენიერ დღეს ევალდს მანქანიდან ჩამოსვლა ვთხოვეთ. ესაც მზადყოფნით შეგვისრულა. მივაყენეთ მანქანა იმ ადგილას, სადაც საწვავის კასრი და ფარები გვქონდა მომზადებული. საწვავი ჩავტვირთეთ, ჩავსხედით; საწვავის კასრის გვერდით შუკოვი[262] ჩაიმალა, ლაპკამ და ბორამ ფარები მოიმარჯვეს და ოპერაცია დაიწყო!.. ევალდს

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

უნდა ეყვირა მხოლოდ მას მერე, როცა ღობეს გადავაწვენდით, ან სულაც არ ეყვირა. საჭესთან მე ვიჯექი. ტექნოლოგია-მეთ-ქი, ვთქვი - ვგულისხმობდი იმას, რომ გლეჯით გამქცევთა დიდი უმრავლესობა სწორედ გლეჯას ახორციელებდა, რასაც მანქანა და, უპირველესად, რადიატორი გამოჰყავდა მწყობრიდან. ჩვენ ეს გავითვალისწინეთ. ჩავრთე სამივე ხიდი და ნელი სვლით გავწიე საჭირო ადგილისკენ; ასე ნელი სვლით მივადექი აკრძალული ზონის მარგილს - ადვილად გადაწვა; შემდეგ ასევე ნელი სვლით მივაწექი ძირითად ღობეს; ესაც საკმაოდ ადვილად დაემორჩილა ძალას... პოლიტიკურთა ბანაკებს ერთმანეთისგან ორმოცდაათი მეტრის მანძილზე ედგათ კოშკურები. ჩვენ თითქმის ორ კოშკურას შორის გადავაწვინეთ ღობე. მანქანამ ღობე გადაიარა და თხრილს რომ მიადგა... აქ ერთი საოცარი და ტრაგიკული რამ მოხდა... ლაპკა და გორა გადახტნენ, რომ თხრილზე ფარები გადაედოთ. გორას მხრიდან კოშკურა რომ იყო, იმ გუშაგმა ადგილი მიატოვა, კიბეზე რამდენიმე საფეხური ჩამოიარა, კვლავ აბრუნდა და ცეცხლი მერეღა გახსნა. ლაპკამაც და გორამაც ფარების დადება მოასწრეს. გორამ ეს ოპერაცია, იმის წყალობით, რომ გუშაგმა კიბეზე ჩასეირნება-ამოსეირნება ინება, უფრო ადვილად შეასრულა, ანუ ფარი დასდო, ბრუსტვერი გადაიარა და ჩაწვა. საცოდავმა ლაპკამ ფარის გადადება მოასწრო, ბრუსტვერზე გავიდა კიდეც, მაგრამ სწორედ იქ მიუსწრო მარცხენა კოშკურიდან გახსნილმა ცეცხლმა და ეს ცოცხალი, კეთილი, საოცრად გამბედავი, კარპატებისა თუ დნესტრ-ისპირეთის რომელიღაც მიკარგულ სოფელში დაბადებული ცხრამეტი წლის უკრაინელი ბიჭი უსულოდ დაეცა... გაზს დავაწ-ექი, ბრუსტვერი გადავლახე, ავტომანქანის მარჯვენა კარიდან კლუბნიცკი გადახტა და რატომღაც გადმონგრეული ღობისკენ გაიქცა; ბრუსტვერზე ასულს ცეცხლმა უწია, გადაგორდა, თხრილში ჩავარდა. აქ ფიქრისა და ყოყმანის დრო აღარ იყო - გორა მოხოხდა, კაბინაში სანახევროდ შემოჯდა, უკეთ ვთქვათ, ჰირქვე შემოწვა - უკანალი და ფეხები გარეთ ჰქონდა, როცა მაქსიმალური გაზი მივეცი და ორივე კოშკურიდან ცეცხლით თანხლებული მანქანა გრიგალივით გავარდა. ყარაგანდის ველებზე ცნობილია, საიგაზე მანქანებით ნადირობენ, ბორცვი და ნაჯა

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

საძებნელია. მანქანა მიჰქროდა. უშუალო საშიშროებისგან კა-
რგა შორს ვიყავით, როცა უშაკოვს ვკითხე, - შუკოვი სად არ-
ის-მეთქი? - ის, ვინც კაბინასა და ავზს შორის ბენზინის კასრ-
თან იყო ჩამალული. უშაკოვმა კაბინის ზურგის შუშაში გაიხე-
და, იყურა, მობრუნდა და მითხრა, - რა ვიცი, თითქოს თვალიც
მოვკარი... მგონია, სანამ აკრძალულ ზონას ვგლიჯეთ, მანამ
გადახტაო! კიდევ ვიარეთ; რა დასამალია, გონს ძლივს მოვეგ-
ეთ და ახლა გორამ სთქვა, - ლაპკა მოკლულია, ჩემს გვერდით
ეგდო საცოდავი. კლუბნიცკი შეიძლება, ცოცხალი იყოს, თხრ-
ილში ჩავარდაო. ნეტავი რატომ გადახტა, რა დაემართა-მეთ-
ქი? სიჩუმე იყო. უშაკოვმა ცოტა ხნის მერეღა სთქვა, - ნერვე-
ბი, ნერვებიო!

გაქცევიდან, დაახლოებით, ერთი საათის მერე მანქანა დად-
გა, საწვავი გამოილია. კასრის გადმოღება დავაპირეთ - სადღა
იყო, ტყვიებით დაცხრილული კასრი მიწაზე დახვრეტილივით
გადმოვარდა. მივატოვეთ ევალდის „სტუდებეკერი". ცოტა ხან-
ში დაღამდა. უშაკოვმა ცალკე წასვლა მოინდომა და წავიდა კი-
დეც. მე და გორამ მთელი ღამე სწრაფი ნაბიჯით, თითქმის სირ-
ბილით ვიარეთ. რიჟრაჟი ახლოვდებოდა, ჩაწოლა იყო საჭირო,
დღისით თვითმფრინავით გვიპოვნიდნენ, „პესჩანლაგს" უ-2 ტი-
პის თვითმფრინავი ჰყავდა. კიდევ ცოტა ხანს ვიარეთ. აღმოსა-
ვლეთით ცამ ოდნავ ინათა. სულ რამდენიმე სახლისგან შემდგ-
არი სოფელი თუ დასახლება გამოკრთა. მივუახლოვდით. მაღა-
ლი ბალახი იყო, ჩავწექით... განაპირა სახლიდან ქალი გამოვი-
და, სხვენზე მიდგმულ კიბეზე ავიდა, ერთი იღლია თივა ჩამოი-
ტანა. ბოსელში შევიდა, სახლში შებრუნდა. გორამ წამჩურჩუ-
ლა, - მაგ ქალს დაძინება ვაცალოთ, ეგ სხვენი თივით იქნება სა-
ვსე, შევძვრეთ, გამოვიძინოთ, შეღამდება და გზა განვაგრძო-
თო. დავყევი. თხუთმეტი-ოცი წუთი დავიცადეთ და, თავისთავ-
ად ცხადია, ძალიან ფრთხილად ავიპარეთ სხვენში. სახლი კრა-
მიტით იყო გადახურული. სხვენი, მართლაც, თივით სავსე დაგ-
ვხვდა. შევძვერით თივაში, გვერდიგვერდ მოვეწყეთ და მკვდრ-
ებივით დაგვეძინა... იმდენი განსაცდელი და მერე მთელი ღამე
სირბილი - დაგვეძინებოდა კი არა, ცოცხლები რომ ვიყავით, ის
იყო საკვირველი.

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

გამომეღვიძა, საათზე დავიხედე - ოთხი სრულდებოდა. ისეთი გრძნობა მქონდა, რომ ვიღაცის ყვირილმა გამომაღვიძა. გორას იდაყვი გავკარი - ეღვიძა!.. სწორედ ამ დროს გაისმა:

- ბიჭებო, ვიცით, მანდ რომ ხართ. ჩვენ სამმართველოს ბადრაგი ვართ. გამოდით, გაძლევთ რუსი ოფიცრის სიტყვას, წაგიყვანთ ყარაგანდაში, მეთექვსმეტე ციხეში, და არა ბანაკში. გამოდით, ნუ გეშინიათ!

თივიდან გამოვძვერით. კრამიტი ოდნავ ავწიე, გავიჭვრიტე. სახლის წინ სატვირთო მანქანა იდგა, მერხებზე ჯარისკაცებით. მეორე მხარესაც ავწიეთ კრამიტი... სახლს ალყა ვრტყა, კაკანათში ვიყავით ჩიტებივით გაბმულნი. დავიწყეთ ვითარების ანალიზი და განსჯა... ოფიცერმა იმავე სიტყვებით მოგვმართა. რატომღაც დამახსომდა, რომ პირველად „რუსი ოფიცრის სიტყვასო", - სთქვა. ეხლა „რუსი ოფიცრის პატიოსან სიტყვასო"!.. აბა, როგორ შეიძლებოდა, ამ დამატებას არ ვნდობოდით!..

საკვირველი ის არის, რომ თითი არ დაუკარებიათ, არც გაულანძღივართ. დაგვადეს ხელბორკილები, ჩაგვაბარეს მეთექვსმეტე ციხის მორიგეს და ამით გათავდა ჩვენი ძალისხმევა!..

ვისხედით - ჯერ მეთექვსმეტე, მერე სპასკის ციხეებში. ორიოდე თვე გავიდა. საქმის გამოძიებას შეუდგნენ, გაგვასამართლეს, ოცდახუთი წელი თავიდან მოგვისაჯეს, ანუ სასჯელის ვადის ათვლა ბოლო განაჩენის გამოტანის დღიდან დაიწყო. რაც ნაჯდომი გვქონდა, დაიკარგა. ან რა მნიშვნელობა აქვს, ოცდახუთი წლის პატიმრობას ორი წლით ადრე დაიწყებ თუ ორი წლით გვიან! ეხლა უკვე აქტივში თითოს ორმოცდაათი წელიწადი გვქონდა.

ოცდაოთხი თუ ოცდაექვსი საათი ვიყავით კარში.

ჭკვიანი გამქცევი აყვანის შემდეგ იმავე ბანაკში არ დადგება, რომლიდანაც გაიქცა. მარბენლის დამღა აქვს - არ დადგება. უნდა ყველანაირი ხერხი იხმაროს, რომ როგორმე ფორმულარი შეაცვლევინოს - ფორმულარი, სადაც წითელი ფანქრით სწერია მარბენლობა. შემდეგ შეცვლილი, „სუფთა" ფორმულარით, სხვა ბანაკში უნდა გადააბარგებინოს თავი. გასამართლებისა და განაჩენის მერე, გორა და მე „პესჩანლაგის" მეშვიდე ბანაკში მიგვრეკეს. დღე იყო, პაპანაქება სიცხე. სამუშაო დროა, ბანაკ-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ში თითქმის არავინ არის. ჩამოვსხედით ბარაკის კიბეზე. ოფიცერმა გამოიარა, ორიოდ ნაბიჯით გაგვცდა, შეჩერდა და ძალიან ჯავრიანად გვითხრა:

– Вы что, не знаете... Идет офицер, должны встать и снять шапки!

მე ვკითხე:

– А почему?

– В знак уважения!

გორამ მიუგო:

– Послушайте, если Вы в своем уме, можете сообщить нам, за что мы Вас должны уважать!..

ოფიცერი წავიდა, მაგრამ მოვიდნენ ზედამხედველები და წაგვიყვანეს იზოლატორში... ხუთი დღის შერე გამოგვიშვეს. ეს ოფიცერი გვარად ფადეევი[263] ბრძანდებოდა – აღმრიცხველ-სარეგისტრაციო ნაწილის უფროსი. კარგი კაცი აღმოჩნდა. ამ ეპიზოდის შემდეგ, ერთი თვის თავზე, რაღაცნაირად ვუყელე, საგრძნობ ფულად, ფორმულარები შეგვიცვალა და, კიდევ საგრძნობ ფულად, სხვა ბანაკში ეტაპირებაც მოგვიხერხა.

ბანაკისა რა მოგახსენოთ – ნახევრად ბანაკი უფრო ეთქმოდა. იქ იაპონელი ტყვეები ჰყავდათ. ისინი შინ გაუშვეს. ბანაკი დაიცალა. მოსახლეობამ ისე გაქურდა იქაურობა, რომ ლამის საძირკვლებიც წაიღო. არც ერთი ფანჯარა, არც ერთი კარი; არა – სამზარეულო, არა – ტანსაცმლის საშრობი. ერთი სიტყვით, ყველაფერი თავიდან იყო ასაშენებელ-მოსაწყობი. საჭმელს მშრალად გვირიგებდნენ, წყალი – კაცზე სამი ლიტრი დღეში. შემოდგომა იყო. წვიმიანი ამინდები დაიჭირა და ზედ შუაზიური ცივი ქარებიც დააყოლა. ჩვენ, რა თქმა უნდა, ობიექტზე დავდიოდით სამუშაოდ, ვითარებას ვსწავლობდით, გასაქცევ საშუალებას ვეძებდით... მშენებლობაზე თუ რამ ფიცრები გაჩნდებოდა, ნაწილს შეშად დავხერხავდით, საცხოვრებელ ზონაში მოგვქონდა. ვახტაზე ნახევარზე მეტს გვართმევდნენ: ჯარისკაცებსაც ხომ სჭირდებოდათ სველი ტანსაცმლის გაშრობა და სითბო...

ერთ საღამოს ნარებზე სველი ბუშლატებითა და ბამბის შარვლებით ვწევართ. ბარაკში ქარი თავის ნებაზე დადის, სადღ-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

აც თუნუქის ფურცელი გდია, ზედ ჭერიდან ნაწვიმარი წყლის წვეთები ცვივა, წკაპან-წკაპანი გააქვს. თითო წკაპანი ტვინის რომელიღაც უჯრედს ურტყამს და ისე ძალუმად, რომ გაგიჟება შეიძლება. ერთადერთი, რაც მუშაობდა ამ ბანაკში, რადიო იყო. ჩეკისტები, ქვეყანა დაქცეულიყო, რადიოსა და ბანაკის გაზეთს არ მოგვაკლებდნენ. ვწევართ, გაქცევის ერთ-ერთ ვარიანტს ვამუშავებთ. დისტროფიკებმა ფიცრის ნამტვრევები მოიტანეს; სადაც იატაკი იყო აყრილი, იქ ცეცხლი დაანთეს, ქაშაყის თავები მავთულზე წამოაცვეს. მავთულის ერთი ბოლო ერთს უჭირავს, მეორე ბოლო - მეორეს და ატრიალებენ, სწვავენ. რადიოს ქაქანი გააქვს, უკანასკნელ ცნობებს გადმოსცემენ.

ცნობა: *„В Москве, в Кремле товарищ Сталин дал обед в честь финской правительственной делегации. Прием прошел в непринужденной теплой обстановке!“*

დისტროფიკის[264] რეაქცია:

– Ну, падлы, они там себе натопили уж!.. – ხმამაღლა, ჯავრიანად იყო ნათქვამი.

ბარაკში სიცილი ატყდა, დაძაბული, ნევროზული ვითარება განიტვირთა. მე, რატომღაც, წარმოვიდგინე სტალინი, რომელიც მავთულზე ასხმულ ქაშაყის თავებს ცეცხლზე ატრიალებდა, ხოლო სტუმრები შამპანურს მიირთმევდნენ.

ამ ბანაკიდან გაქცევა შეიძლებოდა, მივმართავდით კიდეც ჩვენს მიერ აღმოჩენილ შესაძლებლობას, მაგრამ ხელი შეგვიშალა ერთი პატარა ბიჭის გენიალურმა გაქცევამ.

სამუშაო მოედანი ტრიალი მინდორი იყო, შურფს ვთხრიდით... სხვები სთხრიდნენ, მე და გორა დროს, ძირითადად, ცეცხლთან ვატარებდით... ჰო, მაგრამ ამას რაზაუსკასის[265] გაქცევასთან არავითარი კავშირი არა აქვს... მოედანი ოთხივ მხრიდან განათიბით იყო შემოფარგლული, ანუ რამდენიმე მეტრის სიგანის გათიბული ზოლით. ამ ზოლის კუთხეებში ავტომატიანი გუშაგები იდგნენ, ზოლებს აკონტროლებდნენ... სადილის დროა, უნდა მოიტანონ და ვჭამოთ. სცრის. ვსხედვართ, ველოდებით. მოვიდა რამდენიმე მსუბუქი ავტომანქანა. ზოგიდან სამოქალაქო პირები გადმოლაგდნენ, ანუ დამკვეთები; ზოგიდან - გულაგის გენერლები და პოლკოვნიკები, ანუ სამუშაოთა შემსრუ-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ლებლები. გადმოიღეს ნახაზები, თათბირი შეჰქნეს. გუშაგებმა პირი დაალეს, გენერლების ლამპასებს დაუწყეს თვალიერება - რიგითისთვის ხუმრობა საქმეა, ობიექტზე გენერლები მობრძანდნენ! რაზაუსკასმა მიიხედ-მოიხედა, დარწმუნდა, რომ გუშაგები სანახაობით იყვნენ გატაცებული, გახოხდა, განათიბი ხოხვით გადაიარა, კარგა მანძილზე ასე იმოძრავა; მერე ადგა და ჩუმად, აუჩქარებლივ წავიდა. წავიდა, თვალს მიეფარა, გენერლები და მათი თანმხლები პირებიც წავიდნენ. სადილი მოიტანეს, ვჭამეთ, გადაგვთვალეს - კაცი აკლია!.. ამის შემდეგ იქ ვიღა გაგვაჩერებდა? გაგვიჩხრიკეს საქმეები და სხვადასხვა ბანაკებში გვიკრეს თავი!..

მიტილენიჩი თავის კაბინეტში იჯდა, მაგიდაზე გადაშლილი სქელი საქაღალდე ედო და ფიქრობდა:

- კარგი, ეს აშნა, აგერ, საქმიდან სჩანს, ტყვეობისთვის იჯდა... რამდენი ხანი - ვნახოთ!.. აჰა, გვიან აუყვანიათ. კარგარეთლის ბანაკებში ყოფნას აშნას ყოფნა ემთხვევა და... „სტეპლაგის“ მეორე განყოფილებაშიც ერთად მსხდარან. გასაგებია! აქედან იცნობენ ერთმანეთს. მერე გორა და ეს აშნა, კაცის გატანისთვის რომ დაიჭირეს, ჩვენთანაც ერთსა და იმავე ბანაკში იყვნენ. კეთილი და პატიოსანი. გამოდის, აშნას მიერ წერილის მოწერა რეალობაა და არა ჭორი თუ ვიღაცის ფანტაზია. ხომ შეიძლება, იმავე წერილში ხსენებულიყო „ოტრადას“ კომენდანტობა?.. შეიძლება და ისიც დასაშვებია, რომ შეფარვით რაიმე ასეთი წერებულიყო, - თუ გაგიჭირდა, იცოდე, აქ ვარ და მზად ვარ, დაგეხმაროო!.. სრულიად შესაძლებელია, მაგრამ რა ისეთი თაფლი სცხია კარგარეთელს, რომ ნაჯდომ-ნაპატიმრალმა აშნამ ხელახლა ჩაიგდოს თავი ხიფათში?!. რატომ და - ერთხელ უკვე ვთქვი, ეგენი სხვა სისხლის ხალხია-მეთქი!.. არა, ისიც ადვილი შესაძლებელია, რომ ეს აშნა კარგარეთლისგან რაიმე მნიშვნელოვანი საქციელით იყოს დავალებული, ვთქვათ, როდისმე და სადმე სიკვდილს გადაარჩინა ან რაიმე ასეთი... ეჰ, რა ვიცი, ყველაფერი შესაძლებელია... მივილოთ ფაქტად, რომ კარგარეთელი აშნასკენ მიემართება, მივა კიდეც მასთან „სულის მოსათქმელად“, ანუ საკვების მარაგის შესავსებად და რამოდე-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ნიმე დღით დასასვენებლადაც!.. ვასიუგანს რომ აჰყვებოდა კა-
რგარეთელი, ესაც ადვილი წარმოსადგენი იყო, კვალის არევას
შეეცადა! ხა, ხა, ხაა! არ იცის, საქმე ვისთან აქვს!.. მაგრამ რა
კარგად დამემალა და არც იმ მინგრეულ ქოხში შევიდა!.. ეშმაკ-
ია, მამაძაღლი! არა, მხოლოდ ეშმაკი როდია, ჭკვიანიც არის.
ობზე ის „ნივა“ რომ იპოვნეს, შიგ ცოცხალმკვდარ ვიღაც ერშ-
ოვითა[266] და იმოდენა სიმდიდრით... იმ ერშოვმა თავიანთი დან-
აშაულის გორასთვის გადაბრალება რომ სცადა! კარგი და, რის
იმედი ჰქონდა კარგარეთელს და არა გორას – გორა, რა, შენი ამ-
ხანაგია?!. ნეტავი, მაგისთანა ამხანაგები მყავდეს... ერთი მაი-
ნც! იმხელა სიმდიდრე მიატოვა და წამოვიდა. ხუმრობ?.. მარ-
ტო ჭკვიანი და ფრთხილი კი არა, პატიოსანიც არის. ის ტუტუ-
ცი არეფიევი, კოლექციონერი... რანაირად მოატყუეს, როგორ
წამოჰყვა ვითომდა ფულის მისაღებად, ჰა?.. ძალით, შეშინებით
იყო წამოყვანილი... იმის გვამს რაღა იპოვნის, ყინულის ქვეშ
წყალმა ვინ იცის, საით წაიღო!.. მოიცა, ეგ რა ჩვენი საქმეა, სი-
სხლის სამართლის სამძებრომ იტეხოს თავი... რა თაფლი სცხ-
იაო, ამბობდი. სანცოვმა რა თაფლი უნახა აშნა-მამაძაღლს,
რატომ არ იშორებს გვერდიდან? ჯერ მძღოლად ჰყავდა იმდენი
წელიწადი, ახლა „ოტრადაში“ ჰყავს. მიტილენიჩ, როგორ არის
ეს საქმე?.. არც ეგ არის ჩვენი თავსატეხი. კარგარეთელი გვაი-
ნტერესებს, სხვა არაფერი... არაფერი, გარდა ისეთი ვითარებე-
ბისა და ფაქტებისა, რაც კარგარეთელ-მიტილენიჩის ურთიერ-
თობას ეხება! სწორია?.. სწორია, მაგრამ, რომ ეხება? ეხება თუ
არ ეხება, ჩვენ გვაინტერესებს ერთი რამ: კარგარეთელმა უნდა
აშნაზე გამოვლით ხაბიბულაევამდე ჩააღწიოს... ვთქვათ, აშნა-
სთან მივიდა, მაგრამ მერე შეიცვალა გეზი, რომ თავგზა ამიბნ-
იოს. აღარ ისარგებლა ხაბიბულას მასპინძლობითა და დახმარ-
ებით, სადმე სოსნოვკამდე გავიდა მაგისტრალზე... მატარებე-
ლში იმ ტანსაცმლითა და წვერ-ულვაშით, ჭუჭყიანი და შემოხ-
ეულ-შემოფლეთილი როგორ ჩაჯდება?.. ჩაჯდეს კიდევაც, თუ
დანამდვილებით არ მეცოდინება, სახელდობრ, სად და როდის
უნდა ჩაჯდეს – წამივიდა და ეგ არის!.. ჰოო, აბაა?!. არა, აშნას-
თან უეჭველად უნდა მივიყვანოთ. ჯერ არა მაქვს გააზრებული,
რატომ უნდა მივიყვანოთ უეჭველად, მაგრამ ინტუიციით ასეა.

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

რაკი ინტუიციით ასეა, ისიც გაცნობიერდება, რატომ არის ასე... უნდა ამას ამდენი ჩხირკედელაობა? მოსდევს ვასიუგანს, მოაწევს სათავეებამდე, გაივლის კიდევ ორას თუ სამას კილომეტრს და მივა იქ, სადაც მდინარე ობის ნაპირზე „ოტრადა“ დგას, ანუ იქ, სადაც აშნა თავის პასუხსაგებ თანამდებობასთან დაკავშირებულ მოვალეობებს ასრულებს. მივა, უეჭველია!.. უნდა შევუწყოთ ხელი, მიტილენიჩ, უნდა დავეხმაროთ რითიმე, რომ უსათუოდ მივიდეს!.. რით დავეხმაროთ?.. ეგ ადვილი გასაკეთებელია: ვასიუგანზევე, ან სათავიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით რომ წამოვა - გავქურდოთ კარგარეთელი, როგორც იტყვიან, დედიშობილა დავტოვოთ! მოშივდება და მივა, სხვა რა გზა ექნება?.. კარგი, მივიყვანეთ აშნასთან, გაძღა, დაისვენა! ჭკვიანია, მამაძაღლი, მიხვდება, მიტილენიჩმა გამიკეთა ეს ოინიო, და „ოტრადიდან“ სხვა სავალს დაადგება... შეიძლება, ასეც მოხდეს, მაგრამ ჩვენ თუ იმდენი მოვახერხეთ, რომ „ოტრადაში“ წესიერად ჩავაცვით და დავახურეთ - სად წაგვივა, თვალთვალი დავუნიშნოთ, მივა სხვაგან და არა სოსნოვკაში - იქაც სადგურია, მატარებელი იქაც ჩერდება და ამხ. მიტილენიჩი იქაც გააკეთებს თავის საქმეს!.. ყველაფერი სწორია, მაგრამ გავწიეთ ხარჯები, შევიძინეთ ტანსაცმელ-ფეხსაცმელი... არაფერს არ შევიძენთ, კარგარეთელი და მე ერთი ტანის ვართ, საკუთარს არ დავინანებ, რამეს გამოვძებნი ჩემი გარდერობიდან და ნაწილს ვიყიდით, რა მოხდა?!. ჰო, გაიმეტე შენი ძონძები, დანარჩენი შეიძინე ხაზინის ხარჯით ან შენი სახსრით. რანაირად გინდა, გადასცე აშნას, - აი, ესენი კარგარეთელს ჩააცვი და დაახურე-მეთქი? აშნა იტყვის, კარგარეთელი ქალაქია თუ სახელმწიფოო - ფილიპოვის ძმამ რომ იკითხა, ისე. არაფერს გამოგართმევს, ლაპარაკი არ უნდა. აშნა შენ კარგარეთელზე ნაკლები ეშმაკი გგონია?.. გამოდის, ეს ხერხი არ ვარგა, არა?.. მეორე ხერხიც ვიცი, მაგრამ, ერთი, რომ ხანგრძლივი მზადებაა საჭირო, და მეორე - ძალიან ზუსტად დასამუშავებელი ოპერაციაა... ამასთან დაკავშირებული ინფორმაციაც გადასახედია და სხვაც ბევრი რამ გასათვალისწინებელი...

სანცოვის ოჯახი მოსკოვში სახლობს, ეს დადგენილია. ცეზარევა სახლობს ხან ომსკში, ხან იქ, სადაც ქალაქის მერად სუფე-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ვს მისი საყვარელი, მაგრამ ცეზარევას ცალკე ბინა აქვს - ოშკ-
ში შვილებს ემსახურება, ქალაქის მერს - სექსუალურად მის სა-
ბრძანებელში და „ოტრადაშიც" არის ხოლმე. თუ მხედველობაში
მივიღებთ, რომ ყველაზე დიდი მამაძაღლი - პოლინა, იგივე ლინა
ცეზარევა, კარგარეთლის საყვარელი იყო და ახლა სანცოვისაა,
რომელიმე ამათგანის საქმეში ჩათრევა ფრიად სასარგებლო იქ-
ნებოდა. რატომ არ შეიძლება, რომ ამ დედაკაცმა რამენაირად გა-
იგოს, - გორა კარგარეთელი „ოტრადაში" აშნას უნდა ესტუმრო-
სო, და, ვთქვათ, ძველი სიყვარულ-მეგობრობის საბაბით მიუტა-
ნოს კარგარეთელს საჭირო ეკიპირება და ყველაფერი, რაც ესაჭ-
იროება?.. მიტილენიჩ, შენ ჩეკისტი კი არა, სათავგადასავლო
რომანების მწერალი უნდა იყო! აბა, სად წახვედი, რაებს ლაპარ-
აკობ?!. რატომ, რატომ? აი, წარმოვიდგინოთ ასეთი რამ: პირვე-
ლი ვარიანტი - დაველაპარაკები, შევაშინებ, დამთანხმდი, თორ-
ემ საქმე ცუდად წაგივა-მეთქი!.. ეგ დედაკაცი ისეთი ოხერია, ვერ
შეაშინებ!.. სანცოვი რომ ჩავრთო საქმეში?.. ხელს დაიბანს - ვინ
ცეზარევა, რომელი კარგარეთელი, რაებს მელაპარაკებითო?!.
მართალია, მაგრამ მისმა ოჯახმა ცეზარევას საყვარლობა რომ
გაიგოს?.. შეუძლებელია, ცოლისთვის ქმრის ამდენი წლის ღალ-
ატი ცნობილი არ იყოს!.. კარგი, რატომ სცხია თაფლი აშნას, რა
აკავშირებს სანცოვს მასთან? მიტილენიჩ, აქ რაღაც არის! როგ-
ორ დავადგინო მათი ურთიერთობის ბუნება? სანცოვი თუ დავიყ-
ოლიე, ცეზარევას ყველაფერს გააკეთებინებს. რაიმე ხომ არ არ-
ის სანცოვსა და აშნას შორის ისეთი, რომ ჯერ მომარაგების სა-
მმართველოს უფროსს და ამჟამად ქალაქის მერს - სანცოვს, სა-
განგებოდ აინტერესებდეს აშნას კეთილდღეობა და მფარველო-
ბა?.. არის ვარიანტი: თანამდებობის პირები მძღოლების მეშვეო-
ბით იღებენ ქრთამს; აშნა ამგვარ საქმეებში ჩახედული კაცია...
არ ვარგა... მაშინ, აი, რა: სანცოვი ხომ არ იყო იმ მანქანის საჭე-
სთან, რომელმაც კაცი გაიტანა და აშნას კი აკისრებინა დანაშა-
ული?.. ეგ შესაძლებელია, მით უმეტეს, თუ პირველ ვარიანტსაც
მივუმატებთ - ქრთამის აღებაში შუამავლობას... ეეე, მიტილენ-
იჩ, მიტილენიჩ, ნუთუ, ვერ გრძნობ, რომ საქმე მანდ გაცილებით
რთულად არის, ვიდრე შენი აბდაუბდაა... მიტილენიჩ, ისიც დას-
ადგენია, ვინ იჯდა იმ მანქანაში, აშნამ რომ კაცი გაიტანა!..

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

გორამ გამოიღვიძა. გზა დაინახა - ალაგ-ალაგ თოვლიანი, მაგრამ გაუძეკავი. დურბინდში ისე ჩანდა, ბოლო მანქანას აქ რამდენიმე თვის წინ უნდა ჩამოევლო - ქარმა იცის, ზოგან ახალ თოვლს გადაჰხვეტს ხოლმე. ეს უკვე თითქმის ვასიუგანის შუაწელი იყო. აქედან სათავემდე ორასამდე კილომეტრი რჩებოდა გასავლელი. გორა მზის ამოსვლას დაელოდა, სექსტანტი მოიმარჯვა, ადგილმდებარეობა გაიგნო, სიარულის გეზი დასახა, გზას გაუდგა.

სათავემდე ორასი კილომეტრი მრჩება, მეტი არა. მერე აშნამდე — კიდევ ორასი, იქიდან ხაბიბულამდე - კიდევ სამასამდე. სულ შვიდასი. ხაბიბულასთან მარტის ნახევარში ან ბოლოს უნდა ვიყო... დავუშვათ, თვრამეტ მარტს. თვრამეტი დღე მარტისა და ოცდარვა დღე თებერვლისა... დღეს რა რიცხვია?.. იანვრის ოცდაოთხია, ანუ შვიდი დღე იანვრის. მივუმატოთ ოცდარვა დღე თებერვლის - ოცდათხუთმეტი! თვრამეტიც მარტისა - სულ ორმოცდაცამეტი დღე-ღამე. მე კი ორმოცი მჭირდება. კარგია!.. რა ვაკეთოთ?.. რამე გავიხსენოთ... მყრალი რაღაცები ვთქვათ... რა ვიცი, თითქოს გუნებაზე იყავი. რამ აგაფორიაქა?.. ცუდი წინათგრძნობა მაქვს, დასწყევლოს ღმერთმა. აი, გონსასეირო ამბები მომაგონდა - შაფრანოვისა[267] ვთქვათ ჯერ, მერე სხვები. ეს ვლადიკავკაზში იყო, პირველი გაქცევის შემდეგ ფეხი რომ მოვიკიდე. მეგობარი მყავდა, კარგა მოზრდილი ქარხნის საამქროს უფროსი. პაშა[268] ერქვა. ხომ შეუძლიათ ადამიანებს, ისე იცხოვრონ, რომ სხვები არ შეაწუხონ?.. პირიქით, ყველასთვის სასიამოვნონი არიან. პაშას რამდენ ადამიანთან ჰქონდა მხოლოდ სამსახურებრივი დამოკიდებულება - მკაცრი, უკომპრომისო, მაინც ყველა პატივს სცემდა... სიკეთე და სამართლიანობა!.. ეგრეა... პაშა და ის შაფრანოვი ერთ აივანზე ცხოვრობდნენ, გვერდიგვერდ, თითო ოთახი ჰქონდათ. შაფრანოვიც მარტოხელა იყო და, რატომღაც, მუდამ ღამის პირველის ნახევარზე ბრუნდებოდა, გარდა შაბათისა, შაბათს — უფრო ადრე. ბრუნდებოდა და პაშას კარს მოკრძალებით მიუკაკუნებდა - აქ მას მოთუხთუხე ჩაიდანი ელოდა. გაუყოფდა ღრიჭოში ადულებულ ჩაიდანს პაშა და ისევ მიხურავდა კარს. ეგ იყო მათი ურთ-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

იერთობა. მე პაშასთან საკმაოდ ხშირად დავდიოდი. ერთ შაბათ საღამოს შაფრანოვი ჩვეულებრივზე ადრე დაბრუნდა. ზაფხული იყო, აივანზე გამავალი კარი ღია გვქონდა. მოვიდა შაფრანოვი, ზღურბლზე დადგა. პაშამ შემოიპატიჟა, – მობრძანდითო. შემოვიდა, დაჯდა, საუბარი გაიბა. ეს ჩვენი ნაცნობობის პირველი დღე იყო. ამის მერე შაფრანოვმა შაბათობით სტუმრობას მოუხშირა და გამიშინაურდა კიდეც. ერთხელ მითხრა, საინტერესო ჩანაწერები მაქვსო. დიდი ცნობისმოყვარეობა არ გამომიჩენია, მაგრამ წავიდა და მოიტანა. ამ კაცს სურვილი ჰქონდა, მის ჩანაწერებს გავცნობოდი. საოცარი გულახდილობაა, არა? მუშამბაში გამოკინძული სქელი რვეული იყო, ნახევარზე მეტად ჩანაწერებით აჭრელებული. გადავშალე, კითხვას შევუდექი. შეიძლება, დარწმუნებით ითქვას, კაცობრიობის მწერლობის ისტორიას სხვა რამ ასეთი არ შეუქმნია! ყველა ჩანაწერი ამგვარი ხასიათისა გახლდათ: ანონიმური წერილი რომ მივწერო მალკოვს, ცოლი ივანოვთან გღალატობს–მეთქი, ან ერთი დასტოვებს სამსახურს, ან მეორე. ისიც შესაძლებელია, რომ შერიგდნენ და მაშინ იქნება მათი ურთიერთობა საინტერესო საყურებელი. ასეთი რამეც იყო: ხმა რომ დავყარო: ბოლოკი არ სჭამოთ, მოწამლულია–მეთქი, გაგლოევი ერთთავად ნიორსა და ბოლოკს რომ მიირთმევს, ნეტავ, რას იზამს? ისიც კარგი იყო: უნდა გავიგო, პერვილის ცოლი, ეკატერინა პავლოვნა, აბაზანაში რა დროს შედის, და, გასაპნული რომ იქნება, მალაკნების სლობოდკაში წყალსადენის მაგისტრალი გადავკეტო!.. მართალია, შაფრანოვი, ასე ვთქვათ, მხოლოდ შესაძლებლობებს იხილავდა, ჩადენით ამგვარი არაფერი ჩაუდენია, მაგრამ სურვილებიც ხომ ერთ რამედ ღირს და ისიც, თუ კიდეც დააპირებდა, საკუთარ სიმხდალეს ვერ სძლევდა. ვკითხე, – რამდენი წელიწადი იქნება, რაც ამ ჩანაწერებს აკეთებთ–მეთქი? სინანულით მითხრა, – თხუთმეტზე მეტია, დრო არ მყოფნის, თორემ გაცილებით უკეთესი ოინების მოფიქრება შეიძლებოდაო!.. წავიდა შაფრანოვი. პაშა ჩემზე მეტად იყო შემცბარი და, როცა შაფრანოვის მიერ განზრახული ცოდვები მოვინელეთ, ასეთი რამ მიამბო:

– ნაცნობი ქალი მყავს, რატომღაც თავის განცდებს მიზიარებს ხოლმე. მერი[269] ჰქვია. თავაშვებულობის გამო ეგ მერი ქმა-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

რმა შინიდან გააძევა. რომელ გაძევებულ ქალს უთქვამს, - ქმა-
რმა გამაგდოო. კეტით ნაგვემი რომ იყოს, მაინც თავისას გაიძ-
ახის, - ძლივს მოვიშორე თავიდანაო! იმ მერიმ სწორედ ამას
მოანდომა მთელი სიცოცხლე და იმის სამტკიცებლად, რომ თა-
ვად მიატოვა ქმარი და არა ქმარმა იგი, ერთობ საინტერესო მე-
თოდს მიაგნო, - დღიურები შეთხზა, ვითომ ყოფილი ქმრისა, სა-
დაც საკუთარი თავი ანგელოზად ჰყავს გამოყვანილი, ხოლო
ყოფილი ქმარი, არა მარტო ნაცოლარზე თავდავიწყებით შეყვ-
არებულ მამაკაცად, არამედ ყოველგვარი სისაძაგლის ჩამდენ
ნაძირალადაც. ზის და უკითხავს თავის ავანჩავანს. მოვიდა
დრო და მერიმ დღიურები არ იკმარა, წერილების თხზვას მიჰყო
ხელი, - მომაბეზრა თავი, ყოველდღე მწერს, თავს იკლავს, შე-
მირიგდიო!.. პაშას ეგ ნაამბობი იმიტომ დამახსომდა, რომ თბი-
ლისში, ინდუსტრიული ინსტიტუტის სტუდენტობისას, ერთ
კაცს „მძღ...ჭამიას" ეძახდნენ, ზურგს უკან, რა თქმა უნდა... მა-
ჩვენეს კიდეც, აგერ, ის არისო. პაშას ნაამბობისა და ამ მეტსა-
ხელის მატარებელი კაცის ხვედრიდან ის დასკვნა გამოვიტანე,
რომ დღიურმა, როგორც ლიტერატურის ერთ-ერთმა ჟანრმა,
ჩვენს დროში სრულიად ახალი გამოყენება ჰპოვა... მძღ...ჭამი-
ას შემთხვევაში დღიურმა საბედისწერო როლი შეასრულა! რა
ჰქნა იმ იდიოტმა, არა?!. ქალი რას არ ჩაგადენინებს... აბეზარი
და ერთობ თავისუფალი საქციელის ცოლი ჰყავდა, საცოდავს...
სულელი უფრო ეთქმის... როგორ დღიურებს სწერდა! გუშინ
თუ დღეს ქმარს ვისთან უღალატა; როგორ და რა პოზაში ჩაიდ-
ინა ეს; როგორი მამაკაცი აღმოჩნდა; როდის უნდა შეხვდეს კვ-
ლავ და სხვა ასეთები. ისე სჩანს, სასტიკად სძულდა ქმარი. არ-
იან, ერთმანეთი სძულთ და რაღაც მიზეზების გამო მაინც ერთ-
ად ცხოვრობენ. ქმარმა, როგორღაც იყო, ცოლის დღიურები იპ-
ოვნა, ჩაათვალიერა და ლამის დასაბმელი შეიქნა; მარტო იმიტ-
ომ კი არა, რომ ცოლის მხრივ მრავალგზისი და გამუდმებული
ღალატის საბუთიერი დადასტურება ნახა. არა. უპირველეს ყო-
ვლისა, იმიტომ, რომ რამდენიმე ასეთი ჩანაწერიც იყო: გუშინ
ჩემს საყვარელ მეუღლეს ისევ ვაჭამე ჩემი განავალი. ლობიოში
შევურიე.. ვერაფერს მიხვდაო! ქმარმა განქორწინების საქმე
აღძრა. პროცესზე მოსამართლემ ჰკითხა, - რატომ ეყრებიო?

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მომჩივანმა მაგიდაზე ცოლის დღიურები დაუდო. ჯერ ცოლი ნახე და მერე ქმარი!.. წადი და ხელმეორედ დაბრუნდი ასეთ საზოგადოებაში - ჩიტი ბდღვნად თუ ღირს?!. ერთი, რომ იმ საზოგადოებაში დაბრუნება, საქმე როგორც გინდა მოტრიალდეს - არ გიწერია!.. შენში რაღაც გარდატეხა მოხდა, უიმედობამ, განხიბლვამ დაგრია ხელი. ამ ბოლო ხანებში გამოქცევის უაზრობას უმტკიცებ საკუთარ თავს. საზოგადოებაში დასაბრუნებლად გამოიქეცი? რანაირად დაბრუნდები? რა ხდება? რამ დასცა სული, ჯანმრთელობის გაუარესებამ და დაღლილობამ? ამ კითხვებს პასუხი სჭირდება და დაუყოვნებლადაც. ან გზები უნდა გამოინახოს, რომ მხნეობა დაგიბრუნდეს და დანებების, ნებაყოფლობით ჩაბარების საუკეთესო ვარიანტი შეირჩეს... კარგი, ჰო! ჩემთვის რაღაცას ვლაყბობ, რომელ დაბრუნებაზე, რა დაბრუნებაზეა ლაპარაკი?!. აი, ეხლა რადჩუკს[270] გავიხსენებ და მთლად გადაირევი. ლენაზე, ოსეტროვოში, „ოზიორლაგის“ ლაზარეთი იყო - დიდი, ათას ორასსაწოლიანი. სხვადასხვა განყოფილებებით. კოლიმაზე შეძენილი კავერნული ტუბერკულოზით მიმიყვანეს. ამ სნეულებისავე წყალობით მოვხვდი კოლიმიდან აღმოსავლეთ ციმბირში, თორემ შეიძლება, იქვე დავეფალით. პნევმატორაქსი გამიკეთეს, ვმკურნალობდი, უსაქმოდ დავყიალობდი. მომბეზრდა, მუშაობა ვარჩიე, რენტგენტექნიკოსად დავდექი. ერთ მოზრდილ ძელურში იყო მოთავსებული რენტგენკაბინეტი, ლაბორატორია და სტომატოლოგიური განყოფილება. იქაურობის უსტაბაში მედსამსახურის კაპიტანი სოვინოვი იყო, თბილისელი რუსი, ქართულად მშვენივრად ლარაპაკობდა. აპარატურას დიდი ოთახი ეკავა. იქვე იყო ჩემი საბრძანებელიც - გრაფიების გასამჟღავნებელი სორო. ლაბორატორიაში ორი ქალი მუშაობდა - ოფიცრების ცოლები. ასეთივე ქალი კბილებს მკურნალობდა და ჩემნაირსავე სოროში მუშაობდა კბილის ტექნიკოსი - პატიმარი საშა ქურდაძე. გვყავდა დამლაგებელიც - ოკუპირებული უკრაინის რომელიღაც მივარდნილ სოფელში გერმანელების მიერ მამასახლისად დანიშნული რადჩუკი - სამოცს გადაცილებული, დინჯი გლეხი. პატიმრები სამნი ვიყავით, თავისუფალი მოსამსახურეები - ოთხნი. ეგ არის. სიმართლე უნდა ითქვას, წესიერი ადამიანები იყვნენ, ლმობიერად

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თანაგრძნობით გვეპყრობოდნენ და, შეძლებისდაგვარად, გვეხმარებოდნენ კიდეც: ნებადართული ყოველწლიური ორი წერილის გარდა, არაოფიციალური გზებით მესამის თუ მეათის გაგზავნაში, გარედან რაიმე პროდუქტების შემოტანაში და სხვა ათას რამეშიც.

ერთ დღეს, მიღების დამთავრების შემდეგ, სოვინოვმა გვითხრა, - გარეთ ძროხა დაჰკლეს, ხორცი იყიდება და, თუ გინდათ, შემოგიტანთო. რადჩუკმა ფული მისცა, - ჯიგარი თუ იყოს, ორი კილოგრამი შემომიტანეო. სოვინოვმა, - ასე, პირველი საათისთვის შემოვალ, მოვიტან და, აგერ, იქ შემოვდებო, - კარის თავზე თაროსავით რამ იყო, იმაზე მიუთითა.

დავიშალეთ, ამბულატორიაში მარტო საშა ქურდაძე დარჩა. ყოველივე ამას დაემთხვა, რომ პათანატომს - პატიმარი იყო, გვარად იანდა - გვამი გაეკვეთა, ქაღალდში გახვეული პრეპარატი შემოიტანა, საშა ქურდაძეს უთხრა, - ეს პრეპარატია, აგერ აქ ჩამოვდებ, პირველ საათზე სოვინოვი შემოვა, ექსპერტიზაზე უნდა წაიღოსო. კარის თავზე ჩამოდო და წავიდა. პირველი საათი გახდა, საშა სასადილოდ წავიდა. რადჩუკი შემოვიდა, კარის თავზე შემოდებული რაღაც ნახა, გახსნა - ჯიგარია. ისევ გაახვია და წაიღო. წაიღო და ამხანაგი ჰყავდა, ისიც ნამამასახლისარი, პაციუკი გვარად. ჩახრაკეს ბლომა ხახვში ის ღვიძლი და მიირთვეს ლამაზათა. სოვინოვი შემოვიდა, პრეპარატი მოიკითხა. ატყდა ძებნა და გამოძიება. რა თქმა უნდა, ყველაფერი დადგინდა. სხვებზე მეტად პათანატომი ნერვიულობდა, ისე გაცხარდა, რომ რადჩუკს პალატაში მიეჭრა, - პრეპარატი რატომ შემიჭამეო, - კინაღამ გალახა. საცოდავ რადჩუკს პირისღებინება აუტყდა. პატიმარი ექიმი რუდოვსი რომ არა, საიქიო განაღდებული ჰქონდა. პაციუკმა ერთი კი სთქვა, - *Бреешуть*, და ქვაბში ცოტა კიდევ რომ იყო ჩარჩენილი, ისიც მიირთვა... სოკო?!. გახსოვს ის სოკოები კარჭაპში, ენისეიზე?... კაცო, ისევ საზიზღრობები გაგონდება, მოეშვი მაგაებზე ფიქრს... თავად მოდიან საზიზღრობები. მართალი ხარ, სულიერი განწყობილება მაქვს ისეთი, რომ საზიზღრობების მეტი არაფერი მაგონდება. არა, ჩემი საბანაკო ბიოგრაფიის ის მონაკვეთი, მართლაც, საკვირველებებით იყო სავსე. ნორილსკის აჯანყების დროს ექვსი ათა-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

სი ქალის ერთდროული კივილი როგორი მოსასმენი იყო!.. წით-
ელწყაროში ქალები ვირებს რომ აცილებდნენ?.. ჰო, კარჭაპში
სოკოებიანი კასრები? კარჭაპს „პუტორანა“ ერქვა... არა, „ფატ-
იანიხა“... კი. იქ მთის მასივია, პუტორანა ჰქვია და კარჭაპს და-
არქვეს. „ფატიანიხა“ რას ნიშნავს, ვერაფერი დასკვნა ვერ გამ-
ოვიტანეთ. ის კარჭაპები გულაგის საკუთრება იყო, ენისეით
ტაიმირის ნახევარკუნძულზე და უკან ეტაპებს დაასეირნებდნ-
ენ. ოთხტრიუმიანი ხის კარჭაპები იყო, ყოველ ტრიუმში შვიდ-
ას ორმოცდაათი პატიმრისთვის მოწყობილი ოთხსართულიანი
ნარები იდგა. ოთხი ათას ხუთასი კაცი მოვყავდით. როგორი ჭე-
დვა იქნებოდა?! ტრიუმს კარჭაპის ბაქნის დონეზე დიდი გისოსი
ეხურა – ოთხი მეტრი ოთხ მეტრზე. იქ გუშაგი იჯდა, თვალს არ
გვაშორებდა. ორი რამ იყო საკვირველი. ერთი ისა, რომ გუშაგს
ჩვენზე მობჯენილი მზერა პრაქტიკულად არაფერს აძლევდა,
რადგან იგი ტრიუმის მხოლოდ მცირე ნაწილს ხედავდა და სიღ-
რმეში რა ხდებოდა, ამისი არაფერი იცოდა. რისთვისღა მოგვც-
იებოდა თავისი ბინდით მოცული თვალებით?.. წესდებით გათვ-
ალისწინებულ მოვალეობას ასრულებდა – რასაც და რამდენს-
აც ხედავ, უთვალთვალე! აგერ, ცოცხალი სამშობლოს მოღალ-
ატეები. რამდენი მტერი გვყოლია ჩვენ, საბჭოთა ადამიანებს!..
ალბათ, ალბათ. მეორე საკვირველება ის იყო, რა გაძლება ჰქო-
ნდათ, მამაცხონებულებს! ამოდენა ხალხის ანაორთქლი და სი-
მყრალე გუშაგს შიგ ცხვირში სცემდა და ვითომ არაფერი!.. წე-
კოს კვამლი რა სახსენებელია – ათას ორასი კაცის ამონასუნთ-
ქი, ამონაოფლი, გამონაბოლქვი და მთავარი – პარაშების ოხში-
ვარი! ეს ვეება კასრები პირდაპირ მის წინ, სულ რაღაც ხუთიო-
დე მეტრის სიღრმეში იდგა. დასწყევლოს ღმერთმა! ვერ ვიტყ-
ვი, ვინ უფრო საცოდავი იყო – ჩვენ თუ ვოლოგდისა და პერმის
ოლქიდან წამოყვანილი ის პატარა, თვრამეტიოდე წლის ბიჭე-
ბი. რას არ უძლებს ძეხორციელი!.. კიდევ ერთი რამ: იმ კასრე-
ბს დღისით მზე სწვდებოდა, მშვენივრად იყო განათებული და
როცა ზედ წამოსკუპდებოდა ვინმე, უმთავრესად კი სამი, ოთხი
კაცი ერთდროულად, გუშაგი ისეთი რუდუნებითა და მოლოდი-
ნით ჩამოჰყურებდა ხოლმე, ვითომ, აი, ეხლა, რომელიმეს უკა-
ნალიდან სამოთხის ჩიტი უნდა გამოჰფრენოდა... ჰო, კარგი. ეს

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

უკვე ცინიზმია, ზღვარს ნუ დავარღვევთ, ამ მისტერიის ყოველი მოქმედი პირი საბრალოა და არა გასაკილავი... კი. ტრიუმის ფსკერიდან გისოსამდე კაი განიერი კიბე ადიოდა - გარესამყაროსთან კავშირის ერთადერთი საშუალება, კიბე ჩვენი არსობისა. ამ კიბით ჩამოჰქონდათ ბალანდა, პური და წყალი. ამავე კიბით აჰქონდათ პირთამდე სავსე პარაშები - სწორედ პირთამდე, რადგან სანამ ყველა არ გაივსებოდა, ბადრაგი გისოსს არ ახსნიდა. აჰქონდათ მიცვალებულთა გვამები და იზოლატორში მოსათავსებლად აჰყავდათ მომაკვდავები, თუ ცოცხალს მიუსწრებდნენ. ყოველივე ამას ასრულებდა მცირესასჯელიანი პატიმრების ბრიგადა, უმთავრესად, ქათმის ქურდები, საქარხნო-საფაბრიკო სასწავლებლებიდან გაქცეული ბიჭები და სხვა ნაკლებმნიშვნელოვანი დანაშაულისთვის მსჯავრდებულები, ვის „გამოსწორებასაც“ ლამობდა გულაგი. მოხდა ისე, რომ სამი თუ ოთხი დღის მანძილზე საკვებსა და წყალს სამხედროები გვაწვდიდნენ, მომსახურე ბრიგადის პატიმარი ერთიც არსად გაჭაჭანებულა და პარაშებიც არავის გაუტანია. ერთმა კარცერიდან დაბრუნებულმა პატიმარმა ამბავი მოიტანა, - იმ ბიჭებმა ნაპირზე ერთ-ერთი მიდგომისას როგორღაც არაყი ჩაიგდეს ხელში, გაილეშნენ და ყველანი კარცერში ჰყავთ დამწყვდეულიო. კეთილი და პატიოსანი, მაგრამ შვიდივე პარაშა რომ პირთამდე აივსო და გაჭირვებულები ვერსად ჩამომსხდარიყვნენ? ტრიუმის მამასახლისმა უფროსებს რამდენიმეჯერ შეახსენა, - ზომები მიიღეთო, მაგრამ ამას არავითარი შთაბეჭდილება არ მოუხდენია. ამაობაში პარაშებმა გაფუება იწყეს, ფეკალს ქვევიდან გაზები მოაწვა, კასრებმა თავებზე ვეებერთელა სოკოები მოიბეს. ქართლოს ახვლედიანი[271] და მე ტრიუმის სიღრმეში ქვედა ნარზე ვიწექით. მითხრა, აქედან ავიბარგოთ, ტრიუმის ბოლოში მესამე ნარზე ავიდეთ, ეს პარაშები რომ აფეთქდება, სეირს იქიდან ვუყურეთო. მე ეჭვი გამოვთქვი, - აქამდე ვერ მოგვწვდებამეთქი. თავისაზე დადგა, ცნობილი ბიოქიმიკოსი იყო, დამიყოლია. წავიღეთ, თუკი რამ გვებადა, მესამე სართულზე ჩამოვსხედით, იმ გუშაგივით დავუწყეთ ლოდინი კარზე მომდგარ კატაკლიზმს. ხუთიოდ წუთის შემდეგ ისეთი ბაგაბუგი ატყდა - მოზდოკის მისადგომები მომაგონდა. ერთიმეორეზე აფეთქდა სოკ-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ოები! როგორც ავტომანქანის შუბლის მინა ან ყუმბარა დაიშალოს და გაიფრქვეს, სწორედ ისე მოხდა ყოველივე. ვოლოგდელ თუ პერმელ ბიჭს საგუშაგოს მიტოვება სამშობლოს ღალატად ჩაეთვლებოდა, ფეხი არ მოუცვლია, იქვე იჯდა და გმირულად იტანდა ყველაფერს!.. კაცო, რა არის, ეს რამდენ საზიზღრობას მოჰყევი! თუკი რამ ადამიანის საგინებელი იცოდი, როგორ ერთბაშად გადმოანთხიე, რა გემართება?!. მართლაც, რა მემართება ნეტავი? თითქოს მგინებლობასა და უხამსობაში მხილებული არასოდეს ვყოფილვარ, არც თავად მე შემიმჩნევია საკუთარი თავისთვის ასეთი მიდრეკილება. რა უნდა იყოს? ეს სახუმარო საქმე არ არის, უნდა გავჩხიბო, ფსიქიკაში რაიმე გარდატეხა ხომ არ მოხდა? საით მივყავარ ამ მოგონებას? ბოლო ერთი კვირის მანძილზე ეს განწყობილებები მაქვს. ამას ქვეცნობიერება სჩადის. რა უნდა, რას მკარნახობს, როგორი გადაწყვეტილებისა თუ საქციელისათვის მამზადებს?.. ფრთხილად, გორავ, გონება, გონება, უპირველესად ყოვლისა!.. ეგრე იყოს, მაგრამ კრუგლოვისა[272] და ფირიას[273] ურთიერთობებისა მათქმევინე და სამ დღეს, საერთოდ, აღარაფერს გავიხსენებ. შევთანხმდით?.. კარგი, კარგი!.. მაშინ სპასკის ციხის უფროსად ვინმე კაპიტანი კრუგლოვი ბრძანდებოდა, ჩამოყალიბებული, თეთრთვალება ჯალათი! ერთ-ერთ საკანში იჯდა ბატონი ფირია. ეს კაცი, სამხრეთ აზერბაიჯანს ომის დროს სტალინმა დამოუკიდებლობა რომ გამოაცხადებინა, იმ მთავრობაში განათლების მინისტრად იყო. დამთავრდა ომი, მთავრობა საბჭოთა კავშირში გამოიქცა. აქ, ცნობილია, თავისი საქმე იცოდნენ და ფირიამ, დანარჩენ მინისტრებთან და მესვეურებთან ერთად, ბანაკებში ამოჰყო თავი. ნამინისტრალი ფირია სპასკის ციხეში რაღაც საბანაკო დანაშაულისთვის ჰყავდათ. ერთ დღეს ფირია ტუალეტში გამოიყვანეს. მოდის, პარაშა მოაქვს. დაინახა, კრუგლოვი ზურგით დგას. მიუახლოვდა და განათლების მინისტრმა ის პარაშა კაპიტან კრუგლოვს თავზე წამოამხო! ასეთი ხუმრობები კრუგლოვს არ სიამოვნებდა და, ფირიას რა დღეც დაადგა, ადვილი წარმოსადგენია. ამის შემდეგ კაპიტანი, როცა პატიმარს პარაშა მოჰქონდა, ზურგით აღარასოდეს გაჩერებულა და აღარც ის დაუტრაბახია, – ერთი კრუგლოვი მოსკოვშია, მეორე მე ვარო! იმდროინ-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ელ შინაგან საქმეთა მინისტრს გულისხმობდა!.. მოდი, ვორობუშკინ-უდოდოვის[274] დუეტი გავიხსენოთ. სპასკის ციხიდან მეოთხე განყოფილებაში რომ გადამიყვანეს, მაშინდელი ამბები... არც სამუშაოზე მიშვებდნენ და, თუ მეტეოსამსახური რადიოთი ბურანს იწინასწარმეტყველებდა, კარცერში მივყავდი. იმ განყოფილებაში იჯდა ვინმე სიმორ გოლფანდი,[275] რომლის წყალობითა და, ჩემი უშუალო მონაწილეობითაც, კვლავ სპასკის ციხეში ამოვყავი თავი, მაგრამ ჯერ სიმორისა და პოლკოვნიკ ვორობუშკინის ურთიერთობაზე ვიტყვი. სიმორის მშობლები ათას ცხრაას ოცდასამ წელს დაბრუნდნენ შეერთებული შტატებიდან თბილისში და ერთ-ორ წელიწადში ბიჭი გააჩინეს - სიმორი. იგი უკვე მედიცინის ინსტიტუტში სწავლობდა, როცა დაიჭირეს და ათი წელი მისცეს - არ ვიცი, კოდექსის რომელი მუხლით. ამერიკელობდა, მიუხედავად იმისა, რომ თბილისში იყო დაბადებული და საბჭოთა კავშირის მოქალაქე ბრძანდებოდა. შინიდან მიკროსკოპი გამოიწერა იმ დაპირებით, რომ ბანაკის საავადმყოფოს ლაბორატორიაში თავისივე მიკროსკოპით მიკრობიოლოგად იმუშავებდა, ანუ სამუშაო ობიექტებზე წერაქვის ქნევას დააღწევდა თავს. მიკროსკოპი მიიღო, დაპირება არავინ შეუსრულა. ხელსაწყო შემნახველ საკანში იდო, გოლფანდი კვლავინდებურად გაყინულ მიწას ებრძოდა. ჩვენი განყოფილების ოპერრწმუნებულად პოლკოვნიკი ვორობუშკინი იყო. არმიამ თავისი უკვე დაბერებულ-გამოთაყვანებული ოფიცრებისთვის, გულაგთან შეთანხმებით, გონებამახვილი ხერხი შეიმუშავა: გადაიყვანდნენ ასეთ ოფიცერს გულაგის სისტემაში და ჰყავდათ იქ, სანამ სამსახურის ოცდახუთი წელი შეუსრულდებოდა. მერე მისცემდნენ შემდგომ ჩინს *„За безупречную службу“* - ვორობუშკინის შემთხვევაში - გენერლობას, ამასთან დაკავშირებულ სათანადო ხელფასს, გაუფორმებდნენ გენერლის პენსიას და მიდიოდა კაცი თავისი დანაზოგითა და პენსიით შედარებით თბილ სარტყელში საცხოვრებლად სიცოცხლის ბოლომდე...

ვორობუშკინი იმითაც იყო ორიგინალური, რომ სიმორს კვირაში ერთხელ თავის კაბინეტში იბარებდა და ერთსა და იმავეს ეკითხებოდა:

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

- გამოტყდით, რა მიზნით, რა დავალებით გამოგგზავნეთ შეერთებული შტატების ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ საბჭოთა კავშირში? - ამ შეკითხვას ჩაიწერდა და პასუხს ელოდა.

პასუხი ყოველთვის ერთნაირი იყო:

- საქართველოში დავიბადე. ჩემი მშობლები რომ საბჭოთა მოქალაქეები გახდნენ, დაბადებული არ ვიყავი. მამა გარდამეცვალა, დედა ცოცხალია. როგორ გგონიათ, ჯერ გაუჩენელი არსების გადაბირების ტექნოლოგია ამერიკელებს დამუშავებული აქვთ?..

ეს პასუხიც დიდი რუდუნებით შეჰქონდა პოლკოვნიკ ვორობუშკინს დაკითხვის ოქმში, სიმორს ეუბნებოდა, - თავისუფალი ხართ, წაბრძანდითო, და ერთი კვირის შემდეგ იგივე მეორდებოდა.

სიმორს სხვადასხვა ოფიცრებმა რამდენიმეჯერ შესთავაზეს, - მიკროსკოპი მოგვყიდეო! არ გაყიდა. ვურჩიე, ან აჩუქე რომელიმეს, ან როგორმე ისევ შინ გააგზავნე-მეთქი. შინ გაგზავნის შესაძლებლობა არ იყო და არც საჩუქრად ემეტებოდა. რას არ უშვრებოდნენ უბედურს, როგორ არ ჩაგრავდნენ; სიმორი ყველანაირ სასჯელსა და შევიწროებას იტანდა იქამდე, სანამ მიკროსკოპის მსურველ ოფიცრებს ერთმანეთში უსიამოვნება მოუვიდოდათ. აი, მაშინ კი დართეს ნება, - ჩამოვიდეს დედაშენი და წაიღოსო. საქმე გადაწყდა პრინციპით - არც შენ, არც მე. ჩამოვიდა საცოდავი ბებრუცუნა, აჩვენეს შვილი, წაიღო მიკროსკოპი, მაგრამ რომელიღაც ოფიცერთაგანმა სხვებს აჯობა - მოაპარეინა. სიმორის დედა თბილისში ხელცარიელი დაბრუნდა.

ვორობუშკინი კიდევ ერთ პატიმარს ჩააცივდა. რანაირად არ აწვალა, მაგრამ აქ საქმე უფრო იოლად გადაწყდა. ეს პატიმარი წითელი ჯვრისგან იღებდა ამანათებს, უცხო ქვეყნის მოქალაქე იყო. ყუთები, წესისამებრ, წითელი ფერის ტარსიკონის შემცველლით იყო შეფუთული. ჩეკისტებს ნამდვილი ტარსიკონი ეგონათ. იმდენი აწვალეს საცოდავი უცხოელი, სანამ მიხვდებოდა, საქმე როგორც იყო. უკეთ ვთქვათ, სანამ ეტყოდნენ, - ეგ ტარსიკონი მოგვეციო. ცხადია, მისცა. თითო ოფიცერს - თითო. შეაკერინეს ბანაკის სახარაზოში ოფიცრებმა თავიანთი ცოლებისთვის ამ „ტარსიკონის" ჩექმები. პირველივე წვიმიანი ამინ-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ლის შემდეგ ყველას ფეხიდან დასცვივდა მონაპოვარი... შენ რა გაგიკეთა ვორობუშკინმა, ისა სთქვი... ჰო, მართლა. ეს უკვე სხვა ბანაკში მოხდა, რეაბილიტაციების დაწყებამდე, მაგრამ მაშინ, როცა იაპონელი მეთევზეები გაათავისუფლეს. ვორობუშკინი ამ ბანაკის ოპერრწმუნებულად მომეცლინა, რადგან ეს ბანაკიც მის განყოფილებას ექვემდებარებოდა. ეხლა, რომელ იაპონელ მეთევზეებზეა ლაპარაკი. მეორე მსოფლიო ომში იაპონიას, კაპიტულაციის შემდეგ, საბჭოთა კავშირმა საზღვაო სივრცეები წაართვა. იაპონელები რომ თევზის მრეწველი ხალხია, ქვეყანამ იცის, მიწასაც კი თევზით ანოყიერებენ - უხარისხო თევზით, ცხადია. ისიც ცნობილია, რომ იაპონელთა თევზმჭერი ფლოტი ერთ-ერთი უდიდესია მსოფლიოში და მოპოვებითაც, პირველზე თუ არა, ერთ-ერთ პირველ ადგილზეა დღესაც... ჩამოართვეს სათევზაო სივრცეები და ზოგიერთმა კომპანიამ ბრაკონიერობას მიჰყო ხელი. ღამღამობით ჩამორთმეულ წყლებში გადმოიპარებოდნენ, დაიჭერდნენ თევზს და ბრუნდებოდნენ. ეგ არის, ყველა ვერ ბრუნდებოდა, საბჭოთა საზღვაო-სასაზღვრო ძალები დანაშაულზე იჭერდნენ. ამას მოსდევდა ის, რომ სეინერის კაპიტანს, შტურმანს თუ ბოცმანს და კიდევ ერთ ან ორ მეთევზეს რუსები აპატიმრებდნენ. სეინერს კონფისკაციას უკეთებდნენ, დანარჩენი პირადი შემადგენლობა ვლადივოსტოკში ჩაჰყავდათ, იაპონიის საკონსულოს აბარებდნენ, ხოლო დაპატიმრებულები ბანაკებში მიჰყავდათ. ბევრს არა, ორ, სამ წელიწადს უსჯიდნენ. აღსანიშნავია, რომ მათი კონტინგენტი არამცთუ არ მცირდებოდა, არამედ ახალ-ახალი მეთევზეების მოლალვით იზრდებოდა. მაშინ საამქროს უფროსად ვიყავი, სამასი იაპონელი მყავდა. რა მუშები იყვნენ, როგორი შემსრულებლები და მუყაითები - არაფერს ვიტყვი, მთელი კაცობრიობისთვის არის ცნობილი. ერთ მშვენიერ დღეს, ხრუშჩოვმა მათი ამნისტია ბრძანა. იაპონელების შინ გაშვება სახლმშენებელი კომბინატის გაჩერებას ნიშნავდა, რადგან ჩვენი საამქრო იყო ყველაფრის თავი და თავი - გამომჭრელი საამქრო!.. ვის უნდა ემუშავა, რუსეთის უნივერსიტეტებიდან მორეკილ „სტილიაგებს"?.. ჯგუფური გათავისუფლებისას ბანაკებში წესი იყო: დააყენებდნენ „ორკესტრს", რომელიც უმთავრესად, სამი, მეტი-მეტი, ოთხი

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მუსიკოსისგან შესდგებოდა - საყვირი, დოლი, კლარნეტი და კიდევ რამე. გამოვიდოდა სიტყვით ბანაკის კულტურულ-აღმზ. რდელობითი ნაწილის უფროსი და რომელიმე აქტივისტი... „ორკესტრი“ ჭყვიტინებს, დგანან გახარებული იაპონელები, სამასი კაცი, და ელიან, როდის მორჩება ეს კომედია. მეც იქა ვარ. კიდევ ვიღაცამ ილაპარაკა. ვორობუშკინმა თითით მიმიხ. მო, - რაიმე სთქვი, შენი მუშები იყვნენო. ყოველ მათგანთან სა. თითაოდ ვიყავი გამომშვიდობებული. მივუგე, - სიტყვას არ ვი. ტყვი, მაგრამ ნისიძიმა-სანს ვთხოვ, გადაუთარგმნოს, რასაც ვეტყვი-მეთქი. დამთანხმდა. ნისიძიმა-სანი გენერალი გახლდ. ათ, სამხედრო დამნაშავეობისთვის იჯდა, ხრუშჩოვის ამნისტ. ია არ ეხებოდა. იქვე იდგა და ვთხოვე, ეთარგმნა:

– Счастлив Император, у которого такие подданные, как Вы!

ნისიძიმა-სანმა უთარგმნა. იაპონელებმა შინისკენ გასწიეს. მე კარცერში წამიყვანეს - *„Трое суток с выводоми на работу.“* სამი ღამე კარცერში მეძინა, დღისით საამქროში ვი. ყავი. გავიდა ხანი. ვორობუშკინს ვკითხე:

– Гражданин начальник, за что Вы меня посадили?

– А что, наши рабочие хуже японских! – დაუყოვნებ. ლივ, შეკითხვითვე მომმართა.

აღარაფერი მითქვამს.

ახლა იმ საქმეს მივუბრუნდეთ, სპასკის ციხეში კვლავ რომ ამოვყავი თავი და ერთობ დიდი ხნითაც.

ვინმე კლიამი[278] იყო, ავსტრიელ გენერლად ასაღებდა თავს. ბანდერელებმა ეჭვი მიიტანეს, - ჯაშუშიაო, და დილაადრიან თავში რაღაც ჩასცხეს. მსგავს შემთხვევაში ბატონი ლეიტენა. ნტი უდოდოვი - განყოფილების უფროსი, პირადად იძახებდა ყველას, ვინც, მისი აზრით, ასეთი ან ამგვარი დანაშაულის ჩამ. დენი იყო. მათ შორის მგულისხმობდა მეც, მიუხედავად იმისა, რომ ძალადობაში მხილებული, ჩემი საკმაოდ ხანგრძლივი და არაერთგზისი პატიმრობის მანძილზე, არ ვყოფილვარ. დღესაც ისე მგონია, იმისთვის დამიძახა, რომ რამდენიმე დღით კარცე. რში ჩავესვი - მეტეოცნობა ბურანს ვარაუდობდა, თორემ ისიც კარგად იცოდა, საკუთარი თვალით მენახა კლიამზე თავდასხმა,

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ვერაფერს წამომაცდენინებდა. ერთი სიტყვით, დამადგნენ თავზე ზედამხედველები, ჯერ კიდევ ლოგინში მწოლარეს, - უნდა წამოგვყვეო! ვუთხარი, - წადით, ჩავიცვამ და მოვალ-მეთქი. ალბათ, მარბენლობის გამო, ნომერ პირველ ბანდიტად მთვლიდნენ ბატონი უდოდოვიც, ზედამხედველებიც, მაგრამ ჩემზე ძალადობას ვერ ბედავდნენ იმ შემთხვევის შემდეგ, როცა ბურანის გამო საჯარიმო ბარაკში ერთ-ერთი ჯდომისას ეზოში ოთხ ზედამხედველს ყასიდად პარაშის კეტით[277] ვდიე - ძლივს გამასწრეს... ასე იყო თუ ისე, ჩავიცვი, დავნაყრდი, მოვიმარაგე წეკო, ასანთის ყუა, ღერები, რა თქმა უნდა, ისე, რომ ჩხრეკისას ვერ ეპოვნათ, და დავადექი გზას ადმინისტრაციის კორპუსისკენ. მივუახლოვდი. ვხედავ - მოპირდაპირე ბარაკიდან ზედამხედველებმა სიმორი გამოაბრძანეს... დამინახა, მეცა, ვითომ ყურში რაღაცის ჩაჩურჩულება უნდოდა და ბუშლატის ჯიბეში, როგორც მას ეგონა, ზედამხედველებისგან უჩინრად, დანა ჩამჩარა... არაფერი - ერთი პატარა ბებუთი იყო. ზედამხედველები მეტაკნენ, - წამოდი უფროსებთანო! უარი ვთქვი, - აგერ, ტუალეტი, მოვისაქმებ და თავად მოვალ-მეთქი. ვერაფერი შემომბედეს. წაიყვანეს სიმორი, კორპუსში შევიდნენ. მე მართლა ტუალეტს მივაშურე, დანა ორმოში ჩავუშვი და უდოდოვს ვეახლე. ეს კაცი კრუგლოვიანი თეთრთვალება სადისტი იყო, პოლკოვნიკობიდან სწორედ პატიმრებზე ძალადობისთვის ლეიტენანტობამდე დაქვეითებული. ეგ არის, თანამდებობა მაინც შეუნარჩუნეს. იყო ამ კაცში რაღაც ქალური - სახელდობრ, ხმის ტემბრი და ზოგი მანერა. ასეთი დიალოგი გაიმართა:

- რა ჩაგიდოთ გოლფანდმა ჯიბეში? - თითი სიმორს მიაბჯინა.

- არაფერი, მოქალაქე უფროსო.

წამოხტა და მომახალა:

- იცოდეთ, ჩემს ხელში ვერც ერთმა ბანდიტმა ვერ გაიხარა! ვერც თქვენ გაიხარებთ!

- ვიცი, ბატონო უფროსო, ეგ ჭეშმარიტებაა, თქვენს ხელში თქვენც კი ვერ გაიხარეთ!

- წაათრიეთ!.. ორივე წაათრიეთ!

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

წაგვათრიეს. უკეთ ვთქვათ, ძალიან ფრთხილად, შეიძლება, ითქვას, მოკრძალებით წაგვიყვანეს.

ჩემს გვერდით საკანში სიმინეცი[278] აღმოჩნდა დამწყვდეული, ძალიან ორიგინალური კაცი. მისი შემყურე, ბევრ საინტერესო აზრს ვეზიარე... ბანაკებში სიცოცხლესა და სიკვდილსაც თავისი კანონზომიერებები აქვს: ვინ და რატომ კვდება? არ ვგულისხმობ, ვინც ბანაკში უკვე სერიოზული დაავადებებით მოდის და საჭირო მოვლის, მკურნალობის უქონლობის გამო მალევე იღუპება... ჯან-ღონით სავსეებზე ვამბობ: პირველი ოთხი, ხუთი წელიწადია კრიტიკული მათთვის, ვინც დარდი ზომაზე მეტი იცის - დაკარგულ კეთილდღეობაზე, ოჯახზე, ამქვეყნიურ უსამართლობასა და განუკითხაობაზე დარდი. მათი გონება ისეთი ფიქრისთვის ვერ იცლის, რომელიც არც გულს გაგიწვრილებს, არც დაგტანჯავს, პირიქით, გაგართობს და ყველანაირ სადარდებელს მიგავიწყებს. ისინი განუწყვეტლივ ტრაგიკულ ვითარებათა ტყვეობაში იმყოფებიან, ფიქრის დროს უკიდურესობაში ვარდებიან, თითქმის ხელოვნურად იწვევენ უარყოფითი ხასიათის სტრესებს, შედეგად ნერვული სისტემის პათოლოგიას და, ამას რომ დაავადებები და სიკვდილი უნდა მოჰყვეს, თავისთავად ნათელია. ისეთებიც არიან, ვისაც ესმის, რომ საიქიოს გზაზეა შემდგარი, ნებისყოფის მოხმობით ეუფლებიან თავს, მოდარდეობას სახადივით მოისტუმრებენ და გათავისუფლებამდე სიცოცხლესაც სწორედ ამის წყალობით ახერხებენ. ყველაზე მეტ ზარალს შურიანები და ცინიკოსები განიცდიან. კარშიც ხომ ასეა, დაბოღმილ-გაბოროტებულები სხვებზე ადრე იხოცებიან. დასანანია, ამის სტატისტიკას არავინ აწარმოებს. კანადელმა პროფესორმა, გვარად სელიემ, თვრამეტი წელიწადი იმუშავა და კაცობრიობას უთხრა, - ნურავისი და ნურაფერი გშურთ, სიძულვილს ახლო ნუ მოუშვებთ, თორემ სიკვდილს თავადვე მოისწრაფებთო!.. ზოგი ადამიანი, ღმერთმანი, საკვირველია, უყურებ და რწმუნდები, რომ ბანაკის ჯოჯოხეთში აზროვნებისთვის, ანალიზისთვის, რაღაცების სასწაულებლად მოვიდა. ყველაფერს ლაღი იუმორის პრიზმში ატარებს, ცხოვრების გამოცდილებას იმდიდრებს და სიცოცხლე უხარია!.. და კიდევ ერთი, საკმაოდ გავრცელებული ტიპი - საქმის მკეთებე-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ლი, შრომისადმი შემოქმედებითი დამოკიდებულების მქონე კაცი!.. სიმინეცი ასენიზატორად იყო, დიდი ჩამჩა ეჭირა, ფეკალიების ორმოებსა სცლიდა. ერთხელ, შორიახლო მიმავალი დამინახა, ჭიმიხმო და მაჩვენა, - ნახე, რა მარდად ვაკეთებ, არც ერთი ზედმეტი მოძრაობაო! ისეთი სიამაყით მაჩვენებდა და ამბობდა, ვითომ ეს არის, ეხლა მეექვსე კონტინენტი აღმოაჩინა. სიტყვამ მოიტანა, ბარემ ვიტყვი, სიმინეცი ცალთვალა გახლდათ, სამოქალაქო ომის მონაწილე და კომუნისტური პარტიის რომელიღაცა საოლქო კომიტეტის მეორე მდივანი. ამ სამუშაოზე იმიტომ დათანხმდა, რომ ცხოვრობდა მკვიდრი, უკომპრომისო და საკვირველი დევიზით, - არც ერთი მოძრაობა სტალინის სასარგებლოდ! გაუმარჯოს დახვრეტილ ბესო ლომინაძეს![279] აი, დიდება შენდა, ღმერთო, როგორც ბებიაჩემი იტყოდა ხოლმე! ასეთი დევიზით არსებობა იმას ნიშნავდა, რომ საერთოდ არაფერს მოჰკიდებდა ხელს, მაგრამ ჩეკისტებმა უყელეს, - პატიმრებისთვის თუ იმუშავებო? ყველაზე ცუდ სამუშაოზეც კიო, - სიმინეცმა განაცხადა. მისცეს ასენიზატორობა, მუშაობდა, სანამ დაინახა, რომ პატიმრების ფეხსადგილში ზედამხედველი შემოვიდა. სიმინეცმა ჩაცუცქება დაიცადა, თავზე ის დიდი ჩამჩა წამოამხო, იქვე მიაგდო და იზოლატორში თავისი ფეხით წამოვიდა. ეკითხე, ასე რისთვის ჰქენი-მეთქი? პირობა დაარღვიესო! ზედამხედველ-ფეკალიების ოპერაციის ჩატარებას კარგი გამბედაობა სჭირდებოდა, ადვილი შესაძლებელი იყო, ვადა დაემატებინათ... სიმინეცმა პატიმრობაში თხუთმეტი წელი გაატარა, საღ-სალამათი გათავისუფლდა, უკეთ ვთქვათ, თავისუფალ დასახლებაში გაუშვეს. დარწმუნებული ვარ, ამასაც აიტანდა და შინაც დაბრუნდებოდა... თუ ჰყავდა ვინმე, საერთოდ...

უდოდოვმა თავიდან მომიშორა - მარბენლებს ასე ექცევიან ბანაკის უფროსები, - მე რატომ უნდა გამექცეს, სხვას გაექცესო! ეგ არის, სპასკის ციხეს გამქცევი არ ახსოვს. რვა თუ ცხრა თვე ვიჯექი იქ. მერე ყველას ხელი დაგვხვიეს, მაიკუდუკის განმანაწილებელ ბანაკში მიგვრეკეს ტაიმირის ნახევარკუნძულზე ეტაპირებისათვის. მე რომ სპასკის ციხეში ვყურყუტებდი, მამაძაღლი უდოდოვი აქ გადმოეყვანათ უფროსად...

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ეტაპირებისთვის პატიმრებს უკვე ეშელონის ბადრაგი იბარებს ხოლმე თვლითა და საგულდაგულო ჩხრეკით, რომ რკინისა და სხვა მჭრელი საგანი ვაგონში არავის არაფერი შეჰყვეს, კედელი არ გაიჭრას და გაქცევა არ მოხდეს. ჩხრეკა ასე ხდება: ორი საბანია გაშლილი. ერთზე დგება პატიმარი, იხდის ყველაფერს, დედიშობილა გადადის მეორე საბანზე, იქ კიდევ საგანგებო დათვალიერება ხდება, - პირში ან სწორ ნაწლავში ხომ არაფერი აქვს მიჩქმალულიო. ამასობაში, პირველ საბანზე დაყრილ, უკვე გაჩხრეკილ სამოსელს მეორე საბანზე ჰყრიან. პატიმარი იცვამს და მას ეშელონის ბადრაგი სხვა, უკვე დაჩხრეკილ, ესე იგი, ჩაბარებულ-მიღებულ პატიმრებთან სვამს. მეორე საბანზე ვდგევარ და ველი, როდის გადმომიგდებენ საცვალსა და შარვალს. საიდანღაც გამოტყვრა უდოდოვი, პირველ საბანთან მივიდა. მჩხრეკავმა სწორედ ამ დროს ჩემი ხალათის ჯიბიდან თხელი ალუმინის სათუთუნე ამოიღო. ალუმინის ვაგონში შეტანა აკრძალული არ არის. ამ კოლოფში მქონდა უკანასკნელი საბრალდებო დასკვნა განაჩენითურთ - სადავოდ ვთვლიდი, საჩივრების საფუძვლად ვიყენებდი, და პირველი გაქცევის პერიოდში შეძენილი, უსაყვარლესი მეგობრის ბიჭუნას - ჩემი ნათლულის ფოტოსურათი.[280] უდოდოვმა ხელი გაიშვირა, მებადრაგემ კოლოფი მისცა. უდოდოვმა ხუფი აჰხადა, ამოიღო, რაც შიგ იდო, თვალიერებას შეუდგა.

ჯერ საბრალდებო დასკვნა და განაჩენი ჩაათვალიერა, მითხრა:

— *Эти бумажки вам уже не нужны!* - დახია, გადაყარა.

ახლა ბიჭუნას სურათს დაუწყო თვალიერება, დახია და მითხრა:

— *Это Вам тоже никогда не понадобится. Оттуда не возвращаются!*

— *Послушай, лейтенант.* — მივუგე, — *Ты ведь знаешь, нет дыры, откуда я не смог-бы уйти. Я знаю, ты недавно снова женился, у тебя грудной ребенок. Запомни, уйду, твою ляльку в люльке удушу!..*

უდოდოვი გაფითრდა, ცოტა ხანს მიყურა და უხმოდ გატრიალდა. მართლა ვიცოდი, რომ აკვნის ბავშვი ჰყავდა; ის სიტყვე-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ბი ბიჭუნას სურათის დახევამ მათქმევინა, თორემ არც იმ მუქარის ამსრულებელი ვიყავი და ღმერთს წასვლის საშუალება მოეცა, უდოდოვისთვის მოვიცლიდი?..

მას მერე ორი წელიწადი გავიდა. უკვე ტაიმირზე ვიხდიდი ჩემს სამოცდათხუთმეტ წელიწადს. ყარაგანდიდან ეტაპი მოვიდა. ამბავი ჩამოიტანეს, - უდოდოვი ფსიქიატრიულშია იმ ახირების გამო, რომ ღამღამობით წამოვარდნა დასჩემდა, აკვანს ეცემოდა ხოლმე და გაჰყვიროდა, - ბავშვი დამიხრჩვესო!

არ ვიცი, მართალია თუ არა. კაცმა სთქვას, ენას არავის ვეწეოდი, ასე ჰაიჰარად რატომ მეტყოდნენ?!.

ახალგაზრდა ვიყავი, ფიცხი... სწორად მოვიქეცი, რომ დავემუქრე?..

ეგაც არაფერი. *„Желтый оазис“* არ გავიხსენოთ?.. გავიხსენოთ... კაი რამეა. რა გვარისა იყო ის ოხერი?.. რა გვარისა და - კაცაბერიძე!..[281]

ეს მაშინ იყო, ეტაპით ყარაგანდაში რომ მივყავდი. არ მინდოდა ყარაგანდა, კომი მინდოდა - ინტის ან ვორკუტის ბანაკები, იქ ძმაკაცები მყავდა - ამირან მორჩილაძე, რეზო ტყავაძე, ტარიელ ქუთათელაძე, საშა პაპავა და ვინ იცის, კიდევ რამდენი და ვინ. ამისთვის საჭირო იყო, ეტაპს ჩამოვრჩენილიყავი რამენაირად. იმდენმა ჯდომამ ხომ ათასნაირი მამაძაღლობა მასწავლა და, მათ შორის, თავის მოგიჟიანებაც. კიდევ ერთი საშუალება არსებობს - საქმის მოპარვა, მაგრამ ეს თითქმის შეუძლებელია იმ პირობებში, როცა შენ „ვაგონზაკის“ კუპეში ბრძანდები და პატიმართა საქმეები ბადრაგის უფროსის კუპეშია. ერთი სიტყვით, მოგიჟიანება გადავწყვიტე. ძნელი ამბავია, განაბული უნდა იჯდე, არავის არაფერზე პასუხობდე, ქვეშ ისვრიდე და არაფერს სჭამდე. დრო და ადგილიც საგანგებოდ არის შესარჩევი - ისე უნდა, რომ გულაგის რომელიმე ფსიქიატრიული საავადმყოფო შორს არ იყოს, ან მატარებელი, რომელსაც მიჰყავხარ, იმ ქალაქზე გადიოდეს, სადაც ეს საავადმყოფოა. აუცილებელი არ არის, საავადმყოფომ დაავადებულად გცნოს. მთავარია, ეტაპს ჩამორჩე - დანარჩენი მერე მოხერხდება. ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, ყაზანში ჩამომსვეს, სანიტრებს ჩააბარეს პატიმარი იაგორ კარგარეთელი და მატარებელმა ყარაგანდისკენ გასწია.

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მიმაგრიალეს საავადმყოფოში, საეტაპო საკანში მიკრეს თავი. წინააღმდეგობას ვუწევდი, მოგიჟიანების პროგრამის თანახმ. ად. შემაგდეს. ამდენი გიჟი ერთად - სურამში ბავშვობისას და. ვყავდი დედ-მამას - იქაურ საგიჟეთშიც არ მინახავს. დიდი საკ. ანი იყო და გატენილი. მივეგდე კუთხეში, იქაურობის შესწავლ. ას მივყავი ხელი... ეს ყვითელი ოაზისი ასეთი წარმომავლობი. სა გახლდათ: ზუსტად არ ვიცი - როდის, მარტინ ლუთერის მო. ძღვრების აღმსარებელთა ეკლესიამ ყაზანიდან ორიოდ კილომ. ეტრის მანძილზე მონასტერი დააარსა - ცხადია, ნამონგოლარ მაჰმადიანთა ლუთერის ჭკუაზე მოსაყვანად. თავიდან ერთი კო. რპუსი იყო. მერე ორი თუ სამი გაჩნდა - გოთური სტილის სახ. ურავებითა და კეხზე ამოყვანილი საკვამურებით. საკვამურები მწკრივად, სიგრძივ იყო ამოყვანილი. ეს დეტალი შემდგომი ამ. ბებისთვის არის საჭირო!.. როცა რევოლუცია ლუთერის მოძღ. ვრებას არ დაეთანხმა, მონასტერი გულაგს გადასცეს... ჰო, ეზ. ივარ კუთხეში მიყუჟული, ვითარებას ვსწავლობ. დროდადრო სანიტრებს ავადმყოფები კომისიაზე გაჰყავთ. ზოგს აბრუნებენ - ესე იგი, ავადმყოფობა არ დადასტურდა; ზოგი ალარ მოჰყავთ. ჩემი მოსაზრებით, ამათ პალატებში ანაწილებდნენ... კარი გაიღო, სადილი შემოიტანეს, ჩამორიგებას შეუდგნენ - ჩვეულებრ. ივი ბალანდა და პურის ნაჭერი - როგორც ბანაკში. დაარიგეს, წავიდნენ. ერთი მეზღვაურისფორმიანი ავადმყოფი იყო, ექიმი როზენბერგი[282] იმასთან ქონდრისკაცად გამოჩნდებოდა. საჭმე. ლს ხელი არ დააკარა - ზის, რაღაცას ბურტყუნებს. მის მოპირ. დაპირე საწოლზე კაცია - აი, ჩემი ზმანებების ნეტარივით ჟღა. ლი და გაბანჯგვლული. ჟღალმა თავისი ულუფა მიირთვა, წე. ერ-ულვაშზე ხელისგული ჩამოისვა, ტაში შემოჰკრა და „ასსა!" დაიძახა. მეზღვაური ზეზე წამოიჭრა, ხელები გაშალა, თავადაც ასსას ძახილსა და ცეკვას მოჰყვა. მამაძაღლს ხმა ჰქონდა - კუ. დლებიდან ბათქაშს ჩამოიღებდა. სანამ მეზღვაური ერთობოდა ჟღალი მივიდა და მისი ულუფა ბალანდა და პური წამოიღო და ჭამას შეუდგა. მეზღვაური ცეკვავდა, ღრიალებდა. ჟღალი დრ. ოდადრო ტაშსა სცემდა. იმ ყვირილზე სანიტრები შემოცვივდ. ნენ, მეზღვაური გაკოჭეს, დამაოკებელი პერანგი ჩააცვეს და გა. ვიდნენ. ჟღალმა ჭამა დაამთავრა, ჯამი იქვე დასდო, საიდანაც

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

წამოიღო. ცოტა ხანში სანიტრები დაბრუნდნენ. დაშოშმინებულ მეზღვაურს პერანგი გაჰხადეს. საკანი მიწყნარდა, ცხოვრება უწინდელ კალაპოტში ჩადგა. დილიდან ისევ დაიწყო ავადმყოფების გაყვანა. ამჯერად კაი ბლომად გაიყვანეს. ისევ დადგა სადილის დრო, ისევ ჩამოარიგეს საკვები და განმეორდა იგივე: ჟღალმა დაიძახა „ასსა“, შემოჰკრა ტაში, წამოვარდა მეზღვაური, გუშინდელზე მეტი ღრიალი და ცეკვა შეჰქნა. ისევ შემოცვივდნენ სანიტრები, ვეება მეზღვაურს ისევ ჩააცვეს პერანგი და ჟღალმა ისევ მიირთვა მეზღვაურის ულუფა. მესამე დღესაც ასე განმეორდა, მაგრამ მეოთხე დღეს ჟღალსაც პერანგი ჩააცვეს - გაუგეს სანიტრებმა, რომ მეზღვაურს ეს აგულიანებდა. პერანგის ჩაცმა საკმაოდ მტკივნეული პროცესია და ჟღალმა ქართულად შეიგინა და „ვაი დედაც“ დააყოლა, თუ პირიქით იყო - ჯერ „ვაი დედა“ და მერე მსუყე გინება - ამას მნიშვნელობა არა აქვს. მეხუთე დღეს კომისიაზე დილიდანვე გამიყვანეს, რა თქმა უნდა, გამიგეს, ვერაფერი გიჟი ვიყავი, და საკანში შემომაბრუნეს. არა, არც დამიმალავს, რომ ეტაპიდან ჩამოსარჩენად მოვიგიჟიანე თავი... ასე იყო თუ ისე, ჩემთვის ცხადი შეიქნა, რომ ჟღალი კაცი ქართველია და არც ავადმყოფია. რა ჰქნა, ოხერმა: სადილი რომ შემოიტანეს, საბანი თავზე წაიხურა და გაყუჩდა. ეს, ალბათ, იმიტომ ჰქნა, - დავარწმუნო, რომ გიჟი ვარ და მეზღვაური ჩემს ჩაურევლად იძახის ასსას და ცეკვავსო. რა ვიცი, იქნება სხვა რამ მოსაზრებაც ჰქონდა... ყოველ შემთხვევაში, საჭმელს არ გაჰკარებია, საბანწახურული იწვა, მაგრამ სანიტრების გასვლა იყო - საბნიდან ხელები გამოჰყო, ტაში შემოჰკრა და გაინაბა. მეზღვაურმა იგივე გაიმეორა, რასაც ყოველთვის სჩადიოდა. სანიტრებმაც თავისი ჰქნეს - ჩააცვეს. ჟღალმა, როცა მეზღვაურს პერანგი გახადეს, მაშინღა მიირთვა საკუთარი ულუფა და ამით დაკმაყოფილდა.

კიდევ ორიოდ დღის მერე საკანი თითქმის დაიცალა. მეზღვაური კომისიაზე გაიყვანეს და სულ მალე დააბრუნეს. ოთხი თუ ხუთი კაციღა ვართ. სადილი შემოიტანეს. ჟღალმა ისევ გამოჰყო საბნიდან ხელები, ტაში შემოჰკრა და ასსაც დააყოლა. მეზღვაური წყნარად წამოდგა, საბანწახურულ წამქეზებელს თავზე დაადგა და უთხრა, - *Ассаа, да... твою мать!* -ო, ხელზე აი-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ტაცა და, ღმერთი და რჯული, საკნის ერთი კედლიდან მეორემ-
დე დაუწყო ტყორცნა. რომელიმე დაცლილ საწოლზე დააგდებ-
და, მივიდოდა, აიყვანდა, ახლა აქეთა ცარიელი ლოგინისკენ გა-
დმოისროდა, თან ურტყამდა კიდეც... ძლივს დავაოკე. მარტო მე
ჩავერიე, სხვებს იმედი თუ ჰქონდათ, - კომისიაზე იქნება მეორ-
ედ გამიყვანონ და ავადობა დამიდასტურონო - გიჟი არავის ჩხ-
უბში არ ჩაერევა. რა დასამალია, იმ კაცაბერიძის ხსნის პროც-
ესში მეც კარგებისა მომხვდა. ასე დასრულდა სამი სიმულანტ-
ის ურთიერთობა. დასრულდა იმიტომ, რომ პროსკუროვი[283] თუ-
რმე ისევ გავიდა კორპუსის კეხზე, მის მაგივრად გამიყვანეს სა-
მზარეულოსთვის შეშის საპობად - ხომ თავად ვაღიარე კომის-
იაზე სიმულანტობა! მუშა სჭირდებოდათ და გამიყვანეს. ჰო, ის
პროსკუროვიც საინტერესო ტიპი იყო. მისი ავადმყოფობა გამ-
ოიხატებოდა იმ აკვიატებულ შეხედულებაში, რომ საბჭოთა
სოფლის მეურნეობის მომავალი აღმავლობა საბჭოთა მეურნე-
ობების წიაღშია და არა კოლმეურნეობებისა! ამასთან, ამ იდე
ფიქსს მხოლოდ დროდადრო ამჟღავნებდა. უმეტესწილად, ერ-
თი მშვიდი, მუყაითი კაცი იყო და შეშას აპობდა. ერთი სიტყვ-
ით, ქრონიკულს რომ ეტყვიან, ის იყო. თავისი ასეთი შეხედულ-
ებისა თუ თვალსაზრისის აუდიტორიასაც ერთობ ორიგინალუ-
რად აგროვებდა და, აი, როგორ: კორპუსის გოთური სახურავის
კეხზე ამოყვანილ საკვამურებზე გადიოდა, იქიდან ქადაგებდა.
საქმე ის არის, რომ ქალაქის განვითარება-ზრდამ ყოფილი მო-
ნასტერი და ახლა უკვე გულაგის ყვითელ ოაზისად წოდებული
ფსიქიატრიული საავადმყოფო ქალაქის ფარგლებში მოაქცია.
გალავანს იქით ქუჩა იყო, ქუჩაში - ხალხი. პროსკუროვმა თავ-
ისი პირველი აქცია ასე ჩაატარა: აძვრა სხვენში, სხვენიდან - იმ
ჩამოქანებულ სახურავზე, სახურავიდან — საკვამურების მწკრ-
ივზე. მწკრივი ძველი ამოყვანილი იყო, ამიტომ გრძელი, ხუთ
თუ ექვს საკვამურს ერთად ჰქონდა თავი მოყრილი. ორატორს
ოთხ, ხუთნაბიჯიანი პრომენადის საშუალებაც კი ჰქონდა. სან-
იტრებისდა საბედნიეროდ, პროსკუროვს კეხზე ასვლის მოთხო-
ვნილება მხოლოდ ორ-სამ თვეში ეწვეოდა ხოლმე, თორემ შეშ-
ლილის იქიდან ჩამოყვანა სახუმრო საქმე იყო? სანიტრები სხ-
ვენიდან სახურავზე გამოსაძრომ სამერცხულს აქეთ გამოსვლ-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ას ვერ ბედავდნენ - ყოველ მათგანს ოჯახი, შვილები ჰყავდა და არც მარტოხელ სანიტარს ექნებოდა მესამე სართულის გოთუ-რი სახურავიდან დაცურებისა და მიწაზე ზღართანის მოდენის მძაფრი მოთხოვნილება. პროსკუროვს, როცა აუდიტორია დაღ-ამების გამო შემოაკლდებოდა, იქვე, საკვამურზე ეძინა და დი-ლაადრიან კვლავ იწყებდა ხოლმე ქადაგებას. ჩემი აზრით, ნობ-ელის პრემია ეკუთვნის იმ სანიტარს, რომელმაც პროსკუროვ-ის მეოთხე ასვლაზე ასეთი ფანდი მოიგონა: ორი თუ სამი დღე ქაქანი დააცადეს და საღამოთი სამერცხულიდან პური დაანახ-ეს. პროსკუროვი, ცხადია, მშიერი გახლდათ და პურის გამოსა-რთმევად ჩამოვიდა და, აი, აქ დასრულდა ამბავი - დროებით, რა თქმა უნდა. შეაგდეს პალატაში პროსკუროვი, გადაუარა აკვია-ტებამ, გამოიყვანეს სამუშაოდ... მე რომ პროსკუროვის მაგივრ-ად შეშის საპობად გამიყვანეს, იმითაც იყო გაპირობებული, რომ ორატორს ამჯერად მთელი კვირის საკვები ჰქონდა ატანი-ლი სახურავის კეხზე და მისი ჩამოყვანა უახლოეს დღეებში შე-უძლებლად იყო მიჩნეული, და კიდევ ერთი რამ, რაც ჩემი ოაზ-ისში ყოფნისას მოხდა - კუზნეცოვი![284] ღმერთო ჩემო, საიდან რას არ შეხვდება კაცი... ნორილსკის საზიზღარი ზამთარი იყო, ქალაქის მშენებლობაზე ვმუშაობდით. სამუშაო ზონასა და ბა-ნაკს შორის მავთულხლართის დერეფან-ორღობე იყო გაკეთებ-ული. მე ღამის ცვლაში დავდიოდი, ანუ კარგად გამოძინებული ვბრუნდებოდი ბანაკში... გათენდა. ღამის ცვლა და დღის ცვლა იმ დერეფანში ვხვდებოდით ერთმანეთს. მივდივარ, სახეზე ნი-ღაბი მაქვს, პურგაა; მავთულხლართებს იქით ცხვრის ტყავის ორმაგ ქურქებში გამოხვეული გუშაგები კუნტრუშით ლამობდ-ნენ გათბობას... შორიდან დავინახე, დავითი მოდიოდა, რობაქ-იძე.[285] გამისწორდა, ნიღაბი აიხადა, წამით გაჩერდა, ყურში ჩა-მჩურჩულა, - ჩაძაღლდა, ჩაძაღლდაო, და გზა განაგრძო. სტალ-ინს გულისხმობდა. მართალია, მოულოდნელი არაფერი იყო, რადიოქსელი მისი ავადმყოფობის ცნობებს სისტემატურად გა-დმოსცემდა, მაგრამ ცნობამ მაინც შემძრა... ვიღა არ შესძრა?!. მივედით ბანაკში, ნარზე ჩამოვჯექი, ფიქრს გავყევი. კოლია კობეიცკი[286] მომიჯდა, ისიც შეფიქრიანებული. რატომღაც გან-ზე გავიხედე - ფანჯარასთან, ჩვენკენ ზურგით ვიღაც იდგა, მხ-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

რები უძაგძაგებდა - ცხადი იყო, ტიროდა. კოლიას მკლავი გავ-
კარი, - შეხედე-მეთქი! კოლია ადგა, მტირალთან მივიდა, მხარ-
ზე ხელი დაადო, შემოაბრუნა. კუზნეცოვი იყო...

- ჯალათო, რა გატირებს?! - შეუტია კოლიამ.

კუზნეცოვი გერმანელების პოლიციაში იყო ნამსახური, ოცი
წლის კატორღა ჰქონდა მისჯილი. იყო ასეთი პერიოდი, საბჭო-
თა ხელისუფლებამ დახვრეტებზე ხელი აიღო, წყობილების ჰუ-
მანურობის სადემონსტრაციოდ. დასახვრეტებს კატორღულ
სამუშაოებს უსჯიდნენ, მაგრამ ასეთთა უმრავლესობა ჩვენთან,
ჩვეულებრივ ბანაკებში იხდიდა ვადას, - რის წყალობითა და რა
ნიშნით, გაუგებარია!

- მე ჯალათი არა ვარ, უდუნაშაულოდ ვზივარ... სტალინი
გარდაიცვალა, რა გვეშველება, როგორღა ვიცხოვროთ, რა იქნ-
ება?!.

კოლიამ კუზნეცოვს ერთი მაგარი სილა გააწნა, დაბრუნდა,
მომიჯდა.

კარგა ხანი გავიდა. მორდოვეთის ბანაკებში მიმიყვანეს რო-
მელიღაცა გაქცევის შემდეგ. კუზნეცოვი იქ დამხვდა, ოპერრწ-
მუნებულის „ყვავად", ანუ გამომძახებლად ემსახურებოდა საბ-
ჭოთა ხელისუფლებას. ეს ის დრო იყო, როცა ხრუშჩოვი ცდილ-
ობდა, რაც შეიძლება ნაკლები პატიმარი ჰყოლოდა და ნორილ-
სკის აჯანყების შედეგად, ეგრეთ წოდებული, „პირობით-ვადამ-
დე გათავისუფლების" კამპანია მიმდინარეობდა. მოდიოდა სას-
ამართლო, ბანაკის ადმინისტრაციის მიერ დადებითად დახასი-
ათებული და ასე გასათავისუფლებლად წარდგენილი პატიმრე-
ბის ხელახლა გასამართლებას ახდენდა და, როგორც წესი, ყვე-
ლას ათავისუფლებდა. მოვიდა სასამართლო, ბანაკის სასადი-
ლო პატიმრებით არის სავსე. ორ მაგალითს მოვიყვან: დაუძახ-
ეს გიგა ყიფშიძეს,[287] რომელსაც სამი წელიწადი ჰქონდა მისჯ-
ილი. გვარი, სახელი, მამის სახელი, პროფესია, თანამდებობა -
ქალაქ სევასტოპოლის მთავარი არქიტექტორი. ხრუშჩოვის იმ
ცნობილი წერილის პარტკომის სხდომაზე წაკითხვის შემდეგ
დათვრა, ხრუშჩოვის სურათი ჩამოხია...

მოსამართლემ საქმე ფურცლა და სთქვა:

— *За это царь-батюшка десять лет давал!*

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

სასამართლო გავიდა, ხუთ წუთში დაბრუნდა, გიგა ყიფშიძე გაათავისუფლეს. მერე კიდევ რამდენიმე საქმე გაირჩა. ესენიც გაათავისუფლეს. ახლა კუზნეცოვს გამოუძახეს, მგონია, სულ ბოლოს. მოსამართლემ ამისი საქმეც ფურცლა - დიდხანს, დაკვირვებით ფურცლა და შეეკითხა:

- კუზნეცოვ, როგორ აღმოჩნდით მედვედევის სახლთან?

- შინ ვიყავი, რაღაცას ვსაქმობდი. ივანოვი მოვიდა, მითხრა, მედვედევი თავის სახლშიაო, და მიბრძანა, წავყოლოდი. რა მექნა, წავყევი!

- ვინ იყო მედვედევი?

- პარტიზანული რაზმის მეთაური.

- რა მოხდა მერე?

- მერე ჩვენ...

- ანუ პოლიციამ, არა?

- დიახ, ჩვენ ალყა შემოვარტყით სახლს და... დავიწყეთ ყვირილი, რომ მედვედევი გამოსულიყო და ჩაგვბარებოდა...

- მედვედევი არ გამოვიდა, - სიტყვა ჩამოართვა მოსამართლემ. - მერე რა იყო?

- მერე ივანოვმა კანისტრით ბენზინი მოიტანა...

- ივანოვმა კი არა, თქვენ მოიტანეთ, კუზნეცოვ!..

- არა, ღმერთმანი, ივანოვმა მოიტანა...

- განაგრძეთ, განაგრძეთ!..

- როცა მედვედევი მაინც არ გამოვიდა, ივანოვმა სახლს ბენზინი შემოასხა...

- კუზნეცოვ! აქ თქვენი ხელით ნაწერი ჩვენებებია, რომ ბენზინი მოიტანეთ თქვენ, თქვენვე შემოასხით ხის სახლს და თქვენვე წაუკიდეთ ცეცხლი.

დაიწყო ფიცი-მტკიცი. მაშინ მოსამართლემ კუზნეცოვის ჩვენებები წაიკითხა და უბრძანა ეთქვა, - შემდეგ რა მოხდაო.

- როცა სახლს ცეცხლი წაეკიდა, იქაურობა კვამლში იყო გახვეული, აღარაფერი სჩანდა... სახლს უკან ხელყუმბარა გასკდა, მედვედევმა ალყა გაარღვია, სროლა-სროლით გაიქცა... ჩვენ ხომ არ ვიცოდით, რომ გაიქცა!.. მერე სახლის ფრთაზე ვილაც გამოჩნდა, კვამლში აღარაფერი სჩანდა...

კუზნეცოვი დადუმდა, თავი ჩაქინდრა.

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

- რატომ გაჩუმდით, კუზნეცოვ? ფრთაზე გამოვიდა მედვედ-ევის ცოლი ორი ბავშვით. ერთი მათგანი - ძუძუთა. თქვენ ისი-ნი დახვრიტეთ, ხომ ასეა?

- მე არ გამისროლია, ვფიცავ, მე ჰაერში ვისროდი!..

- დანარჩენი მონაწილეების ჩვენებით, ისროდით მხოლოდ თქვენ... კუზნეცოვ, როგორ გაგათავისუფლოთ. მედვედევი ცო-ცხალია და იქვე, ბრიანსკში ცხოვრობს. დაგინახავთ და ახლა თავად ჩაიდენს დანაშაულს. რა ვქნათ?!

- მე ძმა მყავს დნეპროპეტროვსკში. ბრიანსკში სულაც არ წავალ, ძმასთან წავალ...

კუზნეცოვი გაათავისუფლეს!

აი, ეს კუზნეცოვი ვნახე ოაზისში. თავისუფლად დადიოდა ეზოში და იძახდა, - ტრრრ, ტრრრ!..

ჰო, ლიოხას[288] ჩამოხრჩობა უნდა გაგვეხსენებინა, იმავე ბან-აკში მოხდა, სადაც ხორეჩკომ გადაბრუნებული პური შეჭამა... კი, იქ მოხდა, გაზაფხულზე. იმ ლიოხას, ყოფილ ქურდბაცაცას, შვიდი თუ რვა თვე რჩებოდა მოსახდელი, საშვი მისცეს, სამხე-დროების ოჯახებს ემსახურებოდა - ტყიდან ფიჩხი მოჰქონდა, ჭიდან - წყალი და - შინამოსამსახურეს საქმე შემოაკლდება?.. თავად საშვის საქმე ასეა: იგი ვახტაზე დაცვას აბარია. საშვის პატრონი პატიმარი ზონის გარეთ როცა გადის, საშვი თან მიაქ-ვს, როცა ზონაში შემოდის - ვახტაზე სტოვებს, ანუ თუ საშვი ვახტაზეა, მაშასადამე, პატრონი ზონაშია.

გაზაფხულია. ლიოხა - გვარი აღარ მახსოვს - ხან კარშია და მუშაობს, ხან, როცა სამუშაოს მორჩება, ზონაშია. შუადღე, ბანაკი თითქმის ცარიელია, ყველა სამუშაოზეა, გარდა შიგსა-ბანაკო მომსახურების პატიმრებისა და ჩემისთანა ბედასლები-სა, ვისაც სამუშაოზე საერთოდ არ უშვებენ. ზონაშია, აგრეთვე, ლიოხას გვერდით ნარზე მცხოვრები პავლიკა ლუკაშოვი,[289] ჩე-მი ძველი მეგობარი. აი, ეს პავლიკა მოვიდა ჩემთან და მეუბნე-ბა, - ლიოხა, მგონია, ჭკუაზე ველარ არის, რა დაემართა, არ ვი-ცი. დავინტერესდი და მაცნობა, - ასე ამბობს, ტყეში ვიყავი, შეშას ვამზადებდი, მარკოვის[290] პატარა გოგო დავინახე, მოვი-ტყუე, ვიხმარე, მოვკალი და ტოტები წავაფარეო!.. სახუმრო საქმე არ იყო, - წავიდეთ, მიტკა ბალიკი[291] ვნახოთ-მეთქი! ბალ-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

იკი აბანოს გამგედ იყო და ამ ბანაკის ბანდერელთა ერთ-ერთი თავკაციც. მოთათბირების შემდეგ, ასე გადავწყვიტეთ: ბალიკმა თავისი სამი ბიჭი იხმო, - ლიოხა იპოვნეთ, რომელიმე ბარაკის სხვენში აათრიეთ, ათიოდ როზგი დასცხეთ, გამოტყდეს, რაც გააკეთაო! თხუთმეტიოდე წუთი არ იყო გასული, ერთ-ერთი დაბრუნდა და გვითხრა, - არაფერი როზგები არ დასჭირებია, ყველაფერი დაფქვა და როგორ მოვიქცეთო?!. გადავწყვიტეთ, სხვენში ჰყოლოდათ, სანამ რაიმე ხმა შემოვიდოდა; ხომ შესაძლებელი იყო, ჰალუცინაციის, თუ სხვა რამ ფსიქიკური მოვლენით ყოფილიყო გამოწვეული მისი აღიარება? ასეთები ხდებოდა ხოლმე. მე თავად შევესწარი რამდენიმე წლით ადრე, დიდი შიმშილობის დროს პატიმარმა დაიბრალა, მორგში პარფიონოვის გვამს დუნდული ჩამოვაჭერი და შევჭამეო! სიცრუე, უკეთ ვთქვათ, ფსიქიკური აშლილობის შედეგი აღმოჩნდა. პარფიონოვის გვამი ადგილზე და ხელუხლებელი იყო.

გავიდა საათი თუ ცოტა მეტი. ზონის გარეთ ჩოჩქოლი და წივილ-კივილი ატყდა. ოფიცრები და ზედამხედველები შემოცვივდნენ, ლიოხას ძებნას შეუდგნენ. რას იპოვნიდნენ, სხვენში იყო, ღრიჭოს კიბე ჰქონდა გამოცლილი. ბარე ხუთჯერ გადაგვითვალეს. ლიოხას საშვი ვახტაზეა, თავად არსად არის. ბოლოს, ვიღაც მოხუცებულ კაცს ვაკითხვინეთ, - რა ამბავია, რისთვის ეძებთო?! ვისაც შეეკითხა, იმან არ დამალა, - ასე და ასეა საქმეო! მაშინ, ბალიკმა ნიშანი მისცა, ლიოხა სახურავის გამირზე ჩამოახრჩვეს და იქაურობას გაეცალნენ.

როცა გადათვლა-გადმოთვლა მოგვბეზრდა, ახლა სხვას დავავალეთ, - უთხარი, სხვენებში ნახეთ-თქო.

იპოვნეს ყულფზე ჩამოკონწიალებული ლიოხა.

არაფერი! ერთადერთხელ მოვიდა გამომძიებლების ჯგუფი. რაღაცაები მიიკითხ-მოიკითხეს, როგორც მე ვფიქრობ, თვითმკვლელობა გააფორმეს და ეგ იყო!

ძალიან კარგი! ეხლა გეგმის მიხედვით, იზოლატორიდან რომ გამოგვიყვანეს იმ უზარმაზარი ლატვიელი ექიმის დასამარხად, როგორი იყო?!. რა გვარისა იყო ის საცოდავი?.. როზენბერგი. უშველებელი კაცი იყო სიმაღლითაც და სისქითაც. მაღალი წნევა ჰქონდა, სისხლი ჩაექცა და გარდაიცვალა. ვისხედით

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

აბრეკ ბათოშვილი, აჰმედ იბრაგიმოვი[292] – აზერბაიჯანელი ექიმი, რომლისთვისაც ფერშლობის მეტი ვერა და ვერ გაიმეტეს რაიმე, მიტია დანგულოვი[293] და მე... როზენბერგი გერმანული წარმოშობის „ლატიში“ იყო. გვიანი ღამეა, კაიხნის მძინარეები ვიყავით. კარი გაიღო, – ჩაიცვით და გამოდითო! – უფროსმა ზედამხედველმა... შევყოყმანდით. ასეთი გაყვანები კოლიმაზე პროვოკაციულიც იყო ხოლმე. გაგიყვანდნენ ზონის გარეთ, ვითომ საითმე, რაიმე სამუშაოს შესასრულებლად, გაგიხსნიდნენ ცეცხლს და გააფორმებდნენ – *„При попытке к бегству“* – „გამოუსწორებელთა“ ხვედრი!.. უარი ვთქვით გასვლაზე. აგვიხსნა, როზენბერგია დასამარხი, საშიში არაფერია, ნუ ჯიუტობთო! ვიფიქრებთო! მოკეტა კარი, წავიდა. თხუთმეტ წუთში დაბრუნდა. ამ დროისთვის გადაწყვეტილი გვქონდა, გავსულიყავით – რაც იქნება – იქნებას პრინციპით. ეს ის პერიოდი იყო, როცა ძველებურად კი არ მარხავდნენ მკვდრებს – ფეხზე ნომრიანგვარსახელიანი ბირკა და ლეიბისპირი კუბოდ. დირექტივა იყო, ადამიანურად, ხის კუბოში ჩაეწვინათ მიცვალებული... გავედით, ვახტასთან მოიტანა ცხენურმით კუბოში მწოლარე ექიმი როზენბერგი გრიშკა პისკუნმა.[294] გავიყვანეთ ალაყაფს იქით. ექვსი სალდათი და მეძაღლე დაგვიხვდა ძაღლითურთ. ცალკე აღნიშვნის ღირსია, რომ საბანაკო სასაფლაოები გზიდან და, საერთოდ, დასანახიდან თვალს მიფარებული, ბარე ორი კილომეტრის დაშორებით ჰქონდა ბანაკის ადმინისტრაციას. კიდევ ერთი დეტალი: ადმინისტრაციამ ყოველთვის იცის, ზამთრის მანძილზე რამდენი მიცვალებული ეყოლება. სხვადასხვა სახის სამუშაოს თავისი ნორმები აქვს. ბანაკის უფროსმა წინასწარ უნდა გასწიოს თადარიგი. ვთქვათ, ტყის ჩეხა ყოველ ათას კუბურ მეტრზე ამდენსა და ამდენ მიცვალებულ პატიმარს მოითხოვს. მიწის სამუშაოები – ამდენსა და ამდენს, და სხვა. ზამთარში მიწა გაყინულია. ამიტომ საფლავების თხრა ზაფხულში ხდება წინასწარ ნავარაუდევი რაოდენობით. ამას *„похоронная бригада“* ასრულებს ისე, რომ ადმინისტრაციას, ამ მხრივ, პრობლემები არა აქვს... მოჰკიდა ხელი დანგულოვმა აღვირს და გავუდექით გზას შვიდკაციან-ძაღლიანი საპატიო ესკორტით. კოლიმა „სოპკების“ ქვეყანაა, პირამიდული, წვეტიანი გორაკე-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ბისა და მთებისა, აღმართდაღმართიანი, ძნელად სასიარულო რელიეფით. სასაფლაოს ასახვევამდე შორი არ იყო, მაგრამ იქიდან სამარემდე კაი ორ-ნახევარი-სამი კილომეტრი უნდა გვეტარებინა კუბო, ანუ ოთხი სქელი ნედლი ფიცარი, შიგ ასორმოცდაათკილოგრამიანი მიცვალებულით აღმართებში, სოპკებს შორის. ოთხნი ვიყავით, ოთხივე ათი დღე იზოლატორის ულუფაზე ნაჯდომები - დღეში სამასი გრამი პური, ორ დღეში ერთხელ - ნახევარი ლიტრი წყალწყალა ბალანდა. მდუღარე წყალი - განუსაზღვრელი რაოდენობით! როგორია?!. ასახვევამდე მივჩანჩალდით, გადმოვიღეთ კუბო დიდი ხვნეშითა და ვაი-ვაგლახით. ავწიეთ, გავიდეთ მხრებზე და დავიძარით. აღმართებში სასიარულო კილომეტრამდე იყო, მერე ზეგანზე გავიდოდით და იქაც ამდენი - სამარემდე. ეგ არის, ორასი მეტრიც არ გვექნებოდა გავლილი, დანგულოვმა და იბრაგიმოვმა შესვენება მოითხოვეს. არც აბრეკი და მე ვიყავით ჩიტებივით - შევისვენეთ, მაგრამ იმსიმძიმე ტვირთის ხელახლა აწევა ძალიან გაგვიჭირდა, სალდათთაგან ერთ-ერთი რომ არა, ვერ გავიდებდით მხრებზე. გავწიეთ. ასიოდე მეტრის შემდეგ იბრაგიმოვი წაიქცა და კუბომ დანგულოვი დაიტანა. ესენი პატარები იყვნენ, წინა კაცებად გვყავდა. აბრეკი და მე - მაღლები, უკანა კაცებად ვიყავით... გამოვიხსენით კუბოს ქვეშიდან დანგულოვი, შევისვენეთ და იმავე სალდათის დახმარებით ისევ შევუდექით აღმართებს. შემდგომ შესვენებაზე ბადრაგის უფროსმა იმ გულკეთილ სალდათს მოშველება აუკრძალა, - თავად ატარონო! ამაზე ალიაქოთი ავტეხეთ, მაგრამ ბადრაგის უფროსი თავისაზე დადგა. რაღა იქნებოდა, დიდის წვალებით ავწიეთ და ყოველგვარი შეთანხმების გარეშე, როგორც ჩანს, თითოეული ჩვენგანის, ასე ვთქვათ, შინაგანი გადაწყვეტილებით, აღმართები ავათავეთ, ზეგანზე გავედით, მაგრამ ვაი იმ გასვლას - ცოცხალმკვდრები ვიყავით, თოვლზე დავეყარეთ და სულის მოთქმას კაი ნახევარი საათი მოვანდომეთ. კიდევ ვიწვებოდით - ბადრაგის უფროსმა ლამის კონდახის ცემით წამოგვყარა... პირადად მე, მწოლარეს, ცოტად თუ ბევრად ღირებული იდეები არ მებადება - უფრო ბოლთის ცემის დროს ვიცი კარგი რაღაცების გამოგონება. აბრეკი პირიქით იყო, წამოწვებოდა და ცოტა ხანში ისეთ რამეს იტყოდა ხო-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ლმე, რომ შვიდივე ათენელი ბრძენიც კი პირს დააღებდა. ეხლაც ასე მოხდა. აბრეკმა სთქვა, იდეა მაქვსო! რანაირი? - ნაწილ-ნაწილ მივიტანოთო! ჯერ — ხუფი, მერე — კუბო და ბოლოს - მიცვალებულიო. გაგვიხარდა, კინაღამ აღტაცების ტაში შემოვკარით!.. ავხადეთ ხუფი, გავიდეთ მხარზე, კილომეტრ-ნახევარი დაუსვენებლად გავიარეთ, სამარის პირას დავდეთ, გამოვბრუნდით. თავად კუბო გაცილებით მძიმე აღმოჩნდა. ხუფი ორი განიერი ფიცარი იყო და შედარებით თხელიც. ეს ახალი ტვირთი ორმოცდაათმილიმეტრიანი სველი ფიცრებისგან შესდგებოდა. ძალიან მძიმე იყო, ოხერი. იმდენად მძიმე, რომ რამდენიმეჯერ მოგვიხდა შესვენება და როცა მივიტანეთ და თოვლზე დავწექით, ბადრაგის უფროსმა თითო კონდახი მართლა გვითავაზა, - ადექით, თორემ დაგხვრეტთო!.. წამოვჩანჩალდით, სვენებ-სვენებით მოვაწიეთ ცხედრამდე და დავსხედით... შორს, ასე, ხუთასი მეტრის მოშორებით, სინათლე კიაფობდა - ბანაკის წყალსაქაჩის ქოხი იყო. შევნიშნე, იბრაგიმოვი წარამარა იმ სინათლეს გასცქეროდა და ბოლოს იდეა წამოაყენა... ყველამ მოიწონეთ იდეა, ბადრაგმაც კი. აბრეკმა სთქვა, თქვენ დაისვენეთ, მე მოვიტანო! გაჰყვა სალდათი, წყალსაქაჩიდან აბრეკმა ცული მოიტანა. მისდგა იბრაგიმოვი საცოდავი როზენბერგის გვამს და ექვს ნაჭრად დაჩეხა. ოცდაათ-ორმოცგრადუსიანი ყინვები იყო, გვამი - გაყინულ-გაქვავებული, მაგრამ იბრაგიმოვმა საქმის ცოდნით, ძველი ყასაბივით აღასრულა თავისი იდეა... დანგულოვი აღარაფრად ვარგოდა, ჩვენ სამმა ორგზობად მივიტანეთ როზენბერგის დანაწილებული გვამი, ამოვხვეტეთ სამარიდან თოვლი, ჩავდეთ კუბო, ჩავალაგეთ როზენბერგი, დავახურეთ ხუფი და წამოვედით... მიწას გაზაფხულზე *„похоронная бригада“* მიაყრიდა... არა, შენ ნაღდი იდიოტი ხარ, დურაკი... დურაკი კი არა, დურა! საცოდავი ზუბოვი[295] დურაკს არ იტყოდა, დურას ეუბნებოდა მამაკაცს, ალბათ, მეტი ეფექტისთვის... შენთვის „დურა“ არასოდეს უთქვამს... „დურა“ თუთიყუშმა მიწოდა. მართალია, მარტო მე არა - ჯგუფს, სადაც, ჩემს, გარდა, ორი ქალი იყო, მაგრამ მეც ხომ მეხებოდა... ჩვენს ქუჩაზე გერმანელები ცხოვრობდნენ, ბარე ხუთი ოჯახი. ძროხები ჰყავდათ, მეზობელ მოსახლეობას რძითა და მაწვნით ამარაგებდნენ - ნი-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

სიად, ბატონო! დეიდაჩემიც ჩვენს ქუჩაზე ცხოვრობდა და თვის ბოლოს დედაჩემთან ერთად ფრაუ მაიერს[296] ანგარიშსწორებისთვის მიაკითხა. დედას თან ვყავდი, ამ ვიზიტის მერე სადღაც უნდა წავეყვანე, მგონია, კბილის ექიმთან... მივაკაკუნეთ კარზე. შიგნიდან მოისმა, - *Войдите, пожалуйста*-ო. შევედით. ოთახში არავინ იყო ოქროსფერ გალიაში ჩამწყვდეული დიდი, ჭრელი თუთიყუშის მეტი. უფროსები ჩამოსხდნენ, მე გალიასთან მივედი, ფრინველს თვალიერება დავუწყე. არ ვიცი, ჩემი მისვლის გამო, თუ სხვა რამ მიზეზით იყო, თუთიყუშმა ღაღანი ასტეხა, - *Дуры пришли, дуры пришли!*-ო. ამ კრიახზე ფრაუ მაიერი შემოვიდა, ეზოში ყოფილიყო ძროხასთან. დაიწყეს ანგარიში და თუთიყუში ისევ თავისას მისდგა, მაგრამ ახლა უკვე მოსულთა სხვა შეფასებაც დაურთო, - *Обманщицы, обманщицы!*-ო. ადგა ფრაუ მაიერი, მივიდა გალიასთან, ფრინველს პატარა, დირიჟორის წკეპლასავით ჩხირი ერთი-ორჯერ უთავაზა, რაღაც წასჩურჩულა და თუთიყუშმა ბოდიში მოიხადა, - *Приношу искренние извинения!*-ო, მაგრამ ეს უკვე ყალბი, ნაბრძანები იყო, ინტონაციაზე ეტყობოდა!.. კაცო, ეს რამდენი საზიზღრობა და სისულელე გაიხსენე, აღარ გეყოფა?.. მართალი ხარ, მეყოფა, კმარა!.. მოდი, ამ ფიქრებს ერთი სასიამოვნო მოგონება დავაყოლოთ და ამით მოვრჩეთ - იურა ქობულოვს[297] რომ გადავეყარეთ მოსკოეში... ეს ქარი თუ გრიგალი ჩადგომას ჯერჯერობით არ აპირებს და შიმშილსაც მოვლა უნდა. ეგ როგორ გამოდის, იცი? ბოშებზე გამიგონია - მანდრო ნანი, მანდრო ნანი! ბავშვებს რომ მოშივათ და საჭმელი არ არის, დედა სიმღერას დაიწყებს - მანდრო ნანიო, ესე იგი, პური არ არისო. მღერის, ტაშსა სცემს, ბავშვებს სიმღერაში აიყოლიებს და ყველანი კარგად არიან... ეხლა ჩვენ იურა ქობულოვისა მოვიგონოთ და შიმშილსაც მოევლება. დედ-მამის სიცოცხლეში იყო, ტექნიკუმის პირველ კურსზე ჩემთან ერთად ჩაირიცხა - იმ უზარმაზარი ჩეკისტის შვილი იყო - ბახჩო ქობულოვისა. სულ რამდენიმე თვე იარა და მიატოვა ან მიატოვებინეს სწავლა. ისე, ქალაქში ხშირად ვხედავდით და ვესალმებოდით კიდეც ერთმანეთს. მისი ტექნიკუმში ყოფნა იმით დამახსომდა, რომ გოგია წულუკიძემ თამბაქოს კვამლის რგოლების გამოშვება იცოდა

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

და, მერე როგორ! ოცდაათზე მეტ რგოლს გამოუშვებდა ერთი შესუნთქვითა და ზედიზედ. სანაძლეოს უდებდა ხოლმე გოგიას, - აბა, ამდენსა და ამდენ რგოლს თუ გამოუშვებო. სანაძლეო ფულადი იყო, რაც იურა ქობულოვს თავსაყრელად ჰქონდა, თავისი მამისა და ოჯახის წყალობით... რას არ მოიგონებს ბავშვი ცნობისმოყვარეობისა თუ აზარტის დასაკმაყოფილებლად!.. იურა ქობულოვი, ტექნიკუმის დატოვების შემდეგ ორიოდ წელიწადი იქნებოდა გასული, ქალაქიდან გაჰქრა. ამბობდნენ, მამამისმა შინსახკომის რაღაც კურსებზე გააგზავნა რუსეთშიო!.. ბევრი წელიწადი გავიდა - ათი, თუ თორმეტი. ბელორუსიაში ვმსახურობდი, მოსკოვს ჩამოვედი საქმეებზე. გორკის ქუჩაზე სანაყინეში ავედი, მეორე სართულზე იყო. „სანდე" მოვითხოვე - ეს ნაყინი მიყვარდა და მოსკოვში ყოფნისას უსათუოდ მივირთმევდი ხოლმე. ის იყო მომიტანეს - უშიშროების სამსახურის მაიორი, იური ბახჩოს ძე ქობულოვი, ორი კეკლუცი გოგონას თანხლებით შემოვიდა. შემოვიდნენ, მაგიდას მიუსხდნენ სწორედ ისე, რომ პირისპირ და ახლოს აღმოვჩნდით. ერთხელ შემომხედა, დამაფიქსირა. მერე ნაყინის მირთმევის დროსაც შემომხედა, სახეზე ღიმილი თუ ღიმილისმაგვარი შემოეფინა... ორი აზრი არ არსებობს - მიცნო! ახალგაზრდები ვიყავით, გასული დროის მანძილზე ჩვენს გარეგნობას რაიმე არსებითი ხასიათის ცვლილებები არ განუცდია. მერედა, მე თუ იმწამსვე ვიცანი, რატომ უნდა დამეშვა, რომ მან ვერ მიცნო? რა უნდა მექნა - გავსულიყავი?.. არ შეიძლებოდა. იმედის მცირე ნასახი მაინც მრჩებოდა, რომ ვერ მიცნო და ტანი, სიარული, მანერები დამენახვებინა?.. როგორც ხშირად მომხდარა ჩემს ცხოვრებაში, იღბალს ვენდე, - რაც იქნება, იქნება-მეთქი, და „სანდე" კიდევ მოვითხოვე! მეორე მხრივ, ის გაქცევა არამცთუ „ხმაურიანი" და შედეგებიანი იყო, რამდენადაც მას ხუთი თუ ექვსი ჩეკისტის კარიერა შეეწირა, არამედ იმ ოთხი წლის მანძილზე, გაქცეული რომ ვიყავი, ჩემს საპოვნელად ოთხი საკავშირო და ოთხი საზღვარგარეთული ძებნა იყო განხორციელებული. იურა ქობულოვს, როგორც „ლუბიანკის" თანამშრომელს და თავისი მამის შვილს, შეუძლებელია, არ სცოდნოდა, ძებნილი რომ ვიყავი და, უკვე ვთქვი, ისიც შეუძლებელია, ვერ ვეცნე... არაფერი -

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მიირთვეს ნაყინი, იურა ქობულოვმა კიდევ ერთხელ შემომხედა და წავიდნენ... ბევრი დრო გავიდა. უკვე განთავისუფლებულსა და თბილისს დაბრუნებულს ერთ-ერთ სუფრაზე ვინმე ბერიძე[298] გამეცნო. წარსულში, ანუ მაშინ, როცა ქობულოვები ჯერ კიდევ არ იყვნენ დარბეულ-დახვრეტილები, მათთან ახლო დამოკიდებულებები ჰქონოდა. იურა ქობულოვი რაღაცნაირად გადარჩენილა და ბერიძისთვის სანაყინეში ჩვენი შეხვედრის ამბავი უთქვამს. არ გამცა! მისი ასავალ-დასავალი ვეღარსად ვნახე, მადლობა მინდოდა მეთქვა!

ქარი შენელდა, ჩვენი გზა ვნახოთ, გორავ!

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

კარი მეოთხე

უკვე ვასიუგანის სათავეები იყო. გორას აქედან ზუსტად, სწორი ხაზით სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ ორასი, ორას ორმოცდაათი კილომეტრი უნდა გაევლო და მდინარე ომზე გასულიყო. აშნას სამფლობელო - „ოტრადა" - ზედ ომზე იდგა, თითქმის იქ, სადაც ამ მდინარეს მეოთხმოცე მერიდიანი ჰკვეთდა. ფილიპოვის რუკის მიხედვით, სავალი გაყინულ ჭაობებზე იდო, ანუ ვაკე ადგილებზე, და სასიარულოდ ადვილი იყო. სათავეებამდე ამოსვლის ხუთი, ექვსი დღით ადრე მენჯის სახსრები დაუცხრა, გორას ტკივილი აღარ აწუხებდა, თხილამურების გამოყენების შესაძლებლობა გაჩნდა. ამან მის გუნება-განწყობილებაზე დადებითად იმოქმედა, მძიმე ფიქრებს მოეშვა... ერთადერთი რამ, რაც ფიქრად ღირდა, მიტილენიჩი იყო. მან გორას აყვანის არც ერთი შესაძლებლობა არ გამოიყენა, მიუხედავად იმისა, რომ ხელისგულზე ედო მარბენლის გზა. არც ვასიუგანზე დაუტოვებია „უპატრონოდ" - ჯერ ვერტმფრენის ოინები და სულ ახლახან ვიღაც ქვეითი მგზავრის გამოჩენა, რომელიც ბარე სამჯერ თუ ოთხჯერ თითქმის დაემგზავრა გორას. საფიქრებელი იყო, რომ არც აქედან ომამადე დასტოვებდა მაძებარი უყურადღებოდ მარბენალს, მაგრამ გულში რა ედო, რას აპირებდა? ერთადერთი, რის დაშვებაც შეიძლებოდა, ალბათ, ასეთი რამ იყო: მიტილენიჩი „მოთამაშეა", თავისი ყველა ოპერაცია ორიგინალურად ჰქონდა ჩაფიქრებული, ანუ ისე, როგორც სხვები ვერ ახერხებდნენ. რაღაც ისეთს აპირებს, რომ პენსიაზე გასვლის წინ დიდი ჯილდო, ჩინი და აღიარება დაიმსახუროს. სახელდობრ, ისე აიყვანოს მარბენალი, რომ უმაღლესი თანამდებობის გენ-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

რლებმაც კი პირი დააღონ, მაგრამ მაინცადამაინც - რასა და როგორ? გორას ამაზე პასუხი არ ჰქონდა და ახლაც სამერეოდ გადასდო ჩხიბვა.

ამდენი ხანია, მოვდივარ, საქართველოდან ჩრდილოეთში გადმობარგების მიზეზებზე სიტყვა არ წამომცდენია. არაფერი გავიხსენოთ?.. მაშინ რეაბილიტაციისა და გათავისუფლების დღიდან დავიწყოთ... რატომ, მანამდე რაც გადამხდა, ვნახე თუ გავიგონე, თუნდაც იმავე ტაიმირის ნახევარკუნძულსა და კოლიმაზე, სხვა მოვლენებზე ნაკლები შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე, ნაკლებად იმოქმედა?.. „ჟამი მიქცევათა" სწორედ მანდედან დაიწყო... მართალია, მაგრამ აღსრულებათა წიაღში და არც ეს არის მთავარი. ყოველივემ, რაც გამოვიარე, ნაწილობრივ მაინც ხომ მიიღო მონაწილეობა ამ გაქცევის გადაწყვეტილებასა და აღსრულებაში?.. არა, ეგენიც გავიხსენოთ, მაგრამ მერე... ჯერ სიცოცხლეში ერთხელ კანონიერად რომ წამოვედით ბანაკიდან, ისა, არა?.. კი, ეგრე იყოს! *Я — никто*-თი დავიწყოთ. ბანაკებიდან მომიწია რეაბილიტაციით[289] გათავისუფლებამ, ოცდათექვსმეტისა ვიყავი. იქ სტადიონიც იყო და კალათბურთის მოედანიც. ექვსი გუნდი გვყავდა. ქართველებსა და ლიტველებს გვქონდა შეხვედრა. მეორე ტაიმია, ვაგებთ. „ყვავმა" მოირბინა, დაიძახა, - *Каргарети, на свободу!* - ო. ორივე გუნდმა მივანებეთ თამაშს თავი, ყველა მე შემომაჩერდა. ასეთ შემთხვევებში მილოცვის, ხვევნა-კოცნის ქარიშხალი ამოვარდება ხოლმე. ვიცოდი, პროკურატურის მიერ გაპროტესტებულ ჩვენს საქმეს უმაღლესი სასამართლო იხილავდა, მაგრამ რეაბილიტაციას ასე მალე არ ველოდი. ხრუშჩოვის დრო იყო, ბანაკებიდან ხალხი პანტაპუნტით თავისუფლდებოდა... „ყვავს" გავძახე, - ტაიმი დამთავრდება და წამოვალ-მეთქი. ცოტა ხნის შემდეგ აღრიცხვა-რეგისტრაციის ნაწილის უფროსი მესტუმრა. გვიყურა და ახლა ამან დამიძახა, - *Каргарети, на свободу не хочешь?!* დავამშვიდე, - დავამთავრებ, მოვალ-მეთქი! ხელები გაასავსავა, წავიდა. მოვრჩით თამაშს, ვიბანავე, დავემშვიდობე მეგობრებს, კეთილ ნაცნობებს, ავიკრიფე და მივაკითხე ვახტას. ბევრმა გამაცილა, რაღაც ფული ჩამჩარეს ჯიბეებში - ასეთი წესი იყო.

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ერთი რამ ვიცოდი: ბანაკებში დარდი არასოდეს და არაფერი-სა მქონია იმიტომ, რომ გარეთ მყოფთათვის არაფერი შემეძლო; გათავისუფლებულს ათასი საზრუნავი უნდა დამწოლოდა, თითქმის ისე, როგორც ყოველი გაქცევის შემდეგ ხდებოდა ხოლმე.

მივიღე „ლიტერი" თბილისამდე, პროდუქტები „მშრალად" - ქაშაყი, ბურღული, სამი დღის ულუფა შაქარი, მარილი, ზეთი და ფქვილიც, პურის ნაცვლად, - გამომცხვარი ჯერ არ შემოუტანიათო. ესენი იქვე დავტოვე, სადგურში ლიტერი ჩავაბარე, ფული დავუმატე და მოსკოვამდე რბილი ვაგონის ბილეთი ავიღე.

შედარებით რიგიანად მეცვა, კარგი ჩემოდანი მქონდა - ვიღაცისგან ნაყიდი თუ ნაჩუქარი; არც ფულის ნაკლებობა იყო - რუსეთში საქმეები მელოდა, კარგა ხანს ვაგროვე.

ღამის ორ საათზე ჩამოდგა მატარებელი. ავედი, ჩემი კუპე მოინახა, შევედი. სამი ადგილი დაკავებული იყო. მეოთხე, მარცხენა ზემოთა - მე მეკუთვნოდა. დავბინავდი და მალე ჩამეძინა კიდეც.

გათენდა, გამომეღვიძა - იმიტომ კი არა, რომ ბანაკური ჩვეულება მქონდა ასეთი - საუბარმა გამაღვიძა. თვალი არ გამიხელია, მივაყურე. ჩემს პირდაპირ, ზემოთა საწოლზე კაცი რომ იწვა, ქვევითა მგზავრებს ელაპარაკებოდა. გავარკვიე, ცოლ-ქმარი კამჩატკიდან მოემგზავრებოდა, შვებულება ჰქონდათ. ქმარი - ავიაციის პოლკოვნიკი - ამის კიტელსა და სამხრეებს შემოსვლისთანავე მოვკარი თვალი. ცოლი - მასწავლებელი. ცნობისმოყვარე მოსაუბრე - „იაკუტალმაზის" მომარაგება-გასაღების სამმართველოს უფროსის მოადგილე,[300] ნათლად გამოხატული ებრაელი. გავახილე თვალები, სალამი ვთქვი, ჩამოვხტი, საჭირო ადგილები მივიარ-მოვიარე. როცა კუპეში შევბრუნდი, თანამგზავრები ჩაცმულები, დაბანილ-დავარცხნილები დამხვდნენ. გამიკვირდა კიდეც, - ასე მალე რანაირად მოასწრეს-მეთქი. საუბარი გაიბა - ამ მთის, იმ მთის. იაკუტალმაზის მესვეურს ცმუტვა შევატყვე, უკეთ ვთქვათ, ერთთავად რაღაც შეკითხვა აწუხებდა. კინაღამ ვუთხარი, - მკითხე, რა გაინტერესებს-მეთქი! არ ეიცი, ჩემი მზადყოფნა დააფიქსირა, თუ შესაფერი მომენტი მოიხელთა - თვალი ცოლ-ქმრისკენ გადააქანა და მკითხა:

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– А Вы – кто?

დავფიქრდი, ნეტავი, ვინა ვარ-მეთქი, და მივუგე:

– Я? Я – никто! Можно сказать студент – нестуденческого возраста, – რითაც ცოლ-ქმრის გამახვილებული ყურადღება და შეცბუნება გამოვიწვიე.

იაკუტალმაზის კაცმა ოდნავ გაიღიმა. ეს ისეთი ღიმილი იყო, კაცი მიზანს რომ მიაღწევს და კმაყოფილია.

– Как – никто, почему студент нестуденческого возраста?! – მკითხა ქალმა.

– Сидел в тюрьмах и лагерях со студенческих лет по вчерашний день! – პასუხი აღარ დავუგვიანე.

საკვირველი რამ მოხდა: ათი, თხუთმეტი წუთის მანძილზე კუპეში ვაგონის ბორბლების გრიალის მეტი ხმა არ გაჭაჭანებულა. იაკუტალმაზიც კი განაბული იჯდა. მერე ცოლ-ქმარმა ბარგი აკრიფა და იქაურობა დასტოვა. იაკუტალმაზმა ისე გაიხარა, ვითომ ძვირფასი საჩუქარი რამ მიეღო. გადმოიღო საჭმელ-სასმელი და დიდი ქეიფი შევქენით. პირველი ჭიქის დალევისთანავე მითხრა, - ვიცოდი, ასე რომ მოხდებოდა, განგებ ვქენიო. მიშა ერქვა. თავისი საქციელი იმით ახსნა, რომ ცოლ-ქმარი სალდოფონები, ანტისემიტები და შხამიანი კომუნისტები აღმოჩნდნენ, რამდენიმე დღის თანამგზავრობაში ეს ღირსებები უკიდურესად გამოამჟღავნეს და, აქამდე ვერაფერს გავხდი, ახლა მაინც ხომ უნდა მეღონა რამეო!

ღმერთო ჩემო, რანაირად მოიფიქრა?!

მოსკოვამდე აღარაფერი რჩებოდა, გამცილებელმა ბილეთები ჩამოატარა და მიშას შინაურულად ჰკითხა, - იმ ცოლ-ქმარს ასეთი რა უქენით, რა ხანია, ტალანში დგანანო! ძალიან გამიკვირდა. ისე გამეცალნენ, როგორც ჭირიანს. შემდგომში ასეთი დამოკიდებულება მრავალგზის დავაფიქსირე.

რუსეთში კარგა ხანს ვიტრიალე. ამეკვიატა ჩემივე სიტყვები – *Я – никто!* თბილისში ათას ცხრაას სამოცდაერთ წელსღა დავბრუნდი. ჩემი თაობის ხელში იყო რესპუბლიკის მართვა-გამგეობა, ძალიან დამეხმარნენ. კაცმა სთქვას, არც რაიმე მინდოდა იმ პატარა ოთახის მეტი, კონფისკაციის შემდეგ რომ მოგვცეს. ძველ ბინას ვერ მოვითხოვდი, საკუთარი სახლის ნახევ-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

არი იყო. ვიღაც ჩეკისტს მისცეს თუ მიჰყიდეს. ჭკვიანი კაცი გამოდგა: სამსახურებრივი მდგომარეობის წყალობით ადრევე გაიგო, რომ რეაბილიტაცია და ქონების დაბრუნება იყო მოსალოდნელი. ადგა და გაყიდა, თბილისელი საქმოსნების ოჯახმა შეიძინა ჩემი მშობლების სახლი. ამათ კარგა ბლომა ფული მომცეს, - თავი დაგვანებვო. მაშინ თბილისში დიდი ხნით დარჩენას არ ვაპირებდი, ან იმხელა ბობოლებთან ბრძოლას მოვიგებდი თუ როგორა?! გამოვართვი და იმ დაბრუნებულ პატარა ოთახში მოვიწყე დროებითი ბუნაგი.

ალბათ, აქედან იწყება ყოველივე ის, რამაც თბილისი დამატოვებინა. — *Я — никто!*-მ ლამის შემჭამა, რადიოტექნიკოსობა, ჩემი მივიწყებული პროფესია, დამაპურებდა და დამასახლებდა? დამარწმუნეს და გოგია წულუკიძეს მივბაძე - ინდუსტრიული ინსტიტუტის დაუსწრებელ ფაკულტეტზე შევედი ნავთობ-აირის მოპოვება-გადამუშავების განხრით - პატიოსნად, უპროტექციოდ შევედი, როგორც გოგია შევიდა საფინანსო-ეკონომიკურზე - ისე. მე რომ დავბრუნდი, ამთავრებდა კიდეც და ცოლშვილიანიც იყო. საცოდავი გოგია,[301] ამ წყეულ გზაზე სიტყვის წამოკვრით თუ მაგონდებოდა ხოლმე. ბარემ ეს საქმეც გაეკეთოთ... კარგი, საიდან დავიწყოთ?.. იქიდან, რომ გადასახლებიდანვე გამოჰყვა ოცნება, გასტრონომის დირექტორის თანამდებობაზე ენახა საკუთარი თავი. კოლიმაზე ათი წელიწადი მოიხადა, გაქცევა სცადა. გამოუდგნენ, ფეხში დასჭრეს. განგრენის საშიშროება იყო, მუხლსზევით მოჰკვეთეს. ხის ფეხით დარჩა ეს ახოვანი, თვალტანადი კაცი. მაშინ ვადამოხდილებს შინ არ უშვებდნენ, „თავისუფალ დასახლებაზე“ გაჰყავდათ. გოგიამ რაღაც დუქანი გახსნა ოქროსმაძიებელთა ერთ-ერთ დაბაში - თავი ხომ უნდა ერჩინა. ეტყობა, ამ საქმეს იქ გაუგო პირის გემო და გასტრონომის დირექტორობა ჩაიდო გულში უპირველეს ოცნებად. ხრუშჩოვის დრო დადგა, დასახლებულებს სამშობლოში დაბრუნების უფლება მისცეს. დაბრუნდა, გამოცდები ჩააბარა, დაამთავრა და გახდა გასტრონომის დირექტორი, მაგრამ ვაი იმ დირექტორობას - ყოველი კვარტალის ბოლოს ვალი ედებოდა, მხატვართა სახელოსნოების უბანში იყო მისი დაწესებულება და ძველსა და ახალ ძმაკაცებს ლუდისა და ძეხვის ფულს

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ხომ არ გადაახდევინებდა?.. იყო ყოფილ პატიმრებში ფულის შეგროვება და ერთი ამბავი. როგორც იქნა, თავი დაანება დირექტორობას. ვანო თარგამაძემ აიყვანა კომერციული დირექტორის თანამდებობაზე. იმუშავა ცოტა ხანს და გარდაიცვალა - წიგნს კითხულობდა წამოწოლილი, უცბად ამოუშვა სული. უშრეტი იუმორის პატრონი და გონებამახვილი კაცი იყო! ჩვენს საძმოში ყველაზე ყურადღებიანი, მზრუნველი და უშუალო... იუმორსა და გონებამახვილობაზე რომ ლაპარაკობ, ბარემ რამდენიმე შემთხვევაც გავიხსენოთ... კარგი, გავიხსენოთ. ღმერთმა იცის, როდისღა მოვუბრუნდებით ამ თემას. თბილისში ერთი ბიჭი იყო, ბაკოს[302] ეძახდნენ. დატრაბახებული ჰქონდა, კომუნისტებს სამ ათასმანეთნაკლებ არ ვემუშავებიო! არც უმუშავია, მთელი სიცოცხლე უსაქმოდ გაატარა. გოგიამ ათი კაცის თანდასწრებით უთხრა, - სამათასმანეთიანი სამსახური ვიცი, თუ გინდაო. რა სამსახურია ასეთი, მინისტრის ხელფასს რომ იძლევიანო, დაინტერესდა ბაკო. გოგიამ აუხსნა, - ბაზის გამგის ადგილია. თბილისის საკანალიზაციო სისტემა ერთ მილში მოათავსეს, ფონიჭალაში ქარხანაა, ფეკალიებიდან სასუქს ამზადებენ და ამის ბაზაა. ბაკომ ხელი ჩაიქნია, - საშარო საქმეაო, სთქვა. გოგიამ მშვიდად მიუგო, - საშარო სწორედ რომ არ არის, დანაკლისი თუ გექნა, ნახევარი თბილისი შენი ძმაკაცები ვართ, რომელი დავინანებთ - მოვალთ და შეგივსებთო!.. რა ვიცი, რამდენი რამ იყო... ცოფიანი ძაღლისა სთქვი... ჰო, ეგ კარგია. გოგიას სიდედრ-სიმამრი კავთისხევში ისვენებდა. შვილიშვილიც იქა ჰყავდათ. წავიდა ცოლ-ქმარი ბავშვის სანახავად. თბილისში წამოსვლისას საიდანღაც ფინია გამოტყვრა, მედეას, - გოგიას მეუღლეს — ფეხზე უკბინა. ჩამოვიდნენ, როგორც წესია, პასტერის ინსტიტუტს მიაკითხეს, ცოფსაწინააღმდეგო ნემსი გაუკეთეს მედეას. სამი თუ ოთხი დღე გავიდა, საღამოა. გოგია გახდილი, პროთეზმოხსნილი სავარძელში ზის, გაზეთს კითხულობს. ბინის კარს ვიღაც მოადგა, ზარი დარეკა. მედეა გაეგება, კარი გაუღო. პასტერის ინსტიტუტიდან იყვნენ, - ახლავე წამობრძანდით, მკურნალობა უნდა განაგრძოთო, კამათი შეიქნა, მედეა უარზე იყო. მოსულები თავისაზე დადგნენ, ძალით წაყვანა მოუნდომეს. მედეამ გოგიას გასძახა, - მიშველეო! ამან ყავარჯ-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ენი შეიმარჯვა, გავიდა, მოსულებს ახსნა-განმარტება მოსთხოვა, - რა ხდება, რით შემიძლია, გემსახუროთო?! სანიტრებმა - ასე და ასეა, უნდა გამოგვყვესო! ეს ადამიანი ჩემი მეუღლეა, ამის ამბავს ვერავინ მასწავლის, თქვენ ის ძაღლი იპოვნეთ, ცუდი არაფერი დაემართოსო, და კარი მიუკეტა... მაგადანში რომ ჩამოგვაკითხა?.. ჰო, ეგ კლასიკაა! მაგადანში კავერნული ტუბერკულოზი დამიდგინეს, ტრასაზე, ანუ კოლიმის სიღრმისეულ ბანაკებში, ქსივი გავგზავნე, - ასეა ჩემი საქმე, ფული და პროდუქტები მომაწოდეთ-მეთქი. ჯერ შუქურა ინაიშვილი[303] ჩამოვიდა „საკითხის შესასწავლად" - ჩემს პოვნა-ადგილსამყოფლის დადგენას ვგულისხმობ. კარგა ბლომად ჩამომიტანა ყველაფერი და წავიდა. მერე ის შვიდასი თუ რვაასი კილომეტრი გოგიამ გამოიარა, რა თქმა უნდა, მოქრთამული კომენდანტის ნებართვით, და ახლა ამან ჩამოიტანა პროდუქტები, წამლები და ფული - ოქროს მომპოვებელ რაიონებში ყოველივე ეს თავსაყრელად იყო და ჩემი ძმაკაცების ზრუნვაც - ბუნებრივი. ყველა მსგავს შემთხვევაში ასე ხდებოდა.

მოისყიდა გოგიამ ვახტიორები, შემოვიდა ბანაკში, გადმომცა ყველაფერი, ვისხედით გვიანობამდე და წავიდა. წავიდა, ღამის გასათევი ვერსად ნახა და ბოლოს ასეთ ფანდს მიმართა: მაგადანის გამოსაფხიზლებელს მიაკითხა, მესვეურს ფული მისცა, გამოიძინა, დილით ისევ მომადგა. იღლიაში მშვენიერი ლეიბი ჰქონდა ამოჩრილი. გადმომცა და გასწია თავისი საცხოვრისისკენ. მაშინ გამოსაფხიზლებლებში წესი იყო: მილიციის მიერ მოყვანილი მემთვრალე, იმის შიშით, რომ ჩაისველებდა, ლეიბის ფულს წინასწარ იხდიდა. გოგიამაც გადაიხადა, ცხადია, არ ჩაისველა, მაგრამ ლეიბი თან წამოიღო, - გორას გამოადგებაო!

გოგიას გარდაცვალებამ ჰეგელის „სულის ფილოსოფიაში" წაკითხული ერთი აზრი გამახსენა და არ ვიცი, მართებული თუ უმართებულო განზოგადებაც მოვახდინე. იქ სწერია, რომ ისტორიული პიროვნებები აღჭურვილნი არიან მსოფლიო-ისტორიული სულითა და მისიით. როცა მათი მისია ამოიწურება, ისინი კვდებიან ალექსანდრე მაკედონელივით ოცდათორმეტი წლისა, ან ნაპოლეონივით სიცოცხლეს წმიდა ელენეს კუნძულზე ამთა-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ვრებენ. ჩვმი დაკვირვებით, ეს მოსაზრება ძველსა და ახალ ისტორიაში არაერთგზის დადასტურდა, მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ ეს, თითქმის, წესია და ჩვეულებრივ მოკვდავთა ხვედრიც ასეთივეა. ამოწურავს ადამიანი თავის მისიას, მიდის უმჯობეს სამყაროში. საცოდავმა გოგიამ ყველა თავისი მიზანი განახორციელა: ადამიანებზე იზრუნა, იუმორის გრძნობის რეალიზაცია მოახდინა, ცოლი შეირთო, შვილი გააჩინა და ფეხზე დააყენა, თავისი და ცოლის ბინები გააერთიანა - სამოთახიანი გამოუვიდათ, რაღაც ავეჯი და ოჯახისთვის აუცილებელი ყველაფერი გაიჩინა, კარგი ვაჟკაცის სახელი დასტოვა და გარდაიცვალა... არა, გამოუსწორებელი ყბედი ხარ, საქართველოს მიტოვების მიზეზებიდან დაიწყე და - ღმერთო ჩემო, - საით წახვედი?!. საინტერესო არ იყო?.. შეიძლება, საინტერესოც იყო, მაგრამ სად ერეკლე და სად ჩემი ცოლი თეკლე!.. არა, გოგიაზე მინდოდა ორიოდ სიტყვა მეთქვა... ორიოდე კი არა, სიტყვების კორიანტელი იყო!.. ჰო, კარგი, მთავარი თემა! ჩავირიცხე ინდუსტრიულ ინსტიტუტში დაუსწრებელზე. ხან არ მეცალა, ხან მეზარებოდა, ხან ძმაკაცებში ქეიფი და მოგზაურობა... ერთი სიტყვით, დიპლომის დაცვამდე შვიდი წელიწადი გავიდა. იმ შვიდ წელიწადში იმდენი რამ მოხდა - ავიც და კარგიც - იმ მიზეზებთან ერთად, რომელთა წყალობითა თუ გამოისობით ჩრდილოეთში გადმოვიხვეწე... არა, მოდი, ჯერ სასაცილოები ვთქვათ და მერე უარყოფითები, რომ ჩრდილოეთში წამოსვლა „შევძლო"! გოგია წულუკიძისა ხომ ვთქვით. ეხლა რომელი?.. მანდარინის[304] საყიდლად რომ ჩავედით, ისა... ჰო, მანდარინი! სოლოლაკში ჩემი ერთ-ერთი ლექტორის პატარა ბიჭის დაბადების დღეზე მივდიოდი თითქმის ხელცარიელი. დავინახე, ვიღაცას ტომსიკით მანდარინი მოაქვს. ვიფიქრე, - ვუყიდი ბავშვს-მეთქი, და ვკითხე, - სად იყიდეთ-მეთქი? მიმასწავლა. სოლოლაკის ქუჩაზე ჩემს ბავშვობაშივე იყო სარდაფი, ბარე თორმეტი საფეხურის სიღრმისა - ხილ-ბოსტნეულის მაღაზია. დიდი სარდაფი იყო, შუაზე დახლით გაყოფილი. ჩავედი - ხალხია მისეული. რიგი კი არა, ზედახორაა. მხოლოდ მარცხენა მხრიდან არის წესიერი რიგი - სამამულო ომის მონაწილეები და ძველი კომუნისტები დგანან. მე იმ ალიაქოთში დადგომაზე ხელი ავიღე, - რაც მიმაქვს, ესაც საკმ-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

არისია-მეთქი, ვიფიქრე. გაბრუნება დავაპირე, მაგრამ არ დამცალდა, საინტერესო სცენა გათამაშდა და იქაურობას შევრჩი. სცენა კი ასეთი გახლდათ: ვიღაც შუახნის კაცმა კიბე ჩამოიარა, იქაურობას თვალიერება დაუწყო და როცა დარწმუნდა, დახლთან ვერ მივიდოდა, ნოქარს ჩასძახა, - შალიკო, შინ სტუმარი მყავს, სადილი კეთდება, ერთი კილო კარტოფილი მინდა, მანდარინთან საქმე არა მაქვს, ჩანთას გადმოგიგდებ, ჩამიყარე, ფული შიგ იქნებაო! შალიკო ისეთ გაწამაწიაში იყო, მგონია, არც გაუგონია, რა უთხრეს, თორემ ხმას ხომ ამოიღებდა. კაი ხანი გაიცდა, მოსულმა იგივე გაუმეორა, მაგრამ უფრო რიხიანად. ეხლა კი გამოელაპარაკა შალიკო, - ხალხსა ჰკითხეო. მოსულმა ხალხს მიმართა, - თქვენი მანდარინი არად მჭირდება, ამიწონოს, რა იქნებაო! „ხალხი", რბილად რომ ვთქვათ, ერთობ უარყოფითად გამოეხმაურა კიბეზე მდგომი მუშტრის თხოვნას. არ იქნება, კი იქნება კარგა ხანს გაგრძელდა... შეაგდეს ქვა და შეუშვირეს თავი... შალიკომ, - გრიშაჯან, გენაცვალე, აბა, მე რა ვქნაო, და მანდარინის აწონა განაგრძო. გრიშა, ეტყობა, ამუბნელი და შალიკოს ძველი მუშტარი იყო. მეგონა, მოტრიალდება და წავა-მეთქი. ნურას უკაცრავად. იდგა, იდგა და დაიძახა: *Коммунисты есть?!* ეს დაძახილი ომის მონაწილეებისა და ძველი კომუნისტების რიგს ეხებოდა. ჩავხედე მოხუცებს - არავითარი რეაქცია, მეორედ დაიძახა გრიშამ იგივე. ახლა კი, რამდენადაც შევნიშნე, ადრესატებმა ყური შეიბერტყეს, ერთ-ერთი ნახევარი ნაბიჯით რიგს გამოსცდა; მეორემ, - უპარტიო არავის ვეგონოო, ყოყმანით, გაუბედავად მიჰბაძა პირველს და სხვებმა, სადაც იდგნენ, იქიდან დაიძახეს, - კომუნისტები ვართ, რა გნებავთო?! გრიშამ, - თქვენი დედა, თქვენი მამა, თქვენი ბებიები და ბაბუებიცაო!.. ძალიან მსუყედ, როყიოდ, შესაშური დიქციით გადმოაფრქვია და მშვიდად, ნელი ნაბიჯით გასწია... რიგში ვინც დარჩა, იმდენი არაფერი, ღაღანი მორთეს და ეგ იყო... რიგიდან გამოსულები იყვნენ კაი სანახავი!..

იმავე ქუჩაზე აფთიაქია. ჩემს ბავშვობაში „ოტენის" აფთიაქი ერქვა, მისი დამაარსებლისა თუ ბოლო პატრონის გვარის მიხედვით. ბოსტნეულის მაღაზიაში კომუნისტების გალანძღვის მერე რამდენი წლის შემდეგ იყო ეს ამბავი - ვერ ვიტყვი და, საე-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

რთოდ, რასაც ვიგონებ, თანმიმდევრული კი არ არის, როგორცა
და რანაირიც მომაგონდება - ისეა... შევედი ამ აფთიაქში. ცოლ-
ქმარი მუშაობდა: წამლების შეკვეთას კაცი იღებდა. მზა მედიკ-
ამენტებს ქალი ჰყიდდა. რამდენიმე მუშტარი იდგა, ამოვუდექი.
ქალმა ორი მუშტარი გაისტუმრა; ჩემს წინ კაცი იდგა, ორმოც-
დაათი ცალი პრეზერვატივი იყიდა და წავიდა. ავიღე ჩემი ასპი-
რინი, კართან მივედი და მესმის:

- ვანო, რამდენი პრეზერვატივი იყიდა იმ კაცმა, როგორ გგ-
ონია?

- რამდენი?

- ორმოცდაათი!

- მთელი წლის მარაგი აუღია.

- იდიოტო, ეგ შენთვის არის მთელი წლის მარაგი და უფრო
მეტიც! - მკვახედ გამოსძახა ქალმა.

დანარჩენი აღარ მომისმენია, ქუჩაში გავედი. უკეთ ვთქვათ,
ქალის ბოლო ფრაზა ღია კარს იქიდან გავიგონე. ესაც ხასიათ-
ია; ხასიათებს რომ ვიგონებ, უფრო კარგად ვერთობი და სიტუ-
აციაც მშვენივრად იხატება - ადამიანთა ურთიერთობებს ვგუ-
ლისხმობ. აი, ვახტანგ ჭყოიძე[305] - განუმეორებელი ხასიათი. გა-
რემოს, ადამიანებს, მოვლენებს მხოლოდ იუმორისა და ოხუნჯ-
ობის კუთხით ხედავდა და აფასებდა. ერთხელ შინ გალეწილი
მთვრალი დაბრუნდა, იმდენად მთვრალი, რომ ტანსაცმელი თა-
ვად ვერ გაიძრო, ცოლმა გაუშალა ლოგინი, გახადა და დაინახა,
რომ ქმარს ვიღაც ქალის საწმერთული აცვია. ცოლის რეაქცია
როგორიც იქნებოდა, გასაგებია, აკივლდა, - რას ნიშნავს ეს, შე
უბედურო და უსინდისოვ, შენო?!. ვახტანგი არ დაიბნა, თავი
წამოსწია, დაიხედა, ისევ ბალიშზე დასდო და მიუგო, - ნამეტა-
ნი მთვრალი ვარ, თავი არ მაქვს, ახლა შენ თვითონ მოიგონე,
ბოშო, რამე ტყუილიო!.. ვაჟი ჰყავდა, რომ იტყვიან, - აცვენილ-
დაცვენილიო. ქუთაისში ყომარის თამაშისთვის, თუ რაღაცა
ამგვარის გამო მილიციამ დააპატიმრა, ციხეში ჰყავდათ. ძმაკა-
ცებმა ვახტანგს ასი ათასი მანეთი შეუგროვეს, - წადი, გამომძ-
იებელს მიეცი, გამოაშვებინეო. ჩავიდა ვახტანგი ქუთაისში, ნა-
ხა გამომძიებელი და მიუკიბ-მოუკიბავად უთხრა: აგერ, ა, ასი
ათასი მომიგროვეს ძმაკაცებმა. ნახევარი — შენ, ნახევარი - მე.

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თუ არ გინდა, გყავდეს ეგ მამაძაღლი მანდ და უყურეთ ერთმანეთსო! სიხარბისა ცალკე იყოს და ამ ოხუნჯობის გამოც დათანხმდებოდა გამომძიებელი. წამოიყვანა ბიჭი და წამოვიდა. მოსწრებული სიტყვისა და გარეგნობის აღნიშვნის ნიჭი ცალკე ჰქონდა. ერთ ძალიან ქერა[306] მოსკოველ ქართველზე სთქვა, - რომელი, ბოშო, თოვლზე მოფსმულს რომ ჰგავს, იმ ლევანს ამბობ? მეორეზე, თეთრპირისახიან, მაგრამ შავულვაშწარბებიანსა და ხუჭუჭთმიანზე,[307] - ჩეჩმაში ნახშირით დახატულსა ჰგავსო... ყველას რას დაიხსომებს კაცი ვახტანგის ნათქვამს, მაგრამ შემიძლია, დარწმუნებით ვთქვა, მისი ნაკვეს-ნაოხუნჯრები ვინმეს რომ შეეკრიბა, კაი სქელტანიანი წიგნი გამოუვიდოდა.

ერთ ზაფხულს მეგობარმა შემომთავაზა, გაგრაში წამომყევი, ერთად დავისვენოთო. საკუთარი აგარაკი ჰქონდა ლიტერატორთა „შემოქმედებითი სახლის" სიახლოვეს. იქ ჩემი რამდენიმე ნაცნობ-მეგობარი მწერალი ისვენებდა. ხშირად ჩავდიოდი - ხან სასაუბროდ, ხან დროსტარებისთვის... გავიცანი ჩემსავით ნაპატიმრალი ცირკის მსახიობი და მოსკოვში ხელოვნების მუშაკთა ცენტრალური სახლის ერთ-ერთი ადმინისტრატორი მოხუცი ებრაელი, პიოტრ პეტროვიჩ ფრედინი.[308] სახელ-მამისსახელი, ცხადია, შეცვლილი ჰქონდა. ასაკის მერვე ათეულის ბოლოში გასული, ათასი რაიმეს მნახველი და გადამტანი, ცხოვრებისეული გამოცდილების უზარმაზარ კიდობანს ჰფლობდა. მასთან საუბარი დღესასწაულივით რამ იყო, მით უმეტეს, რომ საოცრად ფაქიზი და, ამასთან, სხარტი იუმორის გრძნობა ჰქონდა. ძალიან კარგი, სიკეთით აღსავსე პიროვნება იყო. მისი მშობლები ათას ცხრაას ხუთ წელს ოდესაში ებრაელთა „პოგრომის" დროს შავრაზმელებმა დახოცეს. ცხრა თუ ათი წლის ობოლი ბიჭი იტალიელთა მოხეტიალე ცირკმა აიყვანა. ისწავლა ხელობა და მსახიობობდა ფსევდონიმით - პეტრუჩო ფრედოლინი!!! ათას ცხრაას ოცდაჩვიდმეტ წელს პეტრუჩო ფრედოლინი დააპატიმრეს. სამეულმა თხუთმეტი წელიწადი მიუსაჯა. პირწმინდად მოიხადა. გათავისუფლდა. ირკუტსკის ოლქში გადაგზავნეს თავისუფალ დასახლებაზე. ათას ცხრაას ორმოცდათხ-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

უთმეტ წელს რეაბილიტაცია მიიღო, მოსკოვს დაბრუნდა. მაშინდელი თავისი სარეაბილიტაციო შეხვედრა პროკურორთან ასე ამიწერა:

- თქვენ მისჯილი გქონდათ თხუთმეტი წელიწადი იტალიის სასარგებლოდ ჯაშუშობისათვის. მამხილებელი ფაქტები საქმეში არ არის. იქნება ნათესავები ან კოლეგები გყავდათ იტალიაში და მათთან მიწერ-მოწერა გქონდათ? - ჰკითხა პროკურორმა მას მერე, რაც ბარე ნახევარი საათის განმავლობაში ფურცლა და იკითხა მისი „საქმე“.

- ნათესავი, საერთოდ, არა მყავს და არც იტალიაში ვინმესთან მიმოწერა მქონია, - უთხრა ფრედინმა.

პროკურორი კვლავ შეეცადა, საქმეში რაიმე დანაშაულის კვალი აღმოეჩინა, მაგრამ ვერაფერს გახდა და ისევ ფრედინს მიუბრუნდა:

- ამდენი წლის მანძილზე თავად თქვენ ვერ მიხვდით, რისთვის იჯექით?

- ზუსტად ვერა, მაგრამ ეჭვი კი მაქვს...

- მაინც, მაინც?

- ათას ცხრაას ცამეტ წელს ჩვენი ცირკი ქალაქ ჟიტომირში იყო გასტროლებზე, იქ სასტუმრო ფლორენციაში ვცხოვრობდით, - განუმარტა ფრედინმა.

ერთხელ იქვე, გაგრის ლიტერატორთა სახლის სასადილო კორპუსის ჰოლში მწერლები ტელევიზორთან მოგროვილიყვნენ - თბილისის „დინამო“ ვიღაცას ეთამაშებოდა. მივიტანეთ მე და პიოტრ პეტროვიჩმა სავარძლები, დავსხედით. ცხადია, ისე დავსხედით, რომ სხვებისთვის ხელი არ შეგვეშალა, გვერდიგვერდ მოვხვდით. ტრანსლაციის დაწყებას ველოდებით... რამდენიმე დღით ადრე ლიტერატორთა სახლში ერთი ცნობილი კომპოზიტორი შემოფრინდა, პოპულარული სიმღერების ავტორი, გვარი მიმავიწყდა. გამოქანდა ეს კომპოზიტორი, ჩადგა ტელევიზორის წინ სავარძელი, დაბრძანდა, ეკრანი ერთიანად დაფარა. კარგა ხანს არავის არაფერი უთქვამს, - თავად მიხვდება და გაიწევს, მაშ, რას იზამსო.

გაგიგონია!

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მერე, ჯერ ერთმა აცნობა მოკრძალებით, – ეკრანს ფარავთო. კომპოზიტორს ყურიც არ შეუბერტყავს. ცოტა ხანში ჩოჩქოლი და დრტვინვა ატყდა, მაგრამ ძაღლადაც არავინ ჩაგვაგდო. ბოლოს ფრედინმა გაჰყო ხელი, იდაყვზე მოუცაცუნა. კომპოზიტორი ინსტინქტურად ჩვენკენ შემოტრიალდა. ფრედინმა უთხრა:

– *Товарищ, знаете, кто Вы?*

– *Кто?* – წამოსცდა კომპოზიტორს.

– *Вы сено, пропущенное через лошадь!*

„ცხენში გატარებული თივა“ ზეზე წამოიჭრა, საითღაც გაქანდა და, სიმართლეს ვამბობ, მას მერე აღარ გამოჩენილა.

პიოტრ პეტროვიჩ ფრედინი საკმაოდ პატივმოყვარე იყო და თავისი პერსონის მიმართ ყურადღებისა და პატივისცემის გამახვილებული მოთხოვნილებაც ჰქონდა. ასეთი იყო ადამიანებთან ურთიერთობაში და ეს თვისება მკაფიოდ მისი დაბადების დღესთან დაკავშირებით გამომჟღავნდა. ფრედინი გაგრაში საგზურ-ნახევრით, ანუ ოცდათექვსმეტი დღით ჩამოდიოდა და იმ წინასწარი ვარაუდით, რომ მისი დაბადების დღე გაგრიდან წასვლის წინადღეებს დამთხვეოდა. დაბადების დღე ნოემბრის დასაწყისში ჰქონდა. გადაიხდიდა, უკეთ ვთქვათ, სხვები გადაუხდიდნენ და მერე ფრედინი ჩრდილოეთ კავკასიაში საგასტროლოდ მიემგზავრებოდა ხოლმე, როგორც ილუზიონისტი. ოქტომბრის ცხრა, ათი რიცხვიდან მოხუცი იწყებდა ღია ბარათების წერას, რომ ისვენებს აქა და აქ, კარგად გრძნობს თავს, ნოემბრის სამს ხდება, ვთქვათ, სამოცდათექვსმეტი წლის, წყალი თბილია, ამინდი – შესანიშნავი და ბოლოს ყოველგვარი სურვილები... ას ცალ ასეთ ღია ბარათს გზავნიდა და მერე ვისთან!.. კოზლოვსკი, ლემეშევი, ლეპეშინსკაია, ულანოვა, ტამარკინა, გილელსი, ოისტრახი, ფლიერი... ფრედინი მათ ყველას მართლა იცნობდა, ვის – საიდან და უფრო კი ხელოვნების მუშაკთა სახლის ადმინისტრატორობის წყალობით.

ადამიანებს გულისყური ჰყოფნით, მით უმეტეს, დაჩაგრული მოხუცის მიმართ, და, დაახლოებით, ოცდახუთი ოქტომბრიდან იწყებოდა პიოტრ პეტროვიჩ ფრედინთან მილოცვების მოსვლა. უნდა გენახათ, როგორი სიამაყით დაჰქონდა იმ გამოჩენილი ადამიანების მოწერილი ღია ბარათებისა თუ კონვერტების და-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

სტა და როგორი თვალცრემლიანი სიხარულით აჩვენებდა ყველას - ნაცნობსა თუ უცნობს. მეშვიდე ცაზე იყო, ასეთ დღეებში ცოტათი მედიდურობდა კიდეც და ის კი სრულიად არ ახსოვდა - მილოცვების პროვოცირება თავად მოახდინა. საცოდავს, ღრმად სწამდა საკუთარი პერსონის უმნიშვნელოვანესობა და ამით ხსნიდა გამოჩენილი ადამიანების ყურადღებიანობას...

მერაბმა[309] ცხინვალში წყალი რომ გაზიდვინა?!. ჰოო, ეგაც მაგარი იყო. ჩემი თანაკურსელი ბრძანდებოდა, მეტსახელად „ბომბორა". ძვალმსხვილი, ვეება, სიმსუქნისკენ მიდრეკილი ახალგაზრდა კაცი იყო. ცხინვალში მამაპაპისეული სახლი ჰქონდა სამ ძმას. სულ იმას მსაყვედურობდა, - რა იქნება, ერთხელ მაინც მესტუმრო ცხინვალშიო. ქართლში პრაქტიკაზე ვიყავი, თუ სადიპლომო თემასთან დაკავშირებით, კარგად აღარ მახსოვს; მივედი ცხინვალში, ჩემი პრაქტიკის ადგილიდან ახლოს იყო. მისამართი არ ვიცოდი. ხან საით მიმასწავლეს და ხან საით. ბოლოს, მერაბის სახლის ჭიშკარს მივადექი და დავიძახე. ჯერ იყო და, ისე გაკვირვებულ-განცვიფრებული კაცი ძნელი სანახავია, რაც ჩემს დანახვაზე დაემართა - ყბა ჩამოუვარდა, ნამდვილს ვამბობ, და მერე, ისეთი შთაბეჭდილება მქონდა, რომ კაი ხანს ვერ დაიჯერა, - მართლა მე ვიყავი თუ არა. კაცმა სთქვას, რა ამდენი გასაკვირი რამ მოხდა - თანაკურსელი, ძმაკაცი ესტუმრა, მაგრამ სწორედ ისეთი იყო, როგორც ვთქვი - გაბრუებული! ბოლოს გონს მოეგო და ჩვეული ხელგაშლილობით, სიყვარულით გამიმასპინძლდა. ბოდიშები მიხადა, - გათბობის სისტემა რატომღაც გამოირთო, ამაღამ სიცივეში მოგიხდება ძილი, მაგრამ თბილად დაგაწვენ-დაგახურავო. უხვი, მრავალნაირი, ტყემლიან-ნუგბარიანი ვახშამი გააწყო, რიგიანად შევთვერით და დავიძინეთ. დილით, მიუხედავად იმისა, რომ თბილად მეხურა. ზამთრის სუსხმა გამომაღვიძა. ჩავიცვი. მერაბი ფეხზე დამხვდა და მითხრა, - მომეხმარე, სისტემა დაცლილა, ავზში წყალი ჩავასხათო. სხვენის ღრიჭოს კიბე ჰქონდა მიდგმული. გათბობის სისტემის ავზი სხვენში იყო, იქვე, ღრიჭოსთან. ონკანი ეზოში ჰქონდათ. მითხრა, - შენ მაგ კიბის ნახევარი აიარე, მე სათლებით ეზოდან წყალს ამოვიტან, მოგაწვდი. მანდ ოთხი საფეხური რჩება, აიტანე და ავზში გადააპირქვავეო! ავიარე,

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

შუა კიბეზე დავდექი. ამოიტანა ორი სათლი, მომაწოდა. როგორი ასატანი იყო?! საფეხური – თხელი ფიცარი. ახლა წონასწორობის შენარჩუნება? ხელებში სათლები მეჭირა, ხომ ვერ მოვიშველიებდი! ათი გზა, ოცი სათლი რომ ავიტანე და ჩავასხი, მერაბმა მკითხა,- არ აივსოო? ავედი, იდაყვამდე ჩავყავი ავზში ხელი, გაგიგონია?! მერაბმა სთქვა, კიდევ ხუთი გზა გავაკეთოთ, აივსებაო. ის ხუთი გზაც მოვითავეთ – არაფერი! მერაბმა სთქვა, - მანდ მოიცადე, სარდაფში ჩავალ, ვნახავ, საქმე როგორ არისო. ამოვიდა და მითხრა, - ქვევით ონკანი ყოფილა ღიაო! რაღა იქნებოდა, ჩამოვედი, ვისაუზმეთ, მშვენიერი კონიაკიც დავაყოლეთ და, ალბათ, იმ ოცდაათი სათლის კიბეზე თრევისა და ვკვილიბრისტიკის საფასურად მატარებლამდე მიმაცილა... ეგაც არაფერი. ბომბორა ერთი წლით ადრე კინაღამ გარდაგვეცვალა. გურიაში ვიყავით, ძმაკაცმა მამის ოჯახში დაგვპატიჟა. ვივახშმეთ, ვსვით, აივანზე ლოგინები გაგვიშალეს. ზაფხული იყო, თავები რიკულებიანი მოაჯირისკენ გვედო. ჩირის ასხმულები ეკიდა. ჩირის ბოლოებს ნიავი ზედ ცხვირ-პირზე გვიქანავებდა. ნოდარმა[310] გამაღვიძა, - ერთი ამას შეხედეო!.. ბომბორა - ძილში იყო თუ ეღვიძა, ღმერთმა იცის, ჩირს მისდგომოდა, სჭამდა. უკეთ ვთქვათ, ასხმულას ღეჭვა-ღეჭვითა და ყლაპვით მიჰყვებოდა ქვევიდან ზევით. აჰყვა, შეჭამა, ერთი იმ თოკსაც უკბინა, რაზეც ჩირის ასხმულები ეკიდა. ჩანს, გემო არ მოეწონა - დაწვა და დაიძინა. ერთი თვის მერე ბომბორას კუჭის ტკივილი დაეწყო. გასინჯეს, გააშუქეს, კუჭში უშველებელი სიმსივნე აღმოუჩინეს. საუკეთესო დასტაქარმა გაუჭრა კუჭი და რაღაც გუნდა ამოუღო... ბომბორას ის ჩირის ასხმულა თავის ბაწრიანად ჰქონდა მირთმეული - იმ ბაწრის გუნდა იყო... ესაც პრაქტიკის პერიოდში მოხდა.

რუმინეთში ქალაქი პლოეშტი ნავთობის მოპოვება-გადამუშავების ცენტრია, იქ ვიყავით. ბანაკებში რუმინელი ძმაკაცი მყავდა - სახელად მარჩელი,[311] ბუქარესტში ცხოვრობდა. გათავისუფლების შემდეგ სამშობლოში გადაბარგდა - რუმინეთი ხომ სოციალისტური ქვეყანა იყო - გაუშვეს. გაუშვეს და ცოლიც შეირთო, მეფე მიხაის დისწული. თავად მარჩელი სოფლის მასწავლებლის შვილი იყო! მარჩელის მისამართი ვიცოდი, მივწერე

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

პლოეშტში ჩამოვიდა, მომნახა; ჯერ ბუქარესტში წამიყვანა, მერე თავის სოფელში - მამისეულ სახლში. ქალბატონი დანა - მარჩელის მეუღლე, იქ დაგვიხვდა. დიდი პატივით მიმიღეს, მეგობრულად, გულღიად. დანა იქ დარჩა. მარჩელი და მე ბუქარესტისკენ წამოვედით. რვაასი კილომეტრი უნდა გაგვევლო. საჭესთან მარჩელი იჯდა. იარა, იარა, ეტყობა, დაღლილობა მოერია. რაღაც დიდი ციხესიმაგრე იყო, იქ გაჩერდა და მითხრა, - ეს ციხესიმაგრე ამა და ამ მეფის აშენებულია. გეორგიუ-დეჟმა საპყრობილედ გამოიყენა, „სიგურანცას" თანამშრომლების დასამწყვდევად, მათი დანაშაულის გამოსაძიებლად და განაჩენის აღსასრულებლად. აქედან ცოცხალი არავინ გასულა. ვინც დაიხვრიტა - დაიხვრიტა, ვინც არა, თავად მოკვდა. შედი, დაათვალიერე, საინტერესო ნაგებობაა. მანამ გამოხვალ, ცოტას წავიძინებო. ვიყიდე ბილეთი, შევედი და დავიწყე თვალიერება. უზარმაზარი ნაგებობა აღმოჩნდა, მრავალსართულიანი, დიდი სარდაფებით. ჩემი ანგარიშით, რუმინეთის დიქტატორებს ამ საპყრობილეში ერთდროულად რამდენიმე ათასი პატიმარი უნდა ჰყოლოდათ. ვიარე, ვათვალიერე... მარჩელი გამომეცხადა, - ამდენხანს აქ რას აკეთებ, ორსაათნახევარია, წასული ხარო. გამიკვირდა, ჩავედით, გზა განვაგრძეთ. მოულოდნელად ხარხარი ამიტყდა. მარჩელმა შემომხედა, - რა გაცინებსო. ვუთხარი, - რაც იმ ციხესიმაგრიდან მოვდივართ, სულ იმაზე ვფიქრობდი, ნეტავი მართლაც რა ვაკეთე იმ ორსაათნახევარს, იქ რომ დავყავი-მეთქი. მარჩელმა მკითხა, - რა მოიფიქრეო? მივუგე, თურმე სართულსართულ დავდიოდი, ვათვალიერებდი იქაურობას და ეცდილობდი, ამ საპყრობილიდან გაქცევის ხერხისთვის მიმეგნო-მეთქი. მარჩელმა, - რა ჰქენი, თუ მიაგენიო? ვერა-მეთქი, მართლაც, ისე იყო ყველაფერი აწყობილი იმ დასაწვავში, რომ ძალის გამოუყენებლად იქიდან თავის დაღწევა შეუძლებელი გახლდათ. ყოველ შემთხვევაში, მე ვერაფერს მივაგენი... ესაც ხომ ხასიათის გამოვლინებაა?.. კი, ცხოვრების მიერ, წარსული პერიპეტიებით ჩამოყალიბებული ხასიათი!.. ერთი ისეთი რაღაც მახსოვს, არა ვთქვა - არ იქნება. თბილისში, ჩემმა კლასელმა ოთარ ჯინჭარაძემ,[312] სანამ მე ბანაკ-ბანაკ დავეხეტებოდი, სამხატვრო აკადემია დაამთავრა და უნიჭიერესი, საქვეყნოდ ცნობილი მხატვრის

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

სახელიც მოიხვეჭა. მხატვართა კავშირში ვიყავი ჩემ ძმაკაცთან - კავშირის ერთ-ერთ მდივანთან. ვიღაც მოვიდა და სთქვა, - ოთარ ჯინჭარაძე ძნელაძის ქუჩაზე მილიციაში ზისო! ოთარი დინჯი, უაღრესად ზრდილობიანი და, რაც მთავარია, ერთი ბეწო, პატარა და მშვიდობიანი ადამიანი გახლდათ. მოტანილი ცნობის თანახმად, ვიღაცებს გაულახავთ, გაქცეულან და ოთარი მილიციაში ჩხუბისთავად მიუყვანიათ. სამივე მდივანი ოთარ ჯინჭარაძის დასახსნელად გაეშურა - სამივე ცნობილი და დიდი მხატვარი. ავეტორღიალე, საქმე არაფერი მქონდა. ესაც ნუ იქნება, ჩემი თანაკლასელი და მეგობარი იყო ოთარი. ახლო იყო, ხუთ წუთში მილიციის სამორიგეოში გავჩნდით. ზის მორიგე შემაღლებულ, რიკულებიანი აივნით შემორაგულ „კათედრაზე" - პროფესორივით ზის. ელგუჯა ჩვენში ყველაზე დარბაისლურად გამოიყურებოდა. ჯერ ამან მიმართა მორიგეს. აცნობა, რომ ოთარ ჯინჭარაძე ცნობილი მხატვარია, აკადემიის დოცენტი, არც ხასიათი, ფიზიკური აღნაგობა და მისი ღირსეული მოქალაქეობის ამბავი გამორჩენია. ბარე ხუთი წუთი ილაპარაკა... მორიგეს თავი ხელისგულზე ჰქონდა ჩამოდებული და ძალიან გულდასმით ისმენდა, მაგრამ შედეგი - არავითარი. ახლა რევაზმა ჩამოართვა სიტყვა და თავისი „გამოსვლა" იმის მტკიცებას მოანდომა, რომ ეს კურკასავით კაცი ჩხუბისთავად და მოკრივედ არ ვარგოდა. არაფერი - მორიგე კვლავინდებურად ხელისგულზე თავჩამოდებული იჯდა და ძალიან გულდასმით, სათითაოდ გვათვალიერებდა. ბოლოს მერაბმა, როგორც მხატვართა კავშირის თავმჯდომარემ თუ პირველმა მდივანმა - მისი მაშინდელი თანამდებობა მიმავიწყდა - „აიღო სიტყვა"! დიდხანს და ერთობ დამაჯერებლად, მშვიდად და სარწმუნოდ ილაპარაკა. ილაპარაკა, შედეგს ველით. მორიგემ ერთი კიდევ ჩაგვათვალიერა და დაიძახა, - მაისურაძე, მოდი აქა! მაისურაძე მოვიდა და მორიგემ ძალიან საქმიანად ჰკითხა, - ესენი დაჩხრეკილები არიანო?!. საქმე შინაგან საქმეთა მინისტრმა ოთარ ქავთარაძემ[313] დაასრულა, გამოაშვებინა ჯინჭარაძე!..

კარგი, ახლა იმაზე ვიფიქროთ, ჩრდილოეთში რატომ გადმოვიხვეწეთ, არა?.. სამხიარულო რაღაცები თუ რამ დაგვრჩა, სამერეოდ იყოს... არც ის გვითქვამს, ოთხმოცდასამი წელი რანა-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ირად მოგვიგროვდა - ესაც მერე იყოს?.. ეგაც. ეხლა - წამოსვლის მიზეზებზე ვილაპარაკოთ... ჯერ იყო და, როცა დავბრუნდი, პაპა გორას საფლავი აღარ დამხვდა. ვიღაც მამაძაღლს ამოეთხარა და თავისი მკვდარი დაემარხა. კინაღამ გავგიჟდი! გათავისუფლება და დაბრუნება იმიტომ მიხაროდა, რომ საფლავი მაინც მექნებოდა საქართველოში. აღარ დამიხვდა. კარგა ხანს ვიდარდე, მაგრამ რას ვიზამდი? უსაფლავო კაცი გაგიგონია?!. მამა სად დაჰფლეს, ვინ იცის. დედა სად გარდაიცვალა, სად დაიმარხა, არც ეს ვიცოდი. მამიდაღა მყავდა და მესამე თუ მეოთხე კურსზე ვიყავი, ისიც გარდაიცვალა. აღარავინ დამრჩა ცოცხალი თუ მკვდარი. ადრე, სანამ მამიდა ცოცხალი იყო, ძირითადად, მის ბინაში ვცხოვრობდი, კარგი ბინა ჰქონდა. მერე ისევ ჩემს ხუხულაში მომიხდა შეყუჟვა... სტუდენტობა, გასაჭირი... მართალია, ძმაკაცები ბლომად მყავდა, მაგრამ სხვის ხარჯზე ყოფნა?.. როგორღაც გამქონდა თავი. მუშაობით, რა თქმა უნდა. არა, როგორ გამომადგა ის ხელობა, ჰა? ლითონის მხატვრული დაფარვა. ერთი ცომაშვილი[314] იყო, იმასთან ერთად დავაარსეთ ის სახელოსნო... ეს უკვე მეხუთე კურსზე ყოფნისას... მაშინ მიშა ქვათაძისაც[315] უნდა ვთქვათ, სახელოსნო იმან გაგვახსნევინა და იქვე მორჩა ჩემი მუშაობა... ვთქვათ, სად გვეჩქარება... ისე კი, ჩემი თბილისიდან წამოსვლა ქვათაძისთანა ხალხით გარემოცვამაც გამოიწვია - ერთ-ერთი ელემენტი იყო, ერთ-ერთი მიზეზი. ვირეშმაკა ქვათაძის მუხანათურ ხერხებს ხორიოკის აშკარა მოქმედება არ უნდა გერჩივნოს? ყველაფრის მკისრებელი კაცი იყო - ფული, სარგებელი! სხვა არაფრისა სწამდა. გულავარდნილი, იმედგაცრუებული, საცოდავი! კაცობრიობა ან სძულდა, ან სიძულვილის ღირსადაც არ სთვლიდა, მაგრამ პიროვნებაც რომ ნაღდად იყო? პიროვნება - ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. დახვრეტა ორჯერ მიუსაჯეს, ორივეჯერ დაიხსნა თავი, ხუთი წლის პატიმრობის ვადა აკმარებინა და მერე როდის - ათას ცხრაასოცდაჩვიდმეტ წელს! რომელიღაც უშველებელი მოსკოველი ფუნქციონერის საქმით მიათრევდნენ. თავი დააღწია, ხუთი მოიხადა, გამოვიდა, კიდევ ოთხი წელიწადი იჯდა... იჯდაო! იმისმა მზემ, გვერდები ტაიშეტის ბანაკებში ნარებზე გდებითა ჰქონდა დალილავებული. ავჭალის სემაფორს არ

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

გასცილებია, ორივე ვადა საქართველოში მოიხადა და ისიც საკითხავია, ბოლომდე თუ ნაწილობრივ?.. უმეტესწილად შინ ეძინა, ფუმფულა საწოლში... ავი ენები ამბობდნენ, - თავი სხვების ჩაყრით დაიხსნაო. ეგ არის, სხვათა ჩაგდებით გადარჩენა რაღაც ვერ წარმომიდგენია... მე თუ მკითხავს ვინმე, რომელიც გნებავს, სახელმწიფო ჩაგებარებინა, სხვაზე უკეთ გაუძღვებოდა. გველის ჭკუა ჰქონდა, მაგრამ ცხოვრება ისე მოუტრიალდა, თავის შესაძლებლობებს შესაფერი გამოყენება ვერ გამოუძებნა. ისიც საფიქრებელია, რომ შესაძლებლობათაგან სწორედ ის აკლდა, რომელმაც კაცი შორეული, მაგრამ ღირსეული მიზნის გზაზე უნდა დააყენოს. ასეა თუ ისე, გოგია წულუკიძემ ერთხელ მითხრა, - მიშა ქვათაძესთან შევიარე, შენზე მკითხა, რას აკეთებს, რით ცხოვრობსო. უამბნია, დაუსწრებელზეა, მეხუთე კურსზე, შემოსავალი არაფერი აქვს, უჭირსო. მიშა ქვათაძეს უთქვამს, ჩემთან მოვიდესო! ერთ დროს პატიმრობის ვადას სამთავე ერთად ვიხდიდით. მაშინ იყო, ჩვენი ბანაკის მამასახლისად რომ ითვლებოდა და ვადას საკუთარ ლოგინში კი იხდიდა. მივედი, ვისაუბრეთ. ახლა იგი საკმაოდ დიდი სარეკლამო სამსახურის უფროსად იყო. ვიღაცას უხმო, გამაცნო, - ეს კაცი ქაღალდის დამუშავების საამქროს უფროსია - დავით ბესიონიჩიო.[316] კეთილი და პატიოსანი. ეს ნაცნობობა იმით გაგრძელდა, რომ ქვათაძემ დავით ბესიონიჩს დუსტის კოლოფების ქართული და რუსული ტექსტი მოატანინა, - ეს ამხანაგი ამას გაასწორებს, ჩაგაბარებს და აუნაზღაურე ნამუშევარიო. დავით ბესიონიჩი წავიდა, მე ვთქვი, - ამას არაფერი უნდა, აქვე გავასწორებ-მეთქი. ქვათაძე კინაღამ გადაირია, - ამათ წერა-კითხვა სანახევროდ იციან, მაგისი არაფერი გაეგებათ, ორ კვირაზე ადრე რომ მოიტანო, კაპიკს არ მოგცემენო. დავუჯერე, ორი კვირის შემდეგ მივიტანე „ნამუშევარი". სტილისტიკასა და მართლწერაში დიდი პროფესორი არც ქვათაძე გახლდათ და, როგორც ხელმძღვანელ მუშაკს ეკუთვნის, რიხიანად იკითხა, - ხომ სწორად გაკეთეო? გავიღიმე. მაშინ მეცენატმა კვლავ ბესიონიჩს უხმო და კატეგორიულად უბრძანა, - ეს სტამბაში წაიღე და ამ კაცს სამი ათასი მანეთი მიეცი! დავაპირე მეთქვა, - აბა, მაგ ხუთი წუთის საქმეში სამი ათასი მანეთი როგორ წავიღო-მეთქი, მაგრამ

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ქვათაძემ დამასწრო, - საბოლოო ანგარიშს, რომ დაიბეჭდება, მაშინ გაუსწორებთო! დავით ბესიონიჩმა, - რა თქმა უნდა, რა თქმა უნდაო, და თექვსმეტი რიცხვისთვის დამიბარა - ხელფასების გაცემის დღეს... ეს თანხა სამ თვეს შემინახავდა. დიდება შენდა, ღმერთო!.. ბიჭო, ისევ გაუტიე? ქვათაძით დაიწყე და დავით ბესიონიჩში გადავარდი?.. დავით ბესიონიჩი მიშა ქვათაძის დასახასიათებლად მჭირდება. ნუ მიშლი! ასე იყო. მივედი დანიშნულ დღეს. სალაროს სეიფი ბუღ ლტერიის დიდ ოთახში იდგა, ხალხი მუმლივით ეხვია. დავით ბესიონიჩი არსად ჩანდა. მყუდრო ადგილი შევარჩიე. ეს იმ ალიაქოთში ადვილი როდი იყო, და ლოდინს, ვითარების შესწავლას შევუდექი. მოლარეს აბდულა[317] ერქვა, ძალიან დაკვირვებით, საქმიანად მოქმედებდა და, საერთოდ, იქაურობაში ფრიად დაძაბული ატმოსფერო სუფევდა. ოღონდაც! ფულის მიმღები თანხის მხოლოდ მცირე ნაწილს იდებდა ჯიბეში. დანარჩენს, ესე იგი, უდიდეს ნაწილს, ვიღაც კაცის პარკში სდებდა! ეს ადამიანები „მკვდარი სულები" იყვნენ, ხოლო პარკიანი კაცი - „ქაფის" ამკრეფი. პარკი შევათვალიერე - გამოტენილი იყო! მკვდარი სულები გალაგდნენ, აბდულამ პოზიცია დატოვა, ბუღალტერია დაიცალა, დავით ბესიონიჩი არ გამოჩენილა. ორი კვირა ვიყოყმანე, ამეღო თუ არა კუთვნილ-ნაჩუქარი თანხა და იმ ანდაზის თანახმად, რომელშიც „ქურდის ქურდი ცხონებულია", მომდევნო თვის ორ რიცხვში ისევ დავით ბესიონიჩს მივაშურე, - ნამეტანი მიჭირდა, ბოშო! - საჩოთირო შემთხვევებში იმერულ კილოს მივმართავდი ხოლმე. ამჯერად დავით ბესიონიჩმა მოწყვეტილი ვარსკვლავივით ჩამიქროლა, - ახლავე მოგიტანო, წამჩურჩულა და გაქრა. ასე გამეორდა შემდგომი თვის ნახევარშიც და მომდევნო თვის დასაწყისში. დებიტორს უკვე წინასწარ მომზადებული გეგმით ვეწვიე. დავით ბესიონიჩმა რომ ჩამოიქროლა, პიჯაკის ღილში ვწვდი, განზე გავიყვანე, თვალით „იმ კაცის" ფულით გატენილ პარკზე მივანიშნე და ვუთხარი, - აგერ, წაგართმევ, წავიღებ და შენმა თავის გახეთქვამ, მილიცია არ გამომიყენო-მეთქი! დავით ბესიონიჩმა ჯიბიდან ხუთთუმნიანების თოქმა დასტა ამოიღო, რამდენიღაც მოაკლო, - სამი ათასი მანეთიაო, - მომცა და თავის გზაზე გასწია. მეც გავწიე, მაგრამ შინ მისულმა ფული რომ

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

დავითვალე, ორმოცდაათი მანეთი აკლდა! შემდგომში, როცა იმავე დაწესებულებაში ზემოხსენებული საამქრო დავაარსეთ, დავით ბესიონიჩთან მეგობრული ურთიერთობა ჩამომიყალიბდა. ზაფხულის ერთ საღამოს მთაწმიდაზე უცხოელ სტუმრებს ვმასპინძლობდით, სიტყვამ მოიტანა თუ როგორ იყო, ვკითხე:

– ბესიონიჩ, თუ ძმა ხარ, მითხარი, იმ სამ ათას მანეთში ხუთი თუმანი რატომ დამაკელი? შემეშალაო, – არ მითხრა, არ დაგიჯერებ.

ბესიონიჩი ქეიფიანად იყო, გულწრფელობამ სძლია და განმიმარტა:

– იმ დღეს ხუთი თუმანი ნაღდი შევიტანე ოჯახში. ხუთი თუმანი რომ შეიტანო, ათი უნდა იშოვნო – ეს ერთი. ორი თვე იყო ის ფული ჩემთან, ხომ? ორ თვეში იმ ფულმა ფული მოიგო კიდევ – ეს ორი, და ახლა, ისიც უნდა იცოდე, სხვისი ფული შენ რომ გაქვს, ეცადე, რაც შეიძლო, მეტხანს გქონდეს. – ბესიონიჩმა ტაფობში მობდღვიალე ქალაქისკენ გაიშვირა ხელი. – ხომ ხედავ, რამხელა ქალაქია ეს ქალაქი? რამდენი რამე ემუქრება ადამიანის სიცოცხლეს?.. ნუ იჩქარებ მიცემას, რა იცი, რა ხდება ხვალ?

ჯერ განცვიფრებულმა ვუყურე თანამოსაუბრეს და, გონს რომ მოვეგე, გულიანად გადავიხარხარე.

ბესიონიჩმა თანაგრძნობითა თუ სინანულით მითხრა:

– შენ არასოდეს არ გექნება ფული!

ასეთი ხალხით იყო გარშემორტყმული მიშა ქვათაძე. ასე ჰქონდა საქმე დაყენებული! გორა-ბატონო, ბოდიშს ვიხდი ძირითადი სათქმელიდან ესოდენ ვრცელი და ხანგრძლივი გადახვევისათვის, მაგრამ, აი, შენ თვითონ სთქვი, ბესიონიჩის ამბავი რომ არ მეამბნა, კარგი იქნებოდა?.. არ იქნებოდა კარგი!..

მაშინ განვაგრძოთ. მიშა ქვათაძემ შემდგომში მომთავაზა – ერთი კაი, შემოსავლიანი საქმე თუ გაქვს რაიმე, მოკიდე ხელი, დასაბანდებელ ფულს მე გასესხებ და ყოველთვიური შემოსავლიდან ნელ-ნელა დამიბრუნებო. გამიხარდა, ქვათაძემ წილი მიყიდა – ოცდახუთი ათასი გაიღო, ამხანაგიც ვიშოვნე, ვანო ცომაშვილი, რომელმაც თავისი წილი ოცდახუთი შემოიტანა და საქმეც დაიძრა. ლითონის მხატვრული დამუშავების საამქ-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

რო დავაარსეთ. წარმოების გამართვას სამი თუ ოთხი თვე მოუნდა და პირველივე შემოსავლიდან ქვათაძის ვალის გასტუმრება დავიწყე. ვალი ექვს თვეში გადავიხადე. ეხლა კი თავისუფლად ამოვისუნთქავ-მეთქი, ვიფიქრე, მაგრამ „კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო", ამ ქართული ანდაზის გენიალობაში სულ მალე დავრწმუნდი. ზაფხულის ერთ საამურ და ალერსიან დილას საამქრო დალუქული დაგვიხვდა! ცოტა ხანში სოციალისტური საკუთრების დატაცებასთან ბრძოლის განყოფილების გამომძიებელი თანმხლები პირებითურთ მობრძანდა - ესენი მუშები იყვნენ - და რწმუნების საბუთები წარმოგვიდგინა ყურებჩამოყრილ კომპანიონებს. ჩამოიხსნა ლუქი, დაიწყო „მატერიალურ ფასეულობათა" აღწერა. მუშები ზლაზვნით შეუდგნენ მასალებისა და ნედლეულის ერთი ადგილიდან მეორეზე ტარებას. დანაკლისისა და მეტობის აღმოჩენის დაუოკებელ წყურვილს არც თვით გამომძიებელი ამჟღავნებდა, რაც მე და ჩემს კომპანიონს არ დაგვრჩენია შეუმჩნეველი, მაგრამ ძნელი დასადგენი იყო, თუ რას ნიშნავდა ყოველივე ეს. გამომძიებელმა მეორე დღეს თავად დაიწყო კონტაქტების ძებნა, რამდენიმე კაცი გვიხსენა, - ამასა და ამას თუ იცნობთო? დასახელებულები ბავშვობიდანვე ჩემი ახლო ამხანაგები იყვნენ! ამ ფაქტმა იმედი ჩაგვისახა, რომ გამომძიებელთან საერთო ენის გამონახვა მოხერხდებოდა. მოხერხდა კიდეც და, აი, რა გამოირკვა: მიშა ქვათაძეს რაიონის მილიციის უფროსისთვის ოცდაათი ათასი მანეთი მიუცია, - ჩემი დაწესებულების ესა და ეს საამქრო დაბომბე, ისინი მე მომაკითხავენ, - გვიშველეო, და ამ, ვითომდა, ხსნაში მათ სამოცს წავართმევო. მამაძაღლს ფული აკლდა? მილიციის უფროსმა სოციალისტური საკუთრების დატაცებასთან ბრძოლის განყოფილების უფროსს მიანდო ოპერაციის ჩატარება და დავალებას ათი ათასი მიაყოლა. განყოფილების უფროსმა ამ ჩვენს გამომძიებელს არაფერი უწილადა. გამომძიებელი მიხვდა, რომ უფროსები უმცროსის ხელით გლეჯდნენ ნარს და პირში ჩალაგამოვლებულს სტოვებდნენ. გამომძიებელმა მათი ასეთი საქციელი პროფესიული ეთიკის უხეშ დარღვევად მიიჩნია, შურისძიება განიზრახა, მაგრამ ვერ მოესაზრებინა, რა გზას დასდგომოდა. ახალგაზრდა ვიყავი, მდიდარი ფანტაზია მქონდა და „ხარი ხარ-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თან დააბი, ან ფერს იცვლის, ან ზნესაო“, ნათქვამი რომ არის, აქედან გამომდინარე, გადავწყვიტე, მიშა ქვათაძის ვირეშმაკობაზე ხელი მომეთბო და, ამასთან ერთად, ჩემი ყოფილი მეცენატისთვის დამემტკიცებინა, რომ ავკაცობას ჭკუა კი არა, უნამუსობა უნდა. „კაცი მყავდა“. ეს ტერმინი საქმოსნების სამყაროში შეიქმნა. იგი უკიდურესად კონსპირირებულ, მაღალი თანამდებობის მფარველს ნიშნავს და ასეთი „ვაჟა სპირიდონიჩი“ თუ „იაკობ სოლომონიჩი“ საქმოსანს ყოველთვიურ ჯამაგირზე ჰყავდა. საქმეს გააჩნია, დროდადრო ისინი რაიმე მსხვილი საშოვრის წილშიც გაჰყავდათ. ჩემი „კაცი“ შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთობ მნიშვნელოვანი ფუნქციონერი კი იყო, მაგრამ მე მასთან ამგვარი საქმეები არასოდეს მქონია, იმ კაცს, საერთოდ, უმწიკვლო, უანგარო პიროვნების სახელი ჰქონდა და არსებობდა საშიშროება, ბავშვობის ძმაკაცს, არამცთუ დამეხმარებოდა, არამედ საქმის ყველა მონაწილესთან ერთად მიმცემდა პასუხისგებაში... საამქროში მუშებს ფურცლოვანი ალუმინი და კუთხოვანი ფოლადი აქეთ-იქით დაჰქონდათ, გამომძიებელი ცდილობდა, შთაბეჭდილება მოეხდინა, რომ საქმეს უკიდურესი კეთილსინდისიერებით უძღვება, ხოლო მე ჩემი პრობლემა მაწვალებდა - მივსულიყავი თუ არა იმ კაცთან. მიშა ქვათაძე სიცოცხლის ნიშანსაც კი არ ამჟღავნებდა, არათუ ჩემთვის და ჩემი ამხანაგისთვის ფული მოეთხოვა. ჩასაფრებული იყო - თავისი ფეხით მოვლენო! საამქროში, პრაქტიკულად, არც დანაკლისი იყო, არც მეტობა, მაგრამ აღწერის ოქმში ერთიცა და მეორეც დიდი რაოდენობისა ჩაიწერა. ასეთ საბუთსა და, მასთან ერთად, მიშა ქვათაძესთან მუხლის ჩოქით მიუსვლელობას, ადვილი შესაძლებელი იყო, კომპანიონები ჯერ ქალაქის მილიციის საპატიმროში და მერე ორთაჭალის საგამოძიებო ციხეში მივეყვანეთ. დრო არ ითმენდა. „წინ წყალი, უკან მეწყერიო“, - სწორედ ასეთი იყო ვითარება და მე შესაძლო მეწყერი ვარჩიე, „ჩემ კაცთან“ მივედი. კაცი ამგვარ საქმეებშიც გულისხმიერი აღმოჩნდა, ყურადღებით მომისმინა და, ჩემი აღსარება რომ დავასრულე, იმდენი იცინა, ვინმეს ეცქირა, შეშინდებოდა, - ნაკერავებზე არ გაირღვესო. ფუნქციონერი, როგორც იქნა, დამშვიდდა, ცოტა ხანს იფიქრა და სთქვა:

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

- ძალიან ნიჭიერი კაცია ეგ მამაძაღლი ქვათაძე! ისეთი რა ოინი იქნება, მაგან რომ არ მოიგონოს? არაფერია, ეშველება მაგ საქმეს...

„ჩემმა კაცმა“ შემდგომი მოქმედების გეგმა კი არ დამისახა - დამასწავლა. მეორე საღამოს მიშა ქვათაძე უკვე „მისმა კაცმა“ დაიბარა და აცნობა, რომ მავანი ფუნქციონერისთვის მილიციის უფროსთან ჩალაგებული ხრიკი ცნობილია, საქმის აღძვრას აპირებს, მაგას, შენთან ვიღაც კარგარეთელი რომ მუშაობს, იმის მეტი ვერავინ მიუდგება, ზომები მიიღეო! ქვათაძემ ბევრი იფიქრა თუ ცოტა, დამიბარა და გამომკითხა, - მავან კაცს საიდან და რამდენად იცნობო? მე, - აქედან და ამდენად-მეთქი; ისე ვუთხარი, როგორც „ჩემმა კაცმა“ დამასწავლა. მაშინ ქვათაძემ მთხოვა, - მიმეგზავნე, თავად იცის, რაზეც ველაპარაკებიო. „მივეგზავნე“! დავბრუნდი - ას ათასს თხოულობს-მეთქი. მოაკლო მიშა ქვათაძემ რომელიღაც ნაკლულ მილიონს ასი ათასი მანეთი! ფინალი ასეთი იყო: შინ ვესტუმრე მიშა ქვათაძეს, ვისაუბრეთ, თითო ჭიქა ღვინო დავლიეთ. წამოსვლისას თხუთმეტი ათასი დავუდე...

- რა არის, გორა, ეს?

- შენი ასი ათასის ნარჩენია. შემეძლო, არ მომეცა, მაგრამ მადლს გადახდა უნდა. ხელი გამიმართე და გეკუთვნის.

- ჩემი ასი ათასის?

- დიახ. აქედან ოცდაათი გამომძიებელს მივეცი, ინფორმაციაში ეკუთვნოდა; ოცდახუთი მე მერგება - ჩემი წილის ღირებულებად ვიტოვებ, საქმიდან გავდივარ. დანარჩენი მჭირდება, სანამ სხვა საქმეს დავიწყებდე... შენ ჩემთვის გაუგებარი კაცი ხარ. სიკეთე მიქენი - გაუგებარი იყო. ბოროტება დამიპირე - ესაც გაუგებარია. ასე გაგიჭირდა?.. ბედნიერად!

წასვლა დავაპირე. ქვათაძემ შემაჩერა და მითხრა:

- ბანაკში შეძენილი პრინციპებით ვერ იცხოვრებ აქ! უანგარო, წმინდა და პატიოსანი აღარაა არაფერი. ეს რომ არ ვიცოდი, მეორე ოთხი წელიწადი მაგისთვის ვიჯექი სწორედ. იმუშავე ჩემთან. ნიჭიერი კაცები მჭირდება!..

გრძლად კი გამომივიდა, მაგრამ საკითხავია, ასეთი გარემოცვა საქართველოში ჩემს დარჩენას ხელს შეუწყობდა?!. წამო-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ვედი ქვათაძისგან, ფული კარგა ბლომად დამრჩა, მაგრამ რამდენ ხანს გამყვებოდა... ერთი რამეც იყო - სულ მითვალთვალებდა, ეგრეთ წოდებული, ორგანოები. რამდენჯერ შემინიშნავს - ამეკიდებოდა ვიღაც მამაძაღლი, დამდევდა... ნეტავი, რისი იმედი ჰქონდა, დამივარდებოდა რამე და აიღებდა? ესაც ნუ იქნება, დაუსწრებელზე ვიყავი, მაგრამ ინსტიტუტში ჩემი გამოჩენა იყო და საიდან, როგორ, სპეცნაწილის უფროსი დამიძახებდა ხოლმე. არ მივსულიყავი - არ იქნებოდა, ყოველ შემთხვევაში, ასე მეგონა... დამიწყებდა გამოკითხვას - დაუსწრებელზე რატომ ვარ; საზღვარგარეთ ვინ მყავს; რისთვის ვიჯექი; რეაბილიტირებული რატომ ვარ; ვინ არიან ჩემი ამხანაგ-მეგობრები; რატომ დროის იმ მონაკვეთში არ დავამთავრე, რაც სრული კურსის გავლასა და დიპლომის დაცვას სჭირდებოდა, და სხვა ასეთები... სხვათა შორის, დიპლომის აღება რომ დამიგვიანდა, ნაწილობრივ, ამის გამოც იყო - მეჯავრებოდა ინსტიტუტში სიარული. ერთი გარემოებაც მიშლიდა ხელს - კურსზე ახალგაზრდობა იყო, თეთრი ყორანივით ვერიე კარგა ხნის, უკვე დაკაცებული სტუდენტი... ბოლო ორი წელიწადი მაინც ძალიან გამიჭირდა - ხანდახან ვშიმშილობდი კიდეც. ახლა კიდევ ერთი რამ: მე რომ დავბრუნდი, უამრავი ძმაკაცი დამხვდა თბილისში. იმ შვიდი წლის მანძილზე, რაც მე ინსტიტუტის დამთავრებას მოვანდომე, ნახევარზე გაცილებით მეტი დაიხოცა. მიდიოდნენ და მიტოვებდნენ მოუშუშებელ წუხილს, სევდასა და მწარე მოგონებებს. ნამდვილი ადამიანები მიდიოდნენ, ახვრიონი რჩებოდა... მე სრულებითაც არ მინდა იმის თქმა, თითქოს ამხანაგ-მეგობარი აღარავინ მყავდა, მაგრამ წასულებს ჩემს გულში, გასაგები მიზეზების გამო, საგანგებო ადგილი ჰქონდათ... აი, კიდევ ერთი მაგალითი, თუ რა ვითარება იყო: ჯერ კიდევ ოცდაათიან წლებში თბილისში ირანის საკონსულო იყო. ირანის კონსულის შვილს ახმედი ერქვა[318] და გერმანულ სკოლაში სწავლობდა. საკონსულოები გააუქმეს, ახმედი მამასთან ერთად წავიდა. ჩვენი ძმაკაცი იყო, დიდის ამბით გავაცილეთ. სად ისწავლა, რა ისწავლა, ერთმა ღმერთმა იცის. დიდი დრო გავიდა, ახმედ მირფენდერესკი ირანის ელჩად დაინიშნა მოსკოვში. ეს უკვე ჩემი პატიმრობის დროს იყო. ახალი დაბრუნებული ვიყავი, საბჭოთა კა-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ვმირში, აღარ მახსოვს, შაჰის დედა თუ და ჩამოვიდა. იგი თბილისსაც ესტუმრა. სხვებთან ერთად ირანის სრულუფლებიანი ელჩიც ახლდა. უკეთ ვთქვათ, ელჩი იყო პირველი ფიგურა. მაშინ კომუნისტურ მთავრობას წესად ჰქონდა, უცხოეთიდან ჩამოსულებს ზარ-ზეიმით უხვდებოდნენ - გამოჰყავდათ მთელი შემადგენლობით დაწესებულებები ჩამოსული სტუმრის ქვეყნის პატარა დროშებით, ტაშითა და შეძახილებით უწყობდნენ შეხვედრას. ერთ-ერთი ასეთი დაწესებულების, კერძოდ, მუშტაიდის პარკის დირექტორად იმ დროს, წარსულში ჩეკისტი, ერთი იმათთაგანი, ვინც პირველად დამპატიმრა კინოთეატრ „სპარტაკში" - იულიკა ხვინგია[319] იყო, ბავშვობაში, აგრეთვე, გერმანული სკოლის მოსწავლე. არ ვიცი, ჩეკისტობიდან პარკის დირექტორობამდე ჩამოქვეითებული რისთვის ბრძანდებოდა. დგას იულიკა ხვინგია თავისი პარკის მოსამსახურეებითურთ ირანის პატარ-პატარა დროშებით ხელში. გამოვიდა დელეგაცია, დაინახა ახმედ მირფენდერესკიმ იულიკა, ეცა და გადაეხვია. ამდენი წლის შემდეგ იცნო! სანამ სამთავრობო დარბაზში შაჰის დედასა თუ დას ოფიციალური პირები ელაპარაკებოდნენ, ტელევიზია მუშაობდა, ახმედ მირფენდერესკიმ იულიკა ხვინგიას წვრილად გამოჰკითხა ბავშვობის ამხანაგ-მეგობრების ასავალ-დასავალი, რაღაც ქაღალდში ჩაიხედა და უთხრა, დაუძახე ყველას, ხვალინდელი საღამო თავისუფალი მაქვს, სუფრასთან გავატაროთ, ბავშვობა და ყრმობა გავიხსენოთო! თავისი ადგილსამყოფელი და ტელეფონის ნომრები მისცა - რა თქმა უნდა, წინასწარ იცოდა, და დელეგაცია თავის გზას დაადგა. იულიკა ხვინგიამ ამირან მორჩილაძეს დაურეკა, ასე და ასეა, როგორ მოვიქცეთო. ამირანმა მიუგო, ნაჩეკისტარი კაცი ხარ, შენ უფრო იციო. ამით დასრულდა ყველაფერი. ახმედ მირფენდერესკი, ალბათ, ამაოდ ელოდა ზარს... ასეთი ვითარება იყო - ვის გაგაკარებდნენ. მეორე, თითქმის ასეთივე შემთხვევა: თავის დროზე, ერთ-ერთ ბანაკში ჩვენთან ერთად დამნაშავე გერმანელი ოფიცრების კარგა დიდი ჯგუფი იჯდა. მოგვიანებით კიდევ ერთი კაცი მოიყვანეს - ვენის უნივერსიტეტის რუსული ენისა და ლიტერატურის კათედრის ყოფილი გამგე. რუსულს მშვენივრად ლაპარაკობდა და იმ გერმანელი ესესელებისგან თავი შო-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

რს ეჭირა, უფრო ჩვენთან ურთიერთობდა. ფრიდრიხი[320] ერქვა, ფრიცს ვეძახდით. ჰიტლერს რომ გაუჭირდა, ებრებიც წაიყვანა ჯარში, მათ შორის — ფრიდრიხიც. არც გვიკითხავს და არც თავად ამბობდა, რისთვის იჯდა. უკვე სხვა ბანაკში გავიგე, ათას ცხრაას ორმოცდათხუთმეტი წლის ჩვიდმეტი სექტემბრის ამნისტიით გათავისუფლებულიყო. ეს ამნისტია ადენაუერის ჩამოსვლის შედეგად გამოვიდა და შეეხო იმ გერმანელ და არაგერმანელ ტყვეებს, ვისაც სამხედრო დანაშაულში, ანუ ძალადობაში არ ედებოდა ბრალი. ფრიცი ჩემთან მეგობრობდა, ვეშველებოდი საკვებითა და რითაც შემეძლო, ცხადია, სანამ იმ ბანაკიდან გადამიყვანდნენ, თუ - „გლეჯით" გაქცევის შედეგად დავშორდით, აღარ მახსოვს. ეს კი იყო, ყოველ შემთხვევისთვის, ერთმანეთის მისამართები ვიცოდით. გავიდა წლები. დავბრუნდი რეაბილიტაციით, ინდუსტრიული ინსტიტუტის სტუდენტი ვარ, მგონია, ბოლო კურსის. გაზეთები აყაყანდნენ, მოსკოვს ავსტრიის პრეზიდენტი ესტუმრაო. ის პრეზიდენტი თბილისსაც ეწვია. მიიღეს დიდი პატივით. ფრიცი გახლდათ!.. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარესთან მიღებაზე იყო. როცა თავმჯდომარე ჩვენი რესრუბლიკის შესახებ ლაქლაქს მორჩა, ავსტრიის პრეზიდენტმა სთხოვა, თუ შეიძლება, იქითა კორპუსში, ანუ მინისტრთა საბჭოს შენობაში, გადავიდეო. რა თქმა უნდა, დათანხმდნენ, თავად თავმჯდომარეც კი გადაჰყვა. შევიდნენ კორპუსის ვესტიბიულში. პრეზიდენტმა მიიხედ-მოიხედა, კიბეს მესამე სართულზე აჰყვა, რომელიღაც ოთახთან გაჩერდა, იკითხა, თუ შეიძლება, შევიდეო?.. შევიდა, ჩინოვნიკებს მიესალმა, ძირს დაიხედა და სთქვა: ეს პარკეტი ჩემი დაგებულიაო!.. ჩემთვის ამ ამბის შემდეგღა გაირკვა, თუ რისთვის იჯდა ფრიცი ბანაკებში. ტყვედ იყო, იმ კორპუსის მშენებლობაზე მუშაობდა, სადაც თავისი დაგებული პარკეტი იცნო, საბჭოთა წყობილების მიმართ უკმაყოფილება გამოსთქვა და აკი მიაბრძანეს კიდეც ბანაკში. როგორც შემდგომში გავარკვიე, ვუკითხივარ, - ასეთი და ასეთი კაცი ჩემი მეგობარი იყო, იქნება შემახვედროთო. დაუმალეს, არაფერი ვიცითო! ესაც საერთო ვითარების დასახასიათებლად გავიხსენე.

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ერთიხანობა ისე ამიცრუვდა გული იქაურობაზე, გარემოცვაზე, ჩემი მეგობრებისგან დაცარიელებულ ქალაქზე, რომ ჩემს, უკვე თბილისში შეძენილ ახლო მეგობართან, რეზი თვარაძესთან[321] მივედი. მივედი და ვუთხარი: რეზი, ძმაო, აღარ შემიძლია, ჯანდაბას ინსტიტუტი, აქ ცხოვრება ჩემთვის წამების მეტი არაფერია. იცი, განათლება არ მაკლია, სადმე სოფელში ქართული ლიტერატურის ან ისტორიის მასწავლებლობას ხომ შევძლებ. მომაშორე აქაურობას, ამ გარემოცვას, ამ ხალხს-მეთქი. რეზი დაფიქრდა და პატარა ხანს მერე მითხრა, შენ გგონია, საცა მიხვალ, იქ უკეთესი ვითარება და ხალხი დაგხვდებაო!.. ეგ იყო. მივაწექი სწავლას, ავიღე დიპლომი და, განაწილების თანახმად, ურენგოიში გადმოვედი. მაშინ წესი იყო, განაწილებით საქართველოდან წასულებს ფართი ენახებოდათ. მქონდა ჩემი ხუხულა თბილისში, შვებულებით რომ ჩამოვდიოდი, ჭერი მხვდებოდა... რა იცის, კაცმა, ჩემი ხუხულა იქნება ისევ ჩემზე ირიცხება?!. ერთბაშად არ გამოეცხადო სახლმმართველს... რა ერქვა იმ მამაძაღლს?.. ერქვაო?.. ის ეხლაც სახლმმართველია, ალბათ, მაგრამ ჩვენ - რა? ჰო, ალექსანდრე ერქვა, სანდალას ეძახდნენ... სხვა სანდალა, შახპარუნოვი[322] გახსოვს?.. როგორ არა, იმ ბოლო შვებულების დროს არ იყო?.. კი, საცოდავი, უკვე ღრმად მოხუცებული სანდალა შახპარუნოვი რიყეში შემხვდა, როგორ მიცნო, კაცო?!. ჩემს ახალგაზრდობაში, სანამ პირველად დამიჭერდნენ... ჰო, ჯარიდან დაბრუნების შემდეგ იყო, გასტრონომში ნოქრად მუშაობდა, იქიდან ვიცნობდით ერთმანეთს... შემხვდა რიყეში, რაღაც საწყობი თუ დუქანი ჰქონდა... არა, მაკულატურის მიმღები პუნქტი. შემეხვეწა, შემომყევი ერთი წუთითო. იქვე იყო, შევყევი. სადაც მაკულატურას იბარებდა, უკანა ოთახის კედლები ლექსებით ჰქონდა აჭრელებული. მანახა, - ერთი წაიკითხე, თუ მოგეწონებაო. თურმე, სიბერეში ლექსის წერა დაეწყო. საკმაოდ რიგიანი ლექსები იყო, ოთხი კედელი ლექსები! როგორია? ვაქე, ვადიდე და წამოვედი... ეჰ. ურენგოი, ურენგოი!.. კარგი დღეები მეტი მქონდა, ვიდრე ცუდი და გაუსაძლისი... დავდიოდი, როგორც მომეხასიათებოდა. ხან თბილისში შვებულებით, ხან მოსკოვსა თუ ლენინგრადში, ხან მარტო და ხან იმ მამაძაღლთან ერთად... ესპანეთი გახსოვს?..

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ესპანეთში მარტო ვიყავი, იმ ოხერ ქალთან ურთიერთობაში სიცივე რომ შემოიპარა... რა საოცარი ხალხია. დიდი და თავისებური ერია... მადრიდში რაღაცნაირი მეტროპოლიტენი იყო - ახალი და ძველი. მახსოვს, ძველიდან ახალში უნდა გადავსულიყავი, რომ საჭირო მისამართისთვის მიმეგნო. ვიღაც ესპანელს ვკითხე, როგორ გადავიდე-მეთქი? წამომყვა, ბარე ორი კილომეტრი მატარა, სანამ იქ მოვხვდი, სადაც მჭირდებოდა. ეს პირველი დღეები იყო, მერე მანქანა გამოვიყვანე ქირით. მანქანით მოვიარე მთელი ესპანეთი. თვეზე მეტხანს დავყავი... ის კაცი, სათამაშო ავტომატს ჩხუბი რომ დაუწყო?.. ეგ ანდალუზიაში იყო... ბარში ვსაუზმობდი, ვიღაც შემოვიდა, სჩანს, აქაურობის ხშირი მუშტარი, შინაური, მიესალმნენ, ისადილა, გადაიხადა, ხურდა მისცეს. სათამაშო ავტომატთან მივიდა. მონეტა ჩაუშვა, წააგო და მუშტი დაუქნია. მეორე მონეტა რომ წააგო, აღშფოთდა. მესამის წაგებაზე კინაღამ გადაირია, ავტომატს სიტყვით დაუწყო ლანძღვა და ბარში ვინც იყო, ყველამ ერთხმად დაუჭირა მხარი, თითქმის ყველამ გალანძღა სათამაშო ავტომატი - ბავშვური და წმიდათა წმიდა გულუბრყვილობა!.. სევილიაში მანქანა სადგომზე გავაჩერე, სასტუმროსკენ გავეშურე. სიცხე იყო, სამხრეთული სიცხე-პაპანაქება. გოგონა მოდიოდა, - რა დედამ გშობაო, რომ იტყვიან, ისეთი. თვალი მომტაცა, მივაჩერდი. გამიარა. თვალი გავაყოლე - ხუთ ნაბიჯში იყო. გოგონაც შემობრუნდა, მითხრა, - მუჩას გრასიას, სინიორ! მიტრიალდა და წავიდა... მოიცა, კაცო, მერამდენე დღეა, რაც ვასიუგანის სათავეებიდან მოვდივარ?.. მესამე, არა?!. კარგი ადგილია, ბანაკი მოვიწყოთ, გავათენოთ. ხვალ რა გავიხსენოთ? ხვალა?.. გაქცევები - მესამე, სამოცდათხუთმეტი წელი რომ მოვაგროვე, და მეოთხე, რვა წელიწადი რომ მივიღე. ის ხომ მხოლოდ ცდა იყო... მაგაებზე ვიფიქროთ...

მიტილენიჩი სანცოვის მისაღებში იჯდა, სამოქალაქო ტანსაცმელი ეცვა, დაძახებას ელოდა. სანცოვს მოქალაქეთა მიღება ჰქონდა, ხალხი ბლომად იყო. დიდი ხნის ლოდინი მოუხდა. როგორც იქნა, მოუწია რიგმა, დაუძახეს. შევიდა.

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

- დაბრძანდით. გისმენთ. თუ შეიძლება, ძალიან მოკლედ ბრძანეთ, ზღვა საქმეები მელის.

- საღამო ხანია, ღამეც მუშაობთ?

- ხანდახან მთელი დღეღამე. ბრძანეთ, ბრძანეთ!

- მოკლედ, არა?.. ინებეთ. თქვენ ურენგოიში მომარაგება-გასაღების სამმართველოს უფროსის თანამდებობა გეკავათ, არა?

- დიახ, მაგრამ თუ იქაურ საკითხზე ხართ მოსული, ჩემს მაგივრად ახალი კაცია და იმასთან მოგიწევთ მისვლა.

- სწორი ბრძანებაა. საქმე ის არის, რომ მე თქვენი ერთი იქაური საკითხი მაინტერესებს, - მიტილენიჩმა „იქაური" ხაზგასმით სთქვა.

- ვინ ბრძანდებით, ბრძანეთ, თუ შეიძლება.

მიტილენიჩმა მოწმობა მაგიდაზე დაუდო. სანცოვმა ტექსტი ჩაიკითხა:

- ძებნის უფროსი, პოლკოვნიკი... რიგს რატომ ელოდებოდით, მოგეხსენებინათ მდივნისთვის... ურიგოდ მიგიღებდით. ძებნის უფროსი!.. ვის ეძებთ?..

- ბანაკიდან გამოქცეულ პატიმარს, გვარად კარგარეთელს, რომელსაც იაგორი ჰქვია, მაგრამ დამნაშავეთა სამყაროში გორად არის ცნობილი... თქვენთვისაც გორა იყო!

სანცოვი ჩაფიქრდა და კარგა ხნის შემდეგღა სთქვა:

- საშინელი კაცია, ტიპური ბოროტმოქმედი, საშიში პიროვნებაა, უაღრესად საშიში!..

- მე ვიტყოდი - რთული და მოუხელთებელია და არა საშიში. პროფესიული მარბენალია. თქვენ იცით, რა არის მარბენალი?

- ვიცი, კარგად ვიცნობ თავად კარგარეთელს. ერთ დროს ერთ ტრესტში ვმუშაობდით, კვალიფიციური ინჟინერია, მაგრამ ადამიანი, რომლისგანაც უკიდურეს საქციელსაც კი უნდა მოელოდე.

- ნაწილობრივ მართალი ბრძანდებით, - დაუდასტურა მიტილენიჩმა. - ეხლა საქმე, ბატონო სანცოვ! თქვენი მოცადეობით განაჩენის გამოტანის შემდეგ, ვიმეორებ - თქვენი მოცადეობით, ბატონო სანცოვ, კარგარეთელმა თავი ამოჰყო ისეთ იმიერპოლარულ ბანაკში, საიდანაც აღარ ბრუნდებიან. ყოველ შემთხვევაში, გრძელვადიანები, და პატიმართა სამყარომ ამ ბანაკს

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

„Тупик контрреволюции“ შეარქვა. ვფიქრობ, ეს სახელი გულაგის რომელიმე თანამშრომელმა გამოიგონა და ავტორობა შემდგომში პატიმრებს მიეწერათ. ასეა თუ ისე, კარგარეთელი აღნიშნულ ბანაკში გამწესებულ იქნა იმ განზრახვით, რომ ველარ დაბრუნებულიყო, ანუ იქ დაესრულებინა თავისი მოუსვენარი სიცოცხლე.

– ჩემი მოცადეობით?.. – აღშფოთდა სანცოვი. – რა შუაში ვარ? რომელი განმანაწილებელი ციხის უფროსი მე მნახეთ?..

– თქვენ არა, ბატონო ფელიქს სანცოვ, თქვენი ძმა, ვალერი სანცოვი, იყო ირკუტსკის განმანაწილებლის უფროსი. სპეციალური ავიარეისით ჩამოიყვანა კარგარეთელი, ცხადია, სახელმწიფოს ხარჯზე, განსაკუთრებული რეჟიმის ბანაკში მაშინ, როდესაც კარგარეთელს სხეულის დაზიანების მუხლით და სასაცილო სასჯელით მსუბუქი რეჟიმის ბანაკში უნდა მოეხადა ვადა...

– არა, ბატონო პოლკოვნიკო! ირკუტსკის განმანაწილებელმა, და არა ჩემმა ძმამ, იმ ბანაკში ჩამოგიყვანათ კარგარეთელი, როგორც პროფესიული მარბენალი. სწორედ მაგ ან მაგგვარ ბანაკში ერგებოდა ვადის მოხდა...

– აი, ბატონო სანცოვ, რა სრულყოფილად გცოდნიათ კარგარეთლის ასავალ-დასავალი... მაგრამ ამაებს ჩემთვის, როგორც ძებნის უფროსისთვის, გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს. ჩვენთვის, ორივესთვის, მნიშვნელობა აქვს იმას, რომ კარგარეთელი გამოიქცა, ხუთი თვე იარა და ამჟამად თქვენი „ოტრადის“ სიახლოვეს იმყოფება. გასაგებია?!

– „ოტრადაში“ რა საქმე აქვს, „ოტრადაში“ რა უნდა!.. – წამოიყვირა სანცოვმა.

– ვერ გეტყვით. თქვენ არ ბრძანეთ, უაღრესად საშიში პიროვნებაა?!. რა ვიცით, რა ვიცით.

სიჩუმე კარგა ხანს გაგრძელდა. სანცოვი ფიქრობდა, მიტილენიჩი გუნებაში მარჩიელობდა, – ნეტავი, რას იტყვისო.

– თქვენ ბრძანეთ, „ოტრადის“ მიდამოებშია ამჟამად კარგარეთელიო. ესე იგი, უთვალთვალებდით და იცოდით, რა გზით მოდიოდა... ხუთი თვე ზამთარში, იმ განედებში...

– დიახ, არავის გვეგონა, რომ გამოაღწევდა. გამოაღწია!

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

- არა, თუ იცოდით, რა მიმართულებით მოდიოდა, ვერ აიყვანეთ ან ვერ გაანადგურეთ?!.

- კარგარეთლის განადგურება ბატონმა ვალერი სანცოვმა დაავალა, აგრეთვე, პროფესიულ მკვლელს, მეტსახელად „ჟუკს“... ვერაფერი გამოუვიდა, ეგ ჩვენ ჩავშალეთ. ვიცოდით, ბატონ ჟუკს რაც ჰქონდა დავალებული. პირადად მე ვესაუბრე და, გამოტეხის საფასურად და პატივისცემის სახით, მორდოვეთის ბანაკებში გადავაბარგეთ. ალბათ, გესმით, რომ ბანაკში მომხდარი ყოველი მკვლელობა ადმინისტრაციას სუსტ მუშაობად და დანაშაულადაც კი ეთვლება. არ დავუშვით და სწორედ ამას შეეწირა თქვენი ძმა ვალერი სანცოვი. იგი ამჟამად ჩადენილი დანაშაულის უარყოფის წყალობით მხოლოდ დაქვეითებულია, დანაშაული ვერ დაუმტკიცდა და რეჟიმის უფროსად არის ქვემო ამურის სამმართველოს ერთ-ერთ ბანაკში... ბატონო სანცოვ, ჩემი აზრით, თქვენი ცა საკმაოდ მოიღრუბლა. რას იტყვით?!.

- როგორ, თქვენ გგონიათ, რომ კარგარეთელი ჩვენს მოსაკლავად გამოიქცა?

- ჩვენო, მრავლობითი ფორმა იხმარეთ. სხვას ვის გულისხმობთ?

- პოლინა ცეზარევას. ჩვენ ორთავეს მიმართ ჩაიდინა ის დანაშაული კარგარეთელმა, ამისთვის ჩაჯდა ციხეში... თქვენი აზრით, შურისძიებისთვის გამოიქცა, ჰა?

- ვერ გეტყვით. შეიძლება, ასეც არის, - ყასიდად მიუგო მიტილენიჩმა... - ვინ არის აშნა და რით უნდა აიხსნას მისი ბრმა ერთგულება თქვენდამი? - მოულოდნელად შეეკითხა მაძებარი.

- რატომ - ბრმა... და, საერთოდ, დაკითხვაზე ვარ თუ როგორ?

- არა, ბატონო სანცოვ, ეს მხოლოდ საუბარია. დაკითხვა ჩემი საქმე არ არის. ამისთვის სხვები არიან. მითხარით, ვინ და რა არის თქვენთვის აშნა, ანუ მოქალაქე ალიბეკ სალიმოვი?

სანცოვმა ბევრი იფიქრა, სანამ კითხვაზე პასუხს გასცემდა.

- ჩემი მძღოლია, დიდხანს ვმუშაობდით ერთად, თითქმის ახლო მეგობრები ვართ. აქედან - ერთგულებაც.

- ვინ მოახდინა ავარია, რის შედეგადაც დასახიჩრდა ადამიანი. მძღოლმა მიიღო - აღარ მახსოვს - სამი თუ ხუთი წელიწა-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

დი და კარგარეთელივით სრულიად უკანონოდ მოხვდა ჩვენთან, მკაცრი რეჟიმის ბანაკში. თქვენ იმის შესაძლებლობა გქონდათ, რომ აშნას სადმე აქვე, ახლომახლო, მოეხადა სასჯელი. როგორ აღმოჩნდა იმიერპოლარეთში?

- სრულიად შემთხვევით. კონტინგენტი მოდიოდა თქვენკენ. სრულიად შემთხვევით მოხვდა იმ ეტაპში. ვერ გავითვალისწინე, არ მეგონა, თუ ასე შორს უკრავდნენ თავს. გარდა ამისა, სხვა გეგმა მქონდა - პირობით-ვადამდე გათავისუფლება და მოვახერხე კიდეც.

- კარგარეთელი და აშნა ძველი მეგობრები არიან. წინათაც ერთად იხდიდნენ სასჯელს და ეხლაც...

- რა, ეხლაც ერთად ისხდნენ?.. - სიტყვა გაუწყვიტა სანცოვმა.

- დიახ და ძმაკაცებიც არიან. არ დაგიმალავთ, ვინაიდან ეს საქმეს არ ვნებს. აშნამ „ოტრადაში" სამსახურის დაწყებისთანავე კარგარეთელს თავისი ადგილსამყოფელი შეატყობინა, საჭიროების შემთხვევაში დახმარებაც აღუთქვა და, ადვილი შესაძლებელია, სწორედ ამისთვის, ამ მიზნით მოემართება „ოტრადისკენ" კარგარეთელი. მე თქვენთან საუბარი დავამთავრე, მაგრამ ერთი სათხოვარი მაქვს: ურჩიეთ თქვენს ახლო მეგობარს, ქალბატონ პოლინა ცეზარევას, ნუ გამიჯიქდება, შეასრულოს, რასაც ვთხოვ.

- რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა! ჩვენ ორივე მოქალაქეობრივად ვალდებული ვართ, ყველაფერი ვიღონოთ ესოდენ საშიში ბოროტმოქმედის უვნებელსაყოფად ჩვენი შესაძლებლობის ფარგლებში! - ბრძანა სანცოვმა.

- დიახ, დიახ! - მიუგო მიტილენიჩმა. - კარგად ბრძანდებოდეთ, გმადლობთ!

ჰო, რა უნდა გაგვეხსენებინა?.. რა და, სამოცდათხუთმეტი რომ ვიშოვნე და მერე - რვა. ის სამოცდათხუთმეტი ხომ ნაწილ-ნაწილ გახსენებული გვაქვს, აი, კარპუხინს ხვრელიდან გაძრომის წინ შოკი რომ დაემართა და ძლივს გამოვიყვანეთ; კი, კარპუხინი - „გათხრების გიჟი". მერე სიცხიანი რომ მივდიოდი, ჩავიცუცქე და *„Нельзя болеть!"* სამჯერ რომ ვთქვი და ჯანმრთელი ავდექი... ძაღლებს კვალი რომ ავურიეთ, არა? მერე ჯეზ-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

კაზგანში რომ ამიყვანეს ქალის ლოგინიდან. ამაში მივიღე ის ოცდახუთი და გამისამოცდათხუთმეტდა. რვა წელიწადი ბუხტა-ვანინაში ავიღე... ჰო, ე მაგის გახსენება ღირს. გავიხსენოთ. ბუხტა-ვანინაში ვართ, კოლიმაზე ეტაპირებისთვის გვამზადებენ... გვამზადებენ კი არა - ვყავართ. მარბენალს მუდამ თვალები აქვს დაჭყეტილი, ნახვრეტი ხომ არაფერია, რომ გავძვრე და გავიქცეო. ჩემი ყურადღება მიიქცია კარპუხინმა - „გათხრების გიჟმა". რეზინის ჩექმები ეცვა და ზონაში გაჯგიმული, მედიდური ნაბიჯით დადიოდა... ცუდად მენიშნა, სადღაც რაღაც ითხრება - ნაღდია, მაგრამ კარპუხინი რომ წამსვლელი არ არის - ესაც ნაღდია და ვაი მაგის პარტნიორებს, როგორი შრომა მოუწევთ იმხელა ვირგლას გვირაბიდან გამოსათრევად, თუ კენჭისყრით ბოლო ადგილი არ ერგო... მოიცა, კაცო, გვარი ხომ არ მეშლება, კარპუხინი იყო? მუხრან-ბატონი იყოს, ჩვენ - რა?!. ვუთვალთვალე და ვნახე, რომ დიდი ფეხისადგილიდან გაჰყავდათ გვირაბი, მიწას იმავე ორმოში მარცხენა და მარჯვენა მხარეს ჰყრიდნენ და ფეკალიებითვე ნიღბავდნენ. ფეხისადგილის ორმო რამდენიმე ათას კაცზე იყო ნავარაუდევი. სიგრძით — ათი, თორმეტი მეტრისა, და სიგანით - ამის ნახევარი. ორმო სულ ორი, სამი მეტრით იყო დაშორებული მავთულხლართის გალავანს და ხვრელის გარეთ გატანას არცთუ ბევრი მუშაობა სჭირდებოდა. ქართლოს ახვლედიანს გავუზიარე ჩემი მოსაზრება: ეგენი შვიდნი არიან. ორმაც რომ მოახერხოს დასხლტომა, დაცვას საიდან ეცოდინება, რომ ორმა გააღწია და არა, ვთქვათ, ხუთმა? აგერ იატაკი. ბარაკი მეტრ-ნახევარი სიმაღლის საძირკველზე დგას, იატაკქვეშ სიცარიელეა. მოვიმარაგოთ საკვები, ზაფხულია - თითო საბანი, წყალი, თამბაქო და, საერთოდ, რაც საჭიროა, ყველაფერი. გემი პირსს რომ მოადგება, ამას გავიგებთ ადმინისტრაციის საქციელით და თვალითაც დავინახავთ, ნავსადგური მშვენივრად მოჩანს. ჩავძვრეთ, გავყუჩდეთ, ვიყოთ, სანამ გაქცევა მოხდება. ვილაც ორი თუ სამი გაღწეულ-გაქცეულის გულისთვის ეტაპს არ შეაჩერებენ. ზონა დაიცლება, ვისხდეთ იატაკქვეშ კიდევ ერთი კვირა, ღამით ამოვიდეთ და გვეძებონ. გეგმა ასპროცენტიანი არ იყო, მაგრამ არც უიმედო გახლდათ. ქართლოსმა სთქვა, - კოლიმაზე ხეები არ დამირგავს, მოსარწ-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ყავი არაფერი მაქვსო, და დრომ რომ მოაღწია - ჩავედით იატაკქვეშეთში. ზემოდან სანდო ბიჭებმა ჩვენი სამალავი შენიღბეს და ორი დღის შემდეგ გაქცევა განხორციელდა, უკეთ ვთქვათ, ზონის გარეთ გაიტანეს ხვრელი, გავიდნენ, მაგრამ დაცვამ ყველა სათითაოდ აიყვანა... ეს ამბავი შეგვატყობინეს და გვითხრეს ისიც, თითქოს ივან კუზნეცოვმა და საშა ვორობიოვმა[223] წასვლა შესძლეს... ქართლოსმა და მე გადავწყვიტეთ, ვმჯდარიყავით - დრო ყველაფრის მკურნალია, რამდენიმე დღეში ყველაფერი უნდა გარკვეულიყო... „*Красногвардеец*" - პატიმრების გადასაყვანად რეკონსტრუირებული გემი პირთამდე დაიტვირთა, ზონა დაიცალა, რამდენიმე დღე მოთმინება გვმართებდა და... მაგრამ აღმოჩნდა, რომ ხვრელით გასულები ყველა აყვანილი იყო და, იმის მიხედვით, რომ სათვალავში ორი კაცი აკლდათ, ძნელი მისახვედრი არ იყო, თუ რა ფანდი იხმარა იმ ორმა - სადღაც არიან ჩამალულები!.. მოიყვანეს ძაღლი და გვიბრძანეს: ამოდით, ბატონებო! ბევრი ვარწმუნეთ, გაქცევა არ გვსურდა, გვინდოდა, მაგ ეტაპს ჩამოვრჩენოდით, იქ მტრები გვყავდა, დაგვხოცავდნენო! ვინ დაგიჯერა - რვა-რვა წელიწადი! ეგაც ოთხმოცდასამი!.. კაცო, რა აბდაუბდა ლაპარაკი დაგჩემდა, ეგ ამბავი ნორილსკიდან კოლიმაზე რომ მიჰყავდით, მაშინ მოხდა. ნორილსკის ამბებს რას უშვრები?.. რას ვუშვრები? გავიხსენოთ და ეს იქნება!..

ეს იყო ერთობ ღირსშესანიშნავი ტური, ყარაგანდა-ნორილსკი. სამი ათას შვიდასი პატიმარი გამომწყვდეული პულმანის ტიპის სატვირთო ვაგონებში. საბჭოთა კავშირის აღმოსავლეთი ნაწილი კრასნოიარსკამდე სულ რიხინ-რიხინით ჩაგვატარეს. შემადგენლობას ერთი, ეგრეთ წოდებული, „ვაგონზაკიც" ება, რომლითაც განსაკუთრებით საშიში კონტინგენტი მიჰყავდათ. რა თქმა უნდა, მეც ამ ვაგონით მამგზავრეს. ვფიქრობ, ჩემი მარბენლობის გამო; შეიძლება, უდოდოვის ხელიც ერია ამ საქმეში და მე მისი მაღლობელი ვარ, ხის ჩაქუჩების ზურგში ცემას გადამარჩინა. პულმანებში ასე ითვლიან: შეცვივდება დაცვა, ვაგონის ერთ რომელიმე ნახევარში გადარეკავენ პატიმრებს, დაიწყებენ თვლას და მეორე ნახევარში გადარბენის დროს თითოჯერ მაინც უთავაზებენ ზურგში გამეტებით ჩაქუჩს, რომ-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ლის პირდაპირი დანიშნულებაა ვაგონის კედლების შემოწმება გარედან, - შიგნიდან ხომ არავის გაუჭრია ფიცრებიო. ვაგონზაკში კუპეებშივე ითვლიან, ჩაქუჩები საჭირო არ არის... გვატარეს, ქალაქ ენისეის განმანაწილებელ ბანაკში შეგვლალეს. რამდენი ხანი დასჭირდა ტურის ამ ნაწილს? ორიოდე კვირა... ჰო, მეტი არა. აქ სულ რამდენიმე დღე დავყავით, დაგვიმატეს ვიღაცები, ერთ უზარმაზარ, პატიმრების ტრანსპორტირებისთვის გამიზნულ კარჭაპ „პუტორანაში" ?აგვყარეს, კარჭაპს ბუქსირი ჩაუბეს და ჩვიდმეტი დღე-ღამის შემდეგ ტაიმირის ნახევარკუნძულის სამდინარო ნავსადგურ დუდინკიდან ვიწროლიანდაგიანი რკინიგზით ქალაქ ნორილსკში მიგვიყვანეს... ეეეჰ, რამდენმა ჩაიარა ეს გზა, რამდენმა ჩაალაგა ძვლები გამყინვარებულ პოლარულ მიწაში... ამას როდისმე თავისი მკვლევარები გამოუჩნდებიან...

ეს კონტინგენტი კარგად ორგანიზებული, საიმედოდ კონსპირირებული, მებრძოლი სულით აღჭურვილი ძალა გახლდათ. გაფიცვების, აჯანყებების, მრავალი ჩვენგანის სიცოცხლის ფასად მივაღწიეთ „თავისუფლებას პატიმრობაში" და სწორედ ამ მიზეზით ამოვყავით თავი იმიერპოლარეთში. ჩაგვიყვანეს, სხვადასხვა ბანაკებში დაგვანაწილეს და თითოეულის „შესწავლას" შეუდგნენ.

მაშინ ტაიმირის ნახევარკუნძული - მრავალნაირი წიაღისეულის მომპოვებელი და გადამმუშავებელი მრეწველობით, თავისი დედაქალაქ ნორილსკით — ცალკე ადმინისტრაციული ერთეული იყო და ექვემდებარებოდა ვინმე ზვერევს,[324] ჩინით პოლკოვნიკს. ამას განუსაზღვრელი ძალაუფლება ჰქონდა მინიჭებული. ასე გასინჯეთ, პატიმრის განთავისუფლებაც კი შეეძლო. ეგ არის, ამ უფლების გამოყენება პოლკოვნიკს არასოდეს უცდია. რუსეთის კომუნისტური პერიოდი სავსეა განუჭვრეტელობითა და იძულებით დაშვებული საბედისწერო შეცდომებით. ძნელი სათქმელია, რას უნდა მიეწეროს ყარაგანდის მოჯანყე კონტინგენტის ტაიმირის ნახევარკუნძულზე გადმოსროლა, მაგრამ ეს რომ დიდი შეცდომა იყო, სულ მალე დადასტურდა. არა მგონია, ისეთი ყურმოჭრილი მონობა გულაგის ისტორიის მანძილზე თუ სადმე კიდევ იყო, როგორც ზვერევის

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

გენერლებსა და პოლკოვნიკებს ჰქონდათ დამყარებული. მორჩილებას ბანაკის ადმინისტრაცია „ძუკნებისა“ და კრიმინალური მიდრეკილების სხვა პატიმართა მეშვეობით ახორციელებდა. ესენი ინიშნებოდნენ კომენდანტებად, შინასამსახურის საროფიან თანამდებობებზე, ბრიგადირებად და თავისი ქვედანაყოფის სრული მბრძანებლები იყვნენ. ბრიგადირს ეკუთვნოდა ბრიგადის წევრის არა მარტო უმძიმესი შრომით გამომუშავებული გროშები, არამედ შინიდან მიღებული ამანათიც. ამ წესების შეუსრულებლობა ისჯებოდა ბრიგადირის ერთგულ „მოლოტობოეცთა“ მიერ, როგორც ქურდობა, როგორც მისი უდიდებულესობის, ესე იგი, ბრიგადირის შეურაცხყოფა... არა, ისიც უნდა ითქვას, რომ ბრიგადირებისა და სხვა თავკაცების ერთი ნაწილი საკმაოდ წესიერი ხალხი იყო, მაგრამ თუ რომელიმე მათგანი ურთიერთობათა გამეფებულ სტილს დაარღვევდა - მშვიდობით, კეთილდღეობავ, და იქნება - სიცოცხლევ! ერთი სიტყვით, რიგითი პატიმრები მუშაობდნენ, ნელ-ნელა მიემგზავრებოდნენ საიქიოს, ხოლო ბრიგადირები სპირტს შეექცეოდნენ, ბანქოს თამაშობდნენ და ნაძარცვით თავისი მამრობითი სქესის მეუღლეებს ანებივრებდნენ.

აი, ამ განუკითხაობისა და ძალმომრეობის სამეფოში მიგვიყვანეს ჩვენ, იმ ადამიანთა მრავალეროვანი, მაგრამ მკვიდრი ერთობლიობა, ვისაც მონათა საყოველთაო აჯანყება ჰქონდა მიზნად დასახული და ვისთვისაც ამ განზრახვის პირველი საფეხური „პატიმრობაში თავისუფლების“ მიღწევა იყო. გულაგის ხელმძღვანელობის აზრით, ჩვენ მხოლოდ „ოტრიცალოვკა“ ვიყავით და, როგორც აღმოჩნდა, გამოსასწორებლად ნორილსკელ ბრიგადირებზე უკეთესი პედაგოგები სხვაგან ვერსად იგულეს. ყველაფერი უკუღმა მოხდა. ის ოცდაერთი დღე, რომელსაც ბანაკებში კარანტინი ჰქვია, ყარაგანდაში ბრძოლით მიღწეული შედეგების პროპაგანდასა და დაუმორჩილებლობის მოწოდებას მოხმარდა. ამან მოსალოდნელზე უკეთესი შედეგი მოიტანა. სანამ ბრიგადებში დაგვანაწილეს, ძირითადი მასა უკვე ჩვენს მხარეზე იყო. პატარა ყოყმანისა და ვითარების შესწავლის შემდეგ, შედარებით პატიოსანი და გამეფებულ წესს იძულებით დამორჩილებული ბრიგადირებიც მოგვემხრნენ. იყო ექსცესე-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ბი, შეტაკებებიც, ერთმა-ორმა ბრიგადირმა, ციხის ენა რომ გამოვიყენოთ, „ფიცრის ბუშლატშიც“ მოადინა ტყაპანი. გაიწმინდა ბანაკები, ჩვენც დავისვენეთ და იქაურებმაც.

ასე გადააქცია ჩეკამ ლოკალური სენი ეპიდემიად. დარწმუნებით შეიძლება თქმა, ამ ცვლილებებს „გორლაგში“, ანუ „*Горный лагерь*“-ში დრო უჩვენოდაც მოიტანდა. ჩვენმა მოსვლამ პროცესი დააჩქარა...

ჩვენ სექტემბერში ჩავედით ნორილსკში. ექვსი თვის თავზე დიდი ბელადი საიქიოს გაემგზავრა. მის „თანამებრძოლებს“, როგორც ჩანს, ესმოდათ, რომ ცვლილებები აუცილებელი იყო, მაგრამ, სახელდობრ, როგორი, ამ პრობლემის გარშემო, ნაღდია, უთანხმოება ჰქონდათ, თორემ ჩეკისტები ასე არ დაიბნეოდნენ. ბანაკების ცხოვრებაში გაუგებარი ვითარება ჩამოყალიბდა. ისე სჩანდა, ვერავის გადაეწყვიტა, გამკაცრებულიყო თუ შემსუბუქებულიყო რეჟიმი. ზემოდან, საფიქრებელია, არაფერი ისმოდა, თორემ შეუსრულებლობას ვინ გაბედავდა!.. ერთი სიტყვით, ყველაფერი თვითდინებას გაჰყვა და ფიქრი შეიძლებოდა, რომ „თავისუფლება“ განზრახ მოგვანიჭა ვილაცამ.

ერთი საოცარი რამ მოხდა. მეოთხე განყოფილებაში არალეგალური კომიტეტის თავმჯდომარე იყო უკრაინელი ნაციონალისტი ვლადიმირ ნოსი.[325] ეს იმ ადამიანთაგანი გახლდათ, ვისაც სანდომიანობა, გონიერება და სიკეთე ღმრთივ ჰქონდა მონიჭებული. თხუთმეტი წლისა უკრაინის ერთ-ერთი არალეგალური ორგანიზაციის მეკავშირედ იყო, როცა გერმანელებმა სტაცეს ხელი. საკონცენტრაციო ბანაკიდან გაექცათ. მთელი გერმანია გამოიარა, მოვიდა, არალეგალური მუშაობა განაგრძო. ისევ აიყვანეს, მაგრამ სხვა გვარით. კიდევ გაიქცა... მერე კომუნისტებმა დააპატიმრეს, დახვრეტა მიუსაჯეს. შეუცვალეს, როგორც არასრულწლოვანს. ბანაკიდან გაიქცა... მთელი სიცოცხლე თავისი სამშობლოს და ადამიანის სიყვარულს შეალია. სადაც უნდა ყოფილიყო, უდიდესი ავტორიტეტითა და სიყვარულით სარგებლობდა. გულაგის პოლიტიკურთა სამყაროში კაცს ვერ ნახავდი, ნოსის ამბავი რომ არ სცოდნოდა. შეუპოვარი მებრძოლი იყო და მართალი კაცი - ჩეკისტებსაც კი რიდი და მოკრძალება ჰქონდათ მისი. ნოსი დიდი ცხვირის გამო შეერქვა.

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

უშნო კაცი იყო, მაგრამ მომხიბლავი. სწორი თქვა კორობოვმა, - პოლიტიკაში გულმართლობა ვერ იბოგინებსო, და, მართლაც, დაიღუპა სწორედ იმ დროს, როცა მისი სული, გონება და გული მოძრაობას ჰაერივით სჭირდებოდა. იგი ყარაგანდის წინააღმდეგობის მთავარი ორგანიზატორი იყო, კონსპირაციის კანონწესების უებრო მცოდნე და პრაქტიკაში გამომყენებელი. ჩეკისტებს ეჭვის მეტი ხელთ არაფერი ჰქონდათ. ამდენად, ბოლომდე ვერაფერში ამხილეს, თუმცა ციხეებსა და საჯარიმო იზოლატორებში ლამის ამოალპეს. იქიდანაც ახერხებდა მოძრაობის ხელმძღვანელობას. დაიღუპა მეტად საეჭვო ვითარებაში და ეს ეჭვი დადასტურდა კიდეც.

კლასიკური შემთხვევა: ბანაკი ნახევრად იყო დესტაბილიზებული. ბრიგადები სამუშაოდ დადიოდნენ, მაგრამ კეთებით არაფერს აკეთებდნენ. ჩათვლები - ერთი დღე — სამ დღედ, თუკი ნორმას გადააჭარბებდი, მოქმედებდა. ვისაც სჭირდებოდა, ანუ ვადის დამთავრებამდე ცოტაღა აკლდა, მუშაობდა. ნოსს ბრიგადა დაჰყავდა ქალაქის მშენებლობაზე. ეს ნიღბადაც ესაჭიროებოდა, თანაც კარგა ხნის ნაჯდომი იყო და ჩათვლების დაგროვების სურვილს თამაშობდა - ჩეკისტების საყურადღებოდ!.. ამწეს სინკარი მოსწყდა, ნოსს დაეცა და იქვე მოჰკლა... ახლო მეგობრები ვიყავით, ძალიან მიყვარდა, მძიმედ განვიცადე... ამდენ ჭირგამოვლილი, ასე ყოველმხრივ დადებითი და ღვაწლმოსილი პიროვნება - ასეთი ტრივიალური სიკვდილით!.. ნორილსკის ამბების გახსენებისთვის ამას მნიშვნელობა აქვს, იმიტომაც გავიხსენე...

სწორედ ის დროა, ბატონი ჩანძოლინიც გავიხსენოთ, რომელიც ამჯერად კი არ მეზმანა, არამედ „გორლაგის“ მეხუთე ბანაკში დამხვდა, როგორც ფიზიკური სხეული, ცოცხალი არსება, ასე ვთქვათ, ნორმალური სულიერი. ზოგადად ბანაკში კი არა, რომელ სექციაშიც მიმიყვანეს და ადგილი მომიჩინეს - ჩემ გვერდით ნარზე. ისევ მარგალიტით მოვაჭრე გახლდათ იმ განსხვავებით, რომ ქვაბუნა ეჭირა და ბალანდას ხვრეპდა. ძველი ძმაკაცებივით შევხვდით, ლამის გადავკოცნეთ ერთმანეთი. ეს შეხვედრა დღემდე ფანტასმაგორიად მიმაჩნია, რადგან მისი გამოცხადება ხან რეალობა მგონია, ხან ხილვის განმეორება, და სი-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მართლე, ალბათ, ის არის, რომ ეს კაცი ჩანძოლინი კი არა, სხვა ჩინელი იყო, მაგრამ ჩანძოლინად მოვლენილი. ერთი ფათერაკი მქონდა გაგონილი ჩინელზე, რომელიც მეხუთე ბანაკში იხდიდა ვადას. სწორედ ეს აღმოჩნდა. ფათერაკი სამზარეულოსთან, კერძოდ, ბალანდის გამო შემთხვევია... რახან ჩანძოლინი ვთქვი, ეგრე იყოს, მით უმეტეს, რომ ნამდვილი გვარი არასოდეს მცოდნია, და ისიც გასათვალისწინებელია, რომ ჩაის დიდებულად აყენებდა, რის გამოც, პირადად მე, „ჩაიძოლინობით“ ვუხმობდი... ჰო, ახლა ფათერაკი: ამ ჩინელს ჰქონია ცხოვრებაში ბედნიერი დრო, როცა სამუშაოდან დაბრუნების შემდეგ სამზარეულოში გვიან ღამემდე მუშაობდა და სტომაქი ერთთავად სავსე ჰქონდა. ერთხელ ზედმეტი მოუვიდა, ნაწლავები გადაეხლართა, მკვდარი ეგონათ - მორგში წაიღეს. იქ, შესცივდა თუ სხვა რამ მიზეზით გამოცოცხლდა, ცნობილი არ არის. როცა ლაზარეთიდან დაბრუნდა, დამპალი ქაშაყიდან თეთრი მატლები - ეგრეთ წოდებული, „პრიგუნკები“ - უკვე სხვას ამოჰქონდა, თანამდებობა დაკარგული აღმოჩნდა. აი, მაშინ და ამის შედეგად გაითქვა სახელი ჩანძოლინმა სრულიად გულაგში: ბალანდის ქურდობის[326] მანამდე უცნობი ხერხი შეიმუშავა, სახურავიდან იპარავდა! როგორ? ბალანდის ქვაბებს ვეება საკვებლაციო ქოლგა რომ ადგათ, იქიდან ხომ სახურავზე ადის საორთქლე მილი და ამ მილზე ხომ სპეციალურებია მიდუღებული?.. ჩანძოლინი დაკვირვებული კაცი გახლდათ, სამზარეულოს მოქმედება საგულდაგულოდ ჰქონდა შესწავლილი, სახურავს მაშინ ესტუმრებოდა ხოლმე, როცა სალაფავი უკვე მზად იყო, წყნარად თუხთუხებდა და მზარეულები მოპარული „მორზვერის“ ანუ ზღვის ნადირის ხორცეულით ელოლიავებოდნენ მარად მშფოთვარე მადას. ამ რიტუალს ისინი გამგის კაბინეტში შეკეტილები ასრულებდნენ ხოლმე, ქვაბებთან არავინ იყო და მაშინ ეშვებოდა საკვებლაციო ქოლგის მილიდან საგანგებო კონსტრუქციის სამლიტრიანი ჭურჭელი რვაასლიტრიანი ქვაბის ზუსტად შუაგულში... ცისქვეშეთში ხომ ყველაფერი ამაოებათა ამაოება და წარმავალია?.. მზარეულები ბანაკებში ერთობ დაუნდობელნი და მრისხანენი არიან. ჩანძოლინს ჯერ ნახევარი სიცოცხლე წაართვეს გვემით, მერე იმავე ქვაბში ჩააგდეს, საიდანაც იკვებ-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ებოდა, და ცეცხლი შეუნთეს, მაგრამ ღმერთი მოწყალეა და მისი განგებით იხსნა მოხარშვისგან შემთხვევით შემოსწრებულმა მორიგე ზედამხედველმა გამჭრიახი და მსუნაგი ჩინელი. ეს კაცი დაბადებითვე ჩია იყო და ბანაკებში იმდენად დაპატარავდა, რომ ლანდს ჰგავდა. ხალხში მისი შემჩნევაც კი ჭირდა. მარად დამშეული და, ალბათ, ამიტომ საქციელით მონებრ მორჩილი გახლდათ. უტყვი, ჩუმი ხასიათის, ჩაბნელებული თვალების პატრონს გონებრივი შესაძლებლობებისას რას გავუგებდი, მით უმეტეს, როგორ წარმოვიდგენდი, რომ საცოდავ ჩანძოლინს შეთქმულებების, გადატრიალებების, რევოლუციების, ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლებისა და სხვა ამგვარ ქმედებათა თეორიასა და პრაქტიკაში სწორუპოვარი ცოდნა-გამოცდილება ჰქონდა!

ერთ დღეს სამუშაოდან დავბრუნდი, ბარაკზე განცხადება ვნახე:

„ვიძლევი გამარჯვების ტექნოლოგიის გაკვეთილებს.
მეოთხე სექცია. ჩინელი."

მოკლედ და გასაგებად! ვიფიქრე, გაუჭირდა ჩანძოლინს და ქამანდი გვტყორცნა-მეთქი. იმ საღამოს განცხადებას არავინ გამოხმაურებია. მეორე საღამოს ორნი მოვიდნენ, მაგრამ ჩანძოლინმა აბრუ უქნა, ხუთკაციანი მაინც უნდა იყოს ჯგუფიო!

გამოჩნდნენ პატარ-პატარა ლიდერები და ჩანძოლინმა რაღაცნაირად შესძლო მათი ყურადღების მიქცევა. ერთხელ კომიტეტის სხდომიდან დავბრუნდი. ჩანძოლინი მაგიდის თავში იჯდა, შეგირდებს მორიგ ლექციას უკითხავდა. შეგირდი უკვე იმდენი იყო, რომ იატაკზედაც ისხდნენ. წამოვწექი, მივაყურე. აზრმა გამიელვა, ამას თამადობა თუ დამშვენდებოდა, არ მეგონა-მეთქი. სულ სხვა ჩანძოლინი გახლდათ, ღირსებით აღსავსე, თავდაჭერილი და, ასე გასინჯეთ, გარეგნობითაც არა უშავდა რა! რატომღაც მგონია, ტიბეტური მედიცინის ლექციებს იქაური სწავლულები სწორედ ასეთი ტონითა და სტილით კითხულობენ - თავაზიანად, ხმის მშვიდი ტემბრით, ძუნწი ჟესტიკულაციით, ერთადერთი ჭეშმარიტების პრეტენზიით.

ასე ქადაგებდა:

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

- ჩვენ სრული კურსის ის ნაწილი უკვე გავიარეთ, რომლის ქვაკუთხედს წარმოადგენდა დებულება - ხელმოცარულთა ბოლო თავშესაფარი პოლიტიკანობაა. ეხლა ყურადღება უნდა გავამახვილოთ იმაზე, თუ რა შემთხვევაში ვერ აღწევს ადამიანი დასახულ მიზანს, რა თვისებებით მოდის პოლიტიკაში. გამარჯვების მთავარი პირობა უნიჭობაა. ნიჭი თუ გაქვს, საქმეს ვერ მოერევი, მიზანს ვერ მიაღწევ, მაგრამ მხოლოდ უნიჭობა არ კმარა. აუცილებლად საჭიროა იმის რწმენაც, რომ დამარცხებათა მიზეზი შენში კი არა, გარემოცვაშია. არც ეს კმარა. დამარცხებებმა განდიდების მანია უნდა შეგძინოთ. ეს ადვილია, რადგან თქვენ ყველას მშობლები განებივრებდნენ და გენიალური ბავშვის კომპლექსს გიყალიბებდნენ. განდიდების მანია იმისთვის არის საჭირო, რომ ეჭვს გარეშე გწამდეს საკუთარ შესაძლებლობათა უსაზღვროება. მასა, ყოყმანი თუ შეგნიშნა, არ გამოგყვება. კიდევ ერთი რამ არის საჭირო - სიმხდალე. ამაზე ყურადღებას ნუ გაამახვილებთ, სიმხდალე განდიდების მანიის თანამავალია და მომდინარეობს რწმენიდან, რომ მე თუ დავიღუპები, ჩემს გასაკეთებელს სხვა ვერავინ გააკეთებს. ვისაც ზემოხსენებული მონაცემები არ გააჩნია, ვთხოვ, დატოვოს სემინარი!

ჩანძოლინმა დამსწრე საზოგადოებას თვალი მოავლო, თავი უკმაყოფილოდ ჩააქიცინა და განაგრძო:

- ნედოროსტკოვ, სად არის შეპირებული შაქარი?..

- მოვიტან, მავიწყდება ხოლმე. დღესვე მოვიტან!

- კარგი, კარგი!.. მაშ, ასე: თქვენ აუცილებლად უნდა იხელმძღვანელოთ იმით, რომ ბრძოლის გააქტიურებას, გამარჯვებას სათანადო სიტუაცია სჭირდება. მასა, რომელსაც მიმართავთ, ანუ თქვენი მანიპულაციებისთვის დასახული ნიადაგი, მზად უნდა იყოს მარცვლის მიღების, გაღვივებისა და ყლორტის ამოტანისათვის. მიაქციეთ ყურადღება, ახალგაზრდების პოლიტიზებულმა ნაწილმა წვერ-ულვაში მოუშვა! ეს ნიშნავს, რომ რევოლუციური სიტუაცია მწიფდება!.. იღიმებით? ისტორიით დადასტურებული სიმპტომია... ახლა უპირველესი ამოცანაა, მხილებულ და ბანაკიდან გაძევებულ იქნას ყველა დამსმენი. თუ შემორჩება კიდეც ვინმე ასეთი და უფროსებმა გამოუძახეს - ან სულ არ უნდა მივიდეს, ან ვალდებულია, მოწმე დაისწროს, პა-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ტიმართაგანი, რომ ცნობილი გახდეს, რისთვის გამოუძახეს. სხვათა შორის, ეს წესი ყველაზე ვრცელდება, განურჩევლად რეპუტაციისა... თავის მხრივ, ჩეკისტებიც ერიდებიან ბანაკში ჩარჩენილ აგენტთან ურთიერთობას მისი მხილების შიშით. ამგვარად, უფროსობას აღარ გააჩნია ინფორმაცია, თუ რა ხდება ბანაკში მაშინ, როდესაც პოლიტიკურ თავკაცებს დაუბრკოლებელი მოქმედების ყველა პირობა ექმნებათ, მასის პოლიტიზება ადვილდება. ამით ადმინისტრაციას მართვის სადავეები ხელიდან ეცლება, საწარმოო გეგმები ვერ სრულდება, ბანაკის ცხოვრება დესტაბილიზებულია. გულაგისთვის ეს „საგანგებო ვითარებაა“, ხოლო პატიმართა მასას მითქმა-მოთქმა, ათასგვარი ჭორი, გაურკვევლობა და ავის მოლოდინი აფორიაქებს...

ყველა სემინარს მხართეძოზე წამოწოლილმა მოვუსმინე.

ბრძოლის მეთოდთა მქადაგებელს აუდიტორია არ შეუცვლია, სემინარებს ჩვენსავე ბანაკში ატარებდა. მხოლოდ მსმენელთა შემადგენლობა განახლდა რამდენადმე. მე ისე განვსაჯე, რომ აღარ მოვიდოდნენ ისინი, ვინც პარანოია და მანია გრანდიოზა იუკადრისა, ხოლო დაემატნენ, ვისაც ეს ორი სენი ღირსებად მიაჩნდა. ასეა თუ ისე, დროთა ვითარებაში წილად მხვდა, მომესმინა სრული კურსი, რის შედეგადაც, შემეძლო, სამხრეთ ამერიკის რომელიმე ქვეყანაში რიგიან საფასურად რევოლუცია მომეხდინა. დროებით შევიკავე თავი, ნორილსკში საწარმოო პრაქტიკის გავლა ვარჩიე.

სტალინის სიკვდილისა და ბერიასთან დაკავშირებული მოვლენების შემდეგ, როცა ხელისუფლება რამდენიმე თვით მალენკოვის ხელში მოექცა, ჩანძოლინის ასეთი ლექცია მოვისმინე:

– სისტემის ავტორი აღესრულა, უკვე ჯოჯოხეთშია. მისმა კლევრეტებმა ხელისუფლება ვერ გაიყვეს, ჟანდარმთა მამამთავარი მოაშთეს. კერძოდ ამ გარემოების გათვალისწინება აუცილებლად გმართებთ, რადგან მოღვაწეობის გზაზე, ადვილი შესაძლებელია, შეიქმნას ვითარება, როცა იძულებული იქნებით, თქვენსავე თანამებრძოლს აზღვევინოთ ერთად ჩადენილი შეცდომა თუ დანაშაული. მრავალგზის ნაცადი ხერხია. ყოველთვის სასურველ შედეგს იძლევა. ჩვენ ის ასპარეზი გვაინტერესებს, სადაც ვმოღვაწეობთ – გულაგი! მოგეხსენებათ, დიდ ბელა-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ლს პარანოიისა და განდიდების მანიის გარდა, ტერორის აკვიატებული შიშიც აწვალებდა. გულაგის დაარსების ერთ-ერთი მიზეზი ესაც გახლდათ და არც მისი გარემოცვა იყო პერმანენტული რეპრესიების წინააღმდეგი. პირიქით. ისინი მაშინ გრძნობდნენ თავს მშვიდად, როცა მათი შესაძლო კონკურენტები ციხეებში საიმედოდ იყვნენ გამოკეტილი.

- სწორია! - შეაწყვეტინა ერთ-ერთმა შეგირდმა. - აი, მაგალითად, ჩემი ნათესავი - ალექსანდრ სერგეევიჩ შჩერბაკოვი.[327] მარტო ათას ცხრაას ოცდათექვსმეტ-ოცდათვრამეტ წლებში, სულ ორი წლის მანძილზე, ოთხ სხვადასხვა ოლქში პირველ მდივნად იყო. გამოცდილება ჰქონდა, ოლქიდან ოლქში რეპრესიების ჩასატარებლად დაჰყავდათ. ოთხივეში წარმატებით იმუშავა, ძალიან ერთგული იყო, მამაჩემიც კი არ დაინდო. მერე, სიცოცხლის ბოლომდე საბჭოთა არმიის მთავარი პოლიტსამმართველოს უფროსად იჯდა. სტალინმა იქ მოაყუჩა საჭიროებისას გამოსაყენებლად. იქ რაღამდენი გაჟლიტა, ღმერთმა იცის. ეგეთი კაცი უგულაგოდ დადგებოდა?!.

- ვერ დადგებოდა! - შეეხმიანა ვიღაც. - მაგისთანა ბევრია, სიჩუმე იყოს!..

ჩანძოლინმა სიტყვა დაიბრუნა და ახლაღა მივაქციე ყურადღება, როგორ რუსულს, რა მცირე აქცენტით ლაპარაკობდა, მამაძაღლს, თავის დროზე მოსკოვში ნასწავლი ექნებოდა, უდავოა!

- გულაგი სახელმწიფოსთვის ზარალის მეტი რომ არაფერია, კარგად მოგეხსენებათ. უთუოდ იმაზეც დამეთანხმებით, რომ ეს სისტემა კომუნიზმის მტრების აღსაზრდელი უნივერსიტეტია, ვერც ერთი უმაღლესი სასწავლებელი ვერ ამზადებს დარგის ესოდენ კვალიფიციურ სპეციალისტებს. ხელისუფლებისთვის ყოველივე ამაზე საშიში ის არის, რომ მილიონობით პატიმარს სამ-ოთხზე მეტი ოჯახის წევრი, ნათესავ-მეგობარი და გულშემატკივარი ჰყავს. რეპრესირებულის გულშემატკივარი კომუნიზმისა, მოქმედი თუ არა, პოტენციური მტერი მაინც არის. ამათი განეიტრალებაა საჭირო... ამას გარდა, ახალმა ხელისუფლებამ ახალი საგარეო პოლიტიკური კურსი დასახა. საყოველთაოდ არის ცნობილი დანარჩენი კაცობრიობის რეაქცია საბჭოთა იმპერიაში ძალადობისა და ტერორის სისტემაზე. სა-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ფიქრებელია, გულაგს ჩვენს მიმართაც უნდა ჰქონდეს გარკვეული განზრახვები, რაიმე შემამსუბუქებელი რეფორმები უნდა გაატარონ, უდავოა.

ჩანძოლინი დადუმდა, ადგა, ხელები გავაზე შემოილაგა და ბოლთას მისდგა. მგონია, ლექციის მეორე ნახევრის შინაარსს ამუშავებდა და, მე თუ მკითხავს ვინმე, კარგადაც გამოუვიდა:

– წარმოვიდგინოთ უფართოესი ამნისტიები, კმაყოფილი ადამიანები, თავისუფალი მუშახელი, ჩაშვავებული ბანაკები, ფულადი რესურსების ეკონომია, თავისუფალი მსოფლიოს რეაქცია!.. ათეულ მილიონობით ადამიანის გულის მოგება შეიძლება!.. სახელმწიფოს სათავეში უსათუოდ არიან ისეთები, ვისაც ესმის, რომ გულაგი რუდიმენტია და უნდა გარდაიქმნას ან დაინგრეს და ხელახლა აშენდეს. ესმით, მაგრამ რეაქციონერები სჭარბობენ, შეუძლებელია, სხვანაირად იყოს, და ისინი არაფერს დასთმობენ თუ არ ვაიძულეთ. როგორ ვაიძულოთ? უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ბანაკის ადმინისტრაციის არც ერთი ღონისძიება, ბრძანება და მითითება არ სრულდებოდეს. რეაქციონერები უნდა დარწმუნდნენ, რომ სარეპრესიო სისტემაში ძირეული გარდაქმნებია აუცილებელი! მგონია, უკვე მოგახსენეთ, მაგრამ კვლავ მინდა თქვენი ყურადღება მივაპყრო იმას, რომ ყოველი ახალი ხელისუფლება, მასების ნდობისა და კეთილგანწყობის მოპოვების გზაზე, მრავალ შეცდომას უშვებს – ზოგს იძულებით, ზოგს შემთხვევით, მათ შორის — საბედისწერო შეცდომებსაც. ეს მრავალგზის განმეორებული სიტუაციაა და კანონზომიერებადაც ითვლება. თქვენ უნდა ხელი შეუწყოთ მტარვალს, დაუშვას შეცდომები! უბრალო რამ არის - დესტაბილიზაციის გზით!!!

რა მოჰყვება ამას? ჩიხი, ხელისუფლებისთვის გამოუვალი მდგომარეობა, გარდუვალობით ნაკარნახევი საბედისწერო შეცდომა: თუ ხელისუფლებაში რეაქციონერებმა იმარჯვეს - უნდა გვესროლონ, მსოფლიო ააყაყანონ და მერეღა გველაპარაკონ. თუ რეფორმების მომხრეებმა რეაქციონერებს სძლიეს, - ხელისუფლება ამთავითვე დათმობის გზას უნდა დაადგეს. ვითარება ორივე შემთხვევაში ჩვენს სასარგებლოდ წარიმართება

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

და მაშინ - გაუმარჯოს დემოკრატიის ჰიპერტროფიას, ანუ ქაოსს! ეს რისთვისაც არის საჭირო, მომავალში გაიგებთ. ჯერ უახლოესი ამოცანაა - დესტაბილიზება!..

არალეგალურ კომიტეტს გადავეცი ჩანძოლინის ნათქვამები. მცირედი კამათის შემდეგ გადაწყდა, ქაოსზე გვემუშავა და, რა თქმა უნდა, ჩანძოლინი რა შუაში იყო, ამ გზის არჩევანი ჩვენს საკუთარ ჭკუას, უფრო სწორად, კომიტეტის თავმჯდომარეს - სვიატოპოლკს[328] მიეწერა.

საქმე ისე დატრიალდა, რომ სამუშაოდ გასვლა თითქმის საავალდებულოც აღარ იყო. ვისაც როგორ სურდა, ისე დადიოდა. უმთავრესად კი ტაიმირის ნახევარკუნძულის ყველა ბანაკი, ზონაში თუ სამუშაოზე, მიტინგებითა და პოლიტიკით ერთობოდა. ერთ დღეს ჩანძოლინი ნარზე ჩამომიჯდა. ჩურჩულით მელაპარაკა. წყლიანი, ბრიალა თვალები ჰქონდა, პალოზე მიბმული ავი ნაგაზი უცხოს რომ იყნოსებს, ისეთი!

- რა მინდოდა, მეთქვა: ყველა დროის ყველანაირ ხელისუფლებას ომში, უპირველესად, ახალგაზრდობა მიჰყავს. ასე იმიტომ არის, რომ ახალგაზრდას გული ერჩის, თავს ადვილად სწირავს. იგი უფრო ინსტინქტებით ხელმძღვანელობს, ვიდრე გონებით. აჯანყება გზნებით აღსავსე ჭაბუკია და ამით იმარჯვებს! მარცხდება, როცა საქმეში ასაკოვანი ინტელიგენტის ანალიზისა და განჭვრეტის უნარი აქტიურად ჩაერევა. სიბრძნე აჯანყებას ვნებს, სიბრძნე აჯანყებამდე და მისი დამარცხებისა თუ გამარჯვების მერეა საჭირო. პარადოქსია? შეისწავლეთ აჯანყებების ისტორია ამ კუთხით! მოგეხსენებათ, არიან სხვა ჯურის ინტელიგენტებიც - ვინც ცხოვრებაში ხელმოცარული დარჩა. ისინი ყველაფრის მიმართ ბოღმით, ციინიკურად არიან განწყობილნი და ამ თვისების მეშვეობით ლამობენ მოღვაწეობის ახალ სფეროში შეღწევას, იქ თავის დამკვიდრებას და თავკაცობის ხელში ჩაგდებასაც. გამიგეთ?

- დიახ, მესმის. მერე?

- უნდა წავიდნენ ბანაკიდან. უმრავლესობა სიხარულით წავა, საფრთხეს გაერიდება. ზოგი თავს გამოიდებს, - თქვენთან ერთად უნდა მოვკვდეო! იყვნენ, არაფერია...

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

- ეგ ხომ სვიატოპოლკმა უკვე გააკეთა. პირკინის[329] ჯგუფის საშუალებით ავი ხმები დაუყარა და როცა ეს განაწყენებული ინტელიგენტები საყვედურისა თუ განმარტებისთვის მივიდნენ, ასე უთხრა, - მე ვიცი, რომ ჩეკისტების აგენტები ხართ, და ახლა თქვენი რიგია, ვინც არ არის, თავი იმართლოსო! ბევრმა მიაშურა ვახტას და დარჩა ის ნაწილი, ვინც ალალი გულით არის აჯანყების მომხრე, თუმცა, შესაძლოა, რომ მათ შორის აგენტებიც არიან.

- კარგი, მაგას თავი დავანებოთ. თქვენ იცით, ვინ არის სვიატოპოლკი და რატომ შეერქვა ეს სახელი?

- არა!

- მე ვიცი! მაგან კიევის მთავარ სვიატოპოლკივით საკუთარი ძმები დაახოცინა, პოლიტიკური წინააღმდეგობის საბაბით... ვალოდია ნოსის სიკვდილზე დაფიქრებულხართ? იმ ინტელიგენტების ამბით, - ჩეკისტების აგენტები ხართო, შესაძლო კონკურენტები ჩამოიცილა - გზას იწმენდს, გასაგებია?.. მაგას აჯანყების იდე ფიქსი აქვს, განდიდების მანიაც სჭირს და, როგორც ხელმძღვანელი, ყველას გჯობთ. თქვენ ისიც იცით, რომ მას თავისი საკუთარი კაცები ჰყავს, საკმაოდ დიდი ჯგუფია პირკინის მეთაურობით. ისინი ხალისით ასრულებენ სვიატოპოლკის ყოველგვარ დავალებებს მკვლელობის ჩათვლით. რატომ? იმიტომ, რომ პარანოიას გენიალობად სთვლიან... იცით, რატომ ვბედავ ყოველივე ამის თქვენთვის თქმას? ერთი იმიტომ, რომ ვგრძნობ თქვენს დამოკიდებულებას სვიატოპოლკის მიმართ და არ გამცემთ. მეორე - მე აქედან სულ მალე წამიყვანენ. თქვენ და მინცმა მთავრობის მიმართ მოთხოვნები რომ დასწერეთ - წაკითხული მაქვს - უცხოელთა დაბრუნება სამშობლოში!.. ამას გარდა, მოთხოვნებში გაქვთ პუნქტი, რომლის თანახმად, პატიმართა მასა მოითხოვს, რომ მთავრობამ ჩვენ მხარედ გვცნოს. ეს სვიატოპოლკმა ჩაგამატებინათ და პირადად თავის სასარგებლოდ აპირებს ამის გამოყენებას. მე მოვრჩი, ეხლა ჩემი სული თქვენს ხელშია...

ამასობაში მეხანძრეების, ექიმებისა და სხვა თავისუფალთაგან გავიგეთ, რომ პოლკოვნიკი ზვერევი და მისი ჩინოსანი დამჭაშები მოსკოვს გაიძახეს სათათბიროდ. ერთი კვირის შემდეგ

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ხმა გავრცელდა, - პოლკოვნიკი ზვერევი საგანგებო უფლებებით დაბრუნდაო! ეს ჩვენთვის მოულოდნელი არ იყო, ვიცოდით, დასაშინებელ აქციებს ჩაატარებდნენ, სხვა რა უნდა ექნათ, და ასეც მოხდა, ტერორს მიჰყვეს ხელი. პირველი შემთხვევა „მედვეჟკაზე" მოხდა. ბადრაგს პატიმრების კოლონა მიჰყავდა სამუშაოზე. მოხუცი კაცი იყო, სექტანტი. მუხლი მოეკვეთა, წაიქცა. უყვირა და უყვირა ბადრაგმა, - ადექიო! ვერ ადგა. დაცხრილეს. ეს ამბავი ბანაკებს იმავ საღამოს მოედო. გრძელი ღამეების დრო იყო. მეოთხე ბანაკში ორი სექტანტი აკრძალულ ზონაში გადაძვრა, დაიყვირეს, - *Начальник, стреляй!* - ო და მთავარ მავთულხლართზე დაიწყეს აბობღება. ესენიც დაცხრილეს. კიდევ იყო ორი შემთხვევა, ბადრაგს პატიმრის მწყობრიდან გამოყვანა და მოკვლა რომ უნდოდა. ამხანაგებმა არ დაანებეს. ორივეჯერ ლამის მთელ კოლონას გაუხსნეს ცეცხლი. ეს ეპიზოდები აღშფოთებას თანდათან აძლიერებდა, ხალხი წკიპზე იყო, აჯანყების[330] აგიზგიზებას ნაპერწკალიღა უნდოდა და გამოიკვესა კიდეც.

მეხუთე ბანაკი მამაკაცებისა იყო, მეექვსე - ქალებისა. ბანაკებს აქაც მავთულხლართის საცეცხლე ზონა ჰყოფდა. საღამოს იქიდან ქალები მოადგებოდნენ ხოლმე, აქედან მამაკაცები, უმთავრესად, ერთი მხრისანი. წერილი თუ რომელიმეს ჰქონდა შინიდან მიღებული, ახალ ამბებს უზიარებდნენ ერთმანეთს. არშიყობა და მასხრობაც იყო, ერთობოდნენ. კოშკურებზე მდგომი გუშაგი ამას არასოდეს აღუშფოთებია. თუ მეხსიერება არ მღალატობს, ათას ცხრაას ორმოცდაცამეტი წლის სამი თუ ოთხი მაისის საღამო იყო, ბარაკის ფრთაზე ახალგაზრდები იდგნენ, გოგოებს ელაზღანდარებოდნენ. ბადრაგმა, სრულიად მოულოდნელად, ტყვიამფრქვევის ცეცხლი გახსნა. რამდენმე კაცი დაეცა - ზოგი უსულოდ და სამუდამოდ, ზოგიც — მძიმედ დაჭრილი. ამან მოთმინების ფიალა აავსო. ბანაკიდან ადმინისტრაციის ყველა წარმომადგენელი გააძევეს...

საყოველთაო გაფიცვა გამოვაცხადეთ. მეორე დილით ტაიმირის ნახევარკუნძულის ყველა ბანაკი გაიფიცა. გაჩერდა ყველაფერი - ქალაქ ნორილსკის მშენებლობა, სპილენძის, ქვანახშირის, რკინის, კობალტის, სხვა ფერადი ლითონების მოპოვება-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

გადამუშავება. შეწყდა საზღვაო და სამდინარო გემების დატვირთვა-დაცლა. თავისუფალი მოსახლეობა პანიკამ მოიცვა. ბანაკების გარშემო სანგრები გაჭრეს, საცეცხლე წერტილები მოაწყეს. სადარაჯო კოშკურებზე დინამიკები დააყენეს. გამოჩნდნენ ვიღაც პოლკოვნიკები, სცადეს მოლაპარაკების დაწყება. ბანაკების საგაფიცვო კომიტეტებმა ასე დაბალი თანამდებობის პირებთან საუბარი ერთხმად უარჰყვეს. მაშინ მატერიკელი გენერლები გვეწვივნენ. მახსოვს, როგორი გაკვირვებული სიფათები ჰქონდათ, აქაოდა, - განა ისეთი რა მოხდა, რომ ამხელა აურზაური ასტეხეთო! მთავრობის წარმომადგენლებს მოვითხოვდით, ჩვენი პირობების ხელიდან ხელში ოფიციალურად გადაცემა გვსურდა. შეგვპირდნენ, მაგ დათმობაზედაც წავალთო!

კომიტეტის სხდომაზე საბოლოო სახე მივეცით დოკუმენტს, რომელსაც ერქვა „**კომპარტიის პოლიტბიუროს, სსრკ მინისტრთა საბჭოს**". სამგვერდიან პრეამბულას მოსდევდა მოთხოვნათა თორმეტი პუნქტი: 1. სანომრო სისტემის გაუქმება. იგულისხმებოდა ნომრები, ჩვენი გვარ-სახელის მაგივრობას რომ ასრულებდა და გვეკერა მკერდზე, მარცხენა მკლავზე, მარჯვენა ბარძაყზე და ქუდზე. 2. ბარაკების გალება, ანუ იმ წესის გაუქმება, რომლის თანახმად, საღამოს შვიდიდან დილის ექვს საათამდე ჩაკეტილში ვისხედით. 3. გისოსების მოხსნა საცხოვრებელი სადგომებიდან. 4. მიწერ-მოწერის თავისუფლება. ოფიციალურად წელიწადში ორი წერილის მიწერის უფლება გვქონდა. პრაქტიკულად არც ეს ხდებოდა. 5. პატიმართა მასის ცნობა მხარედ. ამით გვინდოდა, მიგველწია ისეთი ვითარებისთვის, როცა ყველა საჭირბოროტო საკითხი ადმინისტრაციასთან მოლაპარაკებით, ურთიერთშეთანხმებით გადაწყდებოდა. 6. რვასაათიანი სამუშაო დღე. ათსაათიანზე ნაკლები, დღიდან გულაგის დაარსებისა, არც ერთ ბანაკში არ ყოფილა. 7. ყველა უცხოელის გაყვანა პატიმრობის ვადის თავიანთ სამშობლოში მოსახდელად, თუ მათი კანონი ამას საჭიროდ ჩასთვლის. მცირევადიანი პატიმრების გაყვანა ცალკე ბანაკში, სანამ მათი მომავალი გადაწყდებოდეს. 9. ინვალიდების გაყვანა და დაუყოვნებელი გათავისუფლება. ამ სამ პუნქტს, მათი პირდაპირი აზრისა და დანიშნულების გარდა, ის ქვეტექსტიც ახლდა,

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

რომ მზად ვიყავით, სისხლიანი წინააღმდეგობისთვის და არ გვსურდა ადამიანები, ვისაც მალე გათავისუფლების პერსპექტივა ჰქონდა. 10. წვრილშვილი ქალების დაუყოვნებელი გათავისუფლება, რისთვისაც უნდა ჰქონოდათ მისჯილი პატიმრობა, გარდა წინასწარგანზრახული მკვლელობისა და ამასთან გათანაბრებული დანაშაულისა. 11. ОБСО-ს ლიკვიდაცია - ასე ერქვა ორგანოს, რომელსაც მინიჭებული ჰქონდა უფლება, უშიშროების სამინისტროს წარდგინების საფუძველზე, დაუსწრებლად გამოეტანა განაჩენი სამი წლიდან დახვრეტის ჩათვლით. 12. უკლებლივ ყველა პოლიტიკური საქმის ხელახალი გამოძიება. იგულისხმებოდა არა მარტო იმჟამინდელი პატიმრების საქმეები, არამედ უშიშროების ორგანოების მიერ ოდესმე გამოძიებული ყველა საქმე. მიმართვა უფროსობას გადავეცით.

არავითარი რეაქცია! სვიატოპოლკის აზრით, ტექსტი ხალხისთვისაც უნდა წაგვეკითხა. მოედანზე მივიტანე, არავინ იყო, - სტადიონზე არიანო. წავედი. აუარებელ ხალხს მოეყარა თავი. სვიატოპოლკი კომიტეტის სხვა წევრებთან ერთად ტრიბუნასთან იდგა. მიმართვა გადავეცი და ვკითხე, - მიტინგი სტადიონზე რატომ დანიშნეთ-მეთქი? მოედანი მოფარებულზეა, ნახონ ჩვენი ერთსულოვნება ჩეკისტებმაო! - მითხრა, ტრიბუნაზე ავიდა და კითხვას შეუდგა.

ხალხი სულგანაბული უსმენდა. მავთულხლართების გადაღმა დიდჩინიან უფროსობას მოეყარა თავი. იმდენნი ერთად არასოდეს მოსულან. იდგნენ, ისმენდნენ. სვიატოპოლკმა ის იყო, მიმართვის კითხვა დაამთავრა, რომ იქ, სადაც მავთულხლართს გადაღმა ჩეკისტები იდგნენ, რაღაც ჩოჩქოლი ატყდა, ვიღაცეები ჩეკისტებს ქვას უშენდნენ, ბარე ათნი იყვნენ... ქვის მსროლელებს პირკინი მეთაურობდა.

– *Прекратить!* – დაიღრიალა სვიატოპოლკმა, მომიბრუნდა, მითხრა: – *Сбегай, успокой негодяев!* – და ტრიბუნიდან ისკუპა, თავს უშველა.

ადგილს მოვწყდი. ნახევარი მანძილი მექნებოდა გავლილი, როცა ბრძანება გაისმა:

– *Огонь!!!*

ტყვიამფრქვევი აკაკანდა.

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მიტინგი კი არ გაიფანტა - გაჰქრა...

— *Отставить!!!* — ისევ გაისმა და ცეცხლი შეწყდა.

სტადიონზე რამდენიმე ათეული დაჭრილი და მოკლული იწვა, მათ შორის პასკვილების თხზვა-გავრცელებისთვის უნივერსიტეტიდან გარიცხული მარატ პირკინიც...

გაშეშებული ვიდექი. მგონია, აზროვნების უნარი აღარ მქონდა, მექანიკურად ვათვალიერებდი იქაურობას...

ჩავილაპარაკე:

- ნოსტრადამუს!

- ეს რომელიღაც გვირგვინოსანი ქალის წამოძახილია, არა?

მივიხედე. ჩანძოლინი იყო, და უნებლიეთ მივუგე:

- ეკატერინე მედიჩის!

თავჩაქინდრული იდგა, ვითომ იმ საზარელი საქმის თანამონაწილე ყოფილიყო, და გამახსენდა წინა საუბარში ნათქვამი მისი ბოლო სიტყვა:

- ფრთხილად!..

დაჭრილები ღრიალებდნენ, კვნესოდნენ, შველას ითხოვდნენ, მაგრამ ახლომახლო არავინ ჩანდა. გავიწიე, რაიმე მკაფიოდ გაცნობიერებული განზრახვა არა მქონია, მხოლოდ ის ვიცოდი, რომ დახმარება იყო საჭირო, და გავიწიე. ჩანძოლინმა ხელი მტაცა:

- არ წახვიდე! ხედავ, ჯერ ისევ მანდ არიან, კიდევ რაღაცას აპირებენ... პირკინმა, თავისთავად, ზომაზე მეტი იცოდა!.. შენ რომ გამოგგზავნა, ნუ გეგონება, გზიდან ჩამოსაცილებელთა შორის პირველი იყო. შენ - ისე, ვინც ხელთ მოხვდა, სხვებზე ახლო იდექი... წესით რობერტი,[331] სორსკი და ის გულუბრყვილო ენთუზიასტი... როგორ ეძახიან?.. ოპოზიციონერი!

- დისკანტი...

- დისკანტი! ეგენი სვიატოპოლკს პოპულარობით, სადაცაა, აჯობებენ. მაგათ ჩამოცილებას აპირებდა გზიდან. არ გამოუვიდა.

ოფიცრებმა საქმის ცოდნით მოათვალიერეს სტადიონი, კიდევ რაღაც განკარგულებები გასცეს და ბრძოლის ველი დასტოვეს...

ბარაკებზე შავი დროშები აფრიალდა.

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

სამ, ოთხ დღეს კიოდა და ღრიალებდა ტაიმირის ყველა ბანაკი. კიოდნენ ქალები, ექვსი ათასი ერთხმად! დაუვიწყარია, ასეთი რამ ადამიანმა სიცოცხლეში ერთხელ შეიძლება, გაიგონოს და ისიც — „იღბლის რჩეულმა“. სტადიონზე გავთხარეთ საძმო საფლავები, დაღუპულები დავკრძალეთ და სამგლოვიარო მიტინგები მთელი კვირა გაგრძელდა. გულწრფელად, ცრემლითა და ბოღმით აღსავსე სიტყვებით გამოიტირა ორასმა ათასმა პატიმარმა გულაგის ახალი მსხვერპლი.

ჩანძოლინს ვკითხე, - ჩეკისტებმა რა მიზნით ჩაიდინეს ეს საზიზღარი დანაშაული, რაში სჭირდებოდათ-მეთქი?

- ყოველთვის არა, მაგრამ ზოგი რევოლუციის გარკვეულ ეტაპზე განმათავისუფლებელი მოძრაობისა და რეაქციის მიზნები ერთმანეთს ემთხვევა. მეტიც, იწყება პროცესები, მოვლენათა ისეთი განვითარება, როგორიც ორივეს აძლევს ხელს. ხდება, მოწინააღმდეგეთა ლიდერები შეთანხმებულადაც კი მოქმედებენ. აქ, ჩვენი რევოლუციის პირობებში, ასეთი ვითარება, შესაძლოა, ახლო მომავალში ჩამოყალიბდეს. ამჯერად კი, ვფიქრობ, მიზანთა დამთხვევა მოხდა, ტრაგედია წინასწარ შეთანხმებული არ იყო. სვიატოპოლკის მიზანი ნათელია - სისხლი! ჩეკისტებს სხვა რამ ამოძრავებდა. კერძოდ, მაგათთვის ცნობილია, რომ ტონუსი დაეცემა და ბანაკებში ოპოზიცია იმძლავრებს. ასეთ ვითარებაში ან მოვლენების თვითდინებაზე მიშვებაა საჭირო ან დაშინება! ის ოფიცრობა, ვფიქრობ, მიტინგის მოსასმენად არ მოსულა. აქცია წინასწარ იყო განზრახული და, აკი, საბაბიც მივთავაზეთ. სვიატოპოლკმა აჯობა, დაშინება ვერ განხორციელდა. ამას იქით ერთად, შეთანხმებულად იმოქმედებენ!..

ჩვენსა და უფროსობას შორის მოლაპარაკებები, სტადიონზე პირკინისა და მისი ხალხის დახვრეტის შემდეგ, ბარე ათი დღით შეწყდა. წინათ და მერეც შეხვედრები ასე მიმდინარეობდა: კოშკურიდან დაიყვირებდნენ, - უფროსები მოვიდნენ, ვახტიდან ოცი მეტრით დაიხიეთო! — ორი მოხალისე, ერთობ ენამჭევრი დიპლომატი გვყავდა გამოყოფილი. მათ მხოლოდ ის ევალებოდათ, რომ უნდა ემტკიცებინათ, ჩვენი მოთხოვნები სამართლიანია და მთავრობამ უკლებლივ ყველა, თორმეტივე უნდა ულაპარაკოდ შეგვისრულოსო. მოპირდაპირე მხარე კი ერთთავად

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

იმას გვიჩიჩინებდა, მოთხოვნებს იხილავენ, სადაც ჯერ არს, ხოლო თქვენ უნდა დაწყნარდეთ და მუშაობა განაახლოთო. ეგ იყო. ჩვენი ელჩები შებერტყილი კაცები იყვნენ, მოპირდაპირეს თუ რაიმე მნიშვნელოვანი წამოსცდებოდა, ამბავს უცდომლად მოიტანდნენ, ვერავინ ვერაფერს გამოაპარებდა.

ერთ დღეს კოშკურიდან მაინც დაიძახეს, - უფროსობა მოვიდა, ჭიშკრიდან ოცი მეტრით დაიხიეთო. ვინც ახლომახლო იყო, დაიხია. ჭიშკარი გაიღო და ასეთი სანახაობა წარმოგვიდგა: არც ერთი ოფიცერი. ჯარისკაცების ორმაგ ალყაში მოქცეული ერთი გენერალი და ორი სამოქალაქო პირი! სიჩუმე ჩამოვარდა, კაცი ბუზის ბზუილს გაიგონებდა. ვიდექით, ლამის პირღია შევცქეროდით ერთმანეთს. ჩვენ - გაკვირვებულნი, ისინი - ცუდად შენიღბული შიშით.

— *Здравствуйте, роботяги!* — დაიძახა სამოქალაქო პირმა.

ისევ სიჩუმე იყო. ვერ ვიტყვი, ვინმემ თუ შეამჩნია. მე ყურში არ მცემია. ჩანძოლინმა ჩამჩურჩულა:

- ზეკებს გვეძახდნენ რევოლუციის შემდეგ და დღემდე. ეს „რობოტიაგი" რაღას უნდა ნიშნავდეს?

- მართლა!.. შეხედე მაგათ?!. - გამოეხმაურა სვიატოპოლკი და მოსულებს დააკვირდა.

— *Ну что, будем беседовать, или уйти нам? Где там ваши... как их... представители?*

ჩვენი მუდმივი დესპანები აქვე იდგნენ, სვიატოპოლკს შეაჩერდნენ, - წავიდეთ თუ არაო? ამას არ ეცალა, თვალმოუწყვეტლივ გასცქეროდა მოსულებს. ამიტომ ერთ-ერთმა „დიპლომატმა" მე შემომხედა. თავი ავუქნიე, წადი-მეთქი.

წავიდნენ.

მხარეების საუბარი ცუდად ისმოდა. ხალხმა ჭიშკრისკენ გაიწია. სვიატოპოლკიც დაიძრა, მივიდა, ელჩებს ზურგში ამოუდგა. ჩანძოლინი და მე გასაგონზე შევჩერდით.

დიპლომატები უკვე მრავალგზის ნათქვამსა და გაზეპირებულ ტექსტს აბულბულებდნენ. სვიატოპოლკმა ერთხანს უსმინა, სიტყვა ჩამოართვა. ლაპარაკობდა, თანდათან ემატებოდა გზნება - ასე იცოდა ხოლმე. მოთხოვნის ყოველი პუნქტის გან-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მარტებისას უნებლიეთ ოდნავ წინ მიიწევდა და როცა ასე ჩოჩიალით ჭიშკრის ზღურბლს გადაადგა ფეხი, ჯარისკაცებმა ხელი სტაცეს, გაითრიეს და ჭიშკარიც უმალ დაიხურა.

მოიტაცეს ჩვენი სვიატოპოლკი!

ბრბო ერთბაშად აყვირდა. ტყვიამფრქვევები აკაკანდნენ, გავიქეცით - ვინ საით. ჰაერში ისროდნენ, არავინ დაშავებულა. კარგად დაგეგმილი და შესრულებული ოპერაცია იყო, რაც მართალია, მართალია.

მოვეგეთ თუ არა გონს, ქალებს ვანიშნეთ და შეერთებული ძალებით ისეთი ღრიალი ავტეხეთ, ლამის ცა ჩამოქცეულიყო - სვიატოპოლკის დაბრუნებას მოვითხოვდით. ისევ წამოფეთქდა ტაიმირი და ატყდა ნორილსკის თავისუფალ დასახლებაში პანიკა. დაიძრა ყაზარმებისკენ ბოხჩებით დახუნძლული დედაკაცებისა და ბავშვების ქარავანი...

გავიმარჯვეთ. ორიოდ საათის ბობოქრობამ თავისი საქმე გააკეთა - დააბრუნეს ჩვენი თავკაცი! იმ დღის მოვლენების ჩხიბვა-გააზრებამ თითქმის დილამდე გასტანა. სვიატოპოლკი ირწმუნებოდა, - დათმობებით ჩამოვიდნენ, მაგრამ როგორც შევატყვე, ყოველ პუნქტზე ივაჭრებენ და იჯანჯლებენო.

შინ რომ მივედი, ჩანძოლინი უკვე ფეხზე იყო. მითხრა, - კარში გავიდეთ, სალაპარაკო მაქვსო. ძალზე დაღლილი ვიყავი, მაგრამ იმ ასაკში ჩემთვის ამას არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა, ნარდის თამაშში ორი დღე-ღამე უძილოდ გამიტარებია და კიდევ ნახევარ საათს როგორ არ ვიფხიზლებდი იმ გენიალური კაცის მოსასმენად.

გავედით, ბოლთას მივდექით. კარგა ხნის სიჩუმის მერე მკითხა:

- ამდენმა ჯდომამ თუ დაგისვა კითხვა და მოგაძებნინა პასუხი იმაზე, თუ რა შემთხვევაში ათავისუფლებენ ჩეკისტები დაპატიმრებულ პოლიტიკურ დამნაშავეს გამოძიების პროცესშივე, მიუსჯელად?

- ანაბანის ცოდნაში მცდი?

- არა. მე გომინდანელი ვარ, ჩან კაი შის ახლო მეგობარი ვიყავი. ოცდაცხრამეტში კომუნისტებს ხუთნი ჩავუვარდით ხელში. სასტიკად გვაწამეს. მერე თვით მაო ძე დუნი ჩაერია საქმე-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ში. ყველა გაგვიშვეს იმიტომ, რომ ერთი ჩვენგანი თანამშრომ-ლობაზე დაჰყვა. კომუნისტებზე მუშაობდა, სანამ ცოცხალი იყო. სიკვდილის წინ გამოტყდა. ასეთი ბევრია.

ჩანძოლინი სდუმდა, სანამ ვკითხე:

- რისთვის დაიწყე ეს საუბარი?

- მე აქედან მალე წამიყვანენ. თქვენი მოთხოვნების ორი მუ-ხლი ვრცელდება ჩემზე - უცხოელიც ვარ და ინვალიდიც. ორი-ვეს შეასრულებენ. ჩემი ნათქვამი საერთო საქმეს მაშინ ავნებს, თუ გაითქვა. თუ არა, მეხსიერებაში დარჩება და სხვა არაფერი. ვერ გეტყვი, რატომ მინდა, იცოდე, რომ სვიატოპოლკი პირვე-ლი გამოძიების დროს არის გადაბირებული და საიდუმლო ნიღ-ბით გათავისუფლებული. მაგრამ აქვე გეტყვი, ფანატიკოსია, შეუპოვარი მებრძოლია და იმათგანი, ვინც უშიშროებასთან ურთიერთობას საკუთარი საქმისთვის იყენებს. არსებობს შეხ-ედულება, რომ პოლიტიკაში, ბრძოლებში, ყველაფერია გამარ-თლებული. მე ამას არ ვიზიარებდი და იქნება ამიტომაც წავაგე. იცი რა? სვიატოპოლკი ჩაკარგული იყო. ხდება ხოლმე, აგენტი ჩაიკარგება. სვიატოპოლკი, საფიქრებელია, ჩეკისტებისთვის ყარაგანდაშივე ამოტივტივდა, გადამბირებელი მოძებნეს. ის წ-ითური სუბიექტი, გენერლის გვერდით რომ იდგა და უმაღლესი საბჭოს დეპუტატად მოგვასაღა თავი... რა ვიცი, იქნება არის კი-დევაც? შენიშნე? სვიატოპოლკმა ლამის თვალებით შეჭამა. მე-რე ახლოს მივიდა, დაენახვა. ლაპარაკში უსიტყვო კონტაქტი მოხდა... თავი განგებ დაატყვევებინა. გგონია, ჩვენი წივილ-კი-ვილის გამო დააბრუნეს? შეთანხმდნენ, ამას იქით - როდემდე, ვერ გეტყვი,-ერთად იმუშავებენ, საერთო მიზანი აქვთ!..

შუადღე იქნებოდა. ათასობით კაცისა თუ ქალის ღრიალმა და ყოველნაირი ხმიანი საგნების დაგადუგმა გამომაღვიძა. გავ-ედი. ცოტა ხანს მერე ჭიშკართან სვიატოპოლკის წითური კაცი მოვიდა. მარტო იყო, იკითხა, - რა გაღრიალებთო? უთხრეს და იქაურობას გაერიდა.

ორი, სამი საათის შემდეგ ჭიშკარი ისევ გაიღო, ფსევდოდე-პუტატი მობრძანდა. მარტო იყო. დაიძახა, - მომიახლოვდითო!

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ყველაზე წინ, რა თქმა უნდა, ჩვენი დიპლომატები მიიჭრნენ. წ-ითურმა დაიცადა, სანამ ხალხიც მიუახლოვდებოდა, და გამოა-ცხადა:

- მივიღე ბრძანება ცენტრიდან. გულაგის სისტემის ყველა შრომა-გასწორების ბანაკზე ვრცელდება. ბარაკები ღამით აღ-არ დაიკეტება, გისოსები შეგიძლიათ, მოაშოროთ, ნომრები - მოიხსნათ! დაწყნარდით, თანდათან ყველა თქვენი მოთხოვნა დაკმაყოფილდება.

მისი ბოლო სიტყვები ქარაშოტივით წამოვარდნილმა ღრიან-ცელმა დანთქა. არავის არაფერი გაუგონია.

გამოაცხადა და წავიდა. იმ ალიაქოთიდან სხვაზე მეტად ერ-თი რამ ჩამყვა მეხსიერებაში: პატიმრები ერთმანეთს ეცნენ, ნომრების გლეჯას მიჰყვეს ხელი. იქაურობას ფხრაწაფხრუწი გაუდიოდა. ვეება ესტონელი გვყავდა, დურგალი. ზურგიდან ნომერი აახიეს და ძირს ასმანეთიანი ჩამოფრინდა. დაინახა, გა-ნცვიფრდა, - ეს აქ საიდან გაჩნდაო?!

ვინ იცის, ვისი ნაცვამი მისცეს, ვინ იცის, რა ბედი ეწია იმ ასმანეთიანის ჩამკერებელს, ვინ იცის, ვინ იყო, რა ვიცი, იქნე-ბა, დღესაც მიელიან შინ!..

ეს ჩვენი მოთხოვნის პირველი სამი პუნქტის შესრულება იყო. მეორე დღეს ბატონმა დეპუტატმა გვაცნობა, რომ მთავრო-ბა თანახმაა, შეასრულოს შემდგომი სამი პუნქტი: მიწერ-მოწ-ერის თავისუფლება - წერე და მიიღე, რამდენიც გენებოს, იმდ-ენი წერილი. პატიმართა მასას უფლება აქვს, თავად აირჩიოს, ეგრეთ წოდებული, აქტივის საბჭო, და მეექვსე - რვასაათიანი სამუშაო დღე! თორმეტი პუნქტიდან ექვსი შეგვისრულეს. მომ-დევნო დღეებში - კიდევ სამი: მაშინვე ყველა ინვალიდი გაიყვა-ნეს ცალკე ბანაკში და რამდენიმე თვის შემდეგ, მართლაც, გაა-თავისუფლეს. ასევე და ამავე წესით გაათავისუფლეს წვრილშ-ვილიანი ქალები. უცხოელებიც ცალკე ბანაკში გაიყვანეს; მე და ჩანძოლინი ერთმანეთს თვალცრემლიანები დავშორდით. დარჩა სამი პუნქტი, რომელიც შემდგომში შეასრულეს: ოსო ლიკვიდირებულ იქნა, რამდენიმე თვის შემდეგ საბჭოთა კავში-რის უზენაესი საბჭოს კომისიებმა დაიწყეს ბანაკებში სიარუ-ლი, ადგილზე პატიმართა უშუალო დაკითხვით მათი საქმეების

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

გადასინჯვა და უმრავლესობა გათავისუფლდა კიდეც. მხოლოდ ნაწილი დარჩა ბანაკებში შემცირებული ვადით. ერთადერთი პუნქტი დარჩა შეუსრულებელი - მცირესასჯელიანთა ჩვენი ბანაკებიდან გაყვანა. ისინი იმავე ბანაკებში დატოვეს, სადაც აჯანყების პერიოდში იყვნენ - ქალაქი ნორილსკი ვინმეს ხომ უნდა ეშენებინა?!. სხვებს ასეთი ბედი გვეწვია, უკეთ ვთქვათ, იმათ, ვინც აჯანყების აქტივს წარმოადგენდა - დაგვხვიეს ხელი, ჩაგვყარეს კარჭაპში, ჩაგვატარეს ენისეით და კოლიმაზე გვიკრეს თავი. აქაც რამდენმე ათასი კაცი ვიყავით. თურმე, დაუსწრებლად, ОСО-ს მიერ მის ლიკვიდაციამდე ყველას, სხვადასხვა ვადით პოლიტიზოლატორებში ჯდომა გვქონდა მისჯილი. ციხეები გატენილი იყო, ეს განაჩენი მხოლოდ რამდენიმე ასეული კაცის მიმართ აღსრულდა - რამდენი ადგილიც აღმოჩნდა თავისუფალი, იმდენის მიმართ. ჩემთვის ОСО-მ რატომღაც, ხუთი წლით იზოლატორში ჯდომის მეტი ვერ გაიმეტა. არა ვმჯდარვარ, მაგრამ აკი ვთქვი, რვა წელიწადი ბუხტა-ვანინაში ვიშოვნე.

დიდი ხნის ამბავია, ბევრი რამ იქნება გამომრჩა ან ზუსტად ვერ გავიხსენე - არაფერია, ასე მნიშვნელოვან მოვლენებს თავისი ჟამთააღმწერელი არ მოაკლდება. მე მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ სვიატოპოლკმა თავისუფლება იშოვნა, მაგრამ უკრაინაში დაბრუნებულმა — საფეთქელში ტყვიაც, თავისიანებმა მიაძაღლეს!.. არა, ის ტარატუტაც[332] რომ არ გავიხსენოთ, არ იქნება, ძალიან ჩამრჩა მეხსიერებაში... აჯანყების დაწყებამდე ორიოდ თვით ადრე, ლეო ანჩაბაძის[333] ბრიგადის გასათბობ ხუხულაში, შემთხვევით ვინმე ტარატუტას ნაამბობი მოვისმინე. ნატყვევარი იყო, ამისთვის იჯდა, მაგრამ როგორი ნატყვევარი!.. ასე ჰყვებოდა: მეორე მსოფლიო ომის დაწყების პირველსავე დღეს დრო იხელთა და გერმანელთა მხარეზე გადავიდა. ერთხანს ტყვეთა ბანაკში აყურყუტეს და, როგორც ეს ომის პირველ ხანებში ხდებოდა, გლეხთან გაამწესეს, ძროხებს უვლიდა. გავიდა დრო, გერმანელებს ცოცხალი ძალა შემოაკლდათ. ასე გამწესებული ტყვეები მოხვეტეს, არმიაში ჩარიცხეს. ტარატუტასი მაგარი იმედი ჰქონდათ, - თავისი ნებით არის ჩვენკენ გადმოსული, მაგრა იომებსო; აქაც იხელთა დრო,

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

გერმანელებს გაექცა, ინგლისელებს ჩაბარდა. არც აქაურობა მოეწონა და ახლა ამერიკელებს მიადგა. ნაწილში ჩარიცხეს. ნაწილი მძიმე ბრძოლებში ჩაება. ტარატუტამ ისევ გერმანელებს მიაშურა იმ იმედით, რომ ამერიკელ ტყვეთა ბანაკში მოათავსებდნენ, იქ წითელი ჯვრის საკვებზე მოიკეთებდა და ამაობაში ომიც დამთავრდებოდა. ნურას უკაცრავად - გერმანელებმა აღმოსავლეთის ფრონტზე უკრეს თავი. პოლონეთის ტერიტორია იყო. ტარატუტა ისევ საბჭოთა მხარეს გადმოვიდა. კარგი ლეგენდა ჰქონდა, ყველაფერი დაუჯერეს და ომიც გათავდა. ხუთი თუ ექვსი თვის მერე ტარატუტას ჩეკისტებმა შინ მიაკითხეს - თხუთმეტი წელი. მისივე სიტყვით, სამძებრო ორგანოებს მივიწყებული ჰყავდათ - თავი შეახსენა, „კუთვნილი" მედლების ძებნა რომ არ დამეწყო, დღესაც შინ ვიქნებოდი! ყოველივე ამას იუმორით ჰყვებოდა, მაგრამ ტრაბახა, თავმომწონე იუმორით...

აჯანყების პროცესში ნორილსკელმა ჩეკისტებმა დიდი ხმამაღლამოლაპარაკეები დადგეს, აგიტაციას გვიწევდნენ, - მაგ უიმედო საქმეს მოეშვით, აგერ, გაჭრილი მავთულხლართები და გამოდით, ვისაც ჭკუა გაქვთო. ჩვენ, ჩვენის მხრივ, მცირევადიანებს უფლება მივეცით, გასულიყვნენ. რაღაც ოცდაათი კაცი გავიდა. ეს უფლება ტარატუტას არ ეხებოდა. როცა მსურველები გავიდნენ, კიდევ ერთხელ გამოვაცხადეთ, - ვისაც სურს, გავიდესო! აღარავინ გამოჩნდა და მაშინ გაჭრილი მავთულხლართების სიახლოვეს გუშაგები დავაყენეთ, რომ აღგვენუსხა, კიდევ ვინ გაიქცეოდა ისეთი, ვისაც აჯანყებულთა შინაური ამბების გატანა შეეძლო. ეს სამომავლოდ იყო საჭირო.

მაქსიმ მელნიჩენკო[334] და მე სტადიონის ტრიბუნაზე ვისხედით, ვსაუბრობდით. თვალი მოვკარი, ტარატუტა გაჭრილი მავთულხლართის, ანუ დერეფნის სიახლოვეს დაყენებულ მორიგეების ჯგუფს ემასლაათებოდა. დავანახვე მელნიჩენკოს ის ტარატუტა და მისივე ნაამბობი წარსულისაც ყველაფერი ვუამბე. მელნიჩენკომ, - აბა, დავაცადოთ, რას იზამსო?!. ცხადი იყო, დერეფნისკენ გაჭრას აპირებდა. ამისთვის სტადიონი უნდა გადაეკვეთა - ორმოცდაათი მეტრი — და სხვა თითქმის არაფერი იყო საჭირო. ტარატუტას, სჩანს, ისიც ჰქონდა გათვალისწინებუ-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ლი, რომ წამსვლელს ერთ-ერთი მორიგის კეტი ზურგში უეჭველად უწევდა... ტარატუტამ იმდენი იმასლაათა, ისე იეშმაკა, ისეთი მდგომარეობა გაინაღდა, რომ ადგილს მოწყვეტილს ჯოხი ვერ მისწვდომოდა... მოწყდა და გაიქცა. მანძილის ნახევარი გარბენილი ჰქონდა, რომ დავიძახე, - *Беги, Таратута! Тебе не впервые* -მეთქი!.. ასეთ წამიერ რეაქციას სხვაგან არავისას შევსწრებივარ - ტარატუტა მყისიერად გაჩერდა, დარჭობილივით გაინაბა, კაი თხუთმეტ-ოც წამს იდგა, ხან ჩვენ შემოგვცქეროდა, ხან ლანძღვა-გინებით მყვირალ მორიგეებს... მერე ნელი ნაბიჯით განაგრძო სიარული, მავთულხლართს გასცდა... იქ დაცვა იდგა, უბრძანეს, - დაწექიო, და ტარატუტა ჭაობში ჩაემხო პირქვე... მავთულხლართს ფიცარნაგის ბლოკი ჩასდევდა ყარაულის სასიარულოდ. ზემოდან ფიცარნაგს კრასნოიარსკელი პოლკოვნიკი მიხაილოვი[335] ჩამოჰყვა, ტარატუტას წაადგა თავს. ახლოს იყო, გვესმოდა:

– *Кто Вы – фамилия?* – მიმართა პოლკოვნიკმა.

– *Таратута,* – მიუგო მწოლიარემ.

პოლკოვნიკმა აღშფოთებულ, მყვირალ მორიგეებს გამოხედა და ხმამაღლა, თითქოს ჩვენს გასაგონად სთქვა:

– *Мдаа!.. Таратута! Интересная фамилия... Перебежчиков, брат, всегда ненавидят!* – გაბრუნდა და ფიცარნაგს გაჰყვა.

ტარატუტას ხელბორკილი დაადეს, მოზვერივით გაიგდეს წინ... ეეჰ, ის წიგნი ვერაფრით ჩავიგდე ხელში, - იან ამოს კომენსკი *„Всеобщий совет по исправлению дел человеческих“* – ნეტავი როგორ, რა საშუალებებით აპირებდა კაცობრიობის საქმეთა გამოსწორებას?.. ჰო, აშნამდე რამდენი დღე დაგვრჩა?.. რვა, ცხრა თუ ათი?.. ეხლა დავისვენოთ, ხვალ მზიანზე - თუ იქნა მზე, - ადგილმდებარეობა გავიგნოთ და მივაწვეთ ჩვენს საქმეს!..

გორას დილაადრიან გაეღვიძა. საუზმობა და ადგილმდებარეობის გაგნება დააპირა. ვერც ერთი შესძლო და ვერც მეორე:

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ცარიელი ციგა, თხილამურები, ჯოხები და ყავარჯნებიღა დახვდა იქ, სადაც დაძინების წინ დასტოვა - ჯიბეებში ანკესები, კომპასი და კიდევ რაღაცები...

რა შემრჩა?.. საძილე ტომარა, ანკესები, კომპასი, საათი, რაღაც მედიკამენტები - სხვა არაფერი... არა, რა ცალკე აპარტამენტების ჭია შემიჩნდა!.. დაიბი ხელზე ციგის ბაწარი და დაიძინე, როგორც ყოველთვის აკეთებ... ის კაცი ორჯერ დაინახე, ეჭვი ვერ აიღე?.. არა, ერთხელ ერთი დავინახე; მეორედ ორნი იყვნენ და ძალიან შორს. რანაირად მეფიქრა, რომ ჩემს კვალს მოსდევენ და ისიც რისთვის? ჩემი ჩიხომახოს მოსაპარად!.. მოიცა, თხილამურები დასტოვეს, ჯოხები, ყავარჯნები! ეს რას უნდა ნიშნავდეს? სამოძრაო თუ რაიმე იყო, დასტოვეს. დანარჩენი - ფაფუ! ჰაა, მიტილენიჩ, შენი ოინია? რისთვის უნდა გჭირდებოდეს ეს ფანდი? რა, იმ ორ კაცს, ბოლოს რომ დავინახე, ჩემი აყვანა გაუჭირდებოდა? ესე იგი, რა ჩანაფიქრია?.. ის ჩანაფიქრია, რომ იძულებული გახდე, აშნასთან უსათუოდ მიხვიდე, სხვა რა უნდა იყოს?.. კი, მშიერ-მწყურვალი დაგვტოვა. აშნამდე ერთი კვირა - მაქსიმუმ, რვა დღეა... ჩემი გამძლეობის იმედი აქვს, შვიდი, რვა დღე მშიერიც ივლისო... ეშმაკების უსტაბაში ხარ, მიტილენიჩ!.. სად გაგონილა ეს მაიმუნობა, გეზის შეცვლას არ ვაპირებდი და არც გადავუხვევ წინასწარ დასახული მიმართულებიდან. იცი, რატომ? იმიტომ, რომ შენ მატარებლამდე ჩემი დამჭერი არა ხარ. გამოგთვალე, უდავიდარაბოდ, ლამაზად გინდა, ამიყვანო ომსკში, მატარებლის კუპეში, და იქვე ოპერმუშაკებს ჩამაბარო ხელიდან ხელში. შენ გონებამახვილი მაძებარ-მადევრის, საკუთარ პროფესიაში არტისტის სახელი, გენერლის ჩინი და მამაშენის სამშობლოში მშვიდი სიბერე გჭირდება!.. სწორი ვარ, მიტილენიჩ?!. იცი, რას გეტყვი? საცოდავი მამაჩემისგან მაქვს გაგონილი: სუმბათაშვილი-იუჟინი რომელიღაც დიდ წვეულებაზე იყო. მსხვილი თამაში მიდიოდა. სუმბათაშვილიც თამაშობდა და თან ვიღაცებს - მეგობრებს, განუწყვეტლივ ესაუბრებოდა. ასე ლაპარაკმოსმენაში ოცი ათასი მაშინდელი მანეთი წააგო და მეგობრე-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ბს უთხრა, – *А теперь поедем к Палкину*-ო. პალკინის რესტორანი მოსკოვში ყველაზე ფეშენებელური და ძვირი დაწესებულება იყო...

გორავ, საყვარელო! *Поедем к Палкину!*

მიტილენიჩი და გლები ომსკში, ერთ-ერთ სასტუმროში, ასე საუბრობდნენ:

- გლებ, ჩვენ მაგ ქალის გარეგნობა გვჭირდება. გარეგნობას ჩვენს პროფესიაში ხომ იცი, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს.

- რომელი ქალისა?

- სოფი ლორენის!.. რომლისა უნდა გვჭირდებოდეს - პოლინა ცეზარევასი. მინდა, ვნახო, რას წარმოადგენს, როგორ გამოიყურება.

- ფოტოსურათი ხომ გაქვთ. მაგასთან შედარებით, კაი შებერებულია. რაღაც რედაქციაში, უკეთ ვთქვათ, გამომცემლობაში მსახურობს.

- რა თანამდებობაზეა?

- ადმინისტრაციულ-ტექნიკური განყოფილების გამგეა. აქვს ამ გამომცემლობას ასეთი ქვედანაყოფი.

- კერძოდ, რა ევალება?

- შტატის სამსახურში დროზე მოსვლა, ტინგიცა გოგოების მოთოკვა, რომ ტელეფონით საათობით არ იყრანტალონ, დამლაგებლებისა და სხვა ასეთთა უფროსობა. მგონია, მეტი არაფერი. სად გირჩევნიათ მისი ნახვა?.. ბინაზე მისვლა შეიძლება, სამსახურიდან გამოსვლის დროსაც...

- მე, ჯერჯერობით, მხოლოდ გარეგნობა, ფოტოსურათთან იდენტიფიცირება მჭირდება. შეცდომა დაუშვებელია.

- რა შეცდომა, პოლინა ცეზარევაა და ეგ არის.

- სხვა რომ აღმოჩნდეს?

- ვინ სხვა?

- კარგი, გეყოფა! აგერ, ნახევარი საათის შემდეგ სამუშაო დღე მთავრდება. წამიყვანე, ვნახო.

მიტილენიჩის, უფრო სწორად, შინაგან საქმეთა სამინისტროს ომსკის საოლქო სამმართველოს ავტომანქანა გამომცემლობის წინ იდგა, როცა პოლინა ცეზარევა გარეთ გამოვიდა.საჭესთან გლები იჯდა, მანქანაში სხვა არავინ იყო. ნუტრ-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ის ქურქი ეცვა, ნუტრიის ბეწვისავე ქუდი ეხურა, მხარზე ლაგაზი ჩანთა ჰქონდა გადაკიდებული და ხელშიც საყიდლების ჩანთა ეჭირა.

- ამას არ შესცივა, - ჩაილაპარაკა მიტილენიჩმა.

- არ შესცივა, - დაუდასტურა გლებმა. - გუშინ სხვა ქურქი ეცვა. შეუძლია ორივე ერთად ჩაიცვას. მაშინ დასცხება კიდეც. შეძლებული ქალი სჩანს, ძვირფას სამკაულებს - საყურეებს, ბეჭდებს ატარებს. ასეთები ნამდვილ ბრილიანტებსა და ბაჯაღლო ოქროს ბიჟუტერიად ასაღებენ ხოლმე.

- შორს ცხოვრობს?

- არც ისე. პროსპექტზე.

- დასძარი, გავასწროთ.

მანქანა ცეზარევას რომ გაუსწორდა, მიტილენიჩმა ფოტოსურათს დახედა ისევ.

- რა იყო, დიდი და რიგიანი ფოტო ვერ მოატანინეს, რას ჰგავს ეს, სამი-ოთხზე! წადი და იცანი... გლებ, აქ სადმე რაიმე კაფე ან რესტორანი არის?

- როგორ არა, „ავრორა"!

- ისე იარე, რომ ჩამოვიდე, პირისპირ შევხვდე და შეხვედრა მაგ „ავრორასთან" ან იქვე ახლოს მოხდეს.

გლებმა ქალს ისევ გაასწრო, „ავრორას" გასცდა, მიტილენიჩმა გაჩერება უბრძანა. მანქანა დადგა, მიტილენიჩი ჩავიდა და „ობიექტთან" შესახვედრად გაემართა.

ქალი ლაღად, უდარდელად მოაბიჯებდა.

- გამარჯობათ, ოლგა! - მიესალმა მიტილენიჩი, როცა ქალის პირისპირ აღმოჩნდა.

ქალი შეკრთა, მაგრამ მხოლოდ წამით. მიტილენიჩის გვერდის ავლას შეეცადა - ვერ მოახერხა.

- მე თქვენ მოგმართავთ ოლგა, მიროსლავი ვარ!

ქალმა მიტილენიჩი ერთხანს დაკვირვებით, ამრეზითა და უსიამოდ თავიდან ფეხამდე ათვალიერა და მიუგო:

- თქვენ მიროსლავი არა ხართ და მე ოლგა არა ვარ. გაუგებრობას აქვს ადგილი.

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

- მართალი ბრძანდებით, მე ის მიროსლავი არა ვარ, ვისაც თქვენ ექვემდებარებით, მაგრამ მიროსლავი ვარ და თქვენ ოლგა ბრძანდებით, - მიტილენიჩმა ქალს ის „სამი-ოთხზე" ფოტოსურათი აჩვენა.

ქალმა ფოტოსურათს უცქირა და სთქვა:

- ღმერთო ჩემო, როგორ გამოვიცვალე, რას დავემსგავსე!..

- არა, ქალბატონო ოლგა, თქვენ ისეთივე მშვენიერი ბრძანდებით, როგორიც ამ სურათის გადაღებისას იყავით...

- კარგი, მადლობა ქათინაურისთვის, მაგრამ თქვენ რომ მიროსლავი არ ხართ, ამას რა მოვუხერხოთ?

- ნებისმიერი კაცი თუ ქალი, ვინც თქვენ ოლგობით მოგმართავთ და მიროსლავად წარმოგიდგებათ - მიროსლავია! ასე არ არის? პირობა - პირობაა, მოვალეობა - მოვალეობა... ყავას მიირთმევთ?

- ყავას? - ისევ შეცბა პოლინა ცეზარევა - იგივე ოლგა. - ყავას, არა?.. სიამოვნებით! აგერ, „ავრორაში" დავლიოთ... ისეთი სიძვირეა, ეგ რესტორანი ყოველთვის ცარიელია.

ადვილად დამყვა, - გაიფიქრა მიტილენიჩმა და ქალს დაბრძანება შესთავაზა. რესტორანში, მართლაც ხალვათობა იყო, - დარბაზში ხმაურიც ისეთი იდგა, როგორიც მოშორებით მჯდომთა კონფიდენციალურ საუბარს სჭირდებოდა - მიტილენიჩს და ცეზარევას ერთმანეთისა ყველაფერი კარგად ესმოდათ, უცხო, ახლოსაც მჯდარიყო, ვერაფერს გაიგონებდა.

- მიროსლავს აინტერესებს, რატომ შეწყდა ინფორმაცია მისთვის ჩაბარებული პირველი ობიექტის გარშემო?

- პირველი ობიექტი ციხეში ზის, ხულიგნობისა და მოქალაქეთა სხეულის დაზიანებისთვის.

- რატომ დაგჭირდათ მისი პატიმრობა?

- მე დამჭირდა?

- დიახ, პოლინა ცეზარევა - თქვენ!

- ეგ სიცრუეა!

- მიროსლავმა ყველაფერი იცის, გარდა იმისა, თუ რატომ დაგჭირდათ მისი თავიდან მოშორება.

ქალი დაფიქრდა, ცრემლები გადმოყარა და სთქვა:

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

- აღარ მჭირდებოდა. მეტიც - ხელს მიშლიდა!.. პირადი ცხოვრების სასურველი კალაპოტით წარმართვაში მიშლიდა ხელს.

- აქტიურად გიშლიდათ?

ქალი ისევ დაფიქრდა.

- არა, იმით მიშლიდა ხელს, რომ ნებსით თუ უნებლიეთ ჩემსა და მეორე ობიექტს შორის იდგა.

- რაღაცას მალავთ, პოლინა ალექსეევნა.

- ეგაც სწორია! მეგონა, ობიექტს თუ მოვიშორებდი, მიროსლავთან ჩემი ურთიერთობაც შეწყდებოდა. თავად განსაჯეთ; მორალურად მძიმეა, გიყვარდეს კაცი და მასზე მუშაობდე. მართალი ვარ?

- მართალი ბრძანდებით, მაგრამ თქვენი ჩანაფიქრი ხომ ვერ გამართლდა, მიროსლავმა შემდგომი ობიექტი ჩაგაბარათ.

- არ მეგონა, თუ ასე მოხდებოდა, თავი არ დამანება მიროსლავმა. ეს ობიექტი ჩემთვის მხოლოდ მასალაა და არა ნამდვილი სიყვარულის საგანი. ის კაცი კარგა ხანს და გულწრფელად მიყვარდა - ყოველ შემთხვევაში, პირველი რამდენიმე წლის მანძილზე...

- გასაგებია! - მიტილენჩმა იყუჩა და ჰკითხა: - როგორ მოხვდით, სახელდობრ, მიროსლავთან და არა სხვასთან?..

- მოგეხსენებათ, პირველი მიროსლავი ქალი გახლდათ - ჩვენი განყოფილების უფროსის მოადგილე. ამავე განყოფილების მთავარ ინჟინრად პირველი ობიექტი იყო, მე მასთან ინტიმური დამოკიდებულება მქონდა. სიყვარულს მალვა უნდა - ესაც მოგეხსენებათ. ამიტომ ქალმა თავისი საყვარლისა ყველგან აუგი უნდა ილაპარაკოს. ასეთი ხერხი გარემოცვას აბნევს, - საყვარელი თუა, ზურგს უკან რატომღა ლანძღავსო? მიროსლავი რომ უშიშროების ყოფილი მუშაკი იყო, ვიცოდი. მე მას ადრეც ვიცნობდი, დავახლოვდით; პირველი ობიექტი მან ჩამაბარა. მერე კადრები შემოაკლდათ, თუ როგორ იყო, მიროსლავი უშიშროებაში დააბრუნეს. ჩვენი ურთიერთობა არ შეწყვეტილა, ან რატომ უნდა შემეწყვიტა, ასეთ დაწესებულებაში მეგობრის ყოლა არასოდეს არ არის ზედმეტი... საბოლოო ჯამში კი ისე გამოვიდა, რომ მე გაეხდი მისი კაცი, სხვა ობიექტი ჩამაბარა...

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

- სიყვარულის მალვის საინტერესო ხერხია!.. - სიტყვა ჩამოართვა მიტილენიჩმა. - პირველად მესმის. გამოდის, ქალმა თავისი ინტიმური მეგობარი უნდა ლანძღოს, გარემოცვას თავგზა რომ აუბნიოს, არა?

- დიახ, მაგრამ ეგ ერთ-ერთი ხერხია. არის სხვა საშუალებებიც და პირიქითაც ხდება: თუ მეგობარი სახელიანი, გამოჩენილი, საზოგადოების მიერ აღიარებული ადამიანია, მაშინ სიჩუმე სჯობს, დაე, იცოდნენ, ვინ დგას შენს უკან!

- ცნობებს წერილობით აწვდიდით?

- იშვიათად. უფრო კერძო საუბრებში ვლაპარაკობდი იმას, რაც მიროსლავს აინტერესებდა... ისიც შესაძლებელია, რომ ჩემი ნალაპარაკევი ფირზე იწერებოდა. შემდგომში, როგორც სჩანს, პირველი ობიექტის მიმართ უშიშროების ინტერესი შენელდა, შესწავლილად ჩათვალეს. ამას დაემთხვა ისიც, რომ ჩემი ინტერესიც შენელდა და - ქალი ვარ, რა ვქნა, შვილები მყავდა დასაზრდელი. ახალი, უფრო შეძლებული მეგობარი მჭირდებოდა. გავიჩინე კიდეც, მაგრამ პირველი იდგა ჩვენს შორის. ყოველივე ეს პირველის დაპატიმრებით დამთავრდა. მე და მეორემ აქ გადმოვინაცვლეთ და ძველი ვალდებულებები მეორის მიმართ შემრჩა. მიროსლავმა, უკვე მამაკაცმა, აქაც მომნახა და ახლა კიდევ ერთი მიროსლავი მომევლინა თქვენი სახით.

- კი, ასე ხშირად ხდება. თანამდებობაზე ახალი ხალხი მოდის, მაგრამ საერთო ვითარებას ეს არ სცვლის. ხომ ასეა?

- რა თქმა უნდა! - დაეთანხმა ცეზარევა.

მიტილენიჩს შემდგომი მოქმედების გეგმა ჰქონდა მოსაფიქრებელი. ამ საუბრიდან ნამდვილ საქმეზე გადახტომა უჭირდა, დრო სჭირდებოდა და თანამოსაუბრეს ვახშმობა შესთავაზა. ცეზარევამ ზრდილობის გულისთვის იუარა, მაგრამ მიტილენიჩი თავისაზე დადგა. მსახური მოვიდა, შეკვეთა მიიღო.

- მიროსლავ ივანიჩ! ერთი რამ მაკვირვებს. ნამდვილ, სხვა მიროსლავ ივანიჩთან კონტაქტი ათი დღის წინ მქონდა, ათი დღის წინ! გუშინ შეცვალეთ?..

- მართებული კითხვაა. მოიტანენ ვახშამს და ყველაფერს გეტყვით, - მიუგო მიტილენიჩმა და გაიფიქრა, - აშნას საქმით

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ეხლავე მივაწვე თუ ცოტა ხნის მერეო?.. სიმართლე ახლავე ვთქვა თუ მერეო?.. კარგა ხანი მოანდომა გადაწყვეტილების მიღებას, გუნებაში ხელი ჩაიქნია და სთქვა:

- ახლა ერთ ცნობას მოგაწვდით. ცოტა უხერხული რამ არის. იმედია, მადას არ წაგიხდენთ. აგერ, ვახშამიც მოაქვთ. ვახშმობისას უკეთესადაც ვიტყვი და თქვენც უფრო ადვილად გადაიტანთ მოულოდნელობას.

სანამ მსახური სუფრას ამშვენებდა, პოლინა ცეზარევა, ალბათ, პირველად სიცოცხლეში, დაბნეულად გამოიყურებოდა, მსახურის წასვლასა და „მოულოდნელობას" ელოდა.

ქალი და მიტილენიჩი რესტორანში თითქმის მარტონი დარჩნენ.

- პოლინა ალექსეევნა, ალბათ, უკვე გაცნობათ მეორე ობიექტმა, რომ პირველი იმიერპოლარეთიდან გამოიქცა, ხუთი თვე იარა და ამჟამად „ოტრადისკენ" მოემართება.

- ეგ არის მოულოდნელობა? ფელიქსმა მე ეს უკვე შემატყობინა და, ცხადია, ვიცი!.. კარგარეთელი ის კაცი არ არის, რომ ჯავრის ამოსაყრელად გამოქცეულიყო. საშიში არაფერია!

- თქვენ, ალბათ, ისიც იცით, რომ მე ვიცი: იმიერპოლარეთში კარგარეთელი თქვენის წყალობითა და მოცადეობით მოხვდა. მას მსუბუქი ან შემსუბუქებული რეჟიმის ბანაკში უნდა მოეხადა ვადა.

- დიახ, სანცოვმა ეგაც მითხრა; მასთან ვიღაც მიტილენიჩი ყოფილა - ძებნის უფროსი, და ეგ ბრალდება წაუყენებია მისთვის, მაგრამ ეგ სიცრუეა...

- ისიც სიცრუეა, რომ სანცოვის ძმა, ბატონი ვალერი სანცოვი დააქვეითეს და სადღაც რეჟიმის უფროსად არის? დააქვეითეს იმისთვის, რომ პროფესიულ მკვლელს, ვინმე „ჟუკს", კარგარეთლის მოკვლა დაავალა?

- ეგაც სიცრუეა, ის ადამიანი თანამშრომელთა ინტრიგებს შეეწირა!..

- კარგი. ისიც სიცრუეა, რომ ბატონი აშნა, ანუ ალიბეკ სელიმოვი, თქვენს მაგივრად იჯდა ციხეში? კაცი თქვენ გაიტანეთ და არა აშნამ! როგორ და რა საშუალებებით მოახერხეთ მისი დაყოლიება?.. რამდენი გადაუხადეთ თავიდან, რამდენი - გათა-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ვისუფლების შემდეგ?.. ისიც სიცრუეა, რომ იმიერპოლარეთში თქვენვე ამოაყოფინეთ თავი და, როცა მისი ჯდომა თქვენთვის საშიში შეიქნა, - გული არ გაუბეზრდეს, არ გაგვცესო, თქვენა და ფელიქს სანცოვმა ამიტომ არჩიეთ აშნას პირობით-ვადამდე გათავისუფლება. მოახერხეთ! იქნება ისიც სიცრუეა, რომ ჯერ კიდევ სანცოვის ურენგოიში მუშაობის დროს ქრთამებსა თუ უკანონოდ ნაშოვნ ფულებს სანცოვი აშნას ხელით იღებდა?.. ისიც სიცრუეა, რომ ვინც ობიექტად გაბარიათ, მისი ყველაფერი იცით, მათ შორის, ისიც, რომ დღევანდელი თანამდებობა დიდ ფულად აქვს ნაყიდი და თქვენ კი სანცოვის პატიოსან, უმწიკვლო კაცად დახატვის მეტი არაფერი გაგიკეთებიათ?.. ყოველივე ამისთვის პასუხს რომ აგებთ, არ იცით?!. მარტო თქვენ კი არა, სანცოვთან ერთად, და მოეღება ბოლო ორპირი აგენტის, ჰოლინა ალექსეევნა ცეზარევას სამკაულებს, ქურქებს, შვილებისა და თქვენ ორის კეთილდღეობას... თქვენ ჩვენთან ხუმრობა განგიზრახავთ!..

ცეზარევა ერთხანს გაქვავებულივით იჯდა, მერე თავის ათასგზის ნაცად ხერხს მიმართა - ტირილი დაიწყო, ცრემლები გადმოაფრქვია...

მიტილენიჩი შესცქეროდა და ფიქრობდა:

- კედელზეა მიბჯენილი. ეს რა კარგი ფანდი მოვიგონე! მიტილენიჩ, ეხლაც ეჭვი გეპარება, რომ გენიოსი ხარ?.. არა, როგორც სჩანს, ამისი, როგორც აგენტის, საქმე ხელიდან არის წასული, თორემ ზაგლობინი[336] ასე იოლად მომცემდა მაგის ოლგობასა და ფოტოსურათს? რა ხალხია, საიდან გაიგეს აშნას ამბავი?.. როგორ თუ საიდან - აბა, რისი უშიშროებაა! რა კარგი დამთხვევა მოხდა, ჰა? ეს ინფორმატორი რომ ყოფილიყო, ზაგლობინი რას გაიმეტებდა?!. ეხლა როგორ გამოდის, ესენი განწირულები არიან?.. ვინ ესენი?... ვინა და, ცეზარევა-სანცოვის წყვილი! ეგ რა ჩვენი საქმეა, საიქიომდე გზა ჰქონიათ; ჩვენ კარგარეთელი გვაინტერესებს... როგორ გინდა, ჩვენთვის საინტერესო თემაზე გადავიყვანო საუბარი?.. გამოვუტყდე, რომ მიტილენიჩი ვარ და არა მისი ახალი მიროსლავი?.. კარგად კი გამოვიდა, მაგრამ... ავდგები და ვეტყვი სიმართლეს - სად წამივა?.. არ ვარგა!.. ის ვარგა, რომ ბოლომდე მიროსლავად დავრჩე? ამ-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ოდენა დანაშაულის ინკრიმინირებას ვიღაც მარბენლის გარშემო ლაპარაკი რომ მოვაყოლო, დაიჯერებს, რომ ჩემი სასაცილო დავალება თუ შეასრულა, მაშინ ყველაფერი უპატიება?.. სისულელეა!..

დრო გადიოდა. მიტილენიჩი ფიქრობდა - ქალი ტირილს მორჩა, მაგრამ განაბული იჯდა, სჩანს, გამოსავალს ეძებდა. სახეზედაც კი ეტყობოდა, რომ მისი გონება გაფაციცებითა და ამაოდ მუშაობდა. ბოლოს, როგორც სჩანს, დარწმუნდა, რომ აღიარება, დაზავება და მუდარა თუ გასჭრიდა, და დამწუხრებით, თითქმის ტირილითვე მიმართა მიტილენიჩს:

- რაც ბრძანეთ, მაგაში სიმართლეც ბევრია და შეცდომებიც. მიროსლავს მე ყოველთვის, მუდამ პატიოსნად ვემსახურებოდი და ვემსახურები ამჟამადაც, მაგრამ შეიქნა ისეთი ვითარება, საიდანაც, როგორც ვხედავ, გამოსავალი მხოლოდ ერთია: თქვენ თავად უნდა მირჩიოთ, როგორ მოვიქცე...

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

კარი მეცხრე

გორამ მავთულხლართითა და განათების ბოძებით გარშემორტყმული მამული დაინახა. დიდი კედარი იდგა, ავიდა, დურბინდი მოიმარჯვა, ზვერვას შეუდგა. ეს მამული, „ოტრადა“, აშნას საბრძანებელი უნდა ყოფილიყო. ყველაფერი ემთხვეოდა - გაყინული მდინარე, მოასფალტებული გზა, მრავალოთახიანი, საძირკველზე წამოჭიმული კოტეჯი, სამი თუ ოთხი დამხმარე ნაგებობა, ვახტა, როგორც ეს ყველა სამთავრობო სახლს ეკუთვნის, თავისი საკმაოდ მკვიდრი, ლამაზი ჭიშკრით. თვალსაწიერზე ზღვასავით გადაშლილი თეთრი ულრანი იდო, მამული თეთრ-მწვანე ქურქში გამოხვეულ ლამაზმანს ჰგავდა.

ზაფხულში იქნება აქაურობა ძალიან ლამაზი. გაზონები - მთელი ტერიტორია დიზაინერის დაგეგმილია. წარსულში რაიკომის მდივნის, ამჟამად „ხალხის რჩეულისა“ თუ ზემოდან დანიშნული მაზრის უფროსის ინტიმური ურთიერთობებისა და ლხინებისთვის განკუთვნილი რეზიდენციაა, ეგრეთ წოდებული „სანადირო ქოხი“. ყველგან ასე ერქვა... ალბათ, ეხლაც ასე უწოდებენ... აგერ, კვამლი!.. ესე იგი, დარაჯი, ანუ ბატონი აშნა ადგილზეა, არა?.. რა იცი, აშნაა თუ სხვა ვინმე. ეგენი მორიგეობით არიან... იყვნენ, მერე - რა? დაველოდოთ, სანამ აშნას დავინახავდეთ... არა, რა მამაძაღლი იყო: სამუშაოდ რომ გავყავდით, იქვე დედაკაცები ისხდნენ, ზოგი რას ჰყიდდა, ზოგი - რას... ჰო, რძის ნაწარმი, მწნილეული, ნამცხვრები... აშნას ყოველ დილას რაღაც ჰქონდა გასაყიდი თუ გასაცვლელი - პერანგი, მისი ამხანაგი, პირსახოცი, ბანაკური ზეწარი და ბალიშის პირი...

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

რანაირად ახერხებდა - ვასაკვლიდა რაიმე პროდუქტში ან სულ-
აც გაჰყიდდა... არა, შთავარი მაინც ის იყო, რომ უკმაყოფილება
იმ დედაკაცთაგან ერთხელაც არავის გამოუთქვამს!.. შეკითხვა-
ზე. - შე ოხერო, მაგას როგორ ახერხებ-მეთქი, რა მითხრა? -
ეჰ, ეს რა არის, ბიძაჩემი უნდა ნახო, როგორი არტისტია! მიუ-
ლი საცოცხლე ტაშკენტის ბაზარში მოღვაწეობს, მილიცია სად
არის, არ იცის! მე - რა, ეს ჩემი ხელობა არ არის, მოყვარული
ვარ. ვიშიშშილოო?!. საოცარი მეტამორფოზაა: სად — აშნა,
სად — დარაჯად დგომა, და ისიც, სად? ტაშკენტის ბაზარში კი
არა - აი, აქ, ამ ვადასაკარვავში!.. თბილისში მიამბეს: ერთი ბზ-
აშვილი[55] ყოფილა, ძმა შემოჰკვდომია, ვადა მოუხდია, ატენის
ხეობის თავში დასახლებულა. ატენამდე ოცდახუთი კილომეტ-
რი გზა ჩამოუყვანია - მარტოკაცს, მხოლოდ საკუთარი შრომ-
ით... ცოდვა გამოისყიდა! მერე რაიკომის მდივანს ვიღაც დიდი
კაცები იმ ადგილებში სანადიროდ აუყვანია. ბზიშვილისა და
გზის ამბავი უთქვამს... ბზიშვილის ქობის ადგილას „სანადირო
ქობი“ წამოჭიმეს და ბშირადაც ადიოდნენ ხოლმე თურმე... რა
იცი, იქნება აშნასაც შემოაკვდა ვინმე... არა, იმ ბიძას, ტაშკენ-
ტის ბაზრის ყალთაბანდს, ნამდვილად ვერ გაიმეტებდა, აშნას
ვირტუოზებისადმი საგანგებო მოწიწება აქვს... კი, იმ მთოხნე-
ლის ამბავი რომ ვუამბე, პირღია შემომცქეროდა, თვალებში
აღტაცება უთამაშებდა... ეს ჩრდილოკავკასიაში იყო, მანქანა-
ში წყლის ჩასახმელად დადგა მძღოლი. იქვე რამდენიმე ქალი
და კაცი სიმინდსა სთოხნიდა. ერთი მათგანი - მამაკაცი, ბარე
ორასი მეტრით წინ იყო გასული. პლასტიკური მოძრაობები ჰქ-
ონდა. მიკუაბლოვდი: თოხის პირველი დარტყმით სარეველას
ფესვიანად იღებდა; მეორე დარტყმით ყუით ფესვებს მიწას აყ-
რევინებდა; მესამე მოძრაობით მიწადაყრევინებული მცენარე
განზე გაჰქონდა. ძალიან მოეწონა აშნას ეს ამბავი, ძალიან!..
სიმინეცის ამბავი მეამბნა, ფეკალიებს როგორი ოსტატობით
უსწორდებოდა, იქნება გაგიჟებულიყო კიღეც... მოიცა, გენაცვ-
ალე - რა დროის ეგენია. აგერ, გამოვიდა ვიღაც. ღუმელი ააგუ-
რგურა და გამოვიდა... აშნაა, მომკალი თუ გინდა!.. არა, უფრო
მოხუცებულია... არაფერი მოხუცებული არ არის, წვერი მოუშ-
პია... აშნაა! ცალ ფეხს ოდნავ მიათრევს, ხედავ?.. არადა, ვთქვ-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ათ, სხვაა?.. ნუთუ ამ მამულის დარაჯებად მხოლოდ კოჭლები მოჰყავთ?!. აშნაა! შენ გენაცვალე, აშნაჯან!.. აი, მეგობრების არჩევა უნდა იცოდეო; არჩეული მეგობარი, გონებით არჩეული?.. გულმა უნდა აირჩიოს, გულმა, გორავ-ბატონო! ჩემმა გულმა ერთ-ერთ მეგობრად ყალთაბანდი აირჩია, რა მოხდა?.. კარგი, მორჩი. ჩავიდეთ, ჩავიდეთ... არა, მოსაღამოვდეს. რა ვიცით, კიდევ არ იყოს მანდ ვინმე. თუ არის, საღამომდე მოსაშარდავად მაინც არ გამოვა?..

აშნამ გენერატორი ჩართო, მამული გაანათა და გარეგანათება ისევ გამორთო. წამოვიდა, ვახტასთან პატარა ძელური იდგა, იმაში შევიდა. შებინდებამდე კარგა ხანი რჩებოდა, გორამ მაინც გამოსწია, ვახტა გაიარა და იმ კარს მიუკაკუნა, სადაც აშნა ეგულებოდა.

კარი დაყოვნების შემდეგ გაიღო.

აშნა შეცბა და კარგა ხნის შემდეგღა ამოღერღა:

- მოხვედი?!. - გორა აათვალ-ჩაათვალიერა და დასძინა, - შემოდი, შემოდი!..

გორა შევიდა, კარი მიხურა. აშნა გაშტერებული იდგა.

- ცოცხალი ხარ?!. - წაილუღლუღა, ისევ გაირინდა და, ღმერთმა იცის, რამდენი ხნის მერე გადაეხვია გორას. ცრემლიც კი წამოუვიდა. დამშვიდდა, თავს დაეუფლა და სთქვა:

- გორაჯან, რა ადრე მოხვედი...

- შიმშილმა დამაჩქარა. გამქურდეს, ყველაფერი წაიღეს, ცარიელა ციგაღა დამრჩა. რვა დღის წინ გამქურდეს... ვიცი კიდეც, რისთვისაც გამქურდეს...

- რვა დღის მშიერი ხარ?

- არა, ანკესები უბეში მქონდა, ვთევზაობდი - ეგ იყო!.. ხაბიბულა იყო?

- ხაბიბულაც იყო და სხვებიც იყვნენ. წამო, იბანავე, გაიპარსე, აჰა, აი, ესენი ჩაიცვი, მოხვალ, უფრო გემრიელად ისადილებ... რაიმეს მოვამზადებ, ვიქეიფოთ... საჩქარო არაფერია, მერე გეტყვი, წამო!

გორამ იცოდა, ძმაკაცობასა და ნათქვამ სიტყვაში აშნასაგან უკულმართობა არაფრით შეიძლებოდა. ამ მხრივ არც ეჭვი რამ

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ღრღნიდა, მაგრამ სული უკაწკაწებდა, - ნეტავი რა აქვს სათქმელი აშნას და, თუ მნიშვნელოვანია რაიმე, ასე დამშვიდებული რატომ უნდა იყოსო!.. თბილი, სასიამოვნო შხაპი იყო. გორამ ხუთი თვის ჭუჭყი ჩამოირეცხა, მასპინძლის მოცემული ძველმანი ჩაიცვა, გაიპარსა და აშნასთან დაბრუნდა. საჭმელი მზად იყო - ერბო-კვერცხი, პური, ძეხვი და კონიაკიც.

- რამდენი ხანია, მოდიხარ?

- ხუთი თვეა.

- ხუთი თვე!.. რკინისა ხარ?.. ხაბიბულა ერთი თვის წინ იყო, მითხრა - ხომ არ გამოჩენილაო?.. რა ვუთხარი, იცი?.. გორა აღარ მოვა-მეთქი. არა, როგორ წარმოვიდგენდი, ჰა?.. ხაბიბულამ გაიცინა, მითხრა, უეჭველად მოვა, იცოდეო, და წავიდა.

- იცი, რისთვის გამქურდეს? იმისთვის, რომ იძულებული ვყოფილიყავი, აშნას არ ავცდენოდი... ეხლა შენ ის მითხარი, ხაბიბულას გარდა, აქ კიდევ ვინ იყო?..

- მიტილენიჩი გახსოვს? ჩვენი სამმართველოს ძებნის უფროსი - ის იყო!

- როდის?

- ხაბიბულას მერე... ორი კვირა იქნებოდა გასული.

- ესე იგი, სანამ გამქურდავდნენ, არა?.. რა უნდოდა?

- შეთანხმებული ხართ, აქ კარგარეთელი უნდა მოვიდესო... ძალიან მომაწვა... არაფერი ვიცი-მეთქი. არა, ერთმანეთს რომ ვიცნობთ, უარი ვერა ვთქვი... ჩამომითვალა, ერთად საცა ვმსხდარვართ, და ისიც, რომ ურენგოიშიც ვიცნობდით ერთმანეთს... არაფერი ვიცი-მეთქი! წავიდა.

- ყველაფერი სწორია! - გორამ ხელებიც კი გადაიფშვნიტა.

- რა არის სწორი?!. ეს ამბავი რასა ჰგავს, იცი?.. თოკზე გამობმულ ხბოსავით მოჰყევხარ, საითაც თავად უნდა - იქით! - აშნამ იყუჩა და დასძინა: - ეს მამული სანცოვისა რომ არის, იცი?

- ვიცი! მერე?

- მერე ისა, რომ... ეხლა ერთი რამე უნდა გითხრა: ამ საქმეში ლინა ცეზარევა ჩაერია, შენთან შეხვედრა უნდა, გაიგე?

- შენ საიდან იცი?

- დამესიზმრა! - მიუგო აშნამ. - თავად არ ამოსულიყო და არ ეთქვა, საიდან მეცოდინებოდა?!

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

- პოლინა ცეზარევას ჩემთან შეხვედრა უნდა?!.

- მოიცა, ეგ ადვილი რამეა, ყური მიგდე! მიტილენიჩი, ნახე, რანაირად მუშაობს: ჩემგან ვერაფერი წაიღო, სანცოვთან მივიდა. სანცოვმაც ხელი დაიბანა. გეძებს. ურენგოიში ჩავიდა, შენი განაჩენით რაც იცოდა - შეამოწმა. ეგეც - ლინა! იმასთან რა ლაპარაკი იყო, არ ვიცი. ამ სამი-ოთხი დღის წინ ლინა სანცოვის მანქანით ამოვიდა, მეუბნება, - აქ გორა მოვა, უეჭველად უნდა ვნახოო. გავიკვირვე. სისულელებს თავი დაანებე, უეჭველად მოვაო. დღე დანიშნა, ხვალინდელი დღე, - ამოვალ, რამდენიც საჭირო იქნება, იმდენ ხანს დავუცდიო! გაიგე, როგორ არის საქმე? ვირზე ჯდომა აღარ იქნებოდა, შევპირდი, თუ მოვა, გეტყვი-მეთქი!..

ვახშამს მორჩნენ. აშნამ მეორე ოთახში ლოგინი გაშალა. გორამ გაიძრო, ჩაწვა.

ამ ხნის მანძილზე ადამიანურად ეს პირველი ძილია - სითბოში, ღუნღულა ლოგინში... ეს როგორი საოცრება მჭირს, ღმერთმანი! ჯერ იყო და, ნეტარი მეზმანა, მშიაო! მშიაო და, მესამე დღეს გამქურდეს. თევზაობისას ჩამთვლიმა, ნინო გამომეცხადა... როგორ მითხრა? მგონია, ასე, - ერთი ბოროტი ქალი გეძებს, გიპოვნის, მაგრამ ავს არაფერს გიზამსო. იმ ქალს პოლიკარპ ვასილიჩის სახელი ჰქვიაო!.. აგერა, პოლინა ცეზარევა უნდა მობრძანდეს: პოლიკარპ - პოლინა!.. რა უნდა, მოვენატრე თუ როგორა?.. ჩამოსვლა ხვალისთვის აქვს დანიშნული. რა, მიტილენიჩმა ხვალ უნდა ამიყვანოს? გამორიცხულია. ჩემი აყვანა ადრეც შეეძლო და, თუნდაც გაქურდვის ღამითაც, ბარხანას კი არა - მე წამიყვანდნენ; მაშინ, მიტილენიჩს პოლინა ცეზარევას ხელით რის გაკეთება სურს?.. საიდან - სადაო, წმიდაო საბაო! ლინა ცეზარევასთან შეხვედრა თუ კიდევ მომიხდებოდა... მაინც რა იყო ის წლები - სიზმარივით ჩამრჩა მეხსიერებაში... არა, პირველი წლები მართლა სერიოზულად გვიყვარდა ერთმანეთი. ხან ვისთან გააბა რომანი, ხან - ვისთან. ჩემს შემცვლელს ეძებდა. ქმარი მოუკვდა, შვილები წამოეზარდნენ, მატერიალურმა საჭიროებებმა გაცილებით მეტი მოსთხოვეს, ვიდრე მე გამაჩნდა... ისე კი, ორი დიდი ტალანტის მქონე ვინმეა. ერთი - უალრ-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ეხად კონტაქტურია, ადამიანების კეთილგანწყობის - მეტიც, პატივისცემისა და სიყვარულის მოპოვების ჯადოქარია, და მეორე - მტკნარი სიცრუის თქმა ბავშვის გულუბრყვილობითა და ღმრთისმშობლის სათნოებით იცის... მისი მთავარი იარაღი „არა" და სიცრუეა. ამასაც ისე ამბობს, რომ ურწმუნო თომასაც დააჯერებს... გახსოვს, ჯერ კიდევ სიცოცხლეში ქმარმა ლოგინში რომ შემოგვასწრო?.. ის რა ჰქნა, კაცო! აი, დიდება შენდა, ღმერთო!.. დგას უბედური, დაგვაცქერის. რა უნდა მექნა - ავდექი, ჩავიცვი. ლინა-მამაძაღლიც ადგა, ხალათი წამოიცვა. დგას საცოდავი კირილ ივანიჩი,[338] გვიყურებს. ეტაკა ლინა, - რა დაგემართა, ცუდად ხომ არა ხარო!.. ვალერიანის წვეთები დაუსხა, მოეფერა, მოეალერსა... უდავიდარაბოდ წამოვედი. კარგა ხანი ვავიდა - ორი თუ სამი თვე. კირილ ივანიჩი მეუბნება, - ფსიქიკა ვერა მაქვს რიგზე, ჰალუცინაციები დამჩემდაო, და, ლოგინში რომ შემოგვასწრო, ის შემთხვევა მიამბო!.. როგორ მოახერხა, რა აჭამა, რა დაალევინა, რომ ფაქტი ჰალუცინაციად ჩაათვლევინა?!. შეიკლა საცოდავი... ჩემთან ერთთავად ჩიოდა, - ქმარი კი არა, ჩემს კმაყოფაზე მყოფი სუბიექტია, ათი წელიწადია, ვარჩენ, იმდენი სად შემიძლია, მაგასთან ერთად შვილებიც ვარჩინოო!.. ის როგორღა მოახერხა, კაცი თავად გაიტანა და სანცოვს აშნა დააყოლიებინა, ციხეში ჩამჯდარიყო, ეს საცოდავი?! ბანაკში რომ გამომეცხადა ჩვენი აშნა, კინაღამ გადავირიე. არა, აშნასა და სანცოვს შორის რაღაც ისეთი არის - გადაბმულები არიან. რით, რის გამო?.. რა ჩვენი საქმეა... მეც კაი სულელი ვარ... სულელი? სხვანაირად როგორ უნდა მოვქცეულიყავი - ჩემს საკუთარ ბინაში, საკუთარ ლოგინში, საკუთარ საყვარელთან... მაშინ უკვე აღარ იყო მხოლოდ შენი საყვარელი, იცოდი, სანცოვთანაც რომ ცხოვრობდა... ვიცოდი კი არა, ეჭვი მქონდა... ეჭვი გქონდა? ეგრე იყოს - ხომ დაგიდასტურდა!.. დამიდასტურდა და ძვირადაც დამიჯდა. ჩემს ლოგინში - გეგონება, თავიანთი ბინები აკლდათ - ჩემს საკუთარ ლოგინში, ჩემს საყვარელთან... საყვარელი აღარ იყო, ქალად გყავდა... თუ გინდა - ქალად. ვილაც მუწუკებიანი, მიმხრჩვალი კაცუნა უწევს და ბულრაობს! მერედა ვინ? მამაძაღლი ფელიქსა სანცოვი, ჩემს უახლოეს მეგობრად და ძმაკაცად რომ ასაღებდა თავს! რა, მეც ცხო-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ხებული კითხვა

ბანისეული ბავშვობიდან?.. ძალადობ-
ლობის, წამებისა და შეურაცხყოფის უსაგალითო აქტი გახლდათ, სხვანაირად
ვინ მოიქცეოდა?!. აკი სასამართლოზეც აფეთქების შედეგი უწ-
ოდეს დამცველმაც და მოსამართლემაც!.. აფეთქება იყო თუ რაც
იყო, ბანიდან ორიოდე ხეხეთი გააღწია. მუწუკებიან ფელიქსს,
რა იქმა უნდა, გაცილებით მეტი მოხვდა, მაგრამ არც ლინას
ერგო ნაკლები... ქალისთვის არ უნდა გეცემათ!.. ძმაკაცად შემ-
ოპარული ტიპი იმავე ლოგინში მიმიყვანა, რომელშიც წლობ-
ით ხემთან იწვა - არ უნდა მოხვედროდა?!. არა, მაგ საქციელში
რაღაც სხვა ჩანაფიქრი იდო. რამდენი ვსხიბე - ვერაფერს გავხ-
დი... აი, ეხლა თუ შევხვდი ლინა-მამაძაღლს, უეჭველად ვთქ-
მევინებ, რატომ მოიყვანა, სახელდობრ, ხემს ლოგინში და მოი-
ყვანა მაშინ, როცა იცოდა, რომ მალე უნდა დავბრუნებულიყა-
ვი, ბინის გასალები მქონდა და კლიტეც სრულიად უხმოდ იღებ-
ოდა?!. კარისკენ რომ მიღოღავდნენ ნაგვემ-დამტვრეულები,
ლინამ თავზე თითები აათამაშა - რქიანი ხარო, და ეს ფელიქსა
სანცოვის დასანახად გააკეთა!.. მაშინ იყო, ერთი მაგარი წიხლ-
იც რომ ჩააზილე!.. უნდა დამეთანხმო, იმ ვითარებაში თავშეკა-
ვება წარმოუდგენელია. ისე კი, რა წავაგე? იწვნა, იქაფა იმ სა-
სამართლომ და, აგერა, რამხელა შედეგი მოიტანა! ის ვადა არ
ამეკიდებინა, ამოდენა გზას გამოვივლიდი და აქ ვიქნებოდი?!.
კი, რაც აღასრულე, სამწლიან ვადად ღირდა!.. წინასწარი ჩან-
აფიქრი თუ არ იყო, ექიმის მოწმობები იმავე დღესვე რატომ აი-
ღეს და მერე ეს თავსაჭრელი საქმე რისთვის აღძრეს?.. ამის პა-
სუხი ვერაფრით ვიპოვნე... ეხლა ნაკლები თავსატეხია?..

გორას შუადღესღა გამოეღვიძა. მაგიდაზე საჭმელი დაუხვდა
- ახლახან შემოტანილი და უხვი. ოთახში თბილოდა. სუფრას
საცვლის ამარა მიუჯდა, დანაყრდა და ისევ ძილს მისცა თავი.
გამოძინებულს ფხიზლად ეძინა. გაიგონა - აშნა შემოვიდა, ჭუ-
რჭელი და ნამუსრევი გაიტანა. ჯერ კიდევ სინათლე იყო, გორა
ავტომანქანის შორეულმა ხრიალმა გამოაფხიზლა. წამოხტა,
ჩაიცვა, სარკმელთან მივიდა. თეთრი, მოკლე ფარდა ეკიდა; ქვე-
ვითა კუთხე ოდნავ გადაუწია, თვალთვალს მისდგა. ხრიალი მო-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ახლოვდა. აშნა ვახტასთან მივიდა. მამულს შავი, უცხოური მანქანა მოადგა. აშნამ ჭიშკარი გაუღო. მანქანა მთავარი კოტეჯის ფრთასთან გაჩერდა. აშნა ჭიშკრის დაკეტვას აპირებდა, რომ საჭესთან მჯდარი მამაკაცი გადმოვიდა, გამოსძახა, - არ დაკეტო, მივდივარო! საბარგულიდან დიდი ჩემოდანი და ჩანთა ამოიღო, თოვლზე დადო. მანქანიდან ქალი გადმოვიდა, ამანაც ჩანთა გადმოიღო... კრაველის ქურქი ეცვა, ასეთივე ქუდი ეხურა, მოსულებმა ერთმანეთს ორიოდ სიტყვა უთხრეს, მანქანა წაგრიალდა. აშნამ ჭიშკარი ჩაკეტა, კოტეჯი გააღო, ქალი შეუშვა, ბარგი შეიტანა და წამოვიდა. გორამ ორთავე იცნო - სანცოვი და ცეზარევა. ცოტა ხნის შემდეგ გორასთან აშნა შემოვიდა.

- გავაგებინო, რომ აქა ხარ?

- დღამდეს და მერე...

- კი, ვითომ ღამით მოხვედი, - დაუდასტურა აშნამ.

კარგა ხნის დაღამებული იყო, აშნამ კოტეჯის კიბე აიარა, კარზე მიაკაკუნა.

- შემოდი! - მოისმა შიგნიდან.

ცეზარევა სანათურის ქვეშ, სავარძელში იჯდა, წიგნი ეჭირა.

- მოვიდა, - უთხრა აშნამ.

- მოვიდა?!. როდის?

- ერთი საათის წინ.

ცეზარევა დაფიქრდა და მიუგო:

- თხუთმეტი წუთის შემდეგ მომიყვანე! - ადგა, საძილე ოთახში გავიდა.

- რომ არ მოინდომოს? - მიაძახა აშნამ.

- მოინდომებს, მოინდომებს... თითქმის დედიშობილაა! - მოისმა საძილე ოთახიდან.

ვინმემ მითხრას, რატომ უნდა შევხვდე - მენატრება თუ როგორ?.. მაგასთან საუბრებს მაშინვე მოვრჩი, ორივე რომ გავლახე... საინტერესოა, სანცოვთანაც ცრუ, ცბიერი და მოღალატეა?.. არა შეჯდა მწყერი ხესაო, მაგრამ მაშინვე კარგა მობერებული იყო, ახლა უფრო მეტად ექნება დაკარგული მიმზიდველობა და გაუმაძღრობა. ან რაში სჭირდება სხვა მარჩენალი, რატომ დაინგრევს საათივით აწყობილ ცხოვრებას... შვილები,

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ალბათ, უკვე უმაღლესებში ბუაგს. სანამ ფეხზე დააყენებს... მე-
რეცს.. ახლა არ არის, მოვესწრო, წავიდე და შელოდოს ქალბატო-
ნი... მაგას, მგონია, ვერ ვიზამ, ცნობისმოყვარეობამ ლამის შე-
მიკლას ხელში... ეგაც ნუ იქნება, ასე ცარიელ-ტარიელმა სად
და როგორ ვიარო?! არა, აშნა კი მომცემს ყველაფერს, მაგრამ...
ავიღეთ, ბორაგ, ავიღეთ!..

ბორამ სასტუმრო ოთახის კარი შეაღო და საგარძელში ჩა-
ჯდა.

- უკითხავად რატომ შემოხველი? - მოისმა საძილე ოთახიდ-
ან იმ განუმეორებლად კეთილმოსურნე ხმით, რომელიც ბორას
წარსულ მეგობართაგან მხოლოდ პოლინა ცეზარევას ჰქონდა.

ჯადოს ხმაზე მღერის... წინათ რომ იტყოდნენ ხოლმე, „ციც-
ინათელას ხმაზედაო!..

- მადამ, შემომითვალეთ - გელოდებიო, - მიუგო ბორამ და
მოკრძალებით დასძინა: - ზრდილობიანი კაცი ვარ, ქალის თხო-
ვნაზე უარს ვერ ვიტყოდი. რაც შეეხება უკითხავად შემოსვლას
- კარგა ხანია, სექსუალური ურთიერთობა არავისთან მქონია
და, მოგეხსენებათ, თავხედობა თითქმის ყოველთვის იმარჯვე-
ბს... თუ არ გამოიხედავთ, წავალ, აღარ შეგაწუხებთ!

რამდენიმე წამს სიჩუმე იყო.

- მოითმინე, ჩავიცვამ!..

- არ არის საჭირო. ქალი მამაკაცს პირისპირ შესახვედრად
რომ იბარებს, სჯობს, დედიშობილა იყოს... დაგელოდოთ თუ
წავიდე?.. - ბორა ადგა.

კიდევ რამდენიმე წამი და ცეზარევა საძილე ოთახიდან გამ-
ოვიდა. გამოვიდა და იქვე გაჩერდა.

შილიფად იყო, გაღეღილი ხალათიდან პერანგი მოუჩანდა -
თეთრი, და იმის ქვეშიდან საწმერთული შავად კრთოდა.

აშნამ სთქვა, - ნორმალურად აცვიაო. შევიდა, ამ კოსტიუმ-
ით გამომეცხადა... ეეე, ეს მგონია, გაუპატიურებასაც კი მიპი-
რებს!..

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ცეზარევა წამოვიდა, გორას სიახლოვეს გაჩერდა და სთქვა:
- როგორ გამოცვლილხარ!.. დაჯექი, დაჯექი.
გორა სავარძელში ჩაეშვა.
ცეზარევაც.

შენც კარგად შებერტყილხარ, მადამ!

ერთმანეთს კარგა ხანს უყურეს. პირისპირ ისხდნენ, გაჩახჩახებულ ოთახში ყოველი ნაკვთი მკაფიოდ უჩანდა ერთსაც და მეორესაც.

დაჭმუჭვნილა, ეს უბედური.

- სანამ რასმე მეტყოდე, ორ კითხვაზე უნდა გამცე პასუხი. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენი საუბარი ვერ შესდგება! - მტკიცედ უთხრა გორამ.

ცეზარევა ასეთ შემოტრიალებას, ალბათ, არ მოელოდა და დაგვიანებით მიუგო:

- არის ზოგი რამ, რაც ჩვენში როდისმე უნდა ითქვას...

- ეგ მერე ან არასოდეს! ორი კითხვა! პირველი - რისთვის მოაწყე ჩემს ლოგინში სანცოვთან სექსუალური აქტი, როცა იცოდი, რომ წუთიწუთზე უნდა მოვსულიყავი?.. მოკლედ და მხოლოდ სიმართლე!

ცეზარევამ იყუჩა და სთქვა:

- ეგ თითქმის ის არის, რაც ჩვენში როდისმე უნდა თქმულიყო. ინებე! - ქალი ისევ დაფიქრდა და განაგრძო: - სხვათა შორის, მე აქ სიცრუეებისთვის არ მოვსულვარ და შენ ამაში დარწმუნდები. მუწუკებიანი ფელიქსა, როგორც მას ეძახდნენ, რისთვისაც მჭირდებოდა, შენი თვალით ხედავ ყველაფერს. ამდენი შენ ჩემთვის არც მოგიცია, ვერც მომცემდი. შვილების ფეხზე დაყენება, მათი და ჩემი ცხოვრების პირობები, ძვირფასი ტანსაცმელი, სამკაულები - საიდან?.. მაგრამ მუწუკებიან ფელიქსას ჩემთან, ჩემთვის საჭირო ურთიერთობა, ანუ მყარი რომანი არ სურდა, შენზე ეჭვიანობდა, - მატყუებ, გორა კარგარეთელი გიყვარსო... საჭირო იყო, გზიდან ჩამომეშორებინე, და ისე, რომ

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ფელიქსს ეჭვი აღარაფრისა აქონოდა. ფანდმა შედეგი მოიტანა, ცახვეში ამოვაყოფინეთ თავი. ჩვენ აქა ვართ, ხოლო შენ სადაც ხარ, კარგად მოგეხსენება!..

- ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო!.. - წაილულლუღა გორამ.

- ღმერთო, ღმერთო! - გამოაჯავრა ცეზარევამ. - მაგ შენმა ღმერთმა ერთხელაც ვერ მიშველა. ყველა, რამდენიც მყავდით, ღმერთს არ გამოუგზავნიხართ. თქვენ იყავით და ხართ მასალა, საიდანაც ჩემი შესაძლებლობების, ნიჭის, გარეგნობის, ურთიერთობების ტალანტის წყალობით ვძერწავდი და ვძერწავ იმას, რაც მჭირდება! არავისი არაფერი მმართებს და არც იმ შენი ღმერთისა. პირჯვარი ერთხელაც არ გადამიწერია. ვისით მივაღწიე, რასაც მივაღწიე - ჩემით, მხოლოდ ჩემით!.. - ცეზარევა დადუმდა, დაწყნარდა და დასძინა: - სიმართლე ვთქვი? მაშინ კიდევ ერთი სიმართლე მოისმინე: შენს მეტი სერიოზულად, ღრმად, თავდავიწყებით არავინ მყვარებია და, აი, ამ წუთშიც მიყვარხარ!.. კიდევ რა გინდა,მკითხო?

გორა დარეტიანებულივით იჯდა. რამდენიმე წლის მანძილზე ფიქრობდა იმაზე, რაზეც პასუხი ახლალა მიიღო, და, ამასთან, როგორი!

- კარგი! ერთი სიმართლე ხომ მაინც გათქმევინე, - უთხრა, როცა დამშვიდდა. - ეხლა ის მითხარი, ვინ და რისთვის გამოგზავნა ჩემთან შესახვედრად.

- პოლკოვნიკმა მიტილენიჩმა! რაც გითხარი, ხომ ყველაფერი სიმართლე იყო! სიმართლე იქნება ისიც, რასაც გეტყვი. არ მესმის, რა უნდა! მან სიცრუეებისთვის გამომგზავნა. გამოცდილებით ვიცი, ან არ მომისმენდი, ან არ დაიჯერებდი. მე უნდა მეცრუა, რომ აშნასგან გავიგე შენი აქ მოსვლის ამბავი და ჩვენმა ძველმა სიყვარულმა გადმომადგმევინა ეს ნაბიჯი: ჩამოვიტანე მშვენიერი ტანსაცმელი, საკვები და, ერთი სიტყვით, ყველაფერი, რაც შენს შემდგომ მგზავრობას სჭირდება. ეიმეორებ, წარმოდგენა არა მაქვს, რას აკეთებს ჩემი მეშვეობით... იმედი მაქვს, ჩავარდნის შემთხვევაში იმ კაცად და რაინდად დარჩები, როგორიც იყავი და ხარ - არ გამცემ!

- ვის მიერ და ვისი სახსრებით არის შეძენილი ყოველივე ეგ? ცეზარევამ გემრიელად ჩაიკისკისა და მიუგო:

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

- სანცოვის სახსრებით, ჩემ მიერ! ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ მატარებელში კარგად ჩაცმულ-დახურული ჩაჯდე... გაუგებარია, ცუდ ტანსაცმელში ჩაცმულს ვერ აგიყვანდა?..

გამქურდა იმისთვის, რომ აქაურობისთვის გვერდი არ ამევლო, ანუ დასახული გეზით მევლო. ახლა, პოლინას მეშვეობით, ჩაცმულ-დახურულსა და მაძღარს მისტუმრებს... მისტუმრებს იმ მიზნით, რომ გეზი არ შევიცვალო. მიტილენიჩი, ალბათ, ვერ დაუშვებს იმას, რომ ეს ჯოჯოხეთის მაშხალა გამომიტყდებოდა... საინტერესო ის არის, რომ გეზის შეცვლა აზრადაც არ მომსვლია და მიტილენიჩი კი „ტაბიკებსა ლეწამს!..

- კიდევ ერთი კითხვა, - მიმართა გორამ, - რის ფასად გაიძულათ მიტილენიჩმა ამდენი ხარჯის გაწევა და ამ შეხვედრის მოწყობა?

- სანცოვი და მე ვყავართ გამოჭერილი. იცის, რომ კაცი მე გავიტანე და ციხეში აშნამ ამოჰყო თავი, გასაგებია? მგონია, შეკითხვები აღარ გექნება. ეხლა, ჩემო კარგო, ვივახშმოთ, გამოვიძინოთ და ხვალ დილით ათასი ძვირფასეულობით დატვირთული გაუდგები გზას... ვიცი, გაქურდული ხარ, ციგის მეტი არაფერი გაგაჩნია. ყველაფერს მიიღებ, ყველაფერს, რაც გესაჭიროება.

ცეზარევამ აშნას უხმო, რაღაც დავალება მისცა და ვახშმის სამზადისს მისდგა.

მოდი, რას გეტყვი, იცი? რახან ამ სამუზეუმო ექსპონატზე - მამაძაღლ ლინაზე, - ამდენი ვიფიქრე, სხვა ქალებიც ზედ მივაყოლოთ, ჩემი წარსულის ქალები გავიხსენოთ... სიყვარულები?.. არა, ქალები, გზად რომ შემომეყარნენ, სხვა ქალები... მაშინ ვალკები[339] მოვიგონოთ, ექვსი ვალკა მოგვიგროვდა... კაცო, ყველა ცუდი ხომ არ იყო, ერთი მათგანი ნაღდად კარგი იყო. მეორე - პროსტიტუტკა, მაგრამ... კარგი, რომლით დავიწყოთ?.. რომლითაც გნებავს, მეტი გონსასეირო გინდა?.. მაშინ ჯანკოელი ვალკა!.. როგორი მიმდევრობით, ქრონოლოგიურად?.. არა, რომელიც მოგვეხასიათება. ნაგავს ერთ გროვად შეყრა უხდე-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ბა!.. ეჰ, ნაგავი კი არა, ხუთი მათგანი მაინც ცხოვრების მიერ დათრგუნვილი და განადგურებული ადამიანია. მათი ბრალია?.. კარგი, კარგი. ჯანკოელი ვალკა უფრო საინტერესო იმით არის, რომ ბექირა-ცინიკოსის[340] ფანტაზიის ნაყოფია და თავად ბექირაც ერთ რამედ ღირს, კარგი გასართობია... კიდევ ოთხასი კილომეტრია გასავლელი, ბატონო გორა... როგორც იტყვიან, ამ-ხელა ხაბაკით!.. ხაბაკი რომ გაქვს, ღმერთს მადლობა უთხარი... შენს ტვინს რაღაც გადახტომ-გადმოხტომები დასჩემდა. ხომ არაფერმა იცვალა სახე და შინაარსი შენს გონებრივ შესაძლებლობებში?.. არა, ჯანი გვეყოფა თუ არა-მეთქი... ჰაა, გაიხსენე – *„Человек есть нечто, которое должно превозмочь!..“* ზარატუსტრას ქართული თარგმანი არსად შემხვედრია. ქართულად ეს ფრაზა როგორ იქნება?.. ხომ არსებობს ზღვარი - ორი ათასი კილომეტრი მაქვს გამოვლილი... ეგ რელიეფით!.. რელიეფით იყოს, ცოტაა? სხვებმა მეტი შესძლეს?.. კომპრომისისთვის ემზადები? აგერ, რაიონული ცენტრი, საავადმყოფოდ წოდებული საჯინიბო და ორიოდ თეთრხალათა მემთვრალე გარანტირებულია. რეკორდსმენი პაციენტი!.. მოიცა, მოიცა! ყური მიგდე. იძულებული ვარ, გავიმეორო გაქცევის ძირითადი პრინციპი: იცოცხლო! სიკვდილისთვის იდიოტები გარბიან. განვსაჯოთ, დარჩენილ ოთხას კილომეტრს ამ შემორჩენილი ჯანით დავძლევთ თუ ვერა. ფეხები მტკივა. კბილებმა, უკეთ ვთქვათ, ღრძილებმა, - ცინგაო! ამას ქართულად სურავანდი უნდა ერქვას, არა? მაშ, რასა ჰქვია სურავანდი? როგორც არის. ბარძაყის სახსრებმა მაგრა გაამლაშეს. ესაც ავიტამინოზის ბრალია? რა ვიცი, წიწვის ნახარშმა ლამის კუჭ-ნაწლავი შემიჭამოს... მე იმას ვამბობ, შესაძლებლად უნდა ჩაითვალოს თუ არა ასეთი რამ: მივდივარ პირდაპირ საავადმყოფოში. მიმიღებენ, მომაკითხავენ და ავადმყოფს წამიყვანენ?.. მიტილენიჩი საქველმოქმედო საზოგადოების თავმჯდომარედ დანიშნე?.. ნუ ახირდები, თუ გამოჯანმრთელებამდე დამტოვეს და, თუ ჩემი იღბლიანობის ფაქტორს მივიღებთ მხედველობაში, კვლავ გაქცევის შესაძლებლობაც... კოკა წყალზე ტყდება!.. კი, დაფიქრებაა საჭირო, მაგრამ მათივე დახმარებით გამოჯანმრთელებასა და მერე ისევ გაქცევასაც ხომ თავისი ლაზათი აქვს, კარგი ოინია!.. შენ კომ-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჯრომისის გამართლებას ეძებ. სხეული გაჩქარებს. სულს მიაყ-
ურე! სხვა რამეზე იფიქრე, ჯანკოელი ვალკა გელის... დამელო-
დოს. საქმე თითქმის ბოლომდეა მიყვანილი, შენ გჯერა, რომ
საავადმყოფოს მივაშურებ. ვარიანტს ვიხილავ... კარგი, კარგი.
სამ დღეში ერთხელ თითო ვალკა - ეგაც თვრამეტი დღე... დავი-
წყოთ: პირველი - ჯანკოელი ვალკა. ჩამოწერილი მეძავი.
Морально и физически изношенная, როგორც მოწყობილო-
ბების შეფასებისას იტყვიან ხოლმე. ბექირამ გამოიწერა, ბექირ
ბექიროვიჩ ბექიროვმა, ყირიმის ქალაქ ჯანკოიდან. მე თუ მკით-
ხავს ვინმე, ცინიკოსობა პროფესიაა და ბექიროვიც პროფესიით
ცინიკოსი იყო. თუნდაც იმ აკოფას ეპიზოდი გავიხსენოთ: ბანა-
კებში და, საერთოდ, საპატიმროებში ქალებსა და მამაკაცებს
შორის ერთობ საინტერესო დამოკიდებულებები ყალიბდება. ეს
ნორილსკში მოხდა, არა? კი, ნორილსკში, ქალაქის მშენებლო-
ბაზე. მამაკაცებისა და ქალების სამუშაო ზონებს მავთულხლა-
რთი ჰყოფდა, ესე იგი, ერთმანეთს ვხედავდით, ვესაუბრებოდით
კიდეც, თუ ურთიერთგადაყვირებებს საუბარი შეიძლება, ეწო-
დოს... მოკლედ, მოკლედ, ბატონო გორა!.. ჰო, გაცნობა-დამეგ-
ობრება გადაყვირებებით ხდება - დგინდება ვინაობა, სადაურო-
ბა და სხვა მონაცემები. ამის შემდეგ ზონიდან ზონაში მიფრინ-
ავს ქვაზე დახვეული, კანაფით შეკრული წერილი. ისეთი წერი-
ლებიც არის, - ვინმესთან მიწერ-მოწერის მსურველი მიპოვნე-
თო! საოცარი არაფერია, ადამიანებში ერთმანეთთან ურთიერ-
თობის მოთხოვნილება მჟღავნდება, მით უმეტეს, ქალებსა და
მამაკაცებს შორის... კაი, ბატონო, წერილებს საჩუქრები მოსდ-
ევს - ქალის მიერ ამოქარგული ყურთბალიში, ხელსახოცი თუ
კიდევ სხვა რამ. მამაკაცის მხრივ - ბანაკში ნაკეთები რაიმე სა-
მკაული ან ცოტაოდენი ფული და შემდეგ უკვე სტაბილურ, ორ-
მხრივ დახმარებად ქცეული ურთიერთობები. ერთი სიტყვით,
პატიმრისთვის ასეთ მიწერ-მოწერას სასიცოცხლო მნიშვნელ-
ობა აქვს და ამ შეფასებაში გადაჭარბებული არაფერია. ბექირ-
ოვსაც ჰქონდა მიწერ-მოწერა. ეს დალაქმა აკოფამ[341] იცოდა,
ერთი თუ ორი ეშხიანი ქალის მოწერილი წერილი ბექიროვმა
წააკითხა კიდეც და დალაქი კრეჭვა-პარსვის დროს სულ ამ თე-
მაზე საუბრობდა ხოლმე. ერთ დღეს დალაქმა ბექიროვს სთხო-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ვა, მიმოვნე ვინმე, მეც მინდათ, ბექიროვმა, - ადვილი საქმისაგან-რიათ, — და ორი-სამი დღის შემდეგ ადრესატის ვინაობაც აცნ-ობა და პირველი წერილის მინაარსიც თავადვე უკარნახა. ბას-უხს არ დაუყოვნებია, მიწერ-მოწერა გაიბა და საცოდავმა აკო-ფამ, სანტიმენტალური რომანების ტერმინოლოგია რომ მოვი-შველიოთ, სულ მალე სიყვარულის ბრჭყალებში დაიწყო თავი-სი დაუდეგარი, მძაფრ გრძნობებს მონატრებული სულის დაფ-ვა. ეს, მოგეხსენებათ, ყოველთვის ფული ღირს - ასეთი გრძნო-ბების დაკმაყოფილებას ვგულისხმობ. აკოფამ თავის მიჯნურს თვეში ორმოცდაათი მანეთი დაუნიშნა. ფოსტალიონის მოვალ-ეობებს ბექიროვი ასრულებდა. თვით თანხა დალაქისთვის დიდ-ად საგრძნობი არ იყო, რადგან ბანაკში ეს პროფესია ფულიან-ია, თითო მანეთს ყველა კლიენტი სტოვებს. ერთი სიტყვით, ცა მზიანი და ცისფერი იყო მანამ, სანამ აკოფას ეჭვის ჭია დაუწყ-ებდა ღრღნას, - ხომ არაფერში ვტყუვდებიო, და სანამ თავის გულის ვარდს სხვა ფოსტალიონის ხელით გაუგზავნიდა წერი-ლს... დიახ, ამის შემდეგ ვნახე ისეთი რამ, რასაც იღბლიანი კა-ცის მეტი ვერავინ ნახავს, და ისიც, ალბათ, სიცოცხლეში მხო-ლოდ ერთხელ, რადგან ასეთი სანახაობები განუმეორებელთა კატეგორიას ეკუთვნის - ორსამართებელმომარჯვებული აკო-ფა-დალაქი ერთი ბარაკიდან მეორეში გახელებული დარბოდა და გაიძახოდა:

— Где этот матарил..

საქმე ის არის, რომ ბექირ ბექიროვიჩ ბექიროვი, ფოსტალი-ონობასთან ერთად, თურმე, აკოფა-დალაქის მიჯნურის მოვალ-ეობასაც ასრულებდა და დალაქის ფულსაც ექვსი თვის მანძი-ლზე მშვენივრად უვლიდა. ყოველივე ეს იმით დასრულდა, რომ დალაქმა ქალების ზონიდან წერილი მიიღო, - შენი გოგო შენს გზავნილებებს დროზე და უკლებლივ იღებდა, ჭორებს არ აჰყვე, გათავისუფლდა და ახლა რაღას ვიზამთო. დალაქი ამ ვერსიით დაკმაყოფილდა, მისი „საზოგადოებრივი რენომე“ პირობითად აღდგენილ იქნა. ესაც ბექიროვის ცინიკურობის ერთ-ერთი გამ-ოვლენა იყო და მის ამ თვისებას თავისი საფუძვლები აქვს. ბე-ქიროვი, ყირიმელი თათრის ცამეტ-თოთხმეტი წლის ბიჭი, თა-ვის ინტელიგენტ მშობლებს ფაშისტური ოკუპაციის წლებში

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

გაექცა - რუმინულ გემზე აიპარა. უპატრონო ბავშვმა მთელი მსოფლიო შემოიარა, რა და როგორი გადახდა თავს - მხოლოდ ღმერთმა იცის. სიცოცხლის შენარჩუნებისთვის ბრძოლამ შეუმუშავა ცინიზმი, თანდაყოლილმა შესაძლებლობებმა მეტი ჭკვანი ვერ გაუწიეს. უკვე სრულწლოვანი, გასაჭირში გამობრძმედილი დაბრუნდა. თავისი მიწა-წყალი უცხო თესლით დასახლებული, ოჯახი და მთლიანად მისი ხალხიც შუა აზიაში გადასახლებული დაუხვდა. იტრიალა, სხვა დაბრუნებულთა ხვედრი არგუნეს - სრულიად უდანაშაულოს ათი წლის ციხე მისცეს. ოხუნჯი, უაღრესად ენამოსწრებული კაცი იყო, მაგრამ მისი იუმორი მუდამ ცინიზმში გადადიოდა, რადგან ადამიანისა აღარაფერი სწამდა.

იმ ჯანკოელი ვალკას ეპიზოდი ყველა დროისა და ხალხის ცინიზმის სახელმძღვანელოებშია შესატანი და, იქნება — გინესის საოცრებათა დავთარშიც. აღმოსავლეთ ციმბირში ქვის სამტეხლოზე გვამუშავებდნენ, ღორღსა და სხვა სამშენებლო მასალას ვაკეთებდით. სამუშაოთა მწარმოებელი ჩამაბარებდა საქმეებს და თავად საღამომდე სადღაც იყო. ბარე ოცი ბრიგადა მუშაობდა - ათასამდე პატიმარი. ქალი, აბა, საიდან, მაგრამ ისეთ სამუშაო ზონებში, სადაც მხოლოდ დღისით არის მუშაობა, ქალის შემოყვანა, ზოგ შემთხვევაში, ხერხდება და, აი, რა გზით: ზონის გარეთ აიარა ქალმა. ვინმე ენამოქარგული პატიმარი გაელაპარაკა. ქალს გააჩნია, იქნება გამოელაპარაკოს კიდეც, იქნება მიწერ-მოწერაც გაიბას და სიყვარულიც. მაშინ ქალს წინ რა დაუდგება, და მამაკაცის წინადადებაზე თანხმობას აცხადებს. წინადადება კი ასეთია: ღამე სამუშაო ზონა ცარიელია და არ იკეტება. მამაკაცი ზონაში საიმედო სამალავს ამზადებს, იმდენად საიმედოს, რომ ვერავინ მიაგნოს და ქალს ზუსტად აცნობებს მის ადგილსამყოფელს - რა თქმა უნდა, წერილობით და არა გადაყვირებით. ეს ძნელი საქმეა და არა მხოლოდ იმიტომ, რომ ბადრაგმა და ზედამხედველობამ არაფერი უნდა იცოდეს, არამედ იმიტომაც, რომ გაცემა პატიმრებისგანაც არის მოსალოდნელი. ამ შეთანხმების შემდეგ ქალი მიაგნებს სამალავს და დაიძინებს. დილით ბადრაგი მოიყვანს პატიმრებს, ზედამხედველებთან ერთად შეამოწმებს ზონას და როცა დარწმუნდება,

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

რომ ყველაფერი რიგზეა, ბადრაგის ერთი ნაწილი სადარაჯო კოშკურებზე დაიკავებს ადგილს, ხოლო მეორე - პატიმრებს ზონაში შეითვლის. მორჩა. „შეყვარებულები" მთელი დღის მანძილზე ერთად არიან! საღამოთი ბადრაგი პატიმრებს ბანაკშ გაირეკავს, ქალი შინ მიდის და თუ უნდა, მომდევნო საღამოს ისევ მობრძანდება – *„Голь на выдумки хитра"*. ჩავარდნის შემთხვევებიც ხშირია, მაგრამ შედეგები - იმდენი არაფერი: ქალს ოცდაოთხი საათი ეძლევა ამ დასახლებული პუნქტიდან ოც კილომეტრზე გასამგზავრებლად, - მანდ იცხოვრეო. პატიმარი სამ დღე-ღამეს კარცერში ატარებს. ერთად ყოფნის ეფექტს გააჩნია, ქალი იმ ოცი კილომეტრიდანაც მშვენივრად მოდის ხოლმე. მოკლედ, შეუძლებელი არაფერია და ბექირ ბექიროვიჩ ბექიროვმა სწორედ ამ შესაძლებლობაზე ააგო თავისი გეგმა... საინტერესოა, ასე სახელით, მამის სახელითა და გვარით რატომ იხსენიებდა ყველა? სულ ახალგაზრდა კაცი იყო, ოცდახუთი თუ ოცდაექვსი წლისა, ლოყებლაჟღაჟა, მარდი და მუდამ მხიარული... რა ვიცი, აბა? ჰო, ერთხელ მეუბნება, - ჯანკოიში მეძავი მყავს, უნდა გამოვიწეროო. მასხრობაში ჩამოვართვი, თვე გავიდა თუ მეტი. ის იყო, ზონაში შევედით, იაკოვ აბრამიჩ შერმანმა[342] თავისი საინსტრუმენტო გააღო, ხელსაწყო-იარაღის დარიგება დააპირა... დამსწრეთა მძაფრი უკმაყოფილების მიუხედავად, კვლავ დაკეტა, ჩემთან შემოვიდა და ყურში ჩამჩურჩულა, - საინსტრუმენტოში ქალი არისო, და მომაჩერდა. რა უნდა მექნა? - ხომ არავის დაუნახავს-მეთქი? თავი გაიქნია, - არაო. ხელსაწყოს დარიგებას თუ დაიწყებ, დაინახავენ-მეთქი? არაო. წადი, დაარიგე-მეთქი. წავიდა და მხოლოდ ამის შემდეგ გამიელვა, ბექიროვის მეძავი კი არ იყოს-მეთქი. ვილაც გავგზავნე, ბექიროვი მოეყვანათ. დიდი არაფერი ენთუზიაზმი გაუმჟღავნებია, იყოსო. იმხანად, გამომუშავებულ ფულს ხელზე გვაძლევდნენ, ზონაში ფული იყო. ბექიროვს ესაც გათვალისწინებული ჰქონდა და შეუდგა ჯანკოელი ვალკას გაქირავებას. ჯანკოელი ვალკა დღეც იქ იყო და ღამეც. საქმე სარფიანი აღმოჩნდა. ბექიროვზე იყო ლამაზმანის პირადი ჰიგიენის უზრუნველყოფა, კვება და ოცდახუთი მანეთი ყოველი კლიენტისგან, რასაც იგი პირნათლად ასრულებდა. მართალია, ასმანეთიანი ნიხრი ჰქონდა

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

დაწესებული, მაგრამ ადამიანის მიერ ადამიანის ამ უღმერთო ექსპლოატაციას და ისიც — სოციალიზმის პირობებში, ბექიროვი დიდი ზედნადები ხარჯებით ხსნიდა: გზის ფული, სამივლინებო ხარჯები, თვით ექსპლოატაციის პირის ყოველმხრივი უზრუნველყოფა და ახლა ისიც, რომ ხათრით, ესე იგი, უანგაროდ მიშვებულ კლიენტებშიც ხომ უხდიდა ბექიროვი ვალკას „მხიარული შრომის“ ღირებულებას? საფიქრებელია, რომ ბექიროვი მართალი იყო, მით უმეტეს, თვით იდეის ავტორობასაც თუ მივიღებთ მხედველობაში; მაგრამ ჯანკოელ ვალკას სულმა წასძლია თუ სოციალური უსამართლობის მიმართ პროტესტის გრძნობა გაუმძაფრდა, - „ლევი“ მუშტარი გაიჩინა, - თათარს ასი მანეთი რაში უნდა აძლიოთ, უშუალოდ მე ორმოცდაათ მანეთადაც მოგემსახურებითო. ბექიროვმა ეს მოვლენა საკუთარი პრესტიჟის შელახვად მიიჩნია, საშინლად განრისხდა და თავის წარმოების საშუალებას დაემუქრა, თუ კიდევ გიქნია, მე ვიცი მე შენაო! ჩემი და ჯანკოელი ვალკას მოკლე ჭკუით, ბექიროვის მუქარას განხორციელება არ ეწერა. რას უზამდა? სულაც ვერაფერს. ამიტომ იყო, ვალკამ თავისი არ დაიშალა. არ დაიშალა და ერთ დღეს ისეთი გაცეცხლებული შემოვარდა ჩემთან, დალაქი აკოფა მღიმარე ქერუბინი გეგონებოდათ. ეს ღრმად კონსპირირებული არსება იმხელას გაჰკიოდა, რომ კოშკზე ბადრაგმა ტელეფონი აიღო, შტაბს აცნობა, - ზონაში ქალსა ჰკლავენო! ბექიროვი ვალკასგან ახალი გამოსული იყო, ჩემთან იჯდა და დარწმუნებული ვარ, თავისი იქ ყოფნის ეფექტს ელოდა. ქალი ჰკიოდა, ეხლა მე რა უნდა ვქნაო! ისე მგონია, რაც კი სალანძღავი სიტყვა იცოდა, სულ გადმოანთხია, მაგრამ მისი კივილის მთავარი თემა მაინც ის იყო, - ეხლა მე რა უნდა ვქნაო?! ბექიროვი იჯდა, რაღაცაზე ფიქრობდა. ჯერ ისე მეგონა, - ამ ქალის საშველს ეძებს-მეთქი. გაგიგონია? ერთადერთი სიტყვა სთქვა, - მე შენ რა გითხარიო?! — ზედამხედველები მოცვივდნენ, ვალკა ძლივს გაათრიეს. ეგრე თრევა-თრევით მიჰყავდათ და ის თავისას გაიძახოდა, - ეხლა მე რა უნდა ვქნაო! საყარაულოში შეიყვანეს. იქიდანაც იგივე ისმოდა. ასეთი რა უქენი, შე შეჩვენებულო-მეთქი? რაც ერგებოდაო! მე რას მოვიფიქრებდი, კარცერიდან რომ დაბრუნდა, მაშინღა მითხრა: ალერსის პროცესში

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

კვერცხის ნაჭუჭის ნახევარი წამოუცვამს, შეუცურებია, ცხადია, შიგ შეუტოვებია. ნეტავი, რა არის ეს? ადამიანის მიმართ უსაზღვრო ზიზღი, თუ უსაზღვრო გულგრილობა? იქნებ ერთიცა და მეორეც, მაგრამ ორივე ერთად შესაძლებელია?

იცი, რა? ეს ვალკები რატომღაც კარგად მართობენ... საკვირველია, ღმერთმანი - ზოგი მათგანი ისეთია, გული აგერევა. რა გსიამოვნებს, ნეტავ!.. რა ვიცი, იქნება იმ საზიზღარი ლინას ნახვამ ამამღვრია!..

გორამ პირობა შეასრულა, სამი დღე-ღამის მანძილზე ვალკათაგან აღარც ერთი არ გაიკარა. მეოთხე დღეს განაგრძო საქმე.

მაშ, ასე - მეორე ვალკა: ბელორუსიის უშიშროების მინსკის შინაგან ციხეში რაღაც დავაშავე, თუ სულაც არაფერი დამიშავებია - აღარ მახსოვს. ხელბორკილი დამადეს, კარცერში ჩამიყვანეს. იქ, დერეფანში, პირით კედლისკენ მიმაბრუნეს. მივხვდი, ვიღაც გამოჰყავდათ - საკანი დაცალეს, ჩემთვის. გაჭვრეტა მოვახერხე, ქალი იყო, გვერდით საკანში შეიყვანეს. დაცლილში მე შემაგდეს და ხელბორკილი შემხსნეს. საკანი, როგორც ყველგან, სსრკ უშიშროების სამინისტროს სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მიერ შემუშავებული სტანდარტისა იყო - მეტრ-ნახევარი - სამზე. პატარა სარკმლით, ჩალეწილი შუშითა და ასაკეცი, ბოქლომით ჩაკეტილი ვიწრო ტახტით. საკანში თხუთმეტგრადუსიანი ყინვა იყო და თითქმის კუმეტი. როგორც ჩანს, კაცობრიობის უმშვენიერესი ნახევრის წარმომადგენელს განსაცდელი შეუმსუბუქეს - შუშიან საკანში გადაიყვანეს და ახლა ნაკლებად მშვენიერი ნახევრის წარმომადგენელს არგუნეს წინამორბედის ხვედრი. ცხადია, ბოლთას შევუდექი. ვერც დაჯდები, ვერც გაჩერდები. ვიარე, ვიარე. მაინც შემცივდა, შარდმა შემაწუხა, ჭურჭელს მივადექი. დიქტის ნაჭერი ჰქონდა ხუფად. დავიხარე, - თავი მოვხადო-მეთქი. დავინახე, ზედ რაღაც იდო - მრგვალი, მოგრძო, ქვასავით გაყინული, ვერაფერს მივხვდი, რა საგანი უნდა ყოფილიყო? ბოლთა განვაგრძე. ცოტა ხნის შემდეგ მეზობელი საკნიდან ქალის ხმა მოისმა:

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– *Эй!.. Ты кто?* – რა მასტისა ხარო?

– *А ты?* – ასეთი პასუხი იმას ნიშნავდა, რომ ქურდი არა ვარ.

– *Валька Чайка!* – მაცნობა თავისი ვინაობა მეზობელმა.

გამოვეთიხე, თუ რა ბრალდებით იჯდა - რა თქმა უნდა, იმის შემდეგ, რაც ჩემი ასავალ-დასავალი ვთქვი. თავად ვალკა-ჩაიკა იმისთვის იჯდა, რომ საპასპორტო მაგიდის უფროსს მუცელში დანა ატაკა. ატაკა იმ მიზეზით, რომ მორიგი გათავისუფლების შემდეგ პასპორტის გაცემა დაუგვიანა.

– *Слушай, фрайер! Ты там у себя ничего не видел?* – გამომეხმაურა კარგა ხნის სიჩუმის მერე ვალკა-ჩაიკა.

– *А что?*

– *На параше ничего не видел?*

– *Видел. Что это?* – ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილება განვიზრახე.

ვალკამ გულიანად გადაიხარხარა და მკითხა:

– *Угадать не смог?*

მივედი, დავხედე. თითქოს მივხვდი კიდეც, რაც იყო, მაგრამ ჩემი ეჭვის სიტყვით თქმა ვერ გავბედე.

– *Не могу,* – მივუგე და ამას დაუყოვნებელი პასუხი მოჰყვა:

– *Это говно!* – დაიძახა და ისევ გადაიხარხარა.

რა დასამალია, დავიბენი. დავიბნეოდი, მაშ, რა იქნებოდა, იმ დიამეტრისა ძეხვიც კი არსად შენახა, სალტისონი რომ ჰქვია.

– *А чье такое, а?* – კაცი გულუბრყვილო რომ იქნება, სხვას იკითხავს რასმე?

– *Мое... чье еще!*

– *Ну и нууу!*

– *Скука. Вот и лепила!..*

საკვირველია, ღმერთმანი, რა ყოფამ დადვარჭნა ამ ადამიანის ფსიქიკა, რა ცხოვრება გაატარა, რომ სხვა ვერაფერი ნახა... არა, ის ნაკლებ საკვირველია, რომ ამისთანა საზიზღრობები გაგონდება და ღმერთმა იცის, მეხსიერებაში მაინც მერამდენედ იმეორებ... კაცო. იმ დროს იმდენი გამოცდილება არ მქონდა, რომ ამ მოვლენის ფესვებისთვის მიმეგნო... მიაგენი?.. მივაგენი იმის წყალობით, რომ მას შემდეგ ბევრი რამ ვნახე ისეთი, რასაც ადამიანის ფსიქიკის გადატრიალება-დამახინჯება შეეძლო. ამაზე ბევრი მაქვს ნაფიქრი. რა

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თქმა უნდა, ვიცი, რატომაც ხდება ეს... მაინც რატომ?.. ამაზე ლაპ. არაკი მეზარება. მთელი ჩემი მოგონებების ნახევარი მაინც იმის ახ. სნა არ არის, თუ საიდან იბადებიან ან ყალიბდებიან ვალკა-ჩაიკები.

კიდევ სამი დღე გავიდა. გორამ მესამე ვალკა ამოიყვანა მეხ. სიერებიდან.

ამას ერთ-ერთი ეტაპირების დროს შევესწარი *მოსკოვის „Красная пресня"*-ს ციხეში. კომენდანტს შემნახველ საკან. ში წაყვანა ვთხოვე. ზამთარი იყო, ჩანთიდან თბილი რამ მინდ. ოდა ამომეღო. შუადღეზე მოვიდა ზედამხედველი, მესამე სარ. თულზე ჩამიყვანა, შემნახველი საკანი ქალების სართულზე იყო. მივედით - მეკუჭნავე გოგოები შესვენებაზე წასულიყვნენ. აქ იდექი, მოვალო, - ზედამხედველმა მითხრა და წავიდა. ქალ. ების კორპუსში ზედამხედველებიც ქალები არიან. ერთი კი ამ. ხედ-დამხედა და ესაც წავიდა, კუთხეს მიეფარა. ისევ მოვიდა, ერთი მოხუცი კაცი მოიყვანა, პატიმარი. იღლიაში შუშა ჰქონ. და ამოჩრილი, პიჯაკის ჯიბიდან ალმასი მოუჩანდა. გაუღო ზე. დამხედეელმა ჩემი მოპირდაპირე კარი... ისეთი საზიზღარი სუ. ნი გამოვარდა საკნიდან, კინაღამ გავიქეცი, მაგრამ შეუშვა თუ არა მეშუშე, იმავ წუთს ჩაკეტა და წავიდა. გონს მოვეგე, ზედ. მხედველი კუთხეს მიეფარა. შევიხედო-მეთქი. გადავწიე სარქ. ველი, შევიჭვრიტე... ნეტავი, არ შემეხედა! რის შუშა, რა შუშა - დაეწვინათ ქალებს ის მოხუცი კაცი ნარზე, ჩაეხადათ შარვა. ლი... ერთმანეთს არ აცდიდნენ, - შენ არ იცი, მიმიშვიო. კარგა ხანს ვუთვალთვალე. ხან ერთი ცდილობდა იმ მოხუცში დიდი ხნის მკვდარი მამრის გამოღვიძებას, ხან მეორე, ხან მესამე... ბოლოს ერთმა დაიძახა, — *Девоньки, понюхать дать надо!..* ეს იყო, კუთხიდან ზედამხედველმა გამოიხედა. ალბათ, პირველ. ად და უკანასკნელად დავაბეზღე ციხეში ვინმე, ხელი დავუქ. ნიე, - მოდი, შეიხედე-მეთქი! მოვიდა, შეიხედა. ჩუმად გააღო კარი და დაიძახა: — *Валька, поганка! А ну слезай сейчас же!* — შევიდა, თმებში სწვდა, კატის კნუტივით გამოათრია, წიხლითა სცემა. საცოდავი მეშუშე ძლივს გამოღოღდა - ამ სი. ტყვის პირდაპირი მნიშვნელობით...

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

აღმოსავლეთ ციმბირში, ხრუშჩოვის მოსვლის შემდეგ, საშვი მომცეს, უკეთ ვთქვათ, მარბენალს პოლკოვნიკი მამედოვი მენდო, მომცა. დავიწყე ეკონომისტად მუშაობა. გაქცევა გულში აღარ გამივლია, ვიცოდი, რეაბილიტაციები მზადდებოდა. გავაკეთე რომელიღაც თვის ანგარიში, დავჯექი მოტოციკლზე და მთავარი სამმართველოსკენ გავწიე. მაშინ იქ საავტომობილო გზები არ იყო. საავტომობილო კი არა, ტაიშეტ-ლენას რკინიგზაც, ასე ვთქვათ, პირობითად მუშაობდა. ხალხი ლიანდაგით დადიოდა. თოვლი კარგად იყო დაძეკილი, მოტოციკლით სიარულიც მშვენივრად ხერხდებოდა. თოთხმეტი-თხუთმეტი კილომეტრი მრჩებოდა ზაიარსკამდე - მოტოციკლმა მიმტყუნა. ვუჩხიკინე, ვერაფერს გავხდი. წავიგდე წინ ის იმოდენა მანქანა და ვათრიე აღმართებში. სიქა გამძვრა, ისე დავიღალე, რომ ზაიარსკის პირველსავე სახლს მივუკაკუნე. ღამე მაინც სადმე უნდა გამეთია... დედაბერმა გამიღო. ავუხსენი მდგომარეობა, ვთხოვე, ღამე გამათევინე, გადაგიხდი, რაც საჭიროა-მეთქი. მიმიღო. მოტოციკლი წინამოში დავტოვე, შევედი. იქაურობა გაღუნღულებული იყო. რუსული ღუმელი ენთო. ვისაუბრეთ, რაღაცები მქონდა წამოღებული, ვაჩუქე, ფულიც მივეცი... საწოლი დავინახე, სუფთად გაწყობილი. თავად დედაბერს ღუმელზე ეძინა, ვკითხე, - ეს საწოლი ვისია-მეთქი? - მდგმური მყავს, კარგი გოგონაა, სამუშაოდ არის ჩამოსული კომკავშირული საგზურითო. ცოტა ხანში ის გოგოც მოვიდა ვიღაც ბიჭთან ერთად. ამათვალჩამათვალიერეს, ბიჭმა ბუშლატის უბიდან არაყი ამოიღო, ნახევარი ბოთლი იქნებოდა. მაგიდას მიუსხდნენ. პატარა შუშაბანდი ჰქონდა ოთახს. დედაბერმა გამიყვანა, - აქ დაიძინებო. კაი განიერი საწოლი იყო, თბილი საბნებით გაწყობილი. გავიხადე, დავწექი. გოგო-ბიჭმა არაყი მიირთვა, წავიდნენ. იმდენ ნაჯახირევსა და დაღლილს მკვდარივით ჩამეძინა. არ ვიცი, რამ გამომაღვიძა - ალბათ, ჩემი შუშაბანდის ძირას ხმამაღალმა ლაპარაკმა. ის გოგო-ბიჭი იყო, ძალიან მწვავედ კამათობდნენ. ბოლოს, კაი მაგარი ტკაცანი გავიგონე და გოგო შინ შემოვარდა, ერთხანს იზლუქუნა და დაწყნარდა.

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

სახლი სიჩუმემ მოიცვა, მეც დამეძინა. რა დრო გავიდა - ვერ ვიტყვი, მაგრამ იმან გამომაღვიძა, რომ ლოგინში ვიღაც შემოიწვა... ახლა, მინდოდა თუ არ მინდოდა, ეს საქმე როგორც გათავდებოდა, ცხადია, და ამას არც აქვს დიდი მნიშვნელობა. მნიშვნელობა იმას აქვს, რომ ვალკა თავის საქმეს ასეთი ტექსტით აკეთებდა, – *Вот тебе, Володька, вот тебе!* რა თქმა უნდა, მივხვდი, ვოლოდკას ჯიბრით ხდებოდა, რაც ხდებოდა, მაგრამ სანამ მოვიფიქრებდი, როგორი რეაგირება მომეხდინა „მიმდინარე პროცესზე", ყველაფერი დასრულდა და ვალკამ თავის ლოგინს მიაშურა.

დილით დედაბერიღა შემრჩა ხელში...

მეხუთე და მეექვსე ვალკა.

რა ხნის ამბავია! ის ჩემი ვალენტინა, თუ ცოცხალია, კაი მოხუცებული იქნება. მშვენიერი კი იყო და! ყუბანელი კაზაკის ქალი იყო, რომელიღაცა სტანიცაში მუშაობდა. დონის როსტოვში დაუსწრებელზე სწავლობდა, უფროსი კლასების ლიტერატურის პედაგოგობა სურდა, რა ფეხები ჰქონდა!.. სახეზე ნაკლები იყო?.. უჰ, რას ამბობ, მზეთუნახავი სხვას კიდევ რასმე ჰქვია? მაგარი იყო, დალოცვილი, მაგარი! ან რა ტანი ჰქონდა, ან რა სხეული, ვნება და გზნება!.. ადამიანს თითო რაღაც ახირება რომ ექნება - ვალია რომ ერქვა, რაღაცებში ხელს მიშლიდა, სხვანაირი ვალიები მყავდა ნანახი, იმათი სახელი რომ ერქვა, მეხამუშებოდა, ასოციაცია მთრგუნავდა, სხვა ვალიები მაგონდებოდა ხოლმე. ახირებაა, ცხადია. აბა, სად ისინი და სად ეს. არა, მეექვსე ვალიაც რომ ამ ვალენტინას ტუზივით დაეცა, როგორია?!. მეექვსეც კაი გოგო იყო. ეგ არის, ჩემი ვალიას გარდა, რომელიმეს მართლა ვალია ერქვა? ვალენტინა! ნეტა ირქმევდნენ ამ სახელს, თუ მართლა ვალიები იყვნენ? ფსევდონიმივით რამეა. მეძავი თავის ნამდვილ სახელს იშვიათად იტყვის. რატომ? ძნელი ამოსახსნელია. ამაზე მერე ვიფიქრებ, ჩხიბვა უნდა, ეხლა მაგის თავი არა მაქვს. საინტერესოა, ყური დაუგდო - ვალს დაგადებენ: მუშა ხარ თუ მინისტრი, ვითომ რა, სხვის შესაძლებლობებსა ჰყიდი? შენივე სულითა და ხორცით არა ვაჭრობო? მე ქალი

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ვარ და ჩემი შესაძლებლობებით ვვაჭრობ, ვისი რა საქმეაო!.. არა, მაინცადამაინც ვალიას რატომ ირქმევენ? ეს, შესაძლოა, ისეთივე მოვლენა იყოს, გაქცეულები ყველაზე გავრცელებულ გვარებს რომ ირჩევენ... კი, ხან გელაშვილი იყავი, ხან გიორგაძე, ხან მაისურაძე - ყველაზე გავრცელებული ქართული გვარები... კაცო, მე გაქცეული ვიყავი, ვიმალებოდი, ნამდვილი გვარი მეტარებინა?! მაგათ რა, მისდევს ვინმე?.. რა იცი, იქნება ექვსივეს, მართლაც, ვალია ერქვა... შეიძლება, ეგრეც არის. ჩემი ნამდვილი ვალია იყო ვალენტინა - ალალი გოგო. ათას ცხრაას ორმოცდაექვსი ან შვიდი იქნებოდა, არა?.. რა ჯანდაბა მინდოდა, სულაც არ წავიდოდი იმ „კვალიფიკაციის ამაღლების კურსებზე", მაგრამ ყარაჩაელები რომ გადაასახლეს და ქლუხორი საქართველოს მიუერთეს, ქართველობამ კავკავზე სიარულს უმატა, გზა ისე ჰქონდათ, - ზამთრამდე, დარიალის ჩაკეტვამდე გაერიდები-მეთქი. ვალია სასტუმროში გავიცანი, სესიაზე იყო ჩამოსული. პირველად რესტორანში ვნახე, გვიან ღამით ვვახშმობდი, ზურგიდან დავინახე, საოცარი ფერის ჰაეროვანი თმა ჰქონდა. ვიტრიალე, თავით ფეხამდე დავათვალიერე - ქალღმერთსა ჰგავდა. იმ ღამეს არ დამეძინა. მეორე დღეს დავუდარაჯე, პირდაპირ ვუთხარი, - ასეა ეს საქმე და ვერ მოგეშვები-მეთქი!.. მოგეხსენება, ჩვენს სასტუმროებში პოლიციური წესები იყო, გამონაკლისს არც ის სასტუმრო შეადგენდა. ბოგოტიანოვის ქუჩაზე ერთი დედაბრისგან ოთახი ვიქირავე. ცალკე შესასვლელი და სველი წერტილები ჰქონდა. მე დილის თორმეტიდან თითქმის დღის ბოლომდე ვიყავი დაკავებული. ვალია საღამოობით დადიოდა - ჯერ კონსულტაციებზე და მერე გამოცდების ჩასაბარებლად - ექვსიდან თერთმეტამდე. პრაქტიკულად, ოთხიდან ექვსამდე და ღამის თერთმეტიდან დილამდე ვხდებოდით ერთმანეთს თუ აფროდიტესა და ჩვენს პედაგოგ-სულთამხუთავებს არაფერს ვუეშმაკებდით. ვალია რომ წავიდოდა, რა მეკეთებინა? დავისვენებდი ხოლმე და ქალაქში გავდიოდი, დრო საბილიარდოებში გამყავდა - გაქცეული პოლიტიკური პატიმრისთვის საკმაოდ უსაფრთხო დაწესებულებაა, იქ თუ კიდეც ეძებენ ვინმეს - ქურდებსა და ყაჩაღებს. პირველსავე გასვლებზე შევნიშნე, ჩვენი სახლის წინ ერთობ გამოპრანჭული და ნაირფრად გა-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თხუპნული კოპწია ქალები იყრიდნენ თავს. როცა დავაკვირდი, მივხვდი, მეძავთა ბირჟა იყო. უნდა გამოვტყდე, ამ ჯამაათის ცხოვრება და მოღვაწეობის ფსიქოლოგია ჭაბუკობიდანვე მაინტერესებდა.

ერთ საღამოს გამოვედი, სადარბაზოს ზღურბლზე შევყოვნდი. მომეჩვენა, რომ დონის როსტოვის სექსუალური სამყარო ამჯერად ჩვეულებრივზე უხვად იყო წარმოდგენილი. თვალიერება დავუწყე. გოგონამ მოირბინა, იმაზე პაწაწა ქალი არსად მენახა, ტიკინას ჰგავდა, ნეკნებამდე თუ მომწვდებოდა. იდგა, მილიმოდა, ჩემს სიტყვას ელოდებოდა. არაფერს ვამბობდი.

– А я высоких люблю. Я Валька! – მაცნობა და ისევ შემომცინა.

– А я – миниатюрных девушек, но у меня времени нет! – ვთქვი და ათმანეთიანი მივაწოდე.

კი არ გამომართვა - გამომტაცა, ეგონა, ვაბიაბრუებდი.

ერთხანს იდგა, - ხომ არაფერს ინებებსო. მერე მადლობა მითხრა, მიტრიალდა, გრეხა-გრეხით წავიდა. მე ჩემ გზაზე გაეწიე. ჩემი მაშინდელი წარსულის ყველა ვალია ისევ მომაგონდა. ახირებაც ამასა ჰქვია! ასეა თუ ისე, მეძავი ვალია, იმ ერთი თეის მანძილზე, რაც იქ ვიცხოვრე, კუთვნილი თუმნიანის მისაღებად თითქმის ჩემი ყოველი გამოსვლისთანავე მორბოდა და მიჰქონდა კიდეც. მაშინ ის ათი მანეთი დიდი ვერაფერი ფული იყო - სამი-ოთხი კილოგრამი პური ან ერთი ნახევარლიტრიანი ბოთლი არაყი და ცოტაოდენი ხურდა.

ორი წელიწადი გავიდა, ისევ დონის როსტოვში მოვხვდი, საქმეები მქონდა, რამდენიმე დღით ვიყავი ჩასული. სასტუმროში დაღლილ-დაქანცული დავბრუნდი. ის იყო, წავთვლიმე და ტელეფონმა დაიწკარუნა.

– А я высоких мужчин люблю – Валя! – რა თქმა უნდა, მომაგონდა და, რატომღაც, გამეხარდა კიდეც.

– Ты откуда взялась, негодница? – სიცილით მივუგე.

– Я теперь здесь работаю. Можно приду к Вам?.. Так – просто... повидаться хочется. Можно?

– Ну, валяй!

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ბარე ნახევარი საათი გავიდა, კარზე ვილაცამ მოაკაკუნა. მა-ეაკაცი ვარ, ტანისამოსი მივისწორ-მოვისწორე, კარი გავაღე და... ურიკიანი ოფიციანტი შემრჩა. ერთი ბოთლი შამპანური და რაღაც საჭმელები მოეტანა. - მე არაფერი შემიკვეთია-მეთქი, - წავილულღლულე. ოფიციანტმა კარის თავს აჰხედა, დარწმუნდა, რომ ნომერი არ შეშლია, და მხრები აიჩეჩა:

– *Ваша женщина велела!..* – ჩურჩულით მითხრა.

გამეცინა, შემოვატანინე. სუფრა გააწყო და წავიდა.

ცოტა ხანში „ვაშა ჟენშჩინაც“ მოვიდა. ისევ ისეთი გულწრფელი თვალები ჰქონდა, ისევ ისე იცინოდა და მთელი თავისი არსებით ემადლიერებოდა სიცოცხლეს. ვალიას ამ სასტუმროში მუშაობა, თურმე იმაში გამოიხატებოდა, რომ სუტენიორი ჰყავდა და კლიენტურით უზრუნველყოფილი იყო. მეძავთა მიმართ მუდამ სიბრალული მქონდა, მე მათ ბედუკულმართობის მსხვერპლად ვთვლიდი. ამის გარშემო ვკითხე, - შენ როგორ ფიქრობ-მეთქი?

– *Женщина, или должна рожать и воспитывать детей, или тешить мужчин. Другого назначения у ней нет!* – ძალიან მტკიცედ მითხრა.

ამ ლაპარაკში დარეკეს. მამაკაცმა ვალია იკითხა - შეფი უხმობდა! ფაცხაფუცხით დამემშვიდობა.

– *Мне на седьмой... Хотите, вернусь? Я высоких люблю...* – არ დაამთავრა, გაიცინა და წავიდა.

დერეფანში მიმავალს გავცქეროდი, სანამ არ მიიმალა. ნომერში შევებრუნდი, ნასუფრალს დავხედე და ძალიან გემრიელად გამეცინა: სხვისი ნაქურდალი მიჭამია და მისვამს, ნაყაჩაღარიცა და ნაყალთაბანდარიც. ნამეძავრით დროსტარება ეს პირველი იყო!.. ეეე, ეს რამდენი საზიზღრობა ვთქვით, ასე რამ დაგვბოღმა?.. რას გეტყვი, იცი? მაგ ვალკებითა და სხვა სისულელეებით მხოლოდ საკუთარ თავს აყენებ შეურაცხყოფას... მსმენელსაც! რამდენჯერ მაქვს ძმაკაცების წრეში ნაამბობი, ღმერთმა იცის. ინტერესით ისმენდნენ, მაგრამ არ სიამოვნებდათ... ზოგს არ სიამოვნებდა, ზოგს!.. ასეა თუ ისე, ნულარაფერს მოვიგონებთ, დავიცადოთ, სანამ გუნება გაგიუმჯობესდება - ვთქვათ, კიდევ სამი დღე...

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

გორა, მართლაც, სამი დღის მანძილზე მხოლოდ გზასა და საკალზე ფიქრობდა, ეს თვისება მას ჰქონდა და ჰქონდა ის თვისებაც, რომ დავიწყება შეეძლო, ვთქვათ, ისეთი რაიმესი, რასაც წამების შემთხვევაში ითქმევინებდნენ. იტყოდა ხოლმე, - რაც არ იცი, ვერ გითქმევინებენო! მეოთხე საღამოს უკეთესი გუნება იგრძნო და თავს უფლება მისცა, ისევ მოგონებებით მოეკლა დრო.

არა, მაინც როგორ მომშხამა აშნასთან იმ გველაძეა დედაკაცის ნახვამ, ჰა?!. მარტო ეგ არ იყო. იმან დაგრთგუნა, - ჟამი მიქცევისა დადგაო, რომ ფიქრობდი, და ამას ნაირ-ნაირი არგუმენტით ასაბუთებდი... კი, ისე გამომივიდა, ვითომ, აჰა, საიქიოსკენ მიხმობს განგება!.. კარგი, მოვრჩეთ. ეხლა რაზე ვიფიქროთ?.. სილა[343] მოვიგონოთ, რამდენი ხანია, ვაპირებთ და ვერა და ვერ მოვიცალეთ...: ჰო, სილა პირველად ყარაბასის განმანწილებელ ციხეში ვნახე. ყარაგანდიდან გაქცევის განაჩენით მიმიყვანეს. სულზე დღეში სამი ლიტრი წყალი იყო. აქედან ლიტრ-ნახევარი სასადილოს - ბალანდისთვის. დანარჩენი, გინდ - დაიბანე, გინდ - გაირეცხე, გინდ - ოყნა გაიკეთე... სამი ლიტრი, თორემ, აჰა, აი, მიდი, მოავლე ხელი, წამოიღე... წყალი ჯერ გავლენიანებისა და სახელიანებისა იყო, მერე ზედახორაში - ღონივრებისა, დანარჩენი - ვინც მოახერხებდა, იმისი. ცისმარე დღეს სამოცი-სამოცდაათი მკვდარი გაჰქონდათ. ფეხებში მაეთული და - ჰაიდა! სხვაგან მეც გამითრევია, ცნობისწადილი მქონდა. ამ განმანაწილებელში ოთხი ზონა იყო, სხვადასხვა ჯურის პატიმრებისთვის, მათ შორის, ქალებისაც. ზონები ერქვა, თორემ ცალი მაეთული ჰყოფდა, სადაც გინდა, როგორც გინდა, ისე იარე. პოლიტიკური ვიყავი, მარბენალი; რომელიმე მასტთან რაიმე უთანხმოება არ მქონია, ზონები არ მეხებოდა. ერთერთ ბარაკში თავისუფალი ქვედა ადგილი ვნახე, მივაგდე ჩემი ტომსიკა ფიცრებზე და წამოვწექი. ცხელი ზაფხული იდგა, ფანჯრები ამოეღოთ - ჰაერმა იაროსო. მაინც საზიზღრად ცხელოდა. ნამგზავრი ვიყავი, ჩამთვლიმა. ვიღაცის საოცრად მძლავრმა, როყიო ხმამ გამაღვიძა:

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

- შენ, ეი, იკითხე, ვისი ადგილია?!

- არა!

ისე მგონია, მოსული ასეთმა პასუხმა რამდენადმე დააბნია, მაგრამ მყისვე გონს მოეგო და მაცნობა:

- ეს ჩვენი ზონაა, ქურდებისა. გითხრეს?

- არ მიკითხავს, - მივუგე და გამეცინა, რადგან ამ კაცის ხმასა და აგებულებას შორის კონტრასტი მეცა თვალში - ერთი მილეული, პატარა, ნაზამთრალ ბელურასავით სულიერი იყო.

- რას ილრიჭები, ვინა ხარ?!

- წყნარად! ყოფილი და მარადისი სტუდენტი. გორა მქვია. შენ?

- გორა!.. ჰო, ვიცი, - ჩემმა თანამოსაუბრემ ძლივს შეიკავა თავი, ცნობისმოყვარეობა არ გაემჟღავნებინა და როცა დარწმუნდა, რომ ღირსეული კაცის იერი შეინარჩუნა, სხვათა შორის მაცნობა:

- მე სილა ვარ. ალბათ, გაგიგონია, - ისეთი თვალებით შემომცქეროდა, უარი მეთქვა - იტირებდა.

- გამიგონია. - არასოდეს მსმენია, ისე ვთქვი, - საით მიდიხარ?

- არ ვიცი, ქურდები მოგვხვეტეს, მეთოთხმეტე საჯარიმოში ვიყავით.

საბჭოთა კავშირში რამდენიმე ასეული ისეთი კაცი ხომ აღმოჩნდა, ლენინთან ერთად შაბათობაზე ცნობილ მორს რომ მიაძუნძულებდა? პატიმრობაშიც ასეა - თავზეხელაღებული გაქცევის ამბავი არა მარტო საუბრების ერთ-ერთი მთავარი თემაა, არამედ პატიმართა გარკვეული ნაწილი რომელიმე გაქცეულთაგანის ახლო მეგობრობას თუ არა, წარსულში ერთად ნაჯდომობას მაინც იჩემებს. ჩვენი ბოლო გაქცევა ერთობ თავხედური, მსხვერპლიანი იყო და ბანაკებში გვარ-სახელით ვიხსენიებოდით. სილას, ალბათ, ამ თავისებურების გამო ემცნაურა ჩემი სახელი.

თავის ნარზე ავიდა - ჩემს ზემოთ ეკავა ადგილი. რაღაცები მექაქანა. ყველაფერი იქით იყო მიმართული, რომ ძველ, კანონიერ ქურდად წარმომდგენოდა. ქურდი არ იყო, „მიტმასნილს“ უფრო ჰგავდა, რუსულად – *Пристяжной.* ძველ პატიმარს ალღო აქვს გამომუშავებული, მასტებს ერთი შეხედვით ასხვავებს.

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ძველ პატიმარს კი არადა, ყველა განმანაწილებელ'ში არის ოი-
თო ისეთი რეჟიმის მუშაკი, მოყვანილ ეტაპს რამდენიმე მასტ-
ად ხმაამოუღებლივ, თითის ერთი გაქნევით რომ ანაწილებს, და
მე რას მოვტყუვდებოდი!

დიდხანს ირეხროხა. მერე, როგორც იქნა, დადუმდა, ალბათ,
ჩასთვლიმა. გავიდა დრო, ფიცრები ააჭრაჭუნა, ჩამოხტა და გა-
მომიცხადა:

- წავალ, ვითამაშებ, გულს გადავაყოლებ. აგერ, იქ, ქურდებ-
ს, ბუნაგი აქვთ, ვრთთავად თამაშია... ხა, ხაა, ქურდები, მაშ!
მანდ ქურდი ორი-სამი კაცია. დანარჩენი მღვრიე ჭაობის ქაჯე-
ბი არიან.

რამდენიმე საათი გავიდა. შორიახლოდან ღიღინი შემომეს-
მა. სილა იყო, იღლიით მოზრდილი ბოხჩა მოჰქონდა - ნახმარ
პერანგში ჩაყრილი ძონძები და პერანგისავე სახელოებით შეკ-
რული. ბოხჩა ნარზე შეაგდო, ავიდა, მონაგების თვალიერება-
გადარჩევას შეუდგა. ღიღინებდა - უცხოელი მომღერლები ხრ-
ინწიანად რომ მღერიან - ისე, და ცოტა უკეთესადაც. ვგრძნობ-
დი, სულის კაწკაწით ელოდა, როდის გამოველაპარაკებოდი.

- რა, ისევ გამოიჭირე არიფები?! - მონაგებიდან რაიმე საჩუ-
ქრის მიღების ვარაუდით შორიდან გამოელაქუცა ვიღაც.

სილამ ქათინაურს ყური აუქცია, ვითომდა, - დიდი ამბავიო,
და მოლაქუცეს უხმო:

- მოდი აქ, ბიჭო!

„ბიჭი" ბებერი გახლდათ, ცალი ნახევრით ნადამბლარი და
ტუჩმოქცეულიც.

- აჰა, შენი იყოს! - სილამ ერთი წყვილი ნახმარი წინდა საზ-
ეიმოდ გადასცა, უბის ჯიბიდან ფული ამოიღო, გადაითვალა და
დასძინა: - ოცდახუთი მანეთია, სოიკას წაუღე, თეითონ იცის!
კარგად შეინახე, ძაღლებს არ გადაეყარო, არ გიპოვნონ. მიდი.
სირბილით.

„ბიჭი", მართლაც, სირბილით გაეშურა - ცალი ფეხით ნორ-
მალურ ნაბიჯს სდგამდა, მეორით ნახევარ ნაბიჯს და ამიტომ -
ორჯერ.

სილამ გუდას თავი მოხსნა, ძალიან ხატოვნად მიამბო, როგ-
ორ გაატყავა ის „მღვრიე ჭაობის, ქაჯები". ისიც მაცნობა, რომ

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ფულად ორმოცდარვა მანეთი და ბარე ორი ათასი მანეთის ძონ-ძები მოიგო. ბანაკის ძონძების ფასი, თავაზიანი სიტყვა რომ გამოვიყენოთ, სრულიად პირობითია და გულისხმობს მხოლოდ იმას, თუ რა ფასშია ნათამაშევი და არა იმას, თუ როგორ გაიყიდება. ეს, მართლაც, ძონძია, მის მყიდველს სრულქმნილებას დაუფლებული ჩარჩიც კი ვერ იპოვნის, მაგრამ თამაშში გადის. სიფრიფანა, ასსაკერებლიანმა ნიფხავმა ადვილი შესაძლებელია, მთელი წლის შაქრის ულუფა მოიგოს და იქნება — ნაღდი ფულიც.

შიკრიკი დაბრუნდა, ხალათის ქვეშიდან ჭინჭში გახვეული ორას ორმოცდაათგრამიანი ბოთლუკი ამოაცურა, სილას ააწოდა. ამან ბოთლუკს საცობი გააგდებინა და მიიყუდა. არ ვიცი, სენი რამ სჭირდა, თუ ასე მოწყობილი კუჭ-ნაწლავი დაბადებითვე დაჰყვა - არა მარტო ყლაპაყლუპი მესმოდა, სითხის კუჭამდე თუ უფრო შორს ჩაჩხრიალებაც კი. ძირში ცოტაოდენი ჩასტოვა და ბოთლუკი ჩამომიშვირა:

- დალიე, ინტელიგენტ!

- არ მინდა. - მართლა არ მინდოდა.

- არ გინდა? - სილა დაეჭვდა და როცა აღარაფერი ვთქვი, საასწრაფოდ დაცალა, - არ გადაიფიქროსო.

დაცალა და ისევ როხროხს მოჰყვა. თამაშში გამარჯვებებზე ილაპარაკა. ცოტა რამ ავტობიოგრაფიული ხასიათისაც დააყოლა. ჩამოხტა და მაცნობა:

- წავალ, ძმაკაცებს მოვინახულებ. იქნება, ვინმე არიფი მოთამაშეც გამოვიჭირო.

ბანაკებში ხშირია, სადმე ორიოდ ყლუპ არაყს იშოვნიან, ბარაკ-ბარაკ დაძრწიან, შარს ეძებენ. ასეთი საქციელის სტიმულიც არსებობს: არაყზე ხელი მიგიწვდება - გამორჩეული პატიმარი ხარ! დაყიალობს ეს კაცი და, თუ კიდეც არავის შემოელახა, ზედამხედველს გადაეყრება, კარცერში ამოჰყოფს თავს და ეს ფათერაკიც ავტორიტეტის აქტივში იკავებს ადგილს.

- ნუ წახვალ, შარს გადაეყრები, - ვურჩიე, მაგრამ ვიცოდი, არ დამყვებოდა.

- მე-ე? - გაიკვირვა სილამ და გასწია.

ათიოდ ნაბიჯი გაიარა, შედგა, დაფიქრდა, მობრუნდა.

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ინტელიგენტ, ოცდასამი მანეთია, კარგად შეინახე... მალე მოვალ.

დაიგვიანა. მოვიკითხე. ყველაფერი ისე ამისრულოს ზეცა-უფალმა... რომელიღაც ოფიცერს აჰხირებია, – ცალი თვალით ჭუტალა ხარო! ოფიცერი იმ ცილისწამებას, იქნება, აიტანდა კიდეც, მაგრამ ცხვირში არაყის სუნი ეტაკა...

სამი დღე-ღამე!

მან თავისი გასეირნების ფინალი წინასწარ იცოდა, თორემ ფულს რატომ დამიტოვებდა?

სილა ვიზიტიორ-ცილისმწამებელი მეორე დილითვე დაბრუნდა. მისდა ბედად, იმ საღამოს ქურდები და ძუკნები ერთმანეთს სამკვდროდ დაერივნენ, თავისუფალი კარცერების საჭიროებამ იჩინა თავი, ნაქეიფარ მდგმურს აპარტამენტის გათავისუფლება სთხოვეს.

იმ დღის დანარჩენი ნაწილი სილამ დასვენებას, ფორმის აღდგენას შესწირა. დრო, ძირითადად, სამზარეულოს მიდამოებში გაატარა, დამპალი ბურღულის ფაფა მეტი მოუვიდა და ჩემს წინაშე ბოდიშები დასჭირდა, – რა ვქნა, ამ ჯალათების ხელში კუჭმა მიმტყუნაო.

საღამო ხანს ფული გადაითვალა, აღნიშნა, – სალაროს შევსებაა საჭიროო, და სათამაშოდ გაემართა. ამ კაცს თვისება ჰქონდა, რასაც აპირებდა, იმას ჯერ ხმამაღლა იტყოდა ხოლმე. ერთთავად როხროხებდა, მაგრამ სიმართლე უნდა ითქვას, მოსწრებულად უბნობდა, კარგი მთხრობელი იყო.

წავიდა. ერთი საათის მერე აფოფინებული მოვარდა, რაც ძონძები ჰქონდა, წაიღო. საღამოხანსღა დაბრუნდა და, ვაი იმ დაბრუნებას! კი არ მოდიოდა – მოცოცავდა. ზინზლიანი ტრუსების ამარა იყო, ყელზე ჰეპელა ჰალსტუხი ება. ვერ მოიხსნიდა, ასე ყოფნა ჰქონდა წაგებული, „თავნის ქვეშიდან ვერ გამოვიდოდა“.

ავიდა სილა თავის ნარზე და ცოტა ხნის შემდეგ სლუკუნი მომესმა. სტიროდა სილა! ჯერ ჩუმად სტიროდა, მერე ცრემლებს სიტყვიერი ტექსტი დააყოლა – მოთქმა-სინანულისა. ჩემთვის, უმთავრესად, ამ მოთქმებით გახდა ცნობილი სილას წარსული და მარტვილობა.

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჭაბუკობის ჟამს სილა ბედისწერას ნესტორ მახნოს რაზმებში მიუყვანია. თავის ამ ნაბიჯს იგი იმით ხსნიდა, რომ იმ დროსა და ვითარებაში კაცი უსათუოდ ვისიმე მხარეზე უნდა ყოფილიყო, სხვაფრივ არ შეიძლებოდა. პირადად მე დარწმუნებული ვარ, სილა მახნოსთან ანარქიზმით თავდავიწყებულ გატაცებას არ მიუყვანია, სიცოცხლის შენარჩუნებისა და ხელის მოთბობის წყურვილმა მიიყვანა. მახნოს საბრძოლო რიგებში მისი ფუნქცია შემდეგი ხასიათისა გახლდ`თ: უკრაინული ანარქიზმის მამამთავარს აღალში გამუდმებით დაუდიოდა შაქრით სავსე ვეება საზიდარი. თუ ლაშქარი ისეთ ადგილებში დაიბანაკებდა, სადაც ახლომახლო ებრაელების დასახლება იყო, სილა მიდიოდა, შაქარს სთავაზობდა. ვაჭრობისა და მოლაპარაკებების მერე მუშტრებს წამოიყვანდა, საქონელს აჩვენებდა და ისეთი შემთხვევაც ყოფილა, შაქარი ცხენებიან-საზიდრიანად მიუყიდია. გაუსწორდებოდნენ ებრაელები სილას, გაირეკავდნენ საზიდარს, რამდენიმე ვერსში სხვა მახნოელები დაუხვდებოდნენ, წაართმევდნენ, აღალში დააბრუნებდნენ. ეს პრაქტიკა კარგა ხანს ხორციელდებოდა, მაგრამ ბოლოს გაუქმდა, რადგან მისი არსი ტკბილით ვაჭრობის მოყვარულთათვის ცნობილი შეიქნა. სილამ ანარქიზმს უღალატა, იმ ადგილებს სამუდამოდ დაემშვიდობა და, მისივე გამოთქმით, თავი სარჩენად ბელორუსიის ქალაქ ოშმიანის ბაზარს ჩააბარა. აქ აუცილებლად უნდა მოვიგონოთ მოქალაქე შმულევიჩი, ვისაც სილა თავის მოთქმებში უშვერის სიტყვით იხსენიებდა ხოლმე. იგი ერთი იმათგანი ბრძანდებოდა, ვინც თავის დროზე სილასგან შაქარი შეისყიდა. ფენომენალური მეხსიერების პატრონი აღმოჩნდა, ათი წლის წინათ ერთხელ ნანახი კაცი იცნო! სილას საგანგებოდ ეკითხე, იმ ათი წლის მანძილზე შმულევიჩი შაქარს საკვებ პროდუქტად თუ იყენებდა-მეთქი?..

არ იცოდა.

ასეა თუ ისე, ათას ცხრაას ოცდაცხრა წელს სილამ ათი წელიწადი „დაირტყა“. ალღო ჰქონდა, ადვილად მიხვდა, მისი მონაცემების კაცისთვის ციხეში ქურდად ჯდომას არაფერი სჯობდა. მას შემდეგ სულ ამას ცდილობდა და ზოგ-ზოგებთან გაუდიოდა კიდეც.

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

სანამ სილას ბიოგრაფიის შემდგომ, ანუ გარმონის ნაწილს, გავიხსენებდე, უნდა აღვნიშნო, რომ მან პეპელა ჩემი წყალობით მოიხსნა. სლავა ნაგულოს[344] ნაჩუქარი ახალთახალი უკრაინული ხალათი მივეცი. დაჯდა, ითამაშა, მოიგო. ისევ დათვრა, წაყიალდა. ეშმაკმა ძუკნების ზონაში შეიტყუა. იქ, როგორც გამოირკვა, ცხოვრების ქურდული წესის სილასეულმა პროპაგანდამ აბორიგენთ გული მოჰგვარა და ისეთი ნაგვემი დაბრუნდა, სხვა მეგონა. მკვდრად ჩათვალეს, მოეშვნენ, თორემ ფეხებში მავთული არასგზით არ ასცდებოდა. რაც შეეხება გარმონს, ამაზე თვით სილას სიტყვებით თქმა აჯობებს:

- არა, მე რა კაცი ვარ! ჭკუის ნატამალი მქონოდა, რაღა მაინცადამაინც იმ გარმონს ავიხირებდი, ჰა? აგერ, ათასობით მაყუთიანი არიფი... საცა ძველი ინჟინერი და პროფესორი ნახეს, მოხვეტეს, ჩვენთან „ბელომორკანალზე" ნახირივით მორეკეს. სულ ყალმუხისა და წავისსაყელოიანი პალტოები ეცვათ, ოქროს ვარაყიანი სათვალეები ეკეთათ, თავი ხარკოვის ლომბარდში გეგონებოდა! ხელი დაადე - ეგრევე იხდის. მე კიდევ - გარმონი!.. განა ისეთი რა ჩავიდინე? ხალხი ვიცი, ბანკის წაღებაში ხუთი, ჰა, ჰა, რვა წელიწადი აიღეს. გარმონში - ათი?!

გარმონი კი არა, საბანაკო ბანდიტიზმი იყო. არის ასეთი იურიდიული ცნება, ათ წლად ფასობს. ვიღაც პატიმარს, როგორც შრომაში წარჩინებულს, ჯილდოდ გარმონი მისცეს. სილამ წართმევა დაუპირა. პატრონმა არ მისცა. სილამ დუნდულში დანა ატაკა, ათას ცხრაას ოცდაცამეტ წელს ატაკა. გათავისუფლების თარიღმა ათას ცხრაას ორმოცდასამ წლამდე გადაიჩოჩა!.. ცხოვრება მოულოდნელობებით აღსავსე რამ არის, სილამ ეს იცოდა, მაგრამ პოლიტიკური პატიმრის ამპლუაც თუ ელოდა, ამას ვერაფრით წარმოიდგენდა. როცა ბანაკები ოცდაჩვიდმეტი წლის კონტინგენტით გაიტენა, ხმა გავარდა, - ჰიტლერმა სტალინსა და ეჟოვს ისეთი საწამლავი შეაპარა, რომ ჭკუაზე ორივენი გადასცდნენ და საკუთარ მეგობრებს დაუწყეს ჟლეტაო. იმდროინდელი საერთო რეჟიმის ბანაკის ინტელექტი, აბა, სხვა დასკვნამდე როგორ მივიდოდა?!. ამის გამგონე სილამ სრულიად წინდაუხედავად განაცხადა, - ისეთი რამ უნდა შეეპარებინა, ორთავეს ფეხები გაეფშიკათო! დახვრეტა უნდოდათ. მერე უსწ-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ავლელობა გაითვალისწინეს, ათი აკმარეს. ორმოცდაშვიდში, პატიმრობის თვრამეტი წლისთავზე უწევდა გასვლა. ორმოცდახუთში ზედამხედველს კეტი დასცხო, კიდევ ათი დაიმატა...

მე სილას ორმოცდათორმეტში შევხვდი, ერთად თვენახევარი ვიყავით. დამიძახეს. გამოვემშვიდობე. ვიცოდი, საითაც მივყავდი. მივედი, სხვებს შევუერთდი. მოშორებით სამუშაოზე გასაყვან ხალხს აგროვებდნენ... ჩოჩქოლი, სიცილ-ხარხარი ატყდა - ზედამხედველები სილას მოათრევდნენ.

- ვერ გამიყვანთ, ჩემი მუშაობა რომელმა ნახეთ! ქურდი ვარ, ქურდად მოვკვდები! თქვენი ჩექმები თქვენმა ბოზმა ცოლებმა სწმინდონ!.. აგერ, კატაჭამიები - გაიყვანეთ და ამუშავეთ!.. - თავისი ბოხი, საოცრად მჭექარე ხმით ღრიალებდა სილა.

კარგად ვერ დავინახე, გაუშვეს თუ დასხლტომა მოახერხა - გაიქცა, შორიდან განაგრძო ზედამხედველების ლანძღვა-გინება. ეგ იყო, თუ კიდევ სადმე ვნახავდი, არ მეგონა, მაგრამ ერთი წლის თავზე იღბალმა ისევ შეგვახვედრა ტაიმირის ნახევარკუნძულზე, ქალაქ ნორილსკის მშენებლობაზე.

ერთი ბანაკიდან მეორეში გადამიყვანეს. სამუშაოდან დაბრუნებულთა ჩხრეკა აქაც ასე ხდებოდა: პატიმარი იხდიდა და დედიშობილა იდგა, სანამ ჯერ ტანსაცმელს გაუჩხრეკდნენ და მერე თავად მისთვის მოიცლიდნენ. იმიერპოლარეთის პირობებში ეს ოპერაცია, რა თქმა უნდა, დახურულ სადგომში ხორციელდებოდა, რადგან მეპყრობილეებს მუშახელი სჭირდებოდათ და არა ფილტვისანთებიანი ავადმყოფი. შეგვიყვანეს. მოვიდა რიგი, გავიძრე. ვდგავარ, ველოდები. ჩემი პატიმრობის მანძილზე ბანაკში პირველად ვნახე პროფესიონალი ფეხსაცმლის მწმენდავი! კუთხეში ჯორკოზე იჯდა, სავარძელში ოფიცერი ჰყავდა, გასაოცარი ოსტატობითა და სისწრაფით მუშაობდა. მაღალი კვალიფიკაციის ადამიანების მიმართ აშნასავით საგანგებო პატივისცემა მაქვს, სწორედ ესენი მიმაჩნია კაცობრიობის ელიტად... გამჩხრიკეს, ჩავიცვი. მწმენდავმა ახლა ქრომისჩექმებიანი კაცი დასვა - პრივილეგირებული პატიმარი, ჩეკისტების ლაქია. თავს წავადექი, წამით ამოიხედა და, აკი სილა შემრჩა

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ხელში. ანაზდეულად მომაგონდა, კარაბასში ზედამხედველები რომ მოათრევდნენ და ღრიალებდა, - თქვენი ჩექმები თქვენმა ბოზმა ცოლებმა სწმინდონო!

- სილა, გამარჯობა, ბიჭო, როგორა ხარ? - ღმერთია მოწამე, გამიხარდა მისი ნახვა.

სილამ ამომხედა, შეკრთა და ამოლერღა:

- ვაქსების ხარშვა ვიცი... საუკეთესო ვაქსების...

აი, როგორ ცხოვრობდა სილა. იჯდა, ფეხსაცმელებს აპრიალებდა, თითო მანეთობით ფულს აგროვებდა. როცა დანაზოგი სამოცდათხუთმეტ მანეთს მიაღწევდა, ოცდახუთ მანეთად მეგანრიგეს ქრთამავდა, რომ რომელიმე ბრიგადით ქალაქის მშენებლობაზე გაეშვა. იქ სილა ორმოცდაათ მანეთად მძღოლს ნახევარ ლიტრა სპირტს შემოატანინებდა, დალევდა, დაიწყებდა ყიალს და ზედამხედველები კარცერში მოათრევდნენ. სილა ორ დღე-ღამეზე მეტს არასოდეს მჯდარა, საჭირო კაცი იყო, ბანაკის უფროსს პრიალა ჩექმის კომპლექსი ჰქონდა. გამოაგდებდნენ სილას კარცერიდან და ყველაფერი თავიდან იწყებოდა.

ერთხელ ლეო ანჩაბაძის ბრიგადის ქოხში ვილაც შემოვიდა და მოგვახსენა, - საცოდავი სილა გაყინულა, ბეტონის ქარხანასთან მორები რომ ყრია, იქა წევსო. გულს შემომეყარა, გავიქეცი.

სილა მორებზე გულაღმა ეგდო, მკერდზე დაკრეფილ ხელებში სპირტის ცარიელი ბოთლი ჩაჰყინვოდა, ცხვირ-პირი და საკინძე ნარწყევით ჰქონდა მოთხვრილი.

სილას უწყვეტი პატიმრობის ოცდამეოთხე წელს მოუვიდა ეს ფათერაკი. რა უნდა მექნა? წამოვიკიდე და მედპუნქტში მივიტანე. იქ ერთობ მშვიდად და აუმღვრევლად აღნიშნეს, რომ სილამ უმჯობეს სამყაროში გადაბარგება არჩია. ხელები აღვაპყრე და ხმამაღლა, ყველას გასაგონად შევღაღადე ზეცას: ღმერთო, შეუნდე შაქართან, გარმონთან და სხვა ცდუნებებთან დაკავშირებული ცოდვები მონას შენსას, სახელად სილას, რადგან იგი შენივე ნება-სურვილით შექმნილი სახელმწიფოსი და საზოგადოების პროდუქტი გახლდა...

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ვორა იმ საზარელმა განწყობილებამ, აშნასთან ვიზიტისა და პოლინა ცეზარევასთან ურთიერთობის შედეგად რომ გამოჰყვა, დიდხანს აწვალა და ამას ისიც დაერთო, რომ ჰაერში რამდენიმეჯერ გამოჩნდა ვერტმფრენი, რომელიც, უეჭველი იყო, გორას მარშრუტს მოჰყვებოდა. გამოდიოდა, რომ ცეზარევა-მიტილენიჩის კონტაქტი უკვე შესდგა. გზიდან, უკეთ ვთქვათ, მდინარიდან გადახვევა იყო საჭირო, რამდენიმე დღით ჩაყუჩება და შემდეგ ღამღამობით სიარული. ამასთან ერთად, ცეზარევას ნაბოძები ტვირთიც ერთობ „დამძიმდა". ვერც შედარებით მხიარულმა მოგონებებმა უშველეს მის განწყობილებას. დანიშნულ ადგილზე მისასვლელი დღეების რაოდენობაც საჭიროზე მეტი ჰქონდა. გადაუხვია, ტყიანში შევიდა, ჩაიბუნაგა და დაღამებამდე იწვა. ვერტმფრენმა იტრიალა და წავიდა. გორამ მოიცადა, მდინარის ყინულზე გაითრია ციგა და გზას გაუდგა.

ვიცი, მიტილენიჩ, გულში რაც გიდევს. ისიც ვიცი, გადაირევი, ყინულზე რომ ველარ მნახავ, მაგრამ რა ვქნა, კაცი ვარ და ჩემი უნდა გავაკეთო... შენ შენი აკეთე. მივალ იქ, სადაც შენ უნდა დამელოდო, მივალ, მაგრამ კოვზს ნაცარში ჩაგიგდებ - აჰა, თუ არა... ერთხელ მყავხარ ნანახი, მაგრამ დამახსომდი და ვის გამსგავსებ, იცი?.. მიხაილ მიხაილოვიჩ კოლოსკოვს...[345] არა, მხოლოდ გარეგნობით. შენ ციხეში რომ მოხვდე, ისეთი არ იქნები, კოლოსკოვი რომ იყო... ციხე კოლოსკოვებით არის სავსე, ესე იგი, დაბეჩავებული ინტელიგენტებით. ესენი, ძირითადად, ნადიდკაცრები არიან... თავად ასე ამბობდა: *Я был главным инженером Главснаба Совета Министров СССР*-ო. ამ დაწესებულების უფროსად ლაზარ მოისეევიჩ კაგანოვიჩი ბრძანებულა. ეს მისი ერთ-ერთი თანამდებობა იყოო. უბედურ კოლოსკოვს ქალი „ნაყვარება", მოსკოვის რომელიღაც რაიკომის პირველი მდივნის ცოლი. ეს რომანი განხეთქილებით დამთავრებულა და კაი ხნის მერე ცოლს ქმრისთვის გაუმხელია, - ასეთი და ასეთი რომანი მქონდაო. კოლოსკოვმა „*За бытовое разложение*" ოცდახუთი მიიღო „ოსო"-დან და ძალიან ფუნდამენტურად იჯდა. იჯდა და ერთთავად რაღაცას სწერდა. ერთხელ შევეკითხე, სამუშაოდან თავისუფალ დროს რას სწერ-მეთქი? განმიმარტა, უნდა დავამტ-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

კიცო, რომ ჩემი გამომძიებელი ამერიკის დაზვერვის აგენტიაო!.. ნადიდკაცრები მაშინდელ ბანაკებში ადვილ სამუშაოებზე ცალკე ბრიგადად ჰყავდათ. კოლოსკოვი რაღაც ღილაკებს აჭერდა ხელს, ეგ იყო მისი შრომა, მაგრამ მაინც „ნასკებით ეძინა“ - ეს ნიშნავს, რომ არასოდეს იბანდა, შავი ფეხები ჰქონდა. ერთხელ მე და კოტე კახიძე,[348] ამ მსუბუქ სამუშაოებზე მყოფი პატიმრების ბრიგადირი, საღამოთი ვსხედვართ, ნარდს ვთამაშობთ. კოლოსკოვი დაგვადგა თავს და თითქმის ტირილით შესჩივლა ბრიგადირს, პურს არ მაძლევენო! კოტემ მიუგო, ჩემი განკარგულებაა, წადით, იბანავეთ და მიიღებთო! კოლოსკოვი უსიტყვოდ გატრიალდა, აბანოში გაიქცა. მე კოტეს ვუთხარი, ცოდოა-მეთქი! კოტემ კამათელი გააგორა, — ერთხელ მაინც ხომ უნდა ვაიძულო, რომ შხაპის ქვეშ დადგესო! იმ ბანაკში მიწისქვეშა წყლები უხვად იყო, აბანოში ბარე ოცდაათი შხაპიდან სცემდა თბილი წყალი... კოლოსკოვი რამდენიმე წუთში დაბრუნდა, სახეზე შავი ღვარი ნაკადულებად ჩამოსდიოდა, აქაოდა, ვიბანავეო! კოტემ შეხედა, - ამ კაცისგან ხეირი არ იქნებაო, და პურის გაცემა ბრძანა... თუ არ ვცდები, კოლოსკოვი რეაბილიტაციით გათავისუფლდა. ვიღაცამ მითხრა, - „ნასკებითა“ და სახეზე ჩამოღვარული შავი ნაკადულებით წავიდაო... გორავ, რა გააჭირე საქმე, რაში გჭირდება ეს მყრალი პირითა და კბილებით ნაღრღენი ნაგავი. საქმე, როგორც იტყვიან, მოგვარდა. ჩვენ ჩვენთვის მივდივართ, მიტილენიჩი თავისთვის დააფრენს ტექნიკის უახლესი საშუალებებით აღჭურვილ აპარატებს და ყველაფერი იქით მიჰყავს, რომ არტისტიზმში ჩამოერთვას ჩემი აყვანა ისე და იქ, სადაც აპირებს! ვნახოთ, ვნახოთ!.. ამიტომ, ჩემო კარგო, ვიაროთ. ყინული ჯერ კიდევ იმსისქეა - არ ჩაგვემტვრევა!.. რატომ ვიწამლავთ განწყობილებას, და, აქედან გამომდინარე, - ორგანიზმსაც... რა კარგი ყოფილა სიბნელეში ფიქრი... არა, თვალებდახუჭული ვერც ვიხსენებ რაიმეს და ვერც ამა თუ იმ თარიღსა და გვარ-სახელს ვაგნებ ხოლმე... სიბნელეა, მაგრამ თვალები ხომ ღია გვაქვს?

მიტილენიჩი ჩემოდანზე იჯდა, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით - საშუალო ზომის ფიბრის ჩემოდანზე, თავის კაბინეტში. ცხვრის ტყავის ქურქი ეცვა, სამგზავროდ იყო გამზადებული,

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ვძღოლის ზარს ელოდა. იჯდა, ობ-ენისეის აუზების ფიზიკურ რუკას, ღმერთმა იცის, მერამდენედ დასცქეროდა. რუკაზე პატიმარ იაგორ კარგარეთლის მიერ გავლილი გზა წითელი და ლურჯი ტეხილით იყო აღნიშნული. ტეხილის ბოლოში, შორეული აღმოსავლეთის რკინიგზის ზედ მაგისტრალზე, მსუყე ძახილის ნიშანი იჯდა. მიტილენიჩის ღრმა რწმენით, ეორა რკინიგზაზე სწორედ აქ უნდა გამოსულიყო, მაგრამ გამოცდილი მაძებარი მაინც ღელავდა, აყვანის გეგმის ზუსტი შესრულება აეჭვებდა.

კარი ვიღაცამ შემოაღო. მიტილენიჩი ზურგით იჯდა. თავი ოდნავ მიაბრუნა. ხმა არავის გაუღია, მხოლოდ ქალის ფეხსაცმლის ქუსლის ბაკაბუკი მოისმა.

- უნებართვოდ რატომ შემოდიხართ? - მიტილენიჩს არც ახლა მიუხედავს, ისევ რუკას ჩააცქერდა.

- მე ვარ, ნუ ჯაჯღანებ!.. - მარა იყო, მიტილენიჩის მეუღლე.

- ძვირფასო, მოხდა რამე?..

- მოხდა, წაიკითხე! - მარამ რუკაზე საქაღალდე დაუგდო, დოინჯი შემოიყარა, სახეზე ღიმილი მოეფინა, ეფექტს დაელოდა.

მიტილენიჩმა საქაღალდეს თვალი შეავლო.

- აღრიცხვის განყოფილებისაა. თქვენთან, მომარაგებაში, რანაირად მოხვდა?

- ნინამ მოიტანა, კოროტილოვამ.

- მე მეხება?

- გეხება!.. გადაშალე!

მიტილენიჩი დაჰყვა, გადაშალა...

პირველი ფურცლის სტრიქონები თვალით ჩაირბინა, გაფითრდა. ჯერ თავი ჩაქინდრა, მერე ყბას ხელი შეაშველა, სარკმელს იქით თოვლიან სივრცეებს მიაბჯინა მზერა. ასე კარგა ხანს იჯდა. საქაღალდეს მიუბრუნდა, კითხვას შეუდგა. სამი-ოთხი ფურცელი იყო...

წაიკითხა და მარას აჰხედა.

- როგორ მოგწონს, საყვარელო? - ნიშნისგებით ჰკითხა ცოლმა.

მიტილენიჩი კარგა ხანს სდუმდა.

- რისთვის მომიტანე?!

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

- არ უნდა მომეტანა? - მარამ იყუჩა და სთქვა: - ნეტარი ხარ, არა, გადარეული ხარ, ღმერთმანი.

მიტილენიჩმა თავი დააქიცინა და მიუგო:

- მე სხვა პროფესია არა მაქვს, სხვა არც არაფერი ვარ! გასაგებია?!

ცოლი სინანულით ჩამოსცქეროდა ქმარს. მერე გადაიკისკისა, თავზე ხელი გადაუსვა.

- კარგი, კარგი, შენი საქმისა შენ უფრო იცი. დამშვიდდი.

მიტილენიჩი ადგა, ცოლს მხარზე ხელი მოჰხვია, ერთხანს თვალებში ღიმილით უყურა. მერე ღაწვზე ემთხვია, საქაღალდეს მიუბრუნდა, ერთ-ერთი საბუთი ამოიღო, შეინახა და ცოლს უთხრა:

- ერთ ასლს წავიღებ. სთხოვე ნინას, ჩემს რადიოგრამას დაელოდოს, მანამდე საბუთს მსვლელობას ნუ მისცემს.

- ვეტყვი.

- რადიოგრამამდე ნუ გაამხელს, გესმის?!

ქალი წაეიდა.

მიტილენიჩი ბოლთას მისდგა, ფიქრობდა:

- არც მეტი, არც ნაკლები - „ქმედებაში დანაშაულის უქონლობის გამო!" როგორი დრო დადგა? ხალხი მოჰყავდათ, - შენ თუ კაი კაცი ხარ, უწინ რატომ იყავი დაპატიმრებულიო? ათი წელიწადი, ბიჭებო, მაგას! ეხლა?.. არა, რა არ გამოიგონეს „მხილებათა უკმარისობის გამოო" და რა ვიცი - ათასი რაღაც! საკვირველია, ღმერთმანი. ის გამოძიება რა გამოძიებაა, მხილებები ვერ გამოუძებნოს პატიმარს, თუნდ ქრისტე-ღმერთი იყოს... მერე - კარგი იყო ეგა?.. მარას მართლა გადარეული ვგონივარ? როგორღაც იღიმებოდა... საქაღალდე იმისთვის შემოიტანა, - იქნება წასვლაზე ხელი აიღოსო. არა, ძვირფასო. ამდენი ვიშრომე. ეხლა ხელი ავიღო?.. სადღაც ამოვიკითხე, არსებობს სიცოცხლის წიგნი, სიცოცხლის როლი... კიდევ რაღაც ეწერა?.. ჰო, მთავარი: სიცოცხლის საქმე!.. ეს ჩემი სიცოცხლის ოპერაციაა! „ქმედებაში დანაშაულის უქონლობის გამო"? მერე რა, მან ეს ხომ არ იცის?!. არა, არავის არაფერი გაეგება და არც ის იცის ვინმემ, რომ მე მას აუცილებლად უნდა ვაჯობო, თორემ რა გამოდის - მან შესძლო და მე ვერ შევძელი? ეგ პროფესიონ-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ალია და მე მოყვარული ვარ? ვინმეს თუ არ აჯობე, ღირსეულს - რაღა სიცოცხლეა!.. ეს რა ჰქნა... რაღა არ შესძლებია ადამიანს! მარტოკაცს...

ტელეფონმა დაიწკრიალა. მიტილენიჩმა, ჯერ იყო, ყური არ აიხოვა. მეორე დაწკარუნებაზე აპარატისკენ მიიხედა. მესამეზე დინჯად გახედა ტელეფონს. მეოთხე ზარზე, თითქოს უსიამოვნო მოვალეობას იხდიდა, ზანტად აიღო ყურმილი...

მიტილენიჩი თვითმფრინავშიც ფიქრობდა:

- რაღაც გადატრიალება მოხდა ჩემს დამოკიდებულებაში კარგარეთლის მიმართ. დღემდე თავს არ ვუტყდებოდი, მაგრამ გაორებული ვიყავი. ერთი მხრივ, ცნობიერად, შეგნებულად, ამოცანის სახით, მიზნად მქონდა, მეპოვნა და ამეყვანა. გადაწყვეტილება, თითქოს ურყევი, მკვიდრი იყო. მეორე მხრივ, ჭია მღრღნიდა, ასეთი დასასრული არ მსურდა... პირველ ხანებში იმის იმედიც ღვიოდა ჩემში, რომ კარგარეთელი ამდენ განსაცდელს ვერ გაუძლებდა, სადმე გზაში მოკვდებოდა და მისი აყვანა ამცდებოდა. გზის ნახევარი, თუ მეტი ჰქონდა გავლილი, როდესაც ვიგრძენი, რომ სასიკვდილოდ აღარ მემეტებოდა... არა, იმ შემთხვევის შემდეგ დავრწმუნდი, რომ გაივლიდა და გავიდოდა. ის რა ჰქნა?!. მონადირემ რომ გვაცნობა, - ჩემ ქოხში ვიღაც წევს, უგონო ავადმყოფია, ნამდვილად ის გამოქცეული პატიმარი იქნება, თქვენ რომ ეძებთო. ნეტავი, რა სჭირდა? ფილტვების ანთება ექნებოდა. მივედით და არც იქ იყო, არც სადმე ხელმისაწვდომზე. რამდენი ვდიეთ. ვერ დავეწიეთ და კვალიც მიჩქმალა! ჯერ ის წარმოვიდგინოთ, ავადმყოფმა რამდენი იწვალა, სანამ ქოხს მიაგნო. ახლა ის, რომ იმ მოკლე ხანში ვერ გამოკეთდებოდა, ნამდვილია. ესე იგი, ავადმყოფმა იარა, რა ჯანი ჰქონია, ზეზეულად მოიხადა. ამის შემდეგ მოდი და სასიკვდილოდ გაიმეტე. ასეთები რამდენი გადახდა, ვინ იცის. სასიკვდილოდ გამეტება კი არა, პატივისცემა, მოკრძალება გამიჩნდა მის მიმართ... უნდა გამოვტყდე, ეხლა ეგ კაცი, თითქოს, მიყვარს კიდეც... არა, სიყვარული რა შუაშია... მარამ რომ მითხრა, - ნეტავი ჩემზე ფიქრობდე მაგდენს, მაგ მამაძაღლ კარგარეთელზე რომ ფიქრობ!.. მაგრამ ის კი ცხადია, რომ მის განსაცდელს თითქოს მასთან ერთად განვიცდი. რით უნდა აიხსნას? ალბათ, იმით, რომ რა ხანია, მაგაზე

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ვფიქრობ, მაგის ნებისყოფისა და სიმტკიცის მოწმე, და შეიძლება, ითქვას, თანამონაწილეც ვარ... მაგ კაცის ჩემეულ შეფასებაში, ალბათ, ცოტათი ისიც ურევია, რომ მისი პიროვნება თავად გავზარდე, გავაფეტიშე, მომავალ გამარჯვებას მაღალი ფასი დავადე - პატივმოყვარეობის ეშმაკმა მძლია... ნეტავი, ეხლა როგორია? მაგ ასაკის კაცი ფუფუნებაშიც კი იცვლება, ბერდება. წარმოდგენილი მაქვს, რა დღე დაადგა!.. რომ მოიყვანეს, მახსოვს, როგორი იყო, თვალწინ მიდგას. ფორმულიარზე გრიფი ჰქონდა: „მარბენალი გაქცევის მიდრეკილებით". ქვედანაყოფში ჩავედი, მოვაყვანინე. უკვე ხნიერი კაცი იყო, მაგრამ ახალგაზრდული სიარული და მანერები ჰქონდა. ვიფიქრე, - ეს აღარ გაიქცევა-მეთქი. მაინც გაიქცა და მერე — საიდან!..

გორა კმაყოფილი იყო. ყველაფერი ისე დალაგდა, რომ მიუხედავად მხოლოდ ღამღამობით სიარულისა, ხაბიბულას საბოსტნე ქოხთან, უკეთ ვთქვათ, სოსნოვკელების საბაღე მეურნეობამდე, დანიშნულ დროზე მივიდა. გათენებას აღარაფერი აკლდა. დაიცადა, საზვერავი ადგილი შეარჩია, შეინიღბა, ჩაწვა და დაღამებამდე ათვალიერა იქაურობა.

მშვენიერი საფარია! კაი ბლომა ხალხი „ნაცხოვრება" სოსნოვკაში, ბატონო, ორმოცდაათი თუ მეტი ბოსტანია. ეხლა: აღმოსავლეთიდან თუ გავყურებთ, მარცხენა გზით მარჯვნივ მესამე სახლი. ძალიან კარგი. აბა, დურბინდით გავხედოთ... სწორედ ეგ სახლია! რამხელა ასოებით დაუწერია - ხაბიბულა. რა გინდა, - მივალ თუ არა, მაშინვე დავაწერო, - შემპირდა და შესრულა. ესე იგი, მელის. სიტყვის კაცი ხარ, ხაბიბულავ! რამდენი ხანია, მელის?.. თითქმის ხუთი თვეა... რამდენი ვიცით, გათავისუფლებულა, სისხლის მეგობრის გატანებული წერილიც კი არ მიუტანია... მიუტანიაო? გასვლისთანავე კი არ დაუხვევია? კი, გასაგებია, ჯოჯოხეთიდან გასულს წარსულთან ურთიერთობის ყველა ბილიკისა და ბოგირის ცნობიერებიდან სამუდამოდ ამოშლა სწყურია, მაგრამ... კაცს გააჩნია. ნამუსი, სინდისი თუ ვალდებულების გრძნობა სწორედ მაგას ჰქვია... ცხოვრება სამუღლავნებელია, კაცი - შიგ ჩაგდებული ფირი...

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ეგრეა! ესე იგი, ხაბიბულა გველოდება. ეგ არის, - ოთხი თვის მერე ყოველ კვირას ვივლიო. ათვლა საიდან დაიწყო? ეს ერთი. მეორე - ხომ შესაძლებელია, რომ ამაო სიარული მობეზრდა, ვთქვათ, მკვდარი ვგონივარ, და, რაღა საჭიროაო? როდემდის უნდა ველოდო? სანამ შემთხვევით შემოივლის და, იქნება, გაზაფხულამდეც! მესამე ისა, რომ, ვთქვათ და, გუშინ იყო - მთელი კვირა უნდა ველოდო? მთავარია, შეპირებისამებრ, საკვები ჰქონდეს დატოვებული... კაი, ბატონო. აგერ, შემოგვაღამდა კიდევაც. საეჭვო, თითქოს არაფერი ყოფილა. შუადღის აქეთ ერთი ბებერი მოფრატუნდა, ტომრით რაღაც წაიღო. ეგ იყო, სხვა აქ არავინ გაჭაჭანებულა. ახლა მთავარია, გასაღები თუ დევს დათქმულ ადგილზე?.. ვთქვათ, დევს. ეგ იმას არ ნიშნავს, რომ გელოდება, უსათუოდ ჯიბით უნდა ატაროს?.. მელოდება, ხაბიბულა სიტყვის კაცია!... შენმა თავდაჯერებულობამ შემიკლა. ერთთავად იმას გაიძახი, ჩემისთანა იღბლიანი მიწაზე არავინ დაიარებაო. ეგ თუ მართალია, მაშინ გასაღები რა სათქმელია, ხაბიბულა დღესვე უნდა გამოგეცხადოს, - აქა ვარ, როგორ ბრძანდებიო... არ გამიკვირდება. იღბლიანობა სიცოცხლის მანძილზე ან მის რომელიმე მონაკვეთზე განხორციელებულ დამთხვევათა ერთობლიობაა... რამდენჯერ გითხრეს, მაგას ხმამაღლა ნუ იტყვი, ღმერთი გიწყენსო... ეგ მტკნარი სისულელეა. იღბლიანობა ჩემი მონაპოვარი არ არის, ღმერთის ბოძებულია. ასე ხმამაღლა და ხშირად სწორედ ღმერთის გასაგონად ვამბობ. ვინმეს რაიმეს რომ მიართმევ, ვთქვათ, ქალს ყვავილებს, და ხმამაღლა იტყვის, გორამ მიძღვნაო, გამოტყდი, ხომ გესიამოვნება? ღმერთიც ეგრეა, ისიც კაცია და ამაგის დაფასება სიამოვნებს. იღბლიანი ვარ-მეთქი რომ ვამბობ, ამის უფლებაც მაქვს. მაშ, იმ საცოდავი არფენიკას მაგალითი იღბლის საქმე არ არის? მოიცა, როგორ იყო? როგორ და, ეგ პირველი გაქცევის დროს მოხდა. გამომცემლობაში დავიწყე მუშაობა, ტექრედაქტორად. სტამბის საქმეები მებარა. ღმერთია მოწამე, უკანონო კაპიკი არ გამიკარებია, გაქცეული კაცი ასეთ რამეებს უნდა ერიდოს. მანეთზე გამოგიჭერენ, გაქცევა გაგეხსნება და კარგად მეყოლე! იქ მოსაპარი არც რამე იყო, ყველა პატიოსნად მუშაობდა, მაგრამ როგორ ქვეყანაში ვცხოვრობდით? იმ სტამბის მუშას ხელფასი პურის ფულად არ

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჰყოფნიდა. რა ექნა? ერთი სიტყვით, არაფერს მისცემ, არც დროზე და ხეირიანად რასმე გაგიკეთებდნენ. ფული საიდან? საიდან და, ვინმეს უნდა გამოუწერო ვითომდა შესრულებულ სამუშაოში. ამას მკვდარი სული ჰქვია, მაგრამ მთლად მკვდარი არ არის, მის სახელზე გამოწერილი თანხის საგრძნობი ნაწილი ცოცხალივით მიაქვს და ვერც ვერაფერს შეჰკადრებ. დანარჩენი შენია, ესე იგი, სტამბის კაცებისაა, უნდა მიიტანო და მისცე. ეგრეა... მკვდარი სული გვყავდა, სომხის ქალი იყო, არფენიკა[347] ერქვა. ისიც სტამბაში მუშაობდა, სხვა სტამბაში. მოხუცი ქალი იყო, საცოდავი - კეთილი და თვინიერი.

მოვიდა რევიზია. ჰქექეს და ჰქექეს ორი კვირა. ვერაფერი იპოვნეს, თავის უფროსებს მოახსენეს, - დარღვევები არ არისო. მაშინ ამ რევიზიას სხვა რევიზია გამოუგზავნეს. ახლა ამათა ჰქექეს. არაფერი! ისეთები იყვნენ - ბოღმით გატენილები. წასვლას აპირებდნენ. წავიდოდნენ კიდეც, მაგრამ თავად მიხვდნენ, თუ ენა მიუტანა ვინმემ, დაიძრნენ სამნი და არფენიკას მიაშურეს!

არფენიკასთან ურთიერთობა მე მქონდა დავალებული, კანონის წინაშე პასუხი მხოლოდ მე უნდა მეგო. ერთი მიამიტი ქალი იყო არფენიკა, ადგებოდა და იტყოდა, ასე და ასეო. როგორი საქმეა? გუნება გამიფუჭდა, რაც მართალია - მართალია. ერთი გაფიქრება ისიც ვიფიქრე, აქაურობა გულზე მაინც არ მეხატება და, სანამ გვიან არ არის, ხომ არ მოვუსვა-მეთქი?

ვზივარ მოწყენილი, ტვინს ვაწვები.

რევიზორები დაბრუნდნენ — ცხვირჩამოშვებულები, მოღუშულები.

- რა გამოარკვიეთ? - უფროსმა რევიზორმა იკითხა.

- არაფერი. მომკვდარა, - მიუგო ერთ-ერთმა.

- ვინა, კაცო, ვინ მომკვდარა? - უნებლიეთ წამოვიყვირე.

- ვინ და - ის ქალი!

- არფენიკა?.. გუშინ იქა ვნახე...

- წუხელის მომკვდარა!

სინდისს ვფიცავ, გულს შემომეყარა, მაგრამ... რევიზორებს ცოცხალი რომ დახვედროდა?.. იღბალია, მაშ, რა?.. ისა, შარვალი რომ გამერღვა?.. ო, ეგ, მართლა, კლასიკაა... მთლად კლასიკა ვერ არის, არავისა სჯერა. ეს მეორე გაქცევაში მოხდა, ბე-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ლორუსიაში ქარხნის დირექტორად რომ ვმუშაობდი, მაშინ. მინსკში ერთი მშვენიერი გოგონა გავიცანი, მინისტრის პირადი მდივანი იყო. კარგა ხანს ვეკურკურე - ხან ყვავილები მივართვი, ხან ტკბილეული. მაშინ სხვა ზნეობა იყო, ურთიერთობები — რთული, დელიკატური. ადვილად ვერავის მოინადირებდი. ეხლა ბიჭი გოგოს ხელს ჩაავლებს, - წავიდეთ, წავიმამაძაღლოთო, და გოგო სულ კუნტრუშ-კუნტრუშით რომ მისდევს, სად იყო ასე... ჰო, როგორც არის. ბოლოს, გავბედე, კინოში დავპატიჟე. პაემნის ადგილი დავთქვით, სამსახურის შემდეგ, შვიდის ნახევარზე. მოლოდეჩნოში ვმუშაობდი, მინსკში საქმეებზე ჩამოვდიოდი ხოლმე. სასტუმროდან შვიდის ათ წუთზე გამოვედი. ზაფხულია, ცხელა. ომი ორიოდ წლის დამთავრებულია, ერთიანად დანგრეული მინსკი ხელახლა შენდება. პიკის საათია, ტრანსპორტი - გადაჭედილი. ტაქსის ჭაჭანება არსად არის. როგორც იქნა, ავტობუსში შევაღწიე. იატაკზე ნემსი ვერ დავარდება, ისეთი ჭედვაა. შუა გზაში ვარ, იმ ჭყლეტასა და გაიწ-გამოიწიეში, აკი შარვალი გამერღვა! მოვისინჯე - მტკაველზეა გარღვეული... უკან! ვაი შენს გორასა! ლაპარაკი არ უნდა, ნარღვევში თეთრი საცვალი ქათქათებს. შარვალ-პერანგის ამარა ვარ. რა ექნა?! მიმახრიალა ავტობუსმა პაემნის ადგილამდე. ჩამოვხტი, კედელს ავეკარი, ვფიქრობ: სასტუმროში დაბრუნებასა და შარვლის გამოცვლას ვერ მოვასწრებ. გოგონა, სადაცაა, მოვა. როგორ მოვიქცე? ხუმრობაში ჩავატარებდი, მაგრამ ადგილიდან დაძვრა არ გინდა? ისიც კი ვინატრე, - ნეტავი, სულაც არ მოვიდეს, დაღამებამდე ასე კედელს აკრული ვიდგები და მერეღა წავალ-მეთქი. ვდგევარ თავჩაქინდრული... ასფალტზე ფეხებს შუა რაღაც გდია. დავათვალიერე და გამეცინა, „მელას რაც ესიზმრებოდა, ის ელანდებოდა“, გაჭირვებული კაცი რას არ წარმოიდგენს-მეთქი! თვალი გავარიდე, საშველს ვეძებ. როცა ველარაფერს მივაგენი, გავიფიქრე, ქვეყანაზე ყველაფერი ხდება და ის რაღაც, იქნება, მართლა გდია-მეთქი? ძირს დავიხედე. ეგდო! ავიღე: ქაღალდზე შავი ძაფი ეხვია, შიგ ნემსი იყო გაყრილი!.. მშენებარე სახლთან ვიყავი ატუზული. შევედი, თვალს მივეფარე, ნარღვევი გავკერე. გამოვედი და ჩემი გოგონაც მოფრინდა!.. ბევრჯერ მაქვს მოყოლილი. არა მგონია, ვინმეს სჯეროდეს...

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ისე კი, ადამიანი მახვილი განცდებისთვის არის დაბადებული, სხვანაირად ვერ ხერხდება, დასაბამითვე ასეა. იღბლიანი ადამიანი იმას კი არ ეთქმის, ვინც დედის კალთაში გაატარებს სიცოცხლეს და განსაცდელი ერთიც არ შეხვდება - იღბლიანი ის არის, ვინც მძაფრ განსაცდელთან პირისპირ, თუ სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე ასჯერ დადგება და ასჯერვე გადარჩება... კარგი, გვეყოფა, ჩავიდეთ. ესე იგი, გასაღები უნდა იდოს კიბის მარჯვენა მხარეს, მეორე საფეხურის ქვეშ. გავაღებ, შევალ. ხაბიბულას მეორე გასაღები აქვს. მოვა - თავად გააღებს... მოხუცმა რომ გაიარა, აგერ, იმ ქოხში ცხოვრობს. ცეცხლი უნთია. წამსვლელი იყოს, ღუმელს არ გააჩახჩახებდა... უბინაოა, ავ რძალს არის გამორიდებული თუ... მიტილენიჩის კაცია?.. კარგი, რა! აღარ უნდა მოეშვა?!.

ბნელოდა. მხოლოდ თოვლის კუნძულებს ეფინა მრუმე ნათელი. გორა ფერდობს ჩამოჰყვა, დაივაკა, ერთი კიდევ მოათვალიერა გარემო და დაიძრა. სახლთან მივიდა. იდგა, ყოყმანობდა. დახრა, კიბის ქვეშ ხელის მოფათურება ვერ გაებედა, ამ ნაბიჯს მისი მოლოდინი უნდა გაემართლებინა ან... გაეცრუებინა. დახვდებოდა თუ არა დათქმულ ადგილზე გასაღები? ამას, არა მარტო თვით გორას დღევანდელი დღისა და მომავლის ხვედრი უნდა ეთქვა, არამედ უმძიმესი გამოცდის წინაშეც დაეყენებინა ჭირში ნაცადი მეგობრის სიტყვა, ღირსება და ვაჟკაცობა.

ხაბიბულა, შენი რომ მჯეროდა, ამანაც გადამატანინა, რაც გამოვიარე. გმადლობ, ძმაო! „არა განსცადო უფალი შენი"! გინდა, არა განგცადო? წავალ და სამარემდე გვწამდეს ერთმანეთისა, მაგრამ ეჭვის შეტანაც ხომ შეურაცხყოფაა, მაქვს განა ამის უფლება? თვალებში როგორღა შეგხედო, ხაბიბულავ!... რა გემართება!..

გორამ ჯავრიანად გადააფურთხა. დაიხარა, კიბის მეორე საფეხურის ქვეშ ხელი მოაფათურა, გასაღები დაბღუჯა, წელში გაიმართა, ღრმად ამოისუნთქა. სახეზე ღიმილი მოეფინა. ერთი კიდევ მოავლო თვალი იქაურობას, კარი გააღო, შე-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ვიდა, ციგა შეითრია, წინამო გაიარა, ოთახის კარი დახვდა ბუდეში გაჩრილი გასაღებით. გადაატრიალა, ზღურბლს გადასცდა, კარი შეიკეტა, ზურგჩანთა იატაკზე დააგდო, დოინჯი შემოიყარა. გარინდებული იდგა დიდხანს, თითქოს ფიქრობდა, ჰალუცინაციაა თუ მართლა ხაბიბულას ქოხში ვარო?.. თვალმა სიბნელე გასჭრა, ტახტი დაინახა, ჩამოჯდა. კარგა ხანი გავიდა. პირველი გაფიქრება იყო, რაიმე საჭმელი ეპოვნა. თავი შეიკავა, ჩვეულებისამებრ, სადგომის შესწავლა დააპირა, მაგრამ ძალ-ღონემ უმტყუნა, ტახტზე პირქვე დაემხო და ძილს მიეცა.

ლიანდაგი და მატარებლები ესიზმრებოდა - ტანხმელი გოგონები, მათი ფუშფუშა, მზითვის ბოხჩებივით სპორტულ შარვლებში გამოკრული დედები; გადაცმული, ქურდულად მზირალი ჩეკისტები და გაფაციცებული მიტილენიჩიც.

მაგისტრალი სულ ახლო იყო, ერთიმეორეზე მიმავალი შემადგენლობების გრიალი მკაფიოდ ისმოდა. გორას ძილს ამან ვერაფერი დააკლო, დილითღა გამოეღვიძა. ოთახს ორი მხრიდან თეთრი ტილოს ძონძებით საიმედოდ ჩახურული სარკმლები ჰქონდა, იქიდან შემოსულმა სითეთრემ გაახელინა თვალები. ვინმეს ბინასა თუ ოთახში მალულად ცხოვრება და მოლოდინი გორასთვის ჩვეული რამ იყო, ეს ყოველ გაქცევას მოსდევდა.

ამ კალენდარზე თვრამეტი მარტია, დღეს თექვსმეტია. ხომ არ ნიშნავს, რომ ხაბიბულა ზეგ მოვა?.. მშვენიერია, მაგრამ არც რაიმე ყბის მოსაქნევი სჩანს და, საერთოდ, აქაურობას საზოგადოებრივი კვების დაწესებულებისა არაფერი სცხია. საბოსტნე ქოხია თუ ალექსანდრე ჭავჭავაძის ქალების სალონი? ერთი გალა ხახვი მაინც არ უნდა ეკიდოს სადმე?.. არა, ძამიავ, იმ გალა ხახვის ჩამოსაკიდებლად სარდაფი ექნება ხაბიბულას. გამოდის, რომ ჩასასვლელი ღრიჭოა მოსაძებნი... არის!.. შეხედე შენ, სინათლე ჩართული დაუტოვებია. ჩართული, თორემ მრიცხველმა ზარალში არ ჩააგდოს... ჰქონია, კაცო, მრიცხველიცა ჰქონია!.. ხაბი, ხელმწიფის ტოლი კაცი ხარ... რა ვიცი, კიდევ რა დაგარქვა...

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მშვენივრად მოწყობილი სარდაფი გახლდათ. მიუხედავად იმისა, რომ მოსავლის აღების მერე დიდი ხანი იყო გასული, თაროებზე სურსათ-სანოვაგე საკმაოდ ელაგა და, რაც მთავარია, ელექტრო-ღუმელი, ერთი კი არა - სათადარიგოც მოეტანა ხაბიბულას. გორამ კარგა ხანი მოანდომა ფიქრს, რა კერძი გაეკეთებინა. მოამზადა, მიირთვა და ხაბიბულას უმცროსი ძმის სახელი, ჯანმრთელობა და დიდხანს სიცოცხლე შეავედრა ღმერთს, რადგან მოსავალი, სახელდობრ, ძმის მოყვანილი იყო. ამ საქმეებს მორჩა, ზევით ავიდა, წამოწვა და ჩასთვლიმა. რაღაც ფაჩუნი შემოესმა თუ მოეჩვენა. ოთახში ბნელოდა. ვერც სარკმლებიდან შემოიხედავდა ვინმე და შემოეხედა კიდეც, ვერაფერს დაინახავდა. გორა ადგა, იმ ფანჯარას მიეპარა, საიდანაც ფაჩუნი მოესმა და მიაყურა. ცხადად გაიგონა ფრთხილი, ქურდული ფეხის ხმა, რომელიც სახლს შორდებოდა.

რა უნდა იყოს ეს?.. ის მოხუცია, ჩვენ რომ ვნახეთ? მიტილენიჩის მოჩენილი მზვერავია?.. არ არის გამორიცხული... საინტერესოა, ღმერთმანი!.. ფარდები გვაქვს, ღუმელს არ ვანთებთ, ხმაური გამორიცხულია. კარში გასვლა - მხოლოდ გვიან ღამით... ეჰ, როგორც არის! მიტილენიჩს ჩემი აყვანა აქამდე ათასჯერ შეეძლო. არ ამიყვანა!.. რა აქვს ჩაფიქრებული?..

ხაბიბულა, როგორც კალენდარზე იყო, თვრამეტ მარტს დილა-ადრიან მოვიდა. კიბის ქვეშ დაიწყო ხელის ფათური, ვერაფერი იპოვნა. მუხლებზე დადგა, ხელებს თვალი მიაშველა. დარწმუნდა, გასაღები ადგილზე აღარ იდო, კიბეზე ჩამოჯდა და ცოტა ხნით ფიქრს გაჰყვა. მერე თან მოტანილი გასაღებით ფრთხილად, უხმაუროდ გააღო კარი, წინამო ფეხაკრეფით გაიარა, გასაღები არც ოთახის კარში დახვდა. გაინაბა, მიაყურა. სახელურს ჩამოსწია, ოდნავ გამოაღო, შეიხედა... ახდილი სარდაფიდან სინათლე სცემდა, შრიალი თუ შიშხინი მოისმოდა. ფეხთ გაიძრო, პირქვე დაწვა. ტანმორჩილი, ხმელი კაცი იყო, ხვლიკივით გაცურდა. ღრიჭოს რომ მიატანა, წამით გაინაბა. დაბრუნდა, გასაღები ბუდეში ჩასვა, გადაატრიალა, თავი ასწია, სარდ-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

აფში ჩაიხედა და გორას თვალებს შეეყარა. დოინჯშემოყრილი გორა გაფაციცებით იყურებოდა. გვერდით ელექტროქურაზე ტაფა იდგა, ზედ კარტოფილი შიშხინებდა...

- ცოცხალია, მოვიდა! - კარგა ხნის შემდეგღა ამოღერღა ხაბიბულამ, ისევ გაინაბა და სიცილი წასკდა.

მერე წამოდგა, ორივე კარი შეამოწმა, - ჩაუკეტავი ხომ არ დამრჩაო, და სარდაფში ჩავიდა.

ბარე ორი საათი ისაუბრეს, სალაპარაკო, ცხადია, ბევრი იყო.

- ხაბი, აქ ვიღაც დადის. იქნება შიშისა თუ სიფრთხილის ბრალია, მაგრამ ისე მგონია, რომ ამ შენს ხუხულას ზვერავს, - უთხრა გორამ.

- აქ ერთი ბებერი ცხოვრობს, ბინა არა აქვს, აღარც არავინ ჰყავს. მაგისი ნუ გეშინია. იცის, თუ რაიმე გააფუჭა, ხის ბუშლატი არ ასცდება. საერთოდ, ისე მგონია, მიტილენიჩი აქ ფეხს არ მოადგამს, სხვაგან გიპირებს ჩავლებას. სდომოდა, აქამდე ვერ აგიყვანდა?.. რაღაც გაუგებარი ამბავია. მე რომ მელაპარაკა, ისე შევატყე, მხოლოდ ერთი რამე აინტერესებდა - აქედან საით წახვიდოდი.

- როდის გელაპარაკა?

- სამი დღის წინ, ესე იგი, ბოლოს აქ რომ ვიყავი და სოსნოვკაში დავბრუნდი, საღამოხანს მესტუმრა. ჩემგან ვერაფერი წაიღო, მაგრამ ცხადია, ერთთავად გითვალთვალებს: ყველა ან თითქმის, ყველა შენი ნაბიჯი იცის... მე, გორავ, ვერაფერს გირჩევ. ხომ იცი ჩვენი წესი: ვნახოთ და, სწორედ ჩემმა რჩევამ არ ივარგა, მაშინ? ჭკუა ჩემზე მეტი გაქვს, თავად გადაწყვიტე. ჩემი საქმეა, ყავარჯნები მოგიტანო, ბილეთი ნაყიდი მაქვს. გინდა, ისარგებლე, გინდა... რა ვიცი. ყავარჯნები, ფული და ბილეთი, ჩათვალე, ორ დღეში გექნება...

- თუ მანამდე მიტილენიჩმა არ მომინახულა...

- არა მგონია. ისე კი - შენ თავად იცი!...

- ხაბი, უსათუოდ უნდა მიყიდო მეორე ბილეთიც, მაგრამ სხვა ვაგონში... რბილ ვაგონში. კიდევ ერთი ბილეთი, გესმის?.. იმავე მატარებლის სხვა საძილე ან რბილ ვაგონში... ერთი ეს მითხარი, საძილე ვაგონები გვერდიგვერდ არის ჩაბმული?.. არ დაკვირვებიხარ?..

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ხაბიბულამ მხრები აიჩეჩა და ჩაილაპარაკა:

– არ დავკვირვებივარ... ერთმანეთის გვერდითაც რომ იყოს, მერე რა?

– სულაც არაფერი!.. იშოვნი?

– ვიშოვნი, სადგურის უფროსი ჩემი ძმაკაცია!.. მოიცა – ეგ ზიზია ტანსაცმელი – საიდან?

– მერე გეტყვი!

გორა ღამით ქოხიდან ფრთხილად გამოვიდა, კარგა ხანს სიჩუმეს უსმინა. მერე იმავე ყამირგზას მიაშურა, რომლითაც ტაიგიდან მოვიდა. ასიოდე მეტრი არ ჰქონდა გავლილი, მენჯის სახსარი ასტკივდა. შვისვენა, კიდევ მიაყურა, იარა და გზაზე გასვლისთანავე მარჯვნივ, რკინიგზისკენ დაუხვია. დაღმართი იყო, სვლა გაუადვილდა. მერე გზა ჩამრეცით წავიდა და გორამ მთვარიანზე მოლაპლაპე რელსები დაინახა. ლიანდაგი სულ ახლო იყო, სწორედ იმ მანძილზე, როგორც მატარებლების ხრიალის მიხედვით ივარაუდებოდა. გორას სუნთქვა შეეკრა, რამდენიმე წამით ხუთივე გრძნობა და აზროვნების უნარი გამოეთიშა, მაგრამ გონს მალევე მოეგო, ჯერ ხმამაღლა, უწმაწურად შეიგინა, ლიანდაგს მუშტი მოუღერა, მერე სიცილი აუტყდა, მიწაზე დაჯდა და ცრემლები წამოსცვივდა.

იჯდა და ტიროდა. უკანასკნელად როდის იტირა, – ღმერთმა იცის, ალბათ, ყრმობაში, და მერე მხოლოდ ორჯერ თუ სამჯერ, უძვირფასესი ადამიანების გარდაცვალების გამოც. გული მოიოხა, დაწყნარდა, ჩამრეცს ჩახედა, იფიქრა, ამოსვლა გაჭირდება, სახსარს ზედმეტი ძალა დაადგებაო, და ქოხისკენ იბრუნა პირი.

ხაბიბულა მესამე ღამეს მოვიდა. ყავარჯნები, ამერიკული ქეისი და კონვერტი მოუტანა. ისაუბრეს, საჭიროების შემთხვევაში პაროლი დასთქვეს, ერთმანეთს გადაეხვივნენ. ხაბიბულამ გორას ძველი ყავარჯნები, ციგა და ყველაფერი, რასაც კი გორას აქ ყოფნის დადასტურება შეეძლო, თან წაიღო და თვალზე ცრემლმორეული წავიდა. გორამ ძმაკაცის ფეხის ხრაშახრუშს მიაყურა, კარები შეიკეტა და სარდაფში ჩავიდა. კონვერტში პასპორტი, ფული და ორი სხვადასხვა საძილე ვაგონის ბილეთი – სოსნოვკა-ჩელიაბინსკი იდო.

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მაჯაზეკეთილი ზევ ოცდახამ საათისა და ოც წუთზე გადის. ლიანდაგამდე ნახევარი საათი მანდა, რელსი!.. სულ ერთი საათი ანგარიშში... სწორია, ლიანდაგებით ხისნოვკის სადგურამდე შვიდი კილომეტრია, ორ საათ-ნახევარი მაინც დამჭირდება. საბა მოუსვლელ! სულ ოთხი საათი. გამოდის, რომ აქედან ოცდაერთ საათსა და ოც წუთზე უნდა გავიდე... რამდენად სწორია, ბილეთები სამილე ვაგონისა რომ აკადებინე?.. წინა ვაქცევებში ასეთი რამ აშარილებდა, ეგვნი ვაქცეულს ჯურღმულებში ეძებდნენ ან ისეთია შორის, ვინც ხალხში ყოფნას ერიდებოდა. ბელორუსიაში არც მოვრიდებიარ ვინმეს და ხალხმრავალ თავყრილობებზე სიტყვითაც გამოვსულვარ. ოთხი წელიწადი და სამ თვე-ნახევარი ვიარე. იმ პერიოდისთვის თითქმის სარეკორდო დრო იყო... ალ, სამილე ვაგონით მგზავრობა!.. პატარა ზურგჩანთა, კეთილი, ყავარჯნები და ასეთი ვაგონით მგზავრობისთვის შესაფერი ტანსაცმელი! საკმაოდ ექსტრავაგანტური ვარეგნობა მექნება - მდიდარი ოქრის მაძიებელი სამკურნალოდ მიემგზავრება! ლეგენდას არა უშავს, ვაგა... შენ იმ კითხვას, - ასეთი, ეხლა როგორიცა ხარ, ვის და რაში უნდა გამოადგეო, — ეს მერამდენედ უქცია ვერდი?!. ადარ მიკიბ-მოკიბო, სთქვი!.. რა უნდა ვთქვა? აკი შკვე ვთქვი, ყამი მიქცევისა დადგა-მეთქი, გორავ, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მიქცევა დღეს ან ხვალ უნდა მოხდეს...

რაც უფრო მეტად ცდილობდა გორა, ამ კითხვისთვის თავი წაეყრუებინა, მით უფრო დაჟინებით მოითხოვდა პასუხს თვით კითხვა. ფიქრობდა და სულ უფრო უმძიმდებოდა განწყობილება. ბუნებით მხიარულსა და ყველა ვითარებაში იმედიანს გული გაებზარა, ვინება ნასაძირად განწირული ხომალდივით გვერდულად გადაეხარა. ბოლოის ცემისას შენიშნა, მოღუნული, მხრებჩამოყრილი დაიარებოდა. ვაიმართა, როგორც სჩვეოდა, როგორც მთელი სიცოცხლის მანძილზე ეჭირა ტანი და მხარბეჭი, და ცოტა ხნის შემდეგ იგივეს გამეორება მოუხდა. ასე რამდენიმეჯერ მოხდა. ბოლოს ეს თავისებური თვითგვემა მობეზრდა და ხელი ჩაიქნია, ბოლთას მოეშვა, ვასვლამდე რაც დრო რჩებოდა, სამილე ვაგონის ორი ბილეთის კომბინაციაზე ფიქრს მოანდომა, მაგრამ პასუხგაუცემელი კითხვა არ ეშვებოდა, თავისას მოითხოვდა...

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ეს, ალბათ, დეპრესიაა, ეიფორიის უარყოფა. ამდენ ძალისხმევასა და გზნებას აუცილებლად უნდა მოჰყოლოდა ფიზიკური სისუსტე და სულის მოშვებულობა.

გორამ ქოხი მოათვალიერა, - ჩემი ყოფნის სხვა რამ კვალი ხომ არაფერი რჩებაო. ცარიელი ზურგჩანთა აიკიდა, კეისი და ყავარჯნები წაიღო, გარეთ გავიდა. კარი ჩაკეტა, გასაღები თავის ადგილას მიმალა. ღამეს მიაყურა, იმავე ბილიკს გაჰყვა, რომლითაც ადრე ყამირგზაზე გავიდა.

ადგილი შიშველი იყო, მთვარეს არემარეზე თავისი ვერცხლისფერი საფიქრალი ჰქონდა მოფენილი. გზაზე გავიდა. შეჩერდა, ისევ მიაყურა. შემადგენლობამ ჩაიგრიალა. გორა იდგა, სანამ ბორბლების შორეული ხრიალი მიწყდა. ყავარჯნები შეიმარჯვა, დაღმართი ლამის ხტუნაობით ჩაიარა, გზისპირა ნარგაობაში შევიდა, სულის მოსათქმელად ჩამოჯდა.

რაღა დარჩა?.. ეს მიწაყრილი რამსიმაღლეა, ოხერი!.. მაგას ავივლი და ლიანდაგზე ვარ! რაღაც მოუსვენრობას ვგრძნობ, ვღელავ... ინტუიცია ხომ არაფერს მკარნახობს?.. ეს ისე არ იყოს, ადრეც რომ დაგმართნია: თითქოს ყველაფერი აწონილ-დაწონილია, შედეგი განჭვრეტილია და მაინც გულს გაკლია, უხილავი ძალა გაბრკოლებს, ნუ აჩქარდები, არ ვარგაო. მერე, მიუხედავად ამისა, ჩანაფიქრის შესრულებას იწყებ და გადაულახავ დაბრკოლებებს აწყდები... შეიძლება, აგრეც იყოს... კარგი და, რას უნდა მკარნახობდეს ეგ ქვეცნობიერება, თუ რაც არის?.. უახლოეს რამდენიმე საათში ერთადერთი საშიშროება მიტილენიჩია... როგორც უნდა იყოს, ჩვენ უკვე მივიღეთ, რომ მიტილენიჩმა ყველაფერი იცის, მათ შორის, ადრე ნაყიდი ბილეთი - ვაგონი და ადგილიც...

მიტილენიჩი მიწაყრილს გადაღმა ისეთსავე გზისპირა ნარგაობაში იჯდა, როგორშიც გადმოღმა - გორა.

მიტილენიჩი ფიქრობდა:

- ხომ არაფერი მეშლება? მაშ ასე: გლებმა მაცნობა, ქოხიდან გამოვიდაო! მატარებელი, რომლითაც იგი სოსნოვკიდან ჩე-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ლიაბინსკში უნდა გაემგზავროს, ოცდასამ საათსა და ოც წუთზე გადის. მაგან ყავარჯნებით უნდა ექვსი-შვიდი კილომეტრი გაიაროს. ამას სულ ორ საათ-ნახევარი-სამი საათი დასჭირდება, დროზე მივა. ახლა: ხაბიბულინმა ის ბილეთი იყიდა, მე რომ დავტოვე - მეცხრე კუპე, ქვევითა ადგილი. ზემოთა ჩემთვის არის განზრახული, უბეში მიდევს. ხაბიბულამ თბილისიდან და ურენგოიდან ომსკში რა თანხაც მიიღო, ვიცით. ყავარჯნები და კეისიც იქვეა ნაყიდი. კარგარეთელს რაც აცვია, ისიც ვიცით. ლიანდაგზე ამოსასვლელად კარგარეთელი ყამირგზას უნდა გამოჰყვეს. ლიანდაგზე ამოვა ორი მიზეზით: ერთი ის, რომ გაქცევის დღიდან მისი ოცნება, საფიქრებელია, რელსზე დაჯდომაა, როგორც ამხელა ძალისხმევის დამასრულებელი აქტი, და მეორე - ახლა ეგ სუფთად არის ჩაცმული, ტალახ-ტალახ არ ივლის, ლიანდაგს უნდა გაჰყვეს... აგერ, ამოვიდა... აქეთ იყურება! დავიჯერო, გრძნობს, რომ აქა ეზივარ?.. დაჯდა, პირით ჩემსკენ დაჯდა, აქეთ იყურება!.. შემიძლია, დავიფიცო, შემიძლია, სანაძლეო დავდო, მაგან იცის, აქ რომ ვარ!..

გორამ მიტილენიჩის შესაძლო საფარს იქამდე იყურა, სანამ მატარებლის გრიალი გაიგონა. როცა ხმაური მოახლოვდა, ლიანდაგიდან გადავიდა, შემადგენლობა გაატარა და ახლა მიტილენიჩისკენ ზურგით დაჯდა.

მოვედით, გორავ, რელსზე დავჯექით!.. საწადელს ხომ მიაღწიე, ხომ თავისუფალი ხარ და რელსზე ზიხარ - რატომ არ გიხარია?.. მაგას ჩემ თავს ყოველი გაქცევის შემდეგ ვეკითხებოდი. არასოდეს მიხაროდა, მაგრამ ეხლა რა გუნებაზე ვარ, იცი? რომ გამოიღვიძებ და ისე ხარ გაქურდული - ნიფხავ-პერანგიც აღარსად არის! ამოვა მიტილენიჩი და გამქურდავს. მშვიდობით, ძალისხმევავ, ჭირთათმენავ, მიზანსწრაფვავ და თავისუფლებავ!.. ეგ არ მოხდება, თავად კარგად იცი, სადაც გიპირებს აყვანას, ხოლო იმას, რასაც შენ მიაღწიე, ველარავინ მოგპარავს. ეს აღსრულებაა! დაე, უკანასკნელი, მაგრამ შენს აღსრულებათაგან უძრელესი - ნუ ვიქნებით ზომაზე მეტად მოკრძალებული.

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

რაც შესძელი, ახლავე რომ გესროლონ და მოგკლან - არ დაიკარგება, ადამიანებისთვის დარჩება... კარგი, კარგი, მაღალფარდოვან გამოთქმებს დაანაბე თავი...

მიტილენიჩის ყურთსაცვამში ხრიალი მოისმა: გამოვედი, უკვე მანქანაში ვარ!.. პასუხად მიტილენიჩმა რაცია გამორთო და ფიქრებს მიჰყვა:

- თუ იმ მოსაზრებას დავენდობით, რომ კარგარეთელმა ჩემი აქ ყოფნა იცის, მაშინ, რას უზის, რას ელოდება? ჩემს ასვლას, აყვანას?! შერიგებულია აზრს, რომ ბანაკში უნდა დაბრუნდეს საგამოძიებო იზოლიატორზე გავლით? სხვა რა უნდა იყოს? ეგ თურმე ამბობს, სამი გაქცევა მქონდა, ეს მეოთხეაო. იმ გაქცევებს არ სთვლის, უშიშროების თანამშრომლებს ქუჩიდან რომ გაექცა და შემდგომში — მილიციას... მეექვსე გაქცევაა, თავს ნუ ისაწყლებ, ძვირფასო!.. არა, ამჯერად რისთვის გამოიქცა? სველი საქმეები მაგაზე არ ირიცხება; იძულებული არ იყო, ვთქვათ, იმის ანალოგიით, როცა უცხო სახელმწიფოს ჯაშუში გარბის, რაღაც საშინელი დანაშაულის შესაძლო გახსნის გამო. ყოველივე ეს გამორიცხულია. აქ რომ დავუხვდებოდი, ამის ბევრი მინიშნება ჰქონდა; რამ გამოაქცია, სულ ამაზე ვფიქრობ, პასუხი ეხლაც არა მაქვს. ისიც გასათვალისწინებელია, რომ მაგის აზრით, განაქცევს საქართველოში არ მიესვლება - დაიჭერენ მაგასაც და მათაც, ვინც შეინახავს. სხვაგან მაგის ხნისას და ახლა უკვე, ალბათ, საბოლოოდ შერყეული ჯანმრთელობის პატრონს, მომვლელი და სათანადო სახსრები სჭირდება... დავუშვათ, სადმე გადანახული აქვს დიდი ფული და ამ იმედით წამოვიდა. განა შეიძლება, არ ეფიქრა, რომ ეს მანძილი, განსაცდელი და უკიდურესი დაძაბულობა, ვისაც გნებავს, ნულზე დაიყვანდა? იდიოტია? არა, ძმობილო, გორა კარგარეთელზე მაგისთანებს ნუ ვიტყვით, შეურაცხყოფას ნუ მივაყენებთ, ღირსეული კაცია! მაგას თვით გაქცევისა და რელსზე დაჯდომის მეტი არც რაიმე აინტერესებდა. აგერ, რელსზე ზის და მელოდება, - მიტილენიჩ, მე ჩემი გავაკეთე, შენი ჯერია, მობრძანდი, წამიყვანეო! ვერ მოგართვეს, ჩვენ ერთმანეთი უნდა ვნახოთ. ვყოყმანობდი, ამეყვანე თუ არა, ასე ვთქვათ, ოჯახური პირობების გა-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მო, მაგრამ სამსახური სამსახურია! მაპატიე, იძულებული ვიყავი. იმასაც კი შევურიგდი, რომ სიბერეში მარტოხელობა მელოდა, მაგრამ ახლა ეს საკითხი მოხსნილია - წავალთ, შავი ზღვის სანაპიროზე ვიცხოვრებთ; სანამ ეს მოხდება, მარას მოტანილი საბუთის ასლს ოქროსფერ ჩარჩოში ჩავსვამ და ჩემს უამრავ სიგელთან ერთად ყველაზე თვალსაჩინო ადგილზე დავკიდებ!.. ეეე, ადგა და ისევ დაჯდა!.. მატარებელზე დაგაგვიანდება და მეც ლამის გავიყინო... ყურადღება, მიტილენიჩ!.. სულაც რომ მატარებელს გაატანინოს თავი, შესაძლებელია?.. რატომაც არა, შენ ხომ ამბობ, - მაგას გაქცევისა და მაგისტრალზე გამოსვლის მეტი არც რამე აინტერესებსო!.. ეგ რომ მოხდეს, დავიღუპე... რატომ, მე ხომ ვიპოვნე და დავხვდი!.. ცოდოა ასეთი კაცი!.. მეორე მხრივ, ჩემი გეგმა?!. არ შეიძლება... ადგა, ადგა, მიდის! იაროს, დავაცადოთ.

გორამ კეისი ზურგჩანთაში ჩადო, გადაიკიდა და გზას გაუდგა.

მიტილენიჩ, მანდ იყავი და არ დამენახვე - შესაძლებელია?.. რატომაც არა - კუპეში დახვედრას ფიქრობს, ნაღდია. მაგის აზრით, იქ დაგიჭერს, ომსკში მილიციას ჩაგაბარებს და მშვენივრად არის ყველაფერი... კაი, ბატონო, გამოჩნდება, ჩვენ ჩვენი ვაკეთოთ განუხრელად და ბოლომდე! ჰო, რაზე ვფიქრობდი?.. ეამი მიქცევისა დადგაო! იქნება, ნაადრევია ეგ ფიქრი? შევეცადოთ, როგორმე თავი დავაღწიოთ ამ განწყობილებას. გახსოვს, ბელორუსიიდან მოსკოვში ეტაპით რომ გამოგატარეს, ციხის აბანოში ფიცარზე ქიმიური ფანქრით ეწერა — „*Кто слабый — Тот загнётся, кто сильный — тот уйдёт!*“. ქართულად როგორ იქნება?.. სუსტი მოკვდება, ძლიერი წავა! ყველა მსგავს შემთხვევაში ამით ხელმძღვანელობდი... მაშინ ჯანი იყო, სულის საიმედო საბუდარი და გონებას მომავალ ცხოვრებაში დიდთა საქმეთა აღსრულების მკვიდრი რწმენა ჰქონდა... სწორი ხარ და კიდევ ერთი, იქნება სხვა დანარჩენზე მნიშვნელოვანი რამ გამოძრავებდა - წყურვილი იმისა, რომ საყოველთაო ძალადობისა და ტერორის გარემოში თავისუფალი ადამიანი ყოფილიყავი!.. ეეე, ეგ გრძნობა გაცნობიერებული არასოდეს მქონია.

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

არ გეთქვა - არც ახლა მეცოდინებოდა. უფრო შინაგანი სწრაფვა იყო, რეაქცია ვითარებაზე, რომელშიც ვცხოვრობდით. ჩვენს ოჯახსა და უახლოეს გარემოცვაში ტრიალებდა ასეთი სული, სინამდვილისადმი დამოკიდებულება. ნიღაბი არავის უტარებია, შეგუებას არავინ ცდილა! სწორედ ამ შინაგან სწრაფვას შეეწირა ჩემი დედ-მამა, ნათესაობა და, საფიქრებელია, ამან განმისაზღვრა მთელი ცხოვრებაც, თორემ რით უნდა აიხსნას მრავალი ჩემი საქციელი და ისიც, რომ ერთთავად დავრბოდი და ვცდილობდი, დავწეოდი?!. რას?.. ცხადია, რასაც - თავისუფლებას, საყოველთაო ძალადობისა და მონობის პირობებში!.. ეგ არის და ეგა?.. დიახ, ეს არის და ეს! ცოტაა?.. ამჟამად აღარც ძალადობაა, აღარც ტერორი. თავისუფლება, უწინდელი სტერეოტიპებივით, ზემოდან არის „ჩამოშვებული“, ნაჩუქარია... შენ ნაჩუქარი უფლებებით სარგებლობა ყოველთვის გეთაკილებოდა... მეორე მხრივ, არსებობს საქართველო, შენი სამშობლო, სადაც საკეთებელს რა გამოლევს, მაგრამ იქ, მიგესვლებოდეს კიდეც, ყურს აღარავინ გათხოვებს. დავუშვათ, რომ საიმედო თავშესაფრის პოვნა მოხერხდა. მერე - რა? არაფერი! სულიცა და ხორციც მალვის მღელვარებას, გაქცეული კაცის ყოველდღიურობის ჭაობს უნდა შეაჭამო... რა ჰქვია მაშინ ამ ბოლო გაქცევას?.. უმჯობეს შემთხვევაში, ტყვეობიდან თავის დაღწევა. უფრო - შეძენილი რეფლექსის ამოძრავება!.. სიბერეზე გამარჯვება!.. ჰო, როგორც არის...

მიტილენიჩი კიდევ კარგა ხანს იჯდა გზისპირა ფიჭვნარში. როცა, მისი ვარაუდით, გორა კილომეტრით მაინც იქნებოდა აქაურობას გაცილებული, მაშინღა ადგა და მანქანას მიაშურა. გზატკეცილი რამდენიმე ასეული მეტრის დაშორებით რკინიგზის პარალელურად მიემართებოდა. მანქანაში ჩაჯდა, კიდევ დაიცადა, გლებს საათი ჰკითხა და მძღოლს უბრძანა, - იარეო! იარა, შილოვსკაიაში მივიდნენ. აქ მცირე სადგური იყო, ომსკიდან ორიოდე კილომეტრის დაშორებით, რომელიღაც ქარხანას ემსახურებოდა და საგარეუბნო მატარებლებსაც.

- გლებ, წადი, სადგურის უფროსი ნახე. ახსოვს თუ არა, რომ მატარებელი უნდა გააჩეროს.

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

გლები მალე დაბრუნდა.

- ყველაფერი რიგზეა, შეჩერება ერთი წუთით, საძილე ვაგონის გამყოლი გაფრთხილებულია, კიბეზე გამოვა. შემადგენლობა გრაფიკშია, მაგრამ მთელი საათი მოგვიხდება ლოდინი... ჰო, მართლა: სადგურის მორიგეს თქვენთვის რაღაც აქვს სათქმელი.

მიტილენიჩი სადგურის შენობაში შევიდა. უფროსის კაბინეტის კარი შეაღო. მორიგე წამოდგა, სტუმარს დაბრძანება სთხოვა და ტელეფონის ყურმილი აიღო.

- სოსნოვკა ხარ?.. გამარჯობა, ვლადიმირ ივანიჩ... რა ვიცი, ვარ... სად არის ის კაცი?..

მორიგემ ყურმილი მიტილენიჩს გაუწოდა და უთხრა:

- ახლავე დაუძახებენ!.. - დაჯდა, დომინოს თამაში განაგრძო.

მიტილენიჩი კარგა ხანს იდგა ყურმილმიბჯენილი და ელოდა. მოლოდინი გაგრძელდა. რაც დრო გადიოდა, მაძებარს მღელვარება ემატებოდა. საქმე იქამდე მივიდა, რომ ყურმილის დადებაც კი განიზრახა, ხელი გაიშვირა, მაგრამ გადაიფიქრა და ისევ ყურზე მიიდო. როგორც იქნა, მოისმინა ვიღაცის ხმა... მიტილენიჩმა რამდენიმეჯერ გაამეორებინა, ცუდ სმენადობას ქვების ჩახანიც ემატებოდა.

- რომელი ვაგონი, რომელი ადგილი?.. - ჩასძახა უკიდურესად აღელვებულმა მიტილენიჩმა ყურმილს, პასუხი მოისმინა და ოთახიდან გავიდა.

გორამ საათნახევარზე მეტხანს იარა. შილოვსკაიას სადგურის გავლისას იგრძნო, რომ ვიღაც უთვალთვალებდა. ეს, იქნება, ვითარებიდან გამომდინარე გამძაფრებული ეჭვითაც აიხსნას, მაგრამ თვალთვალი ნამდვილად იყო. სადგურს გასცდა, კილომეტრი გაიარა, სოსნოვკამდე ამდენივე რჩებოდა. საათზე დაიხედა, ცოტა ხნით დასასვენებლად ჩამოჯდა, მერე ყავარჯნები შეიმარჯვა, გზას გაუდგა. მატარებლის გუგუნმა მოაწია. გორამ განზე გადასვლა განიზრახა. არც ფეხი დაემორჩილა, არც სხეული. მაშინ მეორე მხარეს მიაშურა - ლიანდაგს ვერც ამ მხრიდან გადასცდა.

რა ხდება?.. რელსები მაკავებენ, არ მიშვებენ... მოიცა, მოიცა, ეს ხომ უკვე იყო - სინამდვილე თუ ზმანება? ვერც მაშინ გავარკვიე,

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

იმდენად ჰგავდა ერთსაცა და მეორესაც. იქნება მატარებლის გუგუნიც ზმანებაა?.. ახლოვდება, მაგრამ გრიალი შორი მანძილიდან ისმის... რომელი ლიანდაგით მოდის - ჩემით თუ მეორით?.. რომლითაც გინდა იყოს - არ მივიხედავ! თუ ჩემი სიკვდილი ასე და, სახელდობრ, აქ უნდა აღსრულდეს, იყოს, როგორც განგებას სურს!...

გორამ კიდევ სცადა, რელსს გადასცდენოდა - ჯერ ერთს, მერე მოპირდაპირეს. არაფერი გამოუვიდა, ცალი ყავარჯენიც ვერ გადააცილა. მატარებლის გრიალი კი ახლოვდებოდა. მაშინ კეისიანი ზურგჩანთა მოიხსნა, შპალებზე დადო, ყავარჯნები წინ გაიშვირა და დაწვა, - მთელი სიცოცხლე რელსები და ლიანდაგები არა ვარ?.. რაღამ არ გადამიარა!.. - ხმით, ხმამაღლა სთქვა, თვალები დახუჭა, თავი ჩარგო. იმწამსვე ის გოლიათი ეზმანა, კოჯრის ციხე რომ იყო და ბავშვობაში გონებას უფორიაქებდა... ზებუნებრივად, უჩვეულო სიმძლავრით იელვა - ერთხელ, ორჯერ, სამჯერ ზედიზედ... გოლიათმა წამოიწია, ადგა, დაწყვეტილჯაჭვებიანი მკლავები და შეკრული მუშტები ნიშნისგებით შემართა და ეს ყურთამტეხი გრიალითა და ელვის ცეცხლით იყო თანხლებული... სატვირთო შემადგენლობა იყო, მძიმე. კარგა ხანს იბობოქრა, ჩაიგრიალა და წავიდა...

მატარებელი სოსნოვკას უახლოვდებოდა. მიტილენიჩი საძილე ვაგონის მეცხრე კუპეში იჯდა. გლები იმ კართან იყო, საიდანაც მგზავრები უნდა ამოსულიყვნენ.

მოკრიალებულ ცაზე პირსავსე მთვარე მიცურავდა. მიტილენიჩი მთვარეს გასცქეროდა და ფიქრობდა:

- მატარებელი ათ წუთს იდგება... რა ლამაზად მიცურავს მთვარე, მთვარე კი არა, აგერ, ის თეთრი ღრუბელი მიცურავს. ყოველთვის ასეა, ღრუბელი მიცურავს და იქმნება შთაბეჭდილება, რომ მიცურავს მთვარე... ეს რაღაა?.. ღრუბელს იქიდან დიდი ფრინველი გამოჩნდა... მთვარეს მისდევს!.. დაეწია, მთვარეზე დაჯდომას აპირებს!.. რა იქნა?.. მგონია, შეჯდა... მთვარეზე შემჯდარი ფრინველი ვის გაუგონია?!. კოსმონავტები ხომ შესხდნენ!.. რა ვიცი, აბა!..

მატარებელი სადგურზე გაჩერდა. მიტილენიჩი კუპედან გამოვიდა, ჩასასვლელისკენ გაემართა.

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

- გლებ, აქ იყავი! - უთხრა თანაშემწეს და მეზობელ ვაგონში გადავიდა. კიდევ ორი ვაგონი გაიარა. ბაქანზე ჩასასვლელი კარი ღია იყო, საფეხურზე გამცილებელი ქალი იდგა. მიტილენიჩი გაჩერდა, ბაქანს დაუწყო თვალთვალი.

გორა ჯიხურს უკან იდგა, საათს დასცქეროდა. როცა მატარებლის გასვლამდე სამი წუთიღა რჩებოდა, დაიძრა, გამცილებელს ბილეთი წარუდგინა და ვაგონში ავიდა.

ყავარჯნები იღლიაში ჰქონდა ამოდებული. ტალანი მოათვალიერა, თავის კუპეს დაუწყო ძებნა. იპოვნა, სახელურს ჩამოსწია. კარი ჩაკეტილი იყო. მიიხედ-მოიხედა, გამცილებელს ეძებდა.

მატარებელი დაიძრა, გორა ისევ კუპესთან იდგა.

ბაქანზე ჩასული თითო-ოროლა მგზავრი ამოვიდა, თავის ადგილებს მიაშურეს. ცოტა ხანს მერე ის გამცილებელიც გამოჩნდა, ვისაც ბილეთი წარუდგინა; გამცილებელმა კუპესთან ატუზული გორა დაინახა, გასაღები ამოიღო, კარი გაუღო.

გორამ ისევ ჩამოსწია სახელურს, კუპეში შევიდა.

კარი ღია დარჩა თუ მეორე მგზავრისთვის განზრახ დასტოვა ღიად.

ზემოთა ადგილი თავისუფალი იყო. ყავარჯნები მიაყუდა, ჩამოჯდა, ზურგჩანთა მოიხსნა, მიაგდო. თავი ჩაქინდრა. ერთხანს ასე იჯდა. მერე ფანჯრისკენ მიიხედა... მაგიდაზე ორი ჭიქა იდგა - წითელი ღვინით სავსე და ცარიელი. მაგიდისკენ მიჩოჩდა. ჭიქებს შორის კონვერტი იდო. კონვერტზე ლამაზი ხელით ეწერა:

„Господину Иагору Ираклиевичу Каргаретели“.

გორამ კონვერტი აიღო, კიდევ ერთხელ წაიკითხა თავისი გვარ-სახელ-მამის სახელი და ისტერიული სიცილი აუტყდა. კარგა ხანს იცინა, დამშვიდდა, კონვერტი გახსნა, ქაღალდი ამოიღო, წაიკითხა... ზეზე წამოიჭრა, ისევ დაჯდა, კვლავ წაიკითხა და თავი ჩაქინდრა.

იჯდა, ფიქრობდა.

კარებში მიტილენიჩი გამოჩნდა. გორამ შეხედა, ადგა, რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ მიტილენიჩმა გაიარა და წავიდა.

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ბოლოთქმა

„ტომი!..[348] რა ხშირად მახსენდება ის შეხვედრა... ვერაფრით დავადგინე, გულში ჩამივარდა კოხტა და მშვენიერი ტომი თუ თავად შეხვედრა იყო გამორჩეული? სანტიმენტალური ურთიერთობის კლასიკური ნიმუში, მელოდრამა... რა ვიცი, კი არ გბეზრდება და რაც გინდა, ის დაარქვი...

ჩვენ ერთმანეთი მადრიდის პლასა დე ტოროსის, ანუ კორიდის სუვენირების ბაზარზე გავიცანით. მეორე მსოფლიო ომამდე და ერთხანს ომის შემდეგაც თბილისში, საბურთალოზე „ჩიხომახოს“ ბაზარი რომ იყო, ისეთი რამ არის მადრიდშიც, იმ განსხვავებით, რომ ჩვენში ენით აუწერელი ძველმანით ვაჭრობდნენ, ხოლო პლასა დე ტოროსთან – ენით აუწერელი ნაირსახეობისა და რაოდენობის სუვენირებით. ქვაფენილზე რაღაც საფენებია გაშლილი, ზედ საქონელი აწყვია იმ ორმოცდასამი მილიონი ტურისტისთვის, ესპანეთი ყოველწლიურად რომ მასპინძლობს. სუვენირების ბაზარი პლასა დე ტოროსს ირგვლივ სარტყელივით აკრავს და მის შემოვლას რამდენიმე საათი უნდა, თუკი კაცს ყველაფრის დათვალიერება აქვს განზრახული.

კორიდა ორიოდ კვირით ადრე სევილიაში მქონდა ნანახი. პირველი ნახვა იყო. იმ ღამეს იმავე კორიდას სასტუმროში ტელევიზიით ვუყურე. დიდი ვერაფერი სიამოვნება მივიღე, მომეჩვენა, რომ საცოდავი ცხოველის წამებით სიკვდილის აქტი ხორციელდებოდა, სხვა არაფერი. მაგრამ მაინც რაღაც ცნობისწადილი ამეკვიატა. იმავე დღეებში, მგონია, მალაგაში, კვლავ ტელევიზიით სხვა კორიდა ვნახე და ვიგრძენი, რომ ჩემს ფანტაზიაში ერთგვარი სქემა დაისახა. მადრიდში ნაცნობი მყავდა, კორიდა-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ზე დამპატიჟა, - დონ ხოსე არტიგას[349] - ასე ერქვა კასტილიელ არისტოკრატს, რომელიც იმჟამად ესპანეთის წიგნის პალატას ხელმძღვანელობდა და ფილოსოფიის დოქტორის ხარისხით მადრიდის უნივერსიტეტის ერთ-ერთ კათედრას ედგა სათავეში. ის კორიდა ელიტარულ რესტორანში ვახშმით გაგრძელდა. თარჯიმნად კარგი რუსულის მცოდნე კაცი გვყავდა. იმდღევანდელმა სანახაობამ კორიდაზე ჩემეულ კონცეფციაში საკმაო სინათლე შეიტანა, ვახშმობისას სიტყვა სიტყვას მოჰყვა და მასპინძელს ჩემი შეხედულება გავუზიარე. ყურადღებით, ინტერესით მომისმინა. მერე თავის მეგობრებს ესაუბრა და მითხრა:

- ჩვენ ესპანელები ვართ, მოგეხსენებათ, კორიდა ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების ნაწილია. რა არ დაწერილა, მაგრამ ჩვენ, ამ სუფრასთან მსხდომთ, თქვენეული განმარტებისმაგვარი არსად შეგვხვედრია.

გამეცინა. ქათინაურისთვის მადლობა მოვახსენე.

- დროს თუ გამონახავთ, დასწერეთ, რაც გველაპარაკეთ. - მოკრძალებით შემომთავაზა ერთ-ერთმა, - ესპანეთში რამდენიმე ბეჭდვითი ორგანო უყრის თავს და აქვეყნებს უცხოელთა აზრს კორიდის თაობაზე. დასწერეთ, გამოვაქვეყნებთ.

- დიდად გმადლობთ, მაგრამ ჩემი შეხედულება შესამოწმებელია, დასაზუსტებელია. მიიღეთ ჩემგან ეს ნაამბობი ნედლეულის სახით, დასწერეთ თქვენ.

ჩემმა განმარტებამ კორიდის საქმეებში რომ ესოდენ განსწავლული კაცების ყურადღება მიიპყრო და მსჯელობაც კი გამოიწვია, უფრო მეტად შემაგულიანა. დილაადრიან ესტრამადურაში გავემგზავრე, იქ სამი დღე დავყავი. ღამით დავბრუნდი და დილით თავში უკვე კორიდა მიტრიალებდა.

საქმე არაფერი მქონდა, უკეთ ვთქვათ, გულმა სხვაგან არსაით გამიწია, პლასაზე ბარე ორი საათით ადრე მივედი. სანამ სალაროები გაიღებოდა, სუვენირების ბაზარზე ვიფრატუნე. ბოლოს და ბოლოს, სალაროების გაღების დროც დადგა და ბილეთის შესაძენად გავწიე.

ფული შემოლევაზე იყო, უიაფესი ბილეთების სალაროსთან მივედი - რვაასი პესეტა! მცირე რიგი დამხვდა. ჩემ წინ ახალგაზრდა ქალი იდგა. ჯინსი ეცვა, უდავოდ ტურისტი იყო. ესპანელე-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ბი, მით უმეტეს, ესპანელი ქალები ამ შარვალს იშვიათად ხმარ-ობენ. თავისი სტილი აქვთ და ერთობ საინტერესოც. ამერიკელმა ქალებმა ჯინსის ტარება იმიტომ დაიწყეს, რომ როგორც ფილო-სოფოსი ბატონი ზურაბ კაკაბაძე[350] ბრძანებდა, ეს სამოსელი სე-ქსუალურ კეანძებს უსვამს ხაზს, ამკაფიოებს და ქალს მიმზიდვ-ელობას ამ გზით მატებს. მოდა, მართალია, ელვის სისწრაფით იცვლება, მაგრამ ქართველი ქალების ჩაცმა-დახურვის სტილის ძირითად მახასიათებლად მაინც ის რჩება, რომ ისინი მამაკაცის ყურადღების მიპყრობას ძვირფასი, უხვი და საკმაო გემოვნებით შეკერილი ტანსაცმლით ცდილობენ. ბევრი ძონძი! ასეთი ტანსა-ცმელი სხეულის შეგრძნებას გაკარგვინებს. ძალიან ლამაზი ეს-პანელი ქალი იშვიათად მინახავს – რა თქმა უნდა, ქართველებში დამკვიდრებულ სილამაზის ნორმებს ვგულისხმობ, თორემ ესპა-ნური ნორმებით, იქნება ყოველი მათგანი მზეთუნახავია. ასეა თუ ისე, ესპანელ ქალებს საკუთარი, ერთადერთი და განუმეორებე-ლი სტილი აქვთ, რაც იმით გამოიხატება, რომ მეტისმეტ სიშიშ-ვლეს არ ეტანებიან და, ამასთან ერთად, რაღაცნაირად ახერხებ-ენ, რომ სხეულის არა მარტო ნაკვთები, არამედ სინატიფე, სიმკ-ვრივე და თრთოლაც კი ტანსაცმლის ქვეშიდან, თითქმის ხელშ-ესახებად იგრძნობა. ეს, შესაძლოა, მათი პლასტიკურობის ბრა-ლია, ისინი გამორჩეულად გრაციოზულები არიან.

ჩემ წინ რომ ქალი იდგა, შემოტკეცილი ჯინსი და კარგა გა-დაღეღილი მაისური ეცვა. ყოველივე ეს მშვენივრად ასრულებ-და ამერიკული რაციონალიზმის მიერ დასახულ პირდაპირ მიზ-ანს. რამდენიმეჯერ ვცადე, მისი სახე დამენახა. არაფერი გამო-მივიდა, რადგან ორ, ვიწროდ დასმულ მოაჯირს შორის ვიდექ-ით, ქალს კი შემოტრიალება ან განზე გახედვა ფიქრადაც არ მოსვლია. თვალიერებამ მხოლოდ ის შედეგი მოიტანა, რომ თმ-აში ჭაღარა აღმოვუჩინე და კარგა ბლომადაც – ჩემი ვარაუდით, ორმოც წელს მიტანებული უნდა ყოფილიყო. ბილეთი შეიძინა, წასასვლელად შემობრუნდა. თეთრი ქალი იყო, ცისფერი, დიდ-რონი, ნუშის გულივით თვალები და ქუთუთოების გადასწვრივ – მცირეოდენი ნაოჭები ჰქონდა, სხივებს რომ ეტყვიან. შეეღი-მე. შემომღიმა, წავიდა. მოლარეს ფული გადავაწოდე და გავი-ფიქრე, – ამ ქალს ტრიბუნაზე ვნახავ-მეთქი.

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

უფრო ადრე ვნახე.

ბილეთი ჯიბეში დავიგულე, ბაზრის შემოვლა-დათვალიერება განვაგრძე. იმდენი ვიყიალე, რომ ფეხები დამაწყდა. აქა-იქ ხეივნის ჩრდილში გრძელი მერხები იყო. უახლოესისკენ გავწიე, ჩამოვჯექი და მერეღა შევნიშნე, რომ გვერდით ის ჯინსიანი ქალი მეჯდა. წიგნს კითხულობდა. თვალი გადავაპარე. სქელი წიგნი იყო, ინგლისური, უხვად დასურათებული. ერთ-ერთი ფოტოდან, არც მეტი - არც ნაკლები, პენსნეიანი ურჩხული იყურებოდა! ჯერ ელდა მეცა. მერე სიცილი ამიტყდა,- ლავრენტი პავლოვიჩ ბერია აქ როგორღა გამომეცხადა-მეთქი?.. ქალმა გაკვირვებით შემომხედა. წიგნი ვთხოვე, მომცა. გარეკანზე უშველებელი ასოებით **КГБ** და კიდევ რაღაცები ეწერა. გადავშალე. თუკი რუსეთის იმპერიაში სადმე ცოტად თუ ბევრად დიდი ჩეკისტი გაჭაჭანებულა, ყველას ფოტო იყო. ავუხსენი, რის გამო გამეცინა, და აქვე უნდა ვთქვა, თუ რა საშუალებით ხორციელდებოდა შემდგომში ჩვენი სიტყვიერი ურთიერთობა. მე ვიცი სულ ცოტა გერმანული, ცოტა ინგლისური, კაი რუსული და ქართული ხომ ჩემი დედაენაა. ამასთან, ხელთ მქონდა ესპანურ-რუსული სასაუბრო, რითაც საკმაოდ მარჯვედ ვსარგებლობდი. ქალმა იცოდა კაი გერმანული, ცოტა რუსული და ინგლისური ხომ - ღმერთმა მოგცეს. ჩვენი საუბრის მოსმენას, ვფიცავ, არაფერი სჯობდა. ფრიად გულღია, კონტაქტური არსება აღმოჩნდა. დაუყოვნებლივ მაცნობა, რომ მამაკაცის სახელი - ტომი ჰქვია. იქვე შევთანხმდით, რომ მე ტოტოს დავარქმევდი, ხოლო იგი - გორს. მითხრა, რომ უნივერსიტეტის ისტორიის მასწავლებელია, მშობლებიც პროფესორები ჰყავს, გაუთხოვარია, ორმოცს მიტანებული და ქმარი არც არასდროს ეყოლება. ესპანეთში მოგზაურობდა, როგორც მარშრუტებით შეუზღუდავი ტურისტი. სახეზე ერთთავად ღიმილი უთამაშებდა. ნახევარი საათიც არ იყო გასული, რომ უახლოესი მეგობრები ვიყავით, ჩვენი ხუთენოვანი საუბრის გამო ორივე სიცილით ვიხოცებოდით და არც ერთი არ მოვრიდებივართ იმ ირონიულობას, ჩვენს ურთიერთობაში რატომღაც თავიდანვე რომ დაიბუდა. განწყობილებამ მოიტანა, ამერიკელი ქალის ჩაცმულობის ჩემეული ვერსია გავუზიარე - ცხადია, სექსუალური კვანძების მოხსენიებით.

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

არც ესპანელ და ქართველ ქალებს დავაკელი ყურადღება და რეაქციას დაველოდე. ტოტომ თაეის განუყრელ ღიმილს ოდნავ სერიოზული ინტონაცია ეიანიჭა და მითხრა:

- ესპანეთში მოგზაურობისთვის ფლირტი და გატაცებები არ გამითვალისწინებია. არა მგონია, რაიმე შეიცვალოს... მისტერ გორ, კორიდაზე ნამყოფი ხართ?

- ნამყოფიო?.. ამ საქმის თეორეტიკოსი, მკვლევარი და ექსპერტი გახლავართ! საკუთარი მოძღვრებაც კი მაქვს, რომელსაც, იმედია, ახლო მომავალში ხარებთან მებრძოლი ყველა ერი გაიზიარებს. ტოტო, თქვენთვის ეს პირველი კორიდაა?

- დიახ.

- რას ბრძანებთ?! ჩემი შეხედულებების პროპაგანდისთვის საუკეთესო ობიექტი ბრძანებულხართ. ასეთ შემთხვევას ხელიდან ვერ გავუშვებ. დამიგდეთ ყური და ნუ გამომეარშიყებით, თორემ ისედაც ჯერ კიდევ დასალაგებელი აზრები მთლად ამერ-დამერევა.

- გისმენთ.

- ისტორიკოსი ხართ და უთუოდ იცით, ესპანეთში რეკონკისტა - დამპყრობლის მიერ მიტაცებული სამფლობელოების ბრძოლებით დაბრუნება - მერვე საუკუნეში დაიწყო. კორიდამ აქ თავისი პირველყოფილი სახით ბალკანეთიდან მეთერთმეტე საუკუნეში შემოაღწია, ხოლო ბალკანეთში — უხსოვარ დროს - კოლხეთიდან. შესაძლოა, ესპანეთში ეს სანახაობა, სულაც, ბასკებმა შემოიტანეს.

- ეგ ჰიპოთეზა ჩემთვის ცნობილია.

- მოხარული ვარ! ესპანეთის ხალხები და ტომები დამპყრობლებს შვიდასი წლის მანძილზე ებრძოდნენ...

- რამდენი წლისა ხარ, გორ? - რუსულად მკითხა და, ვფიქრობ, ამ ნაბიჯით ურთიერთობის სრული გამარტივებისკენ მომიწოდა.

- იეშუა ჯვართ რომ აცვეს, ოცდაცამეტი წლისა ვიყავ. თითქმის მარადისობა ვარ.

- მეგობრობდით?

- კი, ბავშვობიდანვე. მერე იუნკერთა სასწავლებელში განხეთქილებამ დაგვაშორა. ძალიან ჯიუტი კაცი იყო, ერთმანეთს ვერ შევეგუეთ. ვეუბნებოდი, - არ გინდა, მოეშვი, ეგ საქმე შარს გადაგკიდებს-მეთქი. არ დაიშალა და, აჰა!

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

- განხეთქილების მიზეზი რა იყო?

- ახარებული ჰქონდა: - „რომელმან გცეს შენ ყურიმალსა შენსა მარჯუენესსა, მიუბყარ მას ერთკერძოიცაო". მე კი დარწმუნებული ვიყავი, რომ „არა მოვედ მიფენად მშვიდობისა, არაჴედ მახვილისა".

ციტირება ქართულად მომიხდა, თარგმნით წამებას კარგა ხანი მოვანდომეთ. უკეთ ვთქვათ, სიცილ-ხარხარმა წაიღო დრო. სახარებისა რიგიანად გაეგე ოდა, ამან გვიხსნა.

- ცუდუბრალოდ აშლილხართ, - შენიშნა ტოტომ, როცა დაცწყნარდით.

- განვაგრძობ ლექციას! გამუდმებით მეომარ ხალხს მტერთან ბრძოლისა და გამარჯვების ამსახველი რაიმე თამაშის შექმნა რომ მოსწყურებოდა, განა საკვირველია? ერების უმრავლესობას აქვს ამ ფუნქციის მატარებელი გასართობები, სანახაობები თუ მისტერიები. ცნობილია, კორიდას, თავდაპირველად, სხვა ხასიათი ჰქონდა. დროთა ვითარებაში ესპანელებმა იგი თავის მოთხოვნილებებს მოარგეს და საუკუნეების მანძილზე ბრძოლისა და გამარჯვების, დამპყრობლის განადგურების პროპაგანდისთვის იყენებდნენ. მართალია, ჩვენს სინამდვილეში კორიდას პირვანდელი დანიშნულება აღარ აქვს, მაგრამ ახლა იგი ხალხის ისტორიულ მეხსიერებაზე, ქვეცნობიერებაში გადაბარგებულ გრძნობებზე მოქმედებს, თორემ სხვაგვარად როგორ უნდა აიხსნას ესპანურენოვანი და სხვა ხალხების კორიდით დაინტერესებაში განსხვავება?

- გორ, რამდენი შვილი გყავს? - შემაწყვეტინა ტოტომ და ღიმილის საშუალებით მაცნობა, რომ გასაგებს ვლეჭავდი.

ამ ქალს განწყობილების ყველა ნიუანსისთვის ცალკე, განსხვავებული ღიმილი ჰქონდა.

- კიდევ ცოტა ხანს ერთად თუ დავყოფთ, ენა აღარ დამჭირდება, შენი ღიმილებით მივხვდები ყველაფერს, შვილები არა მყავს. წავიდეთ, დავსხდეთ.

ამფითეატრის კიბეზე ავდიოდით. ტოტომ მითხრა:

- კორიდაზე შენი მოძღვრებისა აღარაფერი სთქვა. ყველაფერს მივხვდი, თავად მინდა, გავერკვე. თუ გსურს, მეარშიყე.

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ერთ-ერთი ბოლო რიგთაგანი იყო, ეგრეთ წოდებული, „სოლ“ - მზის გული. შემოსასვლელში ნაქირავები ბალიშები დავიდეთ, დავსხედით და ვკითხე:

- მე ამ მოსახრაკავზე წამოსასკუპებელი ბილეთი იმიტომ ავიღე, რომ ფული შემომელია. შენც ამ დღეში ხარ?

- არა, ფული საკმარისი მაქვს. თუ დამჭირდა, კიდევ გამომიგზავნიან. მითხრეს, კორიდა საზარელი საყურებელიაო. ვიფიქრე, შესაძლოა, ნერვებმა ვერ გამიძლოს და გავიქცე-მეთქი. აქედან გაქცეულს რვაასი პესეტა მეკარგება; სომბრადან - ოთხი ათასი. რომელი სჯობს?

- ასპროცენტიანი ამერიკელი ხარ! როგორ გგონია, რამდენი გრადუსი იქნება?

- ცნობარებიდან ვიცი, აქ ივლისში, შუადღეზე, იმდენი გრადუსია ხოლმე, ესპანეთში რამდენი მილიონი მცხოვრებიც არის - პლუს ორმოცდაერთი-ორმოცდაორი ჩრდილში... რა საზარლად ცხელა, არა? ჩრდილის ბილეთი მეყიდა, შენ ველარ შეგხვდებოდი. საინტერესოებს ლაპარაკობ. აქ სჯობს.

- გმადლობ, სენიორა.

ჩემთვის აღარაფერი უთქვამს, ფიქრობდა.

- ...მაშინ, ეს კაცობრიობაა! - თითქოს სიტყვით განაგრძო ფიქრი. მივხვდი, გაჭედილ ტრიბუნებს გულისხმობდა. - კაცობრიობა, რომელიც იყო, არის და იქნება...

- სწორი დასაწყისია, ქალბატონო ტოტო!

იმ დღეს სახელგანთქმულ მატადორს - ლუის რეინას[351] უნდა მოეკლა ერთ-ერთი ხარი. კორიდის მონაწილეთა აღლუმი, წესისამებრ, ორკესტრის თანხლებით მიმდინარეობდა. აღლუმს სამი მატადორი მოუძღოდა, შუაში თვით ლუის რეინა ვიდოდა, მარჯვნივ და მარცხნივ არანაკლებ ცნობილი ესპადები მოაბიჯებდნენ. შემდეგ შუბოსანი მხედარი ანუ პიკადორი, რომელიც ძალიან ჰგავდა წმიდა გიორგის, თუ არ მივიღებთ მხედველობაში, რომ ჯაგლაგზე იჯდა და თვით ჯაგლაგს მუცლის არე სქელი, რქაგაუმტარი პერანგით ჰქონდა დაცული. პიკადორს სამი ბანდერილიერო მოსდევდა. ესენი, დრო რომ მოაწევს, ხარს ქედში მანჭვლებს ჩასცემენ. მომდევნო რიგად სამი კაპეადორი, ანუ ხარის გამღიზიანებელი მოაბიჯებდა. მერე პუნტილიერო

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

იყო - მებრძოლი, რომელმაც მატადორის დაშნით სასიკვდილოდ დაჭრილ ხარს კისერში დანა უნდა ჩასცეს და სულთაბრძოლა შეუწყვიტოს. მსვლელობას ასრულებდა ქუადრილა დე არასტრე - ორი მონაწილე, ვინც მოკლულ ხარს ასპარეზიდან ცხენებით გაათრევს. ეს ჭრელჭრულა და დაჩითულ-ამოქარგულ ტანსაცმელში გამოწყობილი, ხაზგასმული ღირსებით მოძრავი ჯამაათი ყოველთვის რამდენადმე სასაცილოდ გამოიყურება, მაგრამ აფასიონადოები - თავგადადებული გულშემატკივრები, ხართან ბრძოლის ორასივე წესი ანბანზე უკეთესად რომ იციან, პასეოს ისეთი სერიოზულობით აღიქვამენ, იმდენად გულწრფელი აღტაცებით ესალმებიან აღლუმის მონაწილეებს, რომ უცხო მაყურებლის იუმორისთვის ადგილი აღარ რჩება.

პასეომ კორიდის პრეფექტის ლოჟას ჩაუარა, მიესალმა და გასასვლელს მიაშურა. ჩემი აზრი სანახაობის კომიზმის გამო ტოტოს გავუზიარე.

- კი, სასაცილოა. კაცობრიობის წარსული რომელიმე მემატიანეს იუმორით რომ დაეწერა, იქნება სხვებზე ჭეშმარიტი ისტორია გამოსვლოდა.

აღლუმი დამთავრდა. ასპარეზზე კაპეადორები და ბანდერილიეროებიღა დარჩნენ. ესენი, სანამ კორიდის პრეფექტი ხარის გამოშვების ნიშანს მისცემდეს, ასპარეზზე უსაქმოდ დაყიალებენ, ერთიმეორეს ესაუბრებიან. ამ სურათმა ჩემს ფანტაზიაში ჩამოყალიბებული სახეების რიგი ახალი დეტალით შეავსო: ეს ასპარეზი, სანამ ხარი გამოვარდებოდეს, ადამიანთა, ერთა და სახელმწიფოთა მშვიდობიანი ურთიერთობის ადგილია - ჩვენი მრგვალი დედამიწა, ზედ მცხოვრები ხალხებით. ამფითეატრები - კაცობრიობა ერთ რომელიმე ისტორიულ მონაკვეთში. ხვალ აქ სხვა კაცობრიობა იჯდება, ზეგ — სხვა, მაზეგ — სხვა, მაგრამ მარადის იჯდება სხვა თაობათა კაცობრიობა ისევე, როგორც სხვა ხალხები იმოქმედებენ, აი, ამ ასპარეზზე. ყველაფერი ცვალებადია, გარდა იმ ქვეცნობიერი მოლოდინისა, რომ მოედანზე ვიღაც მოძალადე უნდა შემოიჭრას და ჰარმონია ქაოსად აქციოს. ეს მარადისია!

ამ ფიქრებში ვიყავი გართული, თვალი ვერ მოვკარი, პრეფექტმა როდის აიქნია ხელსახოცი. ხარი ასპარეზზე ცოფიანივით

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

გამოვარდა და გაშეშდა, თვალი კაშკაშა მზემ მოსჭრა - იგი ბრძოლის დაწყებამდე რამდენიმე საათის მანძილზე ბნელ ბოსელში ჰყავთ ხოლმე.

- დამპყრობლები ხომ, უმთავრესად, ბნელეთიდან ევლინებიან კაცობრიობას, - ვთქვი და ტოტოს ხარის გარინდების მიზეზი განვუმარტე.

ხარმა მზეს თვალი მიაჩვია, კაპეადორის ხელში ჟოლოსფერი კაპა, ანუ საღიზიანებელი დაინახა, ეკვეთა. კაპეადორმა ხარის რქები ელეგანტური ილეთით აიცდინა და გაიქცა. ხარი გამოეკიდა, კაპეადორმა საფარში შეასწრო. ასეთი სამალავი ასპარეზის ირგვლივ შემოვლებულ გალავანში რამდენიმეა. როგორც დამარცხებულმა მოწინააღმდეგემ მიაშუროს ციხესიმაგრეს, ისე იმალებიან საფრებში ხარისგან ოტებული კაპეადორები. ერთი რომ გაიქცევა და დაიმალება, ხარს მეორე აღიზიანებს, მერე — მესამე, ისევ — პირველი და ასე შემდეგ. დესფილე, ანუ ხარის გაღიზიანება, იქამდე გრძელდება, სანამ პრეფექტი მიიჩნევს, რომ პიკადორის გამოსვლის დროა.

- კაცობრიობის ისტორიაც ასეა, გორ? შენ მართალი ხარ: შემოჭრა, მოგერიება, გაქცევა, გამოდევნება, დამარცხება, გამარჯვება. კიდევ რა? - სთქვა ტოტომ და დასძინა: - ეს ომია. ომი - რაღაცის ბოლო და ახლის დასაწყისი. ომი, ანუ უხეში ძალის ზეიმი და მისივე სიკვდილის დასაწყისი. ხარი ამ უსუსური წინააღმდეგობით იღლება, იქანცება, ძალა ეცლება და იწყება მისი სიკვდილი!

- მაგ პროცესს კორიდის პროფესიულ ენაზე სუერტე დე მუერტე ჰქვია, - მოკვდინების მსვლელობა!

ტოტომ შემომხედა, მიყურა და ჩაილაპარაკა:

- ღმერთო ჩემო, რა საშინელებაა!.. სუერტე დე მუერტე - მოკვდინების მსვლელობა... ეს ხომ ყველანაირ ვითარებაზე ვრცელდება...

ასპარეზს ჯაგლაგზე ამხედრებული პიკადორი მოევლინა. მხედარს ფეხები მუხლს ქვევით ლითონის თორებით ჰქონდა დაცული. ხელთ მძიმე შუბი ეპყრა. შუბს წვეტიდან ერთი ციდის მანძილზე ჯვარედინი კაპი ჰქონდა, რომ მახვილი ხარის ქედში ღრმად ვერ წასულიყო და მატადორის მოსაკლავი ცხოველი პიკადორს არ მოეკლა.

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

- შეხედე, გორ, შუბის წვერი ჯვრის იმიტაციაა! - შენიშნა ტოტომ. - ნუთუ ამას ქრისტიანული პირმოთნეობის მიმანიშნებელი ფუნქცია აქვს? მიაქციე ყურადღება, ხალხი იცინის, უსტვენს.

- მგონია, მაგ რეაქციის მიზეზი მხედრის გაბღენძილი, ამპარტავანი იერიც უნდა იყოს. ხალხმა იცის, ეგ წმიდა გიორგის სიმბოლოდ მოვლენილი ფანფარონი ვერაფერი გმირი და მხსნელია...

- ხალხში გამუდმებით არის დაუკონკრეტებელი პროტესტის ქვეცნობიერი გრძნობა და ამას ზედმეტი სისხლივით დროდადრო გამოშვება სჭირდება. ესპანელები მორწმუნე ერია, მაგრამ ადამიანები ღმრთისა და წმიდანების მიმართ შინაგან პროტესტს მაინც ატარებენ. ამას განეიტრალება უნდა და, აგერ - იცინე და უსტვინე, რამდენიც გენებოს! ეს ყველანაირი ხელისუფლების ნაცადი ხერხია, - დასძინა ტომიმ.

ამასობაში, გაგულისებულმა ხარმა პიკადორის ცხენს რქები მუცელში ატაკა, მაგრამ ვერა ავნო რა - დამცველი პერანგი ვერ გაიტანა. პიკადორმა პაუზით ისარგებლა და შუბი ქედში ჩასცა. სისხლმა თქრიალით გადმოხეთქა, შავ ფერდზე შინდისფერ ღვარად ჩამოიარა. ხარი უფრო გამწარდა, ცხენს რქები ხელმეორედ ატაკა, ჯაჯგური დაუწყო - შიშველ ადგილს თუ ეძებდა. პიკადორმა შუბი კვლავ ჩასცა. მაშინ ხარმა ცხენი რქებზე აიტაცა და მიწაზე დააგორა. მხედარს ფეხი ცხენქვეშ მოჰყვა. ხარი საკვეთებლად დაიძრა, მაგრამ კაპეადორებმა ალყა შემოარტყეს, გაღიზიანება დაუწყეს. ხარი დაიბნა, გაირინდა. სხვები ჯაგლაგს შემოეხვივნენ, პიკადორის დახსნას მიჰყვეს ხელი. ხალხი ხარხარებდა. ღრიანცელი იდგა, ტოტომ ყურებიც კი დაიცო.

ხარი, როგორც იქნა, განზე გაიტყუეს, დესფილე გაგრძელდა. გამოათრიეს ცხენქვეშიდან მხედარი, ააყენეს. შეჯდა და სარბიელი კვლავინდებური მედიდურობით დასტოვა.

- ტოტო, მიუხედავად შეთანხმებისა, რომ კორიდის გარშემო აღარაფერს ვიტყოდი, ერთი მოსაზრება მინდა გაგიზიარო მისი მართებულობის შესამოწმებლად. მომისმენ?

- სთქვი.

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

- დამპყრობელს დასაპყრობად განზრახულ ტერიტორიებზე რამდენიმე ერი თუ სამეფო ხვდება. მათ რიცხვში აუცილებლად არის ძლიერებით გამორჩეული, აღზევებული ლიდერი. როცა დამპყრობელი გამოჩნდება, ლიდერი უფრო სუსტი მეზობლების მტრისადმი წინააღდგომის შედეგებს ელის, აქეზებს, ფარულად ეხმარება კიდევაც მათ, რომ მომხდური დაასუსტოს, გამოფიტოს და თავად მერეღა ეკვეთოს. ამ ლოდინსა და დაყოვნებაში ის განზრახვაც დევს, რომ გადამწყვეტ ბრძოლაში გამარჯვების შემდეგ, რაშიც გაყოყოჩებულ ლიდერს ეჭვი თითქმის არასოდეს ეპარება ხოლმე, წვრილფეხობის მიერ დაკარგული მიწები, როგორც ძლევამოსილმა და განმათავისუფლებელმა, მთლიანად თუ არა, ნაწილობრივ მაინც მიითვისოს და ახლად შემოერთებულ მოსახლეობას სიხარბითა და გაუმაძღრობით, იქნება დამარცხებული დამპყრობელიც კი მოანატროს. ყოველივე ეს ხალხებმა მშვენივრად იციან და ასეთი ლიდერის მიმართ თავიანთი უარყოფითი განწყობილება, კერძოდ, ესპანელებმა, კორიდის მეშვეობით პიკადორის კომიკური იერით გამოხატეს. პიკადორის მხატვრული სახის ასეთი განსაზღვრა მართებულად მიგაჩნია?

- ხალხი ეგოდენ რთული კატეგორიებით ვერ აზროვნებს.

- სწორია და ამიტომ ხალხი ქვეცნობიერებაში არსებულ იდეებს მუსიკით, ქორეოგრაფიითა თუ სპორტული თამაშებით გამოხატავს. ესპანელებმა არსებული ლიდერის მიმართ თავიანთი ქვეცნობიერი დამოკიდებულება პიკადორის კომიკური იერით გამოხატეს.

- ესპანელები და თქვენ, ქართველები, დამპყრობლებთან საუკუნეების მანძილზე ნაომარი ხალხი ხართ. ჩვენ, ამერიკელები, უსასტიკესი დამპყრობლები და ჯიჰადგირები თავად ვიყავით. თქვენ თქვენი წარსულის ტკივილი გაქვთ და კორიდას ამ პოზიციიდან იხილავთ. ჩემში თქვენეული ისტორიულ-ფსიქოლოგიური წინაპირობები ძნელი საპოვნელია. მაშ, როგორ უნდა გვქონდეს, კერძოდ, პიკადორის მხატვრული სახის ერთნაირი განმარტება? იქნება სწორედ ამიტომ მიმაჩნია შენი ანალიზი ხელოვნურ წარმონაქმნად? მე, ამერიკელმა, პიკადორის ეპიზოდი კორიდის იუმორისტულ ელემენტად, ქრისტიანული სა-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

რწმუნოების მიმართ ხალხში არსებულ ოპოზიციად მივიჩნიე და იმის აღნიშნვადაც, რომ ქრისტიანობა, თავისი ლმობიერებითა და შიმტევებლობით, მკაცრ რელიგიებთან დაპირისპირებისას უმწეო და კომიკურიც კი ჩანს.

ორგზის დაკოდილი ხარი კვლავ და მეტის გამწარებით დასდევდა კაპეადორებს. ერთ-ერთს დაეწია კიდეც, რქა უკანალში უთავაზა. ირიბად მოუვიდა. კაპეადორმა მაინც გადაიარა მალაყები. ხალხს სიკვდილის სუნი ეცა, გაინაბა, მაგრამ სხვა კაპეადორებმა იმარჯვეს, ხარი განზე გაიტყუეს.

- კარგი ხარია, - აღვნიშნე. - რაც გამოიჭრა, არ გაჩერებულა.

- კი, ძალიან აქტიურია, მაგრამ არ მესმის, რა უნდა. დაარბენინებს ამ საცოდავებს და ეგ არის. ცხადია, პირუტყვს რაიმე შეგნებული მიზანი არ შეიძლება, ჰქონდეს, მაგრამ თავად ეს უაზრო, უთავბოლო სირბილი და გამოდევნება, თუ შენს კონცეფციას მივყვებით, რაღაცას უნდა ასახიერებდეს. ხომ ასეა?

- მე თუ მკითხავს ვინმე, კორიდის დედააზრი სწორედ ეგ არის - ამაოება ამაოებათა! ვისგანაც გინდა იყოს, ქვეყნიერების დაწიოკება, ერების დამარცხება, სახელმწიფოების განადგურება განა უაზრო, უთავბოლო სირბილი და გამოკიდება არ არის?! უზოგადესად რომ მივუდგეთ, რომელ დამპყრობელს რა შერჩა და მისი დანაპყრობიდან რა დარჩა?!..

- მაგ გადმოსახედიდან ეგრეა... შეხედე, როგორი დაჟინებით დასდევს ხარი, აგერ, იმ ჟოლოსფერ ძონძს. ყოველ ცოცხალ ორგანიზმში არსებული აგრესიის თვისების შეუგნებელი, გაუაზრებელი გამოვლინებაა. სხვა არაფერი.

- ეს მოქმედება პორფირისთვის, საიმპერატორო რეგალიისთვის ბრძოლას ასახიერებს. ამ მისტერიაში, მშვენიერო ტოტო, ყველაფერია გათვალისწინებული!

როცა ხარს დაღლილობამ მუხლი მოუკეცა და წააბორძიკა, პრეფექტმა ბანდერილიეროებს ნიშანი მისცა. დესფილირება შეწყდა, კაპეადორებმა თავიანთი საღიზიანებლები მკლავებზე გადაიკიდეს, ხარს გაეცალნენ.

სანახაობის ეს ნაწილი, მართლაც, ულამაზესი რამ არის. თითის წვერებზე ატოტებული მებრძოლი შურდულივით გამოქანებული ხარის რქებს ნატიფი ილეთით იცდენს, ჰაერში ხტე-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ბა და მიწას მოწყვეტილი ქედში არჭობს ორი მტკავლის სიგრძე ხანჯლებს - ორს ერთდროულად! ხანჯლები დაჭრელებულია, მოფრიალე წითელი ბაფთებით მორთული. ახლა მეორე ბანდერილიერო აგულიანებს „ტოროს“ შეძახებებით ხარს, ორთაბრძოლაზე იწვევს. ცხოველი აყოვნებს, ალბათ, ფიქრობს მტერი რქებით როგორ აიტაცოს. მერე ადგილს სწყდება, კამარას ჰკრავს და ეს განწირული ძგერება, თითქოს, საბედისწეროა, თითქოს ხარის რქებზე უნდა დაასრულოს ამ კოხტა კაცმა თავისი თამაშივით სიცოცხლე... და ისევ ულამაზესი პირუეტი, საზარელი რქების ბანდერილიების გასწვრივ გაელვება, ნახტომი და ქედში ჩაცემული კიდევ ორი ხანჯალი. გრაციოზულობისთვის მეორდება ეს მოქმედება და ძალიან ჰგავს მტერთან ბრძოლებში დაოსტატებული, გალაღებული რაინდების თავზე ხელაღებულ რკენას შავსა და ბოროტ ძალასთან.

ქმედება დასრულებულია, საქმეს კვლავ კაპეადორები განაგრძობენ, ხარი ისევ დაშლიგინებს და მის ქედში ჩარჭობილი ბანდერილიები საზარლად ტორტმანებენ.

- კორიდა პრეფექტს მიჰყავს, - თქვა ტომიმ. - ყოველი მომდევნო ქმედება მისი ნიშნის შემდეგ ხორციელდება. იგი მართავს სანახაობას, როგორც ღმერთი — კაცობრიობის გრანდიოზულ მისტერიას. ღმერთი ყველაფერს სჭირდება.

პრეფექტმა მატადორის შემოსვლა ბრძანა.

როცა ხარი ასპარეზის მზით განათებულ ნახევარზეა, მებრძოლთა ნაირფრად დაჩითული სამოსელი, ოქროცურვილი ნიადაგი, ჟოლოსფერი კაპების რხევა, ხარის ქედში ჭრელტარიანი ხანჯლების ტორტმანი, მათი წითელ-ყვითელი ბაფთების ფრიალი და გავეშებული ცხოველის შავ ფერდებზე შინდისფრად შედედებული სისხლი ფერთა უმშვენიერეს ფანტაზიას ჰქმნის. ფერთა ამ კონვულსიურ მოძრაობას ტრიბუნების გადარეული ღრიანცელი ამთლიანებს და მაყურებლის თვალწინ თვით კაცობრიობის ისტორია ბობოქრობს, მარადისობის ილუზია ჩნდება.

- შეხედე, ტოტო, რას სჩადის მზე! - თავი ველარ შეკავე - გახსოვს ერნესტ ჰემინგუეი, - კორიდაზე მზე აუცილებელია.

- ჰემინგუეი მაგ ნათქვამში, ვფიქრობ, მხოლოდ კორიდას არ გულისხმობდა. ეგ ნაწარმოების შინაგან სინათლეს უნდა ნიშნ-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ავდეს. ესპანეთში მან კარგა ხანს იცხოვრა, „დუენდეს“ ჭეშმარიტ მნიშვნელობას ჩასწვდა და შინაგანი მზე დაარქვა. ეს ის არის, რასაც, ვთქვათ, შესრულების უმაღლესი ტექნიკა, ოსტატობა - აჰყავს დახვეწილი არტისტიზმის მშვენიერებამდე. ის, რაც მხოლოდ თვალით ან ყურით კი არ აღიქმება, არამედ რაღაც იდუმალი გზებით შემოდის სულში და გამდიდრებს - შინაგანი მზე, დუენდე!

მატადორი დინჯი ნაბიჯით, მთავარი გმირის ღირსების გრძნობით გამოვიდა ასპარეზზე, პრეფექტის ლოჟის ძირას დადგა, თავსარქმელი მოიხადა, ბრძოლაში ჩაბმის უფლება ითხოვა. თანხმობა მიიღო, ქუდი ერთ-ერთ მსახურს გადასცა, მულეტა გამოართვა - კაშკაშა წითელი ქსოვილის ნაჭერი, და ხარისკენ გასწია. ახლა მან განაგრძო ხარის დესფილირება, ვითომ ცხოველი უმისოდაც ქანცგამოცლილი და ღონემიხდილი არ იყო. ხარის თავდასხმებმა, მატადორის უმაღლესი ოსტატობისა და გრაციის დემონსტრირებამ იქამდე გასტანა, სანამ მებრძოლმა ცხოველი მოკვლისთვის შემზადებულად არ მიიჩნია. მივიდა, პრეფექტისგან თანხმობა მიიღო, დაშნა წამოიღო.

ხარი და მატადორი პირისპირ დადგნენ.

მატადორი მულეტას მარცხენა ხელით არხევს, ხარს ძგერებისკენ მოუწოდებს. მარჯვენაში წინ გაშვერილი დაშნა უჭირავს და იმ ერთადერთ ადგილს უმიზნებს, სადაც ხარმა სასიკვდილო ჭრილობა უნდა მიიღოს - ქედში ღრმად, რომ მახვილმა ხერხემალს უწიოს. ხარი დგას, სულს ითქვამს. მერე გადამწყვეტ ნახტომს ასრულებს. მატადორი ღერძის ფეხზე ულამაზესი ბრუნვით ეცლება ვეება რქებს, ერთდროულად დაშნას სცემს. ეს ისე სწრაფად ხდება, რომ ბრუნვისა და დაშნის ჩაცემის მომენტის აღქმას თვალი ძლივს ასწრებს. ხარი ქედში გარჭობილი დაშნით გაყუჩებული დგას, თითქოს ამ წარმოუდგენელ ღრიანცელში სიკვდილის ფეხის ხმის გაგონებას ლამობდეს, და მოცელილივით ეცემა.

აღსრულდა! მოკვდინების პროცესი დამთავრებულია. მატადორი მაყურებლით გაჭედილ ტრიბუნებს ესალმება, ხალხი გრგვინავს. მანდილოსნები და ქალიშვილები წინა რიგებიდან ხილაბანდებს ისვრიან. პლასა დე ტოროსი გამარჯვებას ზეიმობს.

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

- გათავდა? - მეკითხება ტომი.

- არა. კიდევ ზოგი რამ საყურადღებო იქნება.

პუნტილიერომ ხარს კისერში დანა ჩასცა, სულთაბრძოლა შეუწყვიტა. პრეფექტის ლოჟასთან მიირბინა, დაბრუნდა, ხარს ყური მოაჭრა, ტრიბუნებს აჩვენა და მატადორს მიართვა.

- ჯიჰადგირი ვიყავ, ყურმოჭრილი მონის გვამი ვარ!.. ახლა ხომ მაინც გათავდა?

- არა, მთავარი რამ უნდა განხორციელდეს, ის, რისთვისაც არის კორიდა მოგონილი!

ასპარეზზე ქუადრილა დე არასტრე ორი შებმული ცხენითურთ გამოვიდა. ხარს რქებში თოკი ჩაებეს, მეორე ბოლო საბმურს მიანასკვეს და ხარი ხალხის სტვენა-ყიჟინის თანხლებით გაათრიეს.

იმავ წამს მსახური გაჩნდა, ასპარეზს სისხლიან ადგილებში ცოცხი მიუსვ-მოუსვა, ტრაგედიის ნაკვალევი აღარსად დარჩა.

- გათავდა? - კვლავ შემეკითხა ტომი.

- არა. ეს არასოდეს გათავდება. ამას სხვა კორიდა უნდა მოჰყვეს...

- მე ეს ვნახე და კმარა! - ტომი წამოდგა, კიბეს ჩავყევით.

ტრიბუნები გრგვინავდნენ, მატადორისთვის ტრიუმფს ითხოვდნენ.

— *Кричали женщины — ура! И в воздух чепчики бросали!* — ჩავილაპარაკე.

ტოტომ თარგმანი მომთხოვა. ვუთარგმნე, უკეთ ვთქვათ, ერთად ვთარგმნეთ. ღიმილი დაუბრუნდა და სთქვა:

- კორიდაზე გადარეულ ესპანელებს შეუძლებელია, ამ საქმის ჟამთაღმწერლები არ ჰყავდეთ. მატადორებს, ალბათ, თავიანთი ბიოგრაფოსები ჰყავთ, მაგრამ ვის გაახსენდება ის მშვენიერი, თავზე ხელაღებული პირუტყვი, ასე უდიერად რომ გაათრიეს ვიღაც ნაძირალებმა!

- განადერიას - მეურნეობას, რომელმაც იგი გამოზარდა! ისინი თავის მატიანეებში შეიტანენ, ამა და ამ ძროხისა და კუროს ბოჩოლა ღირსეული მებრძოლი დადგაო. ჯიჰადგირთა ჩამომავ-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ალთ თავისი პირუტყვი წინაპრის „დამსახურებათა“ განდიდება დიახაც სიამოვნებთ, მაგრამ არ უყვართ მის ყოვლის მომსპობელ მოქმედებებზე სხვათა ყურადღების გამახვილება.

– მომშივდა, – განაცხადა ტოტომ. – „ველასკესში“ ვდგავარ, სადილად გპატიჟებ.

„ველასკესის“ ხსენებაზე ტომის მატერიალურ შესაძლებლობებზე თუკი რამ ეჭვები მქონდა, მყისვე გამიქარწყლდა. ეს სასტუმრო და მისი რამოდენიმე რესტორანიც უმაღლესი რანგისაა.

– მდიდარო და მშვენიერო ქალბატონო ტოტო, მე უკვე მოგახსენეთ, რომ ჩემი საფულე ხმელზე ამოგდებული კალმახივით ღაფავს სულს. ისიც მინდა, გაცნობოთ, რომ ჩემი მამრობითი სქესის მშობელი უახლოეს მეგობრებსაც კი არ წაჰყვებოდა რესტორანში, თუ მთელი დანახარჯის გადახდა არ შეეძლო...

– ხშირად ქეიფობდა?

– საკმაოდ.

– გორ, კორიდაზე შენს შეხედულებებს შტატებში გამოვაქვეყნებ. რა თქმა უნდა, ავტორის გვარ-სახელისა და წარმომავლობის მოხსენიებით. ჩვენი ქვეყანა იდეებში მეტს იხდის, ვიდრე საქონელში. სადილი შენს წილად რაც დაჯდება, კუთვნილ ჰონორარად ჩათვალე...

– მოვდივარ!

სადილი თითქმის დამთავრებული გვქონდა, ჩაროზს მივირთმევდით. მოგზაურობათა ბიუროს კაცი მოვიდა, ტომის თვითმფრინავის ბილეთი მოუტანა. სან-სებასტიანში მგზავრობასა და იქ სასტუმროში მოწყობაზე იყო ლაპარაკი.

– როდის მიფრინავ, ტოტო? – გულდაწყვეტით ვკითხე, როცა კაცი წავიდა.

– ხვალ დილით, რვა საათსა და ათ წუთზე მადრიდის დროით! – თითქოს ნიშნისგებით მაცნობა.

– სამწუხაროა!

ტომიმ ერთ-ერთი თავისი ღიმილი შემომანათა და სთქვა:

– საშინელი კაცი ხარ, გორ – შელეწილი, მიწასთან გასწორებული ცხენისმაგრეების ქვა-ღორღით ნაგები. ვშიშობ, შენთან

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ამ მოკლე ურთიერთობამაც კი სილაღე და ღიმილი პირქუშობ-ით არ შემიცვალოს. სჯობს, ცალ-ცალკე აღვასრულოთ ჩვენ-ჩვენი სუერტე დე მუერტე!

მაგიდას რამდენიმე ნაბიჯით ვიყავით გამოცილებული, უკან მივიხედე. „*KGB*“ იქ იდო.

- ტოტო, წიგნი გრჩება! - მოსატანად გავიწიე.

- დარჩეს, ეგ მე დღეს კორიდაზე ვნახე.

ერთმანეთისთვის მისამართები არ გამოგვირთმევია...“

ვინა ხარ შენ, გორა მბორგალო, ხარი თუ ესპადა?!

1984–1994 წ.

თბილისი.

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/